წმიდა ბასილი დიდი

ჰომილიები ექვსი დღისათვის[1]

ჰომილია I

დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა(შესქ.1,1)

ვისაც სამყაროს დაბადებაზე თხრობა სურს, იგი ხილული საგნების წარმოშობაზე საუბრით უნდა დაიწყოს, კერძოდ, ზეცისა და მიწის შექმნის ისტორია უნდა გადმოსცეს, რადგანაც **შექმნა,** როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ, თავისით არ მომხდარა, არამედ მიზეზი ღმრთისაგან მიიღო.

რომელი სასმენელია ღირსი ნათქვამის სიდიადის მოსმენისა? ან როგორ უნდა იყოს სული მომზადებული ამგვარ დიდთა საქმეთა ყურადსაღებად? ხორციელ ვნებათაგან განწმენდილი, ცხოვრებისეულ საზრუნავთაგან დაუბნელებელი, შრომისმოყვარე, გამომეძიებელი და მიმომხედველი ყოველ მხარეს, საიდანაც კი ღმერთზე შესაფერისი წარმოდგენის შეძენა შეიძლება. მაგრამ ვიდრე ნათქვამის სიზუსტეს გამოვიძიებდეთ და ამ რამდენიმე სიტყვის უდიდეს მნიშვნელობას განვიხილავდეთ, გულისხმავყოთ, ვინ გვესაუბრება ჩვენ.

შეიძლება ჩვენი გონების უძლურებისა გამო აღმწერლის გულის სიღრმეს ვერ ჩავსწვდეთ. მაგრამ უკეთუ მთხრობელის სანდოობას მაინც გულისხმავყოფთ, მის ნათქვამსაც თავისთავად ვირწმუნებთ. ეს წიგნი **მოსემ** დაწერა, იმ მოსემ, ვის შესახებაც დამოწმებულია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძუძუს სწოვდა, **მკვირცხლ იყო წინაშე უფლისა**(შესქ.7,20); ვინც ფარაონის ასულმა იშვილა, მეფურად აღზარდა და ეგვიპტელი ბრძენნი მოძღვრებად და აღმზრდელებად დაუყენა, ვინც ქედმაღლობა უსაზღვრო ძალაუფლებისა მოიძულა და თვისტომთა სიმდაბლისაკენ მიიქცა: **გამოირჩია თანა-ძჯრის-ხილვაჲ ერსა თანა ღმრთისასა, ვიდრეცა რაჲთა აქუნდეს საწუთროჲ იგი საშუებელი ცოდვისაჲ**(ებრ.11,25); ვინც, თვით ბუნებისგან ჰქონდა რა მინიჭებული სიყვარული სიმართლისა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ერის წინამძღოლობა მიენდობოდა, ბოროტების ბუნებრივი სიძულვილის გამო, როგორც ჩანს, თვით სიცოცხლის ფასადაც კი, მზად იყო დაესაჯა უკეთურნი; ვინც, დევნილმა იმათგან, ვისაც კეთილი უყო, ეგვიპტელთა შფოთნი ხალისით დატოვა, ეთიოპიას მიაშურა და იქ სხვა საქმეთაგან სრულიად მოცლილი, მთელი ორმოცი წლის მანძილზე არსებულთა ჭვრეტას შეექცა; ვინც, უკვე ოთხმოცი წლისამ იხილა ღმერთი, როგორც კაცს შეუძლია იხილოს იგი, ან უფრო სწორად, თვით ღმრთისავე დამოწმებით, როგორც მანამდე არავის უხილავს: **უკუეთუ იყოს ვინმე თქუენგანი წინაწარმეტყველ უფლისა, ჩუენებით გამოვეცხადო მას და**

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **Sources chrétiennes, t. 26. S. Giet, Basile de Césarée, Homélies sur l' hexaéméron, Paris, 1968.**

ძილსა შინა ვეტყოდი მას. ხოლო არა ვითარცა მოსეს, მსახურსა ჩემსა, რომელი ყოველსა სახლსა ჩემსა სარწმუნო არს. პირისპირ ვეტყოდი მას, ხილვით და არა იგავით(რიცხ.12,6-9).

ვინც, ანგელოზთა მსგავსად ღმრთის პირისპირ ხილვის ღირსი გახდა, იმას მოგვითხრობს, რაც ღმრთისაგან ესმა. მოვისმინოთ ჭეშმარიტების სიტყვანი, რომელნიც **არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ სწავლითა სულისაჲთა არიან თქმულნი**(I კორ.2,4-13) და მიზნად არა მსმენელთაგან შექება, არამედ იმათი გადარჩენა აქვთ, ვინც მათ შეისწავლის.

2. **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა**(შესქ.1,1), საკვირველება აზრისა სიტყვას მიჩერებს. პირველად რა ვთქვა, განმარტება საიდან დავიწყო? წარმართების ამაოება ვამხილო, თუ ჩვენი ჭეშმარიტება შევაქო?

ელინმა ფილოსოფოსებმა ბუნებაზე ბევრი იმსჯელეს, მაგრამ არცერთი მოძღვრება მტკიცე და ურყევი არ ყოფილა, რადგან წინა მოძღვრებას ყოველთვის მომდევნო ამხობდა. ამიტომაც, ჩვენ მათი მხილება აღარ გვჭირდება, ერთმანეთის დასამხობად თვითონაც საკმარისნი არიან. რომელთაც ღმერთი ვერ შეიცნეს, მათ ვერც სამყაროს დაბადების გონიერი მიზეზი გულისხმაყვეს და სხვა დასკვნებიც, ერთმანეთის მიყოლებით, ამ პირველი უგუნურების შესაბამისად გამოიტანეს. ამიტომაც ერთნი მატერიალური საფუძვლებისაკენ მიილტვოდნენ და ყოველივე არსებულის მიზეზად კოსმოსის სტიქიებს თვლიდნენ, სხვების წარმოდგენით კი, ხილული საგნების ბუნებას განუყოფელი და დაუნაწევრებელი სხეულები, სიმძიმე და ფორები ქმნიდნენ. რამდენადაც განუყოფელი სხეულები ხან ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან, ხან კი ერთმანეთისაგან განიზიდებიან, ამდენად დაბადებაცა და დაღუპვაც თითქმის ამისდა შესაბამისად ხდება; ხოლო იმ სხეულების ხანგრძლივობის მიზეზი, რომელნიც სხვებზე დიდხანს არსებობენ, ატომების უმტკიცეს შეერთებაში მდგომარეობს.

ჭეშმარიტად ობობას ქსელს ქსოვენ ამის დამწერნი, რადგან ზეცას, მიწასა და ზღვას უსაფუძვლო, დაუსაბუთებელ, ასე მცირესა და სუსტ საწყისებს უდებენ. მათ არ იცოდნენ და ვერ თქვეს: **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა**. მათში დამკვიდრებულმა უღმერთობამ შეაცდინა ისინი და აფიქრებინა, რომ ყოველივე განმგებლობისა და წესრიგის გარეშე არსებობს და მოძრაობას შემთხვევით იწყებს. ჩვენც რომ იგივე არ დაგვემართოს, სამყაროს შესაქმის აღმწერი, ღმრთის სახელით, მყისვე გვინათებს გონებას პირველივე სიტყვებით, როცა გვეუბნება: **დასაბამად ქმნა ღმერთმან**.

რა მშვენიერი რიგია! პირველად დასაბამი მოიხსენა, რათა ვინმეს სამყარო დაუსაბამო არ ჰგონებოდა და შემდეგ დაუმატა **ქმნა**, რათა ეჩვენებინა, რომ ქმნილება შემოქმედის ძლიერების მხოლოდ უმცირეს ნაწილს წარმოადგენს. მსგავსად მექოთნისა, რომელიც თავისი ხელოვნებით მრავალ ჭურჭელს ქმნის, მაგრამ ამით არც ოსტატობა და არც ძალა აკლდება, ასევე ყოველთა შემოქმედმაც, რომელსაც მხოლოდ ერთ სამყაროსთან შესწორებული შემოქმედებითი ძალა

როდი აქვს, არამედ ბევრწილად აღმატებული, ნების ერთი წამისყოფით მიანიჭა არსებობა ხილულთა სიდიადეს. უკეთუ სამყაროს დასაბამი აქვს და შექმნილია, გამოიძიე, ვინ მისცა დასაბამი და ვინ არის მისი შემოქმედი. უმჯობესი იქნება ვთქვათ, რომ მოსემ; ყოველივე ეს შენ რომ კაცობრივი მსჯელობებით არ გეკვლია და ჭეშმარიტებისაგან არ მიქცეულიყავი, თავისი მოძღვრებით დაგვასწრო და ჩვენს სულებზე, ვითარცა ბეჭედი და ზღუდე, ღმრთის ფრიად ძვირფასი სახელი აღბეჭდა და თქვა: **დასაბამად ქმნა ღმერთმან**. ამ ნეტარმა ბუნებამ, მოუკლებელმა სიკეთემ, ყველასათვის, ვისაც კი გონება მიეცა, საყვარელმა და ფრიადსასურველმა სახიერებამ, დაბადებულთა დასაბამმა, ცხოვრების წყარომ, გონიერმა ნათელმა და მიუწვდომელმა სიბრძნემ **დასაბამად ქმნა ცაჲ და ქვეყანა**.

3. ამიტომ, ადამიანო, ნუ წარმოიდგენ, რომ ხილულნი დაუსაბამონი არიან და იმის გამო, რომ ცაზე მოძრავი სხეულები წრეს წერენ, ხოლო წრის დასაბამი ჩვენი გრძნობის ორგანოებისათვის მიუწვდომელია, ნუ იფიქრებ, რომ წრიულად მოძრავი სხეულების ბუნება დაუსაბამოა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს შეგრძნებებს გაურბის და არც იმის პოვნა შეგვიძლია, თუ სად იწყება იგი და არც იმისა, თუ სად მთავრდება. დაუსაბამოდ არც ეს წრე, ანუ სიბრტყეზე ერთი ხაზით შემოწერილი გეომეტრიული ფიგურა, უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ჩვენს შეგრძნებებს გაურბის, მაგრამ სინამდვილეში, ვინც წრე ცენტრიდან გარკვეული მანძილით შემოწერა, მან იგი უეჭველად საიდანმე დაიწყო. ამგვარად შენც, როცა დაინახავ, რომ სხეულები, რომლებიც წრიულად მოძრაობენ, თავისივე თავისკენ მიიქცევიან. მათი თანაბარი და განუწყვეტელი მოძრაობა იმ მცდარ აზრზე ნუ დაგაყენებს, თითქოს სამყარო დაუსაბამო და დაუსრულებელი იყოს: **რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ**(1კორ.7,31) **და ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ**(მთ.24,35). სამყაროს დასასრულისა და ცვალებადობის შესახებ დოგმატების წინასწარ განცხადებას წარმოადგენს ისიც, რაც ახლა ჩვენ მოკლედ ღმრთივსულიერი მოძღვრების დასაწყისშივე გადმოგვეცა: **დასაბამად ქმნა ღმერთმან**. ის, რაც დასაბამს დროში იღებს, აუცილებლად დროშივე აღესრულება, ანუ, უკეთუ დასაბამი ჟამიერია, აღსასრულზეც ნუ დაეჭვდები. მაგრამ როგორ დასასრულთან მიგვიყვანს გეომეტრიული და არითმეტიკული მეთოდები, გამოკვლევები სამყაროთა შესახებ, ყბადაღებული ასტრონომია – ეს ფრიად საჯაფი ამაოება, თუკი მკვლევარნი, რომელნიც ამ საკითხებს სწავლობენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, მსგავსად ყოველთა შემოქმედი ღმერთისა, ეს ხილული სამყაროც დაუსაბამოა და ის, რაც გარეშემოწერილია და მატერიალური სხეულები აქვს, მიუწვდომელი და უხილავი ბუნების მსგავსად განადიდეს, იმის მოაზრება, ვეღარ შეძლეს, რომ იქ, სადაც ნაწილები გახრწნასა და ცვალებადობას ემორჩილება, მთელიც ოდესმე უცილობლად თავისი ნაწილების მსგავსად შეიცვლის სახეს. მაგრამ ესოდენ **ამაო იქმნეს გულის ზრახვითა მათითა, და დაუბნელდა უგულისხმოჲ იგი გული მათი. იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს**(რომ.1,21-22), რომ ერთნი

ღმერთთან ერთად ზეცის დაუსაბამო არსებობასაც ამტკიცებდნენ, ხოლო მეორენი მიიჩნევდნენ, რომ იგია თავად ღმერთი, დაუსაბამო, დაუსრულებელი და მიზეზი ნაწილთა კეთილმოწყობისა.

4. როცა იქნება, ამსოფლიური სიბრძნის გარდამეტებულობა, უეჭველია, მათ მძიმე სასჯელს მოუტანს, რადგან ამაოებათა ასე მახვილად მჭვრეტელნი ჭეშმარიტების გულისხმისყოფისათვის ნებით დაბრმავდნენ. მაგრამ მათ, რომელთაც ვარსკვლავთა სიხშირე გაზომეს, მარადის საჩინონი და ჩრდილოეთის ვარსკვლავები, აგრეთვე, სამხრეთის პოლუსთან მდებარენი, იქ მყოფთათვის სახილველნი, ჩვენთვის კი – უცნობნი, აღწერეს, ჩრდილოეთის სივრცე და ზოდიაქოს წრე ათას ნაწილად დაყვეს, ვარსკვლავთა აღმოსვლა, დადგომა, გადახრა და თავდაპირველი ადგილებისაკენ საერთო მოძრაობა გამოწვლილვით გამოიკვლიეს, აგრეთვე, დროც, რომლის მანძილზეც თითოეული ცდომილთაგანი თავის სრბას(პერიოდს) აღასრულებს, დაადგინეს, – მხოლოდ ერთი ღონე, თავი ყოველთა ღონეთა, ვერ იპოვეს, რომლითაც ღმერთს, ყოველთა შემოქმედსა და სამართლიან მსაჯულს, ვინც ყველას საქმეთა მიხედვით ღირსეულად მიუზღავს, გულისხმაყოფდნენ; და ვერც სამსჯავროზე მოძღვრებიდან გამომდინარე აღსასრულის აზრი შეიცნეს, რადგან თუ სულები, როგორც ისინი ფიქრობენ, სხვაგვარ ცხოვრებაში გადასვლით მდგომარეობას შეიცვლიან, მაშინ სამყაროც უცილობლად უნდა შეიცვალოს. ისევე, როგორც ახლანდელი ცხოვრება ბუნებით ამ სამყაროს ენათესავება, ასევე ჩვენი სულების მომავალი არსებობაც მათი მდგომარეობის შესაფერისი უნდა იყოს. მაგრამ ისინი იმდენად დაშორებულნი არიან სიმართლეს, რომ ხმამაღალ სიცილს გვაყრიან, როცა ამ სამყაროს აღსასრულსა და კვალად საუკუნო განახლებაზე ვსაუბრობთ.

რამდენადაც დასაბამი, ბუნებრივია, წინ უსწრებს იმას, რაც მისგანაა, მან, ვინც იმ საგნებზე მოგვითხრო, რომელთაც ყოფიერება დროში მიიღეს, აუცილებლობის მიხედვით ყველაზე წინ სიტყვები: **დასაბამად ქმნა** დააყენა.

5. როგორც ჩანს, ამ სამყაროზე ადრე იყო რაღაც, რომელიც ჩვენი **გონებისათვის** თუმცა მისაწვდომია, მაგრამ როგორც შეუფერებელი ახლად განსწავლულთა და გონებით ჩვილთათვის, გადმოცემაში შეტანილი მაინც არაა. სამყაროს დაბადებაზე ადრე იყო რაღაც ზეციური ძალებისათვის შესაფერისი მდგომარეობა: ზედროული, საუკუნო და სამარადისო. მასში ყოველთა შემოქმედმა და დამბადებელმა სრულყო ქმნილებანი: ნათელი, გონიერი, შესაფერისი უფლის მოყვარულთა ნეტარებისათვის, გონიერი და უხილავი არსებანი, ყოველმხრივ შემკობილნი და ჩვენს გონებაზე იმდენად აღმატებულნი, რომ მათთვის სახელების გამოგონებაც კი ვერ შევძელით. ისინი, როგორც ამას პავლე მოციქულიც გვასწავლის, უხილავი სამყაროს ყოფიერებას აღავსებენ: **რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი**(კოლ.1,16), გინა თუ ანგელოზთა მჴედრობანი, გინა თუ მთავარანგელოზთა წესთმთავრობანი.

ხოლო, როცა უკვე არსებულისათვის ამ სამყაროს მიმატებაც საჭირო გახდა, რომელიც პირველ რიგში კაცთა სულისათვის სასწავლო-სააღმზრდელო ადგილს, ხოლო მერე საერთოდ ყოველთა, რაც შობასა და ხრწნას ემორჩილება, სამყოფელს წარმოადგენს, მაშინ წარმოიშვა სამყაროსა და მისთა მკვიდრთა, ცხოველთა და მცენარეთა შემსგავსებული მოძრაობა დროისა, რომელიც მარადის ჩქარობს, მიისწრაფვის და არასოდეს მდინარებას არ წყვეტს. დრო ხომ ასეთია: წარსული გაქრა, მომავალი ჯერ არ დამდგარა, ხოლო აწმყო, ჩვენს შეგრძნებას მანამდე გაურბის, ვიდრე მის შეცნობას მოვასწრებდეთ. ასეთია ბუნება დაბადებულისა, ის აუცილებლად ან იზრდება, ან იხრწნება, ასე რომ მყარი და მტკიცე არაფერი აქვს. ამიტომაც ცხოველთა და მცენარეთა სხეულებს, რომელნიც აუცილებლობით თითქოსდა რაღაც დინებასთან არიან შეერთებულნი და მოძრაობისას დაბადებისაკენ, ან კიდევ გახრწნისაკენ მიისწრაფვიან, დროის ბუნებაში ჩაკეტვა შვენის, დროისა, რომელმაც ცვალებადი საგნების მონათესავე თვისებები შეიძინა.

აქედან გამომდინარე, მან, ვინც ჩვენ სამყაროს დაბადება სიბრძნით გვასწავლა, თავის სიტყვას ჯეროვნად დაამატა და თქვა: **დასაბამად ქმნა**, ანუ ამ დასაბამში, დასაბამში დროისა.

დასაბამად იქმნა სამყაროო – ამას იმის დასამოწმებლად კი არ ამბობს, რომ იგი ყოველთა დაბადებულთა უწინარეს დაიბადა, არამედ უხილავთა და გონებით განსაჭვრეტთა შემდეგ, ამ ხილულთა და გრძნობისათვის მისაწვდომ საგანთა დასაბამზე გვესაუბრება. დასაბამად იწოდება პირველი მოძრაობაც, როგორც მაგალითად: **დასაბამი გზისა კეთილისა – საქმე სიმართლისა**(იგავ.16,5), რადგანაც ნეტარი ცხოვრებისაკენ უწინარესად მართალ საქმეებს მივყავართ. დასაბამად იწოდება ასევე ისიც, საიდანაც რაიმე იწყება, მაგალითად: საძირკველი სახლისა და წყალქვეშა ნაწილი ხომალდისათვის. ამ აზრითაა ნათქვამი: **დასაბამი სიბრძნისა – შიში უფლისა**(იგავ.1,7), რადგანაც ღმრთისმოშიშობა სრულყოფილების საყრდენი და საფუძველია. ასევე ხელოვნების ქმნილებათა დასაბამი ხელოვნებაა, მაგალითად, როგორც სიბრძნე ბესელეელისა დასაბამ იქმნა კარვის შემკობისა, ზნეობრივ საქციელთა დასაბამი ხშირად საქმეთა კეთილი ბოლოა. მაგალითად, მოწყალების დასაბამი ღმრთის კეთილმოწყალების მოპოვებაა, ხოლო ყოველი ქველმოქმედებისა – ჩვენთვის აღთქმული დასასრული.

6. რადგანაც დასაბამს ამდენი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება თუ არა მას ამ შემთხვევაში ყველა მნიშვნელობა მივუსადაგოთ? შენ შეგიძლია შეიტყო ჟამი, როცა სამყაროს შექმნა დაიწყო, თუ აწმყოდან წარსულში გააბიჯებ და ჯაფას გასწევ, რათა სამყაროს დაბადების პირველი დღე იპოვნო. ამგვარად იპოვნი ჟამს პირველი მოძრაობისა, შემდეგ შეიცნობ, რომ ცა და დედამიწა, როგორც რაღაც საფუძველი და საყრდენი, ყოველივეს ისე დაედო, ხოლო შემდგომად ამისა, – რომ არის ხელოვანი სიტყვა, დასაბამი ხილულთა შემკობისა, როგორც შენ ამას

თვითონ სიტყვა დასაბამი გაჩვენებს. შეიცნობ, აგრეთვე, რომ ეს სოფელი არცა ფუჭად და არცა ამაოდ, არამედ რაღაც სასარგებლო დასასრულისა და არსებულთა დიდი საჭიროებისთვის შეიქმნა, თუკი იგი მართლაც გონიერი სულების დასამოძღვრი და ღმრთის შემეცნების მასწავლებელია და ხილულთა და გრძნობადთა მეშვეობით გონებას უხილავთა ჭვრეტისათვის ხელმძღვანელობს, როგორც მოციქული ამბობს: **რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების**(რომ.1,20). ან იქნებ, რადგან შესაქმე წამიერია და უჟამო, იმიტომაც ითქვა: **დასაბამად ქმნა**. იგი ხომ შეუდგენელია და გაუგრძელებელი. ისევე, როგორც დასაწყისი გზისა ჯერ კიდევ არაა გზა, ხოლო დასაწყისი სახლისა – თვითონ სახლი, ასევე დასაბამი დროისა არათუ თვითონ დრო, არამედ თვით მისი უმცირესი ნაწილიც კი არაა. უკეთუ ვინმე კამათის მოყვარული დასაწყისს დროს უწოდებს, დაე, იცოდეს, რომ ამით მას დროის ნაწილებად ჰყოფს, რომლებიც შემდეგია: დასაწყისი, შუა და დასასრული, მაგრამ დასაწყისის მოგონება დასაწყისისათვის ფრიად სასაცილოა. ვინც დასაწყისს ორად ჰყოფს, ერთის ნაცვლად ორ დასაწყისს, ან უფრო სწორად, მრავალსა და ურიცხვ დასაწყისს იღებს, რადგანაც ყოველთა ცალკეული ნაწილის ახალ ნაწილებად დაყოფა დაუსრულებლად შეიძლება. ამგვარად, რათა ჩვენ ერთად მოვიაზროთ ის, რომ სამყარო ღმრთის ნებით უჟამოდ შეიქმნა, ნათქვამია: **დასაბამად ქმნა**. ზოგიერთმა მთარგმნელმა აზრი უფრო ცხადად გადმოსცა და თქვა: "ერთად დაჰბადა ღმერთმან", ე. ი. მსწრაფლ და მყის.

7. ხელოვნებათაგან ზოგი შემქმნელად იწოდება, ზოგი მოქმედად და ზოგიც კიდევ მჭვრეტელობითად. მჭვრეტელობითი ხელოვნების ბოლო თვითონ გონების მოქმედებაა, მოქმედ ხელოვნებათა – სხეულის მოძრაობა, რომლის შეწყვეტის შემდეგაც უკვე აღარაფერი აღარ არის და მაყურებელთათვისაც აღარაფერი აღარ რჩება. ასე მაგალითად, ცეკვასა და სალამურზე დაკვრისას მოქმედება მოქმედებასავე შინა მთავრდება, ხოლო შემქმნელ ხელოვნებათა საქმენი მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც საჩინონია, როგორც მაგალითად, კალატოზთა, დურგალთა, მჭედელთა, მქსოველთა და სხვათა ამგვართა. თუმცა ამ დროს ხელოვანნი მათთან აღარ არიან, მაგრამ თავად საქმენი ავტორთა შემოქმედებით ნიჭს საკმარისად წარმოაჩენენ და კალატოზი, მჭედელი თუ მქსოველი, თავ-თავიანთი ქმნილებებით, შენს გაოცებას იწვევენ. ამიტომ რათა ეჩვენებინა, რომ სამყარო მხატვრული ქმნილებაა, რომლის ჭვრეტაც ყველას შეუძლია და რომლის მეშვეობითაც შემოქმედის სიბრძნეც შეიცნობა, მის შესახებ ბრძენმა მოსემ სხვა რამ სიტყვა კი არ გამოიყენა, არამედ თქვა: **დასაბამად ქმნა**, არა **გააკეთა**, არა **დააარსა** (ὑπέστησεν), არამედ **ქმნა**.

რამდენადაც მრავალნი იმათგან, რომელთა წარმოდგენითაც სამყაროც ღმერთთან ერთად მარადიულად თანაარსებობს, ფიქრობენ, რომ იგი ღმრთისაგან კი არ შეიქმნა, არამედ ვითარცა ანარეკლი მისი ძლიერებისა, თავისით წარმოიშვა, და აქედან გამომდინარე, თუმცაღა მის მიზეზად ღმერთს აღი-

არებენ, მაგრამ უნებლიე მიზეზად, როგორც მაგალითად, ჩრდილის მიზეზი სხეულია, ხოლო ბრწყინვალებისა – ნათელი, ამიტომაც წინასწარმეტყველმა ეს ცრუ აზრი გაასწორა, და გამოიყენა რა განსაკუთრებით ზუსტი სიტყვა, თქვა: **დასაბამად ქმნა ღმერთმან**. ე. ი. ღმერთი არა მხოლოდ მიზეზია ყოფიერებისა, არამედ მან შექმნა კიდეც იგი ვითარცა სახიერმა – სასარგებლო, ბრძენმა – უმშვენიერესი და ძლიერმა – უდიდესი. წინასწარმეტყველმა გიჩვენა შენ ყოველთა ბუნებაზე აღმატებული ხელოვანი მისი, ვინც ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან შეაერთა და თავისი თავის შესაფერისი, შეთანხმებული და ჰარმონიული მთელი შექმნა.

დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა. მიანიჭა რა ზეცას უხუცესი დაბადება, ხოლო დედამიწაზე თქვა რა, რომ იგი არსით მეორეა, სამყაროს არსი ორი უკიდურესობით ცხადყო. უეჭველია, რომ ყოველივე, რაც მათ შორისაა, ამ საზღვრებთან ერთად დაიბადა. თუმცა ცეცხლის, წყლისა და ჰაერის სტიქიებზე არაფერია ნათქვამი, შენ შენი გონებით მოიაზრე, რომ პირველ რიგში ყოველივე ყოველივეშია აღრეული და რომ მიწაში წყალსაც იპოვი, ჰაერსაც და ცეცხლსაც; ცეცხლი ქვისგანაც ჩნდება და რკინისგანაც, რომელიც მიწისაგან იბადება და რომელთა ერთმანეთზე დაკვესებით უშრეტი ცეცხლი გამობრწყინდება. გაკვირვების ღირსია, როგორ იფარება სხეულებში უვნებლად ცეცხლი, მაშინ, როცა, როგორც კი გარეთ გამოიხმობა, მყისვე ანადგურებს იმ სხეულებს, რომელნიც მანამდე ინახავდნენ. იმას, რომ წყლის ბუნება მიწაშიცაა, ჭის მთხრელნი გვიჩვენებენ, ხოლო მასში ჰაერის ბუნების არსებობას მოწმობს ორთქლი, რომელიც ნესტიანი მიწიდან მზის სიმხურვალის წყალობით ამოდის. შემდეგ: რადგანაც ბუნებით ზეცას მაღალი ადგილი უპყრია, დედამიწას კი – უდაბლესი, რის გამოც მსუბუქნი ზეცისაკენ აღმაღლდებიან, ხოლო მძიმენი მიწისაკენ მიდრკებიან, ამასთან, ზე და ქვე ერთმანეთის წინააღმდგომნი არიან, ვინც ბუნებით ერთმანეთისაგან ასე ფრიად დაშორებულნი მოიხსენა, რა თქმა უნდა, მათ შორის აღმავსებელნიც იგულისხმა, ამიტომ თითოეულ სტიქიაზე თხრობას ნუკი ეძებ, არამედ ის რაზეც დუმან, განცხადებულით მოიაზრე.

8. **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა.** არსებულთაგან თითოეულის არსის გამოკვლევას, რომელნიც ან ჩვენი გონებით განიჭვრიტებიან, ან კიდევ ჩვენს შეგრძნებებს ემორჩილებიან, გრძელი და ფრიად სიტყვამრავალი თხრობისაკენ მივყავართ; და თუ ამ პრობლემის განხილვას მოვისურვებთ, უფრო მეტი სიტყვა დაგვეხარჯება, ვიდრე სხვა დანარჩენ საკვლევ საკითხთაგან თითოეულზე მსჯელობას დასჭირდებოდა. გარდა ამისა, ამგვარი საგნებისათვის მოცლა ვერც ეკლესიის დარიგებას გაუწევს რაიმე სამსახურს. არამედ ზეცის არსზე ესაიასაგან თქმული ვიკმაროთ, რომელმაც მის ბუნებაზე ჩვენთვის საკმარისი წარმოდგენა მარტივი სიტყვებით მოგვცა, როცა თქვა: **ცაჲ ვითარცა კუამლი დაეყარა**(ეს.5,6), ანუ ნივთიერება, რომლისგანაც ცაა აგებული, ბუნებით თხელი, არამყარი და არა უხეშია. ასევე საკმარისია ჩვენთვის ის,

რაც ესაიამ ღმრთის დიდებისმეტყველებისას მის ფორმაზე თქვა: **რომელმან გარდაართხა ცაჲ ვითარცა კამარაჲ**(ეს.49,22).

მსგავსად შეიძლება ვიმსჯელოთ დედამიწის შესახებაც; ზედმეტი ცნობისმოყვარეობა მისი არსის მიმართ, კერძოდ, თუ რა არის იგი, არ გამოვიჩინოთ, გონებას მისი საფუძვლის გამოკვლევისათვის ძალა არ დავატანოთ და არ მოვძებნოთ რაგვარობას მოკლებული რაღაც ბუნება, რომელიც თავისთავად აღებული უთვისებო იქნება, არამედ კარგად გვახსოვდეს, რომ დედამიწის ყველა თვისება, რომელსაც კი ვხედავთ, მისი არსის დასამტკიცებლად და აღმავსებლად შეიქმნა. მცდელობა იმისა, რომ დედამიწისაგან ყოველი მისი თვისება გამოაცალკევო, არავითარ შედეგამდე არ მიგიყვანს; თუ მას სიშავეს, სიცივეს, სიმძიმეს, სიმტკიცესა და იმ თვისებებს, რომელნიც გემოთი იხილვებიან, ან კიდევ რაღაც სხვებს, რომელთაც მასში ვხედავთ, მოვაკლებთ, საფუძვლად აღარაფერი დაგვრჩება.

ამიტომაც გირჩევ, დათმობ რა ყოველივე ამას, ნურც იმას გამოიძიებ, რაზე დგას იგი. ამგვარი ძიებისას თავბრუ დაგეხვევა, რადგან გონება უეჭველად ზღვარს ვერ იპოვნის. თუკი იტყვი, რომ სივრცეს მიწისას საფუძვლად ჰაერი უდევს, გაგაოცებს – ლბილი, თხელი და ფრიად მსუბუქი ბუნება როგორ იდებს თავს ესოდენი სიმძიმე იტვირთოს, მისი დაწოლისაგან თავის დასაღწევად ყოველ მხარეს არ განიბნინოს და მარადის მისი შემვიწროვებლის ზევით არ ამოიღვაროს.

და კიდევ: უკეთუ დედამიწის ქვეშ წყალს წარმოიდგენ, ასევე უნდა იკითხო, როგორ არ იძირება წყალში სიმძიმე და სიმყარე და როგორ შეუძლია უუძლურეს ბუნებას მასზე სიმძიმით აგრერიგად აღმატებული იტვირთოს; უფრო მეტიც, წყლის საყრდენიც უნდა გამოიძიო და კვლავ საგონებელში ჩავარდნილმა იკითხო, რა სიმტკიცეზე, ან სიმყარეზე დგას მისი ფსკერი.

9. თუ წარმოიდგენ, რომ დედამიწას მასზე უფრო მძიმე რომელიღაცა სხვა სხეული უშლის ხელს ქვემოთ დაქანებაში, მის შესახებაც ასევე უნდა განსაჯო, რადგან მასაც დასჭირდება რაღაც მტკიცე საყრდენი, რათა არ ჩავარდეს: კიდევაც რომ შევძლოთ და მისთვის რაიმე საყრდენი მოვიფიქროთ, ჩვენმა გონებამ მისთვისაც იგივე უნდა მოიძიოს და ასე ჩავვარდებით დაუსრულებელ ძიებაში, რადგან ყოველი ახლად ნაპოვნი საყრდენისათვის კვლავ ახლის მოფიქრება დაგვჭირდება; და რაც უფრო შორს წავალთ ამ გზაზე გონებით, მით უფრო იძულებულნი გავხდებით მოვიფიქროთ დიდი საყრდენი ძალა, რომელსაც შეეძლება ყოველივე ერთად აღებული, რაც აწევს, დაიჭიროს.

ამიტომ გონებას შენსას საზღვარი დაუდევი, რათა შენი ცნობისმოყვარეობისათვის, რომლის გამოც მიუწვდომელის გამოკვლევას ცდილობ, იობის სიტყვა შენც არ შეგეხოს და შენთვისაც არ აღმოჩნდეს დასმული მისი კითხვა: **ანუ რასა ზედა კარშიკნი მისნი დამსჭუალულ არიან?**(იობ.38,6). და თუ ოდესმე ფსალმუნში მოისმენ: **მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი**(ფს.74,4), გულისხმაჰყავ, რომ

სვეტებად ის ძალა იწოდება, რომელიც დედამიწას იჭერს. რადგან სიტყვები **ზღვათა ზედა დააფუძნა იგი**(ფს.23,2), რას ნიშნავს, თუ არა იმას, რომ დედამიწა ირგვლივ წყლის ბუნებითაა გარემოცული; როგორ ხდება, რომ მდინარე წყალი, რომელიც ფერდობზე ჩვეულებრივ ქვემოთ მიექანება, დაკიდებული რჩება და არსად არ ჩაედინება? ხოლო შენ იმასაც კი არ განსჯი, რომ გონებას იმავე ან კიდევ უფრო დიდ სიძნელეს თვითონ დედამიწა უქმნის, რომელიც, თუმცა, კიდევ უფრო მძიმეა ბუნებით, თავისთავზეა დაკიდებული; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რას ვიტყვით, იმას, რომ დედამიწა თავისთავზეა დაკიდებული, თუ იმას, რომ იგი წყალს ეყრდნობა, საჭიროა ღმრთის სათნო მსჯელობას არ დავცილდეთ და ვაღიაროთ, რომ ყოველივეს ერთად აღებულს შემოქმედის ძალა იჭერს. ამიტომ საკუთარ თავსაც და იმათაც, რომელნიც შეგვეკითხებიან, რას ეყრდნობა ეს უზარმაზარი და აუწონავი სიმძიმე მიწისა, უნდა ვუპასუხოთ: **ჴელსა შინა** ღმრთისასა **არიან კიდენი ქუეყანისანი**(ფს.94,4). ეს აზრი ჩვენთვისაც ყველაზე უსაფრთხოა და მსმენელთათვისაც ყველაზე სასარგებლო.

10. ბუნების ზოგიერთი მკვლევარის მახვილგონივრული მტკიცებით, დედამიწა უძრავია უკვე შემდეგი მიზეზითაც: რამდენადაც მას სამყაროში შუა ადგილი უჭირავს და კიდეებიდან ყოველმხრივ თანაბრადაა დაშორებული, ამდენად არც რაიმე მიზეზი აქვს, რომ რომელიმე მხარეს უფრო მეტად მიდრკეს. რჩება რა იგი იძულებით თავის მდგომარეობაში, რაიმესაკენ მის მოძრაობას ირგვლივ არსებული ეს თანაბრობა შეუძლებელს ხდის. შუა ადგილი დედამიწას არც ხვედრით რგებია და არც შემთხვევითობით, არამედ იგი მის ბუნებრივსა და აუცილებელ მდგომარეობას წარმოადგენს. ისინი ამბობენ, რომ რადგანაც ზეცის სხეულს უკიდურესად მაღალი ადგილი უჭირავს, ყველა სიმძიმე, რომელიც კი შეიძლება ზესკნელიდან ჩამოვარდეს, ყოველი მხრიდან შუა ადგილისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს, ხოლო საითაც ნაწილები მიისწრაფვიან, ცხადია, რომ მთელიც იქ შეიკრიბება(მიიზიდება). თუ ქვები, ხეები და საერთოდ ყოველივე, რაც მიწისაგანია, ქვემოთ მიისწრაფვის, მაშინ ეს მდგომარეობა დამახასიათებელი და შესაფერისი იქნება დედამიწისთვისაც; ხოლო უკეთუ, რაიმე მსუბუქთაგანი შუა ადგილიდან დაიძვრება, ცხადია, რომ იგი ზეცისაკენ წარემართება. ამიტომაც ქვემოთ სწრაფვა მძიმე სხეულებისთვისაა დამახასიათებელი, სიტყვა "ქვემოთ" კი მსჯელობით „შუად" წარმოაჩინა. ამდენად ნუ გიკვირს, რომ უჭირავს რა მისთვის ბუნებრივი შუა ადგილი, დედამიწა არსად არ ვარდება, რადგან აუცილებლობით იგი ან თავის ადგილას უნდა დარჩეს, ან კიდევ თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ ამოძრავდეს და საკუთარი საფუძვლიდან მოწყდეს. თუკი იქიდან, რაც აქამდე ვთქვით, რაიმე დამაჯერებელი მოგეჩვენა, შენი გაოცება ღმრთის სიბრძნისაკენ წარმართე, ვინც ყოველივე ასე მოაწყო, რადგანაც გაოცება დიდთა საქმეთა წინაშე, იმ საშუალების პოვნით, რომლითაც რაღაც უჩვეულო წარმოიშვა, არ მცირდება, ხოლო თუ ვერ იპოვნი, გონების საბუთებზე უფრო მტკიცე რწმენის უბრალოება უნდა იყოს.

11. იმავეს ვიტყვით ზეცის შესახებაც, რადგან ამა სოფლის ბრძენთა მრავალფეროვანი მსჯელობანი მის ბუნებაზეც შემოგვთავაზეს. ზოგი ამბობდა, რომ ვითარცა შესახებელი და ხილული, იგი ოთხი სტიქიისგანაა შედგენილი, რადგან მიწას სიმყარით ეზიარება, ცეცხლს – სახილველობით, ხოლო დანარჩენებს იმით, რომ ნაზავია. სხვები ამ შეხედულებას, როგორც დაუჯერებელს, უარყოფენ და ზეცის აგებულებაში რაღაც მეხუთე სხეულებრივი ბუნება შემოაქვთ, რომელიც თვითნებურად თვითონვე გამოიგონეს. ეს რაღაც მათთან ეთერული ნივთიერებაა, რომელიც, როგორც ამბობენ, არც ცეცხლია, არც ჰაერი, არც მიწა, არც წყალი და არც საერთოდ სხვა რაიმე მარტივთაგანი, რადგან მარტივთათვის პირდაპირი მოძრაობაა დამახასიათებელი. მსუბუქნი აღმართ, ხოლო მძიმენი დაღმართ მიისწრაფვიან. ეს სხეული არც ზევითკენ მოძრაობს და არც ქვევითკენ, არამედ წრიულად ბრუნავს, სწორხაზოვანი მოძრაობა კი საერთოდ ფრიად განსხვავდება წრიული ბრუნვისაგან. სხეულები, რომელნიც ერთმანეთისაგან ბუნებრივი მოძრაობით განსხვავდებიან, მათი მსჯელობით, აუცილებლად უნდა განსხვავდებოდნენ არსითაც. ჩვენ არც იმის ვარაუდი გვმართებს, რომ ზეცა იმ მარტივი სხეულებისგანაა აგებული, რომელთაც ჩვენ სტიქიებს ვუწოდებთ. სხვადასხვა სხეულისაგან აგებულს არ შეიძლება ჰქონდეს თანაბარი და თავისუფალი მოძრაობა, რადგან რთულში შემავალ ყოველ მარტივ სხეულს ბუნებით სხვადასხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სწრაფვა აქვს. ამიტომაც, ჯერ ერთი, რთულ სხეულებს განუწყვეტელი მოძრაობა უჭირთ, რადგან ერთ რომელიმე მოძრაობას არ შეუძლია თანაზომიერი და მეგობრული იყოს სხვა საწინააღმდეგო მოძრაობებისა; პირიქით, მსუბუქისთვის შესაფერისი მოძრაობა მტრულია ყველაზე მძიმე სხეულის მოძრაობისა. რაჟამს ზეაღმართ მივისწრაფვით, გვამძიმებს ის, რაც ჩვენში მიწისაგანია, ხოლო როცა დაღმართ მივექანებით, ცეცხლისაგანს ვაიძულებთ თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ ქვევითკენ იმოძრაოს. ასე რომ, რღვევის მიზეზს სტიქიათა სხვადასხვა მხარეს სწრაფვა წარმოადგენს; რადგან ის, რაც იძულებითია და ბუნების საწინააღმდეგო, მხოლოდ მცირე ხნით შეიძლება იქნეს შენარჩუნებული, ისიც ძალით და გაჭირვებით, ხოლო შემდეგ მყის იშლება შემადგენელ ნაწილებად, დაუბრუნდება რა თავის ადგილს შეერთებულთაგან ყოველი.

აუცილებლობით გამოტანილმა ამ დასკვნებმა, როგორც ამბობენ, ადრინდელი შეხედულებანი უნდა უარყონ და თავიანთი ვარაუდი წარმოადგინონ იმათ, რომელთაც ზეცისა და ვარსკვლავების წარმოშობას საფუძვლად მეხუთე სხეულებრივი ბუნება დაუდეს. მაგრამ აღდგება რა მათ წინააღმდეგ დამაჯერებელ სიტყვაში დახელოვნებულთაგან ვინმე სხვა, ამას ყოველივეს დაშლის და დაარღვევს და მის ნაცვლად თავის შეხედულებას შემოიტანს. თუ ჩვენც ახლა ამდაგვარ ვარაუდებზე დავიწყებთ საუბარს, მათივე მსგავსი მოლაყბენი აღმოვჩნდებით.

ვაცალოთ, რომ მათ ერთმანეთი დაამხონ, ხოლო ჩვენ არსზე მსჯელობას ნუკი გავმართავთ, არამედ დავუჯეროთ მოსეს, რომ **ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა** და ვადიდოთ უდიდესი ხელოვანი, ვინც სამყარო სიბრძნითა და ოსტატობით შექმნა; ხილულთა სილამაზიდან გულისხმავყოთ ის, ვინც სილამაზით ყველას აღემატება და ამ შეგრძნებადი და გარეშემოწერილი სხეულების სიდიადით დაუსრულებელი, ყოველგვარ სიდიადესა და თავისი ძალის მრავალფეროვნებით ყოველგვარ გონებაზე აღმატებული მოვიაზროთ.

თუმცა დაბადებულთა ბუნება არ ვიცით, მაგრამ ისიც კი, რაც ჩვენი შეგრძნებებით განიცდება, იმდენად გასაოცარია, რომ თვით ყველაზე ბრძენი გონებაც უძლურია სამყაროს თუნდაც უმცირესი ნაწილი ისე განმარტოს, როგორც საჭიროა და ღირსეული ქება შესწიროს დამბადებელს, რომლისა არს ყოველი დიდება, პატივი და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ჰომილია II

ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ

1. შევჩერდით რა ცისკრისას რამდენიმე სიტყვაზე, მათში გონების ისეთი დაფარული სიღრმე ვიპოვეთ, რომ მომდევნოთათვის სასო სრულიად წარგვეკვეთა. უკეთუ ბჭენი სიწმინდისა და ტაძრის შესასვლელი ასე მშვენიერი და დიდებულია და ჩვენი გონების თვალს ასე აღმატებული სილამაზით განაბრწყინებს, წმინდათა წმინდა როგორიღა იქნება? ვის შეუძლია შეჰბედოს საკურთხეველს? და გამოუთქმელს მზერას ვინ გაუსწორებს? ამ საიდუმლოებათა ჭვრეტა მიუწვდომელია, ხოლო გონების მიერ დანახულის განმარტება – ყოვლად შეუძლებელი.

ამასთან, რამდენადაც სამართლიანი მსაჯულის მიერ ღირსეული საზღაურებია დადგენილი და მხოლოდ განზრახვისთვისაც კი აღსრულდება, რაც საჭიროა, გამოძიებას ნუღარ გადავდებთ. თუმცაღა ღირსებისაგან ნაკლულევანნი ვართ, მაგრამ უკეთუ სულიწმიდის შემწეობით წმინდა წერილის სწავლებისაგან არ მივდრკებით, სრულიად უსარგებლონი არც ჩვენ ვიქნებით და მადლის თანაშეწევნით ღმრთის ეკლესიის აღშენებას ჩვენც რაიმეთი ხელს შევუწყობთ.

ნათქვამია: **ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ**. რადგან ორივე, ცაც და ქვეყანაც, ერთნაირი პატივით შეიქმნა, რატომღაა ზეცა სრულყოფილი, ხოლო დედამიწა ჯერ კიდევ დაუსრულებელი და ბოლოს ჩამოუყალიბებელი? და საერთოდაც, რას ნიშნავს განუმზადებლობა დედამიწისა და რა იყო მიზეზი მისი უხილავობისა? საბოლოოდ განმზადება დედამიწისა მისგან წარმომავალთა სიუხვეს ნიშნავს: აღმოცენებას მრავალფეროვანთა მცენარეთა, წარმოჩენას მაღალ ხეთა-ნაყოფიერთა და უნაყოფოთა, ფერადოვნებას და კეთილსურნელებას ყვავილთა და ყოველივეს, რაც მცირე ხანში დედამიწიდან, ღმრთის ბრძანებით, მშობლის შესამკობად უნდა ამოზრდილიყო; და რადგანაც ყოვე-

ლივე ეს ჯერ კიდევ არ არსებობდა, წმინდა წერილმა სამართლიანად უწოდა მას „განუმზადებელი“. იგივე შეიძლება ითქვას ზეცის შესახებაც, არც იგი იყო სრულქმნილი და არც მას ჰქონდა მიღებული საკუთარი სამკაული: არცა მთვარე და არცა მზე არ ანათებდა და არც ვარსკვლავთა დასი ედგა გვირგვინად, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ შექმნილნი. მაგრამ ჭეშმარიტების წინაშე არ შესცდე და განუმზადებელი ცასაც არ უწოდო. დედამიწას უხილავი ორი მიზეზით ეწოდა: ან იმიტომ რომ ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი, რომელიც იხილავდა, ან კიდევ იმიტომ, რომ მისი ზედაპირი დამდგარი წყლით იყო დაფარული, რის გამოც მისი ხილვა არ შეიძლებოდა. წყალნი ხომ ჯერ კიდევ არ იყვნენ შეკრებილნი თავიანთ შესაკრებელსა შინა, როგორც შემდეგში შეკრიბა ისინი ღმერთმა და ზღვები უწოდა.

ხოლო უხილავი რაღაა? როგორც ის, რაც ხორციელი თვალებით არ იხილვება, მაგალითად ჩვენი გონება, ასევე ისიც, რაც ბუნებით სახილველია, მაგრამ მასზე მდებარე სხეული ფარავს, როგორც, მაგალითად, სიღრმეში რკინა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დედამიწა, რომელსაც წყალი ფარავდა, უხილავად სწორედ ამ მიზეზით იწოდება. გარდა ამისა, რადგან ჯერ არც ნათელი იყო შექმნილი, არაფერია გასაოცარი იმაში, რომ დედამიწას, რომელიც მის ზემოთ გაუნათებელი ჰაერის გამო სიბნელეში იწვა, წმინდა წერილი უხილავს ამ მიზეზითაც უწოდებდეს.

2. ჭეშმარიტების გამყალბებელნი, რომელთაც თავიანთი გონება წმინდა წერილის მიმდევრობით კი არ განსწავლეს, არამედ მის წიგნთა აზრი საკუთარი ნებისამებრ მოატრიალეს, ამბობენ, რომ ამ სიტყვებით მატერია აღინიშნება; რადგანაც, როგორც ისინი მსჯელობენ, სწორედ მატერიაა ბუნებით უხილავი და განუმზადებელი, თავისთავად უთვისებო და ყოველგვარ სახესა და ფორმას მოკლებული; აიღო რა იგი ხელოვანმა, თავისი სიბრძნით გამოხატა, წესრიგში მოიყვანა და ასე მიანიჭა მის მიერ არსებობა ხილულებს. ამგვარად, უკეთუ მატერია შეუქმნელია, მაშინ როგორც ღირსი იმავე უპირატესობისა(რაც ღმერთს აქვს), იგი პატივით ღმრთის თანასწორი ყოფილა. იმაზე უფრო დიდი მკრეხელობა რაღა უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ ეს უთვისებო, უსახო, უკიდურესი სიმახინჯე და უფორმო სისაძაგლე(თვითონ მათივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ), ბრძენი, ძლიერი, ყოვლადმშვენიერი შემოქმედისა და ყოველთა დამბადებლის პატივის ღირსად ვაქციოთ? შემდეგ: უკეთუ მატერია ესოდენია, რომ ღმრთის მთელი ცოდნის მიღება შეუძლია, მაშინ ამ გზით ისინი მატერიის არსს რამდენადმე ღმრთის ძლიერებას უთანასწორებენ, რაკი სრულიად საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ ღმრთის მთელი გონება მისით განიზომოს; ხოლო თუ მატერია ღმრთის მოქმედებისთვის მცირეა, ამ შემთხვევაში მათი სწავლება კიდევ უფრო უაზრო ავყიაობად იქცევა, რადგან მატერიის ნაკლებობით ღმერთს ისინი უმოქმედოდ დარჩენასა და თავისი საქმეების აღუსრულებლობას აიძულებენ, მაგრამ ისინი კაცობრივი ბუნების სიმწირემ შეაცდინა.

რამდენადაც ჩვენთან ყოველი ხელოვნება ერთ რომელიმე განსაზღვრულ მატერიაზე მუშაობს, როგორც მაგალითად, მჭედლობა – რკინაზე, ხოლო დურგლობა – ხეზე და ამდენად მათში სხვაა მატერია, სხვა ფორმა და სხვა ის, რაც ფორმით აღესრულება, – მატერია გარედანაა აღებული, ფორმას ხელოვნება ანიჭებს, ხოლო თვითონ ქმნილება ორივესაგან – ფორმისაგანაც და მატერიისაგანაც შედგება, ისინი ღმრთეებრივ შემოქმედებაზეც ასევე ფიქრობენ, კერძოდ, რომ ფორმისა, რომელიც სამყაროს ყოველთა დამბადებლის სიბრძნით მიეცა და მატერიისაგან, რომელიც შემოქმედის წინაშე გარეთ იყო დაგებული, შედგენილი სამყარო წარმოიშვა, რომელმაც მატერია და არსი სხვა საწყისისაგან, ხოლო ფორმა და ხატი ღმრთისაგან მიიღო.

აქედან გამომდინარე ისინი უარყოფენ, რომ ყოველთა დაბადებულთა მოწყობას დიდი ღმერთი განაგებს და მას, როგორც ვინმეს, რაღაც შენატან წილთა შემკრებს, ისე წარმოადგენენ, რომელსაც არსებულთა დაბადებაში, თავის მხრივ, მხოლოდ მცირე წილი აქვს შეტანილი. ამგვარად, თავიანთი დაბალი აზროვნების გამო, მათ ჭეშმარიტების სიმაღლისათვის მზერის შეწვდენა ვერ შეძლეს, რადგანაც ამ შემთხვევაში ხელოვნება მატერიას მოსდევს და ცხოვრებაში მის მერეა შემოსული აუცილებლობით. ე. ი. ჯერ იყო მატყლი, ხოლო ქსოვის ხელოვნება შემდგომში წარმოიშვა, რათა, რაც ბუნებისაგან გვაკლია, მის მიერ შევსებულიყო. იყო ძელი, ხოლო დურგლობამ აიღო რა იგი, ამ მასალას ყოველგვარი საჭიროებისდამიხედვით მისცა ფორმა და ჩვენ ძელის სარგებლობა დაგვანახა: მეზღვაურებს საჭე მიაწოდა, მიწათმოქმედებს – ნიჩაბი, ხოლო მეომრებს – ლახვარი. სინამდვილეში კი ღმერთმა იმათგან, რომელთაც ახლა ვხედავთ, სანამ რომელიმე გაჩნდებოდა, არსებულთა ყოფიერებაში მოყვანა გონებით გადაწყვიტა. ამასთან, მოიფიქრა, როგორი უნდა ყოფილიყო სამყარო და მისი ხატის შესაფერისი მატერია მერე შექმნა. ზეცისათვის შესაფერისი ბუნება განაჩინა, დედამიწის ფორმაში კი მისთვის დამახასიათებელი და სასარგებლო არსი ჩადო. ცეცხლს, წყალსა და ჰაერსაც ისეთი ფორმა მისცა, როგორიც სურდა და არსებობაშიც ისე მოიყვანა, როგორც ამას, გონებით წარმოდგენის მერე, თითოეული მათგანი მოითხოვდა და სხვადასხვა ნაწილისაგან შედგენილი მთელი სამყარო ერთ მთლიანობად და ჰარმონიად სიყვარულის ურღვევი კავშირით შეკრა. ასე რომ, ერთმანეთისაგან მდებარეობით ფრიად დაშორებული ნაწილები ურთიერთმიზიდულობის ძალით შეერთებულად მოჩანს. ამიტომ ზღაპრული გამონაგონები, დაე, შეწყვიტონ მათ, რომელნიც თავიანთი სუსტი მსჯელობებით გონებისთვის მიუწვდომელსა და კაცთა ენაზე სრულიად გამოუთქმელ ძალას ზომავენ.

3. **და შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა.** – არა ნახევარ-ნახევარი თითოეულისა, არამედ სრული ზეცა და სრული დედამიწა, თვითონ არსი აღებული ფორმასთან ერთად, რადგან იგი არა მხოლოდ ფორმების გამომგონებელია, არსებულთა თვით ბუნების შემქმნელიც. და თუ ეს ასე არაა, მაშინ გვიპა-

სუხონ, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს შემოქმედი ძალა ღმრთისა და მატერიის პასიური ბუნება, ანუ მატერია ფორმის გარეშე და ღმერთი, ვინც ფორმები მატერიის გარეშეც იცოდა და შეხვდნენ ისე, რომ, რაც ერთს აკლია, მეორისაგან მისცემოდა და რათა შემოქმედს ჰქონოდა ის, რითაც თავის ხელოვნებას აჩვენებდა, ხოლო მატერიას უსახურობა, უფორმობა ჩამოშორებოდა. მაგრამ ამის თაობაზე კმარა და ისევ პირველსავე სიტყვას დავუბრუნდეთ.

ვინც თქვა, რომ პირველად ღმერთმა ცა და დედამიწა შექმნა, იგი ბევრ რამეზე გაჩუმდა, კერძოდ წყალზე, ჰაერზე, ცეცხლსა და იმ სახეცვლილებებზე, რომლებსაც ისინი წარმოშობენ. მართალია, ესენიც, რადგან სამყაროს აღვსებას ემსახურებიან, ყველასთან ერთად შეიქმნენ, მაგრამ ისტორიამ მათ გვერდი აუარა, რათა ჩვენი გონება დამოუკიდებელ მუშაობას შესჩვეოდა და მცირეთა საფუძველზე ზოგადი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მისცემოდა. სწორედ ამიტომ არაა ნათქვამი წყალზე, რომ იგი ღმერთმა შექმნა, მაგრამ როცა ვკითხულობთ, რომ დედამიწა უხილავი იყო, ჩვენ თვითონ უნდა განვსაჯოთ, სახელდობრ რითი იყო დაფარული და აღუქმელი მხედველობისათვის.

ცეცხლს არ შეეძლო მისი დაფარვა, რამეთუ მას სინათლე მოაქვს და ყოველივეს, რასაც კი მიუახლოვდება, უფრო ხილულს ხდის, ვიდრე უხილავს. ასევე, ვერც ჰაერი იქნებოდა საფარველი მიწისა. რადგან არსით იგი თხელია და გამჭვირვალე, ხილულთა ყველა სახეს იღებს და მათ მხილველთა მზერას გადასცემს. ამგვარად გვრჩება, წარმოვიდგინოთ, რომ მიწის ზედაპირი წყლით იყო დაფარული. რადგან ბუნება ტენისა ჯერ კიდევ არ იყო გამოცალკევებული და მისთვის განწესებულ ადგილას შეკრებილი, ამიტომ დედამიწა არა მხოლოდ უხილავი იყო, არამედ განუმზადებელიც, ტენის სიჭარბე ხომ ნაყოფიერებას მიწისა ახლაც ხელს უშლის. ამიტომაც მიზეზი დედამიწის უხილავობისა და მოუწყობლობისა(განუმზადებლობისა) თუკი მის მოწყობაში(განმზადებაში) მისთვის დამახასიათებელსა და ბუნებრივ მორთულობას, კერძოდ, მღელვარე ყანებიან ველებს, ამწვანებულსა და ათასგვარი ყვავილებით აფერადებულ მინდვრებს, აყვავებულ ბორცვებსა და ჩრდილმრავალი ტყეებით დაფარულ მთათა მწვერვალებს ვიგულისხმებთ, ერთი და იგივეა.

ეს ყოველივე ჯერ კიდევ არ იყო; თუმცა დედამიწა შემოქმედის მიერ მიცემული ძალით მზად იყო შობისათვის, მაგრამ ელოდებოდა შესაფერის ჟამს, რათა მუცლადღებულნი ღმრთის ბრძანებით სინათლეზე წარმოეჩინა.

4. ნათქვამია: **ბნელი იყო ზედა უფსკრულთა.** ისევ მიზეზნი ახალ ზღაპრობათა და უღმრთო მსჯელობათა დასაბამნი იმათთვის, რომელნიც საღმრთო სიტყვებს საკუთარ ვარაუდთა მიხედვით აუკუღმართებენ, რადგანაც ბნელს, ისე კი არ განმარტავენ, როგორიც არის, სახელდობრ, რომ იგი გაუნათებელი ჰაერი, ან ჩამოფარებული სხეულისაგან დაბნელებული, ან კიდევ, საერთოდ რომელიმე ამდაგვარი მიზეზით სინათლეს მოკლებული ადგილია, არამედ როგორც ბოროტ ძალას, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც თავად ბოროტებას, რომელსაც დასა-

ბამი თავის თავშივე აქვს და რომელიც ღმრთის სახიერებას ეწინააღმდეგება და უპირისპირდება. ისინი ამბობენ: უკეთუ **ღმერთი ნათელ არს**(1ინ.1,5), მაშინ მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა შესაბამისად სიბნელე უნდა იყოს, სიბნელე, რომელსაც ყოფიერება სხვისგან კი არა აქვს მიღებული, არამედ თვითშობილ ბოროტებას წარმოადგენს, სიბნელე, რომელიც სულებთან მებრძოლია, სიკვდილის შემქმნელი და მტერი სათნოებისა. წინასწარმეტყველის სიტყვები, მათი მცდარი გაგებით, იმას გვაუწყებენ, რომ იგი ღმრთისგან კი არ შეიქმნა, არამედ არსებობდა და ამ შეხედულებებისაგან რომელი უკეთური და ულმრთო სწავლებანი აღარ შეითხზა? რომელთა **მგელთა მძიმეთა**(საქმ.20,29), ღმრთის სამწყსოს განმფანტველთა, აღარ მიიღეს დასაბამი ამ მცირე სიტყვისაგან[2] და წარწყმიდეს სულნი? განა აქედან არ არიან მარკიონელნი და ვალენტინელნიც აქედან არ წარმოიშვნენ? განა მანიქეველთა საძაგელი ერესი, რომელსაც თუ ვინმე ეკლესიის სიდამპლეს უწოდებს, სახელის შერჩევაში არ შეცდება, აქედან არ წარმოდგა? რატომ გაურბიხარ ჭეშმარიტებას შორს, ადამიანო და საკუთარი თავის დაღუპვის მიზეზს რისთვის იგონებ? მარტივია სიტყვა და ყველასათვის მისაწვდომი, რადგან ნათქვამია: უხილავ იყო ქუეყანაჲ; მაგრამ რა არის მიზეზი ამისა? მის ზედაპირზე გაწოლილი უფსკრული; და უფსკრულში რაღა იგულისხმება? სიმრავლე წყალთა და ძნელად მისაწვდომი სიღრმე მისი. მაგრამ ვიცით, რომ თხელსა და გამჭვირვალე წყალში მრავალი სხეული ხშირად იხილვება. მაშ წყალში დედამიწის რაღაც ნაწილი მაინც რატომღა არ ჩანდა? იმიტომ, რომ მის ზემოთ განფენილი ჰაერი ჯერ კიდევ გაუნათებელი და ბნელი იყო, მაშინ, როცა მზის სხივი წყალში შეჭრისას ხშირად მის სიღრმეში კენჭებსაც წარმოაჩენს, უკუნ ღამეში არავის შეუძლია ხილვა იმისა, რაც წყლის ქვეშაა. ამიტომაც სიტყვები ქუეყანაჲ იყო უხილავ, განმარტებულია მომდევნო ფრაზით, სახელდობრ, რომ მასზე უფსკრული იწვა და რომ იგი ბნელი იყო. ამრიგად, უფსკრული არც საპირისპირო ძალთა სიმრავლეა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰქონდათ წარმოდგენილი და არც პირველსაწყისი სიბნელე და რაღაც უკეთური ძალა, რომელიც სიკეთეს ემტერება, რადგან დაუსრულებელ ბრძოლაში მყოფთ მუდამ ექნებათ და ერთმანეთსაც მისცემენ რა საბაბს მტრობისა, ერთმანეთს უეჭველად გაანადგურებენ; ხოლო თუ დაპირისპირებულთაგან ერთი ძალით მეორეს აღემატა, დამარცხებულს სავსებით მოსპობს. ამიტომ, როცა ამბობენ, რომ ბოროტების წინააღმდეგობა სიკეთის თანაბარია, განუწყვეტელი ბრძოლა და მარადიული ნგრევა შემოაქვთ, რადგან ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი ერთდროულად მძლეველიცაა და ძლეულიც. ხოლო უკეთუ სიკეთე ბოროტებას ძალით აღემატება, მაშინ რაღაა მიზეზი იმისა, რომ ბუნება ბოროტისა სრულიად არ განადგურდა? თუკი წარმოთქმაც არ შეიძლება,... მიკვირს, რატომ არ გაურბიან ისინი თავიანთ თავს ღმრთის ამგვარი უსჯულო გმობით გატაცებულნი. მკრეხელობა იქნება თქმა იმისა, რომ ბოროტებას დასაბამი ღმრთისაგან აქვს,

[2] ე.ი. სიტყვისაგან: ბნელი.

რადგანაც საპირისპიროსაგან საპირისპირო არ წარმოიშობა; არც სიცოცხლე შობს სიკვდილს, არც სიბნელეა დასაბამი ნათლისა და არც სენია შემქმნელი ჯანმრთელობისა. თუმცა მდგომარეობის შეცვლისას საპირისპიროდან საპირისპიროში გადასვლა ხდება, მაგრამ ყოველი დაბადებულთაგანი არა საპირისპიროსაგან, არამედ ერთგვაროვნისაგან წარმოიშობა. იკითხავენ, უკეთუ ბოროტება არც დაუბადებელია და არც ღმრთისგან დაბადებული, ბუნება საიდანღა აქვს? ბოროტების არსებობას ხომ, ვისაც კი ამქვეყნად უცხოვრია, ვერავინ უარყოფს. ამაზე რაღა ვთქვათ? ის რომ, ბოროტება ცოცხალი და სულიერი არსი კი არაა, არამედ მდგომარეობა სულისა, რომელიც სათნოების საპირისპიროა და გულგრილთა შორის სიკეთის მოკლების გამო წარმოიშობა.

5. ამიტომ ბოროტების ძებნას ნურც შენ გარეთ დაიწყებ და ნურც იმას წარმოიდგენ, რომ მისი ბუნება დასაბამიდანვე არსებობდა, არამედ, დაე, ყველამ უწყოდეს, რომ ბოროტება დასაბამს თავის თავს თვითონვე უდებს.

იმათგან, რაც ჩვენს თავზე ხდება, ერთნი ჩვენი ბუნებისა გამო გვემართება, როგორც მაგალითად, სიბერე და უძლურებანი, ხოლო მეორენი გარეშე მიზეზთაგან მოწევნული მოულოდნელი შემთხვევებია, ხშირად სამწუხარონი ან სასიხარულონი, როგორც მაგალითად, ჭის მთხრელისათვის განძის პოვნა, ან ცოფიანი ძაღლის შეფეთება ბაზარში მიმავლისათვის; სხვანი კიდევ თვით ჩვენგანვე არიან, როგორიცაა მაგალითად, დაძლევა გულისთქმათა თუ აყოლა ვნებათა, დაოკება რისხვისა თუ ხელის აღმართვა განმარისხებელსა ზედა, თქმა სიმართლისა, თუ პირიქით, სიცრუისა, ქონა მშვიდი და ზომიერი ზნისა, თუ თავის განდიდება ქედმაღლობითა და ამპარტავნებითა.

ამიტომ, რისი უფალიც შენ თვითონვე ხარ, იმის დასაბამის ძებნას სხვაგან კი ნუ დაიწყებ, არამედ შეიცანი, რომ ბოროტებამ, როგორც ასეთმა, დასაბამი ნებაყოფლობითი დაცემისაგან მიიღო. იგი რომ ნებაყოფლობითი და ჩვენგან გამომდინარე არ ყოფილიყო, მაშინ არც სჯული განუმზადებდა ძვირისმოქმედთ ასეთ დიდ სასჯელს და არც სამსჯავროთა მიერ დადებულნი სასჯელნი, რომელნიც ბოროტმოქმედთ ღირსეულად მიეგებათ, იქნებოდნენ გარდაუვალნი. აი, რაც საკუთრივ ბოროტების შესახებ უნდა მეთქვა. ხოლო სნეულებანი და სიღატაკე, უპატიობა და სიკვდილი და სხვა ადამიანური მწუხარებანი ბოროტებათა შორის არ უნდა შევრაცხოთ, რადგან დიდთა სიკეთეთა რიცხვს არც ამათ საპირისპირო საქმეებს მივაკუთვნებთ. ნაწილი ამათგანი ბუნებისგანაა, ნაწილი კი, როგორც ჩანს, მრავალს სარგებლობისათვის შეემთხვევა. ახლა კი ყოველგვარი გადატანითი და იგავური განმარტება დავადუმოთ და ბნელის გაგება მარტივად და გამოწვლილვის გარეშე, წმ. წერილის სწავლების მიხედვით გადმოვცეთ. გონება ეძიებს: თუ სიბნელე სამყაროსთან ერთად შეიქმნა და ნათელზე ადრე იყო, უდარესი უხუცესი რატომღაა? ვუპასუხებთ, რომ: ამ ბნელს დამოუკიდებელი არსებობა კი არა აქვს, არამედ იგი მდგომარეობაა ჰაერისა, ნათლის მოკლებით გამოწვეული, და რომელი ნათლისაგან მოკლებული აღმოჩნდა ეს ადგილი სამყაროში, რის გა-

მოც ბნელი იყო წყალსა ზედა? ვფიქრობთ, რომ თუკი ამ ხილული და ხრწნადი სამყაროს შექმნამდე რამე იყო, ცხადია, ნათელსა შინა უნდა ყოფილიყო, რადგან არც ანგელოზთა დასები, არც ყოველნი ზეციურნი მხედრობანი და საერთოდ სახელდებული თუ უსახელო გონიერი ბუნებანი და სულნი იგი მსახურნი არა ბნელში, არამედ ნათელსა შინა იყვნენ და მათთვის შესაფერისი, ყოველგვარი სულიერი სიხარულით აღსავსე მდგომარეობა ჰქონდათ. ამას ვერავინ შეეკამათება და მითუმეტეს ის, ვინც აღთქმულ სიკეთეთა შორის ზეციური ნათლის მიღებასაც ელოდება, რომლის შესახებაც სოლომონი ამბობს: **ნათელი მრავალთა მარადის**(იგავ.13,9) **და მოციქული: ჰმადლობდით მამასა, რომელმან ღირს გუყვნა ჩუენ ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა ნათელსა შინა**(კოლ.1,12), რადგან უკეთუ დასჯილნი ბნელსა მას გარესკნელსა წარიგზავნებიან, ცხადია, იმგვარ საქმეთა მოქმედნი, რომელნიც წყალობას იმსახურებენ, განსვენებას ზესამყაროულ ნათელში პოვებენ.

ამიტომ, როცა ღმრთის ბრძანებით ცა იმას, რაც საკუთრივ მისი ზედაპირის შიგნით იყო, ირგვლივ შემოერტყა და ისეთი მკვრივი სხეული შეიძინა, რომ გარეშეთაგან შიგნით მყოფთა გასაყოფად საკმარისი აღმოჩნდა, ადგილი, რომელიც შემოსაზღვრა, მოუკვეთა რა გარედან წამოსული სხივები, იძულებით უნათლოდ დატოვა, რადგან ჩრდილს ერთდროულად სამი რამ სჭირდება: ნათელი, სხეული და გაუნათებელი ადგილი. ამგვარად, სამყაროში სიბნელე ზეცის სხეულის ჩრდილისაგან წარმოიშვა. ჩემს ნათქვამს ცხადი მაგალითის საშუალებით გაიაზრებ, თუკი თაკარა შუადღისას მკვრივი და გაუმჭვირვალე ქსოვილისაგან დამზადებულ კარავს დაიდგამ და მყის შექმნილ სიბნელეში თავს შენ თვითონვე ჩაიკეტავ. ის ბნელიც ასევე წარმოიდგინე, არა უწინარეს სხვათა, არამედ პირიქით, შედეგად სხვათა. სწორედ ამ ბნელზეა ნათქვამი, რომ ბნელი იყო უფსკრულთა ზედა, რადგან ჩვეულებრივ სხეულთა ზედაპირებს ჰაერის უკიდურესი ფენები ეხება; მაგრამ, რადგანაც მაშინ ყოველივე წყლით იყო დაფარული, ამიტომაც აუცილებლობითაა ნათქვამი, რომ **ბნელი იყო ზედა უფსკრულთა.**

6. **და სული ღმრთისაჲ**, ნათქვამია, **იქცეოდა ზედა წყალსა**. ეს სული (πνεῦμα) ან ჰაერის განფენას ნიშნავს და შენ იგი სამყაროს იმ ნაწილთაგან, რომელთაც მწერალი ჩამოთვლის, ერთერთად მიიღე, სახელდობრ, რომ ღმერთმა ცა, დედამიწა, წყალი და ჰაერი შექმნა და ამასთან იგი უკვე განფენილი და მდინარი, ან რაც ჭეშმარიტებას უფრო შეეფერება და ჩვენზე უწინარეს იქნა აღიარებული, სული ღმრთისა სულიწმიდას ეწოდება. წმ. წერილში განსაკუთრებით და უპირატესად ასე მოხსენიების ღირსი სწორედ იგია და სული ღმრთისა სხვას არავის ეწოდება გარდა სულიწმიდისა, რომელიც ღმრთეებრივსა და ნეტარ სამებას აღავსებს. უკეთუ ამგვარ თვალსაზრისს გაიზიარებ, მისგან უდიდეს სარგებელს იპოვი. როგორ იქცეოდა იგი წყალთა ზედა? გაუწყებ, ოღონდ არა ჩემს აზრს, არამედ ასურელი კაცისა, რომელიც ამსოფლიურ სიბრძნეს იმდე-

ნად დაშორდა, რამდენადაც ჭეშმარიტ ცოდნასთან იყო ახლოს. ამგვარად იგი ამბობდა, რომ სირიული ენა უფრო გამომსახველია და ებრაულთან ნათესაობის გამო წმ. წერილის შინაარსს უფრო უახლოვდება. როგორც იგი ამბობს, თარგმანში **იქცეოდა განატფობდას** ნაცვლადაა გამოყენებული; განატფობდა ანუ განაცხოველებდა წყლის ბუნებას, მსგავსად კვერცხისმჩეკელი ქათმისა, რომელიც განტფობილთა რაღაც სასიცოცხლო ძალას აძლევს. ამბობენ, რომ მსგავსი აზრია განცხადებული ამ სიტყვებში: **სული იქცეოდა**, ე. ი. წყლის ბუნებას ცოცხალ არსებათა შობისათვის ამზადებდა. ამგვარად ამით საკმარისად აქვს გაცემული პასუხი ზოგიერთთა მიერ წამოჭრილ საკითხს: შესაქმეში მონაწილეობის გარეშე არც სულიწმიდა დარჩენილა.

7. **და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი**(შესქ.1,3). ღმრთის პირველმა სიტყვამ ბუნება ნათლისა დაბადა, სიბნელე განაქარვა, მწუხარება გაფანტა, სამყარო განამხიარულა და ყოველივეს მყის მშვენიერი და სასიამოვნო შესახედაობა მიანიჭა. გამოჩნდა ზეცა, აქამდე ბნელით დაფარული და მშვენიერება მისი ესოდენი, რაოდენსაც თვალნი ვიდრე აქამომდე ადასტურებენ. განბრწყინდა ჰაერი, ან უფრო უკეთ, განზავდა რა მთელი ნათელი მასში, მყის მისი ბრწყინვალება თავის საზღვართა შინა ყოველმხრივ მიაწვდინა. რადგან ზევით, თვით ეთერამდე და ზეცამდე, ხოლო სივრცეში სამყაროს ყოველ ნაწილში – ჩრდილოეთითა და სამხრეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთითაა განფენილი იგი, მყის, წამსა შინა, განანათლა. ასეთია ბუნება ჰაერისა, რომელიც ისე წმინდაა და გამჭვირვალე, რომ ნათელი მასში გასავლელად დროის არავითარ ხანგრძლივობას არ საჭიროებს. ისევე, როგორც ჩვენი მზერა ხილულთა ზედა დროის გარეშე გადააქვს, ასევე ნათლის ჭავლსაც თავის საზღვრებში ისე მსწრაფლ იღებს, რომ დროის უფრო მოკლე შუალედის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. შემდგომად ნათლის დაბადებისა, ეთერი მშვენიერი, ხოლო წყალი სხივმოსილი გახდა, რადგან არა მხოლოდ მიიღო ბრწყინვალება, არამედ, ნათლის გარდატეხისა გამო, თვითონაც აკამკამდა და სხივები ყოველმხრივ უკუმიჰფინა. ასე მშვენივრად და პატიოსნად შეცვალა ყოველივე ღმრთეებრივმა სიტყვამ. როგორც სილრმეში ჩასხმული ზეთი იმ ადგილას ნათელს წარმოქმნის, ასევე, წარმოთქვა რა სიტყვა ყოველთა შემოქმედმა, მყის განეფინა სამყაროში მადლი ნათლისა.

იქმენინ ნათელი. და საქმედ იქცა ბრძანება იგი, და დაიბადა ბუნება, რომელზე უფრო მიმზიდველი შვების მომცემელს კაცობრივი გონება ვერ წარმოიდგენს. როცა ჩვენ ღმრთის ხმაზე, სიტყვასა და ბრძანებაზე ვსაუბრობთ, სამეტყველო ორგანოებით გამოცემულ ბგერებს, ან ენის მეშვეობით შერხეულ ჰაერს როდი ვგულისხმობთ, არამედ იმათთვის, ვინც სწავლობს, უფრო მეტად ნათელსაყოფად, ბრძანების სახით გვსურს ნების წამისყოფა გამოვსახოთ.

და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ(შესქ.1,4). უკეთესად როგორ უნდა ითქვას ქება ნათლისა, როცა მას უკვე მიღებული აქვს დამოწმება დამბადებლისა – **რამეთუ კეთილ**? ჩვენშიც, როცა გონება ვერაფერს იტყვის ისეთს,

რაც მასზე ადრე შეგრძნების ორგანოს უკვე არ ექნება დამოწმებული, განსჯას თვალებს მიანდობს. მაგრამ უკეთუ სხეულის სილამაზე მის ნაწილთა თანაზომიერებასა და გარეგნულ ფერადოვნებაშია, მაშინ გაგება სილამაზისა ნათელთან მიმართებაში, რომელიც ბუნებით მარტივი და ერთგვაროვანია, როგორღა შენარჩუნდება? იმით ხომ არა, რომ ნათლის თანაზომიერება არა მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით, არამედ მხედველობაზე მისი არაშემაწუხებელი და სასიამოვნო ზემოქმედებით დასტურდება? ასევე ლამაზია ოქრო, თუმცა მზერას არა ნაწილთა თანაზომიერებით, არამედ მხოლოდ კეთილფეროვნებით იტაცებს და ატკბობს. ულამაზესია აგრეთვე მწუხრის ვარსკვლავი, ოღონდ არა იმ მიზეზით, რომ თანაზომიერი ნაწილები აქვს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს თვალებს მისი ბრწყინვა უნაღვლოდ და სასიამოვნოდ ეფინება. მაგრამ ამჯერად სილამაზეზე მსჯავრი თავად ღმერთს გამოაქვს, ე.ი. სრულიად გამორიცხულია, რომ მას მხედველობაში მისი მზერისათვის საამურობა ჰქონდეს, არამედ აქ წინასწარაა განჭვრეტილი ნათლის სარგებელი მომავალში, რადგან თვალებს ჯერ კიდევ არ განესაჯათ მისი სილამაზე.

და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა; ანუ ღმერთმა მათი შეურევნელი და ურთიერთ საპირისპირო ბუნება განამზადა, რადგანაც ერთმანეთს ფრიად განაშორა და დააცილა.

8. **და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე**(შესქ.1,5). ახლა, შემდგომად მზის დაბადებისა, დღე მზით განათებული ჰაერია, რაჟამს იგი ზეცის ცარგვალზე ბრწყინავს, ხოლო ღამე – ჩრდილი დედამიწისა, რომელიც მზის დაფარვისაგან წარმოიშობა. იმ დროს კი, არა მზის მოძრაობის, არამედ იმის გამო, რომ პირველქმნილი ნათელი ღმრთისგან დადგენილი ზომით ხან განეფინებოდა და ხანაც იკუმშებოდა, იბადებოდა დღე და მოსდევდა ღამე. **და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი.** მწუხრი საზიარო საზღვარია დღისა და ღამისა, ისევე, როგორც განთიადი ღამეს დღესთან ესაზღვრება. იმისათვის, რომ დაბადების უფროსობა დღისთვის მიეცა, პირველად დასასრული დღისა მოიხსენია, ხოლო შემდეგ დასასრული ღამისა, რადგანაც ღამე დღეს მოსდევს. რადგანაც ნათლის დაბადებამდე სამყაროში ბნელი იყო და არა ღამე, იმას, რაც დღისგან გამოიყო, ღამე ეწოდა და ამიტომაც სახელწოდებაც უმრწემესი მიიღო, შემდგომად დღისა.

და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად. წინასწარმეტყველი დღესა და ღამეს გულისხმობს, მაგრამ დღე და ღამე კი არ უწოდა, არამედ სახელი მხოლოდ უპირატესს მისცა, რაც საერთოდ მთელ წმიდა წერილში გვხვდება. მაგალითად, ფსალმუნთა მგალობელი ამბობს: **დღენი წელიწადთა ჩუენთანი**(ფს.69,10); იაკობი: **მცირე და ბოროტ იყვნეს წელნი დღეთა ცხორებისა ჩემისათანი**(ფს.69,10) და კვლავ ფსალმუნი: **ყოველნი დღენი ცხოვრებისა ჩუენისანი**(22,6). ასე რომ, აქ თქმული სჯულდებულებად გადაეცა მომდევნოებსაც.

და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი. რატომ არ თქვა პირველი,

არამედ ერთი? თუმცა მას, რადგანაც მეორე, მესამე და მეოთხე დღეებზე საუბარიც ჰქონდა განზრახული, უფრო შეეფერებოდა მომდევნოთა დასაბამისათვის პირველი ეწოდებინა; მაგრამ ერთიო თქვა, რათა დღისა და ღამის ხანგრძლივობა ამგვარად განესაზღვრა და დღე-ღამის დრო ისე შეეერთებინა, რომ ერთი დღის მანძილი, უკეთუ, ცხადია, დღეში ღამესაც ვიგულისხმებთ, ოცდაოთხ საათს შეევსო. ასე რომ, თუმცა მზის მოქცევისას ისეც ხდება ხოლმე, რომ ერთი მეორეს აღემატება, მაგრამ ორივეს ხანგრძლივობა ყოველთვის განსაზღვრული დროით არის შემოფარგლული. ამით თითქოს თქვა, რომ ერთი დღის ხანგრძლივობის საზომი ოცდაოთხი საათია, ანუ ზეცის ერთი ნიშნიდან დაწყებითა და კვლავ მასზე დაბრუნებით ერთი დღე იქმნება. ამგვარად, რამდენჯერაც სამყაროში მზის მოქცევისაგან საღამო და განთიადი დადგება, ეს პერიოდი არა უფრო დიდ, არამედ ერთი დღის მანძილზე აღესრულება. ამასთან უმთავრესი სიტყვა აქ დაფარულადაა მოცემული, სახელდობრ, შექმნა რა ღმერთმა ბუნება დროისა, მის საზომად და ნიშნებად დღეთა ხანგრძლივობა დაადგინა და გაზომა რა იგი შვიდეულებით, შვიდეულს, რომელიც დროის სვლას აღრიცხავს, მუდმივად თავისსავე თავში წრიული ბრუნვა უბრძანა, და კვლავ, ერთ დღეს, რაჟამს თავისი თავისაკენ შვიდგზის მიიქცევა, – აღვსება შვიდეულისა. წრის სახე ხომ ისაა, რომ თავისი თავისაგან იწყება და თავისთავშივე სრულდება. ის, რომ თავისი თავისკენ მიიქცეს და არასოდეს დამთავრდეს, საუკუნის საკუთარი თვისებაცაა. იმიტომაც უწოდა დროის დასაბამს არა დღე პირველი, არამედ ერთი, რომ იგი საუკუნეს თვით სახელწოდებითაც კი ენათესავებოდეს. ამგვარად, გამოავლინა რა თვისება განმარტოებისა და სხვასთან უზიარებლობისა, ჯეროვნად და შესაფერისად იწოდა ერთად. თუმცა ჩვენ წმიდა წერილი მრავალ საუკუნეს წარმოგვიდგენს, ხშირად იხსენიებს რა "საუკუნესა საუკუნოჲსა" და "საუკუნეთა საუკუნეთასა", მაგრამ მასში არც პირველი, არც მეორე და არც მესამე საუკუნეა აღრიცხული, რათა ამით ჩვენ უფრო სხვაობანი ვითარებათა და მრავალფეროვნება საქმეთა წარმოგვიდგინოს, ვიდრე შემოწერილობა, დასასრული და თანმიმდევრობა საუკუნეთა, რამეთუ ნათქვამია: **დიდ არს დღე უფლისაჲ და მჩენ ფრიად**(იოველ.2,11), და კიდევ: **რასათჳს თქუენდა დღე იგი უფლისაჲ? და იგი არს ბნელ და არა ნათელ**(ამოს.5,18), რაღა თქმა უნდა, ბნელი მათთვის, რომელნიც სიბნელის ღირსნი არიან. რადგანაც ჩვენმა მოძღვრებამ იცის დღე იგი დაუღამებელი, უცვალებელი და დაუსრულებელი, რომელსაც ფსალმუნთა მგალობელმა მერვე უწოდა(ფს.6,1) და რომელიც ამ შვიდეულის დროის გარეთ იმყოფება, ამიტომ მას დღეს უწოდებ თუ საუკუნეს, ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავ. უკეთუ ამ ვითარებას დღეს უწოდებ, ერთი იქნება და არა მრავალი, ხოლო უკეთუ – საუკუნეს, ერთადერთი იქნება და არა მრავალთაგანი. ჩვენი გონება რომ მომავალი ცხოვრებისაკენ წარემართა, წინასწარმეტყველმა ამ საუკუნის ხატს, დასაბამს დღეებისა და ნათლის თანატოლს, წმიდა დღეს უფლისა, რომელიც უფლის აღდგომით განი-

დიდა, ერთი უწოდა. ამიტომაც ამბობს: **და იქმნა მწუხრი, და იქმნა განთიად დღე ერთი.** მაგრამ მსჯელობანი იმ საღამოზე, რომელთაც ამ საღამომ მოუსწრო, ჩვენს სიტყვას ზღვარს აქ უდებენ. მამამ ჭეშმარიტი ნათლისა, რომელმაც დღე ზეციური ნათელით შეამკო და ღამე ცეცხლის ელვარებით გაანათა და რომელიც საუკუნო განსასვენებელს გონიერსა და მიუაჩრდილებელ ნათელში გვიმზადებს, დაე, გულები ჩვენი ჭეშმარიტების შეცნობით გაანათოს, შეუბრკოლებლად დაიცვას სიცოცხლე თქვენი და მოგანიჭოთ თქვენ, რომ დღესა შინა შუენიერად ვიდოდით(რომ.13,13), რათა განბრწყინდეთ, ვითარცა მზე, ნათელით, წმინდანთა სიქადულად ჩემდა დღესა მას ქრისტესა, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰომილია III

მყარის შესახებ

1. საქმენი პირველი დღისა, უმჯობესია ვთქვათ ერთისა, რადგან არა ჯერ არს წავართვათ პატივი, რომელიც მას შემოქმედისაგან ბუნებით მიეცა და რომლის გამოც იგი სხვა დღეთა რიგში ვერ ჩაირიცხება, სწორედ მას შინა ქმნილნი საქმენი სიტყვამ გუშინ წარმოაჩინა და მსმენელებს განუმარტა, რაც სულთათვის, როგორც დილის საზრდელი, ასევე მწუხრის სიხარულიც იყო. ამას რომ ვამბობ, განმმარტებელის ძალას კი არ ვგულისხმობ, არამედ წმიდა წერილის მადლს, რის გამოც იგი ბუნებრივად მოგვწონს და რისთვისაც ყველა იმ გულისათვის, რომელიც კი პატივს შესაძლებელთან შედარებით ჭეშმარიტებას მიაგებს, იგი მიმზიდველი და სასურველია. წარმოაჩენს რა ცხადად ჭეშმარიტების სიტკბოებას, ფსალმუნთა მგალობელიც ამბობს: **რაბამად ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა**(118,103).

ამგვარად, გუშინ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, თქვენი სულები ღმრთის სიტყვაზე საუბრით განვამხიარულეთ, დღეს კი ერთმანეთს ისევ შევხვდით, რათა მეორე დღის საქმეთა საკვირველებანი განვიხილოთ.

მე არ დამვიწყებია, რომ ჩვენ შორის მრავალი ხელოსანი და ოსტატია, რომელიც დღიური შრომით, გაჭირვებით შოულობს საზრდოს. ისინი სიტყვას შემაწყვეტინებენ, რათა დიდი ხნით არ მოსცდნენ საქმეს. რას ვეტყვი მათ? ვეტყვი, რომ ღმრთისთვის მისესხებული დროის ნაწილი არა თუ დაეკარგებათ, არამედ მისგან დიდი შენაძენით დაუბრუნდებათ, რადგანაც იმათ, რომელნიც უპირატეს პატივს სულიერს მიაგებენ, საქმისათვის ყველა საჭირო გარემოებას: სხეულის სიმტკიცეს, სულის მხნეობას, ვაჭრობისათვის ხელსაყრელ პირობებსა და საერთოდაც, მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილწარმატებას, ღმერთი უგზავნის. კიდევაც რომ ჩვენმა გულმოდგინებამ ის ნაყოფი, რომლის იმედიც გვქონდა, ამ ცხოვრებაში არ გამოიღოს, სწავლა, მიღებული სულისა წმიდისაგან, კეთილ საუნჯედ მომავალი ცხოვრებისთვის გამოგვადგება. ამგვარად, ყველა ამსოფლიური საზრუნავი გულიდან განაგდე და მთელი შენი არსებით

აქ, ჩემთან დარჩი, რადგან რა სარგებელია სხეულით ყოფნა, როცა გული შენი მიწიერ საუნჯეზე ზრუნავს.

2. **და თქუა ღმერთმან: იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა**(შესქ.1,6). აჰა, გუშინ მოვისმინეთ ღმრთის სიტყვა: **იქმენინ ნათელი** და დღეს: **იქმენინ სამყარო,** მაგრამ, როგორც ჩანს, ამჯერად თქმული უფრო მეტს შეიცავს, რადგან სიტყვა მხოლოდ ბრძანებად კი არ დარჩა, არამედ ის მიზეზიც განსაზღვრა, რომლითაც ხმელეთის წარმოშობა გამოიძიება, რადგანაც ნათქვამია: **იყავნ სამყარო განმყოფელ შორის წყლისა.**

უპირველესად ვიძიებთ: როგორ ამბობს ღმერთი, ისევე ხომ არა, როგორც ჩვენ, ანუ საგანთა ხატებანი ჯერ გონებაში დაებადება, მათი წარმოსახვის შემდეგ თითოეულ საგანს მისთვის დამახასიათებელსა და შესაფერის მნიშვნელობას შეურჩევს, გონებით მოაზრებულს წარმოსათქმელად სახმო ორგანოებს გადასცემს და ამგვარად, ჰაერის შერხევით, რომლის მოძრაობაც ხმას ანაწევრებს, თავის დაფარულ აზრს წარმოაჩენს? ზღაპარს ხომ არა ჰგავს მტკიცება იმისა, რომ ღმერთს გულისხმისყოფის განსაცხადებლად ამდენი რამ სჭირდება? თუ ღმრთისმოსაობას უფრო იმის თქმა შეეფერება, რომ ღმრთეებრივი ნება და აზრის აღძვრა უკვე ღმრთის სიტყვას წარმოადგენს? წმიდა წერილი ამას ვრცლად იმიტომ ასახავს, რომ გვიჩვენოს: ღმერთმა არა მხოლოდ ქმნილების დაბადება ინება, არამედ დაბადა კიდევაც იგი თანამოსაქმის მეშვეობით. ის, რაც დასაწყისში ითქვა, **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა**, შეიძლებოდა ყოველივეს შესახებაც თქმულიყო, სახელდობრ: შექმნა ნათელი, შექმნა მყარი, მაგრამ ამჯერად წარმოგვიდგენს რა ღმერთს მბრძანებლად და მეტყველად, იმას, ვის მიმართაც ბრძანებს და ვისაც მიმართავს, სწორედ დუმილით წარმოაჩენს, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჩვენთვის ცოდნის მოცემა ენანება, არამედ იმისათვის, რათა გამოუთქმელის ზოგიერთი კვალისა და გამოვლინების ჩვენებით ჩვენში სურვილი აღაგზნოს. ხომ სიხარულით შეიწყნარება და გულმოდგინედაც დაიცვება ის, რაც ჯაფითაა შეძენილი, მაშინ, როცა ფლობა იმისა, რაც ადვილადაა მოპოვებული, ბევრს არაფერს ნიშნავს. ამგვარი შემოვლითი გზით წმიდა წერილს თანდათან მხოლოდშობილის მოაზრებისაკენ მივყავართ.

მაგრამ უსხეულო ბუნებას ხმოვანი სიტყვა არც ამ შემთხვევაში დასჭირდებოდა, რადგან შესაქმის თანამონაწილესათვის თავად აზრის გადაცემაც შეეძლო; რა საჭიროა სიტყვები მათთვის, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი განზრახვა ერთმანეთს გონებითაც გაუზიარონ? ხმა ხომ სმენისთვისაა, ხოლო სმენა – ხმისათვის. სადაც არც ჰაერია, არც ენა, არც სასმენელნი და არც ხვეული გასასვლელი, რომელიც ბგერებს თავამდე მიიტანდა, იქ არც სიტყვებია საჭირო, არამედ, როგორც ამბობენ ხოლმე, ნების ზრახვებს ერთმანეთს გულით გადასცემენ. ამიტომ როგორც ითქვა, ჩვენი გონება რომ იმ პირის გამოსაძიებლად აღძრას, ვისაც მიმართავენ, საუბრის ეს ფორმა სიბრძნითა და ხელოვნებითაა გამოყენებული.

3. მეორეც, გამოსაძიებელია, ეს სიმყარე, რადგან მასაც ცა ეწოდა, სხვა რამეა თუ იგივე პირველქმნილი ცაა, თუ საერთოდ ორი ცა არსებობს? ისინი, რომელნიც ზეცის შესახებ სიბრძნისმეტყველებენ, ამ ჭეშმარიტების აღიარებას ენის მოკვეთას ამჯობინებენ, რადგან თვლიან, რომ ერთ ცას ბუნებით მეორე, მესამე და კიდევ უფრო მეტი ცის წარმოშობა არ შეუძლია. როგორც ისინი ფიქრობენ, ზეციური სხეულის მთელი ბუნება ერთი ცის შესადგენად დაიხარჯა. რამდენადაც წრიულად მოძრავი სხეული, რომელიც ერთია და თანაც შემოსაზღვრული, – ამბობენ ისინი, პირველი ცისთვის იქნა გამოყენებული, მეორე და მესამე ცის წარმოსაშობად აღარაფერი დარჩა. – ასე ეოცნებებათ მათ, რომელნიც შემოქმედთან ერთად შეუქმნელ მატერიასაც აღიარებენ და პირველი მითის შეთხზვის შემდეგ მომდევნო ტყუილის გამოგონებით არიან გატაცებულნი.

ჩვენ კი ბრძენთა ელინთა ვთხოვთ, ვიდრე ერთმანეთთან კამათს არ დაასრულებენ, ჩვენზე ნუ გაიცინებენ, რადგან მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ ურიცხვი ცა და სამყარო არსებობს. როცა ამ დაუჯერებელი შეხედულების სამხილებლად ყველაზე ძლიერი საბუთები მოაქვთ და ერთი ცის გარდა სხვა ცის არსებობის შეუძლებლობას გეომეტრიული აუცილებლობით ამტკიცებენ, ჩვენ უფრო მეტად შეგვიძლია მათ გეომეტრიულსა და დახელოვნებულ ფუჭმეტყველებაზე გავიცინოთ, რადგან იმას, რომ ერთი მიზეზისაგან წყლის ერთი ბუშტუკიც წარმოიშობა და მრავალიც, ხედავენ, მაგრამ ეჭვი შეაქვთ ცათა სიმრავლეში, ანუ იმაში, საკმარისია თუ არა დამბადებელის ძალა მათთვის არსებობის მისანიჭებლად.

უკეთუ ღმრთის ძლიერების გარდამეტებულობას გავიხსენებთ, ვფიქრობთ, ცათა სიმყარე და სიდიდე დიდად არ აღემატება იმ ტენს, წყაროებში ბუშტის სახით რომ იბურცება. რა სასაცილოა მათი გაგება შეუძლებელისა! ჩვენ კი მეორე ცის არსებობის ურწმუნოებისაგან იმდენად შორს ვდგავართ, რომ მესამე ცასაც ვეძებთ, რომლის ხილვის ღირსიც ნეტარი პავლე გახდა(2კორ.12,2). ასევე მრავალი ცის არსებობაზე გვიქმნის აზრს ფსალმუნიც, რომელშიც **ცანი ცათანი** იხსენიება(148,4).

ეს ხომ არაფრით უფრო საკვირველი არაა, ვიდრე შვიდი წრე, რომლებშიც, როგორც ამბობენ და, ამაში ყველანი ერთმანეთს ეთანხმებიან, შვიდი ვარსკვლავი ტრიალებს, ერთმანეთზე შეტყუპებულნი, მსგავსად ერთმანეთში ჩადგმული ჭურჭლებისა. ისინი ყოველივეს საწინააღმდეგოდ მოძრაობენ და ეთერის განკვეთისას იმგვარ კეთილხმოვანსა და ჰარმონიულ ხმას გამოსცემენ, რომელიც მუსიკალური მელოდიების ყოველგვარ სიტკბოს აღემატება. შემდეგ: როცა მათ, ვინც ასე მსჯელობს, გრძნობის ორგანოებისთვის სარწმუნო საბუთებს სთხოვენ, პასუხად რას ამბობენ? რომ ჩვენ ამ ხმას, რადგან დაბადებიდანვე ვისმენთ, თავიდანვე შევეჩვიეთ და ხანგრძლივი სმენისაგან, მსგავსად იმ ადამიანებისა, რომელთაც სამჭედლოში უროს დარტყმისაგან

სასმენელნი შეუღონდათ, მისი შეგრძნების უნარი დავკარგეთ. ამგვარ ეშმაკურ და უძლურ მსჯელობათა მხილება, მაშინ, როცა ამას ყველას საკუთარი სმენაც დაუმოწმებს, არაა საქმე კაცისა, რომელმაც დროის გაფრთხილება იცის და მსმენელებადაც გონიერი ადამიანები ეგულება. მაგრამ გარეშე სწავლებანი გარეშეებს დავუტოვოთ, ჩვენ კი ეკლესიის სწავლებას მივუბრუნდეთ.

ჩვენზე ადრე ზოგიერთისაგან უკვე ითქვა, რომ ეს, დაბადება არა მეორე ცისა, არამედ სრული თხრობა პირველის შესახებ, რადგან იქ ცისა და მიწის შექმნა ზოგადადაა გადმოცემული, აქ კი წმიდა წერილი თითოეული მათგანის შექმნაზე უფრო ვრცლად მოგვითხრობს. ჩვენ კი ვიტყვით, რომ რამდენადაც მეორე ცაზე, როგორც სხვა სახელისა და სხვა, განსაკუთრებული დანიშნულების მქონეზე, ისეა გადმოცემული, ამიტომაც იგი განსხვავდება იმ ცისაგან, რომელიც პირველად შეიქმნა. მას უფრო მტკიცე ბუნება და სამყაროს განსაკუთრებული მსახურება აქვს მინიჭებული.

4. და თქუა ღმერთმან: **იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა. და იქმნა ეგრეთ. და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე კერძო სამყაროსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროსა**(შესქ. 1,6-7). ვიდრე ნათქვამის აზრს შევეხებოდეთ, ჯერ ყველა საწინააღმდეგო შეხედულებათა დარღვევა ვცადოთ. ჩვენ გვეკითხებიან: უკეთუ დედამიწის სხეული სფეროსებურია, როგორც ამას მისი შესახედაობაც ცხადყოფს, მაღლიდან დაქანებულმა წყლებმა დაფერდებულ სიმრგვალეზე გაჩერება როგორღა შეძლეს? რა უნდა ვუპასუხოთ ამის თაობაზე? უპირველესად ის, რომ თუ ჩვენ რომელიმე საგანს შიგნით შეზნექილობის გამო, როგორც მრგვალს, ისე ვხედავთ, აუცილებელი სულაც არ არის დავასკვნათ, რომ მისი ზედაპირიც სფეროსებურია, სრულიად მოსწორებული და გლუვი. ხომ გვინახავს ქვისჭერიანი აბანოები და გამოქვაბულის მსგავსად აგებული შენობები, რომელთაც თუ შიგნიდან ავხედავთ, ნახევარწრის ფორმა აქვთ მიცემული, ხოლო გარედან სახურავების ზედაპირი სწორია? ამგვარად, ამ და სხვა ამდაგვარ მიზეზთა გამო საქმეს ნურც თვითონ გაიჩენენ და ნურც ჩვენ გაგვიჩენენ, რომ თითქოს წყალს ზედაპირზე გაჩერება არ შეეძლოს. ახლა ის ვთქვათ, როგორია მყარის ბუნება და წყალთა შუა ყოფნა რისთვის ებრძანა? წმიდა წერილში, ჩვეულებრივ, **მყარი** სახელად იმას ეწოდება, რასაც გარდამეტებული სიმტკიცე აქვს; მაგალითად, როცა ნათქვამია: **უფალი დამამტკიცებელი ჩემი და მფარველი ჩემი**(ფს.17,2) და: **მე დავამტკიცნე სუეტნი მისნი**(ფს.74,3) და კიდევ: **აქებდით მას**(ღმერთს) **სამყაროჲთა ძალისა მისისაჲთა**(ფს.150,1). გარეშე მწერლები კი მყარს მჭიდროსა და სავსე სხეულს უწოდებენ, რომელიც გეომეტრიულის საპირისპიროა. თუ გეომეტრიული სხეული ისაა, რომელიც მხოლოდ განზომილებების, ანუ სიგანის, სიღრმისა[3] და სიმაღლისაგან შედგება, მყარს, გარდა განზომილებებისა,

[3] სიღრმე იგივეა, რაც სიგრძე.

სიმტკიცეც(უდრეკობაც) ახასიათებს, ხოლო რასაც ძალა აქვს და მტკიცეა,[4] წმიდა წერილში, ჩვეულებრივ, მას მყარი ეწოდება, როგორც, მაგალითად, ეს სიტყვა ხშირად იხმარება შესქელებული ჰაერის მიმართ, სახელდობრ, როცა ნათქვამია: **რომელმან დაამყარნის ქუხილნი**(ამოს.4,13). ამიტომაც სიმყარესა და სიმტკიცეს ღრუბელთა სიღრმეში ჩამწყვდეული ქარისა, რომელიც რაჟამს ძლიერად ამოვარდება, ქუხილის ტკაცანს წარმოშობს, წმიდა წერილი "ქუხილის დამყარებას" უწოდებს.

ვფიქრობთ, ეს სიტყვა ამ შემთხვევაშიც ბუნებით მტკიცის მიმართაა გამოყენებული, რამდენადაც მას შეუძლია შეაკავოს წყალი, რომელიც დაბლა ადვილად ექანება და იღვრება. მიუხედავად იმისა, რომ საერთო შეხედულებით მყარი წყლისაგან წარმოშობილი ჩანს, მაინც არ უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი ან გაყინული წყლის მსგავსია, ან იმგვარი ნივთიერებისა, რომელიც დასაბამს დაწურული ტენისაგან იღებს, როგორც, მაგალითად, ბროლის ქვა, რომელიც, როგორც ამბობენ, წყლის მეტისმეტი გაყინვისაგან იქმნება, ან ვითარცა ბუნება პატიოსანი ქვისა, რომელიც მაღაროებში წარმოიშობა. ხოლო ეს ქვა გამჭვირვალეა და მისთვის დამახასიათებელი წმინდა ბრწყინვალება გააჩნია. თუ მას ზუსტად ისეთს ვიპოვით, როგორი ბუნებაც აქვს, ანუ არც რაიმე სიდამპლით დაჭმულსა და არც შიგნით დაბზარულს, სიმჭვირვალით თითქმის ჰაერის მსგავსი იქნება.

ამასთან, თუმცა ყოველი ყოველივეშია: ცეცხლი – მიწაში, ჰაერი წყალში და სხვა სტიქიებიც ერთი მეორეშია, ასე რომ, არცერთი მათგანი, რომელიც შეგრძნებებით აღიქმება, რაღაც საშუალოსთან შეურევნელი, ან საპირისპიროსთან ზიარებისაგან თავისუფალი და წმინდა არაა, რამდენადაც წმიდა წერილისაგან ნასწავლი გვაქვს – არ წარმოვიდგინოთ გონებით ის, რაც ნებადართული არაა, თავს მაინც ვერ ვიდებთ იმის მტკიცებას, რომ მყარი ან რომელიმე მარტივი ნივთიერებისაგან, ან კიდევ მარტივ ნივთიერებათა ნაერთისაგან შედგება; მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ შემდგომად ღმრთის ბრძანებისა: **იქმენინ სამყარო,** უბრალოდ კი არ ითქვა: **და იქმნა სამყარო**, არამედ: **იქმნა ეგრეთ** და კვლავ: **განყო ღმერთმან**. ყრუთა მოისმინონ და ბრმათა თვალები აღიხილონ! და ვინ არის ყრუ, თუ არა ის, ვისაც არ ესმის ამგვარი ხმამაღალი ღაღადისი სულისა? და ვინ არის ბრმა, თუ არა ის, ვინც მხოლოდშობილის შესახებ ასეთ ნათელ მტკიცებებს ვერ დაინახავს? **იქმენინ სამყარო** – ესაა ხმა პირველსაწყისი მიზეზისა; **და იქმნა ეგრეთ** – ეს კი დამოწმებაა შემოქმედი და დამბადებელი ძალისა.

5. მაგრამ სიტყვა კვლავ განმარტებისაკენ მივაქციოთ. ნათქვამია: **იყავნ განმყოფელ შორის წყლისა.** ჩანს, უსაზღვროდ განფენილი, წყალი მთელ დედამიწაზე ღელავდა და იმდენად მაღლა იდგა, რომ სხვა სტიქიებთან მისი თანაფარდობა დარღვეული იყო. ზემოთაც ამიტომ ითქვა, რომ დედამიწას ყოველმხრივ უფსკ-

[4] რასაც წინააღმდეგობის უნარი აქვს, დაუთმობელია.

რული ფარავდა; წყალთა სიმრავლის მიზეზს შემდეგში გადმოვცემთ. ამასთან, რა თქმა უნდა, არცერთ თქვენგანს, ვისაც კი გონებით ბევრი უმუშავია და ეს ხრწნადი და მდინარე ბუნება მახვილი თვალით განუჭვრეტია, არ გაუჩნდება აზრი, რომ თითქოს ჩვენ გონების საწინააღმდეგოდ რაღაც შეუძლებელი და გამოგონილი წარმოვაჩინეთ და არც იმის გამოკვლევას მოგვთხოვს, ბუნება წყლისა რას ემყარებოდა. რადგან იმავე საფუძველზე, რომლითაც ამბობენ, რომ მიწა, რომელიც წყალზე უფრო მძიმეა, კიდეებისაგან დაშორებული შუაში ჰკიდია, ამაზეც უეჭველად უნდა დაგვეთანხმონ, რომ ეს უსაზღვრო წყალი, ქვემოთკენ ბუნებრივი სწრაფვისა და ყოველმხრივი მიზიდულობის გამო დედამიწაზე უძრავად რჩებოდა.

ამგვარად, მთელ დედამიწაზე აღურაცხელი რაოდენობით განფენილი წყლის ბუნება მისი თანაბარზომიერი კი არ იყო, არამედ მასზე მრავალგზის აღმატებული. რადგანაც დიდი ხელოვანის მიერ მომავალი თავიდანვე წინასწარ იყო განჭვრეტილი, პირველი განგებულება მომდევნო საჭიროებებსაც ითვალისწინებდა. და წყლის ამგვარ მიუთხრობელ გარდამეტებულობას რომელი საჭიროება მოითხოვდა? სამყაროში არა მხოლოდ მიწისაგანთა განსაგებელად, არამედ ყოველთა აღსავსებად აუცილებელია ბუნება ცეცხლისა; ასე რომ, სტიქიათაგან ეს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო რამ რომ მოკლებოდა, მთელი უსრული იქნებოდა. ისინი კი(ე. ი. ცეცხლი და წყალი) ერთმანეთის საპირისპირონი არიან და ერთმანეთს ანადგურებენ: ცეცხლი – წყალს, რაჟამს ძალით გარდაამეტებს, წყალი კი – ცეცხლს, რაჟამს სიმრავლით აღემატება.

საჭირო კი ის იყო, რომ არც მათ შორის წარმოშობილიყო შფოთი და არც ერთ-ერთი მათგანის სრულ დაკნინებას სამყაროს რღვევა არ გამოეწვია. ამიტომაც ყოველთა გამგებელმა ბუნება ტენისა იმგვარი ზომით დააუნჯა, რომ ცეცხლის ძალისაგან თანდათან განადგურებული იმდენს ხანს იყოს, რამდენიც სამყაროს დგომისათვის არის განწესებული; ხოლო ყოველივეს ზომითა და წონით გამგებელმა(როგორც იობი ამბობს: **ცუარნიცა წვიმისანი აღრაცხილ არიან მის მიერ.** 36,27) იცოდა, რამდენი დრო განუსაზღვრა სამყაროს დგომისათვის და რამდენი წყალი უნდა გაენადგურებინა ცეცხლს. ეს არის მიზეზი შესაქმისას წყლის სიჭარბისა.

ხოლო რაც სამყაროსათვის ცეცხლის აუცილებლობას შეეხება, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა იმდენად უვიცი არავინაა, რომ ამის შესახებ სიტყვიერი მოძღვრება სჭირდებოდეს. ცეცხლის ენერგიის მსახურებას არა მხოლოდ ყოველი ხელოვნება მოითხოვს, რომელიც კი ჩვენი ცხოვრებისათვის საჭიროა(ქსოვას, მეხამლეობას, კალატოზობას, მიწათმოქმედებას ვგულისხმობ), არამედ არც მცენარეთა აღმოცენება და ნაყოფთა დამწიფება, არც მიწისა და წყლის ცხოველთა დაბადება და არც ისიც, რითაც ისინი იკვებებიან, რომ არა თანამყოფობა სითბოსი, ან თავიდანვე არ იქნებოდა,

ან დროთა განმავლობაში ვერ გაძლებდა.

ამგვარად, სითბოს შექმნა აუცილებელი იყო ყოველთა დაბადებულთა არსებობისა და სიცოცხლისათვის და ასევე აუცილებელი იყო ტენის სიუხვეც ცეცხლის მიერ მისი განუწყვეტელი და გარდაუვალი განადგურებისათვის.

6. გადახედე ყველა ქმნილებას და ნახავ, რომ ყოველში, რომელიც კი იბადება და კვდება(იხრწნება), სითბოს ძალა მეფობს. ესაა მიზეზი დედამიწაზე განფენილი წყლის სიმრავლისა, რომელიც ხილულთა ზედა ამაღლებული, დედამიწის ყველა ღრმულშიც დგას. აქედანაა დაუწყვედელი წყაროები, წყალთა შესაკრებელი ჭები, მდინარეთა დინებანი, როგორც წვიმისაგან წარმოშობილებისა, ასევე დაუშრობელებისაც, რათა ტენის ბუნება მრავალ სხვადასხვა საცავში იქნეს დაცული. აღმოსავლეთიდან, ზამთრის ადგილებიდან, მოედინება მდინარე ინდოსი, მდინარე წყალთა შორის ყველაზე დიდი დინება, როგორც ამას დედამიწის გარშემოწერილობის აღმწერნი მოგვითხრობენ; ხოლო შუა აღმოსავლეთიდან ბაქტროსი, ხუასპი და არაქსი მოედინებიან, რომელსაც ტანაისი გამოეყოფა და მეოტიის ტბაში ჩაედინება. ამათ გარდა, ფაზისიც, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოდის და ჩრდილოეთის ქვეყნებიდან გამოსული მრავალი სხვაც ევქსინის პონტოსკენ მიედინებიან; ხოლო ზაფხულოვანი დასავლეთიდან, პირინეის მთებიდან, ტარტესოსი და ისტროსი გამოდიან, რომელთაგან პირველი ზღვას ბურჯებს იქით უერთდება, ხოლო ისტროსი, მოედინება რა ევროპაზე, პონტოში ჩადის.

საჭიროა ჩამოთვლა სხვებისა, რომლებიც სკვითიის მთათა გადაღმა, რიფეის მთებში იბადებიან? მათ შორისაა როდანოსიცა და ბევრი სხვა მდინარეც, მათგან ზოგიერთი სანაოსნოც, რომელთაგან ყველანი, ჩაუვლიან რა დასავლეთის გალატების, კელტებისა და მათ მეზობელ ბარბაროსთა ქვეყნებს, დასავლეთის ზღვაში ჩაედინებიან. სხვები სამხრეთიდან, ზემო ქვეყნებიდან, ეთიოპიის გავლით მოედინებიან. მათი ნაწილი ჩვენს ზღვას ერთვის, ნაწილიც კი იმ ზღვაში ჩადის, რომელიც ნაოსნებისათვის უცნობია: ეგონი და ნისოსი, ხრემეტისად წოდებული და მათთან ერთად ნილოსიც, რომელიც ბუნებით, რაჟამს მსგავსად ზღვისა, ეგვიპტეს დატბორავს, მდინარეებს არც კი ჰგავს.

ამგვარად, ჩვენ მიერ დასახლებული ადგილი შემოვლებულია წყლით, ვრცელი ზღვებითაა მოცული და ურიცხვი დაუშრეტელი მდინარითაა მორწყული, ისე რომ, განმგებლის გამოუთქმელი სიბრძნით, ბუნება, რომელიც ცეცხლის საპირისპიროა, ძნელად განსალეველი ყოფილიყო; მაგრამ დადგება დრო, როცა ცეცხლი ყოველივეს გამოაშრობს, როგორც ესაიამ თქვა ყოველთა ღმრთისა მიმართ: **მეტყუელმან უფსკრულისამან: მოოჴრდი და მდინარეთა შენთა განვახმობ**(ეს.44,27). ამიტომაც ამაო სიბრძნე განაგდე და ჩვენთან ერთად, თუმცა სიტყვით მარტივი, მაგრამ შემეცნების თვალსაზრისით უცდომელი სწავლება ჭეშმარიტებისა შეიწყნარე.

7. ამისათვის ითქვა: **იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა.** წმიდა წერილში ნათქვამია, თუ რას ნიშნავს სახელი მყარი(სამყარო)

სახელდობრ, მყარს იგი არა უდრეკსა და მაგარ ბუნებას უწოდებს, რომელსაც სიმძიმე და სიმტკიცე[1] აქვს, ასე რომ ყოფილიყო, ეს სახელი, საკუთრივ მისი მნიშვნელობით, ყველაზე მეტად დედამიწის შესაფერისი იქნებოდა, არამედ, პირიქით, რამდენადაც ყოველივე, რაც ზემოთაა, ბუნებით წმინდა, მსუბუქი და ყველა გრძნობისათვის მიუწვდომელია, მყარი მას ამ უმსუბუქესსა და გრძნობებით აღუქმელთან შედარებით უწოდა. წარმოიდგინე რაღაც ადგილი, განმყოფელი ტენისა, ის, რაც თხელია და დაწურული, ზევითკენ წარემართება, ხოლო სქელი და მიწიანი დაბლა დარჩება, რათა ტენის თანდათანობითი განადგურებისას ეს კეთილნაზავი თავიდან ბოლომდე დაცული დარჩეს.

შენ არა გჯერა წყალთა სიმრავლე და ვერც მხურვალების სიდიდეს ხედავ, რომელსაც მაშინაც კი, როცა, შედარებით მცირეა, ბევრი ტენის განადგურება შეუძლია, რადგანაც იზიდავს ტენს, რომელიც ემორჩილება, როგორც ამას სისხლის გამოსაშვები ქილაც ცხადყოფს; ახლო-მახლოდან მიზიდულ ტენს კი, მსგავსად ლამპის ცეცხლისა, პატრუქისაგან შეწოვილ საზრდელს გარდაქმნისთანავე რომ წვავს, ანადგურებს. ვინ ეჭვობს იმას, რომ ეთერი ცეცხლოვანია და მწველი? დამბადებელს რომ იგი უცილობელი საზღვრებით არ აელაგმა, რა შეუშლიდა ხელს ალში გაეხვია და გადაებუგა ახლო-მახლო ყოველივე და ტენი, რომელიც არსებულებშია, მთლიანად გაენადგურებინა? გავარვარებულმა ეთერმა რომ ყოველივე არ გადაწვას, ამიტომაც არსებობს ჰაერის წყალი, შექმნილი მაღალი ადგილებიდან აზიდული ორთქლისაგან, რომელიც მდინარეებს, წყაროებს, ჭაობებსა და ზღვებს ასდის. ვხედავთ, რომ ზაფხულის ჟამს ეს მზეც, ხშირად უმოკლეს დროში, ნესტიანსა და დაჭაობებულ ადგილს უნესტოდ და სრულიად მშრალად აქცევს. რა იქნა ეს წყალი? გვიჩვენონ მათ, რომელთაც ყველაფერი იციან. განა ყველასათვის ცხადი არაა, რომ მზის მხურვალებამ ააორთქლა და შთანთქა? მაგრამ ისინი მზის შესახებ ამბობენ, რომ მას სითბოც კი არ გააჩნია და ამგვარად პასუხიც ყველაფერზე მზად აქვთ. ნახეთ, რა საბუთს ეყრდნობიან, როცა იმას, რაც თვალსაჩინოა, ეწინააღმდეგებიან. ამბობენ, რომ რამდენადაც მზე ფერით არა მოწითალო და ყვითელი, არამედ სპეტაკია, ბუნებით მხურვალე არააო, სითბო სწრაფი ტრიალისაგან არისო, – ამასაც ამბობენ. და ეს მათ რისთვისღა სჭირდებათ? იმისთვის რათა დაამტკიცონ: ტენს მზე არ ანადგურებს; მე კი, თუმცა რასაც ამბობენ, მართალი არაა, იმდენად რამდენადაც ჩემს სიტყვას ეწევიან, გვერდს მაინც არ ავუვლი. რადგანაც ვთქვი, რომ წყალთა სიმრავლე მხურვალებისაგან მათ განსალევად იყო საჭირო, ერთსა და იმავე ნივთიერებებზე ერთნაირად ზემოქმედებისათვის უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს მზეს სითბო ბუნებით აქვს თუ მხურვალება რომელიმე შემთხვევის გამო შეიძინა. ცეცხლი ხის ნაჭრების ერთმანეთზე ხახუნით აღიგზნება და ალი გაჩნდება, თუ ისინი უკვე დანთებული კოცონისაგან დაიწვება, შედეგი ორივე შემთხვევაში თანაბარი და ერთნაირია. ჩვენ ვხედავთ დიდ სიბრძნეს სამყაროს განმგებლისას, – მზე ერთი ადგილიდან მეორეზე

გადაადგილოს, რათა მუდმივად ერთ ადგილზე არ დარჩეს და სითბოს გარდამეტებით წესრიგი არ დაირღვეს. ზამთრის დადგომისას იგი სამხრეთ ნაწილისაკენ მიჰყავს, ხოლო სხვა დროს – დღე-ღამის გათანაბრების ნიშნულებისაკენ, იქიდან კი ზაფხულის დადგომისას, – ჩრდილოეთისაკენ გადაანაცვლებს და ასე მისი თანდათანობითი გადაადგილებითაა დაცული დედამიწის შემოგარენში კეთილშეზავებულობა. თავად განსაჯონ, ეწინააღმდეგებიან თუ არა თავიანთ თავს ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ ზღვა არ იმატებს მდინარეთაგან იმ დანაკლისის გამო, რომელსაც მზე აყენებს. ამასთან, მარილიანიცა და მწარეც რჩება, რადგან წმინდასა და სასმელად ვარგის წყალს სითბო ნთქავს; და ეს უმეტესწილად იმ განყოფის შედეგია, რომელსაც მზე ახდენს, წარიტაცებს რა მსუბუქს, ხოლო მიწიანს და სქელს, ვითარცა რაღაც ლაფსა და მთხლეს, ტოვებს. ამიტომაცაა ზღვის წყალი მწარე, მლაშე და ცხარე. ისინი, რომელნიც ზღვის შესახებ ამას ამბობდნენ, ახლა ისევ შეიცვალნენ და ამტკიცებენ, რომ მზისაგან არავითარი ტენის შემცირება არ ხდება.

8. **და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცაჲ**(შესქ.1,8). მართალია, ეს სახელი საკუთრივი მნიშვნელობით სხვას უფრო შეეფერება, მაგრამ სამყარომ იგი მსგავსებით მიიღო. ვხედავთ, რომ ხშირად ცად იწოდება ხილული სივრცე(რომელიც ჰაერის სიხშირისა და შემტკიცების გამო ჩვენს მზერას ემორჩილება და ხილვადობის წყალობით ღირსია, რომ ცა ეწოდოს), მაგალითად, როცა ამბობენ: **მფრინველნი ცისანი**(ფს.8,8) და კიდევ: **მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა**(შესქ.1,20), ამგვარივეა გამოთქმა: **აღვლენან ცამდე**(ფს.106,26). აკურთხა რა, მოსემ იოსების ტომს კურთხევა **საზღვართაგან ცისათა და ცუარითა, წყაროთაგან უფსკრულთასა ქუესკნელად აღმოცენებისა, ჟამთა ნაყოფთა მათ მზისათა დამდაბლებასა, თავთა მთათა მათ საუკუნეთასა და თხემსა ბორცუთა მათ სამარადისოთა** მისცა(IIსჯ.33,13-15), რადგან ყოველივე ამის კეთილმოწყობით დედამიწის შემოგარენი აყვავდება; ხოლო ისრაელის წყევლისას ამბობს: **გექმნეს შენ ცაჲ ზესკნელ მუნ თავსა შენსა, ვითარცა რვალი**(IIსჯ.28,23). და რას ნიშნავს ეს? სრულ სიმშრალეს და ჰაერის წყალთა მოკლებას, რომელნიც დედამიწას ნაყოფიერებას ანიჭებენ. ამიტომ, როცა ამბობენ, რომ ცვარი და წვიმა ციდან მოდის, იმ წყლებს მოვიაზრებთ, რომელნიც ზენა ქვეყანაში არიან განწესებულნი. მიწიდან ასული ორთქლი სიმაღლესა შინა შეიკრიბება და ქართა შეკუმშვით ჰაერი გასქელდება, ხოლო რაჟამს აქამდე ღრუბელში წვრილ-წვრილად გაბნეული, ორთქლის მსგავსი ტენი ერთმანეთთან შემჭიდროვდება, წარმოიქმნება წვეთები, რომელნიც, ნაწილთა შეერთებისაგან დამძიმებულნი, დაბლა მოექანებიან. ასეთია წარმოშობა წვიმისა; ხოლო როცა მძაფრი ქარებისაგან დაფანტული ტენი უკიდურესად გაცივდება და სრულიად გაიყინება, გაბნეული ღრუბლებიდან წამოვა თოვლი. ზემოთქმულის მიხედვით, შენ შეგიძლია საერთოდაც განიხილო მთელი ბუნება ტენისა, რომელნიც ჩვენს თავთა ზემოთ, ჰაერშია დამტკიცებული.

სულიერი მოძღვრების სიმარტივესა და სიწრფელეს ნურავინ შეადარებს იმათ ამაო ჯაფას, რომელნიც ცის შესახებ სიბრძნისმეტყველებენ, რადგან, რამდენადაც სილამაზე უბიწოებისა უპატიოსნესია მეძაობაზე, ჩვენი სწავლებაც გარეშე სწავლებათაგან იმდენად განსხვავდება; ისინი ხომ მოძღვრებას დამაჯერებლობას ნაძალადევად აძლევენ, მაშინ, როცა აქ ყოველგვარი გამონაგონისაგან განძარცული ჭეშმარიტება გვაქვს.

საჭიროა კი, რომ ჩვენ მათი სიცრუის სამხილებლად გავისარჯოთ? განა საკმარისი არ იქნება ისიც, რომ, რამდენადაც მათი წიგნები ერთმანეთს თვითონ ამხელენ, ამ კამათის სრულიად მშვიდ მაყურებლად დავრჩეთ? რადგან მათ არც რიცხობრივად და არც ღირსებებით არ ჩამოუვარდებიან, ხოლო მრავალსიტყვაობის თვალსაზრისით, ბევრად უფრო დიდი უპირატესობაც კი აქვთ ამ სწავლების საპირისპირო მოძღვრების დამცველებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამყარო გადაიბუგება და იმ თესლთაგან, რომელნიც ნახანძრალში დარჩება, კვლავ გაცოცხლდება. აქედან გამომდინარე შემოაქვთ მათ დაუსრულებელი ხრწნა და კვლავ განახლება სოფლისა, მაგრამ მიდრკნენ რა ჭეშმარიტებისაგან როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ, აქაც და იქაც ცდომილებისათვის გზები იპოვეს.

9. ხოლო ჩვენ განყოფილ წყალთა შესახებ ორიოდე სიტყვა უნდა ვუთხრათ იმ განმმარტებლებს, რომლებიც ეკლესიიდან არიან და რომელთაც განსწავლულობისა და მაღალი აზროვნების მომიზეზებით სახისმეტყველებას მიმართეს და ამბობენ, რომ წყლებში გადატანითი მნიშვნელობით სულიერი და უსხეულო ძალები იგულისხმება: მაღლა, სამყაროს ზევით სრულყოფილნი არიან დამტკიცებულნი, ხოლო ქვემოთ, მიწასა და ნივთიერ ადგილთა ზედა, ბოროტი ძალები მკვიდრობენ. მათი განმარტებით, ამიტომაც ითქვა, რომ ღმერთს **წყალნი ზესკნელს ცათანი**(ფს.148,4) ანუ ის კეთილი ძალები აქებენ, რომელნიც გონების სიწმინდის გამო დამბადებლისათვის შესაფერისი ქების მიძღვნის ღირსნი არიან, ხოლო ცის ქვეშე არსებული წყალნი ის უკეთური სულებია, რომელნიც თავიანთი ბუნებითი სიმაღლიდან ბოროტების უფსკრულში ჩაცვივდნენ. სწორედ მათ, ბორგნეულებს, მშფოთვარეთა და ვნებათაღელვით ამბოხებულებს, სწრაფი ცვალებადობისა და დაუდგრომელ ტალღებთან მსგავსების გამო, ზღვა ეწოდათ.

მაგრამ ამგვარი სწავლებანი, ვითარცა სიზმართა ახსნანი და დედაბერთა ზღაპარნი უარვყოთ, წყალი წყლად მოვიაზროთ და მყარის მიერ მისი გაყოფა ზემოთ გადმოცემული მიზეზისამებრ შევიწყნაროთ. თუმცა ყოველთა მეუფისადმი საერთო დიდებისმეტყველებას ზოგჯერ **წყალნი ზესკნელს ცათანი**-ც უერთდებიან, მაგრამ ამის გამო მათ გონიერი ბუნების მქონედ არ მივიჩნევთ, რადგან არც ცანი, რომელნიც **მიუთხრობენ დიდებასა ღმრთისასა,** არიან სულიერნი და არც მყარია ცოცხალი და მგრძნობიარე, თუმცა **ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს**(ფს.18,1). თუ ვინმე იტყვის, რომ ცანი მჭვრეტელობით, ხოლო მყარი საქმიანსა და შემსრულებელ ძალებს ნიშნავს, რაც დასაშვებია, როგორც

მახვილგონივრულ სიტყვას შევიწყნარებთ, მაგრამ იმას, რომ იგი ჭეშმარიტებაა, ბოლომდე ვერ დავეთანხმებით, რადგან მაშინ **ცვარს, თრთვლს, ყინულს და სიცხესაც**, რომელთაც დანიელთან ყოველთა დამბადებლის ქება აქვთ ნაბრძანები, რაღაც გონიერი და უხილავი ბუნება უნდა ჰქონდეთ(დან.3,64-72). პირიქით, კანონი, რომელიც მათში იმ ადამიანებმა, რომელთაც გონება აქვთ, მჭვრეტელობით შეიცნეს, დამბადებლის დიდებისმეტყველებას ავსებს, რადგან არა მხოლოდ წყალს, რომელიც ზეცათა მაღლაა, ხვდა პატივი აღმატებული სათნოების გამო ქება უძღვნას ღმერთს, არამედ, როგორც ნათქვამია, უფალს **ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნიც** აქებენ(ფს.148,7). ამიტომაც უფსკრული, რომელიც წმ. წერილის ალეგორიულად განმმარტებლებმა უარეს ნაწილს მიაკუთვნეს, მეფსალმუნემ არა თუ განგდებულად შერაცხა, არამედ, რამდენადაც მასში ჩადებული კანონების მიხედვით, შემოქმედის სადიდებელს მწყობრად აღავლენს, ისიც ქმნილებათა საერთო ქოროს შეუერთა.

10. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ(შესქ.1,8). ღმრთის თვალებს სიამოვნებას მისივე ქმნილებანი კი არ ანიჭებენ და არც მის მიერ კეთილის შეწყნარებაა ისეთი, როგორიც ჩვენი, არამედ მისთვის კეთილია ის, რაც ხელოვნების კანონით გასრულდა და რაც კეთილსახმარი მიზნებისკენაა წარმართული. ვისაც ქმნილებათა ცხადი მიზანი წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული, მან, რამდენადაც მისი მიზნის აღსრულებას ემსახურებოდნენ, დაბადებულთა ნაწილებიც შეიწყნარა, რომელნიც მისი ხელოვნების კანონებს შეესაბამებოდნენ. როცა ხელი ცალკეა, თვალი კი ცალკე და ქანდაკების ყოველი ნაწილი გაფანტულია, ეს სანახაობა ყველასათვის მშვენიერი როდი იქნება; ხოლო როცა თითოეული ნაწილი თავთავის ადგილზე დადგება, ბოლოს და ბოლოს წარმოჩნდება სილამაზე თანაზომიერებისა და მას თვით უმეცარიც კი შეამჩნევს. მაგრამ, რადგანაც შემოქმედი თითოეულის სილამაზეს გამთლიანებამდე ხედავს და მათი გასრულებული სახეც წინასწარ იცის, ყოველ მათგანს აქებს. ამ შემთხვევაში ღმერთი იმ ხელოვანთა მსგავსადაა წარმოდგენილი, რომელნიც საკუთარ ქმნილებათა ნაწილებს აქებენ; სამაგიეროდ, რაჟამს გასრულდება, ღმრთის შესაფერის ქებას თავის მხრივ ერთად აღებული მთელი სამყაროც იტყვის.

აქ შევწყვიტოთ სიტყვა მეორე დღის შესახებ, რათა გულმოდგინე მსმენელებს დრო მივსცეთ იმისათვის, რომ, რაც მოისმინეს, გამოიძიონ, თუ რამე სასარგებლოა, დაიმახსოვრონ და საგულდაგულო განსჯით, ისევე როგორც საჭმლის მონელების შემდეგ, აღმოცოხნის სარგებელს დაელოდონ; ხოლო სოფლის საქმეთაგან მოუცლელებს მოცალეობა მიეცეთ, რათა, რაც საზრუნავი აქვთ, დროის ამ შუალედში მოაგვარონ და მწუხრისას სიტყვის ნადიმზე ზრუნვათაგან განწმენდილი სულებით მოვიდნენ.

დიდთა საქმეთა შემოქმედმა ღმერთმა, რომელმაც ჩვენ მიერ ამ მცირე სიტყვის წარმოთქმაც განაგო, მოგცეს თქვენ ყოველსა შინა გულისხმისყოფა მისი ჭეშმარიტებისა, რათა ხილულთაგან უხილავი შეიცნოთ და ქმნილებათა

დიდებულებისა და სილამაზისაგან ჩვენი დამბადებლის შესახებ შესაფერისი წარმოდგენა შეიძინოთ, **რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების, და სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაჲ**(რომ.1,20).

მიწაც და ჰაერიც, ზეცაც და წყალიც, დღეცა და ღამეც და საერთოდ, ყოველივე, რასაც ვხედავთ, ჩვენს კეთილისმყოფელს განცხადებულად უნდა გვახსენებდეს. არც ცოდვებს მივსცემთ დრო-ჟამს და არც მტერს დავუტოვებთ ადგილს ჩვენს გულებში, უკეთუ განუწყვეტელი მოხსენიებით ჩვენში ღმერთს დავამკვიდრებთ, რომლისა არს ყოველივე დიდება და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰომილია IV

წყალთა შესაკრებელის შესახებ

1. არის ზოგიერთი ქალაქი, სადაც საკვირველ საქმეთა მოქმედნი ადრიანი დილიდან ვიდრე საღამომდე მაყურებელთა მზერას მრავალფეროვანი სანახაობებით ასაზრდოებენ; და რამდენიც არ უნდა ისმინონ მათ საჩოთირო და განმხრწნელი მელოდიები, რომელნიც სულთა შინა უცილობლად მრავალი სახის გარყვნილებას წარმოშობენ, მაინც ვერ ძღებიან. ბევრი ასეთ ადამიანებს შენატრის კიდევაც, რადგან მიატოვეს რა სავაჭრო მოედანი და ხელობა, რომლითაც ცხოვრობდნენ, მათთვის განსაზღვრულ სიცოცხლის ჟამს გართობასა და უქმად ყოფნაში ატარებენ. მათ არ იციან, რომ თეატრი, სავსე ურცხვი სანახაობებით, მათთვის, ვინც ამ სანახაობებს ესწრება, გარყვნილების საერთო-სახალხო სასწავლებელს წარმოადგენს და რომ თვით მწყობრი ხმები ფლეიტისა და ბილწი სიმღერები, რომლებიც მსმენელთა სულებზე აღიბეჭდება, სხვა არაფრისაკენ აქეზებენ მათ, თუ არა ურცხვობისა და იმისაკენ, რომ ფლეიტასა და ქნარზე დამკვრელებს მიბაძონ. ხოლო ცხენთა რბოლის თავდავიწყებით მოყვარულნი ცხენებს ერთმანეთს სიზმარშიც კი აჯიბრებენ, ეტლებში ხელახლა აბამენ და ცვლიან მეეტლეებს, ასე რომ, მთელი დღის უგუნურება მათ არც ძილის ოცნებებში ტოვებს. ჩვენ კი, რომელთაც დიდმა საკვირველთმოქმედმა ხელოვანმა უფალმა მისთა საქმეთა სახილველად მოგვიწოდა, შეიძლება მათმა ჭვრეტამ მოგვქანცოს ან სულიწმიდის სიტყვების მოსმენისათვის ვიზარმაცოთ? თუ პირიქით, ღმრთის მიერ შექმნილ ამ დიდსა და მრავალფეროვან სამყოფელს გარს უნდა შემოვუაროთ, ყოველი აზრით დროზე უნდა ავმაღლდეთ და სამყაროს სამკაულები ვიხილოთ? კერძოდ, როგორ დგას ცა, წინასწარმეტყველის სიტყვისაებრ **ვითარცა თაღი**(ეს.40,22) და დედამიწა – მისი უსაზღვრო სიდიდითა და სიმძიმით, თავისთავზევე დაყრდნობილი და ჰაერი განფენილი, ბუნებით ლბილი და ნოტიო, ყველას, ვინც კი სუნთქავს, ბუნებრივსა და უცილობელ საზრდელს რომ აწვდის, თავისი სირბილის გამო მოძრავ სხეულებს რომ ემორჩილება და ადვილად განიპობა მათ მიერ(ისე რომ,

მასში მავალთათვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს), და ყოველთვის ადვილად გადაადგილდება და განეფინება მათ უკან, რომელნიც კვეთენ. და ბუნება წყლისა, მასაზრდოებელი და ჩვენი სხვა საჭიროებებისათვის გამზადებული, მისი მოწესრიგებული შეკრება შემოსაზღვრულ ადგილთა შინა – ამას ყოველივეს დაინახავ იმისაგან, რაც ახლახან წავიკითხეთ.

2. **და თქუა ღმერთმან: შეკერბიდ წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ჴმელი! და იქმნა ეგრეთ: და შეკრბა წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა. და გამოჩნდა ჴმელი. და უწოდა ღმერთმან ჴმელსა ქუეყანა და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღუებ**(შესქ.1,9-10). რა დიდი ჯაფა დამაყენე წინა საუბრებში, ეძიებდი რა მიზეზს იმისა, რატომ იყო დედამიწა უხილავი, მაშინ, როცა ყველა სხეულს ბუნებრივად აქვს ფერი, ხოლო ყველა ფერი მზერით აღიქმება?

შესაძლოა, შენ საკმარისად არ გეჩვენება ნათქვამი იმის თაობაზე, რომ დედამიწა უხილავი იყო არა ბუნებით, არამედ მხოლოდ ჩვენთვის, მიზეზით წყლისა, რომლითაც მაშინ მთელი ხმელეთი იყო დაფარული. აჰა, ახლა თვით წმიდა წერილს მოუსმინე, რომელიც თავისთავს თვითონვე განმარტავს: **შეკრბა წყალი და გამოჩნდა ხმელეთი**. გადაიხსნა კრეტსაბმელი, რათა ის, რაც მანამდე უხილავი იყო, გამოჩენილიყო.

ეგების ვინმემ ისიც იკითხოს, პირველ რიგში, იმას, რაც წყლის ბუნებაა – დაბლა დაქანება, წმ. წერილი შემოქმედის ბრძანებას რატომ მიაწერსო? წყალი ხომ, რომელიც აქამდეც ვაკეზე წევს, უძრავია იმიტომ, რომ სადინარი არსაით აქვს, ხოლო თუ დაქანებული ადგილი შეხვდა, მისი პირველი ნაკადი მსწრაფლ ამოძრავდება, მის ადგილს მომდევნო დაიჭერს, ხოლო მომდევნოს მომდევნო მოჰყვება; ასე რომ, წინა ნაწილი მუდმივად გარბის, მომდევნო კი მისდევს და მათი დინება მით უფრო სწრაფია, რაც უფრო დიდია სიმძიმე დაქანებული წყლისა და დაფერდება იმ ადგილისა, საიდანაც ჩამოედინება. და მართლაც, უკეთუ წყალი ბუნებითაა ამგვარი, ბრძანება იგი – **შეკერბიდ წყალნი შესაკრებელსა ერთსა**, ზედმეტი ყოფილა, რამდენადაც, რაც ბუნებით დაღმა მავალია, ყველა ფერდიდან თავისთავად უნდა ჩაღვრილიყო ჩაღრმავებულ ადგილებში და მანამდე უნდა ედინა, ვიდრე არ მოვაკდებოდა ზურგი მისი, რადგან არაფერია უფრო ბრტყელი, ვიდრე ზედაპირი წყლისა. შემდეგ: იმასაც ამბობენ, წყალს ერთ ადგილას შეკრება როგორ ებრძანა, როცა მრავალ ზღვას ვხედავთ და თანაც ერთმანეთისაგან ფრიად დიდი მანძილით დაშორებულებსო.

გამოსაძიებელი პირველი საკითხის შესახებ ვიტყვით შემდეგს: წყლის მოძრაობანი, რომ იგი ყოველმხრივ მიედინება, დაუდგრომელია და ბუნებით უფსკრულებისა და ჩაზნექილი ადგილებისაკენ მიექანება, შენთვის უფრო მეტად ცნობილი უფლის ბრძანების შემდეგ გახდა, ხოლო როგორი ძალა ჰქონდა მას ადრე და რომ არა ეს ბრძანება, ექნებოდა თუ არა მას ასეთი სწრაფვა მოძრაობისაკენ, ეს არც შენ იცი და არც თვითმხილველისაგან მოგისმენია.

მოიაზრე, რომ ხმა ღმრთისა შემოქმედია ბუნებისა და რომ ბრძანებამ, რომელიც მაშინ ქმნილებებს მიეცა, წესრიგი მათ შორის(შესაქმისა) ვიდრე აქამომდე განსაზღვრა. დღე და ღამე ერთგზის შეიქმნა, მაგრამ ისინი იმიერიდან ვიდრე ამჟამამდე ენაცვლებიან ერთმანეთს, ყოფენ რა დროს მარადის თანაბარ ნაწილებად.

3. **შეკერბიდ წყალნი** – ებრძანა წყლის ბუნებას, რათა მდინარებდეს და ამ ბრძანებისამებრ განუწყვეტელი სწრაფვისათვის არასოდეს დაიღალოს. როცა ამას ვამბობ, წყალთა იმ ნაწილს ვგულისხმობ, რომელნიც მდინარებენ, რადგან ზოგიერთნი თავისით დიან, როგორც მაგალითად წყალნი წყაროთა და მდინარეთანი, ხოლო სხვები, ერთ ადგილას შეკრებილნი, უძრავად დგანან. ამჯერად ჩემი სიტყვა იმ წყლებს შეეხება, რომელნიც მოძრაობენ.

შეკერბიდ წყალნი შესაკრებელსა ერთსა. თუ ოდესმე წყაროსთან მდგარხარ, რომელიც წყალს უხვად იძლევა, გონებაში არ დაგბადებია კითხვები: ვინ არის აღმომცენებელი დედამიწის სიღრმიდან ამ წყლისა? ვინ აიძულებს წინ ისწრაფვოს? როგორია ის საგანძურნი, საიდანაც ამოედინება? რას წარმოადგენს ადგილი, საითკენაც მიისწრაფვის? ან საგანძურებს რატომ არ აკლდება, ან ის ადგილები, სადაც ჩაედინება, რატომ არ ივსება? ყოველივე ეს იმ პირველ ხმაზეა დამოკიდებული. მან მისცა წყალს ძალა ამოძრავებისა. წყლის შესახებ ყოველგვარი თხრობისას პირველი ხმა გაიხსენე: **შეკერბიდ წყალნი** და ისიც უნდა ამოძრავებულიყო, რათა თავისი ადგილი დაეკავებინა, ხოლო რაჟამს შემოსაზღვრულ ადგილებს მიაღწევდა, დამდგარიყო და აღარ გადმოსულიყო. ამიტომაც ვითარცა ეკლესიასტე ამბობს: **ყოველი ჴევნები შესდის ზღუასა და ზღუა ვერ განძღების**(ეკლ.1,7), რადგანაც დინება წყალთა შედეგია ღმრთის ბრძანებისა, ხოლო ზღვის საზღვრებით შემოზღუდვა – პირველი სჯულდებულებისა.

შეკერბიდ წყალნი შესაკრებელსა ერთსა. იმისათვის, რომ მდინარე წყალი თავისი ადგილებიდან არ გადმოღვრილიყო, უფრო და უფრო შორს არ წასულიყო, ერთი-მეორის მიყოლებით არ აღევსო ყოველი და მთელი ხმელეთი არ დაენთქა, ებრძანა წყალთა შეკრება შესაკრებელსა ერთსა. ამიტომაც ხშირად ქარებისაგან გაგიჟებული ზღვა და ფრიად მაღალი, ყალყზე წარმომართული ზვირთები ნაპირს შეეხებიან თუ არა, სწრაფვა ქაფად ექცევათ და უკან იხევენ. **არა გეშინისა ჩემგან, ამბობს უფალი, რომელმან შევქმენ ქვიშაჲ საზღვრად ზღვისა?**(იერ.5,22). იმ ქვიშით, რომელიც ყველაზე უსუსურია, გაუსაძლისი ძალაა აღვირამოდებული. რა დააყენებდა მეწამულ ზღვას ეგვიპტეზე გადმოსასვლელად, რომელიც მასზე დაბალია მდებარეობით და რა შეუშლიდა ხელს ეგვიპტესთან მიმდებარე ზღვებთან შეერთებაში, დაბორკილი რომ არ ყოფილიყო ბრძანებით თვისი შემოქმედისა?

რომ ეგვიპტე მეწამულ ზღვაზე დაბლაა, ამაში საქმით დაგვარწმუნეს იმათ, რომელთაც სურდათ ერთმანეთთან შეეერთებინათ ზღვები ეგვიპტისა და ინდოეთისა, რომელზეც მეწამული ზღვაა.

ამავე მიზეზით თქვეს უარი თავიანთ წამოწყებაზე ეგვიპტელმა სესოსტრისმა, რომელმაც საქმე პირველად დაიწყო და შემდეგ მიდიელმა დარიოსმაც, რომელსაც მისი დამთავრება სურდა. ამას ვამბობ, რათა შევიცნოთ ძალა ბრძანებისა: **შეკერბიდ წყალნი შესაკრებელსა ერთსა,** ანუ ამიერიდან ისინი სხვაგან უკვე ვეღარ გადავიდოდნენ, არამედ შეკრებილნი პირველსავე შესაკრებელსა შინა უნდა დარჩენილიყვნენ.

4. შემდეგ, ვინც ბრძანა შეკრება წყალთა **შესაკრებელსა ერთსა,** გაჩვენა, რომ წყალი ფრიად ბევრი იყო და მრავალ ადგილას გაბნეული, რადგან მთათა ხეობები და ღრმა უფსკრულები წყალთა შესაკრებელნი იყვნენ. ასევე მრავალი დაბლობი და ვაკე ადგილი, რომელნიც სივრცელით უდიდეს ზღვებსაც კი არ ჩამოუვარდებოდნენ, ურიცხვი სიმრავლე ველებისა და ღარტაფებისა, რომლებიც სხვადასხვა სახის ღრმულებს ქმნიდნენ და მაშინ წყლით სავსენი იყვნენ, ღმრთის ბრძანებით დაცარიელდნენ და ყოველი მხრიდან ერთი შესაკრებელისაკენ ისწრაფეს. ნურავინ იტყვის, რომ რადგანაც წყალი მიწაზე მაღლა იყო, ყველა ღრმული, რომელნიც ახლა ზღვებს იტევენ, ისედაც უკვე სავსე იქნებოდა, და რომ, რამდენადაც უკვე წინასწარ იყვნენ დაკავებულნი, წყალთა შესაკრებელნი ვერ გახდებოდნენ. ამის თაობაზე ვიტყვით, რომ მაშინ, როცა წყალს ერთად შეკრება ებრძანა, ჭურჭლები უკვე განმზადებული იყო, რადგან არც ზღვა, გადირის მიღმა და არც ის დიდი და მენავეთაგან შეუკადრებელი ზღვა, რომელიც ბრეტანიის კუნძულსა და დასავლეთის იბერიას ადგას გარს, ჯერ კიდევ არ არსებობდა; ხოლო, როცა ღმრთის ბრძანებით, ვრცელი სათავსი შეიქმნა, სიმრავლე წყალთა მასში ჩაედინა.

მათ, რომელნიც შეგვეპასუხებიან და გვეტყვიან, რომ სამყაროს შესაქმეზე ჩვენი სწავლება გამოცდილებას ეწინააღმდეგება(რადგან ვხედავთ, რომ მთელი წყალი ერთ შესაკრებელსა შინა არ შეკრებილა), შეიძლება მრავალი რამ ვუთხრათ და თანაც ყველასთვის თავისთავად ცნობილი. მათთან კამათი სასაცილოც კია, ნუთუ ისინი ჩვენ ჭაობებსა და წვიმისაგან შეკრებილ წყლებზე მიგვითითებენ და იფიქრებენ, რომ ჩვენს სწავლებას ამით ამხელენ?

მაგრამ ერთი შესაკრებელი ხომ წყალთა ყველაზე დიდსა და სრულ შეკრებას ეწოდა. ასე ხომ ჭებიც ხელითქმნილი შესაკრებლებია წყლისა, რომელიც მიწის სიღრმეში გაფანტული სინოტივისაგან წარმოიშობა. ამიტომ სიტყვა **შესაკრებელი** ეწოდება არა წყალთა რომელიმე თავმოყრას საერთოდ, არამედ უპირატესსა და უდიდესს, რომელშიც მთელი ეს სტიქია აღმოჩნდა შეკრებილი. ისევე როგორც ცეცხლი აქაურ საჭიროებათათვის უმცირეს ნაწილებადაა დამსხვრეული, მაშინ როცა ეთერში მთლიანობაში განიფინება და ვითარცა ჰაერი, წვრილ-წვრილად დაყოფილი, ერთობლიობაში მიწის ზედა სივრცეს ავსებს, წყლის შესახებაც ამგვარად უნდა მოვიაზროთ: თუმცა იგი პატარ-პატარა შესაკრებლებადაა დაცალცალკევებული, მაგრამ შესაკრებელი, რომელიც მთელ ამ სტიქიას დანარჩენი სტიქიებისაგან გამოყოფს, ერთია.

ტბანი, რომელნიც ჩრდილოეთის მხარეში, საბერძნეთის საზღვრებთან, – მაკედონიაში, ბითვინიასა და პალესტინაშია, რაღა თქმა უნდა, შესაკრებელნი არიან; მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში იმ შესაკრებელზე ვლაპარაკობთ, რომელიც ყველას აღემატება და სიდიდით დედამიწასაც კი უთანაბრდება. არავინ კამათობს იმის თაობაზე, რომ ამ ტბებში წყალთა სიმრავლეა, მაგრამ მათ ზღვას, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით არავინ უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი, მსგავსად დიდი ზღვისა, მარილსა და მიწის ნაწილებს შეიცავს, როგორც, მაგალითად მკვდარი ტბა იუდეაში და სერბონი, რომელიც ეგვიპტესა და პალესტინას შორის, არაბეთის უდაბნოშია გადაჭიმული. ესენი ტბები არიან, ზღვა კი ერთია, როგორც ამას ისინი მოგვითხრობენ, რომელთაც დედამიწა შემოიარეს.

თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჰირკანიისა და კასპიის ზღვები მხოლოდ საკუთარ საზღვრებში არიან მოქცეულნი, მაგრამ თუ დედამიწის აღმწერელთა მონათხრობი ყურადღების ღირსია, კავშირი მათ შორისაც არსებობს და ყველანი ერთად დიდ ზღვაში ჩაედინებიან, ისევე როგორც მეწამული ზღვის შესახებ ამბობენ, რომ იგი უერთდება ზღვას, რომელიც გადირის უკან მდებარეობს.

მაგრამ იტყვიან: რატომ უწოდა ღმერთმა წყალთა შესაკრებლებს ზღვები? იმიტომ რომ, თუმცა წყალნი ერთი შესაკრებელისაკენ მიისწრაფოდნენ, უფალმა იმ შესაკრებლებსაც ანუ უბეებს, რომელთაც გარემომცველი მიწისაგან განსაკუთრებული სახე მიიღეს, ზღვები უწოდა: ზღვა ჩრდილოეთისა, ზღვა სამხრეთისა, ზღვა აღმოსავლეთისა და აგრეთვე დასავლეთისა. ზღვებს საკუთარი სახელებიც მიეცა: ევქსინოს პონტო, პროპონტისი, ჰელესპონტი, ზღვები ეგეოსისა, იონიისა, სარდიისა, სიცილიისა და ტვირონისა. კიდევ მრავალია სახელი ზღვებისა, რომელთა ზუსტი აღრიცხვაც ამჟამად შორს წაგვიყვანდა და შეუფერებელიც იქნებოდა. ამიტომაც უწოდა ღმერთმა წყალთა შესაკრებლებს ზღვები; მაგრამ ეს ყოველივე სიტყვამ მოიტანა, ჩვენ კი იმას დავუბრუნდეთ, საიდანაც დავიწყეთ.

5. და თქუა ღმერთმან: **შეკერბიდ წყალნი შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ჴმელი.** როგორც ვხედავთ, არ უთქვამს მიწა გამოჩნდესო, რათა განუმზადებელი, წყალთან არეული თიხა არ ეჩვენებინა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული არც საკუთარი სახე და არც ძალი. და კიდევ: მზე რომ არ გვგონებოდა მიზეზი გახმობისა, შემოქმედმა უწინარესად მზის დაბადებისა შექმნა სიხმელე მიწისა.

გონებით წარმოიდგინე დაწერილი, კერძოდ, არა მხოლოდ ჭარბი წყალი ჩამომდინარდა დედამიწიდან, არამედ ისიც გამოვიდა, რომელიც მის სიღრმეში თიხასთან აღრეული იყო, დაემორჩილა რა უფლის გარდაუვალ ბრძანებას.

და იქმნა ეგრეთ. ეს სიტყვები საკმარისია, რათა გვაჩვენოს, რომ შემოქმედის ხმა საქმედ იქცა. თუმცა, ნუსხათაგან მრავალში მათ დართული აქვს:

“შეკრბეს წყალნი იგი, რომელნი იყვნეს ქუეშე ცასა შესაკრებელსა თჳსსა და გამოჩნდა ჴმელი”, მეგრამ ეს სიტყვები არც რომელიმე განმმარტებელს მოუცია და როგორც ჩანს, არც ებრაულში იკითხება, რადგან იმის დამოწმების შემდეგ, რომ ასე მოხდა**(და იქმნა ეგრეთ),** კვლავ ახსნა-განმარტების მოცემა მართლაც ზედმეტია. გამართულ ნუსხებში ამ სიტყვებზე ოველისკოსია[5], რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უარყოფილია.

და უწოდა ღმერთმან ჴმელსა ქუეყანა და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღუებ. რატომაა ნათქვამი ამის წინ: **შეკერბიდ წყალნი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ჴმელი,** ისევე როგორც აქაც: **და უწოდა ღმერთმან ჴმელსა ქუეყანა?** იმიტომ, რომ სიხმელე თვისებაა, რომელიც საგნის ბუნებას განმასხვავებელი ნიშნით გამოარჩევს, მიწა კი რაღაც შიშველი სახელწოდებაა ქმნილებისა. ისევე როგორც მეტყველება დამახასიათებელი თვისებაა ადამიანისა, ადამიანი კი არის სიტყვა, რომელიც მიგვანიშნებს ცოცხალზე, რომელიც მეტყველია, ასევე სიხმელე თვისებაა მიწისა, ამასთან უპირატესი. ვისთვისაც სიხმელე სიკუთარი თვისებაა, იმას მიწა ეწოდა, ისევე როგორც მას, ვისი საკუთარი თვისებაც ჭიხვინია – ცხენი.

და ეს მხოლოდ დედამიწასთან მიმართებით როდია ასე, არამედ დამახასიათებელი და განმასხვავებელი თვისება ყველა სხვა სტიქიასაც აქვს, რომელიც სხვებისაგან გამოარჩევს და ყოველივე მათგანის რაგვარობას შეგვაცნობინებს. ასე მაგალითად, წყლის საკუთარი თვისებაა სიცივე, ჰაერისა – სინოტივე, ცეცხლისა – სიმხურვალე. მათი, როგორც შედგენილ საგანთა პირველადი სტიქიების, დასახელებული თვისებები მხოლოდ გონებით განიჭვრიტება, ხოლო სხეულებში თანაარსებობისას, რაჟამს შეგრძნებებს ემორჩილებიან, შეუღლებული თვისებები აქვთ. ხილული და შეგრძნებადი ნივთიერებებიდან არცერთი არაა, განცალკევებულობის თვალსაზრისით, მარტო, მარტივი და შეურევნელი. არამედ დედამიწა ხმელია და ცივი, წყალი ნოტიო და ცივი, ჰაერი მხურვალე და ნოტიო, ცეცხლი მხურვალე და ხმელი. ასე რომ, თვისებათა შეუღლებით სტიქიებში წარმოიშობა ძალა თითოეულის თითოეულთან შეერთებისა, რადგანაც ყოველივე, რომელიც საერთო თვისებით მოსაზღვრე სტიქიას შეერევა, მონათესავესთან ზიარების შედეგად, საპირისპიროსაც შეუერთდება. მაგალითად მიწა, რომელიც ხმელია და ცივი, საზიარო თვისებით – სიცივით შეერევა წყალს, წყლის საშუალებით კი – ჰაერს, რადგანაც წყალი ორივეს შორისაა განწესებული და თავისი თვისებებით, თითქოს ორი ხელით, მისი მეზობელი სტიქიებიდან ერთსაც და მეორესაც ეხება: სიცივით მიწას, ხოლო სინოტივით – ჰაერს. და კიდევ: ჰაერი თავისი შუამავლობით შემარიგებელია ბუნებით ერთმანეთთან მებრძოლი წყლისა და ცეცხლისა; ცეცხლი კი, რომელიც ბუნებით მხურვალეა და ხმელი, სიმხურვალით ჰაერს შეეყოფა, სიხმელით კი ისევ დედამიწასთან შესაერთებლად მიიქცევა. ასე

[5] გრაფიკული ნიშანი საეჭვო ადგილების აღსანიშნავად.

წარმოიშობა წრე და მწყობრი ქორო შედეგად სტიქიათა შორის თანხმობისა და შესაბამისობისა. ამიტომაც ეწოდათ მათ ფრიად შესაფერისი სახელი – სტიქიები (στοιχεῖα).

ყოველივე ეს ვთქვი, რათა წარმომეჩინა მიზეზი, რის გამოც ღმერთმა ხმელს უწოდა მიწა და არა მიწას ხმელი, რადგან სიხმელე დედამიწის შემდეგ კი არ წარმოიშვა, არამედ დასაბამიდანვე იყო აღმავსებელი მისი არსისა ის, რაც არსებულის ერთგვარი მიზეზია, ბუნებით უწინარესი და უპირატესია შემდეგ დაბადებულზე. ამრიგად, ღმერთმა დედამიწის თვისებანი მასზე უწინარეს და უხუცეს საქმეთაგან მართებულად წარმოაჩინა.

6. **და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.** ეს სიტყვები იმას კი არ მოასწავებს, რომ ღმერთს ზღვა თითქოსდა სახილველად მოეწონა, რადგან შემოქმედი თვალებით კი არ ხედავს ქმნილების სილამაზეს, არამედ დაბადებულებს გამოუთქმელი სიბრძნით ჭვრეტს. თუმცა დიდად სასურველია ხილვა ქაფით გადათეთრებული ზღვისა, რაჟამს იგი დამტკბარი, მშვიდად და უძრავად დგას და სახილველად ამაოა მაშინაც, რაჟამს ალერსიანი ნიავქარისაგან აქოჩრილი მისი ზურგი იისფერი და მუქი ლურჯია და რაჟამს გამეტებით კი არ შოლტავს მეზობელ ნაპირს, არამედ მშვიდობიანად ეხვევა, მაგრამ ასე როდი უნდა გავიგოთ წმიდა წერილის სიტყვები, როდი უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთს ზღვა ამ გაგებით მოეწონა, არამედ **კეთილი** აქ შესაქმის გონებით განსჯაზე მიუთითებს.

ჯერ ერთი, წყარო ყოველგვარი სინესტისა დედამიწაზე ზღვის წყალია, რომელიც დაფარული სადინარებიდან გამოდის, როგორც ამას ხმელეთის ფხვიერი და ქვაბოვანი ადგილები გვაჩვენებენ, რომლებშიც ზღვის მდინარე წყალი აღწევს. და რაჟამს იგი მიმოქცეულსა და ხვეულ სადინარებში ჩაიკეტება, მისივე სულით აღძრული გარეთ ისწრაფვის და დედამიწის ზედაპირს ამოხეთქს. ამ დროს მას სადინარები მარილისა და სიმწარისაგან წურავს და სასმელად ვარგისს ხდის. ხოლო როცა მიმოქცევისას მეტალებიდან სითბოს თვისებას იძენს, მაშინ იმავე მიზეზით, რომელიც მოძრავ სულში მდგომარეობს, ხშირად დულილს იწყებს და ცეცხლივით მწველი ხდება, რაც შეიძლება მრავალ კუნძულსა და ზღვისპირა ქვეყანაში ვიხილოთ. ზოგჯერ ხმელეთის შუაგულში მდინარე წყალთა მახლობლად ზოგიერთი ადგილი თითქმის იმავეს განიცდის, რათა ამ მცირე საქმეებით დიდ-დიდნი წარმოვიდგინოთ.

და ყოველივე ეს რისთვის ვთქვი? იმისათვის, რომ მთელი დედამიწა გასასვლელებითაა სავსე, სადაც წყალი, დასაბამიდანვე ზღვისა, დაფარული სადინარებით ჩაედინება.

7. ამრიგად, ზღვა მშვენიერია წინაშე ღმრთისა, რადგან ტენი დედამიწის სიღრმეში მისგან მოედინება, მშვენიერია იმიტომაც, რომ ჭურჭელია მდინარეთა და ყოველი მხრიდან ღვარებს იღებს, ისე რომ კვლავინდებურად თავისსავე საზღვრებში რჩება და კიდევ: მშვენიერია, რადგან დასაბამი და წყაროა ჰაერის წყლებისა, რაჟამს მზის მცხუნვარებისაგან გათბება, წყლის ნაწილაკები

ორთქლად ამოდის და ზესკნელისაკენ მიიტაცება, მზის სხივებით აკრეფილი სიმაღლეში ცივდება, ხოლო როცა ღრუბელთა ჩრდილი კიდევ უფრო გააცივებს, წვიმად იქცევა და დედამიწას ასუქებს.

თუ ვინმე ამას არ ირწმუნებს, შეხედოს ცეცხლზე შედგმულ წყლით სავსე ქვაბებს, რომელნიც ხშირად ცარიელდებიან, რადგან დუღილის შედეგად ის, რაც მათშია, ორთქლად განილევა.

და კიდევ: იგივე შეიძლება ვიხილოთ სხვაგანაც, კერძოდ, მეზღვაურები, როცა წყალი შემოაკლდებათ, ზღვის წყალს ადუღებენ, რათა გასაჭირი რამდენადმე მაინც შეიმსუბუქონ.

ზღვა სხვა მხრივაც მშვენიერია წინაშე ღმრთისა. იგი გარს ადგას კუნძულებს და არა მხოლოდ სამკაულია მათი, არამედ სიმტკიცეც. და კიდევ: ერთმანეთთან აკავშირებს ყველაზე დაშორებულ ხმელეთებს, დაუბრკოლებელი მგზავრობის საშუალებას აძლევს მენავეებს, რომელთა მეშვეობითაც გვახარებს ცოდნით იმის შესახებ, რაც ჩვენთვის უცნობია, საფასეს მოაგებინებს ვაჭრებს, ადვილად აწესრიგებს ცხოვრებისეულ საჭიროებებს, მისით გამოაქვთ თუ რამ სადმე ჭარბადაა და მიაქვთ იქ, სადაც მისი საჭიროებაა.

და საიდან მექნება მე ძალა ყოველი სიკეთე ზღვისა ისეთი სიზუსტით ვიხილო, როგორც ეს დამბადებლის თვალებს წარმოუდგა? და თუ ზღვა მშვენიერია და საქებარი წინაშე ღმრთისა, რამდენად უფრო მშვენიერი იქნება მის წინაშე კრება იმგვარი ეკლესიისა, რომელშიც მსგავსად ტალღისა ნაპირს რომ ეხლება, შეერთებული ვედრება კაცთა, ქალთა და ყრმათა ღმრთისა ჩვენისა მიმართ აღივლინება?

დაე, ღრმა სიმშვიდემ დაიცვას იგი ურყევად და სულთა უკეთურთა ვერ შეძლონ ერეტიკული სწავლებებით შფოთის ჩამოგდება მასში. იყავით თქვენ ღირსნი უფლისაგან შეწყნარებისა და მცველნი ამ სიმწყობრისა და მშვენიერებისა ჩვენი უფალის, იესო ქრისტეს წყალობით, რომლისა არს დიდება და მეუფება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰომილია V

დედამიწისაგან აღმოცენებულთა შესახებ

1. **და თქუა ღმერთმან: ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა, მთესველი თესლისა ნათესავობისაებრი და მსგავსებისაებრი და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა, რომლისა თესლი მისი მის თანა**(შესქ.1,11). შემდგომად დედამიწის განსვენებისა და წყლის სიმძიმის განგდებისა, ებრძანა მას, რათა პირველად გამოეღო ბალახი, ხოლო მერმე ხე, როგორც ამას აქამდე ვხედავთ. რადგანაც მაშინდელი ხმა და ეს პირველი ბრძანება, როგორც რაღაც ბუნებითი კანონი იქმნა და დედამიწაზე დარჩა, იქიდან მოყოლებული დღემდე აძლევს მას შობისა და ნაყოფის გამოღების ძალას.

ქუეყანამან გამოიღედ. დასაბამი მცენარის წარმოშობისა აღმოცენებაა:

რაჟამს მცირედ ამოყოფს თავს, მორჩია, ხოლო რაჟამს გაიზრდება, ბალახად იქცევა, ვიდრე თანდათანობითი გასრულებით თესლის გამოღებამდე მიაღწევდეს, რადგანაც სინორჩე და მომწიფება ყველას ერთნაირი აქვს.

ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა. ეს ნიშნავს, რომ დედამიწამ თავისით უნდა გამოიღოს ნაყოფი, ისე რომ სხვისი მხრიდან შემწეობა არ დასჭირდეს, თუმცაღა ზოგიერთი ფიქრობს, რომ მიზეზი დედამიწისაგან მცენარეთა აღმოცენებისა მზეა, რადგანაც იგი მხურვალებით ამოზიდავს მის წიაღში დაფარულ ძალას ვიდრე არ წარმოაჩენსო. მაგრამ დედამიწა სამკაულებით მზეზე ადრე იმიტომ დამშვენდა, რომ შეცდომილებს თაყვანისცემა მზისა და აღიარება იმისა, რომ იგია მიზეზი სიცოცხლისა, შეეწყვიტათ.

თუკი ირწმუნებენ, რომ მთელი დედამიწა მზის დაბადებამდე გამშვენდა, მისით უზომო გაკვირვება შეუმცირდებათ და მოიაზრებენ, რომ თავისი წარმოშობით იგი უმრწემესია მორჩსა და ბალახზე. ამიერიდან, როცა პირუტყვთათვის განმზადდა საზრდელი, ჩვენც ხომ ვიქნებოდით ღირსი ზრუნვის გამოჩენისა? ვინც ხარებსა და ცხენებს განუმზადა საკვები, შენთვის კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე და განსაცხრომელი განამზადა, რადგან იმით, რომ საქონელს არჩენს, ამით სასიცოცხლოდ აუცილებელ სახმარსაც გიმრავლებს. და კიდევ: თესლთა აღმოცენება სხვა რა არის, თუ არა მარაგი სურსათ-სანოვაგისა? გარდა ამისა, მრავალი მხალიცა და მწვანილიც ხომ ადამიანთა საზრდელს წარმოადგენს.

2. ნათქვამია: **ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა, მთესველი თესლისა ნათესავობისაებრი.** თუმცაღა ზოგიერთი ჯიშის ბალახი სხვებისთვისაა განკუთვნილი, სარგებელი მაინც ჩვენ გვიბრუნდება და თესლის გამოყენებაც ჩვენთვისაა განსაზღვრული. ამიტომაც ნათქვამის შინაარსი ასეთია: **ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა, და თესლი მთესველი ნათესავობისაებრ,** რადგან ამგვარად შეიძლება აღდგეს თანმიმდევრულობა სიტყვაში, რომელიც ახლა შეუთანხმებლად გვეჩვენება და დაცულ იქნას იგი მათ შორის, რასაც ბუნება წარმოშობს: პირველად აღმოცენებაა, მერმე მორჩი, შემდგომად მისა გაზრდა ბალახისა და ბოლოს ზრდის გასრულება თესლით.

ამბობენ: როგორღა ითქვა, რომ ყოველი, რასაც მიწა აღმოაცენებს, თესლოვანია, მაშინ, როცა ლერწამი და ნამიკრეფია, პიტნა და ზაფრანი, ნიორი და ჭილი და კიდევ სხვა მრავალი ჯიში მცენარეთა, როგორც ვხედავთ, უთესლოა? ამის თაობაზე ვიტყვით, რომ მრავალი რამ აღმოცენდება მიწიდან, რომელსაც ძალა თესლისა ძირსა და ფესვში აქვს; როგორც მაგალითად, ლერწამს; ერთი წლის რომ გახდება, იგი ფესვისაგან გამოიღებს ყლორტს, რაც მომავალი წლისათვის მისი თესლია. ასევეა მრავალი სხვაც, რომელნიც დედამიწაზე ცხოვრობენ და ჯიშის გაგრძელების ძალა ფესვებში აქვთ. და მართლაც, ყოველ მცენარეს ან თესლი აქვს, ან სათესლე ძალა. სწორედ ამას ნიშნავს **ნათესავობისაებრი**, რადგან ლერწმის ყლორტი ზეთისხილს ვერ გამოიღებს, არამედ ლერწმისაგან ლერწამი გამოვა და დათესილი თესლიდან მსგავსი თეს-

ლისა აღმოცენდება. რაც კი დედამიწამ თავდაპირველი შობისას აღმოაცენა, დღემდეა შემონახული, რადგან ჯიშს მემკვიდრეობის გადაცემით ინახავს.

ქუეყანამან გამოიღედ. მოიაზრე, თუ ვითარ მსწრაფლ აღიძრა ცივი და ბერწი დედამიწა, მცირე ხმისა და მოკლე ბრძანების შედეგად, მშობიარობის ტკივილისა და ნაყოფის გამოღებისათვის, განიძარცვა სამოსელი გლოვისა და მწუხარებისა, ბრწყინვალე სამოსელით შეიმოსა, საკუთარი სამკაულებით გაიხარა და მცენარეთა მრავალი ჯიში გამოიღო.

მსურს უფრო მტკიცედ ჩაგინერგო დაბადებულით გაკვირვება, რათა სადაც არ უნდა იყო და რომელი ჯიშის მცენარეც არ უნდა შეგხვდეს, ცხადად გაიხსენო დამბადებელი მისი. პირველ რიგში, რაჟამს ბალახის მორჩს ან ყვავილს იხილავ, გულისხმაჰყავ ადამიანის ბუნება და გაიხსენე სახისმეტყველება იგი ბრძენი ესაიასი: **ყოველი ხორციელი თივა არს და ყოველი დიდება კაცისაჲ ვითარცა ყუავილი თივისაჲ**(ეს.40,6), რადგანაც სიცოცხლის დროისა და კაცობრივი კეთილდღეობის ხანმოკლე სიხარულსა და შვებას წინასწარმეტყველის მიერ ჭეშმარიტად შესაფერისი ხატი მოეძებნა.

დღეს ვინმე სხეულით განცხრომაშია, ფუფუნებისაგან ხორცითაა დამძიმებული, ჭაბუკური ასაკის შესაფერისად კეთილფეროვნებით ჰყვავის, ძლიერია, სიცოცხლით აღსავსე და სურვილებში დაუმარცხებელი, ხვალ კი, ან დროისაგან ჩამომჭკნარი, ან სატკივარით დაუძლურებული მხოლოდ სიბრალულსღა იწვევს.

დღეს ვინმე ცნობილია დიდი სიმდიდრით, მის ირგვლივ სიმრავლეა პირფერთა და მცველთა, რომელნიც მეგობრობის პატივს იჩემებენ და მისი წყალობის მოსაპოვებლად თავს არ ზოგავენ; უამრავი ნათესავი და მრავალრიცხოვანი გუნდი მსახურთა, რომელიც ან მისი საჭმლისათვის ზრუნავს, ან მის რომელიმე სხვა მოთხოვნას აღასრულებს, სახლიდან გასვლისას თუ შინ დაბრუნებისას თან მიჰყვებ-მოჰყვებიან და შემხვედრთა შორის შურს აღძრავენ. ამასთან, სიმდიდრეს რომელიმე სამოქალაქო ძალაუფლებაც დაუმატე; ან პატივი მეფეთაგან, ან მმართველობა ხალხებისა, ან კიდევ წინამძღოლობა ლაშქრისა, მაცნე, რომელიც მის წინაშე ხმამაღლა ღაღადებს, კვერთხოსანნი, რომელნიც ქვეშევრდომთა ზედა ისეთ საშინელ მღელვარებასა და გვემას მოაწევენ, როგორიცაა ქონების ჩამორთმევა, დაპატიმრება და საპყრობილე, რაც აუტანელ შიშს ხელქვეითთა შორის კიდევ უფრო ზრდის. მაგრამ რაღაა შემდგომად ამისა? ერთი ღამე, ერთი ხურვება, ჭვალი გვერდებისა ან ანთება ფილტვებისა მას კაცთაგან წარიტაცებს და სცენიდან გაიყვანს, მყის დაცარიელდება სამოქმედო ადგილი მისი და დიდება მისი, ვითარცა სიზმარი წარხდება. ამიტომაც შეადარა წინასწარმეტყველმა კაცობრივი დიდება უუძლურეს ყვავილს.

3. **ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა, მთესველი თესლისა ნათესავობისაებრი და მსგავსებისაებრი.** მცენარეთა წესი დღემდე თავდაპირველ წესრიგზე მოწმობს, რადგანაც ყოველგვარ მწვანილსა და ბალახს წინ აღმოცენება უძღვის. გამოვა რა ფესვიდან მიწისქვეშა ყლორტი, ვითარცა მაგალითად

ზაფრანისა და ნამიკრეფიასი, ღივი ზევით ამოიწვერება; ასევეა თესლის შემთხვევაშიც, პირველად აუცილებელია აღმოცენება, შემდეგ მორჩად ქცევა, შემდეგ მწვანე ბალახად და ბოლოს გამხმარსა და გამსხვილებულ ღეროზე ნაყოფის მომწიფება.

ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა. რაჟამს თესლი მიწაზე დავარდება, რომელსაც სითბო და სინოტივე თანაბრად აქვს, გაიბერება, ფორები გაუმრავლდება და შემოწოლილი მიწით გარემოცული მისთვის დამახასიათებელსა და ნათესაურს ფორებში მიიტაცებს; ხოლო როცა მათში მიწის უწვრილესი მტვერი შეიჭრება, მოცულობით გაზრდილი თესლი ქვემოთ ფესვებს გამოიღებს, ხოლო ზემოთ ამოიწვერება. რამდენი ფესვიც ქვემოთ აქვს, ზემოთაც იმდენი ღერო ექნება; მუდმივად გამთბარი მორჩი ფესვებით სინოტივეს შეიწოვს და სითბოს საშუალებით მიწიდან იმდენ საზრდელს ამოიღებს, რამდენიც სჭირდება და მას როგორც ღეროს, ქერქსა და მარცვლის ბუდეს, ასევე თავად მარცვალსაც და ფხებსაც გაუნაწილებს. ამგვარად, ყოველი მცენარე მარცვლეულთა, პარკოსანთა, ბოსტნეულთა თუ ბუჩქნართა ჯიშიდან თანდათანობითი ზრდისას მისთვის ჩვეულ ზომას მიაღწევს.

ერთი ბალახი, მისი ერთი ღეროც საკმარისია, რომ მთელი შენი გონება მოიცვას და განჭვრიტო ხელოვნება შემოქმედისა, რომელმაც იგი შექმნა; მაგალითად, როგორ შეირტყამს სარტყლად ხორბლის ღერო მუხლებს, რათა მათ, ვითარცა საკრველთა, სიმძიმე თავთავისა, რაჟამს მარცვლებით სავსე მიწისაკენ დადრკება, ადვილად იტვირთონ; შვრიის ღერო კი ცარიელია იმიტომ, რომ მის წვერს სიმძიმე არა აქვს. ბუნებამ ხორბლის ღერო ამგვარი მუხლებით დაიცვა, მარცვალი ბუდეში მოათავსა, რათა ფრინველებს არ წარეტაცათ, ხოლო ნემსივით წამახული ფხები პატარა ცხოველებისაგან მიყენებული ზიანისაგან თავდასაცავად მისცა.

4. რაღა ვთქვა, ან რის შესახებ დავდუმდე? ქმნილებათა მდიდარ საგანძურში სხვაზე აღმატებული პატივის მქონის პოვნა ძნელია, ხოლო რომელიმეს უყურადღებოდ დატოვება – შემაწუხებელი დანაკლისი.

ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა და საზრდელთან ერთად მომაკვდინებელიც ამოვიდა: ხორბალთან შხამა, ხოლო სხვა საზრდელთან: ლემი, ხარისძირა, ვაშლაძილა და ხაშხაში. რა ვქნათ? მადლობა აღარ შევწიროთ დამბადებელს იმისათვის, რომ ბევრი რამ სასარგებლო მოგვცა და ბრალი დავდოთ იმისათვის, რაც ჩვენი სიცოცხლისათვის დამღუპველია? თუ მოვიაზროთ, რომ ყოველი, რაც შეიქმნა, ჩვენი მუცლისათვის არ შექმნილა? მაგრამ ჩვენთვის განმზადებული საზრდელი ხომ ჩვენს ხელთაა და ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ხოლო რაც შეეხება სხვებს, ქმნილებათაგან თითოეული დაბადებულთა შორის თავის საკუთარ დანიშნულებას აღასრულებს. მაგალითად, რადგანაც ხარის სისხლი შენთვის სასიკვდილოა, ამიტომ იგი ან საერთოდ არ უნდა დაბადებულიყო, ან უსისხლო უნდა ყოფილიყო? მისი ძალა ხომ ესოდენ

საჭიროა ჩვენი ცხოვრებისათვის? შენთვის საკმარისია გონება, რომელიც შენში ცოცხლობს, რათა იმისგან, რაც სასიკვდილოა, თავი დაიცვა. თუ ცხვრებიცა და თხებიც კი გაურბიან იმას, რაც მათი სიცოცხლისათვის საშიშია, მაშინ როცა მავნებელს მხოლოდ ალღოთი არჩევენ, შენთვის, რომელსაც გონება და კურნების ხელოვნება მოგენიჭა, რომელიც სასარგებლოზე მიგითითებს და თანაც მავნებლისაგან მორიდებას წინაპართა გამოცდილებაც გასწავლის, მითხარი, ძნელი უნდა იყოს განშორება იმისაგან, რაც სასიკვდილოა? არცერთი ამათგანი არ შექმნილა ამაოდ და უსარგებლოდ, რადგანაც ისინი ან საკვებია ზოგიერთი ცხოველისა, ან კიდევ: სამკურნალო ხელოვნების მიერ რომელიმე სატკივარის შესამსუბუქებლად თავად ჩვენთვისაა აღმოჩენილი. შხამას შაშვები ძოვენ. ისინი სხეულის აგებულების წყალობით საწამლავისაგან ვნებას არ განიცდიან, რამდენადაც ფორები გულისა წვრილი აქვთ და შთანთქმულს მანამდე ალხვობენ, სანამ მის მიერ წარმოშობილი სიცივე გულამდე მიაღწევდეს. ხარისძირათი(ელევენი) კი მწყრები საზრდოობენ, რომელნიც ვნებას ასევე თავიანთი აგებულებით ირიდებენ. მაგრამ ზოგჯერ ეს მცენარენი ჩვენთვისაც სასარგებლონი არიან. მკურნალნი ვაშლაძილათი(მანდრაგორა) აძინებენ, ხოლო ოპიუმით სხეულის ძლიერ ტკივილებს აყუჩებენ. ზოგიერთებმა შხამათი გაუმაძღრობის სიცოფე განკურნეს, ვაშლაძილათი კი მრავალი დაძველებული სენი ამოძირკვეს. ამრიგად, რისთვისაც შენ დამბადებლისათვის ბრალის დადებას ფიქრობდი, ისინი უმეტესი მადლობის მიზეზად გექცა.

5. **ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისაჲ.** თქვა და რამდენი საზრდელი წარმოაჩინა იმათ ძირებსა, თვითონ მცენარეებსა თუ ნაყოფებში, რომელნიც ან თავისით აღმოცენდებიან, ან კიდევ შრომისა და მიწის დამუშავების შედეგად. თესლისა და ნაყოფის გამოღება მაშინვე კი არ ბრძანა, არამედ ჯერ აღმოცენება და გადამწვანება დედამიწისა, ხოლო შემდეგ თესლით გასრულება ზრდისა, რათა ეს პირველი ბრძანება ბუნებისათვის შემდგომშიაც მორჩილების შეგონება ყოფილიყო.

ამბობენ: როგორღა გამოაქვს დედამიწას ჯიშის მიხედვით თესლი, მაშინ, როცა ხშირად ხორბალს ვთესთ და შავ მარცვალს ვიმკითო, მაგრამ ეს შეცვლას კი არ ნიშნავს ჯიშისა, არამედ თესლის რაღაც სენსა და უძლურებას, მან ხორბლის ბუნება კი არ განაგდო, არამედ, როგორც ამაზე მისი სახელწოდებაც მიგვანიშნებს, ხვატისაგან გაშავდა და დაიწვა რა გარდამეტებული ყინვისაგან, სხვა ფერი და გემო შეიძინა. ამბობენ, რომ თუკი იგი კვლავ კეთილ ნიადაგში მოხვდება და ჰაერიც შეზავებული იქნება, ძველ სახეს დაიბრუნებსო. ამგვარად, მცენარეთა შორის ვერაფერს იპოვი ისეთს, ამ ბრძანების საწინააღმდეგოდ რომ ხდებოდეს. ე.წ. ჭიოტა და სხვა ამდაგვარ სარეველათა თესლნი, რომელნიც საკვებად ვარგისებს შეერევიან და რომელთაც წმ. წერილში ჩვეულებრივ ღვარძლი ეწოდება, ხორბლის გარდასახვის შედეგად კი არ არიან წარმოშობილნი, არამედ საკუთარი დასაბამიდან წარმოდგებიან და საკუთარი ჯიში აქვთ.

ესენი სახეა იმათი, რომელნიც უფლის მოძღვრებას ამახინჯებენ და სიტყვას ჭეშმარიტად კი არ ემოწაფებიან, არამედ ბოროტი სწავლებისაგან წამხდარნი ეკლესიის ჯანსაღ სხეულს შეერევიან, რათა თავიანთი ვნებანი უდანაშაულოებს ფარულად გადადონ. შეადარა რა მისი მორწმუნეების სრულყოფა თესლის აღორძინებას, უფალმა თქვა: **ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა და დაიძინის, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ, რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფს გამოიღებს: პირველად წუელი, მერმე თავი, მაშინლა სავსე იფქლი თავსა მას შინა**(მარკ.4,26-28).

ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი. – დედამიწამაც, რათა დაეცვა სჯული დამბადებლისა, აღმოცენებიდან მოკიდებული, თვალის დახამხამებაში გაიარა ყველა სახე ზრდისა და ამონაყარნი გასრულებამდე მიიყვანა: და იქმნა ვრცელი მდელონი უხვი სიმწვანით და ნაყოფიერი მინდვრები აქოჩრილი პურის ყანებით, ღელვა თავთავთა – ვითარცა ღელვა ზღვის ტალღებისა.

ყველა ამგვარი მცენარე და მწვანილი ყველა ჯიშისა, ზოგიც დატოტვილი და ზოგიც პარკოსანი, დედამიწაზე მაშინ უხვად აღმოცენდა, რადგან აღმოცენება იმ დროს ვერაფერმა ვერ შეაჩერა; ვერც მუშაკთა გამოუცდელობამ, ვერც შეუზავებელმა ჰაერმა და ვერც სხვა რომელიმე მიზეზმა აღმოცენებულებს ვნება ვერ მიაყენეს. დედამიწის ნაყოფიერებას მსჯავრდება ჯერ კიდევ არ აბრკოლებდა, რადგანაც ეს უწინარეს ცოდვისა იყო, რომლის გამოც ჩვენ პურის ჩვენი ოფლით ჭამა მოგვესაჯა.

6. ითქვა: **და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა, რომლისა თესლი მისი მის თანა მსგავსებისაებრ ქუეყანასა ზედა.** ამ სიტყვის შედეგად გახშირდა ბუჩქნარი, ამოიტყორცნა ყოველი ხე, რომელთაც ზრდისას დიდ სიმაღლეს მიაღწიეს: ნაძვი და კედარი, კვიპაროსი და ფიჭვი. ყოველი ჩირგვი მსწრაფლ დაიტოტა და უხვად გაიფოთლა; გამოჩნდნენ მცენარენი საგვირგვინონი: ვარდი, მურტი და დაფნა. ყოველივე, რაც მანამდე დედამიწაზე არ ყოფილა, თითოეული საკუთარი თვისებით ყოფიერებაში თვალისდახამხამებაში მოვიდა, სხვა ჯიშის მცენარეთაგან თვალსაჩინო სხვაობებით გამოყოფილი. ყოველი მათგანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებით გამოიცნობა. მაგრამ, ვარდი მაშინ უეკლო იყო, ყვავილის სილამაზეს მხოლოდ შემდეგ შეერთო ეკალი, რათა ტკბობის სიამესთან ახლოს გვქონდეს მწუხარებაც, შემხსენებელი იმ ცოდვისა, რომლის გამოც დედამიწას ჩვენთვის **ეკალისა და კუროჲსთავის** აღმოცენება მიესაჯა(შესქ.3,18).

უკეთუ ვინმე იტყვის: დედამიწას ებრძანა გამოეღო **ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა, რომლისა თესლი მისი მის თანა,** ჩვენ კი მრავალ ხეს ვხედავთ, რომელთაც არც ნაყოფი აქვთ და არც თესლიო, რა უნდა ვუპასუხოთ? ის, რომ უპირატესად ის მცენარეები არიან მოხსენიებულნი, რომელნიც ბუნებით უფრო კეთილშობილურნი არიან და კიდევ: უკეთუ წვრილად შეისწავლი, აღმოჩნდება, რომ ყოველ მცენარეს ან თესლი, ან რაღაც თესლის თანაბარი ძალის მქონე აქვს.

შავსა და თეთრ ალვებს, ტირიფებს, ძელქვებსა და სხვა ამდაგვარებს, მართალია, არა აქვთ ნაყოფი თვალსაჩინო, მაგრამ თუ დაწვრილებით გამოვიძიებთ, ვნახავთ, რომ თესლი ყოველ მათგანს აქვს, რადგანაც მარცვალი, რომელიც ფოთლის ქვეშაა და რომელსაც მათ, ვინც ყოველივეს თავის სახელს არქმევს "მისხონ"(μισχόν) უწოდეს, თესლის ძალის მქონეა. ის ხეები კი, რომელნიც ტოტებისაგან აღმოცენდებიან, მათგან მრავალ ფესვს გამოიბამენ. შესაძლებელია თესლის მნიშვნელობა ჰქონდეთ ფესვებიდან ამონაყარებსაც, რომელთა გადანერგვითაც მებაღენი ჯიშს ამრავლებენ. მაგრამ, როგორც ითქვა, პირველად მოხსენიების ღირსნი ისინი გახდნენ, რომელნიც ჩვენი სიცოცხლისათვის უფრო საჭირონი არიან, ადამიანებს თავიანთ ნაყოფს აწვდიან და უხვ საზრდელს უმზადებენ. ასეთია ვაზი, რომლისაგანაც იქმნება ღვინო, რომელიც **ახარებს გულსა კაცისასა**, ასეთია ზეთისხილიც, მას გამოაქვს ნაყოფი, რომელიც **საცხებელითა მხიარულ-ყოფს პირს**(ფს.103,15). და ბუნებისაგან დაბადებული რამდენი მოაწყდა ასეთი სისწრაფით? ძირი ვენახისა და მის ირგვლივ მიწაზე განფენილი მწვანე და დიდი რტოები, რქაჲ, ხვიარა ულვაშები, ისრიმი და მტევნები. საკმარისია შეხედო და ვენახის გონივრული ჭვრეტა შთაგაგონებს შენ, რა უნდა მოგაგონოს ბუნებამ, რადგან, რაღა თქმა უნდა, გახსოვს იგავი უფლისა, რომელმაც თავისთავს ვენახი, მამას მოქმედი, ხოლო ყოველ ჩვენგანს, ვინც ეკლესიაში სარწმუნოებითაა დანერგული, რტო გვიწოდა და კეთილი ნაყოფის გამოღებისაკენ მოგვიწოდა, რათა უსარგებლობისათვის ცეცხლისთვის მიცემა არ მოგვესაჯოს(ინ.15,16). საერთოდაც ადამიანთა სულები ვენახთან მრავალგზისაა შედარებული: **ვენაჯი ექმნა შეყვარებულსა რქისა მიერ ადგილსა შინა პოხილსა** და კიდევ: **ზღუდე გარემოვსდევ და მოვიკრძალე და დავჰნერგე ვენაჯი**(ეს.5,2).

ცხადია, იგი ვენახში ადამიანთა სულებს გულისხმობს, რომელთათვისაც აღმართა ზღუდე – მცნებათა სიმყარე და დაცვა ანგელოზთაგან, რამეთუ **დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოს მოშიშთა მისთა**(ფს.33,8) და კიდევ: თითქოსდა სანგარით შემოგვზღუდა, როცა ეკლესიაში **პირველად მოციქულნი, მეორედ წინაჲსწარმეტყუელნი და მესამედ მოძღუარნი**(Iკორ.12,28) დაადგინა. ამაღლებს რა ჩვენს აზრებს ძველი, ნეტარი კაცების მაგალითებით, არ მიატოვა ისინი მზაკვრობისთვის დასამორჩილებლად და დათრგუნვის ღირსად. მოითხოვს, აგრეთვე, ჩვენგან, რომ შევიწყნაროთ, როცა სანგარს გვავლებენ; იგი ხომ სულს იმ ამსოფლიურ საზრუნავთა განდევნით გვევლება, რომელნიც ჩვენს გულებს ამძიმებენ. ამრიგად, ვინც ხორციელ სიყვარულს განაგდებს, სიმდიდრის წადილსა და ამქვეყნიური უბადრუკი დიდებისაკენ მისწრაფებას საძაგლად და სასაცილოდ მიიჩნევს, ვითარცა სანგარშემოვლებული, შვებით ამოისუნთქავს, მოიხსნის რა ფუჭ ტვირთს მიწიერი სიბრძნისა. იგავის სიტყვისამებრ: ნურავინ განდიდდება, ანუ, რაც იგივეა, რაც მოსაჩვენებლად უნდა მოქალაქობდეს და არც გარეშეთა ქებამ უნდა მოინადიროს, არამედ კეთილი ნაყოფი გამოიღოს და ჭეშმარიტ მუშაკს დაუნჯებული თვისნი საქმენი აჩვენოს.

ხოლო იყავი შენ **ვითარცა ზეთისხილი ნაყოფიერი სახლსა ღმრთისასა**(ფს.51,10), სასოებისაგან ნურასოდეს განიძარცვები, არამედ მუდამ ჰყვაოდეს შენში რწმენით მოპოვებული იმედი ხსნისა, რადგანაც ამით მიბაძავ მარადიულ სიმწვანეს ამ მცენარისა, ნაყოფის სიმრავლეში გაეჯიბრები და უხვად გასცემ ყოველ ჟამს მოწყალებას.

7. მაგრამ მივუბრუნდეთ გამოკვლევას ხელოვანის ბრძანებათა, კერძოდ, რამდენგვარი მცენარე აღმოცენდა, ზოგი ნაყოფის მომცემი, ზოგიც ვარგისი სახლებისა და ხომალდთა ასაგებად და ზოგიც დასაწველად. და კიდევ: მრავალფეროვანია ნაწილთა შეწყობა თითოეულ ხეშიც, ძნელია პოვნა თითოეულის საკუთარი თვისებისა და განჭვრეტა იმისა, რაც სხვადასხვა ჯიშის ხეებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. როგორ ხდება, რომ ზოგ მათგანს ფესვები ღრმად აქვს გადგმული, ზოგს კი, პირიქით, ზოგი სწორად იზრდება და ერთი ღერო აქვს, ზოგი კი დაბალია და პირდაპირ ძირიდანვე განტოტვილი? როგორ ხდება, რომ ისინი, რომელთაც გრძელი და ჰაერში შორს გაწვდილი რტოები აქვთ, ძირებსაც სიღრმეში იდგამენ, რომელთა ირგვლივაც მრავალი წვრილი ფესვია, ვითარცა ბუნებისაგან შექმნილი შესაბამისი საფუძველი, რომელმაც ზემო ნაწილის სიმძიმე უნდა იტვირთოს?

და ქერქთა რამდენი სხვადასხვა სახეა! ხეებიდან ნაწილს გლუვი ქერქი აქვს, ნაწილს კი ნაოჭებიანი. ამასთან, ზოგის ქერქი ერთფენოვანია, ზოგის კი – მრავალფენოვანი. და რაც საოცარია, მცენარეებში იპოვნი ნიშნებს, რომლებიც კაცობრივ სიჭაბუკესა და სიბერეს ემსგავსებიან; ნორჩსა და ჯანსაღ ხეებს ქერქი მჭიდროდ ეკვრით, ბებერ ხეებში კი იგი დაღვლარჭნილი და გამაგრებულია. ზოგიერთი მოჭრის შემდეგ ისევ აღმოცენდება, ზოგი კი, თითქოს მოკვეთა მისთვის სიკვდილს ნიშნავდა, უმემკვიდროდ რჩება. ზოგიერთებმა ისიც კი შეამჩნიეს, რომ მოჭრილი ან დამწვარი ნაძვები ძირებისაგან კვლავ აღმოცენდებიან და ტევრად იქცევიან. მიწათმოქმედთა ზრუნვის წყალობით მრავალ ბუნებით ბოროტ ხეს განკურნებულს ვხედავთ, როგორც მაგალითად, მჟავე ბროწეულსა და მწარე ნუშს, კერძოდ, მათ ძირთან ტანს უხვრეტენ და ზუსტად გულში ნაძვის მსხვილ სოლს არჭობენ, რის შედეგადაც კეთილად იცვლებიან და ნაყოფსაც კეთილს გამოიღებენ, რომელსაც უსიამოვნო გემო აღარ აქვს.

მათ მსგავსად, უკეთუ ვინმე ბოროტებასა შინაა, სასოს ნუ წარიკვეთს, რადგან უნდა იცოდეს, რომ ვითარცა მიწათმოქმედი ცვლის მცენარეთა რაგვარობას, ასევე ზრუნვას სულის სიქველეზე შეუძლია ყოველგვარი სენი დაამარცხოს.

ნაყოფის გამომღებელ ხეთა ნაყოფთა შორის სხვაობანი ისე დიდია, რომ არავის შეუძლია სიტყვით გადმოსცეს მათ შესახებ, რადგან სხვაობანი არა მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ნაყოფთა შორის არსებობს, არამედ თვით ერთ სახეობაშიც კი ხისა მრავალფეროვნებაა, მაგალითად, სხვაგვარია

ნაყოფი მამრი ხისა და სხვაგვარი მდედრისა, როგორც ამას მებაღენი განარჩევენ, რომელნიც ფინიკის ხეებს მამრებად და მდედრებად ყოფენ.

შესაძლებელია შენც ნახო, რომ ზოგჯერ მცენარეს, რომელსაც ისინი მდედრს უწოდებენ, თითქოს გულისთქმით ანთებულს მამრისაგან მოხვევა სურსო, ტოტები დაშვებული აქვს. მცენარეთა მკურნალნი რტოებზე მას რაღაც მამრის თესლის მსგავსს აყრიან, რომელსაც „ფსინს“ (ψήνας) უწოდებენ, ხეც, თითქოს ტკბობა შეიგრძნოო, ტოტებს აღმართავს და მისი აგებულება ჩვეულებრივ სახეს იბრუნებს. იმავეს ამბობენ ლეღვის შესახებაც. ამიტომაც ზოგიერთები ბაღის ლეღვებთან ველურ ლეღვს რგავენ, ხოლო სხვები კეთილი ნაყოფის მომცემი ბაღის ლეღვის უძლურებას იმით კურნავენ, რომ მასზე ველური ლეღვის მკვახე ნაყოფს ჰკიდებენ და ამით უნარჩუნებენ უმწიფარ ნაყოფს, რომელსაც ჭკნობა და ჩამოცვენა უკვე დაწყებული ჰქონდა.

რას ფიქრობ, რისთვისაა ეს იგავი ბუნებისა? იმისათვის, რომ ჩვენ ხშირად გულმოდგინებას კეთილ საქმეთა ჩვენებაში უცხო სარწმუნოების ადამიანებს უნდა დავესესხოთ.

რაჟამს იხილავ წარმართობაში მყოფს ან მაცდუნებელი ერესის გამო ეკლესიისაგან განდგომილს, რომელიც უბიწოდ ცხოვრობს და ხასიათის კეთილკრძალულებაზეც ზრუნავს, მეტი მისწრაფება შეიძინე, რათა ნაყოფიერ ლეღვს დაემსგავსო, რომელიც ძალას ველური ლეღვის სიახლოვით იკრებს და ნაყოფი კი აღარ სცვივა, არამედ უფრო დიდი მზრუნველობით ზრდის.

8. ასეთია სხვაობანი ნაყოფთა წარმოშობის სახეთა შორის, რის შესახებაც მრავლისაგან მცირედი ვთქვით. მაგრამ ვინ მოგვითხრობს მრავალფეროვნებაზე თვითონ ნაყოფთა? მათ ფორმაზე, ფერზე, თითოეულის გემოსა ან სარგებლობაზე? რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მათგანს მზე შიშველს ამწიფებს, ხოლო ზოგიც ბუდეში დაფარული მწიფდება? მათ, რომელთაც ნაყოფი ნაზი აქვთ, ფოთოლთა საბურველი რატომღა აქვთ სქელი, როგორც მაგალითად ლეღვს? ხოლო მაგარნაყოფიანებს ფოთოლთა სამოსელი მსუბუქი – ვითარცა კაკალს? იმიტომ, რომ პირველს დიდი შემწეობა სჭირდება თავისი უძლურებისა გამო, ხოლო მეორეს უფრო სქელი საბურველი ავნებდა იმით, რომ ჩრდილში მოაქცევდა. როგორაა ვაზის ფოთოლი დაპობილი ისე, რომ მტევანს ჰაერისაგან ვნებაც ააცილოს და სითხელის გამო მზის სხივებიც უხვად მიაღებინოს?

არაფერია უმიზეზოდ და არაფერია შემთხვევითი. ყველაფერში რაღაც გამოუთქმელი სიბრძნეა, რომელი სიტყვა მისწვდება მას? ან კაცობრივმა გონებამ ყოველივე ისე ზუსტად როგორ უნდა გამოიკვლიოს, რომ თითოეულის თავისებურებანი დაინახოს, მათ შორის არსებული სხვაობებით ერთმანეთისაგან გამოყოს და ამის დაფარული მიზეზებიც სრულად წარმოადგინოს?

ერთი და იგივე წყალი, რომელსაც ფესვი შეიწოვს, სხვაგვარად კვებავს თვითონ ძირს, სხვაგვარად ქერქს ტანისა, სხვაგვარად მერქანს და კიდევ სხვაგვარად გულს. ერთი და იგივე ფოთლადაც იქმნება, წვეროებადაც და ტოტებადაც

იყოფა და ნაყოფსაც ზრდის, მცენარეთა ცრემლი და წვენიც ამავე მიზეზიდან მომდინარეობს. მაგრამ ყოველივე ამათ შორის როგორი სხვაობანი არსებობს, ამის გამოთქმას ვერანაირი სიტყვა ვერ შესწვდება, რადგან სხვაა ცრემლი ფისის ხისა და სხვა წვენი ბალზამისა, ხოლო ეგვიპტესა და ლიბიაში ქოლგისებური მცენარეები სულ სხვაგვარ წვენს გამოყოფენ. იმასაც ამბობენ, რომ ქარვა ხეების წვენია, გაყინვის შედეგად გაქვავებული. ამას ადასტურებს წვრილი ღეროები და პაწაწინა ცხოველები, რომელნიც ვიდრე წვენი ნედლია, ეკრობიან და მასში რჩებიან. და საერთოდ, ვინც გამოცდილებით არ იცის, თვისებათა მიხედვით, როგორია სხვაობა წვენთა შორის, მათი მოქმედების წარმოსაჩენად სიტყვებს ვერ იპოვნის. და კვლავ: რატომაა, რომ ერთი და იმავე ტენისაგან ვაზი ღვინოს იძლევა, ზეთისხილი კი ზეთს? საკვირველი მხოლოდ ის როდია, რომ ტენი ერთში სიტკბოდ იქცა, ხოლო მეორეში ცხიმად, არამედ ისიც, რომ თვისებათა სხვაობა თვით ტკბილ ნაყოფთა შორისაც აღურაცხელია, რადგან სხვაა სიტკბო ყურძნისა და სხვა ვაშლისა, სხვა ლეღვისა და სხვა ფინიკისა.

კიდევ მსურს, რომ შენ საქმის ცოდნით გამოიკვლიო, თუ რატომაა, რომ ერთი და იგივე წყალი, რაჟამს ამ მცენარეთა შინა დატკბება, ლბილია შეგრძნებისათვის, ხოლო რაჟამს იგი სხვა მცენარეთა შინაა, მჟავდება და სასას კბენს. როცა აბზინდასა და სკამონეაშია, აუტანლად მწარდება და შეგრძნებას აღიზიანებს, რკოსა და წაბლის ნაყოფში სიცხარეს იძენს, ხოლო სკიპიდრის ხესა და კაკალში რბილდება და ზეთს ემსგავსება?

9. რა საჭიროა შორს წასვლა, როცა თვითონ ლეღვში წყალი ურთიერთსაპირისპირო თვისებებში გადადის? ხის წვენში იგი უმწარესია, ხოლო ნაყოფში – უტკბესი. იგივე ითქმის ვაზზეც, წვეროებში იგი ფრიად მწკლარტეა, მტევნებში კი – დიდად სასიამოვნო.

და რა სიუხვეა ფერებისა! ერთი და იგივე წყალი მდელოთა შინა ერთ ყვავილში რომ წითელია, მეორეში მეწამული, მესამეში ცისფერი, სხვაში კიდევ სპეტაკი, და კვლავ: ფერთა სიჭრელეზე მეტია მრავალფეროვნება სურნელებათა, რომელსაც იგი გვფენს. მაგრამ ვხედავ, რომ ჩემმა სიტყვამ, ყოველივეს გამოკვლევის გაუმაძღარი სურვილის გამო, ზომიერებას გადააჭარბა და თუ არ შევკრავ, არამედ დაბადებულთა თანამიყოლას ვაიძულებ, დღე დაილევა, ვიდრე თქვენ შემოქმედის დიდ სიბრძნეს უმცირესი საქმეებით წარმოგიდგენდეთ.

ქუეყანამან გამოიღედ ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა, ქუეყანასა ზედა. – და მსწრაფლ შეიმოსა ხშირი ტყეებით მთათა მწვერვალები, გამშვენდნენ ბაღები და მდინარეთა ნაპირები ათასგვარი ჯიშის მცენარემ შეამკო. ზოგიერთი მათგანი კაცთა სუფრის გასამშვენებლად გამზადდა, მეორენი ფოთლებითა და ნაყოფებით პირუტყვებს ასაზრდოებენ, ხოლო სხვანი წვენებით, ტენით, რტოებით, ქერქითა თუ ნაყოფით ჩვენი მკურნალობისთვის არიან სასარგებლონი. მოკლედ რომ ვთქვა, რაც კი ჩვენ ხანგრძლივმა გამოცდილებამ აღმოგვაჩენინა, შევკრიბეთ რა ცალკეული შემთხვევებიდან სასარგებლონი, ესე

ყოველი შემოქმედის მსწრაფლმა განგებულებამ თავიდანვე განჭვრიტა და ყოფიერებაში მოიყვანა.

ხოლო ძშენ,რაჟამს იხილავ ხეებს ბაღისას და ხეებს ველურებს, წყლის მოყვარეთა და უწყლობის გამძლეთ, ყვავილოვნებსა და უყვავილოებს, მცირეთაგან დიდი შეიცანი, მარადის გაოცებული დარჩი და სიყვარული დამბადებელისა ააღორძინე. გამოიძიე, როგორ შექმნა ზოგი მარადმწვანე და ზოგიც განშიშვლებული. მარადმწვანეთაგან ნაწილს ფოთლები სცვივა, ნაწილიც მარადფოთლოვანია. თუმცა ზეთისხილის ხესა და ფიჭვს წიწვები სცვივა, მაგრამ მათი ახლით შეცვლა ისე შეუმჩნევლად ხდება, რომ სამოსისაგან განძარცულებად არასოდეს გვეჩვენებიან. მარადფოთლოვანია ფინიკი, რადგან ფოთლები, რომელთაც პირველად გამოიღებს, ბოლომდე მასთან რჩება.

და კიდევ: დააკვირდი კურდღლისცოცხის ბუჩქს, როგორ ცხოვრობს ორგვარი ცხოვრებით, რადგან წყლის მოყვარულთა შორისაც ირიცხება და უდაბნოშიც მრავლდება. ამიტომაც იერემიამ ცბიერი და ორპირი ბუნების მქონე ამ მცენარეს სამართლიანად შეადარა(იერ.17,6).

10. **ქუეყანამან გამოიღედ**. ეს მოკლე ბრძანება მყის დიდ ბუნებად და დახელოვნებულ სიტყვად იქმნა და ჩვენს ფიქრზე უსწრაფესად მცენარეთა ურიცხვი თვისება წარმოშვა. იგივე ბრძანება დედამიწაზე მოაქჟამამდე არსებობს და აგულიანებს მას, რათა თავისი ძალა, რამდენიც აქვს, წელიწადის ყოველი მოქცევისას გამოიღოს ბალახების, თესლებისა და ხეების შობისათვის.

ვითარცა ბზრიალა, მიეცემა რა პირველად ბიძგი, ტრიალს აგრძელებს და წრეების შემოწერისას ცენტრს თავისთავში ურყევად ინარჩუნებს, ასევე თანმიმდევრული წესრიგიც ბუნებისა, რომელმაც დასაბამი პირველი ბრძანებით მიიღო, იქედან მოყოლებული, ყველა დროში იარსებებს, ვიდრე ყოველთათვის საერთო აღსასრული არ მოიწევა. მისკენ მივისწრაფვით ჩვენ ყოველნი, აღსავსენი ნაყოფიერნი და კეთილი საქმეებით, რათა დავინერგოთ **სახლსა შინა უფლისასა ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩუენისათა**(ფს.91,14), ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიერ, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰომილია VI

მნათობთა დაბადების შესახებ

1. მას, ვინც მორკინალთ უყურებს, თავადაც მხნეობა შეეფერება. ამის დანახვა ყველას შეუძლია სანახაობათა წესებიდან, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ ასპარეზობაზე მყოფნი თავშიშველნი მსხდარიყვნენ. მე ვფიქრობ, ამით სურდათ, რომ ყოველი მორკინალთა არა მხოლოდ მაყურებელი, არამედ რამდენადმე მათი თანამებრძოლიც ყოფილიყო. მსგავსად ამისა, ვინც დიდსა და აღმატებულ სანახაობებს იძიებს და ჭეშმარიტად მაღალსა და გამოუთქმელ სიბრძნეს ისმენს, შეჰფერის თვითონაც რამდენადმე ისწრაფოდეს წინამდებარე

სანახაობათა ჭვრეტისათვის, რათა შეძლებისდაგვარად ჩემი მოღვაწეობის თანამონაწილე გახდეს და არა მსაჯულად, არამედ უფრო თანამოღვაწედ მექცეს, რათა ჭეშმარიტების პოვნის შესაძლებლობა არ დავკარგოთ და ჩემმა შეცდომამ საერთოდ მსმენელებს ზიანი არ მოუტანოს.

რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ რამდენადაც წინ გვიძევს გამოკვლევა სამყაროს მოწყობისა და შემეცნება ყოველივესი, რასაც სათავე არა ამქვეყნიური, არამედ იმ სიბრძნისაგან დაედო, რომლითაც ღმერთმა თავისი მსახური განსწავლა, ესაუბრებოდა რა მას **პირისპირ და არა იგავითა**(რიცხ.12,8), ამდენად აუცილებელია, რომ დიდი სანახაობების მოყვარულთა გონება განუწვრთნელი არ იყოს ჩვენთვის შემოთავაზებულის შესამეცნებლად.

ამგვარად, თუკი ოდესმე ნათელ ღამეში ვარსკვლავთა მიუთხრობელი მშვენება გიხილავს, უთუოდ გულისხმაგიყვია ყოველთა შემოქმედი, ვინც ზეცა იმგვარი ყვავილებით მოხატა, რომ ხილულთა შორის მათ მშვენებას სარგებლობა აღემატება და კიდევ: თუკი დღის მანძილზე მღვიძარე გონებით საკვირველებანი დღისა შეგისწავლია და ხილულთა მეშვეობით უხილავი განგიჭვრეტია, მაშინ მოსულხარ განმზადებული მსმენელი და ღირსი იმისა, რომ ეს პატიოსანი და ნეტარი სანახაობა შენითაც შეავსო.

მოდით, და, ისევე როგორც ქალაქს შეუჩევლებს ხელჩაკიდებულებს დაატარებენ, ასევე მეც ამ დიდი ქალაქის დაფარულ საკვირველებათა შორის შეგიყვანთ. ამ ქალაქში, ჩვენს ძველ სამშობლოში, რომელსაც ადამიანის მკვლელმა ეშმაკმა განგვაშორა, დაიმონა რა იგი თავისი ცბიერებით, იხილავ პირველ დაბადებას კაცისას და ცოდვისაგან ნაშობ სიკვდილს, რომელიც მსწრაფლ გვეწია და რომელიც პირმშოა ბოროტების დასაბამის – ეშმაკისა. აქ შეიცნობ შენს თავს, ვითარცა მიწიერი ბუნების მქონეს, მაგრამ ქმნილებას ღმრთეებრივი ხელისა, რომელიც ძალით პირუტყვებს დიდად ჩამოუვარდება, მაგრამ პირუტყვთა და უსულოთა მეუფედაა დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულევანია, გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია. თუ ამას შევიცნობთ, საკუთარ თავსაც შევიცნობთ და ღმერთსაც, თაყვანს ვცემთ დამბადებელს, დავემონებით უფალს, განვადიდებთ მამას, შევიყვარებთ გამომზრდელს ჩვენსას, მოკრძალება გვექნება წინაშე კეთილისმყოფელისა, არ დავსცხრებით თაყვანისცემად ჩვენი აქაური და მომავალი ცხოვრების წინამძღოლისა, ვინც უკვე მონიჭებული სიმდიდრით აღთქმულსაც სარწმუნოყოფს და განგვაცდევინებს რა აწმყოს, მოსალოდნელსაც გვიმტკიცებს.

უკეთუ საწუთრო ამგვარია, მარადიული როგორიღა იქნება? თუკი ხილული ასე მშვენიერია, რამდენად უფრო მშვენიერი იქნება უხილავი? და თუ სიდიდე ზეცისა კაცობრივი განსჯის საზომს აღემატება, რომელ გონებას შეუძლია გამოკვლევა მარადიულად არსებულთა ბუნებისა? უკეთუ ვერ ვძლებით ცქერით ამ მზისა, რომელიც გახრწნას ემორჩილება და რომელიც ასე მშვენიერი, ასე

დიდი, სწრაფი მოძრაობით მოქცევათა წესიერად აღმასრულებელია, სამყაროს შესაფერისი სიდიდე აქვს და არ წყვეტს ურთიერთობას მთელთან, ხოლო თავისი ბუნების სილამაზით თითოქოსდა ნათელ თვალს წარმოადგენს, რომელიც ქმნილებას ამკობს, როგორიღა იქნება მშვენიერება სიმართლის მზისა? თუკი ბრმისთვის სასჯელია ის, რომ მას ვერ ხედავს, რამდენად დასჯილი იქნება ცოდვილი, რომელსაც ჭეშმარიტი ნათელი მოაკლდება?

2. **და თქუა ღმერთმან: იქმნნედ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა**(შესქ.1,14). ცამ და დედამიწამ დაასწრეს, ნათელი მათ შემდეგ შეიქმნა, გაიყო დღე და ღამე; კვლავ მყარი და გამოჩენა ხმელეთისა. შემდეგ წყალი შეიკრიბა თავის მუდმივსა და განსაზღვრულ შესაკრებელსა შინა. დედამიწა აღივსო საკუთარი ნაშობით, აღმოაცენა ათასგვარი ბალახი და მრავალი ჯიშის მცენარე ააყვავა. ამ დროს კი, ჯერ არც მზე იყო და არც მთვარე, რათა ღმრთის უმეცართ მზისთვის დასაბამი და მშობელი ნათლისა არ ეწოდებინათ და არც მიწისაგან აღმოცენებულთა დამბადებლად მიეჩნიათ. ამისთვის იქმნა დღე მეოთხე, როცა თქვა ღმერთმა: **იქმნნედ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა.** რაჟამს მთქმელს შეიცნობ, მასთან ერთად გონებით მყისვე მსმენელიც წარმოიდგინე. **თქუა ღმერთმან: იქმნნედ მნათობნი. და შექმნნა ღმერთმან ორნი მნათობნი**(შესქ.1,16).

ვინ თქვა და ვინ შექმნა? ვერ ხვდები, რომ ამაში ორი პირი იგულისხმება? თხრობის წყალობით, ღმრთისმეტყველების ეს დოგმატი ყველგან ფარულადაა დათესილი. მითითებულია მოთხოვნილებაც, რომლის გამოც მნათობები შეიქმნენ, რადგან ნათქვამია: **რაჲთა ჩნდეს ქუეყანასა ზედა.** თუ ნათლის დაბადება წინ უსწრებდა, მაშინ რატომღა ითქვა, რომ ახლა მზე დაიბადა განმანათლებლად ქვეყნისა? ჯერ ერთი, თავისებურება სიტყვისა შენში ღიმილსაც კი ნუ გამოიწვევს, რადგანაც არ მივსდევთ ჩვენ თქვენს მოთხოვნებს და სიტყვის თხზვისას არც სიმწყობრის დაცვაზე ვზრუნავთ; ჩვენთან არ არიან მძერწველნი სიტყვისა და ყოველთვის უფრო პატივს არა მის კეთილხმოვანებას, არამედ სახელდებათა სიცხადეს მივაგებთ. მაგრამ დაუკვირდი, ის, რაც სურდა, მოსემ საკმარისად გამოხატა, რადგან განათლების წილ ნათობენო თქვა, რაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მას, რაც ნათლის შესახებაა თქმული. მაშინ ხომ ნათლის თვით ბუნება შეიქმნა, ახლა კი მზის ეს სხეული გამზადდა, ვითარცა ეტლი, რომელსაც ის პირველქმნილი ნათელი უნდა ეტვირთა.

ისევე როგორც სხვაა ცეცხლი და სხვა ლამპარი, რამდენადაც პირველს განათების ძალა აქვს, ხოლო მეორე იმისათვის შეიქმნა, რომ ვისაც სჭირდება, გაუნათოს, ასევე განმზადდა მნათობები ეტლად და მტვირთველად ამ უწმინდესი, შეურევნელი და უნივთო ნათელისა; ისევე როგორც სხვაა, როცა მოციქული უწოდებს ვინმეს **სოფლისა მნათობს**(ფილპ.2,15) და სხვაა ჭეშმარიტი ნათელი სოფლისა, რომელთან ზიარებითაც წმინდანები მათ მიერ დამოძღვრილი და უმეცრების სიბნელისაგან დახსნილი სულებისათვის მნათობებად

იქმნენ, ასევე ყოველთა დამბადებელმა ეს მზე ახლა იმ ბრწყინვალე ნათელით აღავსო და აანთო სოფელსა შინა.

3. ნურავის მოეჩვენება არასარწმუნოდ თქმული იმის თაობაზე, რომ სხვაა ბრწყინვალება ნათლისა და სხვა – ნათლის მტვირთველი სხეული. ჯერერთი, ყოველში, რაც შედგენილია, ჩვენ შემწყნარებლის არსებასა და შეწყნარებულის თვისებას ვარჩევთ. ისევე როგორც სხვაა ბუნებით სისპეტაკე დასხვა განსპეტაკებული სხეული, ასევე რაზეც ახლა ვსაუბრობდით, ბუნებით სხვადასხვანი არიან, მაგრამ შეერთებულნი დამბადებლის ძალით.

ნუღარ მეტყვი: შეუძლებელიაო მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა და არც მე გეტყვი, რომ მე და შენ შემძლენი ვართ ერთმანეთისაგან გავყოთ ნათელი და სხეული მზისა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ რის გაყოფასაც ჩვენ გონებით წარმოვიდგენთ, მათი ბუნებათა გაყოფა შემოქმედს საქმით შეუძლია.

შენ უძლური ხარ გამოყო შემწველი ძალა ცეცხლისა მისი ნათლისაგან, მაგრამ რაჟამს ღმერთმა ინება საკვირველი ხილვით მოექცია მსახური თვისი, მაყვლის ბუჩქში დაანთო ცეცხლი, რომელშიც მხოლოდ ნათელი მოქმედებდა, შემწველი ძალა კი უქმად იყო, როგორც ამას ფსალმუნიც გვიმოწმებს: **ხმამან უფლისამან განკვეთის ალი ცეცხლისა**(ფს.28,7). აქედან ზოგიერთი მოძღვრება ჩვენი ცხოვრების საქმეთათვის საზღაურის მიგების თაობაზე დაფარულად გვასწავლის, რომ ცეცხლის ბუნება ორად განიყოფება: სინათლედ, რომელიც შვება იქნება მართალთათვის და მტკივნეულ შემწველობად დასჯილთა ტანჯვისათვის.

შემდეგ: ჩვენ შეგვიძლია სარწმუნო მტკიცება იმისა, რასაც ვიძიებთ, მთვარის ცვალებადობაშიც ვიპოვოთ, რადგან რაჟამს მცირდება, სხეული კი არ ილევა მისი, არამედ ნათელს, რომელიც მასშია, განიშორებს, შემდეგ კვლავ შეიმოსს და ამგვარად ჩვენ მოკლებისა და ავსების საოცრებას წარმოგვიდგენს. იმას, რომ თვითონ მისი სხეული მოკლებისას არ განილევა, ცხადად გვიმოწმებს ის, რასაც ვხედავთ. რაჟამს ჰაერი წმინდაა და ყოველგვარი ნისლისაგან თავისუფალი, მაშინაც კი, როცა ყველაზე წვრილი ნამგლის სახე აქვს, შეგიძლია მისი უნათლო და გაუნათებელი ნაწილიც იხილო იმავე რკალით შემოხაზული, რომლითაც სისავსის ჟამს მთელი მთვარეა შემოწერილი. ასე რომ, უკეთუ მზერას მთვარის როგორც განათებულ, ასევე გაუნათებელსა და ბნელ ნაწილებს ერთად მივაპყრობთ, მთელ წრეს ცხადად დავინახავთ. ნუ მეტყვი, რომ რამდენადაც მზესთან მიახლოებისას მცირდება, ხოლო განშორებისას ისევ იმატებს, ამიტომ მთვარის ნათელი ნასესხებია. ჩვენ ახლა ამას კი არ ვიძიებთ, არამედ იმას, რომ სხეული მისი სხვაა, გამნათლებელი კი, – სხვა. მსგავსად მოიაზრე მზის შესახებაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ განაზავა რა ერთხელ მიღებული ნათელი თავის თავში, აღარ განუშორებია, მთვარე კი მუდმივად ნათელს თითქოს ხან განიძარცვავს, ხანაც შეიმოსავს და ამგვარად გვიდასტურებს იმას, რაც მზის შესახებ ითქვა.

ამათ ებრძანა განყოფა **შორის დღისა და შორის ღამისა; ზევით კი, განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა.** მაშინ მან ისინი ბუნებით დააპირისპირა, რათა ერთმანეთს არ ზიარებოდნენ და ნათელს არაფერი ჰქონოდა საერთო ბნელთან. რაც დღისით ჩრდილია, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ღამით ბნელის ბუნებაა. უკეთუ ყოველი ჩრდილი რომელიმე ნათებით განათებული სხეულებისა, ნათლის საპირისპირო მხარეს ეცემა – დილდილობით დასავლეთისაკენ გრძელდება, საღამოობით აღმოსავლეთისაკენ მიდრკება, ხოლო შუადღისას – ჩრდილოეთისაკენ, ღამეც ნათების საწინააღმდეგო მხარეს მიდრეკას წარმოადგენს და ბუნებით არაფერია, თუ არა ჩრდილი დედამიწისა. ისევე როგორც დღისით ჩრდილს სინათლისათვის გზის გადაღობვა ქმნის, ასევე ღამეც მაშინ იშვება, როცა ჰაერი დედამიწაზე ბნელდება. ამას ნიშნავს თქმული: **განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა.** ბნელი გაურბის ნათლის მოსვლას შედეგად ერთმანეთისაგან იმ ბუნებრივი გაუცხოებისა, რომელიც მათ შესაქმეშივე იყო ჩადებული. ახლა კი, ღმერთმა მზეს დღეთა გაზომვა უბრძანა, ხოლო მთვარე, მისი სავსების ჟამს, ღამის მეგზურად აქცია, რადგან ამ დროს მნათობები ერთმანეთს თითქმის დიამეტრალურად უპირისპირდებიან – სისავსის ჟამს მთვარე მზის ამოსვლისთანავე შეუმჩნევლად ჩადის, ხოლო მზის ჩასვლისას უმეტესწილად აღმოსავლეთიდან ამოდის. იმას, რომ სხვა ფორმების დროს მთვარის ნათელი ღამესთან ერთად არ ჩნდება, ჩვენს ნათქვამთან კავშირი არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, რაჟამს იგი სავსეა, ღამე მისით იწყება, აღემატება რა თავისი ნათელით ვარსკვლავებს და ანათებს დედამიწას და ასევე, თანასწორად მზისა, დროის საზომებსაც განსაზღვრავს.

4. და იყვნედ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად(შესქ.1,14). ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელია მნათობთა ნიშნები, რადგან თუკი ვინმე მათი გამოძიებისას ზომას არ გადავა, ხანგრძლივი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად მრავალ სასარგებლო რამეს აღმოაჩენს. ბევრ რამეს ისწავლის თავსხმა წვიმებზე, ბევრსაც გვალვებსა და როგორც ადგილობრივ, ისე იმ ქართა აღძვრის თაობაზე, რომელნიც ყველგან ქრიან, როგორც ძლიერებზე, ასევე სუსტებზეც. მზისაგან ნაჩვენებ ნიშანთაგან ერთ-ერთი უფალმაც გვასწავლა, როცა თქვა: **ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ**(მთ.16,3). რადგან რაჟამს მზე ნისლში აღმოხდება, მის სხივებს ძალა ეკარგება და ნაკვერჩხლის მსგავსი მეწამული ფერი ედება. ამგვარ სანახაობას მზერისათვის ჰაერის სისქე ქმნის. უკეთუ სქელი და დამდგარი ჰაერი მზის სხივებმაც არ გაფანტა, ცხადი ხდება, რომ ვერ დაძლია იგი. დედამიწიდან ავარდნილი ორთქლის და ტენის სიჭარბე იმ ადგილებში, სადაც იგი დაგროვდა, ავდარიანობას გამოიწვევს. მსგავსად ამისა, რაჟამს მთვარე თითქოსდა წყლითაა გარემოცული, ხოლო მზეს ირგვლივ ე.წ. შარავანდედი აკრავს, ეს ან ჰაერის წყალთა სიმრავლეს, ან კიდევ მძვინვარე ქართა აღძვრას მოასწავებს; ან კიდევ: რაჟამს მზესთან ერთად მის სარბიელზე ე.წ. თანამდევი შარავანდე-

ბიც ამოდიან, ისინი ჰავის ცვლილებაზე მიგვანიშნებენ. ასევე ღრუბლებიდან სწორად ჩამოშვებული სვეტები, რომელთაც ცისარტყელას ფერები აქვთ, ან წვიმებს, ან მკაცრ ქარებს, ან კიდევ საერთოდ, ჰაერის დიდ გარდატეხას მოასწავებენ. და კიდევ მრავალი ნიშანი შეუცვნია მათ, რომელთაც მთვარის ავსება და მოკლება უკვლევია, როგორც მაგალითად ის, რომ მის სახეცვლილებასთან ერთად დედამიწის გარემომცველი ჰაერიც უცილობლად იცვლება.

თუ სამი დღის მთვარე წვრილი და დაწმენდილია, მშვიდსა და ნათელ ამინდს გვაუწყებს; ხოლო თუ მისი რქები შესქელებული და მეწამული ფერისა ჩანს, ღრუბლებიდან დიდძალ წყალს, ან მძვინვარე ქართა აღძვრას გვპირდება.

ვინ არ იცის, რამდენი სარგებელი მოაქვს ამ ნიშნებს ჩვენი ცხოვრებისათვის?

მეხომალდეს შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ქარის ამოვარდნა და ხომალდი ნავსადგურში დააყენოს, მოგზაურს – რაჟამს მოღუშულ ჰაერს იხილავს, რომელიც ცვლილების მოლოდინშია, თავიდან აიცილოს ზიანი; მიწათმოქმედნი კი, რომელნიც თესვითა და მცენარეთა მოვლით არიან დაკავებულნი, ამათგან პოულობენ მარჯვე დროს ყოველგვარი საქმიანობისათვის. უფალმაც ხომ იწინასწარმეტყველა, რომ მზეში, მთვარესა და ვარსკვლავებში სოფლის წარხდომის ნიშნებიც გამოჩნდება. მზე გარდაიქცევა სისხლად და **მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი**(მთ.24,29). ასეთი იქნება ნიშნები ყოველივეს აღსასრულისა.

5. მაგრამ მათ, რომელთაც ზომიერების საზღვრები გადალახეს, მოსეს სიტყვები შობის დღეთა შესახებ მეცნიერების დასაცავად მოიხმეს და ამბობენ, რომ ჩვენი ცხოვრება ციურ სხეულთა მოძრაობაზეა დამოკიდებული. ამიტომაც ჰგონიათ ქალდეველებს, რომ ვარსკვლავები მიგვანიშნებენ იმაზე, რაც უნდა შეგვემთხვეს.

წმიდა წერილის მარტივ სიტყვაში **იყვნედ სასწაულებად** მათ არა ჰაერის ცვლილება და ჟამთა მიმოქცევა, არამედ ცხოვრებისეული ხვედრი გულისხმაყვეს, და რას ამბობენ? რომ შობის ამა თუ იმ სახეს ზოდიაქოს ვარსკვლავებთან ამოძრავებული ვარსკვლავების შეერთება განსაზღვრავს, როცა ისინი ერთმანეთთან შეხვედრის შედეგად რაღაც გარკვეულ სახეს ქმნიან, ხოლო სხვაგვარად განლაგებით საპირისპირო ცხოვრებისეულ ხვედრს იწვევენ.

შესაძლოა, უსარგებლო არ იყოს, თუ ამ საკითხზე მსჯელობას მეტი სიცხადისათვის, ცოტა ზემოდან დავიწყებ. მაგრამ ვიტყვი არა რაიმეს ჩემს საკუთარს, არამედ მათი მხილებისათვის მათივე სიტყვებით ვისარგებლებ, რათა ისინი, რომელნიც უკვე ჩავარდნილნი არიან საცდურში, რამდენადმე განვკურნო, ხოლო დანარჩენები დავიცვა, რათა მათ მსგავსად არ დაეცნენ.

შობის დღეთა შესახებ ამ მეცნიერების გამომგონებლებმა შეიცნეს რა, რომ ვრცელი დროის მანძილზე მრავალი სახე უსხლტებოდათ, დროის საზომის საზღვრები, რაც შეიძლებოდა, დაავიწროვეს, რადგანაც ყველაზე მცირესა და უმოკლეს დროში ანუ როგორც მოციქული ამბობს: **მეყსა შინა წამსა**

თუალისასა(1კორ.15,52), სხვაობა შობიდან შობამდე მეტად დიდია. ამ წამში რომ ქალაქთა მფლობელი, ხალხთა მთავარი, ფრიად მდიდარი და ძალაუფლების მქონე იბადება, მეორე წამში დაბადებული ღატაკია და მოწყალების მთხოვნელი, კარიდან კარზე მოხეტიალე დღიური საზრდოს მოსაპოვებლად. ამიტომაც ზოდიაქოდ წოდებული წრე თორმეტ ნაწილად გაყვეს, რამდენადაც მზე ე.წ. უძრავი სფეროს მეთორმეტედ ნაწილს ოცდაათი დღის მანძილზე გადის, თითოეული მეთორმეტედთაგანი ოცდაათ ნაწილად, შემდეგ ყოველი ასეთი ნაწილი სამოც ნაწილად, ხოლო თითოეული მესამოცედი კიდევ სამოცად დაანაწევრეს.

განვიხილოთ ახლა დაბადებულთა შობანი და ვნახოთ, შეუძლია თუ არა ვინმეს ზედმიწევნით ზუსტად მისწვდეს დროის ამ დანაყოფებს. რაჟამს ჩვილი დაიბადება, ბებია ქალი დახედავს, ვაჟია იგი თუ ქალი, ხოლო შემდეგ დაელოდება ტირილს, როგორც ნიშანს ახალშობილის სიცოცხლისა და როგორ ფიქრობ, ამ დროისათვის რამდენი მესამოცედი ჩაიქროლებდა? აი, უკვე უთხრა მან ქალდეველს ახლადშობილის შესახებ. რამდენი უმცირესი ნაწილი დასჭირდებოდა ბებია ქალის თხრობას, კიდევაც რომ გამართლებოდა მას და საქალებოს გარეთ მდგომი ვინმე ჟამის დამდგენელი ეპოვა? რადგან მას, ვისაც ჰოროსკოპის შეცნობა სურს, ზუსტად უნდა ეცნობოს შობის დრო, დღისა იქნება ის თუ ღამისა და კიდევ რამდენი მესამოცედი ნაწილი გაირბენდა ამასობაში? აუცილებლად უნდა იქნეს ნაპოვნი შობის განმსაზღვრელი ვარსკვლავი, კერძოდ, რომელია იგი არა მხოლოდ ერთ მეთორმეტედ ნაწილში, არამედ მეთორმეტედის რომელიღაც ნაწილის რომელიღაცა მესამოცედში, რადაც იგი იყოფა, როგორც ვთქვით, რათა ზუსტად იქნეს ნაპოვნი პირველი მესამოცედიდან მოყოლებული რომელიღაცა მესამოცედი. ამგვარად, მათი თქმით, ყოველი პლანეტისათვის ასეთი უმცირესი და შეუცნობელი დრო უნდა იქნეს გამოთვლილი, რათა ვიპოვნოთ, რა მდგომარეობა ეკავათ მათ უძრავ ვარსკვლავებთან მიმართებაში და ჩვილის შობის ჟამს როგორი სახე შეადგინეს.

რამდენადაც ამ დროის ზუსტად დადგენა შეუძლებელია, ხოლო მისი ერთი მცირე ნაწილის შეცვლა მეორეთი დიდ ცდომილებას ქმნის, სასაცილონი არიან ისინი, რომელნიც ამ სინამდვილეში არარსებული მეცნიერებისათვის იცლიან და კიდევ უფრო ისინი, რომელნიც პირდაღებულნი უსმენენ, თითქოს მათგან იმის გაგება შეეძლოთ, რა ელოდებათ.

6. და როგორია დასკვნები? ისინი ამბობენ: ეს თმახუჭუჭა და თვალმშვენიერი იქნება, რადგან ვერძის დროს დაიბადა, და ამ ცხოველს კი ასეთი შესახედაობა აქვსო; დიდსულოვანიც იქნება, რამდენადაც ვერძი წინამძღოლიაო; და კიდევ: ხელგაშლილიცა და მომგებელიც, რადგანაც ეს ცხოველი უმტკივნეულოდ განიყრის რა მატყლს, ბუნებისაგან კვლავ ადვილად იმოსებაო, ხოლო კუროს დროს ნაშობნიო, – ამბობენ ისინი, – ჯაფის დამთმენნი და მსახურნი არიან, ისევე როგორც კურო, რომელიც უღლის ქვეშაა; მორიელის

დროს დაბადებული მსგავსად ამ ცხოველისა, შფოთისთავია, ხოლო სასწორის ჟამს შობილი კი – სამართლიანი, ვითარცა ჩვენი სასწორი.

და რაღა უნდა იყოს ამაზე სასაცილო? ვერძი, რომლისგანაც შენ ადამიანის დაბადების დროს იღებ, ერთი მეთორმეტედი ნაწილია ზეცისა, და მასში ყოფნისას მზე გაზაფხულის ნიშნებს ეხება. ასევე სასწორიცა და კუროც, თითოეული მათგანიც ერთი მეთორმეტედი ნაწილია ზოდიაქოდ წოდებული წრისა. ამბობ რა, რომ ძირითადი მიზეზები კაცობრივი ცხოვრებისა იქედანაა, ჩვენთან შობილ მძოვართაგან ადამიანთა ზნეს როგორ ახასიათებ? უკეთუ ვერძის დროს შობილი გულუხვია არა იმიტომ, რომ ეს თვისება ზეცის ამ ნაწილმა მისცა, არამედ იმიტომ, ცხვარია ბუნებით ასეთი. რატომ გვაშინებ ვარსკვლავთა ნიშნების უეჭველობით და ცდილობ დაგვარწმუნო მძოვართა ბღავილით? თუკი ზეცამ ხასიათის ამგვარი თავისებურებანი ცხოველთაგან ისესხა, მაშინ იგი, რამდენადაც მიზეზებით მძოვრებზე ყოფილა დამოკიდებული, თვითონაც უცხო საწყისებს უნდა ემორჩილებოდეს. და თუ ამის თქმა სასაცილოა, კიდევ უფრო სასაცილოა ძალისხმევა, დამაჯერებლობა მიანიჭო სწავლებას საგნებზე, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ.

მათი ამგვარი ბრძნობანი ობობას ქსელს ჰგავს. თუ მას კოღო, ბუზი ან სხვა ამათი მსგავსი უძლურთაგანი მიეახლება, გაებმება და დამარცხდება; მაშინ, როცა, თუ რომელიმე ძლიერი ცხოველი მიუახლოვდა, თავს ადვილად გააღწევს, სუსტ აბლაბუდას გაგლეჯს და გაანადგურებს.

7. მაგრამ ისინი მხოლოდ ამაზე როდი ჩერდებიან, არამედ იმის მიზეზებსაც, რისი არჩევაც ყოველი ჩვენგანის ხელთაა, – მე ვლაპარაკობ იმაზე, რას ავირჩევთ, სიკეთესა თუ ბოროტებას, – ზეციურ სხეულებს მიაწერენ. თუ ერთი მხრივ მათთვის პასუხის გაცემა სასაცილოა, მეორე მხრივ, რამდენადაც ამ ცდომილებით მრავალნი დასნეულდნენ, საჭიროება მოითხოვს, რომ დუმილი დავარღვიოთ.

უპირველესად ეს ვკითხოთ მათ: განა ვარსკვლავები სახეს ყოველდღე ათასჯერ არ იცვლიან? რადგანაც ცდომილებად წოდებულნი მუდმივად მოძრაობენ, თუ ერთნი სწრაფად ხვდებიან ერთმანეთს, მეორენი მოქცევებს უფრო ნელა აღასრულებენ, ერთსა და იმავე დროში ხშირად ორივე იხილვება, ხშირად კი ერთმანეთს ფარავენ, ხოლო, შობის ჟამს კი, როგორც ისინი ამბობენ, დიდი ძალა აქვთ, რომ ან კეთილისმყოფელ, ან კიდევ ბოროტ ვარსკვლავთა გვერდით გამოჩნდნენ. ხშირად, ერთი უმცირესი ნაწილის შეუცნობლობის გამო, ვერ იპოვეს რა დრო, რომელშიც ვარსკვლავი თავის კეთილისმყოფელობას დაამოწმებდა, იგი უკეთურთა შორის აღწერეს. მე იძულებული ვარ, რომ მათივე გამოთქმებით ვისარგებლო.

ამგვარ მსჯელობაში ფრიად დიდია უგუნურება, და კიდევ უფრო დიდი უღმერთოება, რადგან უკეთურ ვარსკვლავებს თავიანთი უკეთურობის მიზეზი შემოქმედზე გადააქვთ. თუ ისინი ბუნებით არიან ბოროტნი, მაშინ დამბადე-

ბელი ბოროტების შემქმნელი ყოფილა, ხოლო თუ ბოროტება ნებაყოფლობით აირჩიეს, მაშინ ჯერ ერთი, ისინი ნების მქონე ცოცხალი არსებანი ყოფილან, რომელნიც იძულების გარეშე, თავისუფლად მოძრაობენ; მეორეც, მტკიცება ამგვარი სიცრუისა უსულოთა შესახებ, ნამდვილ სიგიჟეს წარმოადგენს.

შემდეგ: რა დიდი უგუნურებაა თქმა იმისა, რომ სიკეთე და ბოროტება თითოეულ ვარსკვლავს წილად ღირსებისამებრ კი არ ხვდა, არამედ ამ ადგილას იგი კეთილისმყოფელი იყო, ხოლო სხვა ადგილას ბოროტი გახდა, რადგან რომელიღაცა ვარსკვლავის ქვეშ იხილვებოდა და კვლავ; გარკვეული მდგომარეობიდან რამდენადმე გადაიხარა თუ არა, თავისი ბოროტება მყისვე დაივიწყა.

ამის შესახებ საკმარისად ითქვა. უკეთუ დროის ყოველ წამს ვარსკვლავთა ურთიერთგანლაგება ერთი სახიდან მეორეში გადადის, და ურიცხვი შეცვლისას დღეში ხშირად იქმნება იმგვარი სახე, რომელიც მეფის დაბადებას გვიჩვენებს, რატომ ყოველდღე არ იბადება მეფენი? და რატომ ერგებათ მათ სამეფო მამისაგან მემკვიდრეობით? რა თქმა უნდა, მეფეთაგან ყოველი ხომ არ იაზრებს თავისი შვილის დაბადებას გამომდინარე ვარსკვლავების სამეფო განლაგებიდან? და კაცთაგან ვინ შეიძლება იყოს უფალი ამისა? როგორ შვა ოსიამ იოათამი, იოათამმა აქაზი და აქაზმა ეზეკია ისე, რომ ამათგან არცერთს არ შეემთხვა ჟამი მონად დაბადებისა? შემდეგ: უკეთუ ბოროტსა და სათნო საქმეებს ჩვენგან კი არ ეძლევა დასაბამი, არამედ დაბადებიდანვე აუცილებლობით დაგვყვება, ზედმეტნი ყოფილან სჯულისმდებელნი, რომელთაც განგვისაზღვრეს, რა უნდა გავაკეთოთ და რას უნდა გავექცეთ, ზედმეტნი ყოფილან მსაჯულნიც, რომელნიც სათნოებას პატივს სცემენ, ხოლო უკეთურებას სჯიან; მაშინ ბრალი აღარც ქურდს უნდა დაედოს და აღარც კაცის მკვლელს, რადგანაც კიდევაც რომ სდომებოდა, არ შეეძლო დაეჭირა თავისი ხელი, რომელსაც ამის ჩადენისაკენ აუცილებლობა აქეზებდა. და მაინც, ყველაზე ამაოდ ხელოსნები და მიწათმოქმედნი შვრებიან, რომელთაც თურმე თესვისა და მკის გარეშეც შეეძლოთ მიეღოთ უხვი მოსავალი. ასევე ვაჭარიც, მიუხედავად იმისა, მოისურვებდა იგი ამას თუ არა, გამდიდრდებოდა, რადგანაც ქონებას ბედი შეუკრებდა. ქრისტიანთა დიდი სასოებაც უნდა განქარდეს, რადგან იქედან გამომდინარე, რომ ადამიანები საკუთარი ნებით არაფერს აკეთებენ, აღარც სამართლიანობას მიეგება პატივი და აღარც ცოდვა განისჯება; იქ, სადაც აუცილებლობა და ბედისწერა მძლავრობს, ადგილი არა აქვს ღირსების მიხედვით მიგებას, რაც უპირატესად მართლმსაჯულების თვისებას წარმოადგენს.

მათ შესახებ, რაც ითქვა, საკმარისია. ამასთან, არც თქვენ გჭირდებათ მრავალსიტყვაობა, რადგანაც სულით ჯანსაღნი ხართ და არც დრო გვაძლევს საშუალებას, რომ მათ წინააღმდეგ ზომაზე მეტი ვთქვათ.

8. კვლავ მივუბრუნდეთ სიტყვას, რომელზედაც შევჩერდით: **იყვნედ სასწაულებად და ღღეებად და წელიწადებად**. ნიშნებზე უკვე ვთქვით, ხოლო რაც

შეეხება დროებს, მასში, ვფიქრობ, წელიწადის დროთა მონაცვლეობა იგულისხმება: ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა, რომელთა უცვლელი წესრიგით მიმოქცევას მნათობთა დადგენილი მოძრაობა გვანიჭებს. ზამთარი მაშინ დგება, ოდეს მზე სამხრეთისაკენ მიიქცევა და ჩვენს ადგილებში ღამის აჩრდილი გადიდდება, რის შედეგადაც ჰაერი დედამიწის გარშემო გაცივდება, ტენიანი ორთქლი ჩვენს ზემოთ შეიკრიბება და წვიმების, ყინვისა და გადაუღებელი თოვის მიზეზი ხდება. როცა მზე სამხრეთის ადგილებიდან კვლავ დაბრუნდება, შუაში დადგება და ამგვარად დროს ღამესა და დღეს შორის თანაბრად გაყოფს, მაშინ, რამდენადაც მეტ ხანს გაჩერდება დედამიწის რომელიმე ადგილის ზემოთ, იმდენად მეტად წარმოშობს იქ კეთილშეზავებულობას; და დადგება გაზაფხული, დასაბამი ყოველგვარი მცენარის აღმოცენებისა, გამცოცხლებელი ხეთა უმეტესი ნაწილისა და მემკვიდრეთა შობით შემნარჩუნებელი ხმელეთისა და წყლის ცხოველთა ყველა ჯიშისა. აქედან მზე გადავა რა უკვე უკიდურესი ჩრდილოეთით, ზაფხულის მოქცევისაკენ, ყველაზე გრძელ დღეებს შეგვიმზადებს და იმის გამო, რომ დიდხანს დგას, ჩვენს თავს ზემოთ ჰაერს გააცხელებს, ხოლო მიწას გამოაშრობს, რითაც თესლს ამოსვლაში, ხოლო ხეთა ნაყოფებს დამწიფების დაჩქარებაში შეეწევა. თვითონ მზე ამ დროს უმხურვალესია, შუადღისას ჩრდილებს ამოკლებს, რადგან სიმაღლეზე აწეული, ადგილს ჩვენს ირგვლივ მთლიანად ანათებს. ყველაზე გრძელი ის დღეებია, რომლებშიც ჩრდილები უმოკლესია, ხოლო უმოკლესია დღეები, რომლებშიც ჩრდილები ყველაზე გრძელია. ეს ხდება ჩვენთან, **ერთჩრდილიანებად** წოდებულებთან, რომელნიც დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში ვცხოვრობთ. იმათ შორის, რომელნიც სამხრეთში ცხოვრობენ, ისეთებიც არიან, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ჩრდილი საერთოდ ორი დღეც არა აქვთ. იქ მზე, რომელიც ზენიტში ბრწყინავს, ყოველმხრივ თანაბრად ანათებს, ასე რომ, ვიწრო პირებიდან უსულო სხივებით ჭათა სიღრმეში მდგარი წყალიც კი განათებულია. სწორედ აქედან ეწოდათ მათ **უჩრდილოები**. მათ, რომლებიც სურნელოვან მცენარეთა მშობელი ქვეყნის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობენ, ჩრდილი მონაცვლეობით ორივე, ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან აქვთ და, რადგანაც ჩვენ მიერ დასახლებულ სამყაროში ერთადერთნი არიან, რომელნიც შუადღისას ჩრდილს სამხრეთისაკენ იძლევიან, ამიტომაც **ირგვლივჩრდილიანებს** უწოდებენ. ეს ყოველივე მაშინ ხდება, როცა მზე უკვე ჩრდილოეთ ნაწილში გადადის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რა სიმხურვალე აქვს ჰაერს მზის სხივებისგან და ამით რა მოვლენები აღესრულება.

ჟამი შემოდგომისა, რომელიც ჩვენთან ამათ შემდეგ დგება, ზედმეტ სიცხეს ასუსტებს, განზავებულობის მეშვეობით სითბოს თანდათანობით ამცირებს და უვნებლად გადავყავართ ზამთარში, მაშინ, როცა მზე ჩრდილოეთის ქვეყნებიდან ისევ სამხრეთში გადადის. ეს წრიული მოქცევანი წლის დროებისა, რომელიც მზის მოძრაობას მისდევს, ჩვენს ცხოვრებასაც განაგებს.

ნათქვამია **იყვნედ დღეებადო,** არა იმიტომ, რომ მნათობებმა დღეები შექმნან, არამედ რათა მათზე იმეუფონ. დღეცა და ღამეც ხომ მნათობთა უწინარესად იშვნენ. ამასვე გვიდასტურებს ფსალმუნიც, რომელიც ამბობს: დაადგინა **მზე მფლობელად დღისა, მთოვარე და ვარსკვლავები – ხელმწიფებად ღამისა**(ფს.135,8-9). რატომ აქვს მზეს მეუფება დღისა? იმიტომ, რომ მან ნათელი იტვირთა, რაჟამს ჩვენს ჰორიზონტზე ამობრწყინდება, სიბნელეს ფანტავს და დღეს გვანიჭებს. ამიტომ შემცდარი არ იქნება, თუ ვინმე დღეს, როგორც მზით განათებულ ჰაერს, ისე განსაზღვრავს, ან კიდევ იტყვის, რომ დღე დროის საზომია, რომლის განმავლობაშიც მზე დედამიწის თავზე, ნახევარსფეროში იმყოფება. მაგრამ მზესა და მთვარეს **წელიწადებად** ყოფნაც ებრძანათ. მთვარე აღასრულებს რა თორმეტჯერ თავის სვლას, სრულ იქმნება წელიწადი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წელიწადის დროების ზუსტი სვლისათვის ხშირად დამატებითი თვე ხდება საჭირო. ასე ითვლიდნენ წელიწადს ებრაელები ძველ აღთქმაში და ძველი ელინები. მზის წელიწადი კი მისი საკუთარი მოძრაობის შედეგად განსაზღვრული ნიშნიდან კვლავ იმ ნიშანში დაბრუნებაა.

9. **და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი**(შესქ.1,16). სიტყვა დიდს ზოგჯერ აბსოლუტური შინაარსი აქვს; მაგალითად: დიდი ცა, დიდი დედამიწა, დიდი ზღვა; ბევრ შემთხვევაში კი იგი სხვასთან შესადარებლად იხმარება, როგორც მაგალითად: დიდი ცხენი და დიდი ხარი(რადგანაც ისინი სიდიდეს სხეულის მოცულობით კი არ ამოწმებენ, არამედ შედარებით თავიანთ მსგავსებთან). ამიტომ, როგორ მოვიაზროთ დიდის შინაარსი ამ შემთხვევაში? ნუთუ ისე, როგორც ჭიანჭველას ან სხვას, ბუნებით პატარას, დიდს ვუწოდებთ მაშინ, რაჟამს მათ სიდიდეს მათივე ჯიშის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით ვამოწმებთ? თუ ამჯერად დიდი ისე გავიგოთ, რომ ეს მნათობები დიდებად შეიქმნენ? მე ასე ვფიქრობ: ისინი დიდნი არიან არა სხვა, უფრო პატარა ვარსკვლავებთან შედარებით, არამედ იმიტომ, რომ საკმარისი მოცულობა აქვთ იმისათვის, რათა მათგან გადმოღვრილმა ნათელმა ცა და ჰაერიც გაანათოს და მთელ დედამიწასა და ზღვაზეც მყისვე გავრცელდეს. ცის რომელ ნაწილზედაც არ უნდა იყვნენ ისინი(მზე და მთვარე), თუნდაც ამოდიოდნენ, თუნდაც ჩადიოდნენ და თუნდაც შუაში იდგნენ, კაცთათვის ყოველი მხრიდან ერთი სიდიდის მქონენი ჩანან, რაც მათ უჩვეულო სიდიდეს ამტკიცებს, რომელთან შედარებითაც დედამიწის სივრცელე არაფერს ნიშნავს და მათ ვერც უფრო დიდად და ვერც უფრო მცირედ ვერ წარმოაჩენს. ჩვენგან დაშორებულ საგნებს რამდენადმე დაპატარავებულს ვხედავთ და რაც უფრო მივუახლოვდებით, მათ სიდიდეს უფრო და უფრო აღმოვაჩენთ. მაგრამ მზესთან მიმართებაში უფრო ახლოს და უფრო შორს არავინაა, არამედ პირიქით, დედამიწის ყველა ნაწილის მცხოვრებთ თანაბრად დაშორებული წარმოუდგება. ნიშანდობლივია, რომ მას ინდოელებიცა და ბრიტანელებიც ერთნაირს ხედავენ. არც აღმოსავლეთში მცხოვრებთათვის კლებულობს

მისი სიდიდე, რაჟამს დასავლეთში ჩადის და არც დასავლეთში მცხოვრებთ ეჩვენებათ უფრო მცირე, რაჟამს აღმოსავლეთიდან ამოდის. მისი შესახედაობა უცვლელია ორივე მხარის მცხოვრებთათვის მაშინაც, როცა იგი ზეცის შუაში დგას.

ნუ მოგატყუებს ის, რაც ჩანს და ნურც ის, რომ მხილველთათვის მოცულობით ერთი წყრთაა მხოლოდ და ნუ დაასკვნი, რომ მართლაც ესაა სიდიდე მისი. სიდიდე საგნებისა, რომელთაც დიდ მანძილზე დაშორებულებს ვხედავთ, ჩვეულებრივ მცირდება, რადგან მხედველობის ძალა არასაკმარისია, რათა გააღწიოს სივრცეს, რომელიც გვაშორებს. იგი გზადაგზა თითქოს განილევა და სახილველ საგნებამდე მისი მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს. შემცირებული ძალა ჩვენი მხედველობისა, გადააქვს რა საკუთარი ნაკლი სახილველ საგნებზე, გვაიძულებს ისინიც შემცირებულებად აღვიქვათ. თუ მხედველობა ტყუვდება, იგი არასანდო კრიტერიუმი ყოფილა. საკუთარი შეცდომები გაიხსენე და ნათქვამის დამოწმებას შენს თავშივე იპოვი. თუკი ოდესმე მაღალი მთის მწვერვალიდან გიხილავს ველი, ვრცელი და გაშლილი, რამხელა მოგჩვენებია უღელში შებმული ხარები? და რამხელა თვითონ მხვნელები? ხომ ვითარცა ჭიანჭველანი? თუკი სათვალთვალო კოშკიდან მზერა ზღვის სივრცისაკენ წარგიმართავს, რამხელა მოგჩვენებია თვით ყველაზე დიდი კუნძულები და რამხელა ერთი სატვირთო ხომალდთაგანი მუქ ლურჯ ზღვაზე თეთრი იალქნებით რომ მიცურავს? ხომ მტრედებზე უფრო მცირედ წარმოგდგომია, არა? რადგანაც, როგორც ვთქვი, ჰაერის მიერ შთანთქმული მზერა, სუსტდება და სახილველის ზუსტად აღქმისათვის არასაკმარისი ხდება. ასევე მთათა შორის უდიდესს, რომელიც ღრმა ხეობებითაა დასერილი, მზერა ყოველმხრივ ამობურცულად და გლუვად წარმოადგენს, რადგანაც მხოლოდ გამოწეულ ადგილებს სწვდება, და მათ შორის არსებული ღარტაფების წვდომა უძლურებისა გამო არ შეუძლია. ამიტომაც მხედველობა სხეულებს ვერც იმგვარ მოხაზულობას უნარჩუნებს, რომელიც სინამდვილეში აქვთ, არამედ, პირიქით, ოთხკუთხა კოშკებს მრგვალებად წარმოგვიდგენს. ამგვარად, ყველაფრიდან ჩანს, რომ მზერა დიდი მანძილით დაშორებულ სხეულებზე არა ჭეშმარიტ, არამედ არეულ-დარეულ წარმოდგენას იღებს. ასე რომ, მნათობი იგი დიდია, როგორც ამას წმიდა წერილი გვიმოწმებს და განუსაზღვრელად უფრო დიდი, ვიდრე ჩანს.

10. და კიდევ ესეც იყოს შენთვის ცხადი ნიშანი მისი სიდიდისა: თუმცა ურიცხვია სიმრავლე ზეცაში ვარსკვლავთა, მაგრამ ყველა მათგანის ნათელი რომ შევკრიბოთ, საკმარისი არ იქნება ღამის სიბნელის გასაფანტავად. ხოლო ეს ერთი გამოჩნდება თუ არა ჰორიზონტზე, მაშინაც კი, როცა მის ამოსვლას მხოლოდ ველოდებით, ჯერ დედამიწაზე მთლიანად არც კი ამაღლებულა, რომ სიბნელე უკვე ქრება, ვარსკვლავთა ნათელი ფერმკრთალდება და დედამიწის ახლოს მანამდე გამკვრივებული და შეკუმშული ჰაერი შეთხელდება და ამდინარდება. აქედან არიან დილის ნიავნი და ცვარნი, რომელნიც მოწმენდილ

ამინდში დედამიწას ასველებენ. როგორ შეუძლია მზეს მთელი დედამიწის, რომელიც ასე ვრცელია, თვალის დახამხამებაში განათება, სხივებს რომ დიდი სფეროდან არ აგზავნიდეს? აქედან შემოქმედის სიბრძნეც შეიმეცნე, რომელმაც მას ამგვარი დაშორების შესაბამისი სიმხურვალე მისცა. მხურვალება მზისა ისეთია, რომ არცა გარდამეტებული სიცხით დაწვას ქვეყანა და არც სითბოს დაკლებით დატოვოს დედამიწა ცივი და უნაყოფო.

მთვარის შესახებაც, მსგავსად ნათქვამისა, წარმოიდგინე. მისი სხეულიც დიდია და შემდგომად მზისა ყველაზე მანათობელი. ამასთან, მისი სიდიდე ყოველთვის არ იხილვება, არამედ ზოგჯერ სავსე ჩანს სიმრგვალესა შინა, ხოლო ზოგჯერ, შემცირებული და დაკლებული, თავის ამა თუ იმ დარჩენილ ნაწილს წარმოაჩენს. როცა იზრდება, მისი ერთი ნაწილი იჩრდილება, მეორე ნაწილი კი მოკლების ჟამს იფარება. ბრძენ შემოქმედს რაღაც დაფარული მიზეზი აქვს მისი ხატის ასე მრავალფეროვანი ცვლილებისათვის. შესაძლებელია, ამით მას სურდა ნათელი მაგალითი მოეცა ჩვენი ბუნებისა, კერძოდ, რაც კაცობრივია, მათგან მარადიული არაფერია, ერთი რომ არარსებობიდან გასრულებამდე მიდის, მეორე მიაღწევს რა აყვავების ხანას და მისთვის უკიდურეს ზომამდე გაიზრდება, თანდათანობითი მოკლების შედეგად განილევა, ირღვევა და დაპატარავებული ნადგურდება. ასევე მთვარის სანახაობისგანაც ჩვენი თავი უნდა შევიცნოთ და შეგვექმნება რა აზრი კაცობრივ საქმეთა მსწრაფლ ცვალებადობაზე, მაღალი წარმოდგენა არც ცხოვრების კეთილდღეობაზე გვექნება, არც ძლიერებით გავიხარებთ და არც მერყევი სიმდიდრით აღვზევდებით; უგულებელვყოფთ ხორცს, რომელსაც ცვალებადობა ახასიათებს და ვიზრუნებთ სულზე, რომლის სიკეთეც უცვლელია. თუ შენ გამწუხრებს მთვარე, რომელსაც თანდათანობითი მოკლებისას ნათელიც უმცირდება, უფრო მეტად დაგამწუხროს სულმა, რომელმაც სათნოება შეიძინა, მაგრამ სიკეთე დაუდევრობით წარწყმიდა, არასოდეს არ რჩება ერთსა და იმავე მდგომარეობაში, უსაფუძვლო აზრების გამო აქეთ-იქით აწყდება და ხშირად იცვლება, მართლაც ისე, როგორც ნათქვამია: **უგუნური იცვლება ვითარცა მთვარე**(ზირ.27,11).

ვფიქრობ, მთვარის ცვლილებას ცოტა გავლენა როდი აქვს ცხოველთა და სხვა მიწისაგან წარმოშობილთა აგებულებაზე, რადგან სხვაგვარია სხეულთა მდგომარეობა, როცა იგი კლებულობს და სხვაგვარი, როცა იზრდება. მთვარის შემცირებასთან ერთად ისინი თხელდებიან და სუსტდებიან, ხოლო როცა იგი იზრდება და სისრულეს უახლოვდება, კვლავ ივსებიან. ეს იმიტომ, რომ მთვარე მათ რაღაც სითბოსთან განზავებულ ტენს აძლევს, რომელიც სიღრმეში აღწევს. ამას გვიმოწმებენ ისინი, რომელთაც მთვარის სინათლეზე სძინავთ და თავის არე გარდამეტებული ტენით ევსებათ; ასევე სწრაფად ფუჭდება ახლადდაკლული ცხოველის ხორცი, რაჟამს მას მთვარის სხივები დაეცემა და კიდევ: ცხოველთა ტვინი, ზღვის ცხოველები და ხეთა გულები. მაგრამ მთვარე ყოველივე ამის შეცვლას თავის ცვალებადობასთან ერთად ვერ შე-

ძლებდა, იგი რომ, როგორც ამას წმიდა წერილიც გვიმოწმებს, ძალით რაღაც განსაკუთრებული და უჩვეულო არ იყოს.

11. ჰაერის სახეცვლილებანიც მთვარის ცვალებადობას უკავშირდება, როგორც ამას ხშირად მშვიდი და ნათელი ამინდის შემდეგ, ახალი მთვარისას, ღრუბლების მოძრაობისა და მათი ურთიერთშეხლის შედეგად მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხლები გვიდასტურებენ; ასევე უკუდინებანი ევრიპებისა, მიქცევა ე.წ. ოკეანისა, რომელიც, როგორც ეს სანაპიროს მცხოვრებთა აღმოაჩინეს, ზუსტად მთვარის წრიული მოქცევის დროებს მისდევს. მთვარის სხვა სახეებისას ევრიპები ორივე მხარეს მიედინებიან, ხოლო მისი შობის ჟამს ერთი წუთითაც არ მშვიდდებიან, განუწყვეტლივ ღელავენ და ირყევიან, სანამ მთვარე კვლავ არ გამოჩნდება და წინა-უკმო დინებებს გარკვეულ თანმიმდევრულობას არ მიანიჭებს. დასავლეთის ზღვაც მიმოქცევას ემორჩილება, ხან იკლებს და ხანაც იმატებს, მიქცევისას თითქოს მთვარემ შეისუნთქაო, ხოლო მოქცევისას, თითქოს მთვარემ ამოისუნთქაო, მანამდე ივსება, ვიდრე ჩვეულ ზომას არ მიაღწევს.

ყოველივე ეს იმიტომ ვთქვი, რომ მნათობების სიდიდე მეჩვენებინა და დამემტკიცებინა, რომ ღმრთივსულიერ სიტყვებში არაფერია ფუჭი, თვით ერთი ასოც კი, თუმცა ჩვენი სიტყვა არაფერს მთავარს თითქმის არ შეხებია. მზისა და მთვარის სიდიდესა და დაშორებაზე დასკვნების საშუალებით მრავალი რამის პოვნა შეიძლება, თუკი მათ მოქმედებასა და ძალას ზედაპირულად არ განვიხილავთ. ჩვენი უძლურება ჩვენვე გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რათა ვინმემ უდიდესი ქმნილებანი ჩვენი სიტყვების მიხედვით კი არ გაზომოს, არამედ, პირიქით, იმ მცირიდან, რაც მათ შესახებ ითქვა, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, თუ უთქმელი რამდენი მნიშვნელოვანი რამ დაგვრჩა.

ამგვარად მთვარე არა თვალით, არამედ გონებით გაზომე, რომელიც ჭეშმარიტების აღმოჩენისას თვალზე ბევრად უფრო ზუსტია. ახლა ყველგან გავრცელდა სასაცილო ზღაპრები მთვრალი დედაბრებისა, იმის თაობაზე, რომ რაღაც გრძნეულებით თავისი საფუძვლიდან დაძრული მთვარე დედამიწაზე ჩამოვარდება. მაგრამ როგორ შეუძლია გრძნეულთა შელოცვას ადგილიდან დაძრას ის, რაც უზენაესმა დააფუძნა? და თუ მაინც ჩამოვარდა, რომელი ადგილი დაიტევს მას?

გსურს, მისი სიდიდის შესახებ მტკიცებულება მცირე ნიშნებიდან ისესხო? სამყაროში ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული ქალაქები აღმოსავლეთისაკენ მიქცეულ ქუჩებში მთვარის ნათელს თანაბრად იღებენ. მთვარე რომ ყველას პირისპირ არ იდგეს, იგი უეჭველად მხოლოდ იმ ქუჩებს გაანათებდა, რომლებიც მის პირდაპირ მდებარეობენ, ხოლო ქუჩებს, რომლებიც მისი მოცულობის გარეთ არიან, დახრილ, ირიბად წამოსულ სხივებს ესროდა.

იგივე შეიძლება ვიხილოთ ლამპრებშიც, რომლებსაც სახლებში ანთებენ. როცა მის ახლოს მრავალი დგას, ჩრდილი პირდაპირ მდგომთა პირდაპირვე

წაგრძელდება, ხოლო დანარჩენთა ჩრდილები ამა თუ იმ მხარეს მიდრკებიან, აქედან გამომდინარე, მთვარის სხეული რომ უზარმაზარი არ იყოს და აღმატებული სიდიდე არ ჰქონდეს, ერთი ყველას პირდაპირ ვერ აღმოჩნდებოდა. იმ ადგილებში, სადაც დღეები თანაბარია, ამოსულ მთვარეს ერთნაირს ხედავენ როგორც მცხოვრებნი ცივ სარტყელში, დათვის თანავარსკვლავედის ქვეშ, ასევე ისინიც, რომლებიც სამხრეთის სიღრმეში ცხოვრობენ, მეზობლები მზიანი ადგილებისა. მისი სივრცელე ყოველი მათგანის მიმართ პირდაპირაა მიქცეული, რითაც იგი თავის სიდიდეს ცხადად ამოწმებს. ვინღა იკამათებს ისევ იმის თაობაზე, რომ სხეული მისი, რომელიც ასე ბევრ საგანს უთანაბრდება და თანაც მისგან ასე დაშორებულებს, მართლაც რომ ფრიად დიდია. მზისა და მთვარის სიდიდეზე საკმარისად ითქვა.

ვინც ჩვენ მოგვმადლა გონება, რათა მცირე ქმნილებათაგან შემოქმედის სიბრძნე შევიცნოთ, დაე, მოგვანიჭოს ძალა დიდი ქმნილებებისაგან დამბადებლის შესახებ კიდევ უფრო მეტის შეცნობისა, თუმცაღა მზეცა და მთვარეც შემოქმედთან შედარებით კალიასა და ჭიანჭველაზე უფრო მცირენი არიან. ამიტომაც შეუძლებელია მათგან ისეთი დასკვნის გამოტანა, რომელიც ყოველთა ღმერთის სიდიადის შესაფერისი იქნებოდა; მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ რამდენადმე მცირე და ბუნდოვან წარმოდგენებამდე მიგვიყვანონ, ისევე როგორც ყოველს პატარა ცხოველებისა და მცენარეთაგან.

დავკმაყოფილდეთ იმით, რაც ითქვა და მადლობა შევწიროთ მას, ვინც მე სიტყვის ეს მცირე მსახურება მომმადლა, ხოლო თქვენ – მას, ვინც სულიერი საზრდელით გზრდით. მან ჩემი მწირი სიტყვებით, ვითარცა რაღაც ქერის პურით, ახლაც გვასაზრდოვა და მუდამაც გვასაზრდოებს, რწმენის შესაფერისად მოგვცემს რა **გამოცხადებას სულისა**(1კორ.12,7) ჩვენი უფალი ქრისტე იესოს მიერ, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰომილია VII

ქვეწარმავალთა შესახებ

1. **და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჯველთა ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა. და იქმნა ეგრეთ**(შესქ.1,20). მნათობთა შექმნის შემდეგ წყალი ცხოველებით აღივსო, რათა თავისი წილი სამკაული მასაც მიეღო. ამ დროს დედამიწას საკუთარი სამკაული მცენარეების სახით უკვე მიღებული ჰქონდა, ხოლო ზეცა ვარსკვლავთა ყვავილებით იყო შემკული და, ვითარცა სახეს თვალები, დიდი მნათობების შეუღლებული წყვილი ამშვენებდა. წყალიღა იყო დარჩენილი და საკუთარი სამკაული მასაც უნდა მისცემოდა. მოვიდა ბრძანება და მდინარეებმა და ტბებმა, თითოეულმა თავისი ბუნების მიხედვით, მათთვის დამახასიათებელი ჯიშები წარმოშვეს. ყოველი მოდგმის შობისათვის მუცელი ზღვასაც ასტკივდა, წყალი არსად, იქნებოდა ეს შლამი თუ ჭაობი, ქმნილებათა გასრულების საქმეში უმოქმედოდ და მონაწილეო-

ბის გარეშე არ დარჩენილა. ცხადია ხომ, რომ ბაყაყები, კოღოები და ქინქლები სწორედ მათგან იშვნენ. რასაც ახლა ვუყურებთ, ის წარსულსაც წარმოგვიჩენს. ასე ისწრაფა ყველა წყალმა შემოქმედის ბრძანების სამსახურისათვის. ვერავის ხელეწიფება აღრიცხვა ჯიშთა, რომელთა სიცოცხლეც მოქმედად და მოძრავად ღმრთის დიდმა და გამოუთქმელმა ძალამ წარმოშვა. ასე, რომ ძალა სიცოცხლის შობისა წყალს ბრძანებით მიეცა.

გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჯნელთა ცხოველთა. და დაიბადა პირველი ცხოველი, მშვინვიერი და მგრძნობელობასთან წილნაყარი; თუმცა მცენარეებსა და ხეებზე საზრდოობისა და აღორძინების ძალის გამო ცოცხალი ითქმება, მაგრამ ცოცხალნი და მშვინვიერნი მაინც არ არიან. ამისთვის **გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები**. ყოველი მცურავი, რომელიც ზედაპირზე ცურავს თუ წყლის სიღრმეებს აპობს, ქვეწარმავლის ბუნებისაა, რადგან სხეულს წყალში მიათრევს. თუმცა წყლის ცხოველთაგან ზოგიერთს ფეხები აქვს და სიარული შეუძლია(მათი უმრავლესობა ამფიბიაა, როგორც მაგალითად, სელაპები, ნიანგები, ბეჰემოთები, ბაყაყები და კიბოები), მაგრამ მათი მთავარი საქმე მაინც ცურვაა.

გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები. – ამ მცირე სიტყვით შეუქმნელი რომელი ჯიში დარჩა? რომელი აღარ იქნა შეყვანილი შესაქმის ამ ბრძანებაში? მაგალითად, ისეთი ცოცხალმშობი ცხოველები, როგორიცაა სელაპები, დელფინები, მელანთევზები და სხვა მათი მსგავსი, ე. წ. ხრტილოვანი თევზები? აგრეთვე, ქვირითის დამყრელნი, როგორიცაა თითქმის ყველა ჯიში თევზებისა? მაგარქერცლიანები და რბილქერცლიანები, ფარფლებიანები თუ უფარფლებონი? ბრძანების ხმა მცირეა, უფრო მეტიც, ხმაც არაა, არამედ ოდენ წამი და აღძვრანებისა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრძანების შინაარსია ისეთი მრავალფეროვანი, რამდენიც განსხვავებული და საერთო თვისება არსებობს თევზებს შორის, რომელთა დაწვრილებით აღწერა იგივეა, რაც დათვლა ზღვის ტალღებისა, ანდა მცდელობა მისი წყლის არწყვისა პეშვით.

გამოიღეთ წყალთა ქუეწარმავლები. მათ რიცხვში შედის ისინი, რომელნიც ზღვაში, მის ნაპირებზე, სიღრმეებსა და ქვებში ცხოვრობენ და ჯოგებად ან მარტო დაცურავენ – ვეშაპები, ვეებერთელა თუ წვრილი თევზები. ერთი და იმავე ძალიდან, ერთი და იმავე ბრძანებიდან ყოფიერებაში მოსვლა წილად ხვდათ დიდთა თუ მცირეთ.

გამოიღედ წყალთა. – ამით შენ მცურავთა ბუნების წყალთან ნათესაობა გიჩვენა, რადგან თევზები წყალს მცირე ხნითაც რომ განშორდნენ, დაიღუპებიან. ისინი ხომ ამ ჰაერით ვერ ისუნთქავენ, არამედ რაც ხმელეთზე მცხოვრებთათვის ჰაერია, ის წყალია მცურავთა მოდგმისათვის. მიზეზი ამისა ნათელია. ჩვენ გვაქვს ფილტვი, ნაზი, მრავალნასვრეტიანი, დაჩვრეტილი ორგანო, რომელიც ჰაერს მკერდის გამყოფი შუასაძგიდის გზით იღებს და ჩვენს შინაგან სიმხურვალეს აგრილებს და ანიავებს, ხოლო მათთან სუნთქვის

მაგივრობას ლაყუჩების გაფართოება და შეკუმშვა წევს, რომლითაც წყალს იღებენ და უკან აბრუნებენ.

თევზებს საკუთარი ხვედრი აქვთ, საკუთარი ბუნება, საკუთარი საზრდელი და ცხოვრების საკუთარი წესი. ამიტომ მცურავთაგან არათუ არცერთის მოშინაურება არ შეიძლება, არამედ საერთოდ ადამიანის ხელის შეხებასაც ვერ ითმენენ.

2. **გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჳნველთა ცხოველთა ნათესაობისაებრ.** ახლა უბრძანა წარმოშობა, როგორც რაღაც თესლებს ბუნებისა, ყოველი ჯიშის დასაბამს, ხოლო მათ გამრავლებას მემკვიდრეობის უწყვეტლობა წარმართავს, რაჟამს ისინი ზრდასა და გამრავლებას მოითხოვენ. სხვა ჯიშისაა ე. წ. ტყავბაკნიანები, როგორიცაა მაგალითად: ნიჟარები, სავარცხლები, ლოკოკინები, ზღვის ლოკოკინები, სტრომვები(ბზრიალები) და ხამანწკების ათასობით სახესხვაობა; სხვა ჯიშისანი არიან ე.წ. რბილნიჟარიანები, მაგალითად, ზღვის კიბოები, კიბორჩხალები და მსგავსნი ამათნი. სხვა ჯიშს მიეკუთვნებიან ე. წ. ლოქორები(რბილტყავიანები), რომელთაც ხორცი რბილი და მოშვებული აქვთ: პოლიპები, მელანთევზები და სხვა მათი მსგავსნი. ამათ შორისაც მრავალი სხვაობა განირჩევა, რადგან დრაკონები, ზღვის გველთევზები და გველთევზები, რომლებიც შლამიან მდინარეებსა და ტბებში ცხოვრობენ, ბუნებით უფრო შხამიან ქვეწარმავლებს ემსგავსებიან, ვიდრე თევზებს. სხვაა ჯიში ქვირითის დამყრელთა და სხვა ცოცხლადმშობთა. ცოცხალ შვილებს ზვიგენები, ძაღლთევზები და საერთოდ ე. წ. ხრტილოვანები შობენ; ცოცხლადმშობია, აგრეთვე, ვეშაპთა დიდი ნაწილი, დელფინები და სელაპები, რომელთა შესახებაც მოგვითხრობენ, რომ ახალშობილ შვილებს, რაღაცა მიზეზით შეშინებულებს, ისინი კვლავ საშოში იღებენ და იქ მალავენ.

გამოიღედ წყალთა ნათესაობისაებრ. სხვაა ჯიში ვეშაპისებრთა და სხვა წვრილი თევზებისა. და ისევ: თევზებს შორის ურიცხვი სხვაობანია და ისინი ჯიშებად არიან დაყოფილნი, რომელთაც სახელებიც საკუთარი აქვთ, საკვებიც განსაკუთრებული და შესახედაობით, სიდიდით და ხორცის რაგვარობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი, რომელნიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, სხვადასხვა სახეობას მიეკუთვნებიან.

ვის შეუძლია იმათგან, რომელნიც თევზების თვისებებს აკვირდებიან, ჯიშთა შორის არსებული სხვაობანი ჩამოგვითვალოს? თუმცა მათზე ამბობენ, რომ თევზთა დიდ ქარავნებში თევზების რიცხვის დადგენაც კი შეუძლიათ მაგრამ მათგან, ვინც ზღვისპირას დაბერდა, ყველა სახის თევზის ისტორიის თხრობა რომელს შეუძლია? სხვა ჯიშებს იცნობენ ისინი, რომელნიც ინდოეთის ზღვაში თევზაობენ, სხვას – ეგვიპტის ყურეში, სხვას – კუნძულელები და კიდევ სხვას – მავრიტანელები. მაგრამ ყველანი, – პატარებიცა და დიდებიც, იმ პირველმა ბრძანებამ და გამოუთქმელმა ძალამ წარმოშვა. მრავალი სხვაობაა მათ ცხოვრებაში, მაგრამ კიდევ უფრო ბევრია სხვაობა ყოველი ჯიშის

გამრავლების წესებს შორის. თევზების დიდი ნაწილი, ფრინველებისაგან განსხვავებით, არ ჯდება კვერცხებზე, არც ბუდეს იშენებს და არც შვილების გამოზრდისათვის შრომობს, არამედ დაყრილ ქვირითს წყალი იღებს და მათგან სიცოცხლეს წარმოშობს. არცერთი ჯიში გამრავლების წესს არ იცვლის და არც სხვა ბუნების მქონეს შეერევა. არ არსებობს თევზების იმ წესით გამრავლება, რომლითაც ხმელეთზე ჯორები მრავლდებიან, ან ისეთი შეერთება, როგორიც იმ ფრინველთა შორის ხდება, რომელნიც ნარევ ჯიშებს წარმოშობენ. თევზებს შორის არ არსებობენ ისეთები, რომლებიც კბილებით ნახევრად არიან აღჭურვილნი, როგორც ჩვენთან ხარი და ცხვარი, რადგან მათ შორის არცერთი არ იცოხნება, გარდა სკაროსისა, როგორც ამას ზოგირთები მოგვითხრობენ; არამედ ყველა თევზს მახვილი კბილები მიჯრით აქვს მიწყობილი, რათა საზრდელი ხანგრძლივი ღეჭვისას არ გადმოიქცეს, რადგან თუ იგი სწრაფად არ დაქუცმაცდა და მუცელს არ გადაეცა, შესაძლებელია დაქუცმაცებისას წყალმა წაიღოს.

3. საზრდელი სხვადასხვა ჯიშის თევზისა სხვადასხვაა. ზოგი შლამით საზრდოობს, ზოგი ზღვის ბალახით, ზოგიც იმ მცენარეებით კმაყოფილდება, რომელნიც წყალში იზრდებიან. უმრავლესობა თევზებისა ერთმანეთს ჭამს; უფრო პატარა კერძია შედარებით უფრო დიდისა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ის, ვინც პატარა შთანთქა, მასზე ძლიერის ნადავლად იქცევა, – ასე რომ, ბოლოს ორივე ამ უკანასკნელის მუცელში აღმოჩნდება. სხვას რას ვაკეთებთ ჩვენ, ადამიანები, როცა იმათზე, ვინც ჩვენზე დაბლაა, ვმძლავრობთ? რა განსხვავებაა იმ უკანასკნელ თევზსა და მას შორის, ვინც სიმდიდრის გაუმაძღარი სიყვარულის გამო თავისი ანგარების ყოვლისშთანმთქმელ წიაღში მასზე უფრო სუსტებს ნთქავს? მან მიითვისა ღარიბის ქონება, შენ კი იგი შეიპყარი და შენი სიმდიდრის ნაწილად აქციე. უსამართლოზე უფრო უსამართლო და ხარბზე უფრო ხარბი აღმოჩნდი! ფრთხილად იყავ, რომ შენი ბოლოც ისეთივე არ იყოს როგორც თევზებისა – ანკესი, ფაცერი ან ბადე. უეჭველია, რომ ჩვენც, ვინც მრავალ უსამართლობას ჩავდივართ, უკანასკნელ სამსჯავროს ვერ გავექცევით. უძლურ ცხოველთა მრავალგვარი ცბიერებისა და ვერაგობის შეცნობით მინდა, რომ შენ უკეთურების მოქმედთა მიბაძვას თავი აარიდო. კიბოს ხამანწკის ხორცი სურს, მაგრამ ძნელია მისი მონადირება გარემომცველი ბაკნის გამო. ბუნებამ ხომ მისი ნაზი ხორცი შეუვალი ზღუდით შემოზღუდა. ამიტომაც ეწოდა ტყავბაკნიანი. რამდენადაც ორი ჩაზნექილი ნიჟარა ერთმანეთს ზუსტად ედგმება და ხამანწკას ფარავს, კიბოს მარწუხებიც იძულებით უმოქმედო ხდება. და როგორ იქცევა? როგორც კი დაინახავს, რომ ხამანწკა უქარო ადგილას სიამოვნებით თბება და თავის ნიჟარას მზის სხივებს უღებს, ფარულად კენჭს ჩაუგდებს, ხელს შეუშლის ნაწილების შეერთებას და რისი ძალაც არ შესწევს, იმას მოხერხებით აღწევს. ასეთია ბოროტება მათი, რომელთაც არც გონება და არც სიტყვა არ მიენიჭათ. მე მინდა, რომ შენ კეთილ საქმეთა მოგებაში

სიმარჯვით კიბოს მიბაძო, ოღონდაც ისე, რომ მოყვასისათვის ვნების მიყენებისაგან თავი შეიკავო. ასეთია ხომ ის, ვინც ძმასთან მზაკვრულად მიდის, გასაჭირში ჩავარდნილ მახლობელს თავს დაატყდება და სხვათა უბედურებით ხარობს. მოერიდე მიბაძვას იმ ადამიანებისა, რომელნიც საძრახის საქციელს სჩადიან და რაც შენია, ის იკმარე. სიღატაკე, როცა შენი სიმართლით კმაყოფილი ხარ, გონიერთათვის ყველა ტკბობაზე უმჯობესია.

არ შემიძლია გვერდი ავუარო მრავალფეხას ცბიერებასა და ქურდობას, რომელიც ყველა იმ ლოდის ფერს იღებს, რომელსაც მიეკრობა. ამიტომ მრავალი თევზი, ცურავს რა უშიშრად, მრავალფეხას, როგორც ქვას, ისე უახლოვდება და ვერაგის განმზადებული ნადავლი ხდება. ასეთი ხასიათი აქვთ იმითაც, რომელნიც ძალაუფლების მფლობელთ შეუდგებიან და ყოველ ჟამს შესაფერისად გარდაიქმნებიან. ერთ განზრახვაზე არასოდეს დგანან, არამედ სხვად და სხვად ადვილად იქცევიან, კეთილგონიერებთან კეთილგონიერებას სცემენ პატივს, თავგასულებთან კი – თავგასულობას და ყოველი მათგანის საამებლად შეხედულებებს სწრაფად იცვლიან. მათი თავიდან მოშორება ადვილი როდია და თავის დაცვა მათგან მიყენებული ზიანისაგანაც ჭირს, რადგან განზრახული უკეთურება ღრმადაა დაფარული მეგობრობის ნიღბით. ამგვარი ზნის ადამიანებს უფალმა მტაცებელი მგლები უწოდა, რომელნიც ცხვრის ქურქით გვევლინებიან(მთ.7,15). მოერიდე მრავალფერსა და მრავალგვარ ცვალებადობას და სიმართლეს, სიწრფელესა და უბრალოებას შეუდექი. გველს მრავალი ფერი აქვს(ჭრელია), ამიტომაც მიესაჯა მუცელზე ხოხვა, მართალი კი უბრალოა ვითარცა იაკობი(შესქ.25,27). ამიტომაც **დაამკჯდრის ღმერთმან ერთსახენი სახლსა**(ფს.67,7).

ესე ზღუაჲ დიდი და ვრცელი, მას შინა არიან ქუეწარმავალნი, რომელთა არა არს რიცხჳ, მჴეცნი წურილნი დიდთა თანა(ფს.103,25), მაგრამ მათ შორის რაღაც სიბრძნეა და მშვენიერება წესრიგისა. თევზებზე მხოლოდ დასაყვედრებელი როდი გვეთქმის; მათში ბევრი ისეთი რამეცაა, რაც მიბაძვის ღირსია. როგორ ხდება, რომ თევზთა ჯიშები, ირგუნა რა თითოეულმა წილად მისთვის შესაფერისი ადგილი, ერთმანეთთან კი არ გადადიან, არამედ საკუთარ საზღვრებში რჩებიან? მათ შორის არავინაა მიწისმზომელი, რომელიც ყველას თავ-თავის ადგილს მიუზომავდა და არც დადგენილი საზღვრები ჰყოფთ, მაგრამ ყოველს მისთვის სასარგებლო თავისთავად დაუწესდა. ეს უბე თევზების ამ ჯიშს ასაზრდოებს, მეორე – სხვას; აქ რომ მრავლად არიან, სხვაგან მათი ნაკლებობაა; მათ ერთმანეთთან გადასვლა-გადმოსვლას არც ციცაბომწვერვალებიანი მთები აბრკოლებენ და არც გამყოფი მდინარე, არამედ საცხოვრებელი ადგილები ბუნებითმა სჯულმა თითოეულს საჭიროებისდა მიხედვით თანაბრად და სამართლიანად გაუყო.

4. ჩვენ კი ასეთები როდი ვართ. საიდან ჩანს? იქიდან, რომ **ვსცვალებთ საზღვართა საუკუნეთა, რომელი დადვეს მამათა ჩვენთა**(შეად.იგავ.22,28), ვყოფთ

მიწებს, ვაერთებთ **სახლსა სახლისა მიმართ და აგარაკსა აგარაკისა მიმართ, რაჲთა მოყვასსა მო-რამე-ვხვეჭოთ**(შეად.ეს.5,8).

ვეშაპებმა იციან ბუნებისაგან მათთვის განსაზღვრული ადგილები, კერძოდ, ისინი მკვიდრობენ ზღვებში, რომლებიც დასახლებული ადგილიდან შორს მდებარეობენ, სადაც არც კუნძულებია და არც ხმელეთი მოპირდაპირე მხარეს და ამიტომაც არც ხომალდები დადიან. ვერც ცნობისმოყვარეობამ და ვერც რაღაც საჭიროებამ ვერ წააქეზა მეხომალდეები და მათში შესვლა ვერ გააბედვინა. ეს ზღვები ვეშაპებმა დაიკავეს, რომლებიც, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მოცულობით უდიდეს მთებს ემსგავსებიან. ისინი თავიანთ საზღვრებში რჩებიან და არც კუნძულებსა და არც სანაპირო ქალაქებს ზიანს არ აყენებენ. ამგვარად, ყოველი ჯიში თევზებისა ზღვის მისთვის განსაზღვრულ ნაწილებში, ვითარცა ქალაქებში, სოფლებსა ან ძველ მამულებში, ისე სახლობს.

თევზთაგან ზოგიერთები მოგზაურობენ კიდეც. თითქოს გადასახლებისათვის საერთო განზრახვით შეკრებილებს ერთი ნიშანი მიეცათო, ყველანი ერთად მიემართებიან. რაჟამს მათთვის განწესებული შობის ჟამი დაუდგებათ, სხვადასხვა ყურიდან აღდგებიან და ბუნების საერთო კანონით აღძრულნი ჩრდილოეთის ზღვისაკენ მიიჩქარიან. ამ აღსვლის ჟამს ნახავ ერთად შეკრებილ თევზებს, რომელნიც, მსგავსად ერთი დინებისა, პროპონტიდის გავლით ევქსინოს ზღვისკენ მიედინებიან. ვინ აღძრავს მათ? მეფის რომელმა განგებულებამ ან მოედნებზე წაკითხულმა რომელმა ბრძანებულებებმა აუწყეს მათ, რომ დრომ მოაწია? ან ვინ უნდა ისტუმროს ისინი? და ხედავ შენ, რომ საღმრთო ბრძანება ყოველივეს აღავსებს და თვით უმცირესსაც კი სწვდება. თევზი ღმრთის სჯულს არ ეკამათება, ადამიანები კი მაცხოვნებელ სწავლებას არ იცავენ. ნუ აიგდებ თევზს აბუჩად იმის გამო, რომ სრულიად უტყვი და უგუნურია, არამედ გეშინოდეს, რათა შემოქმედის ბრძანების წინააღდგომით მასზე უფრო უგუნურად არ იქცე. მოისმინე, რასაც ისინი, თითქოს ხმით გამოსცემენო, საქციელით გეუბნებიან: “ამ შორეულ მოგზაურობაში ჩვენ მოდგმის გადასარჩენად მივდივართ”. თევზებს არა აქვთ საკუთარი გონება, მაგრამ აქვთ ბუნებითი სჯული, რომელიც მათში მტკიცედაა ფესვგადგმული და მიუთითებს, როგორ მოიქცნენ. “წავიდეთ, ამბობენ ისინი, ჩრდილოეთის ზღვისაკენ, რომლის წყალიც, რადგანაც მზე მასზე მცირე ხნით ყოვნდება და მთლიანად ვერ მიაქვს სიტკბო, უფრო ტკბილია, ვიდრე სხვა ზღვებისა; არადა ეს სიტკბოება ზღვის ბინადართაც ახარებს, რის გამოც მიცურავენ ისინი მდინარეებში და ზღვიდან შორს მიემართებიან. პონტოსაც ამიტომ ანიჭებენ უპირატესობას სხვა ზღვებთან შედარებით, ვითარცა ხელსაყრელს შთამომავლობის შობისა და გამოზრდისათვის. ხოლო რაჟამს განზრახულს საკმარისად აღასრულებენ, ყველანი კვლავ ერთად შინ ბრუნდებიან.

თუ რა არის მიზეზი ამისა, მათი დუმილისაგან მოვისმინოთ: “ჩრდილოეთის ზღვა არაა ღრმა და ფიცხელ ქართა წინაშე განფენილს სანაპიროებიცა და

ქვაბულებიც ცოტა აქვს, რის გამოც ქარები ძირიდანვე ისე ადვილად აღამღვრევენ, რომ ფსკერის ქვიშა ტალღებს შეერევა; ამასთან, მრავალი დიდი მდინარისაგან ავსებული, ზამთარში ცივია.” ამიტომაც თევზები, რომელნიც ზაფხულში მისით საკმარისად დატკბნენ, ზამთარში კვლავ თბილი სიღრმეებისა და მზიანი ადგილებისაკენ მიისწრაფვიან და გაურბიან რა ჩრდილოეთის მძვინვარე ქარებს, მყუდრო ყურეებს ეფარებიან.

5. მე ეს ვიხილე და ყოველსა შინა სიბრძნემ ღმრთისა გამაკვირვა. თუკი უგუნური ქმნილებანი თავის გადარჩენისათვის ასეთ საზრიანობას და სიფრთხილეს იჩენენ და თუ თევზმა იცის, რა აირჩიოს და რას გაექცეს, რაღა ვთქვათ გონებით პატივდებულთა, სჯულით განსწავლულთა, აღთქმათა მიერ განმხნევებულთა, სულიწმიდით განბრძნობილთა შესახებ, რომელნიც თავიანთ საქმეებს თევზებზე უფრო უგუნურად განაგებენ? მათ იციან, რომ მომავლისათვის უნდა იღვაწონ, ჩვენ კი მომავლის იმედწართმეულნი ცხოვრებას ჩვენსას პირუტყვულ ტკბობათა მიერ წარვიწყმედთ. თევზი ამდენ ზღვას იცვლის, რათა თავისთვის სასარგებლო რაღაც იპოვოს. შენ რაღას იტყვი, ვინც ცხოვრებას უქმად ატარებ? უქმად ყოფნა ხომ ბოროტების დასაბამია! არცოდნას ნურავინ მოიმიზეზებს, რადგან ჩვენ ბუნებითი გონება გვაქვს, რომელიც კეთილის შეთვისებასა და მავნებლისაგან უცხოყოფას გვასწავლის.

ისევ მოვიხმობ მაგალითებს ზღვის ცხოველთაგან, რადგანაც გამოსაკვლევად თვალწინ გვიდგანან. ვინმე სანაპიროზე მცხოვრებისაგან მოვისმინე, რომ ზღვის ზღარბი, სრულიად პატარა და არად ჩასაგდები ცხოველი, მენავეებს ხშირად ასწავლის, როდის იქნება ზღვა მშვიდი და როდის აღელდება. იცის რა წინასწარ, რომ ზღვას ქარები ააღელვებენ, მოზრდილი ქვის ქვეშ შეძვრება და მისით, ვითარცა ღუზით დამტკიცებული, უძლებს ქარიშხალს, რადგანაც ტალღებს ქვის სიმძიმის გამო, მისი წაღება ადვილად აღარ შეუძლიათ. როგორც კი ამ ნიშანს იხილავენ, მენავეებმა იციან, რომ მძლავრი ქარების ამოვარდნას უნდა ელოდონ. ზღარბისათვის ეს არც ვარსკვლავთმრიცხველებსა და არც ქალდეველებს, რომელნიც ჰაერის ამოძრავებას ვარსკვლავების ამოსვლით გამოიცნობენ, არ უსწავლებიათ, არამედ ზღვისა და ქართა უფალმა ნიშანი თავისი დიდი სიბრძნისა ამ პატარა ცხოველშიც ცხადყო. არაფერია ისეთი, რომლისთვისაც უფალი არ იღვწოდეს და არ ზრუნავდეს. თვალი იგი დაუძინებელი ყოველივეს ხედავს და ხსნას ყოველს ანიჭებს. უკეთუ ღმერთმა ზღარბიც კი არ დატოვა მიუხედავი, შენ აღარ მოგხედავს?

ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჳსნი(ეფეს.5,25). რაჟამს ქორწინებით შეიყრებით, ერთმანეთისათვის უცხონიც რომ იყოთ, ბორკილები ბუნებისა და კურთხევის უღელი დაშორებულებს მაინც შეგაერთებთ. იქედნე, რომელიც ქვეწარმავალთაგან ყველაზე საშიშია, ზღვის გველთევზას ქორწინებით უკავშირდება, სტვენით მიანიშნებს თავის იქ ყოფნაზე და საქორწინო ხვევნისათვის სიღრმეებიდან მოუხმობს. ისიც ემორჩილება და გესლიან იქედნეს უერთდება.

ამით რისი თქმა მინდა? იმისი, რომ, თუ ქმარს ტლანქი და ველური ხასიათი აქვს, ცოლმა უნდა დაითმინოს და ერთობა არცერთი მიზეზით არ უნდა დაარღვიოს. შფოთისთავია? მაგრამ ქმარია! ლოთია? მაგრამ ბუნებით ხართ შეერთებულნი! უხეშია და თავისებური? მაგრამ უკვე შენი ნაწილია და თანაც ნაწილთაგან უპატიოსნესი.

6. მისთვის შესაფერისი შეგონება ქმარმაც მოისმინოს. თუკი იქედნე გესლს წინასწარ წამოანთხევს ქორწინების წინაშე მოკრძალებისა გამო, ნუთუ შენ სულის სისასტიკე და არაადამიანურობა შეერთების რიდით ვერ უნდა დათმო? მაგრამ იქედნეს მაგალითი შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო სხვა მხრივაც იყოს. რამდენადაც იქედნესა და გველთევზას შეერთება ბუნებაში რაღაც მრუშობაა მხოლოდ, ისწავლონ მათ, რომელთაც სხვათა ქორწინების წახდენა სურთ, რომელ ქვეწარმავალს ემსგავსებიან. მე კი მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს – ყოველივე ეკლესიის სწავლებისათვის გამოვიყენო. დაე, დასცხრეს ვნებანი თავშეუკავებელთა, – ხმელეთისა და ზღვის ცხოველთა მაგალითებით ალაგმული.

ხორციელი უძლურება და საღამოს ჟამი მაიძულებენ სიტყვა აქ შევაჩერო, თუმცა შემეძლო მოსმენის მოყვარულთათვის ზღვის ნაშობთა და თავად ზღვის შესახებ კიდევ ბევრი რამ, გაკვირვების ღირსი, დამემატებინა: ვით იყინება წყალი მარილად, როგორ ხდება, რომ ფრიად ძვირფასი ქვა მარჯანი ზღვაში ბალახია და ქვად მაშინღა მყარდება, როცა ჰაერზე მოხვდება, საიდან უდებს ბუნება ისეთ უუბრალოეს ცხოველს, როგორიც ხამანწკაა, ბუდეში დიდად პატიოსან ქვას, მარგალიტს და ისიც, ასე სასურველი სამეფო განძისათვის, ხამანწკების ნიჟარებში ჩამალული, ზღვის სანაპიროზე ფრიალოსა და უხეშ ლოდებთანაა მიმოფანტული; საიდან ზრდიან ზღვის პინანი ოქროვან მატყლს, რომლის მსგავსი ფერის მიღებაც დღემდე ვერცერთმა მღებავმა ვერ შეძლო, როგორ ახარებენ ლოკოკინები მეფეებს პორფირით, რომლის ფერიც სიხასხასით მინდვრის ყვავილებს აღემატება?

გამოიღედ წყალთა და რაღა აღარ შეიქმნა იმათგან, რაც აუცილებელი იყო. რამდენი ძვირფასი რამ გვებოძა ცხოვრებისათვის! ერთნი შეიქმნენ სამსახურისათვის კაცთა, მეორენი – რათა მათ ქმნილებათა საოცრებისათვის ეჭვრიტათ, სხვანი კიდევ საშიშნი – ჩვენი უდარდელობის გასაწვრთნელად.

დაბადნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი(შესქ.1,21). მათ დიდი მხოლოდ იმიტომ როდი ეწოდათ, რომ ზვიგენებსა და ზღვის წვრილ თევზებს აღემატებიან, არამედ იმიტომ, რომ სხეულის მოცულობით უდიდეს მთებს უტოლდებიან და რაჟამს წყლის ზედაპირზე ამოცურდებიან, ხშირად კუნძულებადაც კი გვეჩვენებიან. ასეთი ვეებერთელანი ზღვის ციცაბო ნაპირებთან თუ საერთოდ სანაპიროებთან კი არ ბინადრობენ, არამედ ე.წ. ატლანტიკის ზღვაში მკვიდრობენ. მსგავსი ცხოველები ჩვენს შესაძრწუნებლად და გასაოცებლად შეიქმნენ. რაჟამს მოისმენ, რომ პატარა თევზი ეჰინე უდიდეს ხომალდს, რომელიც კეთილი ზურგქარისაგან სრულად გაშლილი იალქნებით მიცურავს,

ადვილად აჩერებს და იგიც, თითქოს ფესვები სიღრმეში ჰქონდეს გადგმული, უძრავად რჩება, განა ამ პატარა თევზის სახითაც არ გექნება ისეთივე მტკიცება დამბადებლის ძლიერებისა? არა მხოლოდ თევზმახვილანი, ხერხიანები, ზღვის ძაღლები, ვეშაპები და ზვიგენები არიან საშიშნი, არამედ ნესტარიც ზღვის გვრიტისა და მისი გვამიც; არანაკლებ საშიშნი არიან ზღვის კურდღლები, რადგან სწრაფი და უცილობელი დაღუპვა მოაქვთ. დამბადებელს სურს მათი საშუალებით მღვიძარება გასწავლოს და მათგან მიყენებულ ზიანს ღმრთის სასოებით თავს აღწევდე.

ახლა კი სიღრმეთაგან აღმოვისწრაფოთ და ხმელეთს მივაშუროთ, რადგან შესაქმის საკვირველებანი ერთი მეორის მიყოლებით, ვითარცა ტალღები, ჩვენკენ ზედიზედ მოისწრაფვიან და ჩვენს სიტყვას ძირავენ. გაკვირვებული დავრჩები, თუ ჩვენი გონება ხმელეთზე კიდევ უფრო დიდ საოცრებებს არ შეხვდება და იონას მსგავსად ისევ ზღვას მიაშურებს. მაგრამ მეჩვენება, რომ ჩემს სიტყვას, გატაცებულს ათასგვარი საკვირველებით, ზომიერება დაავიწყდა და იგივე დაემართა, რაც ზღვაში მავალებს, რომელთაც, რაკიღა მყარზე არ მოძრაობენ, არ იციან, რამდენი გაიარეს. ქმნილებათა შესახებ საუბრისას, როგორც ჩანს, ჩვენც იგივე დაგვემართა და ვეღარ ვიგრძენით, რომ საუბარი გაგვიგრძელდა. თუმცა ეს პატიოსანი კრებული მოსმენის მოყვარულია და სამეუფო საკვირველებათა თხრობაც მონათა სასმენელთათვის ტკბილია, მაინც სიტყვა აქ გავაჩეროთ და რაც დაგვრჩა, იმის გადმოსაცემად დღის დადგომას დაველოდოთ. ავდგეთ ყველანი და მადლობა შევწიროთ იმისათვის, რაც ითქვა და დარჩენილი სათქმელის გასრულება ვითხოვოთ. დაე, საზრდელის მიღების დროსაც, სუფრასთან საუბრისას, გქონდეთ თქვენ საუბრის თემად როგორც ის, რასაც სიტყვა დილით შეეხო, ასევე ისიც, რაც საღამოს გადმოსცა. მათზე მოფიქრალთ მოგისწრებთ რა ძილი, ძილშიც დღის სიხარულით განისვენეთ, რათა თქვენც შეგეძლოთ თქმა: **მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს**(ქებ.5,2), რადგან დღისითაც და ღამითაც უნდა ვიწვრთნებოდეთ სჯულით უფლისა, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰოვილია VIII

ფრინველებისა და წყლის ცხოველთა შესახებ

1. **და თქუა ღმერთმან: გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი ცხოველი ნათესაობისაებრ ოთხფერჯთა და ქუეწარმავალთა და მჯეცთა ქუეყანისათა ნათესაობითი. და იქმნა ეგრეთ**(შესქ.1,24). მოვიდა ბრძანება გზასა მავალი და დედამიწამაც საკუთარი სამკაული მიიღო; იქ: **გამოიღედ წყალთა ქუეწარმავალი სამშჯნველი ცხოველი და აქ: გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი ცხოველი.** ნუთუ დედამიწა სულიერია და მართალნი არიან ცრუ ბრძენნი მანიქეველნი, რომელნიც დედამიწაშიც სულს დებენ? როცა თქვა **გამოიღედ**, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რაც მასში იყო, ის გამოიღო, არამედ იმას, რომ ძალა გამოღებისა მას ბრძანების

მიმცემმა მიანიჭა. ამდენად, როცა დედამიწამ მოისმინა: **გამოიღედ მწუანვილი თივისა და ხე ნაყოფიერი,** მასში დაფარული ბალახი კი არ აღმოაცენა, ან სადღაც სიღრმეში ჩამალული ფინიკი, ზედაპირზე მუხა თუ კვიპაროსი კი არ ამოზარდა, არამედ დაბადებულთა ბუნება ღმრთის სიტყვით შეიქმნა.

ქუეყანამან გამოიღედ ანუ აღმოაცენოს არა ის, რაც აქვს, არამედ შეიძინოს ის, რაც არა აქვს – ძალა მოქმედებისა, რომელიც ღმრთისაგან ებოძა. ასეა ამ შემთხვევაშიც: **გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი,** – არა მასში არსებული, არამედ ის, რაც მას ღმრთის ამ ბრძანებით მიეცა. ამასთან, მათი სწავლება თვით მათსავე საწინააღმდეგოდ ტრიალდება, რადგან უკეთუ დედამიწამ სული გამოიღო, თავისი თავი სულის გარეშე დაუტოვებია. ასე რომ, მანიქეველთა მოძღვრება თავის სისაძაგლეს თვითონვე წარმოაჩენს.

და მაინც, რისთვის ებრძანა წყალს გამოეღო **ქუეწარმავლები სამშჯნველთა ცხოველთა** და დედამიწას კი – **სამშჯნველი ცხოველი?** ვფიქრობთ, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მცურავთა ბუნება სრულყოფილ ცხოვრებასთან შედარებით ნაკლებადაა ნაზიარები, რასაც მათი წყლის სიღრმეში არსებობა განსაზღვრავს. მათ სასმენელნიც მძიმე აქვთ და მხედველობაც სუსტი, იმიტომ, რომ წყალში ხედავენ; ამასთან, მათ არც მეხსიერება აქვთ, არც წარმოსახვანი და არც უნარი თვისტომის შეცნობისა. ამიტომაც სიტყვა თითქოს გვიჩვენებს, რომ წყლის ცხოველებში სამშვინველის მოძრაობებს ხორციელი ცხოვრება განაგებს, ხოლო ხმელეთის ცხოველებში, რამდენადაც მათი ცხოვრება უფრო სრულია, მთელი ძალაუფლება სამშვინველს გადაეცა. მათ გრძნობები უფრო განვითარებული აქვთ, აღქმა აწმყოსი – გამახვილებული, ხოლო ოთხფეხთა უმეტეს ნაწილს წარსულიც კარგად ახსოვს. ამიტომ, როგორც ჩანს, წყლის ცხოველთა სხეულები მშვინვიერნი დაიბადნენ(რადგან **ქვეწარმავლები სამშვინველთა ცხოველთა** წყლისაგან წარმოაჩინა), ხოლო ხმელეთის ცხოველებში სამშვინველს ებრძანა სხეულის განმგებლად შექმნილიყო, რათა დედამიწის მკვიდრნი სიცოცხლის ძალას რამდენადმე მეტად ზიარებოდნენ. მართალია, ხმელეთის ცხოველებიც უტყვნი არიან, მაგრამ ყოველი მათგანი მისი ბუნებითი ხმით მრავალ სულიერ განცდას გამოხატავს; მაგალითად, სიხარულს, მწუხარებას, თვისტომის შეცნობას, წუხილს საკვების მოკლების გამო, მახლობელთან განშორებას, თუ სხვა ათასგვარ განცდას ისინი ხმით საცნაურყოფენ.

წყლის ცხოველები კი არა მხოლოდ უტყვნი, არამედ მოუთვინიერებელნიც, განუწვრთნელნიც და ადამიანთა ცხოვრებასთან ყოველგვარი ურთიერთობისათვისაც გამოუსადეგარნი არიან. **იცნა ჴარმან ბაგაჲ თჳსი და ვირმან მომგებელი**(ეს.1,31). თევზს არ შეუძლია იცოდეს, ვინ აძლევს საკვებს, ვირი კი ცნობს ხმას, რომელსაც შეჩვეულია, იცის გზაც, რომელზეც ბევრჯერ გაუვლია, ხოლო ზოგჯერ მეგზურობს კიდევაც კაცს, რომელსაც გზა შეეშლება. ამბობენ, რომ ხმელეთის ცხოველთა შორის მასზე უფრო მახვილი სმენა არავის აქვსო. ზღვის ცხოველთაგან რომელს შეუძლია მიბაძოს აქლემს გულღრძოობაში,

მრისხანებასა და გულისწყრომის ხანგრძლივად გაყოლაში? ოდესღაც ვინმესგან ნაცემი აქლემი წყენას დიდი ხნის განმავლობაში ინახავს და იპოვის თუ არა მარჯვე დროს, ბოროტების წილ ბოროტად მიაგებს. ისმინეთ მრისხანენო, რომელნიც წყენის დამახსოვრებაზე ვითარცა სათნოებაზე ისე ზრუნავთ: ვის ჰგავხართ მაშინ, როცა ღვარძლს მახლობლის მიმართ ისე ინახავთ, როგორც ნაპერწკალს, ფერფლით დაფარულს, ვიდრე არ იპოვით საბაბს და თქვენი გულისწყრომისაგან ცეცხლს არ აღაგზნებთ?

2. **გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი ცხოველი.** რისთვის გამოიღო დედამიწამ სამშვინველი ცხოველი? იმისათვის, რომ შენთვის პირუტყვის სამშვინველსა და ადამიანის სულს შორის განსხვავება ესწავლებინა. ცოტა ხნის შემდეგ შეიცნობ, როგორ შეიქმნა სული კაცისა, ახლა კი პირუტყვთა სამშვინველის შესახებ მოისმინე. რამდენადაც წმინდა წერილის მიხედვით, **სული ყოვლისა ჴორციელისაჲ სისხლი თჳსი არს**(ლევ.17,11), ხოლო რაჟამს სისხლი გაიყინება, ხორცად იქცევა, ხორცი კი გახრწნისას მიწას უერთდება, ამდენად სამართლიანი იქნება თქმა იმისა, რომ პირუტყვთა სამშვინველი მიწისაგანაა.

გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი ცხოველი. იხილე თანმიმდევრობა გარდასახვისა – სამშვინველისა სისხლად, სისხლისა ხორცად, ხორცისა მიწად და შემდეგ კი იგივე საქმენი პირიქით დაასახელე: მიწიდან ხორცი, ხორციდან სისხლი, სისხლიდან სამშვინველი და მიხვდები, რომ პირუტყვთა სამშვინველი მიწაა. ნუ იფიქრებ, რომ იგი მათ სხეულებრივ შედგენილობაზე უწინარესია და ნურც იმას, რომ სხეულის დარღვევის შემდეგაც დარჩება. გაექეცი ამპარტავან ფილოსოფოსთა ლაყბობას, რომელთაც საკუთარი და ძაღლის სულების ერთგვარად წარმოდგენისა არ რცხვენიათ და თავიანთი თავის შესახებ ამბობენ, რომ ისინი ოდესღაც ქალებად, ბუჩქებად და ზღვის თევზებად დაიბადნენ. მე თუმცა იმის შესახებ, იყვნენ თუ არა ისინი ოდესღაც თევზები, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მზად ვარ მთელი ძალით დავამტკიცო, რომ როცა ამას წერდნენ, თევზებზე უფრო უგუნურნი იყვნენ.

გამოიღედ ქუეყანამან სამშჯნველი ცხოველი. შეიძლება მრავალს გაუკვირდეს, სიტყვის უხვად მდინარების შემდეგ რისთვის დავდუმდი უცებ ხანგრძლივად? მაგრამ გულმოდგინე მსმენელებმა მიზეზი ამისა გამოიცნეს და ეს საიდან ჩანს? იქიდან, რომ გადახედეს რა ერთმანეთს და რაღაც ანიშნეს, ჩემი ყურადღება მიიპყრეს და გონება ჩემი იმათკენ წარმართეს, რომელნიც დამავიწყდნენ. მართლაც, ქმნილებათა მთელი სახეობა და ამასთან არცთუ უმნიშვნელო, გამოგვრჩა და სიტყვამ ისე, რომ დიდად შორს არ წასულა, იგი სრულიად გამოუკვლეველი დატოვა.

გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჯნველთა ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა(შესქ.1,20). გუშინ ჩვენ, რამდენადაც ამის საშუალება საღამოს ჟამმა მოგვცა, მცურავთა შესახებ ვისაუბრეთ, დღეს ხმელეთის ცხოველთა გამოკვლევაზე გადავედით, მაგრამ

დაგვავიწყდა ფრინველები, რომელნიც შუაში არიან. ასე რომ, იმ გულმავიწყ მოგზაურთა მსგავსად, რომელთაც საჭირო რამ ნივთი დაავიწყდათ და თუმცა გზის დიდი ნაწილი უკვე გავლილი ჰქონდათ, ისევ იმავე გზით უკან მობრუნება მოუხდათ და უზრუნველობისათვის ზედმეტი ჯაფის გაწევით ღირსეულად დაისაჯნენ, როგორც ჩანს, ჩვენც აუცილებლად უკან უნდა მივბრუნდეთ, რადგან რაც გამოგვრჩა, არად ჩასაგდები როდია, იგი ცოცხალი ქმნილებების მესამე ნაწილია, რამდენადაც ცხოველთა სულ სამი – ხმელეთის, ჰაერისა და წყლის მოდგმა არსებობს.

ნათქვამია: **გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჯნველთა ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა ნათესაობისაებრ.** ფრინველნი რატომღა დაიბადნენ წყლისაგან? იმიტომ, რომ ფრინველთა და მცურავთა შორის თითქოს რაღაც ნათესაობა არსებობს. როგორც თევზები აპობენ წყალს და წინ ფარფლების მოძრაობით მიისწრაფვიან, ხოლო მიხვევ-მოხვევასა და პირდაპირ მიმართულებას კუდის მოქნევის შედეგად განაგებენ, ასევე ფრინველებშიც შეიძლება დანახვა იმისა, რომ ისინიც ჰაერში, ფრთების საშუალებით, მსგავსად მიცურავენ. ამგვარად, რამდენადაც ერთსაც და მეორესაც ერთი თვისება აქვთ – ცურვა, წყლისგან წარმოშობის გამო, რამდენადმე მსგავსებაც მიენიჭათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფრინველთაგან ფეხები ყველას აქვს, რადგანაც საკვებს მიწისაგან იღებენ და ფეხებისაგან გაწეულ სამსახურს უცილობლად საჭიროებენ. თუმცა მტაცებლებს ნადირობისათვის ბასრი ბრჭყალები მიეცათ, საკვების მოპოვებასა თუ ცხოვრებისეულ სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში საჭირო სამსახურს მაინც ფეხები უწევენ. ფრინველთაგან ცოტანი არიან ისეთნი, რომელთაც ფეხები იმდენად სუსტი აქვთ, რომ მისით არც სიარული და არც საზრდელის მოპოვება არ შეუძლიათ. მათ რიცხვს მიეკუთვნება მერცხლები, რომელნიც ფეხებს ვერც სიარულისა და ვერც რაიმეს მონადირებისთვის ვერ იყენებენ და ასევე ისინიც, რომელთაც ნამგალებს ვუწოდებთ და რომელნიც მხოლოდ იმით საზრდოობენ, რაც ჰაერშია. სხვათა შორის, მერცხლებს ფეხების ნაცვლად სამსახურს მიწასთან ახლოს ფრენა უწევს.

3. რაღა თქმა უნდა, არსებობს მრავალი განსხვავებული ჯიში ფრინველებისა, რომელთა შესახებაც თუ ვინმე იმგვარად მოგვითხრობს, როგორც ჩვენ ეს ნაწილობრივ თევზების გამოკვლევისას გავაკეთეთ, მიუხედავად ერთი საერთო სახელისა – ფრინველი, სიდიდის, აღნაგობისა და ფერის მიხედვით მრავალ სხვაობას აღმოაჩენს. შეუძლებელია აგრეთვე გადმოცემა იმ მრავალფეროვნებისა, რომელსაც მათ შორის ცხოვრების წესის, საქმიანობისა და ზნის სხვადასხვაობა ქმნის. ზოგიერთებმა მათთვის სახელების მიცემა უკვე სცადეს, რათა მანამდე უჩვეულო და უცხო სხეულების, როგორც რაღაც დამღების საშუალებით თითოეული გვარის საკუთარი თვისების შეცნობა შესაძლებელი გამხდარიყო; ზოგს ფრთაგაყოფილები შეარქვეს, როგორც

მაგალითად, არწივებს, ზოგს ტყავფრთიანები, როგორც ღამურებს, ზოგს სიფრიფანა ფრთიანები, მაგალითად, ბზიკებს, ზოგსაც მაგარფრთიანები, მაგალითად, ხოჭოებსა და მათ, რომელნიც რაღაც ბუდეებსა და ნაჭუჭებში იბადებიან და ფრენისათვის საფარველის გაპობის შემდეგ თავისუფლდებიან. მაგრამ ჩვენთვის თვისებების მიხედვით ჯიშთა განსხვავებისათვის საკმარისი ნიშანია საერთო სარგებლობა და წმინდა წერილისეული განსაზღვრება წმიდა და უწმინდური ფრინველებისა.

ამგვარად, სხვაა მოდგმა ხორცის მჭამელთა და სხვაგვარი, ცხოვრების ნირის შესაბამისი, აგებულებაც შეეფერებათ: მათ ბასრი ბრჭყალები, მოკაუჭებული ნისკარტი და სწრაფი ფრთები აქვთ, რათა მსხვერპლი ადვილად შეიპყრონ და დაგლეჯილი ნადავლი საზრდელად აქციონ. სხვაა აგებულება თესლისმჭამელთა და სხვა კიდევ იმათი, რომელნიც, რაც შეხვდებათ, იმით საზრდოობენ, ამათ შორისაც მრავალი სახესხვაობა განირჩევა: ზოგიერთები გუნდებად ცხოვრობენ, მაგრამ არა მტაცებელნი, რადგან მათ ერთმანეთთან არავითარი ურთიერთობა არ აქვთ, გარდა საქორწინო კავშირისა. ერთად ცხოვრება ბევრს უყვარს, როგორც მაგალითად, მტრედებსა და წეროებს, შოშიებსა და ჭკებს. სხვაობა ამათ შორისაც არსებობს: ზოგიერთებს უფროსობა არ ჰყავს და ამდენად თითქოს თვითრჯულნი არიან, ხოლო სხვები, მაგალითად, წეროები წინამძღოლს ემორჩილებიან. არსებობს სხვა სახის სხვაობაც: ერთნი მუდმივად ერთსა და იმავე ადგილას მკვიდრობენ, მეორენი კი, შორს წასვლას არიან ჩვეულნი და მოახლოვდება თუ არა ზამთარი, მათი დიდი ნაწილი გადასახლებისთვის ემზადება. ფრინველთაგან მრავალნი, რომელთაც ადამიანები ზრდიან, მოშინაურებულნი და მორჩილნი არიან, გარდა განსაკუთრებით სუსტებისა, რომელნიც გადაჭარბებული შიშისა და სიმხდალის გამო ხელის შეხებასა და შეწუხებას ვერ იტანენ. ზოგიერთი ფრინველი ადამიანებს ენდობა და ჩვენთან ცხოვრებას ეგუება, სხვანი მთაში ცხოვრობენ და უდაბნოს მოყვარულნი არიან. ფრინველთა შორის დიდია აგრეთვე სხვაობა ხმების მიხედვითაც; მათ ერთ ნაწილს ხმა აქვს და მოლაყბეა, ხოლო მეორე – მდუმარე. ზოგი მაღალხმიანია და მშვენივრად გალობს, სხვები კი სრულიად არამუსიკალურნი არიან და არც გალობა იციან. ზოგი წამხედურია და ბაძვის უნარი ან ბუნებისაგან აქვს მინიჭებული, ან კიდევ წვრთნის შედეგად შეძენილი, ზოგიც კიდევ ერთფეროვანსა და უცვლელ ხმას გამოსცემს. მამალი ამაყია, ფარშევანგი – სილამაზის მოყვარული, მტრედები და შინაური ფრინველები ავხორცნი არიან და მთელ დროს ხორციელ კავშირში ატარებენ. ცბიერი და მოშურნეა კაკაბი და მონადირეებს ვერაგობით შეეწევა.

4. როგორც ვთქვით, ფრინველები ერთმანეთისაგან საქმიანობითა და ცხოვრების წესითაც დიდად განსხვავდებიან. უტყვთაგან ზოგიერთები, იმდენად, რამდენადაც მოქალაქობის თვისება ისაა, რომ თითოეულის საქმე ერთი საერთო შედეგისკენ იყოს წარმართული, თითქოს მოქალაქობენ კიდეც, როგორც ეს შეიძლება ფუტკრებში დავინახოთ. მათ ერთი სახლი აქვთ, ფრენაც საერთო

და საქმეც ყველასთვის – ერთი. რაც ყველაზე საოცარია, ისინი ყოველ საქმეს მეფისა და უფროსის ბრძანებით იწყებენ. ვიდრე არ დაინახავენ, რომ მათი მეფე აფრინდა, ისინი თავს მინდვრებისაკენ გაფრენის ნებას არ აძლევენ; მეფე კი მათთან არც სახალხო კრების მიერაა არჩეული(რადგან ხშირად უგუნურებამ ხალხის სათავეში ყველაზე უარესი დააყენა) და ხელისუფლება არც წილისყრით რგებია(რადგან უგუნური შემთხვევითობა ძალაუფლებას ხშირად ყველაზე უკანასკნელს არგუნებს ხოლმე) და არც მამისგან მიღებული მემკვიდრეობით დამჯდარა ტახტზე(რადგან ამგვარნი, ფუფუნებისა და მლიქვნელობის წყალობით, უმეცარნი და ყოველგვარ სათნოებაში განუწვრთნელნი არიან), არამედ გამოირჩევიან რა სიდიდით, შესახედაობითა და ხასიათის სიმშვიდით, პირველობა ყოველთა ზედა ბუნებით აქვთ მინიჭებული. ნესტარი მეფესაც აქვს, მაგრამ მას შურისძიებისათვის როდი იყენებს. ასეთია თითქოს დაუწერელი კანონები ბუნებისა, რომელთა მიხედვით, მათ, რომელნიც უმაღლეს ხელისუფლებას აღწევენ, სამაგიეროს მიგება არ უნდა იჩქარონ. ფუტკრები, რომლებიც არ მისდევენ მეფის მაგალითს, თავიანთ უგუნურებას მსწრაფლ შეინანებენ და ნესტრის ჩასობით იღუპებიან. დაე, ისმინონ ეს ქრისტიანებმა, რომელთაც ნაბრძანები აქვთ: **ნუცა ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ, არამედ სძლიე კეთილითა მით ბოროტსა**(რომ.12;17,21). მიბაძე ფუტკარს, რომელიც ფიჭებს ისე აშენებს, რომ არც არავის ზიანს აყენებს და არც უცხო ნაყოფს ანადგურებს. ცხადია, ცვილს იგი ყვავილებისაგან კრებს, ხოლო თაფლს – ყვავილებზე ცვარის სახით გაბნეულ ტენს, პირით ამოზიდავს და ფიჭის უჯრედებში ჩაასხამს, რის გამოც თავდაპირველად თაფლი ნედლია, იგი მხოლოდ შემდეგ, დროთა განმავლობაში შესქელდება და თავის ჩვეულებრივ შედგენილობასა და სიტკბოს მიიღებს. ლამაზი და შესაფერისი ქება დაიმსახურა ფუტკარმა იგავებში, სადაც მას ბრძენი მუშაკი ეწოდა, რადგან გულმოდგინედ აგროვებს საზრდელს, **რომლისა ნაშრომსა,** ამბობს იგავი(6,8), **მეფენი და გლახაკნი სიცოცხლედ მიიღებენ.** და როგორ ბრძნულად და ოსტატურად აგებს იგი სათავსებს თაფლისთვის! გადაჭიმავს რა ცვილს თხელ ქერქად, ფუტკარი მისგან ხშირსა და ერთმანეთზე შედგმულ სათავსებს აგებს ისე, რომ ეს, თვით უმცირეს ნაწილთა შორის არსებული მჭიდრო კავშირი, ყველასათვის საყრდენი გახდეს. ყოველი უჯრედი მეორეს ეყრდნობა, რომელსაც იგი თხელი ტიხარით ერთდროულად კიდევაც გამოეყოფა და კიდევაც უერთდება. ეს უჯრედები ორ და სამ სართულად ერთმანეთზეა დაშენებული. ერთი სრული სათავსის გაკეთებას ფუტკარი უფრთხის, რათა იგი სითხემ თავისი სიმძიმით არ გახვრიტოს.

შეიცანი, რომ გეომეტრიის აღმოჩენაც ბრძენი ფუტკრის საქმეთა რიცხვშია. ფიჭის ყველა უჯრედი ექვსკუთხა და ტოლფერდაა და უშუალოდ ერთმანეთზე კი არ დგას, რათა საფუძვლის ქვეშ სიცარიელე არ ჰქონდეს და არ ჩაუტყდეს, არამედ ქვემოთა ექვსკუთხედების კუთხეები ზემოთა ექვსკუთხედების საფუძველსა და საყრდენს წარმოადგენს, რათა სიმძიმეც უსაფრთხოდ იტვირთონ

და სითხეც თითოეულ უჯრედში, ცალ-ცალკე ფრთხილად იქნას შენახული.

5. როგორ აღგიწერო ფრინველთა ცხოვრების ყველა თავისებურება? მაგალითად, როგორ ენაცვლებიან წეროები ერთმანეთს ღამის სადარაჯოზე? რაჟამს ერთნი იძინებენ, მეორენი გარს უვლიან და მათი ძილის სიმშვიდეს იცავენ. როცა დრო გაუვა, სადარაჯოზე მდგომი დაიყივლებს და ძილად მიდრკება; მას სხვა შეენაცვლება და სათანადოდ მიუზღავს სამაგიეროს იმ სიმშვიდისათვის, რომელიც მისი წყალობით ჰქონდა. ასეთ წესრიგს მათი გადაფრენის დროსაც ნახავ. წინამძღოლი, რომელიც ხან ერთია და ხან მეორე, განსაზღვრული დროის მანძილზე მიფრინავს თავში, რის შემდეგაც ბოლოში გადაინაცვლებს და წინამძღოლობასაც მომდევნოს გადასცემს.

ხოლო ყარყატთა მოდგმის საქმენი მეტყველის გონიერებისგან დიდად როდია დაშორებული. ჩვენს მხარეში ისინი ყველანი ერთად მოფრინავენ და ასევე ყველანი, თითქოს ერთი ნიშანი მიეცათო, ერთდროულად მიდიან. მათ გარს ერტყმიან და მიაცილებენ ჩვენი ყვავები, ჩემი ფიქრით, მტრულად განწყობილ ფრინველებთან შეხვედრის ჟამს შემწეობის აღმოსაჩენად. ამას ჯერ ერთი გვიდასტურებს ის, რომ ამ დროისათვის არცერთი ყვავი არ ჩანს და მეორეც ის, რომ ისინი ჭრილობებით ბრუნდებიან და თავიანთი ღვაწლისა და გადატანილი ბრძოლის ცხად ნიშნებს ატარებენ. ვინ დაუდგინა მათ კანონები სტუმართმოყვარეობისა? ვინ დაემუქრა მათ საომარი მწყობრის მიტოვებისათვის ისე, რომ ამ გაცილების ჟამს არცერთი ყვავი შინ არ რჩება? დაე, ეს სტუმართმოძულე ადამიანებმა მოისმინონ, რომლებიც კარებს კეტავენ და მოსულებს არც ზამთარში და არც ღამით თავიანთ ჭერქვეშ არ იფარავენ.

ყარყატთა მზრუნველობა მოხუცთა მიმართ კი საკმარისია, რომ ჩვენი ბავშვები, თუკი ისინი ამის შესმენას მოისურვებენ, მშობელთა მოყვარულებად იქცნენ, რადგანაც არ არსებობს ადამიანი, რომელიც გონიერებამ ისე მიატოვოს, რომ უტყვი ფრინველებისათვის სათნოებაში ჩამორჩენა სირცხვილად არ მიაჩნდეს. ყარყატები გარს ერტყმიან სიბერისაგან ბუმბულგაცვენილ მამას, საკუთარი ფრთებით ათბობენ, საჭმელსაც უხვად უზიდავენ და უჭირავთ რა ორივე მხრიდან თავიანთი ფრთებით, ფრენის დროსაც დიდად ეწევიან. მათი ეს თვისებები ყველასათვის იმდენად ცნობილია, რომ ზოგიერთი ნაცვლად იმისა, თქვას – მადლი მიაგეო, ამბობს – ყარყატისებურად მიაგეო.

ნურავინ დაიჩივლებს სიღატაკეზე და თუნდაც შინ აღარაფერი ჰქონდეს, ნურც ცხოვრების სასოს წარიკვეთს, როცა მერცხლის მოხერხებულობას ნახავს. რაჟამს მერცხალი ბუდეს იშენებს, ჩალა პირით მოაქვს, მაგრამ თიხის მოტანა ფეხებით არ შეუძლია, ამიტომ ჯერ ფრთათა წვერებს დაინამავს და მერე უწვრილეს მტვერს მიიკრობს. ამ ხერხით ეზიდება იგი საჭირო თიხას, ჩალას ერთმანეთთან თიხით, ვითარცა წებოთი, თანდათანობით შეაწებებს და მასში თავის შთამომავლობას ზრდის. თუ ვინმე მის ბარტყებს თვალებს დაუჩხვლეტს,

მერცხალი, რომელსაც ბუნებისაგან რამდენადმე მკურნალობის ხელოვნებაც აქვს მიმადლებული, მათ თვალებს სიჯანსაღესა და მხედველობას უბრუნებს.

აქედან ისწავლე, რომ სიღარიბის გამო არც ბოროტი საქმეებისაკენ უნდა მიდრკე და არც უმძიმეს ტანჯვასა შინა წარიკვეთო სასო; ხელები კი არ უნდა ჩამოუშვა და უმოქმედოდ კი არ უნდა გაჩერდე, არამედ ღმერთს უნდა მიაშურო, რომელიც, თუკი მერცხალს ამდენი მიანიჭა, მით უმეტეს, ბევრს მისცემს სხვას, ვინც მას მთელი გულით შეევედრება.

ჭარლი(ალკუნი) ზღვის ფრინველია, რომელსაც ჩვევად აქვს ზედ ზღვის პირას დაიბუდოს. იგი კვერცხებს ქვიშაზე დებს და მათზე შუა ზამთარში ზის, როცა ხშირი და მძვინვარე ქარებისაგან აღელვებული ზღვა ხმელეთს ეხეთქება. იმ შვიდი დღის განმავლობაში, როცა ალკუნი კვერცხებზე ზის ბარტყების გამოსაჩეკად, ყველა ქარი წყნარდება და ზღვაც მშვიდდება. რამდენადაც ახალგამოჩეკილებს საჭმელიც სჭირდებათ, მრავალმოწყალე ღმერთი ამ პატარა ფრინველს მეორე შვიდ დღესაც აძლევს ბარტყების გამოსაზრდელად. ეს ყველა მეზღვაურმა იცის და ამ დღეებს ალკუნის(ჭარლის) დღეებს ეძახის. ყოველივე ეს ღმრთის მზრუნველობით(განგებით) პირუტყვებში შენს განსასწავლად დადგინდა, რათა შენ მისგან, რაც ხსნისთვისაა საჭირო, ის ითხოვო. უკეთუ ღმერთმა ასე პატარა ფრინველისათვის დიდი და საშიში ზღვა დააყენა და შუა ზამთარში სიმშვიდე უბრძანა, რა სასწაული არ მოხდება შენთვის, რომელიც ხატად ღმრთისად ხარ შექმნილი?

6. გვრიტზე ამბობენ, რომ როცა მეუღლეს გაშორდება, სხვასთან შეერთებას ვერ ეგუება, უქორწინებლად რჩება და პირველი ქმრის ხსოვნის გამო ახალ კავშირზე უარს ამბობს. მოისმინოს ქალებმა, რომ ქვრივობის პატიოსნება უტყვთა შორისაც უფრო პატივდებულია, ვიდრე სააუგო მრავალგზისი ქორწინება.

შვილების გამოზრდისას ყველაზე უსამართლოდ არწივი იქცევა. გამოჩეკს რა ორ მართვეს, ერთ მათგანს ფრთების დარტყმით მიწაზე ჩამოაგდებს, ხოლო მეორეს იწყნარებს და ითვისებს. თავის ნაშობს ასე იგი იმიტომ ექცევა, რომ საკვების მოპოვება ეძნელება.

სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, გადაგდებულს სიკვდილისათვის ზღვის არწივი ვერ იმეტებს, თავის შვილებთან მიჰყავს და მათთან ერთად ზრდის. მსგავსად იქცევიან ის მშობლებიც, რომელნიც სიღარიბის საბაბით ან შვილებს იშორებენ, ან კიდევ მემკვიდრეობას თანაბრად არ უნაწილებენ. სამართლიანობა ხომ ის იქნებოდა, რომ რამდენადაც ყოველ მათგანს არსებობა თანაბრად მისცეს, საცხოვრებელიც მათთვის ასევე თანაბრად და მიუკერძოებლად გაეყოთ.

სისასტიკით ნუ დაემსგავსებით მოკაუჭებულბრჭყალებიან ფრინველებს, რომელნიც დაინახავენ თუ არა, რომ მათი შვილები უკვე ფრენას ბედავენ, ფრთებს ურტყამენ, კორტნიან, ბუდიდან აგდებენ და ამიერიდან მათთვის აღარ ზრუნავენ.

შვილთა სიყვარულისათვის საქებია ყვავი, რადგან იგი მაშინაც დასდევს მათ, როცა უკვე ფრენას იწყებენ, აჭმევს და ფრიად დიდი ხნის განმავლობაში ასაზრდოებს.

ფრინველთა მრავალ ჯიშს ორსულობისათვის არ სჭირდება მამრთან შეერთება, სხვებში კი, გაუნაყოფიერებელი კვერცხები უნაყოფოა. ძერებზეც ამბობენ, რომ ისინი უმეტესწილად შეუწყვილებლად შობენ; ამასთან დღეგრძელნიც არიან, რადგან მათი სიცოცხლე ხშირად ას წლამდეც გრძელდება. რაჟამს იხილავ ვინმეს, ვინც ჩვენს საიდუმლოს დასცინის და ამბობს – შეუძლებელია და არაბუნებრივი ქალწულისაგან შობა ისე, რომ ქალწულობაც უხრწნელად შეინარჩუნოსო, ფრინველთა ისტორიიდან ეს გქონდეს ნიშნად, რათა მოიაზრო: ვინც **ჯერ-იჩინა ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ მათ**(1კორ.1,21), წინასწარ დაასწრო და ბუნებაში მრავალი საკვირველება დათესა, რათა შემდეგში სასწაულები დაგვეჯერებინა.

7. **გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჳნველთა ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა.** ფრინველებს ფრენა დედამიწაზე ებრძანათ, რადგან საკვებს ყველა მიწისგან იღებს, მაგრამ ასევე ზეცაშიც – **სამყაროსაებრ ცისასა,** რამდენადაც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ცა(οὐρανός), წარმომდგარი სიტყვიდან ὅρασθαι (რაც იხილვება), აქ ჰაერს ეწოდება; ამასთან, ამ ჰაერს, რომელიც ჩვენ ზემოთაა, მყარიც(სამყაროსაებრ) ეწოდა, რადგანაც იგი ეთერის სხეულთან შედარებით რამდენადმე ხშირი და უფრო სქელია დედამიწიდან ასული ორთქლის გამო.

გაქვს შენ ზეცა შემკული, დედამიწა გამშვენებული, ზღვა – მდიდარი თავისი ნაშობებით და ჰაერი – სავსე ფრინველებით, რომელნიც მასში დაფრინავენ! ყოველი, რამაც, ღმრთის ბრძანებით, არარაჲსაგან არსებობა შეიძინა და ისინიც, რომელთაც ახლა სიტყვა მრავალსიტყვაობისათვის თავის არიდებისა და იმის გამო, რომ არ სურდა ზომიერებაზე გადაჭარბებულად წარმოჩენილიყო, არ შეხებია, – ეს ყოველივე, შრომისმოყვარევ, გონებით მოიაზრე და შეიმეცნებ რა ყოველივეთი ღმრთის სიბრძნეს, მუდამ გაკვირვებული დარჩი და ყოველი ქმნილებით შემოქმედი განადიდე.

გყავს შენ ფრინველთა ჯიშები საზრდელის მომპოვებელნი როგორც ღამის სიბნელეში, ასევე დღის სინათლეზეც, რომელნიც დღისით დაფრინავენ. ღამღამობით ჭოტები, ბუები და ღამურები საზრდოობენ. ზოგჯერ, როცა ძილი გაგიტყდება, საკმარისია შენი ყურადღება მათზე შეაჩერო და მათი თვისებები გამოიძიო, რომ ღმრთის დიდებისმეტყველების სურვილი აღგეძრას. როგორ მღვიძარებს ბულბული, როცა კვერცხებზე ზის და მთელი ღამის განმავლობაში დაუცხრომლად გალობს; როგორ არის ღამურა ერთდროულად ოთხფეხაცა და ფრთოსანიც, როგორ აქვს ფრინველთაგან მხოლოდ მას კბილები და შვილებს, ვითარცა ოთხფეხნი, ცოცხლად შობს, ხოლო ჰაერში არა ფრთებით, არამედ რაღაც ტყავის აპკებით მიცურავს; და ბუნებით როგორი სიყვარული

მოდგამთ ამ ქმნილებებს ერთმანეთისა! ღამურები ერთმანეთს მიყოლებით დაეკიდებიან მსგავსად ჯაჭვისა, რისი მიღწევაც ჩვენთვის, ადამიანებისთვისაც კი ძნელია, რადგან მრავალი ჩვენგანისათვის განყოფილი და კერძო ზოგადსა და საერთოზე უფრო პატივდებულია. როგორ ჰგვანან თვალებით ბუს ისინი, რომელთაც ამაო ფილოსოფოსობისათვის მოიცალეს. ბუს, რომელიც ღამით ხედავს, რაჟამს მზე გამობრწყინდება, თვალთ უბნელდება. მსგავსად ამისა, მათი გონებაც, ფრიად მახვილი ამაო საგნების ჭვრეტისას, ჭეშმარიტი ნათლის შეცნობისათვის ბნელდება.

დღისით კიდევ უფრო ადვილია შენთვის შემოქმედის საკვირველებათა შეკრება ყოველი მხრიდან: როგორ გაღვიძებს საქმისათვის ფრინველი, რომელიც შენთან ცხოვრობს, მაღალი ხმით დაიყივლებს და მზის ამოსვლას შორიდანვე გაუწყებს, მოგზაურებს სისხამ დილით აყენებს ფეხზე, ხოლო მიწათმოქმედი სამკალად გაჰყავს. როგორი მღვიძარეა ბატის ჯიში და როგორი მახვილი ალღო აქვს იმის მიმართ, რაც დაფარულია; ოდესღაც მათ სამეფო ქალაქი იხსნეს, რადგან ნიშანი მისცეს მტრებზე, რომელნიც საიდუმლო მიწისქვეშა ხვრელებით რომის სიმაგრის ასაღებად უკვე მზად იყვნენ.

ფრინველთა რომელ ჯიშში არ გვაჩვენებს ბუნება რაღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ საკვირველ თვისებას? წინასწარ ვინ აუწყებს ძერებს იმ ადამიანთა სიკვდილს, რომელნიც ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადებიან? შეგიძლია იხილო ძერების გუნდი, ლაშქრებს რომ მისდევს და საჭურველის მზადებისაგან ასკვნის შედეგს, რომელიც ამას მოჰყვება. ეს უკვე კაცობრივ განსჯათაგან შორს როდი დგას.

როგორ აღგიწერო შენ თავზარდამცემი ლაშქრობები კალიებისა? თითქოს ერთი ნიშანი მიეცათო, ყველა ერთბაშად აღდგება და გაშლილ ადგილს დაბანაკდება, თუმცა ნაყოფს მანამდე არ ეხება, ვიდრე საღმრთო ბრძანება არ მიეცემათ. როგორ მოსდევს მათ სელევკიდები(მგალობელი შაშვები) – მკურნალნი მათგან მიყენებული წყლულებისა, რადგანაც აქვთ ძალა განუზომლად ჭამისა და გაუმაძღარი ბუნება, რომელიც კაცთმოყვარე ღმერთმა მათ კაცთათვის სარგებლობის მოსატანად მისცა?

როგორ მღერის ჭრიჭინა? როგორ მღერიან ისინი შუადღისას ჩვეულებრივზე ხმამაღლა, შეისუნთქავენ რა ჰაერს გაფართოებით მკერდისა, რომელიც ხმას აღმოუტევებს? მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი სიტყვა, რომელიც ფრინველთა საკვირველებებს ასახავს, უფრო ჩამორჩა, ვიდრე მაშინ ჩამოვრჩებოდი, რომ მეცადა და მათ სისწრაფეს ფეხით ავდევნებოდი.

რაჟამს ფრინველთა შორის დაყოფილებად წოდებულებს – ფუტკრებსა და ბზიკებს(ასე უწოდეს მათ იმის გამო, რომ ყოველი მხრიდან რაღაცნაირად დაყოფილებად ჩანან), იხილავ, გულისხმაყავ, რომ მათ არც სუნთქვა იციან და არც ფილტვი აქვთ, არამედ ჰაერით მთელი სხეულით იკვებებიან. ამიტომაც, თუ ზეთით დასველდნენ, სხეულთა ნასვრეტების გადაკეტვის გამო იხოცებიან,

მაგრამ თუკი მაშინვე ძმარს ვაპკურებთ, რომელიც ნასვრეტებს გახსნის, კვლავ ცოცხლდებიან. ჩვენს ღმერთს არაფერი შეუქმნია იმაზე მეტი, რაც საჭიროა და არც იმაზე ნაკლები, რაც აუცილებელია.

თუკი ისევ წყლის მოყვარე არსებებს განვიხილავთ, სხეულის სხვაგვარ აგებულებას აღმოვაჩენთ. მათ არც განყოფილი ტერფები აქვთ, ვითარცა ყვავებს და არც მოკაუჭებულბრჭყალებიანი, როგორც ხორცის მჭამელებს, არამედ ბრტყელი, მსგავსი აპკისა, რათა წყალში ადვილად იცურონ და ეს აპკებიანი ტერფები მის გასაპობად, თითქოს ნიჩბებიაო, ისე მოიხმარონ.

თუკი გედს დაუკვირდები, როცა იგი კისერს წაიგრძელებს და სიღრმეში ჩაყოფს, რათა იქედან თავისთვის საზრდელი ამოიღოს, მაშინაც ჩასწვდები დამბადებლის სიბრძნეს, ვინც გედს ყელი ფეხებზე გრძელი მისცა, რათა იგი ვითარცა ანკესი, ჩაეშვა და სიღრმეში დაფარული საკვები ამოეტაცა.

8. თუ წმიდა წერილის სიტყვებს უბრალოდ წავიკითხავთ, ისინი მხოლოდ რამდენიმე მოკლე მარცვალს წარმოადგენს: **გამოიღედ წყალთა მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა.** მაგრამ რაჟამს ამ სიტყვების აზრს გამოვიკვლევთ, მაშინვე წარმოჩნდება დამბადებლის სიბრძნის დიდი საოცრება, – რამდენი სახეობა გაითვალისწინა მან ფრინველებისა, როგორ გაყო ერთმანეთისაგან ერთი მოდგმისანი, როგორ მისცა თითოეულს საკუთარი თვისება! ეს დღე არ მეყოფა იმისათვის, რომ თქვენ ჰაერსა შინა მყოფთა საოცრებებზე მოგითხროთ. ამასთან ხმელეთიც გვეძახის მისი მხეცების, ქვეწარმავალთა და მძოვართა წარმოსაჩენად, რომელნიც უკვე განმზადებული ჰყავს, რათა მცენარეთა, ყველა ჯიშის მცურავთა და ფრინველთა თანაბარი პატივი მათაც მიეგოთ.

გამოიღედ ქუეყანამან სამშჳნველი ცხოველი ნათესაობისაებრ ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა და მჴეცთა ქუეყანისათა ნათესაობითი. რას იტყვით, თქვენ, რომელთაც არ გჯერათ პავლეს სიტყვებისა აღდგომისას განახლების შესახებ, როცა ნახავთ, რომ ჰაერის ცხოველთაგან თავის სახეს მრავალი იცვლის? მაგალითად, ინდოეთის რქოსანი მატლის შესახებ მოგვითხრობენ, რომ იგი ჯერ აბრეშუმის ჭიად(მუხლუხოდ) იქცევა, შემდეგ ჭუპრად, მაგრამ საბოლოოდ არც ამ სახით რჩება, არამედ რბილი და ფართო ფურცლების გამობმის შედეგად ფრთოსანი ხდება.

ამგვარად, რაჟამს დასხდებით, დედანო, აბრეშუმის პარკიდან ამოსახვევად ნართისა, რომელიც თქვენ რბილი სამოსის დასამზადებლად ყაჭის ჭიამ გამოგიგზავნათ, გაიხსენეთ მისი გარდასახვანი, ნათლად წარმოიდგინეთ გონებით აღდგომა და ირწმუნუთ განახლება, რომელსაც პავლე მოციქული ყველას აღგვითქვამს.

მაგრამ ვგრძნობ, სიტყვამ ზომიერების ზღვარს გადააბიჯა. რაჟამს გადავხედავ სიმრავლეს თქმულისა, ვფიქრობ, რომ მართლაც გადავაჭარბე, მაგრამ როცა კვლავ ქმნილებათა შორის გამოვლენილი სიბრძნის მრავალფეროვნებას წარმოვიდგენ, ასე მგონია, საუბარი არც კი დამიწყია. ამასთან, არც თქვენი

ჩემთან დაყოვნება იქნება უსარგებლო. საღამომდე სხვა რა უნდა აკეთოთ? არ გაჩქარებენ თქვენ თანამესუფრენი, არც ნადიმები გელოდებათ, სამაგიეროდ, თუ მოისურვებთ, ხორციელი მარხვა სულიერი სიხარულისთვის გამოვიყენოთ; რაკიღა ხორცისათვის სიამოვნების მისანიჭებლად სამსახური ხშირად გაგიწევია, ახლა სამსახური სულს გაუწიე.

იშუებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვაჲ გულისა შენისაჲ(ფს.36,4). უკეთუ სიმდიდრის მოყვარული ხარ, გექნება სიმდიდრე, ოღონდ სულიერი: **განკითხვანი უფლისანი ჭეშმარიტებით არიან და განმართლებულ მის თანა. გულისათქუმელ არიან უფროჲს ოქროჲსა და ანთრაკთა პატიოსანთა ფრიად**(ფს.18,10-11). უკეთუ შვებანი და ტკბობანი გიზიდავს, გაქვს მისთვის, ვინც სულიერი გრძნობებით მრთელია, სიტყვები ღმრთისა **უტკბილეს უფროჲს თაფლისა და გოლეულისა**(ფს.18,11). თუ გაგიშვებთ და ამ კრებულს დავშლი, ზოგი კამათლების სათამაშოდ წავა, სადაც ფიცი, ფიცხი კამათი და ანგარებისმოყვარეობის სალმობანია. იქ დგას ეშმაკი, რომელიც წერტილებიანი ძვლებით სიცოფეს აღაგზნებს და ერთი და იგივე ფული ხან ამ მხარეს და ხან იმ მხარეს გადააქვს; ახლა რომ ერთს გამარჯვებით აღზევებს, მეორეს მწუხარებაში აგდებს, მერე ამ მეორეს წარმოაჩენს ამაყად და პირველს შეარცხვენს. რა სარგებლობას მოგვიტანს ხორციელი მარხვა, თუკი სული ათასგვარი ბოროტებითაა სავსე? ხოლო სხვა, თუმცა კამათლებით არ ითამაშებს, მაგრამ დროს უქმად დაკარგავს, რას აღარ იტყვის ამაოთაგან და რომელ აბდაუბდას აღარ მოისმენს. მოცალეობა, ღმრთის შიშის გარეშე, მათთვის, ვინც არ იცის გამოყენება დროისა, უკეთურობის მასწავლებელია. ასე რომ, შეიძლება ჩემ მიერ თქმულში სასარგებლო რამეც იპოვოთ, ხოლო თუ ვერა, ის სარგებლობა მაინც იქნება, რომ გაატარებთ რა აქ დროს, ცოდვას მაინც აღარ ჩაიდენთ. ამიტომ, რამდენადაც მეტ ხანს გაგაჩერებთ, იმდენად დიდი ხნით დაგაშორებთ ცოდვის ჩადენას.

რაც ითქვა, გონიერი განმსჯელისათვის საკმარისია, თუკი იგი ყურადღებას არა ქმნილებათა სიმდიდრისაკენ, არამედ ჩვენი უძლურებისა და იმისაკენ წარმართავს, რომ შეკრებილთა სიხარულისათვის ესეც საკმარისია.

დედამიწამ თავისი მცენარეებით გიმასპინძლათ, ზღვამ – თევზებით, ჰაერმა – ფრინველებით, ხმელეთიც მზადაა, მათ მსგავსად გვიმასპინძლოს. დილის ტაბლას საზღვარი აქ დავუდოთ, რათა გარდამეტებული სიმაძღრით მწუხრის საზრდელით დატკბობისათვის მადა არ დაკარგოთ. დაე, მან, ვინც ყოველივე თავისი ქმნილებებით აღავსო და ჩვენ ისინი თავისი სასწაულების თვალსაჩინო მოსახსენებლებად დაგვიტოვა, თქვენი გულებიც ყოველგვარი სულიერი სიხარულით აღავსოს ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიერ, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰომილია IX

ხმელეთის ცხოველთა შესახებ

1. როგორი მოგეჩვენათ თქვენ სიტყვიერი ტაბლა დილისა? მე კი აზრად მომივიდა, ჩემი თავი ვინმე ღარიბი, მაგრამ გულთბილი მასპინძლისათვის შემედარებინა, რომელსაც გულუხვი მასპინძლის სახელის მოხვეჭა სურს, მაგრამ რადგან ძვირფასი საჭმელ-სასმელი არა აქვს, სტუმრებს თავს აბეზრებს ღარიბული კერძებით, რომელიც სუფრაზე უხვად მიაქვს. ასე რომ, მისი პატივმოყვარეობა მისსავე სასაყვედუროდ უგემოვნებაში გადადის ხოლმე. ასეთი იყო ჩვენი სიტყვაც, თუკი თქვენ მასზე სხვა რამეს არ იტყვით; მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო, აბუჩად მაინც არ უნდა აიგდოთ, რადგან არც ელისეს დასდეს ბრალი მისმა თანამედროვეებმა, როგორც მასპინძელს, როცა იგი მეგობრებს **მხალითა ველურითა** გაუმასპინძლდა(შეად.IVმეფ.4,39).

მეც ვიცი წესები სახისმეტყველებისა, თუმცა არა ჩემს მიერ აღმოჩენილი, არამედ სხვათა თხზულებებში ნაპოვნი. ამ წესების მიხედვით, ზოგიერთები იმას, რაც დაწერილია, საყოველთაო მნიშვნელობით კი არ იგებენ, მაგალითად, წყალს წყალს კი არ უწოდებენ, არამედ რაღაც სხვა ნივთიერებას და მცენარესაც და თევზსაც ისეთ განმარტებას აძლევენ, როგორიც სურთ; ქვეწარმავალთა და ცხოველთა წარმოშობასაც საკუთარი ვარაუდების შესაბამისად ხსნიან, ვითარცა სიზმართამხსნელები, რომელნიც ძილში ნანახ ზმანებებს თავიანთი ზრახვებისდამიხედვით განმარტავენ. მე კი, რომ მოვისმინე, ეს ბალახიაო, ბალახად მოვიაზრე, ასევე მცენარეს, თევზს, მხეცსა თუ საქონელს, როგორც ითქვა, ისე ვიღებ, რადგან **არა მრცხუენის მე სახარებაჲ**(რომ.1,16).

თუმცა სამყაროს აღმწერებმა ბევრი რამ თქვეს დედამიწის ფორმაზე, ხან სფეროაო, ხანაც ცილინდრისებურიო, ხანაც წრეს ჰგავსო, ყოველმხრივ თანაბრად შემოხვეწილს, ხანაც კიდევ ლანგარს, შუაში ჩაღრმავებულსო(სამყაროს აღმწერებმა ყველა ამ ვარაუდს მიმართეს, თანაც ისე, რომ ყოველი მათგანი მეორის ვარაუდს ამხობდა), მაგრამ ვერ დავეთანხმები სამყაროს შესაქმეზე ჩვენი თხრობისათვის ნაკლები პატივის მიგებას, მხოლოდ იმ ერთადერთი მიზეზით, რომ ღმრთის მსახურ მოსეს მის ფორმებზე არ უმსჯელია და არც ის უთქვამს, მისი შემოწერილობა 180 ათასი სტადიონიაო, არც ის გაუზომია, სანამდე გრძელდება მისი ჩრდილი ჰაერში, როცა მზე დედამიწის ქვეშ ექცევა და არც ის განუმარტავს, როგორ ხდება დაბნელება მთვარისა, როცა მას ეს ჩრდილი მიეახლება. რადგანაც იგი იმაზე, რაც ჩვენ არ გვეხება, როგორც უსარგებლოზე, დადუმდა, ამიტომ სიტყვანი სულისა წმიდისანი უგუნურთა სიბრძნეზე უდარესად მივიჩნიო? თუ პირიქით, უფრო მეტად არ უნდა განვადიდო ის, ვინც ჩვენი გონება ამგვარი ამაო მსჯელობებით კი არ დააკავა, არამედ ისე განაგო, რომ ყველაფერი ჩვენი სულების დასამოძღვრად და სრულყოფისათვის დაწერილიყო? ვფიქრობ, ეს ვერ შეიგნეს მათ, რომელთაც თავიანთი გაგებით, გაჭიანურებული მსჯელობებით და სახისმეტყველებებით

წმიდა წერილისათვის თითქოს რაღაც პატივის მინიჭება განიზრახეს. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ შენი თავი სულიწმიდის სიტყვებზე უფრო ბრძნად მიიჩნიო და განმარტების მომიზეზებით საკუთარი აზრები შემოიტანო. ამიტომ, ჩვენ ისე მოვიაზრებთ, როგორც წერია.

2. **გამოიღედ ქუეყანამან სამშჳნველი ცხოველი ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა.** გულისხმაყავ სიტყვა ღმრთისა, დაბადებულთა შორის მსრბოლი, რომელიც მაშინ დაწყებულ მოქმედებას დღემდე აგრძელებს და ბოლომდე, თვით სამყაროს აღსასრულამდეც გააგრძელებს. ვითარცა ბურთი, რომელსაც ვინმე ფერდობიდან ჩააგორებს, როგორც თავისი სიმრგვალის, ისე ადგილის სიმარჯვის გამო, დაბლა მიექანება და მანამდე იგორებს, სანამ ვაკე არ შეხვდება, ასე დაიძრა არსებულთა ბუნება ერთი ბრძანებით, ქმნილებათა შობითა და ხრწნილებით მოდის და მოდგმის გაგრძელებას მსგავსებით იცავს, ვიდრე დასასრულამდე არ მიაღწევს; ნაცვლად ცხენისა, ცხენს ქმნის, არწივისა – არწივს და ყოველ ცხოველს არსებობას მემკვიდრეთა მონაცვლეობის წყალობით უნარჩუნებს, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ჟამის მდინარება ვერც წაახდენს და ვერც წარხოცს საკუთარ თვისებებს ცხოველებისა, არამედ დროს ისე მიჰყვებიან, თითქოს მათი ბუნება ახლახან იყოს შექმნილი.

გამოიღედ ქუეყანამან სული ცხოველი. ეს ბრძანება დედამიწაზე დარჩა და ღმრთის სამსახურს დღემდე აგრძელებს. ცხოველთაგან ზოგიერთი ადრე არსებულისაგან მემკვიდრეობის წყალობით იქმნება, ზოგი კი აქამდე მიწისაგან ცოცხლად იბადება. მაგალითად, წვიმების დროს იგი არა მხოლოდ ჭრიჭინებსა და სხვა ათასგვარი ჯიშის ფრთოსანთ, რომელნიც ჰაერში დაფრენენ და რომელთაც მათი სიმრავლისა და სიმცირის გამო სახელებსაც კი ვერ დავარქმევთ, არამედ თაგვებსაც და ბაყაყებსაც წარმოშობს. როცა ეგვიპტეში, თებეს მახლობლად, კოკისპირულად გაწვიმდება, ქვეყანა მყისვე მინდვრის თაგვებით ივსება. ვხედავთ, რომ გველთევზაც არა სხვა გზით, არამედ შლამისაგან იბადება; ისინი კვერცხისა თუ სხვა რომელიმე საშუალებით კი არ მრავლდებიან, არამედ მიწისაგან წარმოიშობიან.

გამოიღედ ქუეყანამან სული. – პირუტყვები მიწისაგანნი არიან და მიწას ჩაჰყურებენ, ხოლო ადამიანი ზეცის მცენარეა და სულიერი ღირსებებითაც იმდენადვეა გამორჩეული. რამდენადაც სხეულის აღნაგობით გამოირჩევა. ოთხფეხთა გარეგნობა როგორიღაა? მათ თავები მიწისაკენ აქვთ ჩახრილი, მუცელს ჩაჰყურებენ და მისი სიამოვნებისათვის ყოველ ღონეს ხმარობენ. თავი შენი კი ზეცისკენ არის აღმართული და შენი თვალებიც ზევით იყურებიან. ამიტომ თუმცა შენ თავს ხანდახან ხორციელი ვნებებით შეურაცხყოფ და მუცელსა და იმას ემონები, რაც მუცლის ქვემოთაა, **უგუნურ პირუტყვებს ბაძავ და მათ ემსგავსები**(შეად. ფს.48,13), მაგრამ გმართებს ზრუნვა, რათა **ზეცისასა ეძიებდე, სადაცა იგი ქრისტე არს**(კოლ.3,1) და მიწისაგან შობილებზე გონებით ამაღლება მოგეთხოვება. როგორი აღნაგობაც მოგენიჭა, ცხოვრებაც

იმგვარად წარმართე. **იყავნ მოქალაქობაჲ შენი ცათა შინა**(ფილპ.3,20), რადგან ჭეშმარიტი მამული შენი იერუსალიმია, ხოლო მოქალაქენი და თანამემამულენი – **პირმშონი იგი, აღწერილნი ცათა შინა**(ებრ.12,22-23).

3. **გამოილედ ქუეყანამან სული ცხოველი.** ამრიგად, პირუტყვთა სამშვინველი მიწაში კი არ იყო და იქიდან კი არ გამოჩნდა, არამედ ბრძანებასთან ერთად წარმოიშვა. პირუტყვთა სამშვინველი ერთია, რადგან ერთი განმასხვავებელი თვისება აქვთ – უტყვობა, მაგრამ თითოეულ ცხოველს თავისი საკუთარი თვისებაც აქვს: ხარი გამძლეა, ვირი – ზანტი, ცხენი – მხურვალე მდედრის გულისთქმისათვის, მგელი – მოუთვინიერებელი, მელა – მზაკვარი, ირემი – მფრთხალი, ჭიანჭველა – შრომისმოყვარე, ძაღლი – მადლიერი და მეგობრობაში ერთგული; თითოეულ მათგანს, როგორც კი იშვა, მყისვე განსაკუთრებული ბუნებრივი თვისებაც მიენიჭა. ლომი დაბადებიდანვე მრისხანეა, მარტო ცხოვრებისა და თვისტომთაგან განცალკევებისაკენ მიდრეკილი; ვითარცა ხელმწიფე პირუტყვთა, ბუნებით დამახასიათებელი სიამაყის გამო ბევრთან გათანაბრებას ვერ ეგუება; არც წინა დღის საზრდელს ეკარება და არც თავისი ნადავლის ნარჩენებს მიუბრუნდება. ბუნებამ მას ხმის ისეთი ორგანოები მისცა, რომ მრავალ ცხოველს, რომელნიც მას სისწრაფით აღემატებიან, ხშირად მხოლოდ ღრიალით მოინადირებს. ჯიქი ფიცხია და მოქნილი, მის სხეულში ერთმანეთს ერწყმის სინოტივე და სიმსუბუქე, რის გამოც მისი მოძრაობა სისწრაფით სამშვინველის მოძრაობის თანხვედრია. ბუნებით ზანტია დათვი, თავისებური ზნის, ხშირი ბეწვით შემოსილი. სხეულიც მსგავსი აქვს: მძიმე, მკვრივი, უსახსრებო, მართლაც შესაფერისი ცივი ცხოველისათვის, რომელიც ბუნაგში ცხოვრობს.

უკეთუ სიტყვით შევეხებით იმას, თუ ეს პირუტყვები თავიანთ სიცოცხლეზე არა განსწავლულობით, არამედ ბუნებრივად როგორ ზრუნავენ, ჩვენც ან საკუთარი თავის დაცვისა და სულის გადარჩენისათვის აღვიძრებით, ან ჩვენს თავს კიდევ უფრო მეტად განვსჯით, რაჟამს აღმოვაჩენთ, რომ შედარებისას პირუტყვებსაც კი ჩამოვრჩებით. ძუ დათვი, როცა მას ფრიად ღრმა ჭრილობები აქვს მიყენებული, ხშირად თავის თავს თვითონვე მკურნალობს, ყოველი ხერხით ჩაიფენს რა ჭრილობაში მეფის სკიპტრას, რომელსაც ამოშრობის უნარი აქვს. შეგიძლია იხილო, მელა თავს ფიჭვის ფისით როგორ იკურნავს; იქედნეს ხორციით გამაძღარი კუ ველური ქონდრის წყალობით გაურბის გესლისაგან მიყენებულ ვნებას, გველი კი თვალების სენს კამის ძოვით შველის.

ხოლო ჰაერის ცვლილებათა წინასწარი გამოცნობით რომელ მეტყველთა გულისხმისყოფას არ დაჩრდილავენ? ცხვარი, იგრძნობს თუ არა ზამთრის მოახლოებას, საკვებს ხარბად ეტანება, თითქოს მომავალში მოკლების შიშით იმარაგებსო. ზამთრის განმავლობაში ხანგრძლივად ჩაკეტილი ხარები გაზაფხულის მოახლოებისას ბუნებითი გრძნობით იგრძნობენ თუ არა ცვალებადობას, ბოსლების გასასვლელებისაკენ იყურებიან და თითქოს ერთი ნიშანი მიეცათო, მდგომარეობას იცვლიან. ზოგიერთ ცნობისმოყვარე დამკვირვებელს უნახავს,

რომ ხმელეთზე მცხოვრებმა ზღარბმა თავის სოროს ორი საჰაერო როგორ დაატანა; თუ ჩრდილოეთის ქარი დაუბერავდა, სოროს ჩრდილოეთის მხრიდან გმანავდა, ხოლო სამხრეთის ქარის დაქროლვისას ჩრდილოეთის საჰაეროსთან გადადიოდა.

რას გვაჩვენებს ჩვენ ეს, ადამიანებს? არა მხოლოდ იმას, რომ ჩვენი შემოქმედის ზრუნვა ყოველივეზე ვრცელდება, არამედ იმასაც, რომ თუკი მომავლის გრძნობა რამდენადმე პირუტყვებსაც აქვთ, ჩვენც არა მხოლოდ ამ ცხოვრებას უნდა მივეჯაჭვოთ, არამედ მომავალი საუკუნო ცხოვრებისთვისაც ყოველმხრივ უნდა ვიღვაწოთ. შენი თავისათვის არ უნდა გაისარჯო ადამიანი? ხედავ, რა ჭიანჭველას მაგალითს, ამ ცხოვრებაშივე არ უნდა მოამზადო ის, რაც მომავალში განსვენებისთვისაა საჭირო? იგი საზრდელს ზამთრისათვის ზაფხულშივე აგროვებს. ჯერ მწუხარება ზამთრისა არ დამდგარა, რომ დროს უქმად არ კარგავს, ბეჯითად და თავდაუზოგავად შრომობს, ვიდრე თავის საუნჯეებში საკმარის საკვებს დაიუნჯებდეს; და ამას არა დაუდევრად, არამედ რაღაც ბრძნული მზრუნველობით აკეთებს, რათა იმდენი საზრდელი მოიპოვოს, რამდენიც, რაც შეიძლება, დიდხანს ეყოფა. თითოეულ მარცვალს იგი პირით შუაში კვნეტს, რათა არ აღმოცენდეს და საზრდელად მისთვის მოუხმარებელი არ გახდეს; ხოლო თუ შეამჩნია, რომ დანესტილია, მაშინ აშრობს კიდეც, მაგრამ გასაშრობად ყოველ დროს როდი გამოაქვს, არამედ მაშინ, როცა შეატყობს, რომ ჰაერი დაწმენდილია; და მართლაც, ვერ ნახავ, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ჭიანჭველა მარაგს აშრობს, ღრუბლებიდან წვიმა იღვრებოდეს.

რომელი სიტყვა მისწვდება? ან რომელი სასმენელი დაიტევს? ანდა დროის რა მონაკვეთი იქნება საკმარისი, რათა გიამბოთ და გაუწყოთ შემოქმედის ყველა საკვირველების შესახებ? არამედ სჯობს ჩვენც ვთქვათ წინასწარმეტყველთან ერთად: **ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი უფალო და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ**(ფს.103,24). იმის თქმა: წიგნებისაგან არ გვისწავლია, რა არის ჩვენთვის სასარგებლოო, თავის გასამართლებლად საკმარისი როდი იქნება, რადგან, ბუნებითი სჯულის წყალობით, სწავლის გარეშეც შეგვიძლია არჩევა იმისა, რაც უმჯობესი იქნება ჩვენი სარგებლობისათვის. იცი, რა არის სიკეთე შენი მახლობლებისათვის? ის, რაც გსურს, რომ შენ სხვამ გაგიკეთოს. იცი, რა არის ბოროტება? ის, რაც არ გინდა, რომ სხვისგან განიცადო. არც ფესვების დაქუცმაცების ხელოვნებითა და არც ბალახებზე ცდების ჩატარების შედეგად არ აღმოუჩენიათ პირუტყვებს, როგორ შეიცნონ სასარგებლო. არამედ თითოეული ცხოველი ბუნებრივად პოულობს ხსნის გზას და რაღაც გამოუთქმელი ნათესაობა აქვს იმასთან, რაც მის ბუნებას შეესაბამება.

4. ჩვენც გვაქვს ბუნებრივი სათნოებანი, რომელთანაც სულს ნათესაობა არა კაცობრივი განსწავლის შედეგად აქვს, არამედ ბუნებით. არცერთი მეცნიერება არ გვასწავლის, ავადმყოფობა შეიძულეთო, მაგრამ ჩვენ თვითონვე

გვძაგს ყოველივე, რაც კი მწუხარებას გვაყენებს. ასე რომ, სულშიც არის რაღაც, რომელიც განსწავლის გარეშეც ერიდება ბოროტებას. ყოველგვარი ბოროტება უძლურებაა სულისა, ხოლო სათნოება – სიჯანსაღე. ზოგიერთებმა კარგად განსაზღვრეს სიჯანსაღე, როცა თქვეს, რომ იგი კარგი მდგომარეობაა ბუნებრივ ქმედებათა. არც ის შესცოდავს, რომელიც სულის სიმრთელეზეც ამასვე იტყვის. სულიც ხომ განსწავლის გარეშე ისწრაფვის იმისკენ, რაც მისთვის დამახასიათებელია და მისი ბუნების შესაფერისი. ამიტომაც ყველასათვის საამაყოა სიწმინდე, შეწყნარებულია სამართლიანობა, საკვირველია სიმამაცე და სასურველი გონიერება. ესენი უფრო დამახასიათებელია სულისათვის, ვიდრე სხეულისათვის სიჯანსაღე.

შვილნო, გიყვარდეთ მამანი თქვენნი და მშობლებო, ნურც თქვენ **განარისხებთ შვილთა თქვენთა**(ეფ.6,4). განა ბუნებაც ამასვე არ გვეუბნრება? პავლე მოციქული ახალ რამეს კი არ გვირჩევს, არამედ ბუნების ბორკილებს განამტკიცებს.

უკეთუ ძუ ლომს უყვარს ნაშობნი მისნი და მგელიც თავისი ლეკვებისათვის იბრძვის, რაღა ეთქმის ადამიანს, რომელიც მცნებასაც არღვევს და ბუნებასაც შეურაცხყოფს, კერძოდ, რაჟამს შვილი პატივს არ სცემს მამის სიბერეს, ხოლო მამა მეორე ქორწინებისა გამო თავის პირველ შვილებს ივიწყებს?

საოცარია, უჩვეულოდ დიდია მშობლებისა და შვილების ურთიერთსიყვარული პირუტყვთა შორის, რადგანაც ღმერთმა, რომელმაც ისინი შექმნა, გონების მოკლების წილ, დიდი გრძნობების მიცემით ანუგეშა.

რით აიხსნება, რომ კრავი, გამოვარდება თუ არა იგი ფარეხიდან, ფერითა და ხმით ათას ცხვარში შეიცნობს დედას და მისკენ გარბის, ეძებს რა საკუთარ წყაროს რძისას? დედის ძუძუნი კიდევაც რომ მწირად დაუხვდეს, მაინც კმაყოფილდება და გულგრილად აუვლის გვერდს მრავალ ძუძუს, რძით დამძიმებულს. ასევე დედაც თავის შვილს ათას კრავში იცნობს. ხმა ყველას ერთი აქვს, ფერიც, აგრეთვე და, რამდენადაც ეს ჩვენი ყნოსვისათვის მისაწვდომია, სუნიც ერთი, მაგრამ აქვთ რომელიღაც გრძნობა ჩვენსაზე მახვილი, რომლის წყალობითაც ყოველი მათგანი ადვილად შეიცნობს საკუთარს. ძაღლის ლეკვს ჯერ კბილები არ ამოსვლია და უკვე პირით იცავს თავს იმისაგან, ვინც არ ასვენებს. ხბოს რქები ჯერ კიდევ არ აქვს და უკვე იცის, საჭურველი სად ამოეზრდება. ყოველივე ეს გვაჩვენებს, რომ მათ ბუნებრივი თვისებანი სწავლის გარეშე ეძლევათ და რომ არსებულთა შორის არაფერია უწესრიგო და განუსაზღვრელი, არამედ ყოველი შემოქმედის სიბრძნის კვალს ატარებს და თითოეული გვიჩვენებს, რომ აღჭურვილია საკუთარი თავის დაცვისა და გადარჩენისათვის.

ძაღლი არაა გონებით დაჯილდოებული, მაგრამ აქვს გრძნობა თითქმის თანაბარი გონებისა. ამა სოფლის ბრძენთა ძლივს აღმოაჩინეს, ისხდნენ რა სიცოცხლის მეტი წილი მოცლილნი ამისათვის, კერძოდ, ჩახლართულ დასკვნებს ვგულისხმობ,

ის, როგორც ჩანს, ძაღლს ბუნებამ ასწავლა. ეძებს რა ნადირის კვალს, რაჟამს მას მრავალ დაყოფილს იპოვის, ყველას მოირბენს და თავისი საქციელით თითქმის ხმით გვეუბნება, რაც დაასკვნა: ნადირს ან აქეთ უნდა გადაეხვია, ან იქით, ან კიდევ ამ მხარეს, მაგრამ რამდენადაც არც აქეთ წასულა და არც იქით, მაშინ რჩება, რომ ამ მხარეს უნდა გაქცეულიყო. ამგვარად პოულობს ჭეშმარიტებას სიცრუეთა უარყოფით. ამაზე მეტს რას აკეთებენ ისინი, რომელნიც მედიდურად უსხედან სამწიგნობრეებს, მტვერზე წერენ, სამი წინადადებიდან ორს უარყოფენ და დარჩენილშიღა პოულობენ ჭეშმარიტებას?

განა ის, რომ ამ ცხოველმა წყალობის დამახსოვრება იცის, არ არცხვენს უმადურებს კეთილისმყოფელთა მიმართ? ჰყვებიან, რომ მრავალი ძაღლი, რომელთა პატრონებიც უდაბურ ადგილებში მოკლეს, იქვე დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი მწარე განცდამ მკვლელთა მძებნელების მეგზურად აქცია და იმისთვის მიაღწევინა, რომ ბოროტმოქმედები სამსჯავროზე გადაცემულიყვნენ. რა ეთქმის იმათ, რომელთაც არა მხოლოდ არ უყვართ მათი შემოქმედი და გამომზრდელი უფალი, არამედ იმათთანაც კი მეგობრობენ, რომელნიც ღმერთზე უსამართლოდ მსჯელობენ, მათთან ერთად ტაბლას იზიარებენ და თვით ჭამის დროსაც კი ითმენენ გმობას გამომზრდელისას?

5. მაგრამ მივუბრუნდეთ ქმნილებათა განხილვას. ადვილად მოსანადირებელი ცხოველები მშობიარობისას უფრო ნაყოფიერნი არიან. მრავლად შობენ კურდღლები და ველური თხები, ასევე გარეული ცხვარიც ტყუპებს ბადებს, რათა არ შემცირდეს მათი მოდგმა, რომელსაც ხორცის მჭამელები ანადგურებენ. იმ ცხოველებს კი, რომელნიც სხვებს ჭამენ, შვილები ცოტა ჰყავთ. მაგალითად, ძუ ლომი ძლივს ხდება დედა ერთი ლომისა, რადგანაც, როგორც ამბობენ, ბოკვერი მახვილი ბრჭყალებით აპობს საშოს და ისე გამოდის. ასპიტებიც საშოთა დაღრღნის შედეგად იბადებიან. და მშობელს შესაფერის საზღაურს ამგვარად მიაგებენ.

ასე რომ, არცერთი არსება არაა დატოვებული განგების გარეშე და არცერთს არ აკლია შესაფერისი მზრუნველობა.

თუკი ცხოველთა ნაწილებს შეისწავლი, აღმოაჩენ, რომ დამბადებელმა არც ზედმეტი რამ მისცა მათ და არც ის დააკლო, რაც უცილობლად სჭირდებოდათ. ხორცისმჭამელ ცხოველებს მახვილი კბილები უბოძა შესაფერისად საკვების სახისა. იმათ კი, რომელნიც კბილებით ნახევრად აღჭურვა, საჭმლისათვის მრავალი სხვადასხვა სათავსო განუმზადა. რამდენადაც მათ საკვების საკმარისად დაღეჭვა თავიდანვე არ შეუძლიათ, შესაძლებლობა მიეცათ კვლავ ამოიღონ გადაყლაპული და ცოხნის შედეგად დანამცეცებული შეირგონ. სტომაქი, ჩიჩახვი და გრძელი ნაწლავი უსარგებლოდ როდი მიეცა იმ ცხოველებს, რომელთაც ესენი აქვთ და რომელთაგან თითოეულს აუცილებელი მოთხოვნისათვის იყენებენ.

აქლემს ყელი გრძელი აქვს, რათა ფეხებთან ჩასწვდეს ბალახს, რომლითაც იკვებება, ხოლო ყელი დათვისა მოკლეა და მხრებს შორის ჩავარდნილი, ასევე

მოკლე ყელი აქვს ლომს, ვეფხვს და ყველა იმ დანარჩენს, რომელიც ამ მოდგმას მიეკუთვნება. რადგან ბალახით არ საზრდოობენ, არ არიან იძულებულნი მიწისკენ დაიხარონ, ისინი ხომ ხორცისმჭამელნი არიან და მონადირებული ცხოველებით კმაყოფილდებიან.

რისთვის სჭირდება ხორთუმი სპილოს? ამ დიდ ცხოველს, უდიდესსაც კი ხმელეთის ცხოველთა შორის, რომელიც შემხვედრს შიშით აკრთობს, წილად ერგო ყოფილიყო ახოვანი და ჰქონოდა უზარმაზარი სხეული. ამიტომ თუკი გრძელი, ფეხების შესაფერისი ყელი მიეცემოდა, დიდი სიმძიმისა გამო მისი დაჭერა გაუჭირდებოდა და მუდმივად დაბლა ექნებოდა ჩახრილი. ახლა კი თავი კისრის მრავალრიცხოვანი მალით უკავშირდება ზურგს და აქვს ხორთუმი, რომელიც ავსებს ყელის ნაკლს, კერძოდ, იგი მისი მეშვეობით იღებს საჭმელსა და სასმელს. ფეხები უსახსრო აქვს, ვითარცა სვეტები, მტვირთველნი სხეულის სიმძიმისა. ისინი რომ ნაზი და ლბილი კუნთებით შეგვეცვალა, ხშირად ელრძობოდა ფეხი სახსრებში, რომელნიც ვერ იტვირთავდნენ სიმძიმეს, რაჟამს სპილო მუხლებში ჩაიკეცებოდა ან ადგებოდა. ახლა კი მას მოკლე ტერფზედა ძვალი აქვს ფეხის ქვეშ, მაშინ როცა მუხლს ქვემოთაც და მუხლშიც უსახსროა; მოძრავი, მსხლტომარე სახსრები ხომ უჩვეულოდ დიდ, მერყევ სხეულს, რომლითაც სპილოა შემოსილი, ვერ დაიჭერდა. ამიტომაც სჭირდება ეს ხორთუმი, ფეხებამდე ჩამოგრძელებული. ვერ ხედავ, რომ ბრძოლებში, როგორც სულჩადგმული კოშკები, სპილოები რაზმებს წინ მოუძღვებიან და ვითარცა ხორცის ბორცვები, დაუოკებელი სისწრაფით არღვევენ შემჭიდროებულ ფარებს მტრებისას? ქვემოთა ნაწილი რომ თანაზომიერი არ ჰქონდეს, ეს ცხოველი დიდხანს ვერ იცოცხლებდა. ახლა კი, როგორც ზოგიერთი გვამცნობს, სპილო სამასსა და მეტ წელსაც კი ცოცხლობს. ამიტომაც აქვს ფეხები მთლიანი და უსახსრო. საზრდელს კი, როგორც ვთქვით, მიწიდან ხორთუმით იღებს, რომელიც ბუნებრივად მოქნილია და გველის მსგავსად იკუმშება და იშლება.

ამგვარად, ჭეშმარიტია სიტყვა, რომელიც გვასწავლის, რომ დაბადებულებში არც რამე ზედმეტისა და არც ნაკლებობის პოვნა არ შეგვიძლია. ცხოველი, რომელიც ასე დიდია, ღმერთმა კაცის მორჩილად შექმნა. რაჟამს ვასწავლით, ესმის და როცა ვცემთ, ითმენს, რითაც ღმერთი ნათლად შეგვაგონებს, რომ ყოველივე ჩვენ დაგვიმორჩილა, რადგანაც ჩვენ ხატად დამბადებლისა ვართ შექმნილნი.

არა მხოლოდ დიდ ცხოველებში იხილვება გამოუკვლეველი სიბრძნე შემოქმედისა, არამედ თვით ყველაზე პატარებშიც კი როდი შეგროვდება ნაკლები რიცხვი საკვირველებათა; ისევე როგორც დიდი მთების მწვერვალებზე, ასე ახლოს რომ არიან ღრუბლებთან და ქართა განუწყვეტელი ქროლვის გამო მარადიულ ზამთარს ინარჩუნებენ, ნაკლებ როდი გვაოცებს ღრმა ხეობები, რომელნიც არა მხოლოდ მთის ქარებს არიან განშორებულნი, არამედ ჰაერის სითბოსაც მუდმივად ინახავენ, ასევეა ცხოველთა აგებულებაშიც. ჭეშმარიტად არ მაოცებს სპილო თავისი სიდიდის გამო თაგვზე მეტად, რადგანაც თაგვი

სპილოსთვისაც კი საშიშია, და არც უწვრილეს ისარზე მორიელისა, რომელიც შემოქმედმა სალამურის მსგავსად გამოაღრუვა, რათა დაგესლილზე შხამი მისით გადმოინთხეს. ნურავინ დასდებს ბრალს დამბადებელს, რომ მან გესლიანი ცხოველები შექმნა, მტერნი და განმხრწნელნი ჩვენი სიცოცხლისა. ასე ვინმე მასწავლებელსაც დასდებს ბრალს იმაში, რომ ქარაფშუტა ყრმა წესრიგისაკენ მიჰყავს და ცემითა და შოლტით მის თავაშვებულობას განაბრძნობს.

6. ცხოველები რწმენის გამომცდელნიც არიან. გწამს უფლისა? **ასპიტსა და ვასილისკოსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი**(ფს.90,13), თუ გწამს, სარწმუნოების ძალით გექნება შენ ძალა გველისა და მორიელის დასათრგუნავად.

ვერ ხედავ რომ პავლეს, როცა იგი ფიჩხს აგროვებდა, იქედნე დაეკიდა ხელზე, მაგრამ ვერა ავნო რა, რადგანაც წმიდანი რწმენით აღსავსე აღმოჩნდა(საქმ.28,3-6), ხოლო თუკი ურწმუნო ხარ, ცხოველებზე მეტად საკუთარი ურწმუნოებისა გეშინოდეს, რომლითაც თავი შენი ყოველივე ხრწნილებას წარსაწყმედად განუმზადე.

მაგრამ უკვე კარგა ხანია ვგრძნობ, რომ ადამიანის წარმოშობაზე შემეკითხებით, თითქოს მესმის კიდევაც მსმენელთა გულიდან ამოსული ღაღადისი: ჩვენ ვიღვწით შესწავლისათვის ბუნებისა, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, მაშინ როცა საკუთარ თავს არ ვიცნობთო, ასე რომ, აუცილებელია საუბარი ამის თაობაზეც, რისთვისაც საჭიროა დავძლიოთ გაუბედაობა, რომლითაც შეპყრობილნი ვართ. მართლაც, როგორც ჩანს, ყველაზე ძნელი საქმე საკუთარი თავის შეცნობაა, რადგანაც არა მხოლოდ თვალს არ შეუძლია თავისი თავის დანახვა და მხოლოდ იმას ხედავს, რაც მის გარეშეა, არამედ ჩვენი გონებაც, რომელიც ასე გამჭრიახია სხვისი ცოდვების დანახვისას, საკუთარ ნაკლულევანებათა შეცნობაში მძიმეა და ნელი.

ამიტომაცაა რომ, ამ შემთხვევაშიც, სიტყვა ჩვენი, რომელიც ასეთი სიმახვილით აღწერს უცხოებს, თვისთა საქმეთა გამოსაძიებლად სიზანტითა და შიშით აღსავსეა. თუმცა, უკეთუ ვინმე თავის თავს გონივრულად გამოიკვლევს, ღმერთს ზეცისა და მიწისაგან უფრო მეტად როდი შეიცნობს, ვიდრე ჩვენი საკუთარი აგებულებისაგან. წინასწარმეტყველიც ამბობს: **საკვირველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემგან**(ფს.138,6). ესე იგი, თავი ჩემი შევისწავლე და ამ გზით შევიცანი გარდამეტებულობა შენი სიბრძნისაო.

და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი(შესქ.1,26). სად არის იუდეველი, რომელიც როგორც ზემოთ, რაჟამს ნათელი ღმრთისმეტყველებისა თითქოს სარკმლებიდან გამობრწყინდა და მეორე პირი თუმცაღა არა ცხადად, მაგრამ საიდუმლოდ წარმოჩნდა, ჭეშმარიტებას წინ აღუდგა და ამტკიცებდა, რომ ღმერთი თავის თავს ესაუბრება? იგი ამბობს: ღმერთმა თვითონვე თქვა და თვითონვე შექმნაო: **იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი**(შესქ.1,3). მაშინაც ადვილი იყო შეუსაბამობის მხილება იუდეველის სიტყვებში, რადგანაც რომელი მჭედელი ან

ხურო, ან კიდევ მეხამლე, როცა მას შემწედ არავინ ჰყავს, ეტყვის თავის თავს, მიუჯდება რა თავისი ხელობის იარაღებს: გავაკეთოთ დანა, შევკრათ გუთანი, ან შევკეროთ ფეხსაცმელიო? პირიქით, განა იგი დუმილით არ შეასრულებს თავის სამუშაოს? ჭეშმარიტად უაზრო ლაყბობაა მტკიცება იმისა, რომ ვინმე თავისი თავის მთავრად და ზედამდგომელად დაჯდება და უფლებამოსილებითა და მძლავრობით აშრომებს. მაგრამ არ ეშინიათ რა თვით უფლის ცილისწამებისაც კი, რისი თქმაღა აღარ შეუძლიათ, აქვთ რა ენა, სიცრუეში ფრიად გაწრთვნილი. ახლა თქმულმა კი უცილობლად უნდა დაადუმოს ისინი. **და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი.** მითხარი, ახლაც მხოლოდ ერთი პირია? "შევქმნათ კაციო" და არა "იქმნას კაციო", – წერია ხომ?

ვიდრე მოწაფე გამოჩნდებოდა, სიღრმესა შინა იყო დაფარული ღმრთისმეტყველების ქადაგება, მაგრამ როცა ადამიანის შექმნის მოლოდინი გაჩნდა, რწმენა გაშიშვლდა და უფრო ნათლად გაცხადდა დოგმატი ჭეშმარიტებისა: "ვქმნეთ კაცი".

გესმის, ქრისტეს წინააღმდეგ მებრძოლო, სიტყვა მიმართულია შესაქმის მონაწილისადმი, **რომლისაგანაც შეიქმნნეს საუკუნენი, რომელსა უტჳრთვან ყოველნი სიტყჳთა მით ძლიერებისა მისისაჲთა**(ებრ.1,23). მაგრამ იუდეველი მშვიდად როდი იღებს სიტყვას ღმრთისმოსაობისა, არამედ ვითარცა გალიაში ჩამწყვდეული ყველაზე კაცთმოძულე მხეცი, გისოსებს ღრღნის, წარმოაჩენს რა ამით საკუთარი ბუნების სისასტიკესა და ველურობას, თუმცაღა თავისი სიცოფის აღსრულება არ შეუძლია; ასევე, სიმართლით შევიწროვებული, ჭეშმარიტების მტერი მოდგმა ურიათა, ამბობს, რომ მრავალია პირი, რომელთა მიმართაც ღმრთის სიტყვა ითქვა და რომ თითქოს იგი მასთან მყოფ ანგელოზებს ეუბნებოდეს: **ვქმნეთ კაცი.** იუდეური გამონაგონი! მხოლოდ მათი ქარაფშუტობისათვის დამახასიათებელი შეთხზული არაკი.

იმისთვის რომ ერთი არ მიიღონ, ბევრი შემოჰყავთ და ძის უარსაყოფად თანამზრახველობის პატივს მსახურებს აკუთვნებენ: ჩვენსავე მსგავს მონებს ჩვენი შესაქმის მბრძანებლად წარმოადგენენ. მართალია, სრულქმნილი კაცი ანგელოზთა პატივში აღიყვანება, მაგრამ რომელი ქმნილება შეიძლება იყოს თანასწორი შემოქმედისა? გულისხმა ჰყავ ეს სიტყვებიც: "ხატად ჩუენდა"(შესქ.1,26), რას იტყვი ამის თაობაზე, ერთია ხატი ღმრთისა და ანგელოზთა? ძესა და მამას უცილობლად ერთი ხატი აქვს, ცხადია, უკეთუ ღმრთივმშვენიერ ხატს ვიგულისხმებთ, ანუ არა სხეულებრივად მოხაზულს, არამედ ღმრთეებრივ თვისებას.

ისმინე შენც, რომელიც ახალ წინადაცვეთას ეკუთვნი და რომელიც ქრისტიანობის დაჩემებით იუდაიზმს მოციქულობ, ვის ეტყვის: **ხატად ჩუენდა?** ვის ეტყოდა თუ არა მას, **რომელი-იგი იყო ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ**(ებრ.1,3) და **რომელი იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ**(კოლს.1,15).

ამგვარად, ღმერთი მიმართავს თავისსავე ცხოველ ხატს, რომელმაც გვამცნო: **მე და მამაჲ ერთ ვართ**(ინ.10,30) და **რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**(ინ.14,9). სწორედ მას ეუბნება: "ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა". სადაც ერთი ხატია, იქ სად შეიძლება იყოს არამსგავსება? **და შექმნა ღმერთმან კაცი**(შესქ.1,27), არა თქვა: შექმნესო, რითაც პირთა სიმრავლეს მოერიდა; პირველით იუდეველნი დამოძღვრა, ხოლო უკანასკნელით წარმართობა გამორიცხა. იგი(მოსე) უშიშრად დაუბრუნდა ერთარსებას, რათა მამასთან ერთად ძეც მოიაზრო და პოლითეიზმის საფრთხესაც თავი დააღწიო. **ხატად ღმრთისა შექმნა იგი**(შესქ.1,27). როცა თქვა: "ხატად ღმრთისად" და არა "ხატად თვისადო", ისევ შემოიყვანა შემწე პირი. რითი ემსგავსება ადამიანი ღმერთს და როგორ მონაწილეობს იგი ამ დამსგავსებაში, თუ ღმერთი ძალას მოგვცემს, მომდევნო საუბრებში ვიტყვით. ახლა კი მხოლოდ ამას ვიკითხავთ: თუკი ხატი ერთია, საიდან შეიძინე ასეთი მოუთმენელი უსჯულოება, ამტკიცებ რა, რომ ძე არაა მსგავსი მამისა? ო, ეს უმადურობა! მსგავსებას, რომელიც შენ მიიღე, არ აძლევ მწყალობელს შენსას; ის, რაც შენ მადლით მოგეცა, შენ საკუთრებად მიიჩნევ და გსურს სამარადისოდ შენი იყოს, ძეს კი ნებას არ აძლევ დამბადებელთან ბუნებითი მსგავსება ჰქონდეს?

მაგრამ უკვე დუმილს გვიბრძანებს მწუხრი ესე, რომელსაც მზე უკვე კარგა ხანია, დასავლეთით წარუგზავნია. საკმარისად ვთვლი რა თქმულს, ჩვენც ჩვენი სიტყვა აქ დავაყენოთ; ჩვენ ახლა იმდენად შევეხეთ სიტყვას, რამდენადაც ეს საჭირო იყო აღსაძვრელად თქვენი მოშურნეობისა, ხოლო უფრო სრულყოფილ გამოკვლევას ამ საკითხისა, სულიწმიდის შემწეობით, მომდევნო საუბრებში შემოგთავაზებთ.

წადით სიხარულით, შეკრებილნო ქრისტესმოყვარენო და ნაცვლად სანუკვარი და მრავალფეროვანი სანოვაგისა, აქ თქმულის გახსენებით შეამკეთ თქვენი პატიოსანი ტაბლა. დაე, რცხვენოდეთ უსჯულოებს, პირი იბრუნონ ურიებმა, ღმრთისმოსავი ხარობდეს ჭეშმარიტების მოძღვრებით და იდიდებოდეს უფალი, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმიდა ბასილი დიდი

ფსალმუნთა განმარტებანი[1]

საუბარი პირველ ფსალმუნზე

წმიდა წერილის ყველა წიგნი ღმრთივშთაგონებული და სასარგებლოა(2ტიმ.3,16). რამდენადაც იგი სულიწმიდისაგან დაიწერა, მასში, ვითარცა სულთა საერთო საკურნებელში, ყველა ადამიანს შეუძლია შეარჩიოს წამალი განსაკურნავად საკუთარი სატკივარისა, რადგან ნათქვამია: კურნება ცოდვას ბოლოს უღებს(ეკლ.10,4). წინასწარმეტყველები სხვა გზით გვასწავლიან, მემატიანენი – სხვა გზით; ერთნი სჯულით გვმოძღვრავენ, ხოლო მეორენი – იგავურად შემოთავაზებული შეგონებებით. ფსალმუნთა წიგნს კი ყველასაგან აქვს აღებული ის, რაც სასარგებლოა. იგი წინასწარმეტყველებს მომავალზე და შეგვახსენებს ისტორიასაც, იძლევა ცხოვრების კანონებს და რჩევას საქმეთა კეთებისას. მოკლედ რომ ვთქვათ, საერთო საგანძურია კეთილ მოძღვრებათა, გულმოდგინე გამომძიებელი იმისა, თუ თითოეულისათვის რა იქნება სასარგებლო. იგი კურნავს სულის ძველ წყლულებს და ახლებსაც მსწრაფლ არჩენს, სნეულს აღადგენს, უვნებელს კი იფარავს. საერთოდ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ანადგურებს ვნებებს, რომელნიც კაცის ცხოვრებაში მის სულზე სხვადასხვაგვარად ბატონობენ. ამასთან, სულში იგი წარმოშობს რაღაც მშვიდ სიამოვნებასა და ტკბობას, რომელიც გონებას უმანკოს ხდის.

სულიწმიდამ იცოდა, რომ ძნელია კაცთა მოდგმის წაყვანა სათნოებისაკენ და რომ ჩვენ სწორი ცხოვრება არ გვიზიდავს ტკბობისაკენ მიდრეკილებისა გამო. და როგორ მოიქცა? მოძღვრებას მელოდიის სიტკბოება შეუერთა, რათა იმასთან ერთად, რაც სმენას ნაზად ეალერსება და ატკბობს, შეუმჩნევლად მიგველო სიტყვათაგან სასარგებლონიც. ასე იქცევიან ბრძენი ექიმები, რომელნიც მწარე წამალს იმათ, ვისაც მისი დალევა ეზარებათ, თაფლწასმული თასით აძლევენ.

მწყობრად მელოდიური ფსალმუნები ჩვენთვის შეითხზა, რათა ასაკითაც ყრმებსა, ან საერთოდ, ხასიათითაც ჩვილებსაც ეფიქრათ, რომ მხოლოდ მღერიან, სინამდვილეში კი სულიერად განსწავლულიყვნენ. დაუდევარნი ბრბოდან ისე მიდიან აქედან, რომ იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მცნებანი, ფსალმუნთა სტრიქონებს კი სახლებშიც მღერიან და სავაჭრო მოედნებზეც წარმოთქვამენ. თუკი ვინმე რისხვისაგან გამხეცებული სმენას ფსალმუნით დაიტკბობს, მსწრაფლ მოახერხებს სულის მოთვინიერებას მელოდიით.

---

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **TLG:2040.018. Homilet. J.-P. Migne, Patrologiae cursus completus (series Graeca) (MPG) 29, Paris: Migne, 1857-1866: 209-494.**

2. ფსალმუნი სიმშვიდეა სულისა, მომნიჭებელი მშვიდობისა, იგი აწყნარებს ამბოხებულსა და აღელვებულ გულისთქმათა ქარიშხალს; ალმობიერებს გაღიზიანებულ სულს და გონზე მოყავს თავშეუკავებელი. ფსალმუნი აკავშირებს მეგობრებს, აერთიანებს განშორებულებს, არიგებს მტრებს, რადგანაც ვის შეუძლია კვლავ მტრად ჩათვალოს ის, ვისთან ერთადაც ღმრთისთვის გალობა აღუვლენია? ასე რომ, სათნოებათაგან უდიდესი – სიყვარული, ფსალმუნთა გალობის შედეგად გვენიჭება, მოიფიქრა რა მან კაცთა შესაკავშირებლად ბორკილთა ნაცვლად ერთად გალობა და გააერთიანა რა ისინი ერთ შეთანხმებულ ქოროში. ფსალმუნი თავშესაფარია დემონთაგან და ანგელოზთა მოხმობაა შემწეობისათვის. იგი იარაღია ღამეული შიშის წინააღმდეგ, დასვენებაა ყოველდღიური შრომისაგან, დამცველია ყრმათა, სამკაული ჭაბუკთა, ნუგეშია მოხუცთა, ყველაზე შესაფერისი მორთულობაა ქალთათვის.

ფსალმუნი უდაბნოებს დასახლებულ ადგილებად აქცევს და განსწავლის სავაჭროებს. ვინც ახლა იწყებს, მისთვის ანბანია, ვინც უკვე გზას ადგას – გაზრდა ცოდნისა, სრულყოფილთათვის კი – საყრდენი. ფსალმუნი ხმაა ეკლესიისა. იგი განაბრწყინებს დღესასწაულებს და ღმრთისთვის სასურველ სევდას ბადებს, რადგანაც ცრემლებს თვით ქვის გულისგანაც კი გამოწურავს. ფსალმუნი საქმეა ანგელოზთა, ზეციური მმართველობა, კეთილსურნელება სულისა. ბრძნულია ჩანაფიქრი მასწავლებლისა, რომელმაც მოიფიქრა, რომ სასარგებლო სიმღერით გვესწავლა. მისი მეშვეობით მოძღვრებანი უკეთ აღიბეჭდებიან სულში, რადგანაც იძულებით ნასწავლი დიდხანს არ შეგვრჩება, ხოლო ის, რაც კმაყოფილებითა და სიამოვნებითაა მიღებული, ჩვენს სულში ფესვს მტკიცედ იდგამს.

არის კი ისეთი რამე, რასაც ეს წიგნი არ გვასწავლის? იქნება ეს სიდიადე სიმამაცისა, სიმკაცრე სამართლიანობისა, სილამაზე კეთილგონიერებისა, სინანული, ზღვარი მოთმინებისა და საერთოდ, ყოველი, რასაც კი სათნოებათაგან დაასახელებ. აქ არის სრულყოფილი ღმრთისმეტყველება, წინასწარმეტყველება ქრისტეს ხორციელად მოსვლის თაობაზე, ძრწოლა სამსჯავროს წინაშე, სასოება აღდგომისა, შიში სასჯელისა, აღთქმა დიდებისა, გახსნა საიდუმლოთა. ვითარცა ერთ დიდსა და საერთო საგანძურში, ყოველივე ეს ფსალმუნთა წიგნშია დაუნჯებული, რომელიც წინასწარმეტყველმა მრავალი მუსიკალური საკრავიდან ე.წ. ფსალტირს შეუწყო, რითაც ჩემი აზრით, მიგვანიშნა, რომ მადლი მას ზემოდან, სულიწმიდისაგან მიეცა, რადგანაც იგი ერთადერთი მუსიკალური საკრავია, რომელიც ხმებს ზემო ნაწილიდან გამოსცემს. კითარასა და ლირაში სპილენძი ქვემოთა ნაწილში ჟღერს ხემის შეხებისას, ხოლო ფსალტირში მწყობრი რიტმების წყარო ზემო ნაწილია, რათა ჩვენც სიმაღლეზე ვიზრუნოთ და მელოდიის სიტკბოებამ ხორციელი ვნებებისაკენ არ მოგვიწოდოს. ამასთან, ვფიქრობ, რომ წინასწარმეტყველის სიტყვამ თვით ინსტრუმენტის აგებულებითაც კი ღრმად და ბრძნულად გვასწავლა, რომ მშვენიერსა

და ჰარმონიულ სულებს ადვილად შეუძლიათ ასვლა სიმაღლეზე. შემდგომად ამისა, განვიხილოთ ფსალმუნთა დასაწყისი:

3. **ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა**(ფს.1,1).

მშენებლები სახლისა აღმართავენ რა სიმაღლეში უზარმაზარ შენობებს, საფუძველსაც სიმაღლის შესაბამისს ჩაყრიან ხოლმე. ასევე ხომალდის ამგებნიც, სატვირთო ხომალდის აგებისას, მის წყალქვეშა ნაწილს გათვალისწინებული ტვირთის სიმძიმის შესაბამისად კრავენ. ცოცხალი არსების დაბადების დროსაც ბუნებრივად პირველად გული იქმნება, რომელიც მომავალი ცხოველის შესაფერისი უნდა იყოს, რადგანაც ხორციელი ქსოვილი შესაბამისად საკუთარი საფუძველისა, გულის გარშემო წარმოიქმნება და აქედან წარმოდგება სწორედ განსხვავებანიც ცხოველთა შორის.

რასაც საფუძველი ნიშნავს სახლისათვის, ფსკერი ხომალდისა და გული ცხოველის სხეულისათვის, ვფიქრობ, იგივე მნიშვნელობა აქვს ამ მოკლე შესავალს მთელი ფსალმუნის შედგენილობისათვის.

რადგან ფსალმუნთა ავტორს განზრახული აქვს სიტყვის გაგრძელებასთან ერთად შეგვაგონოს მრავალი რამ, რაც დიდ შრომასა და ჯაფას მოითხოვს, იგი ღმრთისმოსავებს წინასწარ მიგვითითებს ნეტარ დასასრულზე, რათა ჩვენთვის განმზადებული სიკეთის სასოებით ცხოვრების უკუღმართობანი წუხილის გარეშე დავითმინოთ. ისევე როგორც მოგზაურებს ოღროჩოღროსა და ძნელად სავალ გზას მათთვის განმზადებულ თავშესაფარზე ფიქრი უმსუბუქებს, ვაჭრებს ზღვაში შესვლას მოგების წყურვილი აბედვინებს, ხოლო მიწათმოქმედნი გაწეულ ჯაფას ნაყოფიერი მოსავლის იმედით ივიწყებენ, ასევე საერთო მოძღვარი ცხოვრებისა, დიდი მასწავლებელი, სული ჭეშმარიტებისა, ბრძნულად და ოსტატურად ჯილდოს წინასწარ გვთავაზობს, რათა ჩვენ მზერა იმ ჯაფიდან, რომელიც ჩვენი ხვედრია, მოვაქციოთ და იმ მარადიული სიკეთით ტკბობისაკენ წარვმართოთ, რომელიც გველის.

ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა. – ამგვარად, არსებობს ჭეშმარიტი სიკეთე, რომელსაც მისი საკუთარი თავდაპირველი მნიშვნელობით უნეტარესი უნდა ვუწოდოთ – ეს არის ღმერთი. ამიტომაც მოციქული პავლე დააპირებს თუ არა ქრისტეს მოხსენიებას, ამბობს: **გამოცხადებისას ნეტარი ღმრთისა და მხსნელისა ჩუენისა იესო ქრისტესსა**(Iტიმ.1,1;ტიტ.II,13). რადგანაც ნეტარია ის, რაც თავისთავად მშვენიერია, ვისკენაც ყველას მზერაა მიმართული და რომლისკენაც ყველა მიისწრაფვის: უცვალებელი ბუნება, სამეუფო პატივი, უშფოთველი ცხოვრება, უსევდო მდგომარეობა, რომელიც ცვალებადობას არ განიცდის და რომელსაც ცვლილება ვერ ეხება. იგია წყარო დაუშრეტელი, მადლი მოუკლებელი, საგანძური ამოუწურავი. მაგრამ უვიცი და სოფლის მოყვარული ადამიანები, რომელთაც თავად სიკეთის ბუნება არ იციან, ხშირად ნეტარებად თვლიან მას, რასაც არავითარი ღირებულება არა აქვს; კერძოდ, სიმდიდრეს, ჯანმრთელობას, ბრწყინვალე ცხოვრებას, რომელთაგან

არცერთი არ წარმოადგენს ბუნებით სიკეთეს, რადგანაც არა მხოლოდ საპირისპირო სახეს იღებენ ადვილად, არამედ არც იმის ძალა შესწევთ, რომ თავიანთი მფლობელნი უკეთესებად აქციონ. განა ვინმე ფულს სამართლიანი გაუხდია, ან ჯანმრთელობას – კეთილგონიერი? პირიქით, ხშირად თითოეული ამგვარი წყალობა, მის ბოროტად გამომყენებელს ცოდვის ჩადენისათვის უწევს სამსახურს.

ნეტარია ის, ვინც მართლა ფასეული შეიძინა და ვინც განუყრელ სიკეთეს ეზიარა. როგორ უნდა გამოვიცნოთ იგი? ეს არის ის, **ვინც არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა**. მაგრამ მანამ, სანამ, ვიტყოდე, რას ნიშნავს: **არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა,** მსურს ამ ადგილას ერთი საკითხიც განგიმარტოთ, კერძოდ, რატომ გამოარჩია წინასწარმეტყველმა კაცი და მხოლოდ მასზე რატომ თქვა, – ნეტარიაო? ნუთუ ნეტართა რიცხვიდან ქალი გამორიცხა? რაღა თქმა უნდა, არა! რადგანაც ერთია სათნოება კაცისა და ქალისა და შექმნა ორივესი თანაბრად პატივდებული, ამიტომ ჯილდოც ერთი და იგივე აქვთ. მოუსმინე დაბადებას: **და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი**(1,27). რადგანაც ბუნებით ერთნი არიან, ქმედებანიც ერთი და იგივე აქვთ ხოლო, რომელთა საქმენიც ერთია, საზღაურსაც ერთნაირს მიიღებენ. და მაინც, წინასწარმეტყველმა მოიხსენია რა კაცი, ქალზე რატომღა გაჩუმდა? იმიტომ რომ, ბუნების ერთიანობიდან გამომდინარე, მთელის საჩვენებლად საკმარისად ჩათვალა მხოლოდ იმის მოხსენიება, რომელსაც უპირატესობა აქვს.

ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა. – ყურადღება მიაქციე, რომ ამ მუხლში ყოველი სიტყვა ზუსტია, ყოველი გამონათქვამი აზრით დატვირთული. იმას კი არ ამბობს, რომ ნეტარია ის, **ვინც არ მიდის ზრახვასა უღმრთოთასა**, არამედ, ის რომელიც **არა მივიდა**. ვინც ცოცხალია, მას ნეტარს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც არ ვიცით, როგორი იქნება აღსასრული მისი. ხოლო მას, ვინც ვალმოხდილი წავიდა და სიცოცხლე უმწიკვლოდ დაასრულა, უკვე გაბედულად შეგვიძლია ვუწოდოთ ნეტარი, მაშინ რატომღა არიან ნეტარნი ისინი, **რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა?**(ფს.118,1). აქ, როგორც ვხედავთ, წმიდა წერილი ნეტარს უწოდებს არა იმას, ვინც ცხოვრება უკვე განვლო, არამედ მას, ვისაც იგი ჯერ კიდევ არ განუვლია. იმიტომ, რომ კეთილ საქმეთა მოქმედნი თვითონ საქმეთა გამო არიან ღირსნი მოწონებისა, ხოლო ისინი, რომელიც ბოროტებას გაურბიან, ქებას იმსახურებენ არა მაშინ, როცა ერთხელ ან ორჯერ აარიდებენ თავს ცოდვას, არამედ მაშინ, რაჟამს ბოროტის საცდურისაგან თავის დაღწევას სამუდამოდ შეძლებენ.

ამ სიტყვებთან დაკავშირებით სხვა სიძნელეც ჩნდება, სახელდობრ, რატომ უწოდებს ნეტარს იმას, ვინც ცოდვას არ სჩადის და არა იმას, ვინც სათნოებაში წარემატა? ამავე მიზეზით ხომ ცხენს, ხარსა და ქვასაც შეიძლება ნეტარი ეწოდოს, რადგანაც რომელი უსულო დადგა ცოდვის გზაზე, ან რომელი პირუტყვი დაჯდა **საჯდომელსა უსჯულოთასა**? მაგრამ ცოტაც მოითმინე და წამალსაც

იპოვი, რადგანაც წინასწარმეტყველი იქვე დასძენს: **სჯულსა უფლისასა არს ნებაჲ მისი**(ფს.1,2), საღმრთო სჯულის შესწავლა მხოლოდ მოაზროვნე არსებას ხვდა წილად. ჩვენ კი იმასაც ვიტყვით, რომ დასაბამი სათნოებით შემოსვისა ბოროტისაგან განშორებაა, რადგანაც ნათქვამია: **მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი**(ფს.36,27).

4. ამგვარად, ფსალმუნთა ავტორმა ბრძნულად და ოსტატურად წაგვიყვანა რა ჩვენ სათნოებისაკენ, კეთილ საქმეებს დასაბამად ბოროტისაგან განშორება დაუდო. მას რომ შენგან უცებ მოეთხოვა, გახდი სრულყოფილიო, შეიძლება საქმისათვის უფრო გვიან მოგეკიდა ხელი, ახლა კი შენთვის შედარებით ადვილად მისაწვდომს გაჩვევს, რათა შემდეგ გაბედულად შეუდგე დანარჩენსაც. მე კი ვიტყოდი, რომ სათნოებაში წვრთნა კიბეს წააგავს, სწორედ იმ კიბეს, რომელიც ოდესღაც ნეტარმა იაკობმა იხილა; მისი ბოლო მიწასთან ახლოს იყო და თითქმის ეხებოდა, ხოლო თავი თვითონ ზეცაზე მაღლაც კი იყო აღმართული. ასე რომ, ვინც სათნოებით ცხოვრებას იწყებს, ჯერ პირველ საფეხურებზე უნდა მოიმაგროს ფეხი და იქიდან განუწყვეტლივ ვიდოდეს მაღლა და მაღლა, მანამ, სანამ თანდათანობითი წარმატებით კაცობრივი ბუნებისათვის მისაწვდომ სიმაღლეს არ მიაღწევს. ისევე როგორც კიბეზე პირველივე აბიჯება დედამიწისაგან განშორებას ნიშნავს, ასევე იმისთვის, ვისაც საღმრთო სჯულით ცხოვრება სურს, წარმატების დასაბამი ბოროტისაგან განშორებაა. საერთოდ კი ნებისმიერ საქმეზე ბევრად ადვილია ყოველგვარი უმოქმედობა. მაგალითად: მცნებათაგან **არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო**(გამს.20,13-15) თითოეული მხოლოდ უმოქმედობასა და უმოძრაობას მოითხოვს, მაშინ როცა მოღვაწეთა შესაფერისი მოქმედებაა: **შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი**(მთ.19,19), **განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა**(მთ.19,21) და **რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა**(მთ.5,41). აქ მოქმედებათა აღსრულება უკვე მამაც სულს მოითხოვს, ამიტომაც გიკვირდეს სიბრძნე იმისა, ვისაც უფრო ადვილისა და მისაწვდომის გავლით სრულყოფისაკენ მივყავართ.

ფსალმუნთა ავტორმა სამი პირობა შემოგვთავაზა, რომელიც უნდა დავიცვათ: არ მივიდეთ **ზრახვასა უღმრთოთასა**, არ დავდგეთ **გზასა ცოდვილთასა** და არ დავსხდეთ **საჯდომელთა უსჯულოთასა.** ჩვენთა საქმეთა ბუნებრივი მსვლელობა მან თანმიმდევრობით გადმოსცა, რადგან თავდაპირველად მოვიაზრებთ, ხოლმე მერე განვამტკიცებთ, ხოლო შემდეგ მოაზრებულით ვმყარდებით. ამიტომაც უპირველესად ნეტარია წმიდა ფიქრები ჩვენი გულისა, რადგანაც სხეულის მოქმედებათა საფუძველს გულისხმიერი ზრახვანი შეადგენენ. ასე მაგალითად, სიძვა პირველად ავხორცის სულში აღიგზნება და მხოლოდ შემდეგ ხრწნის სხეულს. ამიტომაც ამბობს უფალი, რომ შემაგინებელი კაცისა მისსავე სულშია(მთ.15,18). რამდენადაც უსჯულოება, მისი საკუთარი მნიშვნელობით, ღმრთის წინაშე ცოდვად იწოდება, არასოდეს არ უნდა შევიწყნაროთ ურწმუნოებიდან გამომდინარე ეჭვები ღმერთზე, რადგანაც ეს იქნებოდა მისვლა

ზრახვასა უღმრთოთასა, უკეთუ შენს გულში იკითხავ: არის თუ არა მართლა უფალი მეუფე ყოველთა? არის თუ არა იგი ზეცაში განმგებელი ყოველთა? არსებობს თუ არა სამსჯავრო? მიეგება თითოეულს სამაგიერო მისთა საქმეთა მიხედვით? რატომ ცხოვრობენ მართალნი სიღატაკეში მაშინ, როცა ცოდვილნი მდიდრდებიან? რატომ არიან ერთნი უძლურნი, მეორენი კი ჯანმრთელობით ხარობენ? ერთნი უპატიონი, ხოლო სხვანი განდიდებულნი? თავისი ძალით ხომ არ მოძრაობს სამყარო? ყოველ ჩვენგანს ჩვენი ცხოვრების ხვედრი უაზრო და მოუწესრიგებელი შემთხვევითობისაგან ხომ არ გვეძლევა? და ამგვარად განსჯი, მაშინ უკვე მისულხარ **ზრახვასა უღმრთოთასა**. ამიტომ ნეტარია ის, ვინც არ შეიწყნარა ეჭვები ღმერთზე, ვინც აწმყოს გამო სულმოკლეობა არ გამოამჟღავნა და მოსალოდნელს ელოდება, ვისაც ჩვენს დამბადებელზე ურწმუნო წარმოდგენა არა ჰქონია.

ნეტარია ისიც, ვინც **არა დადგა გზასა ცოდვილთასა.** გზა ცხოვრებას ეწოდება, რადგანაც დაბადებულთაგან ყოველი აღსასრულისკენ მიისწრაფვის. ისევე როგორც ხომალდზე მსხდომნი ქარის მიერ ძალდაუტანებლად მიექანებიან ნავსადგურისაკენ, თუმცა ვერ გრძნობენ, რომ ხომალდის სრბოლა მიზანთან აახლოვებთ, ასევე ჩვენც ჩვენი სიცოცხლის დროის მდინარებით, თითქოსდა რაღაც უწყვეტი და შეუჩერებელი მოძრაობით, ცხოვრების შეუმჩნეველ სრბოლაში საკუთარი ზღვრისკენ მივექანებით. მაგალითად, გძინავს? დრო კი მიედინება! მღვიძარე ხარ და გონება შენი განსჯითაა დაკავებული? მაგრამ სიცოცხლე მაინც გაკლდება, თუმცაღა ამას ვერ შევიგრძნობთ. ყოველი კაცი თავის სარბიელზე დარბის და ყოველი ჩვენგანი საკუთარი მიზნისაკენ მიისწრაფვის, ამიტომაც ჩვენ ყველანი გზაში ვართ, ხოლო ეს გზა შეგიძლია ასე წარმოიდგინო: ამ ცხოვრებაში შენ მგზავრი ხარ, ყოველს გვერდით ჩაუვლი, ყოველივეს უკან იტოვებ. შეგხვდება გზაზე მცენარე, ბალახი, წყალი თუ სხვა რამე ღირსი შენი შეხედვისა, მცირე ხანს დატკბები, შემდეგ კი ისევ გზას გააგრძელებ. კვლავ შემოგხვდებიან ქვები, ხეობები, ფრიალოები, სალი კლდეები, მესერი, ხოლო ზოგჯერ ცხოველები, ქვეწარმავალნი, ეკალნი ან სხვა რამე უსიამოვნო, ცოტა ხნით შეწუხდები, შემდეგ კი დატოვებ; ასეთია სწორედ ცხოვრება: არც მხოლოდ მუდმივი ტკბობა და არც მხოლოდ დაუსრულებელი მწუხარება, არც ეს გზა და არც მასზე მყოფნი არაა შენი. მოგზაურებს ასეთი ჩვევა აქვთ, როგორც კი პირველი ნაბიჯს გადადგამს, მყისვე მის შემდეგ ფეხს აწევს მეორე, მერე – მომდევნო.

5. დაუკვირდი, ჰგავს თუ არა ამას ცხოვრება? დღეს შენ ამუშავებ მიწას, ხვალ სხვა, მის შემდეგ კიდევ სხვა. ხედავ ამ მინდვრებსა და დიდებულ სასახლეებს? თითოეულმა მათგანმა თავისი არსებობის მანძილზე სახელი უკვე მრავალგზის შეიცვალა. თუ ერთ დროს ამისა და ამის საკუთრებად ითვლებოდა, შემდეგ სხვისი სახელი დაერქვა, ახალი მფლობელის ხელში გადავიდა, მერე კიდევ ახალი პატრონის სახელი ეწოდა. ასე რომ, ჩვენი ცხოვრებაც ხომ გზაა, რომელსაც ხან ერთნი და ხან მეორენი ადგებიან და რომელზეც

ყველანი ერთმანეთს მისდევენ? ამიტომ ნეტარია, ის, ვინც **გზასა ულმრთოთასა არა დადგა**. რას ნიშნავს **არა დადგა**? ადამიანები ყრმობის ასაკში არც ბიწიერნი ვართ და არც სათნოებით შემოსილნი (ეს ასაკი ხომ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ იტევს), მაგრამ რაჟამს ჩვენში გონება მომწიფდება, მაშინ აღსრულდება დაწერილიც: **ოდეს მოიწია მცნებაჲ იგი, ცოდვაჲ განცოცხლდა და მე მოვკუედ**(რომ.7,9-10), რადგანაც აღმოცენდებიან ბოროტი ზრახვანი, რომელთაც ჩვენს სულში ხორციელი ვნებები შობს. მართლაც, უკეთუ ჩვენთან მცნება, ანუ სათნოებათა შემეცნება მოვიდა, მაგრამ მან ბოროტი ზრახვანი ვერ დაამარცხა და გონება ვნებათა დასამონებლად მიუშვა, ცოდვა ცოცხლდება, გონება კი კვდება, იქცევა რა გვამად ცოდვით დაცემისა გამო. ამიტომაც ნეტარია ის, ვინც არ გაჩერდა **გზაზე უშჯულოთა**, არამედ კეთილგონიერების წყალობით, ღმრთისმოსაურ ცხოვრებას შეუდგა.

გზა ორია, – ერთმანეთის საპირისპირო. ერთი ფართოა და გაშლილი, მეორე კი ვიწრო და ნაღვლიანი. ორია აგრეთვე მეგზურიც და ორივე ცდილობს მისკენ წაგიყვანოს. სწორი და დაფერდებული გზის მეგზური ცრუ და ბოროტი დემონია, ვინც ტკბობის მეშვეობით მიმდევართა მისთა დაღუპვისაკენ მიაქანებს, ხოლო უსწორმასწორო და ციცაბო გზისა – კეთილი ანგელოზი, რომელსაც სათნოებათა ქმნით ნეტარი აღსასრულისაკენ მიჰყავს მიმდევარნი მისნი. ვიდრე ყრმანი ვართ, ყოველი ჩვენგანი ტკბობას ესწრაფვის და ოდნავადაც არ ზრუნავს მომავალზე, მაგრამ როდესაც დავაჟკაცდება და გონებრივადაც დასრულდება ზრდა მისი, თითქოს ხედავს, რომ მის წინაშე ცხოვრება ორად იყოფა: ერთს სათნოებისაკენ მიჰყავს, ხოლო მეორეს – ბოროტისაკენ. ხშირად მიმართავს რა მათკენ სულიერ მზერას, დახასიათებით სათნოებისა და ბიწიერებისა, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. ცხოვრება ცოდვილთა გვაჩვენებს ყოველგვარ ტკბობას აწმყოთი, ცხოვრება მართალთა კი მხოლოდ მომავალი დროის სიკეთეს წარმოაჩენს. გადარჩენილთა გზა მომავალში იმდენ სიკეთეს გვპირდება, რამდენი ჯაფაცაა გაწეული აწმყოში. ხოლო ტკბობით აღსავსე და თავშეუკავებელი ცხოვრება არა მომავალში მოსალოდნელ, არამედ აწმყოსეულ სიამოვნებას გვთავაზობს. ამიტომაც ყოველი სული აქეთ-იქით აწყდება და არ შეუძლია აზროვნების სიმყარე შეინარჩუნოს. როცა აზრს მარადიულისაკენ წარმართავს, სათნოებას ირჩევს, ხოლო რაჟამს მზერას აწმყოს მიაპყრობს, უპირატესობას ტკბობას ანიჭებს. აქ ხორცის კეთილდღეობას ხედავს, იქ ხორცის დამონებას; აქ მემთვრალეობას, იქ – მარხვას; აქ თავშეუკავებელ სიცილს, იქ ცრემლების სიუხვეს; აქ ცეკვა-თამაშს, იქ ლოცვა-ვედრებას; აქ სალამურის ხმა ესმის, იქ ოხვრისა; აქ მრუშობაა, იქ ქალწულება. რამდენადაც გონებისთვის ჭეშმარიტი სიკეთე მხოლოდ რწმენის გზითაა მისაწვდომი (რადგანაც იგი დაშორებულია ჩვენგან, თვალი ვერ ხედავს და ყურსაც მასზე არაფერი ესმის), ცოდვის სიტკბოება კი ხელმისაწვდომია და ყოველი ჩვენი შეგრძნებიდან ჩვენში ცდუნება მოედინება, ნეტარია ის, ვინც დაღუპვისაკენ კი არ მიიქცა ტკბობათა საცდურით, არამედ სასოება ხსნისა

მოთმინებით შეინარჩუნა და, ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევისას, არ დაადგა გზას, რომელსაც ბოროტებისაკენ მივყავართ.

6. **და საჯდომელთასა უსჯულოთასა არა დაჯდა**. რომელ საჯდომელზე ამბობს, იმაზე, რომელზეც სხეულს ვასვენებთ ხოლმე? და რა დამოკიდებულება აქვს ხეს ცოდვასთან, რომ სკამს, რომელზეც ადრე ცოდვილი იჯდა, ვითარცა ვნების მომტანს, გავექცე? თუ უნდა მივიჩნიოთ, რომ სკამში აქ ცოდვისა და ბოროტების განსჯისას მისი ჯიუტი და მუდმივი მხარდაჭერა იგულისხმება? ამას კი მართლა უნდა ვერიდოთ, რადგანაც ცოდვილებთან ხანგრძლივი ურთიერთობით სულში რაღაც მყარი ჩვევანი ყალიბდებიან; როცა ეს ხშირად ხდება, ჩვევად იქცევა და ბუნებაში გადადის, დაძველებული ვნება სულისა და დროით განმტკიცებული წვრთნა ბოროტებაში ან ძნელად განიკურნება, ან კიდევ სრულიად განუკურნებელია. ამიტომაც უნდა გვქონდეს სურვილი, რომ ბოროტებას არც კი შევეხოთ; არის მეორე გზაც, მყისვე გავექცეთ მას, ვითარცა ნატყორცნს მშვილდოსნისა. სოლომონიც ხომ ამავეს ამბობს ბოროტ ქალზე: **ბოროტ ქალზე მზერას ნუ შეაჩერებ, არამედ განერიდე და ნუ გაუჩერდები**(იგავ.9,18).

ახლაც ვიცი ისეთები, რომელთაც სიჭაბუკეში წარიწყმიდეს ხორციელი ვნებებით თავი და ჭაღარით შემოსილნიც კი, ბოროტი ჩვევის გამო, ცოდვას სჩადიან. როგორც ღორებს ტლაპოში გორაობისას სულ უფრო და უფრო ეკრობათ ტალახი, ასევე ესენიც, ავხორცობის წყალობით, ყოველ დღე ახალი სირცხვილით იმოსებიან. ამგვარად, ნეტარი საქმე ბოროტების განუზრახველობაა. უკეთუ მტრისგან შეპყრობილ სულში უსჯულო ზრახვებს შეიწყნარებ, ცოდვაზე ნუ დადგები, ხოლო თუ მაინც დაემორჩილე, ბოროტებაში ნუ განმტკიცდები. ამიტომაც **ნუ დაჯდები საჯდომელსა უსჯულოთასა**. თუკი გაიგე, რომელ სკამზე ამბობს წმ. წერილი, კერძოდ ის, რომ იგი მას ბოროტებაში ხანგრძლივად დარჩენას უწოდებს, ისიც გამოიძიე, უსჯულოებს ვის უწოდებს. ისინი, ვინც გადამდებ ჭირს იცნობენ, ამბობენ, რომ როგორც კი იგი ერთ ადამიანს ან საქონელს შეეხება, ვინც ახლო-მახლოა, ყველას გადაედება, რადგნაც ამ სენის ბუნება ასეთია: ყველა ერთმანეთისაგან მიღებული უძლურებით აღავსოს.

ასე ემართებათ იმათაც, რომელნიც უსჯულოებას სჩადიან, სახელდობრ, გადასდებენ რა ერთმანეთს ავადმყოფობას, ყველანი ერთად იტანჯებიან სენით, და ერთადვე იღუპებიან. არ გინახავს როგორ დასცინიან უმანკოებს მეძავნი, რომელნიც სავაჭრო მოედნებზე სხედან, საკუთარ სამარცხვინო საქმეებსა და წყვდიადის შესაფერის ზნე-ჩვეულებებზე ჰყვებიან და თავიანთი დაცემის შემთხვევებს, ვითარცა საგმირო, ან სხვა რომელიმე სასახელო ღვაწლს, ისე ჩამოთვლიან? ეს უსჯულონი ცდილობენ, რომ საკუთარი ბიწიერება ყველას გადასდონ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ, რაც შეიძლება, ბევრი დაიმსგავსონ, რათა ცოდვა საერთო გახდეს და ყვედრებასა და ლანძღვას თავი ამ გზით დააღწიონ. ცეცხლს, რაჟამს იგი ადვილად დასაწვავ ნივთიერებას შეეხება, არ შეუძლია მთლიანად არ მოედოს მას, განსაკუთრებით მაშინ, რაც ძლიერი

ქარიც დაბერავს, რომელსაც ალი ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს; ასევე ცოდვაც, შეეხება რა იგი ერთს, როცა ბიწიერნი სულნი გააღვივებენ, არ შეუძლია არ გადავიდეს იმაზე, ვინც ახლო-მახლოა. სული მრუშობისა როდი სჯერდება იმას, რომ ერთი დასცეს სირცხვილით, მას მყისვე უერთდებიან მეგობრებიც: ნადიმები, ლოთობა, ურცხვი თხრობანი, გარყვნილი ქალი, ვინც მათთან ერთად სვამს და ერთს რომ უღიმის, მეორეს აცდუნებს, ყველას ერთად კი ამ ცოდვისთვის აღაგზნებს.

ნუთუ ეს ჭირი და ამ გზით გავრცელება ბოროტებისა ცოტაა? ახლა კიდევ მიმბაძველნი ანგარების მოყვარისა, ან კიდევ იმისა, ვინც სახელმწიფოში პოლიტიკურ ძალაუფლებას რომელიღაც სხვა უკეთურებით მიაღწია და გახდა რა წინამძღოლი ხალხისა, ან მხედართმთავარი, უმდაბლეს ვნებებს მიეცა, განა ვინც მას მიბაძავს, სულში უსჯულოებას არ შეიწყნარებს, რაჟამს თავის საკუთრებად აქცევს ბიწს იმისას, ვისაც ბაძავს?

საზოგადოებაში ბრწყინვალე მდგომარეობა ამავდროულად იმათ ცხოვრებასაც თვალსაჩინოს ხდის, რომელთაც ეს მდგომარეობა უკავიათ. მეომარნი ყველაზე ხშირად მხედართმთავრის დამსგავსებას ცდილობენ, ქალაქებში მცხოვრები ხალხი მმართველებს ბაძავს. და საერთოდ, როცა ერთის ბოროტებას მიბაძვის ღირსად თვლის მრავალი, მაშინ სამართლიანი და შესაფერისი იქნება ვთქვათ, რომ სწორედ იმ ერთისაგან ვრცელდება ცხოვრებაში სულთა წარმწყმედელი სენი. ცოდვა იმისა, ვისაც ყველა უყურებს, ბევრს ეზიდება მიბაძვისაკენ, ხოლო რამდენადაც ესენი გახრწნილებას ერთმანეთს გადასდებენ, ამგვართა შესახებ ამბობენ, რომ ისინი სულებს ღუპავენ. ამიტომაც **ნუ დაჯდები საჯდომელსა უსჯულოთასა**, მონაწილეობას ნუ მიიღებ ზნეობრივად წამხდარ და დაცემულ ადამიანთა საკრებულოში და ბოროტის მზრახველთა შორის ნუ დარჩები.

მაგრამ უკვე ვამჩნევ, რომ ჩემი სიტყვა წინასიტყვაობაზე დაყოვნდა და სიმრავლის გამო ზომიერებასაც გადააჭარბა. ამასთან, კიდევ რომ დავამატო, ველარც თქვენ დაიმახსოვრებთ ადვილად და აღარც მე შემწევს ძალა სიტყვის სამსახურის გასაგრძელებლად, რამეთუ ხმაც აღარ მყოფნის ბუნებრივი უძლურებისა გამო.

და თუმცა სათქმელი ბოლომდე არ მიმიტანია, რადგანაც მხოლოდ ის ვაჩვენე, თუ როგორ უნდა გავექცეთ ბოროტებას და არაფერი მითქვამს იმის თაობაზე, როგორ სრულვყოთ საკუთარი თავი სათნო საქმეებით, მაგრამ კეთილგანწყობილ მსმენელებს ვთავაზობ რა ამჟამად ამას, თუ ღმერთი შემეწევა, პირობას ვდებ, რომ უკეთუ სრული დუმილი არ დამჭირდა, იმასაც დავამატებ, რაც აკლია.

დაე, მოგვანიჭოს უფალმა საზღაური ჩვენ ნათქვამისათვის, თქვენ კი – ნაყოფი იმისა, რაც მოისმინეთ, მისი ცხებულის, ქრისტეს მადლით, რომლისა არს დიდება და ძალი უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საუბარი მეშვიდე ფსალმუნზე

1. **ფსალმუნი დავითისა, რომლითა აქო უფალი სიტყუათა მათთჳს ქუშისთა, ძისა იემენისთა,** მეშვიდე ფსალმუნის ეს ეპიგრაფი თითქოს ეწინააღმდეგება იმას, რაც მეფეთა წიგნში წერია დავითზე, რადგანაც იქ დავითის უპირველესი მეგობრის, ქუში არაქის ძის შესახებაა მოთხრობილი, აქ კი ქუშის იემენის ძე ეწოდება(IIმეფ.15,32). სინამდვილეში, არა მხოლოდ ეს, არამედ იქ მოხსენიებულ სხვა ქუშთა შორისაც არავინ ყოფილა იემენის ძე. იმიტომ ხომ არ ეწოდა იემენის ძე, რომ დიდი სიმამაცე და კეთილშობილება გამოამჟღავნა, რაჟამს მეგობრის ნიღბით მივიდა აბესალომთან და ჩაშალა თათბირი აქიტოფელისა, რომელმაც ისეთი გეგმა წამოაყენა, როგორიც ეს ფრიად მოხერხებულსა და სამხედრო საქმის მცოდნეს შეეფერებოდა? იემენის ძე ხომ როგორც ძე მარჯვენისა, ისე ითარგმნება. როდესაც აქიტოფელმა აბესალომს ურჩია, რომ წამითაც აღარ გადაედო საქმე და პირდაპირ დასხმოდა თავს ბრძოლისათვის მოუმზადებელ მამას, სწორედ ქუშიმ არ შეაწყნარებინა აქიტოფელის თათბირი, **რათა მოევლინა უფალს ყოველი ძჳრი აბესალომის ზედა**(IIმეფ.17,14). პირიქით, მან რათა დავითისათვის ძალების მოსაკრეფად დრო მიეცა, მოისაზრა, დაერწმუნებინა ისინი, რომ სწორედ საქმის გადადება და დაყოვნება იყო საჭირო, რითაც აბესალომსაც ასიამოვნა, რომელმაც თქვა: **ქუში არაქიელის თათბირი სჯობია აქიტოფელის თათბირს**(IIმეფ.17,14). ამასობაში კი, მღვდლების, – სადოკისა და აბიათარის, მეშვეობით შეატყობინა დავითს, რას აპირებდა აბესალომი და მოითხოვა, აღარ დარჩენილიყო ღამით იგი არაბეთის უდაბნოში, არამედ პირიქით, ეჩქარა მისი გადავლა. ამ კეთილი რჩევის წყალობით გახდა ქუში მარჯვენა ხელი დავითისა და სახელიც მისი მამაცური საქმიდან გამომდინარე ეწოდა, კერძოდ, ძე იემენისა, ანუ ძე მარჯვენისა. წმიდა წერილი, ჩვეულებრივ, ბიწიერებს სახელს არა მამის, არამედ ცოდვის მიხედვით აძლევს, ისევე როგორც კეთილ შვილებსაც იმ სათნოების მიხედვით იხსენიებს, რომლითაც ისინი გამოირჩევიან. ასე მაგალითად, პავლე მოციქული ეშმაკს წარწყმედის ძეს უწოდებს: **და გამოჩნდეს კაცი იგი უშჯულოებისაჲ შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ**(2თეს. 2,3); ასევე უფალმაც სახარებაში ძე წარწყმედისა უწოდა იუდას: **არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე იგი წარწყმედისაჲ**(ინ.17,12), მაშინ, როცა ღმრთის შემეცნებით განმტკიცებულნი სიბრძნის შვილებად მოიხსენია: **და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა**(მთ.11,19), და კიდევ: **უკეთუ იყოს მუნ ძჱ მშვიდობისაჲ**(ლკ.10,6).

ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ამ შემთხვევაშიც არაფერია ნათქვამი ხორციელ მამაზე და დავითის უპირველეს მეგობარს **მარჯვენის ძე** ეწოდება, რადგანაც ეს სახელი, რომელიც მისი საქციელიდან მომდინარეობს, უფრო შეეფერება.

2. **უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავ, მაცხოვნე მე**(1). შეიძლება იფიქრო, რომ

ეს სიტყვები მარტივია და ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი, შეუძლია პირდაპირ მიმართოს: **უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავ, მაცხოვნე მე.** სინამდვილეში კი ასე როდია. ვისაც ადამიანის იმედი აქვს, ან ყოფიერების რომელიმე სხვა წყალობით, როგორიცაა მაგალითად, ძალაუფლება, ფული, ან სხვა რამ, რასაც კაცნი ბრწყინვალედ თვლიან, გამედიდურდება, არ შეუძლია თქვას: **უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავ.** არსებობს ხომ მცნება, რომელიც გვასწავლის, ნუ გვექნება იმედი მთავართა, რადგანაც ნათქვამია: **დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს**(იერ.17,5). ისევე როგორც ღმრთეებრივი პატივის მიგება არავისთვის არ გვმართებს გარდა ღმრთისა, ასევე არც იმედი უნდა გვქონდეს არავისი, გარდა ღმრთისა, ყოველთა უფლისა, რადგანაც ნათქვამია: **ძალი ჩემი და გალობაჲ ჩემი – უფალი**(ფს.10,5; 117,14).

რატომ ითხოვს წინასწარმეტყველი ჯერ გადარჩენას მდევართაგან და შემდეგ ხსნას? სასვენი ნიშანი უფრო ნათელს გახდის სიტყვას: **მაცხოვნე მე ყოველთა ჩემთა მდევართაგან და დამიცევ მე, ნუ სადა წარიტაცოს ლომმან სული ჩემი**(2). რა განსხვავებაა გადარჩენას და ხსნას(დაცვას) შორის? ის, რომ გადარჩენა სჭირდებათ სუსტებს, ხოლო ხსნა იმათ, ვინც ტყვეობაშია; ამიტომ ის, ვინც თავის უძლურებას გრძნობს, მაგრამ რწმენასაც თავის თავშივე პოულობს, გადარჩენისაკენ საკუთარი რწმენით მიემართება, რადგანაც ნათქვამია: **სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ**(ლკ.7,50), **ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ**(მთ.8,13). ხოლო ის, ვინც ხსნას მოითხოვს, ელოდება, რომ სხვებმა წარმოადგინონ მისი ხსნისათვის საჭირო ფასი. ამიტომ მან, ვისაც სიკვდილი ემუქრება, იცის, რომ მხსნელი და გამომსყიდველი ერთი და იგივეა და ამბობს: „მე შენ გესავ, გადამარჩინე მე უძლურებისაგან და ტყვეობისაგან დამიხსენი“.

ვფიქრობ, რომ ღმრთის მამაცი მოღვაწეები, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე უხილავი მტრების წინააღმდეგ საკმაოდ იბრძოლეს, როცა მათ დევნას თავს დააღწევენ და სიცოცხლის აღსასრულს მიუახლოვდებიან, გამოძიებულნი იქნებიან საუკუნის თავადისაგან მტრის მიერ მიყენებული ზიანის, ან კიდევ ცოდვის რაიმე ლაქისა თუ ანაბეჭდის აღმოსაჩენად, ხოლო უკეთუ ისინი დაუზიანებელნი და ლაქაწაუცხებელნი აღმოჩნდებიან, ქრისტეს მიერ განისვენებენ, ვითარცა უძლეველნი და თავისუფალნი. ამიტომაც ევედრება წინასწარმეტყველი როგორც სააქაო, ასევე საიქიო ცხოვრებისა გამო, კერძოდ, სთხოვს: აქ მიხსენ მე მდევართაგან, ხოლო იქ, გამოცდის ჟამს, გადამარჩინე, რათა **ნუსადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი**. ამის შეცნობაში თავად უფალი გვეხმარება, როცა ტანჯვის წინ ამბობს: **მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ**(ინ.14,30); მაგრამ ეს მან თქვა, ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია, – **ჩემ თანა პოოს არარაჲ,** ადამიანისთვის კი ისიც საკმარისი იქნება, რომ გაბედოს და თქვას: **მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ** და ჩემთან იპოვნის მცირესა და უმნიშვნელოს.

თუკი არც მხსნელი და არც გადამრჩენელი არ გვეყოლება, საშიშია, მარცხი

არ განვიცადოთ, ორი ცნებას ასევე ორი გაგება ეძლევა: „გადამარჩინე მე და ყოველთა მდევართა ჩემთაგან მიხსენი, რადგან თუ არასოდეს წარმიტაცებენ, არც დახსნილი ვიქნები“.

3. **უფალო ღმერთო ჩემო, უკეთუ ვყავ ესე, ანუ არს უშჯულოებაჲ ჴელთა ჩემთა, ანუ თუ მისა დავაგე, რომელთა მომაგეს მე ბოროტი, გან-სამე-უკუე-ვვარდე მტერთა ჩემთაგან ცუდი; დევნოს სამე მტერმან სული ჩემი და ეწიოს**(3-5).

წმიდა წერილი სახელს „მიგება“ ჩვეულებრივად მხოლოდ მისი საერთოდ მიღებული მნიშვნელობით როდი იყენებს, ე. ი. მარტო იმ შემთხვევაში, როცა სიკეთე ან ბოროტება უკვე ჩადენილია, არამედ მაშინაც, როცა მოსალოდნელია, როგორც მაგალითად, ამ ადგილას: **მომაგე მონასა შენსა**(ფს.118,17). წინასწარმეტყველმა ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა **მომეცი**, თქვა **მომაგე**. მიცემა ქველმოქმედების დასაწყისს ნიშნავს, გაკეთებული სიკეთისათვის იმავე ზომით გადახდას, ხოლო მიგება რაღაც მეორე საწყისია და გაწეული სიკეთისა ან ბოროტებისათვის ვინმესთვის სამაგიეროს დაბრუნებას გულისხმობს.

მე კი ვფიქრობ, რომ, როცა წმიდა წერილში თხოვნის ნაცვლად ზღვევისა და სამაგიეროს მიგების სურვილია გამოხატული, მაშინ იგი ამის მსგავს აზრს ატარებს: როგორც მშობლები ბუნებით არიან ვალდებულნი იზრუნონ შვილებისათვის, ასევე მოიქეცი ჩემი განსჯისას. მამა, შვილების ბუნებრივი სიყვარულის გამო, ვალდებულია იღვაწოს მათი ცხოვრებისათვის, რადგანაც ნათქვამია, რომ შვილებს მშობლებმა უნდა შეუგროვონ საუნჯე(IIკორ.12,14), რათა, გარდა იმისა, რომ სიცოცხლე მიანიჭეს, ცხოვრების სახსარიც მისცენ.

ამგვარად, მიცემა და მიგება წმიდა წერილში ხშირად იხმარება დასაწყის მოქმედებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველი დარწმუნებით ამბობს: არ მიაგებს სანაცვლოს იმათ, რომელთაც ბოროტება გაუკეთეს; მსგავსით არ მიუზღავს სამაგიეროს. „უკეთუ ასე მოვიქცევი და უკეთუ სანაცვლოს მივაგებ, დაე დავეცე მე მტერთა ჩემთაგან ცუდად“, ხოლო მტერთაგან ცუდად ის დაეცემა, ვინც მოაკლდა მადლს, რომელსაც ქრისტეს სისავსე იძლევა.

დევნოს სამე მტერმან სული ჩემი და ეწიოს და დათრგუნოს ქუეყანად ცხორებაჲ ჩემი და დიდებაჲ ჩემი მიწასა შინა დაამკჳდროს. სულს მართლისა, რომელიც სხეულს არ თანაუგრძნობს, აქვს ცხოვრება **დაფარული ქრისტეთურთ ღმრთისა თანა**(კოლ.3,3). ასე რომ, მას შეუძლია მოციქულთან ერთად თქვას: **ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე**; და კიდევ: **ხოლო რომელ-ესე აწ ცხოველ ვარ ჴორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ**(გალ.2,20).

სული ცოდვილისა კი რომელიც სხეულში ცხოვრობს და ხორცის ტკბობათაგანაა წაბილწული, ისე გორავს ხორციელ ვნებებში, ვითარცა, ლაფში. დაამხობს რა მტერი მას, ცდილობს კიდევ უფრო წაბილწოს, ასე ვთქვათ, დაფლას, დაცემული ფეხებით გათელოს და მისი სიცოცხლე მიწასა შინა ანუ სხეულში ჩატკეპნოს.

და დიდებაჲ ჩემი მიწასა შინა დაამკჳდროს. წმიდანებს, რომლებიც ცათა შინა მკვიდრობენ და სიკეთეს მარადიულ საგანძურში იუნჯებენ, დიდებაც ცათა შინა აქვთ; ხოლო დიდება იმათი, რომელნიც თიხისაგანნი არიან და ხორციელად ცხოვრობენ, თიხასა შინაა დამკვიდრებული. მართალია, დიდება აქვთ მათაც, ვინც ან მიწიერი სიმდიდრითაა სახელგანთქმული, ან კაცთა შორის ეძიებს წარმავალ პატივს, ან კიდევ იმედს სხეულებრივ უპირატესობაზე ამყარებს, მაგრამ იგი ზეცისაკენ კი არ მიიმართება, არამედ მიწაზევე რჩება.

აღდეგ, უფალო, რისხვითა შენითა, ამაღლდი მოსრულებად მტერთა შენთა(6). წინასწარმეტყველი ევედრება აღდგომის საიდუმლოების აღსრულებისათვის კაცთა ცოდვების წარსახოცად, ან კიდევ ამაღლებისათვის ჯვარზე, რომელიც მაშინ უნდა განხორციელებულიყო, რაჟამს მტრების ღვარძლი უკიდურეს ზღვარს მიაღწევდა. მსგავს აზრს შეიცავს, აგრეთვე, სიტყვები: **ამაღლდი მოსრულებად მტერთა შენთა**. რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიოს ბოროტებამ და რა უზომოდ და უსაზღვროდაც არ უნდა დაიღვაროს იგი, უფალს, ვითარცა კეთილ მკურნალს, თავისი ყოვლისმომცველი ძლიერებით შეუძლია წინასწარ შემოზღუდოს საზღვრები შესაჩერებლად სენისა, რომელიც ყველგან იღვრება და ყოველივეში აღწევს და გონზე მომყვანი დარტყმებით აღკვეთოს მისი შეუწყვეტელი გავრცელება.

4. **და განიღჳძე, უფალო ღმერთო ჩემო, ბრძანებითა მით, რომელ ამცენ**(6). ეს სიტყვები შეიძლება აღდგომის საიდუმლოს მივაკუთვნოთ, კერძოდ, ვიფიქროთ, რომ წინასწარმეტყველი მსაჯულს ევედრება, აღდგეს, შური იძიოს ყოველი ცოდვისა გამო და ჩვენთვის მოცემული მცნებანი აამოქმედოს. ასევე შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვები გამოხატავენ იმჟამინდელ მდგომარეობას წინასწარმეტყველისა, რომელიც ღმერთს ევედრება, აღდგეს და შური იძიოს მის მიერ მოცემული მცნებისათვის. ხომ ღვთისგან მოგვეცა მცნება: **პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა**(გამს.20,12), რომელიც დავითის ვაჟმა დაარღვია. სწორედ მისი გამოსწორებისა და მრავალთა გონზე მოყვანის მიზნით, დავითი ღმერთს ევედრება, რომ ნუღარ გამოიჩენს სულგრძელობას, არამედ რისხვით აღდგეს და თავისი მცნებისათვის შური იძიოს. ე. ი. უფალს სთხოვს: შური იძიე არა ჩემთვის, არამედ იმ მცნებათა აბუჩად აგდებისათვის, რომელნიც შენგან გვებოძაო.

და კრებული ერთაჲ გარე-მოგადგეს შენ(7). ცხადია, რომ ერთი ცოდვილის გონზე მოყვანით მრავალი მოიქცევა. ამიტომაც, უკეთუ ამ ერთს დასჯი მისი უკეთურებისა გამო, მრავალრიცხოვანი **კრებული ერთაჲ გარე-გამოგადგეს შენ. და ამისთვის მაღლად მოიქეც.** შენთვის გარშემორტყმული კრებულისათვის, რომელიც წყალობისა და განმგებლობის მადლით შეიძინე, დაუბრუნდი სიმაღლეს იმ დიდებისა, **რომელი გაქუნდა უწინარეს სოფლის დაბადებისა**(ინ.17,5).

უფალმან განსაჯნეს ერნი(8). სიტყვა სამსჯავროზე, როგორც ყველაზე აუცილებელსა და ბევრის მომცემზე, ღმრთისმოსავობით იმათი განსწავ-

ლისათვის, რომელთაც ღმერთი იესო ქრისტეს მეშვეობით ირწმუნეს, წმიდა წერილის მრავალ ადგილსაა ჩათესილი. რამდენადაც სიტყვა სამსჯავროს შესახებ სხვადასხვაგვარადაა მოცემული, ამდენად, რამდენადმე აღრეულად წარმოუდგება მათ, რომელნიც ვერ ახერხებენ ზუსტად განასხვავონ ისინი მნიშვნელობათა მიხედვით. მაგალითად, ნათქვამია: **რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს**(ინ.3,18). უკეთუ სიტყვა **ურწმუნო** იგივეა, რაც **ულმრთო**, მაშინ რატომღაა ნათქვამი: **არა აღდგენ ულმრთონი სასჯელსა**(ფს.1,5)? და კიდევ: თუკი მორწმუნენი რწმენის წყალობით იქცნენ ღმრთის შვილებად და ამიტომაც არიან ღირსნი იმისა, რომ თვითონაც ღმერთებად იწოდებოდნენ, მაშინ როგორღაა, რომ: **ღმერთი დადგა შესაკრებელსა ღმერთთასა, ხოლო შორის ღმერთნი განიკითხნეს**(ფს.81,1)?

როგორც ჩანს, სიტყვა **განსჯა** ზოგჯერ **გამოცდის,** გამოძიების მნიშვნელობით იხმარება, ზოგჯერ კი **მსჯავრდების(განკითხვის)** მნიშვნელობით. ასე მაგალითად, გამოცდის მნიშვნელობითაა გამოყენებული იგი ამ მუხლში: **მისაჯე მე უფალო, რამეთუ მე უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე**, რადგან აქვე უმატებს: **გამომცადე მე, უფალო, და განმცადე მე**(ფს.25,1-2); ხოლო მსჯავრდების მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში: **უკუეთუმცა თავთა თჳსთა განვიკითხავდით, არამცა განვიკითხვენით**(Iკორ.11,31), ანუ გვეუბნება: საკუთარი თავი რომ გამოგვეძიებინა, აღარ დავისჯებოდითო. და კიდევ: ნათქვამია: უფალმა **საჯოს ყოვლისა მიმართ ჴორცისა**(იერ.25,31), ანუ, რაც იგივეა, მათი ცხოვრების გამოძიებისას, უფალი სასჯელს ყოველს თვითონ გამოუტანს; ცოდვილთა საქმეებს საკუთარ ცნებებს დაუპირისპირებს და თავის გასამართლებლად, რომ განსასჯელთა გადასარჩენად, რაც მას მოეთხოვებოდა, ყველაფერი გააკეთა, მტკიცებულებებსაც მოიტანს, რათა საკუთარ ბრალეულობაში დარწმუნებულნი ცოდვილნი ღმრთეებრივ სამსჯავროსაც შეურიგდნენ და მათზე მოწეული სასჯელიც მოთმინებით აიტანონ.

5. მაგრამ სიტყვას **განსჯა** აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგალითად, როცა უფალი ამბობს: **დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისა ამისა თანა და დასაჯოს იგი**(მთ.12,42). იმათ შესახებ, რომელთაც ღმრთეებრივი სწავლებისაგან პირი იბრუნეს, ზნე-ჩვეულებათა სიწმინდეზე არ იზრუნეს და სრულიად უარყვეს ჭკუის მასწავლებელი მოძღვრება სიბრძნისა, უფალი ამბობს, რომ იმ თანამედროვეებთან შედარებით, რომელთაც სიკეთის შესანიშნავი მოშურნეობა გამოამჟღავნეს, ისინი იმისათვის, რაც არ აღასრულეს, უმძიმეს სასჯელს მიიღებენ.

მე კი ვფიქრობ, რომ ყველა, ვინც კი მიწიერი სხეულითაა შემოსილი, სამართლიანი მსაჯულის მიერ ერთნაირად როდი განისჯება, რადგან ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული გარეშე ვითარებანი, რომელშიც თითოეულ ჩვენგანს უხდება ცხოვრება, სასჯელსაც სხვადასხვაგვარს იწვევენ: და ის, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული და ჩვენი ნების გარეშე ჩვენ გარშემო ხდება, ან

დაამძიმებს ჩვენს შეცოდებებს, ან პირიქით, შეამსუბუქებს.

წარმოვიდგინოთ, რომ სამსჯავროზე მრუშობა განისჯება. მაგრამ ერთმა შესცოდა იმიტომ, რომ, რადგანაც ქვეყნად გარყვნილი მშობლებისაგან გაჩნდა, ყრმობიდანვე უკეთური ჩვეულებებით: ლოთობით, თამაშით, სამარცხვინო საუბრებით აღიზარდა. მეორეს კი ბევრი რამ ჰქონდა ისეთი, რაც ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა: აღზრდა, მასწავლებელნი, მოსმენა ღმრთის სიტყვებისა, სულის მხსნელი საკითხავები, მშობელთა შეგონებანი, საუბრები, რომლებიც პატიოსნებისა და უმანკოების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს, ზომიერება საზრდელის მიღებისას; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩათრეულ იქნა პირველი ცოდვის მსგავს ცოდვაში და პასუხი უნდა აგოს თავისი ცხოვრებისათვის. განა პირველთან შედარებით ეს უკანასკნელი სამართლიანად არ არის ღირსი უფრო მძიმე სასჯელისა?

პირველის დანაშაული იქნება მხოლოდ ის, რომ ვერ შეძლო ესარგებლა აზროვნებისათვის დამახასიათებელი მხსნელი მიდრეკილებებით, მეორეს კი, გარდა ამისა, ბრალად დაედება ისიც, რომ გადარჩენის მრავალი ხელისშემწყობი მიზეზის მიუხედავად, თავშეუკავებლობისა და დაუდევრობის გამო, თავისი თავი თვითონვე დასცა.

მსგავსად ამისა, იგი, ვინც თავიდანვე ღმრთისმოსაობით აღიზარდა და თავი დააღწია შეცდომებს ღმერთზე მოძღვრებაში, ვინც საღმრთო სჯულით ჩამოყალიბდა, რომელიც ყოველგვარ ცოდვას განსჯის და მათ საწინააღმდეგოს შეგვაგონებს, თუკი კერპების მსახური გახდება, ვერ ექნება ისეთივე გამართლება, როგორიც იმას, ვინც უსჯულო და წარმართი მშობლებისაგან აღიზარდა, რომელთაც კერპთა მსახურება ყრმობიდანვე ასწავლეს.

უფალმან განსაჯნეს ერნი(8). სხვაგვარად განსჯის იგი იუდეველს და სხვაგვარად სკვითს, რადგანაც **ჰურიაჲ განისვენებს შჯულსა ზედა და იქადის ღმრთისა და გამოცდის უმჯობესსა მას**(რომ.2,17-18). იუდეველი სჯულითაა დამოძღვრილი და გარდა იმ მცნებებისა, რომელიც საერთოა ყველასათვის, წინასწარმეტყველთა და სჯულის წიგნებითაა შეგონებული და აღზრდილი. ამიტომაც უსჯულოებაში ჩავარდნა მას გაცილებით მძიმე ცოდვად ჩაეთვლება; სკვითები კი მომთაბარენი არიან, აღზრდილნი ველური და არაადამიანური ჩვეულებებით, შეჩვეულნი ერთმანეთს შორის ძარცვასა და ძალადობას; ისინი თავშეუკავებლად ეძლევიან მრისხანებას, ადვილად ღიზიანდებიან ერთმანეთისაგან მიყენებული შეურაცხყოფით, მიჩვეულნი არიან, რომ ყოველგვარი კამათი იარაღით გადაწყვიტონ, ჩხუბს ყოველთვის სისხლის ღვრით ამთავრებენ და თუკი ერთმანეთის მიმართ რამდენადმე მაინც იჩენენ კაცთმოყვარეობასა და შეწყალებას, თავიანთი წარმატებებით ჩვენ უმძიმეს სასჯელს გვიმზადებენ.

მისაჯე მე, უფალო, სიმართლითა ჩემითა და უმანკოებითა ჩემითა ჩემდამო(8). ისე ჩანს, თითქოს ეს სიტყვები რამდენადმე კვეხნას შეიცავდეს და ახლოს იდგეს ფარისევლის ლოცვასთან, რომელმაც თავი თვისი აღიმაღლა. მაგრამ

ის, ვინც მათ კეთილი განზრახვით განიხილავს, მიხვდება, რომ წინასწარმეტყველი შორს დგას ამგვარი განწყობილებისაგან.

მისაჯე მე, უფალო, ამბობს, **სიმართლითა ჩემითა**. ეს ნიშნავს: სიმართლეს ფართო გაგება აქვს და სრულყოფილი სიმართლის საზღვრების მიღწევა ძნელია; რადგანაც არის სიმართლე ანგელოსთა, რომელიც აღემატება კაცთა სიმართლეს, ხოლო თუკი ანგელოზებზე მაღლა მდგომი ძალაც არსებობს, მაშინ მას სიმართლეშიც საკუთარი სიდიადის შესაფერისი უპირატესობაც ექნება; თავად ღმერთის სამართლიანობა კი ყოველგვარ გონებას აღემატება, ის გამოუთქმელი და მიუღწეველია ყოველი შექმნილი ბუნებისათვის.

6. მისაჯე მე, უფალო, სიმართლითა ჩემითა, ე. ი. იმ სიმართლით, რომელიც კაცთათვისაა მისაწვდომი და ხელეწიფება მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ. **და უმანკოებითა ჩემითა ჩემდამო**. ეს გამოთქმა განსაკუთრებით ამტკიცებს, რომ მისი ავტორის განწყობილება ფრიად შორსაა ფარისევლის ამპარტავნებისაგან, რადგან იგი უმანკოებას უწოდებს თავის უბრალოებასა და გამოუცდელობას იმაში, რისი ცოდნაც სასარგებლოა იგავებში გადმოცემული სწავლების მიხედვით: **უმანკოს სჯერა ყველა სიტყვისა**(იგავ.14,15). რამდენადაც ჩვენ, კაცნი, ხშირად გამოუცდელობის გამო ვცოდავთ, წინასწარმეტყველი სთხოვს ღმერთს, რომ იგი მისი უმანკოების მიხედვით შეიწყნაროს. აქედან კი ცხადია, რომ ნათქვამი მთქმელის თავმდაბლობაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ამპარტავნებაზე.

მისაჯე მე, უფალო, ამბობს იგი, **სიმართლითა ჩემითა**; და განმსაჯე მე იმ უმანკოების მიხედვით, რომელიც ჩემშია. ჩემი მართალი საქმენი კაცობრივი უძლურების გათვალისწინებით გამოიძიე და ამგვარად განმიკითხე. გამოიძიე უბრალოება ჩემი ზნე-ჩვეულებებისა, გამოიძიე, რომ მოუქნელი და გონებამძიმე ვარ ამსოფლიური საქმეებისათვის და ისე განმსაჯე ცოდვებისათვის.

აღესრულნედ ძჳრნი ცოდვილთანი(9). ცხადია, რომ ამ ვედრების წარმომთქმელი სახარების მოწაფეა(მთ.5,44), რომელიც სთხოვს უფალს, ზღვარი დაუდოს და დასასრული მისცეს ცოდვილთა ბოროტებას, როგორც ამასვე იტყოდა ის, ვინც ხორციელად დაავადებულთათვის ითხოვს და ივედრება, რომ ბოლო მოეღოს მათ მტანჯველ სნეულებას. ცოდვა რომ მსგავსად ცეცხლისა უფრო და უფრო არ გავრცელდეს, წინასწარმეტყველი ევედრება ღმერთს, დააყენოს და ზღვარი დაუდოს მის შემდგომ დაღვრას, რადგანაც უყვარს თავისი მტრები და სურს მოძულეებს სიკეთით უპასუხოს. ამიტომაც ლოცულობს იგი თავისი მტრებისათვის.

და წარუმართო მართალსა(9). მართალი წრფელს ეწოდება, ხოლო წრფელია გული, თუ ის სიკეთეშია წარმატებული. რას გულისხმობს აქ წინასწარმეტყველის ეს ვედრება? იგი სთხოვს ღმერთს – წარმართოს წრფელი. თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ვინც მართალია, მასში სიმრუდეცაა, მაგრამ მისთვის ლოცვა მაინც აუცილებელია, რათა მისი წრფელი ზრახვანი და დაუმახინ-

ჯებელი გონება ღმრთის ხელმძღვანელობით წარიმართოს, ჭეშმარიტების კანონებს უძლურების მიზეზითაც კი არ გადაუხვიოს ოდესმე და სიმართლის მტერმა არ გახრწნას დამახინჯებული მოძღვრებით.

რომელი განიკითხავ გულსა და თირკუმელთა ღმერთო მართალო!(9). ისევე, როგორც წმიდა წერილი მრავალ ადგილას სიტყვა **გულს** სულის განმგებლის, ხოლო **თირკმელს** მის გულისთქმათა გამომხატველის მნიშვნელობით ხმარობს, იგი აქაც ამასვე ნიშნავს: განმსაჯე მე, უფალო, ღმრთისმოსაობის იმ სწავლების მიხედვით, რომელიც მაქვს და გრძნობათა მოძრაობით, რამეთუ შენ **განიკითხავ გულსა და თირკმელთა**. გამოცდა, საკუთარი მნიშვნელობით, არის დაკითხვა გამოსაძიებელთა, რომელსაც თან ახლავს ყოველგვარი წამება მსაჯულთა მხრიდან, რათა დამფარველთა, მიყენებულ ტკივილთა გამო, დაფარული იძულებით გაამჟღავნონ. ხოლო ღმრთეებრივი მსაჯულის მიერ უვნებელი გამოცდისას გამოიცდება ჩვენი ზრახვებიცა და საქმენიც. ამიტომ წინასწარ ნურვინ შეიქმნის აზრს მართალ მსაჯულზე და ნურც ნაადრევად განსჯის, **ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმანცა განანათლოს დაფარული იგი ბნელისაჲ და განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი**(1კორ.4,5).

გულისა და თირკმელის გამოძიებისას ღმერთი თავის მართლმსაჯულებას წარმოაჩენს. გამოიცადა გული აბრაამისა, კერძოდ, უყვარდა თუ არა მას ღმერთი ყოვლითა სულითა და ყოვლითა გულითა თვისითა, რაჟამს ებრძანა მსხვერპლად მიყვანა ისააკისა, რათა გამჟღავნებულიყო, რომ ღმერთზე უფრო მას არც შვილი უყვარდა. გამოიცადა, აგრეთვე, იაკობიც, რომელიც ძმის მზაკვრობას მოთმინებით იტანდა, რათა საპირისპიროდ ესავის ცოდვებისა, კიდევ მეტად გამობრწყინებულიყო მისი მოუკლებელი სიყვარული ძმისა. ამათი გულები გამოიცადა, იოსებისა კი – თირკმელი, – როცა ავხორცმა ქალბატონმა მის გამო გონი დაკარგა, მან სამარცხვინო ტკბობას უმანკოების სიწმინდე ამჯობინა. გამოიცადა კი იგი იმიტომ, რომ ღმრთის სამსჯავროს მაყურებლებმა აღიარონ, რამდენად სამართლიანად მიენიჭა მას პატივი, როცა დიდ გამოცდათა შორის მისი სიწმინდე გამობრწყინდა.

7. **შეწევნაჲ ჩემი ღმრთისა მიერ**(10). – ომში მტრების თავდასხმისას შემწეობას ეძებენ ისინი, ვისაც თავს დაესხნენ: აქაც, ის ვინც თავის უხილავ მტრებს შეიგრძნობს და მოწინააღმდეგეთა გამოლაშქრებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს ჭვრეტს, ამბობს: შემწეობა ჩემი არცა სიმდიდრისაგანაა და არცა სხეულისაგან, არცა ჩემი ძალისა და ძლიერებისაგან და არცა ხორციელ ნათესავთაგან, არამედ შემწეობა ჩემი ღმრთისაგანაა. ხოლო იმას, თუ როგორ შემწეობას უგზავნის უფალი თავის მოშიშთა, სხვა ფსალმუნში ვეცნობით, სადაც ნათქვამია: **დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა და იჴსნეს იგინი**(ფს.33,8). და კიდევ სხვაგან: **ანგელოზი ჩემი მიხსნის მე**(დაბ.48,16).

რომელმან განარინნის წრფელნი გულითა(10). გულით წრფელია ის, რომლის გონებასაც არ ახასიათებს არც გარდამეტებულობა და არც ნაკლებობა

სათნოებისა, არამედ შუაში დგას და ზომიერებისაკენაა წარმართული. ვისაც სიმამაცის ნაკლებობისკენ აქვს მიდრეკილება, იგი მხდლად გადაიქცევა, ხოლო ვინც ზედმეტადაა მისკენ გადახრილი, თავხედი ხდება. ამიტომ წმიდა წერილი უკუღმართს უწოდებს მას, ვინც, ან ზომიერების გარდამეტებით, ან კიდევ მისი მოკლებით სცოდავს. ისევე როგორც ხაზი გამრუდდება, თუკი სწორ მიმართულებას შეიცვლის და ან ამოიზნიქება, ან კიდევ ჩაიზნიქება, ასევე მრუდეა გული, თუ მას ხან ქედმაღლობა ამაღლებს, ხან კიდევ სევდა და შეჭირვებანი თრგუნავს. ამიტომაც ამბობს ეკლესიასტე: **გამრუდებული ალარ გაიმართება**(ეკლ.1,15).

ღმერთი მართლმსაჯულ, ძლიერ და სულგრძელ, რომელმან არა მოავლინის რისხვაჲ მისი მარადღე(11).

როგორც ჩანს, წინასწარმეტყველი ამას მათი მღელვარების დასამშვიდებლად ამბობს, რომელნიც მომხდარმა ამბავმა აღაშფოთა, რათა არ დაკარგოდათ რწმენა სიბრძნისა, როცა ხედავდნენ, რომ დაუსჯელია შვილი, რომელიც მამას წინ აღუდგა და წარმატებულია აბესალომის ვერაგული ჩანაფიქრი. ამიტომაც დაამოწმა, რათა გაესწორებინა ის, რაც მათ დასკვნებში არაგონივრული იყო: **ღმერთი მართლმსაჯულ, ძლიერ და სულგრძელ, რომელმან არა მოავლინის რისხვაჲ მისი მარადღე**. უმიზეზოდ როდი ხდება ის, რაც ხდება, არამედ ღმერთი თითოეულს იმ საზომით მიუზღავს, რა საზომითაც ზომავდა იგი თავის საქციელს სიცოცხლეში. ამიტომ თუკი ცოდვას ჩავიდენ, შესაფერისადაც მომეზღვება. ამგვარად, **ნუცა იტყჳთ ღმრთისათჳს სიცრუჱსა**(ფს.74,6). რადგანაც ღმერთი სამართლიანი მსაჯულია, ისე მდაბიურად ნუ იმსჯელებთ ღმერთზე, რომ იფიქროთ, თითქოს უძლური იყოს შურისძიებისათვის, რამეთუ იგი **ძლიერიცაა**. მაშ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ცოდვილებს სასჯელი მაშინვე არ ატყდება თავს? ის, რომ სულგრძელია და **არა მოავლინის რისხვაჲ მისი მარადღე.**

არა თუ მოიქცეთ, მახჳლი მისი ლესულ არს(12). ეს სიტყვები კი უკვე მუქარაა და მოქცევისაკენ აქეზებს მათ, რომელნიც მონანიებას აგვიანებენ. აშინებს არა მაშინვე დაჭრით, დარტყმითა და სიკვდილით, არამედ იარაღის ალესვითაც, თითქოსდა შურის საძიებლად ამზადებდეს. იმათ მსგავსად, რომელნიც იარაღს ლესავენ და ამით ამჟღავნებენ თავიანთ მზადყოფნას ომისათვის, წმიდა წერილიც, სურს რა გამოხატოს განზრახვა ღმრთისა – შური იძიოს, გვეუბნება, რომ იგი ამ განზრახვისათვის წმენდს თავის იარაღს.

მშჳლდსა მისსა გარდაუცუამს და განუმზადებიეს იგი; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი(13). არა ლარით მოიზიდება მშვილდი უფლისა, არამედ დამსჯელი ძალით, რომელიც ხან დაჭიმულია, ხან კი მოშვებული. **სიტყვა** იმით ემუქრება ცოდვილს, რომ თუ კი იგი ცოდვაში დარჩება, უკვე მზადაა სასჯელიც, რომელიც თავს დაატყდება, რადგანაც მშვილდში გამზადებული იარაღები სიკვდილისაა, ხოლო სასიკვდილო იარაღები კი ის ძალებია,

რომელნიც ღმრთის მტრებისათვის უხილავნი არიან.

ისარნი მისნი შესაწუველთათჳს ქმნნა(13). როგორც ცეცხლი შეიქმნა იმ ნივთიერებებისათვის, რომელთა დაწვაც შეიძლება, მაგალითად, არა ალმასისათვის, რომელიც ცეცხლში არ დნება, არამედ შეშისათვის, ასევე ისრებიც ღმრთისა იმ სულთა დასაწველადაა შექმნილი, რომლებშიც ბევრი ნივთიერი რამაა შეკრებილი და განადგურებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ისინი, რომელთაც უკვე იგემეს ისრები ეშმაკისა, ღმრთის ისრებსაც იგემებენ; ამიტომ ამბობს: **ისარნი მისნი შესაწუველთათჳს ქმნნა**. სულს კი წვავს ხორციელი ტრფობა, ანგარებისმოყვარება, ანთებული მრისხანება, მწველი სევდა, რომელიც ღრღნის და შიში, რომელიც განსხვავდება უფლის შიშისაგან. ხოლო მათ, რომელნიც მტრის ისრებისაგან არ დაჭრილან და ღმრთის იარაღით სრულად არიან აღჭურვილნი, არც სასიკვდილო ისრები შეეხებათ.

8. **აჰა ესერა ელმოდა სიცრუვე, მუცლად-იღო სალმობაჲ და შვა უსჯულოებაჲ**(14). როგორც ჩანს, ამ გამონათქვამში რიგია გადანაცვლებული. მშობიარენი ჯერ მუცლად იღებენ, შემდეგ სტკივათ, ბოლოს კი შობენ. აქ კი ჯერ მშობიარობის ტკივილია მოხსენიებული, მერე ჩასახვა და შემდეგ შობა, მაგრამ გულში ჩასახვასთან მიმართებით ეს გამონათქვამი ფრიად გამომსახველია, იგი მშობიარობის ტკივილებს უწოდებს უგუნურ მისწრაფებებს ავხორცთა, სიცოფეს, გახელებულ გულისთქმათ, რადგანაც ისინი სულში სწრაფად და ტანჯვით, ან მწუხარებით იბადებიან. ხოლო ვინც ამგვარი მისწრაფებების შედეგად ბიწიერ ზრახვებზე ვერ გაიმარჯვა, მუცლად იღო სენი და გულისმიერი ბიწიერება უკეთური საქმეებით დაანთო, მან უსჯულოება შვა.

როგორც ჩანს, დავითი ამას იმიტომ ამბობს, რომ რცხვენია მამობა უშჯულო შვილისა. იგი არა ჩემი ძე, – ამბობს წინასწარმეტყველი, არამედ შვილია მამისა, რომელსაც ცოდვის შედეგად ეშვილა, რადგანაც იოვანეს მიხედვით: **რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს**(1ინ.3,8). ამ ეშმაკმა აატკივა მას სიცრუე და ჩაუსახა, ანუ შიგნეულობაში შეუყვანა და საკუთარ განწყობილებათა წიაღში მუცლად მიაღებინა, შემდეგ კი ამშობიარა, წარმოაჩინა რა ქვეყნად მისი უშჯულოება, რაჟამს ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ იგი წინ მამას აღუდგა.

ჴნარცვი თხარა და ალმოჰკუეთა(15). ღმრთეებრივ წერილში ვპოულობთ, რომ სიტყვა **ხარო** (ჴნარცვი) არც თუ ისე კარგი გაგებით იხმარება, მაშინ როცა სიტყვა **ჭას** კარგი მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ძმებმა იოსები ხაროში ჩააგდეს. ხოლო როცა უფალი მოაკვდინებს, ნათქვამია: **მოაკვდინა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან დილეგში (ხაროში) მჯდარი პატიმრის პირმშომდე**(გამს.12,29). ფსალმუნებშიცაა ნათქვამი: **შევირაცხე მე მათ თანა, რომელი შთავიდოდეს მღვიმესა (ხაროსა)**(ფს.87,5). იერემიასთანაც ვკითხულობთ: **მე, დამიტევეს წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ და უთხარეს თავთა მათთა ჯურღმულნი (ჭები) გაჴურეტილნი, რომელნი ვერ შემძლებელ არიან დაპყრობად წყლისა**(იერ.2,13), დანიელის შესახებ მოთხრობაში

აღწერილია ლომების ხარო (ჯურღმული), რომელშიც იგი ჩააგდეს, ხოლო ჭა აბრაამმა და ისაკის შვილებმა ამოთხარეს. ჭასთან შეისვენა ეგვიპტიდან გამოქცეულმა მოსემ(გამს.2,15). სოლომონიც გვაძლევს მცნებას: **სვი წყალი საკუთარი ჭურჭლებიდან და შენი წყაროს ჭებიდან**(იგავ.5,15). მაცხოვარი ჭასთან ესაუბრება სამარიელ ქალს ღმრთეებრივ საიდუმლოთა შესახებ.

რატომ იხმარება ხარო (ორმო) ცუდი და ჭა კი კარგი მნიშვნელობით? ჩვენ ვთვლით, რომ ამას შემდეგი მიზეზი აქვს: ორმოებში წყალი ჩამდგარია, ზეციდან ჩამოსული, ჭებში კი წყლის ძარღვები, ვიდრე ეს ადგილი გაითხრება, მიწითაა დაფარული და მაშინ გამოჩნდება, რაჟამს საფარველი მიწის ბელტებისა, ან კიდევ რომელიმე სხვა ნივთიერებათა, რომელთაც მიწა შეიცავს, მოსცილდება. რაღაც ორმოს მსგავსი ხდება იმ სულებში, რომელთაც შეიძლება გულში ჩაუვარდეთ სიკეთე, მაგრამ სახეცვლილი და შერეული. და ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი მასში ჩავარდნილ გაგებას სიკეთეზე საკუთარი თავიდან დევნის და გადააქცევს რა მას ბოროტებად და ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ, გადაწყვეტს, რომ სულში არავითარი სიკეთე არ ჰქონდეს.

კიდევ: სული ჭასაც ემსგავსება: კერძოდ, მაშინ, როცა ცუდი საფარველი მოსცილდება და გამობრწყინდება ნათელი და წყარო სასმელი წყლისა სიტყვითა და მოძღვრებით. ამიტომაც ყოველმა ჩვენგანმა თავისთვის უნდა მოიმზადოს ჭა, რათა აასრულოს ზემოთ მოხსენებული მცნება, რომელიც შეგვაგონებს: **სვი წყალი საკუთარი ჭურჭლებიდან და შენი წყაროს ჭებიდან**(იგავ.5,15). ასეთ შემთხვევაში, ჩვენც გვეწოდება შვილები ჭათა ამომთხრებლებისა – აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა. ორმოს ამოთხრა კი, არაა საჭირო, რათა, ამ ფსალმუნში ნათქვამის მიხედვით, მასში ჩვენ თვითონვე არ ჩავვარდეთ და არ მოვისმინოთ იერემიას მიერ გადმოცემული საყვედური, რომელსაც უფალი ეუბნება ცოდვილებს და რომელიც ცოტა ხნის უკანაც მოვიხმეთ: **მიმატოვეს მე, ცოცხალი წყაროსთვალი და ამოკვეთეს თავისთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ**(იერ.2,13).

საუბარი მე-14 ფსალმუნის დასასრულსა და მეჟახშეებზე

1. გუშინ, როცა მე-14 ფსალმუნზე გესაუბრებოდით, დრომ ნება არ მოგვცა სიტყვის ბოლომდე მიყვანისა. ამიტომაც ვდგევარ ახლა თქვენ წინაშე ვითარცა კეთილგონიერი მოვალე, რათა დარჩენილი ვალიც გადაგიხადოთ, ხოლო რაც დაგვრჩა, მოსასმენად მოკლეა; მრავალმა თქვენგანმა, შესაძლოა, ვერც კი შეამჩნია და ამიტომაც ვერ წარმოიდგინა, რომ ფსალმუნში რაღაც გამოგვრჩა, მაგრამ რადგანაც ვიცი, ცხოვრებისეული საქმეებისათვის, რა დიდი ძალა აქვს ამ მოკლე გამონათქვამს, ვფიქრობ, ის, რაც სასარგებლოა, გამოუკვლეველი არ უნდა დავტოვოთ.

წარმოგვიდგენს რა სიტყვით წინასწარმეტყველი სრულყოფილ კაცს,

რომელსაც უშფოთველ ცხოვრებაში გადასვლა აქვს განზრახული, მის ქველ საქმეთაგან იმასაც იხსენებს, რომ **ვეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად**[2](ფს.14,5). ეს ცოდვა წმიდა წერილის მრავალ ადგილასაა გაკიცხული. იეზეკიელი ვახშისა და სარგებლის აღებას უდიდეს ბოროტებათა რიცხვს მიაკუთვნებს(იეზ.22,12), სრულიად გარკვევით გვიკრძალავს ამას რჯულიც: **ნუ მიასესხებ სარგებლით შენს ძმასა და მახლობელს**(Iსჯ.23,19), ხოლო სხვაგან ნათქვამია: **ვახში ვახშსა ზედა, ზაკუაჲ ზაკუასა ზედა**(იერ.9,6). და რას ამბობს ფსალმუნი ქალაქზე, რომელიც უსჯულოებათა სიმრავლით ჰყვავის? **არა მოაკლდა უბნებსა მისსა აღნადგინები და ზაკუვაჲ**(ფს.54,11). აქაც ეს ჩათვალა წინასწარმეტყველმა სრულყოფილი კაცის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად, როცა თქვა: **ვეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად.**

მართლაც რომ დიდი სისასტიკეა, როცა ერთი, ვისაც აუცილებელი რამ უჭირს, ვალს იღებს, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს, ხოლო მეორე გასესხებულის უკან დაბრუნებით არ კმაყოფილდება და იმაზე ფიქრობს როგორ აქციოს ღარიბების გასაჭირი შემოსავლისა და მოგების წყაროდ. ამიტომაც გვიბრძანა უფალმა გარკვევით, როცა თქვა: **რომელსა უნდეს სესხებად შენდა, ნუ გარე-მიიქცევი**(მთ.5,42).

ვერცხლისმოყვარე კი ხედავს რა ადამიანს, რომელიც გაჭირვებიდან თავის დაღწევას ცდილობს, თუ როგორ ევედრება იგი მუხლებზე დაცემული, როგორ იმცირებს თავს და რას აღარ ეუბნება, ოდნავადაც არ ებრალება ის, ვინც ღირსების საწინააღმდეგოდ იქცევა და არ ფიქრობს, რომ ბუნებით ისინი ერთნი არიან; ყურსაც არ უგდებს თხოვნის გამომხატველ სიტყვებს, არამედ დგას უდრეკი და უწყალო, ვისაც არც ვედრება ესმის და არც ცრემლები აღელვებს, უარის თქმას აგრძელებს, თავის თავს იფიცებს და იწყევლება, რომ გროშიც არ გააჩნია და თვითონაც ეძებს კაცს, ვისგანაც ისესხებდა. ამ სიცრუეს ფიცით ამტკიცებს და თავისი სისასტიკის წყალობით, ბოროტ ნავაჭრს იძენს – ფიცით დაცემას. მაგრამ როგორც კი სესხის მთხოვნელი ვახშს ახსენებს და წინდსაც დაასახელებს, წარბებს მყისვე ჩამოუშვებს, გაიღიმებს, მამამისთან მეგობრობას გაიხსენებს, უწოდებს მას მეგობარსა და მახლობელს და იტყვის: „ვნახოთ, მაქვს თუ არა სადმე დაზოგილი ვერცხლი, მართალია, მაქვს წინდი ერთი ახლობელი კაცისა, რომელმაც იგი მოსაგებად მომაბარა, მაგრამ მან მასზე მძიმე ვახში დააწესა, თუმცა მე დავუკლებ და უფრო მცირე ვახშით მოგცემ“. ამგვარი გამონაგონებითა და სიტყვებით მოხიბლავს და შეაცდენს გაჭირვებულს, ხელწერილსაც მოსთხოვს და არა მხოლოდ მტანჯველი სიღატაკისათვის სწირავს, არამედ თავისუფლებასაც ართმევს, რადგანაც ის, ვინც ისეთი ვახშის მიცემაზე თანხმდება, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ გადაიხდის, მონა ნებაყოფლობით ხდება. მითხარი, რად ეძებ ფულსა და მოგებას იმისაგან, ვისაც იგი არა აქვს? მას რომ შენი სიმდიდრის გამრავლება

[2] აღნადგინები – ვახში, პროცენტი, სარგებელი.

შეძლებოდა, შენს კარებს სათხოვნელად რატომღა მოადგებოდა? შემწეობისათვის მოვიდა და მტერი იპოვა, სენის განკურნებას ეძებდა და საწამლავი მიიღო. ადამიანისათვის სიღატაკის ტვირთი უნდა შეგემსუბუქებინა, შენ კი გასაჭირი გაუზარდე და შეეცადე ნაყოფი მიგეღო უდაბნოდან. მსგავსად იმ ექიმისა, რომელსაც ავადმყოფმა მიაკითხა და მან, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის ჯანმრთელობა დაებრუნებინა, დარჩენილი მცირე ძალაც წაართვა, ასევე შენც ღარიბთა გასაჭირს შენთვის მოგების მომტან შემთხვევად იხდი. მიწათმოქმედთა მსგავსად, რომელნიც თესლის გამრავლებას წვიმას ევედრებიან, შენც ითხოვ, რომ ადამიანები გაჭირვებასა და სიღატაკეში იყვნენ, რათა შენმა ფულმა მოგება მოგიტანოს. ან იქნებ არ იცი, რომ უკეთუ სიმდიდრეს მოფიქრებული ვახშით გაზრდი, ცოდვებსაც გაიმრავლებ?

უმწეო მდგომარეობაში ვარდება სესხის მძებნელიც, როცა თავის სიღატაკეს უყურებს, იმედს კარგავს, რომ ვალის გადახდას შეძლებს, მაგრამ როცა უშუალოდ იმ წუთს თავსდატეხილ გასაჭირს ხედავს, მაინც ბედავს, რომ ვალი აიღოს. შედეგად ერთი დამარცხებული რჩება, ქედს უხრის რა გაჭირვებას, მეორე კი უზრუნველად შორდება მას, გრძნობს რა, რომ თავი ქუდში აქვს ხელწერილისა და თავდებობის წყალობით.

2. მიიღებს რა სესხად ფულს, ვალის ამღები თავიდან ბრწყინავს და ხარობს, სხვისი ყვავილით ტკბება, ეჩვენება, რომ ცხოვრება შეეცვლება, სუფრა გაშლილი აქვს, ტანსაცმელი – ძვირფასი, მსახურები – ადრინდელზე უფრო მდიდრულად შემოსილნი, ირგვლივ მლიქვნელები და თანამეინახენი ახვევია, სახლში ათასი მუქთახორა ჰყავს; მაგრამ ფული თანდათან დნება და დროის მდინარება ვახშს ზრდის, მაშინ ველარც ღამეს მოაქვს მისთვის მოსვენება და ველარც დღეს – სინათლე, აღარც მზე ანიჭებს სიხარულს, პირიქით, ცხოვრება უმძიმდება, სძულს დღეები, რომელნიც დათქმულ ვადას აახლოვებენ, ეშინია თვეებისა, რადგანაც ისინი მშობელია ვახშისა. უკეთუ სძინავს, ძილშიც სესხის მიმცემელს ხედავს, ვითარცა ბოროტ სიზმარს, რომელიც თავში უტრიალებს, უკეთუ ფხიზლობს, მისი საფიქრალი და საზრუნავი ისევ ვახშია. ნათქვამია: **სესხის მიმცემი და მოვალე ერთმანეთს ხვდებიან, უფალი ორივეს უყურებს**(იგავ.29,13). ერთი, როგორც ძაღლი, ნადავლისკენ გარბის, ხოლო მეორეს, ვითარცა გამზადებულ მსხვერპლს, ეშინია შემთხვევით შეხვედრისა. სიტყვის თავისუფლებას მას სიღარიბე ართმევს. ორივე თითებით ანგარიშობს; ერთი ხარობს ვახშის გაზრდით, ხოლო მეორე – კვნესის გასაჭირის გამრავლებისა გამო.

სვით წყალი თქვენი ჭურჭლებიდან(იგავ.15,5), ანუ რაც გაქვს, იმის იმედი გქონდეს. სხვის წყაროებს ნუკი მიაშურებ, არამედ ცხოვრების სახსარი შენი საკუთარი წვეთებიდან შეაგროვე. გაქვს შენ სპილენძის ჭურჭელი, ტანსაცმელი, წყვილი ხარი, სხვადასხვა ნივთი? გაეცი ისინი და ყოველივეზე უარი თქვი, გარდა თავისუფლებისა. შენ ამბობ, რომ გრცხვენია ქონების საჯაროდ

გაყიდვისა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხომ სხვა გამოფენს მას და ხმამაღლა განაცხადებს, რომ იგი შენია და შენ თვალწინვე გაყიდის იაფად. ნუ მიადგები სხვის კარებს, რადგან მართლაც **რომ ვიწროა სხვისი ჭა**(იგავ.23,27). უმჯობესია, თვითონვე მოიფიქრო, რითი შეეწიო საკუთარ გაჭირვებას, ვიდრე ის, რომ უცბად ამაღლდე სხვისი ქონებით, შემდეგ კი, რაც გქონდა, ისიც დაკარგო. უკეთუ გაქვს რამ, რისი გაცემაც შეიძლება, თავს დატეხილ გასაჭირს რატომ მისი საშუალებით არ უმკლავდები? ბოროტების განკურნვას ბოროტებით როგორღა ცდილობ? ნუ შეხედავ იმედით სესხის მომცემელს, რომელიც ალყას გარტყამს შენ, ნუ მისცემ უფლებას, რომ ვითარცა მსხვერპლი, მოგძებნოს და კვალში ჩაგიდგეს. ვალის აღება დასაბამია სიცრუისა, მიზეზი უბედურებისა, უსამართლობისა და ფიცის დარღვევისა. სხვას ამბობს კაცი, როცა სესხს იღებს და სხვას – როცა მისგან ვალის დაბრუნებას ითხოვენ: „შენ რომ მაშინ არ შემხვედროდი, რაღაც საშუალებას გამოვძებნიდი გასაჭირისაგან თავის დასაღწევად; განა ფული ხელში ძალით არ ჩამიდე? სპილენძნარევი იყო შენი ოქრო და მონეტებიც დაჭყლეტილი“. თუ სესხის მიმცემი მეგობარია, ნუ დაკარგავ მის მეგობრობას, ხოლო თუ მტერია, ნუ გახდები მისი მორჩილი, ვინც შენ მიმართ მტრულადაა განწყობილი. ცოტა ხნით გაიბღინძები სხვისი ქონებით, შემდეგ კი მამისაგან მიღებულ მემკვიდრეობასაც დაკარგავ. ახლა შენ ღარიბი, მაგრამ თავისუფალი ხარ, ხოლო როცა ვალს აიღებ, ვერც გამდიდრდები და თავისუფლებასაც დაკარგავ. ვინც ვალი აიღო, მონა გახდა სესხის მიმცემისა, დაქირავებული მონა, რომელიც იძულებულია ბატონს ემსახუროს.

ძაღლებს ლუკმას გადაუგდებ თუ არა, წყნარდებიან, სესხის მიმღებს კი როცა აძლევ, მაშინ უფრო ღიზიანდება. ყეფას კი არ წყვეტს, არამედ უფრო მეტს ითხოვს; თუ ეფიცები, არ სჯერა, იკვლევს, რა დაგრჩა შინ და რა გაქვს გაცემული; თუ სახლიდან გამოსული გნახა, შინ მიგათრევს და გძარცვავს, ხოლო თუ შინ იმალები, შენს კარებთან დგას და გიკაკუნებს, გარცხვენს ცოლის წინაშე, მეგობრების თვალწინ აბუჩად გიგდებს, მოედნებზე გახრჩობს, დღესასწაულსაც კი ვერ ითენებ მხიარულად, თვით ცხოვრებასაც აუტანლად გიქცევს. მაგრამ შენ ამბობ, რომ დიდი გასაჭირი გადგას და სხვა გზას ვერ ხედავ ფულის საშოვნელად. რა სარგებლობას მიიღებ იქიდან, რომ გასაჭირს თავიდან დღეს აიცილებ? ის ხომ კარგი მორბენლის მსგავსად, კვლავ მოვა შენთან(იგავ.24,34) და იგივე გასაჭირი, ოღონდ კიდევ უფრო გაზრდილი, კვლავ თავს დაგატყდება, რადგანაც ვალი გაჭირვებიდან კი არ გამოგიხსნის, არამედ მხოლოდ ცოტა ხნით გადადებს მას. დღეს დავითმინოთ მძიმე გაჭირვება და მას ხვალისათვის ნუღარ გადავდებთ. თუ ვალს არ აიღებ, ერთნაირად ღარიბი იქნები დღესაც და შემდეგშიც, ხოლო სესხის აღებით კიდევ უფრო დაუძლურდები, რამეთუ ვახში ზრდის სიღატაკეს, ახლა შენ არავინ გადანაშაულებს სიღარიბისა გამო, რადგანაც იგი შენი ბრალი არაა, ხოლო უკეთუ თავს იდებ ვახშის გადახდას, უგუნურებისათვის ყველა გაგკიცხავს.

3. ამგვარად, ჩვენი უგუნურების წყალობით, უნებლიე გასაჭირს ჩვენივე ნებით ბოროტებას ნუღარ მივუმატებთ. ყრმის გონებისთვისაა დამახასიათებელი გასაჭირს იმით კი არ უშველოს, რაც აქვს, არამედ უსაფუძვლო იმედების ირწმუნოს და იმ ნაბიჯის გადადგმა გაბედოს, რაც აშკარა და უცილობელ ზიანს მოუტანს. წინასწარ განსაჯე, საიდან გადაიხდი, იმ ფულიდან ხომ არა, სესხად რომ იღებ? მაგრამ იგი ხომ ორივესათვის, – გასაჭირის დასაფარადაც და გადასახდელადაც არ გეყოფა? ხოლო უკეთუ ვახშსაც მიუმატებ, საიდან გაგიმრავლდება ფული ისე, რომ ცალკე გაჭირვებისაგან იხსნა თავი, ცალკე თავნი შეასრულო და ცალკე კიდევ ვახშიც იხადო? მაგრამ სარგებელს იმ ფულიდან მისცემ, რომელიც ვახშით არ აგიღია? განა გაქვს სხვა წყარო ფულის ასაღებად? მაშინ ამ იმედების აღსრულებას დაველოდოთ და ნუ წამოვეგებით სატყუარაზე ვითარცა თევზები, რომელნიც საკვებთან ერთად ანკესის კაუჭსაც ყლაპავენ. ასევე ჩვენც, თავს ნუ დავიღუპავთ ვახშის გადახდით. სიღარიბე სრულიადაც არაა სამარცხვინო, მაშ რისთვისღა ვიტეხთ სირცხვილს თავს ვალის აღებით? არავინ მკურნალობს ჭრილობას ჭრილობით და **არც ბოროტებას კურნავს ვინმე ბოროტებით**, ვერც სიღარიბეს დაძლევ ვახშის გადახდით. მდიდარი ხარ? სესხს ნუ აიღებ. ღარიბი ხარ? მაინც ნუ ისესხებ. თუ შეძლება გაქვს, არ გჭირდება ვალის აღება, ხოლო უკეთუ არაფერი გაქვს, ვერც ვალს გადაიხდი. ნუ გაიხდი საქმეს ისე, რომ ბოლოს ინანო და ნეტარად ჩათვალო ის დღეები, როცა ვახშს არ აძლევდი. ღარიბები ამ ერთით განვირჩევით მდიდრებისაგან – უზრუნველობით. როცა ჩვენ გვძინავს, მათ უძილო ღამეებს დავცინით, ჩვენ უშფოთველნი და თავისუფალნი ვართ, ისინი პირქუშნი და შეფიქრიანებულნი. ვალის ამღები კი ღარიბიც არის და საზრუნავით დამძიმებულიც: არ სძინავს ღამით და არ სძინავს დღისით, მუდამ ჩაფიქრებულია, აფასებს რა ხან თავის ქონებას, ხან კიდევ დიდებულ სასახლეებსა და მინდვრებს მდიდართა, გამვლელთა ჩაცმულობას, ავეჯს მასპინძლისას. ეს რომ ჩემი იყოსო, – ფიქრობს, ამა და ამ ფასად გავყიდიდი და ვახშის გადახდისაგან გავთავისუფლდებოდიო. ღამითაც ეს უდევს გულში და დღისითაც ამ ფიქრითაა შეპყრობილი. თუ კარზე დაუკაკუნებენ, ვალის ამღები საწოლის ქვეშაა, ვიღაცა წამით შემოირბენს და გული შიშისაგან აუძგერდება, ძაღლი დაიყეფს და ოფლად იღვრება, შინაგანი ბრძოლით იტანჯება და იმაზე ფიქრობს, საით გაიქცეს. როცა დათქმული დრო მოახლოვდება, ახალი საზრუნავი უჩნდება, კერძოდ, როგორ მოიტყუოს, რა მიზეზი მოიგონოს, რათა მოვალეს თავი დააღწიოს. როცა სესხულობ, წარმოიდგინე არა მხოლოდ ის, რომ ფულს იღებ, არამედ ისიც, უკან რას მოგთხოვენ. რისთვის უკავშირდები ნაყოფმრავალ მხეცს? კურდღლებზე ამბობენ, რომ ისინი შვილებს ერთდროულად კიდევაც შობენ და კიდევაც კვებავენ და ამასთან, ხელახლა ორსულდებიან. ასევეა მევახშეების ფულიც – ერთდროულად სესხადაც მიეცემა, ახალსაც შობს და მრავლდება კიდეც. ხელში ჯერ კიდევ არ აგიღია ფული და შენგან

უკვე ამ თვის ნამატს ითხოვენ. ეს ახალი ვალი ახალ ბოროტებას შობს, ის კიდევ ახალს და ასე გრძელდება უსასრულოდ. ამიტომაც ეწოდა ეს სახელი – ვახში – ანგარებისმოყვარეობის ამ სახეს. ჩემი აზრით, „ტოკოს“[3] მას სწორედ ბოროტების მრავალნაყოფიერებისათვის უწოდეს. ან სხვა საიდან უნდა წარმომდგარიყო? ან შეიძლება ვახში იმიტომაც ჰქვია, რომ იგი სესხის ამღებთა სულებში ტკივილებსა და მწუხარებას წარმოშობს, რადგანაც დათქმული დროის მოსვლა ვალის ამღებისათვის მშობიარობის ტკივილებს ედარება. ვახში ვახშზე – უკეთურ მშობელთა უკეთური ნაშიერი! ვახშით მიღებული მოგება იქედნეთა შობის მსგავსია. იქედნეთა შესახებ ამბობენ, რომ დაბადებისას დედის საშოს ღრღნიან. ვახშიც ასევე იშვება, ჭამს რა სახლს ვალის ამღებისა. თესლის აღმოცენებასაც და ცხოველთა გაზრდასაც გარკვეული დრო სჭირდება. დღეს დაბადებული ვახში კი დღესვე მშობიარობს. ცხოველები, რომლებიც ადრე იწყებენ შობას, ადრევე კარგავენ მშობიარობის უნარს, ხოლო ფული, რომელიც დასაბამს სწრაფი გამრავლებისგან იღებს, უფრო და უფრო იმატებს უსასრულოდ. ყოველივე, რაც კი იზრდება, რაჟამს თავის შესაფერის სიდიდეს მიაღწევს, ზრდას წყვეტს, ანგარების მოყვარულის ვერცხლი კი მუდმივად იზრდება. ცხოველები, როცა მათი შვილები იწყებენ შობას, თვითონ აღარ მშობიარობენ, სესხის გამცემისა კი ის ვერცხლის მონეტებიც შობენ, რომელიც ადრევე ჰქონდა, და ისინიც, რომელნიც მერე შემოემატა. შენთვის უმჯობესია, თუკი ამ საზარელ მხეცს არასოდეს გამოცდი.

4. შენ შეგიძლია თავისუფლად უყურო მზეს, მაშ რადღა გშურს შენთვის თავისუფალი ცხოვრება? არც ერთი მოკრივე ისე არ გაურბის მოწინააღმდეგის დარტყმებს, როგორც ვალის ამღები შეხვედრას ვალის მიმცემთან, ცდილობს რა დაემალოს, სვეტებსა და კედლებს ეფარება.

აბა, რა ვჭამოო – იკითხავ შენ. ხომ გაქვს ხელები, ხომ გაქვს ხელობა, დაექირავე, ვინმეს ემსახურე. მრავალი რამის მოფიქრება, მრავალი საშუალების გამონახვა შეიძლება ცხოვრებისათვის. მაგრამ შენ ამის ძალა არა გაქვს? სთხოვე მათ, ვისაც აქვს. მაგრამ თხოვნის გრცხვენია? განა უფრო სამარცხვინო არ იქნება, რაც ისესხე, ის რომ უკან აღარ ჩაასესხო? ამას ყოველივეს, როგორც კანონმდებელი, ისე კი არ ვამბობ, არამედ მინდა გაჩვენო, რომ შენთვის ყველაფერი უფრო ასატანი იქნება, ვიდრე სესხი. ჭიანჭველას შეუძლია თავის რჩენა ისე, რომ არც ითხოვოს და არც ისესხოს და ფუტკარიც, რაც ჭამის შემდეგ გადარჩება, მას მეფეებთან ძღვნად ეზიდება და ეს მაშინ, როცა ბუნებას მათთვის არც ხელები მიუცია და არც ხელობა. შენ კი, ადამიანო, რომელიც გამომგონებელი ცხოველი ხარ, ნუთუ მრავალი საშუალებისაგან ერთიც არ შეგიძლია გამონახო ცხოვრების წარსამართად? ამასთან, ვხედავთ, რომ ისინი კი არ მიდიან ვალის ასაღებად, რომელთაც აუცილებელი რამ უჭირთ, არამედ უფრო ხშირად ის ადამიანები სესხულობენ, რომლებიც უანგარიშო მფლან-

[3] „ტოკოს“ ბერძნულად ვახშს ნიშნავს და წარმომდგარია სიტყვისაგან „ტიკტო“ (tiktw) – ვშობ.

გველობასა და უსარგებლო ფუფუნებას ეძლევიან, ემონებიან რა ახირებულ ქალურ სურვილებს. „მე, – ამბობს ცოლი, – ძვირფასი კაბა და ოქრო მჭირდება, ბავშვებისთვისაც აუცილებელია მათი შესაფერი ლამაზი ტანსაცმელი, მსახურებს ფერად-ფერადი და ჭრელი სამოსი სჭირდებათ, ხოლო სუფრას – სიუხვე“. ქმარიც ასრულებს რა ცოლის ამგვარ განკარგულებას, მევახშესთან მიდის და ვიდრე ნასესხებ ფულს მიიღებდეს, ერთი-მეორის მიყოლებით იცვლის მრავალ ბატონს, რადგან იღებს და იღებს ვალდებულებას ახალი და ახალი მსესხებლის წინაშე. ამ განუწყვეტელი ბოროტების გზით ცდილობს იგი, არ გამომზეურდეს მისი გასაჭირი. წყლით განსივებულთა მსგავსად, რომელნიც ჯიუტად ფიქრობენ, რომ მხოლოდ მსუქანნი არიან, ესეც, ვალის მუდმივი სესხებითა და ჩასესხებით, თავს მდიდრად წარმოიდგენს. ისტუმრებს რა ძველ ვალს ახლის აღებით და განუწყვეტელი ბოროტების წყალობით ნდობას იხვეჭს ახალი და ახალი სესხის მისაღებად.

ხოლერით დაავადებულთა მსგავსად, რომელნიც შეუჩერებლად ანთხევენ იმას, რაც ჭამეს და თუ კუჭის სრულ განწმენდამდე სხვა კერძი მიირთვეს, ტკივილებითა და კრუნჩხვებით ისევ იწყებენ ამონთხევას, ასევე ესენიც, ცვლიან რა ერთ მევახშეს მეორეთი, მაშინ როცა ადრინდელი ვალები ჯერ ისევ ჰმართებთ, ახალ სესხს იღებენ; მცირე ხნით მოაქვთ თავი სხვისი ქონებით, ხოლო ბოლოს კი – საკუთარს დასტირიან. მრავალი დაღუპა სხვისმა ქონებამ, მრავალმა იხილა თავისი თავი სიზმარში მდიდარი, მაგრამ სინამდვილეში სასჯელი მიიღო.

იმასაც ამბობენ, ვალების აღებით მრავალი გამდიდრდაო. მე კი ვფიქრობ, რომ ამ გზამ უფრო მეტი ყულფამდე მიიყვანა. შენ ხედავ გამდიდრებულებს და არ გახსენდება, ვინც თავი ჩამოიხრჩო, რადგან ვერ აიტანა სირცხვილი, როცა ვალი უკან მოსთხოვეს, უქონლობის გამო ვერ მისცა და შერცხვენილ სიცოცხლეს ყულფით სიკვდილი ამჯობინა. მე მინახავს სიბრალულის აღმძვრელი სანახაობა, როცა თავისუფალი ბავშვები მამების ვალის გამო გასაყიდად მიჰყავდათ. არა გაქვს ფული შვილებს რომ დაუტოვო? კეთილშობილებას მაინც ნუ წაართმევ, განძი თავისუფლებისა – ეს საწინდარი, რომელიც მშობლებისაგან გადმოგეცა, მაინც შეუნახე. არასოდეს დაუდვიათ ბრალი ვინმესთვის მამის სიღარიბისა გამო, მაშინ როცა მამის ვალს კაცი საპყრობილისაკენ წაუყვანია. ნუ დატოვებ შენს შემდეგ ხელწერილებს, რომელიც მამისაგან წყევლის დარი იქნება და შვილებსა და შვილიშვილებზე გადავა.

5. ყური დაუგდეთ, მდიდრებო, რას ვურჩევთ ღარიბებს თქვენი სისასტიკისა გამო. უმჯობესია, სხვა უბედურებანი დაითმინონ, ვიდრე ისინი, რომელიც ვახშს მოჰყვება შედეგად. მაგრამ თქვენ რომ უფლისა გერწმუნათ, ეს სიტყვები საჭირო აღარ იქნებოდა. ხოლო უფალი რას გვირჩევს? ასესხეთ მათ, რომელთაგან უკან მიღების იმედი არ გექნებათო(ლკ.6,34-35). იკითხავთ, ეგ რაღა სესხია, თუკი მას უკან მიღების იმედიც არ შეუუღლდაო? მოიაზრე ძალა ნათქვამისა და გაგაოცებს კაცთმოყვარეობა რჯულისმდებელისა. რასაც

ღარიბს უფლის გულისათვის აძლევ, ის საჩუქარიც არის და სესხიც. საჩუქარია იმიტომ, რომ არ არსებობს იმედი მისი უკან მიღებისა, სესხი კი უფლის გულუხვობის წყალობითაა, რომელიც იღებს რა მცირეს ღარიბის მეშვეობით, სანაცვლოდ უფრო დიდს მოგანიჭებს, რადგანაც ღარიბ-ღატაკის გამკითხავი სესხს უფალს აძლევს(იგავ.19,17). ნუთუ არ გინდა, რომ სამაგიეროს მოგებისათვის შენ წინაშე თვით ყოველთა უფალი იყოს პასუხისმგებელი? ქალაქის რომელიმე მდიდარი რომ დაგპირებოდა, სხვის მაგივრად გადავიხდიო, ხომ მიიღებდი მის თავდებობას? და უფალს კი უფლებას არ აძლევ გადაიხადოს ღარიბთა ნაცვლად? მიეცი ვერცხლი, რომელიც უქმად გიწყვია, ნუ დაამძიმებ ღარიბს ვახშით და ორივესთვის კარგი იქნება: შენთვისაც, რადგან ვერცხლი საიმედოდ შეგენახება და იმისთვისაც, ვისაც მისცემ, რადგან მისი გამოყენებით სარგებელს ნახავს. ხოლო უკეთუ მოგებას ეძებ, ისიც იკმარე, რასაც უფალი მოგანიჭებს. იგი ღარიბთათვის ნამატსაც გადაიხდის, რადგან იმისაგან, ვინც ჭეშმარიტად კაცთმოყვარეა, კაცთმოყვარეობას უნდა ელოდო. ხოლო თუკი ნამატს ღარიბისაგან მიიღებ, ეს კაცთმოძულეობის უმაღლესი გამოხატულება იქნება, რადგან სხვათა უბედურების ხარჯზე მოგებას ნახულობ, ფულს ცრემლებისაგან კრებ, ტიტველს ახრჩობ და მშიერს ურტყამ. უწყალო ხარ და არ ფიქრობ იმაზე, რომ ტანჯული შენი ნათესავია. და შენ ასე მიღებულ მოგებას კაცთმოყვარეობად მოიხსენიებ? **ვაი, მათ, რომელნიც ტკბილს მწარეს უწოდებენ და მწარეს – ტკბილს**(ეს.4,20) და კაცთმოძულეობას კაცთმოყვარეობად სახელსდებენ. ასეთი როდი იყო სამსონის გამოცანა, რომელიც მან თანამეინახეებს შესთავაზა: **მჭამელთაგან საჭმელი გამოვიდა, ძლიერიდან ტკბილი გამოვიდა**(მსაჯ.14,14) და კაცთმოძულისაგან კაცთმოყვარეობა გამოვიდა. ვერ შეკრებენ ეკალთაგან ყურძენს და კუროისთავთაგან ლეღვს(მთ.7,20) და ვახშისაგან კაცთმოყვარეობას, რადგან ხენეში ხე ნაყოფსაც ხენეშს გამოიღებს(მთ.7,17).

ასპროცენტიანი და ათპროცენტიანი ვახშის ამღებნი, რომელთა სახელების მოსმენაც კი შიშის მომგვრელია და ისინი, ვინც ნამატს ყოველ თვე ითხოვენ, ბნელის წარმომშობ დემონთა მსგავსად, მთვარის მიმოქცევის მიხედვით, ესხმიან თავს ღარიბებს. ვახშის გადახდა ორივე მხარისათვის უკეთურებაა, იმისთვისაც, ვინც აძლევს და იმისთვისაც, ვინც იღებს. ერთისათვის ფულის დაკარგვა მოაქვს სასჯელად, ხოლო მეორისას სულს ვნებს. მიწათმოქმედი აიღებს რა თავთავს, თესლს ფესვის ქვეშ უკვე აღარ ეძებს. შენ კი ნაყოფსაც იღებ და არც იმას პატიობ, რაც თავიდანვე მიეცი. უმიწოდ თესავ და რაც არ დაგითესია, იმას იმკი. ამასთან, უცნობია, თუ ვისთვის კრებ. ვინც ვახშის წყალობით ცრემლებს ღვრის, ცნობილია, ხოლო ამ გზით შეძენილი ქონებით ვინ ისარგებლებს – ეს საეჭვოა. რადგანაც შეკრიბე შენთვის მხოლოდ ბოროტება უსამართლობისა, სხვას ხომ არ აძლევ საშუალებას სიმდიდრით გაიხაროს?

ასე რომ, **რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი**(მთ.5,42) და

შენს ვერცხლს ვახშით ნუ გასცემ, არამედ ძველი და ახალი აღთქმისაგან სასარგებლო ისწავლე, კეთილი იმედით უფლისაკენ წარემართე და ქველი საქმეებისათვის ვახშს იქ, ჩვენი უფალი იესო ქრისტესაგან მიიღებ, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საუბარი 28-ე ფსალმუნზე

1. 28-ე ფსალმუნს გარდა საერთო წარწერისა: **ფსალმუნი დავითისა**, საკუთარი ეპიგრაფიც აქვს, რადგან აქვე ერთვის: **გამოსლვისათჳს კარვისა**. რას ნიშნავს ეს? მოვიაზროთ რას გულისხმობს **გამოსვლა** და რას **კარავი**, რათა ფსალმუნის ძირითადი აზრის წვდომა შევძლოთ, ხოლო რაც მის ისტორიულ მხარეს შეეხება, ჩანს, რომ მღვდლებსა და ლევიტელებს თავიანთი საქმის აღსრულებისას აძლევდა ბრძანებას, ხსომებოდათ, რა უნდა ჰქონოდათ მომზადებული მსახურებისათვის, რადგანაც მათ, ვინც კარვიდან გამოდიოდა და მას ტოვებდა, ფსალმუნი ასწავლის, რისი მომზადება ჰმართებდა და რა უნდა ჰქონოდა თან, როცა ისევ მოვიდოდა, სახელდობრ, უნდა შეეწირა: **შვილნი ვერძებისა, დიდება და პატივი, და დიდება სახელისა მისისა**. ამასთან უნდა სცოდნოდა, რომ გარდა უფლის ეზოსა და წმიდათაწმიდისა, სხვა რომელიმე ადგილს ღმრთისმსახურება არ შეეფერებოდა. ჩვენი გონება კი, რომელიც ამაღლებულს განჭვრეტს და რჯულს ღმრთეებრივი წერილისათვის შესაფერისი კეთილშობილური განსჯით აღგვაქმევინებს, შემდეგს წარმოგვიდგენს: აქ არც ვერძი, ანუ მამრობითი სქესის ცხვარი იგულისხმება და არც კარავი ანუ ტაძარი, რომელიც უსულო მატერიისაგანაა აღმართული და არც გამოსვლა კარვიდან ანუ ტაძრიდან წასვლა, არამედ აქ იგულისხმება სხეული, რომელიც ჩვენთვის კარავს წარმოადგენს, როგორც ეს მოციქულმა გვასწავლა, რომელმაც თქვა: **რომელნი ესე ვართ საყოფელსა ამას შინა, ვკვნესით**(IIკორ.5,4). და ისევ ფსალმუნი: **გუემაჲ არა მიეახლოს საყოფელთა შენთა**(ფს.90,10).

გამოსვლა საყოფელიდან(ე.ი. კარვიდან) იგივეა, რაც ამ ცხოვრებიდან წასვლა, რისთვისაც წმიდა წერილი მომზადებას გვირჩევს, ანუ უფალს ესა თუ ის ძღვენი უნდა შევწიროთ, რათა ჩვენი აქაური საქმეები საგზლად გვქონდეს მომავალი ცხოვრებისათვის. ვინც აქ ქველი საქმეებით დიდებასა და პატივს სწირავს უფალს, ის თვითონ იუნჯებს თავისი თავისათვის დიდებასა და პატივს სამართლიანი მსაჯულისაგან სამაგიეროს მიგების ჟამს.

ფსალმუნთა მრავალ ნუსხაში ვპოულობთ დართულ სიტყვებს: **შესწირევდით უფლისა შვილნი ღმრთისანი**, რადგანაც ღმრთისთვის ყველას ძღვენი როდია სასურველი, არამედ მხოლოდ იმისი, ვინც წმიდა გულით სწირავს: **არაწმიდა არიან ლოცვანი მისნი სასყიდლისაგან უცხოჲსა**(იგავ.19,13) და იერემიაც ამბობს: **განა ლოცვანი, ან სამსხვერპლო ხორცი უბედურებას აგაშორებს, ან კიდევ მათი**

მეშვეობით განიწმინდები?(იერ.11,15). ამიტომ ფსალმუნი ჩვენგან მოითხოვს, რომ უწინარესად, თავად ჩვენ გავხდეთ შვილები ღმრთისა და შემდეგ შევწიროთ ძღვენი უფალს და თანაც არა შემთხვევითი ძღვენი, არამედ ისეთი, როგორიც მან გვიბრძანა. ჯერ მამა წარმოთქვი და დანარჩენი შემდეგ ითხოვე, საკუთარი თავი გამოიძიე, კერძოდ, როგორი იყო შენი ცხოვრება აქამდე და ხარ თუ არა ღირსი იმისა, რომ წმიდა ღმერთს შენი მამა უწოდო. მხოლოდ განწმენდით შეიძლება, რომ ჩვენ სიწმინდეს ვეზიაროთ; უკეთუ გსურს, რომ მარადიული შვილი იყო წმიდისა, მაშინ თვითონ წმიდამაც უნდა გიშვილოს. მაშ: **შესწირევდით უფლისა** არა ყოველნი, ვინც არ უნდა იყოთ და ვისგანაც არ უნდა იყოთ ნაშობნი, არამედ **შვილნი ღმრთისანი**.

იგი დიდ ძღვენს მოითხოვს და ამიტომაც მისი რჩეული ისაა, ვინც დიდ ძღვენს სწირავს. იმისათვის, რომ შენი ზრახვანი არ დამდაბლდეს და იძულებული არ გახდე, ეძებო ვერძი, ეს ოთხფეხა, უტყვი და აბღავლებული ცხოველი იმის იმედით, რომ ამ მსხვერპლის შეწირვით ღმრთისგან შეწყალებას დაიმსახურებ, ფსალმუნი გვეუბნება: **შესწირევდით უფლისა შვილნი ღმრთისანი**. შვილი იხსენიება აქ არა იმისათვის, რომ თავად იგი შესწირო, არამედ, რამდენადაც შვილად ყოფნა რაღაც დიდს ნიშნავს, მაშინ უპრიანი იქნება, რომ ძღვენიც დიდი იყოს და როგორც შვილის კეთილგანწყობას, ასევე მამის ღირსებასაც შეეფერებოდეს. **შესწირევდით უფლისა შვილთა ვერძთასა**-ო!, – იმიტომაც გვეუბნება, რომ თვითონ შეწირულნი შეიცვალონ და ვერძის შვილებიდან ღმრთის შვილებად იქცნენ.

2. ვერძი წინამძღოლი ცხოველია, იგი ფარას ჯერ საძოვრებისა და წყლისპირა შესასვენებელი ადგილებისაკენ, მერე კი ისევ ბაკებისაკენ მიუძღვება. ასევე იქცევა ზოგიერთი მწყემსი ქრისტეს ფარისა. მათ მიჰყავთ იგი სულიერი სწავლების ყვავილოვანი და სურნელოვანი საზრდელისაკენ; **სულისაგან** ბოძებული ცხოველი წყაროთი რწყავენ და ამაღლებენ მას ვიდრე ნაყოფის გამოღებამდე და ბოროტმზრახველთაგან უსაფრთხო განსასვენებელი თავშესაფრისაკენ მიუძღვებიან. ამიტომაც სურს **სიტყვას**, რომ ამ ფარის შვილები უფალთან ღმრთის შვილებმა მიიყვანონ. უკეთუ ვერძნი მართლაც წინამძღვრობენ დანარჩენებს, მაშინ მათი შვილები ისინი იქნებიან, რომელნიც, წინამძღვართა სწავლების მიხედვით, კეთილ საქმეებზე ზრუნვით სათნო ცხოვრებისათვის ჩამოყალიბდებიან.

შესწირევდით უფლისა შვილნი ღმრთისანი, შესწირევდით უფლისა შვილთა ვერძთასა(1). – შეიცანი, ვის მიმართაა თქმული და ისიც შეიცანი, ვისზე?

გვეუბნება: **შესწირევდით უფლისა დიდებასა და პატივსა**(2). როგორ შეგვიძლია ჩვენ, მიწასა და ფერფლს, მაღალ ღმერთს დიდება შევწიროთ, როგორ შეგვიძლია პატივის შეწირვა? დიდებას შევწირავთ ქველმოქმედებით, რაჟამს ჩვენი საქმეები წინაშე კაცთა განბრწყინდებიან, ხოლო ადამიანები დაინახავენ რა ჩვენს საქმეებს, ჩვენს ზეციურ მამას განადიდებენ(მთ.5,16). ასევე შეიძლება იდიდოს

ღმერთი იმათი უმანკოებითა და სიწმინდით, ვინც აღთქმა დადო ღმრთისმოსავური ცხოვრებისა, რასაც პავლე მოციქულიც გვირჩევს, როცა ამბობს: **ადიდეთ უკუე ღმერთი ჯორცითა მაგით თქუენითა**(Iკორ.6,20).

სწორედ ამგვარ დიდებას ითხოვს უფალი მის მორწმუნეთაგან და იმათგანაც, რომლებზეც შვილად ყოფნის მადლია გადმოსული, რადგანაც ამბობს: **შვილი ადიდებს მამას** და **უკუეთუ მამა ვარ, სადღა არის დიდება ჩემი**?(მალაქ.1,6). პატივს კი, იგავთა წიგნის მიხედვით(იგავ.3,9), ღმერთს ის მიაგებს, ვინც თავისი მართალი შრომით პატივს სცემს უფალს და თავისი სიმართლის ნაყოფთაგან პირველად მოწეულს უძღვნის; აგრეთვე, ღმერთს ისიც სწირავს დიდებასა და პატივს, ვინც, დადგენილის მიხედვით, ისე ღმრთისმეტყველებს, რომ არ შორდება სწორ მოაზრებას მამისა, ღმრთეებრიობას მხოლოდშობილისა და დიდებას სულიწმიდისა. ამაღლებულად ადიდებს უფალს ის, ვისაც შეუძლია გადმოცემა კანონებისა, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა ყოველი და რომელნიც ყოველივეს იცავენ, და რომელთა მიხედვითაც, აქაური განგებულების შემდეგ, ყოველი სამსჯავროზე წარდგება. ის, ვინც ნათელი და გამოკვეთილი დასკვნებით ჯერ თვითონ განჭვრიტა დაწვრილებით ყოველივე, ხოლო იმის შემდეგ, რაც თვითონ განჭვრიტა, შეძლო სხვებისთვისაც წარმოედგინა სიკეთე ღმრთისა და სამართლიანი სამსჯავრო მისი, იმათ მსგავსად, რომელნიც ამ განჭვრეტის შესაფერისად ატარებენ ცხოვრებას, შემწირველია უფლისათვის დიდებისა და პატივისა; რადგანაც ნათელი მისი ბრწყინავს წინაშე კაცთა და მის მიერ ზეციერი მამა სიტყვით, საქმითა და ყოველგვარი სიქველითაა განდიდებული. მაგრამ ვერ შესწირავს უფალს დიდებასა და პატივს ის, ვინც კაცობრივი დიდებისაკენ ისწრაფვის, ვერც ის, ვინც ვერცხლს სცემს პატივს, ან კიდევ ის, ვინც ხორციელ ტკბობას დიდად აფასებს და ისიც, ვისაც ღმრთისმოსაობისათვის უცხო მოძღვრება აღაფრთოვანებს; რადგანაც თუ უფალს დიდებას კეთილი საქმეებით ვწირავთ, უკეთური საქმეებით საწინააღმდეგოს ჩავდივართ. რას ეუბნება უფალი მათ, რომელნიც სცოდავენ? **თქუენ მიერ მარადის სახელი ჩემი იგმობვის წარმართთა შორის**(ეს.52,5) და კიდევ მოციქული: **გარდასვლითა მაგით შჯულისაჲთა ღმერთსა შეურაცხყოფ**(რომ.2,23), რადგანაც კანონთა ათვალწუნება და აბუჩად აგდება კანონმდებლის შეურაცხყოფას ნიშნავს. უკეთუ სახლის მართვა უვარგისია, იმიტომ რომ მასში მრისხანება და ყვირილია, თავხედობა და სიცილი, ფუფუნება და ბედოვლათობა, უწმინდურება და თავაშვებულობა, მაშინ ყოველივე იმისათვის, რაც სახლში ხდება, პატივის აყრა და სირცხვილი მის მფლობელს დაატყდება თავს. აქედან უნდა მოვიაზროთ, რომ უკეთუ უფალი კეთილი საქმეებით იდიდება, ბიწიერი საქმენი მის მტერს განადიდებენ. როცა **აღვიხუნებ ასოთა მათ ქრისტესთა და ვყოფ ასოთა მეძავისა**(Iკორ.6,15), მაშინ ნაცვლად მხსნელისა წარმწყმედელს განვადიდებ. ურწმუნოც **დიდებას უხრწნელისა ღმრთისა** ხატზე განხრწნადი კაცისა, ფრინველებსა, ოთხფეხა ცხოველებსა და მიწიერ ქვეწარმავლებზე ცვლის(რომ.1,23) და

შემოქმედის ნაცვლად მის ქმნილებას ემსახურება, სწირავს რა დიდებას არა ღმერთს, არამედ ქმნილებებს. ამიტომ ვინც ამბობს, რომ ქმნილება რაიმეს წარმოადგენს და მას ეთაყვანება, იცოდეს, როგორი ხვედრი ელოდება.

ამგვარად, გვეშინოდეს, რომ ჩვენი ცოდვებით დიდება და ხოტბა არ მივუძღვნათ ეშმაკს და მასთან ერთად საუკუნო სირცხვილს არ მივეცეთ. ჩვენი ცოდვა ხომ იმას განადიდებს, ვინც იგი შთაგვაგონა, ამის მოსააზრებლად ამგვარ მაგალითს მოვიყვან. ორი სარდალი ერთმანეთს ებრძვის, რაჟამს ერთ-ერთის მხედრობა გაიმარჯვებს, მისი წინამძღოლიც დიდებას მოიხვეჭს, ხოლო უკეთუ მეორე ლაშქარი დაძლევს, მთელი პატივიც მის სარდალს ერგება. ასევე შენი კეთილი საქმეები უფალს ადიდებენ, საპირისპირონი კი – მის მტერს. არ გეგონოს, რომ მტერი შორს იმყოფება და ნურც სარდალს დაინახავ შორს, არამედ მზერა საკუთარი თავისაკენ წარმართე და სრული მსგავსების ჭეშმარიტებასაც აღმოაჩენ: რაჟამს გონება ვნებას ებრძვის და გულმოდგინებისა და სიფხიზლის წყალობით დაძლევს, მაშინ იგი ვნებებზე გამარჯვებას ზეიმობს და თავისი წარმატებით თითქოს გვირგვინით თავად ღმერთს ამკობს; ხოლო რაჟამს დაუძლურდება, ვნებებს დაემორჩილება და მონა და ტყვე შეიქნება ცოდვისა, ხოტბას უძღვნის მტერს და მას განდიდებისა და ქედმაღლობის მიზეზს აძლევს.

3. **თაყუანის-ეცით უფალსა ეზოსა შინა წმიდასა მისსა**(2). იმ ნაყოფის შეწირვის შემდეგ, რომელსაც ღმერთი ჩვენგან მოითხოვს, აუცილებელია თაყვანისცემა, ოღონდ თაყვანისცემა არა ეკლესიის გარეთ, არამედ თვით ღმრთის სახლში აღსრულებული. ფსალმუნი გვეუბნება: ნუ გამოიგონებთ განსაკუთრებულ სახლებსა და საკრებულოებს, რადგანაც ერთია წმიდა სახლი ღმრთისა. ამ სახლზე ადრე იუდეველების სინაგოგა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრისტეს წინაშე ცოდვა ჩაიდინეს, სახლი მათი დაცარიელდა(ფს.68,25). ამიტომაც ამბობს უფალი: **და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი**(ინ.10,16) და გულისხმობს იმ წარმართებს, რომელთაც ხსნა ხვდათ წილად და აჩვენებს, რომ მას საკუთარი სახლიც აქვს, გარდა იუდეველთა სახლისა. ამიტომაც შეჰფერის ღმერთს თაყვანისცემა არა ამ წმიდა სახლის გარეთ, არამედ მის შიგნით, რათა გარეთ დარჩენილმა და გარეშე საქმეებით გატაცებულმა უფლებაც არ დაკარგოს უფლის სახლში ყოფნისა. ლოცვაზე გარეგნულად მრავალი დგას, მაგრამ სახლში როდია, რადგან აზრით სხვაგანაა და გონებაც ამაო საზრუნავით აქვს დაკავებული. უფრო ამაღლებული აზრით, შეიძლება სახლში ზეციური სავანეც ვიგულისხმოთ, ამიტომაც ისინი, რომელნიც აქ **დანერგულნი არიან სახლსა შინა უფლისასა**, ანუ რაც იგივეა, ეკლესიასა შინა ღმრთისა ცხოველისა, იქ, **ეზოსა სახლისა ღმრთისა ჩუენისათა ყუაოდიან**(ფს.91,14). ის, ვინც მუცელს, ან ამაო დიდებას, ან ვერცხლს, ან სხვა ამგვარ რამეს, რომელიც ყველაზე საპატიოდ მიაჩნია, აღმერთებს, არც უფალს სცემს თაყვანს და არც მის წმიდა ეზოშია, თუმცაღა ხილული საკრებულოებისთვის ღირსეული ჩანს.

ჴმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა(3). სახელი **ხმა** მრავალ ადგილას გვხვდება. იმისათვის, რომ მოვიაზროთ, რას ნიშნავს ხმა უფლისა, საჭიროა ღმრთეებრივი წერილიდან შეძლებისდაგვარად ამოვკრიბოთ რა წერია **ხმის შესახებ**. ასე მაგალითად, წინასწარმეტყველებაში, რომელიც აბრაამს ეხება, ვკითხულობთ: **და მეყსეულად იქმნა ჴმაჲ ღმრთისაჲ მისა მიმართ, მეტყუელი: არა დაგიმკჳდროს შენ**(შესქ.15,4); ხოლო მოსეს შესახებ წერია: **და ყოველი ერი ხედვიდა ჴმასა და ლამპართა**(გამს.20,18), და კიდევ ესაიასთან: **ჴმამან მღაღადებელისმან ჴმაყავ**(ეს.40,6). ჩვენთვის ხმა არის ან შერხევა, ან კიდევ იმგვარი სახეცვლილება ჰაერის მდგომარეობისა, როგორიც ხმის გამომღებს სურს მისცეს მას. უფლის ხმა რაღაა? მოვიაზროთ იგი როგორც რხევა ჰაერსა შინა, თუ როგორც შერხეული ჰაერი, რომელიც იმის სმენამდე აღწევს, ვის მიმართაცაა ხმა? ან კიდევ, იქნებ ეს ხმა არც ერთია და არც მეორე, არამედ სულ სხვაგვარია და იმ ადამიანთა გონებას წარმოუდგება, რომელთაც ღმერთს ნებავს, რომ თავისი ხმა მოასმენინოს? ასე რომ, ეს წარმოდგენა იმას ემსგავსება, რასაც ხშირად ძილში აქვს ადგილი? ძილში ხომ ჰაერის შერხევის გარეშე, მხოლოდ წარმოდგენათა შედეგად ვიმახსოვრებთ ზოგიერთ სიტყვასა და ხმას, რომელნიც სმენით კი არ მივიღეთ, არამედ გულში აღგვებეჭდა. მსგავსად ამისა, უნდა მოვიაზროთ ის ხმაც, რომელიც წინასწარმეტყველებს ღმრთისგან ესმით.

ჴმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა. უკეთუ გრძნობადის მნიშვნელობით გამოვიკვლევთ, მაშინ ჭექასა და ქუხილს გამოსცემენ წყლით სავსე ღრუბლები, რაჟამს ისინი ერთმანეთს ეჯახებიან. და აქაც ნათქვამია: **ჴმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა.** ასევე, თუ ხმაური წყლისგანაა, რომელიც ირგვლივ ზღუდეებს ეხეთქება, ან კიდევ ქარებით შერყეული ზღვა ღელავს და ძლიერ ხმას გამოსცემს, ამ უსულო სტიქიებსაც, წმიდა წერილის მიხედვით, უფლისაგან აქვს ხმა მიცემული, რადგანაც ყველა ქმნილება ლამის ხმამაღალი ღაღადით გვაუწყებს თავის შემოქმედზე. რაჟამს ღრუბლებიდან ქუხილი გაისმება, სხვა რამე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ ის, რომ ღმერთი დიდებისა ქუხს და რომ უფალს წყლის სტიქიაც თავისი ძალით უპყრია.

უფალი წყალთა ზედა მრავალთა(3). სამყაროს შექმნის ისტორიიდან ვიცით, რომ არის წყალი ზეცათა მაღლა, წყალი უფსკრულისა და წყალი ზღვებისა. ვის უჭირავს ისინი და ნებას არ აძლევს, მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი სწრაფვით დაბლა ჩამოიქცნენ, თუ არა ღმერთს, რომელსაც წყალთა ზედაც აქვს მეუფება? შესაძლებელია, **ჴმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა** უფრო საიდუმლო აზრითაც იყოს ნათქვამი, სახელდობრ, როცა იესო ნათელს იღებდა, ხმა იყო ზეცით: **ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ**(მთ.3,17). და წმიდა ჰყო რა წყალი ნათლისღებით, უფალი იყო წყალთა ზედა მრავალთა, რაც ღმერთმა დიდებისა ზეციდან ქუხილით დაამოწმა. მონათლულებს უფლისაგან დარჩათ ხმა, რომელმაც განაცხადა: **წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა**

წმიდისაჲთა(მთ.28,19). ამგვარადაა **ჴმაჲ უფლისა წყალთა ზედა**.

ქუხილი მაშინ წარმოიშობა, რაჟამს ღრუბლის შიგნით გამოკეტილი მშრალი და ძლიერი ქარი ღრუბლის სიცარიელეში დაძაბულად ტრიალებს და გარეთ გამოსასვლელს ეძებს. ღრუბლები შიგნიდან ზეწოლას ეწინააღმდეგებიან და შიგნით ქარის შეხლა-შემოხლით მგრგვინავ ხმას წარმოქმნიან. ხოლო როცა ღრუბლებს, ვითარცა გაბერილ ბუშტებს, აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ქარს და შეაკავონ იგი, მაშინ ძლიერ დაფლეთილნი გამოუშვებენ რა ქარს, რომელიც გარეთ ისწრაფვის, მეხთატეხას წარმოშობენ. იგივეა მიზეზიც ელვისა. ამგვარად უფალი, წყალთა ზედა მყოფი და ძლიერი გრგვინვის შემქმნელი, ჰაერშიც, რომელიც ნაზი ბუნებისაა, ამგვარ არაჩვეულებრივად ძლიერ ჭექას წარმოქმნის. შენ კი ეკლესიური აზრითაც შეგიძლია ქუხილი უწოდო იმას, რასაც სახარების ამაღლებული სიტყვა იწვევს ნათლობის საიდუმლოს აღსრულების შედეგად სრულყოფილ სულებში. ხოლო სახარება რომ ქუხილია, ამას მოწაფენიც ცხადყოფენ, რომელთაც უფალმა სახელები გადაარქვა და **ძენი ქუხილისანი** უწოდა. ამიტომაც ყველაში როდი გაისმება ამგვარი ხმა ქუხილისა, არამედ მხოლოდ იმაში, ვინც ღირსია, რომ ურმისთვალი ეწოდოს, რადგანაც ნათქვამია: **ჴმაჲ ქუხილისა შენისა ურმისთუალსა**(ფს.76,19).

ვინც წინ ისე ისწრაფვის, ვითარცა ურმისთვალი და მხოლოდ მცირე ნაწილით ეხება მიწას, ზუსტად ისეთივეა, როგორიც ის ბორბალი, რომელზეც ეზეკიელმა თქვა: **და ვიხილე, და, აჰა, ურმისთუალი ერთი ქუეყანასა ზედა მახლობელად ცხოველთა ოთხთა. და სახე ურმისთუალთაჲ და ქმნილება მათი, ვითარცა სახე თარშისაჲ**(ეზეკ.1,15).

4. **ღმერთი დიდებისაჲ ქუხდა** და **უფალი წყალთა ზედა მრავალთა**. წყლები წმინდანებია, რადგანაც მათი შიგნეულობებიდან მდინარენი წარმოდინდებიან, ანუ სულიერი სწავლანი, რომელნიც მსმენელთა სულებს არწყულებენ(ინ.7,38). და კიდევ: ისინი საუკუნო ცხოვრებისათვის მიიღებენ წყაროს წყალს, რომელიც იმისათვის, ვინც კარგად მიიღებს, გახდება **წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ**(ინ.4,14). სწორედ ამგვარ **წყალთა** ზედაა უფალი.

გაიხსენე ისტორია ელიასი, კერძოდ, **ოდეს-იგი დაეჴშა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე**(ლკ.4,25), ნათელი ამინდის ჟამს, კარმელის მწვერვალზე მას მოესმა ხმა წყალთა მრავალთა, რასაც მოყვა ქუხილი და ღრუბლებიდან წყალიც გადმოსკდა(3მეფ.18,42-45). ამგვარადაა უფალი წყალთა ზედა მრავალთა.

ჴმაჲ უფლისაჲ ძლიერებით(ფს.28,4). როგორი ხმაცაა ბორბალსა შინა, ისეთივეა ხმა უფლისა ძლიერსა შინა, რადგანაც **ვისაც ყოველივე ძალ-უცს განმაძლიერებელისა მისისა ქრისტეს მიერ**(ფილპ.4,13), ის უფლის მცნებებს კიდევაც ისმენს და კიდევაც ასრულებს, ამიტომაც ხმა უფლისა უძლურსა და დარღვეულ სულში როდია, არამედ მასში, ვინც თავდადებით და მტკიცედ იღვწის სიკეთის ქმნისათვის.

ჴმაჲ უფლისაჲ დიდად შუენიერებით(4). დიდად შუენიერება, განსაკუთრებით

დიდი სათნოებაა. ამიტომაც ის იწოდება დიდად მშვენიერად, ვინც საკადრისად აკეთებს ყველაფერს, რაც კი დიდ საქმეებს მიეკუთვნება. მაშინ იქნება მასში **ჴმაჲ უფლისა**, რაჟამს სული არ დაემონება ხორციელ განსჯას და იმის შეგნებით, თუ რა აქვს მიცემული ღმრთისგან, მისთვის შესაფერის დიდებულებასა და ღირსებას შეიძენს. ვისაც ღმერთზე კეთილშობილური წარმოდგენები აქვს და ამაღლებული აზრით იკვლევს ქმნილებათა კანონებს, ვისაც შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენადმე მაინც ჩასწვდეს ღმრთის განგების(გონების) სიკეთეს, ვინც დანახარჯზე არ დარდობს და გულუხვობას იჩენს, როცა ძმების გასაჭირიდან გამოყვანაა საჭირო, ისინი დიდად მშვენიერნი არიან. სწორედ მათში მკვიდრდება ჴმაჲ უფლისა, რადგანაც ის, ვინც მართლაც **დიდად მშვენიერია**, არად აგდებს ყოველივეს, რაც ხორციელია და აღიარებს, რომ მათ არავითარი ღირებულება არა აქვთ უხილავთან შედარებით. მას, ვინც დიდად მშვენიერია, ვერავითარი გარემოება ვერ დაამწუხრებს და ვერავითარი სატანჯველი ვერ შეაშფოთებს; ვერც საძაგელ ადამიანთა დასაგმობი საქციელი შეძრავს და ვერც უწმინდურება ხორცისა ვერ დაამდაბლებს. იგი მიუღწეველია მდაბალი ვნებების ადამიანებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ მას თვალი გაუსწორონ მისი აზროვნების სიმაღლისა გამო. დიდად მშვენიერება რამდენადმე ღმერთზეც ითქმება: **ამაღლდა დიდად შუენიერებაჲ შენი ზესკნელს ცათა**(ფს.8,2). ამიტომ ისინი, რომელთაც ღმერთზე ამაღლებული წარმოდგენები აქვთ, ხოტბას ასხამენ მის დიდებულებას.

5. **ჴმამან უფლისამან შემუსრნეს ნაძუნი**(5). ნაძვი წმიდა წერილში ზოგჯერ შექებულია ხან როგორც გამძლე ხე, რომელიც დიდხანს არ ლპება, ხან კიდევ როგორც სურნელოვანი და საფარველისათვის გამოსადეგი; ზოგჯერ კი გაკიცხულია, ვითარცა მცენარე უნაყოფო და ძნელად მოსადრეკი. ამიტომაც ხშირად უსჯულოსთან შესადარებლადაცაა გამოყენებული. **ვიხილე მე ულმრთოჲ უფროჲს ამაღლებული და აღმატებული, ვიდრე ნაძუთამდე ლიბანისათა**(ფს.36,35).

სწორედ ამგვარი მნიშვნელობითაა იგი ნახმარი აქ, რადგანაც ჴმაჲ უფლისაჲ შემუსრავს ნაძვებს.

ისევე როგორც ეს ხმა დიდად მშვენიერ სულშია, ასევე ისიცაა ნათქვამი, რომ იგი მუსრავს მათ, რომელნიც ამაოებით თავმომწონეობენ და ამა სოფლის ისეთი ცრუ უპირატესობებით არიან აღზევებულნი, როგორიცაა სიმდიდრე, პატივი, ძალაუფლება, სხეულის სილამაზე, ძალა და სიმტკიცე.

და შემუსრნეს უფალმან ნაძუნი იგი ლიბანისანი(5). ისინი, ვინც სხვისას მიიტაცებენ და მას კვეხნის მიზეზად გადააქცევენ, ლიბანის ნაძვებია. როგორც ნაძვები, ისედაც მაღალნი, დგანან რა მაღალ მთაზე, მისი სიმაღლისაგან კიდევ უფრო მაღალნი ჩანან, ასევე ესენიც. ეყრდნობიან რა იმათ, რაც სამყაროში ხრწნადია, გონების ამპარტავნებისა და ყოყოჩობის გამო, ნაძვები ხდებიან. ლიბანის ნაძვები ეწოდება მათ იმის გამო, რომ თავი სხვისი სიმაღლით მოაქვთ და იმიტომაც, რომ მიწა და მიწიერი საქმეები, მსგავსად ლიბანის მწვერვა-

ლებისა, ამაღლებენ მათ და ამპარტავნებს ხდიან. მაგრამ უფალი ყველა ნაძვს როდი ანადგურებს, არამედ ლიბანისას; რამდენადაც ლიბანი კერპთმსახურების ადგილია და რამდენადაც სულნი ამაღლებულნი **მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა**(IIკორ.10,5) ლიბანის ნაძვებად იწოდებიან, ამდენად ისინი შემუსვრას იმსახურებენ. მაგრამ არიან ნაძვებიც ღმრთისა, რომელთაც ეგვიპტიდან გადმოტანილი და მათთან ახლოს დარგული ვაზის რტოები ფარავენ, როგორც ამას ფსალმუნი გვასწავლის: **დაფარნა მთანი ჩრდილმან მისმან და ბაბილოთა მისთა – ნაძუნი ღმრთისანი**(ფს.79,10). რამდენადაც ქრისტეზე არსებული სხვა წარმოდგენების გვერდით უფალი ჩვენი ვენახადაც იწოდება, იგი ამბობს: **მე ვარ ვენაჯი და თქუენ რტონი**(ინ.15,5), ამდენად ისინიც, რომელნიც მანამდე უნაყოფონი იყვნენ და დასაწვავად განმზადებულნი, შევიდნენ რა ქრისტეს მფარველობაში, თითქოსდა იგი შეიმოსეს და მისგან მიღებული მადლით საკუთარი ცხოვრების უნაყოფობა დაფარეს, ღმრთის ნაძვები არიან, ამიტომაც ნაძვებს ღმრთისა იქვე დარგული, მათზე შემოხვეული ვაზის კეთილნაყოფიერი რტოები იცავენ, ხოლო ნაძვებს ლიბანისა – უფალი მუსრავს.

და დააწულილნეს იგინი ვითარცა ხბოჲ იგი ლიბანისაჲ(6). გაიხსენე ხბო წიგნიდან „გამოსვლათა“, რომელიც კერპთმსახურებისათვის ჩამოასხეს და რომელიც მოსემ შემუსრა და ხალხს შეასვა(გამს.32,20). მსგავსად ამ ხბოსა, უფალი მთელ ლიბანსაც შემუსრავს და იქ გაბატონებული კერპთმსახურების ადათსაც.

და საყუარელი იგი – ვითარცა შვილი მარტორქისაჲ(6). მხოლოდშობილ ძეს, რომელმაც სამყაროს სიცოცხლე მისცა, მაშინ, როცა ჩვენი ცოდვებისათვის თავი თვისი **შესაწირავად და მსხუერპლად ღმრთისა** მიიტანა(ეფეს.5,2), კრავი და ცხოვარი ღმრთისა ეწოდა, რადგანაც ნათქვამია: **აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ**(ინ.1,29). და კიდევ: **ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა**(საქმ.8,32); ხოლო როცა მას შური უნდა ეძია და დაემხო განმგებლობა რაღაც გამხეცებული და სასტიკი ძალისა, რომელმაც ადამიანთა მოდგმას სძლია, მაშინ ძე მარტორქისა ეწოდა, რადგანაც, როგორც ამას წიგნიც გვასწავლის, მარტორქა უძლეველი ცხოველია, რომელსაც ადამიანები ვერ იმორჩილებენ. მასზე ნათქვამია: **ანუ შე-მე-უკრა საბლითა უღელი მისი, ანუ ზიდვიდესმეა ორნატსა შენსა ველსა ზედა?**(იობ.39,10). წინასწარმეტყველების ამ ნაწილში კიდევ ბევრი რამაა ნათქვამი ამ ცხოველის თავისუფლების სიყვარულსა და ადამიანებისათვის მის დაუმორჩილებლობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ წმიდა წერილი შედარებისათვის მარტორქას ორგვარად იყენებს, ზოგჯერ შესაქებად და ზოგჯერ გასაკიცხად. მაგალითად, **მიჴსენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტორქისათა – სიმდაბლე ჩემი**(ფს.21,22), – ეს საყვედურითაა ნათქვამი იმ ომისმოყვარული ხალხის მიმართ, რომელიც წინასწარმეტყველის წინააღმდეგ მაშინ აღდგა, რაჟამს იგი იტანჯებოდა. ხოლო სხვაგან ვკითხულობთ: **და ამაღლდეს ვითარცა მარტორქისაჲ რქაჲ ჩემი**(ფს.91,11).

იმდენად, რამდენადაც ამ ცხოველს შურისმაძიებლობა ახასიათებს, იგი

ხშირადაა გამოყენებული შედარებისათვის უარყოფითი თვალსაზრისით, მაგრამ რქის სიმაღლისა და თავისუფლების სიყვარულის გამო, შესადარებლად აღებულია, აგრეთვე, კარგი თვალსაზრისითაც.

და საერთოდაც, რადგანაც შეგვიძლია, რომ წმიდა წერილში სიტყვა **რქა,** გამოყენებული დიდების მნიშვნელობით, მრავალგზის ვიპოვოთ, როგორც მაგალითად, **და აღამაღლოს რქაჲ ერისა თჳსისა**(ფს.148,14) და **რქაჲ მისი ამაღლდეს დიდებითა**(ფს.111,9) და, რადგანაც სახელი რქა ხშირად იხმარება ნაცვლად ძალისა, მაგალითად: **მფარველი ჩემი**(ე.ი. ღმერთი) **და რქაჲ ცხოვრებისა ჩემისა**(ფს.17,3), ხოლო ქრისტე კი ღმრთის ძალაა(Iკორ.1,24), ამიტომ აქვს რა ერთი რქა, ანუ ერთი ძალა, ძალა მამისა, იგი მარტორქად იწოდება.

6. **ჴმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისაჲ**(7). განკვეთა ცეცხლის ალისა, როგორც ეს სამი ყრმის ისტორიიდან ვიცით, მოხდა ბაბილონში, რაჟამს ალი ღუმელიდან ორმოცდაცხრა წყრთის სიმაღლემდე ავარდა და ახლო-მახლო რაც იდგა, ყოველივე გადაბუგა(დან.3,47).

განიკვეთა რა ბრძანებით ღმრთისა, ალმა თავის თავში ნიავი მიიღო, ყრმებს ძალზე სასიამოვნოდ დაუბერა და სიგრილე აგრძნობინა; ასე რომ, ისინი თავს ისე მშვიდად გრძნობდნენ, თითქოსდა ხის ჩრდილქვეშ მდგარიყვნენ, რადგანაც ნათქვამია: **და ყო შორის საჴმილისა, ვითარცა სული ცუარისა, ვითარცა-რაჲ მსტჳნავი**(დან.3,50). განკვეთა ცეცხლის ბუნებისა ბევრად უფრო საკვირველია, ვიდრე ნაწილებად დაყოფა მეწამული ზღვისა, მაგრამ ხმა უფლისა კვეთს ბუნებრივ უწყვეტობასა და ერთიანობას ცეცხლისა. თუმცა, კაცობრივი განსჯით, ცეცხლი განუკვეთელი და განუყოფელი ჩანს, მაგრამ ბრძანებით ღმრთისა იგი განიკვეთება და დაიყოფა. ვფიქრობ, რომ ცეცხლი, განმზადებული სატანისა და მისი ანგელოზების დასასჯელად, უფლის ხმით ისე განიკვეთა, რომ მისთვის დამახასიათებელი ორი თვისებიდან, სახელდობრ: დამწველი და მანათობელი ძალებიდან, მრისხანე და დამსჯელი იმათ ერგებათ წილად, რომელთაც დაწვა დაიმსახურეს, ხოლო მანათობელი და ბრწყინვალე – სიხარულით აღსავსეთათვის შვების მიმნიჭებლად იქნება განკუთვნილი. ამიტომაც ხმა უფლისა, რომელიც ცეცხლის ალს განკვეთს და გაყოფს, საჭიროა, რათა ცეცხლის ნაწილი, რომელიც არ ანათებს, დამსჯელად იქცეს, ხოლო რომელიც არ წვავს, განსასვენებლად დარჩეს.

ჴმამან უფლისამან შეძრის უდაბნოჲ(8). უფლისაგან უდაბნოს შერყევა ქველმოქმედების მიზნითაა განგებული, რათა მისი ყოფა შეიცვალოს და დასახლებულ მიწად იქცეს; საყვედური უშვილობისა გამო მოიხსნას და მრავალშვილიანობისათვის ქება მიიღოს, **რამეთუ მრავალ არიან შვილნი ოჴრისანი უფროს, ვიდრე მქონებელისანი ქმარსა**(ეს.54,1) და აღივსება რა წყალთაგან სულისა, მისი ადრინდელი სიცარიელე წყლის ტბად იქცეს.

და შეაძრწუნის უფალმან უდაბნოჲ იგი კადისაჲ(8). რატომ ყველა უდაბნოს არ შეაძრწუნებს უფალი, არამედ მხოლოდ უდაბნოს კადისას, ანუ წმიდას?

იმიტომ, რომ კადისა, როგორც სიწმიდე, ისე განიმარტება.

ჴმამან უფლისამან განამტკიცნის ირემნი(9). მსგავსად ზემოთქმულისა უნდა განიმარტოს ირემთა განმტკიცებაც, რომელსაც უფლის ხმა წარმოშობს, რადგანაც ირემი ისეთი აგებულებისაა, რომ ქვეწარმავლები ზიანს ვერ აყენებენ, არამედ, როგორც ამას დამკვირვებელნი მოგვითხრობენ, იქედნე მისთვის განმწმენდელი საჭმელიც კია. რამდენადაც ყველა ეს შხამიანი ცხოველი უკეთურსა და საწინააღმდეგო ძალებს გამოხატავს, როგორც უფალი ამბობს: **აჰა მიგცემ თქუენ ჴელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიანკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არარაჲ გევნოს**(ლკ.10,19) და ფსალმუნის სიტყვებითაც, რომელიც წინასწარმეტყველს ეუწყა: **ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი**(ფს.90,13), უნდა დავასკვნათ, რომ, როცა წმიდა წერილში ირემის სახელი გვესმის, იგი კარგი თვისების შესადარებლადაა გამოყენებული: მთანი მაღალნი ირემთა(ფს.103,18) და კიდევ: **ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა**(ფს.41,1). დაბოლოს, ყველა მართალს ადგილი მაღალთა შინა აქვს: **და კრძალულებით ვსდევ გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისა**(ფილპ.3,14) და ეძებს რა ღმრთისმეტყველების პირველ სათავეებს, ჭეშმარიტი წყაროებისაკენ ისწრაფვის.

ირმის პირიდან გამონასუნთქი ხვრელებში დაბუდებულ შხამიან ცხოველებს იზიდავს და სუნთქვის ძალით სიღრმეებიდან ამოჰყავს ისინი. ვითარცა არწივს ეწოდება წმიდა სიმაღლეში ნავარდისა და მიწასთან დიდი მანძილით დაშორებისა გამო, ცხვარს თვინიერებისა და სარგებლიანობის, ვერძს – წინამძღოლობისა და მტრედებს – უბოროტობისათვის, წმიდა ეწოდება ირემსაც იმ წინააღმდეგობისათვის, რომელსაც იგი ბოროტებას უწევს. ამიტომაც ამბობს სოლომონი: **ირემ სიყუარულის და ნუკრ მადლთა გზრახევდინ შენ**(იგავ.5,19) და ამით გულისხმაგვყოფს, რომ ამჯერად ხსენებული ირმები გამოსაყენებელნი არიან ღმრთისმეტყველების შესწავლისათვის.

7. **ჴმამან უფლისამან განამტკიცნის ირემნი**. რაჟამს ვიხილავთ ვინმე ღმრთის კაცს, სრულქმნილსა და განწმენდილს, მისი საუბრიდან სარგებლობის მიღებას უნდა შევეცადოთ, რადგანაც სადაც ირემია, იქედან მთელი ბოროტება ქვეწარმავალთა განდევნილია. ქვეწარმავალნი ხომ არა მხოლოდ ამ ცხოველის სუნს ვერ იტანენ, არამედ მისი ახრჩოლებული რქების სუნსაც გაურბიან.

და განაცხადნის მაღნარნი(9). პირველად უფლის ხმამ ირემნი განამტკიცა, ხოლო შემდეგ უღრანი ტყეები, ველური და უნაყოფო მცენარეების ხშირი ტევრებით დაფარული ადგილები გამოაჩინა, რომელსაც უპირატესად შხამიანი ქვეწარმავლები აფარებენ თავს.

ამრიგად, მაშინ, როცა უფლისაგან განმტკიცებული ირემი უკვე მზად იქნება, მასთან დამსგავსებული მართალი უღრან ტყეებს გამოამზეურებს, რათა მას განმხრწნელნი ჩვენი ცხოვრებისა განშიშვლებულნი და გამზადებულნი გადაეცეს. და რამდენადაც ყოველი ხე, რომელიც კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს,

ცულით უნდა მოიკვეთოს და ცეცხლში ჩაიგდოს(მთ.3,10), ამდენად უღრანნი აუცილებლად უნდა განიწმინდოს. ტყის მსგავსი სულები, რომელთა შინა მრავალფეროვანი ვნებები, ვითარცა ნადირნი ისე იმალებიან, განიწმინდებიან სიტყვით, რომელიც ყველა ორპირ მახვილზე უფრო ორლესულია(ებრ.4,12).

რადგანაც ადამიანთაგან მრავალნი ისე არიან ცხოვრებისეული საზრუნავებით დამძიმებულნი, თითქოსდა სულში ეკლის გამომღები მიწა ჰქონდეთ, რომელიც მათ ნებას არ აძლევს, ნაყოფის მომცემი სიტყვით ისაზრდოონ, უფალი ააშკარავებს ტყეების, ანუ ამ ცხოვრებისეული საზრუნავების სიმახინჯეს, უშვერობასა და მავნებლობას. იგი ნათელს ხდის, სადაა სიკეთე და სად ბოროტება, რათა ადამიანებმა, უმეცრებისა გამო, ცოდვით აღსავსე მსჯელობა არ გამართონ საგნებზე; ისინი ხომ ბევრ ისეთ სიკეთეს, რომელიც ძნელად მიიღწევა, ბოროტებად მიიჩნევენ, ხოლო ბოროტებას, მისი თანმხლები ტკბობის წყალობით, ვითარცა სიკეთეს, ისე მისდევენ. ამგვარ საქმეებში ადამიანთა შორის, ცდომილებანი მართლაც აღუწერელია. ამიტომაც მიეკუთვნება იმას, რაც ბუნებით სიკეთეა, ნაყოფის გამომღები ხეები და ყველა ნაძვი და მათით აღინიშნება ის, რაც საქებია, ხოლო ბოროტებას – უღრანნი, რომელთაც ხმა უფლისა გამოაჩენს და ამზეურებს, რათა ისინი, რომელთაც ჰგონიათ, რომ მათში რაიმე სასარგებლო ნაყოფს იპოვნიან, არ მოტყუვდნენ.

და ტაძარსა წმიდასა მისსა თქუას ყოველმან ვინ დიდებაჲ მისი(9), დაე მოისმინონ სიტყვები ფსალმუნისა და შერცხვეთ მათ, რომელნიც მრავალსიტყვაობას ეძლევიან. რას ამბობს ფსალმუნი? იმას, რომ, ვინც ღმრთის ტაძარშია, ის არც ბოროტად და არც ამაოდ არ უნდა მეტყველებდეს და არც სამარცხვინო საქმეთა გამომხატველ სიტყვებს უნდა წარმოთქვამდეს, არამედ **ტაძარსა წმიდასა მისსა თქუას ყოველმან ვინ დიდებაჲ მისი**. აქ წმიდა ანგელოზები დგანან, რომელნიც შენს სიტყვებს იწერენ; აქ თვითონ უფალია და იგი ტაძარში შემომსვლელთა განწყობილებას ხედავს. წინაშე ღმრთისა გახსნილია ვედრება ყველასი. მან იცის, თუ ვინ გრძნობით და ვინ გონებით სთხოვს ზეციერს და ვინ კიდევ მხოლოდ შესახედად, ბაგეებით წარმოთქვამს სიტყვებს, მაშინ როცა გული მისი შორსაა ღმრთისაგან. ზოგიც თუმცაღა ევედრება, მაგრამ სხეულის სიჯანსაღეს, მატერიალურ სიმდიდრეს და კაცობრივ დიდებას ითხოვს. ამათთვის კი არ უნდა ვევედროთ, არამედ, როგორც ფსალმუნი გვასწავლის: **ტაძარსა წმიდასა მისსა თქვას ყოველმან ვინ დიდებაჲ მისი. ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა**(ფს.18,2). ანგელოზთა საქმეს ღმრთის დიდებისმეტყველება წარმოადგენს. მთელ ზეციურ მხედრობას ერთი საქმე აქვს, კერძოდ, დიდება აღუვლინოს შემოქმედს. და მართლაც, ყველა ქმნილება, უტყვიცა და მეტყველიც, ზეციერიცა და მიწიერიც შემოქმედს ადიდებს. საბრალო ადამიანები კი, ტოვებენ რა სახლებს და ტაძარში თითქოსდა სარგებლის მისაღებად იკრიბებიან, ყურს არ უგდებენ ღმრთის სიტყვებს, არ ცდილობენ საკუთარი ბუნების შეცნობას, არ განიცდიან, რომ მათზე ცოდვა ბატონობს,

არ მოუხმობენ მეხსიერებაში თავიანთ ცოდვებს, და ამიტომ არც სწუხან მათ გამო; არ ძრწიან წინაშე სამსჯავროსა, არამედ გაღიმებულნი უწვდიან რა ერთმანეთს მარჯვენას, სამლოცველო სახლს გრძელი საუბრების ადგილად აქცევენ; ყურად არ იღებენ ფსალმუნს, რომელიც გვიდასტურებს და ამბობს, რომ **ტაძარსა წმიდასა მისსა თქუას ყოველმან ვინ დიდებაჲ მისი**. შენ კი არა თუ არ ადიდებ, არამედ სხვასაც აბრკოლებ, იპყრობ რა მის ყურადღებას და შენი ხმაურით სულიწმიდის მოძღვრებას ახშობ. უფრთხილდი, იქიდან დასჯილი არ გამოხვიდე იმათთან ერთად, ვინც ღმრთის სახელს აუგად იხსენიებს. გაქვს ხომ ფსალმუნი, წინასწარმეტყველება, სახარებისეული მცნებანი, მოციქულთა ქადაგებანი! დაე, იგალობოს ენამ, დაე, გონებამ წარმოთქმულის აზრი გამოიკვლიოს, რათა სულითაც და გონებითაც იგალობო. ღმერთი არ მოითხოვს დიდებას, არამედ სურს, რომ შენ იყო ღირსი იმისი, ვისაც ადიდებ.

რაჲცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს(გალატ.6,7). ამიტომ დიდებისმეტყველება დათესე, რათა ზეცათა სასუფეველში გვირგვინი, პატივი და ქება მოიმკო. უსარგებლოდ როდი ვილაპარაკე ასე ვრცლად ამ სიტყვებზე: **ტაძარსა წმიდასა თქუას ყოველმან ვინ დიდებაჲ მისი**, რადგან ღმრთის ტაძარში მრავალნი განუწყვეტლივ ყბედობენ, უსარგებლოდ შედიან და ნაცვლად სარგებლისა, ზიანს იღებენ.

8. **უფალმან წყლით-რღუნაჲ დაამკჳდრის**(10). წარღვნა იმგვარი დაღვრაა წყლისა, როცა იგი ყველა საგანს უხილავს ხდის და ყოველივეს, რაც კი წაბილწული იყო, წმენდს. წინასწარმეტყველი **წყლით-რღუნას** ნათლობის მადლს უწოდებს, რათა სულმა, განბანილმა ცოდვებისაგან და განწმენდილმა ძველი ადამიანისაგან, ბოლოსდაბოლოს შეძლოს და სულიწმიდის მიერ ღმრთის სამკვიდრებელად იქცეს.

ამას ეთანხმება 31-ე ფსალმუნი, სადაც სიტყვებს: **ცოდვაჲ ჩემი გაუწყე შენ და უსჯულოებაჲ ჩემი არა დავფარე შენგან... ამისთჳს ილოცვიდეს შენდამი ყოველი წმიდაჲ**, წინასწარმეტყველი უმატებს: ხოლო **რღუნაჲ წყალთა მრავალთაჲ მას არა მიეახლოს**(ფს.31,5,6), რადგანაც ვერ მიუახლოვდება ცოდვები მას, ვინც ნათელს იღებს და ცოდვით დაცემა წყლითა და სულით მიეტევება. აქ გამოთქმულ აზრს ენათესავება ის, რასაც ვპოულობთ მიქიას წინასწარმეტყველებაში: **რამეთუ მნებებელი წყალობისა მისისა არს, მომაქცინეს და შემიწყალნეს ჩუენ. შთაჴადნეს ცოდვანი ჩუენნი და განიყარნენ სიღრმეთა მიმართ ზღვისათა ყოველნი ცოდვანი ჩუენნი**(მიქ.7,18-19).

და დაჴდეს უფალი მეუფედ უკუნისამდე(10). ღმერთი წარღვნისაგან გაბრწყინებულ სულში განმტკიცდება და მას თითქოსდა თავის ტახტად აქცევს.

უფალმან ძალი ერსა თჳსსა მოსცეს, უფალმან აკუთრხოს ერი თჳსი მშვიდობით(11). ცოდვილ ერს უფალი ძალასა და ძლიერებას წაართმევს, სიმართლის მქმნელს კი სიმტკიცეს მისცემს. ამიტომ **ყოველსა, რომელსა აქუნდეს მიეცეს და მიემატოს**(მთ.25,29). ვინც კეთილ საქმეთა ქმნით ძლიერება შეიძინა, იგი

ღირსია ღმრთისაგან კურთხევისა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ კურთხევათაგან ყველაზე სრულყოფილია მშვიდობა, ვითარცა სიმტკიცე გონებისა, რომელიც ადამიანში სუფევს. ერთი ნიშანი სიმშვიდით აღსავსე კაცისა არის ზომიერება ზნისა. ვნებებისაგან დამარცხებული ვერასოდეს ეზიარება იმ ღმრთეებრივ მშვიდობას, რომელიც უფალმა თავის მოწაფეებს მისცა და **რომელი ჰმატს ყოველთა გონებითა**(ფილპ.4,7) და, რომელიც ღირსეულთა სულებს იცავს. სწორედ ამ მშვიდობას ითხოვს მოციქული ეკლესიებისათვის, როცა ამბობს: **მადლი თქუენ თანა და მშვიდობაჲ განმრავლდინ**(Iპეტრ.1,2).

დაე, ჩვენ სიკეთით ვიღვაწოთ და ხორციელი სიბრძნე, რომელიც მტერია ღმრთისა, დავამხოთ, რათა სულის მშვიდი და უშფოთველი მდგომარეობისა გამო, მშვიდობის ძენი გვეწოდოს და ღმრთის კურთხევას მშვიდობით ვეზიაროთ იესო ქრისტეს მიერ, რომლისა არს დიდება და ძლიერება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საშაბარი 29-ე ფსალმუნი

ფსალმუნი, გალობაჲ განახლებისა სახლისა დავითისი

1. გადატანითი მნიშვნელობით, აგებულება სხეულისა ფსალტირი, მუსიკალურად აწყობილი ინსტრუმენტია, რათა ღმერთი ჩვენი ჰიმნებით ვადიდოთ; ფსალმუნი კი ღმრთის სადიდებელი ქმედებანია სხეულისა, რომელთაც იგი ჰარმონიული გონების წყალობით მხოლოდ ჰარმონიული მოძრაობებითვე აღასრულებს, ხოლო ის, რაც უმაღლეს მჭევრმეტყველებასა და ღმრთისმეტყველებასთანაა შეერთებული, საგალობელია. ასე, რომ ფსალმუნი იმგვარი მუსიკალური სიტყვაა, რომლის დროსაც, ჰარმონიის კანონების მიხედვით, მუსიკალურ საკრავზე მწყობრად ურტყამენ. საგალობელი კი ჰარმონიულად გამოცემული მწყობრი ხმაა მუსიკალური საკრავის – აკომპანიმენტის გარეშე. რადგანაც ეპიგრაფში წერია ფსალმუნი გალობისა, ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში მჭვრეტელობის შესაბამისი მოქმედება უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ ეპიგრაფის მიხედვით, ეს „ფსალმუნი გალობისა“ შეიცავს რაღაც აზრს „სახლის განახლების“ შესახებაც. როგორც ჩანს, ხორციელი გაგებით, ფსალტირზე დამღერებული ეს ფსალმუნი იმ განთქმულ ტაძარზე მიუთითებს, რომელიც სოლომონის დროს აღიმართა, ხოლო სულიერი გაგებით, სიტყვა ღმერთის განხორციელებას გულისხმობს და მისი, როგორც ღმრთის, სახლის განახლებაზე მიანიშნებს, რომელიც ახლებურად და უჩვეულოდ იქნება მოწყობილი. ამ ფსალმუნში ჩვენ ხომ ბევრ რასმე ვპოულობთ, რომელიც უშუალოდ უფლის პირითაა განცხადებული. ისიც შესაძლებელია, რომ სახლში ქრისტეს მიერ შექმნილი ეკლესია იგულისხმებოდეს, როგორც ამას პავლე მოციქული სწერს ტიმოთეს ეპისტოლეში: **რაჲთა უწყოდი, ვითარ-იგი ჯერ არს სახლსა შინა**

ღმრთისასა სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ(1 ტიმ.3,15); ხოლო ეკლესიის განახლებაში, სული წმიდის მიერ აღსრულებული განახლება იგულისხმება იმათი გონებისა, რომელნიც ქრისტეს ეკლესიის სხეულს აღავსებენ. ეს ფსალმუნი ღმრთეებრივი და მუსიკალური ჰარმონიაა. მისი სიტყვები სმენას კი არ ამხიარულებენ, არამედ იმ უკეთურ სულებს ამხობენ და იმორჩილებენ, რომელნიც ყველას აღელვებენ, ვისაც კი თავს ესხმიან.

აღგამაღლო შენ, უფალო, რამეთუ შემივედრე მე და არა ახარე მტერთა ჩემთა ჩემ ზედა(1). მაღალთა შინა მცხოვრები იმათ მიერ როგორღა უნდა ამაღლდეს, ვისაც ხვედრად მდაბალი ქვეყანა ერგო? უკეთუ ღმერთი მაღლაა – ცათა შინა, ხოლო შენ დაბლა – მიწაზე, როგორღა აღამაღლებ მას? რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი აღთქმა წინასწარმეტყველისა? ის ხომ არ იგულისხმება, რომ ღმერთს ისინი აღამაღლებენ, რომელთაც მასზე დიადი და შესაფერისი წარმოდგენების შექმნა ხელეწიფებათ და რომელნიც ღმრთის სადიდებლად ცოცხლობენ? ამდენად, ვინც ნეტარებისაკენ გონივრულად ისწრაფვის, იგი ღმერთს აღამაღლებს, ხოლო ის, ვინც საპირისპირო გზას ადგას, გამოთქმაც კი შეუძლებელია, ღმერთს იმდენად ამდაბლებს.

2. ყოველგვარი მდგომარეობა, რომელიც ჩვენს საქმეებს შეეფერება, ჩვენ თითქოს ღმერთზე გადაგვაქვს. ამიტომ როცა ვთვლემთ და ნელა ვმოქმედებთ, ვამბობთ, რომ სძინავს ღმერთს, რომელიც ჩვენ ღირსად არ გვთვლის თავისი ფხიზელი მეთვალყურეობისა, ხოლო რაჟამს ამ ძილისაგან ზიანს ვიგრძნობთ, ვიტყვით: **განიღვიძე, რად გძინავს უფალო?**(ფს.43,23). **აჰა, არა ჰრულეს, არცა დაიძინოს მცველმან ისრაელისამან**(ფს.120,4); სხვანი, რადგანაც მისი თვალებისათვის უღირს საქმეებს სჩადიან, თითქოსდა ღმრთის მზერას თავს არიდებენ; ისინი კი, რომელნიც ინანიებენ, ამბობენ: **რად გარე-მიიქცევ პირსა შენსა?**(ფს.43,24). ამათ გარდა, არიან, აგრეთვე, ღმრთის ხსოვნიდან აღმოფხვრილნიც, რომელთაც თითქოს ღმერთს თვითონვე დაავიწყეს საკუთარი თავი. ამგვარნი ამბობენ: **და დაივიწყებ გლახაკებასა ჩუენსა და ჭირსა ჩუენსა?**(ფს.43,24). და საერთოდ, რაც კი ღმერთს კაცობრივი განცდის მსგავსი რამ მიეწერება, ისინი ეკუთვნის ადამიანებს, რომელნიც თავისთვის ისეთ ღმერთს ქმნიან, როგორიც ყოველმა მათგანმა წინასწარ წარმოიდგინა.

ამგვარად, **აღგამაღლო შენ, უფალო, რამეთუ შემივედრე მე და არა ახარე მტერთა ჩემთა ჩემ ზედა**. ვერავითარ მდაბალს, ვერავითარ საძაგელს ჩემს ცხოვრებაში ვერ დავითმენ, მაგრამ საიდანღა მომეცა მე ძალა ამაღლებისა? იქიდან, რომ მანამდე შენ შემივედრე. გამომსახველად თქვა წინასწარმეტყველმა: **შემივედრე** ნაცვლად იმისა ეთქვა: **აღმამაღლე** მე და მათზე, ვინც ჩემ წინააღმდეგ აღდგა, მაღლა დამაყენე. შენ შემივედრე მსგავსად იმისა, ვინც ცურვის უცოდინარ ყრმას ხელს ჩასჭიდებს და წყლის ზედაპირზე ამოჰყავს. ამიტომ ის, ვინც დაცემული იყო და ღმრთის შემწეობით აღდგა, აღამაღლებს მას კეთილი საქმეებით. ან: შენ ისე ხარ შევედრებული, როგორც ვინმე

ძალაწართმეულ, დასაცემად გამზადებულ მოჭიდავეს ხელს შეაშველებს და დააყენებს რა მეტოქეზე მაღლა, საშუალებას აძლევს გაიმარჯვოს, ხოლო მეტოქეს მისი დაცემის სიხარულს ართმევს. არა მწუხარებანი, რომელნიც წმინდანებს გამოსაცდელად ეგზავნებათ, ანიჭებენ ჩვენს უხილავ მტრებს სიხარულს, არამედ ისინი მაშინ მხიარულობენ, ტაშს უკრავენ და ხარობენ, რაჟამს უბედურებათა სიმძიმის ქვეშ ვეცემით და ხშირი მწუხარებისაგან დაქანცულ ჩვენს გონებას უკვე განსჯის თავიც აღარა აქვს. ასე დაემართა იობს; დაკარგა ქონება, წაერთვა შვილები, ხორცი მისი წყლულებითა და მატლებით დაიფარა, მაგრამ მტერს სიხარული ვერც ამან მიანიჭა. მას რომ მძიმე უბედურებათა გამო მკრეხელური სიტყვა დასცდენოდა, აი, მაშინ კი გაიხარებდა მის გამო მტერი. ასევე, როცა პავლე შიმშილსა და წყურვილს, სიშიშვლესა და გვემას განიცდიდა, მტერს კი არ უხაროდა, პირიქით, განადგურებული იყო, რადგან ხედავდა, რომ მოთმინებით იღწვოდა და მტერს მიმართავდა: **ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა?**(რომ.8,35).

3. **უფალო ღმერთო ჩემო, ღაღადვყავ შენდამი და განვიკურნო**(2). ნეტარია ის, ვინც თავისი დაფარული წყლული შეიცნო, რამეთუ შეუძლია მივიდეს მკურნალთან და სთხოვოს: **განმკურნე მე, უფალო, რამეთუ შემიძრწუნდეს ძუალნი ჩემნი**(ფს.6,3) და **მე ვთქუ: უფალო, მიწყალე მე და განკურნე სული ჩემი, რამეთუ მე ვცოდე შენდა**(ფს.40,4). მაგრამ აქ წინასწარმეტყველი უკვე მადლობას სწირავს მისი განკურნებისათვის, რადგანაც ასე მიმართავს: **უფალო ღმერთო ჩემო**. ღმერთი ხომ ყველას ღმერთი არაა, არამედ მათი, რომელნიც, სიყვარულის წყალობით, მისი შეიქნენ. ის არის **ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა**(გამს.4,5). ყველას ღმერთი რომ ყოფილიყო, მაშინ მხოლოდ ამათ როდი გამოარჩევდა და კიდევ, იაკობი ამბობს: **და შეგეწია შენ ღმერთი ჩემი**(შესქ.49,25), და თომაც, როცა სრულიად დარწმუნდა, შეეტკბო უფალს და თქვა: **უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი**(ინ.20,28). ასე, რომ მოწოდება **უფალო ღმერთო ჩემო** – წინასწარმეტყველს, მისი განწყობილების შესაფერისად, გულიდან აღმოხდა. **ღაღად-ვყავ შენდამი და განვიკურნო** – არ არსებობს შუალედი ჩემს მოწოდებასა და შენს წყალობას შორის, არამედ მოგიწოდე თუ არა, განკურნებაც მყისვე მოვიდა, რადგანაც ნათქვამია: **მერმე იტყოდიღა შენ, გრქუას: აჰა, აქა ვარ**(ეს.58,9), ამიტომ მავედრებელმა ღმერთს მნიშვნელოვანი რამ უნდა უთხრას, რათა განკურნება სწრაფად გამოგვიგზავნოს.

უფალო, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი(3). ამგვარი განკურნებისათვის ჰმადლობს ღმერთს უძლურებისა გამო ჯოჯოხეთში ჩავარდნილი, მაგრამ იქიდან იმის ძალით აღმოყვანილი, ვინც ჩვენთვის დაამარცხა ის, ვისაც **ჴელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ**(ებრ.2,14).

მიხსენ მე მათგან, რომელნი შთავლენან მღვიმესა. ხშირად მღვიმე მიწისქვეშა დილეგებს ეწოდებოდა, რომელნიც ტუსაღთა ჩასაკეტად იყვნენ მოწყობილნი, ამიტომაცაა ნათქვამი წიგნში „გამოსვლათა“: **ტახტზე მჯდომარე ფარაონის**

პირმშოდან დილეგში მჯდარი ტყვის პირმშომდე(გამს.12,29). იერემიაც ორმოში ჩააგდეს და იოსებიც ძმებმა შურის გამო დამშრალ ჭაში გამოამწყვდიეს. ყოველ საქციელს ჩვენ ან დაბლა ჩავყავართ, რაჟამს ცოდვით გვამძიმებს, ან მაღლა ავყავართ, გვასხამს რა ფრთებს ღმრთისკენ სწრაფვისას. ამიტომაც მიხსენი მე, რომელიც ადრე უკეთურად ვცხოვრობდი და განმაშორე მათგან, რომელნიც ბნელსა და ცივ ადგილას ვარდებიან. ამასვე ნიშნავს სიტყვები: **შემივედრე მე**, ე. ი. დაბლა დაქანებული შემაჩერა და ჩემს მტრებს არ მისცა მიზეზი სიხარულისა. ისევე როგორც სხვა ადგილას თქვა: **განამტკიცნა ფერჴნი ჩემნი ვითარცა ირემთანი და მაღალთა ზედა დამადგინა მე**(ფს.17,34). ასე რომ, აქაც მაღლა დადგინებას მღვიმიდან განთავისუფლებასა და ამოყვანას უწოდებს.

უგალობდით უფალსა ღირსნი მისნი(4). ყველა, ვინც ფსალმუნის სიტყვებს პირით წარმოთქვამს, უფალს როდი უგალობს, არამედ ისინი, რომელნიც ფსალმუნებს წმინდა გულიდან აღუვლენენ, რომელნიც ღირსეულნი არიან, ღმრთის წინაშე სიმართლეს ინარჩუნებენ და რომელთაც ძალუძთ სულიერი საზომები ერთგულად დაიცვან. რამდენი ბიწიერი დგას აქ, რამდენი ქურდი, რამდენი მზაკვარი და რამდენიც კიდევ გულში სიცრუეს ფარავს. თითქოსდა ისინიც მგალობლებად წარმოგვიდგებიან, მაგრამ სინამდვილეში არ გალობენ, რამეთუ ფსალმუნი გალობისათვის ღირსეულებს უხმობს. არ შეუძლია ხომ ხესა ხენეშსა გამოიღოს ნაყოფი კეთილი(მთ.7,18) და არც ბოროტი გულიდან გამოვა ცხოველი სიტყვა. ამიტომაც **ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ**(მთ.12,33). განიწმინდეთ გულნი, რომ სულს ნაყოფი უძღვნათ და შეძლოთ გახდეთ ღირსეული, რათა უფალს გონივრულად უგალობოთ.

4. **და აუვარებდით საჴსენებელსა სიწმიდისა მისისასა**(4). ის კი არა თქვა, – აღიარეთ მისი სიწმიდეო, არამედ **სახსენებელი სიწმიდისა მისისაო**, ანუ მადლობდითო, რადგანაც აქ აღიარება მადლობის ნაცვლადაა გამოყენებული. იმიტომაც მადლობდითო, რომ გაქვთ **სახსენებელი სიწმიდისა მისისა** თქვენ, რომელნიც ადრე ბოროტებაში იყავით ჩაფლულნი და ხორციელი უწმინდურებით წაბილწულებს დაგავიწყდათ სიწმიდე, იმისა ვინც შეგქმნათ. ხოლო ცოდვათა შენდობა რომ გამოითხოვოთ, აღიარეთ, რაც კი რამ უმართებულო ჩაგიდენიათ.

რამეთუ რისხვაჲ არს გულის წყრომასა მისსა და ცხორებაჲ არს ნებითა მისითა(5). პირველად მოიხსენია ის, რაც დამამწუხრებელია: **რისხვაჲ გულის წყრომასა მისსა,** ხოლო შემდეგ – სასიხარულო: **ცხოვრებაჲ ნებითა მისითა**. იმათ, რომელთაც ზუსტი მნიშვნელობის წვდომა არ ძალუძთ, ტავტოლოგიად ეჩვენებათ წინასწარმეტყველის მიერ თქმული: **რისხვაჲ არს გულის წყრომასა** ღმრთისასა, რადგანაც მათი აზრით, რისხვა და გულისწყრომა ერთი და იგივეა. ამ დროს კი, ამ სიტყვებს შორის განსხვავება ფრიად დიდია. გულისწყრომა (θυμός) იმ სასჯელის განსაზღვრაა, რომელიც უნდა დაედოს იმას, ვინც ამის ღირსია; რისხვა (ὀργή) კი უკვე შრომა და სასჯელია, რომელსაც სამარ-

თლიანი მსაჯული ჩადენილი უსამართლობის სიდიდის მიხედვით გამოიტანს. მაგალითით უფრო ნათელი გახდება, რას ვგულისხმობ. ექიმმა, შენიშნა რა სხეულის რომელიმე ასოზე ანთება ან სიმსივნე, ჩათვალა, რომ ავადმყოფს იგი აუცილებლად უნდა მოეკვეთოს. წმიდა წერილი ამას გულისწყრომას უწოდებს. ექიმის დასკვნას ავადმყოფისათვის დახმარების გაწევის თაობაზე მოსდევს უკვე თვითონ ქმედება, რომლითაც მისი განაჩენი აღესრულება: ეს ასოცა და ის ტკივილიც, რომელსაც იგი სნეულს აყენებდა, მოიკვეთება. ამას ღმრთის რისხვა ეწოდება. დაუბრუნდი ახლა განსახილველს და აზრის თანმიმდევრობას აღმოაჩენ: **რამეთუ რისხვაჲ არს გულის წყრომასა მისსა** – სასჯელი ღმრთის სამართლიანი სამსჯავროსი.

და ცხორებაჲ ნებითა მისითა – და რას გვეუბნება ფსალმუნი? ღმერთს სურს, რომ მის სიცოცხლეს ყველა ეზიაროს. უბედურებანი მისი ნებით კი არ ხდება, არამედ ღირსეულად ატყდება თავს იმათ, რომელნიც სცოდავენ. ამდენად, საკუთარი ნებით ღმერთი ყველას სიცოცხლეს გვანიჭებს, რისხვას კი ჩვენ თვითონ ვიუნჯებთ **დღესა მას რისხვისა და გამოჩინებისა მართლმსაჯულობისა ღმრთისასა**(რომ.2,5).

წმიდა წერილისათვის ჩვეულებრივია, რომ სიხარულს წინ მწუხარებანი უძღოდეს, რადგანაც ტკბობა უფრო დიდ სიამოვნებას მაშინ გვანიჭებს, როცა მას წინ ტანჯვა უსწრებს. რადგანაც ნათქვამია: **მე მოვაკუდინი, მე ვაცხოვნი,** ე. ი. სასჯელს შეწყალება მოსდევს; **მე მოვწყლი, მე განვკურნი**(2სჯ.32,39). თვითონ აყენებს ტანჯვას და თვითონვე აღადგენს: თვითონ ასნეულებს და თვითონვე კურნავს საკუთარი ხელით. მწუხარება იმიტომაც უსწრებს, რომ ჩვენზე გადმოსული წყალობა მტკიცე იყოს, რადგანაც ამ დროს უფრო ვზრუნავთ ამ წყალობის შენარჩუნებისათვის.

მწუხრსა განისუენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან. გაიხსენე დრო, როცა უფალი ეწამა და ამ სიტყვების მნიშვნელობასაც აღმოაჩენ. საღამოს, როცა იგი ჯვარზე გაკრული დაინახეს, უფლის მოწაფეთა შორის ტირილმა დაისადგურა, ხოლო ცისკარზე – სიხარულმა, როცა აღდგომის შემდეგ ერთმანეთისაკენ გარბოდნენ, რათა ერთმანეთისათვის ეხარებინათ, რომ უფალი იხილეს. ისიც შესაძლებელია, რომ საღამო საერთოდ ამ საუკუნეს ეწოდებოდეს, რომელშიც ის, ვინც ნეტარად ტირის, ცისკრის დადგომასთან ერთად ნუგეშისცემულ იქნება; **ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იყვნენ**(მთ.5,4). **ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით**(ლკ.6,21). ამიტომ, ვინც დღეებს ამ საუკუნისა, რომელიც უკვე აღსასრულისკენაა მიდრეკილი, საკუთარ შეცოდებათა დატირებაში ატარებს, იგი ამ ჭეშმარიტი ცისკრის დადგომისას გაიხარებს, რადგანაც, რომელნიც ახლა **თესვიდენ ცრემლით, სიხარულით მოიმკიან**(ფს.25,5), ოღონდ, ცხადია, მომავალ საუკუნეში.

5. **ხოლო მე ვთქუ განგებულებასა ჩემსა: არა შევიძრა მე უკუნისამდე**(ფს.29,6).

ვითარცა ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი საქონლის სიმრავლე ქალაქის სიმდიდრეზე მეტყველებს და ბარაქიანსაც იმ ქვეყანას ვუწოდებთ, სადაც ბევრი ნაყოფი მოდის, ასევე სულიც რამდენადმე მდიდარია, როცა იგი აღსავსეა ყოველგვარი საქმით. ამისთვის იგი ჯერ კარგად უნდა დამუშავდეს და შემდეგ ზეციური წყლების უხვი ნაკადებით დარწყულდეს. მხოლოდ მაშინ შეეძლება მას მოგვცეს ნაყოფი **ოცდაათეული და სამოცეული და ასეული**(მარკ.4,20) და ღირსი გახდეს ამგვარი კურთხევისა: **კურთხეულ იყვნენ საუნჯენი შენნი და მონაგებნი შენნი**(IIსჯ.28,5). ამიტომ ის, ვინც თავის სიმტკიცეს გრძნობს, დარწმუნებით იტყვის და დაამტკიცებს კიდევაც, რომ მოწინააღმდეგე ისევე ვერ გაანადგურებს, როგორც სავსე ყანას, რომელიც უფალმა აკურთხა.

უფალო ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი(7). ისინი, რომელნიც სათნოებაზე მოძღვრების გამოსაკვლევად იღვწოდნენ, ამბობენ, რომ სათნოებათაგან ერთნი გონებრივი ჭვრეტის შედეგნი არიან, მეორენი – არა. ასე მაგალითად, კეთილგონიერებას ქმნის განჭვრეტა სიკეთისა და ბოროტებისა; სიწმინდეს – განჭვრეტა იმისა, რა უნდა ავირჩიოთ და რას უნდა გავექცეთ; სამართლიანობას – რა უნდა იყოს ჩვენთვის მისაღები და რა დასაგმობი, ხოლო სიმამაცეს – რისი უნდა გვეშინოდეს და რისი არა. სიკეთე და ძლიერება კი არამჭვრეტელობითი სათნოებანია, რომელნიც მჭვრეტელობით სათნოებებს მოსდევენ, რადგანაც ბრძენთაგან ზოგიერთი სიკეთეს სულიერ ჭვრეტათა თანაზომიერებასა და სიმწყობრეში ხედავდა, ხოლო ძლიერებას, როგორც მჭვრეტელობითი სათნოებებისაგან მიღებულ აღსრულების უნარს, ისე განიხილავდა.

გარდა ამისა, სულში რომ სიკეთე და რაც მოგვეთხოვება, იმის აღმასრულებელი ძალა წარმოიშვას, ამისათვის ღმრთეებრივი მადლიც გვჭირდება. ამიტომ ისევე, როგორც ზემოთ თქვა, რომ **ცხორებაჲ არს ნებითა მისითა**(5), ასევე აქაც მადლიერებით აღამაღლებს უფალს, როცა ამბობს: **უფალო, ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი**(7). რადგანაც, თუმცა ბუნებით კეთილი ვიყავი, მაგრამ რაჟამს გველის ბოროტი განზრახვის შედეგად ცოდვით წარვმწყდი, უძლურება დამეუფლა. ამიტომ ჩემს სიკეთეს, რომელიც თავდაპირველი აგებულებისას შენგან მივიღე, ძალაც დაურთე, რათა, რაც მომეთხოვება, ის აღვასრულო. ლამაზია ყველა სული, რომელშიც საკუთარი ძალების თანაზომიერება განიჭვრიტება, მაგრამ ჭეშმარიტი და ყველაზე სასურველია სილამაზე, რომელსაც მხოლოდ განწმენდილი გონება ჭვრეტს და რომელიც ღმრთეებრივსა და ნეტარ ბუნებას აქვს. ვინც მზერას მისი ელვარებისა და სიტურფისაკენ წარმართავს, მისგან, ვითარცა რაღაც ფერადოვანი ნაზავისაგან, რაიმეს მაინც ისესხებს და სახეს ბრწყინვალე და ნათელი სხივით შეიღებავს. ეზიარა რა ამგვარ სილამაზეს ღმერთთან საუბრისას, ამიტომაც მიიღო მოსემ დიდებული სახე. აქედან გამომდინარე, ვინც საკუთარ სათნოებას გრძნობს, ის აღმოუტევებს ამ მადლიერ ხმას: – **უფალო, ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი**. ისევე, როგორც მჭვრეტელობით სათნოებებს მოსდევს არამჭვრეტელობითი სათ-

ნოებანი – სიკეთე და ძლიერება, არსებობენ, აგრეთვე, არამჭვრეტელობითი ბიწიერებანიც: სიმახინჯე და უძლურება. რა უნდა იყოს უფრო მახინჯი და სამარცხვინო, ვიდრე ვნებებით აღსავსე სული? შეხედე განრისხებულს და მის მძვინვარებას, შეხედე დამწუხრებულს, სულიერად დამცრობილსა და დაცემულს! ხოლო იმას, ვინც ავხორცობას და ღორმუცელობას დაემორჩილა, ან კიდევ იმას, ვინც შიშისაგან გონზე აღარაა, ვის ექნება სურვილი შეხედოს? მათი სულიერი განწყობილება ისევე ჩანს სხეულის კიდურებში, როგორც კვალი სულის სილამაზისა ხდება სახილველი წმინდანის გარეგნობაში. ასე რომ, ჩვენ სწორედ ამგვარ სილამაზეზე ზრუნვა გვმართებს, რათა **სიძე – სიტყვამ** შეგვიწყნაროს და თქვას: **ყოვლად შუენიერ ხარ მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენთანა**(ქებ.4,7).

6. გარემიაქციე პირი შენი ჩემგან და მე შევძრწუნდი(7). სანამ სხივები შენი მზერისა მინათებდა მე, – ამბობს წინასწარმეტყველი, მტკიცედ და უშფოთველად ვცხოვრობდი. მაგრამ რაჟამს **გარემიაქციე პირი შენი ჩემგან**, მაშინ გამომჟღავნდა აღგზნებული და შეშფოთებული მდგომარეობა სულისა. ღმერთზე ამბობენ, რომ იგი პირს მაშინ მიიბრუნებს, რაჟამს გამოსაცდელს უბედურების ჟამს მიატოვებს, რათა სიმტკიცე მოღვაწისა გაცხადდეს. ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ თავი დავაღწიოთ შეშფოთებასა და ვნებათა ღელვას, თუკი **მშვიდობა ღმრთისა, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა** ჩვენს გულებს განამტკიცებს(ფილპ.4,7). რამდენადაც პირის მიბრუნება ღმრთის ნებას უპირისპირდება, ხოლო შფოთვა – სიკეთეს, კეთილსახოვნებასა და ძლიერებას, ამდენად შფოთვა, შეძრწუნება სულის სიმახინჯე და უძლურებაა, რომელსაც ღმრთისაგან გაუცხოება წარმოშობს.

მაშ, დაუცადებლად ვილოცოთ, რომ გვინათებდეს სახე უფლისა, რათა ისეთ მდგომარეობასა შინა ვიყოთ, როგორც ეს სიწმინდეს შეეფერება, – მშვიდნი და უშფოთველნი და განმზადებულნი სიკეთისათვის, რადგანაც ნათქვამია: **განვემზადე და არა შევძრწუნდი**(ფს.118,60).

მე შენდამი, უფალო ხმა-ვყო და ღმრთისა ჩემისა მიმართ ვილოცო(8). ფსალმუნში ხშირად გვხვდება უფლის *მოხმობა*, რადგანაც მოუხმობს მხოლოდ ის, ვისაც რაღაც დიდი და ზეციური სურს, ხოლო ვინც მცირისა და მიწიერის გამო ევედრება ღმერთს, სუსტი და დაბალი ხმით ითხოვს, რომელიც ვერც მაღლა ადის და ვერც ღმრთის სმენამდე აღწევს.

რაჲ-მე სარგებელ არს სისხლთა ჩემთაგან, შთა-თუ-ვიდე მე განსახრწნელსა?(9). ამბობს: რისთვის გიხმობდი და რისთვის გევედრებოდი შენ, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო? რა სარგებელია ჩემთვის კეთილდღეობა ხორცის და სიჭარბე სისხლისა მაშინ, როცა თუ ჯერ კიდევ არ დაზიანებულა, ბოლოს მაინც დაემორჩილება საერთო რღვევას სხეულისას? **არამედ აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დავიმონებ**(Iკორ.9,27), რათა ჩემში სისხლის მხნედ დუღილისას კეთილდღეობა ხორცისა ცოდვის მიზეზი არ გახდეს. ნუ ანებივრებ

სხეულს შენსას ძილით, აბაზანებითა და რბილი სარეცლებით, არამედ მუდამ ეს სიტყვები წარმოთქვი: **რაჲ მე სარგებელ არს სისხლთა ჩემთაგან, შთა-თუ-ვიდე მე განსახრწნელსა**? რისთვის ელოლიავები მას, რაც ცოტა ხანში უნდა გაიხრწნეს? რატომ იდებ ქონს და იმძიმებ თავს? განა არ იცი, რომ რაც უფრო ასუქებ სხეულს, მით უფრო მძიმე საპყრობილეს უმზადებ სულს? **მიწამან ნუ აღგიაროსა შენ, ანუ უთხრასა ჭეშმარიტებაჲ შენი**?(9). მართლაცდა კაცი, თიხისაგანი და ხორციელი, როგორღა გაღიარებს, შენ, უფალო? ან როგორ გვაუწყებს სიმართლეს ის, ვინც განსწავლისათვის დრო არ დახარჯა და თავისი გონება ხორცის სიმძიმეში ჩამარხა? ამიტომაც დავაძაბუნებ ხორცს ჩემსას და არ შევიბრალებ სისხლს, რომელიც ჩვეულებრივ ხორცს ერთვის, რათა დაბრკოლებად არ იქცეს ჩემთვის ჭეშმარიტების აღიარებისა და შეცნობისათვის.

ესმა უფალსა და შემიწყალა მე და უფალი იქმნა მწე ჩემდა(10). წინასწარ გვაუწყა რა, რაც მოხდა და რისთვის მოუხმო ღმერთს, და იგრძნო რა მყისვე ღმრთისგან შემწეობა, ჩვენც ამგვარივე ვედრებისაკენ გვაქეზებს, როცა ამბობს: **ესმა უფალსა და შემიწყალა მე და უფალი იქმნა მწე ჩემდა**. ჩვენც შევევედროთ, სულით მოვუხმოთ და დიდი რამ ვითხოვოთ არა გასანებივრებლად ხორცისა, **რამეთუ რომელნი-იგი ჴორცთა შინა არიან, ღმრთისა სათნო-ყოფად ვერ ძალ-უც**(რომ.8,8), არამედ რათა უფალმა ჩვენიც შეისმინოს, ჩვენი უძლურებაც შეიწყალოს და ვიგრძნობთ რა ღმრთეებრივ შემწეობას, ჩვენც ვთქვათ: **მოაქციე გლოვაჲ ჩემი სიხარულად ჩემდა**(29,11). ყველა სულში როდი იბადება სიხარული ღმრთისაგან, არამედ მხოლოდ იმაში, ვინც საკუთარი ცოდვები ძლიერი ქვითინითა და განუწყვეტელი გოდებით ისე დაიტირა, თითქოს თავის თავს მკვდარს დასტიროდა. ამგვარი გლოვა გარდაიქცევა სიხარულად; ხოლო ტირილი რომ ზოგჯერ საქებიცაა, ამას ცხადყოფენ ყრმები, რომლებიც მოედანზე ისხდნენ და ამბობდნენ: **გისტჳნევდით თქუენ და არა ჰროკევდით; გიგოდებდით თქუენ, და არა სტიროდეთ**(ლკ.7,32). სტვირი მუსიკალური საკრავია, რომელიც მელოდიას სულის ჩაბერვით გამოსცემს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ყველა წმიდა წინასწარმეტყველს, ვითარცა სულიწმიდისაგან აღძრულს, სხვაგვარად სტვირი ეწოდება. იმიტომაც ითქვა: **გისტჳნევდით თქუენ და არა ჰროკევდითო**, რომ წინასწარმეტყველთა სიტყვები წმიდა წინასწარმეტყველებასთან შეწყობილი მოქმედებისათვის აღგვძრავენ, რომელსაც ცეკვა ეწოდება. მაგრამ წინასწარმეტყველები დაგვტირიან კიდევაც და ჩვენც გოდებისაკენ მოგვიწოდებენ, რათა წინასწარმეტყველური სიტყვებისაგან საკუთარი ცოდვები შევიგრძნოთ, ჩვენი წარწყმედა დავიტიროთ და ხორცი ჩვენი ჯაფითა და ტანჯვით ავლაგმოთ. ვინც საკუთარ ცოდვებს დაიტირებს, სამგლოვიარო სამოსელისაგან განიძარცვება და სამოსელით სიხარულისა და მოსასხამით ხსნისა(ფს.61,10), ანუ ბრწყინვალე საქორწინო სამოსელით შეიმოსება და მისით მორთული საქორწინო სასახლიდან არ განიდევნება.

განხეთქე ძაძაჲ ჩემი და გარე-შემარტყ მე სიხარული(11). ძაძა მონანიებისას

გვეხმარება, ვითარცა ნიშანი თავის დამდაბლებისა, ამიტომაცაა ნათქვამი, რომ ძველად **ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს**(მთ.11,21). ისევე, როგორც მოციქული **განცხადებულითა პირითა... მასვე ხატსა მიიცვალება დიდებითი დიდებად**(2კორ.3,18), წინასწარმეტყველიც უფლისაგან მისთვის მიცემულ მადლს საკუთარ დიდებას უწოდებს: **რაჲთა გიგალობდეს შენ დიდებაჲ ჩემი**(12). მართლის დიდება არის სული, რომელიც მასშია; ამიტომ ვინც სულით გალობს, მას შეუძლია თქვას: **რაჲთა გიგალობდეს შენ დიდებაჲ ჩემი და არა შევინანო**, ანუ, აღარაფერს ჩავიდენ ისეთს, რომ გული ჩემი ცოდვის ხსოვნით დამიწყლულდეს და განმეწონოს.

ღმერთო ჩემო, უკუნისამდე აღგიარო შენ. ანუ მადლობას გიძღვნი, რადგანაც სანაცვლოდ მონანიებისა შენდობა მომანიჭე და მიხსენი რა ცოდვის სირცხვილისაგან, დიდებასთან დამაბრუნე. ამისთვის საუკუნოდ გაღიარებ, რადგან განა რა ისეთმა ხანგრძლივმა დრომ უნდა განვლოს, რომ მან შეძლოს და ჩემს სულს ასეთი დიდი წყალობანი დააავიწყოს?

საშბარი 32-ე ფსალმუნზე

იხარებდით მართალნი უფლისა მიერ, და წრფელთა შუენის ქებაჲ(1).

1. წმიდა წერილისათვის ჩვეულებრივია მხიარული ხმა, რომელიც სათნოების ღირსთა სულების რაღაც ნათელი და ზეაღმტაცი სიხარულის მდგომარეობას გამოხატავს. ამრიგად, **იხარებდით მართალნი უფლისა მიერ**, არა შინაურ საქმეთა კეთილწარმატებულობისა და სხეულის სიჯანსაღის გამო, არცა ყოველგვარი ნაყოფით სავსე მინდვრების წყალობით, არამედ იმით, რომ გყავთ უფალი, რომელიც აგრერიგად მშვენიერია, სახიერი და ბრძენი. საკმარისია თქვენთვის მისით სიხარული. ჩანს, ვისაც ფრიად სასურველთაგან რაიმე დიდი სიხარულით აღაფრთოვანებს, იგი თავის თავზეც ხარობს. ამიტომაც მოუწოდებს ფსალმუნი მართლებს, საკუთარი ღირსება იგრძნონ, რომელსაც მათ ამგვარი მეუფის მონობამ შესძინა და მისი მონობით გამოწვეული გამოუთქმელი სიხარულითა და ხლტომით ისე აღივსონ, თითქოსდა სახიერის სიყვარულისა გამო ფრთაშესხმული გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდეს.

თუკი ოდესმე შენს გულზე დაცემულ სხივს ღმერთზე უეცარი აზრი უშვია და სული შენი ისე განუბრწყინებია, რომ სიყვარული ღმრთისა გიგრძვნია და არად ჩაგიგდია ეს სოფელიცა და სხვა დანარჩენიც, რაც ხორციელია, ამ სუსტი და მცირე შედარებისაგან, მთლიანადშეიცანი მდგომარეობა მართალთა, რომელნიც სიხარულით ღმრთისა მიმართ თანაბარზომიერად და განუწყვეტლივ მაღლდებიან. შენ, ღმრთის განგებულებით, დროდადრო და იშვიათად გეწვევა ამგვარი სიხარული, რათა მისთვის გემოს გასინჯვით მეხსიერებაში აღიდგინო, თუ რას მოაკლდი. მართალში კი ღმრთეებრივი და ზეციური სიხარული მუდმი-

ვად სუფევს, რადგანაც მასში უცილობლადაა დამკვიდრებული სული, რომლის პირველი ნაყოფნი სიყვარული, სიხარული და მშვიდობაა(გალ.5,22). ამრიგად, **იხარებდით მართალნი უფლისა მიერ**. მართალთათვის უფალი თითქოსდა თავშესაფარია და ვინც მასში შევა, აუცილებლად იგრძნობს სიყვარულსა და სიხარულს. თავის მხრივ, მართალიც უფლისათვის ჭურჭელი ხდება, რომელმაც იგი თავის თავში უნდა მიიღოს; მაშინ როცა ცოდვილი თავის თავში ადგილს ეშმაკს აძლევს, ყურს არ უგდებს რა ამ სიტყვების მთქმელს: **ნუცა სცემთ ადგილს ეშმაკსა**(ეფეს.4,27) და არც ეკლესიასტეს: **თუ შენზე მეუფის რისხვამ მოაწია, შენს ადგილს ნუ მიატოვებ**(ეკლ.10,4). ამიტომაც გვმართებს უფალში ყოფნა, რამდენადაც ძალგვიძს, მისთა საკვირველებათა ჭვრეტა და ამ ჭვრეტისაგან გულთა შინა ჩვენთა სიხარულის მოხვეჭა.

წრფელთა შუენის ქებაჲ(1). როგორც მრუდე ფეხია შეუსაბამო სწორი ფეხსაცმლისათვის, ასევე არც ბიწიერ გულს შეჰფერის ქება ღმრთისა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რამდენადაც დემონთა ბაგეებს არ შეჰფერის სიტყვა მაცხოვარზე, ამდენად, ერთმევა მათ უფლებაც: **რაჲთა გამოაცხადონ იგი**(მარკ.3,12).

უწმინდურ სულს – პითონს[4], პავლეც უკრძალავს, გამხნევებას წმინდანისა. ამგვარივეა შემდეგი ადგილიც: **ხოლო ცოდვილსა მას ჰრქუა ღმერთმან: რაჲსათჳს-მე მიუთხრობ შენ სამართალთა ჩემთა?**(ფს.49,16).

ამგვარად, შევიყვაროთ მრუდე საქმისათვის თავის არიდება, შესაბამისად სწორი წესისა და რიგისა, გავასწოროთ ჩვენი გონება და სამსჯავრო სულისა, რათა მართალნი გავხდეთ და უფლება გვქონდეს უფლის ქებისა. მას, ვინც ცოდვა პირველად ჩაადენინა, გველი ეწოდება და მახვილი უფლისა მოწეულია **ვეშაპსა ზედა გველსა გულარძნილსა**(ეს.27,1). რადგანაც იგი გადაადგილებისას მრავალგვარად იგრიხება და იკლაკნება, ამიტომაც კვალს, რომელსაც მიწაზე ტოვებს, არა აქვს სწორი მიმართულება. მისი ტანის პირველი ნაწილი სხვა მხრივ იზნიქება, შუა ნაწილი მრუდედ მოძრაობს, ხოლო კუდი ასევე საწინააღმდეგო მიმართულებისაკენ იგრიხება. ამიტომაც, ვინც გველს მისდევს, აღმოჩნდება, რომ მისი ცხოვრება მრუდე და ცბიერია, წინააღმდეგობებით აღსავსე, ხოლო ვინც უფალი ღმერთის კვალს ჩაუდგება, მისი გზა სწორია, ნაბიჯები ფეხთა მისთა კი – გამართული(იგავ.4,26), რადგანაც **წრფელ არს უფალი ღმერთი ჩვენი**(ფს.91,16) და **სიწრფოებანი იხილა პირმან მისმან**(ფს.10,8). თუ ორ სწორ ჯოხს ერთმანეთს მივადგამთ, მათი სისწორის გამო, ისინი ერთმანეთს მჭიდროდ მიეკრობიან, ხოლო უკეთუ მრუდე ხეს სწორს მივადგამთ, ვნახავთ, რომ სწორი მრუდს ვერ შეუთავსდება. ამგვარად, რამდენადაც ღმრთის ქება სამართლიანია, საჭიროა გულიც წრფელი იყოს, რათა მას უფლებაც ჰქონდეს ქებისა და კიდევაც შეეფერებოდეს იგი, რადგან **არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა**(Iკორ.12,3). როგორ მიუძღვნი ქებას უკეთუ არ გექნება **სული წრფელი განახლებული გუამსა შენსა?**(ფს.50,10).

[4] **სული პითონი, რომელ არს მისნობისაჲ (საქმ. 16,18).**

2. **აუვარებდით უფალსა ბობღნითა და ათძალითა საფსალმუნისათა უგალობდით მას**(2). პირველად ბობღნით, ანუ სხეულის მწყობრი მოქმედებით უნდა ვაღიაროთ უფალი, იმდენად, რამდენადაც სხეულით შევცოდეთ, რაჟამს **წარვუდგინეთ ასონი ეგე ჩვენნი მონებად** ცოდვასა და უშჯულოებას(რომ.6,19). ამრიგად, სხეულით ვაღიაროთ და იგივე იარაღი გამოვიყენოთ გასანადგურებლად ცოდვისა, რითაც შევცოდეთ. სძრახავდი? – აკურთხე! მევახშეობდი? – გაეცი! თვრებოდი? – იმარხულე! ქედმაღლობდი? – თავი დაიმდაბლე! გშურდა? ანუგეშე! მოკალი? იტანჯე! ან, რაც ტანჯვის თანაბარია, აღსარებით სხეული შენი დააძაბუნე; და მაშინ აღსარების წყალობით, შენც გახდები ღირსი უგალობო უფალს **ათძალითა საფსალმუნისათა**. ჯერ სხეულებრივი მოქმედებანი უნდა წარმართო სწორად, რათა ისინი უფლის სიტყვის შესაბამისად აღასრულო, ხოლო შემდეგ გონიერის ჭვრეტამდე ამაღლდე. შესაძლოა, ფსალტირი გონებას ეწოდებოდეს, რომელიც სიმაღლეს ეძიებს, რადგანაც ეს ინსტრუმენტი იმგვარი მოწყობილობისაა, რომ ხმების გამოცემა ზემო ნაწილიდან შეუძლია. რამდენადაც სხეულებრივი მოქმედებანი თითქოსდა ქვემოდან აღიარებენ ღმერთს, ხოლო საიდუმლოებს, რომელთაც გონება გვაუწყებს, თავიანთი მიზეზი ზემოდან აქვთ, თითქოსდა გონებამ ხმები სულიწმიდის მიერ გამოსცაო, ამდენად, ვინც ყველა მცნებას იცავს და ამ მცნებებთან ჰარმონიასა და თანხმობაში ცხოვრობს, ათსიმიანი ფსალტირით უგალობს უფალს, რადგანაც ძირითადი მცნებანი, რომელიც პირველ რჯულში დაიწერა, ათია.

აქებდით უფალს **ქებითა ახლითა**(3), ანუ ემსახურეთ უფალს არა დაძველებული ასოებით, არამედ თავად სულის განახლებით. ვინც რჯულს ხორციელად კი არ აღიქვამს, არამედ მის სულიერ შინაარსს შეიმეცნებს, ის ახალ გალობას იგალობებს. რადგანაც აღთქმაში ის, რაც მოძველებული და მობერებული იყო, გარდავიდა, გარდასრულდა და ჩვენთვის დაიწყო ახალი და განახლებული გალობა უფლის მოძღვრებისა, რომელიც რაჟამს ჩვენში ძველ ადამიანს მოვაკვდინებთ და დღითი დღე განვახლდებით, ჩვენ სიჭაბუკეს, ვითარცა ორბს, განგვიახლებს. რამდენადაც **წინა წარწევნული**(ფილპ.3,13) თავის თავთან მიმართებაში განუწყვეტლივ ახლდება, სიმღერასაც ახალს უგალობს უფალს. ჩვეულებრივ, ახალი ან უჩვეულოს, ან კიდევ იმას ეწოდება, რაც ყოფაში მცირე ხნის წინათაა დამკვიდრებული. ამიტომაც, თუ უფლის საკვირველსა და მთელს ბუნებაზე აღმატებულ განკაცებას შეიცნობ, ახალსა და უჩვეულო გალობას იგალობებ; უკეთუ ცოდვით დაბერებული მთელი სამყაროს აღორძინებასა და განახლებას გაიაზრებ და აღდგომის საიდუმლოსაც აუწყებ, ამ შემთხვევაშიც ახალსა და ცოტა ხნის წინათ შეთხზულ გალობას გალობ.

3. **კეთილად უგალობდით მას ღაღადებითა**. ისმინეთ შეგონება: კეთილად უგალობდით, ანუ დაუფანტველი აზრით, წრფელი განწყობილებით. **უგალობდით მას ღაღადებითა**. მოიპოვებთ რა გამარჯვებას, ვითარცა კეთილმა მეომრებმა, სადიდებელი სიმღერები აღუვლინეთ გამარჯვების მიზეზს. **ნუ**

გეშინინ, ამბობს იგი, რამეთუ **მე მიძლევიეს სოფელსა**(ინ.16,33). ადამიანთაგან ვის შეუძლია ებრძოლოს ბოროტს, უკეთუ საფარველს – **წინამძღოლს ძალთა უფლისასა**(ისო ნავ.5,14) არ მიაშურებს და იქიდან, რწმენით ღმრთისა, ისრებით არ დაამხობს და დაამარცხებს ჩვენს მტერს?

ამრიგად, **კეთილად უგალობდით მას ღაღადებითა**. ღაღადება დაუნაწევრებელი ხმაა, რომელსაც ერთმანეთზე მიჯრილ ფარებს ამოფარებული მეომრები ხმაშეწყობით გამოსცემენ. ამიტომაც იგალობეთ შეწყობილად, ერთსულოვნებითა და სიყვარულის ერთობით. და რა უნდა თქვან მგალობლებმა?

რამეთუ წრფელ არს სიტყუაჲ უფლისაჲ(4). უწინარესად წრფელთა მოუხმობს შესაქებად, რადგანაც წრფელია **სიტყვა უფლისა,** რომელიც უნდა განიდიდოს და რომელიც **პირველითაგან იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო**(ინ.1,1). ამიტომაც წრფელია მამა, წრფელია ძე და წრფელია სულიწმიდა.

და ყოველნი საქმენი მისნი სარწმუნოებით არიან. რას ნიშნავს ნათქვამი? მისი საქმეა ზეცა, საქმეა დედამიწა, საქმეა ზღვა, ჰაერი, ყველა უსულო და სულიერი, გონიერი და არა გონიერი. ესენი ყოველნი როგორღა არიან სარწმუნოებით? როგორია სარწმუნოება უსულოთა, სარწმუნოება გონების არ მქონეთა? როგორია სარწმუნოება ქვისა? როგორია სარწმუნოება ძაღლისა? არცა უსულონი და არც არაგონიერნი სარწმუნოებით არა არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ გამონათქვამმა არც ისინი გამორიცხა, პირიქით, ყოველივე მოიცვა, როცა გვამცნო: **ყოველნი საქმენი მისნი სარწმუნოებით არიან**. ამიტომაც, რას ნიშნავს ნათქვამი? ფსალმუნი ამბობს: უკეთუ ხედავ ზეცას და წესრიგს მისას, – ეს უნდა იყოს შენთვის მეგზური რწმენისა, რადგანაც თავის შემოქმედზე მიგვითითებს, უკეთუ წესრიგს დედამიწაზეც დაინახავ, მისი წყალობითაც გაგეზრდება რწმენა ღმრთისა, რადგანაც ჩვენ არა ხორციელი თვალებით შემეცნების შედეგად ვირწმუნეთ ღმერთი, არამედ ძალითა გონებისა – ხილულის მეშვეობით განვჭვრიტოთ უხილავი. ამიტომაც არიან **ყოველნი საქმენი მისნი სარწმუნოებით**. ქვაც რომ შეისწავლო, შემოქმედის ძალას რამდენადმე ისიც გვაჩვენებს. იმავეს აღმოაჩენ თუკი ჭიანჭველას, კოღოს ან კიდევ ფუტკარს გამოიკვლევ. ხშირად უმცირეს საგნებშიც კი ჩანს სიბრძნე დამბადებელისა. რადგანაც, ვინც ზეცა გადაჭიმა და ზღვათა უსაზღვრო სივრცენი აღავსო, ეს არის ის, ვინც ფუტკრის უწვრილეს ნესტარს, ვითარცა სალამურს, შიგნით ხვრელი დაუტოვა, რათა იქედან შხამი გადმოღვრილიყო. ამიტომაც არიან ყოველნი საქმენი მისნი სარწმუნოებით. დაე, შენ ურწმუნოებამდე ნურაფერი მიგიყვანს. ნუ იტყვი: ეს შემთხვევით მოხდა, ეს კიდევ თავისთავადო, რადგანაც იმაში, რაც არსებობს, არაფერია ქაოსური, განუსაზღვრელი, ამაო და შემთხვევითი. ნუ იტყვი სიტყვებს: „ბოროტი შემთხვევა“, ან კიდევ „არა კეთილი ჟამი“. ეს უბირთა სიტყვებია. **ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა**(მთ.10,29)? რამდენი ღერი თმაა თავზე? და არცერთი

მათგანი არაა დავიწყებული. ხედავ ღმრთეებრივ თვალს, რომელსაც არაფერი, თვით უმცირესიც კი არ რჩება მხედველობიდან?

უყუარს წყალობაჲ და მსჯავრი უფალსა და წყალობითა უფლისაჲთა სავსე არს ქუეყანაჲ(5). თუ სამსჯავრო ღმრთისა თავისთავად იმოქმედებდა და იმისდა მიხედვით, რასაც ჩვენი საქმეები იმსახურებენ, მთელი სიმკაცრით მოგვაგებდა, რისი იმედი უნდა გვქონოდა? ან ადამიანთაგან ვინ გადარჩებოდა? მაგრამ **უყუარს წყალობაჲ და მსჯავრი**. ჰყოფს რა **წყალობას** თითოეულისადმი, ყოველ მათგანს სამსჯავროს წინაშე გამოყვანისას, თითქოსდა თანამოსაყდრედ და უფრო მეტიც, სამეუფო ტახტზე თავში მჯდომარედაც კი წარმოადგენს. **უკუეთუ უსჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, უფალო, ვინმე დაუთმოს**(ფს.129,3). არც წყალობაა მისი სამსჯავროს გარეშე და არც სამსჯავრო – გარეშე წყალობისა. სამსჯავრომდე მას **უყვარს წყალობაჲ** და მხოლოდ წყალობის შემდეგ მოდის სამსჯავროზე. მასთან წყალობა და სამსაჯავრო შეუღლებულია, რათა არც მხოლოდ წყალობამ დაგვაძაბუნოს და არც მხოლოდ სამსჯავრომ მიგვიყვანოს სასოწარკვეთამდე. მსაჯულს სურს შეგიწყალოს და თავისი გულუხვობის მონაწილედ გაქციოს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნახავს, რომ ცოდვის ჩადენის შემდეგ მორჩილი და მწუხარე გახდი და, შენთა ბიწიერ საქმეთა გამო, მრავალი ცრემლიც დაღვარე; ფარულად ჩადენილი, გარეშე სირცხვილის შიშისა, საჯაროდ აღიარე და ძმებს სთხოვე, შენთან ერთად გაეწიათ ჯაფა შენი განკურნებისთვის. ერთი სიტყვით, უკეთუ დაინახავს, რომ შენ ღირსი ხარ შეწყალებისა, უშურველად მოგანიჭებს თავის წყალობას, მაგრამ როცა შენში სინანულის განუცდელ გულს, ამპარტავან გონებას, მომავალი საუკუნის ურწმუნოებასა და სამსჯავროს წინაშე შიშის არ ქონას აღმოაჩენს, მაშინ შენთვის სამსჯავროს შეიყვარებს, ვითარცა დახელოვნებული და კაცთმოყვარე ექიმი, რომელიც პირველად სიმსივნის შემსუბუქებას საფენებითა და ნაზი მალამოებით ცდილობს, მაგრამ როცა დაინახავს, რომ სიმსივნე არა თუ ცხრება, არამედ პირიქით, უფრო მაგრდება, მაშინ ზეთსა და მალამოებს განზე გადადებს და ბოლოსდაბოლოს, ბასრ იარაღს გამოიყენებს. ამიტომაც უყვარს წყალობა მონანულთა ზედა, მაგრამ ამავე დროს სამსჯავროც – ჯიუტთა მიმართ. მსგავს რამეს ეუბნება ესაია ღმერთს: **მოწყალება შენი სასწორით**(ეს.28,17). რადგანაც იგი სამსჯავროსთან ერთად წყალობასაც ავლენს, ღირსეულად მიუზღავს რა ყოველს წონით, რიცხვითა და ზომით.

4. **და წყალობითა უფლისაჲთა სავსე არს ქუეყანაჲ**(5). აქ წყალობა გამოყოფილია სამსჯავროსაგან. დედამიწა სავსეა მხოლოდ უფლის წყალობით, ხოლო სამსჯავრო განსაზღვრული დროითაა გადადებული. აქ წყალობა სამსჯავროს გარეშეა, რადგანაც მოვიდა **არა რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ**(ინ.3,17). იქ კი სამსჯავრო არაა წყალობის გარეშე, რადგანაც შეუძლებელია პოვნა კაცისა, რომელიც **წმიდაჲ იყოს მწინკულევანებისაგან, დაღათუ ერთ დღე იყოს** ცხოვრება მისი(იობ.14,4).

ამგვარად, თუკი ვინმე ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ წახდენა ადამიანთა დღითიდღე ვრცელდება და რომ კაცთა ხრწნადი მოდგმა ათასგზის სიკვდილის ღირსია, რამდენადაც ცოდვებში ჩაფლული ცხოვრობს, გააოცებს სიმდიდრე ღმრთის წყალობათა, მისი შემწყნარებლობა და ღონე თმენისა. მაგრამ ჩვენ შეწყალებას მანამ ვსაჭიროებთ, სანამ მიწაზე ვართ, რადგანაც ისინი, ვინც ზეცაშია, ნეტარების ღირსნი არიან და არა შეწყალებისა. ისიც შესაძლოა, რომ მიწა, ჩვენი ცოდვებისათვის მოწეული სასჯელის გამო, გვეწოდა ჩვენ, ვინც ღმრთისაგან მოვისმინეთ: **მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე**(დაბ.3,19). და რომელნიც აღსავსენი ვართ წყალობით ღმრთისა, რადგან **ვიყვენით ჩუენ მკუდარ შეცოდებითა** და ცოდვილნი ღმერთმა შეგვიწყალა **ქრისტეს თანა განცხოველებით**(ეფეს.2,5).

სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირითა მისისათა – ყოველი ძალი მათი(6). სად არიან ისინი, რომელნიც სულს ამცირებენ? სად არიან ისინი, რომელნიც მას შემოქმედი ძალისაგან გამოყოფენ? და სად არიან ისინი, რომელნიც მას მამისა და ძის ერთობას აშორებენ? მოუსმინონ ფსალმუნს, რომელიც ამბობს: **სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირითა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი**. აქ არც **სიტყვაში** იგულისხმება ჩვეულებრივი მეტყველება, რომელიც სახელებისა და ზმნებისაგან შედგება და არც **სულში** – სუნთქვა, რომელიც ჰაერში იფანტება, არამედ **სიტყვა**, რომელიც დასაბამიდანვე ღმერთთან იყო და **სული წმიდა**, რომლისთვისაც ეს საკუთარი სახელია. ამიტომ, ისევე როგორც დამბადებელმა სიტყვამ ზეცა გაამყარა, ასევე – სულმაც, რომელიც მამისაგან გამოდის, ანუ, რაც იგივეა, მისი პირისაგან, რათა იგი რაღაც გარეშედ და ქმნილებად კი არ მიიჩნიო, არამედ ისე განადიდო, ვითარცა ჰიპოსტასის მქონე მამისაგან, ვის ყველა ძალასაც თავისთავში შეიცავს.

ასე რომ, ყველა ზეციური ძალა სულითაცაა განმტკიცებული, ანუ შემწეობით სულისა აქვს სიმტკიცე, ძალა, უცვალებლობა სიწმინდისა და ყველა სათნოებისა, რაც კი წმიდა ძალებს შეეფერება. იმიტომაც წერია აქ: **სულითა პირითა მისისაჲთა**, ხოლო სხვაგან, როგორც ვიპოვეთ: **სიტყჳთა პირითა მისისაჲთა**(ეს.11,4), რათა მოვიაზროთ, რომ მაცხოვარი და სული მისი წმიდა – მამისაგანაა. რადგანაც **სიტყვა** უფლისა არის მაცხოვარი, ხოლო **სული** პირისა მისისა – სულიწმიდა და ზეცისა და მისი ძალების შექმნაში ორივე მონაწილეობდა, ამიტომაცაა ნათქვამი: **სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირითა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი**. რამდენადაც ყოველი, რაც კი განიწმინდება, სულიწმიდასთან თანაყოფით განიწმიდება, ამიტომ ანგელოზების ყოფიერებაში მოსვლა დამბადებელმა სიტყვამ, ყოველივეს შემოქმედმა აღასრულა, ხოლო სიწმიდე მათ სულიწმიდამ მიანიჭა, რადგანაც ანგელოზები შეიქმნენ არა როგორც ყრმანი, რომელნიც სრულყოფილებას შემდეგში თანდათანობით, ვარჯიშით აღწევენ და ამგვარად ხდებიან ღირსნი სულიწმიდის მიღებისა, არამედ სიწმიდე მათ თავდაპირველ

შედგენილობაშივე, შეიძლება ითქვას, მათი არსის ნაზავშივე იყო ჩადებული. მსწრაფლ დაიფარნენ რა თითქოსდა რაღაც შემზადებულით – სიწმინდით, ამიტომაც არა აქვთ მათ მიდრეკილება ბიწიერებისაკენ და, სულიწმიდის მადლის წყალობით, სათნოებაში ურყევნი არიან.

შეჰკრებს იგი ვითარცა თხიერთა, წყალთა ზღუსათა და დაასხამს საუნჯეთა შინა უფსკრულთა(7). ის კი არა თქვა: შეკრიბა წყალნი ზღვისა ვითარცა ტიკ-შიო, არამედ, ზღვის წყლები ისე შეკრიბა, ვითარცა თხიერნიო. წარმოიდგინე ტიკის თვისება, რომელიც ზოგჯერ, როცა ტყავი შიგნით მიღებული ჰაერისგა-ნაა დაჭიმული, იბერება; ხოლო ზოგჯერ კი, რაჟამს ის, რაც ბერავდა, გარეთ გამოვა, იკუმშება. ასევე ზღვაც, ხან ქედმაღლობს და ქაფდება, როცა მას ქარები აშმაგებენ და ყალყზე აყენებენ, ხან კი, როცა უქარო ამინდია, წყნარდება და მშვიდად გაწვება. ამიტომაც ღმერთი ზღვის წყალს, ვითარცა ტიკს, იპყრობს და იმორჩილებს. მაგრამ ზოგიერთ ნუსხაში ასეც ვპოულობთ: **კრებს იგი ვითარცა თხიერში, ზღვის წყლებს** და ეს სიტყვები ძველ ისტორიაზე მიგვითითებს, როცა მეწამული ზღვა, რომელიც არც არავის გაუყვია და არც არავის შეუპყრია, თავისთავად იქცა პატიმრად თითქოსდა რაღაც ტიკისა, რადგანაც ღმრთის ბრძანებამ არ მისცა ნება გადმოღვრილიყო.

5. **და დაასხამს საუნჯეთა შინა უფსკრულთა**. საერთო აზრის შესაბამისად, უფრო შესაფერისი იქნებოდა ეთქვა: დაასხამს უფსკრულთა შინა საუნჯეებს, ანუ თავის სიმდიდრეს საიდუმლოდ შეინახავს. აქ კი ისეა ნათქვამი თითქოსდა თვითონ უფსკრულნი, ვითარცა რაღაც ძვირფასი ქმნილებანი, იყვნენ ღირსნი ღმრთის საუნჯეებისა. ასე რომ, ხომ არ ეწოდა აქ უფსკრულნი ღმრთის სამსჯავროს კანონებს, როგორც კაცთა გონებისათვის გამოუთქმელსა და მიუწვდომელს? ეს კანონები ხომ, რომელთა მიხედვითაც **იგი** თითოეულს განაგებს, მხოლოდ ღმრთის ცნობიერებისთვისაა განკუთვნილი. ხოლო იმას, რომ სამსჯავრო ღმრთისა თითოეულზე ცალ-ცალკე უფსკრულად იწოდება, სხვა ფსალმუნშიც ვხედავთ, სადაც ნათქვამია: **განკითხვანი შენნი უფსკრულ მრავალ**(ფს.35,7).

იკითხავ: რატომაა ხანგრძლივი ცხოვრება ცოდვილისა, ხოლო დღენი მართლისა კი მოკლე? რატომ ცხოვრობს უსამართლო განცხრომაში, სამარ-თლიანი კი იტანჯება? რატომ იტაცებს სიკვდილი ყრმას, ვიდრე იგი ზრდას დაასრულებდეს? საიდანაა ომები? ხომალდთა კატასტროფები, მიწისძვრანი, გვალვები, კოკისპირული წვიმები? რისთვის შეიქმნა ის, რასაც ადამიანისათ-ვის ზიანი მოაქვს, რატომაა ერთი მონა, ხოლო მეორე თავისუფალი? ერთი მდიდარი, მეორე კი – ღარიბი? ამასთან დიდია სხვაობა თვით ცოდვილთა შორისაც და იმათ შორისაც, რომელთაც წარმატება სათნოებაში მოიპოვეს. მაგ. ერთი სამეძაო სახლის პატრონს მიჰყიდეს და იძულებული გახდა ცოდვაში ეცხოვრა; მეორე კი – თავიდანვე კეთილ ქალბატონთან მოხვდა და უმანკოე-ბით აღიზარდა. რატომ ცხოვრობს ამათგან ერთი განცხრომით, მაშინ როცა

პირველი ისჯება? თითოეულს რა სასჯელით მიეზღვება სამაგიერო? სანაცვლოდ მსაჯული რას მიაგებს?

რაჟამს ეს ყოველივე აზრად მოგივა, განსაჯე, რომ მსჯავრნი ღმრთისა უფსკრულია და ღმრთეებრივ საგანძურებში ჩაკეტილი ყველასათვის როდია ადვილად მისაწვდომი. მორწმუნეს კი ღმრთისაგან მიეცა აღთქმა: **და მიგცნე შენ საუნჯენი, ბნელნი, დაფარულნი**(ეს.45,3). ამრიგად, ღმრთის საგანძურებში უფსკრულებს მაშინ ვიხილავთ, რაჟამს შევიქნებით ღირსი მათი პირისპირ შეცნობისა. შევკრებთ რა წმიდა წერილში ტიკთა შესახებ ნათქვამს, უკეთ გავიგებთ განზრახვას წინასწარმეტყველისა. მათ, რომელნიც დღითი დღე განახლდებიან და თავიანთ თავში სიმართლის მტევნებისაგან დაწურულ ღვინოს მოათავსებენ, სახარებაში ახალნი თხიერნი ეწოდებათ, ხოლო ისინი, რომელთაც ძველი კაცი ვერ განიძარცვეს, ძველნი თხიერნი არიან და ამდენად არა სანდონიც ახალი ღვინის ჩასასხმელად. **არავინ შთაასხის ღვინოჲ ახალი თხიერთა ძუელთა**(მარკ.2,22), რათა ღვინო არ დაიღვაროს და სავსებით არ წარწყმდნენ ეს თხიერნი, რომელნიც მას შემდეგ, რაც კეთილსა და ახალ ღვინოს დაღვრიან, უკვე აღარავითარი შეწყალების ღირსნი აღარ იქნებიან. ახალ ღვინოს ჩასასხმელად ახალი ტიკი სჭირდება, ახალი და სულიერი ღვინო სულიწმიდის მიერ რომ დუღს, ანუ შეგნება ჭეშმარიტებისა, რომელიც არასოდეს ძველდება, ახალ ადამიანში უნდა ჩაისხას; ხოლო ახალი თხიერი სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მას, ვინც იესოს სიკვდილს მუდამ სხეულით ატარებს(2კორ.4,10).

6. **ეშინოდენ უფლისაჲ ყოველსა ქუეყანასა და მისგან შეიძრნედ ყოველნი დამკჳდრებულნი სოფლისანი**(8). რამდენადაც შიში ღმრთისა დასაბამია სიბრძნისა(იგავ.1,7). ისინი, ვინც მიწიერს იზრახავენ, შიშმა უნდა აღზარდოს. შიში, ვითარცა წინამორბედი ღმრთისმოსაობისა, აუცილებლადაა საჭირო; სიყვარული კი, რომელიც მას მოსდევს, სრულყოფილებად აქცევს მათ, რომელნიც შიშის სასწავლებელში ჩამოყალიბდნენ. ამიტომაც ფსალმუნი შიშს მთელს დედამიწას მიაწერს; **შეიძრნედ**, ამბობს, **მისგან ყოველნი დამკჳდრებულნი სოფლისანი**, ანუ ყველა მათი მოძრაობა, შესრულებულნი გონებით თუ სხეულის მოქმედებით, ღმრთის ნების თანახმად უნდა ხდებოდეს. ასე მესმის სიტყვები: **და მისგან შეიძრნედ**, ანუ გარეშე ღმრთისა არც თვალი უნდა ამოძრავდეს და არც კიდევ ხელი. დაე, ნურც გული განიზრახავს ისეთ რამეს, რაც ღმრთისთვის სათნო არ იქნება და საერთოდაც, დაე, ნურც ნურაფერი აამოძრავებთ მათ, გარდა ღმრთის შიშისა.

რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს(9). წინა ორ ნათქვამს: **ეშინოდენ უფლისა ყოველსა ქუეყანასა** და **მისგან შეიძრნედ ყოველნი დამკვიდრებულნი სოფლისანი**, კიდევ ორი მიემატა: **რამეთუ მან თქუა და იქმნნეს** და **თავადმან ამცნო და დაებადნეს**. რამდენადაც ადამიანი ნაერთია მიწისგან ნაძერწისა და სხეულში დამკვიდრებული სულისა, იმას, რაც მიწისგანაა გამოძერწილი, მიწა ეწოდა, ხოლო სულს, რომელსაც ხვედრად სხეულში ცხოვრება ერგო, –

მკვიდრი სამყაროსი. სიტყვა **მიწის** შესაფერისად ნათქვამია: **მან თქუა და იქმნეს**, და ამდენად ჩვენი შექმნა, სახელდობრ, შექმნა მიწისაგან, გამოხატულია სიტყვით **იქმნეს**, ხოლო ღმრთის ხატად შექმნა – სიტყვით **დაებადნეს**, რადგანაც სიტყვა დაბადებული ხშირად იხმარება შეცვლისა და გაუმჯობესების მნიშვნელობით, როგორც მაგალითად, სიტყვებში: **არამედ რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული**(IIკორ.5,17) და კიდევ: **რაითა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად**(ეფეს.2,15). ამასთან, შესაძლოა, რომ სიტყვით – **იქმნეს** მითითებული იყოს ადამიანის პირველად შექმნა, ხოლო სიტყვით **დაებადნეს** – მეორედ დაბადება ქრისტესმიერი მადლით. რამდენადაც ღმრთის მცნება განსხვავდება უბრალო სიტყვისაგან, იმდენად განსხვავდება ქმნილებაც დაბადებისაგან.

უფალმან განქარვნის ზრახვანი წარმართთანი და შეურაცხ-ყვნის გულის სიტყუანი ერთანი(10). ეს სიტყვები განმარტებაა წინა ნათქვამისა, კერძოდ, როგორ შექმნა ღმერთმა მისი მორწმუნენი იმით, რომ გაანადგურა უგუნური ბჭობანი კაცთა, რომელნიც მათ კერპთაყვანისმცემლობასა და სხვა ამგვარ ამაოებაზე ჰქონდათ გამართული და გააქარწყლა თათბირი მთავართა; მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს სიტყვები ეხებოდეს წამების მომენტს, როცა მათ განიზრახეს ჯვარს ეცვათ მეუფე დიდებისა, ხოლო მან, განგებულებით ჯვრისა, განაახლა კაცობრიობა, რადგანაც აღდგომით გაანადგურა ბჭობა წარმართთა, პილატესი, მხედრებისა და ყველა იმათი, რომელთაც კი მონაწილეობა მიიღეს ჯვარზე გაკვრაში და გააქარწყლა თათბირი მთავართა, მღვდელმთავართა, მწიგნობართა და ხალხის მეფეთა, რამდენადაც, აღდგომის წყალობით, ყველა მათი ჩანაფიქრი გააცამტვერა.

წმიდა წერილის ყოველ მონათხრობში, წაიკითხავ რა იმის თაობაზე, თუ რა დამართა ღმერთმა ურწმუნო წარმართებს, აღმოაჩენ რომ წინასწარმეტყველის სიტყვებს მატერიალური გაგებითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. როცა ისრაელში იორამი, აქაბის ძე მეფობდა, სირიის მეფემ, ადერის ძემ, ამხედრდა რა მასზე დიდი ძალითა და მძიმე ხელით, ალყა შემოარტყა სამარიას, ასე რომ მცხოვრებთ გაუგონარი გასაჭირი დაადგათ. **ეპოებოდა თავი ვირისა ერგასის სასწორის ვერცხლისა და ოთხი კაბიწი და ნაედომი ტრედისა ხუთის სასწორისა ვეცხლისა**(IVმეფ.6,25). ამ დროს, რათა აღსრულებულიყო აღთქმა ელისესი, ასირიელთა თათბირნი გაცამტვერდა, რის შედეგადაც მიატოვეს რა თავიანთი კარვები და მთელი ავლა-დიდება, რაც თან ჰქონდათ, გაიქცნენ. ამის წყალობით, სამარიაში ისეთი სიუხვე შეიქმნა, **რომ იყო გრივი ერთი სამინდოსა და სასწორის ერთისა და ორნივ ქრთილისა სასწორის ერთისა, მსგავსად სიტყჳსა მის უფლისა**(IVმეფ.7,16). ასე იცის ღმერთმა განადგურება წარმართთა ზრახვებისა! ხოლო იმის თაობაზე, თუ როგორ გააქარწყლა ბჭობა მთავართა, ახიტოფელზე მოთხრობილი ამბიდან ვიგებთ. როცა დავითი ლოცულობდა, ითხოვა: **განაქარვენ ზრახვა იგი ახიტოფელისი**(IIმეფ.15,31). ამიტომ რაჟამს შეიტყობ, რომ ვინმე დიდად გემუქრება და გპირდება, რომ ყოველგვარ ბოროტებას მოგაყ-

ენებს, ან დაგაზარალებს, ან დაგჭრის, ან კიდევ მოგკლავს, მზერა უფლისაკენ წარმართე, რომელმაც **განაქარვის ზრახვანი წარმართთანი და შეურაცხყვნის გულის სიტყუანი ერთანი**.

7. **ხოლო ზრახვაჲ უფლისაჲ უკუნისამდე ჰგიეს და გულის სიტყუანი გულისა მისისანი თესლითი-თესლადმდე**(11). ვერ ხედავ, რომ წარმართთა მოძღვრებანი, ეს ამაო ფილოსოფია, მიუხედავად იმისა, რომ დიდად გამჭრიახნი და გულუხვნი არიან სწავლებათა შეთხზვაში, მჭვრეტელობით მეცნიერებებსა და ზნეობრივ მითითებებში, ბუნებისმეტყველებასა და სხვა მსგავს სწავლებაში, რომელიც დაფარულად იწოდება, გაცამტვერდა და უსარგებლო გახდა ახლა, როცა მკვიდრდება ჭეშმარიტება სახარებისა? მრავალი ზრახვაა ადამიანთა გულებში, მაგრამ ზრახვა უფლისა ყველაზე ძლიერია. ჩვენს სულებში რომ ზრახვა უფლისა სამარადისოდ და მტკიცედ დამკვიდრდეს, ჯერ უცილობლად ჩვენში კაცობრივი ზრახვანი უნდა განადგურდეს. ისევე როგორც ის, ვინც ცვილზე ხატვას მოისურვებს, პირველად მოასწორებს მას და მერე გამოსახავს რაც სურს, ასევე გულიც, რომელზეც ღმრთეებრივი სიტყვები მკვეთრად უნდა აღიბეჭდოს, საწინააღმდეგო აზრებისაგან უნდა განიწმინდოს.

სიტყვანი გულისა მისისანი თესლითი თესლადმდე. რადგანაც რჩეული ერი ორია და მათ აღთქმაც ორი მიეცათ, ამიტომ ორგზის მოხსენიებული თესლის გამო, ნათქვამში: **სიტყუანი გულისა მისისანი თესლითი თესლადმდე** ორი ზრახვა უნდა ვიგულისხმოთ: ერთი, რომლითაც პირველი აღთქმა მივიღეთ, და მეორე – რომლითაც ჩვენ ქრისტეს ახალი და მხსნელი სწავლება მოგვემადლა.

ნეტარ არს ნათესავი, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი, ერი, რომელ გამოირჩია სამკჳდრებელად თჳსა(12). არავინ ჩათვლის ნეტარად იუდეველთა ერს, არამედ ხალხს, რომელიც უპირატესად ყველა სხვა ერისგანაა ამორჩეული, რადგანაც ჩვენ ვართ ნათესავი (ტომი), ვისთვისაც უფალი ღმერთია, ჩვენ ვართ ერი, **რომელ გამოირჩია სამკჳდრებელად თჳსა**; ნათესავი იმდენად, რამდენადაც მრავალი წარმართისაგან შევიკრიბეთ, ხოლო ერი, რამდენადაც ნაცვლად გაკიცხული ერისა ვართ მოწოდებული. ხოლო რადგანაც **მრავალ არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ**(მთ.20,26), ნეტარებას მიანიჭებს არა ჩინებულთ, არამედ რჩეულებს. ნეტარ არს,... რომელ გამოირჩია, და რა არის მიზეზი ნეტარებისა? – მემკვიდრეობა მარადიულ სიკეთეთა, რომელიც მოგველის, ან, როგორც მოციქული ამბობს, რადგან, **ვიდრემდე სავსებაჲ იგი წარმართთაჲ შემოჴდეს, ესრეთ ყოველი ისრაელი ცხონდეს**(რომ.11,25-26), პირველად ნეტარებას წარმართებს ხომ არ მიანიჭებს, ხოლო შემდეგ, ბოლოსდაბოლოს გადარჩენილ ისრაელიანებსაც? მაგრამ, როგორც ვიცით, გადარჩება არა ყველა, არამედ ნეშტი, ანუ ის, ვისაც მადლი ამოარჩევს. ამიტომაცაა ნათქვამი: **ერი, რომელ გამოირჩია სამკჳდრებელად თვისა.**

8. **ზეცით მოხედნა უფალმან და იხილნა ყოველნი ძენი კაცთანი. განმზადებულით სამკჳდრებელით თჳსით მოხედნა**(13-14). იმათ, რომელნიც საკუთარ ღირსე-

ბას ინარჩუნებენ და იმ მოვალეობებს აღასრულებენ, რომელიც ადამიანურ ბუნებას შეეფერება, უფალი ზემოდან მზრუნველობს, ხოლო მათ, რომელთაც უკიდურეს ბოროტებას მიაღწიეს, თვალყურს სხვაგვარად ადევნებს, კერძოდ, მათთან ჩამოსვლით, რადგანაც ნათქვამია: **ღაღადებაჲ სოდომთა და გომორთა განმრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად. გარდავიდე უკუე, ვიხილო უკეთუ ღაღადებისაებრ მათისა მომავლისა იქცევიან, და, უკეთუ არა, რაჲთა ვცნა**(დაბ.18,20-21), და კიდევ: და **გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდლისა, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა**(დაბ.11,5). აქ კი ნათქვამია: **ზეცით მოხედნა უფალმან და იხილნა ძენი კაცთანი.** მხედველობიდან ნუ გამოგრჩება ეს უზენაესი მაყურებელი, გახსოვდეს ის, ვინც კაცობრივ საქმეებს ზემოდან უყურებს. სადაც არ უნდა მიდიოდე და რასაც არ უნდა აკეთებდე, თუნდაც ბნელსა და თუნდაც დღის სინათლესა შინა, უფლის თვალი მუდამ გიყურებს.

განმზადებულით სამკჳდრებელით თჳსით მოხედნა. არცა ბჭენი გაიღება და არც ფარდები აიკრიფება. სამკვიდრებელი უფლისა ისედაც მზადაა, სახილველად. ღმერთი ყოველთა ძეთა კაცთასა ხედავს და მის მზერას ვერავინ გაექცევა; ვერ დაგვფარავს ვერც წყვდიადი და ვერც კედლები, უფლის თვალებს წინ ვერაფერი აღუდგება. ის არა თუ ყოველ ჩვენგანს ხედავს, არამედ ხედავს გულებსაც, რომელიც თვითონვე ისე შექმნა, რომ ის, რაც ცუდია, არ შეურევია. ადამიანთა დამბადებელმა ღმერთმა, ვინც გულებს გადაარჩენს, იგი მარტივად შექმნა, **მსგავსად თავისი ხატისა**. ეს ჩვენ შევქმენით შემდეგ მისგან ხორციელი ვნებებით ხლართებში გაბმული და მრავალსახოვანი გული, გავანადგურეთ რა მისი მსგავსება ღმერთთან, სიმარტივე და ერთსახოვნება.

რადგანაც იგი გულთა შემოქმედია, ამიტომაც **გულისხმა-ყვნის ყოველნი საქმენი ჩვენნი**(15), საქმეს კი სიტყვებს, აზრებსა და საერთოდ ადამიანის ყოველგვარ მოძრაობას ვუწოდებთ. როგორი განწყობილებით და განზრახვით ვაკეთებთ რამეს – ადამიანთა გულების მოსაგებად, თუ აღსასრულებლად ღმრთისგან მოცემული მცნებებისა, რამდენადაც ეს მხოლოდ მან იცის, რომელიც ყველა საქმეს გულისხმაყოფს, ამდენად ისევე, როგორც პასუხს ვაგებთ ყველა უქმი სიტყვისა გამო(მთ.12,26), ასევე, არც საზღაურს დავკარგავთ თვით ერთი ჭიქა ცივი წყლისთვისაც კი(მთ.10,42).

9. **არა ცხონდების მეფე მრავლითა ძალითა თჳსითა**(16). ვერც სიჭარბე საომარი ძალისა, ვერც კედლები ქალაქისა, ვერც ფეხოსანი რაზმები, ვერც სიმტკიცე მხედრებისა, ვერც საზღვაო ძალთა აღჭურვილობა ვერ იხსნის მეფეს, რადგანაც უფალი **ამხობს და აღაზევებს მეფეებს**(დან.2,21) და **არა არს ჴელმწიფებაჲ გარნა ღმრთისაგან**(რომ.13,1). ამიტომაც მეფეს იხსნის არა სიმრავლე ძალისა, არამედ მადლი ღმრთისა. ასე რომ, ამ მიმართებითაც მართალია სიტყვა: **მადლითა ხართ თქუენ გამოჴსნილ**(ეფ.2,5). ასევე მიწათმოქმედიც, იგი იმდენად არა თავისი თავდადებული გარჯით მოიწევს მიწათმოქმედების ნაყოფს, რამდენადაც შემწეობით ღმრთისა, რომელიც მის ნათესს ზრდის,

რამეთუ არცა დამსხმელი რაჲ არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი(Iკორ.3,7). **უკეთუ გულნი მეფისანი – ჴელთა შინა ღმრთისათა**(იგავ.21,1), იგი გადარჩება არა ძალით იარაღისა, არამედ წინამძღოლობით ღმრთისა; მაგრამ ღმრთის ხელშია არა ყოველი, არამედ ის, ვინც ღირსია მეფის სახელისა. ზოგიერთის განსაზღვრებით კი, სამეფო ხელისუფლება კანონიერი მმართველობაა, ან კიდევ მეუფება ყველაზე და ცოდვას არ ექვემდებარება.

და გმირი არა განერეს სიმრავლითა ძალითა მისისაჲთა(16). წინასწარმეტყველი გმირს უწოდებს მას, ვინც ბუნებრივ ძალას და სხეულის მოქნილობას იყენებს. რამდენადაც იარაღის შემწეობა არც მეფის ხსნისთვისაა საკმარისი, არც მამაცს შეუძლია ყველაფერში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს, რადგანაც ყველა კაცობრივი ძალა, ერთად აღებულიც კი, ჭეშმარიტ ძალასთან შედარებით სუსტი და უძლურია, ამიტომაც **უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხვნოს ძლიერთა**(Iკორ.1,27); და **პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ მტერთა შენთათვის, რაჲთამცა დაიხსნა მტერი იგი და შურისმგებელი**(ფს.8,2), რადგანაც ღმრთეებრივი მადლი ყრმათა და გონებით არამაღალთა შორის მოქმედებისას გამობრწყინდა.

ტყუინ ცხენი განრინებად და დიდითა ძალითა თჳსითა არა განერეს(17), ცხენს წმინდანები არ იყენებენ და, როგორც ჩანს, მისი კეთილდღეობის ჟამს ცხენების ძალას ომებში არც ისრაელი იყენებდა; არცერთ წმინდანს არ მიუჩნევია ცხენების ყოლა შესაფერისად, მაგრამ ფარაონს ცხენები ჰყავდა, ხოლო ქედმაღალ სენაქერიმს ცხენთა სიმრავლით თავიც კი მოჰქონდა; ამიტომაც **ცხენები და მხედრები ფარაონისა შთასთხია ზღუასა**(გამს.15,1), ხოლო სენაქერიმთან **ჰრულოოდა მათ, რომელნი ზესხდეს ჰუნებსა** (ფს.75,7). მოსეს პირით გადმოცემული სჯული ამავე მიზეზით უბრძანებს მეფეებს, არ იყოლიონ ბევრი ცხენი(IIსჯ.16,17).

და დიდითა ძალითა თჳსითა არა განერნეს(17). მოციქული ამბობს: **რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები**(IIკორ.12,10), რამეთუ სიდიდე სხეულებრივი ძალისა დაბრკოლებაა სულის ხსნისათვის.

10. **აჰა ესერა თუალნი უფლისანი მოშიშთა მისთა ზედა**(18); **სხვაგან ნათქვამია: თუალნი უფლისანი მართალთა ზედა**(ფს.33,16), აქ კი – **მოშიშთა მისთა ზედა**. რაჟამს ჩვენ მზერას უფალს მივაპყრობთ და თვალნი ჩვენნი მისკენაა მიქცეული, ისე რომ შეგვიძლია ვთქვათ: **აჰა, ესერა, ვითარცა თუალნი მონათანი ხელთა მიმართ უფალთა მათთაჲსა, ეგრეცა თუალნი ჩუენნი უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა**(ფს.122,2), მაშინ ჩვენ თითქოსდა ვიზიდავთ უფლის თვალს, რათა მოგვხედოს.

რომელნი ესვენ წყალობასა მისსა(18). წინასწარმეტყველი გვაჩვენებს უფლის მსახურთა მორჩილებას და იმას, თუ როგორი იმედი აქვთ მათ მისი წყალობისა, ხოლო ის, ვისაც არც თავისი სათნოებისა სჯერა და არც იმისა, რომ საქმეებით განმართლდება, ხსნის იმედს მხოლოდ ღმრთის მოწყალებაზე

ამყარებს. რადგანაც როცა გაიაზრებს სიტყვებს: **აჰა ღმერთი და სასყიდელი მისი**(ეს.41,10), რომელიც გვამცნობს, რომ თითოეულს იმდენი მიეზღვება, რამდენიც ღირს საქმე მისი და როცა თავის ბოროტ საქმეებს აღრიცხავს, ეშინია სასჯელისა, მუქარის წინაშე ცახცახს იწყებს და მწუხარებამ რომ არ შთანთქას, თვალს ღმრთის წყალობასა და მის კაცთმოყვარეობას მიაპყრობს და კეთილი იმედიც უჩნდება; სჯერა რომ ღმერთი **იხსნის სიკუდილისაგან სულსა მისსა და გამოზრდის მას სიყმილსა**(19).

ხოლო სულმან ჩემმან დაუთმენ უფალსა, რამეთუ მწე და მფარველ არს იგი ჩუენდა(20). ეს სიტყვები მოთმინებისაკენ მოგვიწოდებს, რათა, რაჟამს თავს შეურაცხმყოფელი დაგვესხმება, არ განვშორდეთ **სიყვარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესოჲს მიერ**(რომ.8,39), არამედ ჯაფა მთელი სულით დავითმინოთ და შემწეობას ღმრთისგან დაველოდოთ.

რამეთუ მისსა მიმართ იხარებდეს გული ჩუენი და სახელსა წმიდასა მისსა ვესვიდით(21). ეს სიტყვები ფსალმუნის დასაწყისში ნათქვამს, – **იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ,** – ეთანხმება; აქ კი ამბობს: **მისა მიმართ იხარებდეს გული ჩვენი.** ვფიქრობ, რომ ამავე აზრით თქვა მოციქულმა: **ამას ყოველსა ზედა ვსძლევთ ჩვენ, მის მიერ რომელმანცა – იგი შემიყუარნა ჩუენ**(რომ.8,37) და არა მხოლოდ ვსძლევთ, არამედ **ვიქადითცა ჭირთა შინა**(რომ.5,3). ფსალმუნთა მგალობელმა კი თქვა: **სულმან ჩემმან დაუთმენ უფალსა**, რათა ეჩვენებინა, რომ მოთმინებას ძალდატანებითა და მწუხარებათა ჩახშობით კი არ ამჟღავნებს, არამედ ღმრთის სახელისთვის ყოველგვარ სიავეს დიდი სიხარულით იღებს; ამასთან ამბობს, რომ არა მხოლოდ ვითმენთ, არამედ **მისსა მიმართ იხარებდეს გული ჩვენი და სახელსა წმიდასა მისსა ვესვიდით.**

ჩვენთვის საკმარისია, რომ ქრისტიანები გვქვია, რათა გავექცეთ მტრისგან დაგებულ ყოველგვარ საცდურს. სახელი ღმრთისა წმიდად იწოდება, რა თქმა უნდა, არა იმისათვის, რომ თვით მარცვლებსაც კი რაღაც განმწმენდი ძალა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ღმრთის ყველა თვისება და ყველა გაგება იმისა, რაც ღმერთში უპირატესად განიჭვრიტება, წმიდაა და უბიწო.

იყავნ, უფალო, წყალობაჲ შენი ჩუენ ზედა, ვითარცა ჩუენ გესავთ შენ(22). ხედავ, როგორ გონივრულად ლოცულობს წინასწარმეტყველი? მან თავისი საკუთარი მდგომარეობა ღმრთის მოწყალებათა სიუხვის საზომად აქცია. მიმართავს: წყალობა შენი ჩვენ ზედა იმგვარი იყოს, როგორ იმედსაც შენზე წინასწარ ვამყარებდით, მაგრამ ყველა ჩვენი იმედი განსასვენებლად მიიქცევა, როცა ის(ღმერთი) **ხორცთა ესე სიმდაბლისა ჩვენისათა შეცვლის.** გულისხმავყოთ, რომ მაშინ სწორედ ეს სხეული გარდაიქცევა შესაფერისად **ჴორცთა მათ დიდებისა**(ფილპ.3,21).

საუბარი 33-ე ფსალმუნზე

1. **ფსალმუნი დავითისი, რაჟამს-იგი იცვალა პირი თჳსი წინაშე აბიმელექისა და განუტევა იგი და წარვიდა**(1). ამ ფსალმუნის გააზრებას ორ ვარაუდამდე მივყავართ. როგორც ჩანს, მის ეპიგრაფს შეეფერება ისიც, რაც დავითს თავს გარდახდა ნობაში, მღვდელთა ქალაქში და ისიც, რაც მას გეთაში, ანქუშთან, ფილისტიმელების მეფესთან შეემთხვა; **მან იცვალა პირი თჳსი** მღვდელ აბიმელექთან საუბრისას, როცა დამალა, რომ ლტოლვილი იყო. ისეთი სახე მიიღო, თითქოს მეფის ბრძანების შესასრულებლად მიიჩქაროდა და წინადაგებული პური და გოლიათის მახვილი აიღო(Iმეფ.21,1-9). მან იცვალა პირი თვისი, აგრეთვე, მტრის შუაგულში მოქცეულმაც, როცა გაიგონა, რას ლაპარაკობდნენ ისინი ერთმანეთში და როგორ ემზადებოდნენ შურის საძიებლად, რადგანაც ნათქვამია: **ჰრქუეს ანქუშს მონათა მათ მისთა: არა ესე არს დავით მეფე იგი ქუეყანისა? არა მას გამოეგებვოდეს მაქებელნი იგი, რომელ იტყოდეს: საულ დასცა ათასები, ხოლო დავით დასცა ბევრეულნი?**(Iმეფ.21,11). და აქვე ნათქვამია, რომ შეეშინდა დავითს ფრიად ანქუშისა და **იცვალა პირი თჳსი** მათ წინაშე(Iმეფ.21,11-13). მაგრამ რატომ ასახელებს ეპიგრაფი აბიმელექს მაშინ, როცა ისტორია გადმოგვცემს ანქუშის სახელს, გეთელთა მეფისა? ამის თაობაზე ჩვენამდე მოღწეული ასეთი განმარტება მოგვეპოვება: აბიმელექი ფილისტიმელთა მეფეების საერთო სახელი იყო, თუმცა თითოეულს თავისი საკუთარი სახელიც ჰქონდა. მსგავსი რამ შეიმჩნევა რომის სახელმწიფოშიც, სადაც მეფეებს კეისრები და ავგუსტუსები ეწოდებათ, მაგრამ ამავე დროს საკუთარ სახელებსაც ინარჩუნებენ. იმავე მნიშვნელობისაა ეგვიპტელებთან სახელი „ფარაონი“, რადგანაც ეგვიპტელთა მეფეს ფარაონი ერქვა იოსების დროსაც და ფარაონი ეწოდებოდა იმასაც, ვინც ოთხი თაობის შემდეგ გახდა მეფე ეგვიპტისა. ფარაონი იყო, აგრეთვე, სოლომონის მეფობის პერიოდში, რადგანაც ნათქვამია: დაუმოყვრდა სოლომონი ფარაონს და **მოითხოვა ასული იგი მისი**(3მეფ.3,1). ფარაონად იხსენიება ეგვიპტის მეფე იმ დროსაც, როცა იერემია წინასწარმეტყველებდა. ასევე, აბიმელექი აბრაამის დროსაც იყო და ისააკის დროსაც და აქაც, დავითის დროსაცაა მოხსენიებული. აბრაამზე ნათქვამია რომ: **მას ჟამსა ოდენ მიუგო აბიმელექ და ოქოზათ; ეზოჲსმოძღუარმან და ფიქოლ, ერისთავმან ერისა მისისამან, აბრაჰამს და ჰრქუა**(დაბ.21,22). და კვლავ ისააკზეც: **და იყო იგი მუნ მრავალჟამ და შთახედა აბიმელექ მეფემან გერარელთამან სარკუმლით და იხილა ისაკ, იმღერდა რებეკაჲს თანა, ცოლისა თვისისა**(დაბ.26,8). ასევე აქაც, ეპიგრაფში, დავითის დროს აბიმელექი **ვითარცა საერთო სამეფო სახელი, ისე იხსენიება**. ისტორია კი მის საკუთარ სახელს – ანქუშს გადმოგვცემს, რომელიც მას დაბადებისთანავე დაარქვეს. სწორედ მის წინაშე **იცვალა პირი თვისი დავითმა**, როცა მსახურებმა ხელით მიიყვანეს, იგი კი ქალაქის კარიბჭეზე აკაკუნებდა და როგორც ნათქვამია „დორბლი

წვერებზე ჩამოდიოდა“. ასე რომ ანქუშმა მსახურებს უთხრა: რატომ მოიყვანეთ იგი ჩემთან? შეშლილებიღა მაკლდნენ, რომ მოგიყვანიათ და გიჟობს ჩემ წინაშე(Iმეფ.21,13-14). ამ გზით დაიხსნა დავითმა მათგან თავი და ოდოლონის გამოქვაბულს შეეფარა; დიდი საფრთხისაგან თავდაღწეული ამიტომაც აღუვლენს იგი მის მხსნელ ღმერთს სამადლობელს და ამბობს: **ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა**(2). გაექცა რა სიკვდილს, მან თითქოს თავის თავს ცხოვრების წესდება დაუდგინა, განაწყო რა სული მკაცრად განსაზღვრული მოღვაწეობისათვის, რათა დროის არცერთი წუთი არ დაეტოვებინა კურთხევის გარეშე და ყოველი საქმის წამოწყებისას, დიდი იქნებოდა ის თუ მცირე, ღმრთისათვის მიემართა. არასოდეს ვიფიქრებ, ამბობს იგი, რომ თითქოს ჩემი მოღვაწეობის შედეგად ხდებოდეს რაიმე, ან კიდევ შემთხვევითი მოვლენების წყალობით, არამედ **ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა,** როგორც კეთილდღეობის, ასევე ცხოვრებისეული უბედურების დროსაც. ამით განსწავლული მოციქული კი გვეუბნება: **მარადის გიხაროდენ, მოუკლებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით**(Iთეს.5,16-18). ხედავ, დავითს რა დიდი სიყვარული ჰქონია ღმრთისა? განუწყვეტლივ თავდატეხილმა უბედურებებმა ვერ შეუსუსტეს ღონე თმენისა, არა მხოლოდ მაშინ, როცა სამშობლოდან, ნათესავებისა და შინაურებისგანაც დევნილი და ქონებაჩამორთმეული იყო, არამედ მაშინაც, როცა ცოტა დააკლდათ, ნაწილ-ნაწილ არ დაგლიჯეს მტრებმა, რაჟამს იძულებული გახდა მათ მხარეზე გადასულიყო. არცერთი ამ გასაჭირისათვის ყურადღება არ მიუქცევია და არ უთქვამს: როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს უბედურებანიო; მოუთმენლობა არ დატყობია მუდმივ ჭირთა გამო, რადგანაც უწყოდა, რომ **ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ – გამოცდილებასა, და გამოცდილებაჲ – სასოებასა**(რომ.5,3-4). სინამდვილეში ჭირი იმისთვის, ვინც კარგადაა მომზადებული, როგორც ფიქრობენ, განმამტკიცებელი საკვები და წვრთნაა იმ ბრძოლაში, რომელიც მოღვაწეს მამის დიდებას აახლოებს, და რომლის დროსაც **მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ, მგმობართა ჩუენთა ულოცავთ**(Iკორ.4,12-13), დამაშვრალნი ვმადლობთ და მწუხარენი მწუხარებით თავს განვიდიდებთ, რადგანაც სირცხვილია, ვაკურთხოთ მაშინ, როცა ბედნიერნი ვართ და ვდუმდეთ, როცა გვიჭირს, ან კიდევ დიდი ჯაფა გვადგას. პირიქით, ამ დროს უფრო უნდა ვმადლობდეთ, რადგანაც ვიცით, რომ **რომელ უყუარნ უფალსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის**(ებრ.12,6).

მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა(1). წინასწარმეტყველი თითქოს შეუძლებელის დაპირებას იძლევა, რადგან როგორ შეიძლება კაცს მუდმივად ჰქონდეს პირზე ღმრთის ქება? როცა იგი ჩვეულებრივსა და ცხოვრებისეულ საუბარშია ჩართული, განა პირზე ღმრთის ქება ექნება? ხოლო რაჟამს სძინავს, საერთოდ დუმს; ან კიდევ, როგორღა წარმოთქვამს პირით ქებას მაშინ, როცა ჭამსა და სვამს? ამის თაობაზე ვიტყვით, რომ ადამიანის შიგნით რაღაც **სულიერი პირიც** არსებობს, რომლითაც იგი იკვებება, **იღებს რა სიტყვას სიცოცხლისა,**

ანუ პურს, რომელი გარდამოჴდა ზეცით(ინ.6,33). სწორედ ამ პირზე ამბობს წინასწარმეტყველი: **პირი ჩემი აღვაღე და მოვიღე სული**(ფს.118,131) და ამ პირს გულისხმობს უფალი, როცა მოგვიწოდებს, რომ ფართო გვქონდეს იგი, რათა საზრდელი ჭეშმარიტებისა უხვად მივიღოთ; ნათქვამია: **განავრცე პირი შენი და აღვავსო ეგე**(ფს.80,11).

ამიტომ შესაძლებელია, რომ სულის გონიერ ძალაში ერთხელ აღბეჭდილსა და თითქოსდა ბეჭდით დამტკიცებულ აზრს ღმერთზე, რომელიც სულში მუდმივად არსებობს, ღმრთის ქება ეწოდოს. გულმოდგინეს, მოციქულის რჩევის მიხედვით, შეუძლია ყოველივე, რასაც აკეთებს, სადიდებლად ღმრთისა აკეთოს ასე რომ, ყველა მისი საქციელი, ყველა სიტყვა და ყოველგვარი გონივრული წვრთნა ქების ძალას იძენს. მართალი **გინა თუ შჭამდეს, გინა თუ სუმიდეს, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმს**(Iკორ.10,31). ამგვარის გულს ძილშიაც ღვიძავს, როგორც ეს **ქებაჲ ქებათაშია** ნათქვამი: **მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს**(ქებ.5,2), რადგანაც ხშირად ძილისმიერი ოცნებანი გამოძახილია იმ აზრებისა, რომლითაც დღისით ვართ შეპყრობილნი.

2. **უფლისა მიერ იქოს სული ჩემი**(2). წინასწარმეტყველი ამბობს: ნურავინ შეაქებს ჩემს მოსაზრებულობას, რომლითაც საფრთხისაგან თავი დავიხსენი; ხსნა არც ადამიანურ ძალაშია და არც კაცობრივ სიბრძნეში, არამედ ღმრთის წყალობაში, რადგანაც ნათქვამია: **ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თჳსისა, და ნუ იქადინ ძლიერი ძლიერებისა მიერ თჳსისა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრესა ზედა თჳსსა, არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული გულისხმისყოფასა და ცნობასა უფლისა ღმრთისა მისისა**(იერ.9,23-24). ნახე, მოციქული როგორ აქებს თანამოღვაწეს ქადაგების საქმეში, რომელზეც ამბობს, რომ იგი არის მისი **თანამონა და მსახური უფლისა მიერ**(კოლ.4,7). უკეთუ ვინმეს თავი სხეულის სილამაზით, ან ცნობილი გვარით მოაქვს, უფლისა მიერ არ იქება სული მისი, არამედ ყოველი მათგანი ამაოებასაა მიცემული. ჭეშმარიტ ქებას არ იმსახურებს, აგრეთვე, საშუალო ხელობანი და მათი მიმდევარნი: მესაჭენი, მკურნალნი, ორატორები და მშენებლები, რომელნიც ქალაქებს, პირამიდებს, ლაბირინთებს, ან კიდევ ძვირად ღირებულ ბრწყინვალე და ვეება შენობებს აგებენ. მათ, რომელნიც თავს ამით იქებენ, როდი ფიქრობენ, რომ უფალშია მათი სული. სანაცვლოდ ყველა ამ პატივისა, ჩვენთვის საკმარისია ამგვარი მეუფის მონებად ვიწოდებოდეთ. განა მეფის მონა არ იქებს თავს, როცა მას მსახურების ამა თუ იმ ხარისხში დაადგენენ? ნუთუ ის, ვინც ღმრთის სამსახურის ღირსი გახდა, ქების მიღებას სხვა მხრიდან ფიქრობს, ისე, თითქოსდა დიდებისა და სახელის სრულყოფისათვის საკმარისი არ იყოს, რომ **უფლისა ეწოდებაჲ**, რაც ყველა დიდებასა და ცოდნას აღემატება. ამგვარად, **უფლისა მიერ იქოს სული ჩემი**.

ესმოდის მშვიდთა და იხარებდენ(2). რამდენადაც, ამბობს, ღმრთის შემწეობით, მხოლოდ შეცვლით სახისა, უბრძოლველად მოტყუვდნენ მტრები და ჩემი ხსნაც

აღსრულდა, **ესმოდის მშვიდთა**, რომ შესაძლებელია მშვიდად მცხოვრებთაც აღმართონ ძეგლი გამარჯვებისა და გამარჯვებულნი ისინიც აღმოჩნდნენ, რომელნიც, თუმცა არ იბრძვიან, მაგრამ **იხარებდენ**, განამტკიცებენ რა სიმშვიდეს ჩემი მაგალითით. ეს მადლი ღმრთისგან იმიტომ მივიღე, რომ სიმშვიდე მქონდა. **მოიხსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშვიდე მისი**(ფს.131,1). რადგანაც სიმშვიდე სათნოებათა შორის უდიდესია, ამიტომაც იხსენიება იგი ერთ-ერთ ნეტარებად; ნათქვამია: **ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ**(მთ.5,5). ხოლო ეს ქვეყანა ზეციური იერუსალიმია, რომელიც არა ბრძოლის შედეგად მოპოვებული ნადავლია, არამედ მემკვიდრეობით ერგება სულგრძელებსა და მშვიდებს. სიტყვები – **ესმოდეს მშვიდთა**, იმავეს ნიშნავს, რასაც სიტყვები – „დაე, ისმინონ ქრისტეს მოწაფეთა“. შეიძლება დავითს წინასწარმეტყველებით სურდა ჩვენამდეც მოსულიყო სასწაული ღმრთის წყალობისა, რომელიც მას გამოუჩნდა და იმათაც მოესმინათ, რომელნიც ქრისტეს მოწაფენი მრავალი თაობის შემდეგ გახდებოდნენ, რადგანაც მშვიდნი უწოდა მათ, რომელთაც უფალი ეუბნებოდა: **ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა**(მთ.11,29). ვინც თავის ზნეს დაიმორჩილებს და ყველა ვნებისაგან განთავისუფლდება, ვის სულშიც არავითარი სახის ამბოხი არ მკვიდრობს, მას მშვიდი ეწოდება. ამიტომაცაა დამოწმებული მოსეს შესახებ, რომ იგი იყო **მშვიდ უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა**(რიცხ.12,3).

3. **განადიდეთ უფალი ჩემ თანა**(3). წინასწარმეტყველი მისთვის შესაფერის გუნდს კრებს სადიდებლად ღმრთისა: ნურც ამბოხებული, ნურც შეშფოთებული და ნურც ხორციელი ვნებებისაგან აღგზნებული ნუ შემომიერთდებით მე, არამედ თქვენ, მშვიდნო, რომელთაც მოიპოვეთ სიმტკიცე და ურყეობა სულისა, დათმეთ რა სიზარმაცე და ძილისგუდობა თქვენი მოვალეობის აღსრულებისას, თქვენ ადიდეთ უფალი ჩემთან ერთად. ადიდებს კი უფალს ის, ვინც ღმრთისმოსაობისათვის დიდი გონებით, მტკიცე და მაღალი სულით ცდუნებას უძლებს და შემდეგ, ის, ვინც, მაღალი განსჯისა და უღრმეს ჭვრეტათა შედეგად, ქმნილების სიდიადეს განიხილავს, რათა ქმნილებათა სიდიადითა და მშვენიერებით მათი შემოქმედი განჭვრიტოს(სიბრ.სოლ.13,5). რადგანაც, რაც უფრო ჩაუღრმავდება კანონებს, რომლითაც დაბადებულნი წარმოიშვნენ და რომლითაც ისინი იმართებიან, მით უფრო ნათლად იხილავს დიდმშვენიერებას უფლისა და თავისი ძალის შესაბამისად განადიდებს მას. რამდენადაც ერთი გონება და მცდელობა ერთი კაცისა სრულიადაც არაა საკმარისი ღმრთის სიდიადის გულისხმისსაყოფად, ამიტომ წინასწარმეტყველი, ამ საქმის ერთად აღსრულებისათვის ყველას, ვინც მშვიდია, უხმობს. ამისათვის საჭიროა, განვთავისუფლდეთ გარეშე შფოთვათაგან, გულის დაფარულ სათათბიროში სრული დუმილი დავამყაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ ჭვრეტას ჭეშმარიტებისა. მოუსმინე, რას ამბობს ის, ვინც ცოდვას აღიარებს: **განრისხდა გულისწყრომითა თუალი ჩემი**(ფს.6,7). სულის თვალს არა მხოლოდ გულისწყრომა, ნდომა, სიმხდალე და შური ამღვრევს, არ-

ამედ სულიერ მჭვრეტელობას ყველა ვნება აბნევს და აბნელებს. ისევე, როგორც შეუძლებელია დაბინდული თვალით ზუსტად აღქმა ხილული საგნისა, ასევე ვერც დაბინდული გულით შევძლებთ შეცნობას ჭეშმარიტებისა. ამიტომაცაა საჭირო განშორება სოფლის საქმეთაგან; არცა თვალებით, არცა ყურებითა და არცა სხვა რომელიმე შეგრძნების ორგანოთი სულში გარეშე ზრახვანი არ უნდა შემოვუშვათ, რადგანაც ხორციელი, ცრუ სიბრძნით გამართული ბრძოლები გულს დაუწყნარებელი შფოთითა და მოურიგებელი უთანხმოებებით აღავსებენ.

გამოვიძიე უფალი და ისმინა ჩემი(4). წინასწარმეტყველი ამბობს: მოისმინონ ეს მშვიდთა, რომ მე იმ მძიმე დროსაც კი, როცა რისხვა გულღვარძლიანთა აღიძრა ჩემზე, და ყველა ხელმა ჩემ წინააღმდეგ აიღო იარაღი, ხოლო მე, დაუცველი და უიარაღო, მზად ვიყავი მიმეღო მტრის ყველა დარტყმა, ამ დროსაც კი არ შევშფოთებულვარ შიშისმიერი ზრახვებით, არ დავუტოვებივარ ფიქრს ღმერთზე და არ წარმიკვეთია სასო ჩემი გადარჩენისა, არამედ უფალი გამოვიძიე. ამასთან, ვეძიებდი არა მხოლოდ უბრალო და წარმავალი იმედით უფლისა, არამედ **გამოვიძიე**, რამეთუ გამოთქმა **გამოძიება** უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე **ძებნა**, ისევე, როგორც **გამოცდა** მეტია **ცდაზე**. რადგანაც **განილინეს გამოძიებასა გამოსაძიებელისასა**(ფს.63,7), ამიტომაც სიტყვით **გამოძიება** ფსალმუნმა რაღაც ღრმა სიმშვიდე და უშფოთველობა გამოხატა.

4. **და ყოველთა ჭირთა ჩემთაგან მიხსნა მე**(4). მთელი ცხოვრება მართლისა ჭირით აღსავსეა. ეს გზა ვიწროა და მწუხარე. მართალთა ზედა ჭირი მრავალია. ამიტომაც ამბობს მოციქული: **ყოველთა შინა ვიჭირვით**(2კორ.4,8) **და მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა**(საქმ.14,22). თუმცა ღმერთი თავის წმინდანებს ჭირისაგან იხსნის, მაგრამ არა გამოცდის გარეშე, რომლის დროსაც მათ მოთმინებით აჯილდოებს, რადგანაც **უკეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ – გამოცდილებასა**(რომ.5,3-4), მაშინ ვინც ჭირს გაურბის, ის თავის თავს გამოცდილებას ართმევს. ისევე როგორც ვერავინ შეიმკობს თავს გვირგვინით, თუკი მეტოქე არა ჰყავს, ასევე, ვერც გამოცდილი იქნება, უკეთუ ჭირი არ დაითმინა. ამიტომაც სიტყვები: **ყოველთა ჭირთა ჩემთაგან მიხსნა მე**, იმას კი არ ნიშნავს, რომ ჭირსა შინა აღარ ამყოფა, არამედ მიანიჭა **განსაცდელსა თანა გამოყვანებაჲცა, რაჲთა შეუძლოთ დათმენად**(Iკორ.10,13).

მოვედით მისა და განათლდით და პირსა თქუენსა არა ჰრცხუენეს(5). რომელნიც ბნელსა შინა და სიკვდილის ჩრდილში სხედან, მათ შეაგონებს მოვიდნენ უფალთან და ღმრთეებრივ სხივებს მიუახლოვდნენ, რათა ამ მიახლოების შედეგად ჭეშმარიტებით განათლდნენ და მისი ნათელი, მადლის წყალობით, თავიანთ თავში დაიტიონ, რადგანაც ისევე, როგორც ეს გრძნობადი ნათელიც ყველასათვის როდი ბრწყინავს, არამედ იმათთვის, რომელთაც თვალები აქვთ, მღვიძარებენ და დაუბრკოლებლად შეუძლიათ მზის ამოსვლით დატკბნენ, ასევე **მზე სიმართლისა** (მალაქ. 4,2), **ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს**

ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად(ინ.1,9), ყველას როდი ახარებს ნათელსხივოსნობით, არამედ იმათ, რომელნიც ამას თავიანთი ცხოვრებით იმსახურებენ, რადგანაც ნათქვამია, რომ **ნათელი გამოუბრწყინდა მართალს**(ფს.96,11) და არა ცოდვილს. ისევე როგორც მზე ამოდის, მაგრამ არა ღამურებისა და სხვა ცხოველებისათვის, რომელნიც საკვებისათვის ღამით ნადირობენ, ასევე, თუმცაღა ნათელი თავისი ბუნებით ბრწყინვალეა და სხივოსანი, ყველას როდი შეუძლია მის ბრწყინვას ეზიაროს. მსგავსად ამისა, **ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი**(ინ.3,20).

ამრიგად, **მოვედით მისა და განათლდით და პირსა თქუენსა არა ჰრცხუენეს**. ნეტარია ის, ვინც ღმრთის სამართლიანი სამსჯავროს დღეს, რაჟამს მოვიდეს უფალი, **რომელმანცა განანათლოს დაფარული იგი ბნელისაჲ და განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი**(1კორ.4,5), ამ მამხილებელ ნათელში შესვლას გაბედავს და უკან შეურცხვენელი დაბრუნდება, რადგანაც სინდისი ბოროტ საქმეთაგან წაუბილწველი ექნება; ხოლო ისინი, რომელნიც უკეთურ საქმეებს სჩადიოდნენ, გაკიცხვისა და სირცხვილისათვის აღდგებიან, რათა თავიანთ თავში სისაძაგლე და ჩადენილ ცოდვათა ანაბეჭდი დაინახონ. შეიძლება სიბნელესა და საუკუნო ცეცხლზე საშიში ის სირცხვილი იყოს, რომლითაც ცოდვილნი სამარადისოდ იქნებიან შემოსილნი, მუდამ თვალწინ ექნებათ რა კვალი ცოდვისა, რომელიც ხორცში ყოფნისას ჩაიდინეს და, რომელიც მსგავსად წარუშლელი საღებავისა, სამარადისოდ ჩარჩათ სულის ხსოვნაში. ცოტანი არიან ისინი, რომელთაც შეუძლიათ მიუახლოვდნენ ჭეშმარიტ ნათელს, გაიხსნან და დაფარულთა გამჟღავნების შემდეგ, შეურცხვენელი პირით გამობრუნდნენ.

5. **ამან გლახაკმან ჴმა-ყო და უფალმან ისმინა მისი**(6). სიღატაკე ყოველთვის როდია შესაქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა იგი სახარებისეული მიზნით ნებაყოფლობითაა მიღებული. რადგანაც მრავალნი ღარიბნი არიან შეძლებით, ხოლო ნებით – ანგარებისმოყვარულნი. მათ სიღატაკე ვერ იხსნის, ნება კი – განსჯის. ამიტომაც ნეტარია არა ის, ვინც ღატაკია, არამედ ის, ვინც ამსოფლიურ საგანძურს ქრისტეს მცნებას ამჯობინებს. მათ ხომ თვითონ უფალიც ნეტარს უწოდებს, როცა ამბობს: **ნეტარ არიან გლახაკნი სულითა**(მთ.5,3), ანუ არა ღარიბნი ქონებით, არამედ ისინი, რომელთაც სიღატაკე სულით აირჩიეს. რადგანაც, რაც ნებით არაა, ის ნეტარს ვერ გაგვხდის, ამიტომ ყველა სათნოებას, ხოლო მათ შორის ყველაზე მეტად – სიღატაკეს, ნებაყოფლობა ახასიათებს. ამგვარად, **ამან გლახაკმან ჴმა-ყო**, – ამბობს წინასწარმეტყველი და უშუალოდ წარმართავს შენს აზრს გაღატაკებულისაკენ ღმრთის გულისათვის; მშიერსა, მწყურვალსა და შიშველზე – **ამან გლახაკმანო** – გვეუბნება და ლამის თითით გვაჩვენებს ქრისტეს მოწაფეს. ისიც შესაძლებელია, ეს სიტყვა ქრისტესაც მივაკუთვნოთ. მდიდარია იგი ბუნებით,(რადგანაც რაც მამისაა, ყველაფერი მასაც აქვს), მაგრამ **ჩუენთჳს დაგლახაკნა მდიდარი იგი, რაჲთა ჩვენ**

მისითა მით სიგლახაკითა განვმდიდრდეთ(IIკორ.8,9). ყველა საქმეს, რომელსაც ნეტარებისაკენ მივყავართ, სათავე თვითონ უფალმა დაუდო, მისცა რა მოწაფეებს თვითონვე მაგალითი. უკეთუ ნეტარებებს დაუბრუნდები და თითოეულ მათგანს გამოიკვლევ, აღმოაჩენ, რომ სიტყვიერ სწავლებას უფალი წინ საქმეს უმძღვარებდა.

ნეტარ არიან მშვიდნი. საიდან უნდა ვისწავლოთ სიმშვიდე? ისწავლეთ ჩემგანო, – გვეუბნება უფალი, რამეთუ **მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა**(მთ.11,29). ვინ გვასწავლის ჩვენ მშვიდობის სილამაზეს? თვითონ მშვიდობისმყოფელი, რომელმაც ქმნა მშვიდობა და **ორივე იგი ერთად ახლად კაცად შეარიგა**(ეფ.2,15); **მშვიდობა-ყო სისხლითა მით ჯუარისა მისისაჲთა მის მიერ, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა**(კოლ.1,20). **ნეტარ არიან გლახაკნი.** თვითონ იგი გაღატაკდა, **თავი თვისი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო, ხოლო სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ, და მადლი მადლისა წილ**(ფილპ.2,7; ინ.1,16).

უკეთუ ვინმე, რომელსაც წმინდა და კაცთმოყვარე სული წინამძღვრობს, თავისთავზე კი არ ფიქრობს, არამედ თავს იმდაბლებს, რათა სხვები აამაღლოს, რაღაც დიდ სავედრებელს სულით შეჰღაღადებს და არაფერს არ წარმოთქვამს შეუფერებელსა და მდაბიურს, რომელიც მიწიერისა და ამქვეყნიურის ძებნის გამომხატველი იქნება, მის ღაღადისს უფალი შეისმენს და რა იქნება შედეგი მოსმენისა? ის, რომ დახსნილი იქნება ყოველთა ჭირთაგან, მაგრამ არა თავმოყვარეობის შემლახველი, ძალ-ღონის გამომცლელი და დამმონებელი სიბრძნით ხორცისა.

მაშ, როგორღა დაიხსნება გლახაკი?

დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა და იჴსნნეს იგინი(7). წინასწარმეტყველმა თვითონ განგვიმარტა, ვის უწოდებს გლახაკს, კერძოდ, იმას, ვინც ღვთის მოშიშია. ამიტომაც იგი, ვისაც ეშინია, ჯერ კიდევ მონის ხარისხშია, ხოლო ვინც თავისი თავი სიყვარულში სრულყო, შვილის ღირსებას აღწევს. მონა გლახაკადაც იწოდება, რადგანაც საკუთარი არაფერი აქვს, შვილი კი უკვე მდიდარია, თუნდაც იმით, რომ მამის სიკეთეთა მემკვიდრეა. ამგვარად, **დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა.** ყოველთან, რომელსაც რწმენა აქვს უფლისა, ანგელოზი დაიმკვიდრებს, უკეთუ ჩვენ თვითონვე უკეთური საქმეებით არ განვდევნით მას. ვითარცა ფუტკრებს კვამლი აფრთხობს, ხოლო მტრედებს ცუდი სუნი, ასევე ჩვენი სიცოცხლის მცველ ანგელოზს ფრიად დასატირებელი და მძიმე ცოდვა განგვაშორებს.

თუკი სულში გაქვს საქმენი, ღირსი იმისა, რომ ანგელოზმა დაგიცვას და შენში ჭეშმარიტების ჭვრეტათა შედეგად გამდიდრებული გონება მკვიდრობს, მაშინ, სათნოების შეუდარებელ საქმეთა სიმდიდრის შესაბამისად, უფალი უცილობლად მოგიჩენს მცველებსა და დარაჯებს და ანგელოზთა დაცვით ზღუდეს შემოგავლებს. ნახე, როგორია ანგელოზთა ბუნება! ერთი ანგელოზი მთელ ლაშქარსა და მრავალრიცხოვან მხედრობას უტოლდება. ამგვარად,

დიადი მცველის სახით უფალი შენ ლაშქარს გაძლევს და თითქოს ყოველი მხრიდან საიმედოდ ჰყევხარ შემოზღუდული ანგელოზის ძალით, რადგანაც ამას ნიშნავს სიტყვა **გარემოჲს**(ირგვლივ). ვითარცა კედლები ქალაქებისა, მათ ირგვლივ აღმართული, მტრის შემოტევებს ყოველი მხრიდან იგერიებენ, ასევე ანგელოზიც კედელია წინა მხრიდან, იგი ზურგიდანაც გიცავს და არც ერთი მხრიდან არ გტოვებს დაუცველს. **ამიტომაც დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ**(ფს.90,7) დარტყმანი რომელიმე შენი მტერისა, რამეთუ **ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენდა**(ფს.90,12).

6. განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი(8). ჩვენ მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ სულის ძალები გარეგნული ნაწილების მსგავსად იწოდება. რამდენადაც უფალი ჩვენი ჭეშმარიტი პურია და ხორცი მისი – ჭეშმარიტი საზრდელი, აუცილებელია, რომ პურით განმტკიცებით ტკბობა ჩვენ სულიერად გემოჲსხილვის შედეგად ვიგრძნოთ..

ისევე, როგორც თვისებას თაფლისა, იმას, ვინც არ იცის, რაა იგი, სიტყვით იმდენად ვერ ავუხსნით, რამდენადაც თვითონ შეიგრძნობს გემოს გასინჯვით, ასევე ზეციური სიტყვის სიკეთის ნათლად გადაცემაც შეუძლებელია მხოლოდ სწავლებით, თუკი ჭეშმარიტების მცნებათა ხანგრძლივი გამოძიებისას საკუთარი გამოცდილებით ვერ შევძელით მივწვდეთ სახიერებას უფლისა.

განიცადეთო(გემო იხილეთო) გვითხრა და არა დანაყრდითო, რადგანაც ახლა **ვიცი მცირედ**, რადგანაც ვხედავთ ჭეშმარიტებას **ვითარცა სარკითა და სახითა**(II კორ.XIII,12), მაგრამ მოვა დრო, როცა ახლანდელი საწინდარი, – ეს გემოჲსხილვა მადლისა, ჩვენთვის სრულყოფილ ტკბობად გადაიქცევა. იმათ მსგავსად, რომელთაც კუჭი აწუხებთ, საჭმლის ზიზღს გრძნობენ და ამ სენის გამო ექიმებთან მკურნალობენ, რომელნიც განსაკუთრებული ხელოვნებით დამზადებული კერძის მეშვეობით ჭამის სურვილს უღვიძებენ, ხოლო როგორც კი ოსტატურად მომზადებული საჭმელი გრძნობას გაუღიზიანებთ, წადილიც სულ უფრო და უფრო გაეზრდებათ, ასევე ჭეშმარიტების სიტყვაშიც, – ამბობს წინასწარმეტყველი, თვითონ გამოცდაც კი, განუწყვეტლივ მოგიხმობთ დაუკმაყოფილებელი წადიერებისაკენ. იმიტომაც განიცადეთო, გვეუბნება, რათა იყვნეთ ნეტარნი, რომელთაც მუდამ შიათ და სწყურიათო სიმართლე.

ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას(8). ვისაც სიტყვა განუწყვეტლივ სწყურია, სასოებას მხოლოდ უფალზე ამყარებს.

გეშინოდენ უფლისა ყოველთა წმიდათა მისთა, რამეთუ არა არს ნაკლულევანებაჲ მოშიშთა მისთა(9). თუკი ჩვენს ცხოვრებას შიში არ მართავს, შეუძლებელია მოხდეს განწმენდა სხეულისა, რადგანაც ნათქვამია: **განმშჭუალენ შიშითა შენითა ჴორცნი ჩემნი**(ფს.118,120). ისევე, როგორც სამსჭვალით მიკრული ნაწილები სხეულისა უძრავი და უმოქმედო რჩება, ასევე ისინიც, რომელთა სულიც ღმრთის შიშითაა მოცული, გაურბიან ყოველგვარი ვნებით აღელვებას,

რომელსაც შედეგად ცოდვა მოაქვს. ამიტომაც არა აქვთ **ნაკლულევანებაჲ მოშიშთა მისთა,** ანუ თავს იკავებენ რა ყველა ულირსი საქციელისაგან შიშისა გამო, არცერთი ძალა არ აკლიათ სათნოებისათვის, არამედ სრულნი არიან და კაცობრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი ყოველი სრულყოფილებით შემკულნი. ისევე, როგორც სხეულით სრულყოფილი არ არის ის, ვისაც რომელიმე აუცილებელი ნაწილი აკლია, არამედ არასრულყოფილია სწორედ იმით, რაც აკლია, ასევე ისიც, ვინც თუნდაც ერთ მცნებას ექცევა დაუდევრად და არ აღასრულებს, აღუსრულებლობის გამო, ამ ნაკლის მიზეზით, უკვე არასრულყოფილია; ხოლო ვინც სრული შიში შეითვისა, ისე რომ ყველაფრის ეშინია, ღმრთისმოშიშების წყალობით, არაფერში შესცოდავს, რადგან არცერთ მცნებას არ უგულებელყოფს და არც **ნაკლულევანება** ექნება, რამეთუ ყველა შემთხვევაში, მასთან შიშია.

7. **მდიდარნი დაგლახაკდეს და შეემშია, ხოლო რომელნი ეძიებენ უფალსა, არა ნაკლულევან იქმნეს ყოვლისაგან კეთილისა**(10).

ეს სიტყვა ჩვენ ნივთიერი სიმდიდრის უგულებელყოფას გვასწავლის, გვაჩვენებს რა რომ ქონების სიჭარბე არამყარია, რადგანაც სიმდიდრე წარმავალია და მსგავსია ტალღისა, რომელიც ძლიერი ქარებისაგან აგორებული აქეთ-იქეთ ეხლება. შესაძლოა, რომ მდიდარი დავითმა ისრაელიანებს უწოდა, **რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი,... და რომელთანი იყვნეს მამანი**(რომ.9,4-5). სწორედ ესენი დაგლახაკდნენ, შესცოდეს რა წინაშე უფლისა, სამაგიეროდ, არცერთი სიკეთე არ მოკლებიათ მათ, რომელნიც უფალს ეძიებენ.

მაგრამ ისრაელიანები როგორ **დაგლახაკდნენ და შეემშიათ**? რამდენადაც მათ **პური ცხოველი** მოკლეს, მათზე პურის შიმშილმა მოაწია, ხოლო რამდენადაც **ცხოველი წყლის** წყაროს მიმართ ბოროტი განიზრახეს, მოაწია მათზე წყურვილმა და სასჯელად მიეცათ ტანჯვა წყურვილისა გამო; მაგრამ ეს არის არა შიმშილი გრძნობიერი პურისა და წყურვილი წყლისა, არამედ შიმშილი უფლის სიტყვების მოსმენისა(ამოს.8,11). ამ მიზეზით **დაგლახაკდეს და შეემშია** მათ, ხოლო წარმართებიდან ისინი, ვინც უფლის გამოძიება ისწავლა, **არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა**. სრული სიკეთე კი თვითონ უფალია, რომელიც **არა მოაკლდეს** მაძიებელთა მისთა.

უკეთუ ვინმე უმეცარია და არ შეუძლია გარჩევა სიკეთისა და ბოროტებისა, დაე, სიკეთეს ნუ უწოდებს დროებით განცდას, რომელიც სხეულის რღვევასთან ერთად გაქრება. ვინც ნივთიერ სიმდიდრესა და სხეულებრივ უპირატესობებს სიკეთის რანგში აიყვანს, ის მდაბალ საქმეებს, რომელნიც მოხსენიების ღირსნიც კი არ არიან, საპატიოსა და მხოლოდ ღმრთისთვის შესაფერის სახელს მიაკუთვნებს და უმძიმეს წინააღმდეგობაშიც ჩავარდება. მაშინ მოციქულებზე ან უნდა ვთქვათ, რომ რადგანაც არ ეძიებდნენ ღმერთს, არც ხორციელი სიკეთენი მიუღიათ, ან, თუკი ეძიებდნენ და ამგვარი სიკეთენი არ ჰქონდათ, მაშინ ბრალი წმიდა წერილს უნდა დავდოთ, რომელიც ამბობს; **რომელნი ეძიებენ უფალსა, არა**

ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა. წმინდანები კი, პირიქით, უფალსაც ეძიებდნენ, არც საძიებლის მოპოვების გარეშე რჩებოდნენ და არც ის სიკეთე მოკლებიათ, რომელიც სამუდამო განსასვენებელშია განმზადებული, მხოლოდ მათ შესახებ შეიძლება ითქვას ნამდვილი მნიშვნელობით ეს სიტყვები – **ყოვლისაგან კეთილისა**. რადგანაც სხეულებრივი ტკბობანი უფრო მეტად ავადმყოფურს შეიცავენ, ვიდრე სასიამოვნოს: ქორწინება – უშვილობას, ქვრივობასა და გახრწნას, მიწათმოქმედება – უნაყოფობას, ვაჭრობა – ხომალდთა დაღუპვას, სიმდიდრე – მზაკვრობას, ფუფუნება – მოყირჭებას, ხოლო განუწყვეტელი ტკბობანი სხვადასხვა სნეულებასა და მრავალფეროვან ტანჯვას.

ეძიებდა რა უფალს პავლე, არ იყო მოკლებული არცერთ სიკეთეს, მაგრამ ამასთან ვინ მოთვლის ხორციელ ტანჯვას, რომელთა თანხლებითაც მთელი თავისი ცხოვრება განვლო? **სამ-გზის კუერთხითა ვიეც, ერთ-გზის ქვითა განვიტჳნე, სამ-გზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ, გზისა სლვანი მრავალ-გზის... შიმშილითა და წყურვილითა, მარხვითა მრავალ-გზის, შრომითა და რუდუნებით და საერთოდ მრავალგზისი ჭირით**(2კორ.11,25-27). და რა გამოვიდა? ადამიანი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე მშიერი და მწყურვალი იყო, სიშიშვლესა და ტანჯვას ითმენდა, ნუთუ სხეულებრივ სიკეთეს მოკლებული არ იყო? იმიტომაც ავამაღლე შენი გონება ჭეშმარიტ სიკეთემდე, რომ შენც გულისხმაგეყო სიმართლე წმიდა წერილისა და მე თვითონაც არ დავბნეულიყავ მისი ორმაგი გაგებით.

8. **მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ**(11). ეს არის ხმა სულიერი მასწავლებლისა, რომელიც სწავლისაკენ მამობრივი სიმტკიცით გვიხმობს, რადგანაც მოწაფე სულიერი შვილია მასწავლებლისა. მოწაფე იღებს რა სხვისაგან განათლებას ღმრთისმოსაობაში, მის მიერ შეიქმნება და აღიმართება ვითარცა ჩვილი ორსულის წიაღსა შინა. ამიტომაც პავლე გალატელთა მთელ ეკლესიას, რომელიც პირველად ნაქადაგებ სწავლებას დაშორდა და მუცლის დღენაკლულ ნაყოფს ჰგავდა, შეიწყნარა რა იგი ხელახლა და ღმრთეებრივი ძალით გამოხატა რა მათ შორის ქრისტე, შვილებს უწოდებდა. რადგანაც მან მერყევთა გამოსწორება ტკივილითა და ჭირით შეძლო, ამიტომაც თქვა, რომ წუხდა რა განდგომილთა გამო, სული ტკიოდა: **შვილნო ჩემნო, რომელთათვის კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის**(გალატ.4,19).

ამრიგად, **მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი**. რა სურს გვასწავლოს ჩვენს სულიერ მამას? **შიში უფლისაჲ გასწაო** თქვენო, – გვეუბნება. რადგანაც შიში უფლისა ზემოთ გვიანდერძა და გვაჩვენა სარგებელიც მისი, გვითხრა რა რომ **არა არს ნაკლულევანებაჲ მოშიშთა მისთა**, ამჯერად უკვე ღმრთის შიშზე სწავლებას გადმოგვცემს. იმის თქმა, რომ ჯანმრთელობა საჭიროა, ყველას შეუძლია, თვით უბირსაც კი, მაგრამ თუ როგორ უნდა შევიძინოთ იგი, ეს უკვე საკუთრივ მისი საქმეა, ვინც მკურნალობის ხელოვნება იცის, მაგრამ

ყველა სახის შიში როდია კარგი და მხსნელი; არსებობს ხომ შიშიც მტრისა და წინასწარმეტყველის სავედრებელიც ისაა, რომ არ მიეკაროს იგი მის სულს, როცა ამბობს: **შიშისაგან მტერისა იხსენ სული ჩემი**(ფს.63,1). ეს შიში მტრისა სიკვდილის წინაშე სიმხდალეს გვინერგავს და ვიღაც პირთა უპირატესობის წინაშე ქედის მოდრეკას შთაგვაგონებს. განა წამების დროს ამგვარი შიშის მქონე მოიკრებს ძალას, წინ აღუდგეს ცოდვას თუნდაც სიცოცხლის ფასად და დაუბრუნოს ვალი უფალს, რომელიც ჩვენთვის მოკვდა და აღდგა? საკუთარ თავში მტრის შიშს ატარებს დემონთაგან შეშინებულიც, და საერთოდ, მე მგონია, რომ ამგვარი შიში უძლურებაა, რომელსაც ურწმუნოება ბადებს. ხოლო მორწმუნეს, რამდენადაც მას ძლიერი შემწე ეგულება, არ ეშინია არავისა, ვინც მის შეძრწუნებას ცდილობს.

მაშ, როგორია შიში მხსნელი, შიში განმწმენდელი, შიში, – სულში ღვაწლის შედეგად და არა უძლურებით წარმოშობილი? გსურს მოგითხრო როგორია იგი? რაჟამს რომელიმე ცოდვა გაგიტაცებს, ქრისტეს ის საშინელი და აუტანელი სამსჯავრო წარმოიდგინე, სადაც მაღალსა და დიდებულ ტახტზე დაჯდება მსაჯული, რომლის დიდების ხილვისას ყველა ქმნილებას ძრწოლა აიტანს და რომლის წინაშეც სათითაოდ წარვდგებით გამოსაძიებლად იმისა, თუ ცხოვრებაში რა გვაქვს ჩადენილი. შემდგომად ამისა, მათ, რომელთაც ცხოვრებაში მრავალი უკეთურება ჩაიდინეს, მიეჩინებათ საზარელი და პირქუში ანგელოზები, რომელთაც შესაფერისად მათი ნების სისასტიკისა, მზერაცა და სუნთქვაც ცეცხლოვანი აქვთ, ხოლო სახე – მსგავსი ღამისა, დაღვრემილობისა და კაცთმოძულეობის გამო. შემდეგ კი თვალუწვდენელი უფსკრული, წყვდიადი გაუვალი და ცეცხლი უსინათლო, რომელსაც სიბნელეში მწველი ძალა აქვს, მაგრამ ნათელს მოკლებულია. შემდეგ რაღაც შხამიანი ჯიშის მატლი, ხორცის მჭამელი, საჭმელზე მუდამ დახარბებული და ყოველთვის გაუმაძღარი, რომლისაგან შეჭმაც აუტანელ ტკივილებს იწვევს; ხოლო ბოლოს კი, – სასჯელთაგან ყველაზე მძიმე – მარადიული გაკიცხვა და სირცხვილი მარადიული. ამისი გეშინოდეს და ამ შიშით გაწვრთნილმა მისით, ვითარცა ლაგმით, სული შენი უკეთური სურვილებისაგან დააყენე. ჩვენი სულიერი მამა სწორედ უფლის ამგვარი შიშის სწავლას შეგვპირდა, მაგრამ ყველას როდი გვასწავლის, არამედ მხოლოდ მას, ვინც მის მოსმენას მოისურვებს; არა იმას, ვინც შორს განუდგება, არამედ მას, ვინც სულის ხსნის სურვილით მიაშურებს, არა **უცხოს აღთქუმათაჲსა**(ეფ.2,12), არამედ მას, ვინც წყალობით ნათლობისა შვილის მდგომარეობას მოიპოვებს და სიტყვის სახლეული შეიქმნება. ამიტომაც ამბობს: **მოვედით**, ე. ი. მომიახლოვდით მე, შვილებო, კეთილი საქმეებით და შედეგად მეორედ შობისა ნათლის შვილობის ღირსიც გახდებით. ისმინეთ, რომელთაც ღია გაქვთ გულის სასმენელნი, **შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ**, ის შიში, რომელიც სიტყვამ სულ ახლახან გამოგისახათ.

9. **ვინ არს კაც, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ და უყუარან ხილვად დღენი**

კეთილნი?(12). სურს ვინმეს, – კითხულობს წინასწარმეტყველი, – არა ეს ცხოვრება, რომელიც საერთოა პირუტყვებისთვისაც, არამედ ჭეშმარიტი სიცოცხლე, რომელსაც სიკვდილიც ვერ შეწყვეტს? რადგანაც ახლა, – ამბობს იგი, **– თქვენ მოკვდებით და ცხოვრებაჲ თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა. რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს, ცხოვრებაჲ იგი ჩუენი, მაშინ თქუენცა მის თანა გამოსცხადნეთ დიდებითა**(კოლ.3,3,4). ამრიგად, ჭეშმარიტი სიცოცხლე ქრისტეა. და ჩვენი ჭეშმარიტი ცხოვრებაც ქრისტეშია. აქედან გამომდინარე, კეთილი სხვა დღეებია და წინასწარმეტყველიც სწორედ მათზე მიგვითითებს, როცა აცხადებს: **ვინ არს კაც, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ და უყუარან ხილვად დღენი კეთილნი?** დღენი ამ საუკუნისა ხომ ბოროტია, ისევე როგორც თავად ეს საუკუნე, – საზომი სამყაროსი, რომლის შესახებაც ნათქვამია: **ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა** დგას(Iინ.5,19) და ბუნებით შეესაბამება სოფელს, რომელსაც ზომავს. ეს დღეები კი ამ დროის ნაწილია. ამიტომაც ამბობს მოციქული: **გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან**(ეფ.5,16); ასევე იაკობიც: **დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მცირე და ბოროტ**(შესქ.47,9). ამდენად, ჩვენ ახლა არა ცხოვრებასა შინა, არამედ სიკვდილსა შინა ვიმყოფებით; ამიტომაც ევედრებოდა მოციქული და ამბობდა: **ვინ-მე მიჴსნეს ხორცთა ამათაგან ამის სიკუდილისათა?**(რომ.7,24). მაგრამ არის სხვა ცხოვრებაც, რომლისკენაც ჩვენ სიტყვა მოგვიწოდებს. და თუმცა ახლა ჩვენი დღეები ბოროტია, სამაგიეროდ სხვა დღეებია კეთილი, რომელთაც ღამე ვერ შეწყვეტს, რადგანაც მათთვის თვითონ ღმერთია მარადიული სინათლე, ასხივოსნებს რა მათ ბრწყინვალებით თავისი დიდებისა. ამიტომაც, როცა კეთილ დღეებზე მოისმენ, ნუ ჩათვლი, რომ ამ აღთქმაში საუბარი აქაურ ცხოვრებას შეეხება, რადგანაც დღეები, რომელთაც მატერიალური მზე წარმოქმნის, წარმავალია, ხოლო ის, რაც წარმავალია, შეუძლებელია შესაფერისი საჩუქარი იყოს წარუვალისათვის. იმდენად, რამდენადაც სული უკვდავია, მისთვის ბოძებული წყალობაც უკვდავი უნდა იყოს. **და წარმავალი არს ხატი ამის სოფლისაჲ**(Iკორ.7,31). უკეთუ სჯული მომავალ სიკეთეთა მხოლოდ ჩრდილს შეიცავს, წარმოიდგინე მარადიულ დღეთა ბრწყინვალე და წმიდა შაბათები, ახალი თვეები და დღესასწაულები, ოღონდ ისინი შესაბამისად სულიერი სჯულისა წარმოიდგინე.

დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკუვასა(13). თუ გინდა გქონდეს დღენი კეთილნი და თუ სიცოცხლეც გიყვარს, აღასრულე მცნება ცხოვრებისა, რადგანაც ნათქვამია: **უკეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს**(ინ.14,23). პირველი კი შემდეგი მცნებაა: **დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკუვასა**. ცოდვა, რომელსაც ენა სჩადის, ხომ ფრიად მოსახერხებელი და მრავალფეროვანია. განრისხდი? ენა წინ გაგისწრებს. ავხორცობამ შეგიპყრო? უწინარეს ყოვლისა, შუამავლად ენა გეყოლება, რომელიც შემწეა ცოდვის ჩადენისას და მახლობელთა მაცდუნებელი. ენას იყენებ შენ, აგრეთვე, იარაღად უსამართლობისათვის, როცა იგი

გულიდან როდი ლაპარაკობს, არამედ სხვათა მოსატყუებლად. მაგრამ რისთვისღა ჩამოვთვალო ყველა ცოდვა, რომელთა ჩადენაც კი ენას შეუძლია? ჩვენი ცხოვრება აღსავსეა იმგვარი შემთხვევებით, როცა ცოდვით დაცემის მიზეზს ენა წარმოადგენს: სამარცხვინო ყბედობა, სასაცილო, უგუნური, ურცხვი სიტყვები, ცილისწამება, ფუჭსიტყვაობა, ცრუ ფიცი, ცრუმოწმობა, – ყველა ეს ბოროტება, და ამათზე კიდევ ბევრად მეტი, ენისგანაა ჩადენილი. ხოლო ისინი, რომელნიც პირს გააღებენ და შესაგინებლად ღმრთის დიდებისა **სიცრუვეს მაღლად ზრახვიდეს**(ფს.72,8), განა რომელი იარაღით სჩადიან ამ მკრეხელობას თუ არა ენით? ამრიგად, რადგანაც **სიტყუათა შენთაგან დაისჯები**(მთ.12,37), ენა შენი ბოროტისაგან დააყენე და ნუ შექმნი **საუნჯესა ენითა ტყუილისათა, რომელი ამაო არს**(იგავ.21,6). **დააცხრე იგი და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვას**, არამედ ნაცვლად ამისა, იარაღი, რომელიც შენ სიტყვის სამსახურისათვის მოგეცა, უკეთურ ქმედებათაგან განათავისუფლე; პირფერობა ხომ მოყვასის წინააღმდეგ დაფარული ბოროტმოქმედებაა, სიკეთის ნიღბით ჩადენილი.

10. მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, მოიძიე მშჳდობაჲ და მისდევდი მას(33,14). აი, უპირველესი რჩევა-დარიგებანი ღმრთისმოსაობის შეძენისათვის: შეეცადე დაძლიო ენა, თავი შეიკავო ვერაგული ზრახვებისაგან, ბოროტებას ზურგი შეაქციო, რადგანაც ბოროტებასთან განშორება იმას კი არ შეეფერება, ვინც სრულყოფილია, არამედ იმას, ვინც ჯერ მხოლოდ იწყებს; მან უნდა აიღოს ხელი ბოროტებისაკენ სწრაფვაზე. თავდაპირველად ვითარცა ბოროტი გზა, ისე უნდა დათმოს ჩვევა უკეთური ცხოვრებისა და შემდეგ შეუდგეს კეთილ საქმეებს, რადგანაც შეუძლებელია სიკეთის ქმნა მანამ, სანამ ბოროტებას საბოლოოდ არ განვშორდებით, ისევე, როგორც შეუძლებელია ჯანმრთელობის დაბრუნება მანამ, ვიდრე ავადმყოფობას არ მოვიშორებთ, ან კიდევ გათბობა მანამ, სანამ ჟრჟოლა სრულიად არ გაგვივლის. ესენი ხომ ერთმანეთს ვერ შეუთავსდებიან; ასევე ვისაც კეთილად ცხოვრება სურს, კავშირი ჯერ ბოროტებასთან უნდა გაწყვიტოს.

მოიძიე მშჳდობაჲ და მისდევდი მას. ამ მშვიდობაზე თქვა უფალმა: **მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ; არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუენ**(ინ.14,27). ამიტომაც მოიძიე მშვიდობა უფლისა და მისდიე მას. გამოედევნე არა როგორც სხვა რამეს, არამედ, **ვითარცა გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისა**(ფილპ.3,14), რადგანაც ზეცაა ჭეშმარიტი მშვიდობა; ხოლო სანამ ჩვენ ხორცთან ვართ დაკავშირებულნი, ბევრი რამ ისეთი გვახლავს, რაც ჩვენს მღელვარებას იწვევს. ამიტომაც **მოიძიე მშვიდობა**, ანუ განთავისუფლება ამსოფლიური შფოთისაგან, შეიძინე სიმშვიდე გონებისა, აუღელვებელი და უშფოთველი მდგომარეობა სულისა, რომელსაც ვერც ვნებანი შეარყევენ და ვერც ცრუ მოძღვრებანი გაიტაცებენ, რომელნიც თავიანთი დამაჯერებლობით მათთვის თანხმობის მისაცემად მოგვიწოდებენ, რათა **მოიპოვო მშჳდობა ღმრთისა, რომელიც ჰმატს ყოველთა გონებათა**(ფილპ.4,7) და რომელიც შენი

გულის მცველი იქნება. ვინც მშვიდობას ეძიებს, ეძიებს ქრისტეს, რადგანაც **იგი არს მშჳდობაჲ ჩუენი**, რომელმაც ორივე შექმნა **ერთად ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა**(ეფ.2,14-15) **და მშჳდობა-ყო სისხლითა მის ჯუარისა მისისაჲთა, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა**(კოლ.1,20).

11. **თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა**(15). ისევე, როგორც წმინდანები არიან **ჴორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი**(Iკორ.12,27) და ღმერთმა ისინი ეკლესიაში დააყენა ერთნი თითქოსდა თვალებად, მეორენი ბაგეებად, სხვანი კიდევ ნაცვლად ხელებისა ან ფეხებისა, ასევე ზეცაში მყოფი წმიდა სულიერი ძალებისაგან ერთნი თვალებად იწოდებიან, რადგანაც ჩვენი ზედამხედველობა აქვთ მინდობილი, ხოლო მეორენი ყურებად, რადგანაც ჩვენი სათხოვარი უნდა შეისმინონ, ამიტომაც ახლა წინასწარმეტყველმა ზედამხედველ ძალასა და ძალას, ვედრების შემწყნარებელს, თვალები და ყურები უწოდა: **თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა**(15). რადგანაც მართლის ყველა საქმე ღირსია იმისა, რომ უფალმა უმზიროს და ყველა სიტყვა, რამდენადაც მართლისაგან უსარგებლო არაფერი ითქმება, ძლიერი და მოქმედია, ამიტომ ფსალმუნი გვარწმუნებს, რომ მართალს უფალი ყოველთვის უმზერს და ყოველთვის უსმენს კიდეც.

პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა მოსპოლვად ქუეყანით საჴსენებელი მათი(16).

ვფიქრობ, პირში განცხადებულად და ნათლად უნდა იგულისხმებოდეს მობრძანება უფლის სამსჯავროზე. ამიტომაცაა ნათქვამი, რომ თვალნი უფლისანი, რომელნიც ჯერ კიდევ თითქოს შორიდან გვიმზერენ, მართალს უყურებენ; ხოლო თვითონ პირი კი დედამიწაზე ბოროტების ყოველგვარი სახსენებლის აღმოსაფხვრელად გამოჩნდება. მაგრამ პირს ღმრთისას ხორციელად ნუ წარმოიდგენ, რადგანაც ამგვარ შემთხვევაში შეიძლება მოგეჩვენოს, რომ წმიდა წერილში რაღაც შეუსაბამო ითქვა; კერძოდ ის, რომ თვალები განსაკუთრებით მართალთა ზედა ბრწყინავენ, ხოლო პირით საგანგებოდ უკეთურებისკენაა მიქცეული და ეს მაშინ, როცა არც თვალებია გარეშე სახისა და არც სახეა უთვალებოდ. ადამიანს არ ძალუძს იხილოს პირი უფლისა და ცოცხალი დარჩეს(გამს.33,20). მაგრამ ეკლესიაში **მცირეთა** ანგელოზებიც კი, **მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა** (მთ.18,10). ამიტომაც ახლა, ჩვენი ხორციელი გარსის უძლურებისა გამო, შეუფერებელია ჩვენთვის ხილვა ღმრთის დიდებული გამოცხადებისა. ანგელოზებს კი, რომელთაც არა აქვთ საფარველი, მსგავსი ჩვენი ხორცისა, არაფერი უშლის ხელს, რომ განუწყვეტლივ უჭვრიტონ სახეს ღმრთის დიდებისა. ამიტომ, რაჟამს აღდგომის ძენი გავხდებით, მაშინ ჩვენც ვიქნებით ღირსნი მისი პირისპირ შეცნობისა; მაშინ მართალნიც ღირსნი შეიქნებიან ღმრთის პირის სიხარულით ჭვრეტისა, ხოლო ცოდვილნი – სამსჯავროსი, რადგანაც ღმრთის სამართლიანი

სამსჯავროს მიერ ყოველგვარი ცოდვა აღმოიფხვრება.

12. **ჴმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი და ყოველთა ჭირთა მათთაგან იჴსნნა იგინი**(17). მართალთა მიერ ხმობა უფლისა გონივრულია, იგი გულის სიღრმეში ხმამაღლა გაისმება და შეიძლება თვით ღმრთის სმენამდეც კი მიაღწიოს, რადგან ვინც დიდსა და ზეციურს ითხოვს, სწორედ ის უხმობს და აღუვლენს უფალს ვედრებას, რომელიც შესმენილი იქნება; ამგვარად, **ჴმობდეს მართალნი**, და რადგანაც ისინი არც უმნიშვნელოს, არცა მიწიერსა და არც მდაბიურს არ ეძიებენ, ამიტომაც შეისმინა უფალმა მათი ხმა და **ყოველთა ჭირთა მათთაგან იჴსნნა იგინი**, არა იმდენად იმით, რომ მწუხარებათაგან განათავისუფლა, რამდენადაც იმით, რომ მოამზადა, რაც კი თავს გარდახდებოდათ, ყველაფერზე მაღლა დამდგარიყვნენ.

მახლობელ არს უფალი შემუსრვილთა გულითა და მდაბალნი სულითა აცხოვნნეს(18). უფალი თავისი სიკეთით ყველასთან ახლოსაა, მაგრამ ჩვენ თვითონ ვშორდებით ჩვენი ცოდვებისა გამო, რადგანაც ნათქვამია: **აჰა ესერა, რომელთა განიშორნეს თავნი თჳსნი შენგან, იგინი წარწყმდნენ**(ფს.72,27). ამიტომაც ითქვა მოსეს შესახებ, რომ იგი **მიეახლა ღმერთს**(გამს.24,2); ღმერთთან ახლოს იქნება ისიც, ვინც სიქველითა და კეთილი საქმეებით მოსეს დაემსგავსება. გარდა ამისა, ეს სიტყვები წინასწარმეტყველებასაც წარმოადგენენ უფლის მოსვლის შესახებ და შეესაბამებიან ადრე თქმულს, სადაც ვკითხულობთ: **პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა**(16), რაც იმას ნიშნავს, რომ სამსჯავროზე მისი გამოჩენა ყოველგვარ უკეთურებას გაანადგურებს. აქ კი ითქვა: **მახლობელ არს უფალი შემუსრვილთა გულითა,** რითაც წინასწარმეტყველი უფლის ხორციელად მოსვლის მოახლოებაზე იუწყება, რაშიც შენ ესაიას წინასწარმეტყველებაც დაგარწმუნებს: **სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისა ძალით მცხო მე, მახარებლად გლახაკთა მომავლინა მე. განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებასა და ბრმათა ახილვასა**(ეს.61,1). რადგანაც გულით შემუსვრილებს მკურნალი გაეგზავნა, ამიტომაც თქვა: **მახლობელ არს უფალი.** თქვენ გეუბნებით ამას, რომელთაც თავი დაიმდაბლეთ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შემუსრეთ, რათა გაგახაროთ და მოსალოდნელის სიხარულით სულგრძელობა გამოიჩინოთ. შემუსვრა გულისა კი კაცობრივ ზრახვათა განადგურებაა. ვინც აწმყო განჭვრიტა, საკუთარი თავი ღმრთის სიტყვას მიუძღვნა და თავის თავში წინამძღოლობა ზეკაცობრივსა და ღმრთეებრივ აზრებს მიანიჭა, სწორედ მას ექნება შემუსრვილი გული, რომელსაც აქცევს მსხვერპლად და რომელსაც უფალი არ დაამცირებს: **გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს**(ფს.50,17).

ასე რომ: **მახლობელ არს უფალი შემუსრვილთა გულითა და მდაბალნი სულითა აცხოვნნეს**. შემუსრვილი გული და მდაბალი სული კი იმას აქვს, ვისთვისაც უცხოა ქედმაღლობა და კაცობრივი სიამაყე. მაგრამ დამდაბლებულია ისიც, ვინც ცოდვის გზით მიემართება, რადგანაც არაფერი ისე არ ამდაბლებს

კაცს, როგორც ცოდვა. ამიტომაც გახრწნილსა და დაკარგულ სიწმინდეს ქალწულობისას დამდაბლებას ვუწოდებთ, როგორც მაგალითად ნათქვამია, რომ: **აღდგა ამნონი თამარზე და დაამდაბლა იგი**(IIმეფ.13,14). ამიტომაც ისინი, რომელთაც დაკარგეს სიწრფელე და სიმაღლე სულისა, ცოდვისაგან მიწაზე განრთხმულნი და თითქოს მათზე მიმსჭვალულნი, მსგავსად მხოხავი უხსენებლისა, იკლაკნებიან, არ შეუძლიათ რა სრულად აღიმართონ, დამდაბლებულნი არიან, ოღონდ არა სულით, ამიტომაც მათი სიმდაბლე საქები როდია. ხოლო ისინი, რომელთაც აქვთ მადლი სულისაგან წმიდისა, ნებით იმდაბლებენ თავს უდარესთა წინაშეც. მოციქულის მიხედვით, ისინი თავიანთ თავს ქრისტესათვის ყოველი ადამიანის მონას უწოდებენ(IIკორ.4,5), და კიდევ: **ვითარცა ნარჩევნი სოფლისანი შევიქმნენით ყოველთა ნასხურ მოაქამდე**(Iკორ.4,13). ისინი სულიერი სიმდაბლით თავს ყველაზე უკანასკნელებად წარმოადგენენ, რათა ზეცათა სასუფეველში ყოველთა შორის პირველნი გახდნენ. ამგვართ უფალიც ნეტარს უწოდებს და ამბობს: **ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა**(მთ.5,3).

მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იჴსნნეს იგინი უფალმან(19); ნათქვამია: **ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გჳჩნს**(IIკორ.4,8). ამიტომაც უფალიც ეუბნება თავის მოწაფეებს: **სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა**(ინ.16,33). ასე რომ, როცა მართალს დასნეულებულს, სხეულით დაზიანებულს, მახლობელთა მიერ მიტოვებულს, დაჭრილს, უპატიოს, უკიდურესად გაჭირვებულს დაინახავ, რომელსაც აუცილებელიც კი აკლია, გაიხსენე, რომ: **მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იჴსნნეს იგინი უფალმან.** ხოლო ის, ვინც ამტკიცებს, რომ მართალს ჭირი არ შეჰფერის, სხვას არაფერს ამბობს თუ არა იმას, რომ მებრძოლს მოწინააღმდეგე არ სჭირდება. მაგრამ უკეთუ მებრძოლი სარბიელზე არ გამოვა, რა მიზეზიღა ექნება გვირგვინის მისაღებად? ამ ფსალმუნში უკვე მეოთხედ ითქვა, როგორ იხსნის უფალი ჭირისაგან მათ, რომელთა დახსნაც სურს. პირველად; **გამოვიძიე უფალი და ისმინა ჩემი და ყოველთა ჭირთა ჩემთაგან მიჴსნა მე**(4). მეორედ: **ამან გლახაკმან ჴმა-ყო და უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იჴსნა იგი**(6). მესამედ: **ჴმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი**(17) და ბოლოს: **მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იჴსნნეს იგინი უფალმან**(19).

13. **დაიცვნეს უფალმან ყოველნი ძუალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს**(20). უწინარესად გავარკვიოთ, საჭიროა თუ არა ნათქვამის პირდაპირ გაგება და მისი მხოლოდ იმ შინაარსით დაკმაყოფილება, რომელიც სასმენელთათვისაა განკუთვნილი, ანუ იმ მიზეზით, რომ უფალი იცავს, რა არ შეემუსრება მართალთ, ეს ძვლები, – ეს საყრდენი ხორცისა? და ძვლები მართლისა შეუმუსვრელი მხოლოდ სიცოცხლეში, ვიდრე აქ ცხოვრობს, დარჩება თუ ხორციელი ბორკილებიდან დახსნის შემთხვევაშიც არ აღმოჩნდება არავითარი მიზეზი მართლის ძვალთა შემუსრვისა? მაგრამ გამოცდილებიდან ისიც ვიცით,

რომ მრავალი მართლის ძვლები შეიმუსრა, რომელთაც ქრისტეს დასამოწმებლად ათასგვარი სახის ტანჯვა დაითმინეს; მდევნელნი ხომ ზოგს წვივებს უმსხვრევდნენ, ზოგს კიდევ ლურსმნებით ხელებსა და თავს უმსჭვალავდნენ მრავალგზის. და ვინ გაბედავს იმის უარყოფას, რომ წამებით აღსრულებულნი ყველაზე მართალნი არიან? პირიქით, მსგავსად იმისა, ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ, თუმცა ნათქვამია **ადამიანი**, მაგრამ **კაცობრივი** სული და გონებაა ნაგულისხმევი? სწორედ ასევე, ზოგადად კაცობრივი ბუნების ნაწილებიც სხეულის ნაწილთა მსგავსი სახელებით იწოდება. წმიდა წერილი ასე უწოდებს ხშირად შინაგანი კაცის ნაწილებს, მაგალითად, როცა ამბობს: **ბრძნისა თვალნი თავსა მისსა**(ეკლ. 2,14), ანუ შინაგანი კაცი ბრძენისა შორსმჭვრეტელია და წინდახედული. ასევე, წმიდა წერილი სულისა და სხეულის თვალებს ერთნაირ სახელებს უწოდებს არა მხოლოდ უკვე მოხმობილ გამონათქვამში, არამედ სხვა შემთხვევაშიც: **მცნებაჲ უფლისაჲ ბრწყინვალე არს, განმანათლებელ თუალთა**(ფს.18,8); და ამ გამონათქვამზე რაღა უნდა ითქვას: **რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ**(ლკ. 8,8). ცხადია, რომ ამგვართ სრულყოფილი სასმენელნი აქვთ და ძალუძთ მოსმენა ღმრთის ნათქვამისა; იმათ მიმართ კი, რომელთაც ასეთი სასმენელნი არა აქვთ, რა არის ნათქვამი? **ყრუთა ისმინეთ და ბრმათა აღიხილნეთ ხედვად**(ეს.42,18); **პირი ჩემი აღვაღე და მოვიღე სული**(ფს.118,131); და კიდევ: **კბილნი ცოდვილთანი შენ შეჰმუსრენ**(ფს.3,8), რადგანაც ყველა ეს გამონათქვამი ეხება უნარებს, რომელნიც გონივრული საზრდელისა და გონიერი სიტყვის მიღებას ემსახურება. ამ რიგის გამონათქვამებია, აგრეთვე, **მუცელი ჩემი მელმის**(იერ.4,19) და **მართალი არ წაიფორხილებს**(იგავ.3,23), რადგან ესენიც შინაგან კაცს განეკუთვნება. ამავე საფუძველზე შინაგან კაცში შეიძლება წარმოვიდგინოთ ძვლები, რომელნიც სულიერ ძალთა შორის კავშირსა და სიმწყობრეს იცავენ. ისევე როგორც ძვლებს საკუთარი სიმტკიცით აქვთ შემოზღუდული ხორცის სირბილე, ასევე ეკლესიაშიც არიან იმგვარნი, რომელთაც ძალუძთ უძლურთა ნაკლოვანებებიც იტვირთონ. მსგავსად ძვლებისა, რომელნიც ერთმანეთს მოქნილი ძარღვებით უერთდება, ასევე სიყვარულისა და მშვიდობის კავშირს ეკლესიაში სულიერ ძვალთა ერთმანეთთან შეზრდა და შეერთება შეუძლია. იმ თანანაწილებს მოკლებულ ძვლებზე კი, რომელნიც თითქოსდა მთლიანი აგებულებიდან ამოვარდნილნი არიან, წინასწარმეტყველი ამბობს: **განიბნინეს ძუალნი მათნი ჯოჯოხეთს შინა**(ფს.140,7), ხოლო რაჟამს მათ შფოთვა და მღელვარება მოიცავს, მაშინ ლოცულობს და ამბობს: **განმკურნე მე უფალო, რამეთუ შემიძრწუნდეს ძუალნი ჩემნი**(ფს.6,3). უკეთუ ეს ძვლები, ღმრთისაგან დაცულნი, თავიანთ სიმწყობრეს ინარჩუნებენ, მაშინ არცერთი მათგანი არა მხოლოდ არ შეიმუსრება, არამედ, პირიქით, იმის ღირსიც კი გახდება, რომ ღმერთს დიდება აღუვლინოს. წინასწარმეტყველი ამბობს: **ყოველთა ძუალთა ჩემთა თქუან: უფალო, ვინ გემსგავსოს შენ?**(34,10). ხედავ ბუნებას ძვლებისას, რომელსაც სიტყვის ნიჭიც კი აქვთ? შესაძლოა,

ეკლესიამაც იგივე თქვას: **ყოველთა ძუალთა ჩემთა თქუან** და ეს აღდგომის საიდუმლოს მიაკუთვნოს, რადგანაც ნათქვამია: **ამას ეტყვის ადონაჲ უფალი ძუალებსა ამას: აჰა, მე მოვიყვანო თქუენ ზედა სული სიცოცხლისაჲ. და მივსცე თქუენ ზედა ტყავი, და მივსცე სული ჩემი თქუენ ზედა და განსცოცხლდეთ და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი**(ეზეკ.37,5-6) სწორედ ეს ძვლები, რომელთაც სიცოცხლე მიიღეს და მადლობას სწირავენ აღდგომილს, ამბობენ: **უფალო, უფალო, ვინ არს მსგავსი შენი?**

14. უმიზეზოდ როდია დართული სიტყვები – **სიკუდილი ცოდვილთაჲ ბოროტ არს**(21), რადგანაც თავისი ბუნებით მართალთა სიკვდილი კეთილია და არა ბოროტი. ვინც ქრისტესთან ერთად მოკვდა, კეთილ სიკვდილს ეზიარა და მოაკვდინა რა ცოდვები, კეთილი და მხსნელი სიკვდილით აღესრულა. მაშინ როცა სიკვდილი **ცოდვილთაჲ ბოროტ** არს, რადგანაც ისინი, მსგავსად იმ მდიდრისა, რომელიც **იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ**(ლკ.16,19) სწორედ სიკვდილის შემდეგ იტანჯებიან.

ხოლო რომელთა სძულდეს მართალი, უშჯულოებენ(21). მათ სძულთ მართალი, რადგანაც თვითონ ცოდვილ ცხოვრებას ეწევიან. მართლის ზნე ხომ, ვითარცა სწორი წესი ცხოვრებისა, ამხელს მათ სრულყოფილთან შედარებისას; და რამდენადაც ცოდვებში ჩაფლულნი ცხოვრობენ და მხილების შიში აქვთ, მართალთ სიძულვილით ეპყრობიან. მაგრამ იმითი რომ სძულთ, თავს კიდევ ერთი ახალი ცოდვით იმძიმებენ. საბაბი კი, რომლის გამოც შეიძლება მართალი შეიძულო, მრავალია: მაგალითად, მისი სრული გულახდილობა მხილების ჟამს, რადგანაც **შეიძულეს სამსჯავროში მამხილებელი და წრფელად მოუბარი შეიძაგეს**(ამოს.5,10). პირველობის სურვილმაც და უფლებისმოყვარეობამაც მრავალნი აღძრეს ყველაზე ღირსეულთა სიძულვილისათვის; ზოგჯერ კი ამავე შედეგს იმის უცოდინარობაც იძლევა, – რა არის სიმართლე და ვინ არის მართალი.

სიკვდილი ცოდვილთაჲ ბოროტ არს. ისიც შესაძლებელია, რომ წინასწარმეტყველი სიკვდილს მთელს ცხოვრებას უწოდებდეს; მოციქულმა ხომ სიკვდილი ჩვენს ხორცს უწოდა, როცა თქვა: **ვინ-მე მიჴსნეს ჴორცთა ამათგან ამის სიკუდილისათა**(რომ.7,24). ხოლო ისინი, რომელნიც ბოროტად იყენებენ ამ ხორცს და მას ყოველგვარი ცოდვის მსახურად აქცევენ, თავიანთ თავს ბოროტ სიკვდილს უმზადებენ.

იჴსნნეს უფალმან სულნი მონათა მისთანი და არა ცოდონ ყოველთა, რომელნი ესვენ მას(22). რადგანაც უფლის მსახურებისათვის შექმნილთა სულებს, რომელნიც მტრის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, თავისი პატიოსანი სისხლით უფალი გამოიხსნის, ამიტომ, ყოველს, რომელსაც მისი სასო აქვს, ცოდვები ვეღარ გააწამებენ.

საუბარი 44-ე ფსალმუნზე

დასასრულსა, ცვალებადთათვის, ძეთა კორესთაჲ, გულისხმისყოფისათჳს, გალობაჲ საყუარელისაჲ (1).

1. როგორც ჩანს, ამ ფსალმუნსაც კაცობრივი ბუნების სრულყოფისაკენ მივყავართ და მათ, რომელთაც მაღალზნეობრივი ცხოვრება განიზრახეს, დასახული მიზნის განხორციელებაში სარგებლობას ანიჭებს. მათ ხომ, რომელთაც წარმატებას მიაღწიეს, სრულყოფისათვის სწავლება სჭირდებათ, რასაც სწორედ ეს ფსალმუნი იძლევა, რომელსაც ეპიგრაფად აქვს: **დასასრულსა, ცვალებადთათვის**, ანუ, დაფარულად თქვა – **კაცთათვის**, რადგანაც გონიერთაგან ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ ვემორჩილებით ყოველდღიურად და თვით ყოველ წუთშიც კი, ცვალებადობასა და გარდაქმნას; არც სხეულითა და არც სულიერი განწყობილებით არ ვრჩებით იგივე, რაც ვიყავით, არამედ სხეული ჩვენი განუწყვეტლივ მდინარებს და იფანტება, მოძრაობს და იცვლება. ხან მცირედან დიდდება გაზრდის შედეგად, ხან კიდევ სისრულე აკლდება და არასრულყოფილი ხდება; რადგანაც ერთი და იგივე როდია ახალშობილი ჩვილი და ყრმა, რომელიც სასწავლებელში დადის და რომელსაც უკვე ხელოვნებისა და მეცნიერების გაგება შეუძლია. და კიდევ, უეჭველია, ისიც, რომ ყრმისაგან განსხვავდება ჭაბუკი, რომელსაც უკვე სამამაცო საქმეებს შეუძლია მოჰკიდოს ხელი, ხოლო ჭაბუკისაგან განსხვავდება მამაკაცი, როგორც სხეულის სიმტკიცითა და სიდიდით, ასევე **გონების** სრულყოფითაც. რაჟამს კაცი სიმწიფის ხანაში შევა და მყარ ასაკს მიაღწევს, ნელ-ნელა მოკლების შეგრძნება უჩნდება. ჯანმრთელი აღნაგობა შეუმჩნევლად ერღვევა და სხეულებრივი ძალები აკლდება, ვიდრე სიბერისაგან მოდრეკილს უკანასკნელი ძალაც არ წაერთმევა. ამგვარად ვიცვლებით ჩვენ.

ფსალმუნი ბრძნულად მიგვანიშნებს ჩვენზე, ადამიანებზე, რადგანაც ანგელოზები ცვალებადობას არ ემორჩილებიან. ანგელოზთა შორის არაა არც ყრმა, არც ჭაბუკი და არც მოხუცი, არამედ ისინი იმადვე რჩებიან, რადაც თავიდანვე შეიქმნენ და აღნაგობაც წმინდად და უცვლელად აქვთ შენარჩუნებული. ჩვენ კი გვეცვლება არა მხოლოდ სხეული, როგორც ეს უკვე ვაჩვენეთ, არამედ სულიცა და შინაგანი კაციც, ვიცვლით რა აზრებს იმ მოვლენებთან ერთად, რომელნიც განუწყვეტლივ გვხვდებიან ცხოვრებაში. ჩვენ სხვაგვარნი ვართ მაშინ, რაჟამს გვიხარია და რაჟამს ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი წარმატებით მიდის და სხვაგვარნი ვართ ძნელბედობის ჟამს, როცა ჩვენს სურვილებს წინ რაღაც ეღობება; ვიცვლებით რისხვის გამოც, ვიღებთ რა ცხოველის სახეს და ვიცვლებით გულისთქმის ჟამსაც, ვემსგავსებით რა პირუტყვს ავხორცული ცხოვრების წყალობით. **ცხენებ დედალთმბორგელ** იქმნენ ხომ ისინი, რომელნიც მახლობელთა ცოლების მიმართ ვნებით აღეგზნენ(იერ.5,8)); ცბიერი კი, ვითარცა ჰეროდე, მელას ემსგავსება(ლკ.13,32), ხოლო ურცხვი, როგორც

ნაბალ კარმილელი, ძაღლად იწოდება. ხედავ, როგორი მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია ჩვენი ცვალებადობა? გვიკვირდეს მისი, ვინც ჩვენ მიმართ ეს სახელწოდება ასე შესაფერისად გამოიყენა.

2. ამიტომ, როგორც მეჩვენება, ერთმა კომენტატორმა მშვენივრად და მარჯვედ გამოხატა ეს აზრი, როცა სხვა სახელწოდება გამოიყენა, – ნაცვლად ცვალებადთათვის, – შროშანებისათვისო, – თქვა და კაცობრივი ბუნების წარმავლობისათვის შესადარებლად ყველაზე შესაფერისად ჭკნობადი ყვავილები ჩათვალა.

მაგრამ რამდენადაც სიტყვა მომავალი დროის ფორმითაა მოცემული(რომელნიც შეიცვლებიანო, – ამბობს და ამდენად ეს ცვლილება ჩვენ თითქოს შემდეგში უნდა განვიცადოთ), ვნახოთ, ხომ არ მიგვანიშნებს იგი აღდგომაზე, რომლის წყალობითაც შეცვლის ძალა მოგვენიჭება და უკეთესისა და სულიერისაკენ შევიცვლებით? ნათქვამია: **დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით**(Iკორ.15,42). ხედავ, რომელ ცვლილებას გულისხმობს? **დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით; დაეთესვის ჴორცი მშჳნვიერი და აღდგების ჴორცი სულიერი**(Iკორ.15,43-44), და მაშინ ჩვენთან ერთად ყველა მატერიალური (სხეულებრივი) ქმნილებაც იცვლება. რადგანაც **ცანი ვითარცა სამოსელნი დაძუელდნენ** და ღმერთი მათ თითქოს, **ვითარცა სამოსელს,** ისე იცვლის და იცვლებიან(ფს.101,27). მაშინ, როგორც ესაია ამბობს, მზე შვიდგზის გაიზრდება. ხოლო მთვარე იმ სიდიდეს შეიძენს, რომელიც ახლა მზეს აქვს(ეს.30,26).

რადგანაც ღმრთის სიტყვები ყველასათვის როდია დაწერილი, არამედ მხოლოდ მათთვის, რომელთაც შინაგანი კაცის სასმენელნი აქვთ, ამიტომაც წააწერა **ცვალებადთათვისო**, და ვფიქრობ, ისინი იგულისხმა, რომელნიც თავიანთ თავზე თვითონვე ზრუნავენ და განუწყვეტელი ვარჯიშით ღმრთისმოსაობაში სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებას აღწევენ. ეს უმშვენიერესი ცვალებადობაა, რომელიც ჩვენ უზენაესის მარჯვენამ მოგვანიჭა და რომელიც ნეტარმა დავითმაც შეიგრძნო, რაჟამს სათნოების სიკეთე იგემა და კიდევ უფრო წინ წაიწია. და რას ამბობს? **და ვთქუ: აწღა მიწყიეს, ესე არს განახლებაჲ მარჯუენისა მაღლისაჲ**(ფს.76,10). ამიტომ მისთვის, ვინც სათნოებაში სრულყოფისკენ ისწრაფვის, არ არსებობს წამი, ცვლილებას რომ არ განიცდიდეს, რადგანაც ნათქვამია: **ოდეს იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმაჲ, შერაცხილ ვიყავ ვითარცა ყრმაჲ; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისაჲ იგი**(Iკორ.13,11). **ხოლო, როცა უკვე მამაკაცი გახდა,** მოღვაწეობა კი არ შეწყვიტა, არამედ თქვა: **უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები და კრძალულებით ვსდევ გვირგვინსა მას ზეცისა ჩინებისა**(ფილპ.3,13-14). ცვლილება კი შინაგანი კაცის ყოველდღიური განახლებაა. რადგანაც წინასწარმეტყველს სურს გვაუწყოს საყვარელზე, რომელმაც განგებულება ხორცის შესხმაზე ჩვენ გამო მიიღო და ამგვარი წყალობის ღირსი გაგვხადა, ამბობს, რომ ეს გალობა

მოცემულია **ძეთა კორესთა** მიერ, რადგანაც იგი სწორედ **გალობაა** და არა ფსალმუნი, ამიტომაც მხოლოდ შიშველი ხმით იყო გადმოცემული, მწყობრი ამოძახილით, მუსიკალური საკრავის გარეშე.

გალობაჲ საყუარელისაჲ. განგიმარტო შენ რომელ საყვარელს გულისხმობს სიტყვა? ან იქნებ ჩემს განმარტებამდეც იცი, გაიხსენებ რა სახარებაში ნათქვამს: **ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ**(მთ.17,5). ის უყვარს მამას, ვითარცა ძე მხოლოდშობილი, ხოლო ყველა ქმნილებას – ვითარცა მამა კაცთმოყვარე და წინამძღვარი სახიერი. ხოლო საყვარელი და სახიერი თავისი არსით ერთია. ამიტომაც მშვენივრად განსაზღვრეს ზოგიერთებმა, როცა სახიერი(კეთილი) უწოდეს მას, რაც ყველას სურს. მაგრამ ყველას როდი შეუძლია სიყვარულში სრულყოფილებას მიაღწიოს და შეიცნოს იგი, ვინც ჭეშმარიტად საყვარელია, არამედ მხოლოდ მას, ვინც განიძარცვა **ძველი იგი კაცი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა და შეიმოსა ახალი იგი განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა**(კოლ.3,10). ვისაც ფული უყვარს, ხრწნადი სხეულების სილამაზე აღაგზნებს და აქაურ დიდებას ამჯობინებს, დახარჯავს რა სიყვარულის ძალას მათზე, რომელნიც ამისათვის არც ღირდნენ, ჭეშმარიტად საყვარელის ჭვრეტისათვის დაბრმავდება. ამიტომაცაა ნათქვამი: **შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყ ოვლითა გონებითა შენითა**(მარკ.12,30). სიტყვა **ყოვლითა** გამორიცხავს სიყვარულის გაყოფას სხვებისთვისაც, რადგან რამდენ სიყვარულსაც დახარჯავ მიწიერ საგნებზე, მთელსაც უცილობლად იმდენი მოაკლდება. ამიტომაც კაცთაგან მხოლოდ ცოტას თუ ეწოდა მეგობრები ღმრთისა, როგორც მაგალითად, მოსეს (გამს.33,11), რომლის შესახებაც სწერია, რომ იგი იყო მეგობარი ღმრთისა, და იოვანეს, რადგანაც ნათქვამია: **ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელ დგას, სიხარულით უხარის**(ინ.3,29), ანუ ის არის ღირსი ქრისტეს მეგობრობისა, ვისაც მისი მტკიცე და ურყევი სიყვარული აქვს. ამიტომაც მოწაფეებს, რომელნიც უკვე სრულყოფილებას იყვნენ მიღწეულნი, უფალი ეუბნება: **არღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი, არამედ მეგობრად**(ინ.15,15). ამრიგად, ჭეშმარიტად საყვარელის შეცნობა სრულყოფილს შეუძლია. მართლაც, მეგობრები ღმრთისა და ერთმანეთისა მხოლოდ წმინდანები არიან. უკეთურთაგან და ბიწიერთაგან არცერთი არაა მეგობარი, რადგანაც მშვენიერება მეგობრობისა შეუთავსებელია მდაბალ განწყობილებასთან გულისა. უსახურსა და მოუწესრიგებელს იმიტომაც არ შეუძლია მეგობრულ თანხმობაში ყოფნა, რომ **ბოროტება არა მხოლოდ სიკეთის, არამედ საკუთარი თავის მტერიცაა.** მაგრამ უკვე გადავიდეთ წინასწარმეტყველის სიტყვების განმარტებაზე:

3. **აღმოთქუა გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი**(2). ზოგი ფიქრობდა, რომ ეს მამის პირითაა ნათქვამი **სიტყვაზე**, რომელიც დასაბამითგან მამასთან იყო და რომელიც, მათი თქმით, მამამ თითქოსდა გულიდან და წიაღიდან აღმოთქვა;

და კეთილი გულიდან სიტყვაც კეთილი გამოვიდა. მე კი მეჩვენება, რომ აქ წინასწარმეტყველის პირი იგულისხმება, რადგანაც ფსალმუნის მომდევნო სიტყვები არ ამართლებენ ვარაუდს მამაზე. მამას არ შეეძლო ეთქვა თავისი ენის შესახებ: **ენაჲ ჩემი საწერელ მწიგნობრისა ჴელოვნისა**(2) **შუენიერ სიკეთითა უფროჲს ძეთა კაცთასა**(3), რადგანაც მას უპირატესობა სილამაზისა ადამიანებთან შედარებით როდი აქვს და შემდეგაც ამბობს: **ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ**(8). ის კი არა თქვა: **გცხე შენ**, მე, **ღმერთმან**-ო, არამედ **გცხო შენო**, საიდანაც ცხადია, რომ პირი, რომელიც ლაპარაკობს, სხვაა. და ვინ არის იგი თუ არა წინასწარმეტყველი, რომელშიც სულიწმიდა მოქმედებს; იგი ამბობს: **აღმოსთქუა გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი**. აღმოთქმა არის შინაგანი ჰაერი, რომელიც საზრდელის გაცხელებისას დახეთქილი ბუშტუკებიდან ზევითკენ ადის. ის, ვინც ნასაზრდოებია ცხოველი პურით, რომელიც ზეციდან გარდამოვიდა, სოფელს სიცოცხლე მიანიჭა და მაძღარია ღმრთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით, ანუ ბიბლიისათვის ჩვეული მეტაფორული ენით რომ ვთქვათ, სული, ნასაზრდოები წმინდა მოძღვრებებით, საზრდელის შესაფერისს გარდამოადინებს; ხოლო რადგანაც საზრდელი სიტყვიერი და კეთილი იყო, ამიტომ წინასწარმეტყველმაც **სიტყუაჲ კეთილი** აღმოთქვა. **კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი**(მთ.12,35) და ჩვენც საკუთარ სულთა აღსავსებად სიტყვიერი საზრდო ვეძებოთ,(რადგანაც ნათქვამია: ჭამს რა მართალი, სულს თვისას აღავსებს, (იგავ.12,23), რათა, შესაბამისად საზრდელისა, არა საერთოდ სიტყვა, არამედ **სიტყუაი კეთილი** აღმოვთქვათ. ბოროტი კაცის უკეთური მოძღვრებებით ნასაზრდოები გულიდან უკეთური სიტყვა წარმოდინდება. ვერ ხედავ, რა ინთხევა ერეტიკოსთა ბაგეებიდან? რაღაც საძაგელი და მყრალი, რომელიც ამხელს თუ რა ძლიერი და ფესვგადგმულია ამ უბედურთა სენი. რადგანაც **ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი**(მთ.12,35), ამიტომაც **ქავილითა ყურთაჲთა**(2ტიმ.4,3) შენთვის იმგვარ მასწავლებლებს ნუ ამოირჩევ, რომელთაც შეუძლიათ შენს შიგნეულში სენი წარმოშვან და უკეთური სიტყვები წარმოგათქმევინონ, რომელთა გამოც სამსჯავროზე დაისჯები, **რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო**(მთ.12,37).

უთხრნე მე საქმენი ჩემნი მეუფესა(1). რაღა თქმა უნდა, ეს სიტყვებიც იმას გვაფიქრებინებს, რომ აქ წინასწარმეტყველის პირი უნდა ვიგულისხმოთ. **უთხრნე მე საქმენი ჩემნი მეუფესა**, – ეს ნიშნავს: აღვიარებ წინაშე მსაჯულისა და საკუთარ საქმეთა გამჟღავნებით ბრალმდებელს დავასწრებ, რადგანაც ჩვენ ასეთი მცნება მივიღეთ: **იტყოდე შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რაჲთა განმართლდე**(ეს.43,26).

ენაჲ ჩემი საწერელ მწიგნობრისა ჴელოვნისა(1). როგორც ლერწამია იარაღი, როცა მას გამოცდილი ხელი დასაწერის მოსახაზად ამოძრავებს, ასევე ენა მართლისა, ამოწებული არა მელანში, არამედ სულში ცხოველი ღმრთისა, რაჟამს მას

სულიწმიდა ამოძრავებს, მორწმუნეთა გულებზე საუკუნო სიცოცხლის სიტყვებს გამოსახავს. ამრიგად, მწიგნობარია სულიწმიდა, რადგანაც ბრძენია და ყველას განმსწავლელი და სწრაფი მწიგნობარიცაა, რამდენადაც აზრიც სწრაფად მოძრაობს. სული აზრებს ხომ ჩვენში არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ხორციელისასა წერს(IIკორ.3,3); სული გულებში ხან ბევრსა წერს და ხან კიდევ ცოტას, შესაბამისად გულის სივრცელისა და ხან მკაფიოდ და ხანაც გაურკვევლად, იმისდა მიხედვით, როგორ გავწმინდეთ იგი წინასწარ. წერის სისწრაფის წყალობით უკვე მთელი სამყარო სახარებითაა ავსებული.

მომდევნო სიტყვები, როგორც მე მეჩვენება, რაღაც განსაკუთრებული სათქმელის დასაწყისად უნდა მივიღოთ და არ დავუკავშიროთ იმას, რაც წინ უსწრებდა, არამედ მომდევნოს მივაკუთვნოთ, რადგანაც სიტყვები **შუენიერ სიკეთითა**, როგორც ამას პირის შეცვლა მაფიქრებინებს, ღმერთზეა ნათქვამი.

4. **შუენიერ სიკეთითა უფროჲს ძეთა კაცთასა; განეფინა მადლი ბაგეთა შენთა**(2). ამ აზრამდე ჩვენ აკვილასსა და სიმმახოსს მივყავართ. ერთი ამბობს: შენ კაცთა შორის ყველაზე მეტად ხარ შემკობილი სილამაზით, ხოლო სიმმახოსი: შენ მშვენიერი ხარ უფროის ადამის ძეთა. ამიტომაც **შუენიერს სიკეთითა** წინასწარმეტყველი უფალს უწოდებს. დაჟინებით უჭვრეტს რა მის ღმრთეებრიობას, მის ხორციელ სილამაზეს როდი უმღერის, რადგანაც **ვიხილეთ იგი და არა აქუნდა სახე მისი, არცა სიკეთე, არამედ სახე მისი უპატივო და მოკლებული უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა**(ეს.53,2-3). აქედან ცხადია, რომ წინასწარმეტყველი უჭვრეტს რა უფლის სხივმოსილებას, მისი ბრწყინვალებით მოცული, ამ სიკეთით სულშეძრული ღმრთეებრივი სიყვარულით წარემართება გონებით მოაზრებული სილამაზისაკენ. ხოლო როცა იგი ადამიანის სულში გაცხადდება, რაც კი მანამდე უყვარდა, საძაგლად და არად ჩასაგდებად წარმოუდგება. ამიტომ პავლემაც, რაჟამს მან სათნოების წყალობით ეს სილამაზე იხილა, ყოველივე **ნაგევად შერაცხა, რათა ქრისტე შეეძინა**(ფილპ.3,8). თუმცა ჭეშმარიტების სიტყვის გარეშე მდგომნი, ამცირებენ რა წმიდა წერილს სადა მეტყველებისა გამო, სახარების მოძღვრებას სისულელეს უწოდებენ, მაგრამ ჩვენ, რომელნიც ქრისტეს ჯვრით ვამაყობთ და რომელთაც სულმა განგვიცხადა, რომ ღმრთისაგან გვეხარა **არა სწავლულებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა**(Iკორ.2,13), ვიცით, რომ მოძღვრებაში ქრისტეზე ღმრთისაგან მადლი გულუხვად გადმოგვეღვარა. ამ მოძღვრებამ მცირე დროში თითქმის მთელი ქვეყანა იმიტომაც მოიარა, რომ მოციქულებზე, რომელთაც წმიდა წერილი ქრისტეს ბაგეებს უწოდებს, მადლი უხვად და უშურველადაა გადმოსული. ამიტომაც სახარების მოძღვრებაში, ზოგიერთთა მიერ აბუჩად აგდებული მრავალი ისეთი გამონათქვამია, რომელსაც ხსნისაკენ მივყავართ. ყოველი სული ჯერ გარდაუვალი დოგმებით დაიძლევა, ხოლო შემდეგ ქრისტეს ურყევი რწმენის მადლით განმტკიცდება. ამიტომაც ამბობს მოციქული: **რომლისაგან მოვიღეთ მადლი და მოციქულებაჲ დასამორჩილებელად სარწმუნოებისა**(რომ.1,5)

და კიდევ: **უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ; არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელ იყო ჩემ თანა**(Iკორ.15,10).

5. **განეფინა მადლი ბაგეთა შენთა. ამისთჳს გაკურთხა შენ ღმერთმან უკუნისამდე**(ფს.44,2). სახარებაში წერია: **უკვირდა სიტყუა ამათ ზედა მისთა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა**(ლკ.4,22). ამიტომ ფსალმუნი, რათა უფრო ნათლად წარმოადგინოს ჩვენი უფლის სიტყვებში სიმრავლე მადლისა, გამომსახველად ამბობს: **განეფინა მადლი ბაგეთა შენთა**, რადგანაც მადლი სიტყვისა დაულევნელია. როცა ამბობს: გაკურთხა შენ ღმერთმან უკუნისამდე, ცხადია, რომ ეს სიტყვები უფლის კაცობრივ ბუნებას ეკუთვნის, რადგან სწორედ იგი **წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა**(ლკ. 2,52). აქედან ცხადია, მხოლოდ როგორც კაცთან მიმართებაში უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ მას მადლი ქველი საქმეებისათვის ჯილდოდ მიეცა. მსგავსად ამისა უნდა გავიგოთ სიტყვები: **შეიყუარე სიმართლე და მოიძულე უსჯულოებაჲ; ამისთვის გცხო შენ ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა უმეტეს მოყუასთა შენთა**(7). ამ გამონათქვამებთან ახლოს დგას ის სიტყვებიც, რომელიც პავლე მოციქულმა მისწერა ფილიპელებს: **დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე და სიკუდილითა მით ჯჯუარისათა, ამისთჳსცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა**(ფილპ.2,8-9). ასე რომ, ცხადია, ეს სიტყვები მაცხოვარზე, ვითარცა კაცზეა, ნათქვამი, ან: რამდენადაც ეკლესია სხეულია უფლისა, ხოლო იგი თავია ეკლესიისა, და რამდენადაც, როგორც ვთქვით, მსახურები ზეციური **სიტყვისა** ბაგეებია ქრისტესი(როგორც მაგალითად, პავლეში ქრისტე მეტყველებდა(2კორ.13,3) და ასეა ყველაში, ვინც კი სათნოებით პავლეს ემსგავსება), ამდენად ჩვენც, მორწმუნენიც, თითოეული ცალ-ცალკე, ქრისტეს სხეულის დანარჩენ ნაწილებს წარმოვადგენთ და არ შესცოდავს ის, ვინც ეკლესიისათვის მიცემულ კურთხევას თავად უფალზე გადაიტანს. ამიტომ სიტყვები **გაკურთხა შენ ღმერთმან** ნიშნავს: ნაწილები შენი და სხეული შენი ღმერთმა უკუნისამდე, ანუ დაუსრულებლად თავისი სიკეთით აღავსო.

შეიბ მახჳლი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა(3). ვფიქრობ, ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით ღმრთის ცხოველ **სიტყვაზეა** ნათქვამი, რათა იგი ხორცს შეუერთდეს, **სიტყვაზე**, რომელიც **არს ძლიერ და უმკუეთელეს უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორპირისა: და მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჯნველისა და სულისა, ნაწევართა და ტჳნთა და განმკითხველ გონებათა და ზრახვათა გულისათა**(ებრ.4,12). რამდენადაც წელი სიმბოლოა შობის ძალისა, ამდენად ნათქვამია: **ეს სულები იაკობის წელისაგან გამოსულნი...**(დაბ.46,26), უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც არის სიცოცხლე, გზა, პური, ვენახი, ნათელი ჭეშმარიტი და კიდევ სხვა მრავალი სახელით იწოდება, მახვილიცაა, რომელიც სულს ვნებებს ჩამოჰკვეთს და ავხორცული ჟინის მოძრაობას ასამარებს.

შემდეგ: რამდენადაც სიტყვა – ღმერთი უძლურ ხორცს შეუერთდა, ამდე-

ნად ფრიად დროულადაა ჩართული სიტყვა **ძლიერო;** უდიდესი დამამტკიცებელი საბუთი ძლიერებისა სწორედ ისაა, რომ ღმერთს კაცობრივ ბუნებასთან შეერთება შეუძლია. სიტყვა – ღმერთის ძლიერებას იმდენად ზეცისა და დედამიწის, ზღვის, ჰაერის, უდიდესი სტიქიებისა და ყოველივესი, რასაც კი მიწისზედა და მიწისქვეშა სამყაროში მოვიაზრებთ, შექმნა არ ამტკიცებს, რამდენადაც განკაცების განგებულება და გარდამოსვლა დამდაბლებულსა და უძლურ კაცობრიობამდე.

შუენიერებითა და სიკეთითა შენითა. მშვენიერება განსხვავდება სიკეთისაგან. მშვენიერი ეწოდება მას, რაც თავის დროზე სრულ აყვავებას მიაღწევს, როგორც, მაგალითად, მშვენიერია ხორბალი, როცა იგი მკისთვის დამწიფდება. მშვენიერია ნაყოფიც ვაზისა, რომელიც წელიწადის დროების დინებასთან ერთად სიმწიფით გასრულდება და გამზადდება, რათა ვიგემოთ. სიკეთე კი აგებულების ნაწილთა სიმწყობრეა, რაც მას მიმზიდველობას ანიჭებს.

შეიბ მახჳლი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა, ანუ მაშინ, როცა ჟამი გასრულდება და **სიკეთითა შენითა,** ანუ სახილველი და გონებით განსაჭვრეტი ღმრთეებრიობით; რადგანაც Ⴗგი მართლაც არის სიკეთე, აღმატებული ყველა კაცობრივ მიხვედრასა და ყველა კაცობრივ ძალაზე და მხოლოდ გონებით განიჭვრიტება.

სიკეთე მისი მოწაფეებმა შეიცნეს, რომელთაც იგი განმარტოებისას იგავებს განუმარტავდა. პეტრემ და ძეთა ქუხილისათა მთაზე იხილეს მისი სიკეთე, რომელიც მზის ნათელზე უფრო ბრწყინავდა და ღირსნი შეიქნენ თვალით ეხილათ მისი დიდებით მოსვლის დასაწყისი.

და გარდააცუ და წარემართე და სუფევდი(4), რაც ნიშნავს: შეუდექი რა განკაცებით ზრუნვას ადამიანებზე, ეს ზრუნვა გააძლიერე, მარადიულად აქციე და არასოდეს შეასუსტო, რადგანაც ეს გზას გაუკაფავს და წარმატებას მიანიჭებს ქადაგებას და შენს მეუფებას, ყველას დაუმორჩილებს. დაე, ნუ გაგვაოცებს, რომ ბრძანებლურადაა ნათქვამი **წარემართე**, ჩვეულებისამებრ წმიდა წერილისა, რომელიც სასურველს ყოველთვის ამ ფორმით გამოხატავს: **იყავნ ნება შენი** ნაცვლად – ნეტავ, იყოს ნება შენი, **მოვედინ სუფევაჲ შენი** ნაცვლად – ნეტავ, მოვიდეს სუფევა შენი.

6. **ჭეშმარიტებისათჳს და სიმშჳდისა და სიმართლისა; და გიძღოდის შენ საკჳრველად მარჯუენაჲ შენი**(4). ფსალმუნი ისევ წინას მსგავს ხერხს იყენებს მეტყველებისა, – თითქოსდა ამას, ანუ წარმართვასა და სუფევას, უფალი საზღაურად მიიღებს ჭეშმარიტებისა, სიმშვიდისა და სამართლიანობისათვის, რაც ამგვარად უნდა გავიაზროთ: რადგანაც კაცთა შორის ყოველივე სიცრუედ გარდაიქცა, სიმართლის დასათესად იმეუფე ადამიანებზე, რომლებზეც ცოდვა მეუფებს, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტება.

სიმშჳდისათვის – რათა შენი მაგალითით ყველა სიმართლესა და სიმშვიდესთან მივიდეს: **ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა**(მთ.11,29).

სიმშვიდის მაგალითი კი მან თავისი საქმეებით გვაჩვენა: კიცხავდნენ და დუმდა, სცემდნენ და ითმენდა. **და გიძღოდის შენ საკვრველად მარჯუენაჲ შენი.** არცა სვეტი ღრუბლისა და არცა ბრწყინვალება ცეცხლისა, არამედ საკუთარი მარჯვენა იქნება შენი წინამძღოლი.

ისარნი შენნი ლესულ არიან, ძლიერო(5). წამახული ისრები ძლიერისა, – ეს სხარტი სიტყვებია, რომელნიც შეაღწევენ რა მსმენელთა გულებში, მგრძნობიარე სულებს განგმირავენ და ჭრიან, რადგანაც ნათქვამია: **ბრძენთა სიტყვები წვერწამახული სოლებია**(ეკკლ.12.11). ამიტომაც ფსალმუნების მგალობელიც, ივედრებოდა რა ადრე დახსნას მისი თანამედროვე ცბიერი ადამიანებისაგან, ახლა განსაკურნებლად ცბიერი ენისა, წამახულ ისრებს ითხოვს. მაგრამ ითხოვს, აგრეთვე, **ნაკუერცხლებსაც ოჴრებისათა**(ფს.119,4), რადგანაც მათთვისაც, რომელთაც გაქვავებული გულები აქვთ და სიტყვის ისრები ვერ ხვდებიან, განმზადებულ იყოს სასჯელი, რომელსაც მან **ნაკუერცხალნი ოჴრებისათა** უწოდა. მათთვის, რომელთაც თავიანთი თავი თვითონ განაშორეს ღმერთს, მართლაც რომ აუცილებელია მომზადება **ნაკუერცხალთა ოჴრებისათა**. ახლა კი, **ისარნი შენნი ლესულ არიან**. ამ ისრებით იჭრებიან სულები, რომელთაც რწმენა მიიღეს და ღმრთის ძლიერი სიყვარულით იწვიან. ისინი საპატარძლოს მსგავსად ამბობენ: **დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა**(ქებ.2,4). მიუთხრობელი და გამოუთქმელია სიკეთე სიტყვისა, მშვენიერება სიბრძნისა და სახე საღმრთო ხატისა, ამიტომაც ნეტარნი არიან მოყვარულნი მშვენიერების ჭვრეტისა. ვითარცა მასთან სიყვარულით შეერთებულნი, უყვართ რა ზეციური და ნეტარი სიყვარულით, ივიწყებენ შინაურებსა და მეგობრებს, ივიწყებენ სახლსა და მამულს და არ ახსენდებათ თვით ისეთი აუცილებელი მოთხოვნილებანიც კი სხეულისა, როგორიცაა ჭამა და სმა და ერთ ღმრთეებრივსა და წმიდა სიყვარულს ერთგულობენ. ისიც შეიძლება, ალესილ ისრებში მთელს სამყაროში სახარების სწავლებათა დასათესად წარგზავნილნიც მოიაზრებოდეს, რომელნიც სიმართლის საქმეებით ალესულნი ბრწყინავდნენ და მსმენელთა გულებში ფაქიზად აღწევდნენ. ყოველ მხარეს წარგზავნილმა ამ ისრებმა ხალხები ქრისტეს ფერხთა ქვეშ დასაცემად მოამზადეს.

მაგრამ მე მეჩვენება, რომ სიტყვების გადასმის შედეგად სათქმელი უფრო თანმიმდევრული გახდება და ამგვარი აზრი ექნება: **გარდააცუ და წარემართე და სუფევდი და გიძღოდის შენ საკვირველად მარჯვენაჲ შენი** და ისინი შენ ქუეშე დაეცნენ, რადგანაც **ისარნი შენნი ლესულ არიან გულთა შინა მტერთა მეუფისა.**

არც ერთი იმათგანი, რომელიც ღმერთს ებრძვის, ამპარტავანი და ქედმაღალი, არ დაემხობა წინაშე ღმრთისა, არამედ დაემხობიან მხოლოდ ისინი, რომელთაც რწმენისაგან მორჩილება ისწავლეს. ოდესღაც მეუფის მტერთა გულებში მოხვედრილი ისრები კი, მათ ჭეშმარიტების წყურვილს უღვიძებენ და უფლისაკენ ეზიდებიან, რათა ყოფილი მტრები ღმრთისა, სწავლების შედეგად, მას შეურიგდნენ.

7. **საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე, კუერთხი განგებისაჲ და კუერთხი სუფევისა შენისაჲ. შეიყუარე სიმართლე და მოიძულე უშჯულოებაჲ; ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა**(6-7). რამდენადაც წინასწარმეტყველმა ქრისტეზე, ვითარცა კაცზე, უკვე ბევრი ილაპარაკა, ახლა სიტყვა მხოლოდშობილის დიდების სიმაღლეზე აჰყავს. საყდარი შენი ღმერთო, ამბობს იგი, უკუნითი უკუნისამდე, ანუ მეფობა შენი საუკუნეებით არ შემოისაზღვრება და ყოველგვარ აზრზე უწინარესია. წინასწარმეტყველი სწორედ დროულად, ხალხების დამორჩილების შემდეგ, უმღერის დიდებულებას ღმრთის მეუფებისა. **კუერთხი განგებისა და კუერთხი სუფევისა შენისა**. ამიტომაც მისცა მას მისი საკუთარი სახელი, გარკვევით უწოდა რა ღმერთი: **საყდარი შენი, ღმერთო**; კვერთხს ღმრთისას გონზე მოვყავართ, მაგრამ შეგონებას მართალი და არა მრუდე სამსჯავროც მოჰყვება. **ამიტომაც** ეწოდება მას **კუერთხი განგებულებისა და კუერთხი სუფევისა მისისა.**

და-თუ-უტეონ შვილთა მათთა შჯული ჩემი და სამართალთა ჩემთა არა ვიდოდიან, განვიხილნე კუერთხითა უშჯულოებანი მათნი და გუემითა უსამართლობანი მათნი(ფს.88,30-32). ხედავ სამართლიან სამსჯავროს ღმრთისას? მაგრამ ყველასათვის როდი გამოიყენება კვერთხი, არამედ მხოლოდ ცოდვილებისათვის. მაგრამ ეს კვერთხი ნუგეშინისმცემლადაც იწოდება, რადგანაც ნათქვამია: **კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამათ ნუგეშინის მცეს მე**(ფს.22,4). ამასთან იგი შემუსვრის კვერთხიცაა. **ჰმწყსნე იგინი კუერთხითა რკინისაჲთა და ვითარცა ჭურნი მეკეცეთანი შეჰმუსრნე იგინი**(ფს.2,9), რაც თიხისაგანია და ხრწნადი, დასამწყემსთა სიკეთისათვის შეიმუსრება, რადგანაც მიეცემა **სატანჯველად ჴორცითა, რაჲთა სული ცხონდეს**(1კორ.5,5).

8. **ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა**(7). რადგანაც წინასწარ გამომსახველ საცხებელს იმაზე უნდა მიეთითებინა, რომ თვითონ მღვდელმთავრებიცა და მეფენიც წინასწარ გამოსახვას წარმოადგენდნენ, სხეულს უფლისას მასზე სულიწმიდის გარდამოსვლით ჭეშმარიტი საცხებელი ეცხო, რომელსაც **საცხებელი სიხარულისაჲ** ეწოდება. მას უმეტეს მოყუასთა, ანუ ყველა იმ ადამიანზე მეტად ეცხო, რომელნიც ქრისტეს იყვნენ ნაზიარებნი, რადგანაც ჩვენ მხოლოდ რაღაც ზომით ვეზიარებით სულიწმიდას, ხოლო ღმრთის ძეზე გადმოსული სულიწმიდა, როგორც იოანე ამბობს: **დაადგრა მას ზედა**(ინ.1,32). მშვენივრად უწოდა სულიწმიდას **საცხებელი სიხარულისაჲ**, რადგან სულიწმიდის მოწეულ ნაყოფთაგან ერთ-ერთი სწორედ სიხარულია. რამდენადაც წინასწარმეტყველის სიტყვა მაცხოვარზე ამავე დროს მის ღმრთეებრივ ბუნებასა და განკაცების განგებულებასაც ეხება, ამიტომაც მიაპყრობს რა კვლავ მზერას ღმერთკაცის კაცობრივ ბუნებას, ამბობს: **შეიყუარე სიმართლე და მოიძულე უშჯულოებაჲ**, ნაცვლად ამისა: თუ დანარჩენი ადამიანები ხშირად შრომით, ჯაფით, ზრუნვით

აღწევენ სიკეთის განწყობასა და ბოროტისაგან მოქცევას, შენ სიკეთესთან ბუნებრივი ნათესაობა გაქვს და უშჯულოება უცხოა შენთვის. თუკი მოვისურვებთ, ჩვენთვისაც როდია ძნელი შევიძინოთ სიყვარული სიმართლისა და სიძულვილი უშჯულოებისა, რადგანაც ღმერთმა გონიერ სულს, მისდა სასარგებლოდ, ყოველგვარი ძალა, – როგორც სიყვარულისა, ასევე სიძულვილისა მიანიჭა, რათა გონებით წარმართულებმა შევიყვაროთ სათნოება და ბოროტება მოვიძულოთ, არის ხომ შემთხვევა, როცა სიძულვილის გამოჩენა საქებიცაა: **ანუ არა მოძულენი შენნი, უფალო, მოვიძულენ და მტერთა შენთა ზედა განვკფდი? სიძულვილითა სრულითა მოვიძულენ**(ფს.138,21-22).

9. **მური და შტახსი და კასიაჲ სამოსელთაგან შენთა, ტაძართაგან პილოჲს ძუალისათა, რომელთა გახარეს შენ. ასულნი მეუფისანი პატივითა შენითა**(8-9).

წინასწარმეტყველის სიტყვა, წინასწარ და თანმიმდევრულად აღწერს რა განგებულების საქმეებს სულიწმიდის ნათლით, რომელმაც მას დაფარული გაუმჟღავნა, ბოლოს ვნებამდეც მიდის, რადგანაც ნათქვამია: **მური და შტახსი და კასიაჲ სამოსელთაგან შენთა**. მური რომ საფლავის სიმბოლოა, ამას ჩვენ იოანე მახარებელი გვასწავლის, როცა ამბობს, რომ იოსებ არიმათიელმა დასაფლავებისას მური და ალოე გამოიყენა(ინ.19,39). შტახსი კი უწვრილესი სახეა მურისა; ამ სურნელოვანი ნივთიერების გამოწურვისას გამოყოფილი სითხე შტახსია, ხოლო დარჩენილ სქელ მასას მური ეწოდება. ამიტომაც, მისი ტანჯვის მიზეზით, კეთილსურნელება ქრისტესი იფრქვევა ვითარცა მური და ვითარცა შტახსი, რადგანაც იგი სამი დღისა და ღამის განმავლობაში უძრავად და უმოქმედოდ კი არ დარჩენილა, არამედ ჯოჯოხეთში შთახდა აღდგომის განგებულებისათვის, რათა ყოველივე რაც საჭირო იყო, აღესრულებინა. სურნელებას აფრქვევს კასიათითაც, რადგანაც კასია ფრიად თხელი და სურნელოვანი ქერქია, რომლითაც ხის ტანია დაფარული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კასიას მოხსენიებით ფსალმუნმა ღრმააზროვნად და ბრძნულად მიგვითითა ჯვარზე ტანჯვაზე, რომელიც **მან** თავს იდო ყოველი ქმნილების სასიკეთოდ. ამიტომაც ხედავ მურს, რადგანაც იგი დაასაფლავეს, შტახსს, რადგანაც იგი ჯოჯოხეთში შთახდა(რამდენადაც მისი ყველა წვეთი ქვემოთ მიექანება) და კასიას, იმ განგებულებისა გამო, რომელიც მან ჯვარზე ხორცით აღასრულა.

ამისათვის, ამბობს წინასწარმეტყველი, **გახარეს შენ ასულთა მეუფისათა პატივითა შენითა**. მაგრამ ვინ უნდა იყვნენ ეს ასულნი თუ არა კეთილშობილი, დიადი და მეფური სულები? რაჟამს მათ კაცებამდე დამდაბლებული ქრისტე შეიცნეს, ახარეს **მას პატივითა მისითა,** ადიდეს რა მისი ღმრთეებრიობა ჭეშმარიტი სარწმუნოებითა და სრულყოფილი სიყვარულით. ამ კეთილსურნელებაზე, ანუ იგავურ სიტყვასა და მოძღვრების გამართულობაზე, წინასწარმეტყველი ამბობს, რომ ისინი ძუნწად როდი იყვნენ წარმოდგენილნი ქრისტეს სამოსელზე, არამედ განფენილნი მთელს შენობაში, რადგანაც ტაძრებში დიდ ნაგებობებს გულისხმობს, ხოლო იმით, რომ ისინი სპილოს ძვლისაგან იყვნენ

ნაგებნი, ვფიქრობ, წინასწარმეტყველი სამყაროსადმი ქრისტეს სიყვარულის სიმდიდრეს გვაჩვენებს.

დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად(9). ამჯერად წინასწარმეტყველი უკვე ეკლესიაზე საუბრობს, რის შესახებაც **ქება ქებათა** გვატყობინებს, რომ ერთ არს **ტრედი სრული**(ქებ.6,8) ქრისტესი, რომელიც კეთილი საქმეებით განთქმულებს ქრისტეს მარჯვნივ მიიღებს და მათ, ვითარცა მწყემსი ცხოვარს თხისაგან, უკეთურთაგან გამოარჩევს. ამგვარად წარდგება დედოფალი, ე. ი. უცოდველი სული, სიძე-სიტყვასთან შეუღლებული და ნაზიარები ქრისტეს სამეფოსთან, წარდგება მარჯვენით მაცხოვრისა სამოსლითა ოქროქსოვილითა ანუ სულიერ მოძღვრებათა მრავალფეროვანი ქსოვილით დიდებულად და წმინდად მოკაზმული. რამდენადაც დოგმატები ერთგვარნი როდია, არამედ ნაირ-ნაირი და მრავალფეროვანი. თავის თავში მოიცავენ რა ზნეობრივ, ბუნებისმეტყველურსა და საიდუმლოთა სწავლებებს, ამიტომაც, როგორც ფსალმუნი ამბობს: ფერად-ფერადია სამოსელი პატარძალისა.

10. ისმინე, ასულო, და იხილე, და მოყავ ყური შენი, და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაჲ; და გულმან უთქუას მეუფესა სიკეთისა შენისაჲ, რამეთუ იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი და თაყუანის-სცე მას(10-11). ეკლესიას მოსმენისა და მცნებათა დაცვისაკენ მოუწოდებს და მოიხსენიებს რა მას ასულად, ამ სახელწოდებით თვისობრივად იახლოვებს და სიყვარულით თითქოსდა ასულის უფლებას ანიჭებს. **ისმინე ასულო და იხილე**. სიტყვით **იხილე** ასწავლის მას, ჰქონდეს ჭვრეტისათვის გაწვრთნილი გონება; მიმართავს: შეიცანი ქმნილება და მასში სახილველი წესრიგის შემწეობით შემოქმედის ჭვრეტამდე ამაღლდი. შემდეგ: მოადრეკინებს რა სიამაყის მაღალ ქედს, ეუბნება: **მოყავ ყური შენი**. გარეშე თქმულებებისაკენ ნუკი ილტვი, არამედ თავმდაბლური სიტყვა სახარების მოძღვრებისა შეიწყნარე. **მოყავ ყური შენი** მისით ნაქადაგები მოძღვრებისადმი, რათა უკეთური ადათები და მამისეული სწავლანი დაივიწყო. ამიტომაც **დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაჲ.** ყველა ხომ, **რომელმან ქმნის ცოდვაჲ, ეშმაკისაგან არს**(1ინ.3,8). განაგდე, ეუბნება, დემონური სწავლანი, დაივიწყე მსხვერპშეწირვანი, ღამეული ფერხულები, იგავები, რომელნიც მრუშობისა და ყოველგვარი უწმინდურობისათვის აღაგზნებენ. ჩემი ასული იმიტომაც გიწოდე, რომ მოიძულო პირველი მამა, რომელმაც შენ წარსაწყმედელად გშვა. დავიწყებით ხომ უკეთურ სწავლებათა ლაქებსაც წარიხოც და დაიბრუნებ რა შენს საკუთარ სილამაზეს, სიძისა და მეუფისათვის სასურველი აღმოჩნდები.

იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი და თაყუანის სცე მას. სიტყვებით – **იგი არს უფალი შენი,** წინასწარმეტყველი გვიჩვენებს, რომ მორჩილება აუცილებელია. მას ხომ ყველა ქმნილება თაყვანს სცემს, **რაჲთა სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი**(ფილპ.2,10).

და ასულმანცა ტკროსისმან ძღუნითა; პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერისანი(12). როგორც ჩანს, ქანაანელთა ქვეყანაში კერპებს განსაკუთრებული გულმოდგინებით ემსახურებოდნენ, ხოლო ტვიროსი დედაქალაქია ქანაანისა. ამიტომაც ფსალმუნი, როცა ეკლესიას მორჩილებისაკენ მოუწოდებს, ამბობს, რომ ოდესმე მასთან ტვიროსის ასულიც მივა ძღვენით და პირსა მისსა **მდიდარნი ერისანი** სცემენ თაყვანს ძღვენით. ის კი არ უთხრა: შენ გცემენო თაყვანს ძღვენით, არამედ **პირსა შენსაო**, რადგანაც ეკლესია კი არ იქნება თაყვანცემული, არამედ თავი ეკლესიისა ქრისტე, რომელსაც წმიდა წერილი პირს უწოდებს.

11. **ყოველი დიდებაჲ ასულისა მეუფისა შინაგან, ფესუედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად. მიერთუნენ მეუფესა ქალწულნი**(13-14). რამდენადაც იგი ძველ სწავლებათა ბიწიერებისაგან განიწმინდა, შეგონებას დაემორჩილა და დაივიწყა ერი თვისი და სახლი მამისა თვისისა, სულიწმიდა მის შესახებ მოგვითხრობს და ხედავს რა მის დაფარულ სიწმინდეს, ამბობს, რომ ყოველი დიდებაი **ასულისა მეუფისა** ანუ ქრისტეს სასძლოსი, რომელიც შვილის მდგომარეობით უკვე მეუფის ასულად იქცა, შიგნითაა. ფსალმუნი გვარწმუნებს, შევაბიჯოთ ეკლესიის დიდების უშინაგანეს საიდუმლოში, რადგანაც პატარძლის სილამაზე შინაგანია. ვინც კეთილად ირთვება მამისათვის, რომელიც დაფარულსაც ხედავს(მთ.6,4), ლოცულობს და ყველაფერს აკეთებს არა იმისათვის, რომ ადამიანებს აჩვენოს, არამედ იმისათვის, რომ მხოლოდ ღმერთმა იხილოს, მისი ყოველი დიდება შინაგნია, როგორც მეუფის ასულისა. ამიტომაც ოქროვანფოჩებიანი სამოსიც, რომლითაც იგი პირად-პირადადაა შემოსილი, შიგნითაა. ნურაფერს მოძებნი გარეგნულ ოქროსა და სხეულების მრავალფეროვან მორთულებაში, არამედ წარმოიდგინე შესამოსელი, რომელიც ღირსეულად ამკობს შემოქმედის ხატად შექმნილ ქმნილებას. როგორც მოციქული ამბობს: **განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა**(კოლ.3,9-10). ვინც **მოწყალებაჲ, შეწყნარებაჲ, სიტკბოებაჲ, სიმდაბლე, სიმშვიდე, სულგრძელებაჲ**(იქვე,12) შეიმოსა, იგი შინაგანადაა შემოსილი და მორთულიც სწორედ მისი შინაგანი კაცია.

მოციქული პავლე გვირჩევს(რომ. 13,14), რომ ქრისტე შევიმოსოთ არა გარეგნულად, არამედ ისე, რომ ჩვენი გონება მთლიანად ღმრთის ხსოვნამ მოიცვას. ვფიქრობ, სულიერი სამოსელი მაშინ მოიქსოვება, როცა სამოძღვრებო სიტყვას მისი შესაფერისი საქმენიც შეუერთდება. ისევე როგორც ქსელის დაწვნით სხეულის სამოსელი იქსოვება, ასევე, როცა წინასწარ ნათქვამს მისი შესაფერისი საქმენი მოსდევს, მზადდება მშვენიერი სამოსელი სულისათვის, რომელიც სიტყვითაც და საქმითაც სრული სათნოებით ცხოვრობს. სამოსელზე შემოვლებული ფოჩებიც სულიერი აზრით უნდა გავიგოთ, ამიტომაც ეწოდებათ ოქროვანნი. რადგანაც სიტყვა საქმეზე ვრცელია, იგი თითქოს რაღაც ფოჩებს შეადგენს, რომელნიც საქმიანობის ქსოვილზე უვრცელესია. უფლის სასძლოს

ზოგიერთი სულიც მოსდევს, რომელთაც უცხო სწავლების თესლი არ მიიღეს. აცილებენ რა პატარძალს, ისინიც მეუფეს წარუდგებიან. დაე, ისმინონ მათ, რომელთაც უფალს ქალწულების აღთქმა მისცეს, რომ მეუფესთან ქალწულები მივლენ, მაგრამ მხოლოდ ის ქალწულები, რომელნიც ეკლესიასთან არიან ახლო და მას მისდევენ და არა ისინი, რომელნიც ეკლესიური კეთილმოწესეობისაგან მიიქცნენ.

მიგერთუნენ შენ(ქალწულნი) გალობითა და სიხარულითა და შეიყვანნენ იგინი ტაძარსა მეუფისასა(15) არა ისინი, რომელთაც ქალწულება იძულებით დაიცვეს და არცა ისინი, რომელთაც მწუხარებისა ან გარდუვალობის გამო შეიწყნარეს წმინდა ცხოვრება, არამედ ისინი მიერთმევიან მეუფესა და შევლენ არა რომელსამე ჩვეულებრივ სამყოფელში, არამედ ტაძარსა მეუფისასა, რომელნიც ამ წარმატებისა გამო მხიარულებითა და სიხარულით ტკბებიან. ამ წმინდა ჭურჭელთ, რომელნიც ადამიანურ მოთხოვნილებებს არ წაუბილწავს, წმიდათაწმიდაში შეიტანენ და მიეცემათ უფლება იმ ტაძარში შეღწევისა, სადაც უწმინდურთა ფერხნი ვერ შეაბიჯებენ. ხოლო თუ რამდენად მნიშვნელოვანია იქნე შეყვანილი ტაძარში მეუფისა, ამას წინასწარმეტყველი მაშინ გვაჩვენებს, როცა საკუთარი თავისთვის ევედრება და ამბობს: **ერთი ვითხოვე უფლისაგან, ესევე ვითხოვო: დამკჳდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ხილვად ჩემდა შუენიერებაჲ უფლისაჲ და მოხილვად ტაძარი მისი**(ფს.26,4).

12. **მამათა შენთა წილ იქმნეს შვილნი შენნი და დაადგინნე იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა**(16). რამდენადაც ზემოთ ხალხისა და მამის სახლის დავიწყება ბრძანა, ახლა ჯილდოდ მორჩილებისა, მამათა ნაცვლად შვილებს იწყნარებს, ოღონდ იმგვარი ღირსებებით შემკულთ, რომ ისინი მთავრებად დადგინდებიან ყოველსა ქვეყანასა ზედა. ვინ არიან ეს შვილები ეკლესიისა? ესენი არიან ძენი სახარებისა, რომელთაც მთელი დედამიწა დააპურეს, რადგანაც ნათქვამია: **მთელ სამყაროში გაისმება ქადაგება მათი და: დასხდებიან ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა**(მთ.19-28); ხოლო უკეთუ საპატარძლოს მამებს მამათმთავართა შორის ვიგულისხმებთ, სიტყვა ვერც მაშინ აუვლის გვერდს მოციქულებს, რადგანაც მამათმთავართა ნაცვლად ეკლესიას ქრისტესმიერი შვილები შეეძინა, რომელთაც აბრაამის საქმენი აღასრულეს და რომელნიც პატრიარქების თანაბარი პატივით სარგებლობენ იმგვარ საქმეთა აღსრულებისათვის, რომელთა გამოც მამები დიდი პატივის ღირსნი შეიქნენ. მართლაც რომ მთელი ქვეყნის მთავარნი არიან წმინდანები, რადგანაც სათნოება ახასიათებთ, ხოლო სათნოება, თავისი ბუნების წყალობით, ისევე ანიჭებს პირველობას მათ, როგორც იაკობს მიეცა ძალაუფლება ესავზე, რადგანაც ნათქვამია: **იყავ შენ უფალი ძმისა შენისა**(დაბ.27,29). ამიტომაც ისინი, რომელნიც პატივით მამებს გაუსწორდნენ და სათნოებაში ღვაწლით ყველას აღემატნენ, მართლაც შვილნი არიან ქრისტეს საპატარძლოსი და საკუთარი

დედის მიერ **ყოველსა ქვეყანასა ზედა** მთავრებად დადგენილნი. შეხედე, რა დიდია ძალაუფლება დედოფლისა, – ხელი დაასხას მთავრებს **ყოველსა ქვეყანასა ზედა.**

მოვიჴსენო სახელი შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა; ამისთჳს ერთა აღგიარონ შენ უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე(17). ყოველივესათვის დასკვნის გასაკეთებლად ეს სიტყვები: **მოვიჴსენო სახელი შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა,** – თითქოს ეკლესიის პირითაა თქმული. რას ნიშნავს ეს ეკლესიის მიერ მოხსენიება? ეს არის აღმსარებლობა ხალხებისა.

საშბარი 45-ე ფსალმუნზე

1. **დასასრულსა, ძეთა კორესთათჳს, დაფარულთათჳს ფსალმუნი.** მე მეჩვენება, რომ ეს ფსალმუნი წინასწარმეტყველებას დასასრულზე შეიცავს. იცოდა რა ამ დასასრულის შესახებ, პავლეც ამბობს: **მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მამასა**(1კორ.15,24), რადგანაც ჩვენს საქმეებს დასასრულისაკენ მივყავართ, და მასთან თითოეულს თავისი თვისების მიხედვით, – კეთილს ნეტარებისაკენ, ხოლო ბოროტს საუკუნო სასჯელისაკენ, სულიწმიდის მიერ ამ ფსალმუნში გადმოცემულ შეგონებებს მორწმუნენი კეთილი დასასრულისაკენ მიჰყავს. ფსალმუნს სწორედ ამის გამო აწერია ეპიგრაფად – **დასასრულსა**, ანუ სწავლება კაცობრივი ცხოვრების ნეტარ აღსასრულზე.

ძეთა კორესთათჳს. ეს ფსალმუნიც ნათქვამია კორეს ძეთათვის, რომელთაც სულიწმიდა ერთმანეთისაგან არ გამოყოფს, რადგანაც ისინი წინასწარმეტყველურ სიტყვებს თითქოსდა ერთსულოვნად და ერთხმად, ერთმანეთთან სრული თანხმობით წარმოთქვამდნენ, არც ერთი მათგანი არ წინასწარმეტყველებდა რაღაცა სხვას, განსხვავებულს დანარჩენებისაგან, არამედ, სიკეთის მიმართ ერთნაირი განწყობილების გამო, თანაბრად იყვნენ დაჯილდოებულნი წინასწარმეტყველების მადლით.

ფსალმუნი ნათქვამია **დაფარულთათვის**, ანუ გამოუთქმელსა და საიდუმლოდ დაფარულზე. უკეთუ ფსალმუნის ცალკეულ გამოთქმებს განიხილავ, იმასაც შეისწავლი, რაც სიტყვებში დაფარულია და იმასაც, რომ ყველას როდი აქვს ძალა განჭვრიტოს ღმრთეებრივი საიდუმლოებანი, არამედ მხოლოდ მას, ვისაც ისეთ მწყობრ ორგანოდ შეუძლია იქცეს, რომ სულიწმიდის ზემოქმედებით, ნაცვლად ფსალტირისა, სული მისი ამოძრავდეს.

ღმერთი ჩუენი შესავედრებელ და ძალ, შემწე ჭირთა შინა, რომელთა მპოვნეს ჩუენ ფრიად(ფს.45,1). ყველა ადამიანი დიდ შემწეობას საჭიროებს, რადგანაც, მისი ბუნებითი უძლურებისა გამო, თავს მრავალი მწუხარება და სიძნელე ატყდება. ამიტომ წინასწარმეტყველი ეძებს რა თავშესაფარს ყველა უბედურებისაგან, ისე თითქოს უსაფრთხო ადგილას გარბოდეს, ან, მტერთაგან თავდასხმის

მიზეზით, რომელიღაცა მტკიცე გალავნიან ციცაბო მწვერვალზე იმალებოდეს, ღმრთისაკენ ილტვის და მხოლოდ მასში ყოფნა მიაჩნია განსვენებად. თუმცაღა ყველა აღიარებს, რომ შესავედრებელი ჩვენი ღმერთია, მაგრამ მხსნელის არჩევისას მტერს ადამიანები მრავალ შეცდომაში შეჰყავს და მრავალ სიძნელესაც უქმნის. უგებს რა ხაფანგს მტერი, ხაფანგში გაბმულებს ისევ ატყუებს და აიძულებს, ვითარცა მცველს, მას მიაშურონ. ამიტომაც ადამიანებს ორმაგი უბედურება ელით: ან ძალით დატყვევება, ან კიდევ დაღუპვა ცდუნებისაგან. ურწმუნონი, დაკარგული აქვთ რა ცოდნა ჭეშმარიტი ღმრთისა, ეშმაკის მიერ მათში გამოწვეული აღრეულობის შედეგად, დემონებისა და კერპებისაკენ გარბიან. ისინიც კი, რომელთაც ღმერთი იციან, საქმეთა გარჩევისას, როცა თავისთვის სასარგებლოს ითხოვენ, შეცდომას უშვებენ, რადგანაც ითხოვენ ერთს და ის ჰგონიათ სიკეთე, თუმცაღა ხშირად სრულიადაც არ არის მათთვის სასარგებლო და გაურბიან მეორეს, ვითარცა ბოროტებას, თუმცა ზოგჯერ დიდი სარგებლობის მოტანა მათთვის სწორედ მას შეუძლია. მაგალითად: ვინმე ავად გახდა? ცდილობს რა გაექცეს სენის სიმძიმეს, ჯანმრთელობას ივედრება. ფული დაკარგა? დანაკარგზე წუხს. არადა ხშირად ავადმყოფობა სასარგებლოა, რაჟამს მას ცოდვილი გონზე მოჰყავს, ხოლო ჯანმრთელობა – მავნებელი, როცა იგი მის მფლობელს ცოდვის ჩადენაში ეხმარება. ასევე ფულიც, ზოგიერთს იგი თავგასულობაში უწევს სამსახურს, მაშინ როცა სიღატაკემ, მრავალი, ვისაც უკეთური მისწრაფებანი ჰქონდა, დააბრძენა. ამრიგად, ნუ გაექცევი იმას, რასაც არ უნდა გაექცე და ნუ ილტვი მისკენ, ვისკენაც არ უნდა ილტვოდე, არამედ გქონდეს შენ ერთი, რასაც უნდა გაექცე – ცოდვა და ერთი თავშესაფარი ჭირთაგან – ღმერთი. ნუ გექნებათ იმედი მთავართა, ნუ აიმაღლებთ თავს მერყევი ქონებით, ნუ მოგაქვთ თავი სხეულის სიძლიერით და ნუ გამოედევნებით დიდების ბრწყინვალებას. ვერც ერთი მათგანი ვერ გიხსნით ჭირთაგან, რადგანაც ყოველივე წარმავალია და ყოველივე მაცდუნებელი. **წყეული იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ**(იერ.17,5), ან რაიმე კაცობრივისა.

2. ამრიგად, **ღმერთი ჩუენი შესავედრებელი და ძალი**. ღმერთი მისთვისაა ძალა, ვისაც შეუძლია თქვას: **ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ**(ფილპ.4,13). თუმცა მრავალი იმეორებს: **ღმერთი ჩვენი შესავედრებელი** და **უფალო, შესავედრებელ მეყავ ჩვენ ნათესავითი ნათესავადმდე**(ფს.89,1), მაგრამ ფრიად მცირენი ამბობენ ამას იმავე განწყობილებით, როგორითაც წინასწარმეტყველი, რადგან მხოლოდ მცირენი არ ამჟღავნებენ გაოცებას კაცობრივ დიდებათა წინაშე, არამედ მთლიანად ღმერთზე დამოკიდებულნი, მისით სუნთქავენ და მხოლოდ მისი სასოება და რწმენა აქვთ.

თავად ჩვენი საქმენი გვამხელენ ჩვენ, როცა მწუხარებათა ჟამს ყველაფერს ვებღაუჭებით, მაგრამ არა ღმერთს. ავად გყავს ბავშვი? მკითხავს ან იმას ეძებ, ვინც უცოდველ ყრმას კისერზე უაზრო ნაწერს ჩამოჰკიდებს. ბოლოს და ბოლოს

კი ექიმთან გარბიხარ წამლისათვის და უგულებელყოფ იმას, ვისაც შენი გადარჩენა შეუძლია. სიზმარი შეგაშფოთებს? სიზმრის ამხსნელთან მიეშურები. მტერმა შეგაშინა? მფარველს კაცთა შორის ეძებ. და, საერთოდ, ყველა გასაჭირში საკუთარ თავს ამხელ იმაში, რომ სიტყვით ღმერთს უწოდებ **შესავედრებელს,** ხოლო საქმით შემწეობას უსარგებლოსა და ამაოსაგან ეძიებ. მართლისათვის კი ჭეშმარიტი შემწე ღმერთია. მსგავსად მხედართმთავრისა, რომელსაც მამაცი მეომრები ჰყავს და ყოველთვის მზადაა ღონემიხდილებს დაეხმაროს, ასევე შემწე ჩვენი და მოკავშირე ყველასი, ვინც კი ეშმაკის ვერაგობას ებრძვის, ღმერთია, უგზავნის რა მსახურ სულებს მას, ვინც ხსნას ითხოვს.

ცხოვრებაში ჭირი ყველა მართალს პოულობს მის მიერ გაკეთებული არჩევანის გამო, რადგანაც ჭირნი სწორედ იმათი ხვედრია, ვინც განიერსა და ფართო გზას გვერდი აუქცია და ვიწროსა და ნაღვლიანს დაადგა. ცოცხლად გამოხატა რა ეს ჭეშმარიტება, წინასწარმეტყველი ამბობს: **შემწე ჭირთა შინა, რომელთა მპოვნეს ჩუენ ფრიად**(ფს.45,2). ჭირნი ჩვენ, ვითარცა სულიერ ცხოველებს, გვიჭერენ და ჩვენში მოთმინებას, მოთმინების წყალობით გამოცდილებას, გამოცდილებით კი სასოებას აყალიბებენ. ამიტომაც ამბობს მოციქული: **მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა**(საქმ.14,22) **და მრავალ არიან ჭირნი მართალთანი**(ფს.33,20); მაგრამ ვინც გასაჭირის განსაცდელი მხნედ და უშფოთველად დაითმინა, იგი ამბობს: **ამას ყოველსა ზედა ვსძლევთ ჩუენ მის მიერ, რომელმანცა-იგი შემიყუარნა ჩუენ**(რომ.8,37) და რამდენადაც შორსაა იმისგან, რომ არა თუ უარი თქვას გასაჭირზე და შეეშინდეს მისი, არამედ, პირიქით, მრავალ უბედურებას ქების საბაბადაც კი აქცევს, ამბობს: **არა ხოლო ესე, არამედ ვიქადითცა ჭირთა შინა**(რომ.5,3).

3. **ამისთჳს არა მეშინოდეს ჩუენ ძრვასა ქუეყანისასა და ცვალებასა მთათასა, გულთა ზღუათასა**(ფს.45,3), წინასწარმეტყველი ქრისტეს მიმართ სასოების დიდ სიმტკიცეს გვაჩვენებს. თუნდაც ყოველი უკუღმა დადგეს, ამბოხებული დედამიწა ამოტრიალდეს, მთებმა თავიანთი საფუძველი დატოვონ და ზღვის შუაგულში ჩადგნენ, არ შეეშინდება, რადგანაც ჰყავს ღმერთი შესავედრებელი, **ძალი და შემწე ჭირთა შინა, რომელთა მპოვნეს ჩუენ ფრიად.**

ვისა აქვს ისეთი მამაცური გული და ისეთი უშფოთველი ფიქრები, რომ ამგვარი მღელვარების ჟამს გონება ღმრთისა და მისი სასოებისაკენ წარმართოს და რაც ხდება, იქედან ვერაფერმა ვერ გააოცოს? ჩვენ ხომ კაცისგანაც ვერ ვითმენთ გულისწყრომას, ხოლო თუ ძაღლი ან სხვა რომელიმე ცხოველი გამოგვეკიდა, ჭირთა შინა ჩვენი შემწე ღმრთისაკენ კი არ მივაპყრობთ მზერას, არამედ ისევ საკუთარ თავს მივმართავთ შეძრწუნებულნი.

ოხრიდეს და შეძრწუნდეს წყალნი მათნი(3). დედამიწის შერყევასა და მთათა გადაადგილებაზე წინასწარმეტყველმა უკვე თქვა; ახლა იგი შუაგულ მორევში მთების ჩაქცევისაგან წარმოშობილ ზღვის მღელვარებასა და გარდაქცევაზე ლაპარაკობს. **ოხრიდეს და შეძრწუნდეს წყალნი მათნი,** ცხადია, წყალნი

ზღვებისა. შედარებით დიდ მღელვარებას წყლებისა შექმნიან მთები, მაგრამ არა ზღვაში აღმართულები, არამედ ისინი, რომელნიც წყალთა ძლიერ ბორგვას თავიანთი რყევით იწვევენ. ამიტომ, რაჟამს დედამიწა შეირყევა, წყალნი ზღვისანი ახმაურდებიან და სიღრმეებიდან ამოდუღდებიან, მთები გადაადგილებას დაიწყებენ და უფლის ძალის სიჭარბისაგან დიდი შფოთვის განცდა მოუწევთ, მაშინ, – ამბობს წინასწარმეტყველი, ჩვენს გულებს შიში არ მიეკარება, რადგანაც ურყევი და მტკიცე სასოება ექნებათ უფლისა.

შეძრწუნდეს მთანი ძლიერებითა მისითა(3). ამ გამონათქვამის აზრი შეგიძლია გადატანითი მნიშვნელობითაც გაიგო: მთები უწოდა მათ, რომელთაც საკუთარ სიდიადეზე მაღალი წარმოდგენა აქვთ და არ იციან რა ძლიერება ღმრთისა, თავიანთ თავს ღმრთის შეცნობაზე მაღლა აყენებენ; შემდეგ კი მარცხდებიან ღმრთისგან წარმოგზავნილთა მიერ, – ძალითა და გონიერებით სიბრძნის სიტყვის მქადაგებლებისა და შეიგრძნობენ რა საკუთარ სიღატაკეს, ღმერთის ეშინიათ და ქედს იხრიან წინაშე უფლის ძლიერებისა. ისიც შესაძლებელია, რომ მთებად იწოდებოდეს ამ საუკუნის მთავარნი და მამები წარწყმედული სიბრძნისა, შეძრწუნებულნი ქრისტეს ძლიერებით, რომელიც მან სიკვდილის ძალაუფლების მქონესთან ჯვრით ბრძოლაში გვაჩვენა, რადგანაც განიძარცვა ვითარცა მამაცმა მოღვაწემ, და დაამარცხა **მთავრობანი და ხელმწიფებანი და საჩუენებელ ქმნნა იგინი კადნიერებით და განაქიქნა ისინი**(კოლ.2,15) ძელზე.

4. **სლვაჲ მდინარეთაჲ ახარებს ქალაქსა ღმრთისასა**(4). წყლები ზღვისა, ფრიად აზვირთებულნი ქარებისაგან, **ოხრიდეს და შეძრწუნდეს**, ხოლო **სლვაჲ მდინარეთაჲ** უხმაუროდ მიედინებიან და მდუმარედ ავსებენ რა მათ, ვინც მათ მიღებას იმსახურებს, ახარებენ ქალაქსა **ღმრთისასა**. მართალი, რომელიც ახლაც ცხოველ წყალს სვამს, კიდევ უფრო უხვად შესვამს შემდეგში, რაჟამს ღმრთის ქალაქის მოქალაქედ ჩაეწერება. ახლა იგი სარკეში და იგავურად სვამს ღმრთეებრივ ჭვრეტათა მცირედ წვდომის გამო, ხოლო მაშინ უცებ მიიღებს თავისთავში წყალუხვ მდინარეს, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქი ღმრთისა უცებ აღავსოს. რა უნდა იყოს ეს მდინარე ღმრთისა, თუ არა სულიწმიდა, რომელიც იმათში, ვინც ქრისტეს რწმენის ღირსი გახდა, რწმენის სიდიდისდა მიხედვით დაივანებს?

რომელსა ჰრწმენეს ჩემი, – ამბობს იგი, – **მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი**(ინ.7,38). და კიდევ: **ხოლო ვინმემ სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივცსე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ**(ინ.4,14). ამგვარად, ეს მდინარე საერთოდ ყველა ქალაქს ახარებს ღმრთისა, თუმცაღა ქალაქში, რომელიც სულიწმიდის გადმოღვრით ხაროობს, ან ეკლესია, რომელსაც მმართველობა ცათა შინა აქვს, ან კიდევ ყოველი გონიერი ქმნილება – ზეციური ძალებიდან კაცობრივ სულებამდე, უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც, ზოგიერთების განსაზღვრებით, ქალაქი მისთა

მკვიდრთა კრებულია, რომელსაც კანონები მართავენ. ასეთი განმარტება შეეფერება, აგრეთვე, ზემოკერძო იერუსალიმსაც, ზეციურ ქალაქს, რადგან იქაცაა კრებული პირმშოთა, – ცათა შინა დაწერილთა, კრებული მკვიდრთა – წმინდანთა ყოფის უძრაობის გამო, და ბოლოს, კრებული, რომელსაც ზეციური კანონი განაგებს. ამიტომაც შეუძლებელია კაცობრივი ბუნებისათვის შეცნობა იქაური სამკვიდრებელის წესრიგისა და მისი მთელი მშვენებისა. ეს სწორედ ის არის, **რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჴდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა**(1კორ.2,9). გარდა ამისა, ვიცით, რომ იქ არის ალურაცხელი სიმრავლე ანგელოზთა, ზეიმი წმიდანთა და **ეკლესია პირმშოთა, აღწერილი ცათა შინა**(ებრ.12,23). ამ ქალაქზე ამბობს დავითი: **დიდებული ითქუა შენთჳს, ქალაქო ღმრთისაო**(ფს.86,3); ამ ქალაქს მისცა ესაიას პირით აღთქმა ღმერთმა: **დაგდვა შორის სიხარულ საუკუნო მხიარულება ნათესავთასა**, და არ იქნება **არცა შემუსრვაჲ, არცა საარებაჲ საზღუართა შორის შენთა, არამედ ეწოდოს მაცხოვარება ზღუდეთა შენთა**(ეს.60,15-18). ამიტომაც აღაპყრე თვალნი სულისანი და ზეციურის შესაფერისად ეძიე შეცნობა ღმრთის ქალაქისა; მაგრამ ვის შეუძლია წარმოიდგინოს იქაური ნეტარება შესაფერისად, – რომელსაც ახარებს მდინარე ღმრთისა და **რომლისა-იგი ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს**(ებრ.11,10).

წმიდა-ყო საყოფელი თჳსი მაღალმან(4). შესაძლებელია, წინასწარმეტყველი აქ ღმრთის მატარებელ ხორცს გულისხმობს, განწმენდილს ღმერთთან შეერთებით. ამიტომ მაღალის საყოფელში ღმრთის ხორციელი გამოცხადება მოიაზრე.

5. **ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას; შეეწიოს მას ღმერთი დილითი-დილად**(5). რამდენადაც ღმერთი ქალაქის შუაგულშია, შეეწევა რა მას ნათლის აღმოხდომისთანავე, შეუძრველობას ანიჭებს. ამ ქალაქის სახელი როგორც ზეციურ იერუსალიმს, ასევე ამქვეყნიურ ეკლესიასაც შეეფერება; **წმიდა-ყო საყოფელი თჳსი მაღალმან**. ამ საყოფელით, რომელშიც ღმერთი დამკვიდრდა, დადგა იგი ქალაქის შუაგულში და მას შეუძრველობა მიანიჭა. ღმერთი ქალაქის შუაგულშია და თავისი განგებულების თანაბარ სხივებს წრის საზღვრებამდე გზავნის, რისი წყალობითაც დაცულია სიმართლე ღმრთისა, რომელიც სიკეთეს ყველას თანაბრად უნაწილებს.

შეეწიოს მას ღმერთი დილითი-დილად. ჩვენთვის დილა გრძნობად მზეს წარმოშობს, რაჟამს იგი ჰორიზონტზე გამოჩნდება; ხოლო სულში დილა სიმართლის მზეს ბადებს და გონიერების ნათლის აღმობრწყინებით, მათთვის ვინც მას მიიღებს, დღეს შექმნის. ჩვენ, კაცნი, უვიცობის პერიოდში ღამეში ვიყავით, მაგრამ რაჟამს ჩვენში ღმრთის მბრძანებლობას განვავრცობთ, შევიწყნარებთ რა **ბრწყინვალებას დიდებისა**(ებრ.1,3) და საუკუნო ნათლით განვბრწყინდებით, **მაშინ შეგვეწევა ღმერთი დილითი-დილად**; მაშინ გავხდებით ძენი ნათლისა, განგვეშორება ღამე და დღე მოგვეახლება(რომ.13,12), მაშინ შევიქნებით ღირსი ღმრთის შემწეობისა. ღმერთი ქალაქს უკვე თავისი აღმოხდომითა და გა-

მოცხადებით შეეწევა, წარმოშობს რა მისთვის დილას, რადგანაც ნათქვამია: **აჰა მამაკაცი, აღმოსავალი სახელი მისი**(ზაქ.6,12). ამიტომ ვისშიც გონიერების ნათელი გაბრწყინდება და უგუნურებისა და ბოროტების სიბნელე გაიფანტება, მას დილა მიეახლება. რამდენადაც **ნათელი** სამყაროში იმიტომ მოვიდა, რომ ვინც მასში დადის, არ წაბორძიკდეს, შემწეობას მისას დილა გვანიჭებს; ან: რადგანაც აღდგომა ადრეული განთიადისას მოხდა, დილითი-დილად შეეწევა ქალაქს ღმერთი, რომელმაც სიკვდილი მესამე დღეს, აღდგომის დილას დაამარცხა.

6. **შეძრწუნდეს წარმართნი, მიდრკეს მეფენი, მოსცა ჴმაჲ თჳსი მაღალმან და შეიძრა ქუეყანაჲ**(6). წარმოიდგინე ქალაქი, რომლის მიმართაც მასზე გალაშქრებული მტრები ბოროტს იზრახვენ; ამასთან, მას ალყაში აქცევენ მრავალნი ტომნი და ამ ტომთა სკიპტრათა მატარებელნი მეფენი. შემდეგ, წარმოიდგინე უძლეველი მხედართმთავარი, რომელიც უეცრად გამოჩნდება, რათა ქალაქს შეეწიოს, დაარღვევს ქალაქის ალყას, გაფანტავს თავმოყრილ ტომებს, გააქცევს მეფეებს და ყოველივე ამას მხოლოდ ომახიანი ყიჟინით შეძლებს და მათ გულებს მტკიცე ხმით განგმირავს. ამიტომ როგორი იქნება ძრწოლა განდევნილი ტომებისა და ლტოლვილი მეფეებისა? როგორი არეული ყვირილი და განუწყვეტელი ზანზარი გაისმება მათი უწესრიგოდ გაქცევისას? ყოველი ქვეყანა აივსება შიშისაგან გაქცეულებით, რის გამოც ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან, სადაც კი ლტოლვილები გამოჩნდებიან, მღელვარება დაიწყება. წინასწარმეტყველი გვიჩვენებს, რომ ღმრთის ქალაქს ამგვარი შემწეობა მიეცემა მაცხოვრისაგან, როცა ამბობს: **შეძრწუნდეს წარმართნი, მიდრკეს მეფენი, მოსცა ხმაჲ თჳსი მაღალმან და შეიძრა ქუეყანაჲ**.

უფალი ძალთაჲ ჩუენ თანა, ჯელის ამპყრობელ ჩუენდა ღმერთი იაკობისი(ფს.45,7). წინასწარმეტყველმა განკაცებული ღმერთი იხილა, იხილა წმიდა ქალწულისაგან შობილი ემანუილი, **რომელი არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი**(მთ.1,23) და ამიტომაც უხმობს წინასწარმეტყველურად: **უფალი ძალთაჲ ჩუენ თანა,** გვიჩვენებს რა, რომ ეს არის ის, ვინც წმიდა წინასწარმეტყველებსა და მამამთავრებს გამოეცხადა. **ხელის აღმპყრობელი ჩვენი,** – ამბობს იგი, – არა სხვა ღმერთია, არამედ სწორედ ის, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველები გადმოგვცემდნენ, ღმერთი იაკობისა, ვინც გამოცხადებისას მის მსახურს უთხრა: მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა.

7. **მოვედით და იხილენით საქმენი ღმრთისანი, რომელ ქმნა ნიშნები ქუეყანასა ზედა. დააცადნის ბრძოლანი კიდითგან კიდედმდე ქუეყანისა**(ფს.45,8-9). მათ, რომელნიც შორს არიან ჭეშმარიტების სიტყვებისაგან, ფსალმუნი მოუწოდებს შეცნობის გზით მიუახლოვდნენ, როცა ეუბნება: **მოვედით და იხილენით**. როგორც ხორციელი თვალებისათვის დიდი სიშორე ბუნდოვანს ხდის დასანახ საგნებს, მიახლოება კი ნათლად შეაცნობინებს მაყურებელს დასანახს, ასევეა გონებრივ განჭვრეტათა დროსაც: ვინც ღმერთს არ მიუახლოვდება და საქმეთა მეშვეობით მისი სახლეული არ გახდება, იგი ვერ შეძლებს იხილოს მისი საქმენი წმიდა

თვალებით გონებისა, ამიტომ **მოვედით,** ანუ ჯერ მიუახლოვდით, ხოლო შემდეგ იხილეთ საქმენი უფლისა, რომელნიც უცხოა და საკვირველი და რომლითაც მან ადრე მტრულად განწყობილი და მეამბოხე ტომები განაცვიფრა და დაამშვიდა. **მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი**(ფს.33,11) და: **მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი**(მთ.11,28). ესაა ხმა მამისა, რომელიც გაშლილი მკლავებით უხმობს მათ, რომელნიც მანამდე მისგან შორს იყვნენ. ვინც ეს მოწოდება შეისმინა, მიუახლოვდა და მბრძანებელს შეუერთდა, იხილავს მას, ვინც ყოველივე ჯვრით დაამშვიდა **გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა**(კოლ.1,20).

მშჳლდები შემუსროს და შეფქვას საჭურველი და ფარები დაწუას ცეცხლითა(ფს.45,9). ხედავ მშვიდობისმოყვარეობას უფლის ძალებისა, რადგანაც მასთან უხილავი ძალებია ანგელოზთა მხედრობისა? ხედავ ერთდროულად სიმამაცესა და კაცთმოყვარეობას ძალთა მთავარსარდლისას? არის რა უფალი ძალთა და ჰყავს რა ანგელოზთა მხედრობის ყველა კრებული, არცერთ მტერს არ აყენებს ჭრილობას, არავის ამხობს, არავის ეხება, არამედ მშვილდებსა და საჭურველს მუსრავს და ფარებს ცეცხლში წვავს: მუსრავს მშვილდს, რათა მისგან ცეცხლოვანი ისრები არ გამოსტყორცნონ, ამტვრევს იარაღს ხელჩართული ბრძოლისას, რათა არ დაიჭრნენ ისინი, რომელთაც მტერი ვერაგულად ესხმის თავს ახლოდან, ცეცხლით სწვავს ფარებს, რათა მტრებს დასაცავი საშუალება მოაკლოს და ყოველივე ამას მტრების საკეთილდღეოდ გარდააქცევს.

8. **მოიცალეთ და გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი**(ფს.45,10). ვიდრე ჩვენ ღმრთის გარეშე გარეგანი საქმეებით ვართ დაკავებულნი, არ შეგვიძლია ჩვენში დავიტიოთ შემეცნება ღმრთისა. ვინც ამსოფლიურზე ზრუნავს და ხორციელ გართობაშია ჩაფლული, შეძლებს განა შეიწყნაროს სწავლება ღმერთზე და ამგვარ გონებრივ ჭვრეტათათვის საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინოს? ვერ ხედავ, რომ სიტყვა ჩავარდნილი ეკალთა შორის, ეკალთაგან იშთვება?(მთ.13,22). ეკალნი ხორციელი ტკბობანი – სიმდიდრე, დიდება და ცხოვრებისეული საზრუნავებია. ვინც ღმრთის შემეცნებას ეძიებს, ყოველივე ამისაგან განზე უნდა გადგეს და დათრგუნავს რა ვნებებს, ამგვარად მიიღებს შემეცნებას ღმრთისა, რადგანაც სულში, რომელსაც უკვე გულისთქმანი ავიწროვებენ, ღმერთის გაგება როგორღა შეაღწევს? ფარაონმაც იცოდა, რომ ღმრთის ძიება მხოლოდ მოცალეს თვისებაა და ამიტომაც უსაყვედურა ისრაელს: **გცალს, მოცალე ხართ და მისთჳს იტყჳთ: უფალს, ღმერთს ჩუენსას ვეველდროთ**(გამს.5,17). კარგია და სასარგებლო ის მოცალეობა, რომელიც მასში, ვისაც სცალია, მაცხოვნებელ სწავლებათა მისაღებად მდუმარებას წარმოშობს, ხოლო ცუდია მოცალეობა ათენელებისა, რომელნიც **სხუად არა მოცალე იყვნეს, გარნა სიტყუად რაისამე და სმენად უახლესისა**(საქმ.17,21). ამგვარ მოცალეობას ზოგიერთები ახლაც ბაძავენ, იყენებენ რა მუდამ რაღაც ახალი სწავლების აღმოსაჩენად ცხოვრებაში თავისუფალ დროს. ასეთი მოცალეობა არაწმინდა და უკეთური სულებისთვისაა სასიამოვნო. ნათქვამია: **რაჟამს სული იგი არაწმი-**

დაჲ განვიდის კაცისაგან, თქჳს: მივიქეც იმ ადგილას, ვინაჲცა-იგი გამოვედ, და მო-რაჲ-ვიდის, პოვის სახლი იგი მოცალე და განშუენებული(მთ.12,43-44). ამიტომაც დაე, ჩვენი მოცალეობა ნუ შეუქმნის მოწინააღმდეგეს შესასვლელს და ჩვენს შინაგან სახლს ნუ დავტოვებთ მოცალედ, არამედ მასში წინასწარვე ჩავასახლოთ ქრისტე სულიწმიდის მეშვეობით. წინასწარმეტყველმა იმათ, რომელთაც მანამდე მტრები აღელვებდნენ, ჯერ სიმშვიდე მიანიჭა, შემდეგ კი თქვა: მოიცალეთ მტრებისაგან, რომელნიც გართობენ, რათა დუმილით განჭვრიტოთ სწავლებანი ჭეშმარიტებისა. ამიტომაც ამბობს უფალი: **ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა**(ლკ.14,33). ამგვარად, ლოცვისათვის რომ მოვიცალოთ, საჭიროა ჯერ ცოლ-ქმრული საქმეებისა, მიწიერი დიდების სურვილის, ვნებებით განცხრომის, ჩვენი მახლობლის მიმართ შურისა და ყოველგვარი ბოროტებისაგან მოვიცალოთ, რათა ჩვენს სიმშვიდემოფენილ სულში, რომელსაც არავითარი ვნება არ აშფოთებს, წმიდა და დაუბინდველი ბრწყინვალება ღმრთისა, ვითარცა სარკეში, ისე აისახოს.

ავმაღლდე წარმართთა შორის და ავმაღლდე ქუეყანასა შინა(10). ცხადია, რომ ღმერთი ამას თავის ტანჯვათა შესახებ ამბობს, როგორც ეს სახარებაშიც წერია: **და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა**(ინ.12,32), და: **ვითარცა იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ**(ინ.3,14). ამგვარად, რადგანაც იგი ჯვარზე წარმართებისათვის უნდა ამაღლებულიყო და ამაღლება მთელი ქვეყნიერებისთვის უნდა მიეღო, ამიტომაც ამბობს: **ავმაღლდე წარმართთა შორის და ავმაღლდე ქუეყანასა შინა.**

უფალი ძალთაჲ ჩუენ თანა, ჴელის ამპყრობელ ჩუენდა ღმერთი იაკობისი(11). ღმრთის შემწეობით გახარებული წინასწარმეტყველი ამ სიტყვებს – **უფალი ძალთაჲ ჩუენ თანა**, მეორედ ამბობს, როგორც მტრის წინააღმდეგ გალაშქრებული და შეტევაზე გადასული, რომელსაც სრული რწმენა აქვს ჩვენი სულების მხსნელისა, რომლის შემწეობისას ყოველივე უვნებელი იქნება, რადგანაც **უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძჳრის მყოფელ ჩუენდა?**(რომ.8,31). ვინც იაკობს გამარჯვება მიანიჭა და ორთაბრძოლის შემდეგ ისრაელად გამოაცხადა, ხელისამპყრობელი ჩვენი იგია, ის იბრძვის ჩვენთვის. ჩვენ კი დავდუმდეთ, რადგანაც **იგი თავადი არს მშჳდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად, ... რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად**(ეფ.2,14-15).

საშბარი 48-ე ფსალმუნგე

1. **დასასრულსა, ძეთა კორესთა ფსალმუნი**(1). კაცობრივ დასასრულს გონებით ბრძენი წარმართებიც უღრმავდებოდნენ. მაგრამ მათ სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი გაგება ამ დასასრულისა. ერთნი ამტკიცებდნენ,

რომ დასასრული არის ცოდნა, ხოლო მეორენი, – რომ იგი წარმატებული საქმიანობაა, სხვათა აზრით – სხვადასხვაგვარად გამოყენება სიცოცხლისა და სხეულისა, ხოლო საქონლის მსგავსნი ამბობდნენ, რომ დასასრული ტკბობაა. ჩვენთვის კი დასასრული, რომლისთვისაც ყველანი ვიღვწით და რომლისკენაც მივისწრაფვით, მომავალ საუკუნეში ნეტარი ცხოვრებაა, რაც იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ჩვენზე ღმერთს ვამეუფებთ. ჯერჯერობით მოაზროვნე ბუნებისათვის ამაზე უკეთესი გონებას არაფერი აღმოუჩენია. სწორედ ამგვარი დასასრულისაკენ გვაქეზებს ჩვენ მოციქული, როცა ამბობს: **მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მამასა**(1კორ.15,24). იმავეს წარმოგვიდგენს წინასწარმეტყველებაში სოფონია, როცა ღმრთის პირით ამბობს: **რამეთუ მსჯავრი ჩემი შესაკრებელისა მიმართ ნათესავთაჲსა შეწყნარებად – მეფეთა გარდაცემად მათ ზედა რისხვაჲ ჩემი, ყოველივე რისხვა გულისწყრომისა ჩემისა მით, რამეთუ ცეცხლის მიერ შურისა ჩემისაჲსა განილიოს ყოველი ქუეყანაჲ; რამეთუ მაშინ მოვაქციო ერთა ზედა ენათასა ნათესავადმი მისსა, ხდად ყოველთა სახელი უფლისაჲ. მონებდენ იგინი მას ერთსა ქუეშე უღელსა**(სოფ.3,8-9). ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სარგებლობა ფსალმუნებისა, რომელთაც ასეთი წარწერა აქვთ, ამ დასასრულამდეც აღწევს. ამგვარ გაგებას არ ეწინააღმდეგებიან არც ისინი, რომელნიც ამ წარწერას ასე თარგმნიან: **გამარჯვებისათვის, გამარჯვების სიმღერა, ან გამარჯვებულს**. რადგანაც **დაინთქა სიკუდილი ძლევითა**(1კორ.15,54) და წარხდა მის მიერ, რომელმაც თქვა: **მე მიძლევიეს სოფელსა**(ინ.16,33) და რამდენადაც ყოველივე დამარცხდა ქრისტეს მიერ და **სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი**(ფილპ.2,10), ამდენად გამარჯვების სიმღერებში სულიწმიდა სამართლიანად გვაუწყებს იმაზე, რაც მომავალში გველოდება.

ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად-იღეთ ყოველთა, რომელნი დამკჳდრებულ ხართ სოფელსა. ნაშობნი ქუეყანისანი და ძენი კაცთანი, ერთბამად მდიდარნი და გლახაკნი(ფს.48,1-2). ფრიად დიდი დარბაზია საჭირო ყველა იმ ხალხის დასატევად, რომელნიც ფსალმუნის მოსასმენად არიან მოხმობილნი და საერთოდ ყველასი, რომელთაც სამყარო თავიანთი სადგომებით აავსეს. ვფიქრობ, ამ მაღალი ქადაგების მოსასმენად იზიდავს და უხმობს როგორც მიწისაგან შობილებს, ასევე კაცთა შვილებსაც, როგორც მდიდრებს, ასევე ღარიბებსაც. მაგრამ როგორია ეს სადარაჯო, მთელ დედამიწაზე იმდენად ამაღლებული, რომ მისი სიმაღლიდან შესაძლებელია ყველა ხალხი დაინახო და მთელი სამყარო მზერით მოიცვა? ვინ არის ეს მაღალხმიანი წინასწარმეტყველი, რომელიც ერთად ამდენი სასმენელისათვის გასაგონად ღაღადებს? სად არის ის ადგილი, რომელსაც შეკრებილთა დატევა შეუძლია? რამდენად დიდი და ბრძენი უნდა იყოს ეს მოძღვარი, რომელიც ასეთი კრებულისათვის შესაფერის სწავლებებს პოულობს? ცოტაც მოითმინე და შეიტყობ, რომ რაც შემდეგ მოდის, ამ დაპირებას შეეფერება, რამდენადაც ქადაგებაზე ყველას შემკრები და მომხმობი **ნუგეშისმცემელია, სული**

ჭეშმარიტებისა, რომელიც გადარჩენილებს წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მეშვეობით კრებს და **რადგანაც ყოველსა ქვეყანასა განჴდა ხმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი**(ფს.18,5), ამიტომაც ნათქვამია: **ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად-იღეთ ყოველთა, რომელნი დამკჳდრებულ ხართ სოფელსა.** რამდენადაც ამ საკრებულოს ყოველგვარი ცხოვრების მიმდევარნი ქმნიან, რათა შემწეობის გარეშე არავინ დარჩეს, ამიტომაცაა დასახელებული მოხმობილთა სამი წყვილი, რომელიც კაცთა მთელ მოდგმას მოიცავს: **წარმართნი და დამკვიდრებულნი სოფელსა შინა, ნაშობნი ქუეყანისანი და ძენი კაცთანი, მდიდარნი და გლახაკნი.** და მართლაც ვინღა დატოვა ღმერთმა მისი ქადაგების მოსმენის გარეშე? რწმენისათვის უცხონი წარმართებადაა სახელდებული, ვინც ეკლესიაშია – სოფლის მკვიდრებად იწოდებიან, მიწისაგან ნაშობნი კი ისინი არიან, რომელნიც მიწიერს იზრახავენ და ხორციელ სურვილებს არიან მიცემულნი. ძენი კაცთანი ისინი არიან, რომელნიც რამდენადმე ზრუნავენ და ავარჯიშებენ გონებას, რადგანაც ადამიანის განსაკუთრებული თვისება აზროვნებაა. მდიდარნი და ღარიბნი თვითონვე გვიჩვენებენ თავიანთ განმასხვავებელ თვისებებს: ერთნი ჭარბად ფლობენ იმას, რაც სჭირდებათ, მეორენი კი მოკლებულნი არიან იმას, რაც აუცილებელია. რადგანაც მკურნალი სულისა არ მოსულა, **წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად**(მთ.9,13), ამიტომაც ყოველ წყვილში პირველად განსასჯელნი დააყენა. რამდენადაც წარმართები უდარესნი არიან იმათზე, რომელნიც სოფელში მკვიდრობენ, ამდენად უწინარესად მათ მოუხმო, რათა მძიმე მდგომარეობაში მყოფთ შემწეობა მკურნალისაგან უფრო ადრე მიეღოთ და კიდევ: ნაშობნი ქვეყნისანი უფრო წინ დგანან, ვიდრე ძენი კაცთანი, ხოლო მდიდარნი გლახაკებს უსწრებენ. როგორც ვხედავთ, განსასჯელთა რაზმები გლახაკებზე ადრე არიან მოხმობილნი, რადგან ასეთია კაცთმოყვარეობა მკურნალისა, რომელიც შემწეობას პირველად უძლურებს უწევს. რამდენადაც მოწოდება საერთოა, ამიტომ მას მოხმობილნი მშვიდობისკენაც მიჰყავს. ასე რომ, ისინი, ვინც მანამდე სხვადასხვაგვარი ცხოვრების გამო ერთმანეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ, ეკლესიის წყალობით, ერთმანეთის სიყვარულს ერთად სწავლობენ.

დაე, იცოდეს მდიდარმა, რომ იგი და გლახაკი ერთნაირი პატივით არიან მიხმობილნი ქადაგებაზე. ნათქვამია: **ერთბამად მდიდარნი და გლახაკნი.** ამიტომაც თავისი უპირატესობა მდაბიოსთან შედარებით და ქედმაღლობა სიმდიდრით ჯერ გარეთ დატოვოს და ამგვარად შევიდეს ეკლესიაში ღმრთისა. არც მდიდარმა უნდა იყოყოჩოს გლახაკზე და არც გლახაკს უნდა ეშინოდეს იმის ძლიერებისა, ვისაც ყოველივე ჭარბად აქვს.

დაე, ნურც ძენი კაცისანი დაამდაბლებენ მიწისაგან შობილებს და ნურც მიწისაგან ნაშობნი დაიჭერენ თავს შორს მათგან. წარმართებიც შეეჩვიეთ მკვიდრთა სოფლისათა და სოფლის მკვიდრთაც სიყვარულით შეიწყნარეთ უცხონი აღთქმისათვის.

2. **პირი ჩემი იტყოდის სიბრძნესა და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულისჴმის-**

ყოფასა(3). რადგანაც, როგორც მოციქული ამბობს: **გულსა გრწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღიარებ საცხოვრებლად**(რომ.10,10), ხოლო ამ საქმეში მათი ერთობა სრულყოფას გულისხმობს, ამიტომაც ფსალმუნი ერთსაც მოიცავს და მეორესაც, სახელდობრ, – მოქმედებას პირისას და ზრახვებს გულისას. რადგანაც უკეთუ გულში სიკეთე წინასწარ არაა ჩადებული, როგორღა გამოსცემს პირით საუნჯეს, რომელსაც იგი დაფარულად არ ფლობს? მას ხომ, ვისაც გულში სიკეთე აქვს, მაგრამ სიტყვით არ განაცხადებს, ასე ეტყვიან: **სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინარი – რაა სარგებელი ორივესაგან?**(სიბრ. ზირ.20,30). ამიტომაც სხვათა სასარგებლოდ **პირი ჩემი იტყოდის სიბრძნესა**, ხოლო საკუთარი წარმატებისათვის გულმა გონიერება უნდა ისწავლოს.

მივყო იგავსა ყური ჩემი და აღვაღო საგალობელითა იგავი ჩემი(4). წინასწარმეტყველი თავის პირს იმორჩილებს, რათა მისი სიტყვები, როგორც კაცობრივი გამომგონებლობით გამოცემულნი, უგულებელყოფილი არ იყოს და გვეუბნება: იმას გაუწყებთ, რაც სულიწმიდასაგან ვისწავლე, ასე რომ, არაფერს ვამბობ არც ჩემსას და არც საერთოდ კაცობრივს. რამდენადაც მე ყურადღებით აღსავსე შევიქენი იგავებისადმი სულიწმიდისა, რომელიც ჩვენ ღმრთის სიბრძნეს ფარულად გადმოგვცემს, ამიტომაც ამ იგავს აგიხსნით და ნათლად წარმოგიდგენთ თქვენ, მაგრამ აგიხსნით არა სხვა რამით, არამედ ფსალტირით; ფსალტირი კი მუსიკალური საკრავია, რომელიც გალობის კილოსთან შეწყობილ ხმებს გამოსცემს. ამიტომ სიტყვიერი ფსალტირი მაშინ უფრო განიღება, რაჟამს საქმენი სიტყვებთანაა შეთანხმებული, ხოლო სულიერი ფსალტირი იგია, რომელმაც შექმნა კიდევაც და ასწავლა კიდევაც(მთ.5,19). ფსალმუნებში წინასწარმეტყველი ხსნის იგავს, საკუთარ თავზე გვაჩვენებს რა მაგალითს იმისას, რომ სწავლებათა აღსრულება შესაძლებელია რადგანაც იცის, რომ ცხოვრებაში არაფერი უთავბოლო და შეუფერებელი არ ჩაუდენია, ამიტომაც იგი რწმენით წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს:

რაჲსათჳს მეშინის მე დღესა ბოროტსა, უკუეთუ უშჯულოებამან სლვათა ჩემთამან გარე-მომიცვას მე?(5). ბოროტ დღეს სამსჯავროს დღეს უწოდებს, რომლის შესახებაც ნათქვამია: **დღე უფლისაჲ უკურნებელი**(ეს.13,9) ყველა ხალხისათვის. ამ დღეს, – ამბობს წინასწარმეტყველი, – **ყოველს გარე-მოიცავს გულისზრახვანი მისნი**(ოს.7,2), მაგრამ რამდენადაც ცხოვრების გზაზე არავითარი უსჯულოება არ ჩამიდენია, არ შემეშინდება ბოროტი დღისა, რადგანაც კვალი ცოდვებისა გარს ვერ შემომერტყმება, ვერ გარემომიცავს და უსიტყვო ბრალდებით ვერ მამხელს მე. შენ წინააღმდეგ ხომ სხვა ბრალმდებელი ვერ აღდგება, თუ არა თვითონ საქმენი, რომელთაგან ყოველი საკუთარი სახით წარმოგიდგება: სიძვა, ქურდობა, გარყვნილება; გაგახსენდება ღამე და ადგილი ცოდვით დაცემისა, მისი თავისებურება, და საერთოდ ყველა ცოდვა, რომელთაგან თითოეული თან მოიტანს მისი თვისების უცხადეს ხსოვნას, ამგვარად, **მე ვერ გარე-მომიცავს კვალი ცოდვებისა, რადგანაც მივყო იგავსა**

ყური ჩემი და აღვაღო საგალობელითა, იგავი ჩემი.

3. რომელნი ესვენ ძალსა თჳსსა და სიმრავლესა ზედა სიმდიდრისა თჳსისა იქადიან(6).

წინასწარმეტყველის სიტყვები ორი სახის პირებს ეკუთვნის: მიწისაგან შობილებს და მდიდრებს. მიმართავს რა პირველთ, ამხობს მათ წარმოდგენას საკუთარ ძალაზე, ხოლო მეორეებს უცამტვერებს მედიდურობას ქონების სიჭარბით. თქვენ, მიმართავს, რომელნიც **ესავთ ძალსა თვისსა**, და ესენი არიან მიწისაგან შობილნი, რომელნიც იმედს სხეულის ძლიერებაზე ამყარებენ და ფიქრობენ, რომ კაცობრივ ბუნებას საკმარისი ძალა აქვს იმის აღსასრულებლად, რასაც მოინდომებს და თქვენ, – რომელთაც იმედი გაქვთ მერყევი სიმდიდრისა, ისმინეთ: ორივეს გჭირდებათ გამოსასყიდი თავისუფლების დასაბრუნებლად, რომელიც თქვენ მაშინ დაკარგეთ, რაჟამს დამარცხდით ეშმაკის ძალით. მისი სატანჯველიდან იგი მანამდე არ გაგიშვებთ, ვიდრე თქვენს გაცვლას შესაფერისი გამოსასყიდის ფასად არ მოისურვებს. ამიტომ გამოსასყიდი უნდა იყოს არა ერთგვაროვანი შეპყრობილებისა, არამედ მათ ფასს, დიდად უნდა აღემატებოდეს, რათა ეშმაკმა ტყვეები მონობისაგან ნებით გაათავისუფლოს. ძმას არ შეუძლია თქვენი გამოსყიდვა, რადგან კაცთაგან არავის ხელეწიფება დაარწმუნოს ეშმაკი, რომ ის, ვინც ერთხელ მისი ძალაუფლების ქვეშ ჩავარდა, გაათავისუფლოს. ადამიანს საკუთარი ცოდვებისათვის არ შეუძლია ღმერთს გამოსასყიდი მსხვერპლი მიუძღვნას და ამის გაკეთებას სხვისთვის როგორღა შეძლებს? რა უნდა შეიძინოს მან ამ საუკუნეში იმდენად ფასეული, რომ იგი აღმოჩნდეს სანაცვლო სულისა, რომელიც ბუნებითაა პატივდებული, რადგანაც შექმნილია ხატად შემოქმედისა? და რა სახის შრომა ახლანდელი საუკუნისა მიანიჭებს ადამიანის სულს საკმარის საგზალს მომავალ საუკუნეში გადასვლისათვის? ამიტომაც ამ სიტყვებს მარტივად ამგვარად მოვიაზრებ: ვინმე ამ ცხოვრებაში კიდევაც რომ ფრიად ძლიერი იყოს და სიმდიდრითაც გარემოცული, ფსალმუნი ასწავლის, თავისთავზე მაღალი წარმოდგენა განზე გადადოს და დამდაბლდეს წინაშე **მტკიცესა ჴელსა ღმრთისასა**(Iპეტ.5,6); და არც თავისი ძალის იმედი ჰქონდეს და არც სიმდიდრის სიმრავლით მოჰქონდეს თავი, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ცოტათი ავმაღლდეთ აზრით და საკუთარი ძალის მოიმედეებსა და სიმდიდრის სიმრავლით თავმომწონეთა ქვეშ სულის ძალები ვიგულისხმოთ, რადგან არც სულს აქვს საკმაო ძალა თავის გადარჩენისათვის. ადამიანის ძეთა შორის კიდევაც რომ იყოს ვინმე სრულყოფილი, მაგრამ ღმრთეებრივი სიბრძნე არ გააჩნდეს, არაფრად შეირაცხება. თუნდაც მას შეთვისებული ჰქონდეს სიმრავლე ამსოფლიური სიბრძნის ჭვრეტათა და რაღაც სიმდიდრე ცოდნისაც შეკრებილი, მაგრამ დაე, საქმის მთელი სიმართლე მოისმინოს, სახელდობრ, დაემორჩილა რა კაცობრივი სული მონობის მძიმე უღელს ყველასათვის საერთო მტრისა და დაკარგა რა შემოქმედისაგან ბოძებული თავისუფლება, ტყვე შეიქნა ცოდვისა, ხოლო ტყვეს თავისუფლების

დასაბრუნებლად გამოსასყიდი სჭირდება. ძმას არ შეუძლია გამოსყიდვა ძმისა და არც არავის – თავისი თავისა, რადგანაც სხვისი გამომსყიდველი ბევრად უკეთესი უნდა იყოს ძალაუფლების ქვეშ მოქცეულსა და უკვე დამონებულზე. ადამიანს არა აქვს უფლება წინაშე ღმრთისა, რომ მას ცოდვილი შეაწყალოს, რადგან თვითონაც ცოდვილია: **რამეთუ ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღმრთისა, ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გამოჴსნითა მით იესუ ქრისტესითა**(რომ.3,23-24) უფლისა მიერ ჩვენისა. ამიტომაც **არა მისცეს ღმერთსა საჴსარი თავისა თჳსისაჲ და სასყიდელი საჴსრად სულისა თჳსისაჲ**(ფს.48,7-8). ამგვარად, შენი თავის გამოსასყიდად ძმას ნუკი ეძებ, არამედ იგი ეძებე, ვინც შენი ბუნებით აღგემატება, არა უბრალო კაცი, არამედ ღმერთკაცი – იესო ქრისტე, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მისცეს ღმერთს ჩვენთვის – ყველასათვის გამოსასყიდი: **რომელი-იგი წინასწარ განჰმზადა ღმერთმან სალხინებლად სარწმუნოებითა თჳსითა მით სისხლითა**(რომ.3,25). ძმა იყო ისრაელიანთა მოსე, მაგრამ ვერ შეძლო მისი გამოსყიდვა და ჩვეულებრივი კაცი როგორღა გამოგვისყიდის? **ძმამან ვერ იხსნას**, – ამბობს დარწმუნებით წინასწარმეტყველი და შემდეგ ურთავს კითხვას: **იხსნესა კაცმან?** ხალხი ცოდვისაგან ვერც მოსემ გაათავისუფლა, არამედ მხოლოდ შეევედრა ღმერთს, არ დაესაჯა იგი ცოდვისათვის. მან ვერ შეძლო თავისი თავის გამოსასყიდი მიეცა, რადგან ცოდვა ჩაიდინა, როცა იმ მრავალთა და დიდთა სასწაულთა და ნიშანთა შემდეგაც, რომელნიც იხილა, მაინც ეჭვით წარმოთქვა: **ისმინეთ ჩემი, ურჩნო, კლდისგან ნუ ამის გამოგიდინოთ თქუენ წყალი?** უფალმა სწორედ ამ სიტყვებისათვის **ჰრქუა მოსეს და აჰრონს: რამეთუ არა გრწმენა თქუენ ჩემი წმიდა-ყოფად წინაშე ძეთა ისრაელისათა, ამისთვის არა შეიყვანოთ კრებული ესე ქუეყანასა მას, რომელი მივეც მათ**(რიცხ.20,10,12).

4. იმიტომაც **არა მისცეს ღმერთსა საჴსარი თავისა თჳსასაჲ**, რომ ადამიანმა რა უნდა იპოვნოს იმდენად ძვირფასი, რომ თვისი სულის გამოსასყიდად მისცეს? მაგრამ აღმოჩნდა ერთი – ტოლფასი მთელი კაცობრიობისა, რომელიც ჩვენი სულების გამოსასყიდად მიეცა და ეს არის წმიდა და ძვირფასი სისხლი იესო ქრისტესი, რომელიც მან ყველა ჩვენგანისათვის დაღვარა. ამიტომაც ვართ ჩვენ **სასყიდლით სყიდულ**(Iკორ.6,20).

ძმამან ვერ იხსნეს, იხსნესა კაცმან?(7). თუკი ადამიანი უძლურია გამოგვიხსნას, მაშინ ის, ვინც ჩვენ გამოგვიხსნა, ადამიანი არაა. ამიტომ, რადგანაც ჩვენმა უფალმა ჩვენ შორის ჩვენი ცოდვილი ხორცის მსგავსებით იცხოვრა, მას მხოლოდ კაცად ნუ მიიჩნევ, ისე რომ მასში ღმრთეებრივი ძალაც არ აღიარო. იგი არ საჭიროებდა გამოსასყიდის მიცემას ღმრთისთვის და დახსნას საკუთარი სულისა, რადგანაც **ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა**(Iპეტ. 2,22). ამგვარად, არავის შეუძლია გამოსყიდვა თავისი თავისა, ვიდრე არ მოვა ის, ვინც ადამიანებს ტყვეობიდან დააბრუნებს(ფს.13,7) და დააბრუნებს არა **ვერცხლითა და** საჩუქრებით, როგორც ამას ესაია წერს(52,3), არამედ სა-

კუთარი სისხლით; ის, ვისიც ჩვენ არა თუ ძმანი არა ვართ, არამედ ცოდვით დაცემის შემდეგ მტრებადაც ვექეციით, და ვინც არა უბრალო კაცია, არამედ ღმერთი. იგი თავის ძმებად სახელგვდებს ჩვენ ჩვენთვის მონიჭებული თავისუფლებით, რადგანაც ნათქვამია: **მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა**(ებრ.2,12). ამიტომაც გამომხსნელი ჩვენი, თუკი მის ბუნებას განვიხილავთ, არც ძმაა ჩვენი და არც კაცი, ხოლო თუკი ჩვენ მიმართ მის მიერ გამოჩენილ წყალობას მივაქცევთ ყურადღებას, რომლითაც იგი ჩვენამდე დამდაბლდა, ძმებს გვიწოდებს და კაცობრიობასთან გარდამოდის ის, ვინც **არა მისცეს ღმერთსა სახსარი თავისა თვისისაჲ**, არამედ მთელი სამყაროსი. რამდენადაც თვითონ გამოსასყიდ მსხვერპლს არ საჭიროებს, ამდენად თვითონ არის მსხვერპლი გამოსასყიდი: **რამეთუ შე-ვე ესევითარი-ჰგვანდა ჩუენდა მღდელთმოძღუარი: წმიდაჲ, უმანკოჲ, შეუგინებელი, განშორებული ცოდვათაგან და უმაღლესი ცათაჲ, რომელსა არა უწმს, დღითი დღედ ვითარცა მღდელთმოძღუართა მათ, პირველად თჳსთა ცოდვათათჳს მსხუერპლისა შეწირვაჲ და მერმე ერისა უმეცრებისათვის** (ებრ.7,26-27;9,7). შემდეგ ამბობს: **და შურებოდა იგი უკუნისამდე, და ცხოვნდეს სრულიად**(ფს.48,8). მისი სიცოცხლე, ძალა, მოუღლელი ბუნება ამ საუკუნეში დაშვრა, **რაჟამს მაშვრალი გზისა სლვისაგან ჯდა წყაროსა მას ზედა**(ინ.4,6).

5. **არა იხილოს მან განსახრწნელი, რაჟამს იხილნეს ბრძენნი სიკუდილად**(9-10). მამა მის წმიდას არ მისცემს ხილვას განსახრწნელისა(ფს.15,10), მაშინ, როცა ამაო სიბრძნით თავმომწონენი მოკვდებიან. უკეთუ ამ სიტყვების მოაზრება მართალ ადამიანებთან დაკავშირებითაც გვსურს, გაიხსენე, რა თქვა იობმა: **არამედ კაცი იშვების სალმობად**(იობ.5,7); ასევე მოციქულმაც: **უმეტეს მათ ყოველთასა დავშვერ**(Iკორ.15,10) და კიდევ: **შრომითა უმეტეს**(2კორ.11,23). ამგვარად, საბოლოოდ იგი იცოცხლებს, ვინც ამ საუკუნეში დაშვრება; ხოლო ვინც ფუფუნებასა და ყოველგვარ გახრწნილებაში ცხოვრობს, გასათუთებული პორფირითა და ბისონით იმოსება, **დღითი-დღე ბრწყინვალედ ხარობს**(ლკ.16,19), სათნოებისათვის ჯაფას გაურბის და ამ საუკუნეშივე არ იღვწის, მომავალში ვეღარ იცოცხლებს, არამედ ეწამება რა ღუმელის ალში, ცხოვრებას შორიდან შეხედავს. მაგრამ ვინც სათნოებისათვის ათასობით განსაცდელს გაუძლებს და მის შესაძენად შრომითა და ჯაფით საკუთარ თავს ჭარბად გამოსცდის, იგი ბოლომდე იცოცხლებს, ვითარცა გასაჭირით დიდად დამაშვრალი ლაზარე და ვითარცა იობი, რომელიც მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ფრიად გაისარჯა, რადგანაც ნათქვამია: **მუნ განისუნეს მაშურალთა**(იობ.3,10), ამიტომაც უფალი განსასვენებლად მაშვრალებსა და ტვირთმძიმეებს მოუწოდებს(მთ.11,28). კეთილი საქმეებით დამაშვრალნი ტვირთმძიმეებად რატომ იწოდებიან? იმიტომ რომ **მისვლით მივიდოდეს და ტიროდეს, რომელნი სთესვიდეს თესლსა მათსა, მოსვლით მოვიდოდეს და უხაროდა, რომელთა მოჰქონდა მჭელეულები მათი**(ფს.125,6). ისინი სავსენი არიან ნაყოფით, რომელიც იმისდამიხედვით დაუბრუნდათ, რამდენიც დათესეს: ამიტომაც ტვირთმძიმენი იმათ ეწოდება, რომელთაც **კურთხევით დათესეს და**

კურთხევითვე მოიმკეს(Iკორ.9,6) და თავისთვის მარადიული სიხარულით სულის მჭელეულებს(ძნებს) იმზადებენ. ვინც განთავისუფლდა ღმრთის მიერ, რომელმაც მისთვის სანაცვლო გაიღო, ის ამ საუკუნეში დაშვრება, მაგრამ სამაგიეროდ ბოლომდე იცოცხლებს. მან **არა იხილოს განსახრწნელი, რაჟამს იხილნეს ბრძენნი სიკუდილად**. ვინც სწორსა და უხიფათო გზას ვიწრო და ძნელად სავალი ამჯობინა, ღმრთის მოსვლისას საუკუნო განსახრწნელსა და განუწყვეტელ ტანჯვას არ იხილავს მაშინ, როცა ისინი, რომელთაც ღმრთის სიტყვა არ ირწმუნეს და გულისმიერი ამაო სურვილებით იარეს, მარადიულ სასჯელს გადაეცემიან. ბრძენს კი წინასწარმეტყველი ან ვერაგობაში დახელოვნებულებს უწოდებს, რომელთა შესახებაც იერემია ამბობს: **ბრძენ არიან ბოროტისა ყოფად, ხოლო კეთილისა ქმნასა ვერ შეემეცნნეს**(იერ.4,22), ან კიდევ მოწაფეებს **მთავართა მათ სოფლისათა, რომელნი განქარვებად არიან**(Iკორ.2,6) და რომელნიც **იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს**(რომ.1,22), **რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა**(Iკორ.3,19) და რამდენადაც ეს სიბრძნე მათ სულელებად აქცევს, ამიტომაც ამბობს ღმერთი: **წარვწყმიდო სიბრძნე ბრძენთა და გულისჴმის-ყოფა გულისჴმიერთა დავფარო**(ეს.29,14). ამიტომაც დამარწმუნებლობა ცრუ ცოდნისა, მათი სიკვდილის მიზეზი ხდება, რომელთაც მისი ირწმუნეს. სწორედ ამგვარ სიკვდილს არ იხილავს გამოსყიდული იმის მიერ, ვინც კეთილ ინება ქადაგების *სიცოფით* ეხსნა მისი მორწმუნენი.

6. **ერთბამად უგუნური და უცნობოჲ წარწყმდენ და დაუტეონ უცხოთა სიმდიდრე მათი. და სამარენი მათნი სახლ მათდა იყვნენ უკუნისამდე და საყოფელ მათდა თესლითი თესლადმდე; სახელები მათი უწოდეს მიწასა მათსა**(10-11).

ზემოთ წინასწარმეტყველმა გვარეობითი სახელი – ბრძენნი უწოდა მათ, რომელთაც ახლა ყოფს და უგუნურთა და უცნობოთა-ს(უმეცართა) უწოდებს. ცხადია, რომ როცა მათ ბრძენნი უწოდა, ისარგებლა სახელით, რომელიც, საკუთარ თავზე წარმოდგენის მიხედვით, თავიანთ თავს თვითონვე მისცეს. ისევე როგორც, მისდევს რა მოტყუებულთა ჩვევას, ღმერთებს უწოდებს მათ, რომელნიც ბუნებით სულაც არ არიან ღმერთები, ასევე უწოდა ბრძენნი უგუნურებსა და უმეცრებსაც. მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ უგუნური და უმეცარი. **უგუნურია** ის, ვისაც აკლია კეთილგონიერება და არა აქვს უნარი ჩვეულებრივი და კაცობრივი საქმეების განჭვრეტისა. ასევე ზოგადი მნიშვნელობით გონიერი ეწოდება მათ, რომელნიც ცხოვრებისეულ საქმეებში სასარგებლოსა და მავნებელს ერთმანეთისაგან არჩევენ. ამიტომაცაა ნათქვამი სახარებაში: **ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავთა შორის მათსა**(ლკ.16,8), რადგანაც ისინი საერთოდ კი არ არიან უფრო გონიერნი, არამედ მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაატარონ ეს ხორციელი ცხოვრება. თავიანთი ცხოვრების კეთილგონივრულად მოწყობის გამო, ისინი იწოდებიან, აგრეთვე, უსამართლო განმგებლებად. ამ აზრით, ბრძენნი არიან გველებიც, რომელნიც თავიანთვის

ხვრელებს იწყობენ და საფრთხის ჟამს ყოველგვარ ხერხს იყენებენ, რათა თავში ჩარტყმას გაექცნენ; **უმეცარი** კი ეწოდება მას, ვისაც არა აქვს ის, რაც ადამიანში განსაკუთრებულია – შეცნობა მამა ღმერთისა, აღიარება **სიტყვისა**, რომელიც დასაბამიდან ღმერთთან იყო და განათლება, რომელსაც **სულიწმიდა** იძლევა. ასეთი გონება კი მხოლოდ იმათ აქვთ, რომელთაც შეუძლიათ პავლესთან ერთად თქვან: **ხოლო ჩუენ გონებაჲ ქრისტესი გუაქუს**(Iკორ.2,16).

წმიდა წერილში ეს სიტყვები – უგუნური და უმეცარი – ერთმანეთს ენაცვლებიან. უგუნურს იგი უღმერთოს უწოდებს: **თქუა უგუნურმან გულსა შინა თჳსსა: არა არს ღმერთი**(ფს.13,1), ხოლო ცხოვრებისათვის მავნებელს – უმეცარს, როგორც, მაგალითად, მოციქული, როცა მათ შესახებ ლაპარაკობს რომელნიც **გულისთქმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა შინა ჩავარდნენ**(Iტიმ.6,9). ასე რომ, უგუნურიცა და უმეცარიც ერთი საერთო დასასრულისაკენ – დაღუპვისაკენ მიექანებიან. მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას, სახელდობრ, რომ უგუნური იმას ეწოდება, ვინც წარმართივით ცხოვრობს, ხოლო ვინც შეზღუდულად, იუდეურად, ე. ი. მხოლოდ სჯულის დაცვით ცხოვრობს, მას – უმეცარი. სწორედ ამგვარ უგუნურს უთხრა ღმერთმა მისი უღმრთოობის გამო: **უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან**(ლკ.12,20). უმეცარი კი ხორციელ ისრაელს უწოდა წინასწარმეტყველმა, რომელმაც თქვა: **და იყო ეფრემ ვითარცა ტრედი, უგონებოჲ, არ მქონებელი გულისაჲ, ეგვიპტესა ჰხადოდა და ასსურასტანელთა მიმართ წარვიდეს**(ოს.7,11). რადგანაც ისინი საერთოდ შეიმუსრნენ საკუთარი უგუნურებისა გამო, ჩვენ, უცხონი, გავხდით მემკვიდრენი მათი სიმდიდრისა, რამდენადაც ჩვენი შეიქნა მცნებანი, ჩვენი გახდნენ წინასწარმეტყველები და მამამთავარნი და ჩვენია ყველა მართალი, ვისაც კი დასაბამიდან უცხოვრია. თავიანთი სიმდიდრე ჩვენ დაგვიტოვეს მათ, რომელნიც საკუთარი უგუნურებით წარწყმდნენ. სახლები მათი – უგუნურთა და უმეცართა – საუკუნო საფლავებია. ვისი სიცოცხლეც ყოველგვარი ცოდვისა გამო აღსავსეა მკვდარი საქმეებით, მათი სახლები საუკუნო საფლავებია. ვინც ცოდვით დაცემისა გამო წარწყმდა, იგი სახლში კი არ ცხოვრობს, არამედ სამარეში, რადგანაც სული მისი მოკვდა. რამდენადაც სახლში უეშმაკო და წრფელი ხასიათის იაკობი ცხოვრობდა, რომლის შესახებაც წერია: **უმანკოჲ, მყოფ სახლსა შინა**(დაბ.25,27). სამარეში ყოვლად ბიწიერი ცხოვრობს, რომელიც მკვდარი საქმეებისაგან მოქცევაზე არც კი ფიქრობს და საფლავთა **განგოზილთა** ემსგავსება, რომელიც გარეგან თვალს იტაცებენ, **ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა**(მთ.23,27). ამიტომ, როცა ასეთი კაცი ლაპარაკობს, პირს ღმრთის სიტყვისათვის კი არ აღებს, არამედ **სამარე ზეაღებულ არს ხორხი მისი**(ფს.5,9). უკეთუ ვინმე, რომელსაც ქრისტე სწამს, რწმენის შესაფერის საქმეებს არ სჩადის, იგი ვითარცა შემსმენელი უკეთური მოძღვრებებისა და წმიდა წერილის ნების ცუდად გამგები, თვითონვე იკვეთს აკლდამას კლდეში.

7. **საყოფელი მათდა თესლითი თესლადმდე**, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სახლები საუკუნოდ სამარეები არიან. წინასწარმეტყველი განმარტავს, რომელ სამარეს გულისხმობს და სურს რა აჩვენოს, რომ იმ სხეულების შესახებ ლაპარაკობს, რომლებშიც ბიწიერებისაგან მკვდარი სულები ბინადრობენ, სიტყვა სამარეს უმატებს: **საყოფელი მათდა თესლითი თესლადმდე**; რადგანაც, ჩვეულებრივ, ადამიანთა სხეულები ყოველთვის საყოფელად იწოდებიან, მათ **სახელები მათი უწოდეს მიწასა მათსა**. სახელი ცოდვილისა ცოცხალთა წიგნში არ იწერება და ეკლესიის პირმშოებს, – ზეცაში აღრიცხულებს არ მიეკუთვნება, არამედ პირიქით, სახელები მათი მიწაზე რჩება, რადგან მარადიულ სამყოფელს ეს წარმავალი და ხანმოკლე ცხოვრება ამჯობინეს. ვერ ხედავ, რომ ზოგიერთები ქალაქებში მოედნებსა და სხეულის სავარჯიშო სახლებს აშენებენ, კედლებს აგებენ და წყალსადენები გაჰყავთ, რათა ამ მიწიერ ნაგებობებს მათი სახელები მიეცეს? ზოგიერთებმა კი, დაადეს რა თავიანთი სახელის დამღა ცხენების რემას, ამ გზით მოიფიქრეს სიცოცხლეშივე გაეხანგრძლივებინათ ხსოვნა მათ შესახებ და ბრწყინვალება თვით სამარხებშიც რომ ეჩვენებინათ, აკლდამებზე თავიანთი სახელები წააწერეს. ესენი ისინი არიან, მიწიერს რომ იზრახავენ და იმას, რაც მათი ნეტარებისათვის საკმარისი იქნება, აქაურ დიდებასა და ადამიანებისაგან მოხსენიებას ამჯობინებენ. უკეთუ ხედავ ვინმეს, რომელიც ცრუ ცოდნით მედიდურობს, რომელიმე უვარგის მოძღვრებათა მიმდევრებს უერთდება და, ნაცვლად ქრისტიანის სახელისა, თავის თავს რომელიმე ერესის მამამთავრის სახელს უწოდებს: ან მარკიონისა, ან ვალენტისა, ან კიდევ რომელიმე სხვა ახლად წარმოშობილისა, იცოდე, რომ ამგვართ უწოდეს რა **სახელები მათი მიწასა მათსა**, თავიანთი თავი გახრწნად ადამიანებსა და ყოვლად ბიწიერებს მიაკუთვნეს.

8. **კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისჴმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ. ესე გზაჲ არს საცთურებისა მათისაჲ მათდა მიმართ და ამისსა შემდგომად პირითა მათითა სათნო-იყონ**(12-13). **დიდ არს კაცი და პატიოსან კაცი მოწყალე**(იგავ.20,6). მისი პატივი მისი ბუნების აგებულებაშია, რადგან დედამიწაზე სხვა რა შეიქმნა ხატად შემოქმედისა? სხვას ვის მიენიჭა უფროსობა და მეუფება ყოველთა ცხოველთა ზედა: ხმელეთისა, წყლისა, და ჰაერისა? ღირსებით იგი მხოლოდ ცოტათი დაბლა დგას ანგელოზებზე, ისიც მიწიერ სხეულთან შეერთებისა გამო. თუმცა ღმერთმა ადამიანი მიწისაგან შექმნა(დაბ.2,7), ხოლო **მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა**(ებრ.1,7), მაგრამ ადამიანსაც აქვს უნარი მისი შემოქმედისა და დამბადებლის მოაზრებისა და შეცნობისა. **შთაბერა პირსა მისსა**(დაბ.2,7), რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა ადამიანშიც ჩადო თავისი მადლის რაღაც ნაწილი, რათა მას მსგავსი მსგავსით შეეცნო. ამგვარი პატივით და იმით, რომ იგი შექმნილია ხატად შემოქმედისა, კაცი ზეცაზეც მაღლაა, მზეზეც და ვარსკვლავებზეც(რადგან ზეცათაგან რომელი იწოდება ხატად მაღალი ღმრთისა?) განა მზეს, მთვარესა და ან კიდევ დანარჩენ ვარსკვლავებს შემოქმედის ხატი აქვთ? მათ უსულო და მატერიალური

სხეულები მიეცათ, თუმცაღა მანათობელი; არც გონება აქვთ, არც თვითნებური მოძრაობა და არც თვითმპყრობელი თავისუფლება, არამედ მონები არიან დადგენილი აუცილებლობისა, რომლის მიხედვითაც მუდამ და უცვლელად ერთი და იმავე რამის გარშემო ბრუნავენ. ყველა ამათზე პატივით ამაღლებულმა ადამიანმა ეს არა თუ **გულისხმა-ყო**, არამედ ღმრთისთვის მიბაძვასა და შემოქმედის დამსგავსებაზე ხელი აიღო, ხორციელი ვნებების მონა შეიქნა და **ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ. ხან ცხენებ დედალთმბორგელ იქმნენ, თითოეული ცოლსა მოყუსისა თჳსისა შეჰჴოდა**(იერ.5,8), ხან ვითარცა მგელნი მტაცებელნი სხვებს უსაფრთებოდნენ(ეზკ.22,27), ხან კიდევ ძმისათვის დაგებული ხაფანგის გამო ცბიერებით მელას ემსგავსებოდნენ(ეზკ.18,4). დიახაც, სიჭარბეა უმეცრებისა და პირუტყვული უგუნურებისა, რომ შემოქმედის ხატად შექმნილი ვერც თავის თავდაპირველ აგებულებას შეიცნობს, და არც იმის სურვილი აქვს, რომ მისთვის აღსრულებული ასეთი დიდი განგებულება გაიაზროს და დასკვნა თავის ღირსებაზე იმის მიხედვით გამოიტანოს. პირიქით, ეს ყოველივე იმდენად დაავიწყდა, რომ ხატი ზეციური უარყო და მიწიერი ხატი შეიძინა. მაგრამ ცოდვაში რომ არ დარჩენილიყო, მისთვის **სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩუენ შორის**(ინ.1,14) და თავი ისე დაიმდაბლა, რომ **იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა**(ფილპ.2,8). უკეთუ შენი თავდაპირველი წარმოშობა აღარ გახსოვს, მაშინ საკუთარ ღირსებაზე წარმოდგენა შენთვის გაღებული საზღაურით მაინც შეიქმენი. შეხედე, რა იქნა მიცემული შენდა სანაცვლოდ და საკუთარი თავის ფასი შეიცანი. შენ, რომელიც ქრისტეს ძვირფასი სისხლით ხარ გამოსყიდული, მონა ცოდვისა ნუკი გახდები, არამედ მოიაზრე შენი ღირსება, რათა **პირუტყუთა უგუნურთა** არ მიემსგავსო.

ესე არს გზაჲ საცთურებისა მათისაჲ(13). ღმერთი, განმგებელი ჩვენი, ხელს გვიშლის უკეთური გზით სვლაში და წინ დაბრკოლებებს გვახვედრებს, რათა უგუნურ ცხოვრებას განვუდგეთ და **ამისსა შემდგომად პირითა თჳსითა სათნო-ვიყოთ**(13) და გულით **სიმართლედ** ვიწამოთ, ხოლო პირით კი – **საცხორებელად** ვაღიაროთ(რომ.10,10). პავლეც დევნიდა და ანადგურებდა ქრისტეს ეკლესიას, აგრძელებდა რა სვლას თავისი უკეთური გზით, მაგრამ **ამისა შემდგომად პირითა მისითა სათნო-იყო** და შესაკრებელთა შინა ქადაგებდა, რომ **ესე არს ქრისტე**(საქმ.9,22).

9. ვითარცა საცხოვარნი, ჯოჯოხეთსა მიეცნეს და სიკუდილი ჰმწყსიდეს მათ(14). საქონლის მსგავსნი და მიმბაძველნი პირუტყუთა უგუნურთა, ვითარცა ცხვრის ფარა, რომელსაც არც გონება აქვს და არც თავის დაცვა შეუძლია, მტერმა ტყვეებად გაიტაცა, თავის საკუთარ ციხეში ჩაყარა და დასამწყემსად სიკვდილს გადასცა; ადამიდან მოყოლებული, თვით მოსეს სჯულით მცხოვრებთაც, კი სიკვდილი მწყემსავდა, ვიდრე არ მოვიდა ჭეშმარიტი მწყემსი, რომელმაც სული თვისი დასდო ცხოვართათვის, ხოლო შემდეგ აღადგინა რა ისინი თავისთავთან ერთად, აღდგომა დილით ჯოჯოხეთის საპყრობილედან გამოიყვანა და დასამ-

წყემსად **წრფელთა,** ანუ თავის წმიდა ანგელოზებს გადასცა.

და ეუფლნენ მათ წრფელნი განთიად(14). თითოეულს მორწმუნეთაგან მიჩენილი ჰყავს ანგელოზი, რომელიც ღირსია ზეციური მამის ხილვისა. ამგვარად, ყველაზე მწარე მონობისაგან განთავისუფლებულებს **წრფელნი ეუფლნენ** და ეუფლნენ განთიადზე, ე.ი. მას შემდეგ, როცა სინათლის აღმოსავალთან მივიდნენ.

განიხილე, როგორ უკავშირდება ერთმანეთს გამონათქვამები წმიდა წერილისა. **კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ჰყო; ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა**. ვისაც თავისი აგებულების წყალობით პატივი მიენიჭა, მაგრამ მასში ჩასახლებული ცოდვისა გამო თავისი თავი ვერ შეიცნო, **ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა**.

შემდეგ იგი, როცა თავისი თავი ღმრთის **სიტყვისათვის** უცხო გახადა და პირუტყვად იქცა, მტერმა გაიტაცა ვითარცა ცხვარი, რომელსაც მწყემსი არა ჰყავს, ჯოჯოხეთში ჩააგდო და დასამწყემსად სიკვდილს გადასცა. ამიტომაც იქიდან განთავისუფლებული და ბოროტი მწყემსისაგან თავდახსნილი ამბობს: **უფალმან მწყსოს მე**(ფს.22,1); და მართლაც მწყემსავს არა სიკვდილი, არამედ სიცოცხლე, არა დაცემა, არამედ აღდგომა, არა სიცრუე, არამედ ჭეშმარიტება.

და შეწევნაჲ მათი განკფდეს ჯოჯოხეთს(14). წინასწარმეტყველი ამას ან სიკვდილის შესახებ ამბობს, რომელმაც ყველა მისი საშუალების შემწეობის მიუხედავად, ვერ შეძლო დაეკავებინა მის მიერ დამწყემსილნი საწინააღმდეგოდ იმისა, ვინც დაამხო ის, ვისაც **ჴელმწიფება აქუნდა სიკუდილისაჲ**(ებრ.2,14). ყველა საშუალება მოძველებული და უძლური გახდა. ასევე უბადრუკი აღმოჩნდება შემწეობაც გონებით შემცდარი ადამიანებისა, რომელთაც სიმდიდრით, დიდებითა და ძალაუფლებით მოაქვთ თავი. **განკფდეს ჯოჯოხეთს, რაჟამს** მათი უძლურება გამჟღავნდება. ან, შეიძლება, შემწეობა მართალთა, რომელნიც უფალმა გამოისყიდა, ჯოჯოხეთამდეც აღწევს. რადგან მათ **არღა მოიღეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაჲსწარ განიგულა, რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ ისინი, ვინც ჩვენ დაგვასწრეს**(ებრ.11,39-40).

ხოლო ღმერთმან იხსნეს სული ჩემი ხელთაგან ჯოჯოხეთისათა, რაჟამს შემიწყნარებდეს მე(15). აქ წინასწარმეტყველი ნათლად წინასწარმეტყველებს უფლის ჯოჯოხეთში ჩასვლის შესახებ, რომელმაც სხვა სულებთან ერთად მისი სულიც იხსნა, რათა იგი ჯოჯოხეთში არ დარჩენილიყო.

10. **ნუ გეშინინ, რაჟამს განმდიდრდეს კაცი და რაჟამს განმრავლდეს პატივი სახლისა მისისაჲ**(16). ნუ გეშინინ, გვეუბნება წინასწარმეტყველი, **რაჟამს განმდიდრდეს კაცი**. ამის ქადაგებაც აუცილებელია მათთვის, ვინც სამყაროში ცხოვრობს – მიწისაგან ნაშობთა და ძეთა კაცთათვის, მდიდართა და გლახაკთათვის. **ნუ გეშინინ, რაჟამს განმდიდრდეს კაცი**. გვეუბნება: როცა დაინახავ, რომ უსამართლო მდიდარი გახდა, ხოლო მართალი – ღატაკი, ნუ შეგეშინდება შენ გამო და ნუ შეგაცბუნებს ფიქრი იმის თაობაზე, რომ ღმრთის განგება, რომელიც ადამიანთა საქმეებს ზედამხედველობს, ან საერთოდ არ არსებობს, ან კიდევ

არსებობს, მაგრამ დედამიწამდე ვერ აღწევს, რათა ჩვენს საქმეებსაც შეეხოს. განგებას რომ თითოეულისათვის მისი კუთვნილი მიეზღო, მაშინ მართალნი მდიდარნი იქნებოდნენ, რომელთაც იციან, როგორ გამოიყენონ სიმდიდრე, ხოლო უკეთურები – ღატაკები, რომელნიც სიმდიდრეს საკუთარი ბიწიერების იარაღად აქცევენ. და აი, რამდენადაც წარმართებსა და მიწისაგან ნაშობთა შორის ასე მრავალი ფიქრობს, და ხედავს რა არათანაბრად განაწილებულ სიკეთეს, ასკვნის, რომ განგებამ სამყარო მიატოვა, ფსალმუნი მათ მიმართავს და უმეცრებით გამოწვეული ფიქრების მღელვარებას უცხრობს, ისევე როგორც დასაწყისშიც იხმო ისინი შეგონებათა მოსასმენად. ისიც შესაძლებელია, რომ წინასწარმეტყველი საკუთრივ გლახაკს მიმართავდეს, როცა ამბობს: **ნუ გეშინინ, რაჟამს განმდიდრდეს კაცი**, რადგანაც ღარიბებს განსაკუთრებით სჭირდებათ ნუგეშისცემა, რათა მძლავრების არ შეეშინდეთ. სიკვდილის ჟამს მდიდარი სიმდიდრით ვეღარ ისარგებლებს, რადგან მისი თან წაღება არ შეუძლია; სიმდიდრით ტკბობისაგან მან მხოლოდ ის მოგება ნახა, რომ ამ ცხოვრებაში მის სულს მლიქვნელები შენატროდნენ. **რამეთუ არა სიკუდილისა მისა წარიღოს,** ამბობს, ყოველი ეს სიმდიდრე, არამედ ძლივს წარიტანს თან სამოსს უშუერების დასაფარად და ისიც მაშინ, უკეთუ ამას მსახურები მოისურვებენ, რომელნიც მას დასამარხად ამზადებენ. ბედნიერი იქნება, თუ მას წილად ცოტა მიწაც შეხვდება, რომელსაც დამმარხველნი სიბრალულის გამო არგუნებენ, და ისინიც ასე საერთო კაცობრივი ბუნებისადმი გულმოწყალების გამო იქცევიან და პატივს არა მას უძღვნიან, არამედ კაცობრიობას მიაგებენ.

ამიტომაც აწმყოს შემხედვარე სულმოკლე ნუ იქნები, არამედ იმქვეყნიურ ნეტარსა და დაუსრულებელ ცხოვრებას დაელოდე და მაშინ დაინახავ, რომ სიღატაკე, უსახელობა და სიამოვნებათა მოკლება მართლისათვის სიკეთედ იქცევა. ნუ აღუდგები, როცა შეამჩნევ, რომ მოჩვენებითი სიკეთენი ახლა თითქოსდა უსამართლოდ ნაწილდება, რადგან მოისმენ, როგორ ეტყვიან მდიდარს: **მიიღე შენ კეთილი ცხორებასა შენსა**, ხოლო გლახაკს, – რომ მან თავის სიცოცხლეში **ბოროტი** მიიღო. ამიტომაც ერთი სამართლიანად იქნება ნუგეშცემული, ხოლო მეორე დაიტანჯება(ლკ.16,25).

11. **აღგიაროს შენ, რაჟამს კეთილი უყო მას**(18). ადამიანზე, რომელიც თიხისაგანაა და რომელიც ამ ცხოვრების ზოგიერთ უპირატესობას, როგორიცაა მაგალითად, სიმდიდრე, ჯანმრთელობა და ძალაუფლება, სიკეთედ მიიჩნევს, ამბობს, რომ იგი ღმერთს მაშინ აღიარებს, რაჟამს კეთილს უყოფს მას; უბედურებათა ჟამს კი ყოველგვარ ლანძღვას გადმოანთხევს. თავს ანებებს რა გლახაკს, წინასწარმეტყველი უკვე ღმერთს მიმართავს და მდიდარს იმაშიც სდებს ბრალს, რომ მხოლოდ ბედნიერების ჟამს ჰმადლობს ღმერთს, გაჭირვებისას კი – არა. მსგავს ბრალდებას უყენებს ეშმაკი იობს, რომ იგი **არა უსასყიდლოდ მსახურებდა უფალს**(იობ.1,9), არამედ ღმრთისმოსაობის საზღაურად სიმდიდრეცა და სხვა დანარჩენიც უხვად ჰქონდა. ამიტომაც, ამ კაცის

სათნოება რომ ეჩვენებინა, ღმერთმა მას ყოველივე, რაც ჰქონდა, წაართვა, რათა მისი მადლიერება ყოველივესათვის ცხადი გამხდარიყო.

შევიდეს იგი ვიდრე ნათესავადმდე მამათა მისთა(19). ვფიქრობ, ეს ცოდვილზეა ნათქვამი, რომელმაც ღმერთზე იმდენი იცის, რამდენიც მისი მამების წეს-ჩვეულებებიდან გადაეცა, საკუთარი აზროვნების ძალით ვერაფერს იძენს და თავის თავში ჭეშმარიტების შეცნობას ვერაფერს უმატებს. რამდენად მოგვიახლოვდი შენ, ღმერთო, ამბობს წინასწარმეტყველი, – მას კი ისეთივე გაგება აქვს შენი, როგორიც მისი მამების თაობებს. აქ წინასწარმეტყველი ამხელს დიდ უმოქმედობას გონებისა, სრულ გამიწიერებას და ხორციელ ტკბობათა სიყვარულს ადამიანისა, რომელსაც, ჩაეფლო რა სიმდიდრესა და ფუფუნებაში, აზროვნება ცხოვრებისეული საზრუნავებით აქვს დათრგუნული; ამიტომაც **ვიდრე უკუნისამდე, ნათელი არა იხილოს**(19). ვინც ბრმა მასწავლებელთა წინამძღოლობა ირწმუნა, თვითონვე მოაკლეს თავიანთ თავს ტკბობა ნათელით; მაგრამ სიტყვებს – **შევიდეს იგი ვიდრე ნათესავადმდე მამათა მისთა,** სხვა აზრიც აქვთ, – სახელდობრ, **შენ** სჯი არა მხოლოდ იმათ, რომელნიც უკეთურ ცხოვრებასა და მოძღვრებებს მისდევენ, თუნდაც მამებისას, მაგრამ უცხოს ღმრთისმოსაობისათვის, არამედ იმათაც, რომელთაც უკულმართი მოძღვრებანი შექმნეს. ამასაც ნიშნავს თქმული: **შევიდეს იგი ვიდრე ნათესავადმდე მამათა მისთა**. დამნაშავენი არიან არა მხოლოდ ისინი, რომელთაც უკეთური აზრები აქვთ ღმერთზე, არამედ ისინიც, რომელთაც სხვები დაღუპვამდე მიიყვანეს. ასეთები კი ისინი არიან, რომელთაც ცოდვა წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს და განამტკიცეს რა თავიანთ თავში ძველი ადათებით, წარუხოცელად აქციეს. ისინი ნათელს ვერ იხილავენ ვიდრე უკუნისამდე, რადგან წარიგზავნებიან **ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ**(მთ.8,12) და ღმრთის სამართლიან სამსჯავროზე განისჯებიან, რადგანაც სიცოცხლეში საკუთარი ბოროტი საქმეების გამო ნათელი შეიძულეს.

კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისჴმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ(20) – ეს არის ხმა სინანულისა. კაცი, რომელიც დააკლდა **მცირედ რაჲმე ანგელოზთა**(ებრ.2,6-9) და რომლის შესახებაც სოლომონი ამბობს: **დიდ არს კაცი და პატიოსან კაცი მოწყალე**(იგავ.20,6), ეს კაცი, იმის გამო, რომ ვერ შეიცნო საკუთარი ღირსება და ხორციელ ვნებებს დამორჩილდა, **ჰბაძვიდა პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ**.

საუბარი 59-ე ფსალმუნზე

1. როცა თქვენს გულმოდგინე სურვილს მოსმენისა და ჩემი ძალის სისუსტეს ვხედავ, გონებაში წარმოდგება ხატი ჩვილი ყრმისა, რომელიც ჯერ კიდევ არ მოსწყვეტია დედის მკერდს და სენით დამშრალ ძუძუს მოსვენებას არ აძლევს.

დედა გრძნობს, რომ წყარო რძისა დაშრეტილი აქვს, მაგრამ ჩვილის მიერ მიზიდული და შეშფოთებული, ძუძუს მაინც აძლევს, მაგრამ არა იმიტომ რომ აჭამოს, არამედ მხოლოდ ტირილის შესაწყვეტად. მსგავსად ამისა, ძალები ჩემი, დაშრეტილი სხვადასხვა ხორციელი სენისა გამო, თუმც სერიოზულ საზრდელს ვერ შემოგთავაზებთ, მაგრამ რამდენადმე მაინც დაგაკმაყოფილებთ, რადგანაც თქვენს ჭარბ სიყვარულს ისიც აკმაყოფილებს, თუკი ჩემი ხმით მოიკლავს წყურვილს ჩემსკენ სწრაფვისა. ამიტომაც, დაე, ისმინოს ღმრთის ეკლესიამ და ისწავლოს თქმა იმისა, რაც ჩვენ ახლახან წარმოვთქვით: **მომეც ჩუენ შეწევნაჲ ჭირსა, რამეთუ ცუდ არს ცხოვრებაჲ კაცისაჲ**(ფს.59,11). ამგვარად, უკეთუ ჭირი სრულიადაც არ არის საბაბი უძლურებისა და, პირიქით, შემწეობის მეგობარია კიდეც, მაშინ აღარც ფსალმუნის აზრი მაძლევს ნებას, რომ ავადობა მოვიმიზეზო. ასე რომ მათ, რომელნიც ცოდვებისათვის განიშორეს, მაგრამ შემდეგ კვლავ შეწყნარებულ იქნენ ღმრთის კაცთმოყვარეობისა გამო, შეეფერებათ თქვან: **ღმერთო, განმთხიენ ჩუენ და დამამხუენ ჩუენ, შემრისხენ და შემიწყალენ ჩუენ**(ფს.59,1). რაკიღა აზრის ბუნებრივი მსვლელობისას სიტყვა ფსალმუნში გამოხატულ აზრს შეხვდა, კარგი იქნება მის განმარტებას რამდენადმე აქვე შევეხოთ.

2. შემოთავაზებული ფსალმუნის ისტორია ეპიგრაფის პირდაპირი გაგებით არცერთ ღმრთივსულიერ განმარტებაში აქამდე არავის უკვლევია, თუმცაღა გულმოდგინე გამომეძიებელნი წმიდა წერილისა, რაღაც მსგავსს მეფეთა მეორე წიგნშიც პოულობენ, სადაც წერია: **და მერმე დავით მოსრა ადრააზარ, ძე როამისი მეფისა მის სუბელისა, რამეთუ ერი შეიკრიბა და მოვიდოდა დასხმად ჴელთა მისთა მდინარის კიდესა მას ევფრატისასა. და წამოიღო მისი ათასი ეტლი ტყუედ და შჳდ ათასი მჴედარი და ოცი ათასი მკუირცხლი ფაროსანი. და დაჴსნა დავით ყოველივე იგი კედლები და გამოარჩია ასი ეტლი**(IIმეფ.8,34). ხოლო ცოტა ქვემოთ ნათქვამია: **და მეფობდა დავით ყოველსა ზედა ისრაელსა და ჰყოფდა სამართალსა და მსჯავრსა ყოველსა ზედა ერსა მისსა და იოაბ ძე შარველისა ერისთავი იყო,** ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ: **ხოლო რაჟამს იხილეს ძეთა ამონისთა, რამეთუ განიკიცხნეს მონანი დავითისანი, მოიყიდეს ერი ასური, რობუა და ასური სობასანი ოცი ათასი. ვითარცა იხილა იოაბ, რამეთუ განწყობილ იყვნეს პირისპირ მათსა, გამოარჩინა ყოველნი ჭაბუკნი ძლიერნი ძეთაგან ისრაელისათა და განაწყო პირისპირ ასურთა მათ.** ხოლო როცა ადრააზარის მონებმა იხილეს, რომ **ძლევასა მიეცნეს წინაშე ძეთა ისრაელისათა, აღთქმა აღუთქუეს და მონად დაემორჩილეს ძეთა ისრაელისათა**(IIმეფ.10;6-9,19).

სწორედ ისტორიის ამ მონაკვეთს შეესაბამება ფსალმუნის ეპიგრაფი ოღონდ ერთის გამოკლებით: ეს ძეგლისწერა იმ დროს აღნიშნავს, რაჟამს დავითი კიდევ უფრო განდიდდა და ომებში გამოჩენილმა სიქველემ სახელი მოუხვეჭა. ასე რომ, გამოძიების ღირსია, რატომ იწყებს იგი გოდებითა და ტირილით, მაშინ როცა წარმატებათა გამო სიხარული და მხნეობა ჰმართებს? რადგანაც

სხვაგვარი მეტყველება შეჰფერის მოზეიმეთ და სხვა – დამწუხრებულთ. გამარჯვება ხომ საყოველთაო ზეიმის მიზეზი ხდება, არა მხოლოდ მეომართა, არამედ მიწათმოქმედთა, ვაჭართა, ხელოსანთა და საერთოდ ყველასი, ვინც კი მშვიდობის სიკეთით სარგებლობს, მაშ რატომღა ამბობს: ღმერთო, განმთხიენ ჩუენ და დამამხუენ ჩუენ, მაშინ როცა გამარჯვებულნი იყვნენ? როგორღა დაამხო ღმერთმა ისინი, ვინც ისე გააძლიერა, რომ იარაღი, ეტლები, ცხენები და ქვეშევრდომები გაუმრავლა და მოხარკედ უქცია მთელი არაბეთი, ფინიკია და შუამდინარეთი?

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენადმე უმადურობას ხომ არ გამოხატავენ ეს სიტყვები? რადგანაც ჯერ მან ადრააზარი, სობას მეფე გაანადგურა, წაართვა რა მას ათასი ეტლი, შვიდი ათასი ცხენოსანი და ოციათასი ქვეითი, ხოლო შემდეგ დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა სირიის მეფე, რომელიც ადრააზარს მიეშველა, ლამის ერთ წამში მოუკლა მას ოცდაორიათასი, მესამე გამარჯვება კი, ამონის შვილებზე მოიპოვა. როცა მათ ქალაქის კარიბჭეზე გაილაშქრეს, ისინი დაამარცხა დავითის მხედართმთავარმა იოაბმა, რომელმაც თავისი ძალები ორად გაყო: მტრის ერთ ნაწილს პირისპირ შეხვდა, ხოლო მეორეს ზურგიდან მოუარა და ასე გაიმარჯვა. მაშ, ამდენ სახელოვან გამარჯვებათა შემდგომ როგორღა გამოხატავს ამგვარ მწუხარებასა და ნაღველს, როცა ამბობს: **ღმერთო, განმთხიენ ჩუენ და დამამხუენ ჩუენ, შემრისხენ და შემიწყალენ ჩუენ**? თუმცა ეს ძეგლისწერა წარმატებათა დროს იწერებოდა, მაგრამ **ძალა** დაწერილისა **დასასრულს** მიეკუთვნება, ხოლო დასასრულში კი ის იგულისხმება, რაც საუკუნეთა დასასრულს უნდა მოხდეს, ამიტომაც ამბობს, რომ ფსალმუნი დაწერილია **ცვალებულთათვის**. საერთოდ კი, რამდენადაც ფსალმუნის სარგებლობა ყველაზე ვრცელდება, შესაძლებელია მასში ადამიანთა მთელი მოდგმა ვიგულისხმოთ; რადგანაც ისინი, რომელნიც იცვლებიან და ისინიც, რომელნიც უნდა შეიცვალონ, ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვერც სხეულს შეინარჩუნებენ და განწყობილებაც როდი ექნებათ ყოველთვის მტკიცე, არამედ ასაკის ზრდასთან ერთად სხეულიც შეეცვლებათ და სხვადასხვა ვითარებათა შესაბამისად აზრებსაც შეიცვლიან; სხვა ვართ ხომ ყრმობაში, სხვა – სიჭაბუკეში და სხვა მოწიფულობაში და ისევ, სრულიად ვიცვლებით სიბერის ჟამს. სხვაგვარნი ვართ მაშინ, რაჟამს საქმენი კარგად მიგვდის და სხვაგვარნი ვხდებით სამწუხარო შემთხვევებისას; სხვაგვარნი ვართ ავადმყოფობისას და სხვაგვარნი, როცა თავს ჯანმრთელად ვგრძნობთ, სხვაგვარნი საქორწინო ზეიმზე და სხვაგვარნი უბედურების ჟამს. ან კიდევ: რამდენადაც ეს ნათქვამია არა იმათთვის, ვინც იცვლება, არამედ იმათთვის, ვინც უნდა შეიცვალოს და ნათქვამს, რადგანაც იგი მომავალ დროზე მიუთითებს, წინასწარმეტყველების სახე აქვს. უფრო შესაფერისი იქნება ისინი ვიგულისხმოთ, რომელთაც ამაოებისაკენ მამათა სწრაფვის ჩვეულება დათმეს და თავიანთი ცხოვრების წესად სახარებისეული სიმკაცრე აირჩიეს. ამგვარად ფსალმუნი არა

იმდროინდელი იუდეველებისათვის დაიწერა, არამედ ჩვენთვის, **ცვალებულთათვის**, რომელთაც მრავალღმერთიანობა ღმრთისმოსაობით, ხოლო კერპთაყვანისმცემლური ცდომილება ჩვენი შემოქმედის შემეცნებით შევიცვალეთ; ვინც უსჯულო ტკბობას სჯულის კეთილგონიერება ვარჩიეთ და სალამური, ქოროები და ლოთობა ფსალმუნსა, მარხვასა და ლოცვაზე გავცვალეთ; ამდენად უკეთუ ვინმე იტყვის, რომ ფსალმუნი ჩვენთვის დაიწერა, ჭეშმარიტების წინაშე როდი შესცოდავს. ამიტომაც ჩვენია **სიტყვანი ღმრთისანი**(რომ.3,2) და ყოველ შეკრებაზე იკითხება ღმრთის ეკლესიაში, როგორც ღმრთისაგან წარმოგზავნილი საჩუქარი და როგორც საზრდელი სულისა, რომელსაც სულიწმიდა გვანიჭებს.

მაგრამ ეს ფსალმუნი დაწერილია ძეგლისწერისთვისაც, ანუ იგი უგულისყუროდ არ უნდა მოვისმინოთ. მსგავსად სწრაფადხრწნად მასალაზე დაწერილისა, რომელიც გაქრობას მაშინვე იწყებს, ნუ დაუშვებ იმას, რომ ფსალმუნის სიტყვები, აღიბეჭდავ რა მათ მცირე ხნით მეხსიერებაში, მერე შენი გონებიდან წარიხოცოს და წაიშალოს, არამედ ისინი სულში, ვითარცა სვეტზე, ისე ჩაიწერე, რათა მეხსიერებაში ერთხელ და სამუდამოდ მყარად და მტკიცედ ჩაგენერგოს.

ხოლო უკეთუ იუდეველი გამოგვრიცხავს და იტყვის, რომ თითქოს ფსალმუნი ჩვენთვის არ იყოს დაწერილი, თავად ფსალმუნის სიტყვებით შევარცხვინოთ, ავუხსნათ, რომ მოწოდება განუყოფელია და ერთმანეთისაგან დაშორებულებს ერთად კრებს, უხმობს შორს მდგომებს და ქრისტეს რწმენის წყალობით სიმრავლეს ერთად აქცევს. ნათქვამია: **ჩემი არს გალაად და ჩემი არს მანასე,** ეფრემსაც ასახელებს, იუდასაც უმატებს და მოაბსაც აქვე მიათვლის. იმუქრება, იდუმიაშიც შევაბიჯებო და ამასთან სიხარულით გვაუწყებს, რომ ყველას დაიმორჩილებს: **მე უცხო თესლნი დამემორჩილნეს**(7-8).

3. **ღმერთო განმთხიენ ჩუენ** – ანუ უარგვყავი ისინი, რომელნიც შენ შეცოდებათა სიდიდის მიხედვით გშორდებით, დაამხე ჩვენი მზაკვრობათა სიმწყობრე და ძალის წართმევით წყალობა გვიყავ, **შემრისხენ**, რაჟამს **ვიყვენით ბუნებით შვილნი რისხვისანი**(ეფ.2,3) **და სასოებაჲ არა გუაქუნდა და უღმრთო ვიყვენით სოფელსა შინა**(ეფ.2,12), ხოლო **შემიწყალენ ჩუენ**, რაჟამს მხოლოდშობილი ძე შენი მოგვეცი შესანდობად ჩვენთა ცოდვათა, რათა სისხლითა მისითა გვეპოვნა **გამოხსნაჲ**(ეფ.1,7), მაგრამ შენგან შეწყალებულნი ამას ვერ შევიცნობდით, რომ არ შეგესვა ჩვენთვის **ღვინოჲ ლმობიერებისაჲ**, ხოლო ღვინოდ იწოდება სიტყვა, რომელიც გასასტიკებულ გულს მგრძნობიარობას ანიჭებს.

მოეც მოშიშთა შენთა სასწაული განრომად პირისაგან მშვილდისა(4). მოსემ ისრაელიანთა კარების წირთხლი ცხვრის სისხლით დანიშნა, შენ კი ჩვენ ნიშნად მოგვეცი სისხლი უმანკო კრავისა, რომელიც ჩვენი ცოდვებისათვის დაიკლა. ეზეკიელის თქმითაც, ნიშანი სახეზეა აღბეჭდილი, რადგანაც ნათქვამია: **შევედით შემდგომად მისსა ქალაქად და ჭრიდით, ნუ ერიდებით თუალითა თქუენითა და ნუ შეიწყალებთ მოხუცებულსა და ჭაბუკსა და ქალწულსა და**

ჩჩვლთა და დედათა მოჰკლევდით აღსაჴოცელად. ხოლო ყოველთა ზედა რომელთა იყოს ნიშანი, ნუ მიეახლებით(ეზეკ.9,5-6).

ღმერთი იტყოდა წმიდით გამო მისით: განვიხარო და განვყო სიკიმაჲ(6). რჩეული მხარე სიკიმა, რომელიც იაკობმა იოსებს მისცა, როგორც ჩანს, პირველი სახეა აღთქმისა, რომელიც მხოლოდ ისრაელს მიეცა. ე. ი. ამბობს: ამ რჩეულ აღთქმასა და მემკვიდრეობას ხალხისა ორად გავყოფ და სხვებისთვისაც საერთოდ ვაქცევ. ხოლო რაჟამს აღთქმა ყველას გაუნაწილდება და სარგებლობას მოუტანს ღმრთის მიერ შეწყალებულ ხალხებს, მაშინ **ღელე იგი საყოფელთაჲ განვზომო**(6), ანუ მთელი სამყარო, თითქოსდა წილისყრით, ყოველი ადგილის მკვიდრთათვის გაიყოფა. მაშინ ერთმანეთისაგან დაშორებულებს ერთმანეთთან შეაერთებს **გინა თუ ქვეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა**(კოლ.1,20) მშვიდობისმყოფელი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და **შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჴსნა**(ეფ.2,14).

4. **ჩემი არს გალაად და ჩემი არს მანასე**(ფს.59,7). გალაადი მანასეს შთამომავალია(Iნეშ.7,17). ამით ნაჩვენებია ღმრთისაგან მომავალი თანმიმდევრობა იმ მამამთავრებისა, რომელთაგან ქრისტე იყო ჴორციელად(რომ.9,5). **და ეფრემ, დამამატკიცებელი თავისა ჩემისაჲ, იუდა, მეუფე ჩემი**(ფს.59,7); დაშლილ ნაწილებს ერთი აზრით აერთიანებს. **მოაბ, სიავი**[5] **სასოებისა ჩემისაჲ**, ან როგორც სხვა მთარგმნელი ამბობს: სიავი განბანვისა ან უზრუნველობისა, ანუ კაცი დაგმობილი, რომელსაც მუქარით უთხრეს, რომ ვერ შევა ეკლესიაში უფლისა, რადგანაც **ამანიტელი და მოაბელი ნუ შევლენედ სახიდ უფლისა ვიდრე მესამემდე, ვიდრე ათამდე ნათესავად, ნუცა უკუნისამდე ჟამთა**(2სჯ.23,3). მაგრამ რამდენადაც ნათლობა ცოდვებისაგან ათავისუფლებს და მოვალეებს უზრუნველობას სძენს, წინასწარმეტყველი, მიგვითითებს რა ნათლობის წყალობით თავის გადარჩენასა და ღმრთის შეთვისებაზე, ამბობს: **მოაბი, ემბაზი განბანვისა ან ემბაზი უზრუნველობისა**. ამრიგად, ყველა უცხო თესლი დამორჩილდება და ქედს დაიდრეკს ქრისტეს უღლის წინაშე. ამიტომაც **იდუმიამდეც აღიკუართნა ხამლნი თვისნი**(ფს.107,9), ხოლო ღმრთეებრივი ხამლი კი ღმრთის მატარებელი სხეულია, რომლითაც იგი ადამიანებთან ჩამოვიდა.

ამ იმედით, ნეტარად რაცხს რა წინასწარმეტყველი მოსვლას უფლისა, ამბობს: **ვინ მიმიყვანოს მე ქალაქსა მას შეცვულსა?**(ფს.107,10). როცა ქალაქს ამბობს, შეიძლება ეკლესიას გულისხმობდეს, რადგანაც იგი კანონიერ მკვიდრთა კრებულია და **შეცვული**, როგორც ქალაქი, რწმენის ზღუდით შემოზღუდული. ამიტომაც ერთმა მთარგმნელთაგანმა ფრიად მარჯვედ თარგმნა: **ქალაქსა მას შემოზღუდულსა**. ამგვარად ვინ მახილვინებს მე ამ დიდებულ სანახაობას – ღმერთს, ჩამოსულს ადამიანებთან? ამაზე მიუთითებს უფლის სიტყვებიც: **რამეთუ მრავალსა წინასწარმეტყუელთა გული-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ხედავთ და არა იხილეს**(მთ.13,17).

[5] ქვაბი, კარდალა, საბანელი, ემბაზი.

5. **მომეც ჩუენ შეწევნაი ჭირსა**(11). შეწევნა სხეულის სიძლიერესა და მის კეთილდღეობაში როდი უნდა ვეძებოთ; არც ადამიანთა შორის პატივდებულთა და ცნობილთაგან უნდა გვწადდეს გამოსარჩლება. გამარჯვება არც ქონების სიმრავლით, არც ძალის უპირატესობითა და არც მაღალი დიდებით მოიპოვება, არამედ, პირიქით, უფალი მის მაძიებელთ სწორედ ჭირთა სიმრავლის გამო შეეწევა. ასეთი იყო პავლე, რომელსაც ჭირნი თავის მოსაწონებლად მიაჩნდა და ამიტომაც შეეძლო ეთქვა: **რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები**(IIკორ.12,10). **მოგვეც ჩვენ, უფალო, შეწევნა ჭირთაგან, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ გამოცდილებასა და გამოცდილებაჲ სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის**(რომ.5,3-5). ხედავ, ჭირს სად აჰყავხარ? – შეურცხვენელ სასოებამდე, ავად ხარ? გამხიარულდი, რამეთუ **რომელნი უყუარან უფალსა, სწავლის**(ებრ.12,6). ღატაკი ხარ? გიხაროდეს, რადგანაც შენ ლაზარეს სიკეთენი გელოდება. ქრისტეს სახელისათვის პატივი აგხადეს? ნეტარი ხარ, რადგანაც პატივის ახდა ანგელოზის დიდებით შეგეცვლება. დავარწმუნოთ ჩვენი თავი, ძმებო, რომ განსაცდელის ჟამს კაცობრივ იმედებს არ უნდა მოვეჭიდოთ; არც აქ, დედამიწაზე, უნდა ვეძებოთ შემწეობა, არამედ ცრემლებითა და სულთქმით, გულმოდგინე ლოცვითა და დაძაბული მღვიძარებით უფალს უნდა შევევედროთ. ჭირისაგან შემწეობას ის მიიღებს, რომელიც არად ჩააგდებს კაცთაგან დახმარებას, ვითარცა ამაოს, და იმისი სასოებით განმტკიცდება, ვისაც ჩვენი ხსნა მართლაც შეუძლია, სახელდობრ, ჩვენი უფალი იესო ქრისტესი, რომლისა არს დიდება და მეუფება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საშბარი 61-ე ფსალმუნზე

1. **დასასრულსა იდითუმისთვის, ფსალმუნი დავითისი.** ფსალმუნებიდან ორი ვიცით, რომელთაც აწერიათ **იდითუმისთვის**: 38-ე და ეს, რომელიც ახლა გვიჭირავს ხელში. შემთხზველი ამ ფსალმუნებისა დავითია, ხოლო იდითუმს იმისათვის გადასცა, რომ მისსავე სასარგებლოდ, სულის სენთაგან განსაკურნავადაც გამოეყენებინა და ხალხის წინაშე გალობისთვისაც, რათა ღმერთიც ედიდებინათ და ამ მწყობრი გალობის მსმენელთა ზნეც გამოსწორებულიყო. როგორც ჩვენ ამას ნეშტთა წიგნში გადმოცემული ისტორია გვიმოწმებს, იდითუმი წმიდა მგალობელი იყო, კერძოდ, ნათქვამია: **და მის თანა ემან და იდითუმ და საყვირები და წინწილები ჴმობდა გალობასა და სტვირები გალობათა ღმრთისათა**(Iნეშ.16,41-42); ხოლო ცოტა ქვემოთ ამბობს: **და დაადგინა მეფემან დავით მთავართა ძლიერებისათა საქმესა ზედა ძეთა თანა ასაფისათა ემან და იდითუმი, შემხსნელი ქნარითა და ებნითა და წინწილითა**(Iნეშ.25,1). ორივე ფსალმუნი უპირატესად მოთმინებაზე მსჯელობს, რომელიც განრისხებულ სულს

ათვინიერებს, ხოლო მორჩილებას ყოველგვარი ქედმაღლობის განადგურება სრულყოფს. ძნელი წარმოსადგენია ხომ, რომ მან, ვინც ყველაზე დაბლა დგომასა და უკანასკნელობას ვერ ურიგდება, ოდესმე შეძლოს და რაჟამს კიცხავენ, რისხვა დაიოკოს, ან კიდევ სულგრძელობით დასძლიოს განსაცდელი, და, პირიქით, მას, ვინც სიმდაბლის მწვერვალს მიაღწია, შეურაცხმყოფელი სიტყვები სულს ვერ შეუშფოთებენ, რამდენადაც თავის თავს კიდევ უფრო დიდი დამცირების ღირსად მიიჩნევს. უკეთუ სიღარიბეს წამოაძახებენ, იცის, რომ მართლაც ღარიბია, ყოველმხრივ უჭირს და ყოველდღიურად საჭიროებს წყალობას ღმრთისაგან. ხოლო თუ იმას დააყვედრიან, რომ მდაბიო წარმოშობისაა და უჩინოთაგანია, არც მაშინ აღელდება, რადგან გულში უკვე დიდი ხანია აქვს ალბეჭდილი, რომ თიხისაგან შეიქმნა. ამიტომაც ამ ფსალმუნებიდან პირველში წინასწარმეტყველი ამბობს: **ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი**(ფს.38,1) და როგორც ცოდვილის ბოროტმზრახველობას, ასევე თავის სულგრძელობასაც გამოხატავს. **დავსდევ საცოჲ**, ამბობს, **პირსა ჩემსა, მიხდებოდა რაჲ ცოდვილი წინაშე ჩემსა. დავყრუვდი და დავმდაბლდი და დავდუმენ კეთილთაგან**(ფს.38,1,2). ხოლო შემდეგ აგრძელებს: **ყოველითავე ამაო არს ყოველი კაცი ხორციელი**(38,5), და კიდევ: **რამეთუ იუნჯებს და არა უწყის, ვის შეუკრიბოს იგი**(38,6).

ამ ფსალმუნს კი საგონებელში ჩავარდნილი იწყებს, თითქოს თავის სულს ესაუბრებოდეს და ადრე დაწყებულ სიტყვას აგრძელებდეს. იმისათვის, რომ სული ხორციელ აზროვნებას არ დაემორჩილოს და რისხვასა და სევდას არ მიეცეს, იგი ამბობს: რისთვის ვაქციო სული, რომელსაც მისმა შემოქმედმა სხეულისა და მისთა ვნებათა გაძღოლა ანდო, უკეთური ვნებების მონად? ამგვარად, ვნებებზე უნდა ვიმეუფოთ და ღმერთს დავემონოთ. რამდენადაც შეუძლებელია, რომ სულზე ერთდროულად მეუფებდეს ცოდვაცა და ღმერთიც, ამდენად საჭიროა, დავძლიოთ ბოროტი და ყოველთა უფალს დავემონოთ. ამიტომაც წინასწარმეტყველი, მიმართავს რა იმას, ვინც თავს განსაცდელს ატეხს, სიმრავლეს ბოროტთა უმხედრებს და ბევჯითად ცდილობს მისი სულიერი აზროვნება ხორცს დაუმონოს და დაუმორჩილოს, თოთქოსდა სამხილებლად ამგვარი ბოროტი განზრახვის ამაოებისა, ასე ეუბნება: რად მაიძულებ დავემონო მას, ვისი სამსახურიც არ მევალება? მყავს მე უფალი და ჭეშმარიტი მეუფეც ვიცი.

2. **ანუ არა ღმერთსავე დაემორჩილოსა სული ჩემი? რამეთუ მის მიერ არს ცხორებაჲ ჩემი**(ფს.61,1). წინასწარმეტყველი ასახელებს მიზეზს, რის გამოც ზრუნავს დამორჩილებისათვის, სახელდობრ იმას, რომ ცხოვრება ღმრთისგანაა. რამდენადაც შემოქმედის თვისებაა, იზრუნოს თავის ქმნილებათა დაცვისათვის, ამდენად **მის მიერ არს ცხოვრებაჲ**. ვითარცა წინასწარმეტყველი, დავითი წინასწარ ჭვრეტს მომავალ წყალობას უფლის განკაცებისა და გვეუბნება, რომ საჭიროა დამონება და სიყვარული ღმრთისა, რომელმაც კაცთა მოდგმას ისეთი დიდი სიკეთე უყო, რომ **ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათვის**

მისცა იგი(რომ.8,32). ჩვეულებრივ, წმიდა წერილიც ხომ ღმრთის ცხებულს მაცხოვარს უწოდებს, როგორც ეს სვიმეონის სიტყვებშიც ჩანს: **აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი**(ლკ.2,29-30); ამრიგად, დავემორჩილოთ ღმერთს, რადგანაც **ცხოვრება** მისგანაა. წინასწარმეტყველი იმასაც განმარტავს, თუ რა არის ცხოვრება: ის არ არის უბრალო მოქმედება, რომელიც უძლურებისაგან თავის დასაღწევად და სხეულის კეთილდღეობისათვის რამდენადმე მადლს გვაზიარებს. მაშ რა არის **ცხოვრება**?

და რამეთუ იგი არს ღმერთი ჩემი და მაცხოვარი ჩემი, შესავედრებელი ჩემი და მე არა შევირყიო უფროჲს(2). ჩვენი ღმერთი ძე ღმრთისაა. იგი არის მაცხოვარი კაცთა მოდგმისა, განმამტკიცებელი ჩვენი უძლურებისა და დამამშვიდებელი იმ მღელვარებისა, რომელსაც ჩვენს სულებში განსაცდელნი წარმოშობენ. **არა შევირყიო უფროჲს**. ფსალმუნის ავტორი მღელვარებას კაცობრივ თვისებად აღიარებს, რადგანაც თითქმის შეუძლებელია, რომ ადამიანის სულში რაღაც მღელვარება არ წარმოიშვას განსაცდელთაგან. ვიდრე ჩვენ მცირედ ვცოდავთ, შედარებით იშვიათად, მსუბუქად ვირხევით, ვითარცა მცენარენი ნიავისაგან. ხოლო როცა ჩვენი უკეთური საქმეები უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო სერიოზული ხდება, მაშინ შესაბამისად ჩვენი ცოდვების ზრდისა, მღელვარებაც ჩვენი ძლიერდება. ამ დროს ერთნი ზომაზე მეტად ირყევიან, ხოლო მეორენი ძირიანად ამოგლეჯილნი ემხობიან. ქარბორბალა ბიწიერებისა, რომელიც ყოველგვარ ქარიშხალს აღემატება, ამოაგდებს ფესვებს, რომლებზეც იგი ღმრთეებრივი რწმენითაა დამტკიცებული. ამიტომაც მეც, ამბობს წინასწარმეტყველი, შევირყიე ვითარცა კაცი, მაგრამ **უფროჲს** არა შევირყევი, რადგანაც მაცხოვარის მარჯვენა მიცავს.

3. **ვიდრემდის დაესხმით კაცთა ზედა და მოჰკლავთ თქვენ, ყოველნი, ვითარცა კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დაჭენებულსა**?(3). უჩივის რა მათ მიერ ჩაფიქრებულ ბოროტ ზრახვათა სიმრავლეს, ფსალმუნის ავტორი ისევ ებრძვის ვერაგ მსახურებს ეშმაკისა. ჩვენ კაცნი უძლურნი ვართ, თქვენ კი თავს გვესხმით და თანაც ისე, რომ თუ ერთმა თავდასხმამ არ დაგაკმაყოფილათ, მეორედაც და მესამედაც იმეორებთ, ვიდრე ამგვარად არ დაამხობთ სულს, რომელიც შეგხვდებათ. ასე რომ, იგი გადაქანებულ კედელსა და დანგრეულ სიმაგრეს დაემსგავსება. კედელი კი მტკიცეა მანამ, ვიდრე, იგი სწორად დგას, ხოლო თუ გადაექანა, აუცილებლად დაინგრევა და დაემხობა. მძიმე სხეული, თუ კი იგი ერთ მთლიანს წარმოადგენს, დახრის შემდეგაც შეიძლება გასწორდეს, მაშინ როცა მრავალი ნაწილისაგან შედგენილი სხეული, თუ ერთ მხარეს გადაიწონა, ვეღარ გასწორდება. ამგვარად, სიტყვა გვიჩვენებს, რომ რამდენადაც ბუნება კაცისა შედგენილია, რაჟამს ცოდვისაგან დაიდრიკება, უცილობლად დაინგრევა; ხოლო როცა შემოქმედი, რომელმაც იგი პირველად შექმნა, კვლავ განაახლებს, სიმტკიცე უნდე შეიძინოს, რათა ვინმეს ბოროტი

განზრახვით ისევ არ დაეცეს. ნათქვამია: **ღმრთისა ნამუშაკევნი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ**(Iკორ.3,9). აი, ეს შენობა შეარყია მტერმა და რაც დაინგრა, იმას დამბადებელი აღადგენს. ამგვარად, დაცემა უცილობელია ცოდვის მიზეზით, მაგრამ დიდია აღდგომაც იმ მიზეზით, რომ უკვდავნი ვართ.

ხოლო პატივისა ჩემისაჲ იზრახეს განშორებაჲ და რბიოდეს წყურილით; პირითა მათითა აკურთხევდეს და გულითა მათითა სწყევდეს(4). ადამიანის სასყიდელი ქრისტეს სისხლია, რადგანაც ნათქვამია: **სასყიდლით სყიდულ ხართ, ნუ იქნებით მონა კაცთა**(Iკორ.7,23). აი, ამ სასყიდელის ჩვენთვის უსარგებლოდ ქცევა განიზრახეს ბოროტების მხედრებმა, კვლავ დაიმონეს რა ისინი, ვინც ერთხელ უკვე განთავისუფლდნენ. **რბიოდეს წყურილით** – წინასწარმეტყველი გამოხატავს დემონთა მუხანათობის სისასტიკეს, რომელნიც, სწყურიათ რა ჩვენი დაღუპვა, ჩვენსკენ მოისწრაფვიან. **პირითა მათითა აკურთხევდეს და გულითა მათითა სწყევდეს**. უკეთურ საქმეებს მრავალნი იწონებენ: მასხარას გამრთობს უწოდებენ, ენაბილწს – ვინც იცის, როგორ მოიქცეს, კუშტსა და მრისხანეს – საყვარელს; ძუნწსა და გულჩათხრობილს ანგარიშიანობისათვის აქებენ, მფლანგველს – გულუხვობისათვის; მრუშსა და გარყვნილს – ტკბობის ცოდნისა და უზრუნველობისათვის; და საერთოდ ყველა მანკიერ თვისებას მასთან ახლო მდგომი სათნოების სახელით ალამაზებენ. ამგვარნი პირით აკურთხვენ, ხოლო გულით წყევლიან, რადგანაც თავიანთი ქებით სინამდვილეში წყევლიან მათ, ვისაც აქებენ და საუკუნო სასჯელს უმზადებენ სწორედ იმის გამო, რისთვისაც აქებდნენ.

ფსალმუნის ავტორი ისევ სულს მიმართავს, რათა მისი მორჩილება ღმრთის მიმართ გააძლიეროს: **გარნა ღმერთსა დაემორჩილე, სულო ჩემო, რამეთუ მის მიერ არს თმენაჲ ჩემი**(ფს.61,5). ამით გვაჩვენებს, თუ რა დიდია განსაცდელი და იმავეს ამბობს, რასაც მოციქული, სახელდობრ, რომ ღმერთმა **არა გიტევნეს თქუენ განცდად** უფრო მეტი, ვიდრე თქვენ მისი ატანა შეგიძლიათ(1კორ.10,13), **რადგანაც მის მიერ არს თმენაჲ ჩემი.**

4. **ღმრთისა მიმართ არს ცხორებაჲ ჩემი და დიდებაჲ ჩემი. ღმერთი შეწევნისა ჩემისაჲ და სასოებაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ**(ფს.61,7). ნეტარია ის, ვისაც ცხოვრებისეული სიმაღლენი ვერ აღაფრთოვანებს და ღმერთი ჰყავს თავის დიდებად, ვისი სიქადულიც ქრისტეა და ვისაც მოციქულთან ერთად შეუძლია თქვას: **ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯუარითა ქრისტესითა**(გალატ.6,14). მაგრამ ახლა სხეულით თავს ბევრი იწონებს. ესენი არიან ორთაბრძოლებში გაწვრთნილები და საერთოდ ისინი, რომელნიც ასაკის სინორჩის გამო ჰყვავიან; მრავალს კიდევ ომში გამოჩენილი სიმამაცით მოაქვს თავი და თანამემამულეთა ხოცვასაც კი სიქველედ მიიჩნევს, რადგანაც მეომრული პატივი და მხედარმთავრისა და ქალაქების მიერ გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული ძეგლები ხოცვა-ჟლეტის სიდიდეს შეესაბამებიან. ერთნი ქალაქებისათვის კედლების აშენებით იხვეჭენ სახელს, ხოლო მეორენი წყალგაყვანილობის

მოწყობითა და დიდი სავარჯიშო დარბაზების მშენებლობით. ამ კაცს, ვინც თავის ქონებას მხეცებთან მებრძოლებს ახარჯავს, ბრბოს ფუჭი შეძახილები აღაფრთოვანებს და ქებით თავბრუდასხმულს თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და მას, ვისი დიდებაც მისსავე სირცხვილშია, საჩვენებლადაც კი გამოაქვს თავისი ცოდვები, აკეთებს რა მათ შესახებ დაფებზე წარწერებს ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში. სხვას თავი სიმდიდრით მოაქვს, სხვას კიდევ იმით, რომ ძლიერი და დაუმარცხებელი მჭევრმეტყველია, ან კიდევ ამსოფლიური სიბრძნის მცოდნე. ვისაც ამგვარი დიდება აქვს, ყველა უნდა შევიბრალოთ, ხოლო ისინი, რომელთაც თავის დიდებად ღმერთი გაიხადეს, ნეტარად უნდა შევრაცხოთ. უკეთუ ვინმეზე დიდი წარმოდგენა გვაქვს, რადგანაც იგი მეფის მსახურია და მისგან დიდად პატივდებული, მაშინ რამდენად დიდი პატივი შეგფერის შენ, ვინც მონა ხარ დიდი მეუფისა, მოწოდებული მისგან მაღალთა შინა დასამკვიდრებლად და მიღებული გაქვს სული აღთქმისა, რათა მისით აღბეჭდილი ღმრთის ძედ იქცე.

საკუთარი თავის მაგალითზე შეიცნო რა სარგებელი ღმრთის ჭეშმარიტი სასოებისა, ფსალმუნის ავტორი ხალხს სწორედ სასოებაში მოშურნეობისაკენ მოუწოდებს და ამბობს: **ესევდით მას ყოველი კრებული ერისაჲ, განჰფინენით მის წინაშე გულნი თქუენნი**(8). შეუძლებელია, რომ ჩვენ ღმრთის მადლი მანამ მივიღოთ, სანამ ჩვენგან იმ ბიწიერ ვნებებს არ განვდევნით, რომელთაც ჩვენი სულები მოიცვეს. როგორც მე ვნახე, ექიმები მანამდე არ აძლევენ სამკურნალო წამლებს, ვიდრე ავადმყოფებს სენის წარმომშობ იმ ნივთიერებას არ ამოანთხევინებენ, რომელნიც თავიანთ თავში თავშეუკავებლებმა უკეთური საქციელით დააგროვეს; ვიდრე არ გამორეცხავენ, არც იმ ჭურჭელში ჩაასხამენ მირონს, რომელშიც ადრე რომელიღაცა ავსუნიანი სითხე ესხა. ამიტომ ჯერ ის უნდა გადაიღვაროს, რაც მასში ადრე იყო და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაისხას ახალი.

ხოლო ამაო არიან ძენი კაცთანი(9). წინასწარმეტყველმა იცის, რომ მის შეგონებებს ყველა არ გაჰყვება და არც იმაში დაეთანხმება, რომ ღმრთის სასოება უნდა ჰქონდეს, არამედ, პირიქით, ცხოვრებისეულ ამაოებათა მსასოებელნი იქნებიან. ამიტომაც ამბობს: **ხოლო ამაო არიან ძენი კაცთანი, ცრუ ძენი კაცთანი**. რატომ არიან ამაონი? იმიტომ რომ ცრუნი არიან. განსაკუთრებით რაში მჟღავნდება მათი სიცრუე? **სასწორთა მათ ზედა სიცრუვისათა**. რომელ სასწორთა შესახებ ლაპარაკობს წინასწარმეტყველი? განა ყოველი კაცი დგას სასწორით ხელში? ან იქნებ იმათ გულისხმობს, ვინც მატყლსა და ხორცს ჰყიდის, ან ოქროთი და ვერცხლით ვაჭრობს და საერთოდ საზრუნავად იმგვარი ნივთები აქვს, რომელთაც ვაჭრები ჩვეულებრივ ზომითა და წონით ჰყიდიან? მაგრამ მრავალია ხომ იმგვარი ხელოსანი, რომლის ხელობასაც სასწორი არ სჭირდება; ბევრი ზღვაოსნობას მისდევს, ბევრი კიდევ სასამართლოსა და ქვეყნის მართვის საქმეებში ტრიალებს. მართალია, სიცრუე მათ შორისაცაა, მაგრამ მზაკვრობა სასწორით არ მზადდება. მაშ რას ნიშნავს წინასწარმეტყვე-

ლის ნათქვამი? იმას, რომ ყოველ ჩვენგანში არის შემოქმედისაგან ჩვენთვის მოწყობილი რაღაც დაფარული სასწორი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საქმეთა ბუნება გაირჩეს.

აჰა, ესერა მიმიცემიეს თქუენ წინაშე დღესვე ცხორებაჲ და სიკუდილი, სიკეთე და ბოროტება(2სჯ.30,15), – ურთიერთსაპირისპირო ორი ბუნება! გულმოდგინედ აწონე ისინი საკუთარ სამსჯავროზე, რა უფრო სასარგებლო იქნება შენთვის, – არჩევა დროებითი ტკბობისა, რომლის გამოც საუკუნო სასჯელს მიიღებ, თუ ტანჯვა სათნოებაში წვრთნისას, რომელიც მარადიული ტკბობის მოსაპოვებლად გამოგადგება. ამრიგად, ცრუნი არიან ადამიანები, რომელთაც სამსჯავრო სულისა გაანადგურეს. სწორედ ისინი ებრალება წინასწარმეტყველს, როცა ამბობს: **ვაი, რომელნი იტყვიან ბნელსა ნათლად და, ნათელსა ბნელად, რომელნი იტყვიან მწარესა ტკბილად და ტკბილსა მწარედ**(ეს.5,20). ჩემ წინ, ამბობს ფსალმუნის ავტორი, აწმყოა, მომავალი ვინ იცის? შენ ცუდად სწონი, როცა სიკეთეს ბოროტებას ამჯობინებ, ჭეშმარიტზე უფრო ამაოს აფასებ, დროებითს მარადიულზე მაღლა აყენებ და ნაცვლად დაუსრულებელი და განუწყვეტელი სიხარულისა, მსწრაფლ წარმავალ სიამოვნებას ირჩევ. ამიტომაც **ცრუნი არიან ძენი კაცთანი სასწორსა მათ ზედა სიცრუვისათა**. პირველ რიგში, უსამართლოდ ისინი საკუთარ თავს ექცევიან, ხოლო შემდეგ მახლობლებს, რადგანაც თავიანთი თავისთვისაც უვარგისი მრჩევლები არიან და სხვებისთვისაც ცუდ მაგალითს წარმოადგენენ. სამსჯავროს გამართვის დღეს შენ ვერ იტყვი, რომ სიკეთე არ იცოდი, რადგანაც გამხელენ საკუთარი სასწორნი, საკმარისნი იმისათვის, რომ სიკეთე ბოროტებისაგან გაგერჩია. სხეულის სიმძიმეს სასწორზე ისრების გადახრით ვიგებთ, ხოლო იმას, თუ რას უნდა მივსცეთ უპირატესობა ცხოვრებაში, სულის თავისუფალი ნებით ვირჩევთ, რომელსაც ფსალმუნის ავტორმა სასწორი უწოდა, რადგანაც თავისუფალ ნებას თანაბრად შეუძლია ორივე მხარეს გადაიხაროს.

5. **ნუ ესავთ სიცრუესა და ტაცებად ნუ გსურის**(10). ზემოთ თქვა: **ესევდით მას ყოველი კრებული ერისაჲ**, მაგრამ როცა დაინახა, რომ მორჩილებაში სიზანტეს ვიჩენდით, წარმოთქვა: **ხოლო ამაო არიან ძენი კაცთანი**. ახლა კი კვლავ გვიკრძალავს სასოებას სიცრუისა. ვინც სიცრუით შეკრებილ სიმდიდრეს თავისი ძლიერებისა და უფლებამოსილებისათვის საკმარის მიზეზად მიიჩნევს, მსგავსია ავადმყოფისა, ვინც თავისი ჯანმრთელობა უმძიმეს სნეულებაში ჩააგდო. **ნუ ესავთ სიცრუესა**, იგი შენ ხელს ყოველ საქმეში შეგიშლის. **და ტაცებად ნუ გსურის**. ფსალმუნის ავტორი შეგვაგონებს – ნუ აღგვეძვრება გულისთქმა იმაზე, რაც სხვისია.

სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა თქუენთა(10). თუ დაინახე, რომ ვინმეს გარდამეტებული სიმდიდრე აქვს, მის სიცოცხლეს ნეტარებად ნუ მიიჩნევ. უკეთუ შენთან ფული ყოველი მხრიდან და უხვი წყაროებიდან მოედინება, მის სიჭარბეს შენამდე ნუ მოუშვებ. **სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის!** – გაგაოცოს ამ სიტყვებმა, სიმდიდრის თვისება მდინარებაა.

უსწრაფესად ნიაღვრისა მიედინება იგი მის მფლობელთა შორიახლოს და ჩვეულებრივ ხან ერთთან მიდის და ხან მეორესთან. ვითარცა მდინარე სიმაღლიდან დაქანებული, ნაპირზე მდგომს მიუახლოვდება და შეეხება თუ არა, მყისვე განშორდება, ასევე ტკბობაც, სიმდიდრისაგან გამოწვეული, ფრიად სწრაფად ჩნდება და ქრება, რადგან ჩვევად აქვს, ერთიდან მეორესთან გადავიდეს. ეს მინდორი დღეს ერთს ეკუთვნის, ხვალ მეორეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, უკვე სხვისია. შეხედე ქალაქში სახლებს! თავიანთი არსებობის დღიდან უკვე რამდენი სახელი გამოიცვალეს, იხსენებენ რა ხან ერთი და ხან მეორე პატრონის სახელით. ოქროც მუდმივად მიედინება მისი მფლობელის ხელიდან მეორის ხელში, ხოლო მეორიდან კიდევ მესამისაში და ასე განუწყვეტლივ. უფრო ადვილად შეიძლება წყლის ხელში დაჭერა, ვიდრე ის, რომ სიმდიდრე შენთან ხანგრძლივად გააჩერო. ამიტომაც მშვენივრადაა თქმული: **სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა თქუენთა:** ნუ გაგიტაცებს იგი შენ სულით, არამედ მისგან სარგებლობა მიიღე; ნუ შეიყვარებ მას ზომაზე მეტად როგორც ერთ სიკეთეთაგანს და ნუ გაგაკვირვებს, არამედ გამოიყენე იგი ვითარცა იარაღი, რომელიც შენ უნდა გემსახუროს.

შემდგომად ამისა, ფსალმუნების ავტორი ყოველივეს, რაც თქვა, ურთავს გამონათქვამს, ოღონდ გამოხატულს არა საკუთარი სიტყვებით, არამედ ისე, როგორც ის ღმრთისგან მოისმინა, რადგანაც ამბობს: **ერთჯერ თქუა ღმერთმან და ორი ესე მესმა**(11). და ნურავინ შეშფოთდება, რომ თითქოს ნათქვამში უცნაურობა იყოს, სახელდობრ, როგორ შეიძლება, რომ ის, რაც ღმერთმა ერთხელ თქვა, წინასწარმეტყველს ორჯერ მოესმინა, რადგანაც შესაძლებელია, რომ ერთხელ ითქვას და ამ ერთხელ ნათქვამში თქმული ბევრი რამ იყოს. კაცი ვინმე სხვა კაცს ერთხელ შეხვდა და მრავალ რამეზე ესაუბრა; ამ სხვას კი, ვინც მის საუბარს მოუსმინა, შეუძლია თქვას, რომ მართალია, ერთხელ ესაუბრა, მაგრამ ბევრი რამ უთხრა. იგივე აზრი აქვს ახლახან ნათქვამს: ღმერთი მე ერთხელ გამომეცხადა, მაგრამ საგანი, რომელთა შესახებაც მესაუბრა, ორი იყო. ის ხომ არ უთქვამს: **ერთი თქვა ღმერთმან და ორი ესე მესმაო**. მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ ნათქვამი მართლაც შეიცავს თავისი თავის საწინააღმდეგოს. და რა იყო ეს ორი, რომელიც წინასწარმეტყველმა მოისმინა? **ღმრთისა არს სიმტკიცე და შენი არს, უფალო, წყალობაჲ**(11-12). მე მოვისმინე, – ამბობს იგი, რომ ღმერთი მსაჯულიცაა და შემწყალებელიც, ამიტომ **ნუ ესავთ სიცრუესა** და სიმდიდრე ნუ შეგიპყრობთ; ნუ აირჩევთ მას, რაც ამაოა და თქვენს თავში განხრწნად სამსჯავროს ნუ ატარებთ; იცოდეთ, რომ მტკიცეა უფალი ჩვენი და გეშინოდეთ მისი ძლიერებისა, მაგრამ ნურც მისი კაცთმოყვარეობის იმედს გადაიწყვეტთ. უსამართლობა რომ არ ჩაიდინოთ, ამისათვის კარგია შიში, ხოლო იმისათვის, რომ ერთხელ ცოდვით დაცემული სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, კარგია იმედი შეწყალებისა, რამეთუ **ღმერთი არს სიმტკიცე და მისგანაა წყალობაც**.

რამეთუ შენ მიაგო კაცად კაცადსა საქმეთა მისთაებრ(12), რადგან **რომლითა**

საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ(მთ.7,2). ძმას შეურაცხყოფა მიაყენე? შენც იმავეს მიიღებ. მდაბიონი გაძარცვე თუ ღატაკებს სცემე, ვინმე ლანძღვაგინებით შეარცხვინე თუ ცილი დასწამე, იცრუე თუ სხვისი საქორწინო სარეცელის მიმართ ბოროტი განიზრახე, ფიცი დაარღვიე **თუ სცვალე საზღვარნი მამათა**(იგავ.22,28), ობოლთა ქონებას დაესხი თავს თუ ქვრივები შეურაცხყვე და ამგვარად აღთქმულ სიკეთეთ წარმავალი ტკბობა ამჯობინე – ყოველივე ამისათვის სანაცვლოს ელოდე, რადგანაც ყოველმან **რაც დასთესოს, იგივე მოიმკოს**(გალატ.6,7). ხოლო თუ კარგი რამეც გაქვს გაკეთებული, იმისთვისაც მრავალჯერ აღმატებულ სანაცვლოს მიიღებ, **რამეთუ შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ**. თუ ეს სიტყვები მთელი სიცოცხლე გემახსოვრება, შესძლებ გაექცე მრავალ ცოდვას უფალი ჩვენი იესო ქრისტეს წყალობით, რომლისა არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საუბარი 114-ე ფსალმუნზე

1. წინასწარ დაიკავეთ რა წამებულთა ეს წმიდა ტაძარი და შუაღამიდან მოყოლებული მოწყალებად აღძრავდით რა წამებულთა ღმერთს საგალობლებით, აგერ შუადღემდე დაითმინეთ და ჩემს მოსვლას დაელოდეთ. ამიტომ თქვენ, რომელნიც ძილსა და მოსვენებას მოწამეთათვის პატივის მიგებასა და ღმრთის სამსახურს ამჯობინებთ, ჯილდო გამზადებული გაქვთ; ხოლო უკეთუ მე დაგვიანებისა და იმისათვის, რომ დიდი ხნით მიგატოვეთ, თავის მართლება მმართებს, მაშინ მიზეზსაც ვიტყვი. მთელი ეს დღე მე მოვანდომე ღმრთის სხვა ეკლესიის მოწყობას, რომელიც პატივით ამას უტოლდება და რომელსაც ჩვენგან მცირე მანძილი როდი აშორებს. რადგანაც ღმერთმა მომმადლა, რომ მსახურება იმათთვისაც აღმესრულებინა და თქვენი სიყვარულიც გამემართლებინა, ჩემთან ერთად მადლობა მიაგეთ მწყალობელს, რომელიც ჩემი სხეულის ხილულ უძლურებას თავისი უხილავი ძალით კურნავს. დიდხანს რომ არ დაგაყოვნოთ და არ განაწყენდეთ, მოკლედ გესაუბრებით იმ ფსალმუნზე, რომლის გალობაზეც მოგისწარით და დავაპურებ რა თქვენს სულებს ნუგეშისაცემელი სიტყვით შესაფერისად ჩემი ძალისა, მაშინვე გაგიშვებთ, რათა ყოველმა თქვენგანმა სხეულზეც იზრუნოს.

რა იგალობეთ? **შევიყუარე, რამეთუ ისმინოს უფალმან ხმაჲ ვედრებისა ჩემისაჲ**(1). ყველას არ შეუძლია თქვას – **შევიყუარე**, არამედ მხოლოდ იმას, ვინც უკვე სრულყოფილია, ვინც გადალახა შიში მონისა და ვისმა სულმაც შვილის მდგომარეობა მოიპოვა. სიტყვას **შევიყვარე** არ მოსდევს სახელდობრ ვინ შეიყვარა, მაგრამ ჩვენ ღმერთი ყოველთა უნდა ვიგულისხმოთ. ჭეშმარიტად საყვარელი სწორედ ღმერთია, რადგანაც განსაზღვრების მიხედვით საყვარელია ის, რაც ყველას სურს. ღმერთი სიკეთეთაგან პირველი და უსრულყოფილესი

სიკეთეა. ამრიგად, მე თვითონ ღმერთი, საბოლოო მიზანი, შევიყვარე და მისთვის ტანჯვანი სიხარულით შევიწყნარე. თუ რომელია ეს ტანჯვანი, ამას წინასწარმეტყველი ცოტა ქვემოთ აღწერს: **სალმობანი სიკუდილისანი, ჭირნი ჯოჯოხეთისანი, ჭირი და სალმობაჲ**(3). ყოველივე ეს მას საყვარელი ეჩვენებოდა ღმრთის სიყვარულისა და იმ იმედის გამო, რომ ღმრთის მოშიშებისათვის განცდილ ტანჯვათა წყალობით, იგი დაცული იქნებოდა. არა ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ძალდატანებით და იძულებით დავითმინე მე ღვაწლი, – ამბობს იგი, – არამედ ჯაფანი სიყვარულითა და კეთილგანწყობით ვიტვირთე. ამიტომაც შემიძლია ვთქვა: **შენთვის მოვსწყდებით ჩვენ მარადღე**(ფს.43,23). ჩანს, რომ ეს ძალით მოციქულის სიტყვას ეთანაბრება და იმავე განწყობილებითაა ნათქვამი, როგორითაც მოციქული ამბობს: **ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყვარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშულოებამან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან?**(რომ.8,35). ყველა ესენი შევიყვარე, რადგან ვიცოდი, რომ ჭირს ღმრთისმოსაობისათვის ვითმენ და ღვაწლის მაყურებლად და მსაჯულად ყოველთა უფალი მყავს. **რამეთუ ისმინოს უფალმან ხმაჲ ვედრებისა ჩემისაჲ**. ამგვარად, ყოველ ჩვენგანს შეუძლია აღასრულოს სიძნელე მცნებებისა, როცა თავის ცხოვრებას ყოველთა ღმერთის, ვითარცა მაყურებელის წინაშე, ისე გააცხადებს.

2. **რამეთუ მოყო ყური მისი ჩემდა**(2). წინასწარმეტყველმა თქვა **მოყო**, არა იმიტომ, რომ შენ სხეულებრივი წარმოდგენა შეგექმნას ღმერთზე, თითქოს მას ყურები ჰქონდეს და ჩუმი ხმის გამო უნდა **მოყოს**, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ ხოლმე, როცა ხმადაბლა მოსაუბრეს სასმენელს მივუახლოვებთ, რათა ნათქვამი ახლოდან შევიგრძნოთ, არამედ პირიქით, **მოყო** იმიტომ თქვა, რომ საკუთარი უძლურება ეჩვენებინა; ანუ კაცთმოყვარეობისა გამო ჩამოდი ჩემთან, მიწაზე განრთხმულთან, მსგავსად კაცთმოყვარე მკურნალისა, რომელიც დიდად ღონემიხდილ სნეულს, ვისაც არ შეუძლია გარკვევით ისაუბროს, ყურს მიადებს და ასე იგებს, რას საჭიროებს სენით გატანჯული. ამრიგად, **მოყო ყური მისი ჩემდა**. ღმრთეებრივ სმენას ხმა არ სჭირდება შესაგრძნობლად, რადგანაც გულის მოძრაობითაც შეუძლია შეცნობა იმისა, რასაც ვითხოვთ. იქნებ არ გსმენია, რომ მოსეს, რომელიც ხმას არ იღებდა და უფალს უთქმელად, ოხვრით ევედრებოდა, ღმერთმა მოუსმინა და უთხრა: **რასა ჰჴმობ ჩემდა მომართ?**(გამს.14,15). ღმერთს შეუძლია მართლის სისხლსაც კი მოუსმინოს, თუმცა მას არც ენა აქვს და არც ხმა, რომელიც ჰაერში დაირხევა. უდიდესი ხმა წინაშე უფლისა მართალ საქმეთა განცხადებაა.

და მე დღეთა ჩემთა ვხადოდი მას(2). ჩვენ თუ ერთი დღე ვილოცეთ ან ერთი მოკლე საათით დავმწუხრდით ჩვენი ცოდვების გამო, მაშინვე ისე უზრუნველი ვხდებით, თითქოს ჩვენი ცოდვების თანაბარი სიკეთე გავაკეთეთ, ხოლო წმიდა წინასწარმეტყველი კი აცხადებს, რომ იგი იტყვის აღსარებას, თანაზომიერს მთელი თავისი სიცოცხლისა, რადგანაც ამბობს: ყოველთა **დღეთა ჩემთა ვხა-**

დოდი მას; შემდეგ: რათა შენ არ იფიქრო, რომ თითქოს იგი ღმერთს იმიტომ უხმობდა, რომ კეთილდღეობითი ცხოვრება ჰქონდა ყველა საქმე წარმატებით მიუდიოდა, გასაჭირთა სიდიდეზე მოგვითხრობს, რომელთა დროსაც არ დავიწყებია სახელი ღმრთისა. იგი ამბობს: **გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი და ჭირთა ჯოჯოხეთისათა მპოეს მე**(3). სიტყვა **სალმობანი**(ὠδῖν), საკუთრივ ორსულის ჩვეულებრივ ტკივილებს ნიშნავს, რაჟამს მუცელი, ტვირთით დამძიმებული, ჩანასახს გარეთ გამოსვლას აიძულებს და ფეხმძიმობისას დაჭიმული საშვილოსნოს ნაწილები ძარღვების შერყევითა და შეკუმშვით მშობიარეს უმწვავეს ტკივილებსა და სასტიკ წამებას განაცდევინებს. სიტყვა **სალმობის** ეს გაგება მან სისიკვდილო ტკივილებზე გადაიტანა, რომელიც ცოცხალ არსებას სულისა და სხეულის გაყრისას ტანჯავს. მე დავითმინე, – ამბობს იგი, არა ის, რისი ატანაც ასე თუ ისე შეიძლება, არამედ განვიცადე სალმობანი თვით სიკვდილისა და ჯოჯოხეთში ჩავარდნის საფრთხემდე მიველი, რითაც თავი მოაქვს. ეს ერთი რამ დაითმინა, თუ იგივე მრავალგზის და თანაც არა თავისი ნებით განიცადა? რადგანაც, რაც იძულებითია, ის ხომ ქებას სრულიადაც არ იმსახურებს. მაგრამ შეხედე დიდბუნებოვანებას მოღვაწისა, როცა ამბობს: **გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი და ჭირთა ჯოჯოხეთისათა მპოეს მე**. ამ განსაცდელთა სიმძიმის ქვეშ არა თუ არ დავეცი, არამედ ჩემი თავი ნებაყოფლობით უფრო მრავალრიცხოვან განსაცდელთა შინა ჩავაგდე; ჭირი და სალმობა არა მხოლოდ ჩემი ნების წინააღმდეგ არ დამტყდომია თავს, არამედ ისინი თითქოს ჩემთვის ჩემივე ნებით გამოვიგონე. ცოტა ზემოთ ამბობს: **ჭირთა ჯოჯოხეთისათა მპოეს მე,** ხოლო აქ: **ჭირი და სალმობა ვპოე**(3). მაცდურისაგან მოწეულ ყველა ჭირში მოუღლელი აღმოვჩნდი და ღმრთის სიყვარულის სიჭარბე რომ მეჩვენებინა, ჭირს ჭირი დავურთე და სალმობას – სალმობა, არა იმის იმედით, რომ მწუხარებას წინ საკუთარი ძალით აღვუდგებოდი, არამედ იმიტომ რომ, მსგავსად მოციქულის თქმულისა, უფლის სახელს მოვუწოდე: **არამედ ამას ყოველსა ზედა-ვსძლევთ ჩუენ მის მიერ, რომელმანცა-იგი შემიყუარნა ჩუენ**(რომ.8,37). გაიმარჯვებს ის, ვინც მოუღლელად გადაიტანს იმას, რაც თავს აუცილებლობით გადახდება, ხოლო ყოველივეს დასძლევს ის, ვინც მოთმინების დასამტკიცებლად ტკივილებს თავისი ნებით გამოიწვევს. მან, ვინც რომელიმე მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდა, უნდა თქვას: **გარე-მომედგეს მე სალმობანი სიკუდილისანი**, რადგანაც ნათქვამია: ყოველი, **რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს**(Iიო.3,8). დავით წინასწარმეტყველი ამბობს: როცა მე ცოდვა ჩავიდინე და სიკვდილი მუცლით მატარებდა, ჭირთა ჯოჯოხეთისა მაშინ მიპოვეს. თავი როგორღა განვიკურნე? იმით, რომ ჭირი და სალმობა მონანიებით ვპოვე. ცოდვის სიმძიმის შესაფერისი ტანჯვა სინანულისა მოვიფიქრე და უფლის სახელის მოხმობა ამგვარად გავბედე. და რა იყო, რაც ვუთხარი? **უფალო, იხსენ სული ჩემი**. რადგანაც ტყვე ვარ, გამოსასყიდი ჩემთვის შენ მიეცი და **იხსენ სული ჩემი**.

3. **მოწყალე არს უფალი და მართალ**(5), წმიდა წერილი ღმრთის მოწყალებასთან სამართლიანობასაც აერთებს და გვასწავლის, რომ ღმრთის არც წყალობაა სამსჯავროს გარეშე და არც სასჯელი გარეშე წყალობისა; არამედ მოწყალების ჟამს წყალობას განსჯითა და ზომიერებით იჩენს ღირსეულთა მიმართ, ხოლო დასჯისას ჩვენი უძლურების შენდობით წარმართავს სამსჯავროს და სასჯელს უფრო კაცთმოყვარეობით გვადებს, ვიდრე იმისათვის, რომ ცოდვის თანაბარი სასჯელი მოგვაგოს.

და ღმერთი ჩვენი მწყალობელ(5), მოწყალება არის წუხილი დამცირებულთა გამო, მიუხედავად მათი შეცოდების სიდიდისა, რომელსაც თანალმობით აღსავსენი განიცდიან. გვეწყალება ის, ვინც დიდი სიმდიდრიდან უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდა, ვისაც მტკიცე სიჯანსაღე სხეულისა უკიდურესი უძლურებით შეეცვალა, ვინც ადრე აღფრთოვანებული იყო სხეულის სილამაზითა და სინორჩით და შემდეგ სამარცხვინო ვნებებით დამახინჯდა; რადგანაც ჩვენც ხომ დიდებულნი ვიყავით, როცა სამოთხეში ვცხოვრობდით, მაგრამ დაცემის შედეგად ნაძრახნი და დამცირებულნი შევიქენით. ამიტომაც გვიწყალებს ღმერთი ჩვენი, ხედავს რა იმას, თუ რანი ვიყავით და რად ვიქეცით; ამიტომაც მოუწოდა ადამს თანაგრძნობით აღსავსე ხმით, როცა უთხრა: **ადამ, სადა ხარ?**(დაბ.3,9). ყოვლის მცოდნეს შეტყობინება კი არ სჭირდებოდა, არამედ სურდა თვითონ ადამს გაეაზრებინა რა იყო და რად იქცა. **სადა ხარ?** ანუ ამგვარ სიმაღლეზე მყოფი სადამდე დაეცი?

4. **დაიცავს ჩჩჳლთა უფალი, დავმდაბლდი და მაცხოვნა მე**(6). ეს სიტყვები შეიძლება ბუნებრივი მნიშვნელობითაც გავიგოთ; კაცობრივი ბუნება ვერ იარსებებდა, ჩვილებსა და ძუძუმწოვრებს უფალი მზრუნველობით ჩანასახშივე რომ არ იცავდეს. როგორ შეუძლიათ დედის მუცელში მყოფთ იმგვარ სივიწროვეში, სადაც მობრუნების საშუალებაც კი არა აქვთ, იკვებონ და იმოძრაონ, ისეთ ბნელსა და სველ ადგილას იცოცხლონ, სადაც არც სუნთქვა შეუძლიათ და არც ადამიანურად ცხოვრება, არამედ მსგავსად თევზებისა სინესტეში დაცურავენ, ღმრთისგან დაცულნი რომ არ იყვნენ? შემდეგ: როგორ შეუძლიათ თუნდაც მცირე ხნით განაგრძნონ სიცოცხლე, როცა მათთვის უჩვეულო ადგილას გამოვლენ და დედის მუცლის სითბოს შემდეგ ჰაერით ცივდებიან, ღმერთი რომ არ იცავდეთ? ამგვარად, **დაიცავს ჩჩჳლთა უფალი, დავმდაბლდი და მაცხოვნა მე.** შეიძლება ეს სიტყვები ასეც გაიგო: რამდენადაც მე მოვიქეცი და შევიქმენი ვითარცა ჩვილი, ვითარცა ყრმამ სასუფეველი ზეცათა მივიღე და თავი ჩემი ბავშვის თვინიერებამდე მივიყვანე, **დაიცავი ჩვილნი უფალო**, და რადგანაც დავმდაბლდი, **მაცხოვნე მე.**

5. **მოიქეც, სულო ჩემო, განსასვენებელად შენდა, რამეთუ უფალმან კეთილი გიყო შენ**(7). კეთილად მოღვაწე სანუგეშებელ სიტყვებს თავის თავს თვითონვე სთავაზობს, მსგავსად პავლე მოციქულისა, რომელიც ამბობს: **ღუაწლი კეთილი მომილუაწიებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს:**

ამიერითაგან მიმელის მე სამართლისა იგი გვრგვნი(2ტიმ.4,7-8). ამასვე ეუბნება თავის თავს წინასწარმეტყველიც: რამდენადაც შენ ამ ცხოვრების სარბიელი უკვე საკმარისად განვლე, **მოიქეც განსასუენებლად შენდა, რამეთუ უფალმან კეთილი გიყო შენ**. სამუდამო განსასვენებელი მიეცემა მათ, რომელთაც ამ ცხოვრებაში სჯულით იღვაწეს და მიეცემათ არა დამსახურებისა გამო, არამედ მრავალმოწყალე უფლის მადლით მიენიჭებათ მის მსასოებელთ. შემდეგ, ვიდრე იქაურ სიკეთეთა შესახებ იტყოდეს, იმას მოგვითხრობს, ამსოფლიურ შფოთვას როგორ გაექცა და მადლობას სწირავს სულთა განმათავისუფლებელს, რომელმაც იგი მრავალფეროვანი და უწყალო ვნებების მონობისაგან გამოიხსნა. და ეს როგორღა მოხდა?

რამეთუ იხსნა სული ჩემი სიკუდილისაგან, თუალნი ჩემნი ცრემლთაგან და ფერხნი ჩემნი – ბრკოლისაგან(8). მომავალ განსასვენებელს იგი ახლანდელ მდგომარეობასთან შედარების გზით აღგვიწერს: აქ, – ამბობს წინასწარმეტყველი, **გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი**, ხოლო იქ სიკვდილისაგან სულს ჩემსას ღმერთი იხსნის. აქ თვალები მწუხარებისაგან ცრემლებად იღვრებიან, ხოლო იქ საერთოდ არაა ცრემლები, რომელიც ღმრთის დიდების სილამაზის ჭვრეტით აღფრთოვანებულ მზერას დააბნელებდა, რადგანაც **ღმერთმა მოსპო ყოველი ცრემლი ყოვლისაგან პირისა**(ეს.25,8); აქ მრავალია საფრთხე ფეხის წამოკვრისათვის, რამაც პავლე მოციქულს ათქმევინა: **ამიერითაგან რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს**(Iკორ.10,12), იქ კი ტერფები მტკიცედ დგანან, სიცოცხლე უცვლელია და რადგანაც აღარც ხორციელი აღტკინებაა და აღარც დედაკაცის შემწეობა ცოდვის ჩადენაში, აღარ არსებობს აღარც საფრთხე, რომ ცოდვამ გაგვიტაცოს. აღდგომისას არც კაცია და არც ქალი, არამედ რაღაც ერთიანი და ერთგვარი ცხოვრება მათთვის, რომელნიც უფლისათვის სათნონი არიან და ცოცხალთა ქვეყანაში მკვიდრობენ. ეს ქვეყანა თვითონაც მოკვდავია და მოკვდავთა სამყოფელიც. რამდენადაც ხილული საგნების შედგენილობა რთულია, ხოლო ყოველი, რაც რთულია, ჩვეულებრივ ნადგურდება, ამდენად ჩვენც, ვინც სოფელში ვითარცა ნაწილები სოფლისა, ვცხოვრობთ, ყველას ბუნებას აუცილებლად ვუსინჯავთ გემოს. ამიტომაც ჩვენ, კაცნი, მანამ, ვიდრე სიკვდილი სულს სხეულს გაყრიდეს, მრავალგზის ვკვდებით. თქმული უცნაურად ნუ მოგეჩვენება, არამედ თვითონ საქმის ჭეშმარიტებას ჩაუკვირდი. სამი შვიდეული წლის განმავლობაში, ასაკისა და ცხოვრების თვალსაზრისით ადამიანი ჩვეულებრივ სამჯერ განიცდის ცვლილებასა და გარდატეხას. თითოეულ შვიდეულს საკუთარი საზღვრი აქვს, რომელიც საზღვარს იმას უდებს, რაც წარსულია და ცვლილებას ნათლად წარმოაჩენს. ბავშვობის ასაკის პირველი შვიდეული კბილების მოცვლით შემოისაზღვრება, ხოლო ყრმის სასწავლო ასაკი სიჭაბუკემდე გრძელდება. ჭაბუკი,21 წლის შესრულებამდე, როგორც კი მისი ლოყები პირველი ღინღლით დაფარვას დაიწყებს, შეუმჩნევლად ქრება და უკვე მამაკაცი ხდება. ამიტომ, როცა იხილავ კაცს,

რომელშიც ასაკობრივი ზრდა თანდათანობით შეჩერდა, გონება გამყარდა და ახალგაზრდობის კვალიც აღარ შერჩა, განა არ გამოიტან დასკვნას, რომ მასში წარსული მოკვდა? და კიდევ: მოხუცი, რომელიც გარეგნულადაც და სულიერი მდგომარეობითაც შეცვლილია, უკვე ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ის აღარ არის, რაც ადრე იყო.

ჩვეულებრივ, ადამიანთა ცხოვრებაც ასევე მრავალი სიკვდილითაა აღსავსე და არა მხოლოდ ერთი ასაკიდან მეორეში გადასვლისა, არამედ სულის ცოდვებით დაცემის გამოც. ხოლო იქ, სადაც არცა სხეულებრივი ცვლილებაა და არცა სულიერი,(რადგანაც არც გონება ცდება და არც განწყობილება იცვლება და უშფოთველობას აზრებისას ვერავითარი მდგომარეობა ვერ არღვევს), იქაა ქვეყანა ჭეშმარიტად ცოცხალთა, რომელნიც მუდამ თავიანთი თავის მსგავსნი არიან. წინასწარმეტყველი გვპირდება, რომ ყოველთა ღმრთისათვის იქ უფრო სათნო იქნება, რადგანაც გარეშე არსებულთაგან ვერაფერი შეუშლის ხელს ემსახუროს ღმერთს ჭეშმარიტი და ანგელოზების თანაბარი სამსახურით. **ამისთვისაც პატივცემულ ვართ, გინა თუ შემოვიდეთ, გინა თუ განვიდეთ სხეულისაგან, სათნომცა ხოლო ვართ მისა**(IIკორ.5,9).

ცოცხალთა ქვეყანაში არცა ღამეა და არცა ძილი – ხატი სიკვდილისა, არცა საჭმელი და არცა სასმელი – ჩვენი უძლურების განმამტკიცებელი, არცა სენი და არცა ტანჯვანი, არცა მკურნალობა და არცა სამსჯავრო, არცა ვაჭრობა და არცა ხელოვნება და არცა ფული – დასაბამი ბოროტებათა, საბაბი ომებისა და ძირი მტრობისა, არამედ ცოცხალთა ქვეყანა იმათია, ვინც ცოდვით კი არ მოკვდა, არამედ ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხონდა იესო ქრისტეში, რომლისა არს დიდება და ძალი უკუნისიდან უკუნისამდე, ამინ.

წმიდა ბასილი დიდი

ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან[1]

ეკვრი რამ მაქეზებს, ყრმანო, თქვენთვის რჩევის მოსაცემად, იმის შესახებ, თუ რას ვთვლი საუკეთესოდ და რაც, უკეთუ შეიწყნარებთ, მჯერა, სარგებლობას მოგიტანთ: ასაკი, რომელიც მაქვს, წვრთნა, რომელიც მრავალი საქმით მივიღე, ყოველთა განმსწავლელი ცვალებადობანი, რომელთაც საკმაოდ ვეზიარე, რადგან ყოველივე ამან კაცობრივ საქმეთა შინა გამოცდილება შემძინა. ამიტომაც შემიძლია, მას, ვინც ცხოვრებას ეს-ეს არის შეუდგა, ყველაზე უსაფრთხო გზა ვუჩვენო. გარდა ამისა, რამდენადაც, ბუნებით ნათესაობის გამო, თქვენთვის მშობლების შემდეგ ვდგავარ, თქვენ მიმართ თქვენს მამებზე ნაკლებად კეთილგანწყობილი არც მე ვარ და, თუ არ ვცდები, ვფიქრობ, თქვენც, როცა მე მხედავთ, მშობლებიც ისე აღარ გენატრებათ. ასე რომ, უკეთუ ჩემს ნათქვამს სიამოვნებით მიიღებთ, ჰესიოდეს მიერ შექებულთა შორის მეორე დასში აღმოჩნდებით, ხოლო უკეთუ – არა, არასასიამოვნოს არაფერს გეტყვით, მაგრამ თავადვე გაიხსენეთ ის სტრიქონები, რომელშიც ამბობს: რჩეულთა შორის რჩეულია, ვინც თვითონვე ჭვრეტს იმას, რაც სჭირდება, ჩინებულია ისიც, ვინც სხვათაგან ნაჩვენებს მისდევს, ხოლო ვისაც არც ერთი ძალუძს და არც მეორე, სავსებით უვარგისია.[2]

ნუ გაიკვირვებთ, თუკი თქვენ, რომელნიც მასწავლებელთან ყოველ დღე დადიხართ და ურთიერთობას ძველი დროის გამოჩენილ კაცებთან მათ მიერ დატოვებულ თხზულებათა მეშვეობით ამყარებთ, გეტყვით, რომ, ჩემი მხრივ, მათთან რაღაც უფრო სასარგებლო ვიპოვე. სწორედ ამის შესახებ მინდა გირჩიოთ: სახელდობრ, საჭირო არაა საჭე თქვენი აზროვნებისა, ვითარცა ხომალდისა, ერთხელ და სამუდამოდ ამ კაცებს გადასცეთ და საითკენაც არ უნდა წაგიყვანოთ, გაჰყვეთ; არამედ, მიიღებთ რა მათგან იმას, რაც სასარგებლოა, ისიც უნდა იცოდეთ, რა უგულებელყოთ, ხოლო რა არის ეს სასარგებლო და რა უგულებელსაყოფი და როგორ უნდა გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან, ამას ახლა გასწავლით.

ყრმანო, ვფიქრობთ რა, რომ ამ კაცობრივ ცხოვრებას არავითარი ფასი არა აქვს, ჩვენ საერთოდ არ მივიჩნევთ და არც ვუწოდებთ სიკეთეს იმას, რაც კმაყოფილებას მხოლოდ ამ ცხოვრებასა შინა გვანიჭებს. არც სახელგანთქმულობა წინაპრებისა, არც სიძლიერე, სილამაზე და სიდიდე სხეულისა, არც პა-

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **TLG 2040.002/F. Boulenger, Saint Basile. Aux jeunes gens sur la maniere de tirer profit des lettres Helleniques. Paris: Les Belles Lettres, 1935 (repr. 1965): 41-61.**

[2] ჰესიოდე, ბერძენი ეპიკოსი პოეტი(VIII-VII ს. ძვ. წ.), „სამუშაონი და დღენი“, სტრ. 239-244.

ტივის მოხვეჭა ყოველთა კაცთაგან, არც ეს სამეფო და არც კიდევ სხვა რამ, რასაც კაცობრივ საქმედ იტყვიან, არა თუ დიდად, არამედ სასურველობის ღირსადაც კი არ მიგვაჩნია და მზერას იმათ კი არ ვაპყრობთ, რომელთაც ეს ყოველივე აქვთ, არამედ სასოებას უფრო შორეულზე ვამყარებთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სხვა ცხოვრებისათვის მოვემზადოთ. ამიტომაც ვამბობთ, რომ ის უნდა შევიყვაროთ, რაც ამაში შეგვეწევა და ყოველი ღონით მას უნდა მივსდიოთ, ხოლო ის, რაც ამისთვის არ გამოგვადგება, ვითარცა სრულიად უფასური, უგულებელვყოთ.

რა არის ის ცხოვრება და სად და როგორ გავატარებთ მას? ამაზე საუბარი უფრო მომავლის საქმეა, ჩვენს ახლანდელ განზრახვას ნაკლებად შეეფერება და მოსმენითაც თქვენზე უფროსებმა უნდა მოისმინონ. თუმცაღა, შეიძლება საკმარისად წარმოგიდგინოთ იგი, თუკი გეტყვით: ვინმემ რომ შეძლოს სიტყვით მოიცვას და ერთად შეკრიბოს კაცთა მიერ განცდილი ყველა ბედნიერება დაბადებიდან მოყოლებული, აღმოჩნდება, რომ ოდნავადაც ვერ გაუსწორდება სიკეთეებს იმ ცხოვრებისა და, რომ, პირიქით, ერთად აღებული აქაური სიკეთენი იქაურ სიკეთეთაგან ყველაზე მცირესაც კი, უფრო დიდად ჩამორჩება, ვიდრე აჩრდილი და სიზმარი – სინამდვილეს. უკეთესად რომ ითქვას, შედარებით თვალსაჩინო მაგალითს გამოვიყენებ: რამდენადაც სული ყოველმხრივ უფრო პატივსაცემია სხეულზე, იმდენად განსხვავდება აქაური ცხოვრება იქაურისაგან.

ამ ცხოვრებისაკენ, რაღა თქმა უნდა ჩვენ წმინდა წერილს მივყავართ, რომელიც საიდუმლოთა საშუალებით გვზრდის; მაგრამ, ვიდრე ასაკის გამო, მისი ღრმა აზრის წვდომას შევძლებდეთ, გარკვეული დროის განმავლობაში სულიერ თვალს წინასწარ, ვითარცა აჩრდილებითა და სარკეებით, მათგან არც თუ ძალიან დაშორებული თხზულებებითაც ვწვრთნით, ვბაძავთ რა ამ დროს სამხედრო წყობაში დახელოვნებისათვის მოვარჯიშეებს. ისინი ხელებისა და ფეხების მოქნილი მოძრაობით გამოცდილებას იძენენ და ამ სპორტული თამაშისაგან მიღებულ სარგებელს ნამდვილ ბრძოლებში იყენებენ.

ხოლო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ წინ ყველა ბრძოლაზე დიდი ბრძოლა გველის, რომლისთვისაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ და მისთვის მოსამზადებლად, ძალისაებრ ჩვენისა, გავისარჯოთ; გონებით ვესაუბროთ პოეტებს, ისტორიკოსებს, ორატორებსა და საერთოდ ყველა ადამიანს, ვისგანაც კი სულზე ზრუნვისათვის რაღაც სასარგებლოს შეძენა შეიძლება. მსგავსად ხელოვანთა, რომელნიც თავდაპირველად რაღაც საშუალებებით იმას ამზადებენ, რამაც ფერი უნდა მიიღოს და ფერს, მეწამული იქნება ის თუ სხვა რომელიმე, მერე ადებენ, ასევე ჩვენც, რათა დიდება ჩვენი სათნოებისა წარუშლელი დარჩეს, ამ გარეშე მწერალთა შესწავლის გზით უკვე მომზადებულნი, წმინდასა და საიდუმლო გაკვეთილებს ყურადღებით მოვისმენთ, და ვითარცა მზის წყალში ცქერას შეჩვეულები, ბოლოს თვალს თავად მის ნათელსაც შევავლებთ. ამიტომ, უკეთუ

სწავლებათა შორის რამდენადმე ნათესაობა არსებობს, მათი ცოდნა სწორედაც რომ გვმართებს, ხოლო უკეთუ არა, – შესწავლა სხვაობისა, რომელიც დაპირისპირებულებს ქმნის, არანაკლებ გვჭირდება უკეთესის განსამტკიცებლად.

მაგრამ შესაცნობად მათი სახისა, თითოეული ამ სწავლებათაგანი რას შევადაროთ? რა თქმა უნდა, ხის საკუთარ სილამაზეს სიუხვე მწიფე ნაყოფისა წარმოადგენს, მაგრამ მას რამდენადმე სხვა სამკაულიც აქვს – ფოთლები, რომელნიც რტოებზე შრიალებენ. ასევე სულისთვისაც უწინარესად ნაყოფი ჭეშმარიტებაა, მაგრამ უსიამოვნო არც ის იქნება, თუ იგი გარეშე სიბრძნით შეიმოსება, ვითარცა ფოთლებით, რომელნიც ნაყოფის საფარველსაც წარმოადგენენ და არც შეუფერებელ სანახაობას ქმნიან. ამიტომაც ამბობენ, რომ სახელგანთქმულმა მოსემ, ვისი სახელიც, სიბრძნის წყალობით, კაცთა შორის უდიდესია, გონება ჯერ ეგვიპტური მეცნიერებებით გაწვრთნა და არსებულის[3] ჭვრეტას შემდეგ მიეახლა. მოგვიანებით მსგავსად მოგვითხრობენ ბრძენი დანიელის[4] შესახებაც, ვინც ჯერ ბაბილონში ქალდეველთა სიბრძნე შეისწავლა და ღმრთეებრივ გაკვეთილებს მერე ეზიარა.

მაგრამ იმის შესახებ, რომ გარეშე მეცნიერებანი სულისათვის უსარგებლო როდია, უკვე საკმარისად ითქვა. ახლა ის ვთქვათ, როგორ უნდა შეისწავლოთ ისინი, უწინარესად პოეტები. მათგან დავიწყებ; რამდენადაც თავიანთ თხზულებათა მიხედვით პოეტები სხვადასხვაგვარად წარმოდგებიან, გონება მიმდევრობით ყოველთვის ყველაფერზე კი არ უნდა შეაჩეროთ, არამედ მაშინ, როცა კარგი ვაჟკაცების საქმეებსა ან გამონათქვამებს გადმოსცემენ. ისინი უნდა შეიყვაროთ, მოშურნეობდეთ და ძალიან უნდა შეეცადოთ, რომ მათ დაემსგავსოთ; ხოლო როცა სულმდაბალ კაცებს ასახავენ, თავი უნდა აარიდოთ და ყურებიც ისე დაიცოთ, როგორც ეს ოდისევსმა გააკეთა, როგორც თავადვე ამბობენ, სირინოზთა სიმღერისას.[5]

შეჩვევა უშვერი სიტყვებისა ხომ ერთგვარი გზაა [უშვერ] საქმეებზეც გადასასვლელად. ამიტომ სული ყოველი ღონით უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ, რათა სასიამოვნო სიტყვების შეწყნარებისას, ვითარცა მათ, რომელნიც თაფლთან ერთად საწამლავებსაც იღებენ, რაიმე ბოროტიც არ შემოგვეპაროს. ასე რომ, პოეტებს ჩვენ ყოველივესათვის როდი ვაქებთ, არ ვაქებთ მაშინ, როცა ისინი ცუდსიტყვაობენ, ვნებით აგზნებულებსა და მთვრალებს ასახავენ,

[3] იგულისხმება ღმერთი, რადგან ჭეშმარიტად არსებული მხოლოდ იგია.

[4] ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი.

[5] სირინოზები – ბერძნული მითოლოგიის დემონური არსებანი მდინარის ღმერთისა და ერთ-ერთი მუზის – მელპომენეს, ან ტერპსიქორეს ასულები იყვნენ. ნახევრად ფრინველებმა და ნახევრად ქალებმა მამისგან ველური სტიქიურობა იმემკვიდრეს, ხოლო დედისაგან ღმრთეებრივი ხმა. კლდოვანი კუნძული, სადაც სირინოზები ცხოვრობდნენ, სავსე იყო იმ მეზღვაურთა ძვლებით, რომელთაც თავიანთი ტკბილი სიმღერით აცდუნებდნენ და სასიკვდილოდ განწირულებს კუნძულზე გადასვლას და იქ დარჩენას აიძულებდნენ. ჰომეროსი „ოდისეაში“ მოგვითხრობს, რომ სირინოზთა კუნძულთან გავლისას ოდისევსმა თანამგზავრებს ყურები ცვილით საიმედოდ დაუგმანა, ხოლო თვითონ თავისი თავი ანძაზე მიაბმევინა, რათა სირინოზების სიმღერითაც დამტკბარიყო და არც კუნძულზე გადასვლისა და იქ სამუდამოდ დარჩენის საფრთხე შექმნოდა(ოდისეა, XII,166-200).

ან კიდევ, როცა ბედნიერებას უხვი ტაბლითა და თავაშვებული სიმღერებით საზღვრავენ. ყველაზე ნაკლებად კი ყური მაშინ უნდა დავუგდოთ, რაჟამს ღმერთებზე საუბრობენ, განსაკუთრებით, თუ მათ სიმრავლითა და ამასთანავე ერთმანეთთან დაპირისპირებულებად წარმოგვიდგენენ. მათთან ხომ ძმა ძმას უმხედრდება, მშობლები შვილებს, შვილებს კი, თავის მხრივ, გამოუცხადებელი ომი აქვთ მშობლებთან. ხოლო მრუშობა ღმერთებისა, სასიყვარულო თავგადასავალნი და აშკარა აღრევანი ერთმანეთს შორის, განსაკუთრებით ყოველთა ღმერთთა წინამძღოლისა და მბრძანებლისა, როგორც ისინი მას უწოდებენ, ზევსისა, ვითარცა იმგვარი საქმენი, რომელთა მოყოლაც კაცს საქონელთა შესახებაც კი გააწითლებდა, თეატრის სცენას დავუტოვოთ.

იგივე უნდა ვთქვა ისტორიკოსთა შესახებაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავიანთ თხზულებებს მსმენელთა გასართობად თხზავენ. ვერც ორატორებს მივბაძავთ ტყუილის თქმის ხელოვნებაში, რადგან ჩვენ, რომელთაც ცხოვრების სწორი და მართალი გზა ავირჩიეთ, ტყუილი არც სამსჯავროთა შინა და არც სხვა საქმეებში არ შეგვფერის, მით უმეტეს, როცა სჯულით გვაქვს დაწესებული საერთოდ არ განვსაჯოთ.

უმჯობესი იქნება პოეტების თხზულებებიდან ის ადგილები შევიწყნაროთ, სადაც მათ სათნოება შეაქეს ან ბოროტება გაკიცხეს. რადგან, ვითარცა ყველა სხვა დანარჩენი ყვავილების მხოლოდ სურნელებითა და ფერადოვნებით ტკბება, ხოლო ფუტკრებს მათგან თაფლის მიღებაც ხელეწიფებათ, ასევე ამ შემთხვევაშიც, ვინც ამ თხზულებებში არა მხოლოდ ტკბობისა და სიამოვნების მიღებას გამოედევნება, მათგან რამდენადმე სულისთვის სასარგებლოსაც დაიუნჯებს. ამიტომ, ყოველმხრივ უნდა დავემსგავსოთ რა ფუტკრებს, ეს თხზულებებიც უნდა შევისწავლოთ. არც ფუტკარი მიეახლება ხომ თანაბრად ყველა ყვავილს, და იმათგანაც, რომლებზეც ჯდება, ყოველივეს წაღებას კი არ ცდილობს, არამედ იმას იღებს, რაც საქმისათვის გამოადგება, ხოლო დანარჩენს ხელუხლებლად ტოვებს.

ასევე ჩვენც, უკეთუ კეთილგონიერები ვართ, ამოვკრებთ რა ამ თხზულებებიდან იმას, რაც ჩვენთვის დამახასიათებელია და ჭეშმარიტად გვენათესავება, დანარჩენს გვერდს ვუვლით. ვითარცა ვარდის ბუჩქიდან ყვავილის მოწყვეტისას ეკლებს თავს ვარიდებთ, ასევე ამ თხზულებებიდანაც იმას, რაც სასარგებლოა ვიძენთ, ხოლო ვნების მომტანისაგან თავს ვიცავთ. ამიტომ ყოველი მეცნიერება თავიდანვე უნდა განვიხილოთ და დორიული ანდაზის მიხედვით – ქვა გავუსწოროთ თოკს,[6] – ჩვენი მიზნის შესაბამისად გამოვიყენოთ.

რამდენადაც ჩვენ სხვა ცხოვრებას სათნოებით უნდა მივაღწიოთ, რომლისთვისაც მრავალი ქება შეუსხამს პოეტებს, მრავალიც ისტორიკოსებსა და კიდევ უფრო მრავალი სიბრძნისმოყვარე კაცებს, ამგვარი თხზულებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს.

[6] ანდაზა მოტანილია სადურგლო საქმის სფეროდან და გულისხმობს სიზუსტის დაცვას.

მცირე სარგებელს როდი მოუტანს ახალგაზრდების სულებს შეთვისება და მიჩვევა სათნოებისა, რადგან სწავლებანი მის შესახებ, სიფაქიზისა გამო, მათს სულებში ღრმად აღიბეჭდება და წარუშლელნი რჩება. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოდესღაც ეს სიტყვები, რომელთაც ყველა მღერის, ჰესიოდეს სხვა აზრით შეუთხზავს და არა ახალგაზრდების წასაქეზებლად სათნოებისაკენ? „დასაწყისში უსწორმასწოროა და მიუვალი, მუდმივად ოფლის ღვრითა და ჯაფით გასავლელი გზა, რომელსაც სათნოებისაკენ მივყავართ; ამიტომაც ყველას როდი შეუძლია მას შეუდგეს ციცაბოობისა გამო, ხოლო უკეთუ შეუდგა, მწვერვალს ადვილად მიაღწიოს. მაგრამ მაღლა ასული დაინახავს, რომ გზა სწორია და მშვენიერი, ადვილი და მოხერხებული და უფრო სასიამოვნო, ვიდრე მეორე გზა, რომელსაც ბოროტებისაკენ მივყავართ და რომელზეც შედგომა, – როგორც თავად პოეტი ამბობს, – მყისვე შეიძლება მისი სიახლოვის მიზეზით“.[7]

მე ვფიქრობ, რომ მან ეს არა სხვა განზრახვით, არამედ სათნოებისაკენ ჩვენს წასაქეზებლად დაწერა და ყველას მოგვიწოდა კეთილნი ვყოფილიყავით, რათა ჯაფისათვის უძლურებს წინასწარ არ გვეთქვა უარი მიზნისკენ სვლაზე. ასე რომ, უკეთუ ვინმე სხვაც სათნოებას მსგავსად შეაქებს, ჩვენ ისიც უნდა შევიწყნაროთ.

როგორც ერთი კაცისაგან მოვისმინე, ვინც ჩინებულად შეისწავლა აზროვნება პოეტისა, ჰომეროსის მთელი შემოქმედება ქება-დიდებაა სათნოებისა და მასთან ყოველივეს, გარდა იმისა, რაც მეორეხარისხოვანია, მისკენ მივყავართ. ნაკლებად როდი მეტყველებს ამაზე ის ადგილი, სადაც ხომალდის დაღუპვისას გადარჩენილ სამოსელშემოძარცულ კეფალენიელთა ბელადს პირველად მეფის ასული დაინახავს და ნაცვლად იმისა, რომ სირცხვილის გრძნობა განეცადა, რადგან შიშველს უყურებდა, მისდამი პატივისცემას იგრძნობს. ეს იმიტომ, რომ პოეტმა ოდისევსი სანაცვლოდ სამოსისა სათნოებით შემკობილად წარმოადგინა.[8] შემდეგ იგი დანარჩენმა ფეაკელებმაც იმდენად ღირსეულად მიიჩნიეს, რომ ნებიერი ცხოვრება დათმეს, ყველანი მას შეჰყურებდნენ და ბაძავდნენ. არცერთ ფეაკელს მაშინ იმაზე მეტად არაფერი უნდოდა, ვიდრე ის, რომ ოდისევსი ყოფილიყო, თანაც ხომალდის დაღუპვისას გადარჩენილი.[9] ამ ადგილას, როგორც ამას პოეტის აზრის განმმარტებელი ამბობდა, ჰომეროსი ღაღადებს და ამბობს: „კაცნო, თქვენ სათნოებისათვის უნდა იზრუნოთ, რომელიც ხომალდის დაღუპვის დროსაც გადაგარჩენთ და ხმელეთზე შიშვლებად გამოღწეულებსაც პატივით სვებედნიერ ფეაკელებზე ამაღლებულადაც წარმოგაჩენთ“, – რადგან ასეთია იგი! სხვა სახის შენაძენი დანარჩენებზე მეტად ოდნავადაც არ ეკუთვნით თავად მფლობელებს, ისევე როგორც თამაშისას კამათელი ხან ერთ მხარეზე ვარდება და ხან მეორეზე.

[7] ჰესიოდე, სამუშაონი და დღენი, სტრ. 285-290.
[8] ოდისეა, VI.
[9] ოდისეა, VIII.

კაცის შენაძენთაგან ხელშეუხებელი მხოლოდ სათნოებაა, რომელიც სიცოცხლეშიც მასთანაა და სიკვდილის შემდგომაც.

ვფიქრობ, ამიტომაც ამბობს სოლონი მდიდრების მისამართით:

„ჩვენ სათნოებას ვერ გავუცვლით მათ სიმდიდრეზე,
მას ხომ მარადის ვერავინ ხელყოფს,
კაცთა ქონებას კი ხან ერთი ფლობს, ხანაც მეორე“.[10]

ამასთან ძლიერ ახლოსაა სტრიქონები თეოგნიდესი,[11] რომელშიც ამბობს: „ღმერთი(ამ შემთხვევაში სულერთია რომელს გულისხმობს) სასწორს კაცთათვის ზოგჯერ აქეთ ხრის და ზოგჯერ იქეთ, რათა ისინი ხან მდიდარნი იყვნენ, ხანაც არაფრის მქონენი“. სათნოებისა და ბოროტების შესახებ მსგავსადვე სიბრძნისმეტყველებს თავის თხზულებებში ერთ ადგილას კეოსელი[12] სოფისტიც; მის ნათქვამსაც ყურადღებით უნდა მოვეპყრათ, რადგან უგულებელსაყოფელი კაცი როდია იგი. ამგვარად, მასთან ერთგან ნათქვამია, რამდენადაც მისი შინაარსი მახსოვს, რადგან სიტყვა-სიტყვით არ ვიცი და ვიცი მხოლოდ ის, რომ თქვა მან ეს უბრალოდ, გარეშე რიტმისა: როცა ყმაწვილი ჰერაკლე, თითქმის იმავე ასაკისა, რომელშიც თქვენ ხართ, გულმოდგინედ არჩევდა, გზათაგან რომელს შესდგომოდა, – ჯაფით წამყვანს სათნოებისაკენ, თუ ყველაზე ადვილს, ორი ქალი წარმოუდგა; ისინი იყვნენ სათნოება და ბოროტება, რადგან თუმცაღა დუმდნენ, სხვაობას მათ შორის გარეგნობაც მყის წარმოაჩენდა; ერთის სილამაზე მორთულ-მოკაზმულობით იყო შექმნილი, ფუფუნებით ცხოვრებისაგან მოუძლურებული, მთელ სიმრავლეს ტკბობათა ზედასხმულს თან ატარებდა, მათი წარმომჩენი ჰერაკლეს კიდევ მეტს ჰპირდებოდა და მის მოზიდვას ცდილობდა. ხოლო მეორე – გამხდარი, მოუკაზმავი და მკაცრად მზირალი, სულ სხვა რამეს გამოხატავდა, რადგან არცა თავაშვებულობასა და არცა ტკბობას არ აღუთქვამდა, არამედ მრავალ ოფლისღვრას, ჯაფასა და საფრთხეებს, ყველგან – ხმელეთსა და ზღვაზე, რის საფასურადაც ღმერთი გახდებოდა, როგორც ამას ავტორი გვიყვება. ბოლოს ჰერაკლე მაინც მას გაჰყვა.

ასე რომ, თითქმის ყველა, ვინც სიბრძნით რამდენადმე ყურადღებას იქცევს, ყოველი მათგანი, ძალისაებრ მისისა, თავის თხზულებებში მეტ-ნაკლებად სათნოების ქებას გადმოსცემს. მათ უნდა ვერწმუნოთ და მათ სწავლებათა ცხოვრებით წარმოჩენას შევეცადოთ, რადგან ვინც სხვათა მიერ სიტყვებით გადმოცემულ სიბრძნეს განამტკიცებს, ის ცოცხლობს, დანარჩენები კი მოძრავი აჩრდილები არიან მხოლოდ.

ვფიქრობ, ეს იმას ემსგავსება, მხატვარმა რომ განსაცვიფრებელი რამ,

[10] სოლონი ათენელი პოეტი(VII-VI ძვ. წ.).

[11] თეოგნიდე, მეგარელი პოეტი(VI ს. ძვ. წ.).

[12] იგულისხმება სოფისტი პროდიკე კეოსელი, V ს. ძვ. წ.(კეოსი – კიკლადების კუნძულებიდან ერთ-ერთს ერქვა), რომელმაც სახელი გაითქვა როგორც რიტორიკული პროზის სტილის შესანიშნავმა მცოდნემ და პედაგოგმა.

მაგალითად, სილამაზე კაცისა ასახოს და თავადაც სინამდვილეშიც ისეთი იყოს, როგორიც მან სურათზე წარმოაჩინა. ვინც კაცთა წინაშე სათნოებას ქებას მგზნებარედ ასხამს და მასზე განგრძობილად საუბრობს, ხოლო საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი კეთილგონიერებასა და სამართლიანობაზე უფრო მეტად პატივს ტკბობასა და მოგებას ანიჭებს, მე ვიტყოდი, მსგავსია მსახიობებისა, რომელნიც თუმცა სცენაზე დრამების თამაშისას ხშირად გამოდიან ვითარცა მეფენი და მმართველები, მაგრამ სინამდვილეში არათუ მეფენი და მმართველები, არამედ უმეტესწილად თავისუფალნიც კი არ არიან.

მუსიკოსი ხალისით როდი შეიწყნარებს იმას, რომ ლირა აუწყობელი იყოს და არც კორიფევსს სურს ჰყავდეს ქორო, რომელიც რაც შეიძლება, ხმაშეწყობილად არ იმღერებს. ასე ხომ ყოველი მათგანი თავის თავს დაუპირისპირდება და წარმოჩნდება, რომ მისი ცხოვრება მისსავე სიტყვებს არ ეთანხმება? და მსგავსად ევრიპიდესი იტყვის: „ენამ ჩემმა კი დაიფიცა, მაგრამ გულს ჩემსას არ დაუფიცია“.[13]

ამგვარად, მას ბრალი დაედება იმაში, რომ ნაცვლად იმისა, მართლაც კეთილი იყოს, კეთილი მხოლოდ გარეგნულადაა და როცა სამართლიანი ჩანს, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. ესაა უკიდურესი ზღვარი უსამართლობისა, უკეთუ პლატონს დავუჯერებთ,[14] ამიტომაც უნდა შევიწყნაროთ თხზულებანი, რომელნიც სათნოებათა შესახებ სწავლებებს შეიცავენ. რამდენადაც სახელოვანი საქმენი ძველი კაცებისა ჩვენამდე, ან ადამიანთა უწყვეტი ხსოვნით არიან შემონახულნი, ან კიდევ პოეტთა და ისტორიკოსთა თხზულებებში არიან დაცულნი, სარგებლობა, რომლის მიღებაც მათგან შეიძლება, არ უნდა მოვიკლოთ. მაგალითად, ერთი კაცი სახალხო კრებაზე პერიკლეს ლანძღავდა, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევდა. ასე გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში: ერთი მეორეს საყვედურებით უშურველად ავსებდა, ხოლო მეორეს ეს არ აწუხებდა. შემდეგ კი, როცა საღამო დადგა და ჩამობნელდა, ძლივს შეწყვიტა რა ლანძღვა-გინება, პერიკლემ იგი ლამპრით შინ გააცილა, რათა ვარჯიში სიბრძნისმოყვარებაში წყალში არ ჩაყროდა.[15]

და კიდევ: ვიღაც განრისხებული კაცი ევკლიდე მეგარელს სიკვდილით ემუქრებოდა და იფიცებდა კიდეც, რომ აღასრულებდა;[16] თვითონ ევკლიდემ კი საპირისპირო ფიცი დადო იმის თაობაზე, რომ მას მოალმობიერებდა და მტრობას, რომელიც მის მიმართ ჰქონდა, შეაწყვეტინებდა. და რამდენად მნიშვნელოვანია ამგვარი მაგალითებისაგან რომელიმეს გახსენება ადამიანის მიერ, რომელიც რისხვითაა შეპყრობილი! არ უნდა დავუჯეროთ ტრაგედიას, რომელიც ამბობს: „ადვილად აიარაღებს რისხვა ხელს მტრებზე აღსამართად“,[17]

[13] ევრიპიდე, ტრაგიკოსი პოეტი(V ს.). ციტატა მოხმობილია მისი ტრაგედიიდან „ჰიპოლიტე“.
[14] პლატონი, სახელმწიფო, II,361 A.
[15] პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფები, პერიკლე, V.
[16] ევკლიდე, ფილოსოფოსი(V-IV სს. ძვ. წ.), სოკრატეს მოწაფე.
[17] ევრიპიდე.

არამედ პირიქით, უმჯობესი იქნება, თუ საერთოდ არ განვრისხდებით, ხოლო უკეთუ ეს გაგვიძნელდება, მრისხანება, ვითარცა აღვირით, გონებით უნდა მოვთოკოთ, რათა მან საზღვრები არ გადალახოს.

მაგრამ სიტყვა ისევ სახელოვან საქმეთა მაგალითებზე მივაქციოთ. ერთი კაცი სოფრონისკოსის ძეს სოკრატეს თავს დაესხა და სახეში დაუზოგავად ურტყამდა, მან კი არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწია, არამედ მთვრალს ნება მისცა მრისხანებით დამტკბარიყო; ასე რომ, ცემისაგან სახე დაუსივდა და დაუწყლულდა. ხოლო როცა მან ცემა შეწყვიტა, როგორც ამბობენ, სოკრატეს სხვა არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ ვითარცა ქანდაკებას აწერენ ხოლმე ხელოვანის სახელს, შუბლზე დაიწერა: „ეს ამან და ამან ჩაიდინა“ და შური ამგვარად იძია.[18] რამდენადაც ეს თითქმის ჩვენი მცნებების იგივეობრია, ვამბობ, რომ ამგვარ კაცთა მიბაძვა ფრიად კარგია. სოკრატეს საქციელი ხომ ახლოს დგას იმ მცნებასთან, რომლის მიხედვითაც, ვინც ერთ ლოყაში გაგარტყამს, მას მეორეც უნდა მიუშვირო და შურიც ამგვარად იძიო(მთ.V,39); პერიკლესა და ევკლიდეს მაგალითები მსგავსია მცნებისა: მოუთმინე მდევნელებს და მშვიდად გადაიტანე მათი მრისხანება; და: ნუ დაწყევლი მტრებს, არამედ სიკეთე უსურვე(მთ.V,44). ამრიგად, ამათ მიერ წინასწარგანსწავლული არც სახარებისეული მცნებების მიმართ, ვითარცა რაღაც შეუძლებელისადმი, იქნება ურწმუნო.

გვერდს ვერ ავუვლი ალექსანდრეს მაგალითსაც: ტყვედ ჩაიგდო რა დარიოსის ქალიშვილები, რომელთა შესახებაც ამოწმებენ, რომ განსაცვიფრებელი სილამაზისანი იყვნენ, ნახვის ღირსადაც კი არ ჩათვალა ისინი, რადგან მამაკაცებზე გამარჯვებულმა ქალებისგან დამარცხება სამარცხვინოდ მიიჩნია.[19]ეს იმ მცნებაზე მიუთითებს, რომლის მიხედვითაც, ვინც ქალს გულისთქმით შეხედავს, კიდევაც რომ მრუშობა საქმით არ აღასრულოს, დანაშაულისაგან მაინც არ თავისუფლდება(მთ.V,28).

ძნელია ირწმუნო, რომ კლინიასის,[20] ვინც პითაგორას ახლობელთაგან ერთერთი იყო, საქციელის მსგავსება ჩვენს მცნებებთან შემთხვევითია და არა მათი გულმოდგინე მიბაძვა. და როგორ მოიქცა იგი? თუ დაიფიცებდა, შეეძლო თავიდან აერიდებინა სამი ტალანტის გადახდა, მაგრამ დაფიცებას, თუმცა სიმართლეზე უნდა დაეფიცა, გადახდა ამჯობინა, თითქოს მცნება, რომელიც ჩვენ დაფიცებას გვიკრძალავს, მოსმენილი ჰქონდა.

მაგრამ ისევ იმას მივუბრუნდეთ, რაც თავიდანვე ვთქვი. ჩვენ მყისვე ყოველივე მიყოლებით კი არ უნდა მივიღოთ, არამედ მხოლოდ ის, რაც სასარგე-

[18] საიდანაა აღებული სოკრატეს ცხოვრებიდან ეს ეპიზოდი, უცნობია, ხოლო რაც წარწერას შეეხება, ბასილი დიდი გულისხმობს ფიდიასის ქანდაკებას – ოლიმპიელი ზევსი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „მე შემქმნა ათენელმა ფიდიასმა, ქარმიდეს ძემ“.

[19] ამ ეპიზოდს ალექსანდრე დიდის ცხოვრებიდან რომაელი მწერალი ავლუს გელიუსი(II ს. ახ. წ.) მოგვითხრობს თხზულებაში „ატიკური ღამეები“, VI,8.

[20] კლინიასი პითაგორას მოწაფე იყო, რომელსაც კლავდიუს ელიანე იხსენიებს თავის თხზულებაში „ნაირ-ნაირი ამბები“, XIV,23.

ბლოა. სამარცხვინოა უარვყოთ საკვებთაგან მავნებელი, ხოლო სწავლებათაგან, რომელნიც ჩვენს სულს ასაზრდოებენ, არაფერი გამოვარჩიოთ, მსგავსად ნიაღვრისა, რაც კი შეგვხვდება, ყოველივე მივიტაცოთ და დავიტვირთოთ. თუკი მესაჭე უგუნურად კი არ მიჰყვება ქარებს, არამედ ხომალდს პირდაპირ ნავსაყუდელისკენ წარმართავს, მშვილდოსანი ისარს მიზანში ისვრის და მესპილენძეცა და დურგალიც თავიანთი ხელოვნების შესაფერისი შედეგისაკენ ისწრაფვიან, რა გონივრული მიზეზი გვექნება იმისათვის, რომ ამ შემოქმედთ ჩამოვრჩეთ, მაშინ, როცა შეგვიძლია ჩვენს საქმეებს ყურადღებით მოვეპყრათ? უკეთუ ხელოსანთა საქმეს რაღაც დასასრული აქვს, კაცობრივ ცხოვრებას არ ექნება მიზანი, რომლის შესაბამისადაც ყველაფერი უნდა აკეთოს და ილაპარაკოს მან, ვისაც განზრახული არა აქვს ყოველმხრივ პირუტყვებს დაემსგავსოს? ამგვარად, თუ საჭეს სულისა, მსგავსად აღუჭურველი ხომალდებისა, არანაირ გონებას არ მივანდობთ, იღბალზე, აღმა-დაღმა გვატარებს ცხოვრება. სპორტულ, ან თუ გნებავთ, მუსიკალურ ხელოვნებაშიც შეჯიბრებისას, სწორედ იმ თამაშობებში ვარჯიშობენ, რისთვისაც გვირგვინებია დაწესებული და არავინ, ვინც ჭიდაობაში ან ორივეში ერთად – მუშტიკრივსა და ჭიდაობაში ვარჯიშობს, კითარასა და ფლეიტაზე დაკვრის სწავლას არ შეუდგება. ყოველ შემთხვევაში ასე არ მოქცეულა პოლიდამე,[21] არამედ მან ოლიმპიური შეჯიბრების წინ ეტლის სრბოლა დააყენა და ძალა ამით განიმტკიცა. არც მილონი[22] ჩამოსულა ზეთით გაპოხილი ფარიდან, არამედ იქიდან მის ჩამოთრევას ნაკლებ წინააღმდეგობას როდი უწევდა, ვიდრე ტყვიით მორჩილული ქანდაკებანი. და საერთოდ, მათთვის ვარჯიში მზადება იყო შეჯიბრებისათვის. მათ რომ ქვიშამოყრილი ასპარეზი და ფიზიკური ვარჯიშები მიეტოვებინათ და მარსიასის[23] ან ფრიგიელი ოლიმპოსის[24] მსგავსად დაკვრისათვის მოეკიდათ ხელი, გვირგვინებსა და დიდებას მიემთხვეოდნენ, თუ გაიქცეოდნენ, რათა დასაცინნი არ გამხდარიყვნენ?

მაგრამ თავის მხრივ არც ტიმოთევსს[25] დაუთმია ხომ ტკბილად მღერა და არ გაუტარებია დრო საჭიდაო მოედანზე. სხვაგვარად ვერც ის, ვინც იმდენად დიდი ხელოვანი იყო, რომ თანახმიერობითა და მკაცრი სიმწყობრით ჯერ მრისხანებას აღძრავდა, ხოლო შემდეგ კვლავ ამშვიდებდა და ლმობიერი ჟღერადობით ამსუბუქებდა, ვერ შეძლებდა ყველასაგან ასე გამორჩეული ყოფილიყო მუსიკალურ ხელოვნებაში. ამბობენ, რომ მან, უკრავდა რა ალექსანდრეს წინაშე ფრიგიულ მელოდიას, სადილობისას აიძულა იგი აღმდგარიყო და იარაღისათ-

---

[21] პოლიდამე – ტროელი მეომარი და წინასწარმეტყველი, რომელიც გონიერებასა და მჭევრმეტყველებას განასახიერებდა(„ილიადა“, XVI,535; XVIII,294 და ა. შ.).

[22] მილონ კროტონელი(VI ს. ძვ. წ.) ძლიერებითა და ღორმუცელობით ცნობილი ათლეტი. იხსენიებს პავსანია „ელადის აღწერაში“, VI,14 და სტრაბონი „გეოგრაფიაში“, VI,263.

[23] მარსიასი, ფრიგიელი სატირი, ფლეიტაზე დაკვრის ოსტატი, რომელმაც გაბედა და მუსიკალურ შეჯიბრში თვით აპოლონი გამოიწვია. აპოლონმა იგი არა მხოლოდ დაამარცხა, არამედ ტყავიც გააძრო.

[24] ოლიმპოსი, ფრიგიელი მუსიკოსი, მარსიასის მოწაფე.

[25] ტიმოთევს მილეტელი, ცნობილი მუსიკოსი ევრიპიდეს თანამედროვე იყო. სპარტიდან იმის გამო გააძევეს, რომ ლირას მეათე სიმი მიუმატა.

ვის მოეკიდა ხელი, ხოლო როცა ჟღერადობა შეარბილა, ალექსანდრე კვლავ თანამეინახეთ დაუბრუნდა.[26] ასეთ ძალას ანიჭებს ვარჯიში მიზნის მისაღწევად კაცს მუსიკალურსა და სხეულებრივ შეჯიბრებებში.

რამდენადაც გვირგვინები და მოჭიდავენი გავიხსენე, ვიტყვი: უკეთუ ისინი მრავალ შემთხვევაში დიდ გასაჭირს ითმენენ და საკუთარი ძალის გაზრდას ყოველი გზით ცდილობენ, სხეულის ვარჯიშისას ოფლს უხვად ღვრიან, საწვრთნელ მოედანზე ცემა-ტყეპასაც ხშირად იტანენ, არა ყველაზე სასიამოვნო, არამედ მწვრთნელთა მიერ შერჩეული ცხოვრების წესით ცხოვრობენ, და, სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, სხვა მხრივაც შეჯიბრებამდე დროს შეჯიბრებისათვის მზადებაში ატარებენ, ხოლო შემდგომად ყოველივე ამისა, ასპარეზზე გასულთაც ყოველგვარი ჯაფისა და საფრთხის დათმენა უხდებათ, რათა ჯილდოდ ველური ზეთისხილის, დაფნის (σελίνου)[27] ან სხვა რაღაც მსგავსისგან დაწნული გვირგვინები და მაცნეთაგან გამარჯვებულთა სახელების ხმამაღლა გამოცხადება მიიღონ, ჩვენ, რომელთაც ცხოვრებისეულ ღვაწლთათვის სიმრავლითაც და სიდიდითაც ისე საკვირველი ჯილდოები გველოდება, რომ მათი სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია, მაშინ, როცა ყურზე გვძინავს და ფრიად თავშეუწუხებლად ვცხოვრობთ, რატომღა ველოდებით, რომ ამ ჯილდოებს მარცხენა ხელითაც ავიღებთ?

ამ შემთხვევაში ხომ უსაქმურად ცხოვრება დიდად ღირსეული იქნებოდა, სარდანაპალი[28] და, თუ გნებავთ, მარგიტეც,[29] ვის შესახებაც ჰომეროსმა თქვა, თუ ეს სიტყვები მართლაც ჰომეროსს ეკუთვნის, რომ არც მხვნელი იყო, არც მთესველი და ცხოვრებაში არც სხვა რამ შეეძლო, ბედნიერების თვალსაზრისით პირველობას ყველას წაართმევდა! მაგრამ განა უფრო მართალი არაა პიტაკეს[30] გამონათქვამი, რომელმაც თქვა: „ძნელია იყო პატიოსანი“. მართლაც, ღირსი იმ სიკეთეთა მიმთხვევისა, რომელთაც, როგორც ზემოთ ითქვა, კაცობრივ სიკეთეთა შორის ნიმუში არა აქვს, მრავალი ჯაფის გადატანის შემდეგაც ძლივს ვხდებით; ამიტომაც არ გვმართებს უქნარობა და არც ხანმოკლე მოსვენებაზე გაცვლა დიდი იმედებისა, თუ არ გვინდა მოვისმინოთ საყვედურები და დავითმინოთ სასჯელი არა აქ, ადამიანებისაგან(თუმცაღა, ვისაც გონება აქვს, მისთვის მცირე არც ეს იქნება), არამედ იქაურ სამსჯავროთა შინა, სადაც არ უნდა გაიმართონ ისინი, მიწისქვეშეთსა თუ სადმე სხვაგან. ვინც ცოდვას უნებლიეთ ეხება, შესაძლებელია, ღმრთისაგან შეწყალება მიიღოს, ხოლო ვინც ცუდს განზრახ ირჩევს, შენდობასაც ვერ ითხოვს,

[26] მსგავს ეპიზოდს იხსენიებს პლუტარქე, „ალექსანდრეს ბედნიერებისა და სიქველის შესახებ“, II,2.

[27] **apium graveolens** – მისგან დაწნული გვირგვინებით ისთმოსურსა და პითიურ თამაშობებში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ და საფლავზედა ძეგლებს ამკობდნენ.

[28] სარდანაპალი უკანასკნელი მეფე ძველი ასურეთისა(IX ს. ძვ. წ.). ანტიკური ხანის ავტორებთან მისი სახელი ფუფუნებასა და ნებივრობასთან იყო გაიგივებული.

[29] მარგიტე – მთავარი მოქმედი პირი სატირული პოემისა, რომელიც შეცდომით ჰომეროსს მიეწერებოდა. მარგიტე, რომელსაც თავის გონიერებაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, სინამდვილეში სულელი და უგუნური იყო.

[30] პიტაკე შვიდ ბრძენ ელინთაგან ერთ-ერთი იყო(VI ს. ძვ. წ.), მისი ეს გამონათქვამი მოყავს პლატონს „პროტაგორაში“, 343 A.

იმისათვის, რომ დიდი სასჯელი არ დაითმინოს.

მაშ, რა გავაკეთოთ? – იკითხავს ვინმე. სხვა რა, თუ არა ის, რომ ყველა სხვა საზრუნავთაგან განთავისუფლებულებმა სულზე ვიზრუნოთ?

ამიტომ, სხეულს თუ ეს მართლაც აუცილებელი არაა, არ უნდა ვემსახუროთ, ხოლო სულს ყოველი, რაც საუკეთესოა, მივუძღვნათ; ხორციელ, სხეულის ვნებებთან მჭიდრო კავშირისაგან, ვითარცა საპყრობილიდან, სიბრძნისმოყვარეობით განვათავისუფლოთ და ამასთან, სხეულიც ისე გავწვრთნათ, რომ ვნებებისათვის დაუძლეველი გახდეს. აუცილებელი მუცელსაც უნდა მივაწოდოთ, მაგრამ არა ძალიან სასიამოვნო, იმათ მსგავსად, რომელნიც ტრაპეზის გამწყობ მონებსა და მზარეულებს ეძებენ და, ვითარცა ვინმე სასტიკი მბრძანებელისათვის ხარკის შემგროვებელნი, მთელს ხმელეთსა და ზღვას ჩხრეკენ ხოლმე. ჯოჯოხეთსა შინა წამებულებზე არანაკლები ტანჯვის დამთმენნი ეს საწყალობელნი მუშაკნი მართლაც რომ მატყლს ცეცხლზე ჩეჩენ,[31] წყალს ცხრილით ეზიდებიან და დაზიანებულ თიხის ჭურჭელში ასხამენ, რის გამოც მათ ჯაფას ბოლო არა აქვს.

თმის ვარცხნილობასა და შესამოსელზე გარჯა კი, თუ ამის საჭიროება არ არსებობს, დიოგენეს სიტყვით, უბედურებს ან კიდევ გზააბნეულებს ახასიათებთ.[32] ამიტომაც ვამბობ, რომ იყო პეწენიკი და იწოდებოდე ასეთად, ისევე სამარცხვინოდ უნდა ჩავთვალოთ როგორც გარყვნილება, ან სწრაფვა სხვისი საქორწინო სარეცელისაკენ. რადგან მისთვის, ვისაც გონება აქვს, რა სხვაობა ექნება – თეატრალური[33] სამოსელით იმოსება თუ მდაბიორთა მოსასხამს მოისხამს, თუკი სამოსი სიცივისა და სიცხისგანაც საკმარისად იცავს? კაცისათვის, რომელიც მართლაც ღირსია ამ სახელისა, კოპწიაობა და გარეგნობაზე ზრუნვა ნაკლებ სასაყვედურო როდია, ვიდრე მონური დამოკიდებულება რომელიმე სხვა ვნებისადმი. რადგან ყველა მცდელობა მიმართული იმისკენ, რომ სხეული,რაც შეიძლება გამშვენებული იყოს, თვისებაა იმისა, ვისაც ვერც თავისი თავი შეუცვნია და ვერც ის ბრძნული სწავლება გაუგია, რომ კაცი ის კი არ არის, რაც იხილვება, არამედ რამდენადმე უმაღლესი სიბრძნეა საჭირო, რომლის მიერაც თითოეული ჩვენგანი თავის თავს, როგორიცაა, ისე შეიცნობს; ხოლო ეს განუწმენდელი გონებისათვის უფრო შეუძლებელია, ვიდრე სნეული თვალებისათვის მზერის გასწორება მზისათვის; განწმენდა სულისა კი, ზოგადად და თქვენთვის საკმარისად რომ გითხრათ, შეგრძნებებით მიღებულ სიამოვნებათა უგულებელყოფას ნიშნავს: თვალი არ უნდა განვაძღოთ სანახაობებით ილუზიონისტებისა, ან ცქერით სხეულებისა, რაც ტკბობის სურვილს აღძრავს; სულში სასმენელთა მეშვეობით არც წარწყმედული

[31] ანდაზა, რომელიც შინაარსით იგივეობრივია ანდაზისა, „წყლის ნაყვა როდინში“.

[32] დიოგენეს გამონათქვამს ამის თაობაზე იმოწმებს დიოგენე ლაერტელი თხზულებაში „ფილოსოფოსთა ცხოვრებანი“, VI,54.

[33] ტექსტშია ἡ ἑταίρα – ქსისტიდა, გრძელი კაბა, რომელსაც თეატრში ქოროს მსახიობები, ქალები და გამარჯვებული ათლეტები ატარებდნენ.

მელოდია უნდა ჩავიღვაროთ, რადგან ამგვარი მუსიკიდან ნაყოფნი – ვნებანი მონობისა და სულმდაბლობისა წარმოიშობიან. ჩვენ სხვაგვარ მუსიკას უნდა ვესწრაფვოდეთ, უკეთესს, რომელიც უკეთესისკენ წაგვიყვანს, რომლითაც დავითი სარგებლობდა, შემთხზველი წმინდა საგალობლებისა და რომლითაც, როგორც წმინდა წერილი ამბობს, მან მეფე სიშმაგისაგან იხსნა.

ყვებიან, რომ პითაგორამ, რომელიც ნადიმზე მთვრალებს შორის აღმოჩნდა, ლხინის წამყვან ფლეიტისტს კილოს შეცვლა და დორიული ჰანგის დაკვრა უბრძანა. ამ მელოდიით ისინი გონს ისე მოეგნენ, რომ გვირგვინები გადაყარეს და დარცხვენილნი დაიშალნენ. ზოგიერთები კი ფლეიტის დაკვრისას კორიბანტებისა[34] და ბახუსის მხლებელთა მსგავსად სიშმაგეს ეძლევიან. აი, რამდენად დიდია სხვაობა, რითი აივსება სასმენელი – ჯანსაღი თუ უვარგისი მელოდიებით. ამიტომაც, სრულიად ცხადია, რომ ახლა გაბატონებულ მელოდიათა შესრულებაში კიდევ უფრო ნაკლებ მონაწილეობას უნდა იღებდეთ, ვიდრე სამარცხვინო საქმეთაგან რომელიმეში; ხოლო ჰაერთან სხვადასხვაგვარი ანაორთქლის შეზავებისა, რაც ყნოსისთვის სასიამოვნოა, და ნელსაცხებელთა წასმის აკრძალვას პატივს მივაგებ.

სხვას რას იტყოდა ვინმე იმის შესახებ, რომ არაა საჭირო გამოდევნება შეხებითა და გემოთი ტკბობისა, თუ არა იმას, რომ ამ სიამოვნებათა მონადირებისათვის გადაგებულებს ისინი მუცლისა და რაც მის ქვემოთაა, მისი ახირებული სურვილებით ცხოვრებას აიძულებენ. ერთი სიტყვით მან, ვისაც, ვითარცა ჭაობში, ხორციელ ტკბობათა შინა ჩაძირვა არ უნდა, ყოველივე სხეულებრივი უნდა უგულებელყოს. სხეული იმდენად უნდა გვიყვარდეს, – ამბობს პლატონი, – რამდენადაც იგი ფილოსოფიის სამსახურში იღებს მონაწილეობას და ამ შემთხვევაში, აზრს რამდენადმე პავლე მოციქულის მსგავსად გამოხატავს, რომელიც გვირჩევს, ხორციელი ზრახვა არ ვყოთ საბაბად წადილისა.[35]

ისინი, რომელნიც სხეულზე ზრუნავენ, რათა რაც შეიძლება ლამაზი იყოს, ხოლო სულს, რომელიც მას მოქმედებისათვის იყენებს, უგულებელყოფენ, რითი განსხვავდებიან იმათგან, რომელნიც იარაღს გულმოდგინედ უვლიან, ხოლო ხელოვნებას, რომელიც მათი საშუალებით მოქმედებს, უსულგულოდ ეპყრობიან? ამიტომ, პირიქით, სხეულს, ისევე როგორც მისწრაფებებს მხეცისა, ლაგამი უნდა ამოვდოთ და დავაოკოთ ამბოხნი, რომელთაც იგი სულში წარმოშობს, ვითარცა მათრახით, გონებით დავამარცხოთ და ჩავაწყნაროთ და არა ის, რომ სადავეები ტკბობისმოყვარეობისა მივუშვათ და სხეულს უფლება მივცეთ იმისა, რომ გონება მსგავსად იმ მეეტლისა წარიტაცოს, რომელსაც ცხენები თავს წაართმევენ და თავის ნებაზე მიაქანებენ.

პითაგორაც გავიხსენოთ; გაიგო რა, რომ მისი ერთი ნაცნობთაგანი ვარჯიშისა და ბევრი ჭამისაგან მეტისმეტად სუქდებოდა, უთხრა: „არ შეწყვეტ საკუთარი

[34] Οἱ κορύβαντες – კორიბანტები კიბელეს ქურუმები იყვნენ, რომელთა თაყვანისცემასაც ღვთაების მიმართ შმაგი, ველური ხასიათი ჰქონდა.

[35] ჯორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქუმელ(რომ.13,14).

თავისათვის ამ ფრიად მძიმე საპყრობილის მშენებლობას?“[36] ამბობენ, პლატონმა წინასწარ განჭვრიტა რა ზიანი, რომელსაც სხეული სულს მიაყენებდა, აკადემიისათვის ატიკაში ჯანმრთელობისათვის მავნე ადგილი განზრახ შეარჩია, რათა სხეული ზედმეტად არ განებივრებულიყო, ისევე როგორც ვაზს სხლავენ ხოლმე, რტოები ზედმეტად რომ არ გაეზარდოს. ხოლო როგორც მე ექიმებისაგან მოვისმინე, თავის მხრივ, უკიდურესი ჯანმრთელობაც არამდგრადია.

ასე რომ, თუკი სხეულზე გადაჭარბებული მზრუნველობა თვით სხეულისთვისაც კი უსარგებლოა, ხოლო სულისათვის დამაბრკოლებელი, მაშინ მისი მორჩილებაცა და მსახურებაც ცხადი სიგიჟე ყოფილა. ჩვენ რომ მისი უგულებელყოფა გვესწავლა, კაცობრივთაგან ძნელად რომ რაიმეს გავეკვირვებინეთ; მაგალითად, ჩვენ, რომელთაც ხორციელი ტკბობა არაფრად გვიღირს, სიმდიდრე რისთვისღა დაგვჭირდებოდა? მე ვერ ვხედავ საჭიროებას, გარდა მითებისა, სადაც დრაკონებზეა საუბარი, რაც გარკვეულწილად სიამოვნებასაც გვანიჭებს, საგანძურის ფხიზლად დარაჯობისა. ვინც ამგვარ საგნებზე მსჯელობისას თავის ღირსეულად დაჭერა ისწავლა, მას საერთოდ არ შეუძლია საქმითა თუ სიტყვით ოდესმე რაიმე მდაბიური და სამარცხვინო აირჩიოს; რადგან საჭიროზე მეტს – ლიდიური ქვიშა იქნება ეს თუ ოქროსმატარებელი ჭიანჭველების შრომა – იმდენად უფრო არად ჩააგდებს, რამდენადაც ნაკლებად დასჭირდება; თვით საჭიროებას კი იგი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი და არა სიამოვნებათა განცდის მოთხოვნილებებით შემოსაზღვრავს.

ისინი, რომელნიც აუცილებელ მოთხოვნილებათა საზღვრებს გარეშე აღმოჩნდებიან, მსგავსად ფერდობზე დაქანებულისა, რომელსაც წინ არაფერი ეღობება რომ შეაკავოს, სრბოლისას ვერსად ჩერდებიან. რაც უფრო წინ მიიწევენ, მით უფრო მეტად განიცდიან საჭიროებას ახალი სურვილის დაკმაყოფილებისა, რომელიც წინას თანაბარია, ან მასზე მეტი, როგორც ამას სოლონი, ექსეკესტიდეს ძე, ამბობს: „ადამიანებისათვის სიმდიდრეს ზღვარი არ უჩანს“.[37]

ამ თვალსაზრისით მასწავლებლად გამოგვადგება თეოგნიდეც, რომელიც ამბობს: „არ მიყვარს და არც მსურს სიმდიდრე, არამედ, თუნდაც ხანმოკლე ცხოვრება მქონდეს, ოღონდ ცუდი არაფერი შემემთხვეს“.[38] მე მაოცებს დიოგენე, ვინც საერთოდ ყოველივე ადამიანური უგულებელყო და დაამტკიცა, რომ დიდ მეფეზეც უფრო მდიდარი იყო, რადგან მასზე ცოტა რამ სჭირდებოდა ცხოვრებისათვის; ხოლო ჩვენ, თუ იმდენი ტალანტი არ გვაქვს, რამდენიც პითია მიზიელს[39] ჰქონდა, არც ამდენი და ამდენი პლეთრონი[40] მიწა და არც აღურაცხელი ჯოგი საქონლისა, არაფერი გვყოფნის.

[36] ელიანე, „ნაირ-ნაირი ამბები“, II,18.

[37] სოლონის ფრაგმენტულად მოღწეული ლექსის ამ სტრიქონს იყენებდნენ, აგრეთვე, არისტოტელე(„პოლიტიკა“ I,8 1256) და პლუტარქე(სიმდიდრის წყურვილის შესახებ, IV).

[38] თეოგნიდე, ელეგია, სტრ. 1155-1156.

[39] პითია მიზიელი – ლიდიელი მდიდარი, ცნობილი, აგრეთვე, თავისი სისასტიკით(ჰეროდოტე, ისტორია, VII 27).

[40] τὸ Πλέθρον – პლეთრონი სიგრძის ერთეული იყო, რომელიც 30,38 მ-ს ანუ სტადიონის ერთ მეექვსედს უდრიდა.

მე ვფიქრობ, უკეთუ არ გაქვს ქონება, არც უნდა გინდოდეს, ხოლო თუ გაქვს, იმის ფიქრზე მეტად, რომ მას ფლობ, როგორ განაგო იგი, ის უნდა იცოდე. მშვენიერი გამონათქვამი აქვს სოკრატეს; მან ერთ მდიდარ კაცზე, ვინც ფულს დიდად – აფასებდა, თქვა, რომ მანამდე არ გაოცდებოდა მისით, ვიდრე არ გამოცდიდა, იცოდა თუ არა მისით სარგებლობა. ფიდიასსა[41] და პოლიკლეტეს[42] იმ ოქროსა და სპილოსძვლის გამო, რომლითაც ერთმა ელეელებს[43] ზევსის, ხოლო მეორემ არგოსელებს[44] ჰერას ქანდაკება შეუქმნა, თავისთავზე დიდი წარმოდგენა რომ შექმნოდათ, სასაცილონი გახდებოდნენ, რადგან სხვისი სიმდიდრით თავმომწონეებს, უგულებელყოფილი ექნებოდათ ხელოვნება, რომლის წყალობითაც ოქროც უფრო სასიამოვნო და ძვირფასი წარმოჩნდა. ხოლო ჩვენ, რომელთაც კაცობრივი სათნოება ჩვენთვის საკმარის სამკაულად არ მიგვაჩნია, ვფიქრობთ, რომ ჩვენი საქციელი ნაკლებად სამარცხვინოა? სიმდიდრე რომ მართლაც უგულებელგვეყო და გრძნობისმიერი სიამოვნებანი არად ჩაგვეგდო, ნუთუ პირფერობასა და ლიქნას მაინც გამოვედევნებოდით და ანგარებასა და გაიძვერობაში არქილოქეს[45] მელიის მიმბაძველნი გავხდებოდით?

ადამიანი, რომელიც აზროვნებს, ყველაზე უფრო იმას უნდა გაურბოდეს, რომ დიდებისათვის იცხოვროს და უმრავლესობის თვალსაზრისს ეთანხმებოდეს; მან ცხოვრების წინამძღვრად მართალი გონება უნდა გაიხადოს. კიდევაც რომ ყველა ადამიანს დაუპირისპირდეს, ან მშვენიერისათვის დიდებაც დაკარგოს და საფრთხეშიც ჩავარდეს, რაც სწორად შეიცნო, იმის ურყევად დაცვას არაფერი უნდა ამჯობინოს. მაგრამ ვისაც ეს არ შეუძლია, მასზე ვიტყვით: განა რითი ჩამორჩება იგი ეგვიპტელ სოფისტს, რომელიც, როცა კი მოისურვებდა, მცენარე, ცხოველი, ცეცხლი, წყალი და ყოველგვარი საგანი ხდებოდა? ამგვარი კაცი მათ წინაშე, რომელნიც პატივს სამართლიანობას სცემენ, სამართლიანობას აქებს, მაგრამ როგორც ეს მლიქვნელებს სჩვევიათ, საპირისპიროს იტყვის იქ, სადაც შეამჩნევს, რომ მხარს უსამართლობას უჭერენ. ვითარცა მრავალფეხა, რომელზეც ამბობენ, რომ იმ მიწის ფერს იღებს, რომელიც მის ქვეშაა, ასევე ისიც აზრს იმათ შეხედულებებისამებრ იცვლის, რომელთა შორისაც იმყოფება.

თუმცა ჩვენ ამას უფრო სრულყოფილად ჩვენი წმინდა წერილის წიგნებიდან ვსწავლობთ, მაგრამ ამჯერად სათნოების აჩრდილის კონტურებს რამდენადმე გარეშე სწავლებათა მეშვეობით შემოვხაზავთ. ისინი, რომელნიც სარგებელს თითოეული საგნიდან კრებენ, მსგავსად დიდი მდინარეებისა, ყოველი მხრიდან მრავალი შენაერთით იზრდებიან, რადგან უნდა ვიფიქროთ, რომ გამონათქვამი პოეტისა: „ცოტას ცოტა მიუმატე“, ვერცხლის დაგროვებაზე უფრო მეტად

[41] Ὁ Φειδίας– ფიდიასი, სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე(ძვ. წ. V ს.).

[42] ὁ Πολύκλειτος – პოლიკლეტე, ცნობილი არგოსელი მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი(ძვ. წ. V ს.).

[43] ὁ Ἠλεῖος, –ელეელი, ἡ Ἠλεία (Ἦλις) – ელიდა, მხარე აღმოსავლეთ პელოპონესში.

[44] ὁ Ἀργεῖος – არგოსელი; Ἄργος – არგოსი ქალაქი პელოპონესზე.

[45] იგულისხმება არქილოქეს იგავი „მელა და არწივი“(ფრაგმ. 89).

ცოდნის დაგროვებას გულისხმობს და შეეფერება.[46] ასევე, ბიასმაც,[47] როცა შვილმა, რომელიც ეგვიპტეში მიემგზავრებოდა, ჰკითხა, რა უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ იგი, რაც შეიძლება მეტად გაეხარებინა, უპასუხა: „შეიძინე საგზალი სიბერისათვის“, საგზალი კი მან სათნოებას უწოდა, ოღონდ ვიწრო საზღვრებში მოაქცია – რადგან მისი სარგებელი კაცობრივი ცხოვრებით შემოსაზღვრა.

ხოლო უკეთუ ვინმე მე ტითონის, არგანთონიოსის, ან ჩვენ შორის ყველაზე დღეგრძელი მათუსალას,[48] რომელზეც ამბობენ, რომ თითქმის ათასი წელი(ოცდაათი წლით ნაკლები) იცოცხლა, ასაკს დამისახელებს, ან ვინმე მთელ დროს ადამიანთა დაბადებიდან გამოითვლის, ვითარცა ბავშვურ აზროვნებაზე, გამეცინება, რადგანაც ჩემი მზერა უფრო შორს – გრძელი და უბერებელი საუკუნისაკენ მიემართება, რომლის საზღვრებსაც გონებით ვერ მივწვდებით, ისევე, როგორც უკვდავი სულისათვის დასასრულის დადგენაა შეუძლებელი. მე თქვენ საგზლის შეძენას ამ საუკუნისთვის გირჩევდით, როგორც ანდაზა ამბობს: „დასძარი ყოველი ქვა, რომლისგანაც კი, რაიმე სარგებელი გექნებათ“.[49] ნუ შეყოვნდებით იმის გამო, რომ ეს ძნელია და ჯაფას მოითხოვს, არამედ გავიხსენოთ რჩევა იმისი, ვინც თქვა, რომ ყოველმა რაც შეიძლება საუკეთესო ცხოვრება უნდა აირჩიოს და დაელოდოს, რომ მიჩვევა მას სასიამოვნოს გახდის და ყველაზე საუკეთესოს გამოცდის. სამარცხვინოა ხომ, დრო ახლა დაკარგო და წარსულის დაბრუნებას შემდეგ ეცადო, რასაც, რაც არ უნდა წუხდე, ვეღარ შეძლებ.

ამგვარად, ის, რასაც მე უმნიშვნელოვანესად მივიჩნევ, ნაწილობრივ ახლა გითხარით, ხოლო დანარჩენის შესახებ რჩევას მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგცემთ. ხოლო თქვენ, რამდენადაც სამი სახის სნეულება არსებობს, ნუ დაემსგავსებით განუკურნებელ სნეულებს და ნურც ნების უძლურებას გამოიჩენთ, მსგავსს იმათი სნეულებისა, რომელნიც ხორციელად იტანჯებიან; რადგან მსუბუქად დაავადებულნი თვითონვე მიდიან ექიმებთან, შედარებით მძიმე სნეულებით შეპყრობილნი მკურნალებს თავისთან იხმობენ, ხოლო შავი ნაღველის სრულიად უკურნებელი სენის მქონენი მათთან მისულთაც არ იღებენ. დაე, ახლა თქვენ ნუ შეგემთხვევათ ეს; ნუ გაექცევით ადამიანებს, რომელნიც სწორად აზროვნებენ.

---

[46] ჰესიოდე, სამუშაონი და დღენი, სტრ. 359.

[47] ბიასი – შვიდ ელინ ბრძენთაგან ერთ-ერთი. მისი სიტყვები შემონახულია თხზულებაში „ფილოსოფოსთა ცხოვრებანი“, 1,5.

[48] ტითონი – მეუღლე ქალღმერთ ეოსისა, სიმბოლო დღეგრძელობისა; არგანთონიოსი – მეფე ტარტესისა(VII-VI სს. ძვ.წ.); გადმოცემით 120 წელი იცხოვრა(ჰეროდოტე, ისტორია, I,163). მათუსალა – ბიბლიური მამათმთავარი, ნოეს პაპა, რომლის ამქვეყნიური ცხოვრებაც 969 წელი გაგრძელდა.

[49] ფიგურალური გამოთქმაა, რომელიც იგივეა, რაც „ყოველი ღონით ეცადე“.

წმიდა ბასილი დიდი

სულიწმიდის შესახებ[1]

წმინდანთა შორის ამფილოქეს, იკონიის ეპისკოპოსს

თავი I
წინასიტყვა, რომლითაც ნაჩვენებია, რომ ღმრთისმეტყველების უმცირესნი ნაწილნიც კი აუცილებლად გამოკვლეულ უნდა იქნას.

ჯერ-ერთი შენი სიყვარული მეცნიერებისა და თვისება შრომის სიყვარულისა, ფრიად გავიხარე გამჭრიახობითა და სიფხიზლით განსჯისა, რადგანაც ფიქრობ, რომ არცერთი გამოთქმა, ღმრთისადმი საჭიროებისამებრ მიძღვნილი სიტყვისა, გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს, საყვარელო და ჩემთვის ყველაზე პატივმისაგებელო, ძმაო ამფილოქე; რამეთუ კეთილად შეისმინე შეგონება უფლისა: **რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოოს**(ლკ. XI,10). ისეთი ხელოვნებით ითხოვ, რომ, მეჩვენება, ყველაზე ზანტსაც კი აღძრავ, რათა დახმარება გაგიწიოს. უფრო მეტად კი იმით აღმაფრთოვანებ, რომ კითხვებს არა გამოსაცდელად იძლევი, როგორც დღეს მრავალნი [იქცევიან], არამედ გამოსაძიებელად ჭეშმარიტებისა. ისინი, რომელნიც ჩვენ გვისმენენ და გვეკითხებიან, დღეს მართლაც ბევრნი არიან, მაგრამ სული, მოყვარული ცოდნისა, რომელიც ჭეშმარიტებას უვიცობის განსაკურნებლად იკვლევს, ძნელად რომ შეგვხვდეს; უმრავლესობის კითხვები ხომ, მსგავსად სამონადირეო ხაფანგისა და მტრული ჩასაფრებისა, დაფარულსა და კარგად აგებულ მზაკვრობას შეიცავს. ისინი საუბარს არა მისგან რაიმე სასარგებლოს მისაღებად ჩამოაგდებენ ხოლმე, არამედ, რათა საკუთარი სურვილების შეუსაბამო პასუხები მოიპოვონ და ჩათვალონ, რომ მტრობისათვის სამართლიანი მიზეზი აქვთ.

2. თუკი უგუნურს კითხვის მოცემა სიბრძნედ ეთვლება(იგავ.XVII,28), რაოდენ ღირსეულად უნდა მივიჩნიოთ გონიერი მსმენელი, რომელიც წინასწარმეტყველმა **საკვრველსა თანამზრახვალსა**(ეს.III,3) შეაუღლა? რა თქმა უნდა, სამართლიანი იქნება, რომ ყოველმხრივ შექებით მას არა მხოლოდ პატივი მივაგოთ, არამედ კიდევ უფრო შორს წარვუძღვეთ, გულმოდგინებაში გვერდით ამოვუდგეთ და ყოველგვარი ჯაფა, რომლითაც სრულყოფისაკენ წარემატება, გავინაწილოთ. რამეთუ საღმრთისმეტყველო სიტყვების არა სხვათა შორის მოსმენა, არამედ მცდელობა ყოველ სიტყვასა და თითოეულ მარცვალში[2] დაფარული აზრის გამოძიებისა,

---

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **B. Pruche, Basile de Césarée. Sur le Saint-Esprit, 2nd edn. [Sources chrétiennes 17 bis. Paris: Éditions du Cerf, 1968]: 250-530.**

[2] მარცვალში (ἢ συλλαβῇ) წმ. ბასილი დიდი აქ წინდებულებს გულისხმობს.

არა ღმრთისმოსაობისთვის ზარმაცთა საქმეა, არამედ იმათი, რომელთაც მიზანი ჩვენი მოწოდებისა შეიცნეს, რადგან ჩვენ, რამდენადაც ეს კაცობრივ ბუნებას ძალუძს, ღმერთთან დამსგავსება გველოდება. მსგავსება კი ცოდნის გარეშე არ არსებობს, ხოლო ცოდნა სწავლით შეიძინება. დასაბამი სწავლისა სიტყვაა, ხოლო სიტყვის ნაწილები მარცვლები და გამოთქმებია. ამგვარად, არც მარცვალთა გამოძიება იქნება მიზნისგან დაშორება. საკითხები, რომელნიც შეიძლება ვინმეს ნაკლებმნიშვნელოვნად მოეჩვენოს, ამის გამო უგულებელყოფის ღირსნი როდი არიან; პირიქით, რამდენადაც ჭეშმარიტება ძნელად მოსახელთებელია, ჩვენ იგი ყოველი მხრიდან უნდა გამოვიძიოთ. უკეთუ როგორც ხელოვნებანი და, ასევე შეთვისებაც ღმრთისმოსაობისა, პატარ-პატარა შენაძენებით იზრდება, არც იმათგან უნდა უგულებელვყოთ არაფერი, რაც შემეცნებაში შემოდის. ასე რომ, თუკი ვინმე პირველ საწყისებს, ვითარცა მცირეთ, არად ჩააგდებს, სრულყოფილთა სიბრძნეს ვერასოდეს მიაღწევს.

ჰო(ჰე) და **არა** ორი მარცვალია(მთ.V,37), მაგრამ ეს მოკლე სიტყვები ხშირად, როგორც სიკეთეთაგან ყველაზე უკეთესს – ჭეშმარიტებას, ასევე უკეთურების უკიდურეს ზღვარს – სიცრუეს იტევს. და კიდევ: რა უნდა ვთქვა ამის შესახებ? ზოგიერთი, რომელიც ქრისტეს მხოლოდ თავის დაქნევით ამოწმებს, სრული ღმრთისმოსაობის აღმასრულებელად მიიჩნევა. და თუ ეს ასეა, სალმრთისმეტყველო სიტყვებიდან რომელია ისე უმნიშვნელო, რომ კარგია იგი თუ არა, ორივე შემთხვევაში დიდი წონა არ მიენიჭოს? უკეთუ სჯულიდან **იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჴდეს**(მთ.V,18), როგორ იქნება ჩვენთვის უსაფრთხო გადაბიჯება თუნდაც ყველაზე მცირეთა ზედა? ხოლო ის, რისი გულმოდგინებით გამოძიება ჩვენგან მოითხოვე, მცირეც არის და დიდიც. მცირე – წარმოთქმის სიმოკლის გამო, რისთვისაც შეიძლება ყურადღებიდან ადვილად გამოგვრჩეს, ხოლო ძალით მნიშვნელობისა – დიდი, მსგავსად მდოგვისა, რომელიც თესლოვან მცენარეთა შორის უმცირესია, მაგრამ როცა შესაფერის მზრუნველობას მიაგებენ, მასში ფარულად ჩადებული ძალა ფრთებს ისხამს და საკმაოდ მაღალი აღიმართება.

უკეთუ ვინმე, იხილავს რა მარცვალთა შესახებ ჩვენს, ფსალმუნის სიტყვით ვიტყვი, **ზრახვას**(118,85)(გულმოდგინე გამოძიებას) და დასცინებს, მოიმკის რა ნაყოფს დაცინვისა, უსარგებლობას მისას თვითონვე შეიცნობს, ხოლო ჩვენ არც კაცთაგან საყვედურების გამო დავთმობთ, არც მათი დაცინვით ვიძლევით და გამოძიებაზე ხელს არ ავიღებთ. მე არა თუ მრცხვენია [კვლევა] ამგვარ საგანთა, ვითარცა მცირეთა, არამედ მათ ღირსებას ცოტათი თუ მაინც მივეახლები, თავსაც ბედნიერად ჩავთვლი, ვითარცა დიდი ღირსების შემძენი, და ძმასაც, რომელიც ჩემთან ერთად იკვლევდა, ვეტყოდი, რომ აქედან ცოტა სარგებელი როდი შეხვდა. ამიტომ, თუმცა ვხედავ, რომ მცირე სიტყვებისათვის ფრიად დიდი ბრძოლა [მომიწევს], სასოებით საზღაურისა, ჯაფას თავს არ ავარიდებ, ჩავთვლი რა, რომ სიტყვა ჩემთვისაც ნაყოფიერი იქნება და მსმენელთათვისაც საკმაოდ სასარგებლო. ამიტომ, თავად სულიწმიდის შემწეობით უკვე განმარტე-

ბაზე გადავალ და უკეთუ გსურს, რომ გზასა ზედა სიტყვისასა განვმტკიცდე, პრობლემის დასაწყისს მივუბრუნდები.

3. ცოტა ხნის წინ, როცა ხალხთან ერთად ვლოცულობდი, დიდებისმეტყველება ღმრთისა და მამისადმი ორგვარად აღვასრულე: ხან როგორც **ძესა და სულიწმიდასთან ერთად**(μετὰ τοῦ ᾽Υιοῦ σὺν τῷ Πνεύματι τῷ ἁγίῳ) და ხან როგორც **ძის მიერ სულიწმიდით**(διὰ τοῦ ᾽Υιοῦ ἐν τῳ ἁγίῳ Πνεύματι).[3] იქ მყოფთაგან ზოგიერთმა წინააღმდეგობა გამოხატა და ამბობდა, რომ მე უცნაურ სიტყვებს ვიყენებ. და, ამასთან, ერთმანეთის საპირისპიროს. ხოლო შენ უპირატესად მათდა სასარგებლოდ, – უკეთუ ისინი სრულიად განუკურნებელნი არ არიან, – საფრთხეს რომ არ შეემთხვიონ, ამ მარცვალთა ძალის შესახებ სწავლების ნათლად გადმოცემა შემომთავაზე. ამრიგად, მოკლედ უნდა ვილაპარაკო და სიტყვას შესაფერისი დასაბამი მივცე.

თავი II
რა დასაბამი აქვს იმას, რომ ერეტიკოსები მარცვლებს განსაკუთრებით აკვირდებიან.

4. ამ ადამიანთა მიერ დაწვრილმანებული შესწავლა მარცვლებისა და გამოთქმებისა არც უბრალოდ ხდება, როგორც შეიძლება ეს ვინმეს ეგონოს და არც მცირე ბოროტებისაკენ მივყავართ, არამედ ღმრთისმოსაობის წინააღმდეგ ღრმა და დაფარულ ზრახვას წარმოადგენს. ისინი დაჟინებით ცდილობენ, აჩვენონ შეუსაბამობა გამოთქმებისა მამისა, ძისა და სულიწმიდის შესახებ, რათა ამით მათი ბუნების სხვადასხვაობის დამტკიცება ადვილად შეძლონ.

რადგან აქვთ ძველი, ცრუ მსჯელობა(დასკვნა) ამ ერესის წინამდგომის, აეტიუსის მიერ გამოგონილი, რომელიც ერთ თავის წერილში მან ასე გამოთქვა: არა ერთგვაროვანნი, ბუნების მიხედვით, არაერთგვაროვნად გამოითქმებიან და პირიქით, არაერთგვაროვნად გამოთქმულნი ბუნებითაც არაერთგვაროვანნი არიან, და თავისი აზრის დასამოწმებლად პავლე მოციქული მოიხმო, რომელიც ამბობს: **ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი...** და ერთ არს უფალი იესუ **ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი**(Iკორ.8,6), „ამიტომ, – ამბობს აეტიუსი, – რა დამოკიდებულებაც აქვთ ერთმანეთთან ამ გამოთქმებს, იგივე ექნებათ ერთმანეთთან ბუნებებსაც, რომელთაც ისინი აღნიშნავენ“. გამოთქმა **რომლისაგან**(ἐξ οὗ) არაერთგვაროვანია გამოთქმისა **რომლისა მიერ**(δι᾽ οὗ), მაშასადამე, არც ძეა ერთგვაროვანი მამისა.

ამ სენისაგან მომდინარეობს ამ ადამიანთა ლაყბობა ჩემ მიერ განსახილველად შემოთავაზებულ გამოთქმათა შესახებ. აქედან, ღმერთსა და მამას, ვითარცა რაღაც გამორჩეულ ხვედრს, გამოთქმას ***მისგან***(რომლისგან) მიაკუთ-

[3] ბერძნულში ἐν წინდებულიანი სახელი მიცემით ბრუნვაში, ქართულად გადმოღებისას ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვითაც(-ით) გადმოდის, ისევე როგორც ზოგჯერ σὺν წინდებულიანი.

ვნებენ, ძესა და ღმერთს კი, გამოთქმით ***მის მიერ*** შემოსაზღვრავენ, ხოლო სულიწმიდას – გამოთქმით ***მასში*** (ἐν ᾧ) და ამბობენ, რომ ამ მარცვალთა გამოყენება არასოდეს იცვლება, რათა, როგორც ითქვა, გამოთქმათა სხვაობით ბუნებათა სხვაობაც წარმოჩნდეს; მაგრამ მათ ვერ დაფარეს, რომ გამოთქმათა ერთმანეთისაგან დაწვრილმანებული გარჩევით უსჯულო სწავლების განმტკიცებას ცდილობენ და სურთ, რომ გამოთქმით ***მისგან***(რომლისგან) შემოქმედი აღინიშნოს, გამოთქმით ***მის მიერ*** – მსახური ან იარაღი, ხოლო გამოთქმამ ***მასში*** – დრო ან ადგილი აჩვენოს, რათა ყოველთა შემოქმედი[4] იარაღზე უფრო პატივსაცემად არ იქნას წარმოდგენილი, ხოლო სულიწმიდა არა უმეტესად წარმოჩნდეს, ვიდრე ეს არსებულთათვის ადგილისა ან დროის მინიჭებაა.

თავი III

იმის შესახებ, რომ ეს ხელოვნება მარცვალთა გარჩევისა გარეშე სიბრძნისაგანაა აღებული.

5. ამ სიცრუემდე ისინი გარეშე მწერალთა[5] ნააზრევის განხილვამ მიიყვანა, რომელნიც [სიტყვებს] ***მისგან*** და ***მის მიერ*** ბუნებით განსხვავებულ საგნებს მიაკუთვნებენ. რადგან ფიქრობენ, რომ გამოთქმით ***მისგან*** აღინიშნება ნივთიერება, ხოლო გამოთქმით ***მის მიერ*** იარაღი, ან საერთოდ მსახურება გამოიხატება. უმჯობესია ვთქვათ, – რადგან რა გვიშლის ხელს, რომ მათი მთელი სწავლება და მისი შეუსაბამობა ჭეშმარიტებასთან და თვითონ ამ კაცთა საკუთარ თავთან წინააღმდეგობა მოკლედ ვამხილოთ? – რომ თავიანთი მოცალეობის ჟამი მათ ამ ამაო ფილოსოფიას მიუძღვნეს, მიზეზის ბუნება სხვადასხვაგვარად განმარტეს, მისი ერთი მნიშვნელობა დაყვეს, ამბობენ რა, რომ მიზეზთაგან ერთი თავდაპირველია, ხოლო სხვები – თანამოქმედნი, ან თანამიზეზნი, ხოლო სხვანი კიდევ ისეთნი, რომელთა გარეშეც ქმნილებები არსებობას ვერ შეინარჩუნებენ. ამგვარად, თითოეული მათგანისათვის განსაზღვრავენ განსაკუთრებულ გამოთქმებს. ასე რომ, შემოქმედი სხვაგვარად აღინიშნება და იარაღი – სხვაგვარად და ფიქრობენ, რომ დემიურგს შეეფერება – ***მისგან,*** რადგან სკამი ხელოვანისაგან შექმნილად სამართლიანად იწოდება, იარაღს კი შეეფერება მის მიერ (δι᾽ οὗ), რადგან იგი [სკამი] ცულის, ბურღისა და სხვა ამდაგვართაგანაა გაკეთებული. მსგავსად ამისა, გამოთქმას ***მისგან*** (ἐξ οὗ) ისინი საკუთრივ მატერიის მიმართ იყენებენ, რადგანაც ნაკეთობა [დურგლისა] ხისგანაა. გამოთქმა ***მისი მიხედვით*** (καθ᾽ ὅ) კი ხელოვანისათვის ან წარმოსახვით, ან შეთავაზებულ ნიმუშს აღნიშნავს, რადგან იგი გონებით წინასწარ მოხაზულ აგებულებას საქმით ან წარმოსახვით აღასრულებს, ან უმზერს რა უკვე შემოთავაზებულ ნიმუშს, თავის სამუშაოს მისი მიხედვით წარმართავს; ხოლო გამოთქმას ***მისთვის*** (δι᾽ ὅ) მიზნის შესაფერისად მიიჩნევენ, რადგან სკამი კაცთა გამოსაყენებლად

[4] იგულისხმება ძე ღმერთი, ქრისტე.
[5] იგულისხმება არასასულიერო, საერო თხზულებათა ავტორები.

კეთდება. და გამოთქმა ***მასში*** (ἐν ᾧ) კი დროზე ან ადგილზე მიუთითებს. რადგან, როდის შეიქმნა? – რაღაც დროში და სად? – რომელიღაც ადგილას. თუმცა ისინი[6] შექმნაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, რაიმეს შექმნა მათ გარეშე მაინც შეუძლებელია; საჭიროა ხომ ადგილიცა და დროც მოქმედთათვის.

ამაო მეტყველებასა და უაზრო სიცრუეზე ამგვარი დაკვირვებებით განსწავლულთ და გაოცებულთ გადააქვთ ის სულის მარტივსა და წრფელ სწავლებაზე დასამდაბლებლად ღმრთის სიტყვისა და უარსაყოფად სულისა წმიდისა. არ შეეშინდათ იმისა, რომ გამოთქმა, რომელიც გარეშე მწერლებთან უსულო იარაღებისა, ან ქვეშევრდომისა და, საერთოდ, მდაბალი მსახურის მიმართ გამოიყენება, ვგულისხმობ გამოთქმას ***მის მიერ*** (διὰ οὗ), ყოველთა მეუფეზე გადაეტანათ და ქრისტიანებს არ შერცხვათ, რომ ქმნილებათა შემოქმედს მიუსადაგეს გამოთქმა, რომლითაც ხერხს ან ჩაქუჩს აღნიშნავენ.

თავი IV

იმის შესახებ, რომ წმინდა წერილში ამ მარცვალთა გამოყენება მკაცრად არაა დაცული.

6. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს გამოთქმები ჭეშმარიტების სიტყვის მიერ ხშირად არის გამოყენებული; თუმცა ვამტკიცებთ, რომ თავისუფლება სულისა ოდნავადაც არ ემონება გარეშე [სწავლათა] შეზღუდულობას(ἀκριβολογία), არამედ გამოთქმებს, ყოველი ახალი შემთხვევისას, საკუთარი საჭიროებისდა მიხედვით ცვლის. რადგან გამოთქმა **მისგან**(ἐξ οὗ) უცილობლად ნივთიერებას როდი აღნიშნავს, როგორც ამას ისინი ფიქრობენ. ჩვეულებრივ, წმიდა წერილი ამ გამოთქმას უმაღლესი მიზეზის მიმართ იყენებს, როგორც, მაგალითად, **ერთ არს ღმერთი... რომლისაგან არს ყოველი**(Iკორ.8,6); და კვლავ: **ყოველივე ღმრთისაგან** (ἐκ τοῦ θεοῦ) **არს**(Iკორ.XI,12); მაგრამ სიტყვა ჭეშმარიტებისა ამ გამოთქმას ხშირად მატერიის მიმართაც იყენებს, მაგალითად, როცა ამბობს: **იქმენ კიდობანი ხისაგან ულპოლველისა**(შესქ.6,14) და: **ჰქმნე სასანთლჱ ოქროჲსაგან წმიდისა**(XXV,31), **პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ**(Iკორ.XV,47) და: **თიჯისაგან შექმნილ ვართ მეცა და შენცა**(იობ.XXXIII,6).

მაგრამ მათ, ვითარცა ვთქვით, ბუნების სხვაობის წარმოსადგენად, ეს გამოთქმა მხოლოდ მამასთან მიმართებაში დააკანონეს. მართალია, განხილვის მეთოდი გარეშეთაგან გადმოიღეს, თუმცა მათ ყველაფერში ზუსტად არ დაემორჩილნენ(ეს გამოთქმა მათთან მხოლოდ მამას შეეფერება), ძეს თავიანთი სჯულდებით იარაღის სახელი მიაკუთვნეს, ხოლო სულს – ადგილისა, რადგან ამბობენ: **სულით(სულში)** და ამბობენ: **ძის მიერ**. ღმერთს კი შეუთავსეს გამოთქმა **მისგან,** და, როგორც თვითონ ამტკიცებენ, ამ შემთხვევაში არა სხვების, არამედ მოციქულთა მიმდევარნი არიან, რომელნიც ამ გამოთქ-

[6] დრო და ადგილი.

მას ასე იყენებენ, რადგანაც ნათქვამია: **მისგან ხართ თქუენ ქრისტე იესუჲს მიერ**(Iკორ.1,30) და **ყოველი ღმრთისაგან არს.**

და რა დასკვნა გამოდის ამგვარი მსჯელობისაგან? სხვა არის ბუნება მიზეზისა და სხვა – იარაღისა და სხვა – ადგილისა.[7] ამგვარად, ბუნების მიხედვით ძე უცხოა მამისა, ვითარცა იარაღი – ხელოვნისათვის. უცხოა სულიც, რამდენადაც ადგილი და დრო გამოყოფილია იარაღის ბუნებისაგანაც და იმისგანაც, ვინც მათით მოქმედებს.

თავი V

იმის შესახებ, რომ მამასთან მიმართებითაც ითქმის მის მიერ (δι᾽ οὗ), ხოლო მისგან (ἐξ οὗ) ძისა და სულიწმიდის მიმართაც.

7. ასეთია მათი მსჯელობანი. ხოლო ჩვენ ზემოთ ნათქვამს დავამტკიცებთ: არ არის სიმართლე, თითქოს მამამ გამოთქმა **მისგან** თავისთვის გადადო, ხოლო ძეს მისცა გამოთქმა **მის მიერ** და კიდევ: რომ თითქოს ძე, მათი სჯულდებით, არ იღებს სულიწმიდის თანამონაწილეობას გამოთქმებში – ***მისგან*** და ***მის მიერ,*** როგორც ეს მათ წილის ახალი დაყოფით განსაზღვრეს.

ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი... და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი(Iკორ.8,6). ეს სიტყვები არ არის სჯულმდებელისა, არამედ იმისა, ვინც ჰიპოსტასებს გულმოდგინედ ჰყოფს. მოციქულმა ისინი ბუნების სხვადასხვაობის შესახებ აზრის შემოსატანად კი არ წარმოთქვა, არამედ იმისთვის, რომ გაგება მამისა და ძისა შეურწყმელად წარმოედგინა. ის, რომ ეს სიტყვები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან და ბუნებებს, რომელთაც ეკუთვნიან, ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, მსგავსად ბრძოლაში პირისპირ მდგომთა, ერთმანეთს არ უპირისპირებენ, შემდეგიდანაც ჩანს. ნეტარმა პავლემ ორივე გამოთქმა ერთსა და იმავე ქვემდებარესთან შეაერთა, როცა თქვა: **რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი**(რომ.XI,36). ცხადია, რომ ეს უფალს ეკუთვნის და ამას იტყვის ყველა, ვინც ამ ნათქვამის განზრახვას რამდენადმე მაინც სწვდება. რადგან მოციქულმა წინ წამოსწია რა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: **ვინ ცნა გონებაჲ უფლისა, ანუ ვინ თანამზრახვალ მისსა იქმნა?**(ეს.40,13), დაამატა: **რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი.** წინასწარმეტყველმა ეს სიტყვა ღმერთზე, ყოველი ქმნილების დამბადებელზე თქვა, რისი შეცნობაც წინა სიტყვებიდანაც შეიძლება: **ვინ აღწყო ხელითა წყალი და ცაჲ მტკავლითა და ყოველი ქუეყანა მჯილითა? ვინ აწონნა მთანი სასწორითა და ბორცუნი უღლითა? ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახვალ მისსა იქმნა?**(ეს.40,12-13). რადგან აქ სიტყვა **ვინ**(τίς) არა სავსებით მიუწვდომელობას აღნიშნავს, არამედ იმას, რაც იშვიათია,

[7] იგულისხმება იესო ქრისტე და სულიწმიდა.

როგორც ამ შემთხვევაში: **ვინ წარმომიდგეს მე უკეთურთაგანი?**(ფს.93,16) და: **ვინ არს კაცი, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ?**(ფს.33,12) და: **ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა?**(ფს.23,3), აქაც ასეა ნათქვამი: ვინ შეიცნო გონებაჲ უფლისა და ვინ არის თანამზრახველი მისი ბჭობისა? **რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს მას**(ინ.5,20). მას უპყრია დედამიწა და უჭირავს იგი. ის არის, ვინც ყოველივე მოაწესრიგა და კეთილმოაწყო. ვინც მთები განათანასწორა, წყლებს საზღვრები მისცა და ყოველივეს სამყაროს შინა საკუთარი წესი და რიგი დაუდგინა. ვინც მთელ ზეცას მისი ძალის მხოლოდ მცირე ნაწილით მოიცავს, რასაც წინასწარმეტყველურმა სიტყვამ სახისმეტყველებით მტკაველი უწოდა. ამიტომაც დაამატა მოციქულმა: **მისგან და მის მიერ და მისა მიმართ ყოველი.** რამეთუ ნებით ღმრთისა და მამისა, **მისგან** არის მიზეზი არსებულთა. ყველა არსება მის მიერ არის დამტკიცებული და შედგენილი. რამდენადაც ქმნილებათაგან ყოველს არსებობისათვის საჭიროს ყოველთა შემოქმედი აძლევს, ამიტომაც ყოველივე მისკენ რაღაც დაუოკებელი სურვილითა და გამოუთქმელი სიყვარულით მიიქცევა, ისწრაფვის რა ცხოვრების წინამძღოლისა და საზრდელის მომცემისკენ, როგორც დაწერილია: **თუალნი ყოველთანი შენდამი ესვენ**(ფს.144,15), და კიდევ: **ყოველნივე შენგან ელიან...**(ფს.103,27), **აღაღებ შენ ჴელსა შენსა და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ**(ფს.144,10).

8. უკეთუ ისინი ჩვენს ამგვარ განმარტებას შეეწინააღმდეგებიან, იხსნის კი მათ საწინააღმდეგო მსჯელობა საკუთარ თავთან ცხადი დაპირისპირებისაგან? რადგან თუ არ აღიარებენ, რომ სამივე გამოთქმა: **მისგან, მის მიერ და მის მიმართ** უფალზეა ნათქვამი, მაშინ ისინი უცილობლად ღმერთსა და მამას უნდა მიაკუთვნონ, რის შედეგადაც ნათელია, რომ მათი დაკვირვება აზრს კარგავს, რადგან გამოდის, რომ მამასთან მიმართებაში არა მხოლოდ **მისგან,** არამედ **მის მიერაც** გამოიყენება. უკეთუ ამ გამოთქმათაგან ბოლო არავითარ დამამცირებელზე არ მიუთითებს, რატომ მიაკუთვნებენ, ვითარცა რაღაც დამამდაბლებელს, ძეს? ხოლო თუკი იგი მხოლოდ მსახურების გამომხატველია, მაშინ გვიპასუხონ: ღმერთი დიდებისა და მამა ქრისტესი, რომელი მთავრის მსახურია? ამგვარად, ისინი თავიანთ თავს თვითონვე ამხობენ, ჩვენი სიმტკიცე კი ორივე მხრიდან დაცულია, რადგან თუ გაიმარჯვებს აზრი, რომ სიტყვა ეხება იესო ქრისტეს, გამოდგება, რომ გამოთქმა **მისგან** შეესაბამება ძეს, ხოლო თუ ვინმე წინასწარმეტყველის ამ გამოთქმას ჯიუტად მამას მიაკუთვნებს, იმაზეც დათანხმდეს, რომ ღმერთს ეს გამოთქმაც – **მის მიერ** შეეფერება და ორივეს თანაბარი ღირსება ექნება, რადგან ღმრთის მიმართ თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება. ორსავე შემთხვევაში პატივით ერთმანეთის თანაბარი აღმოჩნდება, ვითარცა ერთი და იმავე პირისადმი გამოყენებული; მაგრამ ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ.

9. წერს რა წერილს მოციქული ეფესელებს, ამბობს: **ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელი არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა**

შეახლებითა უხუებისაჲთა შენევნისაებრ საზომისა თჳთოეულისა ასოჲსა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით(ეფ. IV,15-16) და კიდევ: კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში მათ მიმართ, რომელთაც მხოლოდშობილი არ იცოდნენ, ნათქვამია, რომ: **არა შეეკრძალოს თავი**(ე. ი. ქრისტე), **რომლისაგან ყოველი გუამი, სხეულთაგან და ნაწევართა შექმნული და შეერთებული, ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა**(კოლას.II,19); ხოლო ქრისტე რომ თავია ეკლესიისა, ამას ვსწავლობთ მოციქულის სხვა ადგილიდან, სადაც იგი ამბობს: **...და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა**(ეფ.I,22), და: **სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ**(ინ.I,16); და თვით უფალი ამბობს: **ჩემგან**(ἐκ) **მიიღოს და გითხრას თქუენ**(ინ.XVI,14). და საერთოდ, გულმოდგინედ წამკითხველს ამ გამოთქმის **მისგან**(ἐξ οὗ) ბევრნაირი გამოყენება წარმოუჩნდება; რადგან თავად უფალიც ხომ ამბობს: **მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან**(ლუკ.8,46).

მსგავსად ამისა, სულიწმიდის მიმართაც, როგორც გამოვიკვლიეთ, ბევრ ადგილას არის გამოყენებული გამოთქმა **მისგან** (ἐξ οὗ), რადგან ნათქვამია: **რომელმან სთესოს სულისა თჳსსა, სულისაგან თჳსისა მოიმკოს ცხორებაჲ საუკუნოჲ**(გალატ.VI,8), და იოვანეც ამბობს: **ამით უწყით, რამეთუ ჰგიეს ჩუენ თანა სულისა მისგან**(ἐκ), **რომელი მომცა ჩუენ**(Iინ.III,24); და ანგელოზიც ამბობს: **რომელი იგი მისგან იშვეს, სულისაგან**(ἐκ) **წმიდისა არს**(მთ.I,20). და უფალმაც თქვა: **შობილი იგი სულისაგან**(ἐκ) **სული არს**(ინ.III,6). ასეთია ამ გამოთქმის გამოყენება.

10. ახლა ისიც ვაჩვენოთ, რომ გამოთქმა **მის მიერ** (δι᾽ οὗ) წმინდა წერილში ერთნაირადაა გამოყენებული როგორც მამის, ასევე ძისა და სულიწმიდის მიმართაც. ძის შესახებ დამოწმებათა მოყვანა ზედმეტი იქნებოდა, რადგან ეს ცნობილია და მოწინააღმდეგენიც ამასვე ამტკიცებენ. ჩვენ იმას წარმოვაჩენთ, რომ გამოთქმა **მის მიერ**(δι᾽ οὗ) მამაზეც გამოიყენება, ნათქვამია: **სარწმუნო არის ღმერთი, რომლისა მიერ**(δι᾽ οὗ) **იჩინენით ზიარებასა მას ძისა მისისა**(Iკორ.I,9), და: **პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი, ნებითა ღმრთისაჲთა** (διὰ θελήματος Θεοῦ (IIკორ.I,1); და კიდევ: **ამიერითგან არღარა ხართ მონა, არამედ შვილ; ხოლო უკუეთუ შვილ, მკჳდრცა ღმრთისა მიერ**(გალატ.IV,7); და: **ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა**(διὰ τῆς δόξης τοῦ Πατρός)(რომ. VI,4). ესაია ამბობს: **ვაჲ, რომელნი ღრმასა განზრახვასა ჰყოფენ და არა უფლისა მიერ**(ეს.XXIX,15). მრავალი დამოწმების მოტანა შეიძლება იმის შესახებ, რომ ეს გამოთქმა სულიწმიდის მიმართაც გამოიყენება: **ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგჳცხადა სულისა მიერ თჳსისა**(Iკორ.II,10); სხვაგან: **კეთილი იგი ვედრი დაიმარხე სულითა წმიდითა**(διὰ Πνεύματος)(IIტიმ.I,14). და კვლავ: **რომელსამე სულისა მიერ**(διά τοῦ Πνεύματος) **მიცემულ არს სიტყუაჲ სიბრძნისაჲ**(Iკორ.XII,8).

11. იგივე შეიძლება ვთქვათ მარცვალზეც ἐν(-ში/-ით), კერძოდ, ის, რომ წმინდა წერილი მას ღმრთისა და მამისა მიმართაც იყენებს. ძველ აღთქმაში ნათქვამია: **ღმრთისა მიერ ვყოთ ძალი** (Ἐν τῷ Θεῷ ποιήσωμεν δύναμιν)(ფს.107,13); და: Ἐν σοὶ ἡ ὑπομονή μου διαπαντός (ფს.70,6), **შენდამი არს გალობაჲ ჩემი**

მარადის. და კიდევ: **სახელითა შენითა**(Ἐν τῷ ὀνόματί σου) **იხარებდენ**(ფს.88,16); და პავლესთან ნათქვამია: **ღმრთისა თანა, რომელმან ყოველივე დაჰბადა**(Ἐν τῷ θεῷ τῷ τὰ πάντα κτίσαντι)(ეფ.III,9); და: **პავლე და სილოანე და ტიმოთე ეკლესიასა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა**(ἐν θεῷ Πατρί)(Iთეს.I,1); და: **რაჲთა აწ დაღათუ-სამე წარმემართოს ნებითა ღმრთისაჲთა მისლვად თქუენდა**(რომ.I,10 – ἐν θελήματι τοῦ Θεοῦ); და ამბობს: **იქადი, ღმრთით**(Καυχᾶσαι ἐν Θεῷ)(რომ.II,17). ბევრი სხვა ადგილიცაა, რომელთა ჩამოთვლაც ადვილი არაა.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი არა დამოწმებათა სიმრავლის ჩვენებაა, არამედ მწვალებელთა მხილება, რომელთაც მცდარი დაკვირვებანი აქვთ. ამ მარცვლის გამოყენება უფლისა და სულიწმიდის მიმართ [წმინდა წერილში] მიღებულია და რამდენადაც ეს ისედაც ცნობილია, მის მტკიცებას არ შევუდგები. უნდა ითქვას, რომ გონიერი მსმენელისათვის საკმარისია მხილება მწვალებელთა მიერ საპირისპიროთაგან აღებული დებულებებისა. რადგან უკეთუ მათი სწავლების მიხედვით, სხვაობა გამოთქმათა ბუნებათა სხვაობას ამტკიცებს, გამოთქმათა იგივეობამ ახლა მათ არსის განუსხვავებლობა დარცხვენით უნდა აღიარებინოს.

12. არა მხოლოდ ღმრთისმეტყველებაში გამოიყენება ეს სიტყვები სხვადასხვაგვარად, არამედ ხშირად ერთმანეთს მნიშვნელობითაც ენაცვლებიან, როცა ერთი მეორის მნიშვნელობას იღებს. მაგალითად, **მოვიგეთ კაცი ღმრთისა მიერ**(διὰ τοῦ Θεοῦ ἐκ τοῦ Θεοῦ)(დაბ.4,1) – ამბობს ადამი; ნაცვლად იმისა, რომ თქვას **ღმრთისაგან**; და სხვა ადგილას: **და ამცნო მოსე ძეთა ისრაჱლისათა ბრძანებითა უფლისათა**(διὰ τοῦ προστάγματος Κυρίου, რიცხ.XXXVI,5); და კიდევ: **ანუ არა ღმრთისა მიერ არს გამოთქუმაჲ მათი?** (διὰ τοῦ Θεοῦ)(დაბ.XXXX, 8), – ამბობს იოსები, არჩევს რა საპყრობილეში თავის სიზმრებს. ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა **ღმრთისაგან**(ἐκ Θεοῦ), იგი გარკვევით თქვა: **ღმრთისა მიერ**(διὰ τοῦ Θεοῦ); და პირიქით, პავლე იყენებს გამოთქმას **მისგან**(ἐξ οὗ) ნაცვლად გამოთქმისა **მის მიერ** (δι᾽ οὗ), როცა ამბობს: შობილი **დედაკაცისაგან**(გალ. IV,4) (ἐκ γυναικός) ნაცვლად **დედაკაცისა მიერ**(διὰ γυναικὸς). სხვა ადგილას ცხადად გაარჩია ეს, თქვა რა, რომ ქალს **მამაკაცისგან** შეჰფერის შობა, ხოლო კაცს – **დედაკაცისა მიერ**; როგორც ამბობს: **ვითარცა იგი დედაკაცი ქმრისაგან არს, ეგრეცა ქმარი – ცოლისა მიერ**(Iკორ.XI-12). აქ ნაჩვენებია როგორც სხვაობა გამოყენებათა შორის, ასევე გაკვრითაა გასწორებული ცდომილება იმათი, რომელნიც ფიქრობენ, რომ უფლის სხეული სულიერი იყო. დასამტკიცებლად იმისა, რომ ღმერთშემოსილი ხორცი ჩვენნაირივე კაცობრივი თიხისგან შედგება, [მოციქულმა] უფრო გამომსახველობითი გამოთქმა ამჯობინა, რადგანაც გამოთქმით **დედაკაცის მიერ** შობის გარდამავალ გაგებას გამოხატავდა, ხოლო გამოთქმა **დედაკაცისაგან** შობილის მშობლის ბუნებასთან ზიარებას საკმაოდ წარმოაჩენს. ამით ის თავის თავს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ აჩვენებს, რომ ეს გამოთქმები ერთმანეთს ადვილად ენაცვლებიან.

თავი VI

პასუხი მათ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ძე მამის შემდეგაა და არა მამასთან; სადაც საუბარია, აგრეთვე, დიდების თანაბარ პატივზე.

13. რა თქმა უნდა, არ შეიძლება უმეცრება მოიყვანო გასამართლებლად, როცა სიტყვას ასეთი ოსტატობითა და ცბიერებით მიმართავენ. ისინი ჩვენზე აშკარად მრისხანებენ იმის გამო, რომ დიდებისმეტყველებას მამასთან ერთად მხოლოდშობილზეც აღვავლენთ და სულიწმიდასაც ძისაგან არ განვაშორებთ. ამიტომ ახლის შემოქმედთ, სიახლის შემომტანებს, სიტყვათა გამომგონებლებს და კიდევ რომელ გამკიცხავ სახელებს არ გვიწოდებენ.

ლანძღვა-გაკიცხვით არა თუ განაწყენებულნი ვართ, არამედ, პირიქით; რადგანაც ნეტარების მიღწევაში შემეწევიან, ავსიტყვაობისათვის მადლობასაც კი ვეტყოდი, რომ არა ის ზიანი, რომელსაც ისინი თავიანთ თავს აყენებენ და რომელიც მწუხარებასა და განუწყვეტელ ტკივილს განმაცდევინებს. ნათქვამია ხომ: **ნეტარ იყვნეთ... რაჟამს თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს**(მთ.V,11).

მაგრამ აი, ის, რის გამოც შფოთავენ. „ძე, – ამბობენ ისინი, – არა მამასთან, არამედ მამის შემდეგაა. ამიტომ მის მიერ(δι᾽ αὐτοῦ) უნდა აღვუვლინოთ მამას დიდება და არა მასთან ერთად. რადგან გამოთქმა **მასთან ერთად**(μετ᾽ αὐτοῦ) გამოხატავს თანაბარ პატივს, ხოლო გამოთქმა **მის მიერ** მსახურებრივ ქმედებას წარმოადგენს. სულიწმიდა, – ამბობენ ისინი, – არა მამასა და ძესთან უნდა დავაყენოთ, არამედ ძესა და მამაზე დაბლა, როგორც დაქვემდებარებული და არა მათი თანასწორი, ვითარცა არა თანა, არამედ ქვემოთ შერაცხილი“. და სიტყვათა ამგვარი ოსტატურად გამოყენებით რწმენის უბრალოებასა და ბუნებრიობას ამახინჯებენ. ამიტომ, განა შეუძლიათ გამოუცდელობით იმართლონ თავი ადამიანებმა, რომელნიც თავიანთი გამოძიებით სხვებსაც კი არ აძლევენ ნებას, რომ გამოუცდელნი დარჩნენ?

14. ხოლო ჩვენ უწინარესად მათ ამას ვკითხავთ: ძეს მამის შემდეგ როგორ მოიაზრებენ: ვითარცა დროის მიხედვით უფრო ახალგაზრდას, თუ რიგისა და ღირსების მიხედვით? მაგრამ ისეთი უგუნური ვინ იქნება, რომ საუკუნეთა შემოქმედს, დროის მიხედვით, მეორე უწოდოს, როცა მამისა და ძის ბუნებრივ ერთობაში არავითარი შუალედური დაშორება არ არსებობს. კაცობრივი გაგებითაც შეუფერებელია მტკიცება იმისა, რომ ძე მამაზე ახალგაზრდაა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გონებით ერთმანეთთან ურთიერთობაში მოიაზრება, არამედ იმიტომაც, რომ დროში მეორენი იმათ ეწოდებათ, რომელნიც აწმყოს მცირედ არიან დაშორებულნი, ხოლო პირველნი იმათ, რომელნიც აწმყოსაგან კიდევ უფრო შორს არიან. მაგალითად, რამდენადაც აწმყოსაგან უფრო დაშორებულია ის, რაც ნოეს გარდახდა, უძველესია სოდომელთა ამბავზე, რომელიც

შედარებით გვიანდელია, რადგანაც უფრო ახლოს ჩანს ახლანდელ დროსთან.

მაგრამ განა გაზომვა ყველა დროსა და ყველა საუკუნეზე აღმატებული ცხოვრების ყოფიერებისა, აწმყოსთან დაშორების მიხედვით, არა მხოლოდ უსჯულოება, არამედ უკიდურესი უგნურებაც არ იქნებოდა, თუკი წარმოვიდგენთ, რომ რა სახითაც დაბადებულებსა და ხრწნადებზე ლაპარაკობენ, სახელდობრ, რომ ერთი მეორეზე უწინდელია, იმავე სახით ღმერთსა და მამას, უწინარეს საუკუნეთა არსებულ ძესა და ღმერთს შევუპირისპირებდით და მასზე აღვამაღლებდით? მაგრამ დროში უფროსობის მიხედვით, ასეთი უპირატესობა მამისა, უმეცრებაა, რადგან საერთოდ არც ფიქრი, არც არანაირი გაგება არ აღემატება შობას უფლისა მას შემდეგ, რაც იოანემ ორი სიტყვით შემოწერილ საზღვრებში მოათავსა აზრი, როცა თქვა: **პირველითგან იყო სიტყუაჲ**(ინ.1,1); სიტყვა **იყო**(ἦν) ხომ გამოსავალს არ იძლევა ფიქრებისათვის და მიუწვდომელი დასაბამია წარმოსახვებისათვის. რამდენადაც არ უნდა ჩაუღრმავდე ფიქრით მასზე წინანდელს, „იყოს“-ს საზღვრებიდან ვერ გახვალ; და რაც არ უნდა ეცადო, ძეზე უწინდელი იხილო, შობაზე უწინარესის ხილვას ვერ შეძლებ. ამისდა მიხედვით, ძის მამასთან ერთად მოაზრება ღმრთისმოსაობაა.

15. თუკი ისინი მამასთან შედარებით ძის დამდაბლებას ადგილის მიხედვით წარმოადგენენ, ისე რომ, მამა უფრო მაღლა ზის, ხოლო ძე რიგით უფრო დაბალ ადგილს იკავებს, მაშინ აღიარონ ეს და ჩვენც გავჩუმდებით, რადგან მათი უგუნურება თავისთავად ცხადი გახდება. მსჯელობისას თანმიმდევრულობას სწორედ ისინი არ იცავენ, რომელნიც მამის ყველგან მყოფობას არ აღიარებენ, მაშინ, როცა ჯანსაღ გონებას სწამს, რომ ღმერთი ყოველივეს აღავსებს. არც წინასწარმეტყველის ნათქვამი: **აღ-თუ-ვჴდე ცად, შენ მუნ ხარ; შთა-თუ-ვჴდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ**(ფს.138,8) ახსოვთ მათ, რომელნიც მამასა და ძეს მაღალი და დაბალი ადგილების მიხედვით განარჩევენ. ხოლო მათი უმეცრების სამხილებლად, რომელნიც უსხეულოთა ადგილს განსაზღვრავენ, დავდუმდები. მათ ურცხვობას, რომლითაც წმინდა წერილს ებრძვიან და უპირისპირდებიან, რამდენადმე მაინც ჩააწყნარებს ნათქვამი: **დაჯედ მარჯუენით ჩემსა**(ფს.109,1) და: **დაჯდა იგი მარჯუენით სიმდიდრესა მისსა**(ღმრთისა)(ებრ.1,3); მარჯვენა დაბალ ადგილს კი არ ნიშნავს, როგორც მათ ეს სიტყვა ესმით, არამედ თანასწორ დამოკიდებულებას. გაგება მარჯვენისა აქ არა სხეულებრივია(რადგან მაშინ ღმერთს მარცხენაც ექნებოდა); პირიქით, წმიდა წერილი დასაჯდომელისადმი საპატიო სახელის მიცემით ძისადმი დიდი პატივისცემას გამოხატავს.

ამრიგად, იმის თქმაღა რჩებათ, რომ ამ სიტყვით ღირსების დაბალი დონე აღინიშნება. მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ქრისტე **ძალ ღმრთისა არს და ღმრთისა სიბრძნე**(Iკორ.I,24), და რომ **იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ**(კოლ.I,15), და **ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ**(ებრ.I,13), რომ იგი აღბეჭდა მამა ღმერთმა და მასში თავისი თავი მთლიანად გამოსახა. ამრიგად, ნუთუ ის უნდა ვთქვათ, რომ ეს და სხვა ამათი მსგავსი დამოწმებანი, რომელნიც კი მთელს წმინდა წერილში გვხ-

ვდება, დამამდაბლებელია, თუ ისინი, ვითარცა რამდენადმე საჯარო განცხადებები, ისე უნდა შევიწყნაროთ, რომელნიც მხოლოდშობილის დიდებულებასა და მისი მამის თანასწორი დიდების შესახებ გვაუწყებენ? დაე, მოისმინონ, თავად უფალი როგორ ნათლად გამოხატავს მამის დიდებასთან თანაბრად პატივმისაგებ თავის დიდებას, როცა ამბობს: **რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**(ინ.I,9), და კიდევ: **რაჟამს მოვიდეს [ძე] დიდებითა მამისა**(მრკ.VIII,38), და: **რაჲთა [ყოველნი] პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა იგი პატივ-სცემენ მამასა**(ინ.V,23); და: **ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდ-შობილისაჲ მამისა მიერ**(ინ.I,14) და: **მხოლოდშობილი ღმერთი, რომელ იყო წიალთა მამისათა**(ინ.I,18). არ უწევენ რა არავითარ ანგარიშს ყოველივე ამას, ისინი ძეს **მტრებისთვის** განსაზღვრულ ადგილს მიუჩენენ, რადგან შესაფერისი სამყოფელი ძისათვის მამისეული წიაღია, ხოლო ადგილი მის ფერხთა ქვეშ იმის შესაფერისია, ვისი დამდაბლებაც უნდათ.

ამ დამოწმებებს ჩვენ გაკვრით შევეხეთ, რადგან სხვა მისწრაფება გვაქვს. შენ კი, თუკი მოცალეობის ჟამს მტკიცებულებებს შეკრებ, მხოლოდშობილის დიდების სიმაღლესა და ძალის აღმატებულებას თავადვე იხილავ. თუმცა არც აქ მოტანილი დამოწმებანია კეთილგონიერი მსმენელისათვის ცოტა, თუკი სიტყვებს – **მარჯვენა** და **წიაღი** ხორციელად და მდაბიურად არ გაიგებს, ღმერთს ადგილით არ შემოწერს, და მისთვის ხორციელ ფორმას, სახესა და მდგომარეობას არ გამოიგონებს, რაც, გარდა იმისა, რომ ასეთი გაგება ერთნაირად მდაბალია მამისთვისაც და ძისთვისაც, ფრიად შეუთავსებელია მარტივის, განუსაზღვრელისა და უხორცოს გაგებასთან. ასე რომ, ვინც ასე მსჯელობს, ძეს არა მხოლოდ ღირსებას ართმევს, არამედ სასჯელსაც იღებს ღმერთზე მკრეხელობისათვის, რადგან რისი თქმაც ძის შესახებ გაბედა, ის უცილობლად გადადის მამაზეც. ვინც მამას დასაჯდომელად მაღალ ადგილს აძლევს, ხოლო მხოლოდშობილ ძეზე ამბობს, რომ ის შედარებით დაბლა ზის, შედეგად ამისა, მისი წარმოსახვის ნაყოფს ყველა სხეულებრივი თვისებაც ექნება. თუკი ასეთი წარმოსახვები იმათ ახასიათებთ, რომელთაც ღვინით დაბინდული და სიგიჟისაგან აშლილი გონება აქვთ, განა ღმრთისმოსაობა იქნება, რომ მამასთან ბუნებით, დიდებითა და ღირსებით შეერთებულს, თაყვანი მამასთან ერთად არ სცენ და არ ადიდონ მათ, რომელთაც მისგან ისწავლეს: **რომელმან არა პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა**(ინ.V,23).

და რას ვიტყვით? თავს როგორ გავიმართლებთ საშინელსა და ყველა ქმნილებისათვის საერთო სამსჯავროზე, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც უფალმა ნათლად გვაუწყა, რომ მოვა **დიდებითა მამისა**(მთ.XV, 27), სტეფანემ იხილა **იესუ მდგომარე მარჯუენით ღმრთისა**(საქმ.VII,55); პავლემაც სულიწმიდით დაამოწმა იესოს შესახებ, რომ **არს მარჯუენით ღმრთისა**(რომ.VIII,34), თავად მამამაც უთხრა: **დაჯედ მარჯუენით ჩემსა**(ფს.109, 1) და სულიწმიდაც ამოწმებს, რომ **დაჯდა მარჯუენით დიდებისათა ღმრთისა**(ებრ.VIII,1), რომ თანადროული და პატივით სწორი(მამისა) თანასწორი მდგომარეობიდან დაბალ საფეხურზე ჩამოვაქვეითეთ?

ვფიქრობ, რომ დგომითაც და ჯდომითაც ბუნების სიმტკიცე და სრულყოფილი მდგომარეობა წარმოჩნდება; და ბარუქმაც, აჩვენა რა უძრაობა და უცვალებელობა ღმრთის ყოფიერებისა, თქვა: **შენ მჯდომარე ხარ საუკუნოდ, და ჩუენ წარწყმედილნი საუკუნოდ**(ბარუქ. III,3); თუ მარჯვენა ადგილით თანაბარი პატივი ღირსებისა აღინიშნება, მაშინ განა კადნიერება არაა ძეს დიდებისმეტყველების თანაზიარობა მოაკლო, თითქოს იგი პატივით დაბალ საფეხურზე დგომის ღირსი იყოს!?

თავი VII

იმათ პასუხად, რომელნიც ამბობენ, რომ ძეს არა გამოთქმა მასთან(μεθ᾽ οὗ), არამედ მისით მის მიერ(δι᾽ οὗ) შეეფერებაო.

16. გამოთქმა **მასთან,** ამბობენ ისინი, სრულიად უცხოა და უჩვეულო; ხოლო **მის მიერ** წმიდა წერილის ენისათვის დამახასიათებელია და ძმობასა შინა ჩვეულებრივად გამოყენებული.

რას ვეტყვით ჩვენ მათ ამის თაობაზე? რომ ნეტარნი არიან სასმენელნი, რომელთაც თქვენთვის არ მოუსმენიათ, და გულნი, რომელნიც თქვენი სიტყვებისგან დაწყლულებას გადაურჩნენ. თქვენ კი ქრისტესმოყვარენო, გეტყვით, რომ ეკლესიამ ორივეს გამოყენება იცის და ამ ორიდან უარს არცერთზე არ ამბობს, ვითარცა მეორისაგან განადგურებულზე; რადგან, როცა ჩვენ მხოლოდშობილის ბუნების სიდიადესა და ამაღლებულ ღირსებას ვჭვრეტთ, ვამოწმებთ, რომ მას დიდება მამისა თანა აქვს. ხოლო როცა წარმოვიდგენთ, რომ ჩვენთვის კეთილთა მომნიჭებელია, ღმერთთან მივყავართ და მისიანებად გვხდის, მაშინ ვაღიარებთ, რომ მადლი ესე **მის მიერ და მისით**(δι᾽ αὐτοῦ καὶ ἐν αὐτῷ) აღესრულება. ამგვარად დიდებისმეტყველთათვის დამახასიათებელია გამოთქმა **მასთან**(μεθ᾽ οὗ), ხოლო გამოთქმას **მის მიერ**(δι᾽ οὗ) მადლობელნი ირჩევენ.

ისიც სიცრუეა, რომ გამოთქმას **მასთან** კეთილკრძალულნი არ იყენებდნენ, რადგან, სოფლად და ქალაქად, ისინი, რომელნიც მტკიცედ იდგნენ ტრადიციებზე, სიახლეებს პატივსაცემ ძველს ამჯობინებდნენ და მამათა გადმოცემები შეურყვნელად შემოინახეს, ამ გამოთქმას იყენებენ; ხოლო ისინი, რომელთაც ჩვეულებრივი მოიყირჭეს და ძველის, ვითარცა გუშინდელის, წინააღმდეგ აღდგნენ, ახლადშემოღებულ წესებს ჩაეჭიდნენ, მსგავსად მორთვა-მოკაზმვის მოყვარეთა, რომელნიც ჩვეულებრივ სამოსს ახალი ყაიდისას ამჯობინებენ. სოფლის მცხოვრებლებთან დღემდე იპოვით ძველთაგანვე გამოყენებულ სიტყვას, ხოლო სიტყვიერ ბრძოლებში გაწაფულებმა სიტყვებს ახალი სიბრძნის დაღი დაასვეს. ამგვარად, ვითარცა მამანი ჩვენნი, ჩვენც ვამბობთ, რომ მამასა და ძეს საერთო დიდება აქვთ და ამიტომ დიდებისმეტყველებას ძესთან ერთად მამასაც აღვუვლენთ.

მაგრამ ჩვენ ის კი არ გვაკმაყოფილებს, რომ ასეთია გადმოცემა მამათა, რადგან იმ დამოწმებათა საფუძველზე, რომელნიც ცოტა ხნის წინ თქვენ წმიდა წერილიდან მოგიყვანეთ, ისინიც წმიდა წერილის განზრახვის მიმდევარნი იყვნენ. რამდენადაც ბრწყინვალება დიდებასთან ერთად მოიაზრება და ხატი პირველსახესთან ერთად, ძეც უცილობლად მამასთან ერთად უნდა მოვიაზროთ. არც თანმიმდევრობა სახელებისა და არც ბუნების საქმეთაგან რომელიმე, მათ გაყოფას არ იწყნარებს.

თავი VIII

რა შემთხვევაში გამოიყენება მî ოὗ(მის მიერ) და რა გაგებით არის იგი უფრო შესაფერისი, ვიდრე გამოთქმა – მასთან; აგრეთვე, განმარტება იმისა, როგორ იღებს ძე მცნებას და როგორ წარმოიგზავნება იგი.

17. როცა მოციქული ჰმადლობს **ღმერთსა ქრისტე იესუჲს მიერ**(რომ.I,8), და ასევე ამბობს, რომ მის მიერ მიიღო **მადლი და მოციქულებაჲ დასამორჩილებლად სარწმუნოებისა ყოველთა წარმართთა**(რომ.I,5) და მის მიერ ვართ მიმთხვეულნი **მადლსა ამას, რომლითაცა ვდგათ და ვიქადით**(რომ.I,2), იგი ძის მიერ ჩვენთვის მონიჭებულ მრავალ წყალობას გამოხატავს, რადგანაც ქრისტე ან თვითონ წარმომართავს ჩვენკენ მამის სიკეთეთა მადლს, ან კიდევ მამასთან მის მიერ მივყავართ. რადგან, ნათქვამი: მისგან მივიღეთ **მადლი და მოციქულებაჲ**(რომ.I,5), სიკეთეთა მისგან ბოძებას წარმოაჩენს, ხოლო სიტყვები **მის მიერ(რომლისაგანცა) მოუჴედით მადლსა ამას,** ღმრთისაგან ჩვენს მიღებასა და შეთვისებას წარმოაჩენს, ქრისტეს მიერ აღსრულებულს.

ამიტომ აღიარება მადლისა, რომელიც ჩვენ მიმართ მის მიერ აღესრულა, ნუთუ მოკლებაა დიდებისა? თუ უფრო სამართლიანი იმის თქმა იქნებოდა, რომ ქველმოქმედებათა შესახებ გადმოცემა შესაფერისი საგანია დიდებისმეტყველებისა? ამიტომაც ვხედავთ, რომ წმიდა წერილი გვესაუბრება რა ჩვენ, ერთ სახელს როდი აძლევს უფალს, და არც მხოლოდ იმ სახელებს, რომელთა მიერაც მხოლოდ მისი ღმრთეებრიობა და სიდიადე ცხადდება, არამედ ზოგჯერ ბუნების მახასიათებელი ნიშნების წარმომჩენ სახელებსაც იყენებს, რადგან იცის **სახელი უზეშთაესი უფროჲს ყოველთა სახელთაჲსა**(ფილიპ.2,9) ძისა და მას ჭეშმარიტ ძეს(Iიო.V,20), მხოლოდშობილ ღმერთს(იო.I,18), ძალას ღმრთისას, სიბრძნესა(Iკორ.I,24) და სიტყვას(იო.I,1) უწოდებს. და კიდევ: გამომდინარე ჩვენთვის ბოძებული მადლისმიერი მრავალფეროვანი ნიჭიდან, რომელიც სიკეთეთა სიუხვიდან, თანახმად მისი მრავალფეროვანი სიბრძნისა, მთხოვნელებს ენიჭება, წმიდა წერილი მას მრავალი სხვა სახელით აღნიშნავს: ხან მწყემსს უწოდებს, ხან მეფეს, ხან კიდევ მკურნალს; მასვე უწოდებს სიძეს, გზას, კარს, წყაროს, პურს, ცულსა და კლდეს. ეს სახელები ხომ არა ბუნებას, არამედ

როგორც ვთქვი, მოქმედებათა მრავალფეროვნებას გამოხატავენ, რომელთაც, საკუთარი ქმნილებებისადმი გულმოწყალებისა გამო, იმისდა მიხედვით, ვის რა სჭირდება, მთხოვნელთა წინაშე გამოავლენს. მათ, რომელნიც მისი მზრუნველობისაკენ ილტვიან და უდრტვინველი მორჩილებით გულუხვობაში წარემატებიან, ცხვრის ფარას უწოდებს, ხოლო თავის თავს იმგვარ ცხოვართა მწყემსად აღიარებს, რომელნიც მის ხმას უსმენენ და უცხო სწავლებებს არ იწყნარებენ. ამბობს კიდეც: **ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინიან**(ინ.X,27). ხოლო მეფედ იწოდება იმათთვის, რომელნიც უკვე ამაღლდნენ და სამართლიან მართვას საჭიროებენ; კარად იმიტომ იწოდება, რომ ჭეშმარიტი მცნებებით დიდებული საქმეებისაკენ მიჰყავს და კიდევ: უფრო უსაფრთხოდ მიუძღვის ეზოში მისკენ რწმენით მილტოლვილთ ცოდნის სიკეთისათვის. ამიტომაც ამბობს: **ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს**(ინ.X,9); ქვად კი – ვითარცა მძლავრსა და ურყევ, ყველა სიმაგრეზე უფრო გაუტეხელ დამცველს მორწმუნეთათვის.

იმ შემთხვევაში, როცა კარად და გზად იწოდება, როგორც ყველაზე შესაფერისსა და სწორს, გამოთქმას **მის მიერ** იყენებენ. თუმცა ვითარცა ღმერთსა და ძეს, მამისა თანა და მამასთან აქვს დიდება, რამეთუ **სახელისა მიმართ იესუ ქრისტესისა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი, და ყოველმან ენამან აღუაროს, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღმრთისა მამისა**(ფილიპ.II,10-11). ამიტომ ორივე გამოთქმას ვიყენებთ, ერთით მის საკუთარ ღირსებას ვაცხადებთ, ხოლო მეორეთი ჩვენთვის მონიჭებულ მადლს.

18. მის მიერ ეძლევა ხომ ყოველი შემწეობა სულთა, და მზრუნველობის ყოველი სახისათვის რაღაც განმასხვავებელი სახელწოდებაა მოფიქრებული. როცა ის უბიწო სულს, რომელსაც არა აქვს ლაქა და ბიწი, ვითარცა უმანკო ქალწულს, **თავსა თვისსა** წარუდგენს(ეფ.V,27), მაშინ სიძედ იწოდება.

რაჟამს ის ეშმაკის სასტიკი დარტყმებისაგან დაწყლულებულ სულს იწყნარებს და მძიმე ცოდვათა სნეულებათაგან კურნავს, მკურნალი ეწოდება. ნუთუ ამგვარი მზრუნველობანი ზრახვებს ჩვენსას დამდაბლებისკენ წარიყვანს? თუ პირიქით, გაოცებას გამოიწვევს დიდითა ძალმოსილებითა და მასთან ერთად კაცთმოყვარეობითაც მხსნელისა, რომელმაც ჩვენთა უძლურებათა თანაგანცდა ინება და ჩვენს უძლურებამდე დამდაბლდა?

რადგან აღმატებულობას ძალმოსილებისა არა იმდენად ზეცა, დედამიწა, ზღვათა სივრცე, წყალთა შინა და ხმელეთსა ზედა მცხოვრები ცხოველები, მცენარენი, ვარსკვლავები, ჰაერი, წელიწადის დრონი და სამყაროს სამკაულთა მრავალფეროვნება ამტკიცებს, რამდენადაც ის, რომ დაუტევნელმა ღმერთმა, ხორცშესხმულმა სიკვდილთან უვნებელად შებრძოლება შეიძლო, რათა საკუთარი ვნებით ჩვენთვის უვნებლობა მოენიჭებინა. ხოლო უკეთუ მოციქული ამბობს, რომ **ამას ყოველსა ზედა-ვსძლევთ ჩვენ მის მიერ, რომელმანცა-იგი**

შემიყუარა ჩუენ(რომ.VIII,37), ამგვარი გამონათქვამით არა რაღაც მსახურებრივ სიმდაბლეზე მიუთითებს, არამედ ძალმოსილების ხელმწიფებით გაწეულ შემწეობაზე. რამეთუ მან **შეკრა ძლიერი იგი**(მთ.XII,29) და ჭურჭელი მისი, ანუ ჩვენ, რომელთაც ძლიერი ყოველგვარი უკეთური ქმედებისათვის გვიყენებდა, გამოგვიტაცა და გვქმნა კეთილსახმარ ჭურჭლად **უფლისა, ყოვლისავეთჳს საქმისა კეთილისა,** რომელიც კი ხელგვეწიფება, **განმზადებულ**(2ტიმ.II,21). ამგვარად მის მიერ მიყვანილნი(რომ.V,2) მამასთან **ჴელმწიფებისა მისგან ბნელისა მიმცვალნა ჩუენ... ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა ნათელსა შინა**(კოლ.I,13,12).

ამრიგად, განგებულება, რომელიც ძის მიერ საკუთარი ქმნილებისადმი სიკეთითა და თანალმობით და ნებითა ღმრთისა და მამისათა იქნა აღსრულებული, არა მონური სიმდაბლისაგან მომდინარე იძულებულ მსახურებად, არამედ ნებაყოფლობით მზრუნველობად უნდა მოვიაზროთ. ამგვარად თაყვანს ვცემთ ყოველივეს, ძის მიერ აღსრულებულს და მის სრულ ძალმოსილებას დავამოწმებთ და არანაირად არ გამოვაცალკევებთ მას ნებისაგან მამისა.

ასევე, როცა უფალი გზად იწოდება, იმას კი არ ვიწყნარებთ, რაც პირველად წარმოგვიდგება, არამედ უფრო მაღალ გაგებამდე აღვიწევით. რადგან როცა **გზა** გვესმის, სრულყოფაში სიმართლის საქმეებითა და გონების განათლებით მიღწეულ წარმატებას მოვიაზრებთ, მუდმივად წინ მივისწრაფვით და იმის მიწვდომას ვცდილობთ, რაც ჯერ კიდევ გვაკლია, ვიდრე ნეტარ დასასრულს – ღმრთის შეცნობას არ მივაღწევთ, რომელსაც უფალი მისთა მორწმუნეთა ანიჭებს. უფალი ჩვენი მართლაც არის გზა კეთილი, განუხრელი და უცდომელი, რომელსაც ჭეშმარიტ სიკეთემდე – მამამდე მივყევართ, რამეთუ ამბობს: **არავინ მივიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ**(ინ.XIV,6). ასეთია ჩვენი აღსვლა ღმერთთან ძისა მიერ.

19. შემდგომად ამისა, ახლა ისიც უნდა ითქვას, როგორ გვეძლევა სიკეთენი ძის მიერ მამისაგანაც. რამდენადაც ყოველი შექმნილი ბუნება, ხილული თუ გონებით წარმოსადგენი, არსებობისათვის ღმრთისაგან მზრუნველობას ითხოვს, შემოქმედი სიტყვა, მხოლოდშობილი ღმერთი შემწეობას თითოეულს მისი საჭიროებისამებრ უწევს და აუცილებელ მოთხოვნათა მიხედვით, დახმარებას უზრდის, რომელიც, რამდენადაც მრავალრიცხოვანი და მრავალგვარია წყალობათა მრავალი სახის გამო, იმდენად თანაზომიერია თითოეულისათვის: უმეცრების ბნელსა შინა მყოფთა იგი განანათლებს, ამიტომაც არის **ნათელი ჭეშმარიტი;** განსჯის და ღირსეულ მისაგებელს საქმეთა ღირსების მიხედვით ადგენს, ამიტომაც სამართლიანი მსაჯულიც არის. **არცალა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა**(ინ.V,22). დაცემისაგან აღადგენს მათ, რომელნიც ცხოვრების სიმაღლიდან ცოდვასა შინა ჩაცვივდნენ. ამიტომაც არის აღდგომა(ინ.XI,25). ყოველივე ამას შეხებით ძალისა და კეთილი ზრახვით აღასრულებს. მწყემსავს, განანათლებს, ასაზრდოებს, წინამძღოლობს, კურნავს,

აღადგენს, არარსებულთ არსებულად ხდის, ქმნილებებს შეეწევა.

ამგვარად, ღმრთისაგან სიკეთენი ძისა მიერ აღწევს ჩვენამდე, რომელიც ყოველსა შინა უფრო დიდი სისწრაფით მოქმედებს, ვიდრე სიტყვას შეუძლია განეფინოს. მას ვერც ელვა შეედრება, ვერც ნათელი, ასე სწრაფად რომ მსჭვალავს ჰაერს, ვერც დახამხამება თვალისა, ვერც მოძრაობანი ჩვენი აზრისა. ყველა ამათგანი ღმრთის მოქმედებას სისწრაფით უფრო დიდად ჩამორჩება, ვიდრე ყველაზე ზანტი ცხოველები, – არ ვიტყოდი არც ფრინველებს, არც ქარებს, არც ზეციერთა ბრუნვას, – მოძრაობის მიხედვით ჩვენს გონებასაც კი ჩამორჩებიან; რადგან დროის რა ხანგრძლივობა შეიძლება დასჭირდეს მას, რომელსაც **უტჯრთვან ყოველნივე სიტყჳთა მით ძლიერებითა მისისათა**(ებრ.I,3) და მოქმედებს არა სხეულით და არც ხელებს იყენებს შესაქმისათვის, არამედ დაბადებულთა ბუნება მისივე თავისუფალი ნებით ჰყავს დამორჩილებული? როგორც მიმართავს ივდითი: **შენ ჩაიფიქრე და აღსრულდა შენი ჩანაფიქრი**(ივდით.IX,5).

თუმცა ქმნილებათა დიდებულებას იმის წარმოსადგენად რომ არ გავეტაცეთ, რომ უფალი უმიზეზო, რას ამბობს თვით სიცოცხლე? **მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა**(ინ.VI,57); და რას ამბობს ძალა ღმრთისა? **არ ჴელეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თჳსით არცა ერთი რაჲ**(ინ.V,19). და რას ამბობს თავისთავად სრულყოფილი სიბრძნე? მივიღე **მცნებაჲ, რაჲ ვთქუა და რასა ვიტყოდი**(ინ.XII,49). ყოველივე ამით მას მამის გულისხმისყოფისაკენ მივყავართ და ქმნილებათა გაოცებას მისკენ წარმართავს, რათა მამა მის მიერ შევიცნოთ. რამეთუ მამა არა განსხვავებულ საქმეთაგან განიჭვრიტება, ანუ ცალკე გამოყოფილი, პირადად მისი საკუთარი ქმედებით, რომ იხილვებოდეს, რამდენადაც **უკუეთუ იხილოს რაჲმე მამისაგან საქმე, ...მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს**(ინ.V, 19), – არამედ მხოლოდშობილის მიერ მისთვის აღვლენილი დიდებისაგან, იგი დაბადებულთა გაოცებას იმკის ქმნილებათა სიდიადისა გამო, თავად შემოქმედისგან შექებული და ამაღლებული მათგან, რომელნიც მას მამად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი შეიცნობენ, **რომლისათჳს არს ყოველი და რომლისაგან არს ყოველი**(ებრ.II,10).

იმიტომაც ამბობს უფალი: **ჩემი ყოველი შენი არს,** რომ ქმნილებათა დასაბამი მამამდე აღიწევა, **და შენი ჩემი არს**(ინ.XVII,10), რადგან თვითონაც მამისაგან არის მიზეზი შესაქმისა, არა იმ გაგებით, რომ მოქმედებისათვის მამის შემწეობა სჭირდება, და არც იმიტომ, რომ ყოველი საქმის მსახურება ახალ-ახალი ბრძანებებით აქვს მინდობილი, რადგან ეს მართლაც მსახურებრივი და ღმრთეებრივი ღირსებისთვის სრულიად დამამდაბლებელი იქნებოდა, არამედ იმ გაგებით, რომ **სიტყვა ღმერთი,** აღვსილი მამისეულ სიკეთეთა მიერ, მამისაგან გამობრწყინვებული, ყოველივეს მშობლის მსგავსად იქმს. რადგან უკუეთუ იგი არსით არ განსხვავდება მისგან, არც ძლიერება ექნება განსხვავებული; ხოლო თანაბარი ძალის მქონეთ ქმედებაც უცილობლად თანაბარი აქვთ. ქრისტე ხომ **ღმრთისა ძალ და ღმრთისა სიბრძნეა**(I კორ.I,24). ამიტომაც **ყოველივე მის მიერ**

შეიქმნა(ინ.I,3) და **ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა**(კოლას.I,16). მაგრამ არა იმ გაგებით, რომ, ვითარცა რაღაც იარაღმა, მონური მსახურება გასწია, არამედ მამის ნებას, როგორც თავადაც შემოქმედი, ისე აღასრულებს.

20. ამგვარად, როცა ამბობს: **მე თავით თჳსით არარას ვიტყოდე**(ინ.XII,49), და კიდევ: **ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყჳ**(ინ.XII,50), და: **სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა**(ინ.XIV,24), და სხვაგან: **ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვყო**(ინ.XIV,31), ამგვარ გამოთქმებს იგი არა ვითარცა თავისუფალ ნებას მოკლებული, არც საკუთარი მისწრაფების არ მქონე, არც ვითარცა მომლოდინე პირობითი ნიშნებით ბრძანებისა – იყენებს, არამედ ამით გვაჩვენებს, რომ მისი საკუთარი განზრახულება იგივეობრივია და განუყოფელია განზრახულობისაგან მამისა; ამიტომაც, ის რასაც მცნება ეწოდება, უნდა მივიღოთ არა ვითარცა სიტყვა ბრძანებისა, სახმო ორგანოებით უწყებული და ძისადმი, ვითარცა ქვეშევრდომისადმი, მიმთითებელი იმისა, რა უნდა გააკეთოს, არამედ ღმრთის შესაფერისად უნდა გულისხმავყოთ, ვითარცა გაზიარება ნებისა, მამისაგან ძეზე უჟამოდ გადასულისა, მსგავსად რომელიმე სარკეში ასახული გამოსახულებისა, **რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს მას**(ინ.V,20).

ამგვარად, ყოველივე რაოდენიცა აქვს მამას, ძესაც ეკუთვნის, არა ვითარცა თანდათან შემატებული, არამედ ყოველთვის მისი. თუ ადამიანებსაც კი, რომელთაც ხელოვნება შეისწავლეს და დროთა განმავლობაში ვარჯიშით განმტკიცებული ჩვევა ჩაინერგეს, შეუძლიათ თავსთავად იმოქმედონ საკუთარ თავში არსებული ცოდნის კანონებით, ნუთუ ღმრთის სიბრძნე და ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი, მარადიულად სრულყოფილი, განუსწავლელად ბრძენი, ძალა ღმრთისა, **რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი**(კოლას.II,3), ცალკეულ მითითებას საჭიროებს, რომელთაც მისთა საქმეთა სახე და ზომა უნდა განსაზღვრონ?

უკეთუ შენ, შენთა ზრახვათა ამაოებით, სასწავლებელს გახსნი, ამასთან ერთს მასწავლებლის ადგილას დასვამ, ხოლო მეორეს გამოუცდელ მოწაფედ წარმოადგენ, რომელიც შემდეგში გაკვეთილების თანდათანობითი გამრავლებით სიბრძნეს შეისწავლის და სრულყოფილებაში წარემატება, თუკი მსჯელობისას თანმიმდევრულობის დაცვა ძალგიძს, დაასკვნი, რომ შვილი ყოველთვის სწავლობს და სრულყოფის მიღწევას ვერასოდეს შეძლებს, რადგან სიბრძნე მამისა განუსაზღვრელია, ხოლო უსაზღვროებაში დასასრულის მიღწევა – შეუძლებელი. ამგვარად, ვინც არ დათანხმდება იმას, რომ ძეს ყოველივე დასაბამიდანვე აქვს, ვერც იმას დაეთანხმება, რომ იგი ოდესმე სრულყოფილებას მიაღწევს. მაგრამ მრცხვენია აზრის სიმდაბლისა, რომლისკენაც სიტყვის თანმიმდევრულობამ მიმიყვანა. ამიტომ ისევ სიტყვის სიმაღლეს დავუბრუნდეთ.

21. **რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**(ინ.XIV,9); იხილა არა ანაბეჭდი, არც გამოსახულება, რადგან ღმრთეებრივი ბუნება წმინდაა ყოველგვარი

შედგენილობისაგან, არამედ სიკეთე ნებისა, რომელიც ვითარცა თანამდევი არსისა, მსგავსი და თანასწორი, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, იგივეობრივი მისი, მამასა და ძეშიც განიჭვრიტება.

რას ნიშნავს გამოთქმები: **იქმნა იგი მორჩილ**(ფილიპ.II,8) და **ჩუენ ყოველთათჳს მისცა იგი**(რომ.VIII,32)? იმას, რომ მამისაგან ძეს ისიც მიეცა, რომ კაცთათვის სიკეთით ემოქმედა. მაგრამ შენ ეს ადგილები მოისმინე: **ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისგან მისგან შჯულისა**(გალატ.III,13) და **ვიდრე-იგი ცოდვილ-ღა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა**(რომ.V,8). გულდასმით მოისმინე, აგრეთვე, სიტყვები უფლისა, რომლითაც ჩვენ მამის შესახებ გვასწავლა. ამ დროს სრული უფლებამოსილების გამომხატველსა და საუფლო გამოთქმებს თვითონაც იყენებს, ამბობს რა: **მნებავს, განწმიდენი**(მთ.VIII,3), და **დადუმენ და პირი დაიყავ**(მარკ.IV,39), **ხოლო მე გეტყჳ თქუენ**(მთ.V,22), და: **ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ**(მრკ.IX,25), და მსგავსნი ამათნი, რათა მათგან უფალი და შემოქმედი ჩვენი შევიცნოთ, მისგან კი მამისა უფლისა ჩვენისა და შემოქმედისა შეცნობა ვისწავლოთ.

ამრიგად, ყოველივე ამისგან მტკიცდება ჭეშმარიტი სწავლება, რომ მამა ქმნის ძის მიერ ისე, რომ არც დამბადებელი ძალა მამისა წარმოგვიდგება არასრულყოფილად და არც მოქმედება ძისა განიმარტება ძალამოკლებულად, არამედ ნების ერთიანობაა წარმოდგენილი. ასე რომ, გამოთქმა **მის მიერ** (διὰ οὗ) პირველმიზეზის აღიარებას გულისხმობს და არა შემოქმედებითი მიზეზის გაკიცხვას.

თავი IX
განმსაზღვრელი ცნებანი სულიწმიდის შესახებ წმიდა წერილის სწავლების მიხედვით.

22. ახლა ისიც გამოვიძიოთ, როგორია ჩვენი ზოგადი ცნებანი სულიწმიდის შესახებ, როგორც ჩვენ მიერ წმინდა წერილიდან ამოკრებილი, ისე წმინდა მამათა დაუწერელი გადმოცემიდან მემკვიდრეობით მიღებული.

უწინარესად, მოისმენს რა სახელს სულისას, ვინ არ აღიმართება სულით და ვინ არ ამაღლდება აზრით უზენაესი ბუნების მიმართ? მას ხომ სული ღმრთისაჲ ეწოდება(მთ.III,16) და **სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს**(ინ.XV,26), სული წრფელი(ფს.L,10), სული მთავრობისა(ფს.L,12); ხოლო **სულიწმიდა** მისი მთავარი და საკუთარი წოდებაა, რადგან იგი ყველა დანარჩენზე უპირატესი სახელია უსხეულოსა, წმინდად არანივთიერისა და მარტივისათვის(შეუდგენელისათვის). ამიტომაც უფალმა ქალს, რომელიც ფიქრობდა, რომ თაყვანისცემას ღმრთისას განსაზღვრული ადგილი სჭირდება, ასწავლა, რომ უსხეულო შემოუსაზღვრელია, როცა უთხრა: **სულ არს ღმერთი**(ინ.IV,24). ამგვარად, ვისმენთ რა სიტყვას **სული,** არ შეიძლება გონებით ბუნება გარეშემოწერილისა, ან ცვლილებათა და ცვალებადობათა მორჩილისა,

ან საერთოდ ქმნილების მსგავსისა წარმოვიდგინოთ, არამედ წარვმართავთ რა აზრებს უზენაესისაკენ, უცილობლად გონიერი არსი უნდა წარმოვიდგინოთ, შეუზღუდველი ძალისა, შემოუსაზღვრელი სიდიდისა, განუზომელი დროით ან საუკუნეებით, მფლობელი მოუკლებელთა სიკეთეთა. სულიწმიდას მიმართავს ყველა, ვისაც გაწმენდა სჭირდება; მისკენ ისწრაფვის ყველა, ვინც სათნოებით ცხოვრობს, ზეგარდმო შთაგონებით(მადლით) გაცოცხლებული და შეწევნული მისთვის დამახასიათებელი და ბუნებრივი აღსასრულის მისაღწევად. სხვათა სრულმყოფელს, თავად არაფერი აკლდება, განუახლებლად მცხოვრები მიმნიჭებელია ცხოვრებისა; შემატებათა გზით არ იზრდება, მაგრამ მუდამ სავსეა, თავისთავში განმტკიცებული ყველგან იმყოფება. დასაბამია სიწმინდისა, ნათელი გონიერი, ჭეშმარიტების ძიებისას ყველა გონივრული ძალისათვის თავით თვისით რამდენადმე სიცხადისა მიმნიჭებელი. ბუნებით მიუწვდომელი, საუნჯე კეთილთა; თუმცა ძალით ყველას აღავსებს, მაგრამ ეზიარება მხოლოდ ღირსეულთ, მაგრამ არა ყველას ერთნაირად, არამედ მოქმედებას რწმენის სიდიდის მიხედვით ანაწილებს. ბუნებით მარტივია და ძალით მრავალფეროვანი. ყოველსა შინა სავსებით არსებობს და ყოველგან სავსებით იმყოფება. უვნებელად ნაწილდება და სხვებთან ზიარებისას სავსებას ინარჩუნებს, ისევე როგორც მას, ვინც მისი სილამაზით ტკბება, ჰგონია, რომ მზის სხივი მხოლოდ მისთვის ბრწყინავს, მაშინ, როცა ის დედამიწასაც ანათებს, ზღვასაც და ჰაერშიცაა განზავებული. ასევე სულიწმიდაც ყოველში, რომელიც მას იღებს, ისე სუფევს, თითქოს მხოლოდ მასთან მყოფობდეს და ყველასთვის საკმარისად და სავსებით იძლევა მადლს, რომლითაც მასთან ზიარებულნი იმ ზომით ტკბებიან, რამდენის მიღებაც თვითონ შეუძლიათ და არა იმ ზომით, რამდენიც თავად სულს ძალუძს.

23. სულის მიერ შეთვისება სულიწმიდისა არის არა ადგილით დაახლოება – რადგან როგორ უნდა შეძლოს უსხეულომ სხეულებრივად მიახლოვება? – არამედ განშორება ვნებათაგან, რომელნიც სულში სხეულთან მისი დაკავშირების შედეგად შემოვიდნენ და იგი ღმერთთან ნათესაობისაგან გააუცხოვეს. ამიტომ გაწმენდილი სამარცხვინოსაგან, რომელიც თავისთავში ცოდვით წარმოშვა, ბუნებრივ სილამაზეს უბრუნდება, განწმენდის გზით თითქოს მეფურ ხატს ძველ გარეგნობას უბრუნებს; მხოლოდ მას ძალუძს მიახლოვება ნუგეშინისმცემელთან. ხოლო ის, ვითარცა მზე, გაწმენდილი თვალით აღქმული, შენ თავის თავში უხილავის ხატს წარმოგიჩენს; ხატის ნეტარი ჭვრეტისას კი პირველსახის გამოუთქმელ სილამაზეს იხილავ.

სულიწმიდისაგან არის ამაღლება გულთა, ხელისაპყრობა უძლურთათვის, წარმატებულთა სრულყოფა. იგი ყოველი ბიწისაგან განწმენდილთ განანათლებს, თავისთავთან ზიარებით სულიერებად აქცევს. ვითარცა ბრწყინვალე და გამჭვირვალე სხეულები, მათზე სინათლის სხივის დაცემის შედეგად, მანათობელნი ხდებიან და თვითონაც ახალ სხივს გამოსცემენ. ასევე სულიწმიდით

შემოსილი სულებიც, სულიწმიდისაგან განათლებულნი, თავადაც სულიერებად იქცევიან და მადლს სხვებსაც გადასცემენ. მისგანაა წინასწარ ცნობა მომავლისა, გულისხმისყოფა საიდუმლოთა, წვდომა დაფარულთა, გაცემა ნიჭთა, ზეციური მოქალაქობა, ანგელოზთა დასთა თანა დგომა, დაუსრულებელი სიხარული, ღმერთსა შინა ყოფა, მსგავსება ღმრთისა და უკიდურესი ზღვარი სასურველისა – განღმრთობა.

ასეთია ჩვენი წარმოდგენები სულიწმიდის შესახებ; მისი სიდიადის, ღირსებისა და მოქმედებათა გააზრება ჩვენ თვითონ სულიწმიდის სიტყვებიდან ვისწავლეთ და, ვითარცა მცირედი მრავალთაგან, ამგვარად გადმოვეცით.

თავი X

იმათ მიმართ, რომელნიც ამბობენ, რომ მამისა და ძის გვერდით სულიწმიდის დაყენება საჭირო არაა.

24. ამბობენ, რომ არაა საჭირო სულიწმიდა მამისა და ძის გვერდით დავაყენოთ, რადგან იგი მათგან ბუნებითაც განსხვავებულია და ღირსებითაც ნაკლები. სამართლიანი იქნება, რომ პასუხი მათ მოციქულთა სიტყვებით გავცეთ: **მორჩილებაჲ ჯერ არს ღმრთისაჲ უფროჲს ვიდრე კაცთაჲ**(საქმ.V,29). რადგან, უკეთუ უფალმა ნათლად გადმოსცა მცნება მაცხოვნებელი ნათლობისა, მოწაფეებს ყოველთა წარმართთა **სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა** მონათვლა უბრძანა(მთ.XXVIII,19) და არ უგულვებელყო ერთობა სულთან, ხოლო ესენი ამბობენ, რომ საჭირო არაა მისი მამისა და ძის გვერდით დაყენება, განა ამით ბრძანებას ღმრთისას ცხადად არ ეწინააღმდეგებიან?

თუ ამტკიცებენ, რომ უფლის მიერ ამგვარი შეერთება ერთობასა და თანაზიარობას არ ნიშნავს, დაე, თქვან, უფრო შესაფერისად როგორ უნდა მოვიაზროთ იგი და სხვა რომელი უფრო დამახასიათებელი სახე აქვთ ერთობისა? უფალს რომ თავის თავთან და მამასთან ნათლობისას სულიწმიდაც არ დაეკავშირებინა, მაშინ არც ჩვენ დაგვდებდნენ ბრალს მათი გაერთიანებისათვის, რადგან უფლისაგან განსხვავებულად არც ვფიქრობთ და არც ვამბობთ. ხოლო უკეთუ იქ სულიწმიდა მამასა და ძესთანაა შეერთებული, ისეთ ურცხვობამდე ნურავინ მივა, რომ რაღაც სხვა ამტკიცოს; ბრალს ამ შემთხვევაში ნურც ჩვენ დაგვდებენ იმისათვის, რომ, რაც წერია, მისი მიმდევარნი ვართ.

25. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ ომი მზადდება და ყველა განზრახვა ჩვენკენაა მიმართული. მკრეხელთა ენებს ისრები გასასროლად უფრო მძლავრად აქვთ მოზიდული, ვიდრე ოდესღაც ქრისტეს მკვლელები სტეფანეს ესროდნენ ქვებს. დაე, ისიც გაცხადდეს, რომ ჩვენთან ბრძოლა მხოლოდ გარეგნული საბაბია, სინამდვილეში იგი ზეცისკენ არის წარმართული. ამიტომ საომარი აღჭურვილობა და ხაფანგები თითქოს ჩვენ წინააღმდეგ მზადდება და ერთმანეთსაც შემწეობისათვის ჩვენ წინააღმდეგ მოუხმობენ, რამდენადაც ყოველ მათგანს

ან გამოცდილება აქვს ან ძალა; მაგრამ მათი ბრძოლის საერთო მიზანი სარწმუნოებაა. სინამდვილეში ჯანსაღი სწავლების ყველა მოწინააღმდეგისა და მტრის განზრახვა ერთია: შეარყიონ სიმტკიცე ქრისტეს რწმენისა, მოციქულთა გადმოცემა დაამხონ და გაანადგურონ. ამიტომ, ვითარცა დიდსულოვანი მოვალენი, ხმამაღლა მოითხოვენ წმიდა წერილიდან მტკიცებულებებს და მამათა დაუწერელ დამოწმებებს, როგორც არავითარი ღირსების არ მქონენი, უგულებელყოფენ.

მაგრამ ჩვენ ჭეშმარიტებას არ განვეშორებით და მას არც სიმხდალის გამო გავცემთ, რადგან უკეთუ უფალმა მამასთან სულიწმიდის ერთობის უცილობელი და მაცხოვნებელი დოგმატი გადმოგვცა, ხოლო ისინი სხვაგვარად ფიქრობენ, სულიწმიდას გამოარჩევენ და გამოყოფენ და მსახურებრივ ბუნებამდე ამდაბლებენ, განა სიმართლე არაა ის, რომ თავიანთ მკრეხელობას უფლის მცნებებზე მაღლა აყენებენ? ამიტომ ყოველგვარი კამათი შევწყვიტოთ და რაც ხელთ გვაქვს, ის ერთად განვიხილოთ.

26. რატომ ვართ ჩვენ ქრისტიანები? ალბათ, ყველა იტყოდა: რწმენის გამო. და როგორ ვცხოვნდებით? ცხადია, ხელახალი შობით ნათლობისას მიღებული მადლისაგან; სხვაგვარად როგორ უნდა ვცხოვნდეთ? ნუთუ მას შემდეგ, რაც ეს ცხონება, დამტკიცებული მამისა, ძისა და სულისა წმიდისა მიერ, შევიცანით, სწავლების იმ სახეს, რომელიც მივიღეთ, უნდა განვუდგეთ? დიდი მწუხარება დამსახურებული იქნებოდა, თუ აღმოვაჩენდით, რომ უარყოფით იმისა, რაც ადრე შევიწყნარეთ, ცხონებისაგან ახლა უფრო შორსა ვართ, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ. ერთნაირი დანაკლისია ხომ, როგორც ნათლობის მოკლება და მიუღებლობა, ისე ისეთი ნათლობაც, რომელსაც გადმოცემიდან რამე დააკლდა.

აღმსარებლობას, რომელიც ჩვენ რწმენასთან პირველად მისვლისას წარმოვთქვით, რაჟამს კერპთაგან ხსნილნი ცოცხალ ღმერთს მივეახლეთ, უკეთუ ვინმე სამუდამოდ არ დაიცავს და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, ვითარცა საფრთხეთაგან დამცველს, არ შეინახავს, თავისთავს ღმრთის მცნებათაგან უცხოდ ჰყოფს და საკუთარ ხელწერილს, რომელიც სარწმუნოების აღიარებისას დადო, შეეწინააღმდეგება. რადგან თუკი ნათლობა ჩემთვის სიცოცხლის დასაბამია და დღეთაგან პირველი ის დღეა, როდესაც კვალად ვიშვი, ცხადია, ყველაზე ძვირფასი ის სიტყვაა, რომელიც შვილების მადლით წარმოვთქვი. ამგვარად, ნუთუ მათი დამარწმუნებელი სიტყვებით ცდუნებული იმ გადმოცემას ვუღალატებ, რომელმაც ნათელსა შინა შემიყვანა და შეცნობა ღმრთისა მომანიჭა და რომლის მიერაც, ცოდვის წყალობით, მანამდე მტერი ღმრთისა, ღმრთის შვილად ვიქეც? პირიქით, ჩემთვისაც ვლოცულობ, რომ ამ აღმსარებლობის წყალობით უფალს მივეახლო და მათაც ვურჩევ, რომ ქრისტეს დღემდე სარწმუნოებაც დაუზიანებლად დაიცვან, მამასა და ძესთან სულიწმიდის განუშორებლობაც და ნათლობაზე სწავლებაც რწმენის აღმსარებლობითაც შეინახონ და დიდების აღსრულებითაც.

თავი XI

იმის შესახებ, რომ სულიწმიდის უარმყოფელნი დამნაშავენი არიან.

27. ვაი ვის? ვის მწუხარება? ვის შეუწევნელობა და წყვდიადი? ვის საუკუნო სასჯელი? ხომ დამნაშავეებს, რომელთაც სარწმუნოება უარყვეს? და რა არის მამხილებელი უარყოფისა? ხომ ის, რომ მათ საკუთარი აღმსარებლობა უგულებელყვეს? და რას აღიარებდნენ ისინი, ან როდის აღიარებდნენ? აღიარებდნენ, რომ სწამდათ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა და აღიარებდნენ მაშინ, როცა ეშმაკს და მის ანგელოზებს განუდგნენ და ეს მაცხოვნებელი სიტყვები წარმოთქვეს. ამიტომ რომელი შესაფერისი სახელი მოიძებნა მათთვის – ძეთა მიერ ნათლისა? ხომ **დამნაშავეებად** უნდა იწოდებოდნენ ისინი, ვითარცა დამრღვევნი საკუთარი ხსნის აღთქმისა? რას ვუწოდებ უარმყოფელს ღმრთისა და რას ვუწოდებ უარმყოფელს ქრისტესი? სხვას რას, თუ არა **დამნაშავეს.** აბა, რომელი სხვა სახელის მიცემა შეიძლება უნდოდეს მას, ვინც სულიწმიდა უარყო? ხომ იგივე, რომელიც აქვს კაცს, ვინც თავის აღთქმას წინაშე ღმრთისა უღალატა?

ამიტომ, რამდენადაც აღმსარებლობა სულიწმიდის რწმენისა ღმრთისმოსაობის გამო ამაღლებას გვანიჭებს, ხოლო უარყოფა უღმერთობისათვის სასჯელს გვიმზადებს, განა საშიში არაა უგულებელყოფა მისი ახლა, როცა ცეცხლის, მახვილის, ჯვარზე გაკვრის, შოლტების, ბორბლისა და წამების იარაღების კი არ გვეშინია, არამედ მხოლოდ სულიწმიდის მბრძოლთა ცრუ მსჯელობებითა და ცბიერი სიტყვებით ვართ მოტყუებულნი?

ვარწმუნებთ ყოველ ადამიანს, რომ უკეთუ ქრისტეს აღიარებს და ღმერთს უარყოფს, არც ქრისტე შეეწევა, ისევე როგორც არც იმას, ვინც ღმერთს მოუწოდებს, მაგრამ ძეს უარყოფს, რადგან ამაოა რწმენა მისი. იმასაც ვარწმუნებ, ვინც სულს უგულებელყოფს, რომ რწმენა მამისა და ძისა მისთვის ამაოებად იქცევა და რომ მას არც ექნება იგი, თანამყოფობის გარეშე სულისა წმიდისა; რადგან ვისაც არ სწამს სულისა წმიდისა, მას არც ძისა სწამს, ხოლო ვისაც ძისა არ სწამს, მას არც მამის რწმენა აქვს: **არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა**(I კორ.XII,3), და: **ღმერთი არავინ სადა იხილა; გარნა მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა**(ინ.I,18). ამგვარს წილი არა აქვს ჭეშმარიტ თაყვანისცემაში ღმრთისა, რადგან არც ძის თაყვანისცემა შეეძლება ვინმეს, თუ არა სულიწმიდით და ვერც მამის მოწოდებას შეძლებს, თუ მას სულიწმიდით არ ეშვილა.

თავი XII

იმათ შესახებ, რომელნიც ამბობენ, რომ მხოლოდ ძის სახელით მონათვლაც საკმარისია.

28. ნურავინ შეცდება იმით, რომ მოციქული ნათლობის ხსენებისას მამისა და სულიწმიდის სახელს ხშირად მოუხსენებლად ტოვებს და ამის გამო ნურავინ დაასკვნის, რომ სახელთა მოწოდება საჭირო არაა. ნათქვამია: **რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ**(გალატ.III,27), და კიდევ: **რომელთა-ესე ნათელ იღეთ ქრისტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-იღეთ**(რომ.VI,3). ეს იმიტომ, რომ სახელწოდება ქრისტესი არის აღიარება ყოველივესი, რადგან იგი ცხადყოფს მცხებელ ღმერთს, ცხებულ ძესა და ცხებას – სულს, როგორც ამას პეტრე მოციქული „საქმე მოციქულთაში“ გვასწავლის: **იესუ ნაზარეველსა, რომელსა-იგი სცხო ღმერთმან სულითა წმიდითა**(საქმ.X,38), და ესაია: **სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისა ძლით მცხო მე**(ეს.LXI,1), და ფსალმუნთა მგალობელი: **ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ**(ფს.XLIV,7).

ისიც ჩანს, რომ ნათლობისას მოციქული ზოგჯერ მხოლოდ სულსაც იხსენიებდა, რადგან ამბობს: **ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ**(I კორ.XII,13), ამას ესეც ეთანხმება: **თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა**(საქმ.I,5), და ესეც: **მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა**(ლკ.III,16). მაგრამ ნათლობას, აღსრულებულს მხოლოდ სულის მოწოდებით, სრულს ვერავინ უწოდებს, რადგან საჭიროა, რომ ცხოველსმყოფელი მადლით ბოძებული გადმოცემა ყოველთვის დაურღვევლად დარჩეს. მხსნელმა ხრწნილებისაგან ჩვენისა ცხოვრებისა ძალაც გვიბოძა განახლებისა, რომელსაც თუმცა გამოუთქმელი და საიდუმლოებით მოცული მიზეზი აქვს, სულებისათვის დიდი ხსნის მიმნიჭებელია. ამიტომ მისთვის რაიმეს მიმატება ან დაკლება აშკარად მარადიული ცხოვრებისაგან ჩამოშორებას მოასწავებს. ამრიგად, უკეთუ ნათლობისას სულიწმიდის ჩამოცილება მამისა და ძისაგან მისთვის, ვინც ნათლავს, საშიშია და უსარგებლოა მისთვის, ვინც ინათლება, მამისა და ძისაგან სულიწმიდის ჩამოშორებას დაუსჯელად ჩვენ როგორღა შევძლებთ? რწმენა და ნათლობა ორი საშუალებაა ხსნისა, ერთმანეთის მონათესავენი და განუყოფელნი. რწმენა ნათლობით აღესრულება, ხოლო ნათლობას საფუძვლად რწმენა უდევს, მათგან ორივე ერთი და იმავე სახელებით სრულდება. რადგან გვწამს რა მამა, ძე და სულიწმიდა, ასევე ვინათლებით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. პირველი აღმსარებლობაა, რომელსაც ხსნისკენ მივყავართ, ხოლო ნათლობა, რომელიც მას მოსდევს, აღმსარებლობის აღიარებას ჩვენ მიერ ბეჭედს უსვამს.

თავი XIII

გადმოცემა მიზეზისა, რომლის გამოც პავლე ანგელოზებს მამასა და ძესთან აყენებს.

29. ამბობენ: „მამასა და ძესთან ერთად სხვებიც ირაცხებიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათთან ერთად არ განიდიდებიან. ასე მაგალითად, მოციქულმა ანგელოზები მათთან ერთად მოიხსენია დამოწმებისთვის, რომელიც ტიმოთეს მისწერა: **ვწამებ წინაშე ღმრთისა და უფლისა იესუ ქრისტესა და რჩეულთა ანგელოზთასა**(Iტიმ.V,21), თუმცა ანგელოზებს არც სხვა ქმნილებათაგან გამოვყოფთ და არც მათ მამასა და ძესთან ერთად შერაცხვას ვეთანხმებით“.

თუმცა კი ეს მსჯელობა არანაირი პასუხის ღირსი არ არის, რადგან მისი უაზრობა მყისვე შეინიშნება, მაინც ვიტყვი, რომ ვინმეს სხვა, მისი მსგავსი მონა, შეუძლია მოწმედ წარმოადგინოს წინაშე გულმოწყალე და მშვიდი მსჯულისა, რომელიც განსასჯელისადმი მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობილების წყალობით, მის მიერ გამოტანილი მსჯავრის უცილობელ სამართლიანობას აჩვენებდა. მაგრამ მონის თავისუფალ პიროვნებად ქცევა, მისი ძედ ღმრთისად წოდება და სიკვდილიდან სიცოცხლეში გადაყვანა სხვას არავის ხელეწიფება, თუ არა მას, ვინც ბუნებით უფალთანაა შეთვისებული და თავისუფალი – მონური მდგომარეობიდან. რადგან, როგორ შეიძლება შეეთვისოს ღმერთს ის, ვინც მისთვის უცხოა? როგორ გაათავისუფლებს სხვებს ის, ვინც თვითონაც მონობის უღლის ქვეშაა? ამიტომ სულიწმიდა და ანგელოზები ერთნაირად კი არ არიან მოხსენიებულნი, არამედ სულიწმიდა – ვითარცა უფალი სიცოცხლისა, ხოლო ანგელოზები, ვითარცა შემწენი მათივე მსგავს მონათა და ერთგული დამმოწმებელნი ჭეშმარიტებისა. რადგან წმინდანებისთვის ჩვეულებრივია ღმრთის მცნებათა მიცემა დამოწმებებით, როგორც ამას თავად პავლე მოციქული ეუბნება ტიმოთეს: **რაჲ-იგი გესმა ჩემგან მრავლითა მოწამებითა, ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა**(2ტიმ.II,2), ამჯერად ანგელოზებს იმოწმებს, რადგან იცის, რომ ანგელოზნი მსაჯულთან ერთად იქნებიან, რაჟამს იგი მამის დიდებით მოვა სამყაროს სამართლიანად განსასჯელად; რადგან ამბობს: **რომელმან აღიაროს ჩემდა მიმართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა**(ლუკ.XII,8-9). სხვაგან პავლე მოციქული ამბობს: **გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ზეცით ანგელოზთა თანა**(2თეს.I,7). აქაც ამავე მიზეზით ამოწმებს წინაშე ანგელოზთა, რომ განამზადებს შესაფერის მტკიცებულებებს დიდი სამსჯავროსათვის.

30. არა მხოლოდ პავლე, არამედ საერთოდ ყველა, ვისაც სიტყვის მსახურება ჰქონდა მინდობილი, არა თუ როდისმე წყვეტს დამოწმებებს, არამედ მოწმეებად ცასა და დედამიწასაც კი უხმობს, რადგან ყველა საქმე ახლაც მათ წინაშე აღესრულება და გამოძიებისას მათი საქმეებისა, ვინც ამქვეყნად იცხოვრა,

ისინიც განსასჯელებთან ერთად იქნებიან. ნათქვამია ხომ: **მოუწოდოს ზეცასა ზეგარდამო და ქუეყანასა განრჩევად ერისა თჳსისა**(ფს.XLIX,4).

ამიტომ მოსემ განიზრახა რა ხალხისათვის ღმრთის სიტყვათა გადაცემა, თქვა: **შეგწამებ მე დღეს თქუენ წინაშე ცასა და ქუეყანასა**(2სჯ.IV,26), და კიდევ გალობისას წარმოთქვა: **მოიხილე ცაო, და ვიტყოდი, და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისა ჩემისათა**(2სჯ.XXXII,1); და ესაია: **ისმინე, ცაო და ყურად-იღე ქუეყანაო**(ეს.I,2); ხოლო იერემია გადმოსცემს რაღაც შეშფოთებას ზეცისას, ხალხის უსჯულო საქმეთა მოსმენისას: **განჰკრთა ამას ზედა ცაჲ და განცჳრდა უფროჲს ფრიად,... რამეთუ ორნი ძჳრნიცა ქმნნა ერმან ჩემმან**(იერემ.II,12-13). და მოციქულმაც, იცოდა რა, რომ ანგელოზები ადამიანებს აღმზრდელებად და მეთვალყურეებად ჰყავთ მიჩენილნი, დასამოწმებლად მოუწოდა მათ. ისო ნავესმა თავისი სიტყვების მოწმედ ქვა დააყენა, ხოლო იაკობმა მოწმე ბორცვს უწოდა(დაბ.XXXI,47). ისომ ხალხს უთხრა: **ქვაჲ ესე იყავნ დღეს თქუენდა საწამებლად... აღსასრულთა დღეთა, რაჟამს ეცრუვნეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა**(ისო ნავ.XXIV,27). შეიძლება მას სჯეროდა, რომ ძალითა ღმრთისათა ქვაც გამოიღებდა ხმას დამნაშავეთა სამხილებლად, ხოლო უკეთუ არა, თითოეულ მათგანს გახსენების შედეგად სინდისი მაინც მოწყლავდა. ამგვარად ისინი, რომელთაც სულთა განგებულება აქვთ მინდობილი, წინასწარ იმზადებენ მოწმეებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, რათა შემდეგში წარმოადგინონ. სულიწმიდა არა დროის მოთხოვნილებით, არამედ ბუნების თანაზიარებითაა შეერთებული ღმერთთან, არა ჩვენ მიერ მიყვანილი, არამედ უფლის მიერ შეწყნარებული.

თავი XIV

შეკამათება იმათთან, რომელნიც ამბობენ, რომ გოგიერთები მოსეს სახელითაც ინათლებოდნენ და სწამდათ იგი, პასუხი მათ წინააღმდეგ და, აგრეთვე, პირველსახეთა შესახებ.

31. კიდევაც რომ მოვინათლოთ სულიწმიდის სახელით, ამბობენ ისინი, სამართლიანი მაინც არ იქნება, რომ იგი ღმრთის გვერდით დავაყენოთ. რადგანაც ზოგიერთებმა **მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღუთა**(I კორ.X,2). ამგვარად, ცნობილია, რომ რწმენა ადამიანების მიმართაც არსებობდა: **ჰრწმენა ხალხს ღმრთისა და მოსესი, მსახურისა მისისა**(გამს.XIV,31). სარწმუნოებითა და ნათლობით, ამბობენ ისინი, რისთვის აღამაღლებ და განადიდებ სულიწმიდას ქმნილებასა ზედა, მაშინ როცა იგივე კაცთა მიმართაცაა დამოწმებული?

რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ? ის, რომ რწმენა სულიწმიდისა და, მსგავსად ნათლობაც, იგივეა, რაც მამისა და ძისა, ხოლო მოსეს მიერ ღრუბლით ნათლობა, მისი აჩრდილი და პირველსახეა. ის, რომ ღმრთეებრივი წინასწარ მცირეთი და

კაცობრივით გამოისახება, რა თქმა უნდა, არც რაღაც მცირეა და არც ღმრთეებრივთა ბუნება, რომელზეც ხშირად პირველსახეთა აჩრდილისებური გამოსახულება წინასწარ მიანიშნებდა. პირველსახე ხომ მოსალოდნელთა განცხადებაა – ბაძვის საშუალებით წინასწარ მნიშვნელოვნად ნაჩვენები მომავალი. ასე მაგალითად, ადამი წინასახეა მომავალი ადამისა, ხოლო კლდე წინასახეობრივია ქრისტესი, კლდიდან გადმომდინარი წყალი ღმრთეებრივი სიტყვის განმაცხოველებელი ძალაა, რადგან ნათქვამია: **უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ**(ინ.VII,37); მანანა წინასახეა ცხოველსმყოფელი პურისა, რომელიც ზეციდან გარდამოხდა; ნიშნად აღმართული გველი(რიც. XXI,9) – გამომხსნელი ტანჯვათა, რომელიც ჯვრით აღესრულა, ამიტომაც გადარჩნენ ისინი, ვინც მას შეხედა. ასევე თხრობა ისრაელის გამოსვლის შესახებ მინიშნებაა მაცხოვნებელ ნათლობაზე; რადგან ისრაელიანთა პირმშონი, ისევე როგორც ნათელღებულთა სხეულები, გადარჩნენ მადლით, რომელიც სისხლით აღბეჭდილებს მიეცათ, რადგან სისხლი ცხვრისა წინასახეა ქრისტეს სისხლისა, ხოლო პირმშონი – პირველქმნულისა, რომელიც ჩვენშიც უცილობლად არსებობს უწყვეტი მემკვიდრეობით ბოლომდე გადმოცემული და ამიტომაც **ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან**(Iკორ. XV,22), და მეფობდა სიკვდილი ვიდრე აღსრულებამდე სჯულისა და მოსვლამდე ქრისტესი. დაიცვა ხომ ღმერთმა პირმშონი და ვერ შეეხო მათ წარმწყმედელი მიმანიშნებლად იმისა, რომ ქრისტეს მიერ გაცოცხლებულნი ადამის გამო უკვე აღარ მოვკვდებით. ზღვამ და ღრუბელმა კი იმ დროს განცვიფრების წყალობით, ადამიანები რწმენასთან მიიყვანეს, ხოლო როგორც პირველსახეებმა, მომავალ მადლზე მიანიშნეს: **ვინ არს ბრძენ და გულისხმა-ყუნეს ესენი?**(ოს.XIV,10). და როგორ შეიძლება ზღვა ნათლობას წინასახეობრივად ემსახუროს? მან ხომ განაშორა ისრაელიანები ფარაონისაგან, ვითარცა ეს ემბაზი განგვაშორებს ეშმაკის მტანჯველ ბატონობას. ზღვამ მტერი მოაკვდინა, აქაც კვდება ჩვენი მტრობა, რომელიც ღმრთის მიმართ გვქონდა. ხალხი ზღვიდან უვნებლად გამოვიდა, ჩვენც ამოვდივართ წყლიდან, ვითარცა მკვდრეთით გაცოცხლებულნი, იმის მადლით დახსნილნი, ვინც მოგვიწოდა. ღრუბელი აჩრდილია სულიწმიდის ნიჭისა, რომელიც ასოთა მოკვდინებით ვნებათა ალს აქრობს.

32. და რა გამოვიდა? რადგანაც მოსეს მიერ წინასახეობრივად მოინათლნენ, ამიტომ ნათლისღების მადლი მცირეა? ასეთ შემთხვევაში ჩვენს საიდუმლოთა შორის აღარც სხვა რამე იქნება დიდი, თუკი თითოეულში იმას, რასაც პატივი წმინდად უნდა მივაგოთ, პირველსახემდე დავამდაბლებთ. მაშინ დიდი და მაღალი კაცთა მიმართ არც სიყვარული ღმრთისა ყოფილა, რომელმაც მხოლოდშობილი ძე ჩვენთა ცოდვათა გამო მისცა, რადგან საკუთარი შვილი არც აბრაამმა შეიწყალა, და აღარც ვნება უფლისა – დიდებული, რამეთუ ნაცვლად ისაკისა, პირველსახე მსხვერპლშეწირვისა ცხვრით აღესრულა. არც ჯოჯოხეთში ჩასვლა ყოფილა საშიში, რადგან იონამ სამ დღესა და ამდენივე ღამეში სიკვდილის წინასახე შექმნა. ასე რომ, ასე იქცევა ისიც, ვინც ნათლობის

სინამდვილეს აჩრდილს ადარებს, ვინც წინასახეებს იმასთან ათანაბრებს, რაზეც ისინი მიანიშნებენ, და ვინც მოსესა და ზღვის ეპიზოდის გამოყენებით მთელი სახარებისეული განგებულების დარღვევას ცდილობს. სად არის იქ ცოდვათა მიტევება? განახლება ცხოვრებისა ზღვაში? რომელი სულიერი ნიჭი მიეცათ ადამიანებს მოსეს მიერ? სად არის იქ მოკვდინება ცოდვათა? ისინი არ მომკვდარან ქრისტესთან ერთად და ამიტომ არც მასთან ერთად აღდგებიან. ისინი არ შემოსილან ზეციური ხატით, არც იესოს სიკვდილი უტვირთავთ სხეულსა შინა, არც ძველი კაცი განუძარცვავთ და ახალი შეუმოსავთ, განახლებულები შესაცნობად იმისა, ვინც თავის ხატად შექმნა. რატომ ადარებ ერთმანეთს ორ ნათლობას, რომელთაც მხოლოდ სახელწოდება აქვთ საერთო, ხოლო საქმით იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რამდენადაც შეიძლება სიზმარი განსხვავდებოდეს სინამდვილისა და აჩრდილი და გამოსახულებანი იმათგან, რომელნიც დამოუკიდებლად არსებობენ?

33. მაგრამ მოსესადმი რწმენაც სულიწმიდის რწმენის ნაკლებ ღირებულებას არ ამტკიცებს, მაგრამ მათი სიტყვების მიხედვით, ის უფრო მეტად ყოველთა ღმერთის აღმსარებლობას აკნინებს. ნათქვამია: **რწმენა ერსა უფლისა და მოსესი მსახურისა მისისა**(გამს.XIV,31). ამგვარად, აქ მოსე შეწყვილებულია ღმერთთან და არა სულიწმიდასთან და პირველსახეა არა სულიწმიდისა, არამედ ქრისტესი, რადგან სჯულის მსახურებისას მან შუამდგომელი ღმერთსა და კაცთა შორის წინასწარ გამოსახა. შუამდგომლობდა რა ხალხს წინაშე ღმრთისა, მოსე სულიწმიდის პირველსახე არ ყოფილა, რადგან სჯული მოცემულ იქნა **ანგელოზთაგან ჴელითა შუამდგომელისაჲთა**(გალატ.III,19), ანუ ცხადია, მოსეს მიერ, წინადადებით ხალხისა, რომელიც მას ეუბნებოდა: **შენ გუეტყოდე ჩუენ და ნუ იტყჳს ჩუენდა მომართ ღმერთი**(გამს.XX,19). ამგვარად, რწმენას მოსესი, შუამდგომელისა ღმერთსა და კაცთა შორის, აჰყავს რწმენამდე უფლისა, რომელმაც თქვა: **უკუეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა**(ინ.V,46). ნუთუ მცირეა რწმენა უფლისა, რადგან მასზე წინასწარ მოსეს მიერ იქნა მინიშნებული? ასევე ნათლობისას, არც სულიწმიდის მადლია მცირე, იმის გამო, რომ ვინმემ მოსეს სახელით ნათელიღო. ამასთან, მინდა ვთქვა, რომ წმინდა წერილი, ჩვეულებრივ, სჯულს მოსესაც უწოდებს, როგორც მაგალითად: **ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი**(ლუკ.XVI,29). იგულისხმა რა სჯულისმიერი ნათლობა, ამიტომაც თქვა მოციქულმა: **მოსეს მიერ ნათელ-იღეს**(Iკორ.X,2).

რატომ ცდილობენ ეს ადამიანები, რომელთაც ის, რაც აჩრდილსა და პირველსახეებს ეკუთვნის, სინამდვილეზე გადაიტანონ და ქება-დიდება ჩვენი სასოებისა, უხვი მადლი ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, ვინც მეორედ შობით **სიჭაბუკეს ჩვენსას, ვითარცა ორბისას განაახლებს**(ფს.102,5), დამცრობილად, წარმოადგინონ?

რა თქმა უნდა, ჩვილის გონება და ვინმე ყრმა, რომელსაც ნამდვილად ისევ რძე სჭირდება, ვერ შეიცნობს სიდიადეს და საიდუმლოს ჩვენი ხსნისა; ჩვენც,

რომელნიც თანახმად სწავლების მოსამზადებელი მეთოდისა, ღმრთისმოსაობაში ვარჯიშით სრულყოფილებამდე ავმაღლდით, პირველად იმით დავიწყეთ, რაც ცოდნის საფუძვლებად მიგვაჩნდა, ადვილად მისაწვდომითა და შესაფერისით ჩვენი ძალებისა. რადგან განმგებელს ჩვენი ხსნისა, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც სიბნელეში გაიზარდა, ჭეშმარიტების დიდ ნათელში, მისი თანდათანობით შეჩვევის შედეგად შევყავართ, რამეთუ მოწყალეა უძლურებათა ჩვენთა მიმართ. სიღრმესა შინა მისი მდიდარი სიბრძნისა, სიმდიდრისა და გონების გამოუძიებელთა მსჯავრთა, წინასწარ მონიშნა ჩვენთვის ეს სასიამოვნო და გამოსადეგი წინამძღოლობა და ჯერ სხეულების აჩრდილთა და წყალში არეკლილი მზის ცქერას შეგვაჩვია, რათა წმინდა ნათელის უცბადვე ხილვით არ დავბრმავებულიყავით. სჯულიც ამავე პრინციპითაა შექმნილი, **რამეთუ აჩრდილი აქუნდა შჯულსა მერმეთა**(ებრ.X,1). წინასწარმეტყველთა წინასწარ წარმოსახვანიც და სახისმეტყველებანიც სინამდვილისა, წინასწარ მოგვეცა, ვითარცა საწვრთნელნი გულის თვალების განსწავლისათვის, რათა მათგან საიდუმლოს დაფარულ სიბრძნეზე გადასვლა ადვილი ყოფილიყო.

წინასახეთა შესახებ საკმარისად ითქვა; ამ თემაზე შეჩერება მეტად აღარ შეიძლება, რადგან სხვაგვარად მეორეხარისხოვანზე ბევრად მეტი გამოგვივა ნათქვამი, ვიდრე მთავარზე.

თავი XV

პასუხი იმათ, ვინც გვეძავება, რომ წყალში ვინათლებით და საერთოდ, ნათლობის შესახებ.

34. გარდა ამის, კიდევ რას ამბობენ? ისინი ხომ გადაწყვეტილებებს უხვად იღებენ? ამბობენ, თუმცა წყალში ვინათლებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, წყალს არც ერთად აღებულ ყველა ქმნილებასთან შედარებით მეტ უპირატესობას მივანიჭებთ და არც მამასა და ძესთან ერთად პატივს მივაგებთ. მათი ამგვარი სიტყვები განრისხებულ ადამიანთა სიტყვებს მოგვაგონებენ, რომელნიც გონების ვნებათაგან დაბნელების გამო შურისსაძიებლად იმათზე, რომელთაც წყენა მიაყენეს, არავის ინდობენ. ხოლო ჩვენ პასუხს მათ სიტყვებზე არ დავაყოვნებთ. თუ უვიცნი არიან, ვასწავლით, ხოლო თუ ბოროტგანმზრახველნი – არ დავუთმობთ. ცოტა შორიდან დავიწყოთ.

35. განგებულება კაცთა შესახებ ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა დაცემული მდგომარეობიდან მათ გამოხმობასა და ურჩობის გამო ღმრთისაგან გაუცხოებული ადამიანის მასთან შეთვისებისათვის დაბრუნებას გულისხმობს. ამიტომაც მოვიდა განკაცებული ქრისტე და სახარებისეული წესებით ცხოვრების მაგალითი მოგვცა: ვნებანი, ჯვარი, საფლავი, აღდგომა, რათა ქრისტეს მიბაძვით გადარჩენილმა ადამიანმა ძველი, ღმრთის შვილების მდგომარეობა დაიბრუნოს. ამგვარად, ცხოვრების სრულყოფისთვის ქრისტეს მიბა-

ძვაა საჭირო, მაგრამ არა მხოლოდ იმ მაგალითებისა, რომელნიც ცხოვრებით გვიჩვენა, ე. ი. განურისხველობისა, სიმდაბლისა და სულგრძელობისა, არამედ სიკვდილისაც, როგორც ამას ქრისტეს მიმბაძველი პავლე ამბობს: **თანა-ხატ ქმნად სიკუდილსა მას მისსა, რაჲთა მი-ვითარ-რაჲ ვსწუდე აღდგომასა მასცა მკუდართასა**(ფილიპ.III,10-11).

და როგორ ვექმნებით ჩვენ **თანახატად სიკვდილსა მას მისსა?** თანადაფლვით **მას ნათლის-ღებითა**(რომ.VI,54). რა არის სახე საფლავისა? რა არის სარგებელი ამ მიბაძვისა? უწინარესად, აუცილებელია წინანდელი ცხოვრების წესთან განშორება, ხოლო ეს, როგორც უფალმა ბრძანა, მისთვის, ვინც **არა იშვეს მეორედ**(ინ.III,3), შეუძლებელია. მეორედ შობა კი, და ეს სახელიდანაც ჩანს, დასაბამია, მეორე ცხოვრებისა. ამგვარად, დასაწყებად მეორე ცხოვრებისა, ჯერ წინასთვის წერტილის დასმაა საჭირო, ვითარცა ასპარეზზე წინ და უკან მორბენალთა ორი საწინააღმდეგო მიმართულების მოძრაობას ერთგვარად შეჩერება და ამოსუნთქვა ჰყოფს, ასევე ცხოვრების შეცვლისას, ვითარცა დამამთავრებელი წინანდელისა და დასაბამის მიმცემი მომდევნოსი, სიკვდილი ორ ცხოვრებას შორის გარდაუვალი აღმოჩნდა.

და ჯოჯოხეთსა შინა შთასვლას როგორ ვასრულებთ? ნათლობის მიბაძვით ქრისტეს დაფლვისა; რადგან ნათელღებულთა სხეულები წყალში თითქოსდა იმარხებიან. ამიტომ ნათლობა სიმბოლურად, მოციქულის სიტყვებით, ხორცის საქმეთაგან განძარცვას წარმოაჩენს. მან თქვა: **წინადაიცჳთეთ წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა განძარცუვითა მით გუამისა მის ჴორცთა მათ ცოდვათაჲსა, წინადაცუეთითა ქრისტესითა. მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით**(კოლას. II,11-12). იგი, თითქოსდა სულის განბანვაა ბიწისაგან, რომელიც მასში, როგორც წესი, ხორციელ ზრახვათა მიერ წარმოიშვა: **განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე**(ფს.1,7). ამიტომ, იუდეველთა მსგავსად, ყოველი წაბილწვისას კი არ ვიბანთ, არამედ ერთი მაცხოვნებელი ნათლობა ვიცით, რადგან ამ სამყაროსთვის სიკვდილიც ერთია და ერთია მკვდრეთით აღდგომაც, რომლის სახეც ნათლისღებაა. ამიტომაც დაგვიდო ჩვენი ცხოვრების გამგებელმა იესო ქრისტემ აღთქმა ნათლობისა, რომელიც თავისთავში სიკვდილსაც მოიცავს და სიცოცხლესაც, წყალი სიკვდილის ხატია, ხოლო სიცოცხლის საწინდარს სულიწმიდა იძლევა.

ამგვარად, აქედან ჩვენთვის ცხადი ხდება, რასაც ვეძიებდით. რატომ არის სულიწმიდასთან ერთად წყალიც. ნათლობას ხომ ორი მიზანი აქვს: განადგურება ცოდვილი სხეულისა, რათა მან აღარასოდეს გამოიღოს ნაყოფი სიკვდილისა, და გაცოცხლება სულიწმიდის მიერ, რომლის ნაყოფიც კურთხეულია. წყალი ხატია სიკვდილისა, რამდენადაც იგი, ვითარცა საფლავი, სხეულს იღებს, ხოლო სულიწმიდა ცხოველსმყოფელ ძალას აზიარებს, განაახლებს რა ჩვენს სულებს თავდაპირველი ცხოვრებისათვის. მეორედ შობას წყლითა და სულით სწორედ ეს ნიშნავს, რადგანაც სიკვდილი წყლით აღესრულება, ხოლო

სიცოცხლეს ჩვენსას სულიწმიდა ქმნის. სამჯერ შთაფლვითა და ამდენჯერვე მოწოდებით აღესრულება დიდი საიდუმლო ნათლობისა, რათა სიკვდილის სახეც გამოისახოს და ნათელღებულთა სულებიც ღმრთის შემეცნების გადაცემით განათლდეს. ამგვარად, უკეთუ წყალსა შინა რაღაც მადლია, არა წყლის ბუნებისაგან, არამედ სულიწმიდის მყოფობით, რადგან **ნათლისღებაჲ** არის **არა ჴორცთაგან განშორება მწინკულისაჲ, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ**(Iპეტ.III,21). ამიტომ, გვამზადებს რა ჩვენ უფალი აღდგომის შემდეგ ცხოვრებისათვის, მთელ სახარებისეულ ცხოვრებას გადმოგვცემს, გვიდგენს რა ზნეობის კანონებად განურისხველობას, მოთმინებას, ტკბობათაგან წაუბილწველობას, არმოყვარეობას ვერცხლისა, რათა ჩვენ ის, რაც ბუნებით მომავალ საუკუნეს ეკუთვნის, ჩვენივე არჩევანით, წინასწარ კეთილად აღვასრულოთ. უკეთუ ვინმე სახარების განსაზღვრისას იტყვის, რომ იგი წინასახეა აღდგომის შემდეგ ცხოვრებისა, ვფიქრობ, არ შეცოდავს. მაგრამ ჩვენს მიზანს დავუბრუნდეთ.

36. სულისაგან წმიდისა არის აღდგინება ჩვენი სამოთხესა შინა, ცათა სასუფეველში შესვლა, დაბრუნება ღმრთის შვილებისა, კადნიერება იმისა, რომ ღმერთს მამა ვუწოდოთ, მოზიარედ გახდომა ქრისტეს მადლისა, წოდება ნათლის შვილისა, თანაზიარობა საუკუნო დიდებისა და, საერთოდ, მთელი სისავსით მოპოვება ღმრთის კურთხევისა, როგორც ამ, ისე მომავალ საუკუნესა შინა; როცა ჩვენში, ვითარცა სარკეში აისახება მადლი იმ სიკეთეთა, რომელნიც აღთქმებით მოგვეცა და რომელთაც ველოდებით რა რწმენით, ვითარცა უკვე ნამდვილით, ისე ვტკბებით და, უკეთუ საწინდარი ასეთია, სრულყოფილი როგორი იქნება? თუკი დასაბამი ასე დიდია, როგორი იქნება სავსება მთელისა?

სხვაობა სულიწმიდის მადლსა და წყლით ნათლობას შორის საცნაური ხდება იქიდანაც, რომ იოვანე ნათლავდა წყლით, ხოლო უფალი ჩვენი იესო ქრისტე – სულიწმიდით. ის ხომ თვითონვე ამბობს: **მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა**(მთ.III,11). ცეცხლით ნათლობაში სამსჯავროზე გამოცდა იგულისხმება, ვითარცა ეს მოციქულმა ბრძანა: **კაცად-კაცადისა იგი საქმე... ცეცხლითა გამოჩინებად არს,** და კიდევ: **დღემან მან გამოაცხადოს... ვითარ რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოცადოს**(Iკორინ.III,13). ხოლო მათ, რომელთაც ღმრთისმოსაობისათვის ღვაწლით ქრისტესათვის სიკვდილი არა მოჩვენებითად, არამედ ჭეშმარიტად მიიღეს, ცხონებისათვის აღარ დასჭირდათ სიმბოლო – წყალი, არამედ საკუთარი სისხლით მოინათლნენ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ წყლით ნათლობას უსარგებლოდ ვთვლი, არამედ დასამხობად სულიწმიდის წინააღმდგომთა ზრახვებისა, რომელნიც შეურევნელებს ერთმანეთში ურევენ და მათ, რომელთა შედარებაც ერთმანეთთან არ შეიძლება, ერთმანეთს ადარებენ.

თავი XVI

იმის შესახებ, რომ ყოველგვარი გაგებით, სულიწმიდა მამისა და ძისაგან განუყოფელია. გონიერ არსებათა შექმნის, კაცთა გედა განგებულებისა და მოსალოდნელი სამსჯავროს შესახებ.

37. თავში ნათქვამს დავუბრუნდეთ იმის თაობაზე, რომ სულიწმიდა ყოვლითურთ სრულიად განუყოფელი და განუშორებელია მამისა და ძისაგან. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს იმ ადგილას, სადაც ის ენათა მიმადლებაზე საუბრობს, ამბობს: **ხოლო უკუეთუ ყოველნი წინაჲსწარმეტყუელებდენ, და შე-ვინმე-ვიდეს ურწმუნოჲ გინა უცები, ემხილოს ყოველთა მიერ, განიკითხოს ყოველთა მიერ. და ესრეთ დაფარულნი გულისა მისისანი განცხადნენ, და ესრეთ დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცეს ღმერთსა და აღიაროს, ვითარმედ: ნანდჳლვე ღმერთი თქუენ შორის არს**(Iკორ.XIV,24-25).

ამრიგად, თუ წინასწარმეტყველებით, რომელიც სულიწმიდის მიერ მადლთა გაყოფის შედეგად ხორციელდება, შეიცნობა, რომ წინასწარმეტყველთა შორის თავად ღმერთი იმყოფება, დაე, მათ განსაჯონ, რომელ ადგილს მიაკუთვნებენ სულიწმიდას, და რა უფრო სამართლიანი იქნება – მისი ღმრთის გვერდით დაყენება, თუ დამდაბლება ქმნილებამდე? პეტრეს მიერ თქმულიც საპფირასადმი: **რაჲსათჳს ესრეთ შეითქუენით თქუენ განცდად სულსა უფლისასა?**(საქმ.V,9), და ანანიასადმი: **არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა**(საქმ.V,4), გვიჩვენებს, რომ შეცოდებანი წინაშე სულისა წმიდისა და ღმრთისა ერთი და იგივეა. ასევე შეგიძლია შეიცნო, რომ სულიწმიდა ყოველი მოქმედებით განუყოფელია მამისა და ძისაგან. ღმრთისა თანა, რომელიც საქმეთა დაყოფას ქმნის, და უფლისა, რომელიც მსახურებათა განმანაწილებელია, თანამყოფობს სულიწმიდაც, რომელიც ნიჭთა განაწილებას, თითოეულისათვის მისი ღირსების მიხედვით, სრული უფლებით განაგებს, რადგან ნათქვამია: **განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს. და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს. და განყოფანი შეწევნათანი არიან და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის**(Iკორ.XII,4-6). **ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს**(XII,11). იქიდან, რომ მოციქულმა პირველად სულიწმიდა მოიხსენია, მეორედ ძე და მესამედ ღმერთი და მამა, სრულიადაც არ უნდა ჩავთვალოთ, რომ მან რიგი დაარღვია; მოციქულმა საწყისად ჩვენთან დამოკიდებულება აიღო, რადგან ნიჭთა მიმღებელნი უწინარესად ფიქრს მომნიჭებელისკენ მივაქცევთ, შემდეგ წარმომგზავნელს მოვიაზრებთ და წარმოსახვით შემდეგ ვმაღლდებით სიკეთეთა წყაროსა და მიზეზამდე.

38. მამის, ძისა და სულიწმიდის ურთიერთობა შეგიძლია იმათგანაც შეიცნო, რომელნიც პირველად შეიქმნენ, რადგან წმინდა, გონიერი და ზესამყაროეული

ძალები, წმინდად იმიტომაც იწოდებიან, რომ სიწმინდე სულიწმიდისაგან ბოძებული მადლით შეიძინეს. ამიტომაც, თუმცა [წმინდა წერილი] იმის შესახებ, როგორ შეიქმნა ზეციური ძალები, დუმს, რადგან შესაქმის აღმწერმა შემოქმედი ჩვენ მხოლოდ შეგრძნებად [ქმნილებათა] საშუალებით განგვიცხადა; ხოლო შენ, გაქვს რა ძალა ხილულთაგან დასკვნა უხილავთა შესახებაც გააკეთო, შემოქმედი განადიდე, ვის მიერაც(ἐν ᾧ) **დაებადა ყოველივე... ხილულნი და არახილულნი, გინა თუ მთავრობანი, ანუ თუ უფლებანი, ანუ თუ ძალნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ ხელმწიფებანი**(კოლას.I,16) და კიდევ სხვა გონიერი ბუნებანი, რომელთაც სახელები არ აქვთ. მათი შესაქმით წარმოიდგინე პირველი მიზეზი დაბადებულთა – მამა, მიზეზი შემოქმედებითი(δημιουργικὴ) – ძე და მიზეზი დამასრულებელი(სრულმყოფელი) – სულიწმიდა. ასე რომ მსახურ სულებს არსებობა მამის სურვილებისამებრ ეძლევათ, ძის მოქმედებით ისინი ყოფიერებაში მოდიან, ხოლო თანამყოფობით სულისა, სრულყოფას აღწევენ. ანგელოზთა სრულყოფა სიწმინდე და მას შინა ყოფაა.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე ან სამი საწყისი ჰიპოსტასის არსებობას, ან ძის მოქმედების არასრულყოფილებას ვამტკიცებ, რადგან საწყისი არსებულთა, ძის მიერ შექმნილთა და სულიწმიდით გასრულებულთა, ერთია; არც მამას, **რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის**(Iკორ.XII,6) აქვს მოქმედება არასრული და არც ძის შემოქმედებას მოაკლდებოდა სისრულე, სულიწმიდას რომ არ გაესრულებინა. ამგვარად, არც მამას, რომელიც ერთი ნებით ქმნის, სჭირდება ძე, მაგრამ მოქმედება მაინც ძის მიერ ნებავს და არც ძეს, რომელიც მამის მსგავსად მოქმედებს, არ სჭირდება თანაქმედება, მაგრამ ქმნილების გასრულება მაინც სულიწმიდის მიერ ნებავს. **სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი**(ფს.XXXII,6). აქ არც **სიტყვაა** მნიშვნელოვანი ანაბეჭდი ჰაერსა შინა, სახმო ორგანოებით გამოცემული და არც სულია ორთქლი პირიდან სასუნთქ ასოთა მიერ აღმოფშვინველი, არამედ **სიტყუაჲ,** რომელიც პირველითგან იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო(ინ.I,1) და **სული** პირისაგან მამისა, – სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს(ინ.XV,26).

ამიტომაც სამი წარმოიდგინე: უფალი მბრძანებელი, სიტყვა შემოქმედი და სული დამამტკიცებელი და სხვას რას უნდა ნიშნავდეს დამტკიცება, თუ არა სიწმინდეში სრულყოფას? დამტკიცება ხომ არა უძლურებას, არამედ უცვალებლობასა და კეთილსა ზედა ურყევად დგომას წარმოაჩენს. მაგრამ სიწმინდე, გარეშე სულიწმიდისა, არ არსებობს; ზეციური ძალნი ხომ ბუნებით არ არიან წმინდანნი.

სხვაგვარად, არავითარი სხვაობა არ იქნებოდა მათსა და სულიწმიდას შორის. პირიქით, ისინი სულიწმიდისაგან მადლს იმ ზომით იღებენ, რა ზომის უპირატესობაც ერთმანეთთან შედარებით აქვთ. რადგან, ვითარცა სანთებელა ცეცხლთან ერთად მოიაზრება, თუმცა მისი ნივთიერი საფუძველი

სხვაა და ცეცხლი სულ სხვა, ასევე ზეციურ ძალთა არსი ჰაეროვან, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულს ან ნივთიერ ცეცხლს წარმოადგენს, როგორც ეს დაწერილია: **რომელმან შექმნნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა**(ებრ.I,7). ამიტომ მათ ადგილიც აქვთ, ხილულებიც ხდებიან და თავიანთ საკუთარი სხეულების სახით წმინდანებსაც ეცხადებიან. მაგრამ სიწმინდეს, რომელიც არა არსისეულია, ისინი, სულიწმიდასთან ზიარების შედეგად, სრულყოფასთან მიჰყავს; ხოლო თავიანთ სიწმინდეს სიკეთესა შინა ყოფით იცავენ და აქვთ რა თავისუფლება არჩევანისა, სწრაფვას ჭეშმარიტად კეთილისაკენ არასოდეს კარგავენ.

ამიტომ, თუ გონებაში მათ სულიწმიდას წავართმევთ, ანგელოზთა დასები დაიშლება, მთავარანგელოზთა მთავრობანი განადგურდება, ყველაფერი ერთმანეთში აირევა და მათი ცხოვრება არასჯულისმიერი, უწესრიგო და საზღვრებმოშლილი გახდება.

როგორ შეეძლოთ ეთქვათ ანგელოზებს: **დიდება მაღალთა შინა ღმერთსა**(ლკ. II,14), ამისი ძალა სულიწმიდის მიერ რომ არ ჰქონოდათ მინიჭებული? **და არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა, და არავინ სულითა ღმრთისაჲთა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ**(Iკორ.XII,3). ეს უკანასკნელი შეეძლოთ ეთქვათ უკეთურთა და წინააღმდგომთა სულისა წმიდისა, რომელთა მარცხიც(წარწყმედა) ადასტურებს იმ აზრს, რომ უხილავი ძალები თავისუფალნი არიან და თანაბრად არიან მიდრეკილნი როგორც ბიწიერების, ისე სათნოებისაკენ და შემწეობას სულისაგან წმიდისა ამიტომაც საჭიროებენ. ვფიქრობ, რომ გაბრიელიც ვერასგზით სხვაგვარად ვერ იწინასწარმეტყველებს მომავალს, თუ არა სულიწმიდისაგან წინასწარ ბოძებული ცოდნით, რადგანაც ნიჭთაგან, რომელთაც სულიწმიდა ანაწილებს, ერთ-ერთი წინასწარმეტყველებაა. მიიღო რა ბრძანება, **კაცისა გულისა თქმულისათვის**(დან.X,11) ეუწყებინა საიდუმლო ხილვისა, ვისით იქნებოდა იგი განბრძნობილი დაფარულის სწავლებისათვის, თუ არა სულითა წმიდითა? რამეთუ საიდუმლოთა განცხადება საკუთრივ სულიწმიდას კუთვნილებაა, როგორც ეს დაწერილია: **ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგჳცხადა სულისა მიერ თჳსისა**(1კორ.II,10). საყდარნი, ხელმწიფებანი, მთავრობანი და უფლებანი ნეტარი ცხოვრებით როგორ იცხოვრებენ, თუ არა მარადის ჭვრეტით **პირისა მამისა, რომელ არს ცათა შინა**(მთ.XVIII,10)? ხოლო ჭვრეტა შეუძლებელია გარეშე სულისა წმიდისა. რამეთუ ვითარცა ღამით სახლიდან სინათლის გატანისას თვალები გიბრმავდება, ძალები უმოქმედოა, საგანთა ღირსებანი კი შეუცნობელი, ხოლო ოქრო და რკინა ერთნაირად ითელება შეუცნობელობისა გამო, ასევე მოწესრიგება გონიერ ძალთა და მათთვის სჯულისმიერი ცხოვრების შენარჩუნება, გარეშე სულისა წმიდისა, შეუძლებელი ხდება; ისევე, როგორც შეუძლებელია კეთილი სიმწყობრე ჯარისა, რომელსაც მეთაური არ ჰყავს, ან შეთანხმება ხმებისა გუნდში, გარეშე ხმათა ერთმანეთისათვის შემწყობი კორიფევსისა.

როგორ იტყოდნენ სერაფიმნი: **წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს**(ეს.VI,3), სულისაგან წმიდისა რომ არ ჰქონოდათ ნასწავლი, ეს დიდებისმეტყველება კეთილმსახურებით რაოდენგზის უნდა ეღაღადათ? ამიტომ უკეთუ აქებენ ღმერთს ყოველნი ანგელოზნი მისნი და აქებენ მას ყოველნი ძალნი მისნი, სულიწმიდის შემწეობით აქებენ. უკეთუ წინაშე ღმრთისა ათასობით ანგელოზნი და ათიათასობით მსახურნი დგანან, თავიანთ საქმეს ისინი უბიწოდ სულიწმიდის ძალით ასრულებენ. ამიტომ როგორც ღმრთის მსახურებისას, ისე ზესამყაროულ ძალთა ერთმანეთთან შეთანხმებისას, მთელი ეს ზეციური და გამოუთქმელი სიმწყობრის შენარჩუნება, რომ არა მმართველობა სულისა წმიდისა, შეუძლებელი იქნებოდა. შესაქმისას სულიწმიდა არა იმ ქმნილებებთან მყოფობს, რომელთა სრულყოფა თანდათანობით ხდება, არამედ შესაქმისთანავე სრულყოფილებთან, და უზიარებს მათ თავის მადლს ყოველი არსების დასრულებისა და აღვსებისათვის.

39. ვინ უარყოფს იმას, რომ განგებულებანი ადამიანის შესახებ, რომელიც ღმრთის სიკეთითა და დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ განხორციელდა, საბოლოოდ სულისა მიერ წმიდისა გასრულდა?

თუ ძველი აღთქმისეულ მოვლენათა გადახედვას მოისურვებ – პატრიარქთა კურთხევებს, სჯულისაგან მიღებულ შემწეობას, წინასახეებს, წინასწარმეტყველებებს, სახელოვან საქმეებს ბრძოლათა შინა, მართალთა სასწაულებს და შემდეგ, საერთოდ, განგებულებას უფლის განკაცებისა – ყოველივე სულიწმიდის მიერ იყო.

უწინარესად, სული ხორცს უფლისას თანაეყო, მაცხოვარი მისით იყო ცხებული და, როგორც ეს წერია, განუშორებლად იმყოფებოდა მასთან: **რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა**(ინ.I,33), **ესე არს ძე ჩემი საყუარელი**(მთ.III,17), და: **იესუს ნაზარეველსა, რომელსა-იგი სცხო ღმერთმან სულითა წმიდითა**(საქმ.X,38). შემდეგ ყველა საქმე თანამყოფობით სულისა წმიდისა აღსრულდა: სული მაშინაც უფალთან იყო, როცა იგი ეშმაკისაგან გამოიცდებოდა, რადგან ნათქვამია: **მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან**(მთ.IV,1). სული განუშორებლად მყოფობდა უფალთან სასწაულთა აღსრულებისას, რამეთუ ამბობს: **უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა**(მთ.XII,28). მას არც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მიუტოვებია იგი, რადგან განაახლა რა უფალმა ადამიანი და დაუბრუნა რა ღმრთისაგან შთაბერილი მადლი, რომელიც მან წარწყმიდა, მოწაფეებს სახეში **შეჰბერა** და რა უთხრა: **მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვაჲ, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ**(ინ.XX,21-22).

და ეკლესიის კეთილმოწყობაც განა ცხადად და უდავოდ სულისაგან წმიდისა არ აღესრულება? როგორც ნათქვამია, მან მისცა ეკლესიას **პირველად მოციქულნი, მეორედ – წინაჲსწარმეტყუელნი, მესამედ – მოძღვარნი, მერმე – ძალნი, მაშინღა მადლნი კურნებათანი, შეწევნანი, ღუწოლანი, თესლად-თესლადი ენათაჲ**(Iკორ.XII,28), რადგან ეს რიგი ხომ სულიწმიდის მიერ დანაწილებულ ნიჭთა მიხედვითაა დადგენილი?

40. გულმოდგინე გამომეძიებელმა შეიძლება ისიც იპოვოს, რომ ცათაგან უფლის მოსალოდნელი გამოცხადებისას, სულიწმიდა, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, უმოქმედოდ კი არ დარჩება, არამედ უფლის გამოცხადების დღეს მასთან ერთად იქნება, როცა ნეტარი და ერთადერთი მბრძანებელი სამყაროს სამართლიანობით განსჯის. ადამიანს ძალიან მცირე ცოდნა აქვს იმის შესახებ, რა სიკეთენია განმზადებული ღმრთისაგან ღირსეულთათვის, რათა არ იცოდეს, რომ გვირგვინი მართალთა მადლია სულისა წმიდისა, რომელიც უფრო უხვად და სრულად მაშინ გაიცემა, რაჟამს სულიერი დიდება თითოეულს მისთა სახელოვანთა საქმეთა მიხედვით გაუნაწილდება, რადგან წმინდანთა ბრწყინვალებათა შინა მამასთან მრავალი სავანეა(ინ.XIV,2), ანუ სხვადასხვა სახის ღირსებანი. **ვითარცა-იგი ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა, ეგრეთვე აღდგომაჲ მკუდართაჲ**(Iკორ.XV,41-42). ამიტომ სულითა წმიდითა აღბეჭდილნი ხსნის დღეს, რომელთაც მინიჭებული საწყისები სულისა წმინდად და დაუზიანებლად დაიცვეს, ისინი არიან, რომელნიც მოისმენენ: **მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ**(მთ.XXV,21). მსგავსად ამისა, განმანაწყებელთ სულისა წმიდისა, თავიანთი უკეთური ცხოვრების წესით, ან იმით, რომ ბოძებულს ვერაფერი შეჰმატეს, რაც მიიღეს, ისიც წაერთმევათ და მადლი სხვებს გადაეცემათ, ან, ვითარცა ერთი მახარებელთაგანი ამბობს: **ორად განიკვეთება**(ლკ.XII,46) სრულად. ხოლო ორად განკვეთაში სულისაგან წმიდისა საბოლოო გაუცხოება იგულისხმება, რადგან არა სხეულის განკვეთა ხდება, ისე რომ ერთი ნაწილი დასასჯელად მიეცეს, ხოლო მეორე – გათავისუფლდეს, ეს მითოსია და მსჯავრის გამოტანა ერთი ნახევრის დასასჯელად, მაშინ როცა მთელმა სხეულმა შეცოდა, სამართლიანი მსაჯულისათვის შეუფერებელია. ორად არც სულის განკვეთა შეიძლება, რადგან იგი მთელია, ცოდვილიანი აზროვნებაც მთელმა შეიძინა და ბოროტების ჩადენისას, სხეულთან თანამშრომლობს. პირიქით, ორად განკვეთა, როგორც ვთქვი, სულიწმიდისაგან სულის სამარადისო გაუცხოებაა. რამეთუ თუმცა ახლა სული უღირსთ არ ეზიარება, როგორც ჩანს, რამდენადმე მაინც მყოფობს მათთან, რომელნიც ერთხელ აღიბეჭდნენ მისით, ელოდება რა მათ მოქცევას ხსნისაკენ; ხოლო მაშინ სულს, რომელმაც მისი მადლი შეურაცხყო, სრულიად მოიკვეთს. ამიტომაც არ არსებობს **ჯოჯოხეთსა შინა** აღმსარებელი და არც **სიკუდილსა შინა** მომხსენებელი ღმრთისა(ფს.VI,6), რადგან იქ უკვე აღარ არის თანამყოფობა სულიწმიდის შემწეობისა. როგორ შეიძლება წარმოდგენა იმისა, რომ სამსჯავრო აღესრულება გარეშე სულისა წმიდისა, მაშინ, როცა სიტყვა გვაჩვენებს, რომ იგი არის ჯილდო მართალთა, რაჟამს მათ, ნაცვლად საწინდარისა, სრულად ენიჭება და პირველი სასჯელი ცოდვილთათვის იმის წართმევა იქნება, რაც ეგონათ, რომ ჰქონდათ. სულიწმიდის უშუალოდ მამასა და ძესთან მყოფობაზე უდიდეს დამოწმებას წარმოადგენს თქმული იმის თაობაზე, რომ მას იმგვარივე დამოკიდებულება აქვს ღმერთთან, როგორიც თითოეულ ჩვენგანთან აქვს სულს,

რომელიც ჩვენში იმყოფება, **რამეთუ ვინ-მე უკუე იცის კაცთან კაცისაჲ, გარნა სულთანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისჲ არავინ იცის, გარნა სულთანვე ღმრთისამან**(Iკორ.II,11). და ამის შესახებ საკმარისია.

თავი XVII

იმათ მიმართ, რომელნიც ამბობენ, რომ სულიწმიდა მამასა და ძესთან არა თანა ირიცხება, არამედ ქვეშეირაცხება, და აქვე მოკლედ გადმოცემა სარწმუნოებისა ღმრთისმოსაურ თანაშერიცხულობაზე.

41. არ არის ადვილი გაგება იმისა, რას გულისხმობენ ისინი ქვე შერაცხვაში (ὑπαρίθμησις) და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამ სიტყვას, რამეთუ ყველასათვის ცნობილია, რომ ის მათ ამსოფლიური სიბრძნიდან ისესხეს. ვნახოთ, აქვს თუ არა მას რაღაც საკუთარი მნიშვნელობა ჩვენი საგნისათვის.

ამგვარად, ფუჭმეტყველებაში დახელოვნებულნი ამბობენ, რომ სახელთაგან ერთნი საერთოა ყველასათვის და მნიშვნელობით მრავალს მოიცავენ; ხოლო მეორენი უფრო საკუთრივნი არიან და ერთმანეთთან შედარებით ნაწილობრივი ძალა(მნიშვნელობა) აქვთ. მაგალითად, საერთო სახელია **არსი,** რომელიც ყველას, როგორც უსულოთა, ისე სულიერთა მიმართ თანაბრად გამოიყენება. შედარებით საკუთრივია **ცხოველი** და თუმცა მას უფრო მცირერიცხოვან საგანთა მიმართ ვიყენებთ, ვიდრე პირველს, მაინც უფრო მრავალს აღნიშნავს, ვიდრე სახელები, რომელნიც მის ქვეშ განიხილება. რადგანაც იგი როგორც გონიერთა, ისე უგუნურ ცხოველთა ბუნებას მოიცავს. კიდევ: სახელი **ცხოველი** უფრო საკუთრივია, ვიდრე სახელი **ადამიანი,** ხოლო მასზე უფრო საკუთრივი – **კაცი** და კიდევ უფრო საკუთრივია სახელები თითოეული კაცისა: პეტრე, პავლე, იოვანე.

ამგვარად, ამას ხომ არ გულოსხმობენ ტერმინში **ქვე შერაცხვა,** სახელდობრ, საერთო სახელთა უფრო ვიწრო მნიშვნელობის სახელებად დაყოფას? მაგრამ არ შემიძლია ვირწმუნო, რომ ისინი ისეთ უგუნურებამდე მივიდნენ და იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ყოველთა ღმერთი, მსგავსად რომელიმე საერთო გაგების სახელისა, რომელიც მხოლოდ ცნებით განიჭვრიტება, და ყოფიერება არცერთ არსებაში(ἐν ὑποστάσει) არა აქვს, ქვემდებარეებად დაყონ და შემდეგ ამ ქვედაყოფას ქვე შერაცხვა უწოდონ. ამას შავი ნაღველით შეპყრობილნიც კი არ იტყოდნენ, რადგან ეს არა მხოლოდ უსჯულოებაა, არამედ იმგვარ გაგებას შეიცავს, რომელიც მათივე განზრახვის საწინააღმდეგოა, რამდენადაც ქვედაყოფები არსით იგივენი არიან იმისა, რასაც გამოეყვნენ.

მაგრამ ჩანს, სიტყვას სწორედ ეს თვალსაჩინო სიცხადე შეუსაბამობისა მიძნელებს და ვერ ვპოულობ გამოთქმებს მათი უგუნურების გასაკიცხად, რადგან, როგორც მეჩვენება, სიგიჟით თავიანთვის რაღაც სარგებელსაც კი იძენენ, რადგან ვითარცა რბილი და დამყოლი სხეულებისათვის, რომელთაც

წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევთ, მძლავრი დარტყმის მიყენება შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია მკაცრი მხილებით დარტყმის მიყენება მათთვის, რომელთა უგუნურებაც აშკარაა. ისღა გვრჩება, სისაძაგლეს მათი უსჯულოებისა გვერდი დუმილით ავუაროთ, მაგრამ დუმილის ნებას არც ძმების სიყვარული და არც მოწინააღმდეგეთა საქციელი არ გვაძლევს.

42. რამეთუ რას ამბობენ ისინი? იხილეთ მათი ქედმაღლობის გამომხატველი სიტყვები: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თანაბარი პატივის მქონეთ **თანაშერაცხვა** (συναρίθμησις) შეჰფერის, ხოლო ნაკლები ღირსებით გამორჩეულებს – ქვე შერაცხვა“(ὑπαρίθμησις), და რას გულისხმობთ ამაში? მე თქვენი უცნაური სიბრძნის გაგება არ შემიძლია. იმას ხომ არა, რომ ოქრო ოქროსთან თანაშეირაცხება, ხოლო ტყვია მათთან თანაშერაცხვის ღირსი არაა? მაგრამ იმის გამო, რომ იაფფასიანი ნივთიერებაა, ოქროს ქვეშ კი შეირაცხება? ნუთუ თქვენ რიცხვებს ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, რომ მათ ნაკლებად ღირებულ საგანთა ღირსების ამაღლება, ხოლო ძვირფასთა მნიშვნელობის დამცირება შეუძლიათ? ამიტომ ოქროს კვლავ ძვირფას ქვათა ქვეშ შერაცხავენ, რომელთაგან ნაკლებად მბრწყინავნი და პატარები უფრო ელვარეთა და მსხვილების ქვეშ შეირაცხებიან. მაგრამ რას აღარ იტყვიან ადამიანები, რომელთაც მოცალეობის ჟამი მხოლოდ რაღაც ახალზე საუბრისა და მოსმენისათვის აქვთ? დაე, მომავალში სტოიკოსებისა და ეპიკურეელების დიდება გაიზიარონ მათ, რომელნიც ხმას უსჯულოებას მისცემენ, რადგან იაფფასიან საგანთა ძვირფასთა ქვეშ შერაცხვა როგორღა უნდა მოხდეს? სპილენძის ობოლი ოქროს სტატირის ქვეშ როგორ შეირაცხება? ამიტომაც, როცა ისინი გვაქვს, იმას კი არ ვამბობთ, რომ ორი მონეტა გვაქვს, არამედ ვამბობთ: გვაქვს ერთი და ერთი(ერთი ობოლი და ერთი სტატირი). ამ მონეტებიდან რომელი რომლის ქვეშ შეირაცხება? რადგან უკეთუ თითოეულ მონეტას ცალ-ცალკე დაითვლი, დათვლის ამ სახით მათი თანაბარი ღირებულება შემოგაქვს; თუ დათვლისას ერთმანეთთან შეაუღლებ, მიათვლი რა ერთს მეორეს, ღირსებით ისევ ისე შეაერთებ; ხოლო თუკი ქვეშ იმას შერაცხავ, რომელიც თვლისას მეორეა, მაშინ თვლის სპილენძის მონეტიდან დაწყება მთვლელზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ მხილება მათი უვიცობისა ჯერ-ჯეროვნად გვერდზე გადავდოთ და სიტყვა მთავარი საგნისკენ მივაქციოთ.

43. იმას ამტკიცებთ, რომ შვილი მამისა ქვე შეირაცხება და სული კიდევ ძისა, თუ ქვეშერაცხვას მხოლოდ სულიწმიდას განუსაზღვრავთ? უკეთუ ძესაც ქვე შერაცხავთ, უსჯულოების სწავლებას განაახლებთ და აღმოჩნდება, რომ უკვე ამ ერთი სიტყვით იმეორებთ არსით სხვაობას, ღირსებით დამდაბლებას, შემდგომში დაბადებასა და, საერთოდ, ერთად აღებულ ყველა მკრეხელობას მხოლოდშობილის მიმართ, რომელთა შეპასუხებისთვისაც უფრო დიდი დრო იქნებოდა საჭირო, ვიდრე ეს ჩვენი ახლანდელი განზრახვისთვის შეიძლებოდა დაგვეთმო; ამასთან, ეს მკრეხელური სწავლება ჩვენ სხვა დროს და სხვაგან შეძლებისდაგვარად ვამხილეთ. ხოლო უკეთუ იმას ფიქრობენ, რომ ქვე შე-

რაცხვა მხოლოდ სულიწმიდას შეეფერება, დაე, ისწავლონ; სულიწმიდა ისევე წარმოითქმება როგორც ძე, ხოლო ძე – ისევე როგორც მამა, რადგან სახელი მამისა, ძისა და სულისა წმიდისა ერთნაირადაა მოცემული(მთ.XXVIII,19). ამიტომ ნათლობაში გადმოცემული სიტყვათშეწყობის მიხედვით, რა დამოკიდებულებაც ძეს მამასთან აქვს, სულიწმიდას იგივე აქვს ძესთან. რამდენადაც სულიწმიდა ძის გვერდითაა დაყენებული, ხოლო ძე მამის გვერდით დგას, მაშინ, ცხადია, რომ სულიწმიდაც მამის გვერდითაა. ამიტომ ადგილი უნდა ჰქონდეს თუ არა იმის მტკიცებას, რომ სახელთაგან, რომელნიც ერთსა და იმავე რიგსა შინა არიან შერაცხულნი, ერთი **თანა,** ხოლო მეორე **ქვე** შეირაცხება?

და საერთოდ, რომელ საგანს დაუკარგავს როდისმე თვლისას თავისი ბუნება? აღრიცხული საგნები ხომ იმადვე რჩებიან, რაც თავიდანვე იყვნენ, რიცხვს კი ჩვენ ხომ საგანს, როგორც ნიშანს, ისე ვურთავთ, რომელიც მასში შემავალთა სიმრავლეს აჩვენებს? საგანთაგან ჩვენ ზოგიერთებს ვითვლით, ზოგს ვზომავთ, ზოგსაც ვწონით. რომელთაც მჭიდრო ბუნება აქვთ, გასაზომად ვიღებთ, დაყოფილებს თვლას ვუქვემდებარებთ, ამასთან, ისინიც თუ წვრილ-წვრილები არიან, იზომებიან კიდევაც. მძიმე საგნებზე სასწორის გადახრის მიხედვით ვმსჯელობთ. მაგრამ რაოდენობის შესაცნობად კიდევაც რომ ჩვენთვის ნიშნები მოგვეფიქრებინა, მათით აღნიშნულთა ბუნებას მაინც ვერ შევცვლიდით, ისევე როგორც ასაწონ ნივთიერებებს ქვეშე ერთმანეთისა ვერ ავწონით, თუნდაც ის ოქრო ან კალა იყოს, და ვერც ზომვად საგნებს ქვე შევრაცხავდით, რა თქმა უნდა, ასევე ქვეშ ვერც აღრიცხვადებს შევრაცხავთ. და უკეთუ არცერთი სხვა ქვეშერაცხვას არ იწყნარებს, მაშინ როგორღა ამბობენ, რომ სულიწმიდას ქვეშერაცხვა შეეფერება? მაგრამ წარმართობით დასნეულებულნი ფიქრობენ, რომ თუკი ერთნი მეორეზე დაბლა დგანან ან ღირსების ხარისხის, ან არსის სიმცირის მიხედვით, მათ(ამგვარი) ქვეშერაცხვა შეეფერებათ.

თავი XVIII

იმის შესახებ, როგორ ვიცავთ სამი ჰიპოსტასის აღიარებისას ერთი საწყისის ღმრთისმოსავურ დოგმატს და ასევე მხილება იმათი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სულიწმიდა ქვე შეირაცხება.

44. გადმოგვცა რა უფალმა მამისა, ძისა და სულიწმიდის შესახებ, თვლით არ მოუცია ისინი, რადგან არ უთქვამს: პირველი, მეორე, მესამე და არც: ერთი, ორი და სამი; არამედ წმინდა სახელებით მოგვმადლა მან ცოდნა რწმენისა, რომელსაც ხსნისაკენ მივყავართ. ამიტომ ჩვენი მაცხოვნებელი რწმენაა, ხოლო რიცხვი მოფიქრებულია ვითარცა ნიშანი, რომელიც მასში შემავალთა რაოდენობას გვაუწყებს. მაგრამ მათ, რომელნიც ზიანს თავიანთვის ყოველივედან კრებენ და თვლის უნარსაც სარწმუნოების წინააღმდეგ იყენებენ, თუმცაღა იციან, რომ

არცერთი სხვა რამ რიცხვის მიმატებით არ იცვლება, ღმრთეებრივ ბუნებაზე მსჯელობისას, ეშინიათ რიცხვისა, რათა მის მიერ ზომას ნუგეშინისმცემლისთვის შესაფერისი პატივისა, არ გადააბიჯონ.

მაგრამ, ჰ ყოვლად ბრძენნო, მიუწვდომელი რიცხვზე მაღლა უნდა იყოს. ისევე როგორც ებრაელთა ძველი კეთილკრძალულება განსაკუთრებული ნიშნებით ხაზავდა წარმოთქმულ სახელს ღმრთისა და ამით, ყველა დანარჩენ სახელთან შედარებით მის უპირატესობას გამოხატავდა, საჭიროც რომ იყოს დათვლა, უკიდურეს შემთხვევაში, მისით ჭეშმარიტებას ზიანი არ უნდა მიადგეს. გამოუთქმელს პატივი ან დუმილით მიაგე, ან სიწმიდენი ღმრთისმოსაობით დათვალე.

ერთია ღმერთი და მამა და ერთია მხოლოდშობილი ძე და ერთია სულიწმიდა. თითოეულ ჰიპოსტასს ცალ-ცალკე ვაუწყებთ, მაგრამ როცა დათვლაა საჭირო, არ ვუშვებთ, რომ უმეცრულმა დათვლამ მრავალი ღმერთის მოაზრებამდე მიგვიყვანოს.

45. ჩვენ რიცხვების ზრდის მიხედვით არ ვითვლით, [რიცხვებს] ერთიდან სიმრავლისაკენ არ ვზრდით და არ ვამბობთ: ერთი, ორი, სამი და არც: პირველი, მეორე, მესამე. **მე ვარ [ღმერთი] პირველი და მევე ამათსა შემდგომად**(ეს. XLIV,6), ხოლო მეორე ღმერთზე დღემდე არაფერი გვსმენია. თაყვანს ვცემთ ღმერთს ღმრთისაგან და, ვაღიარებთ რა ჰიპოსტასთა სხვაობას, ერთ საწყისზე ვრჩებით და ღმრთისმეტყველებას ნაწევართა სიმრავლედ არ ვყოფთ, რადგან მამა ღმერთსა და ძე ღმერთში ერთ ხატს ვჭვრეტთ, ღმრთეების უცვლელობით გამოხატულს. ძე მამაშია, და მამა ძეში, რამეთუ ძე იმგვარივეა, როგორიც მამა, და მამაც იმგვარივეა, როგორიც ძე და ამ გაგებით ისინი ერთია. ამიტომაც პირების განმასხვავებელი თვისებებით ერთი და ერთია, ხოლო საერთო ბუნების მიხედვით, ორივე ერთია. და რატომაა, რომ თუმცა ერთი და ერთია, ორი ღმერთი მაინც არაა? მეფედ იწოდება ხატიც მეფისა, მაგრამ მეფე ორი არაა, რადგან [მათ შორის] არც ძალაუფლება განიყოფება და არც დიდება განაწილდება. ვითარცა ერთია საწყისი ჩვენი მპყრობელი ძალისა და ერთია ძალაუფლება, ასევე ერთია და არა მრავალი ჩვენი დიდებისმეტყველებაც; ამიტომაც პატივის მიგება ხატისათვის პირველსახეზეც(პროტოტიპზეც) გადადის, მაგრამ რაც აქ ბაძვითი ხატია, ის იქ ბუნებითი ძეა. ისევე როგორც ხელოვნების ქმნილებათა მსგავსება ხატშია, ასევე ღმრთეებრივი შეუდგენელი ბუნების ერთობაც საერთო ღმრთეებრიობაშია.

სულიწმიდა ერთია და მის შესახებ უწყებაც ცალკეა, ერთი ძის მიერ ერთ მამასთანაა შეერთებული და ზესთაქებულსა და ნეტარ სამებას აღავსებს; ერთობას მისას მამასა და ძესთან საკმარისად აჩვენებს ის, რომ ქმნილებათა სიმრავლეში მათთან ერთად ერთ რიგში კი არ დგას, არამედ ცალკე წარმოითქმება, რადგან ერთი მრავალთაგანი კი არაა, არამედ ერთია. ისევე როგორც ერთია მამა და ერთია ძე, ასევე სულიწმიდაც ერთია. ამიტომ ის

იმდენადაა დაშორებული შექმნილ ბუნებას, რამდენადაც ერთი არაა მსგავსი შედგენილისა, რომელიც თავისთავში მრავალს მოიცავს. მამასა და ძესთან იმდენადაა შეერთებული, რამდენადაც ერთს ნათესაობა ერთთან აქვს.

46. მაგრამ მხოლოდ აქედან როდი ვიღებთ მტკიცებულებებს ბუნების ერთობისათვის, არამედ იმ ადგილებიდანაც, სადაც მის შესახებ ნათქვამია, რომ ის ღმრთისგანაა, არა ისე, როგორც საერთოდ ყველა ღმრთისაგანაა, არამედ ვითარცა ღმრთისაგან გამომავალი, არა შობილი, ვითარცა ძე, არამედ ვითარცა სული მისი პირისა. რა თქმა უნდა, არც პირია ნაწილი და არც სულიწმიდაა გაფანტული სუნთქვა. არამედ პირიც ღმრთივმშვენიერად იგულისხმება და სულიწმიდაც ცხოველი არსია, უფალი სიწმინდისა, საიდანაც თუმცა მისი ღმერთთან ერთობა ცხადდება, მაგრამ სახე არსებობისა გამოუთქმელი რჩება.

ის იწოდება ქრისტეს სულადაც, ვითარცა მასთან ბუნებით შეერთებული, ამიტომაც: **უკეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი**(რომ.VIII,9). უფალს ღირსეულად მხოლოდ იგი ადიდებს, რამეთუ უფალი ამბობს: **მან მე მადიდოს**(ინ. XVI,14), არა ვითარცა ქმნილებამ, არამედ ვითარცა სულმა ჭეშმარიტებისა, რომელიც თავისთავში ჭეშმარიტებას ცხადად წარმოაჩენს, და ვითარცა სულმა სიბრძნისა, რომელიც ქრისტეს ღმრთის ძალასა და სიბრძნეს ღმრთისას, – მისი დიდებულებით განაცხადებს; ხოლო ვითარცა ნუგეშინისმცემელი, თავისი თავით გამოავლენს სიკეთეს მისი მომავლინებელი ნუგეშინისმცემელისა და თავისი ღირსებით დიდებულებას იმისას წარმოაჩენს, ვისგანაც გამოვიდა. ამიტომაც არის დიდება(რაღაც) ბუნებრივი, ისევე, როგორც დიდება მზისა – ნათელი, არის დიდება და რამდენადმე გარეგნული, განსჯით ბოძებული ღირსეულთათვის, მათ მიერვე ნებაყოფლობით არჩეული. მაგრამ ესეც ორგვარია, რადგან ნათქვამია: **ძე ადიდებს მამასა და მონაჲ უფალსა თჳსსა**(მალაქ.I,6). ამგვარად, მათგან ერთი – მონური ქმნილების მიერ ენიჭება, მეორე კი, ასე ვიტყოდი, საშინაო(οἰκειακή) – სულიწმიდის მიერ აღესრულება; რადგან, როგორც უფალმა თავისთავზე თქვა: **მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელიც მომეც, რაჲთა ვყო**(ინ. XVII,4), ასევე ნუგეშინისმცემელზეც ამბობს: **მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ**(ინ.XVI,14). და ვითარცა ძე განიდიდება მამისაგან, რომელიც ამბობს: **ვადიდე და კუალადცა ვადიდო**(ინ.XII,28), ასევე იდიდება სულიწმიდაც მამასა და ძესთან ერთობის გამო, რასაც მხოლოდშობილიც ამოწმებს, როცა ამბობს: **ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა**(მთ.XII,31).

47. როცა განმანათლებელი ძალის შემწეობით მზერას უხილავი ღმერთის ხატის სილამაზისაკენ წავრმართავთ და ამ გზით ყოველგვარ სილამაზეზე აღმატებული პირველსახის საჭვრეტად ვმაღლდებით, ამ დროს ჩვენთან განუშორებლად მყოფობს სული შემეცნებისა, რომელიც ჭეშმარიტების ჭვრეტის მოყვარულთ, თავით თვისით ხატის მისტიკური ხედვის ძალას ანიჭებს და მას თავისი თავის გარეშე კი არ აჩვენებს, არამედ მის შესაცნობად თავის თავში

შემოყავს, რადგან, როგორც **არცა მამაჲ ვინ იცის გარნა ძემან**(მთ.XI,27), ასევე **არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა**(Iკორ. XII,3). სულიწმიდის მიერ(διὰ Πνεύματος) – კი არ თქვა, არამედ – სულით (Ἐν Πνεύματι). **სულ არს ღმერთი, და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის-ცემაჲ**(ინ.IV,24), როგორც [ეს] დაწერილია: **ნათლითა შენითა,** ე. ი. ნათლითა სულისა წმიდისათა, **ვიხილოთ ჩუენ ნათელი**(ფს.XXXV,9), **ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად**(ინ.I,9). სულიწმიდა თავისი თავით აჩვენებს დიდებას მხოლოდშობილისა და ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს თავისი თავით ღმრთის შემეცნებას მიანიჭებს. ამგვარად, გზა ღმრთის შემეცნებისა არის გზა ერთი სულიწმიდიდან, ერთი ძის მიერ ერთი მამისაკენ. და პირიქით, ბუნებითი სიკეთე, ბუნებითი სიწმინდე და მეფური ღირსება მამისაგან მხოლოდშობილის მიერ სულიწმიდაზე განივრცობა. ჰიპოსტასები ამგვარადაა აღიარებული და ღმრთისმოსავური დოგმატი არ ილახება.

ხოლო ისინი, რომელნიც ქვეშერაცხვას უშვებენ, ამბობენ რა: პირველი, მეორე და მესამე, დაე, შეურყვნელ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში, ელინური ცდომილების – მრავალღმერთიანობის შემომტანებად იქნენ აღიარებულნი; რადგან ამ ვერაგული ქვეშერაცხვის შემოტანას სხვა არაფრისკენ მივყავართ, თუ არა პირველი, მეორე და მესამე ღმერთის აღიარებამდე. ჩვენთვის კი საკმარისია მიმდევრობა, რომელიც უფალმა შემოგვთავაზა და ვინც მას დაარღვევს, ამ უსჯულოებზე მცირედ როდი შესცოდავს.

ამრიგად, იმის თაობაზე, რომ ქვეშერაცხვის გზით ბუნებითი ერთობა ოდნავადაც არ ირღვევა, როგორც ისინი მცდარად ფიქრობდნენ, საკმაოდ ითქვა. მაგრამ ჯიუტსა და ამაოდ განბრძნობილს მოწყალედ დავუთმოთ ის, რომ რაღაცის შემდეგ მეორეს მეორე ქვეშერაცხვის აზრით ეწოდება და ვნახოთ აქედან რა გამოვა. ნათქვამია: **პირველი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით**(Iკორ.XV,47), და სხვაგან: **არა პირველად სულიერი იგი, არამედ მშჳნვიერი, მაშინღა სულიერი**(Iკორ.XV,46). ამრიგად, უკეთუ მეორე ქვეშეერაცხება პირველს და ქვეშერაცხული ნაკლებად ღირებულია, ვიდრე ის, რომლის ქვეშეც შეირაცხა, თქვენი სწავლების მიხედვით, სულიერი ადამიანი ნაკლებად ღირებული ყოფილა მშვინვიერზე, ხოლო ზეციერი – მიწისაგანზე.

თავი XIX
პასუხი იმათ, რომელნიც ამბობენ, რომ სულიწმიდა არ იდიდება.

48. „დაე, იყოს ასე, – ამბობენ ისინი, – მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ სულიწმიდას დიდება უცილობლად ეკუთვნის და რომ ჩვენ მას დიდებისმეტყველება უნდა აღვუვლინოთ“. საიდან ავიღოთ მტკიცებულებანი იმისა,

რომ ღირსება სულისა წმიდისა ყველა გონებაზე აღმატებულია, როცა ისინი მის ერთობას მამასა და ძესთან ამ ღირსების დასამოწმებლად არასარწმუნოდ თვლიან? თუ ყურადღებას მივაპყრობთ მნიშვნელობას სახელებისა, დიდებულებას სულიწმიდის ქმედებათა, უკეთესია ვთქვათ, ყველა ქმნილების მიმართ გაწეულ ქველმოქმედებას, შეიძლება მისი ბუნების სიდიადესა და გამოუთქმელ ძლიერებაზე წარმოდგენა რამდენადმე შევიქმნათ.

იგი იწოდება სულად, ხოლო **სულ არს ღმერთი**(ინ.IV,24) და **სული პირისა ჩუენისაჲ, ქრისტე უფალი**(გოდ.IV,20), იგი **წმინდაა,** ისევე როგორც წმინდაა მამა და წმინდაა ძე. ქმნილებაში სიწმინდე გარედან შედის, ხოლო სულიწმიდის ბუნებას სიწმინდე აღასრულებს. ამიტომაც იგი არა განწმენდილი, არამედ განმწმენდელია. სიკეთეა, ვითარცა სიკეთეა მამა და სიკეთეა ის, ვინც სიკეთისგან იშვა, და არსით სიკეთეა. **წრფელია,** ვითარცა **წრფელ არს უფალი ღმერთი**(ფს.91, 15), რადგან თავად არის ჭეშმარიტება და თავად არის სამართლიანობა, და თავისი უცვალებელი არსის გამო არ მიიქცევა და არ იხრება არცერთ მხარეს. **ნუგეშინისმცემელია,** ვითარცა მხოლოდშობილი, რომელიც თვითონვე ამბობს: **და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ**(ინ. XIV,16). ამგვარად, სულიწმიდის სახელები საერთოა მამისა და ძისა და მას ეს სახელწოდებანი მათთან ბუნების ერთობის გამო აქვს. სხვაგვარი სახელები რატომ უნდა ჰქონოდა?(Ἡ ὁφειν γὰρ ἀλλοφειν) კიდევ იწოდება მეუფედ, სულად ჭეშმარიტებისა და სულად სიბრძნისა: **სული საღმრთოჲ არს, რომელმან შემქმნა მე**(იობ.XXX,4). ბესელეელის შესახებაც ნათქვამია, რომ აღავსო იგი ღმერთმა **სულითა საღმრთოჲთა სიბრძნითა და მეცნიერებითა**(გამს.XXXI,3). ამგვარია სახელები, ასე მაღალნი და დიდებულნი, თუმცა გადაჭარბებულ დიდებას სრულიადაც არ გამოხატავენ.

49. და ქმედებანი როგორია? გამოუთქმელია მათი სიდიადე და ურიცხვი – სიმრავლე. როგორ უნდა მოვიაზროთ ისინი, რომელნიც საუკუნეთა მიღმაა? როგორი იყო მისი საქმენი, ვიდრე გონიერი ქმნილება შეიქმნებოდა? და რამდენია რიცხვი ქმნილებისადმი მისთა ქველმოქმედებათა? როგორი იქნება მისი ძალა მომავალ საუკუნეებში? რადგან სული იყო, იყო მამასა და ძესთან უწინარეს საუკუნეთა. ამიტომ თუკი იმას მოიაზრებ, რაც საუკუნეთა მიღმა იყო, ნახავ, რომ ის სულის შემდგომ იყო. ხოლო უკეთუ ქმნილებას გონებით წარმოიდგენ, ნახავ, რომ ზეცათა ძალნი სულისა მიერ არიან დამტკიცებულნი. დამტკიცებაში, ცხადია, შენ კეთილ ჩვევათა უცვალებლობა უნდა იგულისხმო. ღმერთთან ურთიერთობა, ბოროტისაკენ გადაუხრელობა და ყოფა ნეტარებასა შინა ძალებს ხომ სულისაგან წმიდისა ენიჭებათ. ქრისტეს მოსვლაა და სული წინა უძღვის, ხორცით გამოჩინებაა და სული მასთან განუყრელია. მოქმედებანი ძალთა, მადლი კურნებათა სულისა წმიდისაგანაა. ბოროტი სულებიც სულითა ღმრთისათა განიდევნენ. თანამყოფობით სულისა ეშმაკი უმოქმედო გახდა. სულიწმიდისაგანაა ცოდვათა გამოსყიდვაც. **არამედ განიბანენით,**

არამედ განიწმინდენით... სახელითა უფლისა იესუჲსითა და სულისა ღმრთისა ჩუენისათა(Iკორ.VI,11).

სულიწმიდის მიერაა შეთვისებაც ღმერთთან. **გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისაჲ გულთა შინა ჩუენთა, რომლითა ვღაღადებთ: აბბა, მამაო**(გალატ. IV,6). მკვდართა აღდგომაც სულიწმიდის ქმედებითაა. **გამოავლინო სული შენი და დაჰბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისაჲ**(ფს.103,30). უკეთუ ვინმე **დაბადებადი** დარღვეულის გაცოცხლებას გაიგებს, განა დიდებული არ იქნება ქმედება სულისა, რომელიც ცხოვრებას აღდგომის მიერ გვაძლევს და ჩვენს სულებს სულიერი სიცოცხლისათვის გარდაქმნის? ხოლო უკეთუ **დაბადებას** ცოდვით დაცემულთა აქვე გარდაქმნას ვუწოდებთ, რადგან წმიდა წერილი ჩვეულებრივ ამ სიტყვას ასე იყენებს, მაგალითად, როცა პავლე ამბობს: **არა-ამედ რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული**(2კორ.V,17), მაშინ აქაური განახლება და მიწიერი და შფოთიანი ცხოვრებიდან ზეციურ სამყოფელსა შინა გადასვლა, რომელიც ჩვენში სულიწმიდით აღესრულება, ჩვენს სულებს ყველაზე მეტად აოცებს.

ამის შემდეგ რისი უნდა გვეშინოდეს, იმისი ხომ არა, რომ გადაჭარბებულ პატივთა მიგებით ღირსებას ავუმაღლებთ? თუ, პირიქით, იმისა, რომ გაგება მისი მაშინაც კი არ დავამდაბლოთ, როცა იმდენად ვადიდებთ, რამდენადაც ამ დიდების გამოთქმა კაცობრივ სჯასა და ენას შეუძლია? ამას ამბობს სულიწმიდა, რადგან ამას ამბობს უფალიც: **არამედ აღდეგ და გარდაგუალე და მივედ მათ თანა და ნურარას ორგულებ, რამეთუ მე მომივლინებიან იგინი**(საქმ.X,20). ნუთუ ეს სიტყვები დამდაბლებულისა და უგულვებელსაყოფელისაა? **გამომირჩიენით მე ბარნაბა და სავლე საქმესა, რომელსა მე უწოდი მათ**(საქმ.XIII,2). – განა მონა ასე იტყვის? ესაიაც ამბობს: **უფალმან მომავლინა მე და სული მისი**(ეს.48,16); და: **შთამოვიდა სული უფლისა მიერ და გზა-უყო მათ**(ეს.63,14). აქ სიტყვას **გზაუყო**(ὡδήγησεν), ვითარცა მდაბალ მსახურებას, ისე ნუ გაიგებ, რადგან ეს საქმეა ღმრთისა, როგორც ამას წმ. წერილიც ამოწმებს: **უძელუ ვითარცა ცხოვარსა ერსა შენსა**(ფს.76,20); და: **რომელი უძღვ ვითარცა ცხოვარსა იოსებსა**(ფს.79,1); და **უძღოდა მათ სასოებითა და არა შეეშინა**(ფს.77,53). ამიტომ, როცა მოისმენ: **ოდეს მოვიდეს** ნუგეშინისმცემელი, იგი **გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა**(ინ.XVI,13), მაშინ სიტყვაში **წინამძღოლობა** სწავლება იგულისხმე და მის გაგებას ნუ დაამახინჯებ.

50. მაგრამ ნათქვამია: **სული მეოხ არს ჩუენთჳს**(რომ.8,26); მაშასადამე, ამბობ შენ, რამდენადაც მთხოვნელი დგას დაბლა ქველმოქმედზე, იმდენად დაშორებულია სული ღირსებით ღმრთისაგან. მაგრამ განა შენ არ მოგისმენია მხოლოდშობილის შესახებ, რომ იგი არის **მარჯუენით ღმრთისა, რომლიცა-იგი მეოხ არს ჩუენთჳს?**(რომ.VIII,34). იმის გამო, რომ სული შენშია, თუ სრულადაა შენში, დაბრმავებულებს არჩევას უკეთესისას გვასწავლის და გვმოძღვრავს, მის შესახებ ღმრთისმოსაურსა და წმინდა თვალსაზრისს ნუ დააზიანებ,

რადგან უკიდურესი უსამართლობაა ის, რომ კაცთმოყვარეობა ქველმოქმედისა უმადურობის საბაბად აქციო. **ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა**(ეფ.IV,30). მოისმინეთ, რას ამბობს პირველმოწამე სტეფანე, საყვედურობს რა ხალხს, შეუსმენელსა და დაუმორჩილებელს: **თქუენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინა-აღუდგებით**(საქმ.VII,51); და ესაიაც ამბობს: **განაძჭნეს სული წმიდაჲ მისი, და გარდაექცა მათ [უფალი] მტერად**(ეს.63,10). და სხვაგან: **სახლმან იაკობისმან განარისხა სული უფლისაჲ**(მიქ.II,7). განა ცხადად არაა წარმოდგენილი სრულუფლებიანი ძლიერება? მკითხველებს წარვუდგენ განსასჯელად: ამის მომსმენთ, როგორი გაგება უნდა ჰქონდეთ სულისა წმიდისა: ვითარცა იარაღისა, ქვეშევრდომისა, ღირსებით ქმნილების თანასწორისა და ჩვენისა თანამსახურისა? თუ ღმრთისმოსავთათვის ეს მკრეხელობა უმძიმესი და, ერთი სიტყვით, დამაბრკოლებელია? მონას უწოდებ სულიწმიდას? მაგრამ ნათქვამია: **მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი**(ინ.XV,15), სულიწმიდამ კი ისე იცის ღმრთისა, ვითარცა სულმა იცის კაცისა, **რომელი არ მის თანა**(Iკორ.II,11).

თავი XX

იმათ მიმართ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სულიწმიდა არც მონის ხარისხითაა და არც უფლის, არამედ თავისუფალთა შორისაა.

51. ამბობენ, რომ სულიწმიდა არც მონაა და არც უფალი, არამედ თავისუფალია. საკვირველია გონებაშეზღუდულობა და შესაბრალისი უშიშრობა ამის მთქმელთა. რა უფრო უნდა დავიტიროთ მათი? უვიცობა? თუ მკრეხელობა? ისინი ხომ ღმრთისმეტყველების დოგმატებს კაცობრივი მაგალითებით შეურაცხყოფენ და ცდილობენ, აქაური ჩვევა ღირსებათა სხვაგვარად გარჩევისა ღმრთეებრივსა და გამოუთქმელ ბუნებას მიუსადაგონ, ვერ იაზრებენ რა იმას, რომ კაცთა შორის მონა ბუნებით არავინაა. ადამიანები ხომ მონობის უღელქვეშ ძალის გამოყენებით არიან შეყვანილნი, როგორც დატყვევებისას, ან სიღარიბით არიან დამონებულნი, ვითარცა ეგვიპტელები ფარაონისადმი; ან რაღაც ბრძნული და საიდუმლო განგებულებით, ყრმათაგან უარესთ, სიტყვისამებრ მამისა, უფრო კეთილგონიერთა და უკეთესთა მონობა აქვთ მისჯილნი, რომელსაც ვინმე მართალი გამომძიებელი არა სასჯელს, არამედ ქველმოქმედებას დაარქმევდა. რადგან ვინც გონიერების ნაკლებობის გამო თავის თავში ბუნებით მმართველს არ მოიცავს, მისთვის სხვისი მფლობელობის ქვეშ მოხვედრა უფრო სასარგებლოა, რათა მფლობელის გონიერებით იმართოს, მსგავსად ეტლისა, რომელსაც მეეტლე ჰყავს, ან ხომალდისა, რომლის საჭესთან მესაჭე ზის. იმიტომაც გახდა იაკობი, კურთხევით მამისა, უფალი ესავისა, რომ უგუნურს, რომელსაც საკუთარი მცველი, გონება არ ჰქონდა, საწინააღმდეგოდ მისი სურვილისა, გონიერის ქველმოქმედებით ესარგებლა. და ქანაანიც

იმიტომაც იქმნა **მონა ძმათა მისთაჲ**(დაბ.9,25), რომ ჰყავდა რა უგუნური მამა ქამი, თვითონაც ქველმოქმედებაში განუსწავლელი იყო. აი, რატომ არიან აქ მონები; თავისუფალნი კი ისინი არიან, რომელთაც თავი დააღწიეს სიღარიბესა და ომებს და სხვათა მზრუნველობას არ საჭიროებენ. ამიტომ, თუმცა ერთი ბატონად(უფლად) იწოდება, ხოლო მეორე მსახურად(მონად), ყველანი თანამსახურნი ვართ, როგორც ერთიმეორის მიმართ პატივის მიგების მიხედვით, ისე, როგორც საკუთრებანი იმისა, ვინც შეგვქმნა. იქ კი რას შეიძლებ მონობისაგან გასათავისუფლებლად? რადგან ერთიანად ყველა მონად შეიქმნა და განმზადდა. ზეციური არსებანი ერთმანეთზე არ მთავრობენ, რადგან არ აქვთ ვნება გაბატონებისა, არამედ ყველანი ღმერთს ემორჩილებიან და მას, ვითარცა უფალს, სათანადო შიშს, ხოლო ვითარცა შემოქმედს შესაფერის დიდებას მიაგებენ, რადგან **ძე ადიდებს მამასა და მონაჲ ეშიშჳს უფალსა თჳსსა.** ღმერთი ამ ორიდან ერთს უცილობლად ითხოვს, როცა ამბობს: **უკეთუ მამაჲ ვარ მე, სადა არს დიდებაჲ ჩემი? და უკეთუ უფალი ვარ მე, სადა არს შიში ჩემი?**(მალაქ.I,6). გარეშე უფლის ზედამხედველობისა, ყველას ცხოვრება ფრიად შესაბრალისი იქნებოდა. ის განდგომილნი ძალნი, რომელთაც ქედი ყოველთა მპყრობელის წინააღმდეგ აღიმაღლეს, მონობაზე უარს ამბობენ არა იმიტომ, რომ სხვაგვარნი დაიბადნენ, არამედ შემოქმედისადმი დაუმორჩილებლობის გამო. ამიტომ, ვის უწოდებ შენ თავისუფალს? ვისაც უფალი არ ჰყავს? თუ იმას, რომელსაც არც თვითონ აქვს ძალა სხვათა მართვისა და ვერც სხვისგან მართვას იწყნარებს? მაგრამ არსებულთა შორის ასეთი ბუნების მქონე არ არსებობს და ასეთი ფიქრი სულიწმიდის შესახებ ცხადი უსჯულოებაა. ამიტომ, უკეთუ იგი შექმნილია, მაშინ უეჭველად მონაა ყველა დანარჩენ ქმნილებასთან ერთად, რადგან ნათქვამია: **ყოველივე გმონებს შენ**(ფს.118,91); ხოლო თუკი ის ქმნილებაზე მაღლაა, მაშინ მოზიარეა სამეფო ძალაუფლებისა.

თავი XXI
დამოწმებანი წმიდა წერილიდან სულიწმიდის, ვითარცა უფლის, სახელთა შესახებ.

52. საჭიროა კი დამამცირებელ გაგებათა შესახებ კამათისას სიტყვის ძიება სამარცხვინო გამარჯვებისათვის, როცა უმნიშვნელოვანეს ცნებათა წარმოდგენით დიდების უდავოდ უპირატესობის დამტკიცებაა შესაძლებელი? ის რომ ვთქვათ, რაც წმიდა წერილიდან ვისწავლეთ, შეიძლება სულიწმიდის წინააღმდეგ მებრძოლებმა ხმამაღალი და ძლიერი ღაღადისის ხმა ამოუშვან, სასმენელნი დაიხშონ, ქვები აიღონ, ან, რაც კი ხელში მოხვდებათ, იარაღად აქციონ და თავს დაგვესხან. მაგრამ ჩვენ ჭეშმარიტებას ჩვენი უსაფრთხოება არ უნდა ვამჯობინოთ.

ამგვარად, მოციქულთან ვიპოვეთ: **ხოლო უფალმან წარუმართენ გულთა**

თქუენთა სიყუარულსა ღმრთისასა და მოთმინებასა ქრისტესსა(2თეს.III,5). ვინ არის ეს უფალი, რომელიც წარმართავს ღმრთის სიყვარულისა და ქრისტესათვის მწუხარების დათმენისაკენ? დაე, გვიპასუხონ მათ, რომელნიც სულიწმიდას მონად აცხადებენ. სიტყვა რომ ღმერთსა და მამას ეხებოდეს, უეჭველად ასე იქნებოდა თქმული: უფალი წარგმართავს თქვენ მისი სიყვარულისაკენ; ხოლო უკეთუ სიტყვა ძეს ეხება, მაშინ იტყოდა: მისი დათმენისაკენ. დაე, მოძებნონ რომელია სხვა პირი, რომელიც უფლად წოდების პატივის ღირსი იქნებოდა.

მსგავსად ამისა, სხვა ადგილასაცაა თქმული: **ხოლო თქუენ უფალმან გარდაგრიენ და გარდაგმატენ სიყუარულითა ურთიერთარს და ყოველთა მიმართ, ვითარცა-ესე ჩუენ თქუენდა მიმართ, განმტკიცებად გულთა თქუენთა სიწმიდით და უბიწოდ წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ყოველთა თანა წმიდათა მისთა**(Iთეს.III,12-13). რომელ უფალს ევედრება მოციქული **წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა და მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა** თესალონიკში მყოფთა გულნი უბიწოდ განამტკიცოს, სიწმიდეთა მიერ დამტკიცებული? დაე, გვიპასუხონ მათ, რომელნიც სულიწმიდას მსახური სულების, რომელნიც მსახურებისათვის არიან წარმოგზავნილნი, გვერდით აყენებენ. მაგრამ პასუხი არ აქვთ.

ამიტომ, სხვა დამოწმებანიც მოისმინონ, რომელშიც სულიწმიდა უფლად ასევე ცხადად იწოდება; ნათქვამია: **ხოლო უფალი სულ არს**(2კორ.III,17); და კიდევ: **ვითარცა-იგი უფლისაგან სულად**(18); მაგრამ წინააღმდეგობისთვის არავითარი საბაბი რომ არ დარჩეთ, თავად მოციქულის ნათქვამს შემოგთავაზებთ: **ვიდრე დღენდელად დღემდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძუელისა შჯულისასა ჰგიეს აღუძარცუელად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარდების... ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცუვის საბურველი იგი. ხოლო უფალი სულ არს**(2კორ. III,14,16,17). რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ასოთა შიშველ გაგებაზე შეჩერებულთა, და იუდეური გაგებით, სჯულის კანონთა დამცველთათვის, ვითარცა რაღაც საფარველით, ასოები გულს იხურავენ. მატერიალური დაცვა სჯულისა ქრისტეს მოსვლით გაუქმდა, როცა პირველსახენი ბოლოს და ბოლოს სინამდვილედ გარდაიქმნენ. აღარაა ხომ საჭირო ლამპარნი, როცა მზე ამოვა. როგორც კი ჭეშმარიტება ამობრწყინდა, სჯულიც გაუქმდა და წინასწარმეტყველნიც დადუმდნენ. ვინც სჯულისმიერი აზრის სიღრმესა შინა შეაღწია და სიტყვა-სიტყვით გაგების ბუნდოვანების, ვითარცა რაღაც საფარველის, ახდა შეძლო და დაფარულსა შინა შევიდა, მან მიბაძა მოსეს, რომელმაც ღმერთთან საუბრისას საბურველი აიხადა და ასოდან სულამდე მიიქცა. ამგვარად, საბურველს მოსეს პირისახისა სჯულისმიერ სწავლებათა ბუნდოვანება შეესაბამება, ხოლო მოქცევას უფლისაკენ – სულიერი ჭვრეტა. ამიტომაც, ვინც სჯულის კითხვისას ასოს განიშორებს და უფლისაკენ მიიქცევა, უფალი კი ახლა სულიწმიდას ეწოდება, მოსეს ემსგავსება, ვისაც ღმრთის გამოცხადებისა გამო დიდებული სახე ჰქონდა. ისევე როგორც ფერადი ნივთებისაგან მომდინარე სხივების გამო, ისიც იღებება, რაც მათ გვერ-

დით დევს, ასევე ისიც, ვინც სულიწმიდას გულისხმისყოფით მოუსმენს, მისი დიდებისაგან ნათლითმოსილად გარდაიქმნება და გულსაც, ვითარცა რაღაც ნათელი, ჭეშმარიტება სულისა წმიდისა გაუნათებს. და ეს გარდაქმნა სულიწმიდის დიდებიდან საკუთარ დიდებამდე, არა ძუნწად და არა ძლივს შესამჩნევად ხდება, არამედ იმდენად, რამდენიც სულიწმიდისაგან განათლებულს შეეფერება. ნუთუ არ გრცხვენია, ადამიანო, ვისაც მოციქულმა გითხრა: **ტაძარნი ღმრთისანი ხართ და სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის**(Iკორ.III,16)? განა ის ოდესმე დათანხმდებოდა, მონური საცხოვრისისათვის პატივის მიგებას წოდებით ტაძრისა? და კიდევ რა? ვინც წმიდა წერილს ღმრთივსულიერს უწოდებს იმისა გამო, რომ იგი სულიწმიდის შთაგონებითაა დაწერილი, ნუთუ სულის შეურაცხმყოფელსა და დამამცირებელ გამოთქმებს გამოიყენებს?

თავი XXII
თვალსაზრისი სულიწმიდის მამასა და ძესთან ბუნებით ერთობაზე და იმის შესახებ, რომ რაღგანაც იგი მამისა და ძის მსგავსია, მიუწვდომელია ჭვრეტისათვის.

53. უპირატესობა მისი ბუნებისა არა მხოლოდ იმით შეიცნობა, რომ მამისა და ძის იგივეობრივი სახელები და მათთან საერთო ქმედებანი აქვს, არამედ იმითაც, რომ მათ მსგავსად ჭვრეტისთვისაც მიუწვდომელია; რადგან რაც ნათქვამია მამის შესახებ, კერძოდ, რომ იგი კაცობრივი გონების მიღმაა და რაც ძის შესახებაა თქმული, უფალი სულიწმიდის შესახებაც იმავეს ამბობს: **მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა**(ინ.XVII,25). ხოლო სამყაროდ(სოფელად) აქ არა ზეცისა და მიწის შედგენილობა იწოდება, არამედ ეს წარმავალი ცხოვრება, რომელიც ათასგვარ ცვალებადობას ემორჩილება. ხოლო საუბრობს რა თავისი თავის შესახებ, ამბობს: **მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქვენ მხედვიდეთ მე**(ინ.XIV,19). აქაც კვლავ სოფელს(სამყაროს) იმათ უწოდებს, რომელნიც ნივთიერ და ხორციელ ცხოვრებას ეძლევიან, ჭეშმარიტების აღქმას მხოლოდ თვალებს ანდობენ და არ სწამთ რა აღდგომისა, გულის თვალებით უფალს ჩვენსას ვერასოდეს იხილავენ.

იგივე აქვს ნათქვამი მას სულიწმიდის შესახებაც: **სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად. რამეთუ არა ხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს**(ინ.XIV,17). რადგან ხორციელ კაცს, რომელსაც გონება ჭვრეტით არ გაუწვრთნია, უკეთ რომ ვთქვათ, ვითარცა ჭაობში, მთლიანად ხორციელ სიბრძნესა შინაა შთაფლული, თვალის გასწორება ჭეშმარიტების სულიერი სინათლისათვის არ შეუძლია. ამიტომ სამყარო, ანუ ხორციელ ვნებებს დამონებული სიცოცხლე, ვითარცა სნეული თვალი ნათელს მზის სხივისა, ისე მადლს სულისა წმიდისა ვერ შეიწყნარებს. ხოლო თავის მოწა-

ფეებს, რომელთა შესახებაც უფალმა დაამოწმა, რომ მის სწავლებათა შედეგად განწმენდილი ცხოვრება ჰქონდათ, ძალა მისცა, რომ სულიწმიდის საიდუმლოდ მხედველნი და მჭვრეტელნი ყოფილიყვნენ, რადგან ეუბნება: **ხოლო თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ**(ინ.XV,3). სამყაროს მისი მიღება იმიტომაც არ შეუძლია, რომ ვერ ჭვრეტს მას, **ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს.** ესაიაც ამასვე ამბობს: ქუეყანაჲ **დაამტკიცა და დაამყარა მის შორისნი და მისცა ერსა მისსა სამშჳნველი, რომელ არს მას ზედა, სული ყოველთა მთრგუნველთა მისთა**(ეს.42,5). იმათ შესახებ, რომელთაც მიწა დათრგუნეს და მასზე მაღლა დადგნენ, წინასწარმეტყველი ამოწმებს, რომ ღირსნი არიან სულიწმიდის ნიჭთა მიღებისა. ამიტომ რად უნდა მივიჩნიოთ იგი, ვისაც სოფელი ვერ იტევს და მხოლოდ წმინდანთა მიერ გულის სიწმინდით იჭვრიტება, ან ვითარი პატივისმიგება შეჰფერის მას?

თავი XXIII
იმის შესახებ, რომ ჩამონათვალი, რომელიც მას ეკუთვნის, სულიწმიდის დიდებისმეტყველებაა.

54. სხვა ძალთა შესახებ გვწამს, რომ თითოეული გარშემოწერილ ადგილას იმყოფება. რამეთუ ანგელოზი, რომელიც კორნელიუსს წარუდგა, იმავდროულად არ ყოფილა ფილიპესთან(საქმ.VIII,26 და X,3), არც იმ ანგელოზს, რომელიც **საკუმეველისა კუმევისასა**(ლუკ.I,10) ზაქარიას ესაუბრა, იმ დროს თავისი ადგილი ზეცაში არ ეკავა. სულიწმიდის შესახებ კი გვწამს, რომ ის ერთდროულად მოქმედებს ამბაკუმშიც და დანიელშიც, რომელიც ბაბილონში იყო(დან.XIV,33-36), ამასთან, იერემიასთანაც იყო და ეზეკიელთანაც **ზედა ქობარისასა**(ეზეკ.I,I). **სულმან უფლისამან აღავსო სოფელი**(სიბრძ. სოლ.I,7) და: **ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი**(ფს.138,7)? და წინასწარმეტყველიც ამბობს: **რამეთუ მე თქუენ თანა ვარ, იტყჳს უფალი... და სული ჩემი დადგა საშუალ თქუენსა**(ანგ.II,5,6). როგორი ბუნება უნდა ვაღიაროთ იმისა, რომელიც ყველგან არის და თანამყოფია ღმრთისა? როგორი ბუნებაც ანგელოზებისა გვიჩვენა წმიდა წერილმა? – ყოვლისა მომცველი თუ ცალკეული ადგილებით გარემოცული? არავინ იტყვის, რომ გარემოცული. და ვინც ბუნებით ღმრთეებრივია, სიდიდით გარეშემოუწერელი, ძლიერი მოქმედებათა შინა და კეთილი ქველმოქმედებით, არ ავამაღლოთ და არ ვადიდოთ? მე არა სხვა რამით შევუდგები მის დიდებას, არამედ სასწაულთა აღრიცხვით, რომელიც მას ეკუთვნის. ამგვარად, მათ ან სულიწმიდისაგან ბოძებულ კეთილთა დავიწყება გვიბრძანონ, ან თხრობა იმის შესახებ, რაც სულიწმიდას ეკუთვნის, უმაღლესი დიდებისმეტყველების აღსრულებად აღიარონ, რადგან არც ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო

ქრისტესი და არც მხოლოდშობილი ძე მისი სხვაგვარად არ იდიდება, თუ არა, ძალისაებრ ჩვენისა, მათი სასწაულების ჩამოთვლით.

თავი XXIV
მხილება მათი ახირებისა, რომელნიც სულიწმიდას არ აღიდებენ; სადიდებელ ქმნილებებთან მისი შედარებიდან გამომდინარე.

55. ამასთან, დიდებითა და პატივით გარემოცულია საერთოდ ადამიანი, და **დიდებაჲ და პატივი და მშჳდობაჲ** ყოველი კეთილისმოქმედისათვის(რომ.II,10) აღთქმათა მიხედვითაა განმზადებული. არის დიდება, რომელიც საკუთრად ისრაელისაა, რადგან მის შესახებ ნათქვამია: **რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და მსახურებანი**(რომ.IX,4); თავის რაღაც დიდებაზე ფსალმუნთა მგალობელიც ამბობს: **რაჟამს გიგალობდე შენ დიდებითა ჩემითა**(ფს.107,1); და კიდევ: **განიღჳძე, დიდებაო ჩემო**(ფს.107,2). არის ვიეთიმე დიდება მზისა, მთვარისა და ვარსკვლავთა(Iკორ.XV,41); მოციქულის მიხედვით, არის **მსახურებაჲც დაშჯისაჲ** – დიდებისათვის(2კორ.III,9). ამდენ განდიდებულთა შორის შენ გსურს, რომ მხოლოდ სულიწმიდა იყოს ყველაზე ნაკლებ განდიდებული? მაგრამ ნათქვამია, რომ: **მსახურებაჲ იგი სულისაჲ იყოს დიდებით**(2კორ.III,8). რატომ არის იგი არაღირსი დიდებისათვის? თუმცა ფსალმუნთა მგალობელის მიხედვით, დიდია დიდებაჲ მართლისა, შენი აზრით, სულიწმიდას მაინც არავითარი დიდება არ აქვს. ამ სიტყვებით როგორ დაიტეხე თავს არა თვალსაჩინო საფრთხე, გარდაუვალი ცოდვა? უკეთუ მართალ საქმეთა მიერ ხსნილი ადამიანი უფლის მოშიშთაც კი ადიდებს, მით უმეტეს, სულიწმიდას არ უნდა მოაკლდეს შესაფერისი ქება.

დაე, იყოს, ამბობენ ისინი, განდიდებული, მაგრამ არა მამასა და ძესთან ერთად. რა მიზეზი არსებობს სულისა წმიდისათვის სხვა ადგილის მოსამზადებლად, იმისათვის, რომ დავატოვებინოთ ადგილი, რომელიც უფალმა განუსაზღვრა და საერთო დიდებას მოვაკლოთ ის, ვინც ყველგან ღმრთეებასთანაა შეერთებული? აღმსარებლობაში რწმენისა, ნათლობაში გამოხსნისა, ძალთა ქმედებისას, დამკვიდრებისას წმინდანთა შორის, მორჩილებისათვის მადლისმიერ ნიჭთა მინიჭებისას? რამეთუ საერთოდ არ არსებობს ნიჭი, რომელიც ქმნილებაზე, გარეშე სულისა წმიდისა, გადმოვა. ასე რომ, როგორც ეს ჩვენ სახარებაში უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისაგან ვისწავლეთ, ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად უბრალო სიტყვის წარმოთქმაც კი შეუძლებელია სულიწმიდისაგან შემწეობის გარეშე(მთ.X,20). ყოველივე ეს, არ ვიცი მხედველობიდან სულიწმიდის რომელ მოზიარეს გამორჩება და დაივიწყებს რა მის მონაწილეობას ყოველივესა შინა, მამისა და ძისაგან მის მოწყვეტას დათანხმდება. ამრიგად, სად უნდა შევრაცხოთ იგი? ქმნილებათა გვერდით? მაგრამ ყოველი ქმნილება მონაა, სულიწმიდა

კი – თავისუფალი, რამეთუ: **სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს**(2კორ. III,17). რამდენადაც ბევრი რამის თქმა შეიძლება დასამტკიცებლად იმისა, რომ სულიწმიდას შექმნილ ბუნებათა გვერდით შერაცხვა არ შეჰფერის, ამდენად სიტყვას ამის შესახებ ამჯერად გადავდებთ; რადგან საკითხის მნიშვნელობის შესაფერის საკუთარ მტკიცებულებათა მოსაყვანად და მოწინააღმდეგეთა პასუხების დასარღვევად(უარსაყოფად) მრავალი მსჯელობა დაგვჭირდება, რის გამოც შეიძლება მკითხველებს მრავალსიტყვაობით წიგნისა თავი შევაწყინოთ. ამიტომ გადავინახავთ რა ამას განსაკუთრებული თხზულებისათვის, ჩვენს ახლანდელ საგანს დავუბრუნდებით.

ამრიგად, განვიხილოთ დაწვრილებით. სულიწმიდა ბუნებით სიკეთეა, ისევე როგორც სიკეთეა მამა და სიკეთეა ძე. ქმნილება კი, არჩევით სიკეთისა ეზიარება კეთილს. სულიწმიდამ სიღრმე იცის ღმრთისა, ხოლო ქმნილება დაფარულის განცხადებას სულისაგან წმიდისა იღებს. სულიწმიდა ყოველთა ცხოველსმყოფელ ღმერთსა და სიცოცხლის მომცემელ ძესთან ერთად განაცხოველებს, რადგან ნათქვამია: **რომელმან-იგი აღადგინა ქრისტე მკუდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ჴორცნი თქუენნი დამკჳდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა**(რომ.X,11); და კიდევ: **ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინიან, და მე ვიცნი იგინი, და მომდევდენ მე. და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ**(ინ.X,27-28). მაგრამ ასევე ნათქვამია **სულად განმაცხოველებელად**(Iკორ. XV, 45); და კიდევ: **სული – ცხოველ სიმართლისათვის**(რომ.VIII,10). და უფალიც ამოწმებს, რომ სულიწმიდა ცხოველსმყოფელია: **სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან**(ინ.VI,63). ამიტომ, გავაუცხოვებთ რა სულს ცხოველმყოფელი ძალისაგან, როგორ უნდა დავამკვიდროთ იგი იმათ შორის, რომელთა ბუნებაც ჯერ სიცოცხლეს ითხოვს?

ვინ არის ისეთი ჭირვეული, ზეციურ ნიჭთა უზიარებელი, ღმრთის სიკეთეთა გემოუხილველი, მარადიულ სასოებათაგან მოკლებული, რომ სულიწმიდა ღმრთეებას განაშოროს და ქმნილებათა გგერდით დააყენოს?

57. ჩვენთვის, ამბობენ ისინი, სულიწმიდა არის ვითარცა საჩუქარი ღმრთისა. მაგრამ საჩუქარი მისი მბოძებელის თანაბარი პატივით არასოდეს იდიდება. სულიწმიდა მართლაც საჩუქარია ღმრთისა, მაგრამ საჩუქარი სიცოცხლისა, რადგან ნათქვამია: **შჯულმან სულისა ცხორებისამან განმათავისუფლა ჩვენ**(რომ. VIII,2), და საჩუქარი ძალისა: **მოიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენზედა**(საქმ.I,8). ნუთუ ამის გამო უნდა იქნეს იგი ათვალწუნებული? განა ძეც ღმერთმა არ მიუძღვნა ადამიანებს? ნათქვამია ხომ: **რომელმან-იგი ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩვენ ყოველთათჳს მისცა იგი, ვითარ უკუე არა მითურთ ყოველივე მოგუანიჭოს ჩუენ?**(რომ.VIII,32); მოციქული განკაცების საიდუმლოებაზე სხვაგანაც ამბობს: **რაჲთა ვიცოდით ღმრთისა მიერ მონიჭებული იგი ჩუენდა**(Iკორ.II,12). ამიტომ, მათ, ვინც ამას ამტკიცებს, იუდეველებს ხომ არ გადააჭარბეს უსამართლობაში, რადგან სიკეთეთა სიუხვე მკრეხელობის საშუ-

ალებად გადააქციეს? ისინი სულს ბრალად იმას დებენ, რომ კადნიერება გვიბოძა, ღმერთს ჩვენი მამა ვუწოდოთ: **გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისაჲ გულთა შინა ჩუენთა, რომლითა ვღაღადებთ: აბბა, მამაო**(გალატ.IV,6), რათა მისი ხმა, მისთა შემწყნარებელთა საკუთარი ხმაც გამხდარიყო.

თავი XXV
იმის შესახებ, რომ წმიდა წერილი მარცვალს -*ში/-ით*(ἐν) მარცვლის -*თან*(σύν) ნაცვლად იყენებს[8] და, აგრეთვე, რომ მარცვალი *და*(καὶ) -*თან*(σύν) მარცვლის თანაბარი ძალისაა.

58. წმიდა წერილი, ამბობენ ისინი, რატომ არასოდეს არ გადმოსცემს სულიწმიდის დიდებას მამასა და ძეს**თან** ერთად, არამედ წინდახედულად არიდებს რა თავს გამოთქმას **სულთან,** ყველგან უპირატესობას ანიჭებს გამოთქმას **მისით**(ἐν αὐτῷ), ვითარცა უფრო შესაფერისს?

ჩემი მხრიდან არ ვიტყოდი, რომ მარცვალი **-ში/-ით**(ἐν) ნაკლებად პატივსაცემ შინაარსს გამოხატავს, არამედ, პირიქით, ვიტყოდი, რომ ჯანსაღად გაგებულს გონება უდიდეს სიმაღლეზე აჰყავს, რადგან ყურადღება მივაქციეთ, რომ ხშირად **-თან** მარცვალს ენაცვლება,[9] როგორც მაგალითად: და გამოიყვანნა იგინი **ოქროჲთა** და **ვეცხლითა** (ἐν ἀργυρίῳ καὶ χρυσίῳ) ანუ ოქროსა და ვერცხლ**თან** ერთად(ფს.103,37). და: არა გამოხუედ ღმერთი **ძალითა** (ἐν ταῖς δυνάμεσιν) ჩუენდა, ნაცვლად: ძალ**თან** ერთად (σὺν ταῖς δυνάμεσιν)(ფს.43,9). და ამგვარი ადგილი ათასობითაა.

საერთოდ, სიამოვნებით ვისწავლიდი ახალი სიბრძნიდან, როგორი დიდებისმეტყველება აღასრულა მოციქულმა გამოთქმით **-ში/-ით**(ἐν): იმ სახით, რა სახითაც მას ახლა ეს ადამიანები, ვითარცა წმ. წერილიდან გადმოტანილს წარმოთქვამენ? რადგან ვერსად ვერ ვიპოვე, რომ იყოს ნათქვამი: შენდა, მამაო, პატივი და დიდება მხოლოდშობილი ძისა შენისა მიერ(διά) სულიწმიდით(ἐν), მაშინ, როცა მათთან ახლა ეს დიდებისმეტყველება, ასე ვთქვათ, თვით სუნთქვაზე უფრო ჩვეულებრივია. თუმცა თითოეული ამ გამოთქმის ცალ-ცალკე პოვნა შეიძლება, მაგრამ ვერ შეძლებენ მიუთითონ რომელიმე ადგილზე, სადაც ისინი ერთად და თანაც ასეთი წყობით იქნება გადმოცემული. ამიტომ, უკეთუ იმას იძიებენ, რა წერია წმიდა წერილში, დაე, მიუთითონ, საიდან მოაქვთ ის, რასაც ამბობენ; ხოლო თუ ადათს უთმობენ, ამას ნურც ჩვენ აგვიკრძალავენ.

59. რადგან მორწმუნეებთან ორივე გამოთქმა ვნახეთ გამოყენებული, ჩვენც ორივეს ვიყენებთ, გვწამს რა, რომ სულიწმიდის დიდება ერთითაც და მეორითაც თანაბრად აღესრულება. ხოლო იმათ, რომელნიც ჭეშმარიტებას ამახინჯებენ,

[8] ბერძნული ენის წინდებულებს ქართულ ენაში თანდებულები შეესაბამება.

[9] ბერძნულში ἐν წინდებულიანი სახელი მიცემით ბრუნვაში, ქართულად გადმოღებისას ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვითაც(-ით) გადმოდის, ისევე როგორც ზოგჯერ σὺν წინდებულიანი.

უფრო მეტად დაუხშობს ბაგეებს შემოთავაზებული გამოთქმა, რომელიც წმიდა წერილში **და** კავშირის ნაცვლად გამოიყენება და მნიშვნელობით მისი მსგავსია, მაგრამ მოწინააღმდეგეებს ხელს მაინცდამაინც არ აძლევს და მათ მიერ ახლაც სადაო ხდება. ერთი და იგივეა ხომ, რას ვიტყვით: პავლე და სილუანე და ტიმოთე, თუ პავლე ტიმოთესა და სილუანესთან ერთად, რადგან ორივე შემთხვევაში გამოთქმის მიერ სახელთა შორის კავშირი ერთნაირადაა შენარჩუნებული. ამგვარად, უკეთუ უფალმა თქვა: მამა და ძე და სულიწმიდა, ხოლო მე ვიტყვი მამა და ძე სულიწმიდასთან ერთად, მნიშვნელობის მიხედვით ჩემი ნათქვამი რაღაც სხვა იქნება? სახელთა ერთობის **და** კავშირით გამოხატვას მრავალი ადგილი ამოწმებს, რადგან ნათქვამია: „მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი **და** სიყუარული ღმრთისა **და** მამისაჲ, **და** ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ“(2კორ. XIII,13); და კიდევ: „ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა **და** სიყუარულითა მით სულისაჲთა“(რომ.XV,30). ამგვარად, თუ ნაცვლად **და** კავშირისა **–თან** მარცვლის გამოყენებას მოვისურვებთ, რამე სხვას გავაკეთებთ? მე ვერ ვხედავ ვერავითარ სხვაობას გარდა იმისა, რომ ვინმე, მიმდევარი გრამატიკის მშრალი წესებისა, მიანიჭებდა რა კავშირს უპირატესობას, ვითარცა შემაუღლებელსა და ერთობის უფრო მეტად გამომხატველს, წინდებულს, როგორც არათანაბარი მნიშვნელობის მქონეს, შორს განდევნიდა. მაგრამ ჩვენგან ანგარიშის ჩაბარება ამაშიც რომ მოეთხოვათ, ალბათ, თავის გასამართლებლად ბევრი სიტყვა არ დაგვჭირდებოდა.

ახლა ჩვენ სიტყვა მარცვალთა და ამა თუ იმ სიტყვის ბგერაზე კი არ გვაქვს, არამედ საგნებზე, რომელნიც მნიშვნელობითა და ჭეშმარიტებით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. ამ მიზეზით, თუმცა ამ შემთხვევაში მარცვალთა გამოყენებას მნიშვნელობა არ აქვს, ისინი მათგან ზოგიერთის აღიარებას, ხოლო ზოგიერთის ეკლესიიდან განდევნას ცდილობენ. თუმცა სარგებლობა ამ მარცვლის(**–თან**) გამოყენებისა პირველი მოსმენისთანავე ცხადი ხდება, მე მაინც გაჩვენებთ მიზეზს, რომლის გამოც ჩვენს მამებს ამ წინდებულის გამოყენება გამოუკვლეველად არ მიუღიათ. გარდა იმისა, რომ ეს ***-თან და*** კავშირის თანაბარი ძალისაა, იგი საბელიოზის ბოროტებასაც ამხელს და მის მსგავსად ჰიპოსტასთა შორის სხვაობასაც წარმოაჩენს, როგორც, მაგალითად, გამონათქვამებშია: **მე და მამაჲ მოვიდეთ**(ინ.XIV,23), და: **მე და მამაჲ ერთ ვართ**(ინ.X,30), განსაკუთრებული დამოწმებაა საუკუნო ერთობისა და განუწყვეტელი კავშირისა. რამეთუ, ვინც თქვა, რომ ძე მამასთანაა, ამით ჰიპოსტატთა სხვაობაც აჩვენა და განუყოფელი ერთობაც; როგორც ამის დანახვა შეიძლება მაშინ, როცა ადამიანებზე ლაპარაკობენ. კავშირი ***და*** მოქმედებათა საერთოობას წარმოადგენს, ხოლო ***–თან*** ამასთან რაღაც სხვა ურთიერთობასაც აჩვენებს. მაგალითად: პავლემ და ტიმოთემ მაკედონიისაკენ გაცურეს, ხოლო ტვიქიკე და ონესიმე კოლასელებთან იქნენ წარგზავნილნი. აქედან ვიგებთ, რომ მათ ერთი და იგივე საქმე გააკეთეს. მაგრამ თუ მოვისმენდით, რომ მათ

ერთად(ѕ́ѝ) გაცურეს და ერთად(ѕ́ѝ) იქნენ წარგზავნილნი, შევიტყობდით, რომ მათ საქმე ერთად აღასრულეს. ამიტომ ყველა სხვაზე მეტად საბელიოზის უკეთურ სწავლებას ეს გამოთქმა არღვევს და იმათაც ამხობს, რომელნიც საპირისპიროდ უსჯულოებენ. ვგულისხმობ მათ, რომელნიც დროის მიხედვით, ძეს მამისაგან, ხოლო სულიწმიდას ძისაგან განაშორებენ.

60. **–*ში/-ით*** (ѣ́ѝ) მარცვლისაგან მარცვალი **–თან** (ѕ́ѝ) განსაკუთრებულად განსხვავდება, რადგან იგი ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფთა, მაგალითად, ერთად მცურავთა, ერთად მცხოვრებთა ერთობას, ან ერთობლივად მოქმედთა შესახებ რაღაცას გამოხატავს, ხოლო მარცვალი **–*ში/-ით*** (ѣ́ѝ) იმ ადგილთან დამოკიდებულებას წარმოაჩენს, სადაც ისინი მოქმედებენ, რადგან მოვისმენთ რა, რომ „რაიმეთი ცურავენ“ და სადმე მკვიდრობენ, მყისვე ნავს ან სახლს წარმოვიდგენთ.

საერთო გამოყენების მიხედვით, ასეთია ამ მარცვალთა შორის სხვაობა; შრომისმოყვარენი უფრო მეტსაც იპოვნიდნენ, მაგრამ მე მარცვალთა გამოსაძიებლად არ მაქვს ჟამი მოცალეობისა; ამიტომ, რადგანაც დადასტურდა, რომ მარცვალი ѕ́ѝ ფრიად ნათელ გაგებას იძლევა ერთობისა, თუ გნებავთ, შეურიგდით და მის წინააღმდეგ ეს მკაცრი და გამოუცხადებელი ომი შეწყვიტეთ. თუმცა ეს გამოთქმა ასე ნათელია, თუ ვინმეს სურს დიდებისმეტყველებასა შინა სახელები ***და*** მარცვლით დააკავშიროს და ადიდოს, როგორც ეს სახარებიდან ნათლობისათვის ვისწავლეთ: მამა და ძე და სულიწმიდა, – დაე, ასე იყოს, არავინ შეეწინააღმდეგება. ამას, თუ ეს სურთ, ჩვენც ვეთანხმებით. მაგრამ ისინი უმალ ენების დაკარგვას დათანხმდებიან, ვიდრე ამ სიტყვის მიღებას. ეს არის, რის გამოც ჩვენ წინააღმდეგ გამოუცხადებელი და შეურიგებელი ბრძოლაა აღძრული, ამბობენ რა, რომ დიდებისმეტყველება ღმერთს სულიწმიდით (ѣ́ѝ) უნდა მივუძღვნათ და არა ღმერთსა და სულიწმიდას, და ამ გამოთქმას, ვითარცა სულიწმიდის დამამცირებელს, მთელი მგზნებარებით იცავენ. მის შესახებ სიტყვის გაგრძელება უსარგებლო არ იქნებოდა. მოისმენენ რა ამას, მეც გაკვირვებული დავრჩები, თუ თვითონ გამოთქმას გამცემად არ გამოაცხადებენ, რომელიც სულიწმიდის სადიდებელად მის მხარეზე გადავიდა.

თავი XXVI

იმის შესახებ, რომ რამდენჯერაც მარცვალი -*ში/-ით* (ѣ́ѝ) წარმოითქმება, იმდენჯერვე იგი სულიწმიდასთანაა დაკავშირებული.

61. ამგვარად, განვიხილავ რა ამ მარტივსა და მოკლე გამოთქმას, ვფიქრობ, რომ მას მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან რამდენჯერაც -***ში/-ით*** წარმოითქმება, ვხედავთ, რომ იგი იმდენჯერვე სულიწმიდის შესახებ გაგებას ემსახურება.

ნათქვამია, რომ ფორმა მატერიაშია, ძალა იმაში, რომელიც მას მიიღებს, თვისება – რომელიც მის შესაფერის მდგომარეობაშია და ა. შ.

ამიტომ, რამდენადაც სულიწმიდა გონიერთათვის სრულმყოფელი ძალა და ყველაზე დიდ სიმაღლემდე აღმყვანებელია, ამდენად იგი სახის გაგებასაც შეიცავს. რადგან ვინც უკვე არა ხორციელად ცხოვრობს, არამედ ღმრთის სულის მიერ იმართება, ღმრთის ძედაა სახელდებული და ძე ღმრთისას ხატის თანახატი ხდება, მას სულიერი ეწოდება.

ვითარცა ძალა ხედვისა ჯანმრთელ თვალში, ასეთივეა მოქმედება სულისა წმიდისა განწმენდილ სულსა შინა. ამიტომაც უსურვებს პავლე მოციქული ეფესელებს, რომ **თუალნი** მათნი სულით სიბრძნისა ყოფილიყო განათლებულნი(ეფ.I,18). და ვითარცა ხელოვნება, ვინც მას დაეუფლება, ასევე მადლიც სულისა წმიდისა, მუდამ მასთან იმყოფება, ვინც მას მიიღებს, მაგრამ განუწყვეტლად არ მოქმედებს; ისევე როგორც ხელოვნებაც ხელოვანში ძალის სახითაა და მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა ხელოვანი მოქმედებას მისი მიხედვით იწყებს, ასევე სულიწმიდაც, თუმცა მუდამ ღირსეულთა თანამყოფია, მაგრამ საჭიროებისდა მიხედვით მოქმედებს, ან წინასწარმეტყველებათა, ან კურნებათა, ან რაღაც სხვა ძალთა ამოქმედებისას.

როგორც სხეულთა შინა ან სიჯანსაღეა, ან სითბო, ან საერთოდ, მოძრავნი მდგომარეობანი, ასევე სულთანაც ხშირად თანაარსებობს სულიწმიდაც, მაგრამ მუდმივად მათთან, რომელნიც ნების მერყეობისა გამო, მიღებულ მადლს ადვილად კარგავენ, არ რჩება; ასეთი იყო, მაგალითად, საული და ისრაელის შვილთაგან სამოცდაათი უხუცესი, გარდა ელდადისა და მოლდადისა, რადგან, ჩანს, რომ სულმა მხოლოდ **მათ ზედა განისუენა**(რიცხ.XI,25-26), და საერთოდ, ასეთია ყველა, ვინც მათ თვითნებობით ემსგავსება. ვითარცა სიტყვა სულსა შინა ოდესმე გულისმიერი ზრახვისაა, ოდესმე კი ენით წარმოითქმება, ასევე სულიწმიდაც, ხან სულთან ერთად ამოწმებს და ღაღადებს: **აბბა, მამაო,** ხან ჩვენ ნაცვლად მეტყველებს, როგორც ნათქვამია: **არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის**(მთ.X,20).

ასევე, ნიჭთა განაწილების მიხედვით, სულიწმიდა, ვითარცა მთელი ნაწილებით, ისე მოიაზრება; რადგან ყველანი ერთმანეთის ასონი ვართ და ღმრთისაგან ბოძებული მადლის მიხედვით, სხვადასხვა ნიჭი გვაქვს(რომ.XII,5-6), ამიტომაც **ვერ ჴელ-ეწიფების თუალსა, ვითარმედ ჰქრუა ჴელსა: არა მიჴმ შენ; ანუ კუალად თავსა-ფერჴთა, ვითარმედ: არა მიჴმთ თქუენ**(I კორ.XII,21), არამედ როგორც ყველა ერთობლივად ქრისტეს სხეულს ქმნის სულიწმიდასთან ერთობით, ასევე თავიანთი ნიჭებით ერთმანეთისათვის აუცილებელი სარგებლობა მოაქვთ, რადგან ასონი სხეულსა შინა ღმერთმა მოათავსა და თანაც, თითოეული მათგანი ისეთი, როგორიც ინება. ასონი ერთმანეთზე, სულიერი ურთიერთობის მიხედვით წარმოშობილი თანალმობით, ერთი და იმავესათვის ზრუნავენ; რადგან: **თუ ევნებინ რაჲ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ**

იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი(Iკორ.XII,26). და ვითარცა ნაწილნი მთელსა შინა, ასევე ჩვენც, ცალ-ცალკე აღებული, ვართ სულსა წმიდასა შინა, რადგან ყველანი ერთი სხეულით და ერთითა სულითა წმიდითა ვართ მონათლულნი.

62. თუმცა უცნაურია სათქმელად, ამის გამო ნაკლები ჭეშმარიტება არაა ის, რომ ხშირად სულიწმიდა განწმენდილთა ადგილ-სამყოფელად იწოდება. მაგრამ ვერც ეს სიტყვა, როგორც გამოჩნდება, არათუ ვერ ამცირებს სულიწმიდას, არამედ კიდევ უფრო მეტად განადიდებს მას, რადგან სიცხადისათვის წმიდა წერილს ხშირად სულიერ მცნებათა ზედა გადააქვს ის, რაც სახელთაგან გრძნობისმიერია. ამიტომაც მივაკვლიეთ, რას ამბობს ღმრთის შესახებ ფსალმუნთა მგალობელი: **მეყავ მე ღმერთ მფარველ და სახლ** (τόπον ὀχυρὸν) **შესავედრებელ ცხორებად ჩემდა**(ფს.30,3); ხოლო სულიწმიდის შესახებ ნათქვამია: **აჰა ესერა, ადგილი შენ წინაშე, და სდგე შენ კლდესა ზედა**(გამს.33,21). სხვა რა უნდა იწოდებოდეს აქ ადგილად, თუ არა სულისმიერი ჭვრეტა, რომელსა შინა მყოფ მოსეს მისთვის გამოცხადებული ღმრთის შეგნებულად ხილვა შეეძლო? ეს არის ის ადგილი, რომელიც ჭეშმარიტი ღმრთის თაყვანისცემისთვისაა განკუთვნილი, რადგან ნათქვამია: **იგულე თავი შენი, ნუუკუე შე-სადამე-სწირვიდე შესაწირავთა შენსა ყოველსავე ადგილსა, რომელ იხილო, არამედ მას ადგილსა, რომელ გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან**(2სჯ.XII,13-14). მაგრამ როგორია სულიერი შესაწირავი? **მსხვერპლი ქებისაჲ**(ფს.49,14). და რომელ ადგილზე უნდა მივიტანოთ იგი; სულსა წმიდასა შინა და ეს საიდან ვისწავლეთ? თვითონ უფლისაგან, რომელიც ამბობს: **ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა**(ინ.IV,23). ეს ადგილი იხილა იაკობმა, როცა თქვა: **არს უფალი ადგილსა ამას**(შესქ.28,16). ასე რომ, სულიწმიდა ჭეშმარიტადაა ადგილი წმინდანთა და წმინდაა საკუთარი ადგილი სულისა, რომელიც ღმერთთან ერთად სამკვიდრებელს სულისას წარმოადგენს და რომელიც მის ტაძრად იწოდება. ქრისტესმიერ მეტყველებს პავლე, რადგან ამბობს: **წინაშე ღმრთისა ქრისტეს მიერ ვიტყჳთ**(2კორ.II,17), და ქრისტე მეტყველებს პავლეში , როგორც ამას თვითონ მოციქული ამბობს: **გამოცდასა ეძიებთ მისსა, რომელი-იგი ჩემ მიერ იტყჳს ქრისტე**(2კორ.XIII,3); ასევე **სულითა იტყჳს საიდუმლოდ**(Iკორ.XIV, 2), და სულიწმიდა მეტყველებს მის მიერ.

63. ამიტომაც ამბობენ სულიწმიდის შესახებ, რომ იგი ასე მრავალწილად და მრავალფეროვნად მყოფობს ქმნილებათა ***შორის***(ἐνεῖναι). მამასა და ძესთან მისი მიმართების გამოსახატავად კი, უფრო ღმრთისმოსაური იქნება ვთქვათ, რომ იგი მათ ***თანა***(συνεῖναι) მყოფობს და არა მათში. რადგან მისგან ბოძებული მადლი ღირსეულთა შინა მკვიდრობს და მოქმედებს, მშვენივრადაა ნათქვამი, რომ სულიწმიდა მადლის მიმღებელთა ***შინა*** იმყოფება(ἐνυπάρχειν). ხოლო როდესაც მამასა და ძესთან მისი წინასაუკუნო არსებობა და უწყვეტი მყოფობა განიხილება, საჭიროა სახელი, რომელიც მათ მარადიულ ერთობას გამოხატავს. **თანამყოფობა**

(συμπάρχειν) – სამართლიანად და ჭეშმარიტად ეწოდება მათ ურთიერთობას, რომელნიც ერთმანეთისაგან განუყრელად თანაარსებობენ. სითბოზე ვამბობთ, რომ იგი გავარვარებულ რკინასა შინაა, ხოლო თვითონ ცეცხლთან თანაარსებობს. სიჯანსაღე სხეულშია, სიცოცხლე კი სულთან თანამყოფობს. მაშასადამე, როცა საკუთარი, ბუნებრივი და განუყრელი ურთიერთობაა, მას უფრო თანდებული **–თან**(σύν) გამოხატავს, რომელიც განუყრელი ერთობის გაგებას გადმოსცემს, ხოლო ვისაც მადლი სულისა წმიდისა შეიძლება მიუახლოვდეს და მერე კვლავ გაშორდეს, მის შესახებ საკუთრივ და ჭეშმარიტად ამბობენ, რომ ***მასში*** მადლი მყოფობს, რადგან მიმღებთა შორის, სიკეთისადმი მათი მტკიცე დამოკიდებულების გამო, ხშირად ხანგრძლივად რჩება.

ამგვარად, როცა ჩვენ სულიწმიდის საკუთარ ღირსებას მოვიაზრებთ, მას მამასა და ძესთან ***ერთად*** ვჭვრეტთ; ხოლო, როცა მის თანაზიართა(მიმღებთა) შორის მოქმედ მადლს ვგულისხმობთ, მაშინ ვამბობთ, რომ სულიწმიდა ჩვენ ***შორისაა***. სულისა წმიდისადმი ჩვენგან მიძღვნილი დიდებისმეტყველება არა მისი ღირსების აღმსარებლობას, არამედ ჩვენი უძლურების აღიარებას ემსახურება. მისით ვაჩვენებთ, რომ: **არა თავით თჳსით შემძლებელ ვართ რასმე, არამედ შეძლებაჲ ჩუენი**(2კორ.III,5) სულისაგან წმიდისა არს, მისგან ვიღებთ ძალას ჩვენთვის ბოძებულ კეთილთათვის ღმრთისა ჩვენისათვის სამადლობელოს აღსასრულებლად; ამასთან, შესაბამისად იმისა, რამდენად ვართ განწმენდილნი ცოდვათაგან და რამდენად ვიღებთ სულიწმიდისაგან შემწეობას, ერთმანეთთან შედარებით მეტად ან ნაკლებად, რათა ღმერთს მსხვერპლი ქებისა შევწიროთ. ამგვარად, სულიწმიდის მიერ სამადლობელოს ღმრთისმოსაობით ერთი სახით აღვასრულებთ. თუმცა ადვილი არაა, ვინმემ თავის თავზე დაამოწმოს და თქვას, რომ სულიწმიდაა მასში და ღმერთს დიდებას მისი მადლით განბრძნობილი აღუვლენს, მაგრამ პავლე მოციქულს შეეფერება თქვას: **ვჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისაჲ მაქუს მე**(Iკორ.VII,40), და კიდევ: **კეთილი ვედრი დაიმარხე სულითა წმიდითა, რომელმან დაიმკჳდრა ჩუენ თანა**(2ტიმ.I,14). და დანიელსაც შეეძლო ეთქვა, რომ: **სული ღმრთისაჲ წმიდაჲ** იყო მის თანა(დან.V,11) და ყველას შეუძლია იგივე თქვას, – ვინც სათნოებით მათ ემსგავსება.

64. არ შეიძლება არც მეორე აზრის უარყოფა, რომ ვითარცა მამა ძის მიერ(ἐν) იხილვება, ასევე – ძე სულისა წმიდისა მიერ. ამიტომ სულიწმიდ**ით**(ἐν) თაყვანისცემა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი გონება თითქოსდა ნათელ**ში** მოქმედებს, რასაც სამარიტელი ქალის ნათქვამიდანაც ვსწავლობთ. ადგილობრივი ადათის მიხედვით, შემცდარს ჰგონია რა, რომ თაყვანისცემა ადგილით განისაზღვრება, უფალი ჩვენი ასწავლის და ეუბნება, რომ თაყვანისცემა **სულითა და ჭეშმარიტებითაა**(ἐν πνεύματι καὶ ἀληθείᾳ) საჭირო, და, ცხადია, ჭეშმარიტებაში თავისთავს გულისხმობს(ინ.IV,23). ვამბობთ, რომ თაყვანს ვცემთ ***ძით***, ვითარცა ხატ***ით*** ღმრთისა და მამისა, ასევე თაყვანს ვცემთ სულ***ით***აც, რომელიც თავისთავში ღმრთეებრიობას უფლისას წარმოაჩენს. ამი-

ტომ სულიწმიდა მამისა და ძისაგან თაყვანისცემის დროსაც განუშორებელია; თაყვანისცემას ხომ, თუ არა სულ**ით**, საერთოდ ვერ შეძლებ, ხოლო უკეთუ თაყვანს **მისით** სცემ, ვერც ერთი საშუალებით ღმერთს ვერ განაშორებ. ისევე როგორც ხილული საგნებისაგან ნათელს ვერ გამოყოფ, ასევე შეუძლებელია ხილვა ხატისა უხილავისა ღმრთისა, თუ არა ნათელ**ით** სულისა წმიდისა. ისიც კი, ვინც დაძაბულად უყურებს ხატს, ვერ შეძლებს მისგან ნათელი გამოყოს, რადგან მიზეზი ხედვისა უცილობლად იხილვება ხილულ საგნებთან ერთად. ამიტომ ნათელით(διά) სულისა წმიდისა სიამოვნებით და შესაფერისად ვჭვრეტთ ბრწყინვალებას ღმრთის დიდებისა, ხოლო ხატის მიერ(διά) იმის დიდებამდე ვმაღლდებით, ვის ხატსაც და ზუსტ ბეჭედსაც ის წარმოადგენს.

თავი XXVII
საიდან დაედო სათავე მარცვალს *-თან* და რა ძალა აქვს მას; აგრეთვე, ეკლესიის დაუწერელ კანონთა შესახებ.

65. უკეთუ მარცვალი **–ში/-ით**(ἐν), – გვეუბნებიან ისინი, – საკუთრივ სულიწმიდის შესაფერისია და მის შესახებ ჩვენი ყველა გაგების გამოსახატავად საკმარისი, რისთვის შემოგაქვთ ეს ახალი მარცვალი, როცა ამბობთ სულისა **თანა** (σὺν τῷ Πνεύματι) და არა სულითა **წმიდითა**(ἐν τῷ Πνεύματι τῷ ἁγίῳ), რომელიც არც საჭიროა და არც ეკლესიის მიერ დაკანონებულ გამოთქმას წარმოადგენს?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მარცვალი **–ში/-ით**(ἐν) არა მხოლოდ სულისა წმიდისა მიმართ, არამედ მამისა და ძის მიმართაც გამოიყენება. იმის შესახებ, რომ იგი სულიწმიდას არა მხოლოდ არ ართმევს რაიმე ღირსებას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე აჰყავს სრულიად გაურყვნელ ადამიანთა აზრები, ვფიქრობ, საკმაოდ ითქვა. განსახილველი გვრჩება მარცვალი **–თან**(σύν), კერძოდ, საიდან დაედო მას სათავე, რა ძალა აქვს და წმიდა წერილს როგორ შეესაბამება.

66. ეკლესიაში დაცულ დოგმატთა და ქადაგებათაგან, ნაწილი წმ. წერილის მოძღვრებაში გვაქვს, ნაწილმაც მოციქულთა გადმოცემებით მოაღწია ჩვენამდე და დაფარულად მივიღეთ, მაგრამ ღმრთისმოსაობისათვის ორივეს ერთი და იგივე ძალა აქვს და გადმოცემებს არავინ, ვინც კი ეკლესიის დადგენილებებს ცოტათი მაინც იცნობს, საკამათოდ არ ხდის. ჩვენ რომ დაუწერელ(წმ. წერილში გადმოუცემელ) ადათთა, ვითარცა დიდი ძალის არ მქონეთა, უარყოფა გვეცადა, ჩვენთვის შეუმჩნევლად სახარებას თვით ყველაზე მთავარს მოვაკლებდით; უკეთ რომ ვთქვათ, ქადაგებას უბრალო სახელად ვაქცევდით; მაგალითად, უწინარესად პირველსა და ყველაზე საზოგადოს შეგახსენებთ: უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელის მიმართ სასოების ნიშნად ჯვრის გამოსახვა მის დამწესებელთაგან

წერილობით რომელმა გვასწავლა? ლოცვისას პირით აღმოსავლეთისკენ მიბრუნება, რომელი წერილიდან ვისწავლეთ? მოწვევის სიტყვები, სამადლობელო პურისა და კურთხევის ბარძიმის ხალხისთვის საჩვენებლად აწევისას, დაწერილი წმინდანთაგან რომელმა დაგვიტოვა? ჩვენ ხომ იმ სიტყვებით, რომელნიც მოციქულმა და სახარებამ მოიხსენიეს, არ ვკმაყოფილდებით და წინაც ვურთავთ და ბოლოშიც ვამატებთ სხვებს, ვითარცა საიდუმლოს აღსრულებისათვის დიდი ძალის მქონეთ, თუმცა ისინი წმ. წერილში გადმოუცემელი სწავლებიდან მივიღეთ. როცა ნათლობის წყალსაც, საცხებელ ზეთსაც და თვით მონათლულსაც ვაკურთხევთ, რომელი წესებით წმ. წერილში გადმოცემულისა? არა დუმილით დაცული დაფარული გადმოცემის მიხედვით? და კიდევ რა? თვით ზეთისცხებაც რომელმა დაწერილმა სიტყვამ გვასწავლა? ნათლობისას ადამიანის სამგზის წყალში შთაფლვა საიდანაა? და დანარჩენიც, რაც ნათლობას ეკუთვნის, მაგალითად, განგდება სატანისა და მისი ანგელოზებისა, – რომელი წერილიდანაა? არა იმ გაუსაჯაროებელი და განუცხადებელი სწავლებიდან, რომელიც მამებმა არამაძიებლობითა და გულმოდგინებით შემოგვინახეს, მშვენივრად ესმოდათ რა, რომ საიდუმლოთა მნიშვნელობა(დიდებულება) დუმილით უნდა იყოს დაცული? განა იმის ღიად, წერილობით, სწავლება, რომლის ცქერის ნებაც კი არ აქვთ ხელდაუსხმელებს, გონივრული იქნებოდა?

რა განზრახვით არ აქცია დიდმა მოსემ ყოველივე ყველასათვის მისაწვდომად, არამედ ცოდვებით წაბილწულნი წმიდათას ზღუდის გარეთ დააყენა, შედარებით განწმენდილნი – პირველი ეზოს კარიბჭესა შინა, ღირსეულ მსახურებად ღმრთისა კი, მხოლოდ ლევიტელნი შეარჩია, ხოლო დაკვლა [მსხვერპლისა], ყოვლადდასაწველი და სხვა მღვდელმოქმედებანი წილად მღვდლებს არგუნა, მათგან კი მარტო ერთი შეარჩია საკურთხეველში შესასვლელად და ისიც არა ყოველთვის, არამედ წელიწადის მხოლოდ ერთ დღეს და ამ დღესაც განსაზღვრული დრო დაუდგინა შესვლისათვის, რათა წმიდათა წმიდათათვის, მიუწვდომელობისა და შეუჩვევლობის გამო, განცვიფრებით ემზირა? ბრძენმა მოსემ კარგად იცოდა, რომ გაქელილი და თავისთავად მისაწვდომი ასათვალწუნებლადაა განმზადებული, ხოლო არაყოველდღიური და იშვიათი ბუნებრივად ხდება საგანი გულმოდგინე ძიებისა.

მსგავსად ამისა, ეკლესიის დასაბამისას კანონმდებელმა მოციქულებმა და მამებმა საიდუმლოთა მნიშვნელობა დაფარულად და დუმილით დაიცვეს, რადგან საიდუმლო არც არის ხომ ის, რაც საყოველთაოდ და ამაო მოსმენისათვის გამოიტანება. ასეთია საფუძველი წმ. წერილში შეუტანელი გადმოცემებისა, რათა ის, რაც დოგმატების ცოდნისათვის ძალისხმევას არ მოითხოვს, შეჩვევის გამო მრავალთათვის ადვილად ასათვალწუნებელი არ გამხდარიყო. სხვა არის ხომ დოგმატი და სხვა – ქადაგება. პირველი დუმს, ხოლო ქადაგებანი საქვეყნოდ ხმიანდება. მაგრამ ერთი სახე დუმილისა, ის ბუნდოვანებაცაა, რომელსაც წმინდა წერილი მკითხველთა სასარგებლოდ

დოგმატთა შინაარსის ძნელად განსაჭვრეტად იყენებს. ცოტამ თუ ვიცით, რის გამო ვიმზირებით ლოცვებისას აღმოსავლეთისაკენ, სახელდობრ, რომ ძველ სამშობლოს – სამოთხეს ვეძებთ, რომელიც **დაასხა ღმერთმან ედემისა აღმოსავალით**(შესქ.II,8). შვიდეულის პირველ დღეს[10] ლოცვებს აღმართულნი აღვასრულებთ, მაგრამ ყველამ არც ამის მიზეზი ვიცით; ასე ვიქცევით არა მხოლოდ ვითარცა ქრისტესთან ერთად აღდგომილნი და მოვალენი იმისა, რომ ზეციურთა ძიებისა და აღდგომის დღეს ლოცვისას სწორად დგომით ის მადლი გავიხსენოთ, რომელიც გვებოძა, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც ჩანს, ეს დღე ერთგვარად ხატია საუკუნისა, რომელსაც ველით. ამიტომაც უწოდა დასაბამს დღეებისა მოსემ არა პირველი, არამედ ერთი; ნათქვამია ხომ: **და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი**(შესქ.I,5), რადგან ერთი და იგივე დღე მრავალგზის ბრუნდება. ამის გამო არის ის ერთიც და მერვეც, გამოხატავს რა ნამდვილად **ერთსა** და ჭეშმარიტად მერვე დღეს, რომელიც ფსალმუნთა მგალობელმა ფსალმუნების ზოგიერთ ზედწარწერაში მოიხსენია(ფს.VI) და წარმოაჩინა მდგომარეობა, რომელიც ახლანდელ დროს მოჰყვება, ანუ შეუწყვეტელი, დაუღამებელი, უცვალებელი დღე და უსასრულო და უბერებელი საუკუნე. ამიტომაც თავის შვილებს ეკლესია ამ დღეს ლოცვათა აღსრულებას უცილობლად ფეხზე დგომით ასწავლის, რათა ხსოვნამ დაუსრულებელი ცხოვრებისა გვაიძულოს არ დავივიწყოთ ზრუნვა იმ გზაზე, რომლითაც მასში გადავდივართ. მთელი ორმოცდაათეული იმ საუკუნეში აღდგომის გახსენებაა, რომელსაც ველით. ის ერთი და პირველი დღე, შვიდგზის შვიდზე გამრავლებული წმინდა ორმოცდაათეულში შვიდ შვიდეულს აღასრულებს, რადგან იწყება პირველი დღით [შვიდეულისა] და შემდგომად მათ შორის მათივე მსგავსი დღეების ორმოცდაათგზის მოქცევისა, მისითვე მთავრდება; იმიტომაც ბაძავს მსგავსებით საუკუნეს, რომ წრიულად მოძრაობს: მათი ნიშნებიდან იწყება და ამ ნიშნებითვე მთავრდება. ეკლესიის დადგენილებებმა გვასწავლეს, ამ ხნის განმავლობაში ლოცვისას უპირატესობა სწორად დგომას მივანიჭოთ, რაც ნათლად შეგვახსენებს იმას, რომ თითქოსდა ჩვენი გონება აწმყოდან უკვე მომავალში გადასახლდა. სინამდვილეში, ყოველი მუხლმოდრეკითა და შემდეგ ადგომითაც ხომ იმას ვაჩვენებთ, რომ, მართალია, ცოდვის მიერ მიწაზე დავეცით, მაგრამ დამბადებლის კაცთმოყვარეობამ ზეცისთვის მოგვიწოდა.

67. მთელი დღეც არ მეყოფა ეკლესიის იმ საიდუმლოთა მოსათხრობად, რომელნიც წმიდა წერილში არაა გადმოცემული; სხვებს გამოვტოვებ, მაგრამ თვით აღმსარებლობა მამის, ძისა და სულიწმიდის რწმენისა, რომელი წიგნებიდან გვაქვს? რადგან თუ ნათლობის შესახებ გადმოცემის საფუძველზე, შესაბამისად ღმრთისმოსაობისა, – რაკი მოვალენი ვართ, როგორც ვინათლებით, ისევე გვწამდეს – აღმსარებლობასაც ნათლობის მსგავსს გადმოვცემთ, დაე, დაგვრთონ იმის ნებაც, რომ სარწმუნოებას, იმავე შესაბამისობით, მსგავსი

[10] იგულისხმება კვირა დღე.

ქება მივუძღვნათ. ხოლო უკეთუ ამ სახეს დიდებისმეტყველებისა, ვითარცა წმ. წერილში გადმოუცემელს, უარყოფენ, მაშინ მოგვცენ ჩვენ წმინდა წერილში მოცემული მტკიცებულებანი სარწმუნოების აღმსარებლობისა და სხვა დანარჩენნიც, რომელნიც ჩვენ ჩამოვთვალეთ.

ამასთან, როცა ამდენი რამაა გადმოუცემელი წმინდა წერილში და თანაც ასეთი ძალის მქონე საიდუმლოსათვის ღმრთისმოსაობისა, ნუთუ ნებას არ დაგვრთავენ ერთი გამოთქმა, მამებიდან ჩვენამდე მოღწეული, რომელიც გაუმრუდებელ ეკლესიაში ჩვენ ბუნებრივი ტრადიციით დაცული ვიპოვეთ და რომელსაც არც მცირე საფუძველი აქვს და არც უმნიშვნელო ძალა საიდუმლოს აღსრულებისათვის, შემოვიტანოთ?

68. ამრიგად, იმის შესახებ, თუ რა ძალა აქვს ყოველ გამოთქმას, უკვე ითქვა, და იმის შესახებაც ვიტყვით, რაში ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს და რაში შორდებიან, ისე რომ, ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ თითოეულს ღმრთისმოსაობაში განსაკუთრებული აზრი შეაქვს. რადგან მარცვალი **–ში/-ით**(ѣи) უფრო ჩვენთან მიმართებას გამოხატავს, ხოლო **–თან**(сúи) სულიწმიდის ღმერთთან ერთობას გადმოსცემს, ამიტომ ორივე გამოთქმას ვიყენებთ, გამოვხატავთ რა ერთით ღირსებას სულისა წმიდისა, ხოლო მეორეთი ვაუწყებთ მის მადლზე, რომელიც ჩვენშია. ამგვარად ღმერთს დიდებას სულიწმიდ**ით**აც ვუძღვნით და სულიწმიდას**თან ერთადაც** და არაფერს ვამბობთ ჩვენით, არამედ როგორც რჯულიდან, უფლის სწავლებიდან გადაგვაქვს გამოთქმა იმათზე, რომელნიც ერთმანეთთან ახლოს არიან, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და, ამასთან, საიდუმლოთა შინა ერთმანეთთან უცილობელი შეხება აქვთ. ვფიქრობ, ნათლობისას ერთად შერაცხულნი, სარწმუნოებაშიც შეერთებულნი უნდა იყვნენ. ჩვენ აღმსარებლობა რწმენისა ჩვენთვის, ვითარცა რაღაც დასაბამი და დედა დიდებისმეტყველებისა, ვაქციეთ, და ახლა როგორ მოვიქცეთ? დაე, გვასწავლონ, რომ ან ისე არ მოვინათლოთ, როგორც გადმოგვეცა, ან როგორც ვინათლებით, ისე არ გვწამდეს, ან ისე არ ვადიდოთ, როგორც ვირწმუნეთ. დაე, ვინმემ დაგვიმტკიცოს, რომ ან ამათ შორის არ არსებობს უცილობელი და უწყვეტი კავშირი, ან ამ კავშირში შეტანილი სიახლე ყოველივეს არ დაარღვევს.

მაგრამ ისინი არ წყვეტენ ბუტბუტს იმის თაობაზე, რომ დიდებისმეტყველება **სულისა წმიდისა თანა** წმიდა წერილში დამოწმებული და გადმოცემული არაა და სხვა მისთანანი. უკვე ითქვა, რომ მნიშვნელობის მიხედვით ერთი და იგივეა, რას ვიტყვით: დიდება მამასა **და** ძესა და წმიდასა სულსა, თუ: დიდება მამასა და ძესა სულისა წმიდისა **თანა.** რადგან, ისევე როგორც შეუძლებელია, ვინმემ არ შეიწყნაროს ან ამოშალოს თავად უფლის სიტყვებიდან გადმოღებული მარცვალი **და,** ასევე არაფერი უშლის ხელს მისი თანაბარი ძალის მქონე მარცვლის მიღებასაც. მის შესახებ უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, რითი განსხვავდება იგი პირველისაგან[11] და რითი – არა. ჩვენს შეხედულებას მოციქულიც ამტკიცებს, ერთმანეთისაგან

[11] იგულისხმება კავშირი და.

განუსხვავებლად იყენებს რა ორივე გამოთქმას და ერთ-ერთ ადგილას ამბობს: **სახელითა უფლისა იესუჲსითა *და*(καί) სულითა ღმრთისა ჩუენისათა**(Iკორ.VI,11); და კიდევ: **შეკრებასა სულისა ჩემისა და თქუენისასა, ძალი*თურთ*(σύν) უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა**(Iკორ.V,4). არ თვლის რა საჭიროდ განასხვავოს ისინი, სახელთა შეკავშირებისას ერთსაც(καί) იყენებს და მეორესაც(σύν).

თავი XXVIII
იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგენი არ თანხმდებიან სულისა წმიდისა მიმართ იმის გამოყენებას, რასაც წმ. წერილი ადამიანთა შესახებ ამბობს, კერძოდ, რომ ისინი ქრისტესთან ერთად იმეფებენ.

69. ვნახოთ, შეიძლება თუ არა რაიმეს მოფიქრება ჩვენი მამების გასამართლებლად, რომელნიც ამ გამოთქმას იყენებდნენ,[12] რადგან ჩვენზე მეტად ბრალდებას ისინი ექვემდებარებიან, რომელთაც ამ სიტყვებს დასაბამი დაუდეს. ამრიგად, პავლე, წერს რა კოლოსელებს, ამბობს: **„და** თქუენცა მკუდარ იყვენით შეცოდებათა შინა და წინადაუცუეთელებითა მით ჴორცთა თქუენთაჲთა, **მის თანა**[13](σύν) განგაცხოველნა თქუენ“(კოლ.II,13). ნუთუ ღმერთმა მთელ ხალხსა და ეკლესიას მიანიჭა ქრისტესთან ერთად ცხოვრება და სულიწმიდას არ აქვს ცხოვრება ქრისტესა თანა? თუ ასე ფიქრიც კი უსჯულოებაა, მაშინ რატომ არ არის სწორი, რომ, [ერთი] ბუნების მიხედვით, აღმსარებლობაც ერთი მივუძღვნათ? შემდეგ: განა უკიდურესი სისასტიკე არაა, წმინდანების ქრისტესთან ყოფნა ვაღიაროთ, – რადგან პავლე, სხეულიდან გასული, უფალთან მკვიდრდება, ხოლო დახსნილი უკვე ქრისტესთანაა(2კორ.V,8), – სულიწმიდას კი ისიც არ დავუთმოთ, რომ კაცთა თანასწორად ქრისტესთან იყოს? პავლე თავისთავს სახარების განგებულებაში ღმრთის თანაშემწეს(Iკორ.III,9) უწოდებს; ნუთუ ჩვენ იმის გამო, რომ სულიწმიდას, რომლის მიერაც სახარება ცის ქვეშეთში ყოველსა ქმნილებასა შინა ნაყოფს იღებს, თანაშემწეს ვუწოდებთ, ბრალად უსჯულოებას დაგვდებენ? ჩანს, რომ **ცხორებაჲ** უფლის მსასოებელთა **დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა; და რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს, ცხორებაჲ იგი ჩუენი, მაშინ ისინიც მის თანა გამოცხადდებიან დიდებითა**(კოლას.III,3-4); მაგრამ თუ თვით სული ცხოვრებისა, რომელმაც ჩვენ ცოდვის შჯულისაგან(რომ.8,2) განგვათავისუფლა, არ არის ქრისტესთან, არც საიდუმლოსა და დაფარულსა ცხოვრებასა შინა და არც გამოცხადებისას დიდებისა, რომელიც ჩვენი მოლოდინისამებრ წმინდანთა შორის გამოჩნდება? ჩვენ ვართ **მკჳდრ ღმრთისა თანა და თანა-მკჳდრ ქრისტესა**(რომ. VIII,17), ხოლო სულიწმიდა მკვიდრობასაა მოკლებული და წილი არ უდევს ერთობასა შინა მამისა და მისი ცხებულისა(ქრისტესი)? მაშინ, როცა **იგივე სული**

[12] იგულისხმება: კაცნი ქრისტესთან ერთად იმეფებენ.
[13] იგულისხმება: ქრისტესთან.

ენამების სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ ვართ შვილნი ღმრთისანი(VIII,16), ჩვენ არ ვუმოწმებთ სულიწმიდას, რომ მას ღმერთთან ერთობა აქვს, თუმცა ამ ერთობის შესახებ თავად უფლისაგან ვიცით?

და განა უგუნურების მწვერვალი არაა ის, რომ თუმცა ჩვენ ქრისტესა თანა აღდგომასა და თანა დასხდომას ზეცათა შინა, რაჟამს დამდაბლებული სხეული ჩვენი მშვინვიერიდან სულიერად გარდაიქმნება, ქრისტესა და სულიწმიდის რწმენით ვიმედოვნებთ, თავად სულს კი, წილად არც თანადაჯდომას, არც დიდებასა და არც სხვა რამეს, რაც ჩვენ მისგან გვაქვს, არ ვარგუნებთ? გვწამს რა სიმართლე აღთქმისა მოსალოდნელ ძღვენთა შესახებ, სულიწმიდას არც იმათგან ვუთმობთ რამეს, რომელთა ღირსებადაც საკუთარი თავი მიგვაჩნია, თითქოს ყოველივე ეს მის ღირსებაზე მაღლა იყოს. შენი ღირსების მიხედვით შენ ყოველთვის უფალთან უნდა იყო და ელოდები, რომ აღიტაცები **ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა** იქნები(Iთეს.IV,17), ხოლო იმას, რომ სულიწმიდა ახლაც უფალთანაა, სადაოდ ხდი? მას კი, ვინც სულიწმიდას მამასა და ძესთან ერთად რაცხს და ერთ რიგში აყენებს, ვითარცა აუტანელ უსჯულოს, დევნი.

70. მრცხვენია დანარჩენთა დართვისა, სახელდობრ, რომ შენ ელოდები ქრისტესა თანა დიდებას, – რადგან: **უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ**(რომ.VIII,17), – სულს სიწმიდისას კი ქრისტესთან ერთად არ ადიდებ, თითქოს იგი ღირსებით შენი სწორიც არ იყოს. შენ ქრისტესთან თანამეფობას იმედოვნებ, ხოლო სულს მადლისას შეურაცხყოფ, არგუნებ რა მას ადგილს მონისა და მსახურისა. და ამას ვამბობ არა დასამტკიცებლად იმისა, რომ მოვალენი ვართ სულიწმიდას დიდებისმეტყველება აღვუვლინოთ, არამედ სამხელად იმათი სიჯიუტისა, რომელნიც მას არა თუ დიდებას მიაგებენ, არამედ სულიწმიდის ძესა და მამასთან ერთად დიდებას, ვითარცა უსჯულოებას, ისე გაურბიან. ვის შეუძლია, გარეშე სულთქმისა, დაძლევა ამისა? რადგან უკვე ისე ცხადი გახდა, ყრმაც კი მიხვდება, რომ ნიშნები სარწმუნოების მოკლებისა, რითაც უფალი გვემუქრებოდა, უკვე გამოჩნდა? ეჭვები შეუკამათებელი გახდა; გვწამს სულისა წმიდისა და ჩვენივე აღმსარებლობითვე ვებრძვით; ვინათლებით და კვლავ ვებრძვით; ვითარცა მიზეზს ცხოვრებისა მოვუწოდებთ და ვითარცა ჩვენივე მსგავს მონას, ვითვალწუნებთ; მამასა და ძესთან ერთად მივიღეთ და ვითარცა ნაწილს ქმნილებათა, პატივს არ მივაგებთ; მათ, რომელთაც გარეშე სულისა წმიდისა, არ იციან, როგორ ილოცონ(რომ.VIII,26), თუკი იძულებულნი გახდებიან, ვითარცა მისი ღირსების მთხრობელთა, რამე მნიშვნელოვანი თქვან სულიწმიდის შესახებ, სიტყვის ზღვარს გადასვლას ზღუდავენ, მაშინ, როცა უძლურებისა გამო გლოვა მართებდათ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვებით საკმარისად გამოვხატოთ მადლიერება იმისათვის, რასაც სინამდვილეში განვიცდით. ეს ხომ ყოველგვარ აზრს აღემატება და სიტყვის ბუნებას ამხელს, რომელიც ღმრთის ღირსების უმცირეს ნაწილსაც კი ვერ უთანაბრდება, წიგნის

მიხედვით, რომელსაც „სიბრძნე ეწოდება“, რადგან ნათქვამია: **აამაღლეთ იგი [უფალი] რამდენადაც შეძლებთ, და მაინც უფრო აღმატებული იქნება; მოიკრიბეთ ძალა მისმა აღმაზევებლებმა, მაგრამ ნუ დაშვრებით, მაინც ვერ მიაღწევთ**(სიბრძ. ზირ.43,30). ცხადია, თქვენ საშიშ პასუხს გასცემდით მსგავსი სიტყვებისათვის, თქვენ, რომელთაც ღმრთისაგან მართლისა მოისმინეთ, რომ სულისა წმიდისა მგმობელს არ მიეტევება.

თავი XXIX
ჩამოთვლა ეკლესიის ცნობილ მოღვაწეთა, რომელთაც თავიანთ თხზულებებში გამოთქმა –*თან* (ϖύи) გამოიყენეს.

71. იმის შესახებ, რომ თითქოს წმინდა წერილში დიდებისმეტყველება სულისა წმიდისა დამოწმებული და გადმოცემული არაა, ამას ვიტყვი: თუ სხვა დანარჩენიც, რასაც წმ. წერილი არ გადმოსცემს, მიუღებელია, მაშინ ესეც მიუღებელი იყოს; ხოლო თუ დიდი ნაწილი იმისა, რაც საიდუმლოთა აღსრულებას ეხება, ზეპირი გადმოცემის გზითაა ჩვენთან დამკვიდრებული, მაშინ სხვა მრავალთან ერთად ესეც მივიღოთ. დაუწერელ გადმოცემათა დაცვა კი, მოციქულთა წესად მიმაჩნია, რადგან ნათქვამია: „ხოლო გაქებ თქუენ, ძმანო, რამეთუ **ჩემი ყოველივე გაჴსოვს და ვითარცა-იგი მიგეც თქუენ,** მოძღურებაჲ იგი შეიკრძალეთ“(Iკორ.XI,2); და: „შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, **რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა,** გინა წიგნითა ჩუენითა“(2თეს.II,15). ერთი ასეთი გადმოცემათაგანი ის დიდებისმეტყველებაა, რომელიც ჩვენ განვიხილეთ და რომელიც მათ, ვინც ის წესად პირველად დაადგინეს, მომდევნოებს გადასცეს და მრავალი დროის განმავლობაში მუდმივად გამოყენებით, ეკლესიაში ხანგრძლივ ადათად დაინერგა.

უკეთუ სამსჯავროსა შინა, წერილობით მტკიცებულებათა ნაკლებობისა გამო, მოწმეთა სიმრავლეს წარმოგიდგენდით, ნუთუ თქვენგან შემწყალებელ განაჩენს ვერ მივიღებდით? მე ვფიქრობ კი, **რამეთუ ორითა და სამითა მოწამითა დაემტკიცების ყოველივე სიტყუაჲ**(2სჯ.XIX,15). თუკი თქვენ ნათლად დაგიმტკიცებთ, რომ დროის ხანგრძლივობა ჩვენ მხარესაა, სამართლიანად ხომ არ მიიჩნევდით იმას, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ და მაშინ სამსჯავროზე ჩვენი გადაცემაც საჭირო აღარ იქნებოდა? ძველი დოგმატები კრძალვის აღმძვრელნი არიან და სიძველისადმი, ვითარცა ჭაღარისადმი, პატივისცემას შთაგვაგონებენ. ჩამოგითვლით მოძღვრების დამცველებს – რა თქმა უნდა, ქრონოლოგიის დაცვით, მაგრამ დროზე მიუთითებლად, – რადგან სწავლება ჩვენგან არ დაწყებულა; და საიდან დაიწყო? ჩვენ, მართლაც, იობის სიტყვებით რომ ვთქვათ, **საწუთონი ვართ**(იობ. VIII,9), იმ დროსთან შედარებით, რომლის თანამედროვეც ეს ადათია, ამიტომ მე თვითონ, თუ საჭიროა, რომ რაღაც ჩემი საკუთარიც ვთქვა, ამ გამოთქ-

მას, ვითარცა მამათა მემკვიდრეობას, ვიცავ, მივიღე რა იგი კაცისაგან, ვინც დიდი დრო გაატარა ღმრთისმსახურებაში, ვისგანაც მოვინათლე და ეკლესიის მსახურებაში მოვედი. გამოძიებისას, ძველ და ნეტარ კაცთაგან, ისეთი, ვისაც ეს, ახლა საკამათო, გამოთქმები ჰქონდა გამოყენებული, მრავალი ვიპოვე, – სიძველითაც სარწმუნონი და ცოდნის სიზუსტითაც არა იმათი მსგავსნი, ახლა რომ არიან. თუმცა მათგან ერთნი სიტყვებს დიდებისმეტყველებაში წინდებულებით, ხოლო მეორენი კავშირით აერთებდნენ, მაინც არ ითვლებოდა, რომ ამით ღმრთისმოსაობის სწორ გაგებაში განსხვავებულობა შეჰქონდათ.

72. ესენი არიან – ირინეოსი, კლიმენტი რომაელი, დიონისე რომაელი და დიონისე ალექსანდრიელი, რომელიც მისი თანამოსახელის მიმართ მიწერილ მეორე ეპისტოლეში „მხილებისა და დაცვის შესახებ“, სიტყვას ასე ამთავრებს, რისი მოსმენაც საკვირველია; თვითონ ამ კაცის სიტყვებს ამოგიწერთ: „შესაბამისად ყოველივე ამისა, – ამბობს, – ჩვენც მივიღეთ რა სახე და წესი ჩვენზე წინ მცხოვრებ მღვდელთაგან, მათთან ერთად სამადლობელს ერთხმად აღვავლენთ და ახლა თქვენდამი მოწერილ წერილსაც ვამთავრებთ. მამა ღმერთსა და ძეს, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს სულისა წმიდისა თანა დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ“. არავის შეუძლია თქვას, რომ ტექსტი შემდეგში შესწორდა. დიონისე იმის აღნიშვნით, რომ „სახე და წესი მიიღო“, სიტყვას არ განავრცობდა ნაცვლად სულისა წმიდისა **თანა(**σύν**), სულიწმიდით(**ἐν**)** რომ ჰქონოდა ნათქვამი, რამეთუ ეს გამოთქმა(სულიწმიდ**ით**) ჩვეულებრივ გამოიყენებოდა, ხოლო ის გამოთქმა(სულისა წმიდისა **თანა**) დაცვას საჭიროებდა. მან თავისი თხზულების სადღაც შუაში საბელიოზის მიმდევრებს ასე უთხრა: „თუ ამტკიცებენ, რომ ჰიპოსტასები, რადგანაც სამია, დაყოფილია, სამია, სურთ თუ არა ეს [ერეტიკოსებს], თუ არა და, მაშინ სრულიად გაანადგურონ გაგება ღმრთეებრივი სამებისა“. და კიდევ: „ამიტომაც არის მონადის(ერთის) შემდეგ სამება ყოვლად ღმრთეებრივი“.

ხოლო კლიმენტი კიდევ უფრო ადრე ამბობს: „ცხოველ არს ღმერთი და უფალი იესო ქრისტე **და** სულიწმიდა“. მოვუსმინოთ ირინეოსს, რომელიც მოციქულთა მახლობელ ხანებში ცხოვრობდა, როგორ იხსენებს სულიწმიდას ერესების წინააღმდეგ დაწერილ სიტყვაში. „თავდაუჭერელებსა, – ამბობს იგი, – და საკუთარი ვნებებით გატაცებულებს, რომელთაც არავითარი სურვილი არ აქვთ **ღმრთეებრივი სულისა,** მოციქული ხორციელებს სამართლიანად უწოდებს(Iკორ. III,3)“. და სხვაგანაც აქვს ნათქვამი: **„ღმრთეებრივ სულთან** უზიარებლობით ზეცათა სასუფეველს რომ არ მოვკლებოდით, ამიტომაც აღმოთქვა მოციქულმა, რომ ხორცს არ ძალუძს დამკვიდრება ცათა სასუფეველისა“(Iკორ.XV,50).

უკეთუ დიდი გამოცდილებისა გამო, ვინმესთვის ევსებიოს კესარიელიც სარწმუნოა, ძველებთან მრავალცოლიანობის საკითხის დასმისას, ამ გამოთქმებზე მასთანაც მივუთითებთ. აქეზებს რა თავისთავს სიტყვისათვის, ამბობს: „წმიდისა ღმრთისა, წინასწარმეტყველთა განმანათლებელისა მხმობელნი მხ-

სნელისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ **სულისა წმიდისა თანა**“.

73. ვიპოვეთ, აგრეთვე, რომ სულიწმიდას ორიგენეც ადიდებს იმ საუბრებიდან მრავალში, რომელიც მან ფსალმუნებს მიუძღვნა, კაცი, რომელსაც სულიწმიდის შესახებ ყოველთვის მთლად ჯანსაღი შეხედულება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, კრძალვისა გამო წინაშე ტრადიციის ძალისა, ღმრთისმოსაობის გამომხატველი სიტყვები სულიწმიდის შესახებ მრავალ ადგილას აქვს წარმოთქმული; ხოლო, ვფიქრობ, მეექვსე წიგნში იოვანეს სახარების განმარტებისა, ცხადად განაცხადა, რომ საჭიროა თაყვანისცემა სულისა, სიტყვასიტყვით დაწერა რა ასე: „საბანებელი წყლისა სიმბოლოა სულის განწმენდისა, განბანვისა ბიწისაგან ყოველგვარი ცოდვისა; ხოლო იმისთვის, ვინც თავისი თავი, მოწოდებათა ძალის მიერ, თაყვანსაცემ სამების ღმრთეებას მიუძღვნა, თავისთავად არანაკლებ ფლობს ნიჭთა დასაბამსა და წყაროს“. და კიდევ, რომაელთა მიმართ ეპისტოლეს განმარტებაში ამბობს: „წმინდა ძალთა დატევა მხოლოდშობილსა და **სულისა წმიდისა ღმრთეებას** შეუძლია“. ამგვარად, ვფიქრობ, რომ გადმოცემის ძალამ ხშირად ადამიანები მათ საკუთარ სწავლებათა წინააღმდეგობამდეც კი მიიყვანა.

არც ისტორიოგრაფოს აფრიკანესათვის იყო უცნობი ეს სახე დიდებისმეტყველებისა; რადგან, როგორც ჩანს, მეხუთე წიგნში შემოკლებული ქრონიკებისა ასე ამბობს: „რომელთაც შევიცანით ზომიერება ამ სიტყვებისა და არც სარწმუნოების მადლია ჩვენთვის უცნობი, მადლობელნი ვართ მამისა, ვინც ჩვენ, მისიანებს, ყოველთა მხსნელი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვიძღვნა, რომლისა არს დიდება და დიდებულება სულისა წმიდისა **თანა** უკუნისამდე“.

სხვა შემთხვევებში, შეიძლება არც [დაწერილს] ვენდოთ; თუ ადგილი გადაკეთებულია, ბოროტქმედება ძნელად იმხილება, რადგან განსხვავება ერთ მარცვალშია; მაგრამ ის, რაც გადმოვეცით გრძელ ამონაწერებში წარმოდგენილი, ბოროტი განზრახვით გადაკეთებას შეუძლებელს ხდის და დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ დამოწმებანი თვითონ თხზულებებიდანაა აღებული.

ის უმნიშვნელო, რომელიც შეიძლება სხვა დროს არც მოგვეყვანა, აუცილებელია, რომ წარმოვადგინო სიძველის გამო დასამოწმებლად, რაკი სიახლეთა შემოტანაში მდებენ ბრალს. მამანი ჩვენნი კეთილგონივრულად თვლიდნენ, რომ მადლი საღამოს ნათელისა დუმილით კი არ უნდა მიეღოთ, არამედ მისი გამოჩენისთანავე სამადლობელი უნდა აღევლინათ. ჩვენ იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, ვინ იყო მამა ამ სამადლობელი სიტყვებისა ნათლის მოვლენისათვის. ყოველ შემთხვევაში ხალხი ძველ სიტყვებს წარმოთქვამს და ისინი, რომელნიც ამბობენ: **ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ღმრთისა“,** – უსჯულოებად არავის არასოდეს ჩაუთვლია. ხოლო, უკეთუ ვინმე ათენოგენეს ჰიმნს იცნობს, რომელიც თავის მიმდევრებს, ვითარცა გამოსამშვიდობებელი დაუტოვა, რაჟამს თვითონ კოცონზე აღსასრულებლად ისწრაფვოდა, მან იცის, როგორი შეხედულება ჰქონდათ წამებულებს სულიწმიდის შესახებ. და ამის თაობაზე საკმარისია.

74. გრიგოლ დიდსა და მის სიტყვებს ადგილი სად უნდა მივცეთ? მოციქულთა და წინასწარმეტყველთა გვერდით ხომ არა? რადგან ეს იყო კაცი, რომელიც სულიწმიდასთან ერთად დადიოდა, მთელი ცხოვრება წმინდანთა კვალს მისდევდა და თავის სიცოცხლეს სახარებისეული მოქალაქობისაკენ გულმოდგინებით წარმართავდა. მე ამ კაცზე ვამბობ; თუკი ამ სულს, ვინც, მსგავსად დიდი სხივოსანი მნათობისა, ღმრთის ეკლესიას ანათებდა, ვისაც თანამოქმედებით სულისა წმიდისა დემონთა ზედა მათთვის საშიში ძალა ჰქონდა და ისეთი მადლი მიიღო სიტყვისა **დასამორჩილებელად სარწმუნოებისა ყოველთა წარმართთა**(რომ.I,5), რომ სადაც მანამდე მხოლოდ ჩვიდმეტი ქრისტიანი იყო, მთელი ხალხი იმ მხარისა, ქალაქებიდან თუ სოფლებიდან, ღმერთთან გაცნობიერებულად მიიყვანა, ღმრთის მონათესავეთა შორის არ შევრაცხავთ, სიმართლეს შეურაცხვყოფთ. მან მდინარის დინება, უბრძანა რა დიდითა სახელითა ქრისტესი, უკან მიაქცია და დააშრო ტბა, რომელიც ანგარებისმოყვარე ძმებისათვის ომის საბაბი გახდა; ხოლო მისი წინასწარმეტყველებანი მომავლის შესახებ არაფრით ჩამორჩება დიდთა წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარმეტყველევს. რა თქმა უნდა, გრძელი იქნებოდა ამ კაცის სასწაულთა გადმოცემა, რომელშიც არსებული მრავალი ნიჭი მთელი ძალით მოქმედებდა ნიშნებითა და სასწაულებით სულისაგან წმიდისა, ისე რომ, მეორე მოსე მას თვით ეკლესიის მტრებმა უწოდეს. ამგვარად, მის ყველა სიტყვასა და საქმეში, ვითარცა მადლის მიერ აღსრულებულში, რაღაც ნათელი ბრწყინავდა – ნიშანი ზეციური ძალისა, რომელიც უხილავად მუდამ მასთან იყო. აქამდე ჯერ კიდევ დიდია მის მიმართ გაოცება ადგილობრივ მცხოვრებთა, მოუძველებელი და მარადის ცოცხალია ეკლესიათა შინა დანერგული მისი ხსოვნა, დროის მიერ დაუჭკნობელი. ამიტომაც არც საქმე, არც სიტყვა, არც საიდუმლოს რაღაც ნიშანი არ დაუმატებიათ იმისათვის, რაც მან ეკლესიას დაუტოვა. ასე რომ ბევრი რამ, რაც მათთან აღესრულება, მათი დაწესების სიძველის გამო, ნაკლულად ჩანს, რადგან იქაურ ეკლესიათა მემკვიდრეობით განმგებლები დასამატებლად რაიმეს მიღებას იქიდან, რაც მის შემდეგ იქნა მოძიებული, არ დათანხმდნენ. ერთი ასეთი დადგენილება გრიგოლისა ეკლესიაში მისი გადმოცემით დაცული დიდებისმეტყველების ის სახეა, რომლის შესახებაც ახლა ვკამათობთ.

დიდი ჯაფა არაა საჭირო და ამის დადასტურება მცირე ძალისხმევითაც მოიპოვება. ასეთი იყო რწმენა ჩვენი ფირმილიანესიც, რასაც ამოწმებს სიტყვები, რომლებიც დაგვიტოვა სახელგანთქმულ მელეტიზე. თანამედროვენი ამბობენ, რომ მელეტისაც იგივე შეხედულება ჰქონდა.

და საჭიროა კი საუბარი იმაზე, რაც დიდი ხნის წინ იყო? და ახლაც, აღმოსავლეთში უპირატესად ღმრთისმოსავებს განა მხოლოდ ამ ერთი ნიშნით არ შეიცნობენ და ამ გამოთქმით, ვითარცა რაღაცა ნიშნით, გამოარჩევენ? როგორც მე ეს ვინმე მესოპოტამიელისაგან მოვისმინე, კაცისაგან, რომელიც ენის მცოდნეც იყო და აზრებიც გაუმრუდებელი ჰქონდა, კიდევაც რომ ვინმეს მოე-

სურვებინა, ადგილობრივ ენაზე დიდებისმეტყველების წარმოთქმას სხვაგვარად ვერ შეძლებდა, თუ არა, თანახმად მშობლიური ენის თვისებისა, **და** კავშირის უცილობელი გამოყენებით, ან, უფრო უკეთ, გამოყენებით მისი თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმებისა. და ჩვენც, კაპადოკიელებიც, დიდებისმეტყველებას ადგილობრივ ენაზე ასე გამოვთქვამთ, რადგან სულიწმიდამ ამ გამოთქმის სარგებლობა ჯერ კიდევ მაშინ, ენების დაყოფისას, წინასწარ განჭვრიტა. და თითქმის მთელი დასავლეთი, დაწყებული ილირიკიდან საზღვრებამდე ჩვენ მიერ დასახლებული ქვეყნებისა, უპირატესობას განა ამ გამოთქმას არ ანიჭებს?

75. რატომ ვარ მე სიახლის შემომტანი და შემოქმედი ახალი სიტყვებისა, როცა დამფუძნებლებად და დამცველებად ამ გამოთქმისა მთელი ხალხები და ქალაქები, და ადათი, რომელიც კაცობრივ მეხსიერებაზე უფროსია და კაცნი, ეკლესიის სვეტნი, ყველასაგან გამორჩეულნი ცოდნითა და ძალით სულისა წმიდისა, არსებობენ?

ამისთვის აღიძრა ამ მებრძოლთა ლაშქარი ჩემ წინააღმდეგ და ყველა ქალაქი და სოფელი, თვით უკიდურესი ქვეყნებიც კი, ჩვენი ცილისმწამებლებით აივსო. წუხილის მომგვრელი და მტკივნეულია ხომ ეს გულებისათვის, რომელნიც მშვიდობას ეძიებენ, მაგრამ რამდენადაც დიდია საზღაურიც რწმენისა გამო, ტანჯვათა დათმენისათვის, დაე, ამათ გარდა, ჩემ წინააღმდეგ, მახვილიც აელვარდეს, ცულიც აილესოს, ბაბილონის ხანძარზე მძლავრი კოცონიც დაინთოს და წამების ყველა იარაღიც ამოქმედდეს! ჩემთვის უფრო საშიში არაფერი იქნება, ვიდრე შიში წინაშე იმ მუქარის ასრულებისა, რომელიც უფალმა სულიწმიდის მგმობელთ აღუთქვა.

ამიტომ კაცთაგან გონიერთათვის საკმარისი იქნება, რაც ითქვა გასამართლებლად იმისა, რატომ ვიღებთ გამოთქმას, ასე ახლობელსა და საყოველთაოს წმინდანთათვის და ასე განმტკიცებულს ადათით; რადგან გამოჩნდა, რომ სახარების უწყების დროიდან ვიდრე აქამომდე [ეს გამოთქმა] ეკლესიებში გამოიყენებოდა და, რაც ყველაზე მთავარია, შინაარსიც ღმრთისმოსავური და სწორი აქვს. მაგრამ რას მოვამზადებთ ჩვენ თავის გასამართლებლად წინაშე დიდისა სამსჯავროჲსა? იმას, რომ დიდებასთან სულისა წმიდისა უწინარესად უფლისაგან მისთვის მიგებულმა პატივმა მიგვიყვანა, როცა მან ნათლობისას თავის თავთან და მამასთან სულიწმიდაც შეაერთა, შემდეგ: რომ თითოეული ჩვენგანი ასევე დაფარულად შეიყვანებს ღმრთის შემეცნებასა შინა და, რომ გვაქვს შიში წინაშე მუქარისა, რომელიც გონებას ყოველგვარ უღირსსა და დამამდაბლებელ შეხედულებას განაშორებს.

და მოწინააღმდეგენი რას იტყვიან? რა გამართლება ექნებათ მკრეხელობისათვის? ის, რომ არც უფლისაგან სულისა წმიდისათვის მიგებული პატივის წინაშე შერცხვათ და არც მისი მუქარით დაშინდნენ; რა თქმა უნდა, მათ უფლება აქვთ იმის შესახებ, რაც მათი საწინააღმდეგოა, გადაწყვეტილება მიიღონ, ან უკვე შეცვალონ კიდევაც იგი. ხოლო მე, ჩემი მხრივ, ვისურვებდი,

რომ კეთილ ღმერთს მშვიდობა თვისი ებოძებინა, გულებისათვის ყოველთა, რათა ჩემ მიმართ გაღიზიანებულნი და მძლავრად შეიარაღებულნი, სულისა წმიდისა მიერ თვინიერებითა და სიყვარულით დამშვიდებულიყვნენ; ხოლო უკეთუ ისინი სრულიად აღგზნებულნი და მოუთვინიერებელნი არიან, ჩვენ გვიბოძოს სულგრძელობა იმის გადასატანად, რასაც მათგან ვიღებთ. რა თქმა უნდა, მათ, რომელთაც განაჩენი სიკვდილისა თავისსავე თავში აქვთ, აწუხებთ არა ტანჯვა რწმენისათვის, არამედ ატანა იმისა, რომ მისთვის არ იღვაწეს; ისევე როგორც მებრძოლისათვის შეჯიბრისას მიღებულ დარტყმაზე უფრო მძიმე ისაა, რომ ასპარეზობაზე საერთოდ არ დაუშვან. ან შეიძლება, უკვე დადგა **ჟამი დუმილისა**(ეკლეს.III,7), ბრძენი სოლომონის მიხედვით? რადგან, მართლაც, რა სარგებელია იყვირო ქარის წინააღმდეგ, როცა ცხოვრება მძლავრი ქარიშხლითაა მოცული, რომლისგანაც ყოველი გონება, სიტყვით განსწავლული, მაცდუნებელი, ცრუ მსჯელობებით ისეა აღვსილი, ვითარცა თვალი რაღაც ბუღით მტვრისა და სასმენელნი ყოველთა აუტანელი და უჩვეულო გრუხუნითაა დახშული, როცა ყველა ირყევა და წინაშეა დაცემის საფრთხისა?

თავი XXX
გადმოცემა ეკლესიათა ახლანდელი მდგომარეობისა

76. რას შევადაროთ დღევანდელი მდგომარეობა? იგი მსგავსია საზღვაო ბრძოლისა, რომელშიც ომის მოყვარული და საზღვაო ბრძოლას შეჩვეული კაცები, ძველი მტრობისა გამო დიდი რისხვით ნასაზრდოებნი, ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად დაეწყობიან. ეს სურათიც წარმოიდგინე: რაჟამს რისხვა გადაულახავი ხდება, ღუზებიდან აშვებულ ხომალდთა რიგები ორივე მხრიდან შიშის მომგვრელად როგორ ისწრაფვიან ერთმანეთისკენ და შეჯახებისას ბრძოლას იწყებენ. თუ მოისურვებ, ისიც ივარაუდე, რომ მძლავრი ქარიშხლისგან ხომალდები ირყევიან, ღრუბელთაგან მსწრაფლ ჩამომდგარი სიბნელე ყოველივეს, რაც იხილვება, შავით მოსავს ისე, რომ გარჩევა იმისა, ვინ მოყვარეა და ვინ მტერი, შეუძლებელი ხდება, გამოუცნობი რჩება ერთმანეთისთვის გადაცემული განგაშის ნიშნებიც. სურათის ნათლად დასახატად წარმოვიდგინოთ, რომ ზღვა იბერება და სიღრმეთაგან ბოლქვებად წამოსული მაღლა მოისწრაფვის, ღრუბლებიდან წყალი გაშმაგებით იღვრება, ატეხილი ღელვისაგან ტალღები საშიშად აღმართულან; ყოველი მხრიდან აღძრული ქარები ერთი მიმართულებით ქრიან და მთელ ფლოტს ემუქრებიან. საბრძოლო მწყობრიდან ნაწილი ხომალდებისა თავისიანებს ღალატით ტოვებს და ბრძოლისას მტრის მხარეზე გადადის, ნაწილზეც, თუმცა იმ გარდაუვალობის წინაშე დგანან, რომ ქართაგან მიმოფანტულ ხომალდებს თავი ერთად დააღწიონ და შეტევაზე გადავიდნენ, ამბოხისას, რომელსაც სხვისი უპირატესობით აღძრული შური და თითოეულის სწრაფვა ძალაუფლების მოპოვებისაკენ წარმოშობს, ერთმანეთს ხოცავენ.

გარდა ამისა, წარმოიდგინეთ ექო ერთმანეთში აღრეული და გაურკვეველი ხმებისა, რომელიც მთელ ზღვაზე დგას – ქართა სტვენისა, ხომალდთა ლაწალუწისა, აქაფებულ ტალღათა ხმაურისა, მებრძოლთა ყიჟინისა, რომელნიც თავიანთ ვნებებს ყოველგვარი ხმებით გამოხატავენ: მაგრამ არ ისმის ხმა არც ხომალდის მეთაურისა და არც მესაჭისა; არამედ რაღაც საშინელი უწესრიგობა და არეულობა სუფევს, ბოროტებათა აღზევება და ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა ცოდვების სრულიად უშიშრად ჩადენის მიზეზი ხდება; ამას დაუმატე განუკურნებელი სენი იმათი გააფთრებული პატივმოყვარეობისა, რომელნიც ხომალდზე არიან, მაგრამ პირველობისათვის ბრძოლას მაშინაც არ ეშვებიან, როცა ხომალდი ფსკერისაკენ მიექანება.

77. ამ სურათიდან ახლა თავად პირველსახეზე ბოროტებისა გადადი. ადრე განა ისე არ ჩანდა, რომ არიოზელთა ერესი, ღმრთის ეკლესიიდან მასთან საბრძოლველად გამოყოფილი, მხოლოდ თვითონ, თავისი ძალებით გვიწევდა წინააღმდეგობას, მტერთა რიგებში ჩამდგარი? მაგრამ, როცა ხანგრძლივი და მძიმე კამათის შემდეგ, ჩვენთან აშკარა ბრძოლაზე გადავიდნენ, ომმა მრავალი სახე მიიღო და მრავალ ნაწილად დაიყო, რადგან საყოველთაო მტრობისა და განსაკუთრებით, უნდობლობის გამო, ყველაში შეურიგებელმა სიძულვილმა დაისადგურა. და ეს რყევა ეკლესიათა ზღვის ღელვაზე მძვინვარე არაა? მათ მამათა მიერ დადგენილი ყველა ზღვარი ადგილებიდან დაძრეს და ყველა საფუძველი და საყრდენი დოგმატებისა შეარყიეს. ყოველივე ხომ, რასაც დაზიანებული საფუძველი აქვს, არამდგრადი და მორყეულია. ერთმანეთს თავს ვესხმით, ერთმანეთისაგან ვნადგურდებით; ვინც მტერმა ვერ მოსპო, თანამოსაგრისაგან დაიჭრა, თუ მტერი დაეცა და დაემხო, თანამებრძოლი აგიმხედრდება.

ჩვენ მხოლოდ მანამდე ვართ ერთად, სანამ მოწინააღმდეგის სიძულვილი გვაერთიანებს, ხოლო თუ მტრებმა გვერდი აგვიარეს, მტრებს ერთმანეთში ვხედავთ. გარდა ამისა, ვინ ჩამოთვლის დაღუპულ ხომალდთა სიმრავლეს? ერთნი მტერთა თავდასხმისაგან იძირებიან, მეორენი ფარული ბოროტი ზრახვებით – მოკავშირეებისა, სხვები კიდევ – მმართველთა უვიცობით. ზოგიერთი ადგილობრივი ეკლესია ერეტიკოსთა ვერაგობას, ვითარცა წყალქვეშა კლდეებს შეჯახებული, დაიმსხვრა და თავის წევრებთან ერთად განადგურდა, ზოგიერთი კი იმის გამო დაიღუპა, რომ რწმენის საჭენი ხელთ მაცხოვნებელ ვნებათა მტრებმა ჩაიდგეს.

ამა სოფლის თავადთაგან აღძრული შფოთვანი განა ხალხებს ყველა ქარიშხალსა და გრიგალზე მეტად არ ამხობენ? ჭეშმარიტად საშინელმა და ბნელმა ღამემ მოიცვა ეკლესია მას შემდეგ, რაც სამყაროს მანათობელნი, რომელნიც ღმერთმა ადამიანთა სულების გასანათლებლად დაადგინა, გადასახლებაში განდევნეს. ერთმანეთთან კამათით გადამეტებულმა გატაცებამ, შიშმა იმისა, რომ უკვე ახლოსაა საფრთხე ყოველივეს რღვევისა, ადამიანებს მგრძნობელობა დაუკარგა. საერთო, სახალხო ომზე უფრო დამღუპველი ხომ პირადი მტრობაა, როცა მოწინააღმდეგეთა დამარცხებით მოპოვებული დიდება საერთო სარგებლობაზე

წინაა დაყენებული, ხოლო იმ ჯილდოებთან შედარებით, რომელიც მომავალში გველოდება, უპირატესობა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებით გამოწვეულ ტკბობას ენიჭება. ამიტომ ყველას, ვისაც როგორ შეუძლია, ხელს ერთმანეთის მოსაკლავად აქვს მოღერებული. კამათისას ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანთა უხეშმა ყვირილმა, გაურკვეველმა წამოძახილებმა და განუწყვეტელი ხმაურისას ძნელად გასარჩევმა ხმებმა თითქმის მთელი ეკლესია აავსეს და ღმრთისმოსაობის დოგმატები, ხან მიმატებითა და ხან მოკლებით, დაამახინჯეს. ერთნი ღმრთის პირთა შერწყმით – იუდაიზმით არიან გატაცებულნი, ხოლო მეორენი ბუნებათა დაპირისპირებით – ელინიზმით(წარმართობით). მათ დასაკმაყოფილებლად არც ღმრთივშთაგონებული წმიდა წერილის შუამავლობაა საკმარისი და მათი შერიგების საკითხს ვერც მოციქულთა გადმოცემანი წყვეტენ. მეგობრობისათვის მხოლოდ ერთი პირობა არსებობს: ისე უნდა ილაპარაკო, როგორც მოსწონთ; ასევე ერთია საბაბიც მტრობისა – გაუზიარებლობა მათი აზრებისა, ხოლო ცდომილებათა მსგავსება ყველა ფიცზე უფრო სარწმუნოა შფოთში მონაწილეობის მისაღებად. ღმრთისმეტყველია ყველა, თუნდაც სული მრავალი ლაქით ჰქონდეს დაღდასმული. ამიტომაც ჰყავთ ამ ახლის შემოქმედთ დიდი სიმრავალე შფოთში თანაშემწეთა; ამიტომაც ინაწილებენ ერთმანეთს შორის ეკლესიათა წინამძღვრობას ეს თვითდადგენილნი და თანამდებობათა მაძიებელნი, სულიწმიდის განგებით მოკვეთილნი. რადგან სახარებისეული დადგენილებანი უწესრიგობის გამო ერთმანეთში უკვე სრულიად აირია, პირველი ადგილისათვის გამოუთქმელი შეხლა-შემოხლა ატყდა, ყველა ვისაც თავის გამოჩენა უნდა, თვითონ ცდილობს წინამძღვრობა ძალადობით მიიღოს. უფროსობის ასეთმა სიყვარულმა ხალხებს საშინელი უმართავობა მოუტანა. სრულიად უმოქმედო და ამაო გახდა მმართველთა მოწვევანი. ყოველი მათგანი უმეცრული თავმომწონეობით ასკვნის, რომ იგი მოწოდებულია არა იმისათვის, რომ ვინმეს უსმინოს, არამედ სხვებზე უფროსობისათვის.

78. ამიტომაც ვფიქრობდი, რომ სიტყვაზე უფრო სასარგებლო დუმილია, რადგან სიტყვა კაცისა არ შეიძლება ასეთ ხმაურში მოსმენილ იქნეს, უკეთუ ეკლესიასტეს სიტყვები: **ბრძენთა სიტყვანი სიჩუმესა შინა ისმინება**(ეკლეს.IX, 17), ჭეშმარიტებაა; ახლანდელი მდგომარეობისას ამ ადამიანთა შესახებ ამის თქმა სრულიად შეუფერებელი იქნებოდა; ხოლო მე ეს წინასწარმეტყველური ნათქვამი მაჩერებს: **რომელი გულისჴმა-ჰყოფდეს მას ჟამსა შინა დადუმნეს, რამეთუ ჟამი ბოროტი არს**(ამოს.V,17). ახლა ერთნი ფეხს უდებენ ერთმანეთს, მეორენი დაცემულთ ქელავენ, ხოლო სხვანი ტაშს უკრავენ; არ არსებობს კაცი, რომელიც დაცემულს თანაგრძნობის ხელს გაუწვდის; თუმცა ძველი სჯულის მიხედვით ვინც მტრის კარაულს(სახედარს) ტვირთის სიმძიმის ქვეშ დაცემულს იხილავს და გვერდით ჩაუვლის, უმწიკვლო ვერ იქნება(გამს.XXIII,5). მაგრამ დღეს ეს ასე არ ხდება; რატომ? იმიტომ, რომ სიყვარული ყველაში გაცივდა, გაქრა ერთსულოვნება ძმებისა; თანამოაზრეობა უცნობი გახდა, შეწყდა მეგო-

ბრული შეგონებანი, აღარსადაა ქრისტიანული გულმოწყალება, არსად იღვრება თანალმობის ცრემლები. არავინაა, რომელიც სარწმუნოებით უძლურს მხარში ამოუდგება, არამედ, პირიქით, ისეთი ურთიერთსიძულვილი დაინთო თანატომელთა შორის, რომ ყოველი მახლობლის დაცემით უფრო ხარობს, ვიდრე საკუთარი კეთილი საქმეებით. ისევე როგორც გადამდები სენისას ისინი, ვინც თავს გულმოდგინედ უფრთხილდებიან, დაავადებულებთან ერთხელ ურთიერთობითაც კი, მსგავსად სხვებისა სნეულდებიან, ასევე ახლა ჩვენც ყველანი ერთმანეთის მსგავსნი ვართ და ვნებას კამათისას, რომლითაც ჩვენი სულებია შეპყრობილი, ცუდი შეჯიბრისაკენ მივყავართ. ამიტომაც გვყავს უმოწყალო და მკაცრი შემფასებელნი წარუმატებლობათა, ხოლო მტრული და არაკეთილმოსურნე მსაჯულნი წარმატებულ საქმეთათვის. როგორც ჩანს, ბოროტებამ ჩვენ შორის ფესვები ისე გაიდგა, რომ უტყვ ცხოველებზე უფრო უგუნურნი გავხდით, რადგან, უკეთუ ისინი ერთი ჯიშისანი არიან და ერთად ცხოვრობენ ჯოგებად, ჩვენ უმძიმესი ომი შინაურებთან გვაქვს.

79. ყოველივე ამისთვის იყო საჭირო დადუმება, მაგრამ სხვა რამისკენ წარგვიტაცა სიყვარულმა, რომელიც **არა ეძიებნ თავისას**(Iკორ.XIII,5) და დროთა და საქმეთა ყველა სიძნელის დაძლევას ღირსებად თვლის. ბაბილონელმა ყრმებმაც გვასწავლეს საკუთარი მოვალეობის აღსრულება მაშინაც კი, როცა ღმრთისმოსაობაზე არავინ ზრუნავს. ისინი კოცონის შუაგულში ღმერთს საგალობელს უგალობდნენ და ჭეშმარიტებისგან განდგომილთა სიმრავლეზე კი არ მსჯელობდნენ, არამედ კმაყოფილებას გამოხატავდნენ, რომ სამნი იყვნენ. ამიტომ ვერც ჩვენ გვაქცია უმოქმედოდ მტრულმა ღრუბელმა, არამედ სულისაგან წმიდისა შემწეობის სასოებით სრული გულახდილობით გადმოვეცით ჭეშმარიტება. სხვაგვარად ყველაზე დიდი საშინელება ის იქნებოდა, რომ მაშინ, როცა სულიწმიდის მგმობელნი ფრიად ადვილად ესხმიან თავს ღმრთისმოსაურ სწავლებას, ჩვენ, რომელთაც ასეთი დიდი მფარველი და დამცველი გვყავს, დაგვეყოვნებინა მსახურება იმ სწავლებისა, რომელიც მამათა გადმოცემებიდან მეხსიერებაში უწყვეტად შემოგვენახა.

მაგრამ ჩვენი სურვილი ყველაზე მეტად შენმა პირუთვნელმა სიყვარულის მგზნებარებამ გააღვიძა, შენი ხასიათის სიმტკიცემ და სიმშვიდემ, რომელნიც თავმდებნი არიან იმისა, რომ ჩემი ნათქვამი მრავალთათვის მისაწვდომი არ გახდება, არა იმიტომ, რომ ღირსი არაა განცხადებისა, არამედ, რათა მარგალიტები ღორებს არ დაეყაროს. და ამის შესახებ საკმაოდ ითქვა. თუ შენთვის, რაც ითქვა, საკმარისია, დაე, ზღვარი სიტყვას აქ დაედოს, ხოლო თუ ნაკლულად მოგეჩვენება, არ შემშურდება, თუ შრომისმოყვარეობითა და მოშურნეობით გამოძიებისას არა კამათის სიყვარულით დასმული კითხვებით ცოდნას გაიფართოებ, რადგან უფალი ნაკლულოვანებათა ან ჩვენი მეშვეობით, ან სხვათა მიერ შესავსებად, ღირსეულთ უბოძებს ცოდნას სულისა წმიდისა მიერ.

წმიდა ბასილი დიდი

დარღვევა უსჯულო ევნომიოსის თავდასაცავი სიტყვისა[1]

წიგნი I

ვათგან, რომელნიც ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით იწოდებიან, სხვა არაფრის მტკიცება რომ არავის განეზრახა გარდა სახარების სიმართლისა და მოციქულთა გადმოცემითა და რწმენის უბრალოებით დაკმაყოფილებულიყო, სიტყვები არც ახლა დაგვჭირდებოდა და ყველა შემთხვევაში უპირატესობას ამჯერადაც დუმილს, რომელიც თავიდანვე შევიყვარეთ, მივანიჭებდით. მაგრამ რადგანაც მტერი ჭეშმარიტებისა ღმრთის ეკლესიაში მის მიერ დასაბამიდანვე ჩათესილ სარეველათა მუდმივად გახშირებით ბოროტებას ამრავლებს და ახლაც იპოვა რა იარაღები, რომელნიც მის ყველა ხრიკს ერთობლივად იტევენ, უარყოფა მხოლოდშობილის ღმრთეებრიობისა ქრისტიანობის ნიღბით შემოაქვს, წმიდასა და მარტივ სწავლებას გარეშე და ამაო სიბრძნით აღამღვრევს და დამაჯერებელი სიტყვებით შედარებით გულუბრყვილოებს დაარწმუნებს და აცდუნებს, რადგანაც თქვენდამი სიყვარულიცა და თავად ჩვენი უსაფრთხოებაც ამას გვავალებს, ამ საქმეში ჩვენს უძლურებას არად ჩავაგდებთ და თუმცაღა ამგვარ სიტყვებში სრულიად გაუწვრთნელნი ვართ, აუცილებლობიდან გამომდინარე, ძალისაებრ ღმრთისაგან ჩვენთვის ბოძებული ცოდნისა, სიმართლის თანადგომასა და სიცრუის მხილებას ჩვენ თავზე ავიღებთ. ვფიქრობთ, სამი სიკეთისაგან უცილობლად ხელი ერთში მაინც არ მოგვეცარება: ან სენით უკვე შეპყრობილებს სიცრუის მხილებით ბოროტებისაგან თავის დაცვის საშუალებას მივცემთ, ან ჯანმრთელებს საკმაოდ დავიცავთ, ან ჩვენ თავად საზღაურს უეჭველად მოვიხვეჭთ, რადგანაც ძმათათვის საუკეთესო გვსურდა.

პირველად განცხადება და სწავლება იმისა, რომ მხოლოდშობილი ძე არსით ღმრთისა და მამის იგივეობრივი არაა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, სირიელმა აეტიოსმა გაბედა. იმის შესახებ, თავიდან რა ხერხებს მიმართა მან სწავლების შესაცვლელად და ღმრთის ეკლესიათა შინა ხრწნილების შემოსატანად, არაფერს ვიტყვი, რათა ნაცვლად მამხილებელისა, მლანძღველად არ წარმოვჩნდე. ევნომიოსმა კი, ამ გალატელმა,[2] რომელმაც სახელი ყველაზე სამარცხვინო საქ-

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **J.-P. Migne, Patrologiae cursus completus (series Graeca), (MPG) 29, Paris, 1857-1866. col. 497-669, 672-768.**

[2] ბასილი დიდი კვიზიკის ეპისკოპოს ევნომიოსს, რომელიც სინამდვილეში კაპადოკიელი იყო, გალატელს გადატანითი მნიშვნელობით უწოდებს. პავლე მოციქული გალატელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში მკაცრად საყვედურობს მათ იმის გამო, რომ მისგან ნაქადაგები მოძღვრება ქრისტესი შეცვალეს. მოციქულს არ ერიდება უცნობელნი უწოდოს მათ, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთმა პირველებმა მოის-

მეებით მოიპოვა, ეს უსჯულოება შეიწყნარა და სრულყო, რადგან ნათქვამია: **დიდებაჲ სირცხვილსა შინა მათსა**(ფილპ.III,19). ღმრთისმოსავთათვის განმზადებულ მრავალ სიკეთეს მან დიდება ამჯობინა იმის დაწერით, რაც ვერასოდეს ვერავინ გაბედა. თავი ისე განიდიდა, რომ მკრეხელობა, რომელსაც მანამდე ბუნდოვნად გამოთქვამდა, ამ ბრწყინვალე თხზულებაში საჯაროდ გამოხატა და ის დიდება მოიხვეჭა, რომ მთელი ერესის წინამძღვრად და ბელადად იქნა გამოცხადებული. ახლა ჩვენ მისი მხილება გვიწევს.

რადგანაც ორივეს ბოროტება ერთი და იგივეა, ცხადია, [ერესის] სრულმყოფელ მოწაფესთან ერთად მასწავლებელიც, რომელმაც თესლი უსჯულოებისა დათესა, მხილებული იქნება, უკეთუ, თქვენი ლოცვებით, სიტყვის ისეთი ძალა გვებოძა, რომ მსგავსად მოშურნე ფინეზისა, ორივენი, ერთმანეთთან უსჯულოებით შეკავშირებულნი, ერთი დარტყმით მხილებისა დამარცხდეს. თუმცა ამ თხზულებაში მას მრავალი რამ ვითარცა ცრუს, უვიცს, უტიფარს, თვალთმაქცსა და მკრეხელს წარმოადგენს, ყველა დანარჩენს მე გაკვრით შევეხები და მხოლოდ იმ მკრეხელობის, რომელიც მან მხოლოდშობილის სიმაღლეზე იყბედა, ოსტატურად შექმნილ საფარველთაგან გაშიშვლებასა და ყველას დასანახად წარმოჩენას შევეცდები.

მაგრამ დროა უკვე მხილებას შევუდგე, რომელსაც თვითონ სათაურიდანვე დავიწყებ, რადგან მის თვალთმაქცობათაგან პირველი – თხზულებისათვის ამ ფორმის მოფიქრება და მოძღვრების თავდასაცავი სიტყვის სახით გადმოცემაა. ამ გზით უნდოდა წინასწარ შეექმნა აზრი, რომ წიგნის შექმნამდე არა უსჯულოების დოგმატების გადმოცემის სურვილმა, არამედ იძულებამ მიიყვანა [სინამდვილეში კი], მან ამ ვერაგი და ულმრთო სწავლების, რომელიც დიდი ხნის წინ შეიწყნარა და ელმოდა, რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო, საჯაროდ განცხადება და ყურადღების ცენტრში დაყენება მოინდომა. ამასთან, იმასაც ხედავდა, რომ თუ მოძღვრის წოდებას ღიად მიითვისებდა, ეს ფრიად მძიმე და უსიამოვნო არა მხოლოდ მსმენელთათვის იქნებოდა, არამედ მასაც, ვითარცა სიახლის შემოტანით დიდების მოხვეჭის მსურველს, მრავალთათვის არასანდოდ და საეჭვოდ აქცევდა; ხოლო უკეთუ სიტყვას თავის დაცვის სახით შეთხზავდა, ეჭვს იმის თაობაზე, რომ სიახლე შემოჰქონდა, თავს დააღწევდა და მსმენელებსაც უფრო მეტად მიიზიდავდა, რადგან კაცნი საერთოდ დამცირებულთა მიმართ კეთილგანწყობის გამო, მათ მხარდაჭერას ბუნებრივად მიეჩვივნენ. ამიტომაც უჩივის ბრალმდებლებსა და ცილისმწამებლებს და მიზეზს მისი თხზულების შექმნისა მათ უკავშირებს. მაგრამ მისი ცბიერება ყველასათვის ცხადი რომ გახდეს, ურიგო არ იქნება თავად მისი სიტყვის შესავალს მოვუსმინოთ. აი, ისიც:

მინეს ქრისტეს მოძღვრება, ჭეშმარიტების მორჩილებაზე, ჭეშმარიტებისავე მტრების შეგონებით, უარი თქვეს: *ჶ უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურებოდა თქუენ ჭეშმარიტებისა არა-მორჩილებად, რომელთა თუალთა წინაშე პირველვე გამოიწერა თქუენ შორის იესუ ქრისტე-ჯუარცუმული?(III,1).* ამ აზრითაა მოძღვრებაში შეტანილ სიახლეთა გამზიარებელი და სრულმყოფელი ევნომიოსი მისთვის გალატელი(მთგ.).

ევნომიოსი: ჩვენ ვიცით, რომ მოუთოკავი ენისა და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო, ვინმესთვის ცილის დაწამება და ჩირქის მოცხება უვარგის და შუღლისმოყვარე კაცთა საქმეა. ხოლო თუკი ისინი, რომელნიც ცილისწამების მიზეზით უკეთურებად არიან მიჩნეულნი, სიცრუის გაქარწყლებას მათი მხილებით გულმოდგინედ ცდილობენ, ეს მათ გონიერ ადამიანებად წარმოადგენს, რომელნიც საკუთარ თავზე ზრუნვით მრავალთა უსაფრთხოებისთვისაც ფრიად იღვწიან.

ბასილი: სიტყვის სწორედ ეს ფორმა უნდა გამოეყენებინა მას, ვინც უბრალოდ და უზაკველად არაფერს აკეთებს. ვითარცა სიახლის შემომტანს, ეჭვი რომ არ აღეძრა, თავის დასაცავი სიტყვის საფარველს ამოეფარა, რათა მსმენელთა კეთილგანწყობა იმით მოენადირებინა, რომ თითქოს ამ წიგნის შეთხზვამდე ცილისწამებამ მიიყვანა. ტერმინი **დაცვა** მასთან მხოლოდ გამონაგონია, რაც იქიდანაც იმხილება, რომ ბრალმდებელად, რომლის წინააღმდეგ მებრძოლადაც თავს აჩვენებს, არ იცის, ვინ დაასახელოს და თავის დასაცავად ისე გამოდის, რომ, სახელდობრ, მაინც ვისგან იცავს თავს, არ ჩანს. შეურაცხმყოფელთა სახელებს იმიტომ კი არ ახსენებს, რომ სულგრძელია, ან როგორ შეიკავებდა ამისგან თავს ის, ვინც მოწინააღმდეგეებს ამდენ ლანძღვა-გინებას ატეხს თავს, არამედ იმიტომ, რომ ცნობილ პირთა ბრალმდებლებად გამოცხადებას ერიდება, რადგან მაშინ მისი სიცრუე ყველასათვის ცხადი გახდება. მას რომ ვინმეს დასახელება შეძლებოდა, უცილობლად იტყოდა და ხმამაღლა გამოაცხადებდა საკუთარი მრისხანების დასაცხრომად თუ არა, მრავალთა უსაფრთხოების მსახურებისათვის მაინც, მით უმეტეს, როცა გვპირდება, რომ ამისთვის განსაკუთრებით იზრუნებს. რადგან დაფარული უკეთურება განცხადებულზე უფრო მავნებელია, ცილისმწამებელთა ვინაობა რომ გვცოდნოდა, „მათ მოუთოკავ ენებსა და არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას“, ამ ბრძენთა ბრძენისავე სიტყვებს გამოვიყენებ, თავს უფრო ადვილად დავაღწევდით. მაგრამ თუ მაშინ, ამისთვის რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა, გაჩუმდა, ახლა შევეკითხოთ და ახლა გვიპასუხოს, ვინ არიან ის ბრალმდებელნი, რომელთაც ცილი უფრო ადრე დასწამეს და თავის დასაცავი სიტყვის შექმნა აიძულეს? სამყაროს რომელი მხრიდან მოვიდნენ ისინი? ვინ არიან ეს მსაჯულნი, რომელთა წინაშეც ბრძოლას მართავს? ან ამ საჩივრით რომელ სამსჯავროსა შინა შევიდა? მსაჯულთა ეს შეკრება სად შედგა – ზღვასა თუ ხმელეთზე? რას იტყოდა ამის შესახებ? სელევკიაში? მაგრამ მათ ხომ საქმე იქ დუმილით წაახდინეს, რადგან შეკრებილთა მიერ მრავალგზის მიწვეულნი ანგარიშის ჩასაბარებლად იმის თაობაზე, რასაც მათზე ამბობდნენ, არ გამოცხადდნენ და მაშინ ამისთვის განისაჯნენ?

მე საერთოდ ყველა კრებულზე ვამბობ, რომელიც უსჯულოებასთან ზიარებით, ვითარცა დასნეულებული ნაწილი, ეკლესიის ჯანსაღ სხეულს ჩამოსცილდა. კონსტანტინეპოლში ხომ არა? მაგრამ იქ არც დაცვა სჭირდებოდათ

და არც სიტყვები, რადგან გადაიბირეს რა სამეფო კარის მსახურნი, ხოლო დანარჩენთაგან ყველაზე ძლიერნი, და მოიპოვეს რა უპირატესობა, საქმეს შეუდგნენ: თავად გახდნენ ბრალმდებელნიც, მსაჯულნიცა და ჯალათებიც და საერთოდ, რასაც კი მოისურვებდნენ. მაშინ, გააძევეს რა ეპისკოპოსთაგან ნაწილი და ნაწილიც კათედრებზე აიყვანეს, სხვების სიცოცხლე კი საფრთხეში ჩააგდეს, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და ქალაქები ერთმანეთში დაინაწილეს. კონსტანტინეპოლი ვინმე[3] სირიის ქალაქებიდან გამოძევებულმა, ვითარცა თვითმპყრობელმა მიიღო, ხოლო ამ დაუმარცხებელმა და საშინელ სიტყვათა მთხზველმა,[4] ჯილდოდ უსჯულოებისა, კვიზიკი ჩაიბარა; თეოსებიოსს ენით უთქმელი მკრეხელობებისათვის სარდეს ეკლესია გადასცეს; აღარაფერს ვიტყვი ბითვინიელებზე, პაფლაგონიელებსა და კილიკიელებზე და საერთოდ ყველაზე, სანამდეც ამ გარშემო გავრცელებულმა ბოროტებამ მიაღწია. განა თავის დასაცავი დრო ედგათ მაშინ? ამიტომ, თუმცა კი სურს, მაგრამ, ვფიქრობ, ვერავის მოატყუებს. ამრიგად, ყველაზე სამართლიანი იქნება, ჩავთვალოთ, რომ ეს ფორმა სიტყვისა მან მოსატყუებლად მოიგონა. მაგრამ ამის შესახებ საკმარისია.

რამდენადაც მისი უსჯულოების მხილებამდე უსარგებლო შეიძლება არც მის ქედმაღლობაზე რამდენიმე სიტყვის თქმაც იყოს, ნახეთ, ცოტა ხნის შემდეგ რას წერს:

ევნომიოსი: უწინარესად ყველა თქვენგანს ვთხოვ, ვინც ახლა მისმენთ და ვინც შემდეგში წაიკითხავთ, დაე, გქონდეთ სურვილი იმისა, რომ ჭეშმარიტება სიცრუისაგან არა მიმდევართა რიცხოვნობით განარჩიოთ და არც უპირატესობა დაუკავშიროთ სიმრავლეს. გონებით ნუ დაბნელდებით, ყურადღება ღირსებებს მიაქციეთ და რიგით ადრე მიღებულ სწავლებათათვის უპირატესობის მინიჭებით სასმენელთ შემდგომთა შესაწყნარებლად ნუ დაიხშობთ.

ბასილი: რას ამბობ? უპირატესობა ადრე მიღებულთ არ უნდა დავუთმოთ და პატივი არ უნდა მივაგოთ მრავალ ქრისტიანს, ვინც ახლა ცხოვრობს და ვინც სახარების ქადაგებიდან მოყოლებული არსებობდა? არად უნდა ჩავაგდოთ ღირსება ყოველგვარი სულიერი მადლით განბრწყინვებულთა? და ეს იმიტომ, რომ ახალი მზაკვრული გზა, ყოველი მათგანისათვის საძულველი და მტრული, შენ გაიყვანე? ყველამ ერთად მაგრად უნდა დახუჭოს სულიერი თვალები, ხსოვნა ყველა სიწმინდისა გონებიდან განაგდოს და თითოეულმა ასე დაცარიელებული და მოცალე გული შენს ხრიკებსა და ცრუმსჯელობებს უნდა მიუღძვნას? მართლაც დიდი იქნებოდა შენი ძალაუფლება შენი ბრძანებით იმისთვის რომ მიგეღწია, რასაც თავისი მრავალფეროვანი ხერხით ეშმაკიც ვერ მისწვდა და ჩვენც, ვირწმუნებდით რა შენსას, დავასკვნიდით, რომ გარდამოცემა, რომელსაც მთელი განვლილი დროის მანძილზე ამდენი წმინდანისათვის

[3] იგულისხმება ევდოქსი, მაკედონიოსის მემკვიდრე.
[4] ევნომიოსი იგულისხმება.

ჰქონდა ძალა, ნაკლებმნიშვნელოვანია თქვენს მკრეხელურ გამონაგონზე. მაგრამ ევნომიოსისათვის საკმარისი მხოლოდ ახლანდელ მსმენელთა ცდუნება როდია, არამედ სურს, მათაც იგივე აზრი ჰქონდეთ, რომელნიც მის წიგნს მომავალში გაეცნობიან. რა ქედმაღლობაა ფიქრი იმაზე, რომ შენი წიგნი დროს გაუძლებს და მისი ხსოვნა მომავალშიც უკვდავად შენარჩუნდება. ამგვარად თავმომწონეობს ახლა იგი, რომელიც ღონეს აცლის რა მსმენელებს, ცოტა შემდეგ, თითქოს დიდებისმოყვარეობაზე სრულიადაც არ ზრუნავდეს, წარმოსახვით მსაჯულებს ასე მიმართავს:

ევნომიოსი: გარდა ამისა, ნუ განგვირისხდებით, თუკი ახლანდელ პატივმოყვარეობასა და შიშს, წყალობასა და უსაფრთხოებას, მომავალ უსაფრთხოებას ვამჯობინებთ და განვსჯით რა, რომ უსჯულოთათვის დადგენილი მუქარა ყოველგვარ მიწიერ ტანჯვასა და დროებით სიკვდილზე საშიშია, ყოველგვარი საფარველისაგან განძარცულ ჭეშმარიტებას გადმოვცემთ.

ბასილი: განა ეს წყობილსიტყვაობა ყოველგვარ კვეხნა-ბაქიაობაზე მეტი არაა? აქ დაცინვასთან ერთად მსაჯულებსაც შეურაცხყოფს, რომელნიც თურმე სიკეთეს ვერ ითმენენ და იმ კაცზე განრისხებისაგან, რომელიც პატივმოყვარეობასა და სახელს არად აგდებს, ახლანდელ უსაფრთხოებას მომავალში უსაფრთხოებას ამჯობინებს და დროებით სიკვდილზე საშიშად მომავალ სასჯელს მიიჩნევს, თავს ძლივს იკავებენ. და ამით რას ამბობს? „ნუ განრისხდებით ჩემზე, კაცნო(მსაჯულნო), რომელმაც სათნოების მწვერვალს მივაღწიე, ყოველივე მიწიერი დავტოვე და მთლიანად ზეცაში გადავსახლდი“. აი, ახალი სახე ქედმაღლობისა! თვალთმაქცობს რა, რომ არად აგდებს პატივმოყვარეობას, ამით უკიდურესად მედიდურობს და იმით, რომ საქმეებს, რომელნიც სახარებისეულ ცხოვრებაში ძირითადია, შენდობის ღირსად წარმოაჩენს, მიგვახვედრებს, როგორი პატივი უნდა მივაგოთ მას საქმეთათვის, რომელნიც არა შენდობას, არამედ მოწონებას იმსახურებენ.

დავდუმდით რა ბევრ რამეზე, იმის შესახებ, რაც მისი საქმიანობის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს, საკმარისად ითქვა და მის ტყუილთაგან უკვე შეგვიძლია შევიცნოთ, რომ მასში მამა სიცრუისა ლაპარაკობს, ხოლო ქედმაღლობიდან მივხვდეთ, ვისთან ერთად განისჯება; მოციქულის მიერ ხომ ნათლადაა თქმული: **ამპარტავანი საშჯელსა შევარდეს ეშმაკისასა**(Iტიმ.III,6). როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს მისი უსჯულოების მხილებამდეც მივედით.

პირველად იგი რწმენის უბრალო და დაუზუსტებელი სიტყვებით შედგენილ აღმსარებლობას გადმოსცემს, რომელსაც მამათაგან ზოგიერთი იყენებდა. არ იძიებდნენ რა საკითხებს, რომელთაც ახლა განვიხილავთ, ისინი თავიანთ მრწამსს ასეთი სახით მარტივად, გულის სიწრფელით გამოხატავდნენ. თუმცა, როგორც ამბობენ, არიოზიც, ცდილობდა რა ალექსანდრეს მოტყუებას, ამავე მრწამსზე მიუთითებდა და ესენიც ამიტომ იმეორებენ, მაგრამ ევნომიოსი მას, ვითარცა შესაბამისს მისი აზრებისა, ორი მიზეზით გვთავაზობს:

ერთი, რომ მამათა რწმენის, ვითარცა სწორად გადმოცემულის, შეწყნარებით ეჭვს მის მიმართ, ვითარცა სიახლის შემომტანისადმი, გაექცეს და მეორეც: ყველა, ვინც ამ გამოთქმებს სიწრფელით ირწმუნებს, ისე რომ თავადაც ვერ მიხვდება, მის ცრუ მსჯელობათა მახეში გააბას. ამასთან, იმასაც ჭვრეტს, რომ ვითომდა განმარტებით მამათა გამონათქვამებისა საკუთარ აზრებს კეთილსახიერებით(უფრო მოხერხებულად) შემოიტანს და თავის უსჯულოებას უკეთესად დაფარავს, ხოლო თუ მაინც მხილებული იქნება, უდანაშაულოდ წარმოჩნდება, რადგან თავისით და საკუთარს არაფერს ამბობს, არამედ მხოლოდ სხვათა აზრებს განმარტავს. რა თქმა უნდა, ის ვერ მიხვდა, რომ ამ შემთხვევაშიც ფრიად სასაცილო აღმოჩნდებოდა, რადგან ზემოხსენებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობისათვის დიდი ხოტბა-ქების უხვად შესხმიდან ცოტა შემდეგ, მას კვლავ ყველაზე შემარცხვენელი საყვედურებით ავსებს. რასაც ვამბობ, უფრო ნათელი რომ გახდეს, მის თხზულებას ნაწილებად დავყოფთ და ისე გამოვიძიებთ. უწინარესად კი, რწმენის აღმსარებლობას განვიხილავთ, რომელსაც იგი გვთავაზობს და რომელსაც მისივე სიტყვებით გადმოვცემთ.

ევნომიოსი: მაგრამ ჯერ, ვითარცა ნორმასა და წესს, მამათა ღმრთისმოსაურ გადმოცემას შემოგთავაზებთ, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა ძალა და განსახილველ საკითხზე მსჯელობისას ამ ზუსტი კრიტერიუმით ვისარგებლებთ.

ბასილი: ამის შემდეგ მოჰყავს სარწმუნოებრივი აღსარება, რომელსაც ასე გადმოსცემს:

ევნომიოსი: გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, რომლისაგან არს ყოველი; და ერთი მხოლოდშობილი ძე, სიტყვა ღმერთი, იესო ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი; და ერთი სულიწმიდა, ნუგეშინისმცემელი.

ბასილი: შემდეგ მსწრაფლ უმატებს:

ევნომიოსი: ამრიგად, ყველასათვის, რომელთაც თავის ქრისტიანებად მოჩვენება, ან ქრისტიანებად ყოფნა სურთ, თუკი უმთავრესს ძალიან მოკლედ ვიტყვით, უმარტივესი და საერთო რწმენა ესაა.

ბასილი: იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც მის სიტყვებშია და იმის შესახებ, როგორ ურცხვად ებრძვის თავისსავე ნათქვამს, ცოტა შემდეგ ვიტყვით. უწინარესად კი იმას გავიხსენებთ, რომ ეს არის ადამიანი, ვინც ზემოთ ნათქვამ სიტყვებში ყოველგვარი საფარველისაგან განძარცული ჭეშმარიტების გადმოცემას შეგვპირდა. მაგრამ განა აქ სადმე წერია, რომ ყოველთა ღმერთის არსი უშობელობაა, ან ის გვწამს, რომ მხოლოდშობილი ძე არსით მამის იგივეობრივი არაა? ამას თვითონ ევნომიოსი დაწერდა, თავი რომ არ შეეკავებინა და თავისი სიბრძნისათვის ცბიერების საფარველი არ გადაეფარებინა. მაგრამ, ვფიქრობ, იყენებს რა ყველა სიტყვას ეშმაკურად, გაუწვრთნელ სასმენელთათვის დამაჯერებლობა რომ არ მოაკლდეს და მიუღებელი არ გახდეს, საკუთარ შეხედულებაზე დუმს და მამათა რწმენას წარმოადგენს, რომელიც თავისი ზომიერი გამონათქვამებით ვერც მისი თხზულების საერთო მიზანს შეუქმნიდა

წინააღმდეგობას და რომელსაც, მიაქცევდა რა სიტყვას განმარტების სახით ადრე ნათქვამისაკენ, საკუთარ შეხედულებასთანაც ადვილად შეათანხმებდა. ეს რომ სიმართლეა, თავისთავად ცხადია, რადგან მამათა სარწმუნოების გადმოცემისთანავე მყისვე განმარტებაზე გადადის, რისთვისაც, რაღაც სხვა საბაბთან ერთად, იმასაც იყენებს, რომ იგი მისთვის ბრალდების მოსახსნელად საკმარისი არაა.

მაგრამ მაშინ ეს აღმსარებლობა რატომ შემოგვთავაზა და თავიდანვე იმ დასკვნებს რატომ არ მიმართე, რომელნიც ზუსტნიც იქნებოდნენ და შენთვის ბრალდების მოხსნაც შეეძლოთ? ახლა კი მას, ვითარცა მყარ კრიტერიუმს, ისე გვთავაზობს და თანაც ასწორებს, თითქოს მასში ჯანსაღი არაფერი იყოს. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ვითარცა სიკვდილისაკენ მიმტაცებელ ანკესს, თავის სიბრძნეს, მსგავსად სატყუარასი, რწმენის უბრალოებას უერთებს, რათა გამოუცდელნი, იმას წაეტანონ, რაც ჩანს, და გაუფრთხილებლობით უსჯულოების ბოროტებით დაიჭრან. საჩვენებლად იმისა, რომ აღმსარებლობის, რომელიც გარდამეტებული ხოტბით თვითონვე განადიდა, გასწორებას ხელი აუცილებლობით მოჰკიდა, თითქოს თავისი სიტყვები დაავიწყდაო, ნახეთ, მას როგორ აძაგებს.

ევნომიოსი: ამრიგად, ყველასათვის, რომელთაც ქრისტიანებად თავის მოჩვენება ან ქრისტიანებად ყოფნა სურთ, თუკი უმთავრესს ძალიან მოკლედ ვიტყვით, უმარტივესი და საერთო რწმენა ესაა.

ბასილი: მითხარი, მამათა ღმრთისმოსაური გარდამოცემა – ეს წესი და მყარი კრიტერიუმი მსჯელობის შესამოწმებლად, – როგორც შენ მას უწოდე, ახლა შენ მიერვე იარაღად სიცრუისა, ხელოვნებად თვალთმაქცობისა და კიდევ სხვა ამათი მსგავსი სახელებით იწოდება? უკეთუ მას არა ჭეშმარიტი ქრისტიანები, არამედ ისინი ეწყობიან, რომელთაც ქრისტიანად ყოფნას ქრისტიანად თავის მოჩვენება უჯობთ, მაშინ განა მის შესახებ სხვა დასკვნის გამოტანა შესაფერისი იქნება? მხოლოდ სრულიად გონებააშლილს შეუძლია ხომ თქმა იმისა, რომ კანონი სიწრფელისა ჭირვეულთა სულს შეესაბამება და მაგალითი ჭეშმარიტებისა – მტრებს ჭეშმარიტებისა? რადგან ისინი, რომელნიც ჭეშმარიტ ქრისტიანებად ყოფნას ქრისტიანის სახელს ამჯობინებენ და მისით მრავალთა მოსატყუებლად თვალთმაქცურად იმოსებიან, ყოველგვარი სიწრფელისა და ჭეშმარიტებისაგან შორს არიან: **გარდაქცეული იგი ვერ წარემართება**(ეკლ.I,15),[5] – როგორც ამას ეკლესიასტე გვეუბნება და არც ჭეშმარიტების მაგალითები(ნიმუშები), როგორც ეს ევნომიოსს აქვს წარმოდგენილი, მოერგება მათ, რომელთაც ცხოვრებისათვის ტყუილი აირჩიეს.

იმ მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც უკვე ვთქვი, ევნომიოსი ისე ცხადად ეწინააღმდეგება თავის თავს, რომ რწმენის სიმბოლოს აქებს კიდე-

[5] ეკლესიასტეს ამ მუხლს ბასილი დიდი ოდნავი სახეცვლილებით იმოწმებს. ქართულ ბიბლიაში იგი ზუსტადაა თარგმნილი: *გარდაქცეული იგი ვერ ჴელ-ეწიფების შემკობად* – διεστραμμένον οὐ δυνήσεται τοῦ ἐπικοσμηθῆναι (Ekl. I,15), (მთგ.).

ვაც, რათა მამებთან მისი ერთობა ღმრთისმოსაობით წარმოაჩინოს და საყვედურობს კიდევაც, რათა გზა განმარტებისათვის გაიხსნას. ამიტომ ნიმუშსაც(სამაგალითოსაც) უწოდებს და იმასაც ამბობს, რომ იგი დაზუსტებისათვის დამატებას საჭიროებს. დაე, ეს იყოს ნიშანი უკიდურესი უვიცობისა მისთვის, ვინც მის გამოძიებას მოიწადინებს. სამაგალითოს და ნიმუშს იმისთვის, რომ მაგალითი და ნიმუში იყოს, დასაზუსტებლად აქამდე არაფრის დამატება დასჭირვებია, რადგან დამატება საჭირო მოკლების გამო ხდება. ასე რომ, თუკი იგი არასრულყოფილია, ეს სახელები სამართლიანად ვერ ეწოდება; მაგრამ ამის შესახებ კმარა!

ახლა განვიხილოთ მოძღვრება ღმერთზე, რომელსაც იგი გადმოსცემს:

ამრიგად, ამბობს **ევნომიოსი,** ბუნებრივი გაგებითაც და მამათა სწავლების მიხედვითაც, ჩვენ ვაღიარებთ ღმერთს, რომელიც არც თავისით შობილა და არც სხვის მიერ, რადგან ერთიც შეუძლებელია და მეორეც. ჭეშმარიტების თანახმად ხომ წარმომშობი წარმოშობილზე ადრე უნდა არსებობდეს და წარმოშობილი წარმომშობთან მიმართებაში მეორე უნდა იყოს. მაგრამ როგორც თავისთავთან მიმართებაში არავის ხელეწიფება პირველიც იყოს და მომდევნოც, ასევე შეუძლებელია ღმერთზე ადრე სხვა რაიმეს არსებობაც, რამდენადაც მას მომდევნოსთან მიმართებისას ღმრთეების ღირსება ექნება.

ბასილი: რისთვის მომაქვს სრულად მისი ტექსტი? რათა ცხადი გახდეს მრავალსიტყვაობა კაცისა, რასაც იგი საერთოდ მთელ თხზულებაში მიმართავს. თვითონვე თქვა რა, რომ, საერთო გაგებით, ღმრთის უშობელობა ყველასათვის ცხადია, შემდეგ ამის მტკიცებულების წარმოდგენას შეეცადა, რაც იგივეა, ვინმეს რომ ჯანსაღი თვალების პატრონისთვის ბრწყინვალე შუადღისას იმის დამტკიცება განეზრახა, მზე ზეცის ვარსკვლავებზე უფრო ნათელიაო.

უკუეთუ ლოგიკური გზით მტკიცება იმისა, რაც შეგრძნებით შეიცნობა, სასაცილოა, მსგავსი სისულელისთვის როგორ არ უნდა აგოს პასუხი მან, ვინც იმას ასწავლის, რაც შესწავლის გარეშეც საერთო ცნებებადაა აღიარებული? მოაზროვნეთათვის ხომ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სანდო ისაა, რაც მხედველობისათვისაა საჩინო. ამიტომ ვინმე რომ ურცხვად ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ აღმდგარიყო და უშობელის, ან თავისი თავისაგან, ან სხვისგან შობის მტკიცება დაეწყო, კიდევ შეიძლებოდა ფუჭმეტყველება ევნომიოსისა რამდენადმე შესანდობელი ყოფილიყო, მაგრამ რამდენადაც არც ჩვენი სწავლების გარეშე მდგომთაგან და არც თავად ეკლესიაში ჭეშმარიტების წინააღმდეგ არავინ აღმდგარა და გონება ისე არ დაჩლუნგებია, რომ უშობელის შობა საკამათო გაეხადა, ამგვარ მსჯელობათა სარგებლობას ვერ ვხედავ. მართლა გვჭირდებოდა არისტოტელესა და ქრიზიპოსის დასკვნები იმის სწავლებისათვის, რომ უშობელი არც თავისი თავისა და არც სხვისგან არ შობილა? და რომ ის თავისთავზე არც უფროსია და არც უმცროსი? და ამით რისი თქმა სურს? ვფიქრობ, ამით თავის მიმდევართა წინაშე თავმომწონეობს, ვითარცა კაცი,

რომელსაც მახვილი და უჩვეულო გონება აქვს, შეუსაბამობას გამჭრიახობის წყალობით ამჩნევს და შემჩნეულს კიდევ უფრო მახვილგონივრულად არღვევს; ამიტომ კოხტაობს რა სიტყვათა მოქნილობით, ოსტატურად ამტკიცებს, რომ უშობელი არც თავისი თავისა და არც სხვის მიერ არ არის შობილი. ამასთან, თავის ხრიკებს არც აქ ივიწყებს და ჩერდება რა იმაზე, რაც აღიარებულია, რამდენადმე საფუძველს თავის მომდევნო სწავლებასაც უყრის, რადგან უმიზნოდ კი არ თქვა, თანახმად ჭეშმარიტებისა წარმომშობი წარმოშობილზე ადრე უნდა არსებობდესო, არამედ იმისთვის, რომ რამდენადაც წარმომშობი წარმოშობილზე უფროსია, მამისაგან ძის შემდეგში შობა წინასწარ ყოფილიყო აღიარებული, რასაც შედეგად იმის აღიარებაც მოჰყვებოდა, რომ ძე არარაჲსგან იშვა. მაგრამ ძეზე სწავლების უსჯულოებას თავის ადგილზე ვამხელთ.

მე კი ვიტყოდი, რომ თავად სახელწოდებას **უშობელი,** სამართლიანობის მიხედვით, წარმოთქმაზე უფრო დუმილი შეეფერება, რადგან, თუმცა ჩვენს ცნებებთან ძალიან ახლოსაა, მაგრამ წმინდა წერილში არსად იხსენიება და მათი უსჯულოების პირველსაწყისს წარმოადგენს; ხოლო ტერმინი **მამა** თანაბარმნიშვნელოვანია უშობელისა და ურთიერთმიმართების წარმოჩენით საკუთარ გაგებასთან ერთად ძის გაგებაც შემოაქვს. ჭეშმარიტი და ერთი მამა არავისგან იშვება, არავისგან შობა კი, იგივეა, რაც უშობელობა. ამიტომ უშობელზე მეტად ჩვენ მას მამა უნდა ვუწოდოთ, თუ არ გვინდა უფრო ბრძენნი ვიყოთ მაცხოვრის სწავლებაზე, რომელმაც ბრძანა: **წარვედით... ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა**(მთ.XVIII,19) და არა უშობელისაჲთა. და ამის შესახებ საკმარისად ითქვა, ხოლო ჩვენ მისი ეს სიტყვები მომდევნოსთან კავშირში განვიხილოთ, რადგან ცოტა შემდეგ, თითქოს თავის ნათქვამს თვითონვე ამოკლებსო, იგი წერს:

ევნომიოსი: თუკი დამტკიცებულია, რომ ღმერთზე ადრე არც თავად იგი და არც სხვა რამე არ არსებობს, არამედ ყოველივეზე უწინარესი თვითონაა, მაშინ მისი თანამდევი უშობელობაა, ან უფრო უკეთ, ის უშობელი არსია.

ბასილი: ბოროტმზრახველობა, რომელიც ჩვენ ამ სიტყვებში დავინახეთ, ვფიქრობ, ასევე ძალიან ადვილად დასანახია ყველასათვის, ვინც კი მასზე ყურადღებას თუნდაც მცირე ხნით შეაჩერებს, მაგრამ მისი მრავალთათვის წარმოჩენა, არც ისე ადვილია, თუმცა დავამყარებთ რა სასოებას მასზე, ვინც **სცეს სიტყუაჲ მას, რომელნი ახარებენ ძალითა მრავლითა**(ფს.XVII,11), მაინც შევეცდებით. თქვა რა, რომ, რამდენადაც ღმერთზე ადრე არც თავად იგია და არც სხვა რამე და ამიტომ მისი თანამდევი უშობელობაა, შემდეგ მიხვდა, რომ ამ დებულებიდან გამომდინარე დასკვნა მის საწინააღმდეგოდ შემობრუნდა, რადგან უკეთუ უშობელობა ღმრთის თანამდევია, ცხადია, იგი მას გარედან მისდევს, ხოლო რაც ღმრთის გარეშეა, იგი მისი არსი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, მთელი მისი ავბედითი ჩანაფიქრი ირღვევა და ნადგურდება და ეს რომ არ განიცადოს, რას აკეთებს? თითქმის არ ზრუნავს რა იმაზე, რომ

არათანმიმდევრულობის გამო სასაცილო არ გახდეს, სიტყვა იქითკენ მიჰყავს, საითკენაც სურს, როცა ამბობს: „უფრო უკეთ, ის უშობელი არსია“. მაგრამ ეს ხომ იმას, რაც მის წინ თქვა, არ ეთანხმება? რადგან როგორ არის უშობელობა ჯერ ღმრთის თანამდევი, შემდეგ კი აღარ არის და მას თავად არსის გაგება შეიცავს? მაგრამ ევნომიოსი თავისი ცრუ მსჯელობის სრულ განადგურებას არ უშვებს. თუ იმ სიტყვაზე დადგებოდა, რომ ღმრთის თანამდევი უშობელობაა, მაშინ ან ყოველთა ღმერთის არსისათვის უშობელი არ უნდა ეწოდებინა, ან ის უნდა დაემტკიცებინა, რომ მხოლოდშობილი ძე არსით სხვაა, რადგან გარეშე თანამდევთაგან მამისა და ძის თვისებათა არსობრივად გაყოფა არაფერს შეუძლია. ახლა კი, დართვით სიტყვებისა: *უფრო უკეთ, იგი*(ე. ი. ღმერთი) *უშობელი არსია,* წარმოაჩინა, რომ უშობელობა იგივეა, რაც ღმერთი. უსჯულოებასა შინა დაწინაურებისათვის ეს მას ხელს რამდენად უწყობს, ამას სიტყვის გაგრძელებისას წარმოვაჩენ. ის, რაც მან თავშივე თქვა, საქმეთა ჭეშმარიტებამ ნათელყო, ხოლო რაც ბოლოში დაურთო, ვითარცა შედეგი ადრე დაშვებულისა, ერეტიკული აზროვნებიდან გადმოიტანა, სიტყვის გასასწორებლად ურცხვად გადახტა რა მასზე ეს სიტყვის მთხზველი. რადგან ერთი და იგივე როგორ შეიძლება იყოს თანამდევიც ღმრთისა და იგივეობრივიც მისი, როცა ყველასათვის ცნობილია, რომ თანამდევი განსხვავდება მისგან, ვისი თანამდევიცაა? ხოლო მან, თითქოს რაღაც გზას დაეუფლაო, მტაცებლურად მიიტაცა რა სიტყვა, აქედან იმის მტკიცებაზე გადავიდა, რომ ყოველთა ღმერთის არსი უშობელობაა, რათა შემდგომად ამის დამტკიცებისა, ძის მამისაგან არსით სხვაობა ყოფილიყო აღიარებული. ნახეთ, რას ამბობს:

ევნომიოსი: ვუწოდებთ რა უშობელს, ვფიქრობთ, არა მხოლოდ კაცობრივად მოაზრებული სახელით(katepinoian) უნდა ვადიდოთ ღმერთი, არამედ მას ყველაზე უცილობელი ვალი უნდა მივაგოთ აღიარებით იმისა, რომ იგი ნამდვილად არსებობს, რადგან, რაც მოაზრებით წარმოითქმება, ყოფიერება მხოლოდ სახელებსა და, მათ წარმოთქმაში აქვს და, ჩვეულებრივ, სიტყვებთან ერთად იფანტება.

ბასილი: შესაძლებლობას ღმრთის უშობელობის მოაზრებით განჭვრეტისა უარყოფს, რადგან თვლის, ამ გზით მტკიცებას იმისა, რომ ღმრთის არსი უშობელობაა, გაიადვილებს, აქედან კი იმასაც უდავოდ დაამტკიცებს, რომ არსით ძე მამის მსგავსი არაა. ამიტომაც დაჟინებით იმეორებს ტერმინს **მოაზრება** (ἐpinoia), რამდენადაც მას მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს და არსებობას მხოლოდ წარმოთქმისას იძენს, ამდენად ხოტბის შესხმა მისით ღმრთისთვის შეუფერებელია. მე არ დავიწყებ მტკიცებას იმისა, მოაზრებით განიჭვრიტება თუ არა უშობელი, ვიდრე ამას თვითონ სიტყვის გამოძიების შედეგად არ შევიცნობ.

სხვათა შორის სიამოვნებით ვკითხავდი, თვითონ ეს სიტყვა **მოაზრება** რას ნიშნავს. ნუთუ ეს სახელი მართლაც არაფერს აღნიშნავს და მხოლოდ ხმაა,

ენიდან ამაოდ მოწყვეტილი? მაგრამ მაშინ ხომ უმჯობესი იქნებოდა მისთვის არა **მოაზრება,** არამედ სიგიჟე, ან ფუჭი ლაყბობა გვეწოდებინა? ხოლო თუკი დაგვეთანხმება, რომ მოაზრება რაღაცას კი აღნიშნავს, მაგრამ სრულიად ცრუსა და არარსებულს, მაგალითად, ვითარცა მითებში წარმოსახული კენტავრები და ქიმერები, აღნიშნული სიცრუე ენიდან მოწყვეტილ ხმასთან ერთად გაქრება? მართალია, სიტყვა ჰაერსა შინა სრულიად იღვრება, მაგრამ ცრუ გაგებანი ხომ გონებაში რჩება. ძილისმიერ ოცნებათა თუ გონების სხვა ამაო ამოძრავებისას, როცა სული სრულიად ცრუ და ამაო წარმოსახვებით ივსება, იგი მათ ჯერ ხსოვნაში ინახავს და სიტყვებით გამოხატვას შემდეგ გადაწყვეტს. სიტყვის წარმოთქმასთან ერთად წარმოსახვებიც არ ქრება. ასე რომ იყოს, სიცრუის თქმა ფრიად ღირსეული საქმე იქნებოდა, რადგან ბუნება სიცრუისა მის წარმოთქმასთან ერთად განადგურდებოდა.

მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ ხდება. ახლა იმის ჩვენებაღა გვრჩება, საერთოდ, როგორ და რომელ საქმეთა მიმართ იხმარება **მოაზრება** და როგორ იწყნარებს მის გამოყენებას ღმრთეებრივი სიტყვა. ვხედავთ, რომ, როცა ის, რაც გონების უეცარი ამოძრავებით მარტივი და ერთიანი გვეჩვენება, დაწვრილებითი გამოძიებით მრავალფეროვანი აღმოჩნდება, მაშინ გონებით დაყოფილ სიმრავლეზე ითქმის, რომ იგი მხოლოდ მოაზრების შედეგად დაიყო.

მაგალითად, ერთი შეხედვით სხეული მარტივად წარმოგვიდგება, მაგრამ მოდის რა შემწედ გონება და მოაზრებით ჰყოფს რა მას მრავალ შემადგენელ ნაწილად: ფერი, ფორმა, დრეკადობა, სიდიდე და სხვ., გვაჩვენებს, რომ სინამდვილეში იგი მრავალფეროვანია.

ასევე საგნებზე, რომელთაც თავისთავადობა საერთოდ არ აქვთ, როგორიცაა, მაგალითად, კაცთა განსაცვიფრებლად მითების მთხზველთა და ფერმწერთა მიერ მხოლოდ რაღაც გონებრივი ფერწერითა და ფანტაზიით შექმნილი გამოსახულებანი, ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ისინიც გონებით წარმოიდგინებიან. ევნომიოსი ან უვიცობით, ან ბოროტი განზრახვით საერთოდ არ ახსენებს ამას და ჩვენ მხოლოდ არარსებულთა მოაზრებაზე გვეფილოსოფოსება და აქაც ისეთ განმარტებას იძლევა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, როცა ამბობს, რომ **მოაზრება** არაფერს, თვით სიცრუესაც კი არ აღნიშნავს, სრულიად უმნიშვნელო სახელია და არსებობა მხოლოდ წარმოთქმისას აქვს.

სხვათა შორის, ამ სახელის – მოაზრება – მხოლოდ ამაო და თავისთავადობის არმქონე წარმოდგენებთან გაიგივება არ შეიძლება, რადგან მოაზრებად იწოდება დაწვრილებითი და ზუსტი დამატებითი მსჯელობა(ἐπανάληψις), რომელიც შეგრძნების შედეგად წარმოშობილ ჩვენს პირველ აზრს მოსდევს და ამიტომაც მას, ჩვეულებრივ, გამოკვლევასაც(ἐπιλογισμός) უწოდებენ, თუმცა არა საკუთრივი მნიშვნელობით. მაგალითად, მარტივი წარმოდგენა ხორბლის მარცვალზე ყველას აქვს, რომლითაც მას ნახვისას გამოვიცნობთ, მაგრამ მისი გულმოდგინე გამოძიებისას მრავალი რამის განხილვა ხდება და

გონებით მიწვდომილის აღსანიშნავად სხვადასხვა სახელი ეძლევა; ასე რომ, ხორბლის ერთსა და იმავე მარცვალს ხან ნაყოფს ვუწოდებთ, ხან თესლს, ხანაც საზრდელს: ნაყოფს – ვითარცა მიზანს მიწათმოქმედებისა, თესლს – ვითარცა საწყისს მომავლისა, საზრდელს – ვითარცა შემწეს სხეულისა, რომელიც მას იღებს. თითოეული ამ სახელთაგანი მოაზრების შედეგად მიიღება და ენით წარმოთქმულ ხმასთან ერთად კი არ ქრება, არამედ ფესვებს იმის სულში იდგამს, ვინც მათ მოიაზრებს. ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც გრძნობის ორგანოებით შეიცნობა და შემცნობს მარტივად ეჩვენება, მაგრამ გამოკვლევის შედეგად მრავალ გაგებას იძენს, ამბობენ, რომ ისინი მოაზრებით განიჭვრიტება.

დაახლოებით ამავე სახით იყენებს **მოაზრებას** ღმრთეებრივი სიტყვა. თუმცა ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ გვერდს ავუვლი სხვებს და მხოლოდ ერთს, ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანს, გავიხსენებ. უფალი ჩვენი იესო ქრისტე იქ, სადაც თავისთავზე საუბრობს, უცხადებს რა ადამიანებს ღმრთეების კაცთმოყვარებასა და მისი განგებულების მადლს, ამას იმ თვისებებით აღნიშნავს, რომელნიც მასში გონებით განიჭვრიტება და თავს კარს(ინ.X,9), გზას(ინ.XIV,6), პურს(ინ.VI,51), ვენახს(ინ.XV,1), მწყემსს(ინ.X,11) უწოდებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მრავალი სახელი აქვს, რადგან ყველა სახელი ერთი და იმავე მნიშვნელობისა არაა, სხვაა ხომ მნიშვნელობა ნათლისა, სხვა – ვენახისა, სხვა – გზისა, და სხვა – მწყემსისა; არამედ იმიტომ, რომ არის რა ერთი პირი(τὸ ὑποκείμενον),[6] ერთი მარტივი და შეუდგენელი არსით, თავს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად უწოდებს და სახელებს, რომელნიც ერთმანეთისაგან მოაზრებათა მიხედვით განსხვავდებიან, შესაფერისად იყენებს. სხვადასხვა სახელს ხომ საკუთარ თავს იგი განსხვავებულ მოქმედებათა და ქველმოქმედებათა სხვადასხვა ხასიათის მიხედვით უსადაგებს. სოფლის ნათელს უწოდებს თავს, რათა ამ სახელით ღმრთეების დიდების მიუწვდომელობა აღნიშნოს და აჩვენოს, რომ მათ, რომელთაც სულიერი თვალი განწმენდილი აქვთ, ცოდნის ნათელით განაბრწყინებს; ვენახს იმიტომ, რომ მასში რწმენით დანერგულთ კეთილ საქმეთაგან გამოღებული ნაყოფით ასაზრდოებს; პურს – ვითარცა ყველაზე შესაფერის საზრდელს გონიერი არსებისათვის, რომელიც აგებულებას სულისას განამტკიცებს, მის ინდივიდუალობას იცავს, ნაკლულოვანებას მისას მარადის აღავსებს და ნებას არ აძლევს უგუნურებისაგან წარმოშობილ უძლურებასა შინა ჩავარდეს.

ამგვარად, ვინც ამ სახელთაგან თითოეულს გულმოდგინედ გამოიძიებს, მოაზრებათა სიმრავლეს აღმოაჩენს, თუმცა, არსის მიხედვით, ყველა ერთს გულისხმობს. მკრეხელობისათვის ენა ისე ვის აქვს ალესილი, რომ გაბედოს

[6] ეს ტერმინი არსენ იყალთოელთან და ეფრემ მცირესთან სხვადასხვა შესატყვისით ითარგმნება: „ქუედმდებარე“ – სუბიექტი, სუბსტანცია; „წინამდებარე“; „ზედამდებარე“; „მოკიდებითი“ – სუბსტრატი; „თანამოკიდული“ – ქვემდებარე, სუბიექტი; ასევე: „პირი წინამდებარე“ – ქვემდებარე(იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გამც. მ. რაფავა, თბ., 1976. გვ. 246 და 276-277).

და თქვას, ეს მოაზრებანი სიტყვებთან ერთად განქარდებაო?

რა არის უცნაური იმაში, რომ მოაზრებით რაღაც ყოველთა ღმერთის შესახებაც იქნეს შეწყნარებული, უწინარესად კი, ის რისკენაც მთელი ჩვენი სიტყვაა მიმართული? სიტყვა „უშობელი“ ხომ სხვაგვარად გამოყენებული ვერსად ვიპოვეთ. ვამბობთ რა, რომ ყოველთა ღმერთი **უხრწნელი** და **უშობელია,** ამ სახელებს სხვადასხვა აზრით ვუწოდებთ. რადგან, როცა მზერას გარდასული საუკუნეებისაკენ მივაქცევთ და აღმოვაჩენთ, რომ ცხოვრება ღმერთისა ყოველგვარი საწყისის მიღმაა, მას **უშობელად** სახელვდებთ, ხოლო როცა გონებით მომავალ საუკუნეებს გადავწვდებით, მაშინ ვითარცა ზღვარდაუდებელს, გარეშემოუწერელსა და უსასრულოს, უხრწნელად მოვიხსენიებთ; რადგან თუკი მათგან თითოეულს მოაზრების შედეგად გონებით განვჭვრეტთ, უსასრულობას სიცოცხლისა უხრწნელობად სახელვდებთ, ხოლო უსაწყისობას(დაუსაბამობას) მისას – უშობელობად. რომელი გონება გაუწევს წინააღმდეგობას იმას, რომ ორივე ეს სახელი მოაზრებულია და აღიარებაა იმისა, რაც ღმერთს მართლა ეკუთვნის? მაგრამ ევნომიოსი მათ – ღმრთისათვის მოაზრებით რომელიმე სახელის მიცემასა და აღიარებას იმისას, რა არის ღმერთი, ვითარცა ურთიერთდაპირისპირებულებსა და სრულიად მოურიგებელთ, ერთმანეთისაგან ყოფს. დუმილით გვერდს ვერც იმას ავუვლით, მსმენელთა წარსაწყმედელად როგორი გარეგნული კეთილკრძალულება აქვს მოფიქრებული მას შემდეგ სიტყვებში:

ევნომიოსი: არა კაცობრივად მოაზრებული სახელის – უშობელის – წოდებით უნდა ვადიდოთ ღმერთი, არამედ მას ყველაზე აუცილებელი ვალი უნდა მივუზღათ აღიარებით იმისა, რომ იგი არის.

ბასილი: რომელ სიტყვას შეუძლია ამ ვერაგობის მანქანებათა შესაფერისად წარმოჩენა? იგი ცდილობს უბრალო ადამიანები იმით დააშინოს, რომ ვალს ღმერთს, თუკი მას უშობელ არსად არ აღიარებენ, ვერ მიუზღავენ. ვინმემ რომ არ იფიქროს, რამეს თავისით ამბობსო, საკუთარ მკრეხელობას ვალის გადახდას და ღმრთის წინაშე უცილობელი მოვალეობის შესრულებას უწოდებს და სხვებსაც უმტკიცებს, რომ არსში უშობელობის შეტანისათვის არც პასუხი მოეთხოვებათ და შენდობილნიც იქნებიან, მაგრამ თუ მას სხვაგვარად, ღმრთისმოსაობის მიხედვით გაიგებენ, თავს ულმობელ რისხვას დაიტეხენ, რადგან ამით უარს ყველაზე ძველი და უცილობელი ვალის გადახდაზე იტყვიან.

სიამოვნებით გამოვიძიებდი მისგან, ამგვარ კეთილგონიერებას იგი ღმრთის შესახებ ყველა სხვა გამონათქვამთან დაკავშირებით იცავს, თუ მხოლოდ ამ ტერმინთან მიმართებისას?

თუკი იმიტომ, რომ ღმრთის კაცობრივი სახელებით მადიდებელად არ გამოჩნდეს, მოაზრებით მასზე ვერაფერს წარმოიდგენს, მაშინ ყოველივე, რაც ღმრთის შესახებაა ნათქვამი, ასევე არსად უნდა აღიაროს, მაგრამ განა სასაცილო არ იქნება თქმა იმისა, რომ არსია შემოქმედი(δημιουργικόν), ან კიდევ განგებულება(προνοητικόν) და, ასევე, წინასწარცნობაც(προγνωστικόν)

არსია? და საერთოდაც, არსად მიჩნევა ყველა ქმედებისა? თუ ყველა ამ სახელს ერთი მნიშვნელობისაკენ მივყავართ, მაშინ ისინი უცილობლად ერთი და იმავე ძალისანი არიან, როგორც ამას მრავალი სახელის მქონენი გვიმოწმებენ, მაგალითად, როცა ერთსა და იმავე პიროვნებას სიმონსაც ვუწოდებთ, პეტრესაც და კეფასაც. ამგვარად, ვინც მოისმინა უცვალებლობაზე ღმრთისა, ის მისი უშობელობის გაგებამდეც მივა, ხოლო ვინც მოისმინა, რომ იგი დაუნაწევრებელია, შემოქმედსაც წარმოიდგენს. რა უნდა იყოს იმგვარ შერწყმაზე უმართებულო, როცა ართმევ რა თითოეულ სახელს თავის საკუთარ მნიშვნელობას, მათი საერთო გამოყენებისა და სულიწმიდის სწავლების საწინააღმდეგო კანონს ადგენ? როცა ღმრთის შესახებ ვისმენთ, რომ **ყოველივე სიბრძნით იქმნა**(ფს.103,24), მის შემოქმედებით ხელოვნებაზე ვიგებთ; როცა: **აღაღებ ჴელსა შენსა და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ**(ფს.144,16), – ყოველთა ზედა განვრცობილ განგებულებას შევიცნობთ, ხოლო აქედან: **დადვა ბნელი საფარველად მისა**(ფს.17,11), მისი ბუნების უხილავობას გულისხმავყოფთ, და კიდევ: ღმრთის პირისაგან ნათქვამით: **მე ვარ... და არა ვიცვალები**(მალქ. III,6), ღმრთეებრივი არსის მარადიულ იგივეობასა და უცვალებლობას ვსწავლობთ. ასე რომ, განა ცხადი სიგიჟე არაა მტკიცება იმისა, რომ სახელთაგან თითოეულს თავისი საკუთარი მნიშვნელობა არა აქვს და ყველა სახელი, მიუხედავად იმ სამოქმედო ძალისა, რომელსაც ისინი გამოხატავენ, ერთი და იმავე მნიშვნელობისაა? ამაშიც რომ დავუთმოთ, მიზანს მაინც ვერაფრით მიაღწევენ, რადგან უკეთუ ღმრთისა და მამისათვის მიღებული ყველა ეს სახელი, – უცვალებლობას, უხილავობას, უხრწნელობას ვგულისხმობ, – მის არსს აღნიშნავს, მაშინ, ცხადია, მხოლოდშობილი ძისა და ღმრთის მიმართაც ასევე არსი უნდა აღნიშნოს, რადგან უხილავს, უცვალებელს, უხრწნელს, დაუნაწევრებელსა და სხვა ამგვარ სახელებს მხოლოდშობილ ძესაც ვუწოდებთ. ასე რომ, ეს სიბრძნეც მათსავე საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდებათ. ერთ სახელში სხვაობა ხომ არსით სხვაობას იმდენად ვერ დაამტკიცებს, რამდენადაც მრავალ საერთო სახელს შეუძლია, იმავე აუცილებლობით, აიძულოს ისინი არსით იგივეობრიობა აღიარონ.

უკეთუ იტყვის, რომ კეთილკრძალულებით მხოლოდ ამ ტერმინს – უშობელობას იყენებს, ხოლო სხვებს არ უფრთხილდება, კვლავ შევეკითხებით: როცა ღმრთის შესახებ ამდენი გამონათქვამია, რომელი კენჭისყრით ერგო წილად მისგან გულმოდგინების გამოჩენა მხოლოდ ამ ერთს, რატომ აღასრულებს მხოლოდ მისით ვალს წინაშე ღმრთისა, რომელსაც იმით აღიარებს, რომ იგი ჭეშმარიტად არსებობს, მაგრამ კაცობრივად მოაზრებული მრავალი სახელით მის დიდებაზე უარს ამბობს? ვისაც მრავალი ვალი აქვს და მათგან მხოლოდ ერთს იხდის, არა მადლიერია, არამედ უკიდურესად უმადური, რადგან ვალის უმეტეს ნაწილს ითვისებს. ასე რომ, ევნომიოსიც, მსგავსად ცბიერი ცხოველებისა, ხაფანგში საკუთარი ხრიკებით ებმება და რაც უფრო

მეტად ცდილობს შენიღბვას, მით უფრო იმხილება. ნახეთ, როგორ აგრძელებს იგი სიტყვას; ფიქრობს რა, რომ უშობელობის მოაზრებით მიუწვდომელობა დაამტკიცა, უმატებს:

ევნომიოსი: მაგრამ არა მოკლების აზრით, თუ მოკლებანი რაიმე ბუნებრივის მოკლერბანი არიან და, თანაც ქონებებზე გვიანდელნი.

ბასილი: ძნელი არაა დამტკიცება იმისა, რომ, რასაც ამბობს, ამსოფლიური სიბრძნისაგან აქვს ნასესხები და მისგან წარწყმედილი ცნებების ამგვარ სიახლეთა შემოტანას ეძლევა. ისინი ხომ არისტოტელეს ცნებებია ქონებისა და მოკლებისა, როგორც ამას მისი თხზულების, სახელწოდებით „კატეგორიები", მკითხველები იტყვიან. არისტოტელე ამბობს, რომ ქონებანი მოკლებებზე გვიანდელია. ჩვენ კი, დასამტკიცებლად იმისა, რომ ამას არა სულიწმიდის სწავლებით, არამედ ამ საუკუნის თავადთა სიბრძნით ამბობს, საკმარისია მასზე გადავიტანოთ ის, რაც ფსალმუნშია ნათქვამი: **მითხრეს მე უშჯულოთა ზრახვაჲ, არამედ არა იყო ვითარ შჯული შენი, უფალო**(ფს.118,85). შევიცანით რა, რომ რასაც ამბობს, არა უფალი იესო ქრისტეს სწავლებისაგანაა, მას უფლის სიტყვებს შევახსენებთ: **ოდეს იტყჳნ ტყუვილსა, თჳსისაგან გულისა იტყჳნ**(ინ. VIII,44), ამ გზით მრავალსიტყვაობას ავირიდებთ და ყველასათვის ნათელს გავხდით, რომ ჩვენ მასთან საერთო არაფერი გვაქვს, რადგან: **რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რაჲ ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა**(2კორ.VI,15)? მაგრამ ისე რომ არ გამოჩნდეს, თითქოს დუმილისაკენ სამხილთა ნაკლებობის გამო ვივლტვით, მოკლედ ამის შესახებაც ვისაუბრებთ.

ევნომიოს, ვხედავთ, რომ ღმერთზე გამონათქვამებიდან მრავალი ერთი სახისაა, როგორც მაგალითად, უხრწნელი, უკვდავი, უხილავი. მიგვაჩნია, რომ ამავე სახისაა **უშობელიც.** თუ ზოგიერთები ამგვარ სახელებს მოკლების აღმნიშვნელებს უწოდებენ, ამის შესახებ ვერ ვიმსჯელებთ, რადგან არც სიტყვის ხელოვნების მიმოქცევანი ვიცით და ვერც მათ მცოდნეებს გავეჯიბრებით. მაგრამ ამას კი ვიტყვით: რომელ ჯგუფსაც არ უნდა მიაკუთვნონ ჩამოთვლილი სახელები(სიტყვები), სახელი **უშობელიც** იმავე ჯგუფს ეკუთვნის. ამიტომ, ისევე როგორც უხრწნელობა ნიშნავს, რომ ღმერთში არ არის ხრწნა, უხილავობა, რომ ღმერთი ყოველივეს, რასაც თვალი სწვდება, აღემატება; უსხეულობა – რომ ღმერთს არ აქვს სამი განზომილება; უკვდავობა – რომ მას რღვევა ვერასოდეს შეეხება, ასევე ვამბობთ, რომ უშობელობა ღმრთისთვის შობის არარსებობას ნიშნავს. უკეთუ ამ სახელთაგან მოკლების აღმნიშვნელი არცერთი არაა, მაშინ მოკლებას არც ეს(უშობელობა) აღნიშნავს, ხოლო თუკი ამ სახელთა შესახებ დათანხმდები, რომ ისინი მოკლებას გამოხატავენ, მაგრამ იმავეს სახელის – უშობელის – მიმართ არ დაუშვებ, მაშინ გვითხარი, რომელი თვისების მოკლებას გამოხატავს უხრწნელობა და რატომ არ არის იგი თანაბარი ძალის მქონე უშობელობისა? მაგრამ იგი ხრიკებს მხოლოდ ამ სიტყვასთან დაკავშირებით მიმართავს, რადგან მისი უსჯულოების მიზეზებს ის მოიცავს. მისი ვერაგობა

რომ ცხადი გახდეს, ასე მოიქეცით: გაგება, რომელსაც იგი უშობელობის მიმართ ავითარებს, კერძოდ, რომ იგი არც კაცობრივადაა მოაზრებული და არც მოკლების მნიშვნელობა აქვს, არამედ ღმრთის კეთილად დიდებისათვის ითქმის, ღმრთის შესახებ სხვა გამონათქვამებზე გადაიტანეთ და ნახავთ, რომ ყოველ მათგანს ზუსტად ასევე შეეწყობა. თუ გნებავთ, მისივე ნათქვამი გადავიტანოთ და უხრწნელობის შესახებაც იგივე ვთქვათ: ვუწოდებთ რა უხრწნელს, ვფიქრობთ, რომ არა კაცობრივად მოაზრებულით უნდა ვადიდოთ იგი, ანუ ყველაზე უცილობელი ვალი უნდა მივუზღათ, ე. ი. აღიარება იმისა, რომ იგი ჭეშმარიტად არსებობს, მაგრამ არა მოკლების აზრით, თუ მოკლებანი რაიმე ბუნებრივის მოკლებანია და გვიანდელი ქონებებზე.

რატომ შეეფერება ამგვარი სიბრძნე უფრო უშობელობას, ვიდრე უხრწნელობას და, საერთოდაც, ყველა ამ სახით წარმოთქმულ სიტყვას? იმიტომ, რომ მის უსჯულოებას ასე ხელს არცერთი სხვა მათგანი არ უწყობს. ამიტომ, თუმცა ღმრთის შესახებ ათასობით გამონათქვამია, დანარჩენებს არც კი იხსენიებს.

საქმე ისაა, რომ არ არსებობს არცერთი სახელი, რომელიც ღმრთის არსს მოიცავდეს და მისი სრულად გამოხატვისათვის საკმარისი იყოს. მრავალი სხვადასხვაგვარი სახელი, რომელთაგან თითოეულს თავისი მნიშვნელობა აქვს, შეადგენს გაგებას, რომელიც მთელთან შედარებით ბუნდოვანი და ფრიად მწირია, მაგრამ ჩვენთვის საკმარისია. ღმრთის სახელებიდან ერთნი იმას აცხადებენ, რაც ღმერთში არსებობს, მეორენი კი, პირიქით, – რაც არ არის. ამ ორი გზით: უარყოფით იმისა, რაც იგი არ არის და აღიარებით იმისა, რაც არის, ჩვენში თითქოს რამდენადმე ანაბეჭდი იქმნება ღმრთისა. მაგალითად, როცა უხრწნელს ვუწოდებთ თითქოს საკუთარ თავს ან მსმენელებს ვეუბნებით: „არ იფიქრო, რომ ღმერთი ხრწნადობას ემორჩილება“; როცა უხილავს – თითქოს ვამბობთ: „ნუ წარმოიდგენ, რომ ღმერთი თითქოს მხედველობის გრძნობისათვის მისაწვდომი იყოს“, როცა უკვდავს – „იცოდე, რომ სიკვდილი ღმერთს ვერასოდეს შეეხება“; ხოლო როცა უშობელს ვუწოდებთ: – „ნუ იფიქრებ, რომ ყოფიერება ღმრთისა რომელიმე მიზეზსა ან საწყისზეა დამოკიდებული“. და საერთოდ, თითოეულისაგან იმას ვსწავლობთ, რომ ღმერთზე შეხედულებათა გამოთქმისას მის არასწორად გაგებაში არ ჩავვარდეთ. ამიტომ, ღმრთის უპირატესი თვისება რომ შევიცნოთ, ღმერთზე საუბრისას აზრის გადატანას მასზე, რაც საჭირო არაა, ერთმანეთს ვუკრძალავთ, რათა ადამიანებმა არასოდეს იფიქრონ, რომ ღმერთი ხრწნადთა, ან ხილულთა, ან კიდევ დაბადებულთა რიგშია.

ამგვარად, ყველა ამ აკრძალვითი სახელით ხდება რამდენადმე უარყოფა იმისა, რაც ღმრთისთვის უცხოა და აზრი იმის კვალობაზე, რამდენად ნათლად ყალიბდება იგი, განიშორებს შეხედულებებს იმათზე, რაც ღმერთს არ აქვს; კიდევ: ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, აგრეთვე, სიკეთეს, სამართლიანს, შემოქმედს, მსაჯულს და სხვა ამდაგვარ სახელებს. ისევე როგორც ზემოხ-

სენებული სახელები აღნიშნავდნენ შეუსაბამობასა და აკრძალვას იმისა, რაც ღმრთისათვის უცხოა, აქ ესენი მტკიცებულებასა და არსებობას აღნიშნავენ იმისა, რაც ღმრთისათვის დამახასიათებელია და შესაბამისად მის შესახებ გონებით საწვდომი. ამიტომ, სახელთა ორივე რიგი გვასწავლის როგორც იმის შესახებ, რაც ღმერთს ეკუთვნის, რომ იგი აქვს; ასევე იმის შესახებაც, რაც არ ეკუთვნის, რომ იგი არ აქვს; ხოლო **უშობელი** იმას აღნიშნავს, რაც ღმერთს არ აქვს, რადგან აჩვენებს, რომ შობა ღმერთს არ ეკუთვნის. უკუეთუ ვინმე მოისურვებდა, რომ მისთვის ან მოკლება, ან აკრძალვა, ან უარყოფა ეწოდებინა, ამის გამო არ შევეკამათებოდით. ხოლო ის რომ **უშობელი** იმას აღნიშნავს, რაც ღმერთს არა აქვს, იმით, რაც აქამდე ითქვა, ვფიქრობ, საკმარისად იქნა განმარტებული. მაგრამ არსი ხომ ერთი იმათგანი არაა, რაც ღმერთს არ ეკუთვნის, არამედ თავად ყოფიერება(τὸ εἶναι) ღმრთისა და მისი შერაცხვა იმათ შორის, რაც ღმერთს არ აქვს, უკიდურესი სიგიჟეა; რადგან უკეთუ არსი არარსებულთა შორისაა, მაშინ რომელიმე სხვა, რასაც ღმერთს ვუწოდებთ, არსებულთა რიცხვში მით უმეტეს ვერ იქნება. რამდენადაც დამტკიცდა, რომ **უშობელობა** ერთ-ერთი იმათგანია, რაც ღმერთს არ აქვს, ამდენად, ვინც იმას ამტკიცებს, რომ ეს სიტყვა ღმრთის არსს გამოხატავს, ტყუის.

მაგრამ ევნომიოსი, იმით, რაც ღმრთის შესახებ მოკლების მნიშვნელობით ითქმება, ვითარცა მათი შეუსაბამობით განაწყენებული, უფრო ღმრთისმოსაური აზრისკენ ილტვის და მიყავს რა თავისი სიტყვა შეჯამებისაკენ, წერს:

ევნომიოსი: ამრიგად, უკუეთუ არც მოაზრებულია, არც მოკლების მნიშვნელობა აქვს, არც ნაწილია, რამეთუ განუყოფელია, არც რაღაც სხვა, რომელიც თავად მასშია, რადგან მარტივია და არც როგორც რაღაც სხვა, რომელიც მასთანაა, რადგან უშობელი ერთი და მხოლოა(ერთადერთია), ამდენად ეს უშობელი არსი იქნება.

ბასილი: სიტყვა იქ მიიყვანა, სადაც სურდა: ცნება უშობელობისა ყველასაგან გამოყო და, როგორც თვითონ ფიქრობს, თავად არსში შეიტანა, თქვა რა ყოველთა ღმერთზე, რომ იგი უშობელი არსია. მე კი ვიტყოდი, რომ არსი ღმრთისაა უშობელი და არა იმას, რომ უშობელობა არსია.

შემდეგ: ყურადღების ღირსია ისიც, რომ განუყოფლობა(τὸ ἀμερές) და სიმარტივე(τὸ ἁπλοῦν) შინაარსის მიხედვით ერთი და იგივეა, რადგან განუყოფელი ისაა, რაც ნაწილებისაგან არ შედგება და მარტივიც ისაა, რომელიც მრავლისაგან არაა შედგენილი. ევნომიოსი კი მათ, ვითარცა რაღაც განსხვავებულებს, ერთმანეთისაგან საფუძველშივე(τῷ ὑποκειμένῳ) განარჩევს; შემდეგ ღმრთის დაყოფას კრძალავს და ამბობს, რომ მასთან მიმართებით ზოგი რამ უშობელად და ზოგიც შობილად არ უნდა ვივარაუდოთ და არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ უშობელობა მასში თითქოს რაღაცა სხვა იყოს. მაგრამ ამ უთავბოლობის მხილებას თავს ვერ ვიდებ, რადგან ვინც ფუჭად მეტყველს ეკამათება, რამდენადმე თვითონაც მას ემსგავსება. ვფიქრობ, ამიტომაც გვირჩევს

ბრძენი სოლომონი, უგუნურს მისი **უგუნურობისამებრ არ ვუპასუხოთ**(იგავ.26,4). ევნომიოსმა დასაყოფად შემოიტანა სიტყვები, რომელთაც არც ახლა იყენებენ და არც ოდესმე გამოუყენებიათ, საჩვენებლად იმისა, რომ მრავალ ჩამოთვლილ სახელთაგან, შესაფერისად მხოლოდ ერთადერთს – უშობელობას პოულობს. ალბათ, სიტყვის გაგრძელება ჩვენც დაგვჭირდებოდა სამხილებლად სიცრუისა და საჩვენებელად იმისა, რომ უშობელობა ღმრთის არსი არაა, ნათლად რომ არ გამჟღავნებულიყო მის მიერ ჩამოთვლილ დაყოფაში. მტკიცეც რომ იყოს მისი დებულება იმის შესახებ, რომ უშობელობა არცა მოაზრებითა და არცა მოკლების მნიშნელობით არაა აღებული, მისი დასკვნა არც ამ შემთხვევაში იქნებოდა თანმიმდევრული. რა აუცილებლობაა იმისა, რომ ჩამოთვლილ სახელთაგან შესაფერისი მხოლოდ ერთი – უშობელობა იყოს? რადგანაც იგი, ვითარცა მანამდე ნათქვამთან აუცილებლობით დაკავშირებულს, ურთავს: „ამრიგად, უკეთუ არც მოაზრებულია, არც მოკლებაა, არც ნაწილია, რადგან განუყოფელია და არც რაღაც სხვა ჩამოთვლილ სახეთაგან, მაშინ ეს უშობელი არსი უნდა იყოს“, – ჩვენ მის ნათქვამს შევატრიალებთ და პირიქით ვიტყვით: ამგვარად, რადგან მოაზრებითაც განიჭვრიტება და მოკლების აღმნიშვნელი სახელიცაა, **უშობელობა** ღმრთის არსი ვერ იქნება. ვიდრე ჩვენს ნათქვამს არ უარყოფს და თავის დებულებებს სიმტკიცეს არ შესძენს, მისი დასკვნაც ადგილს ვერ მოიპოვებს.

საერთოდ, რა ქედმაღლობა და სიზვიადეა ფიქრი იმისა, რომ შენ ყოველთა ღმერთის თავად არსი აღმოაჩინე! ისინი, რომელნიც მხოლოდ ვარსკვლავებსა და ზეცისა შინა აღსვლისათვის კი არ კადნიერდებიან, არამედ ბაქიაობენ, რომ ყოველთა ღმერთის არსს მისწვდნენ, კვეხნით თითქმის ჩრდილავენ ნათქვამს: **ზედაჲთ ვარსკულავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი**(ეს.XIV,13). გამოვიძიოთ მისგან: არსის გულისხმისყოფას როგორ შესწვდა? საერთო გაგებიდან ხომ არა? მაგრამ ის ჩვენ მხოლოდ იმას გვიცხადებს, რა არის ყოფიერება ღმრთისა და არა იმას, რა არის ღმერთი; ან იქნებ სწავლებისაგან სულისა წმიდისა? მაგრამ როგორ? სად არის იგი გადმოცემული? დიდი დავითი, რომელსაც ღმერთმა უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა მისისანი გამოუცხადა(ფს.50,6), როცა ამბობს: **საკჳრველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემგან: განძლიერდა და ვერ შეუძლო მას**(ფს.138,6), განა ნათლად არ აღიარებს, რომ მისი შემეცნება მიუწვდომელია? ესაიამ კი, ვინც დიდება ღმრთისა იხილა, რა განგვიცხადა არსის შესახებ ღმრთისა? ამოწმებს რა ქრისტეზე თავის წინასწარმეტყველებაში, ამბობს: **ნათესავი მისი ვინ მიუთხრას**(ეს.53,8)? ხოლო **ჭურმა რჩეულმა**(საქმ.9,15) პავლემ, რომელშიც ქრისტე მეტყველებდა(2კორ.12,3) და რომელმაც ვიდრე მესამე ცამდე ატაცებულმა, **უთქუმელნი სიტყუანი** მოისმინა, **რომელნი არა ჯერ არიან კაცთა სიტყუად**(2კორ.12,3), როგორი სწავლება დაგვიტოვა არსის შესახებ ღმრთისა? როცა კერძო კანონები განგებულებისა განჭვრიტა, თითქმის გულშეღონებულს, რადგან ჭვრეტიდან ვერ გამოდიოდა, ეს სიტყვები

ამოხდა: **ჲ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი**(რომ.11,33). და თუ ეს პავლესათვის, რომელმაც შემეცნების საზომს მიაღწია, მიუღწეველია, მაშინ როგორი ქედმაღალნი არიან ისინი, რომელნიც აცხადებენ, რომ ღმრთის არსი იციან!

სიამოვნებით ვკითხავდი მათ: მიწაზე, რომელზეც დგანან და რომლითაც შეიქმნენ, რას იტყვიან? შესახებ მისი არსისა რას განგვიცხადებენ? რათა ჩვენ, თუკი საერთოდ მიწაზე და, კერძოდ, იმაზე, რომელიც ჩვენს ფერხთ ქვეშაა, რამეს უდავოს გვეტყვიან, იმ შემთხვევაშიც გვერწმუნა მათი, როცა საზღვრებს ყოველგვარი გაგებისა სცილდებიან? ამიტომ, რა არის არსი მიწისა და რა საშუალებით შეიძლება მისი წვდომა? დაე, გვიპასუხონ, სიტყვამ განუცხადა მათ, თუ გრძნობამ? თუ იტყვიან, რომ გრძნობამ, რომელი გრძნობისთვის არის იგი მისაწვდომი? მხედველობის? მაგრამ იგი ფერებით აღიქვამს. შეხების? მაგრამ იგი სიმტკიცესა და სირბილეს, სითბოსა და სიცივეს და სხვა ამგვართ განარჩევს, რომელთაგან ვერავინ არსს ვერცერთს უწოდებს, თუკი უკიდურეს უგუნურებაში არ ჩავარდება. რაც შეეხება გემოსა და ყნოსვას, საჭიროა მათზე რამე ითქვას? ერთი გემოთა საშუალებით აღიქვამს, მეორე – სუნების, სასმენელი კი ხმებსა და სიტყვებს შეიგრძნობს, რომელთაც მიწასთან არავითარი ნათესაობა არ აქვთ. დარჩათ იმის თქმა, რომ მიწის არსს სიტყვით იპოვნიან, მაგრამ რომელი სიტყვით? სად არის იგი წმიდა წერილში? წმინდანთაგან ვის მიერ იქნა გადმოცემული? მან, ვინც შესაქმეს მოგვითხრობს, ჩვენ მხოლოდ ის გვასწავლა, რომ **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ. ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ და განუმზადებელ**(შესქ.I,2), საკმარისად ჩათვალა რა ეუწყებინა იმაზე, ვინც იგი შექმნა და შეამკო, ხოლო მისი არსის გამოძიებაზე, ვითარცა მსმენელთათვის ამაოსა და უსარგებლოზე, უარი თქვა.

ამგვარად, თუკი მისი ცოდნა არც გრძნობათა ორგანოებითა და არც სიტყვის(წმიდა წერილის) სწავლებითაა დამოწმებული, საიდან იტყვიან, რომ მის შემეცნებას მიაღწიეს? რისი ცოდნაც მიწის შესახებ გრძნობათა ორგანოებით მიიღწევა, ეს არის: ფერი ან მოცულობა, სიმძიმე ან სიმსუბუქე, სიმკვრივე ან სიფხვიერე, უდრეკობა ან სირბილე, სიცივე ან სითბო, ტენიანობის რაგვაროვნება ან სხვაობა ფორმის მიხედვით, რომელთაგან ვერცერთზე იტყვიან არსიაო, თუმცა ყველაფრის მტკიცებისათვის მზად არიან. არც ბრძენსა და ნეტარ კაცებს გადმოუცია არცერთი სიტყვით მისი განჭვრეტის შესახებ. ამიტომ რა საშუალებაღა რჩება მისი შემეცნებისა? დაე, გვიპასუხონ მათ, რომელნიც ყოველივეს, რაც ფერხთა ქვეშ აქვთ, უგულვებელყოფენ და ზეცისა და ზესამყაროული ძალების გვერდის ავლით, პირდაპირ თვით პირველ არსს ეხებიან. მაგრამ ჩანს, რომ ამპარტავნობა(ὁ ὕψος) კაცობრივ ვნებათაგან უმძიმესია და მათ, რომელთაც იგი აქვთ, ჭეშმარიტად ეშმაკთან ერთად ერთ სამსჯავროში ჩააგდებს. ამპარტავნობისა გამო ისინი, რომელთაც ბუნებაც კი მიწისა,

რომელსაც ფეხით ქელავენ, არ იციან, ყოყოჩობენ, რომ თვით არსს მისწვდნენ ყოველთა შემოქმედი ღმერთისა.

ღმერთმა წინაშე მისთა წმინდანთა: აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, რომელთა ღმერთადაც იგი, მათი ყოველთა სათნოებათა შინა სრულყოფილებისა გამო იწოდება, ვითარცა რამდენადმე უპირატესი და შესაფერისი მისი დიდებისათვის, ამჯობინა თავისი თავისთვის ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა ეწოდებინა. **ესე არს სახელი ჩემი საუკუნე,** ამბობს იგი, **და სახსენებელი ჩემითი თესლითი თესლადმდე**(გამს.3,15). ამრიგად, სახელიც კი არ გამოუცხადა თავისი და, მით უმეტეს, არ გამოუმჟღავნებია, რა არის მისი არსი. **რამეთუ,** ამბობს, **მე ვეჩუენე აბრაჰამს, ისააკს და იაკობს, რომელთა ღმერთი მე ვარ, და სახელი ჩემი არა ვაუწყეა მათ**(გამს.3,6). იმიტომაც არ გამოუცხადა, რომ, ცხადია, ის იმაზე დიდია, ვიდრე კაცობრივ სასმენელს შეუძლია დაიტიოს. ევნომიოსს კი, როგორც ჩანს, ღმერთმა არა მხოლოდ სახელი, არამედ თვით თავისი არსიც კი უჩვენა: ასეთ დიდ საიდუმლოზე(ἀρρήτου), რომელიც წმინდანთაგან არცერთს განცხადებია, წერს რა წიგნებში და დაუფიქრებლად ეუბნება რა ყოველ ადამიანს, საჯაროდ აცხადებს. აღთქმათა მიხედვით, ჩვენთვის განმზადებული ყოველგვარ კაცობრივ ცოდნას აღემატება(Iკორ.2,9) და **მშჳდობა ღმრთისა ჰმატს ყოველსა გონებასა**(ფილიპ. 4,7), ის კი იმასაც არ იწყნარებს, რომ არსი ღმრთისა ყველა გონებასა და კაცთა ყოველგვარ ცოდნაზე უფრო მაღლაა.

მე კი ვფიქრობ, რომ მისი წვდომა, არა მხოლოდ კაცთა, არამედ ყველა გონიერ ბუნებაზეც მაღლაა. ამჯერად გონიერ ბუნებაში ქმნილებათა ბუნებას ვგულისხმობ, რადგან მამა მხოლოდ ძემ და სულიწმიდამ იცის, **არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან**(მთ.11,27), და: **სული ყოველსავე გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთისასა. რამეთუ ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელ არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან**(Iკორ.2,11-12). ამიტომ თუკი ისინი თვით არსს მისწვდნენ, ცოდნის თვალსაზრისით, მხოლოდშობილსა და სულიწმიდას რა უპირატესობას უტოვებენ? მხოლოდშობილს ღმრთის ძლიერების, სიკეთისა და სიბრძნის ჭვრეტაში წილი არ დაუდეს, ხოლო თვითონ, თავიანთი ძალების შესაფერისად არსის გაგება მიიჩნიეს. სრულიად საწინააღმდეგოდ ამისა, ყველასათვის, გარდა მხოლოდშობილისა და სულისა წმიდისა, სწორედ არსია უხილველი, ხოლო ჩვენ ღმრთის საქმეთა მიერ ამაღლებულნი და ქმნილებათაგან შემოქმედის გულისხმისმყოფელნი, მისი სიკეთისა და სიბრძნის შესახებ ცოდნას ვიძენთ. ესაა **მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ**(რომ.1,19), რომელიც ღმერთმა ყველა ადამიანს გამოუცხადა.

ხოლო რაც ღმრთისმეტყველთ ღმრთის არსის შესახებ აქვთ დაწერილი, როგორც ჩანს, მათ სიტყვებს რაღაც გადატანითი მნიშვნელობებითა თუ სახისმეტყველებებით სხვა გაგებისაკენ მივყავართ. ამიტომ, ვინც გამოუკვლევე-

ლად შიშველ ასოსა და იმ გაგებაზე, რომელიც პირველად გაუჩნდა, ჯიუტად გაჩერდება, იუდეური და დედაბრული ზღაპრებისაკენ მიიქცევა და ღმრთის შესახებ ღირსეულ აზრებს მოკლებული, დაბერდება; რადგან, გარდა იმისა, რომ ღმრთის არსს, ვითარცა რაღაც ნივთიერს წარმოიდგენს და ამით უღმერთო ელინებს დაეთანხმება, იმასაც მიიჩნევს, რომ იგი მრავალფეროვანი და შედგენილია.

თუმცა წინასწარმეტყველი აღგვიწერს, რომ ღმერთი **წელითგან ზევით** თვალისმომჭრელია(ვითარცა სახე ილეკტროჲსაჲ), ხოლო **წელითგან ქვევით** ცეცხლისგან შედგება(ეზეკ.8,2), ვინც ასოების საშუალებით უფრო მაღალ გაგებამდე არ ავა და წმიდა წერილში გადმოცემულ სხეულებრივ შემოწერილობაზე გაჩერდება, ეზეკიელისაგან განსწავლული, რომ ღმრთის არსი ცეცხლია, მოსესგანაც მოისმენს, რომ ღმერთი **ცეცხლია**(Iსჯ.4,24), ხოლო დანიელი სხვა ვარაუდებამდე მოიყვანს, გამოდგება, რომ წმიდა წერილში არა მხოლოდ ცრუ, არამედ ერთმანეთის საწინააღმდეგო წარმოდგენებს აღმოაჩენს. ამიტომაც, ვითარცა მიუღწეველი, არსის გულმოდგინე გამოძიება დავუტევოთ და ვირწმუნოთ მარტივი შეგონება მოციქულისა, რომელიც ამბობს, რომ ღმერთს უწინარესად **სარწმუნოებაჲ მოუჴდების რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ ექმნების**(ებრ.11,6), რადგან ხსნას ჩვენ არა გამოძიება იმისა, რა არის ღმერთი, არამედ იმის აღიარება მოგვანიჭებს, რომ იგი არსებობს.

ამრიგად, რამდენადაც ნაჩვენები იქნა, რომ კაცობრივი ბუნებისათვის არსი ღმრთისა მოუაზრებელი და სრულიად გამოუთქმელია, დარჩა განმარტება იმისა, რა არის უშობელობა და როგორ წარმოიდგინება იგი ყოველთა ღმერთთან მიმართებისას. მსჯელობისას აღმოვაჩენთ, რომ ცნება უშობელობისა არა იმის გამოძიებისას ჩნდება, რა არის ღმერთი, – რადგან იძულებული ვარ, ჩემს აზრს ვიტყვი, არამედ უფრო იმის გამოძიებისას, როგორ არის იგი. ჩვენმა გონებამ, ეძიებს რა ყოველთა შემოქმედს, სახელდობრ, აქვს თუ არა მას რაღაც უმაღლესი მიზეზი, რადგან ვერაფრის მოაზრება ვერ შეძლო, დაუსაბამობას მისი ცხოვრებისა, უშობელობა უწოდა.

ისევე როგორც კაცთა შესახებ მსჯელობისას, როცა ვამბობთ, რომ ესა და ეს ამისა და ამისაგან წარმოიშვა, იმას კი არ აღვნიშნავთ, რა არის იგი, არამედ საიდან წარმოიშვა, ასევე ღმრთის შესახებაც სიტყვა უშობელი(ἀγέννητος) იმას კი არ გვაუწყებს, რა არის იგი, არამედ იმას, რომ იგი არავისგანაა. უფრო ნათელი გახდება, რასაც ვამბობ, შემდეგიდან: გადმოცემს რა ხორციელ გენეალოგიას ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ლუკა მახარებელი უკანასკნელთაგან პირველებამდე ადის. იწყებს იოსებისაგან და გვეუბნება, რომ იგი ელიასაგან იყო, ხოლო ელია მატათასაგან და ასე უკუსვლით თხრობა ადამამდე მიჰყავს. როცა ყველაზე მაღლა ავიდა, გვაუწყა, რომ სეითი ადამისაგანაა, ხოლო ადამი ღმრთისაგან და აქ აღმასვლა შეწყვიტა. ჩამოთვლილთა დაბადებაზე თხრობისას მან არა ყოველი მათგანის არსი

განგვიცხადა, არამედ უახლოესი დასაბამნი, რომელთაგანაც თითოეული იშვა. ამიტომ, როცა მახარებელი გვეუბნება, რომ ადამი ღმრთისაგანაა, ჩვენ თავს ვეკითხებით: ღმერთი ვისგანაა? განა ამ კითხვაზე პასუხი გონებაში ყველას მზად არ გვაქვს, რომ არავისგან? ცხადია, რომ ეს **არავისგან**(ἐξ οὐδενός) იგივეა, რაც დაუსაბამობა(τὸ ἄναρχον), დაუსაბამობა კი – უშობელობა(τὸ ἀγεννητόν). ისევე როგორც კაცთათვის არსი არაა ის, ვისგან წარმოიშვა, ასევე არც ყოველთა ღმრთის არსს შეიძლება ეწოდოს უშობელობა, რომელიც იმავეს ნიშნავს, რასაც **არავისგან.** ვინც ამბობს, რომ დაუსაბამობა არსია, იგი მსგავსია ადამიანისა, რომელიც შემკითხველს – რა არის არსი და რა არის ბუნება ადამისა, უპასუხებდა, რომ იგი არა მამაკაცისა და ქალის შეერთების შედეგად, არამედ ღმრთეებრივი ხელის მიერ შეიქმნა. მაგრამ მე არა იმას ვიძიებ, ჰიპოსტასი(პირი) როგორ შეიქმნა, არამედ იმას, რა არის ნივთიერი საფუძველი კაცისა, რის შესახებაც შენი პასუხისგან ვერაფერი გავიგე, – ეტყოდა შემკითხველი. იგივე დაგვემართება ჩვენც. სიტყვიდან **უშობელობა** იმას უფრო ვისწავლით **როგორ არის** ღმერთი, ვიდრე თავად **მის ბუნებას.**

საერთოდ, ვისაც სურს ჩვენ მიერ ნათქვამის ჭეშმარიტება ირწმუნოს, თავის თავზე გამოსცადოს: როცა ღმრთის შესახებ რაიმეს წარმოდგენას მოისურვებს, მივა თუ არა უშობელობის მნიშვნელობამდე. რადგან ვხედავ, რომ ისევე როგორც მომავალი საუკუნეების გონებით გადაწვდომისას სიცოცხლეს ყოველგვარი საზღვრებით შემოუსაზღვრელსა და დაუსრულებელს ვუწოდებთ, ასევე უკეთუ აზრით განვლილ საუკუნეებს მაღლა ავყვებით და ვითარცა რაღაც ზღვარდაუდებელ ზღვასა შინა, ღმრთის უსასრულო ცხოვრებაში ჩავიხედავთ, რამდენადაც არა თუ ვერავითარი დასაბამის(ἀρχή) დადებას ვერ შევძლებთ, რომლისგანაც იგი წარმოიშვა, არამედ ცხოვრებას ღმრთისას კიდევ უფრო შორს, საზღვრებიდან გასულს და საწვდომის მიღმა წარმოვიდგენთ, ამ დაუსაბამობას სიცოცხლისას უშობელობას ვუწოდებთ. უშობელობის აზრი ხომ ისაა, რომ ყოფიერებას დასაბამი სხვისგან არ აქვს.

ევნომიოსმა კი, რამდენადაც უშობელობა მხოლოდ ყოველთა ღმერთის შესახებ მოიაზრება, ეს მხოლოდშობილზე ყველაზე ბოროტი მკრეხელობისათვის გამოიყენა, რადგან, რას ამბობს შემდეგ?

ევნომიოსი: ხოლო უშობელი, როგორც ეს ადრეც ვაჩვენეთ, არაფრით დაუშვებს შობას ისე, რომ საკუთარი ბუნება შობილს გადასცეს(μεταδοῦναι) და შობილთან ყოველგვარი შედარებისა(σύγκρισιν) და ერთობისაგან(κοινωνίαν) შორსაა.

ბასილი: როგორი ურცხვი და უკეთური მკრეხელობაა, როგორი ფარული საცდური და მრავალგვარი უსინდისობა, როგორ დახვეწილად ლაპარაკობს მისით ცბიერი ეშმაკი, რადგან იმის დამტკიცება სურს, რომ მხოლოდშობილი ძე და ღმერთი ღმრთისა და მამის მსგავსი არაა. სახელებზე – მამა და ძე – დუმს და უბრალოდ უშობელისა და შობილის შესახებ მსჯელობს, ფარავს რა

სახელებს მაცხოვნებელი სარწმუნოებისა, მხოლოდ მკრეხელურ სწავლებებს გადმოსცემს, რათა უსჯულოების საქმით გამჟღავნებისას, შემდეგში, როცა პირებზე გადავა, გამოჩნდეს, რომ ბოროტად თვითონ კი არ მეტყველებს, არამედ მკრეხელობა თვითონ სიტყვის თანმიმდევრულობითაა შემზადებული. იგი ამბობს: „არის რა უშობელი, შობილთან ყოველგვარი შედარებისა და ერთობისაგან შორსაა“. არ ამბობს: მამა და ძე, არამედ უშობელი და შობილი. ეს ერთი ხრიკია მისი, სხვა როგორია ნახეთ: „არის რა უშობელი, – ამბობს, – არაფრით დაუშვებს შობას“ და უმატებს: „ისე, რომ საკუთარი ბუნება შობილს გადასცეს“. გამოთქმას „არაფრით დაუშვებს შობას“ ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი, რომ მის საკუთარ ბუნებას შობა არ შეეფერება, რადგან შეუძლებელია უშობელი ბუნება შობას დაექვემდებაროს, და მეორე: არ შეუძლია შობოს.

თუმცა ევნომიოსი სიტყვას მეორე მნიშვნელობით იყენებს, მაგრამ მისი პირველი მნიშვნელობით მრავალს იზიდავს. იმას, რომ მას სწორედ ეს აქვს მხედველობაში, ნათლად აჩვენებს, რასაც ურთავს. რადგან თქვა რა, რომ: „არაფრით დაუშვებს შობას“, იქვე დაამატა: „ისე, რომ საკუთარი ბუნება შობილს გადასცეს“, რადგან ეს მეორე გაგებას – არ შეუძლია გახდეს მამა, რათა შობილს საკუთარი ბუნება არ გადასცეს – შეესაბამება. რომელი უსჯულოება იქნებოდა ამაზე ბოროტი? ვინმეს ოდესმე უთქვამს ამგვარი უსამართლობა (εἰς τὸ ὕψος)?

ვიმეორებთ რა ბაგეებით ჩვენთვის უცხო მკრეხელობას, ვშიშობ, ჩვენი გონებაც არ შევრყვნათ და მათი სასჯელის მოზიარენი არ გავხდეთ: მაგრამ ის მანუგეშებს, რომ სახარებათა შინა სულიწმიდამაც არ ითაკილა მომდევნო თაობებისათვის უფლის მიმართ იუდეველთა მკრეხელობის წერილობით გადაცემა, ყველა დროში ამ მკრეხელობის გასაკიცხად, ისე რომ, იგი მხოლოდშობილის უბიწო დიდებას საერთოდ არ შეხებია. ამგვარად, უკეთუ შობას არაფრით დაუშვებს, ისე რომ საკუთარი ბუნება შობილს გადასცეს, მაშინ ღმერთი არც მამაა და არც[7] ... ჩვენთვის უმჯობესია ეს მკრეხელობა არ დავასრულოთ, რადგან თუ ერთმა არ დაუშვა შობა, ბუნებას მშობლისა ვერც მეორე მიიღებს.

შემდეგ ევნომიოსი თავის თავს ებრძვის, იგონებს რა ახალ საშუალებას მკრეხელობის შესამსუბუქებლად, მაგრამ იმას კი არ ამბობს, რაც სინანულის მქონეს უნდა ეთქვა, არამედ მომდევნოთი წინას გადაფარვას ცდილობს, და რისი თქმა გაბედა?

ევნომიოსი: ყოველგვარი შედარებისა და ერთობისა შობილთან, შორსაა.

ბასილი: უკეთუ ძის მამასთან შედარება არ შეიძლება და არც მისი ერთობა მშობელთან, მაშინ ტყუიან მოციქულები, ტყუის სახარებანი და თვით ჭეშმარიტრებაც იესო ქრისტე. თუმცა კიდევ ერთხელ შევძრწუნდები ამ მკრეხელობით, მაგრამ ყველასათვის ადვილად დასანახი იქნება: უკეთუ მისი მამასთან შედარება საერთოდ არ შეიძლება, როგორ ეუბნება მაშინ იგი ფილიპეს:

[7] აქ გამოტოვებულია სიტყვა „ძე“, როგორც ეს კონსტექსტიდან ჩანს.

ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე(ინ.14,9)? და: **რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი**(ინ.12,45). როგორ შეეძლო ძეს თავისი თავით იმის ჩვენება, ვინც მის შედარებას საკუთარ თავთან არ უშვებდა და არც ერთობა ჰქონდა მასთან? ის, რაც უცნობია, მისაწვდომი სხვაგვარითა და უცხოთი კი არ ხდება, არამედ ჩვეულებრივ, მსგავსი მსგავსით შეიცნობა. ასევე, ანაბეჭდით აღმბეჭდველის გამოსახულება იხილვება, ხოლო ხატით არქეტიპი(პირველსახე) შეიცნობა, ცხადია, მაშინ, როცა ერთსაც და მეორესაც ერთმანეთს იგივეობრიობის თვალსაზრისით ვუდარებთ.

ამგვარად, ამ ერთი მკრეხელობით უარყოფილია ყველა გამონათქვამი, რომელიც სულისა წმიდისა მიერ მხოლოდშობილის დიდებისმეტყველებისათვის იქნა გადმოცემული, რადგან როგორც სახარება გვასწავლის, **ამას**(იესო ქრისტეს) **მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან**(ინ.6,27), და მოციქულიც: **რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ**(კოლ.1,15); ხატი არა უსულო, არა ხელითქმნული, არცა საქმე ხელოვნებისა და მოაზრებისა, არამედ ხატი ცოცხალი, უკეთესია ვთქვათ, თვითარსი ცხოვრება(αὐτοοὖσα ζωή), არა, ფორმით(შემოწერილობით) მსგავსი, არამედ თვით არსით, სამარადისოდ შემნახველი იგივეობრიობისა(τὸ ἀπαράλλακτον) რადგან ვამტკიცებ, რომ გამონათქვამი: **ხატი ღმრთისაჲ იყო**(ფილიპ.2,6) თანაბარი ძალისაა გამონათქვამისა **არსით ღმერთი იყო,** რადგან როგორც **ხატი მონისაჲ მიიღო** ნიშნავს იმას, რომ უფალი ჩვენი კაცობრივი არსით იშვა, ასევე, რა თქმა უნდა, **ხატი ღმრთისაჲ იყო** ღმრთეებრივი არსის თვისებას(τὴν ἰδιότητα) წარმოაჩენს. უფალი გვეუბნება: **რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**(ინ.14,9), ევნომიოსი კი, აუცხოებს რა მხოლოდშობილს მამისაგან და სრულიად განაშორებს რა მასთან ერთობისაგან, შემეცნებისკენ აღმავალ გზას, რომელსაც ძე გვიხსნის, მთელი ძალით, რაც აქვს, გვიჭრის. უფალი ამბობს: **ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს**(ინ.16,15), ევნომიოსი კი ამტკიცებს, მამას მასთან, ვინც მისგანაა, არავითარი ერთობა არ აქვს. **ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა ეგრეცა ძესაცა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა**(ინ.5,26), – ეს თავად უფალმა გვასწავლა, ევნომიოსისაგან კი რას ვსწავლობთ? რომ შობილის მშობელთან შედარება საერთოდ არ შეიძლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ერთი გამონათქვამით ანადგურებს ხატის ცნებას და უარყოფს, რომ ძე არის **ბრწყინვალებაჲ** და **ხატი** ჰიპოსტასისა(ებრ.1,3), რადგან არც ისაა შესაძლებელი, რომ იმის ხატს წარმოადგენდე, ვისთანაც შედარება არ შეიძლება და არც ის, რომ მისი ბრწყინვალება იყო, ვისთანაც ბუნებით ერთობა არ გაქვს.

მაგრამ ევნომიოსი კვლავ იმავე სახის ხრიკს იყენებს, როცა ამტკიცებს, რომ უშობელთან შობილის შედარება არ შეიძლება და არც მამისა მასთან, ვინც მისგანაა, რათა ის წინააღმდეგობა, რომლის არსებობაც ამ გამოთქმებში გვაჩვენა, თავად არსზე მამისა და ძისა გადაიტანოს. ხოლო ჩვენ, ყველა მისი თითოეული გამონათქვამის მხილების მცდელობით სიტყვა ძალიან რომ არ

გაგვიგრძელდეს, ყოველივეს, რაც უსჯულოებას შეიცავს, ერთი შეხედვისთანავე ჩანს და მკითხველებისათვის თავისთავადაც ცხადია, გვერდს ავუვლით და მხოლოდ იმას წარმოვადგენთ, რაც მხილების სიტყვას მოითხოვს.

მოიყვანა რა სხვადასხვა მოსაზრება მამის არსთან ძის ერთობის უარსაყოფად, და, როგორც ფიქრობს, ყოველმხრივ დაამტკიცა რა მისი უაზრობა, ურთავს:

ევნომიოსი: რა თქმა უნდა, იმას ვერ ვიტყოდით, რომ ორივეს საერთო არსი აქვს და რიგითა და დროში უფროსობითაც ერთი პირველია და მეორე – მეორე. რადგან უპირატესობის მქონეთ, საჭიროა მიზეზიც უპირატესობისა ჰქონდეთ. მაგრამ ღმრთის არსს არც დრო შეეუღლება, არც საუკუნე, არც რიგი, რადგან რიგი იმასთან შედარებით, ვინც ის დაადგინა, გვიანდელია, ხოლო რაც ღმერთს აქვს, ისინი სხვის მიერ ვერ განლაგდება. დრო კი, ერთგვარი თვისობრივად განსაზღვრული მოძრაობაა ვარსკვლავებისა, ხოლო ვარსკვლავები არა მხოლოდ უშობელი არსისა და ყველა გონიერ არსებათა, არამედ პირველ სხეულებზეც გვიან შეიქმნენ. საუკუნეთა შესახებ კი, როცა წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ღმერთი საუკუნეთა ადრე არსებულია, განა რაიმეს თქმა საჭიროა?

ბასილი: წინასწარ განსაზღვრა რა, საკითხთან დაკავშირებით, რაც თვითონ სურდა და შეითვისა რა, რაც ამ განზრახვებს შეესაბამებოდა, შემდეგ აბდაუბდა აზრებსა შინა ჩავარდნილი, ფიქრობს, რომ ამით საკუთარ სწავლებათა მიღების აუცილებლობა დაამტკიცა, რადგან ამბობს: „იმას ვერ ვიტყოდი, რომ ორივეს საერთო არსი აქვს; რიგითაც და დროში უპირატესობითაც, ერთი პირველია და მეორე – მეორე“. თუკი მას არსის ერთობა იმ აზრით ესმის, რომ წინაარსებული მატერიის შემადგენლებად ერთგვარი დაყოფა და დანაწილება აქვს წარმოდგენილი, ამგვარ შეხედულებას არც ჩვენ მივიღებდით. პირიქით, ვაცხადებთ, რომ ისინი, რომელნიც ამას ამბობენ, არანაკლები უსჯულოები არიან მათზე, რომელნიც არსის სხვადასხვაობას ამტკიცებენ. ხოლო უკეთუ ვინმე არსის ერთობას ისე იღებს, რომ ორივესათვის(მამისა და ძისათვის) არსებობის ერთი და იგივე საფუძველი(λόγον) წარმოიდგინება, ამიტომ, თუ მამა თავისი არსებით(τῷ ὑποκειμενῷ) სავარაუდოდ ნათელად მოიაზრება, მხოლოდშობილის არსადაც ნათელია აღიარებული და რა საფუძველიც არ უნდა დაუშვას ვინმემ ყოფიერებისათვის მამისა, შესაბამისად, იგივეა დაშვებული ძისთვისაც, და თუ ერთობა არსისა ამგვარად იქნებოდა მიღებული, მას ჩვენც ვიღებთ. და ვამბობთ, რომ ეს ჩვენი სწავლებაა; რადგან ამის მიხედვითაა ღმრთეება ერთი, საერთოდ კი ერთობა არსის საფუძველის მიხედვით მოიაზრება; ასე რომ, თუმცა არსებობს სხვაობა რიცხვსა და თითოეულისათვის დამახასიათებელ თვისებებში, მაგრამ ერთობა ღმრთეების საფუძველში(ἐν τῷ λόγῳ) განიჭვრიტება.

ამრიგად, განვსაზღვრეთ რა, როგორ უნდა გავიგოთ ერთობა არსისა, გამოვიძიოთ მომდევნო სიტყვები ევნომიოსისა, სახელდობრ, რა კავშირში

არიან ისინი მის წინა ნათქვამებთან. იგი ამბობს: „რიგითა და დროში უპირატესობით ერთი პირველია, მეორე კი – მეორე“. რა აუცილებლობაა, რომ ისინი, რომელთაც საერთო არსი აქვთ, რიგს დაექვემდებარონ, ან დროში პირველ-მეორენი იყვნენ? რადგან შეუძლებელია, რომ ყოველთა ღმერთთან ხატი მისი, რომელიც მარადიულად ბრწყინავს, მარადიულად არ თანაარსებობდეს და მასთან ერთობა არა მხოლოდ დროის, არამედ ყოველთა საუკუნეთა საზღვრებს გარეშე არ ჰქონდეს. იმიტომაც იწოდა ხომ **ბრწყინვალებად,** რომ ერთობით წარმოვიდგინოთ, და **ხატი ჰიპოსტასისაც**(ებრ.1,3) იმიტომ ეწოდა, რომ მისით ერთარსობა(τὸ ὁμοούσιον) შევიცნოთ. მაგრამ რიგი ერთგვარად ან ბუნებრივია(φυσικὴ), ან საქმიდან გამომდინარე(κατ᾽ ἐπιτήδευσιν). ბუნებრივია, მაგალითად, რიგი, შემოქმედებითი კანონებით დადგენილი, ან ჩამოთვლილ საგანთა მდებარეობა, ან დამოკიდებულება მიზეზებისა მათ შედეგებთან, როცა წინასწარაა აღიარებული, რომ თავად ბუნების შემოქმედი და დამბადებელი ღმერთია; ხოლო საქმიდან გამომდინარე და ხელოვნური, მაგალითად, რიგი მოსაზრებებისა, მეცნიერებათა, ხარისხებისა, რიცხვისა და სხვა ამგვართა. ევნომიოსმა დამალა რა მათგან პირველი, მეორე სახის რიგი მოიხსენია და ამბობს, რომ ღმერთს რიგი არ სჭირდება, რადგან რიგი მის დამწესებელზე გვიანდელია. მაგრამ მან ან არ იცოდა, ან შეგნებულად დამალა, რომ არსებობს კიდევ სახე რიგისა, რომელიც არა ჩვენი განჩინებითაა დადგენილი, არამედ ბუნებრივი თანმიმდევრულობით წარმოშობილი, მაგალითად, ცეცხლსა და ნათელს შორის, რომელიც მისგანაა, რადგან ამათგან ჩვენ მიზეზს პირველს ვუწოდებთ, ხოლო რაც მისგანაა – მეორეს. არა მანძილით ვყოფთ მათ ერთმანეთისაგან, არამედ აზრობრივად მიზეზს მისგან წარმოშობილზე ადრე წარმოვიდგენთ. ამიტომ რა საფუძველი არსებობს უარვყოთ რიგი იქ, სადაც პირველი და მეორე არა ჩვენი განჩინებითაა, არამედ მათ შორის ბუნებრივად არსებული თანმიმდევრულობის მიხედვით? რატომ უარყოფს ევნომიოსი რიგის დაშვებას ღმერთთან მიმართებაში? ფიქრობს: თუკი ღმერთთან მიმართებაში პირველობის სხვა სახით წარმოდგენის შეუძლებლობა დამტკიცდებოდა, დასამტკიცებლად დარჩებოდა უპირატესობის წარმოჩენა თავად არსის მიხედვით(κατ᾽ αὐτὴν τὴν οὐσίαν). ჩვენ კი ვამბობთ, რომ დამოკიდებულების მიხედვით მიზეზებისა მათთან, რაც მათგანაა,[8] მამა ძეს წინ უსწრებს, მაგრამ არა ბუნების სხვაობითა და არც დროში უპირატესობით. თუ ამას დავუშვებთ, მაშინ ისიც უნდა უარვყოთ, რომ ღმერთი მამაა, რადგან სხვაგვარობა არსის მიხედვით, ბუნებრივ ერთობასაც უარყოფს.

რადგანაც ამ ბრძენმა ყველას ისე გაუსწრო, რომ დროის ბუნება განგვისაზღვრა, ვნახოთ მისი გონება ამ შემთხვევაშიც რამდენად მტკიცე და წინდახედულია. ამგვარად, ამბობს იგი, „დრო არის ერთგვარი თვისობრივად განსაზღვრული მოძრაობა ვარსკვლავებისა, სახელდობრ, მზისა, მთვარისა

[8] მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების მიხედვით – გ. კ.

და დანარჩენთა, რომელთაც აქვთ ძალა თვითონ იმოძრაონ“. მაგრამ მაშინ მანძილს ზეცისა და მიწის დაბადებიდან ვიდრე ვარსკვლავების შექმნამდე, რას უწოდებს ეს დიდებული მცოდნე ზეციურ მოვლენათა? რამეთუ, ვინც სულიწმიდის ძალით სამყაროს შესაქმე აღწერა, ნათლად ამბობს, რომ დიდ-დიდნი მნათობნი და დანარჩენი ვარსკვლავები მეოთხე დღეს შეიქმნა. ჩანს, რადგან ვარსკვლავები მაშინ არ მოძრაობდნენ, წინა დღეებში არც დრო ყოფილა. თუმცა როგორ იმოძრავებდნენ, როცა ჯერ შექმნილნიც არ იყვნენ? და კიდევ: როცა ისო ნავესი გაბაონელებს ებრძოდა, რადგანაც ბრძანებით შეკრული მზე უძრავად დარჩა და მთვარე ერთ ადგილას დადგა, ნუთუ მაშინ დრო არ იყო? დღის ამ შუალედს რა უნდა ვუწოდოთ? რა სახელწოდებას მოიფიქრებ მისთვის? რადგან უკეთუ ბუნება დროისა გაილია, ცხადია, საუკუნე შემოსულა; მაგრამ საუკუნის წოდება დღის მცირე ნაწილისათვის, განა უგუნურების მწვერვალი არაა? ჩანს, დიდი საზრიანობის წყალობით ფიქრობს, რომ დღე და ღამე ვარსკვლავთა თვისებრივად განსაზღვრული მოძრაობით დაიბადა და ისინი დროის ნაწილები არიან.

ამიტომაც უწოდა დროს ვარსკვლავთა რაღაც თვისებრივად განსაზღვრული მოძრაობა, თუმცა თვითონაც არ აქვს გააზრებული, რას ამბობს, რადგან თუ ასე უნდოდა, უფრო შესაფერისი იქნებოდა არა თვისებრივად(ποιάν), არამედ რაოდენობრივად(ποσήν) განსაზღვრული ეწოდებინა. ვინ შეიძლება იყოს გონებით ისეთი ყრმა, ის არ იცოდეს, რომ დღეები, საათები, თვეები და წელიწადები დროის საზომები არიან და არა მისი ნაწილები. ხოლო დრო სამყაროს მდგომარეობით განვრცობილი შუალედია(διάστημα), რომლითაც ყოველი მოძრაობა იზომება: ვარსკვლავებისა იქნება ეს, ცხოველებისა, თუ რაც არ უნდა იყოს, ყოველივესი, რაც კი მოძრაობს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ერთი მეორესთან შედარებით, ან უფრო სწრაფია, ან უფრო ნელი. უფრო სწრაფს მაშინ ვამბობთ, როცა შედარებით მცირე დროში დიდ მანძილს გადის, ხოლო უფრო ნელს – როცა შედარებით დიდ დროში მცირედ გადაადგილდება. ევნომიოსი კი, ვარსკვლავებს, რადგანაც ისინი დროში მოძრაობენ, დროის შემოქმედად აცხადებს. ამრიგად, ამ ბრძენთა ბრძენის სწავლებით, რადგან ხოჭოც დროში მოძრაობს, დროც ასე უნდა განვსაზღვროთ, რომ იგი არის ხოჭოთა თვისობრივად განსაზღვრული მოძრაობა, რადგან, რაც მან დროის შესახებ თქვა, გარდა სახელთა მნიშვნელობისა,[9] ამისგან არაფრით განსხვავდება. ასეთია მისი სწავლება დროზე. ახლა შემდეგი ნახეთ:

ევნომიოსი: „მაგრამ შეუძლებელია, – ამბობს იგი, – ღმრთის არსში რამე არსებობდეს, როგორიცაა, მაგალითად, სახე(εἶδος), მოცულობა(ὄγκος), ოდენობა, რადგან ღმერთი შედგენილობისაგან სრულიად თავისუფალია. თუ არც ესენი და არც მათი მსგავსნი, ღმრთის არსთან შეერთებულნი არ არიან და არც ყოფილან, უშობელ არსთან შობილი არსის მსგავსება რის საფუძველზე

[9] ვარსკვლავები და ხოჭო – გ. კ.

უნდა იქნას დაშვებული? რადგან არსით მსგავსება, ან შედარება, ან ერთობა არა თუ რაიმე უპირატესობას, ან სხვაობას დაუტოვებს ადგილს, არამედ, ცხადია, თანასწორობას შექმნის და თანასწორობასთან ერთად აჩვენებს, რომ უშობელთან მსგავსებაც შეიძლება და შედარებაც. ვინაა ისეთი უგუნური, ან უსჯულოებასა შინა ისე გაბედული, რომ ძეს მამის თანასწორი უწოდოს, რადგან თვითონ უფალი ნათლად აცხადებს: მომავლინებელი ჩემი **მამაჲ უფროჲს ჩემსა არს**(ინ.14,28)“. ცოტა შემდეგ ევნომიოსი ისევ ამბობს: „არ მოგვაქვს რა სხვა მრავალი საბუთი იმის შესახებ, რომ უშობელი და შეუდარებელი მხოლოდ ყოველთა ღმერთია, დასამტკიცებლად ამისა, რაც ითქვა, საკმარისად მიმაჩნია“.

ბასილი: როცა უკეთური სწავლებისათვის ხელის მოკიდებაა განზრახული, პირველად ისაა აღებული, რასაც ყველა აღიარებს, რათა ამ გზით მოპოვებული კეთილგანწყობილებით ნდობა შემდეგშიც შეინარჩუნოს.

იგი ამბობს: „შეუძლებელია ღმრთის არსში რამე არსებობდეს, როგორიცაა, მაგალითად, სახე, მოცულობა, სიდიდე, რადგან ღმერთი შედგენილობისაგან სრულიად თავისუფალია“. აქამდე ის კეთილგონიერია, მაგრამ შემდეგ ისევ თავის თავს უბრუნდება, რადგან ადრე გადმოცემულ მკრეხელობებს, თითქოსდა აუცილებლობით, კიდევ უმატებს და აგრძელებს: „უკეთუ ესენი და არც მათი მსგავსნი ღმრთის არსთან შეერთებულნი არ არიან და არც ყოფილან, უშობელ არსთან შობილი არსის მსგავსება რის საფუძველზე უნდა იქნას დაშვებული?“ რა კავშირი აქვთ ამათ ერთმანეთთან: რადგან ღმერთი შეუდგენელია, ძეს არ შეუძლია მასთან მსგავსება ჰქონდეს? გვითხარი, განა შენ ძის შესახებაც იმასვე არ ამტკიცებ, რომ მას არა აქვს არც სახე, არც მოცულობა, არც ოდენობა და რომ შედგენილობისაგან საერთოდ თავისუფალია?

მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად შენი სიცოფისა, ვერ გაბედავ და ძის შესახებ იმისგან განსხვავებულს, რასაც მამაზე იტყოდი, ვერ იტყვი, ანუ მასაც უსხეულოს, სახის არ მქონეს, გარეშემოუწერელსა და სხვა ამათ მსგავსს უწოდებ. მაშინ რატომ არ არის ღმრთისმოსავური სახის არმქონის სახის არმქონესთან შედარება? ოდენობის არმქონის მის არმქონესთან? შეუდგენელისა სრულიად შეუდგენელთან? მაგრამ ევნომიოსს მსგავსება სახეზე გადააქვს და თანასწორობა მოცულობაზე, ხოლო რა არის ოდენობა(ⲡⲏⲗⲓⲕⲟ́ⲧⲏⲧⲁ), რომელსაც რაღაცით განასხვავებს მოცულობისაგან, თვითონ უკეთესად განმარტავს.

ევნომ.: ამიტომაც, – ამბობს იგი, – არც თანასწორია და არც მსგავსი, რადგან არც ოდენობა აქვს და არც სახე.

ბასილი: მე კი სწორედ ამის მიხედვით მივიჩნევ მსგავსებას: როგორც მამაა სრულიად თავისუფალი შედგენილობისაგან, ასევე ძეც სრულიად მარტივია და შეუდგენელი. მსგავსება მათ შორის, რომელთაც სახე და შემოწერილობა აქვთ, სახის იგივეობრიობაში მდგომარეობს, ხოლო სახისა და შემოწერილობის არმქონე ბუნებას ის რჩება, რომ მსგავსება არსით ჰქონდეს; და თანასწორობაც არა მოცულობათა თანაზომიერებას, არამედ ძალის იგივეობრიობას გულისხ-

მობს. ნათქვამია: ქრისტე **ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე**(I კორ.1,24), ანუ, ცხადია, მთელი ძალა ღმრთისა მასში მყოფობს. ამიტომ ხედავს რა იმას, რასაც მამა აკეთებს, **ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს**(ინ.1,19).

ევნომ.: მაგრამ, – ამბობს იგი, – არსით მსგავსება, ანუ შედარება, ან ერთობა არათუ რაიმე უპირატესობას, ან სხვაობას დაუტოვებს ადგილს, არამედ, ცხადია, თანასწორობას შექმნის.

ბასილი: როგორ შეიძლება არ დაუტოვოს არავითარი ადგილი სხვაობას, მაგალითად იმ სხვაობას, რომელიც მიზეზსა და მისგან წარმოშობილის შორის არსებობს. შემდეგ უმატებს:

ევნომ.: ვინაა ისე უგუნური, ან უსჯულოებასა შინა ისე გაბედული, რომ ძეს მამის თანასწორი უწოდოს?

ბასილი: წინასწარმეტყველის სიტყვებით ვუპასუხებ: **შესახედავი მეძვისა იქმნა შენდა უსირცხვილოებად ყოველთა მიმართ**(იერემ.1,3). ამგვარი ქალები თავიანთ გასაკიცხ საქმეებს იმათ მიაწერენ, რომელნიც პატიოსნად ცხოვრობენ. ასევე ევნომიოსიც, მათ, რომელთაც სურთ მხოლოდშობილი ადიდონ, უგუნურებს, უსჯულოებასა შინა კადნიერებს უწოდებს და იმის გამოა აღშფოთებული, რის გამოც იუდეველები იყვნენ გაბოროტებულნი, როცა იესოზე ამბობდნენ, რომ **თავსა თჳსსა სწორ ჰყოფდა ღმრთისა**(ინ.5,18). ნურავის მოეჩვენება უცნაურად, რასაც ახლა ვიტყვი: როგორც ჩანს, იუდეველები ლოგიკურ თანმიმდევრულობას უკეთესად ხედავდნენ. მრისხანებდნენ რა იმის გამო, რომ ღმერთს თავის მამას უწოდებდა, თავისთავად ასკვნიდნენ შედეგსაც, სახელდობრ, რომ იგი **თავსა თჳსსა სწორ ჰყოფდა ღმრთისა** რადგან ერთს – რომ ღმერთი გყავს მამად, აუცილებლად მოსდევს მეორეც – რომ ღმრთის სწორი ხარ. ევნომიოსი კი, პირველს თითქოს აღიარებს, ხოლო მეორეს უარყოფს და უფლის სიტყვებზე მიგვითითებს, რომელიც ამბობს: მომავლინებელი **მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს** და არ ისმენს მოციქულის ნათქვამს: **არა ნატაცებად შეირაცხა იგი სწორებად ღმრთისა**(ფილიპ.2,6). მაგრამ უკეთუ შენი სწავლების მიხედვით, უშობელობა არსია, ხოლო ქრისტემ ჩვენება მამის უპირატესობისა არსით განიზრახა, მაშინ იტყოდა: უშობელი უფროჲს ჩემსა არს. სახელი მამა რომ მოქმედებას აღნიშნავს და არა არსს, ეს ხომ თქვენი სწავლებაა; ამიტომ ამბობთ რა, რომ მამა მეტია ძეზე, ამტკიცებთ, რომ მოქმედება მეტია საქმეზე(ე. ი. შედეგზე). მაგრამ ყველა მოქმედება თანაზომიერია მის მიერ შექმნილისა: დიდია დიდთა საქმეთათვის და პატარაა შედარებით პატარებისათვის. ამიტომ ამ მიმართებით აღიარება მამის მეტობისა ძეზე სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მიჩნევას იმისა, რომ მოქმედება არათანაზომიერია საქმისა და მტკიცებას იმისა, რომ ღმერთი დიდისა ქმედებისადმი ამაოდ აღიძრა, რადგან ვერ შეძლო დასასრული(შედეგი) ამ მოქმედების თანაბარზომიერი ყოფილიყო. ამიტომ ორიდან ერთ-ერთი აუცილებლად იქნება: ან სახელი მამისა არა მოქმედებას, არამედ არსს აღნიშნავს და მაშინ მათ მიერ გამოგონილი გაგება მსგავსებისა,

რომლის მიხედვითაც თვლიან, რომ ძე მსგავსია მამისა, ოღონდ მოქმედებით, რადგან ამბობენ, რომ მამამ როგორიც ინება, ისეთად შექმნა იგი და ამიტომაც ნებელობის ხატს უწოდებენ, ან, თუკი ამ სწავლების დაცვა სურთ, არ უნდა ამტკიცონ, რომ მამა ძეზე უფრო დიდია, რადგან ყოველი მოქმედება, როცა მას გარედან არაფერი ეწინააღმდეგება, თანაბარზომიერია შედეგისა. და ეს მათ სწავლებებში არსებულ წინააღმდეგობრიობათა სამხილებლად ითქვა.

ვინ არ იცის, რომ ვინმე ან რამე დიდად იწოდება ან მიზეზის მნიშვნელობის, ან ძალის სისავსის, ან ღირსების უპირატესობის, ან მოცულობის(ὄγκος) აღმატებულობისა გამო? მაგრამ აქ სიტყვა **უფროჲს**(τὸ μεῖζων) მოცემულია არა მოცულობასთან მიმართებით და ეს თვითონ ევნომიოსმაც წინასწარ თქვა და საგნებთან მიმართებით მართლაც ასეა, რადგან უფრო დიდი(μεῖζων) სიდიდეთა შორის იგივეა, რაც უფრო პატარა, ოღონდ მასზე დიდი. ვინ გაზომავს ერთს მეორესთან შეფარდებით, როცა ორივე შემოუსაზღვრელია სიდიდით, უკეთესია ვთქვათ, არც სიდიდე(ἀμεγέθη) და არც ოდენობა(ἄποσα) არცერთს სრულიად არ აქვს? იქ, სადაც შედარება შეუძლებელია, რომელი საშუალებით შეიცნობა მეტობა(τὸ ὑπερβάλλον)? თქმა იმისა, რომ ქრისტეს – ძალას ღმრთისას – ძალა აკლია, ყრმებსა და იმათ შეეფერება, რომელთაც არ შეისმინეს ქრისტესი, რომელიც ამბობს: **მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ**(ინ.10,30). სიტყვა **ერთი** აქ ძალით თანაბარს ნიშნავს, რასაც სახარებისეული გამონათქვამებითვე დავამტკიცებთ. თქვა რა უფალმა მორწმუნეთა შესახებ: **არავინ მიმტაცნეს იგინი ჴელთაგან ჩემთა**(ინ.X,28) და: **მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა არს, და არავის ჴელ-ეწიფების მიტაცებად მათ ჴელთაგან მამისა ჩემისათა**(ინ.X,29), დაამატა: **მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ.** ცხადია, რომ **ერთი** აქ ძალით თანაბარისა და იგივეობრიობის მნიშვნელობითაა გამოყენებული. უკეთუ **ტახტი** ღმრთისა, როგორც ჩვენ ეს გვწამს, ღირსების გამომხატველი სახელია, მაშინ ძისათვის მამის მარჯვნივ განკუთვნილი დასაჯდომელი, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა თანაბარ პატივს ღირსების მიხედვით? თავად უფალიც ხომ გვაძლევს აღთქმას, რომ **დიდებით მამისა** მოვა(მთ.XVI,27).

ამრიგად, გვრჩება დავასკვნათ, რომ აქ სიტყვა **უფროჲს** მიზეზის მნიშვნელობითაა ნათქვამი. რამდენადაც ძეს დასაბამი მამისაგან აქვს, ამდენად მამა, ვითარცა მიზეზი(αἴτιος) და დასაბამი(ἀρχή) უფრო დიდია. ამიტომაც თქვა უფალმა ასე: **მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს,** ანუ ჩემზე დიდია, რამდენადაც მამაა. სიტყვა მამა სხვას რას უნდა აღნიშნავდეს, თუ არა მიზეზს და დასაბამს მისგან შობილისა? საერთოდ, არც თქვენი სიბრძნის მიხდვითაც შეიძლება თქმა იმისა, რომ ერთი არსი მეორე არსზე ან უფრო დიდი, ან უფრო პატარაა. ასე რომ, განხილული სიტყვა **უფროჲს**(μεῖζων) არსით უპირატესობას არანაირად არ წარმოაჩენს; ხოლო იმას, რომ მამა ღმერთი მოცულობის მიხედვითაა უფრო დიდი, თვით ევნომიოსიც კი არ იტყვის, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ ღმერთთან მიმართებით ოდენობა(φλικοτητα) არ უნდა წარმოვიდგინოთ.

ამიტომ ძალაში რჩება ის, რაც ვთქვით, რომ სიტყვას **უფროჲს** დასაბამისა და მიზეზის მნიშვნელობა აქვს. ასეთია მცდელობა ევნომიოსისა ამ სიტყვის – **უფროჲს** მკრეხელობისათვის გამოსაყენებლად.

გაკვირვების ღირსია ისიც, რომ იგი ამ მოკლე გამონათქვამებშიც კი წინააღმდეგობაში ვარდება, თითქოს სულიერი თვალი სიბრმავით ჰქონდეს დაზიანებული და მისსავე სიტყვებში საპირისპიროთა დანახვა არ შეეძლოს. იმიტომაც აღმოჩნდა იგი გაუცხოებული ღმრთისმიერი მშვიდობისათვის, რომელიც უფალმა მის ჭეშმარიტსა და წრფელ მორწმუნეებს დაუტოვა, როცა თქვა: **მშჳდობასა დაგიტევებ თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მოგცემ თქუენ**(ინ.XIV,27), რომ არა მხოლოდ სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგება. თქვა რა, რომ ღმერთი და მამა მხოლოდშობილ ძეზე დიდია, ვინც მათ თანასწორობას ამტკიცებს, სიგიჟეში დებს ბრალს, თითქოს თვითონ უდავო საბუთები ჰქონდეს, ცოტა შემდეგ კი, ნახეთ რას წერს:

ევნომ.: არ მოგვაქვს რა სხვა მრავალი საბუთი იმის შესახებ, რომ უშობელი და შეუდარებელი მხოლოდ ღმერთია, დასამტკიცებლად ამისა, რაც ითქვა, საკმარისად მიმაჩნია.

ბასილი: მაინც ვკითხოთ მას, უკეთუ ღმერთი შეუდარებელია(ἀσύγκριτος), მისი უპირატესობის შეცნობას როგორ მისწვდა? უფრო დიდი ხომ განსხვავებულებთან შედარების გზით განიჭვრიტება. ამიტომ, როგორ არის იგი ერთდროულად თან უფრო დიდიც და თან შეუდარებელიც? მაგრამ დასამტკიცებლად იმისა, რომ არსი ღმრთისა მხოლოდშობილის არსისაგან განსხვავდება, ევნომიოსმა **უფროჲს,** რომელიც შედარებისათვის ითქვა, არსთა სხვადასხვაობის დასამტკიცებლად გამოიყენა; ხოლო იმისათვის, რომ მხოლოდშობილი პატივით ქმნილებამდე დაემდაბლებინა, მამის შეუდარებლობა კანონად დაადგინა, მოიფიქრა რა რაღაც ახალი და ჭეშმარიტად შეუდარებელი გზა მკრეხელობისა – ღმრთისა და მამის თვალთმაქცურად ამაღლებითა და განდიდებით მხოლოდშობილი ძისა და ღმერთის დიდების დამცირებისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად უფალი ამოწმებს და ამბობს: **რომელმან არა პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა**(ინ.V,23) და: **რომელმან მე შეურაცხ-მყოს,** არა მე შეურაცხმყოფს, არამედ **მომავლინებელსა ჩემსა**(ლუკ.X,16). მაგრამ მტერმა ჭეშმარიტებისა, რომელიც მათ ამგვართა თქმისა და წერისაკენ აღძრავს, იცოდა, რომ თუკი მათ მხოლოდშობილის დიდების გულისხმისყოფისათვის დააბრმავებდა, თავად ღმრთისა და მამის შეცნობასაც წაართმევდა. ამიტომ, თუმცა ისე ჩანს, რომ ღმერთსა და მამას რაღაც უპირატესობებს ანიჭებენ, მაგრამ ამისგან არავითარი სარგებლობა არ აქვთ, რადგან მოკლებულნი არიან ცოდნას გზისა, რომელსაც ღმრთისაკენ მივყავართ. იუდეველებიც ხომ ფიქრობენ, რომ ღმერთს ადიდებენ და ელინთაგან ზოგიერთსაც ხომ ღმრთის შესახებ რაღაც დიდებულის თქმა სურს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ისინი ღმერთს,

გარეშე ქრისტეს რწმენისა, რომლის მიერაც ცოდნა შეიძინება,[10] განადიდებენ.

ამრიგად, ღმერთს შეუდარებელს უწოდებს, რათა დაამტკიცოს, რომ ძე ქმნილების თანაბარია და შესაბამისად ამისა, მამის დიდებასაც მოკლებულია, რადგან თანაბრად განდიდებულნი, უცილობლად ერთმანეთის თანასწორნიც უნდა იყვნენ. მხოლოდშობილი ძე კი, ევნომიოსის სწავლებით, იმდენად განსხვავდება ღმრთისა და მამისაგან, რამდენადაც ყოველი დანარჩენი ქმნილებებიდან, რადგან ამგვარია შეუდარებლობა(τὸ ἀσύγκριτον) – ყველასათვის ერთნაირად მიუდგომელი და მიუწვდომელი.

თუკი ძე მამისაგან თანაბრად სხვებისა არის დაშორებული, იგი თანაბარია მათი, ვისთან ერთადაც არის დაშორებული. იტყოდნენ კი იუდეველები ამაზე უარეს მკრეხელობას? ან წარმართთაგან სხვა კიდევ რისი მოსმენა შეიძლება? ხოლო ესენი, აჩვენებენ რა თავს, თითქოს ღმრთის სიტყვას პატივს დიდად სცემდნენ, არ წითლდებიან სირცხვილით იმ სწავლებათა შემოთავაზებისას, რომელიც იუდეველებისა და წარმართებისთვისაა სასურველი და შესაფერისი.

უკეთუ არ შეიძლება შედარება ძისა მამასთან, ისევე როგორც ანგელოზთა, ცისა, მზისა, დედამიწისა და სხვა რომელიმე მიწიერი ცხოველისა და მცენარისა, მაშინ როგორ ექნება მას(ძეს) სხვაობა საკუთარ ქმნილებებთან? ან დამბადებელთან ნათესაობა(οἰκειότης) საიდან ექნება?

მე, ამბობს უფალი, **და მამაჲ ერთ ვართ,** – ამ გამოთქმას კიდევ გახსენებთ. მითხარი, განა ეს მისი სიტყვა არაა, ვინც თავს უდარებს? თუმცა რატომ ვამბობ: უდარებს? კი არ უდარებს, არამედ მასთან ერთობაშია და ვინც, ასე ვთქვათ, ბუნების იგივეობრიობას(ἀπαράλλακτον) აჩვენებს? ევნომიოსი კი ამტკიცებს, რომ ღმერთი შეუდარებელია. მადლს(ἀγαθότης) უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ადამიანებიც კი, რამდენადაც ჩვენ მას დავიტევთ, განსწავლითა და კეთილ საქმეთა შინა წვრთნით ყოველთა ღმერთთან მსგავსებამდე მივყავართ, რადგან გვეუბნება: **იყავით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს**(მთ.V,48), ხოლო ევნომიოსი მთელი ძალით ცდილობს მოაკლოს მხოლოდშობილს თვისება(ნათესაობა), რომელიც მშობელთან ბუნებით აქვს, მაგრამ სიტყვა მისსავე საწინააღმდეგოდ უტრიალდება: რადგან მამასთან შედარება არ შეიძლება, საიდან მოიპოვებს მტკიცებულებებს, რომ ძე მისი მსგავსი არაა(ἀνομοιότης)? თუკი იტყვის, რომ მსგავსების არქონა არსთა ერთმანეთთან შედარებისასაა ნაპოვნი, ამ შემთხვევაში მამასთან შედარება რატომღა შეიძლება? ხოლო თუ შედარება საერთოდ შეუძლებელია, სხვაობის შეცნობა როგორღა ხდება?

ამგვარად, ჩანს, რომ ბოროტება არა მხოლოდ სიკეთეს, არამედ თავის თავსაც ეწინააღმდეგება.

[10] შდრ. რომლისაგანცა მოუჴედით სარწმუნოებითა მადლსა ამას...(რომ.V,2).

წიგნი II. ძის შესახებ

დაუდო რა საფუძველი, რამდენადაც შეეძლო, სიტყვაში ყოველთა ღმერთის შესახებ მკრეხელობას ძე ღმერთზე, შემდგომად ამისა, ევნომიოსი ენას პირდაპირ მხოლოდშობილი ღმრთის წინააღმდეგ ილესავს და რას ამბობს?

ევნომ.: ძე ერთია, რადგან მხოლოდშობილია, რომლის შესახებაც შემეძლო მომეხმო წმინდანთა სიტყვები, რომლითაც გვაუწყებენ, რომ ძე წარმონაშობი(τὸ γέννημα) და ქმნილებაა(τὸ ποίημα) და სახელთა შორის სხვაობით არსთა შორის სხვაობასაც წარმოაჩენენ, და ამგვარად ზრუნვისა და ჯაფისაგანაც განვთავისუფლდებოდი, მაგრამ მათთვის, რომელთაც შობა ხორციელად ესმით და საერთო სახელების(ὁμωνυμίαις) გამო არიან დაბნეულნი, რამდენიმე სიტყვის თქმა აუცილებელია.

ბასილი: აი, სიტყვები ევნომიოსისა, რომ შეიძლებოდეს მთელი მისი თხზულების მიჩნევა გამონაგონ დავად, როგორსაც ყმაწვილებს ამაოების სასწავლებლებში აძლევენ, რათა სიცრუესა შინა სიმართლის მსგავსის მოძიება ისწავლონ, – ისევე როგორც მათთან, ზუსტად ასევე ევნომიოსთანაც ყველაფერი ხომ აჩრდილებთან ომს ემსგავსება: ბრძოლა ბრალმდებლებთან, რომელნიც არ არსებობენ; თავის დაცვა ბრალდებისაგან, რომელიც არავის წარმოუთქვამს; სიტყვა მსაჯულთა წინაშე, რომელნიც არსად ჩანან, – ასე რომ ყოფილიყო საჭირო მათი მოსმენა, მათ გამოძიებაზე მეც ხელს ავიღებდი და სხვებსაც ვურჩევდი, ამ საქმით არ დაკავებულიყვნენ. მაგრამ რადგან ევნომიოსი რაღაც უფრო მნიშვნელოვანს გვპირდება და მრავალს გაუჩნდა აზრი, რომ იგი გარკვეულწილად ჭეშმარიტების დადგენისათვის ზრუნავს, აუცილებელია, ყველა მისი გამონათქვამი შეძლებისდაგვარად სათითაოდ იქნას გამოძიებული. გამოძიების რომელი საშუალება შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი, ვიდრე მისი სიტყვის შედარება სულიწმიდის მიერ ჩვენთვის მოცემულ სწავლებებთან, რომლის დროსაც, რაც მათთან შეთანხმებული გამოდგება, მივიღებთ, ხოლო რაც საწინააღმდეგო, ვითარცა მტერს, ავირიდებთ?

ამრიგად, უწინარესად მან ის გვაჩვენოს, წმინდანთაგან რომელნი უწოდებდნენ ქრისტეს წარმონაშობსა და ქმნილებას? და რომელ გამონათქვამებს მოიხმობს იგი წმინდა წერილიდან მათი სიმართლის დასამტკიცებლად? უკეთუ იგი მოციქულთა საქმეში პეტრეს გამონათქვამს ემყარება, რომელიც ამბობს: **განცხადებულად უკუე უწყოდენ ყოველმან სახლმან ისრაჱლისამან, რამეთუ უფალ და ცხებულ ყო იგი ღმერთმან, ესე იესუ, რომელი თქუენ ჯუარს აცუთ**(საქმ. II,36), ჯერ ერთი, საკვლევ საკითხთან ამ დამოწმებას საერთო არაფერი აქვს; იგი იმის ჩვენებას შეგვპირდა, რომ წმინდანები ძეს ქმნილებას(ποίημα) უწოდებენ და მოჰყავს დამოწმება ღმრთისა და მამის შესახებ, რომ მან *ყო* – ქმნა(ἐποίησε). მაგრამ იგი იმას ვერ იტყვის, რომ ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას უფლება აქვს რაღაც სიტყვათწარმოება და სახელთა ცვლილებანი მოიფიქროს. უკეთუ კაცს ყოველი უქმი სიტყვისათვის **მისცენ** პასუხი **დღესა**

მას სასჯელისასა(მთ.XII,36), რაოდენ ვერ განვთავისუფლდებით ჩვენ პასუხისმგებლობისაგან ამგვარ საკითხებში სიახლის შემოტანისათვის. რამდენად შეეფერება ღმერთსა და მამას ის, რაც მოყვანილ მუხლშია ნათქვამი, ამას ჩვენ ნათლად ღმრთეებრივი სიტყვიდან შევიცნობთ. მხოლოდშობილს რომ სიტყვა **შექმნა** არ შეეფერება, ეს სულიწმიდამ თავისი დუმილით გვაჩვენა. ამიტომ უსაფრთხო იქნება ჩვენთვის, რომ სიტყვა **ქმნა** ჩვენებურად გადავაკეთოთ და ყოველთა შემოქმედს ქმნილება ვუწოდოთ? ეს სახელწოდება რომ მისთვის შესაფერისი ყოფილიყო, სულიწმიდა მის შესახებ არ დადუმდებოდა. შექმნილ არსებებთან მიმართებით ჩვენ გვხვდება სიტყვიდან **ქმნა** ნაწარმოები სახელი **ქმნილება,** მაგრამ ძე ღმერთთან მიმართებით იგი არ გვხვდება. ნათქვამია: **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ**(შესქ.I,1); სხვა ადგილას: **ქმნულთა ჴელთა შენთასა ვზრახევდ**(ფს.142,5); **რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების**(რომ.1,20). წმინდა წერილი ამ სახელს იქ იყენებს, სადაც იგი შესაფერისია, მაგრამ უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესთან დაკავშირებით, ვითა შეუფერებელს დიდებულებისათვის მისისა დიდებისა, არ ახსენებს. იგი არ ერიდება იმას, რომ უფალს დიდებისა ცული(მთ.III,10), ლოდი თავსაკიდური, ლოდი შებრკოლებისა, კლდე საცთურებისა(Iპეტ.II,6,8) და სხვა ამგვარი სახელები უწოდოს, თუმცა კაცთათვის, რომელნიც მათ მნიშვნელობას ვერ სწვდებიან, დიდად სასიამოვნონი არ არიან, მაგრამ ქმნილებას არსად არ უწოდებს. ევნომიოსი კი, რომელსაც არა მხოლოდ თავის მიმდევართა, არამედ ძველი წმინდანებისაც ცილისწამებებში გახლართვა სურს, ამბობს, რომ ეს სახელი წმინდანებისგან ისესხა.

გარდა იმისა, რომ საშიშია და საჭირო არაა ამგვარი გაბედულების გამოჩენა სიახლეთა შემოტანისა და უფლის სახელთა გადასხვაფერებისათვის, შინაარსი მოციქულის ნათქვამისა, ჩვენ მხოლოდშობილის არა წინასაუკუნეობრივ ჰიპოსტასურ ყოფას წარმოგვიდგენს, რომლის შესახებაც ახლა ვმსჯელობთ, რადგან, ცხადია, იგი არა თვით არსზე სიტყვა ღმერთისა, რომელიც დასაბამიდან ღმერთთან იყო(ინ.I,1), ლაპარაკობს, არამედ მასზე, ვინც თანახატ ექმნა რა(χειροτέκνου συμμόρφου) ჩვენს დამდაბლებულ სხეულს(ფილიპ.II,7; III,21), თავისი თავი ხატსა შინა მონისა ცარიელყო(κενώσαντος)[11] და უძლურებისაგან ჯვარს ეცვა(IIკორინ.XIII,4).

ყველას, იმასაც კი, ვისაც მოციქულის ამ სიტყვების შინაარსი ცოტათი მაინც ესმის, შეუძლია გულისხმაყოს, რომ აქ იგი ღმრთისმეტყველებას კი არ გადმოგვცემს, არამედ განგებულების აზრს გვიცხადებს. რადგან, ამბობს რა ამ სიტყვებს: **უფალ და ცხებულ ყო იგი ღმერთმან, ესე იესუ, რომელი თქუენ ჯუარს აცუთ,** – მხედველობაში მხოლოდ მისი ადამიანურობა(კაცება) და ის აქვს, რაც მასში იხილვება, როგორც ეს ყველასათვის ცხადია მითითებისაგან:

[11] ქართულ თარგმანში: *თავი თჳსი დაიმდაბლა*(ფილიპ. II,7), ბერძნული დედნის ტერმინი(ცარიელ ყო, დაცარიელა) დამდაბლებადაა გადმოტანილი, რადგან, წმიდა მამათა განმარტებით, ძე ღმერთის *დაცარიელება* თვისი დიდებისაგან დამდაბლებას ნიშნავს და განკაცების შირაარსი აქვს.

ესე იესუ. ევნომიოსს კი სიტყვა **ქმნა**(ἐποίησε) მხოლოდშობილის დასაბამზე გადააქვს და არც ის ეუხერხულება, რომ **უფალი**(Κύριος) აქ არა არსის, არამედ ძალაუფლების აღმნიშვნელი სახელია; ამიტომ სიტყვები: **უფალ და ცხებულ ყო(ქმნა) იგი ღმერთმან** აქ ძის ყოფიერებასა შინა შემოსვლაზე კი არ გვაუწყებს, არამედ ყოველთა ზედა მთავრობასა და მბრძანებლობას გულისხმობს, რომელიც მამისაგან გადაეცა. ამას ჩვენ მოგვიანებით დავამტკიცებთ, როცა ევნომიოსს წმ. წერილიდან იმ დამოწმებათა მოყვანაში ვამხელთ, რომელნიც სულიწმიდის განზრახულებას(τὸ βούλημα) არ ეთანხმება. ახლა კი ისევ მის სიტყვას მივუბრუნდეთ.

რას გულისხმობს ეს სახელი მასთან? რის საფუძველზე ცდილობს, რომ ყოველთა შემოქმედს ქმნილება უწოდოს? იტყუებს რა თავის თავს თვალთმაქცური ცრუ მსჯელობებით, ფიქრობს, რომ სახელთა შორის სხვაობით არსთა შორის სხვაობაც დამტკიცდება; მაგრამ რომელი კეთილგონიერი დაეთანხმება იმას, რომ სხვადასხვა სახელის მქონენი, ერთმანეთისაგან არსითაც უცილობლად უნდა განსხვავდებოდნენ? სახელები პეტრესი, პავლესი, თუ საერთოდ ყოველთა კაცთა, სხვადასხვაა, მაგრამ არსი ყოველი მათგანისა ერთია. ჩვენ ძალიან ბევრი რამით ერთმანეთის იგივეობრივნი(οἱ αὐτοὶ ἀλλήλοις) ვართ და ერთიმეორისაგან მხოლოდ იმ განსაკუთრებული თვისებებით განვსხვავდებით, რომელიც თითოეულში იხილვება. ამიტომ სახელები არა არსს, არამედ იმ განსაკუთრებულ თვისებებს აღნიშნავენ, რომელიც ყოველ მათგანს ახასიათებს. ამრიგად, როცა ვისმენთ **პეტრეს,** მის არსს კი არ წარმოვიდგენთ(არსს ამ შემთხვევაში ნივთიერ საფუძველს ვუწოდებ, რომელსაც ეს სახელი სრულიადაც არ აღნიშნავს), არამედ ჩვენში იმ განსაკუთრებულ თვისებათა წარმოდგენას აღვბეჭდავთ, რომელიც მასში იხილვება. ამ სახელის მოსმენისას ხომ მყისვე იონას ძეს ბეთსაიდიდან, ანდრეას ძმას, მეთევზეთაგან მოციქულებრივი მსახურებისათვის მოწოდებულს, ვისაც რწმენის აღმატებულობისა გამო მიეცა აღთქმა, რომ ეკლესია მასზე დაშენდებოდა, წარმოვიდგენთ. ამ თვისებათაგან არსი, რომელსაც ჩვენ ვითარცა ჰიპოსტასს(დამოუკიდებელ საწყისს) მოვიაზრებდით, არცერთი არაა. ამრიგად, სახელი ჩვენთვის პეტრეს განსაკუთრებულ ხასიათს განსაზღვრავს და სრულიადაც არ წარმოგვიდგენს მის არსს. ასევე: გვესმის რა **პავლე,** სხვა განსაკუთრებულ თვისებათა ერთობას ვიაზრებთ, კერძოდ, წარმოვიდგენთ ტარსელს, ებრაელს, ფარისეველთა სჯულის მიმდევარს, გამალიელის მოწაფეს, მოშურნეობით მდევნელს ღმრთის ეკლესიისა, ვინც შედეგად საშინელი ხილვისა, ღმრთის შეცნობისაკენ მოიქცა, მოციქულს წარმართებისა; და ყოველივე ამას ერთი სიტყვა მოიცავს: **პავლე.**

ამგვარად, სიმართლე რომ ყოფილიყო შეხედულება – სხვადასხვა სახელის მქონენი არსითაც საპირისპირონი არიანო, მაშინ პავლესაც, პეტრესაც და საერთოდ ყველა ადამიანს ერთმანეთისაგან განსხვავებული არსი უნდა ჰქონოდა. მაგრამ რამდენადაც არავინაა ისე არმცოდნე ჩვენი საერთო ბუნებისა, რომ

ეს თქვას, ნათქვამია ხომ: **თიჭისაგან შექმნილ ვართ მეცა და შენცა**(იობ.33,6) და ამით არა სხვა რამ, არამედ ერთარსობა(τὸ ὁμοούσιον) ყოველთა კაცთა აღინიშნება. ამდენად, ცრუობს ის, ვისი მსჯელობითაც სახელთა სხვადასხვაობიდან არსის სხვაობაც უნდა დავასკვნათ; რადგან საგანთა ბუნება კი არ მისდევს სახელებს, არამედ, პირიქით, სახელებია გამოგონილი საგანთა შემდეგ. ჭეშმარიტება რომ პირველი ყოფილიყო, მაშინ უნდა დავთანხმებულიყავით, რომ საგნებს, რომელთაც ერთი საზოგადო სახელი აქვთ, არსიც ერთი და იგივე უნდა ჰქონდეთ. ამიტომ, რამდენადაც სათნოებასა შინა სრულყოფილნი ღმრთის წოდების ღირსნი გახდნენ(ინ.X,35), ამდენად ადამიანები ყოველთა ღმერთის ერთარსნი ყოფილან. მაგრამ ისევე როგორც ამის განცხადებაა ცხადი სიგიჟე, ასევე ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც იმავე სიგიჟეს შეიცავენ.

ამრიგად, ნათქვამიდან ცხადია, რომ სახელები არც მამისა და არც ძის არსს კი არ წარმოადგენენ, არამედ განსაკუთრებულ თვისებებს. ასე რომ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიზიაროთ დასკვნა, სახელთა სხვადასხვაობიდან არსთა დაპირისპირებულობის შესახებ გამოტანილი. ამგვარი დასკვნით ევნომიოსი, უწინარეს ყოვლისა, თავის თავს თვითონვე უარყოფს, რადგან თუ სახელები: ქმნილება(ποίημα) და წარმონაშობი(γέννημα) ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაშინ, სახელთა სხვადასხვაობის შედეგად, მხოლოდშობილის არსნიც სხვადასხვა იქნება, მაგრამ რამდენადაც ამის თქმა მხოლოდ გიჟებს შეუძლიათ, არცერთი გონებაზე მყოფი არც მის წინაპირობას გაიმეორებს.

აქვე ევნომიოსი თვალთმაქცობს და ამბობს, რომ ათასობით საბუთი აქვს იმისა, რომ წმინდანები ძეს **ქმნილებას** უწოდებენ, მაგრამ ჩქარობს რა სხვა უფრო საჭირო საკითხთა გამოძიებას, მათ სხვა დროისათვის გადადებს და ამჯერად არ მოიხსენიებს. ეს ოსტატურად მოფიქრებული ბოროტი ეშმაკობაა – სიტყვას დუმილი ამჯობინოს იქ, სადაც სათქმელი არა აქვს; რადგან აჩრდილიც კი რომ ჰქონოდა მხოლოდშობილისათვის ქმნილების წოდების შესახებ დამოწმებისა, მისი განუწყვეტელი განმეორებით უკვე ყურებს გამოგვიჭედდა.

შემდგომად ამისა, ამბობს, რომ მათთვის, რომელნიც უფლის ხორციელ(σωματικὴ) შობას ვარაუდობენ და საერთო სახელების(ὁμωνυμία) გამო გაუგებრობაში არიან ჩავარდნილნი, აუცილებლად თვლის, მოკლედ ამის შესახებაც თქვას. მაგრამ რამ შეუშალა ხელი, რომ ჯერ მისი სწავლების სარწმუნოობისათვის დამოწმებანი წმინდა წერილიდან მოეტანა და უძლურთა გამოსწორებასა და მათთვის საერთო გამოთქმებით მიყენებული ზიანის შემცირებაზე, თუ ის მართლაც მიადგა ვინმეს, ან ოდესმე მიადგება, შემდეგ გადასულიყო? სინამდვილეში ვინ უნდა იყოს გონებით ისე სრულიად ხორციელი და ისეთი უმეცარი ღმრთეებრივი სიტყვებისა, რომ, მოისმენს რა ღმრთეებრივ შობაზე, ხორციელად წარმოიდგინოს იგი, ისე, როგორც ეს მამაკაცის ქალთან შეერთებისას ხდება: ჩასახვა საშოსა შინა, შედგენა და ჩამოყალიბება სხეულისა და განსაზღვრულ დროს გარეთ გამოსვლა? ვინ ემსგავსება ისე საქონელს, რომ მოისმენს

რა ღმრთის სიტყვას, ღმრთისაგან გამომავალს, მოისმენს რა ღმრთისაგან შობილ სიბრძნეზე, აზრებით ხორციელი ვნებებისაკენ დამდაბლდება? ევნომიოსმა ასეთი კეთილსახოვანი ფორმა სიტყვისა კიდევ იმიტომაც მოიფიქრა, რომ წარმოჩენილიყო ადამიანად, ვინც უგუნური ძმებისადმი თანაგრძნობის გამო მასწავლებლობის ჯაფა იტვირთა. იგი ხორციელ ვარაუდებს, რომელიც ამ სახელმა(შობამ) შეიძლება წარმოშვას, ასწორებს, ხოლო იმ მავნე შედეგებს, რომელთაც უფლისათვის ქმნილების წოდება მოიტანს, ხელს უწყობს. ვინც შობას ხორციელად წარმოიდგენს, აზრით შესაქმის ნივთიერ სახეებზეც ადვილად გადავა; რადგან უკეთუ გონებით უძლური სიტყვაზე **შობა** მშობლის არსის ერთგვარ დანაწილებას, გადაადგილებასა და გამოდინებას წარმოიდგენს, ის იმ ვარაუდამდეც მივა, რომ მატერია, ქმნილებისა, როგორც თქვენ უწოდებთ, არსის შესადგენად გარედან, არაფრისგან იქნა მოტანილი.

რატომ მკურნალობს ევნომიოსი აზრობრივ უძლურებებს ძმებისა სანახევროდ და ზრუნავს მათზე, რომელნიც ხორციელ შობას ვარაუდობენ და უგულებელსყოფს მათ, რომელნიც სახელით **ქმნილება** არიან ცდუნებულნი? იმიტომ რომ, **იშვა**(γεγεννῆσθαι), როგორც ეს თვითონაც კარგად იცის, მის შეხედულებებს ეწინააღმდეგება: შობილს ხომ მშობელთან უცილობლად აქვს განუყოფელი კავშირიცა და სრული, უცვლელი მსგავსებაც. ხოლო **შექმნა**(ποιῆσθαι) სასურველი მოკავშირეა მისი დებულებებისა იმდენად, რამდენადაც შემოქმედისათვის გარეშე და უცხო აზრს გამოხატავს და სრულიადაც არა აქვს მასთან განუყრელი კავშირი. შემდგომად ამისა ევნომიოსი დასძენს:

ევნომ.: ამრიგად, წმიდა წერილის სწავლების მიხედვით, ჩვენ ვამბობთ, რომ ძე წარმონაშობია, ვგულისხმობთ რა, რომ არსი არ არის სხვა და სახელით აღნიშნული სხვა, მისგან განსხვავებული, არამედ რაც სახელით აღინიშნება, ჰიპოსტასიც ის არის, რადგანაც სახელი ჭეშმარიტად შეესაბამება არსს.

ბასილი: ამ სიტყვებითაც, ცხადია, იგი ჭეშმარიტებას ებრძვის და სხვათა შორის, თანმიმდევრულადაც. რადგან როგორც ზემოთ მოყვანილ სიტყვებში განსაზღვრა, რომ ყოველთა ღმერთის არსის აღმნიშვნელი მისი უშობელობაა, ასევე აქაც ამბობს, რომ ძის არსს წარმონაშობი(τὸ γέννημα) აღნიშნავს, რათა შობილის უშობელთან დაპირისპირებით მხოლოდშობილის მამასთან თვით არსით დაპირისპირებულობა დაამტკიცოს. ამიტომაც ამკვიდრებს სახელს, რომელსაც სულიწმიდა საერთოდ არ იყენებს – ძეს **წარმონაშობს**(γέννημα) უწოდებს. საიდან აიღო მან იგი? რომელი სწავლებიდან? რომელი წინასწარმეტყველიდან? მოციქულთაგან რომელმა მიანიჭა ძეს ეს სახელწოდება? მე წმინდა წერილში ეს სიტყვა, ამ მნიშვნელობით გამოყენებული, ვერსად ვიპოვე. მას კი თავი მოაქვს, რომ თითქოს ასეთი სახელები არა სხვა რომელიმე, არამედ სულიწმიდის სწავლებისაგან აქვს აღებული. **ნუ მცირესა ღუაწლსა მიატყუებთ კაცთა**(ეს.VII,13); იგი ბედავს და ცილს თვით სულიწმიდას სწამებს. ძე რომ მამამ შვა, ჩვენ ეს მრავალი დამოწმებიდან ვიცით, მაგრამ ის, რომ ძე წარმონაშობია,

დღემდე არსად გვსმენია. ნათქვამია: **ყრმა იშვა ჩუენდა ძე, და მოგუეცა ჩუენ... და ჰრქუან სახელი მისი,** – არა წარმონაშობი, არამედ **დიდისა განზრახვისა ანგელოზი**(ეს.9,6). წარმონაშობს რომ არსის მნიშვნელობა ჰქონოდა, სულიწმიდა, რა თქმა უნდა, სხვა სახელს კი არ გვასწავლიდა, არამედ იმას, რომელიც არსის გამოხატვას ნათლად შეძლებდა. პეტრესაც არ უთქვამს მაცხოვრისათვის შენ ხარ წარმონაშობიო, არამედ ჭეშმარიტების შეცნობისათვის, როცა უფალს უთხრა: **შენა ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ**(მთ.XVI,16), ღირსი გახდა მოესმინა: **ნეტარ ხარ**(17). და პავლესაც, რომლის ეპისტოლეებიც სავსეა ძის სახელწოდებებით, არსად მოუხსენებია წარმონაშობი, რომელსაც ევნომიოსი ისეთი დიდი თავდაჯერებით წარმოთქვამს, თითქოს საღმრთო მეცნიერებიდან ჰქონდეს გადმოღებული. რადგანაც აქ მიეცა მას საშუალება სიტყვა **შვა**(ἐγέννησε), – მამის მიმართ თქმული, შეეცვალა და გადაეკეთებინა, ამიტომაც ძე ღმრთისას წარმონაშობი უწოდა. ღმრთის მოშიშებით აღზრდილს კი, ადვილად გადასვლა ჭეშმარიტი გამონათქვამებიდან იმათზე, რომელნიც მათგან წარმომდგარნი ჩანან, არ შეშვენის. პირიქით, მას წმინდა წერილში არსებულ სახელთა შენარჩუნება უყვარს და მათით აღვსება დიდებისმეტყველებისა ღმრთის დიდებულების შესაფერისად. თუკი ებრაელთა ენიდან ელინურ ენაზე წმინდა წერილის პირველმა მთარგმნელებმა განმარტება ზოგიერთი სახელის მნიშვნელობისა ვერ გაბედეს და ებრაული სიტყვები პირდაპირ გადმოიტანეს, როგორიცაა საბაოთ, ადონაჲ, ელოჲ და სხვა მათი მსგავსი, და ამგვარი კეთილკრძალულება არა მხოლოდ ღმრთეებრივ სახელთა, არამედ კიდევ სხვა მრავალთა მიმართ გამოიჩინეს, რაოდენ დიდი შიში გვმართებს ჩვენ უფლის სახელთა წინაშე? ისინი, რომელთაც ზოგიერთი სახელის განმარტებისაგან, რათა მათთვის შეუფერებელი მნიშვნელობის მინიჭებით სიცხადე გამომსახველობისა არ შეესუსტებინათ, თავი შეიკავეს, მისცემდნენ კი თავს უფლებას რომელიმე სახელის თავის მხრივ გამოგონებისა?

მაგრამ თუ ღმერთმა შვა, ამბობს ევნომიოსი, რატომ არ უნდა ეწოდოს მას წარმონაშობი მშობლისა(γεννητὴν γέννημα)? იმიტომ რომ, ჩვენთვის საშიშია ჩვენი სახელები ვუწოდოთ მას, ვისაც ღმერთმა **მიანიჭა სახელი უზეშთაესი უფროჲს ყოველთა სახელთასა**(ფილიპ.II,9), და ვისაც ღმერთი ეუბნება: **ძე ჩემი ხარი შენ, მე დღეს მიშობიე შენ**(ფს.II,7). მათი(ევნომიოსისა და მისთა მიმდევართა) გაგების მიხედვით, აქ უფალს, რადგან იშვა, არა ძე, არამედ წარმონაშობი უნდა ეწოდოს, მაგრამ არ ეწოდა. ვისაც თვალწინ ქრისტეს სამსჯავრო უდგას და იცის, რა საშიშია მოკლება ან მიმატება იმისთვის, რაც ძეს სულიწმიდის მიერ აქვს მინიჭებული(გამც.XXII,18-19), მან თავისი მხრიდან, პატივმოყვარეობისა გამო სიახლე კი არ უნდა შემოიტანოს, არამედ იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რაც წმინდანებმა გვაუწყეს. ამიტომ გაბედვა იმის შემოტანისა, რომლის გამოყენებაც არც საერთო ტრადიციითა და არც წმიდა წერილითაა მიღებული, განა უკიდურეს სიგიჟეს არ წარმოადგენს? რომელი

მამა ან დედა, საკუთარი შვილისადმი ნაზი სიყვარულით აღსავსე, უწოდებდა მას ალერსით წარმონაშობს და დაივიწყებდა ჩვეულებრივ მიმართვას: ძეო, ან შვილო? ხომ ეუბნება კიდეც: **შვლო, წარვედ ვენაჴსა ჩემსა**(მთ.XXI,28); და სხვაგან: **ღმერთმან იგულოს თავის თჳსისა ცხოვარი მსხუერპლად, შვლო**(შესქ. XXII,8); და კიდევ ისააკი: **ვინ ხარ შენ, შვლო?**(შესქ.XXVII,18)? და: **შვილო, ნუ სულმოკლე იქნები სწავლასა ღმრთისასა**(იგავ.III,11); და: **ძემან ბრძენმან ახარის მამასა**(იგავ.10,1) და კიდევ სხვა მრავალი. არსად ჩანს, რომ ვინმეს თავისი ყრმისათვის წარმონაშობი ეწოდებინოს. მიზეზი ამისა ნათელია: ძე და შვილი სულიერთა(ἐμψύχων) სახელებია, წარმონაშობი კი, ყოველთვის – არა. წარმონაშობი შეიძლება ეწოდებოდეს ჩანასახსაც, რომელსაც სახე ჯერ კიდევ არ მიუღია და ამდენად არ არის ღირსი შვილის წოდებისა. წარმონაშობებად იწოდებიან მიწის ნაყოფნიც, მაგრამ არა შვილებად. **არღარა ვსუა მე,** ამბობს მაცხოვარი, **ნაყოფისაგან**(ἐκ τοῦ γενήματος) **ამის ვენაჴისა**(მთ.XXVI,29). სულიერ არსებებზე ამ სახელის გამოყენებას იშვიათად ვხვდებით, ხოლო სადაც ამ მნიშვნელობითაა გამოყენებული, იქ, როგორც ეს ყველას შეუძლია დაინახოს, ეწოდება ცხოველს, რომელმაც ბრალეულობის გამო ბოროტი სახე შეიძინა. მაგალითად: **გუელნო, ნაშობნო**(γεννήματα) **იქედნეთანო**(მთ.XXIII,33).

ამიტომ, ვფიქრობ, ამ სახელს არც საერთო ტრადიცია სცემს პატივს და ჩანს, რომ საღმრთო წერილიც უარყოფს მის გამოყენებას, მით უმეტეს ღმრთის მხოლოდშობილი ძის მიმართ. იგი შვილსაც(τέκνον) კი არ იწყნარებს იმის გამო, რომ ბევრ კაცობრივს შეიცავს. მოციქული[12] უფალს ყველგან ძეს(Ὑιός) უწოდებს და ისეთი სხვადასხვა სახელით ადიდებს, როგორიცაა **პირმშო**(πρωτότοκον რომ.VIII,29; ებრ.I,6), **ხატი**(εἰκών-2კორ.IV,4), **ბრწყინვალებაჲ**(ἀπαύγασμα ებრ.I,3), ხოლო წარმონაშობის წოდებას გაურბის. უკეთუ იგი(მოციქული), ან სიტყვის პირველ მქადაგებელთაგან ვინმე სხვა ამ სახელს იყენებს, ევნომიოსმა ეს დაგვიმტკიცოს და ჩვენ ნებას მივცემთ, რასაც ვამბობთ, ყოველივე გადახაზოს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას იგი ვერ შეძლებს, თუ არ მიბაძა უსჯულო მარკიონს, რომელიც საღმრთო წერილიდან ზოგს იღებს და ზოგიც შეაქვს მასში.

ამრიგად, დამტკიცდა, რომ სახელი წარმონაშობის გამოყენება უცხოა როგორც საერთო ტრადიციის, ისე წმინდა წერილისთვისაც. ახლა ვნახოთ, შეიძლება თუ არა ეს სახელი გამოყენებულ იქნას ძის თვით არსის აღნიშვნისათვის. ევნომიოსი ამბობს:

ევნომ.: შეუძლებელია წარმოდგენა იმისა, რომ არსი სხვა იყოს და სახელით აღნიშნული სხვა, მისგან განსხვავებული, არამედ რაც სახელით აღინიშნება, ჰიპოსტასიც ის არის, რადგანაც ჭეშმარიტად შეესაბამება არსს.

ბასილი: ეს შენი სწავლებანი ჭეშმარიტად ღირსია იმგავრ მსაჯულთა, რომელთაც შენ მხოლოდ წარმოსახვით წარმოიდგენ. ვითარცა სიზმართა ბაზ-

[12] იგულისხმება პავლე მოციქული.

რობაზე ან მთვრალთა კრებულში, სადაც არავის ესმის და არც გულისხმაყოფს, რასაც სხვები ამბობენ, – დიდი გაბედულებით ადგენ კანონებს, ფიქრობ რა, რომ მტკიცებულებანი არ გჭირდება, რადგან ისიც საკმარისია, რომ შენ ამბობ. ვინ არ იცის, რომ სახელთაგან ერთნი საგნებზე სხვებთან შეფარდების გარეშე მიუთითებენ და თვითონ ამ საგნებს აღნიშნავენ, ხოლო სხვები მხოლოდ იმ დამოკიდებულებას წარმოაჩენენ, რომელიც მათ შორის არსებობს? მაგალითად, ადამიანი, ცხენი, ხარი – თითოეული იმ საგანს აღნიშნავს, რომლის სახელიცაა, ხოლო: ძე, მონა, მეგობარი – ერთი სახელის მეორესთან, რომელთანაც დაკავშირებულია, ურთიერთობას წარმოაჩენს.

ამრიგად, ვინც მოისმენს სიტყვას **წარმონაშობი,** აზრით რომელიმე არსისკენ კი არ მიიქცევა, არამედ იმას გულისხმაყოფს, რაც ერთი მეორესთანაა დაკავშირებული: წარმონაშობად ხომ ვინმეს წარმონაშობი იწოდება. ამიტომ არსად იმის აღიარების დაკანონება, რაც აზრს რომელიმე ჰიპოსტასზე კი არ ქმნის, არამედ ერთის მეორესთან დამოკიდებულებას აღნიშნავს, განა უკიდურესი სიგიჟე არაა?

როგორც ჩვენ ეს ცოტა ზემოთ ვაჩვენეთ, სახელთაგან არაშეფარდებითნი(აბსოლუტურნი, ἀπολέλυμενα) თუმცა ჩანს, რომ რომელიმე საგანს უკეთ გამოხატავენ, მაგრამ ისინიც არა თვითონ არსს, არამედ მის რომელიმე თვისებას აღნიშნავენ. მაგრამ ეს ყოვლად ბრძენი, ვინც მთელი ცხოვრება ამაო ხრიკებში გაატარა, სირცხვილისაგან არ წითლდება, როცა აცხადებს, რომ **წარმონაშობი** მხოლოდშობილის თვითონ არსს აღნიშნავს. ნახეთ, როგორ უაზრობასთან გვაქვს საქმე: უკეთუ არსი წარმონაშობია და, პირიქით, წარმონაშობი თვითონ არსია, ყველა წარმონაშობი ერთმანეთის ერთარსი იქნება. აქედან კი, დასკვნის გამოტანის მისი მეთოდის მიხედვით, რა გამოვა? აღმოჩნდება, რომ ყოველთა შემოქმედს და ყოველს, რომელიც შობასთანაა ნაზიარები, ერთი არსი ექნება.

ევნომიოსი ხომ ვერ იტყვის, რომ წარმონაშობი არსს მხოლოდ ძისთვის აღნიშნავს და იმავე მნიშვნელობას არ ინარჩუნებს სხვებისთვისაც, რომელნიც შობას არიან ნაზიარებნი; ხოლო თუ მაინც იტყვის, მაშინ წარმოადგინოს რომელიმე ნათელი და უცილობელი მიზეზი, რატომ არ შეიძლება ერთი და იგივე სახელი თანაბარი ძალისა იყოს ყველა საგნისათვის, რომელსაც აღნიშნავს. მაგრამ ასეთ მიზეზს ვერ წარმოადგენს, რადგან როგორი გაგებაც არ უნდა მოიაზროს წარმონაშობისა, იგი მაინც ერთნაირად შესაფერისი იქნება ყველა დაბადებულისათვის. ყველაზე დიდი მტკიცებულება ჩემი ნათქვამის სიმართლისა, დაე, ყოველი მსმენელისათვის მისი საკუთარი განსჯა იყოს. თითოეულმა თავისთავს ჰკითხოს: როცა ისმენს, რომ ეს და ეს ამისა და ამის წარმონაშობია, რომელ გაგებას აღიბეჭდავს თავისთავში, იმას, რომ შობილი(ὁ γεννηθείς) არსია მშობელისა(τοῦ γεγεννηκότος) მაგრამ ეს ხომ სასაცილოა, სიმართლე კი ისაა, რომ ყოფიერებაში ერთი მეორისაგან შობის შედეგადაა მოყვანილი.

იმავეს თქმა შეეფერება მხოლოდშობილსაც და შობილთაგან ყოველს, ვინც არ უნდა იყოს. ნურავინ იფიქრებს, რომ ამ მსგავსებით დამოკიდებულებისა ღირსება მხოლოდშობილისა შემცირდება; რადგან ძე სხვებისაგან რაიმესთან დამოკიდებულებით კი არ განსხვავდება, არამედ განსაკუთრებული თვისებით არსისა, რომელშიც მოკვდავთა ზედა ღმრთის აღმატებულება ჩანს.

ახლა ნახეთ მათ სწავლებას რა უაზრობამდე მივყავართ. უკეთუ წარმონაშობად სხვის მიერ წარმონაშობი იწოდება, რასაც საერთო ტრადიციაც ამტკიცებს და ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგება, და თუ ეს სახელი, მათი სწავლებით ძის არსს აღნიშნავს, მაშინ იგი მისი არსიც იქნება, ვის წარმონაშობადაც ძე იწოდება. ამრიგად, ამ ლოგიკით, ეს სახელი(წარმონაშობი) უკვე არა მხოლოდშობილის არსს, რის დამტკიცებასაც მთელი ძალისხმევით ცდილობენ, არამედ ყოველთა ღმერთის არსსაც აღნიშნავს, რადგან შეუძლებელია წარმოდგენა იმისა, რომ სხვა იყოს არსი და სხვა, მისგან განსხვავებული, მისი წარმონაშობი.

უკეთუ სიტყვები: არსი და წარმონაშობი თანაბარი ძალისანი არიან და არსს წარმონაშობი ეწოდება, ძე, რომელიც ღმრთის წარმონაშობია, ღმრთის არსიც იქნება, რაკი წარმონაშობი არსს გამოხატავს. ამგვარად, როგორც ეს ევნომიოსის მსჯელობიდან მჟღავნდება, წარმონაშობი არსია უშობელისა. თუ ეს დასკვნა სასაცილოა, დაე, მთელი სირცხვილი მას ერგოს წილად, ვინც მას წანამძღვრები დაუდო. ეს, ჩვეულებრივ, ასე ხდება ხოლმე: როცა მსჯელობა ერთხელ მოსწყდება ჭეშმარიტებას, ცდომილების თანმიმდევრობას იგი მრავალ და საშიშ უაზრობამდე მიჰყავს. მაგრამ რაც აქამდე იყო, მხოლოდ რამდენადმე ჩანასახი და მზადებაა მკრეხელობისათვის. არსს ბოროტებისას იგი ამის შემდეგ გვთავაზობს, როცა ამბობს:

ევნომ.: არსი ძისა, რომელიც მის შედგენამდე არ არსებობდა, იშვა და იშვა მამის ნებით, ყველაზე ადრე.

ბასილი: ისევ იგივე ადრინდელი ხრიკები! გვიმარტავს რა ძის არსს, ძეს რაღაც სხვად, მისგან განსხვავებულად წარმოგვიდგენს, რითაც სმენას მკრეხელობისათვის წინასწარ ამზადებს. მართალია, ცხადად იმას, რომ ძე არარასაგანაა(ἐκ μὴ ὄντων) შობილი, არ ამბობს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მისი არსი, რომელიც ადრე არ არსებობდა, იშვა, მაგრამ, გვითხარი, რაზე ადრე არ არსებობდა იგი? განიხილეთ მისი ხრიკი! რათა ყველას ჰგონებოდა, რომ იმას ამბობს, რისი მოთმენაც შეიძლება, არსს თვითონ მასთანვე ადარებს და არ ამბობს, რომ იგი უწინარეს საუკუნეთა არ იყო, ან უბრალოდ, არ იყო, არამედ რომ მის შედგენამდე(πρὸ τῆς ἰδίας συστάσεως) არ იყო. მითხარი მე, მამის არსზე რას იტყოდი, ადრინდელია თუ არა იგი თავის შედგენაზე? უკეთუ ევნომიოსი ძის არსს დროს არ უმორჩილებს და არც სიტყვას **ადრე**(πρότερον) იაზრებს ამ გაგებით, მაშინ ეს სიტყვა ამაო და უქმია და ამდენად არც პასუხს იმსახურებს. არანაკლებ უქმი იქნება იგი ყოველთა ღმერთთანაც მიმართებაში,

თუკი ამ ფუჭი მეტყველების მასზე გადატანას მოვისურვებდით; რადგან ამ შემთხვევაში ერთი და იგივე უაზრობა იქნებოდა, როგორც თქმა იმისა, რომ ღმერთი მის შედგენამდე არ არსებობდა, ასევე იმისაც, რომ იგი თავისთავზე ადრე არსებობდა. ხოლო უკეთუ სიტყვას **ადრე**(πρότερον) ძესთან მიმართებაში დროის მნიშვნელობით იყენებს და იტყვის, რომ მისი არსი არაფრისგან იშვა, უფრო უკეთ, ძე არაფრისგან(μὴ ὄντων) იშვა, რადგან შინაარსის მიხედვით ერთი და იგივეა – ასე იტყვი, თუ ისე, ჯერ ერთი, რომ საუკუნეთა შემოქმედს დროის, თუ გნებავთ, საუკუნეთა შემდეგ დააყენებს, და მეორეც: საკუთარ მკრეხელობაში თანმიმდევრულობის დამცველი, მამაზეც იტყვის, რომ დასაბამიდან კი არ იყო მამა, არამედ შემდეგ გახდა. მაგრამ თუკი მამად ყოფნა მშვენიერია და ღმრთის ნეტარების შესაფერისი, მაშინ ეს მისთვის შესაფერისი თვისება, რატომ დასაბამიდანვე არ ჰქონდა? ან უკეთესის უცოდინარობისა, ან კიდევ უძლურებისა გამო, – ასე უნდა ახსნან მათ უცილობლად ეს ნაკლი; უცოდინარობისა – ნიშნავს, თითქოს ღმერთმა შემდეგ გამოიგონა ის, რაც უკეთესი იყო; ხოლო უძლურებისა გამო კი, – რომ მან თითქოსდა იცოდა და გააზრებულიც ჰქონდა საუკეთესო, მაგრამ მისი მიღწევა ვერ შეძლო. თუ მისთვის მამობა სიკეთე არ იყო, რაც საწინააღმდეგოა სამართლიანობისა, რისთვის განიცდიდა ცვლილებას და უარესს რატომ აირჩევდა? დაე, ეს მკრეხელობა მათვე მიუბრუნდეთ, რომელთაც მასში ბრალი მიუძღვით!

ყოველთა შემოქმედი დროით შემოუსაზღვრელი მამაა და მამობა როდისმე არ დაუწყია, რადგან არც ძლიერების მოკლებას შეუშლია მისთვის ხელი, რომ საკუთარი ნება აღესრულებინა და არც იმას, რომ იმის მისაღებად, რისკენაც ისწრაფოდა, საუკუნეთა გასვლას უნდა დალოდებოდა, რათა მსგავსად ადამიანთა და ცხოველთა, მოწიფულობის ასაკამდე მიეღწია, როცა შობის ძალა მიეცემოდა. ამგვარად გაგება მისი და მასზე ამგვარი საუბარი, მხოლოდ გიჟებს ახასიათებთ, პირიქით, მას, თუ შემიძლია ასე ვუწოდო, მამობა(πατρότητα) მის მარადიულობასთან თანაგავრცობილი(συμπαρατεινόμενη) თავისივე თავში აქვს. ამიტომ არც ძეს, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა არსებულსა და მარადის მყოფს, არ დაუწყია ყოფნა ოდესმე, არამედ, როცა იყო მამა, იყო ძეც და აზრს მამაზე მყისვე უერთდება აზრი ძეზეც, რადგან მამა მამაა ძისა. მამას არავითარი საწყისი არ აქვს, ხოლო ძის საწყისი მამაა და მათ შორის არაფერია. როგორ შეიძლებოდა დასაბამითგან არ არსებულიყო(რასაც ნიშნავს სწორედ მათ ცრუ მსჯელობებში გამოყენებული გამოთქმა „უწინარეს მისი შედგენისა“) იგი, ვისზე ადრეც არაფერია, რისი მოაზრებაც შესაძლებელი იქნებოდა, გარდა მამისა, ვისგანაც აქვს ყოფიერება და ვინც მას რაღაც მანძილით კი არ აღემატება, არამედ მასზე წინ მხოლოდ იმიტომ დგება, რომ მიზეზია? ამიტომ, რადგანაც დამტკიცებულია, რომ ერთობა ძისა ღმერთთან და მამასთან მარადიულია, რამდენადაც ჩვენი აზრი ძიდან უშუალოდ, ისე, რომ არავითარ სიცარიელეს არ ხვდება, მამაზე გადადის და გარეშე ყოველგვარი მანძილისა

ძეს მამასთან აერთებს, როგორ შეიძლება მას, ვინც არანაირი შუალედით არ არის გამოყოფილი მამისაგან, მათი ბოროტი მკრეხელობა შეეხოს, რომელნიც თავის დასაძვრენად იმას იტოვებენ, რომ იგი ყოფიერებაში არაფრისგანაა მოყვანილი?

შემდეგ: რა თქმა უნდა, გაკვირვების ღირსია მათი უგუნურება, რადგან არ ესმით, რომ, როცა ამტკიცებენ – ძე არაფრისგანააო, მას არა მხოლოდ მამის შემდეგ, არამედ იმის შემდეგაც აყენებენ, რითაც მხოლოდშობილს მამისაგან ყოფენ, რადგან უკეთუ მამასა და ძეს შორის რაღაცაა, მას არსებობა უცილობლად ძეზე ადრე უნდა ჰქონოდა; და რა უნდა იყოს იგი? სხვა რა, თუ არა საუკუნე ან საერთოდ დრო? რადგან ვინც ფიქრობს, რომ მამის სიცოცხლე უფრო ხანგრძლივია ვიდრე მხოლოდშობილისა, რათა თქვას, რომ აღმოაჩინა ერთის ცხოვრების გარდამეტება მეორესთან შედარებით, რითი გაზომავს მას, თუ არა მანძილით საუკუნეთა ან დროისა? მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ ტყუის წმიდა წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ საუკუნენი მის მიერ შეიქმნა: **რომლისგანაც შექმნა საუკუნენი**(ებრ.I,2) და გვასწავლის, რომ: **ყოველივე ძის მიერ შეიქმნა**(ინ.I,3); ყოველივე, ცხადია, საუკუნეებსაც მოიცავს.

უკეთუ ისინი იტყვიან, რომ ძის უწინარეს საუკუნეთა შობას არ უარყოფენ, მაშინ, დაე, ცნობილი გახდეს, რომ რასაც სიტყვით თმობენ, სწორედ იმას საქმით უარყოფენ. ეს რომ ასეა, ამის დასამტკიცებლად მათ, რომელნიც მხოლოდშობილის არსს არაფრისაგან წარმოშობილად მიიჩნევენ, შევეკითხებით: როგორც თქვენ ამბობთ, როცა იგი არ იყო, რა იყო შუალედი(διάστημα)? და ამ შუალედისათვის რა სახელს მოიფიქრებთ? საერთო ტრადიცია ყოველგვარ შუალედს ან დროს უქვემდებარებს, ან საუკუნეებს, რადგან, რაც გრძნობადი საგნებისათვის დროა, ის ზესამყაროს მკვიდრთათვის(ὑπερκοσμίοις) საუკუნის ბუნებაა. უკეთუ რაღაც მესამეს საკუთარი სიბრძნით მოიაზრებენ, დაე, თქვან, ხოლო თუ დუმილს არჩევენ, დაე, გაცხადდეს, რომ მხოლოდშობილის არსს საუკუნეთა შემდეგ, მეორე ადგილზე აყენებენ; რადგან თუ იყო რაღაც შუალედი, ძეზე ადრინდელი და თანაგავრცობილი მამის ცხოვრებისა თანა, ის ერთი საუკუნეთაგანი იქნებოდა. მაგრამ არ არის და არც იქნება არაფერი ისეთი, რომლის წარმოდგენაც აზრით მხოლოდშობილის დამოუკიდებელ არსზე(ὑποστάσεως) ადრე შეიძლებოდეს. რაც არ უნდა ძველის მოაზრება შევძლოთ, ყველაზე წინ მაინც სიტყვა ღმერთის ყოფიერება აღმოჩნდება, რომელიც დასაბამიდან მამასთან იყო(ინ.I,1). თუმცა თავისი თავის მაცდუნებელი გონება არარსებულ საგნებზე ბევრს ოცნებობს და არნახულ გამოსახულებათა შექმნას ცდილობს, მაინც ვერასოდეს გამოიგონებს იმგვარ მანქანებას, რომლითაც მხოლოდშობილის დასაბამზე უფრო შორს წასვლას შეძლებდა, მოძრაობისას უკან ჩამოიტოვებდა სიცოცხლეს იმისას, ვინც თავად სიცოცხლეა, გონებით სიტყვა ღმერთის დასაბამზე უფრო ამაღლდებოდა და იხილავდა საუკუნეებს, რომელთა შორისაც ღმერთი საუკუნეთა არ იქნებოდა.

წაართვა რა მხოლოდშობილს მისი შესაფერისი დიდება, ნახეთ როგორი სიტყვებით მიაგებს მას პატივს:

ევნომ.: არსი ძისა, ღმრთისა და მამის ნებით, ყველაზე ადრე იშვა.

ბასილი: ხედავთ, რა დიდ ღირსებას ანიჭებს ძეს – იყოს უხუცესი ქმნილება და მის მიერ შექმნილ ქმნილებათა შორის ყველაზე ადრე არსებული, – ფიქრობს რა, რომ ყოველთა შემოქმედის დიდებისათვის მის ქმნილებათა წინ დგომაც საკმარისია. გააუცხოვა რა ღმერთსა და მამასთან ბუნებრივი ერთობისაგან, ძის დიდებას იმით ამოწმებს, რომ ქმნილებათა შორის უპირატესობას ანიჭებს. შემდეგ მისი მკრეხელობა უსირცხვილობაში გადადის და, როგორც თვითონ ფიქრობს, მის მიერ გამოტანილი გარდაუვალი და უცილობელი დასკვნების ალყაში გვაქცევს.

ევნომ.: ღმერთმა ძე ან უკვე არსებული შვა, ან არარსებული. თუ არარსებული, – ნურავინ მომმართავს საყვედურით გაბედულებისათვის, ხოლო თუ არსებული, – ამის თქმა არა მხოლოდ უგუნურება და მკრეხელობაა, არამედ სრული უაზრობაც, რადგან არსებული დაბადებას არ საჭიროებს.

ბასილი: ეს საყოველთაოდ ცნობილი ცრუ მსჯელობა, სხვების მიერ უკვე დიდი ხნის წინ გამოგონილი, ბოლოს და ბოლოს თავხედურმა და უსირცხვილო ენებმა დაასრულეს. ხოლო ჩვენ მსმენელებს უწინარესად იმას შევახსენებთ, რომ ევნომიოსი ამგვარ უცილობელ დასკვნებამდე იმ მრავალთა უმეცრების გამო მივიდა, რომელნიც ისმენენ რა ძის შობის შესახებ, მას კაცობრივი სახით წარმოიდგენენ. იცავს რა ხორციელ წარმოდგენებს, მათ მიერ განუსწავლელი სულები სულიერ მჭვრეტელობასთან მიჰყავს და როცა ხედავს, ხომ შობილი ცხოველები ადრე არ იყვნენ და შემდეგ დაიბადნენ და რომ დღეს დაბადებული გუშინ არ იყო, ამგვარი გაგება მხოლოდშობილის ჰიპოსტასზეც(დამოუკიდებელ არსზეც) გადააქვს; ამიტომაც ამბობს: „რამდენადაც იშვა, ამდენად შობამდე არ არსებობდა“. ასე ქედმაღლურად ღმრთისმეტყველებს ჩვენ წინაშე მხოლოდშობილის შობის შესახებ და ამგვარი სიტყვებით სურს ჩვენი ძმების უძლურებათა განკურნვა, თუმცა მას უფრო, ვიდრე სხვებს, ჰმართებს მოსმენა იგავისა: **მკურნალო, განიკურნე თავი შენი**(ლუკ.IV,23).

გონების ამ უცნაური სენის შემსუბუქებისათვის, რა უნდა შევთავაზოთ მას, თუ არა სიტყვები, რომელიც სულიწმიდამ იოვანეს მიერ გვაუწყა: **პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი**(ინ.I,1). ამ ორი გამოთქმით მახარებელმა ცრუ სწავლებისათვის გზები გადაკეტა, რადგან შეუძლებელია როგორც პირველზე მაღლა ასვლა, ასევე მეორის საზღვრებიდან გამოსვლა. არ შეიძლება ხომ მოფიქრება იმისა, რაც საწყისზე ადრინდელი იქნება, ისე რომ, საწყისი საწყისი კი აღარ იყოს, არამედ მასზე წინ რაღაც არსებობდეს. აზრით არც **იყო**-ს(ἦν) საზღვრებიდან გასვლა შეიძლება და განჭვრეტა დროისა, როცა ის(საწყისი) არ იყო; რადგან **იყო არ იყო**-ს(οὐκ ἦν) მოაზრების უარყოფაა. საწყისი რომ ერთი იმათგანი იყოს,

რომელნიც სხვებთან შეფარდებით მოიაზრებიან, როგორც მაგალითად, **დასაბამი სიბრძნისა**(ფს.110,10; იგავ.I,7), **დასაბამი გზისა კეთილისა**(იგავ.16,5), ან: **დასაბამად ქმნნა ღმერთმან**(დაბ.I,1), კიდევ შესაძლებელი იქნებოდა წარმოსახვით ამაღლება შობის საზღვრებზე იმისა, ვინც ამგვარი საწყისიდან იქნებოდა წარმომდგარი. მაგრამ რამდენადაც აქ(ინ.I,1) საწყისს აბსოლუტურობისა და დამოუკიდებლობის შინაარსი აქვს, განა სასაცილო არაა ის, ვინც მასზე წინ რაღაცის მოაზრებას ან აზრებით მისი საზღვრებიდან გასვლას ცდილობს? როგორც ეს საწყისია ზღვარდაუდებელი, ასევე უსაზღვრებოდ თანაგავრცობილია ისიც, რაც **იყო** სიტყვით აღინიშნება. რადგან აქ **იყო** დროში არსებობას კი არ წარმოაჩენს, როგორც მაგალითად: **კაცი ვინმე იყო სოფელსა მას შინა ავსიტისასა**(იობ.I,1), და: **იყო კაცი ერთი არმათემს**(Iმეფ.I,1), ან კიდევ: **ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ**(შესქ.I,2). ამ **იყო**-ს მნიშვნელობა თვითონ მახარებელმა გვაჩვენა სხვა წიგნში, როცა თქვა: **რომელი არს და რომელი იყო... ყოვლისა მპყრობელი**(გამც.I,8); რადგან, რასაც აღნიშნავს **არს**(ѿи), იმასვე აღნიშნავს **იყო**(ѣи), ანუ მარადიულსა და ზედროულს. ამიტომ არარსებულის წოდება დასაბამიდანვე არსებულთათვის არც მას ახასიათებს, ვინც დასაბამის(საწყისის) გაგებას იცავს და არც იმას, ვინც მხოლოდშობილის ყოფიერებას საწყისთან აერთიანებს. რადგან, როგორც გონებით საწყისზე ადრე რაიმეს წარმოდგენაა შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია სიტყვა ღმერთის ყოფიერების მისგან გამოყოფა. ამრიგად, რაც არ უნდა ძლიერი სურვილი გქონდეს გონების გულმოდგინე ძიებებით ამაღლებისა, ვერც ამ სიტყვაზე – **იყო** მაღლა ასვლას შეძლებ და ვერც აზრებით მისი საზღვრებიდან გასვლას.

ჩვენც შევეკითხოთ ჩვენი მხირდან მას: დასაბამიდან იყო ღმერთთან სიტყვა ღმერთი, თუ შემდეგ შეუერთდა(προσγένετο)? თუ იყო, მაშინ **დააცხვრე ენაჲ შენი ბოროტისაგან**(ფს.XXXIII,13), ანუ მკრეხელური გამოთქმისაგან **არ იყო.** ხოლო უკეთუ მეორეს აღიარებ, რისი წარმოთქმაც უკვე უსამართლობაა, შენ საწინააღმდეგოდ შენსავე სიტყვებს გამოვიყენებ, რომ ეს გამოთქმა(არ იყო) არა მხოლოდ მკრეხელურია, არამედ უდიდესი სიგიჟეც, რადგან ცხადი სიგიჟეა ხომ, ადამიანებისაგან გამოსწორება მოითხოვო სულიწმიდის სწავლებათა სწორად გასაგებად და აღიარო, რომ სახარების მოწაფე ხარ და ისინი თვით მის(სახარების) წინააღმდეგ აამხედრო?

ნახე ღმრთეებრივი სიტყვები, როგორ ზუსტად და ნათლად ამოწმებენ ძის უწინარეს საუკუნეთა შობას. შემდგომად მათესი, რომელმაც შობის ხორციელი განმარტება მოგვცა, თქვა რა: **წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისა**(მთ.I,1), მარკოზმა თავისი სახარება იოვანეს ქადაგებით დაიწყო: **დასაბამი სახარებისაჲ იესუ ქრისტესი... ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელისა... ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა**(მრკ.I,1-3), ხოლო ლუკა ხორციელ საწყისთა გადმოცემის შემდეგ ღმრთისმეტყველებას შეუდგა, საჭირო გახდა იოვანე მახარებელი, რომელმაც წერა ყველაზე ბოლოს დაიწყო, და გონებით

ისე ამაღლდა, უფრო უკეთ, სულიწმიდის ძალით ყოველგვარ გრძნობადსა და დროზე, რომელიც გრძნობად საგანთა თანამდევია; ისე ამაღლდა, რომ თვით ყოველთა ზედა მყოფს, მიღმურს(αὐτῷ τῷ πάντων ἐπέκεινα) მიაღწია, ისე რომ მასაც შეეძლო თავისთავზე დაემოწმებინა: **დალაცათუ ვიცოდეთ ქრისტე ჴორციელად, არამედ აწ არღარა ვიცით**(2კორ.V,16). მიაღწია რა თვით საწყისს და დატოვა რა ყველა ხორციელი და დროული გაგება თავის ღმრთისმეტყველებაზე დაბლა, უფრო დიდი ხმით, ვიდრე წინა მქადაგებლებმა, შესაფერისად მისი შემეცნების სიმაღლისა, გვაუწყა საიდუმლო: არც მარიამისაგან ჰქონდა დასაბამი, ამბობს, და არც იმ დროიდან; მაგრამ მაშინ? **პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი**(ინ.I,1).

მარადიულობიდან არსებობა, უვნებო შობა, მამის ბუნებასთან ერთობა, სიდიადე ბუნებისა – ყოველივეს ამ რამდენიმე სიტყვაში ათავსებს, ხოლო **იყო**-ს დართვით საწყისამდე აჰყავს, რათა დაუყოს პირი მკრეხელთა, რომელნიც ამბობენ, რომ **არ იყო** და ძველთაგანვე გადაუჭრას ყველა გზა მათ ცრუ მსჯელობებს. შემოხაზა რა თითქოს ღმრთისმეტყველებით მკაფიო გამოსახულება მხოლოდშობილის ბუნებისა, შემდეგ მასზე, ვითარცა უკვე ცნობილზე მიუთითებს სიტყვებით: **ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა**(ინ.I,2), და აქ ისევ ურთავს **იყო**-ს, რათა შობა მხოლოდშობილისა მამის მარადიულობასთან კავშირში წარმოადგინოს, და კიდევ: **ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იყო ნათელ კაცთა**(4) და შემდეგ: **იყო ნათელი ჭეშმარიტი**(9).

ამრიგად, ამდენი დართვით **იყო**-სი, რომელიც მარადიულობას აღნიშნავს, სწორი სწავლება ყოველი მხრიდანაა დაცული, მაგრამ ევნომიოსი ყველა დამოწმებას სულისა წმიდისა უგულებელყოფს და ჩვენთვის მისი ასე მრავალგზისი ღაღადისი, რომ **იყო,** თითქოს არც ესმოდეს, ამბობს: „არ იყო და იშვა; მაშასადამე, შემდეგ მოვიდა“. მაგრამ უკეთუ შობა დასაბამშივე(ἐν ἀρχῇ) არ იყო, როგორც თქვენ ამბობთ, განა ეს ცხადზე ცხადი ბრძოლა არაა წინააღმდეგ სახარებისეული გამოთქმებისა, რომელიც ჩვენ ვირწმუნეთ?

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ, კეთილგონიერთაგან ვინ არ დათანხმდება, რომ ვითარცა თვალი განათებულ ადგილთაგან შორს, სინათლის არარსებობის გამო უცილობლად უმოქმედო გახდება, ასევე გონებაც წარმოსახვებით არარსებულის სფეროში შეჭრილი, ვითარცა რაღაც ჭეშმარიტ ნათელს მოკლებული, აირევა, დაიბნევა და აზროვნების უნარს დაკარგავს? ვითარცა თვალს არ შეუძლია ისარგებლოს მხედველობის უნარით სინათლის გარეშე, ასევე სულიც, რომელიც გვერდს აუვლის მხოლოდშობილის გაგებას, აზროვნებით ვერ ისარგებლებს. რადგან განდგომა ჭეშმარიტებისაგან გონებისათვის მხედველობის უნარის დაკარგვასა და მის დაბრმავებას ნიშნავს.

ამაოა, ბრმა და ჭეშმარიტად არაფრის მცოდნე გონება, რომელსაც ჰგონია, რომ მხოლოდშობილზე უწინარესს ჩასწვდა და იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც იმის მტკიცებას იწყებს, რომ თვალს დაძაბვით მხედველობა უმახვილდება

და სიბნელეშიც ხედავს. მაგრამ ნათქვამია: **ნათლითა შენითა ვიხილოთ ჩვენ ნათელი**(ფს.XXXV,10). ხოლო ვინც ამბობს, რომ მას ჩასწვდა, რაც მანამდე იყო ვიდრე ნათელი შეიქმნებოდა, მსგავსი განცდა აქვს ცხელებით შეპყრობილებისა, რომელნიც ჭკუიდან იშლებიან და ჰგონიათ, რომ იმას ხედავენ, რაც სინამდვილეში მათ წინაშე არ არსებობს. შეუძლებელია მოაზრება იმისა, რაც ძეზე წინ იყო, რადგან რაც თვალისათვის გრძნობადი ნათელია, ის სულისათვის სიტყვა ღმერთია, რომლის შესახებაც ნთქვამია: **იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად**(ინ.I,9). ასე რომ, გაუნათლებელ სულს(ἀφώτιστις ψυχή) მიხვედრის უნარი არ აქვს. როგორ შეიძლება წვდომა იმისა, რაც ნათლის დაბადებამდე იყო? ვფიქრობ, თუ ცოტათი მაინც ზრუნავენ ჭეშარიტებაზე, მსგავსი ხორციელი წარმოსახვანი უნდა დატოვონ, გაგება ღმრთისა ნივთიერი წარმოდგენებით მეტად აღარ უნდა შებილწონ, სულიწმიდისაგან ჩვენთვის გადმოცემულ ღმრთისმეტყველებას უნდა შეუდგნენ და ნაცვლად ამ გამოცანათა მსგავსი საკითხებისა, რომელნიც ასე გადაწყდებიან თუ ისე, მაინც საშიშია, ღმრთის შესაფერისი შობა მოიაზრონ: უვნებო(ἀπαθῆ), დაუნაწილებელი(ἀμερίστον), განუყოფელი(ἀδιαίρετον), გარეშე დროისა(ἄχρονον), ხოლო აიყვანენ რა გონებას ამ ღმრთეებრივ შობამდე, გაიგონ იგი მსგავსად ბრწყინვალებისა, რომელსაც ნათელი ასხივებს. უნდა წარმოიდგინონ **ხატი ღმრთისა უხილავისაჲ**(კოლას.I,15), არა, როგორც ეს მხატვრულ გამოსახულებებში გვხვდება, პირველსახის მსგავსად შემდეგში შექმნილი, არამედ თანაარსებული და თანამყოფი პირველსახისა, ვისგანაც წარმოდგა(ὑποστῆναι), არა ბაძვით აღბეჭდილი, არამედ არსებული, რადგან არსებობს პირველსახე. ასე რომ, ძეში, ვითარცა რაღაც ბეჭედსა შინა, ასახულია(ἐναποσημανθείσης) მთელი ბუნება მამისა. თუ გნებავთ, ამის შედარება შეიძლება ხელოვნებასთან, რომელიც მთლიანად გადადის იმათგან, რომელნიც ასწავლიან, მათზე, რომელნიც სწავლობენ, ისე რომ, ისინი, რომელნიც ასწავლიან, არაფერს კარგავენ, ხოლო, რომელნიც საფუძვლიანად სწავლობენ, სრულყოფილებას იძენენ. მაგრამ ეს შედარება მაინც არაზუსტია დროის მანძილისა გამო. უფრო შესაფერისია სხვა შედარება, სახელდობრ, ბუნება აზრთა(τῶν νοημάτων) გონების მოძრაობასთან განუყრელად და დროის მანძილის გარეშე არსებობს.

დაე, ნურავინ დამდებს ბრალს იმის გამო, რომ მოტანილ მაგალითებში რამე ისეთია, რაც თვითონ საგნებს სრულად არ ემსგავსება. შეუძლებელია ხომ მცირისა და მდაბლის ღმრთეებრივთან და მარადიულთან ზუსტად შედარება. მე მხოლოდ მინდოდა, შეძლებისდაგვარად, მეჩვენებინა თვალთმაქცობა მათი, რომელთაც უვნებო შობის გონებით შეწყნარება არ შეუძლიათ. რა გაგებით იწოდება ძე **ხატად**(კოლას.I,15) და არის ხატი შობილი და ბრწყინვალება მამის დიდებისა(ებრ.1,3)? **სიბრძნე** და **ძალა** და **სიმართლე ღმრთისა**(Iკორინ.I,24,30)? – არა ვითარცა ჩვევა და არცა ვითარცა ნიჭი, არამედ ვითარცა არსი ცოცხალი

და მოქმედი და ბრწყინვალებაჲ ღმრთის დიდებისაჲ. მამას თავის თავში სრულად იმიტომ წარმოაჩენს, რომ მთელი მისი დიდებიდან ბრწყინავს.

თქმა იმისა, რომ დიდებას ღმრთისას არ აქვს ბრწყინვალება, ან იმისა, რომ სიბრძნე ღმრთისა ოდესმე ღმერთთან არ ყოფილა, განა სრული უაზრობა არაა? ევნომიოსი მაინც იტყვის: რომ ყოფილიყო, არ იშვებოდაო. ჩვენ კი ამგვარად ვუპასუხებთ: რადგანაც იშვა, სწორედ ამიტომაც იყო; არ ჰქონდა რა ყოფიერება უშობელისა, მარადიულად არსებობდა და იყო თანამყოფი(συνών) მამისა, ვისგანაც აქვს მიზეზი თავისი ყოფიერებისა. როდის იქნა იგი ყოფიერებასა შინა მოყვანილი მამის მიერ? როდიდან არის მამა? – მამა, იტყვიან, საუკუნითგანაა. – მაშასადამე, ძეც საუკუნითგანვეა(ἐξ ἀϊδίου), მამის უშობელობასთან შობით შეერთებული. ეს რომ ჩვენი სწავლება არაა, ამის დასამტკიცებლად მათ სულიწმიდის გამონათქვამებს წარმოვუდგენთ. ჯერ სახარებიდან მოვიყვანთ: **პირველითგან იყო სიტყუაჲ**(ინ.I,1), მერე ფსალმუნიდან მამის პირით თქმულს: **საშოჲთ მთიებისა წინა გშევ შენ**(ფს.109,3). ორივეს ერთად დავაყენებთ და ვიტყვით, რომ კიდევაც იყო(ἦν) და კიდევაც იშვა(γεγέννηται); **გშევ**(γεγέννηκα) მიზეზია, რომლისგანაც აქვს საწყისი ყოფიერებისა, ხოლო **იყო**(ἦν) მის დროის გარეშე, საუკუნეთა უწინარეს(προαιώνιον) არსებობას აღნიშნავს. ევნომიოსი კი იბრძვის, რომ თავი მოიტყუოს და ჩვენი სწავლების უაზრობამდე მიყვანას ფიქრობს.

ევნომ.: უკეთუ, ამბობს იგი, ძე თავის შობამდე იყო, ე. ი. უშობელი ყოფილა.

ბასილი: მომისმინე გულზვიადო კაცო: ეგ შენი „შობაზე ადრე“ რაღაც სრულიად არარსებული, მხოლოდ გონების აზრთაწყობა ხომ არაა, რომელიც არცერთ საგანს არ ემყარება და მაშინ რა საჭიროა კამათი უგუნურებთან? ეს დაახლოებით იგივეა, რაც ბრძოლა ადამიანთან, რომელსაც ცხელებისაგან აზროვნების უნარი წაერთვა; ხოლო უკეთუ არსებულთაგან რომელიმეს მიემართება, მაშინ, რა თქმა უნდა, მას საუკუნეთა გაგება აქვს. მაგრამ რამდენადაც ყველა საუკუნე მხოლოდშობილის შობის შემდეგ უნდა მოვიაზროთ, რადგან ისინი მისი ქმნილებანი არიან, ამაოა ძებნა ძის ჰიპოსტასზე ადრე რაიმე არსებულისა. კითხვა ამისა, სხვა არაფერია, თუ არა სურვილი მამის შესახებაც იცოდე, არსებობდა იგი მის შედგენამდე, თუ არა. რადგან როგორც აქ ამ კითხვის დასმა და ძებნა იმისა, იყო თუ არა რამე დაუსაბამოჲსა და უშობელის წინ, უგუნურებაა, იქაც ჭეშმარიტად ასეთივე უგუნურებაა კითხვის დასმა დროისა და იმის შესახებ, რა იყო მასზე წინ, ვინც საუკუნითგან მამასთან ისე თანამყოფობს, რომ მასა და მის მშობელს შორის არავითარი შუალედი არ არსებობს. ეს დაახლოებით იგივეა, ვინმემ რომ იკითხოს, იქნება თუ არა რამე შემდგომად უკვდავის აღსასრულისა, ან ძებნა დაიწყოს იმისა, არსებობდა თუ არა რამე დაბადებამდე მარადიულისა.

ევნომიოსი და მისი თანამოაზრენი კი, ეყრდნობიან რა იმას, რომ დაუსაბამობა მამისა მარადიულად იწოდება, დაუსაბამობას მარადიულობის იგი-

ვეობრივად აცხადებენ; ამიტომ, რამდენადაც ძე უშობელი არაა, ამდენად არც მის მარადიულობას აღიარებენ. მაგრამ მათი გაგება(უშობელობისა და მარადისობისა) ხომ ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. უშობელად იწოდება ის, ვისაც არც რაიმე საწყისი აქვს და არც მიზეზი ყოფიერებისა, ხოლო მარადისობად ის, რაც ყოფიერებით ყველა დროსა და საუკუნეზე უწინარესია. ამიტომ, თუმცა ძე უშობელი არაა, მაგრამ მარადიულია. ზოგიერთები საუკუნეებსაც მარადიულს უწოდებენ, თითქოს ისინი, რადგან მუდამ არსებობენ, ამ სახელის ღირსნი იყვნენ, ჩვენ კი ერთნაირ სიგიჟედ ვთვლით როგორ მტკიცებას ქმნილებათა მარადიულობისა, ასევე მარადიულობის არაღიარებას ქმნილებათა უფლისა.

შემდეგ ევნომიოსი თავის სიტყვაში კიდევ უფრო ურცხვი ხდება და რას ამბობს?

ევნომ.: ვიცავთ რა ძველთაგანვე წმინდანებისაგან, ხოლო ახლა ჩვენ მიერ დამტკიცებულს, რომ არც ღმრთის არსი უშვებს შობას და არც სხვა რაიმეს არსს შეუძლია იყოს საფუძველი ძის შობისა, ვამბობთ: ძე, რომელიც ადრე არ იყო, იშვა.

ბასილი: ასე დიდებას, შესაფერისს ღმრთისმოსაობისა, ვინ ეძიებდა? ვინ ცდილობდა ასე ქრისტეს მოყვარის სახის მიღებით შემკობას თავისა, როგორც ესენი ქედმაღლობენ თავხედური და უსინდისო სიტყვებით, რომელნიც მხოლოდშობილის დიდების განადგურებისაკენ არიან მიმართულნი? აღარ შეწყვეტ, შენ უღმერთო, არარსებული უწოდო ჭეშმარიტად არსებულს, წყაროს სიცოცხლისა, მიმნიჭებელს ყოველი არსებისათვის ყოფიერებისა? მას, ვინც მისი მსახური მოსესთვის გაცემულ პასუხში თავისი ჭეშმარიტი და საკუთარი მარადიულობის შესაფერისი სახელი გამოამჟღავნა და თავის თავს **არსებული** უწოდა? **მე ვარ,** – უთხრა, – **რომელი ვარ**(გამს.III,14). და ვერც ვერავინ უარყოფს, რომ ეს სიტყვები უფლის პირითაა წარმოთქმული, თუკი მის გულს მოსეს კითხვისას იუდეური **საბურველი** არ აქვს გადაფარებული(2კორ.3,15); რამეთუ წერია; **ეჩუენა** მოსეს **ანგელოზი უფლისა ცეცხლითა ალისათა მაყლოვანით გამო**(გამს.III,2). ამ თხრობაში წმიდა წერილი წინ ჯერ ანგელოზის სახელს აყენებს და შემდეგ შემოყავს ხმა ღმრთისა: **და თქუა** მოსეს: **მე ვარ ღმერთი მამისა შენისა... აბრაჰამისი**(6), და ცოტა შემდეგ: **მე ვარ, რომელი ვარ**(14)... ვინ არის ეს ერთდროულად ანგელოზიცა და ღმერთიც? ვინ თუ არა ის, ვის შესახებაც ვისწავლეთ, რომ **ჰრქუან სახელი მისი – დიდისა განზრახვისა ანგელოზი**(ეს.IX,6)? ვფიქრობ, მეტი მტკიცებულების მოყვანა საჭირო აღარაა, რადგან ქრისტეს მოყვარულთათვის, რაც ითქვა, ისიც საკმარისია, ხოლო განუკურნველთათვის სარგებლობა არც სიტყვათა სიმრავლეს ექნება. რა თქმა უნდა, დიდისა განზრახვისა ანგელოზი უფალი შემდეგ გახდა, მაგრამ ანგელოზის წოდებას მისი ღირსებისათვის შეუფერებლად არც მანამდე თვლიდა. არა მხოლოდ ამ ადგილას ვხვდებით, რომ უფალს ჩვენსას წმიდა წერილი ან-

გელოზსა და ღმერთს უწოდებს. იაკობიც, უყვება რა ცოლს თავისი ჩვენების შესახებ, ეუბნება: **და მრქუა მე ანგელოზმან უფლისამან**(შესქ.XXXI,11); ცოტა შემდეგ კი, იგივე ანგელოზი ეუბნება: **მე ვარ ღმერთი შენი, რომელი გეჩუენე შენ ადგილსა... სადა-იგი სცხე ძეგლსა ჩემსა**(13), ხოლო სვეტთან იაკობისთვის იყო ნათქვამი: **მე ვარ უფალი ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისაჲ, და ღმერთი ისაკისი**(შესქ.XXVIII,13). ამრიგად, იგივე, ვინც იქ ანგელოზად იწოდება, აქ ამბობს, რომ იაკობს თვითონ ეჩვენა. ყოველივე ამისაგან ცხადია, რომ, სადაც ერთი და იგივე ანგელოზადაც იწოდება და ღმერთადაც, იქ მითითებაა მხოლოდშობილზე, რომელიც თავის თავს წინაშე კაცთა ყველა თაობასა შინა წარმოაჩენს და თავის წმინდანებს ნებას მამისას უცხადებს. ამიტომაც ისიც, ვინც გამოეცხადა რა მოსეს, თავის თავს არსებული უწოდა, არა სხვად, არამედ სიტყვა ღმერთად უნდა მოვიაზროთ, რომელიც დასაბამიდანვე ღმრთისა თანა იყო(ინ.I,1).

მაგრამ ისინი, რომელნიც **სიცრუესა მაღლად ზრახვიდეს**(ფს.72,8), არ შეშინებულან არარსებული(μὴ ὄντα) ეწოდებინათ ძისათვის. **თქუა უგუნურმან გულსა შინა თჳსსა: არა არს ღმერთი**(ფს.XVIII,1). მათ კი, რომელთაც ღმრთისათვის არარსებულის წოდება გაბედეს, ეს არა მხოლოდ იფიქრეს, არამედ **იტყოდეს** კიდევაც **უკეთურებით**(ფს.72,8) და ისე, რომ არც დაეჭვებულან, შემდგომ დროს წერილობითაც გადასცეს. მაგრამ ხედავენ რა, რომ ღმრთის არსებობას თვითონ ეშმაკნიც არ უარყოფენ(იაკობ.II,19), თავიანთი უსჯულო სურვილის აღსასრულებლად, აზრით უკან, წინა დროში ბრუნდებიან და მკრეხელობენ, რომ ძე არც ოდესმე იყო და თითქოსდა არც თავისი ბუნებით არსებულა, არამედ ყოფიერებასა შინა ღმრთის მადლით(χάριτι) იქნა მოყვანილი.

ჩვეულებრივ, ტერმინი **არარსებული** კერპთა მიმართ გამოიყენება. მაგალითად, პავლე მოციქული გალატელებს მიმართავს: **ჰმონებდით მათ, რომელნი-იგი არა იყვნეს ბუნებით ღმერთ**(გალატ.IV,8); და იერემიაც: **ფუცვიდეს არამყოფთა მიმართ ღმერთთა**(იერ.5,7); და ყოვლად ბრძენი ესთერიც ამბობს: **ნუ მისცემ, უფალო, სამკჳდრებელსა შენსა, რომელნი-იგი არა არიან ღმერთ**(ესთ.14,11). მაშინ, როცა ევნომიოსი და მისი მიმდევრები ამ გამოთქმას(არარსებული) ჭეშმარიტი ღმერთის მიმართ იყენებენ, კიდევ როგორღა შეუძლიათ, სამართლიანად მიითვისონ სახელი ქრისტიანთა?

სხვაგან იგივე მოციქული, მეტყველებს რა სულიწმიდისა მიერ, წარმართებს, რამდენადაც ისინი ღმრთის ცოდნას არიან მოკლებულნი, არარსებულებს უწოდებს: **გამოირჩინა ღმერთმან არა-არსნი იგი**(Iკორ.I,28). რამდენადაც ღმერთი არის მყოფი(ὤν), ჭეშმარიტება და სიცოცხლე, ისინი, რომელნიც რწმენით არ არიან შეერთებულნი ყოფიერების მქონე ღმერთთან და კერპებთან მიმართებაში თავიანთი ცდომილებისა გამო არარსებობით სიცრუეს ენათესავებიან, ვფიქრობ, ჭეშმარიტებას მოკლებულნი და სიცოცხლისაგან გაუცხოებულნი, არარსებულებად(μὴ ὄντες) სამართლიანად იწოდებიან. მათ საპირისპიროდ,

იგივე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ეფესელებს ვითარცა მყოფთან ცოდნის მიერ წმინდა გულით შეერთებულთ, არსებულებს საკუთრივი მნიშვნელობით უწოდებს, როცა მიმართავს: **წმიდათა მაგათ, რომელნი ხართ და სარწმუნოთა ქრისტე იესუჲს მიერ**(ეფ.I,1). ამ ადგილს ჩვენზე ადრეც ასე გადმოსცემდნენ და ჩვენც ამ სახით შეგვხვდა ძველ ასლებში.[13]

როგორც ვხედავთ, ამ სახელის მოზიარენი ქრისტეს მონანიც კი არიან, ევნომიოსმა კი, ღმერთი ჩვენი არ სცნო ღირსად ამ სახელის მინიჭებისა და არარსებული უწოდა მას, ვინც ქმნილება არაფრიდან ყოფიერებასა შინა მოიყვანა. მის მიერ ძის უგულებელყოფას კიდევ უფრო მეტად შევიცნობთ იმ გამოთქმებიდან, რომლებშიც თვალთმაქცობს, თითქოს უფლისთვის პატივის მიგება უნდოდეს.

ევნომ.: ჩვენ მხოლოდშობილის არსს იმათ არსთან, რომელნიც უმყოფობიდან ყოფიერებაში მოვიდნენ, არ ვაერთიანებთ, რადგან არარსებული(μὴ ὄν) არსი არ არის; არამედ მას იმდენ უპირატესობას ვაძლევთ, რამდენიც შემოქმედს ქმნილებებთან შედარებით უცილობლად უნდა ჰქონდეს.

ბასილი: მიიყვანა რა სხვადასხვაგვარი მზადებით თავისი სიტყვა აქამდე, ევნომიოსი კეთილგანწყობილი ხდება, ოღონდ მხოლოდ სიტყვებით და ამბობს: „ჩვენ მხოლოდშობილის არსს იმათ არსთან, რომელნიც უმყოფობიდან ყოფიერებაში მოვიდნენ, არ ვაერთიანებთ“. მაგრამ უკეთუ ყოველთა ღმერთი, თავისი უშობელობით უცილობლად განსხვავდება შობილთაგან, ხოლო ყველა შობილ არსებას საერთო ის აქვს, რომ მათი არსებობა(ὑπόστασιν) არარსებულთაგანაა, ისინი ხომ ერთმანეთთან უცილობლად ბუნებითაც იქნებიან დაკავშირებულნი? რადგან როგორც იქ ბუნებებს მიუწვდომელობა განასხვავებს, ასევე აქ ერთობა მდგომარეობისა მათ ისე აახლოებს, რომ ერთმანეთის იგივეობრივნი არიან. ევნომიოსიცა და მისი მიმდევრებიც ამტკიცებენ რა, რომ ძეცა და მისი ქმნილებანიც ყოფიერებაში უმყოფობიდან იქნენ მოყვანილნი და ამიტომაც ბუნების მიხედვით ერთნი არიან, ამბობენ, თითქოს ძეს იმავე არსს, რომელიც უმყოფობიდან მოსულებს აქვს, არ ანიჭებენ. ისევ იგივე! ევნომიოსი ისე წარმართავს თავის სიტყვას, თითქოს უფალი თვითონ იყოს და უფლება ჰქონდეს, რომ მხოლოდშობილს იმდენი ღირსება მიანიჭოს, რამდენსაც მოისურვებს. ამბობს ხომ კიდეც: „ვაძლევთ მას იმდენ უპირატესობას, რამდენიც უნდა ჰქონდეს შემოქმედს, რათა საკუთარ ქმნილებებს აღემატებოდეს“. არ ამბობს: **ჩავწვდეთ** ან **განვადიდოთ,** არამედ **ვაძლევთ,** თითქოს თვითონ იყოს განმგებელი იმისა, ვის რა ზომით მიეცეს. რამდენ უპირატესობას აძლევს მხოლოდშობილს? „რამდენიც, – ამბობს, – უნდა ჰქონდეს შემოქმედს, რათა

[13] აქ ბასილი დიდი მოკლედ განმარტავს, ციტატის მოყვანისას რატომ გამოტოვა სიტყვები *ეფესოს შინა.* ამ დროს იგი, როგორც თვითონვე ბრძანებს, ეყრდნობა როგორც ძველების ტრადიციას, ისე მის მიერ ნანახ ზოგიერთ ხელნაწერსაც, რომლებშიც, სხვა რედაქციებისაგან განსხვავებით, ეს სიტყვები არ იკითხებოდა. გიორგი მთაწმინდელის თარგმანში ეს სიტყვები შენარჩუნებულია და მუხლს ასეთ სახე აქვს: „წმიდათა მაგათ, რომელნი ხართ ეფესოს შინა“(მთგ.).

საკუთარ ქმნილებებს აღემატებოდეს“. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მტკიცებულება არსის მიხედვით განსხვავებისათვის; რადგან თუმცა თავიანთი ხელოვნებით საკუთარ ქმნილებებს ადამიანებიც აღემატებიან, მაგრამ არსი მაინც ერთი აქვთ; როგორც, მაგალითად, მექოთნესა და თიხას, ხომალდის ამგებსა და ხეებს, რადგან ერთსაც და მეორესაც მსგავსი (ὁμοίως) სხეულები აქვთ, მსგავსად გრძნობადი და შემცველი მიწისა.

დაუთმო რა ძეს ქმნილებასთან ამგვარი სხვაობა, ევნომიოსი უკვე თვითონ გაგებას(ἔννοιαν) მხოლოდშობილისა ამახინჯებს.

ევნომ.: ამიტომ, – ამბობს იგი, – მხოლოდშობილი როგორც ერთი და ერთი უშობელის ძალით შობილი და ქმნილი, უსრულყოფილესი მსახური გახდა.

ბასილი: არ ვიცი ამ ნათქვამიდან რამ უფრო მეტად უნდა აღმაშფოთოს: უწინარესად იმ ეშმაკობამ ხომ არა, რომლითაც მან მხოლოდშობილის სახელი ბოროტად განმარტა, გაიგო რა მისი შინაარსი საწინააღმდეგოდ, როგორც ადამიანთა შორის ჩვეულებრივი მეტყველებისა, ისე წმიდა წერილის ღმრთისმოსავური გადმოცემისა, რადგან საერთო გამოყენებით, მხოლოდშობილად იწოდება არა ის, ვინც ერთისაგან იშვა, არამედ ის, ვინც ერთი(მხოლო) იშვა; თუ მკრეხელობამ სიტყვა **ქმნილთან**(κτισθεὶς) დაკავშირებით, რომელიც მან **შობილს**(γεννηθεὶς) განზრახ დაურთო, რათა ეჩვენებინა, რომ წოდება შობილისა მას სხვა ქმნილებებთან ერთად ეკუთვნის და მათგან არაფრით გამოარჩევს; ამიტომ რა აზრითაცაა ნათქვამი: **ძენი ვშვენ და აღვამაღლენ**(ეს.I,2); ან: **ძე ჩემი პირმშო არს ისრაელი**(გამს.IV,22), იმავე აზრით იწოდება უფალიც ძედ და არა აქვს რა სხვა სახელი **უზეშთაესი უფროჲს ყოველთა სახელთაჲსა**(ფილიპ. II,9), სხვებთან ერთად ისიც ამ სახელის ღირსი გახდა. ევნომიოსის თანამოაზრენი სოლომონის გამონათქვამისკენ გარბიან და, ვითარცა რაღაც ამოსავალი პოზიციიდან, რწმენას თავს იქიდან ესხმიან. რადგან იქ სიბრძნის პირითაა ნათქვამი: **უფალმან შემქმნა მე**(იგავ.VIII,22),[14] ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ, უფალს ქმნილება(κτίσμα) უწოდონ. ამ გამონათქვამთან დაკავშირებით, მე ბევრი რამ მექნებოდა სათქმელი: ჯერ ერთი, რომ მთელს წმიდა წერილში იგი მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული; შემდეგ: იგი იმ წიგნში გვხვდება, რომელიც მრავალ დაფარულ აზრს შეიცავს და თხრობა დიდწილად იგავებით, შედარებებით, ძნელად გასაგები და საიდუმლოებით მოცული სიტყვებით მიმდინარეობს და ამდენად მისგან რაიმე უცილობელისა და ბოლომდე ნათელის ამოღება შეუძლებელია. მაგრამ ამის შესახებ საუბარს შევწყვეტ, რათა ვრცელი ჩანართებით სიტყვა არ გამიგრძელდეს; მით უმეტეს, რომ განზრახული მაქვს, სხვაგან, თავის ადგილზე, წარმოვადგინო გამოკვლევა მათ მიერ ცუდად გაგებული გამონათქვამებისა, სადაც ეს ნაწილიც, უკეთუ ღმერთი ინებებს, იქნება გასწორებული. ვფიქრობ, ამ გამოკვლევით, დაე, ეს ღმრთით იყოს ნათქვამი, ბევრად უფრო შესაფერისი და თანაც არავითარი საფრთხის შემცველი აზრი

[14] ქართულ თარგმანშია: *უფალმან დამამტკიცა მე.*

გაცხადდება ზემოთ მოყვანილი გამონათქვამისა. მანამდე შენიშვნის გარეშე არც იმას დავტოვებთ, რომ სხვა მთარგმნელებმა[15], რომელნიც უფრო ზუსტად ჩასწვდნენ ებრაულ სიტყვათა მნიშვნელობას, ნაცვლად **შექმნა-**სი(ἔκτισεν) **მომიგო მე**(ἐκτήσατο μέ) გადმოსცეს. ეს უდიდესი დაბრკოლება იქნება მათთვის, რომელნიც მკრეხელური გამოთქმის – **ქმნილება**(κτίσμα) დაცვას ცდილობენ. რადგან მან, ვინც თქვა: **მოვიგეთ**(ἐκτησάμην) **კაცი ღმრთისა მიერ**(შესქ.IV,1), ეს სიტყვა – **მოვიგეთ** იმიტომ კი არ გამოიყენა, რომ კაენი შექმნა, არამედ იმიტომ, რომ **შვა.**

მაგრამ ისევ იმას მივუბრუნდეთ, საიდანაც დავიწყეთ.

ევნომ.: ამიტომ, – ამბობს იგი, – მხოლოდშობილი, ერთის მიერ შობილი და შექმნილი, უსრულყოფილესი მსახური გახდა.

ბასილი: უკეთუ იგი მხოლოდშობილად იმიტომ კი არ იწოდება, რომ **ერთი**(მხოლო) იშვა, არამედ იმიტომ, რომ **ერთისაგან** იშვა და უკეთუ, შენი აზრით, შექმნილი და შობილი ერთი და იგივეა, მაშინ რატომ არ უწოდებ მას მხოლოდქმნილს(μονόκτιστον) შენ, რომელიც ყოველივეს ასე ადვილად მოიფიქრებ ხოლმე და გამოთქვამ?

როგორც ჩანს, თქვენი სწავლების მიხედვით, კაცთაგან მხოლოდშობილი არავინაა, რადგან ყოველი მათგანი ცოლ-ქმრული კავშირისაგანაა ნაშობი. არც სარა ყოფილა დედა მხოლოდშობილი ყრმისა, რადგან მარტო მან კი არ შვა, არამედ აბრაამთან ერთად. თუკი თქვენი შეხედულებანი ძალას მოიკრებს, მთელი კაცობრიობის ხელახლა განსწავლა გახდება აუცილებელი, რათა იცოდეს, რომ ეს სახელი – მხოლოდშობილი – მარტოობას იმ გაგებით კი არ აღნიშნავს, რომ მას ძმები არ ჰყავს, არამედ იმ გაგებით, რომ იმათგან, რომელთაც იგი ერთად შვეს, ერთი აკლია. ამავე მიზეზის გამო, ქმნილება ღირსების მიხედვით ღმრთის სიტყვასთან შედარებით დამდაბლდება, რადგანაც მან ვერ მოასწრო, ვითარცა იგი, თვითონაც მხოლოდშობილი ყოფილიყო, რამდენადაც შესაქმეში მამასთან ერთად ძეც მოქმედებდა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ძეს უსრულყოფილეს მსახურს უწოდებენ, შესაქმეში არც მის მონაწილეობას უშვებენ. სინამდვილეში ხომ, თქვენი სწავლებით, ქმნილებამ ერთისაგან მიიღო ყოფიერება, როცა თქვენ სიტყვა ღმერთს მამასთან, ვითარცა რაღაც უსულო იარაღს, ისე აყენებთ? სხვაგვარად: ვინ იტყვის, რომ არც ხომალდის ამგებელი იყო ერთი, რადგან მისი აგებისას იარაღებით სარგებლობდა. ამგვარადვე ერთგვარი იქნება ქმნილებაც და მისი ნაწილებიც, ანუ არა მხოლოდ უხილავი ძალები, არამედ გრძნობადი სხეულებიც, მათ შორის ყველაზე უმნიშვნელოებისაც კი, როგორიცაა მაგალითად, ხის მახრები(ჭიები), კალიები და ბაყაყები. **რამეთუ მან თქუა და იქმნეს**(ფს.148,5). რა სამსახურის გაწევას საჭიროებს ის, ვინც მხოლოდ ნებით(θελήματι) ქმნის, ისე რომ განზრახვა(βούλησις) და შექმნა ქმნილებისა თანადროულია? მაგრამ ჩვენი სწავლებითაც ყოველივე ძისაგანაა;

[15] იგულისხმებიან აკვილა, სვიმაქოსი და თევდოტიონი.

და ეს როგორ? ისე, რომ ღმრთეებრივი ნება(βούλημα), ვითარცა წყაროდან, პირველი მიზეზიდან გამოდის და საკუთარი ხატის – სიტყვა ღმერთის მიერ მოქმედებისაკენ ისწრაფვის. ევნომიოსმა კი მხოლოდშობილ ძეს მსახური უწოდა, თითქოს მისთვის დიდი ღირსება იყოს ის, რომ ბრძანებათა მსახურებას თავს კარგად ართმევდეს.

თუკი მისი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იყოს სრული ღმერთი, არამედ იმაში, რომ გულმოდგინე მსახური იყოს, მაშინ რითი განსხვავდება მომსახურე სულთაგან, რომელნიც მსახურების საქმეს უნაკლოდ აღასრულებენ? იმიტომაც დაამატა ევნომიოსმა **შობილს ქმნილი,** რათა ამით ეჩვენებინა, რომ ძესა და ქმნილებას შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს.

მაგრამ ღირს მოსმენა მისი რჩევებისა.

ევნომ.: ვისმენთ რა სახელებს მამისა და ძისა, – ამბობს, – არაა საჭირო შობა ძისა კაცობრივად წარმოვიდგინოთ და კაცთა შობის მიხედვით ღმერთს თანაზიარობისა და ვნებათა აღმნიშვნელი სახელები მივანიჭოთ.

ბასილი: მისი რჩევა ისაა, რომ არსის მიხედვით ძისა და მამის მსგავსება(ὁμοιότης) არ წარმოვიდგინოთ. ამაზე მიანიშნებს მის მიერ უარყოფა თანაზიარობისა(μετουσία), თითქოსდა მამის და ძის არსი თანაზიარი არ იყოს. სახელთა ეს მკაცრი გამოყოფა, რომელთაგან ჩვენ ბევრს გვერდი ავუარეთ, რამდენადაც ყველა, რომელნიც ერთნაირად წარმოითქმებიან და შინაარსობრივადაც იგივეობრივნი არიან, არ გამოადგებათ, იმისთვისაა, რომ ღმერთს, რადგანაც მამებს დედამიწაზეც ვუწოდებთ, მამობა ძისა წაართვან. მე კი ვფიქრობ, რომ თუმცა ისინი, რომელნიც ქრისტიანობას ელინური ცდომილებისა(πλάνης) და იუდეური უვიცობისაგან(ἀγνωίας) განაცალკევებენ, მრავალნი არიან, მაგრამ სახარებაში ჩვენისა ხსნისა უფრო მნიშვნელოვანი(κυριώτερον) დოგმატი, ვიდრე მამისა და ძის რწმენაა, არ არსებობს; რადგან იმაში, რომ ღმერთი შემოქმედი და დამბადებელია, ისინიც გვეთანხმებიან, რომელნიც ჩვენგან ამა თუ იმ ცდომილებით არიან გამოყოფილნი.

მაგრამ მას, ვინც აცხადებს, რომ მამა ცრუ სახელია, ხოლო ძე არა უმეტესი შიშველი სახელწოდებისა, და ვინც ფიქრობს, რომ არ არსებობს სხვაობა – **მამას** აღიარებ თუ **შემოქმედს, ძეს** იტყვი თუ ქმნილებას, ჩვენთან ადგილი სად მიეცემა? ან რომელ ნაწილში შეირაცხება – იუდეველებისა თუ წარმართებისა? რა თქმა უნდა, ღმრთისმოსაობის ძალისა და განსაკუთრებული მსახურების უარმყოფელი, თავის თავს ქრისტიანებს არც თვითონ მიაკუთვნებს, რადგან ჩვენ არა შემოქმედისა და ქმნილებისა ვირწმუნეთ, არამედ რწმენა მამისა და ძისა ნათლობის მადლით აღვიბეჭდეთ. ამიტომ ვინც კადნიერდება და ამ სახელებს(მამა და ძე) უარყოფს, იგი მთლიანად ანადგურებს ძალას სახარებისა, ქადაგებს რა მამას, რომელსაც არ უშვია, და ძეს, რომელიც არ შობილა.

მაგრამ მე ასე ვიქცევი, ამბობს იგი, რათა შემოქმედს ავაცდინო გაგება ვნებისა, რომელიც მას ამ სახელისაგან – **მამა** – ეძლევა. – და მაინც: ვინც

ღმრთისმოსაობის შედგომა გადაწყვიტა, მას ამ სიტყვებისათვის შეუფერებელი აზრი, თუ ის მართლაც იყო მათში, უნდა ჩამოეშორებინა და არა საერთოდ მთელი სიტყვა უარეყო, და შეუფერებლობის საბაბით ისიც არ უნდა დაეთმო, რაც მასში სასარგებლოა. პირიქით, ღმრთის შესახებ სწავლებათა შინა, მდაბალი და ხორციელი წარმოდგენებიდან განწმენდილებმა, შობა ღმრთის სიწმინდისა და უვნებობის შესაფერისად უნდა გავიგოთ და სახეზე(τρόπου) ღმრთისაგან შობისა, ვითარცა გამოუთქმელსა და გონებისათვის მიუწვდომელზე, ყურადღება არ უნდა შევაჩეროთ და სახელით **შობა**(γεννᾶν) არსის მიხედვით მსგავსების(ὁμοιότητα) გაგებისაკენ უნდა წარვმართოთ.

ამასთან, დაკვირვებული ადამიანისათვის ნათელია, რომ ეს სახელები, მამასა და ძეზე ვამბობ, საკუთრივი და პირველადი მნიშვნელობით სხეულებრივ ვნებათა გაგებას კი არ იძლევიან, არამედ თავისთავად აღებულნი, მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულებას აჩვენებენ, რადგან მამაა ის, ვინც სხვას მიანიჭა საწყისი ყოფიერებისა, ბუნებით საკუთარი ყოფიერების მსგავსი, ხოლო ძე – რომელმაც საწყისი ყოფიერებისა იმით მიიღო, რომ სხვისგან იშვა.

ამიტომ, როცა გვესმის, რომ ადამიანია მამა, ვნების გაგებაც შემოდის ჩვენში, ხოლო, როცა ვისმენთ, რომ ღმერთია მამა, აზრებით უვნებო მიზეზისაკენ მივისწრაფვით. ევნომიოსი კი, მიეჩვია რა იმას, რომ ეს სახელი ვნებიან ბუნებასაც ეწოდება, მისი გონებისათვის მიუწვდომელს, ვითარცა შეუძლებელს, უარყოფს. ხრწნად არსებათა ვნებიან მდგომარეობაზე ყურადღების მიქცევით რწმენა ღმრთის უვნებობისა არ უნდა დაიკარგოს და არც წარმავალი და ათასგვარ ცვალებადობას დამორჩილებული ბუნება უნდა იქნას შედარებული უცვალებელსა(ἀτρεπτου) და ყოველგვარი გარდაქცევისათვის(ἀναλλοίωτου) უცხო არსთან. რადგანაც ცოცხალი არსებანი ვნების შედეგად იბადებიან, საჭირო არაა ღმრთის შესახებაც იგივე ვიფიქროთ; პირიქით, ამან ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა უფრო უნდა დაგვანახოს, რათა დავასკვნათ, რომ უკეთუ ხრწნადნი ასე შობენ, უხრწნელის მიერ შობა მისი საპირისპირო იქნება.

ევნომიოსს კი იმის თქმაც არ შეუძლია, რომ ამ სახელებს, ძირითადად და პირველად კაცთათვის შექმნილებს, ღმერთს არასწორი მნიშვნელობით ვუწოდებთ. უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ავყავართ რა ყოველივეს საწყისსა და არსებულთა ჭეშმარიტ მიზეზთან, გვეუბნება: **მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთ არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა**(მთ.XXIII,9). რატომ მოითხოვს ევნომიოსი, რომ ჩვენ, ვითარცა უპირატესად ხორციელ ვნებებზე მიმთითებლებმა, უარვყოთ ის გამოთქმანი, რომელნიც უფალმა, შესაფერისად ღმრთის უვნებობისა, კაცთაგან მასზე გადაიტანა? ხოლო ის, რომ ღმერთი ქმნილებათა მამად იწოდება, ეს ჩვენს სწავლებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება. **დამბადებელს ცვარის წვეთისა,** როგორც ამბობს იობი(XXXII,28), წვეთიცა და ძეც ერთი სახით არ უშვია. თუ იმის თქმასაც იკადრებენ, რომ წვეთის არსიც თანაბრად იწოდება ძედ, მაშინ მათ მიმართ ყოველგვარი სიტყვის

მიგებისაგან განგვათავისუფლონ, ვითარცა ადამიანებმა, რომელთაც მკრეხელობა ცხადზე უცხადეს ურცხვობამდე მიიყვანეს; რადგან, როცა ღმერთი ყოველთა ჩვენთა მამად იწოდება, ჩვენიც და მხოლოდშობილის მამაც ერთი და იმავე სახით არ არის. უკეთუ ის, რომ უფალი **პირმშოდ**(πρωτότοκος) ყოველთა დაბადებულთა(კოლას.I,15) და **პირმშოდ მრავალთა შორის ძმათა**(რომ.VIII,29) იწოდება, – მათ უსჯულოებისათვის განსწავლის, მაშინ სახარებიდან, დაე, ისიც ისწავლონ, რომ უფალი დედასა და ძმებს იმათ უწოდებს, რომელნიც მისიანები სათნოების საქმეთა გამო გახდნენ, რადგან ამბობს: **ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი?... რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა**(მთ. XIII,49-50).

ასე რომ, ღმერთი ჩვენს მამად არც არასწორი და არც გადატანითი, არამედ საკუთრივი, პირველადი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით იწოდება, რადგან ხორციელ მშობელთა მიერ უმყოფობიდან ყოფიერებასა შინა მოგვიყვანა და მზრუნველობით დაგვინათესავა. თუკი იმას ვამბობთ, რომ ღმერთი ჩვენს მამად, რადგან მადლით მისთვის მიშვილების(υἱοθεσίας) ღირსნი გავხდით, სამართლიანად იწოდება, რატომ ვართმევთ უფლებას – შესაბამისად იწოდებოდეს მამად ბუნების მიხედვით ძისა, რომელიც მისი არსიდან წარმოიშვა?

ევნომ.: სახელების – მამისა და ძის გამო უფლის კაცობრივი შობა არ უნდა წარმოვიდგინოთ.

ბასილი: მეც იმავეს ვამბობ. რა უშლის ხელს ღმრთისმოსავებს, რომ ღმრთეებრივი და უვნებო შობა წარმოიდგინონ? მაგრამ, ვფიქრობ, ევნომიოსი ამ გამოთქმებს არა იმის დასამტკიცებლად იყენებს, რომ ღმერთმა უვნებოდ შვა, არამედ იმისთვის, რომ საერთოდ არ უშვია. მაშინ, უალმატებულესო, ამის წინ როგორ ამტკიცებდი, რომ მხოლოდშობილის არსი შობაა? თუკი არ შობილა, შენი სწავლების მიხედვით, ნაშობი საიდან გახდა? მაგრამ მაშინ შობილისა და უშობელის დაპირისპირებით მთელი ძალით იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ძის არსი შობაა, ახლა კი, დაინახა რა, რომ ამ სიტყვით არსით ერთობა(οἰκείωσιν) აღინიშნება, შობილს შობა წაართვა.

თუკი შობას იგი იმიტომ უარყოფს, რომ მასში ვნება მჟღავნდება, რა უშლის ხელს, იმავე მიზეზით არც ის შეიწყნაროს, რომ დამბადებელია? რადგან ყოველ სხეულებრივ მოქმედებასთან უცილობლადაა შეუღლებული დიდი თუ მცირე შრომა, შესაბამისად მოქმედის ძალისა და შექმნილთა სიდიდის მიხედვით სხვაობისა. მაგრამ თქმა იმისა, რომ ღმრთეებრივი და ნეტარი ბუნება მძიმე ჯაფითაა დაქანცული, არანაკლები უსჯულოებაა, ვიდრე მისი დაქვემდებარება თვით ყველაზე სამარცხვინო ვნებებისადმი. ხოლო უკეთუ უვნებოდ ქმნის, ისიც შეიწყნარეთ, რომ შობაც უვნებოა.

ამრიგად, იმის შესახებ, რომ ღმერთი მამად საკუთრივი და შესაფერისი მნიშვნელობით იწოდება და ვნების გაგება კი არ აქვს, არამედ ერთობის სახელია ღმრთისა, ან მადლის მიხედვით – ადამიანებთან, ან მხოლოდშობილთან

– ბუნების მიხედვით, საკმარისად ითქვა. დავუშვათ, ეს სახელიც ისევე, როგორც ათასობით სხვა, არასაკუთრივია და გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება. მაგრამ თუ მაშინ, როცა ვისმენთ, რომ ღმერთი მრისხანებს, ან ძინავს, ან დაფრინავს, რომელთაც გონება ერთი შეხედვით შეუფერებელ გამოთქმებად იღებს, სულიწმიდის სიტყვებს არც უარვყოფთ და არც სხეულებრივად ვიგებთ, ამ გამოთქმისთვისაც(შობა), რომელიც სულიწმიდის მიერ ასე ხშირადაა გამოყენებული, რატომ არ უნდა გამოვიძიოთ გულმოდგინედ ისეთი გაგება, რომელიც ღმრთისთვის შესაფერისი იქნება? თუ მხოლოდ ეს გაგება უნდა გამოვრიცხოთ წმიდა წერილიდან, ვითარცა საეჭვო იმის გამო, რომ კაცობრივი გაგებითაც გამოიყენება?

ასე განვსაჯოთ: რამდენადაც სიტყვა **შობას,** ჩვეულებრივად აქ ორი მნიშვნელობა აქვს, გამოხატავს როგორც ვნებას იმისას, ვინც შობს, ასევე მის ერთობას(οἰκείωσις) შობილთან, როცა მამა მხოლოდშობილს მიმართავს: **საშოჲთ მთიებისა წინა გშევ შენ**(ფს.109,3) და: **ძე ჩემი ხარი შენ, მე დღეს მიშობიე შენ**(ფს.II,7), რას ვიტყვით, ამ სიტყვების მიხედვით, ორი მნიშვნელობიდან რომელი გამოიხატება – ვნება მშობელთა თუ ერთობა ბუნებისა? მე ვამტკიცებ, რომ ერთობა ბუნებისა და, ვფიქრობ, საწინააღმდეგოს არც ისინი იტყვიან, თუკი მელანქოლიით ცხადად არ არიან შეპყრობილნი. თუ ეს სიტყვები თავად ღმერთს ეკუთვნის, შენ, ვითარცა მისთვის უცხოს, რატომ უგულებელყოფ? და თუ ისინი კაცობრივი ყოფიდან არიან გადმოტანილნი, მისი ჯანსაღი მნიშვნელობა ამოარჩიე და რასაც ცუდს გამოხატავს, იმას განერიდე; რადგან, ვინც მრავალი მნიშვნელობის მქონე გამოთქმისას სიტყვის მიერ მისი სწორი გაგებისაკენ წარემართება, რასაც იგი მდაბალსა და სამარცხვინოს გამოხატავს, რა თქმა უნდა, გვერდს აუვლის.

ნუ მეტყვი მე: რა არის შობა? როგორია იგი? და როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო? იმის გამო, რომ სახე შობისა სრულიად გამოუთქმელი და გონებისათვის მიუწვდომელია, სიმტკიცეს რწმენისა მამისა და ძის მიმართ ნუ დავკარგავთ. რადგან, უკეთუ ყოველივეს ჩვენთვის მისაწვდომობით განვსაზღვრავთ და აზროვნებისათვის მიუწვდომელს არარსებულად მივიჩნევთ, წარწყმდება ჯილდო რწმენისა, წარწყმდება სასოება საზღაურის მიღებისა. როგორ გავხდებით ჩვენ ნეტარებათა ღირსნი, რომელიც ჩვენთვის უხილავის რწმენისთვისაა განმზადებული, უკეთუ მხოლოდ ის ვირწმუნეთ, რაც გონებისთვისაა ნათელი? რისთვის **იქმნეს ამაო** წარმართები **და დაუბნელდა უგულისხმოჲ იგი გული მათი?**(რომ.I,21), ხომ იმისთვის, რომ გონების მიერ მათთვის განცხადებულთა მიმდევარნი არიან და არ სწამთ სულიწმიდის ქადაგებისა? ვის დასტირის ესაია, ვითარცა წარწყმედილებს: **ვაჲ, რომელ ბრძენ არიან თავით თჳსით და წინაშე მათსა ზედმიწევნულებ**(ეს.V,21)? თუ არა იმათ, რომელნიც მათი მსგავსნი არიან?

ამიტომ, სხვათა შორის, დუმილით ავუვლით რა გვერდს ევნომიოსის

მრავალ გამონათქვამს, რომლებშიც მთელი ძალით ესწრაფვის დამტკიცებას იმისა, რომ ძე არ შობილა და ეშმაკობით ცდილობს მიიღოს თანხმობა იმაზე, რომ მხოლოდშობილი ქმნილება და ნაწარმოებია, მის უსჯულოებაში ყველაზე მთავარს მივუბრუნდები, მაგრამ რაც გამოვტოვე, იმის შესახებ მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: წინასწარ გამოხატა რა საქმით და მოამზადა უსჯულოება, მისი დაფარვა სიტყვით მოისურვა და სიტყვის ურცხვობის შესამსუბუქებლად განაცხადა, რომ თითქოს მხოლოდშობილს ქმნილებასთან არ ათანაბრებს, დაივიწყა რა თავისი სწავლება, რომელიც ნათელი და შეუნიღბავი სიტყვებით მანამდე გადმოსცა. ამის გამო იგი კვლავ ყველაზე სამარცხვინოსა და ცხადზე ცხად წინააღმდეგობაში ვარდება. წერს კი ამგვარად:

ევნომ.: მოისმენს რა, რომ ძე ქმნილებაა, დაე, ნურავინ გაღიზიანდება იმით, თითქოს სახელთა ერთობით არსიც საერთო ხდება.

ბასილი: ო, ბრძენთა ბრძენო, უკეთუ სხვაობას სახელთა შორის, უცილობლად მოსდევდა შედეგად სხვაობა არსითაც, გვახსოვს, რომ ცოტა წინ ასე მსჯელობდი, ახლა როგორღაა ის, რომ სახელთა ერთობას თან არ მოსდევს არსის ერთობაც? არადა, ამ სიტყვას, თითქოს არც იშვიათად და არც სხვათა შორის ამბობდი. და ახლაც, თითქოს ნათქვამს იმის თაობაზე, რომ სახელთა ერთობა არსით ერთობას არ ქმნის, კვლავ თავს ესხმი მოწინააღმდეგეებს და დასძენ:

ევნომ.: თუ ჭეშმარიტებაზე ზრუნავენ, მათ სახელთა შორის სხვაობით არსით სხვაობაც უნდა აღიარონ.

ბასილი: ვის შეუძლია უფრო ადვილად ისარგებლოს სიტყვებით? ასე სწრაფად გადავიდეს საპირისპიროზე და ისიც ამტკიცოს, რომ სახელთა სხვაობა უცილობლად არსთა სხვაობაზეც მიუთითებს და ისიც, რომ მათი ერთობა არსის ერთობას არ ქმნის? მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ იმათ მსგავსად ვიქცევით, რომელნიც კაცისმკვლელს ლანძღვა-გინების, ცემა-ტყეპისა და სხვა რომელიმე ამდაგვარი დანაშაულისათვის ასამართლებენ. ამიტომ მის ბოროტ ზრახვათაგან უმთავრესზე გადავიდეთ.

დაინახა რა, რომ თანაბრად ყველა ქრისტიანისათვის, რომელნიც ჭეშმარიტად ამ წოდების ღირსნი არიან, არსებობს პირველადი საერთო გაგება(πρόληψις) იმისა, რომ ძე შობილი ნათელია, უშობელი ნათლისაგან გამობრწყინვებული, თვითსიცოცხლე(αὐτοζωή) და თვითსიკეთე(αὐτοαγαθόν), მამის ცხოველსმყოფელი სიკეთის წყაროსაგან გამოსული, – მოისაზრა, რომ უკეთუ ჩვენს ამ ძირითად გაგებას არ შეარყევდა, გარდა ცრუ მსჯელობებისა აღარაფერი რჩებოდა, რადგანაც ვინც აღიარებს, რომ მამაც ნათელია და ძეც ნათელი, რამდენადაც გაგება ნათლისა ერთი და იგივეა, ის ბუნებრივად არსის ერთობამდეც იქნება აყვანილი. არ არსებობს ხომ, თვითონ ამ სიტყვიდან გამომდინარე – **ნათელი,** არც წარმოთქმისა და არც მნიშვნელობის მიხედვით, სხვაობა ნათელსა და ნათელს შორის. ამიტომ ჩვენთვის ან ნათელის წასართ-

მევად სარწმუნოების სწავლება ცბიერებათა ბადეებში გაახვია და ასწავლის, რომ მათი(მამისა და ძის) არც ერთმანეთთან შედარება შეიძლება და საერთოც სრულიად არაფერი აქვთ, ამტკიცებს რა, რომ რა სხვაობაც უშობელსა და შობილს შორის არსებობს, იგივე სხვაობაა ნათელსა და ნათელს შორისაც, ხოლო თუ ამას თავს დავაღწევთ, იმის აღიარება გვაიძულოს, რომ ღმერთი შედგენილია(σύνθετος). მაგრამ უმჯობესია მისივე სიტყვები მოვისმინოთ:

ევნომ.: ან ნათელი უშობელსა შინა რაღაც სხვაა და არა იგივე, რაც შობილი ნათელი; ან ერთიცა და მეორეც ერთი და იგივეა? რადგან თუ ერთი სხვაა და მეორე – სხვა, მაშინ, ცხადია, რომელიც ერთსაც შეიცავს და მეორესაც, შედგენილი იქნება, მაგრამ შედგენილი უშობელი არაა. ხოლო უკეთუ იგივეობრივნი არიან, რამდენადაც შობილი განსხვავდება უშობელისაგან, უცილობლად იმდენადვე განსხვავდება ნათელი ნათლისაგან, სიცოცხლე სიცოცხლისაგან, ძალა ძალისაგან.

ბასილი: ნახეთ და გულისხმაჰყავთ საშინელება უსჯულოებისა! რამდენადაც განსხვავდებაო, ამბობს, უშობელი შობილისაგან, იმდენად სხვაობსო ნათელი ნათლისაგან, სიცოცხლე სიცოცხლისაგან, ძალა ძალისაგან. ამიტომ თვითონ მას შევეკითხებით: უშობელი შობილისაგან რა ზომით განსხვავდება? იმდენად მცირედ ხომ არა, რომ ოდესმე ერთმანეთთან შეხვედრას, ვითარცა იგივეობრივნი, ისე შეძლებენ? თუ ეს სრულიად შეუძლებელი და კიდევ უფრო შეუძლებელია, ვიდრე ის, რომ ერთი და იგივე ერთდროულად ცოცხლობდეს კიდეც და მკვდარიც იყოს, სიჯანსაღეც ჰქონდეს და სნეულებაც, მღვიძარებდეს და იმავდროულად ძინავდეს კიდეც? ყოველნი ამდაგვარნი ხომ ერთმანეთს ისეთი უკიდურესი წინააღმდეგობრიობით უპირისპირდებიან, რომ სადაც ერთია, იქ მეორე უცილობლად არ იქნება, სრული შეუთავსებლობისა და შეურიგებლობისა გამო.

შობილსა და უშობელს შორის კიდევაც რომ ამგვარი დაპირისპირება არსებობდეს, ვინ უწოდებს მამას ნათელს და ძესაც ნათელს და დაიწყებს მტკიცებას იმისა, რომ ძის ნათელი მამის ნათლისაგან იმდენად განსხვავდება, რამდენადაც შობილი უშობელისაგან. ეს კი(ევნომიოსი) სიტყვით თვალთმაქცობს, რომ შემწყნარებელია, ანუ თითქოს ნათელს ძესაც უწოდებს, მაგრამ სინამდვილეში, მტკიცებულებათა ძალით, საწინააღმდეგო გაგებისაკენ მივყავართ. ნახეთ, რა უპირისპირდება უშობელს, უშობელი თუ შობილი? ცხადია, შობილი, და რა უპირისპირდება ნათელს? სხვა ნათელი თუ ბნელი? რა თქმა უნდა, ბნელი.

ამრიგად, უკეთუ ნათელი ნათლისაგან იმდენად უნდა განსხვავდებოდეს, რამდენადაც შობილი განსხვავდება უშობელისაგან, მისი უსჯულოება, – ნათლის სახელით ნათლის საპირისპიროს შემოყვანა, რითაც იმაზე მიგვითითებს, თითქოს არსი მხოლოდშობილისა ნათლის ბუნების საწინააღმდეგო იყოს, – ხომ ყველასათვის ცხადი ხდება? ან გვაჩვენოს ჩვენ ნათელი საწინააღმდეგო ნათლისა, რომელიც იმ ზომით იქნება დაპირისპირებული მასთან, რა ზომითაც

შობილი უშობელთან; ხოლო თუ ასეთი ნათელი არ არის და მისი მოაზრება არც მას შეუძლია, დაე, არ დარჩეს გამოუცნობი მისი ეშმაკობა, რომლითაც დიდი ხანია მკრეხელობას ამზადებს. ფიქრობს რა, რომ უშობელი შობილს პირდაპირ უპირისპირდება, ამას ნათელსა და ნათელს შორის დაპირისპირებისათვის იყენებს, რათა მამის არსი ყოველმხრივ მხოლოდშობილის არსის მოწინააღმდეგედ და მბრძოლად წარმოადგინოს. აი, ახლებური დადგენა დოგმატებისა: რამდენადაც განსხვავდება შობილი უშობელისაგან, უცილობლად იმდენადვე განსხვავდება ნათელიც ნათლისაგან. მაგრამ შობილს უშობელთან, მართალია, ბუნების მიხედვით არა, თუმცა ისინი ამასაც ამტკიცებენ, სიტყვათა წყობით მაინც აქვს განსხვავება, ნათელსა და ნათელს შორის კი, არც წარმოთქმით სიტყვისა და არც მისი მნიშვნელობით, მოაზრება რაიმე დაპირისპირებისა შეუძლებელია.

მაგრამ ჩანს, რომ მაცდური, ცრუ მსჯელობებით ევნომიოსი თვითონვე ტყუვდება, რადგან ფიქრობს, რომ მათ, რომელნიც დაპირისპირებულებს მოსდევენ, ერთმანეთში ისეთივე ბრძოლა აქვთ, როგორიც მათსავე წინამძღოლებს და როცა დაპირისპირებულთაგან ერთისთვის არსებობს საპირისპირო, საპირისპირო მეორესაც აუცილებლად მოჰყვება. როგორც მაგალითად, მხედველობას ნათელი მოსდევს, ხოლო სიბრმავეს – ბნელი; სიცოცხლეს მგრძნობელობა, სიკვდილს კი – უგრძნობლობა. მაგრამ ეს რომ სუსტი და არამყარი დაკვირვებაა, ყველა მიხვდება, ვინც კი თუნდაც მცირე ყურადღებას გამოიჩენს; რადგან, იმიტომ რომ გამოღვიძებას სიცოცხლე მოჰყვება, აუცილებელი არაა ძილს სიკვდილი მოსდევდეს.

მაგრამ შობილი უშობელისთვის საპირისპირო არაა. ისინი რომ დაპირისპირებულნი იყვნენ, დაე, ეს ნათქვამი მკრეხელებს მიუტრიალდეს, მაშინ ერთი მეორის გამნადგურებელი იქნებოდა. ბუნებით არც ისინი არიან მტრები და არც ისაა აუცილებელი, რომ ისინიც, რომელნიც მათ მოსდევენ, ისეთ განხეთქილებასა შინა იყვნენ, როგორშიც, ევნომიოსის მტკიცებით, მათი წინამძღოლნი არიან.

ამრიგად, ან შენს სიტყვებს ხაზი გადაუსვი, ან შენს უსჯულოებას ნუ უარყოფ, რადგან შენგან ითქვა ეს მკრეხელობა: „რამდენადაც უშობელი განსხვავდება შობილისაგან, უცილობლად იმდენადვე განსხვავდება ნათელიც ნათლისაგან“, ანუ როგორც შობილი ვერასოდეს ეზიარება უშობლობას, ასევე არც არასოდეს არგუნებ შენ მას ნათელს წილად; და არსი მხოლოდშობილისა, შენი აზრით, ისევე შორს იქნება იმისაგან, რომ უშობელი იყოს, როგორც იმისაგან, რომ ნათლად მოიაზრებოდეს და იწოდებოდეს. მაგრამ იოვანე დიდითა ხმითა სულისა წმიდისა ღაღადებს და გეუბნება: **იყო ნათელი ჭეშმარიტი**(ინ.I,9), მაგრამ შენ არც სასმენელნი გაქვს, რომ შეისმინო და არც გული, რომ გულისხმაყო, არამედ, პირიქით, ცრუ მსჯელობებით მხოლოდშობილის არსს, ვითარცა ნათლის მბრძოლსა და მასთან შეუთავსებელს, დევნი; რა თქმა უნდა,

იმას ვერ იტყვი, რომ შენს გადაწყვეტილებას, რომლითაც მხოლოდშობილს ნათლის სახელი არ წაართვი, სიმტკიცე აქვს, რადგან ღმრთისმოსაობა არა ჰაერის ხმაურსა შინა, არამედ აღნიშნულთა ძალაშია.

მაგრამ ევნომიოსი არც ამაზე ჩერდება, არამედ სიცოცხლესაც და ძალასაც იმ ზომამდე განაშორებს, რომ საპირისპირომდე მიჰყავს, როცა ამბობს: „რამდენადაც შობილი განსხვავდება უშობელისაგან, უცილობლად იმდენადვე განსხვავდება ნათელი ნათლისაგან, სიცოცხლე სიცოცხლისაგან, ძალა ძალისაგან“; ანუ შენი აზრით, მხოლოდშობილი არც სიცოცხლეა და არც ძალა, მაგრამ ამით ხომ თვითონ უფალს ეწინააღმდეგები, რომელიც ამბობს: **მე ვარ ცხორებაჲ**(ინ.14,6); ასევე წინააღმდეგი ხარ პავლე მოციქულისა, ვინც თქვა: **ქრისტე ღმრთისა ძალ არს**(I კორ.I,24). რაც ზემოთ იქნა დამტკიცებული, ახლაც იგივე უნდა გავიმეოროთ: არავინ იტყვის, რომ სიცოცხლესა და ძალას სიცოცხლე და ძალა უპირისპირდება, არამედ პირიქით, მათთან წინააღმდეგობას ყველაზე სრულყოფილად სიკვდილი და უძლურება აღასრულებენ.

ფარავს რა ბოროტი განზრახვით ვერაგობას, ევნომიოსი შორიდან და შეფარულად ამზადებს საშინელებას უსჯულოებისა, ეშმაკური სიტყვებით მხოლოდშობილის ბუნებას მამის ბუნებასთან ისე განაშორებს, რომ დაპირისპირებამდე მიჰყავს და ძეს მხოლოდ კეთილხმოვან სახელებს უტოვებს. ხოლო ჩვენ? ჩვენ როგორ ვაღიარებთ უშობელ მამასა და შობილ ძეს ისე, რომ წინააღმდეგობრიობას, თვითონ ყოფიერების მიხედვით, თავს ვაღწევთ? რას ვიტყვით? – იმას, რომ სახიერი მამისაგან სახიერი ძეა, უშობელი ნათლისაგან გამობრწყინვებული მარადიული ნათელი, ჭეშმარიტი სიცოცხლიდან გამოსული ცხოველსმყოფელი წყარო, თვითარსებული ძალისაგან გამოვლენილი ძალა ღმრთისა. ხოლო სიბნელე, სიკვდილი და უძლურება სამყაროში ამა სოფლის თავადისა და ბნელთა, უკეთურთა სულთა და ღმრთეებრივი ბუნების ყველა მტრული ძალის მპყრობელთა მიერ არიან დადგენილნი. თუმცა თვითონ არსის მიხედვით, არც მათ რგებიათ წილად წინააღმდეგობა სიკეთისა, რადგან ამ შემთხვევაში სასაყვედურო ღმერთი იქნებოდა, არამედ საკუთარი არჩევანით, სიკეთეს მოკლებულნი, ბოროტებისაკენ მიიდრიკნენ.

მაგრამ ღმრთისმბრძოლმა ენამ ძალა არ დაიშურა, რომ მხოლოდშობილის ბუნებაც მათ შორის დაედგინა; რადგან ევნომიოსს იმის თქმა კი არ უნდა, რომ როგორც მამის არსი არის ნათელი, აღმატებული დიდებითაც და ბრწყინვალებითაც, ასევე არსიც მხოლოდშობილისა ნათელია, მაგრამ შედარებით სუსტი და თითქოსდა დაბინდული. თუმცა არც ეს აზრი იქნებოდა ღმრთისმოსავური, რადგან სუსტის გაგება ხატის მსგავსებას(ὁμοιότητα) გაანადგურებდა; მაგრამ მაინც სასურველი იყო, რომ მისთვის ბრალის დადება მხოლოდ ამაში შეგვძლებოდა და არც მის გასასწორებლად დაგვჭირდებოდა დიდი ძალისხმევა. ახლა კი უშობელის შობილთან განსხვავებას მეტ-ნაკლებობის გაგება კი არ აქვს, ვითარცა მცირე ნათელს დიდთან, არამედ როგორც ერთმანეთთან სრულიად

შეუთავსებელნი, ერთი მეორისაგან ისეა დაშორებული.

შეუძლებელია ის, ვისთანაც სხვაც თანაარსებობს, ცვლილების შედეგად ოდესმე საპირისპიროში გადავიდეს, ისე რომ, უშობელობიდან შობილი გახდეს, ან პირიქით, შობილიდან უშობელად შეიცვალოს. ამიტომ ვინც ერთხელ განაცხადა, რომ, რამდენადაც შობილი განსხვავდება უშობელისაგან, უცილობლად იმდენადვე განსხვავდება ნათელი ნათლისაგან, მას არც ეს გამოთქმა რჩება თავის დასახსნელად, რადგან შეურევნელი ნათელი გვაროვნობით მკრთალი და სუსტი ნათელის იგივეობრივია და მისგან მხოლოდ სიძლიერით(ἐπιτάσις) განსხვავდება; ხოლო უშობელი შობილის გაძლიერება არაა და არც შობილია უშობელის შესუსტება(ὕφεσις), არამედ ისინი თითქოს ერთმანეთს პირდაპირ(κατὰ διάμετρον) უპირისპირდებიან. ამიტომ მათ, რომელნიც შობილობასა და უშობელობას არსად აცხადებენ, ამგვართა და ამათზე დიდ შეუსაბამობათა მიდევნება მოუწევთ, რადგან საწინააღმდეგოსაგან საწინააღმდეგო დაიბადება და ნაცვლად ბუნებრივი ერთობისა(φυσικῆς οἰκειώσεως) თვით არსთან მიმართებით რაღაც განხეთქილება(στάσις) გამოჩნდება. მაგრამ მტკიცება იმისა, რომ არსი არსის საწინააღმდეგოა, ეს წინააღმდეგობა რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს, უფრო უმეცრებაა, ვიდრე უსჯულოება; რადგან გარეშე ბრძენთა[16] მიერ, – რომელთაც ისინი, როცა მკრეხელობაში თანამებრძოლებად ვერ პოულობენ, არაფრად აგდებენ, – ძველთაგანვე აღიარებული იყო, რომ არსში წინააღმდეგობრიობის არსებობა შეუძლებელია.

მაგრამ უკეთუ ვინმე, როგორც ეს სამართლიანიცაა, შეიწყნარებს, რომ შობილობა და უშობელობა არსის რაღაც შესაცნობი, გონებისათვის მისაწვდომი, განმასხვავებელი თვისებებია და მამისა და ძის ნათელი და შეურწყმელი გაგებით იხელმძღვანელებს, უსჯულოების საფრთხესაც აირიდებს და მსჯელობათა შინა თანმიმდევრულობასაც შეინარჩუნებს. რადგან გონებით საწვდომი თვისებანი არსისა, ვითარცა რაღაც ნიშნები(χαρακτῆρες) და ხატებანი, საერთოს ცალკეულ სახეთა შინა ანაწილებენ, მაგრამ ერთბუნოვნებას(ὁμοφυές) არ კვეთენ. მაგალითად, საერთოა ღმრთეება, კერძო თვითებანი(ἰδιώματα) მამობა(πατρότης) და ძეობა(υἱότης); თითოეულის, საერთოსა და საკუთარის, ერთმანეთთან შეერთებით(συμπλοκή) ჭეშმარიტება ჩვენთვის მისაწვდომი(κατάληψις) ხდება. ამიტომ, როცა გვესმის „უშობელი ნათელი“, მამას წარმოვიდგენთ, ხოლო როცა „შობილ ნათელს“ ვისმენთ, ძის გაგებას ვიძენთ. რამდენადაც ისინი ნათელი და ნათელია, მათში არავითარი წინააღმდეგობრიობა არ არსებობს, ხოლო რამდენადაც შობილი და უშობელი არიან, გონება მათში წინააღმდეგობრიობას წარმოიდგენს, რადგან ასეთია ბუნება საკუთარ თვისებათა – იგივეობრივ არსში სხვაობა წარმოაჩინოს. თვითონ საკუთარი თვისებანი მრავალმხრივ იყოფიან ერთმანეთისაგან და თუმცა ერთმანეთს ისე შორდებიან, რომ დაპირისპირებულნიც კი ხდებიან, მაგრამ

[16] იგულისხმებიან საერო ფილოსოფიის წარმომადგენელნი.

არსის ერთობას(ἑνότητα) არ არღვევენ. მაგალითად, მფრინველნი და ფეხით მავალნი, წყლისანი და ხმელეთისანი, გონიერნი და უგუნურნი. რამდენადაც ყველა ქვემდებარეს ერთი არსი აქვს, ეს საკუთარი თვისებანი მათ არსისაგან არ აუცხოებენ და თავიანთ თავთან განხეთქილებისათვის არ აცდუნებენ. ისინი ნიშანთა ძალით ჩვენს სულებში რამდენამდე ნათელს აყენებენ და გონებით საწვდომის გულისხმისყოფისაკენ მივყავართ.

ევნომიოსს კი საკუთარ თვისებათა დაპირისპირებულობა არსზე გადააქვს, აქედან უსჯულოების საბაბს იღებს და ვითარცა ყრმებს, ცრუ მსჯელობებით გვაშინებს, რომ თუ ნათელი რაღაც სხვაა გარდა უშობელობისა, ეს ჩვენ უცილობლად ღმერთს, როგორც შედგენილს(σύνθετος) წარმოგვიდგენს. ხოლო მე რას ვამბობ? – ნათელი რომ სხვა კიდევ რამ არ იყოს, გარდა უშობელობისა, მაშინ მისი წოდება ძისათვის ისევე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც უშობელის წოდებაა შეუძლებელი.

ამ სიტყვებით აღნიშნული სხვაობა შეიძლება აქედანაც შეიცნო. ნათქვამია, რომ ღმერთი **ნათელსა მყოფ არს**(Iტიმ.VI,16), და: **შეიმოსა ნათელი**(ფს.103,2), მაგრამ წმიდა წერილში არსად წერია, რომ იგი უშობელობასა შინა მყოფია, ან მისით შეიმოსა, რაც სასაცილოც კი იქნებოდა, რადგან შობილობა და უშობელობა მხოლოდ განმასხვავებელი თვისებებია. არსისთვის ნიშანდობლივი რომ არაფერი ყოფილიყო, ჩვენს გონებამდე იგი არანაირი სახით არ მოვიდოდა. რადგან ღმრთეება ერთია, მამასა და ძეზე ცალ-ცალკე გაგების შეძენა შეუძლებელია, სანამ აზრი საკუთარ თვისებათა შეერთებით გარკვეული არ გახდება.

ხოლო იმის შესახებ, რომ, თუ ნათელსა და უშობელობას იგივეობრივად არ ვაღიარებთ, ღმერთი შედგენილი აღმოჩნდება, შეიძლება შემდეგი ითქვას: ჩვენ რომ უშობელობას, ვითარცა არსის ერთ ნაწილს, ისე ვაღიარებდეთ, მაშინ გვექნებოდა ვითარება, რომ სხვადასხვა ნაწილისაგან შედგენილი რთულია. მაგრამ თუ ვიფიქრებთ, რომ ღმრთის არსი ან ნათელია, ან სიცოცხლე, ან სახიერება, რომ საერთოდ იგი, როგორც ღმერთი, ჭეშმარიტი სიცოცხლე, სრული ნათელი, სრული სახიერებაა, და სიცოცხლეს თან სდევს უშობელობაც, მაშინ რატომ არ შეიძლება, როგორც არა შედგენილი, არსის მიხედვით მარტივი იყოს? სახეები ხომ, რომელნიც მის განმასხვავებელ თვისებებზე მიუთითებენ, სიმარტივის(ἁπλότητος) გაგებას არ არღვევენ. სხვა შემთხვევაში, ყოველივე, რაც ღმრთის შესახებ შეიძლება ითქვას, ჩვენ მის სირთულეს დაგვიმტკიცებდა. ჩანს, რომ უკეთუ ღმრთის, როგორც მარტივისა და დაუნაწილებელის, გაგებისათვის ვიზრუნებთ, ან, გარდა უშობელისა, არაფერი უნდა ვუწოდოთ და მისთვის უხილავის, უხრწნელის, უცვალებელის, შემოქმედის, მსაჯულისა და საერთოდ ყველა სახელის, რომელსაც ახლა დიდებისმეტყველებისათვის ვიყენებთ, წოდება უარვყოთ, ან ეს სახელები უნდა შევიწყნაროთ. და რა გავაკეთოთ? ნუთუ ყველა მათგანი უნდა შევკრიბოთ და არსში შევიტანოთ? მაშინ ხომ არა მხოლოდ იმას დავამტკიცებდით, რომ იგი რთულია, არამედ იმასაც,

რომ რამდენადაც თითოეული ამ სახელთაგანი სხვადასხვა რამეს აღნიშნავს, სხვადასხვაგვარი ნაწილისაგანაც არის შედგენილი; თუ ისინი არსიდან საერთოდ გამოვრიცხოთ? ასე რომ, როგორ მდგომარეობასაც თითოეული მათგანისათვის მოიფიქრებენ, დაე, იგივე დაადგინონ სახელისთვისაც „უშობელი“.

აღავსო რა თავისი სიტყვა ცარიელი ფუჭმეტყველებით და აღიმაღლა რა თავი თვისი ყველაზე, ვისაც მანამდე ღმრთის შემეცნებაში უვარჯიშია, თითქოს თვითონ ღმრთისკენ მიმავალი ახალი და აქამდე გამოუცდელი გზა გაეყვანოს, რომელიც მანამდე ვერავინ აღმოაჩინა, და თითქოს თავად ღმრთის არსისაგან იყოს განსწავლული, ევნომიოსი ძის მიმართ ასე მკრეხელობს:

ევნომ.: ამით უზენაესი სამეფო და შობისათვის შეუვალი(ἀνεπίδεκτος) არსი მასთან კეთილგანწყობით მიახლებულ გონებას ასწავლიან, რომ ბუნებისაგან ნაბრძანები კანონით, რაც შეიძლება შორს განაგდონ მასთან შედარება.

ბასილი: განა ნათლად არ წარმოაჩენს, რომ კეთილგანწყობილი გონებით ღმერთს მიახლებული, თვითონ გახდა ღირსი საიდუმლოთა გამოცხადებისა? და ამიტომ მხოლოდშობილის ბუნება, რაც შეიძლებოდა, დააშორა მამასთან ერთობას და არა თუ მასთან შედარების ღირსება მიანიჭა, არამედ იმის მტკიცებაც კი დაიწყო, რომ არსი მხოლოდშობილისა მამის არსისაგან ბუნების კანონითაც განსხვავდება? და ეს რას ნიშნავს? ანუ: ყოველთა ღმერთს არსის ერთობაში მხოლოდშობილის მიღების სურვილი კიდევაც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ შეძლებდა, რადგან მასთან ერთობა ბუნების კანონით აქვს აკრძალული. როგორც ჩანს, იგი თავისი თავის უფალი კი არაა, არამედ აუცილებლობის(ἀνάγκη) საზღვრებს ემორჩილება; ხოლო ბუნების კანონით დამორჩილებული, რადგან თავისუფალი არჩევანის(προαίρεσις) საშუალება არ აქვს, იქით მიდის, საითაც ბუნებას მიჰყავს. ისევე როგორც ცეცხლი თბილია ბუნებით და არა თავისუფალი არჩევანით და აუცილებლობითაა შეუვალი სიცივისათვის, რადგან ბუნების კანონით მასთან ერთობა წართმეული აქვს, ევნომიოსსაც სურს, ღმერთსა და მამასაც ისეთი არსი ჰქონდეს, რომელიც ბუნების კანონით უცხო იქნება ძისათვის. სხვათა შორის, საერთოდ, ბუნების კანონები მამასა და ძეს შორის არა უთანხმოებას(διάστασις), არამედ უცილობელსა და განუყოფელ ერთობას ქმნიან.

ევნომიოსს ისიც რომ ეთქვა, ყოველთა ღმერთმა თავის თავთან ერთობა თვითონვე არ ისურვაო, ამ შემთხვევაშიც კი, გაგება ღმრთის სახიერებისა არ დაუშვებდა, გვერწმუნა მისი სიტყვისა, ვინც ამტკიცებს, რომ მამას იმით, რაც მასთანაა, ერთობა არა აქვს მასთან, ვინც მისგანაა. სიტყვას, რომლითაც ამას ამტკიცებს, თანმიმდევრულობა მაინც ჰქონდეს. მაგრამ თქმა იმისა, რომ გაუცხოება ბუნების კანონით არსებობს, გრძნობად საგანთა ბუნების არცოდნასაც ნიშნავს, რომლის მიხედვითაც, თითოეული არა რაღაც მისთვის უცხოსა და საპირისპიროს, არამედ ნათესაურსა და შესაფერისს შობს.

ევნომიოსი ისევ ვერ ხედავს, რომ აქაც თავის თავს ეწინააღმდეგება, რადგან

ზევით მათ მიმართ აღშფოთებული, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ძე არსით მამის მსგავსია(ὅμοιον), ასე წერდა:

ევნომ.: უპირველესად მე მეჩვენება, რომ მათ, რომელთაც ამ, არავის ხელისუფლების ქვეშ მყოფი(ἀδέσποτον), ყოველსა მიზეზსა ზედა ამაღლებული და ყოველგვარი კანონისაგან თავისუფალი არსის, შობილსა და მამის კანონებს დამონებულ არსთან შედარება გაბედეს, ყოველთა ბუნებას ან საერთოდ ვერ ჩასწვდნენ, ან მის შესახებ დასკვნები უწმინდური გონებით გამოიტანეს.

ბასილი: ახლა როგორ აღმოჩნდა, რომ ეს არავის ხელისუფლების ქვეშ მყოფი, ყოველი კანონისაგან თავისუფალი არსი შეუდარებელია არა თავისუფალი ნებით(ἑκούσιον), არამედ ბუნების კანონით შეპყრობისა გამო, და არც შობილს დევნის საკუთარი არჩევანით მასთან ერთობიდან ისე, რომ მხოლოდშობილს მიახლოებაც კი აკრძალული აქვს(ἀπροσπέλαστος)? აი, რამდენი შეუსაბამობაა ევნომიოსის სიტყვებში, და უსჯულოება რამდენია! მამის არსს არავის ხელისუფლების ქვეშ მყოფს უწოდებს, – თუკი არავის ხელისუფლების ქვეშაა ის, ვინც ბუნების კანონს ემორჩილება, – მხოლოდშობილის არსზე კი საპირისპიროს ამტკიცებს, რომ მონურია და, აქედან გამომდინარე, მას არსის მიხედვით მამის თანაბარ პატივს(ὁμότιμον) ართმევს.

რამდენადაც არსება ორია: ქმნილება და ღმრთეება; ქმნილება მონურსა და მორჩილ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ხოლო ღმრთეება – მეფურსა და გაბატონებულში. ვინც ძეს ღირსება ხელისუფლებისა წაართვა და მონობამდე დაამდაბლა, განა ამით ნათლად არ აჩვენა, რომ იგი დანარჩენ ქმნილებებთან ერთად ერთ რიგში ჩააყენა? რადგან, რა თქმა უნდა, დიდი ვერაფერი პატივია მისთვის, თავის მსგავს მონებთან შედარებით კიდევაც რომ უპირატესობა ჰქონდეს. მაგრამ თუკი მას, ვინც მორჩილება არა ბუნების მოკლებისა გამო, არამედ სახიერებით თავისუფალი არჩევანისა შეიწყნარა, მეფედ და მეუფედ არ აღიარებენ, – ეს სიმძიმის, საშინელებისა და წარწყმედის მომტანი იქნება მათთვის, რომელნიც მას უარყოფენ. ევნომიოსი კი უმატებს:

ევნომ.: არსი ღმრთისა, რომელიც ბუნების კანონებს მისდევს, არც თვითონ უშვებს სხვასთან შედარებას და ჩვენც მიგვითითებს, რომ მისი მოქმედებანი მისი საკუთარი ღირსების შესაფერისად და შესაბამისად წარმოვიდგინოთ.

ბასილი: ეს მის მიერ მხოლოდშობილის მამისაგან გაუცხოების დასამტკიცებლად ითქვა, მაგრამ ჩვენ სწავლებასაც უჭერს მხარს. უკეთუ არსი ღმრთისა მიგვითითებს, რომ მისი მოქმედებანიც მისი საკუთარი ღირსების შესაფერისად და შესაბამისად წარმოვიდგინოთ, – ღირსება კი, ევნომიოსის აზრით, უშობელობაა, მაგრამ ამასთან, მათივე სწავლებით, იგი არსიცაა, ხოლო მოქმედება ღმრთისა ან ხატი მოქმედებისა(ἐνεργείας εἰκών), ისევ მათივე სწავლებით, მხოლოდშობილია, – მაშინ მათთან კამათი ზედმეტია, რადგან ჩვენ წინააღმდეგ სათქმელი აღარაფერი აქვთ.

რა თქმა უნდა, ბევრად მერჩია, რომ ეს მკრეხელობა უარეყოთ, მა-

გრამ რადგან თქვეს, მათივე ნათქვამიდან ასეთ დასკვნას გამოვიტანთ: თუ ღირსება ღმრთისა უშობელობაა და არსიც იგია, ხოლო მოქმედება ღმრთისა მისი ღირსების შესაფერისი და შესაბამისია და ეს მოქმედება, მათივე შეხედულებით(ὑπόληψις), ქრისტეა, მაშასადამე, მახასიათებელი და შესაბამისი ღმრთის არსისა ის ყოფილა. – ამ დებულებათაგან ჩვენი არცერთი არაა, არამედ მტკიცებულება მათივე სიტყვების მოყვანის შედეგად შევქმენით. ღმრთის არსის თანამდევია, ამბობს იგი, ღირსება, ღირსებას მოქმედება შეეფერება, ხატი მოქმედებისა მხოლოდშობილია; და პირიქით: თუ მხოლოდშობილი ხატია მოქმედებისა, მოქმედება ღირსებისა, ღირსება არსისა, მხოლოდშობილი იქნება ხატი არსისა.

ასე რომ, ხშირად მუშაკნიც სიცრუისანი, მოქმედებით იძულებულნი, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, ჭეშმარიტებას ამოწმებენ. დემონებმაც, რომელთაც მახარებელთა საქმე არ მოუმუშაკებიათ, ვერ შეძლეს რა თვალი გაესწორებინათ ჭეშმარიტი ნათელისათვის, ღაღადყვეს: **გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ**(მრკ.I,24).

მაგრამ ვნახოთ, შემდეგ რას ამბობს.

ევნომ.: უკეთუ ვინმე განხილვას ქმნილებათაგან დაიწყებს და მათგან არსთა დონემდე ამაღლდება; აღმოაჩენს რა, რომ ძე უშობელის ქმნილებაა, ხოლო ნუგეშინისმცემელი – მხოლოდშობილისა, და მხოლოდშობილის უპირატესობიდან ირწმუნებს რა სხვაობას მოქმედებათა შორის, არსის მიხედვით სხვაობის შესახებაც უეჭველ მტკიცებულებას მიიღებს.

ბასილი: უპირველესად, მე ვერ ვხედავ, რომ ქმნილებებიდან არსთა შესახებ დასკვნების გამოტანა შეიძლებოდეს. ქმნილებანი ხომ ძალაზე, სიბრძნესა და ხელოვნებაზე მიუთითებენ და არა არსზე. და არც ისაა აუცილებელი, რომ მათში შემოქმედის მთელი ძალა იყოს წარმოდგენილი, რადგან შეიძლება ზოგჯერ ხელოვანმა მოქმედებათა შინა მთელი თავისი ძალა არ ჩადოს და, პირიქით, თავისი სახელოვნებო საქმეებისთვის იგი ნაწილობრივ გამოიყენოს, ხოლო თუკი საქმისათვის მთელი ძალით აღიძვრება, მაშინ საქმეთა მიხედვით მისი ძალის გაზომვა შეიძლება და არა დასკვნის, რომ ის ასეთია, გამოტანა არსის შესახებ.

თუ იქიდან გამომდინარე, რომ ღმრთეებრივი ბუნება მარტივი და შეუდგენელია, დაუშვებს, რომ არსი ძალას ემთხვევა და ღმრთის გარდამეტებული სახიერებისა გამო იტყვის, რომ მთელი ძალა მამისა ძის შობისათვის აღიძრა, ხოლო მთელი ძალა მხოლოდშობილისა – სულიწმიდის ჰიპოსტასისათვის, ასე, რომ სულიწმიდაში მხოლოდშობილის ძალა და მასთან არსიც განიჭვრიტება, ხოლო მხოლოდშობილში – ძალა და არსი მამისა, ნახეთ, აქედან რა გამოდის? – რისგანაც ევნომიოსი არსთა შორის არამსგავსების(ἀνόμοιον) დადგენას ცდილობდა, აღმოჩნდა, რომ მისგან არსთა მსგავსება(ὁμοιότης) დაამტკიცა, რადგან უკეთუ ძალას საერთო არაფერი აქვს არსთან, მაშინ ქმნილებათაგან,

რომელნიც ძალის შედეგნი არიან, როგორ მივიდა არსის წვდომამდე? ხოლო თუ არსი და ძალა ერთი და იგივეა, ვისშიც ძალაა აღბეჭდილი, რა თქმა უნდა, მასში არსიც აღიბეჭდება. ამიტომ ქმნილებებს, როგორც შენ ამბობ, არა არსის არამსგავსებისაკენ, არამედ მსგავსების სიზუსტისაკენ მივყავართ. ამგვარად, მისი ეს მცდელობაც ჩვენს სწავლებას უფრო ამტკიცებს, ვიდრე მისას. რადგან რასაც ამბობს, იმისათვის მტკიცებულებებს ან ვერსაიდან წარმოადგენს, ან შედარებანი კაცობრივი ყოფიდან უნდა აიღოს, თვითონვე აღმოაჩენს, რომ ხელოვანის საქმეებით მისი არსის შეცნობამდე ვერ მივდივართ, მაგრამ შობილით მშობელის ბუნებას შევიცნობთ. სახლის მიხედვით სახლის მშენებლის არსზე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ხოლო შობილისაგან მშობელის ბუნების შეცნობა – შესაძლებელი. ამიტომ უკეთუ მხოლოდშობილი ქმნილებაა (δημιούργημα), მამის არსს ჩვენთვის ვერ ასახავს, ხოლო თუკი მის მიერ მამის შეცნობის საშუალებას იძლევა, მაშინ იგი არა ქმნილება, არამედ ჭეშმარიტი ძე, ღმრთის ხატი (εἰκών) და(მამის) ჰიპოსტასის ხატია(χαρακτήρ).

აი, შედეგი ევნომიოსის მტკიცებულებათა.

რამდენ მკრეხელობას შეიცავს მისი სიტყვა? უგულვებელყოფს რა სახარებისეულ ყველაზე საშიშ მუქარას, რომელიც უფალმა სულიწმიდის მგმობელთა მიმართ წარმოთქვა(მთ.XII,21), ევნომიოსი სულიწმიდას ქმნილებას უწოდებს, ძლივს აღიარებს რა მას ცოცხალ არსებად, რადგან ეს სახელი – ქმნილება უმეტესწილად უსულოებს ეძლევათ. რადგან მანამდე იგივე მკრეხელობა მან უფლის შესახებ თქვა, რა თქმა უნდა, ამის გამო ჩვენი აღშფოთება არ უნდა განელდეს. ეს მის უსჯულოებას კი არ ამსუბუქებს, არამედ სასჯელს უზრდის; რადგან თუმცა უფალი, სახიერებისა გამო, მის მიმართ მკრეხელობას პატიობს, მაგრამ აცხადებს, რომ ვინც სულიწმიდის გმობისათვის გაკადნიერდება, უცილობლად წარწყმდება.

ამრიგად, იქიდან მოყოლებული, რაც ღმრთისმოსაობის ქადაგება გაისმა, იმათგან, რომელნიც ჭეშმარიტებას აუმხედრდნენ, ევნომიოსი პირველია, ვინც ამ სიტყვის წარმოთქმა სულიწმიდასთან მიმართებით გაბედა, რადგან დღემდე არ გვსმენია, რომ სულიწმიდისათვის ვინმეს ქმნილება(δημιούργημα) ეწოდებინოს და ეს სახელი არც მათ მიერ შედგენილ თხზულებებში შეგვხვედრია.

შემდეგ იგი ამბობს:

ევნომ.: თუკი ვინმე ქმნილებათაგან არსის წვდომამდე ამაღლდება, აღმოაჩენს, რომ ძე უშობელის ქმნილებაა, ხოლო ნუგეშინისმცემელი – მხოლოდშობილისა.

ბასილი: ეს ახალი სახეა უსჯულოებისა – ერთ გამოთქმაში ორმაგი მკრეხელობა: სულიწმიდის დამცირება, როგორც თითქოს უკვე აღიარებულისა, და აქედან სწრაფვა მხოლოდშობილის დამცრობისაკენ. როგორც ჩანს, როცა **ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა**(ფს.XVIII,2), სულიწმიდა მხოლოდშობილის დამცრობას იუწყება! თუმცა უფალი ნუგეშინისმცემელის შესახებ ამ-

ბობს: **მან მადიდოს მე**(ინ.XVI,14), მაგრამ ბრალმდებელი ენა ამტკიცებს, რომ იგი ხელისშემშლელია ძის მამასთან შედარებისათვის, იმიტომ, რომ, ამბობს ევნომიოსი(უფალო, შეგვიწყალე ამის წარმოთქმისათვის), სულიწმიდის შემოქმედი ძეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს შემოქმედს, რომელიც იმიტომ არ არის მამასთან შედარების ღირსი, რომ უმნიშვნელოს შექმნისათვის თანაბარი პატივი ღირსებისა წართმეული აქვს.

მოგისმენიათ ოდესმე უფრო საშინელი მკრეხელობა? სულიწმიდის გმობისათვის ვინ ჩავარდა ასე ცხადად სამსჯავროსა შინა? მხოლოდ მონტანს ახასიათებდა ასეთი გაცოფებული წინააღმდეგობა სულიწმიდისა, მისი შეურაცხყოფა დამამდაბლებელი სახელებით და ისე დამცრობა მისი ბუნებისა, რომ ეთქვა, თითქოს სულიწმიდას უპატივობა მოაქვს შემოქმედისათვის. თუმცა უმჯობესია ვთქვათ, ისიც კი გაურბოდა სულიწმიდის შესახებ დამამცირებელ გამოთქმებს, რათა საკუთარი ქედმაღლობით არ დამხობილიყო. მაგრამ მონტანის შესახებ სხვა, თავისუფალ დროს ვისაუბროთ.

ვისთვის არაა ნათელი, რომ არცერთი მოქმედება ძისა გამოყოფილი არაა მამისაგან და ყოველივე, რაც აქვს ძეს, მამისთვის უცხო არაა? რადგან ეუბნება: **ჩემი ყოველი შენი არს და შენი ჩემი არს**(ინ.XVII,10), როგორღა წარმოადგენს ევნომიოსი სულიწმიდის მიზეზად მხოლოდ მხოლოდშობილს და მის შექმნას ძის ბუნების სასაყვედუროდ როგორ იყენებს? თუ ამას ამბობს და ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული საწყისი შემოაქვს, მანესსა და მარკიონთან ერთად დამარცხდება; ხოლო უკეთუ ყველა არსებულს ერთ საწყისს უკავშირებს, მაშინ პირველ მიზეზზე დამოკიდებული ხდება ისიც, რომლის შესახებაც ამბობს, რომ ძისაგანაა წარმოშობილი. თუმცა ჩვენ გვწამს, რომ ყოფიერებასა შინა ყოველივე სიტყვა ღმერთის მიერაა მოყვანილი, მაგრამ არც იმას უარვყოფთ, რომ ყოველივეს მიზეზი ყოველთა ღმერთია.

განა ცხადი არაა საფრთხე, რომელსაც სულიწმიდის ღმრთისაგან გამოყოფა ქმნის? მოციქულიც, ვითარცა განუყოფელზე, ისე გადმოგვცემს მასზე და ხან ქრისტეს და ხან ღმრთის სულს უწოდებს, როცა წერს: **უკეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი**(რომ.VIII,9); კიდევ: **ხოლო ჩვენ სული არა ამის სოფლისა მოგჳღებიეს, არამედ სული იგი, რომელ არს ღმრთისაჲ**(Iკორ.II,12). უფალიც მას სულს ჭეშმარიტებისას უწოდებს, რადგან ჭეშმარიტება თვითონაა და მამისაგან გამოდის(ინ.XV,26). მაგრამ ევნომიოსი დასამდაბლებლად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სულს მამას ართმევს და მხოლოდშობილს მიაკუთვნებს, ფიქრობს რა, რომ დამდაბლებით დიდებისა მას შეურაცხყოფას მიაყენებს და არ აქვს მოლოდინი შურისძიებისა სამაგიეროს მიგების დღეს უსჯულო სწავლებისათვის.

წიგნი III. სულიწმიდის შესახებ

ბასილი: ძლივს იჯერა რა გული მკრეხელობით მხოლოდშობილზე, სულიწმიდაზე გადავიდა, რომლის შესახებაც, შესაფერისად თავისი წინასწარ განზრახულებისა, მსჯელობს და წერს:

ევნომ.: რამდენადაც ჩვენთვის საკმარისია, რაც მხოლოდშობილზე ითქვა, ახლა შესაბამისად ნუგეშინისმცემელზე დაგვრჩა სათქმელი. არ მივსდევთ რა მრავალთა მიერ გამოკვლეულ შეხედულებებს გამოუძიებლად, ყოველმხრივ დავიცავთ წმინდანთა სწავლებას, რიმლითაც შევიცანით რა, რომ იგი წოდებითაც და რიგითაც მესამეა, ბუნებითაც მესამედ ვირწმუნეთ.

ბასილი: ის, რომ იგი საჭიროდ არ თვლის მრავალთა მარტივსა და ბუნებრივ რწმენაზე დარჩეს და, პირიქით, რაღაც ეშმაკური და გამოწვლილვითი მსჯელობით კვლავ ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენას და საკუთარ აზრებთან შეთანხმებას ცდილობს, ამ ნათქვამითაც საკმაოდ ცხადყო. რადგან მრავალთა შეხედულებანი, რომელთა მიერაც სულიწმიდას ადიდებენ, დაამცირა. თვალთმაქცობს, თითქოს წმინდანთა სწავლებას იცავდეს, მაგრამ მათზე, ვინც ეს სწავლება გადასცეს, დუმს; იქცევა რა ახლაც ისე, როგორც მხოლოდშობილის შესახებ მსჯელობებისას იქცეოდა, რაც უკვე ახსნილი გვაქვს. შემდეგ ამბობს, თითქოსდა წმინდანთაგან ისწავლა, რომ სულიწმიდა რიგითაც და წოდებითაც მესამეა, ხოლო თავის მხრივ ირწმუნა, რომ იგი ბუნებითაც მესამეა, მაგრამ რომელმა წმინდანებმა და რომელ თხზულებებში გადმოსცეს ეს სწავლება, ამის თქმა არ შეუძლია. ყოფილა კი ოდესმე ისე გაბედული ადამიანი, რომ ღმრთეებრივ დოგმატებში სიახლე შეეტანა? რადგან თუ სულიწმიდა წოდებითაც და რიგითაც მესამეა, რატომაა აუცილებელი ბუნებითაც მესამე იყოს? იმას, რომ იგი წოდებით ძის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს, შესაძლებელია, გადმოსცემდეს კიდეც ღმრთისმოსაობის სიტყვა, მაგრამ ის, რომ ბუნებით მესამეა, ამას არც წმიდა წერილი გვასწავლის და არც წინა ნათქვამიდან შეგვიძლია თანმიმდევრულობის მიხედვით დავასკვნათ.

ისევე, როგორც ძე მამის შემდეგ რიგით მეორეა, რადგან მისგანაა და მეორეა წოდებითაც, რამდენადაც საწყისი და მიზეზი მამაა, ვითარცა მამა ძისა, და ძის მიერ ხდება მიღწევა და მიახლოება მამასა და ღმერთთან, მაგრამ ბუნებით მეორე არაა, რამეთუ ღმრთეებრიობა ორივეში ერთია, ზუსტად ასევე, თუმცა სულიწმიდა წოდებით ძეს მოსდევს, და ეს კიდევაც მთლიანადაც რომ დავუთმოთ, აქედან მაინც არ ჩანს სამართლიანი(εἰκότως) დასკვნა იმის თაობაზე, თითქოს სულიწმიდას სხვა ბუნება ჰქონდეს.[17] ყველა ანგელოზს,

[17] ეს ადგილი არაერთხელ მოუყვანია რომის კათოლიკურ ეკლესიას დასამტკიცებლად იმისა, რომ სულიწმიდა ძისგანაც გამოდის, მაგრამ ყოველთვის უხეშად დამახინჯებული სახით. ციტატიდან: „იმას, რომ იგი წოდებით ძის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს, შესაძლებელია, გადმოსცემდეს კიდეც ღმრთისმოსაობის სიტყვა, მაგრამ ის, რომ ბუნებით მესამეა, ამას არც წმინდა წერილი გვასწავლის და არც წინა ნათქვამიდან შეგვიძლია თანმიმდევრულობის მიხედვით დავასკვნათ“, – კათოლიკეებმა ამოიღეს *შესაძლებელია*(ἴσως), თავიანთი სწავლების დასამტკიცებლად ჩაამატეს სიტყვები და ასეთი სახე მისცეს: „იმას, რომ იგი წოდებით ძის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს, რადგან მისგან აქვს ყოფიერება, მისგან იღებს და გვაუწყებს ჩვენ

ისევე როგორც სახელი, ბუნებაც ერთი აქვს, მაგრამ მათგან ერთნი ხალხთა წინამძღოლებად არიან დადგენილნი, მეორენი თანამგზავრებად ყოველი მორწმუნისა. რამდენადაც მთელ ხალს აქვს უპირატესობა ერთ კაცთან შედარებით, ასევე უცილობლად უფრო დიდია წოდება ხალხის სათავეში მდგომი ანგელოზისა, ვიდრე იმისა, ვისაც ერთ ადამიანზე ზრუნვა აქვს მინდობილი. ხოლო იმას, რომ ყოველ მორწმუნესთან ანგელოზი თანამყოფობს, რომელიც ვითარცა მოძღვარი და მწყემსი მის ცხოვრებას წარმართავს, ვერავინ უარყოფს, გაიხსენებს რა სიტყვებს უფლისა: **ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა**(მთ.XVIII,10). ფსალმუნთა მგალობელიც ამბობს: **დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოის მოშიშთა მისთა**(ფს.XXXIII,7); და: **ანგელოზმან, რომელმან მიჴსნა მე სიყრმისაგან ჩემისა**[18](შესქ.XLVIII,16). იმას, რომ არიან ანგელოზნი, რომელნიც მთელ ხალხებს უდგანან სათავეში, ჩვენ მოსეც გვასწავლის, რომელიც თავის სიმღერაში ამბობს: **რაჟამს მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი იგი, ვითარ-იგი მიმოდაჰფინნა ძენი ადამისნი, დაამტკიცა საზღვარნი იგი თესლებისანი მსგავსად მათ ანგელოზთა ღმრთისათა**(IIსჯ.XXXII,8). და ბრძენმა დანიელმაც ხილვისას მოისმინა ანგელოზისგან, რომელიც ამბობდა: **და მთავარი მეფობისა სპარსთაჲსაჲ დგას წინააღდგომად ჩემდა... და, აჰა, მიხაილ, ერთი მთავართაგანი პირველთაჲ მოვიდა შეწევნად ჩემდა. და იგი დაუტევე მუნ მთავარსა თანა მეფობასა სპარსთაჲსასა**(დან.X,13); ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგივე ამბობს: **და მთავარი ელლინთაჲ მოვიდოდა**(20). ნათქვამია, აგრეთვე, არქისტრატეგოსზე[19] უფლისა ძალთა, რომელიც ისო ნავეს იორდანესთან გამოეცხადა. ასევე მოხსენიებულია ანგელოზთა გუნდები, როცა უფალი მოწაფეებს ეუბნება: **ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ**(მთ.XXVI,53)? ამრიგად, არქისტრატეგოსი, რომელიც ანგელოზთა დასებისთვისაა დადგენილი, რა თქმა უნდა, მთავარია.

და სრულიად დამოკიდებულია მასზე, როგორც მიზეზზე, ამას გადმოსცემს ღმრთისმოსაობის სიტყვა“. შემდეგ წმიდა ბასილის ტექსტიდან: „თუმცა სულიწმიდა წოდებით ძეს მოსდევს, და ეს კიდევაც რომ მთლიანად დავუთმოთ, აქედან მაინც არ ჩანს სამართლიანი დასკვნა იმის თაობაზე, თითქოს სულიწმიდას სხვა ბუნება ჰქონდეს“, – ამოღებულია სიტყვები: *ეს კიდევაც რომ მთლიანად დავუთმოთ*(καὶ ὅλως συγχωρήσαμεν), რითაც ფრაზას ნაცვლად შესაძლებლობითი შინაარსისა(რადგან ზმნა დავუთმოთ კავშირებით კილოშია და არა თხრობითში) მტკიცებითი შინაარსი ეძლევა.

ბასილი დიდის თხზულებიდან ამ ადგილის გარშემო, განსაკუთრებით ცხარე კამათი ფერარა-ფლორენციის კრებაზე გაიმართა. ეფესოს წმინდა მიტროპოლიტმა მარკოზმა კრებას ამ თხზულების კონსტანტინეპოლიდან ჩატანილი ერთი ხელნაწერი წარუდგინა, რომელშიც არც ზემოხსენებული სიტყვები იყო გამოტოვებული და არც ჩამატებული ფრაზები იკითხებოდა, და თანაც განაცხადა, რომ მის ნამდვილობას კონსტანტინეპოლში დაცული ათასზე მეტი ხელნაწერით დაადასტურებდა. გარდა იმისა, რომ წმ. მარკოზის სიმართლეს სხვა ისტორიული ფაქტებიც ამოწმებენ, რაც მთავარია, თვითონ ბასილი დიდის მთლიანად აღებული ეს თხზულება და ასევე სხვაც, რომელიც სპეციალურად სულიწმიდას მიუძღვნა, სამების მესამე ჰიპოსტასზე მართლმადიდებლურ სწავლებას გადმოსცემენ და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ სახელმძღვანელოებად არიან აღიარებულნი(მთგ.).

[18] ქართულ თარგმანშია: *ანგელოზმან, რომელმან მიჴსნა მე ყოვლისაგან ბოროტისა.*

[19] ქართულ თარგმანშია: *ერისთავი*(ისო ნავ. V, XIV).

და სიტყვას საითკენ მივყავართ? იქითკენ, რომ რიგითა და წოდებით მეორესა თუ მესამეს ბუნება უცილობლად სხვადასხვა არ აქვთ. ვითარცა ანგელოზთა შორის ერთი მთავარია, ხოლო მეორე დაქვემდებარებული, მაგრამ ბუნებით ყველანი ანგელოზნი არიან და თუმცა წოდებით განსხვავდებიან, ბუნება საერთო აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ **ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა**(Iკორ.XV,41), ყველა ვარსკვლავის ბუნება ერთია. ასევე მრავალია სავანე მამასთან(ინ.XIV,12), ანუ ღირსებათა მიხედვით განსხვავებული, მაგრამ ბუნებით განდიდებულნი ერთნი არიან. ცხადია, თუმცა სულიწმიდა წოდებითა და რიგით, როგორც ისინი ამბობენ, მომდევნო ადგილზეა, ხოლო ჩვენთან მიღებულია ვთქვათ, რომ მესამედ ითვლება, რადგან რიგი ამ სახით თვითონ უფალმა მოგვცა მაცხოვნებელი ნათლობის შესახებ გადმოცემისას, როცა თქვა: **წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა**(მთ.XXVIII,19), მაგრამ ის, რომ ბუნებითაა დამდაბლებული მამისა და ძის შემდეგ მესამედ, არსაიდან გვისწავლია.

რამდენადაც ყოველივეს ორიდან ერთ-ერთ სახელამდე დაყვანა შეიძლება: ღმრთეება და ქმნილება, მეუფება და მონობა, განმწმენდელი ძალა და განწმენდილი; ძალა, რომელიც ბუნებითაა სათნო და ძალა, რომელიც სათნოებაში თავისუფალი არჩევანით წარემატება, – ამათგან სულიწმიდა რომელ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ? განწმენდილთა? მაგრამ იგი ბუნებითაა კეთილი; მსახურ არსებებს ხომ არა? მაგრამ არიან **სხვა მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულნი**(ებრ.I,14); ამიტომ უსამართლობაა ვუწოდოთ მას მსახური, ვინც ბუნებით მმართველია და შევრაცხოთ ქმნილებათა შორის ის, ვინც ღმრთეებრივსა და ნეტარსა სამებასა შინა ირიცხება.

მთავრობანი, უფლებანი და ყოველი ამგვარი ქმნილება, რომელთაც სიწმინდე ყურადღებიანობისა და გულმოდგინების მიერ აქვთ, სამართლიანობის მიხედვით, მაინც არ შეიძლება ბუნებით წმინდანად იწოდებოდნენ. არამედ სწყურიათ რა სიკეთე, რამდენადაც ღმერთი უყვართ, სიწმინდესაც იმდენად იღებენ. ისევე როგორც რკინა, რომელიც ცეცხლის შუაგულში დევს, ჯერ რკინად რჩება, მაგრამ შემდეგ, დნობისას, მეტისმეტად ძლიერ ემსგავსება ცეცხლს, თავისთავში მისი ბუნების ყველა თვისებას იღებს და ფერითაც და მოქმედებითაც ცეცხლში გადადის, ასევე წმინდა ძალებს სიწმინდე წმინდა ბუნებასთან ზიარების გამო აქვთ, მთელი თავიანთი არსებით ითავსებენ რა სიწმინდეს, რომელიც მათ ბუნებას შეუერთდა. ისინი სულიწმიდისაგან იმით განსხვავდებიან, რომ სულიწმიდა ბუნებითაა წმინდა, ხოლო მათ სიწმინდე ზიარების შედეგად აქვთ. არსებანი კი, რომელთა შორისაც სიკეთე აღდგენილია და სხვა მხრიდან აქვთ ბოძებული, ცვალებადი არსებანი არიან. განთიადისას აღმომავალი მთიები არ გადმოვარდებოდა და დედამიწაზე არ შეიმუსრებოდა, ბუნებით რომ ადვილად შემწყნარებელი არ ყოფილიყო უდარესისა(ეს.XIV,12).

როგორ შეიძლება ღმრთისმოსაობა იყოს სულიწმიდის დადგენა ქმნილების გვერდით, როცა იგი ასე დიდად განსხვავდება ქმნილებისაგან? რადგან ქმნილებას სიწმინდე შეიძლება ჯილდოდ წარმატებისა და ღმრთის წინაშე სათნოყოფისათვის ჰქონდეს, მაგრამ ამავდროულად მას, სარგებლობს რა თავისი ბუნების თავისუფლებით(αὐτεξουσίῳ), შეუძლია აქეთაც მიიდრიკოს და იქითაც, ანუ, ან სიკეთე აირჩიოს, ან ბოროტება; სულიწმიდა კი წყაროა სიწმინდისა; და ვითარცა მამაა ბუნებით წმინდა, და ძე ბუნებით წმინდა, ასევე ბუნებით წმინდაა სული ჭეშმარიტებისა; ამიტომაც ღირს იქმნა იგი გამორჩეული და მხოლოდ მისი საკუთარი სახელის – **წმინდა** – წოდებისა. და თუ სიწმინდე მისი ბუნებაა, ისევე როგორც მამისა და ძისა, როგორ არის იგი მესამე და უცხო ბუნებით? ვფიქრობ, ესაიასთანაც იმიტომ წერია სერაფიმთა მიერ „წმიდას“ სამგზის ღაღადისი, რომ ბუნებითი სიწმინდე სამივე ჰიპოსტაში განიჭვრიტება. არა მხოლოდ ეს ერთი, – სახელი სიწმიდისა აქვს მას საერთო მამასა და ძესთან, – არამედ თავად მისი სახელწოდება – **სულიც,** რადგან: **სულ არს ღმერთი, და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის-ცემაჲ**(ინ.IV,24). და წინასწარმეტყველიც ამბობს: **სული პირისა ჩუენისაჲ ქრისტე უფალი... რომლისაჲ ვთქუთ, აჩრდილსა მისსა შორის ვცხონდებოდით**(გოდ. იერემ.IV,20). მოციქულსაც, გადააქვს რა სულიწმიდის სახელი უფალზე, ამბობს: **ხოლო უფალი სულ არს**(IIკორ.III,17). ყოველივე აქედან ცხადია, რომ საერთო სახელები არა მამისა და ძის ბუნებისაგან მის გაუცხოებას, არამედ ერთობას წარმოაჩენენ.

ღმერთი სახიერად იწოდება და არის კიდევაც სახიერი; მაგრამ სახიერია, აგრეთვე, სულიწმიდაც და შეძენილი სიკეთე კი არ აქვს, არამედ მასთან ბუნებით თანამყოფი. სხვაგვარად, უგუნურება იქნებოდა მტკიცება იმისა, რომ ბუნებით წმინდას სიკეთე ბუნებით კი არ აქვს, არამედ შედეგად გარედან შეერთებისა. როცა უფალი ამბობს: **და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქუენ**(ინ.XIV,6), ამით გვაჩვენებს, რომ ჩვენი ნუგეშინისმცემელი თვითონ იგია(სულიწმიდაა); ასე რომ, ეს სახელი – ნუგეშინისმცემელი მცირე მტკიცებულება როდია სულიწმიდის დიდების წარმოსაჩენად. ამგვარია სახელები, რომელნიც მისი ბუნების დიდებულებას ამტკიცებენ; და როგორია მოქმედებანი სულისა წმიდისა? ნათქვამია: **სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულისა პირისა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი**(ფს.XXXII,6). ამრიგად, ისევე როგორც სიტყვა ღმერთი არის შემოქმედი ცათა, ასევე სულიწმიდა ანიჭებს ზეციურ ძალებს სიმტკიცესა და ურყევობას. და კიდევ იობი: **სული საღმრთოჲ არს, რომელმან შემქმნა მე**(იობ.XXXIII,4). ვფიქრობ, აქ არა შექმნას, არამედ კაცობრივ სათნოებასა შინა სრულყოფას გულისხმობს. ხოლო ესაია, გვესაუბრება რა უფლის პირით, ცხადია, მისი კაცობრივი ბუნებიდან გამომდინარე, ამბობს: **უფალმან მომავლინა მე და სული მისი**(ეს.48,16). და ფსალმუნიც, წარმოაჩენს რა, რომ ძალა სულისა წმიდისა

ყველგან სუფევს, ამბობს: **ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი**(138,7)?

მაგრამ რამდენად დიდნი და საკვირველნი არიან ქველმოქმედებანი სულისა, რომელნიც ჩვენამდე აღწევენ? ვითარცა უფალმა, რომელთაც იგი შეიწყნარეს, **მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად**(ინ.I,12), ასევე სულიწმიდაც **სული იგი შვილებისაჲ**(რომ.VIII,15) არს; და ვითარცა უფალი ჩვენი ჭეშმარიტი მოძღვარია, რადგან თქვა: ნუ უწოდებთ თქვენ თავს მოძღვარს ქვეყანასა ზედა, **რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე**(მთ. XXIII,8,10), ასევე სულიწმიდაც განსწავლის ყველას, ვინც სახელი უფლისა ირწმუნა, რაც თავად უფალმა დაამოწმა, როცა თქვა: **ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწაოს თქუენ ყოველი**(ინ.XIV,26). ნათქვამია, რომ ვითარცა მამა ანაწილებს მოქმედებებს(ἐνεργήματα) მათ შორის, რომელნიც მოქმედებათა მიღების ღირსნი არიან, ძე – მსახურებებს(διακονίας) მსახურებისათვის ღირსეულთა შორის, ასევე დამოწმებულია, რომ სულიწმიდა ანაწილებს მადლს(χαρίσματα) მადლის მიღებისათვის ღირსეულთა შორის: **ხოლო განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს. და განყოფანი შეწევნათანი არიან, და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის**(Iკორ.XII,4-6).

ხედავ, რომ აქაც მოქმედება სულისა წმიდისა მამისა და ძის მოქმედებათა გვერდითაა დაყენებული? მომდევნო ნათქვამში ღმრთეებრიობა სულიწმიდის ბუნებისა კიდევ უფრო ცხადდება, რადგან რას ამბობს მოციქული? **ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს**(11). სხვას რას ამოწმებს აქ მოციქული, თუ არა თვითმპყრობელურსა და შეუზღუდავ ძალაუფლებას სულისა. ამიტომაც ხმობდნენ წინასწარმეტყველნი ახალ აღთქმაში: **ამას იტყჳს სული წმიდაჲ**(XXI,11).

საიდან აქვს სულს თვისება გამოიკვლიოს სიღრმენი ღმრთისა? ნათქვამია: **რამეთუ ვინ-მე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელ არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან**(Iკორ. II,11). ისევე როგორც გარეშესა და უცხოს არ შეუძლია დაინახოს შინაგანი ზრახვანი სულისა, ასევე, ცხადია, ვინც ღმრთის საიდუმლოებებსაა ნაზიარები, ღმრთისთვის არც გარეშე იქნება და არც უცხო და მის სამსჯავროთა გამოკვლევაც შეეძლება.

შემდეგ: სიცოცხლე ჩვენ ღმრთისაგან გვეძლევა ძის მიერ სულიწმიდით, რადგან, თუმცა სიცოცხლეს ქმნის ღმერთი, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: **გამცნებ შენ წინაშე ღმრთისა, რომელმან ცხოველ ყვნის ყოველნი**(Iტიმ. VI,13), მაგრამ გვანიჭებს ქრისტე, რომელიც ამბობს: **ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისა ისმინიან... და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ**(ინ.X,27-28), ხოლო განგვაცხოველებს სულიწმიდა, როგორც პავლე მოციქული წერს: **რომელმან-**

იგი აღადგინა ქრისტე მკუდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ჴორცნი თქუენნი დამკვიდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა(რომ.VIII,11).

მაგრამ ეს მამაცი, ვისაც არ ეშინია იმ საფრთხისა, რომელიც კადნიერებს სულის შესახებ მკრეხელური სიტყვების წარმოთქმისათვის ემუქრება, აცხადებს რა, რომ სულიწმიდა ღმრთეებასთან ნაზიარები არაა, წერს:

ევნომ.: მესამე რიგითა და ბუნებით, წარმოშობილი მამის ბრძანებითა და ძის მოქმედებით, მესამე ადგილით პატივდებული, როგორც პირველი, ყველა ქმნილებაზე მაღალი და მხოლოდშობილის ამგვარი ერთადერთი ქმნილება, ღმრთეებრიობასა და ქმნადობის ძალას მოკლებულია.

ბასილი: ვინც ამას ამტკიცებს, ჩანს, არ სწამს იმისა, რომ ჩვენში ღმრთეება მკვიდრობს, როგორც ამას ღმრთის შესახებ იოვანე ამბობს: **ამით უწყით, რამეთუ ჰგიეს ჩუენ თანა სულისა მისგან, რომელი მომცა ჩუენ**(Iიო.III,24); და მოციქულიც: **არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის**(Iკორ.III,16)? და კიდევ: **რომლითა ყოველი შენებული შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ, რომელსა ზედა თქუენცა თანა-აღშენებულ ხართ სამკჳდრებელად ღმრთისა სულისა**(ეფ.II,21-22).

ამრიგად, თუ ნათქვამია, რომ ღმერთი ჩვენში სულიწმიდის მიერ მკვიდრობს, განა ცხადი უსჯულოება არაა, რომ თვითონ სულს ღმრთეებასთან უზიარებელი ვუწოდოთ? და თუ სათნოებათა შინა სრულყოფილებს ღმერთებს ვუწოდებთ, ხოლო სრულყოფა სულიწმიდის მიერ მიიღწევა, როგორ შეიძლება ის, ვინც ღმერთებად ქმნის, თვითონ ღმრთეებას მოკლებული იყოს? რამდენადაც მას, ვინც მადლით იქმნება ღმერთად(χάριτι θεοποιούμενος) ცვალებადი ბუნება აქვს და ამიტომ ზოგჯერ, რაც მასში ყველაზე უკეთესია, უყურადღებობით კარგავს, ამდენად ღმრთისმოსაობა არ იქნება, როგორც ადამიანთა შესახებ ვამბობთ, ისე ითქვას სულიწმიდის შესახებაც, რომ მასში პატივი მიეგება ღმრთეებას, რომელთანაც ნაზიარებია, მაგრამ ბუნებით მასთან არ თანამყოფობს. ეს ცხადად ეწინააღმდეგება გადმოცემას. **წარვედით,** ამბობს უფალი, **და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა**(მთ.XVIII,19). რადგან ნათლობა ბეჭედია რწმენისა, ხოლო რწმენა აღიარება ღმრთეებისა, ამიტომ ჯერ რწმენაა საჭირო და შემდეგ მისი ნათლობით აღბეჭდვა. ჩვენი ნათლობა, როგორც ეს უფალმა გადმოგვცა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ხდება, [ამასთან] ვერცერთი ქმნილება და ვერც მონა მამასა და ძეს ვერ შეედრება, რადგანაც სამებასა შინა ღმრთეება სრულია, ხოლო ყოველი, რაც მათ გარეშეა, ერთნაირად მონაა, თუნდაც ერთი მეორეს ღირსებათა მიხედვით დიდად აღემატებოდეს.

და შენც ნუღარ წამომიყენებ მე კვლავ ამგვარ ბრძნულ სიტყვებს:

ევნომ.: თუ ქმნილება არაა, მაშინ ან შობილია, ან უშობელი, მაგრამ ღმერთი ერთია და უშობელი და არც შობილი. ამიტომ რჩება, რომ მას ქმნილება ვუწოდოთ.

ბასილი: მე რომ ვფიქრობდე, რომ ჩვენი ცოდნით ყოველივეს მიღწევა შეიძლება, შემრცხვებოდა ჩემი უმეცრების აღიარებისა. მაგრამ ახლა, როგორც მათგან, რომელნიც ჩვენთვის მომავალ საუკუნეშია განმზადებული, ასევე იმათგანაც, რომელნიც ცათა შინა ახლა არსებობენ, არა მხოლოდ ათასობით საგანია დაფარული, არამედ ნათლად და უცილობლად იმასაც კი ვერ ვწვდებით, რაც ჩვენშია.

მაგალითად, მხედველობა: ჯერ ხილულთა გამოსახულებებს ვიღებთ და წარმოდგენა მათ შესახებ ამგვარად გვექმნება, მაგრამ ჩვენი ასე მცირე ზომის გუგა ხატს უდიდესი მთებისა, უვრცელესი დედამიწისა, ზღვარდაუდებელი ზღვისა და თვით ზეცისა როგორ მოიცავს? თუ ჩვენ ვგზავნით მათთან რაღაცას(τι) და როცა იგი ხილულ საგნებს მიუახლოვდება, მაშინ შევიგრძნობთ მათ; მაგრამ რა არის და რა დიდია იგი, რომ გავრცელებისას საკმარისი ხდება დედამიწისა და ზღვისათვის და გადის რა სივრცეს დედამიწასა და ცას შორის, თვით ზეცას ებჯინება და ისე სწრაფად მოძრაობს, რომ ახლომდებარე სხეულებიც და ვარსკვლავნიც ცასა შინა ერთდროულად შეიცნობა.

საჭიროა რაიმეს თქმა სხვათა შესახებაც?

რატომ არის საკვირველი, რომ ჩვენი უვიცობის აღიარება არც სულიწმიდის შესახებ შეგვრცხვეს და შეუსიტყვებლად მივუძღვნათ მას დიდებისმეტყველება, რომელიც წმინდა წერილშია დამოწმებული? წმინდა წერილის გადმოცემანი ხომ საკმარისად წარმოგვიჩენენ, რომ სულიწმიდა ქმნილებათა მაღლაა, რადგან არ შეიძლება ერთი და იგივე ბუნება ჰქონდეს განმწმენდსა და განწმენდილს, ვინც ასწავლის და ვინც სწავლობს, ვინც გამოცხადებას იძლევა და ვინც გამოცხადებას საჭიროებს.

არავინაა ისე სრულიად უგუნური, რომ გაკადნიერდეს და, გარდა ყოველთა ღმერთისა, უშობელი სხვას უწოდოს, ან ძე უწოდოს ვინმეს, რადგან მხოლოდშობილი ერთია. მაშინ რა უნდა ვუწოდოთ მას? სული წმიდაჲ, სული ღმრთისა, სული ჭეშმარიტებისა, რომელსაც მამა წარმოავლენს და ძის მიერ გვენიჭება; არა მონა, არამედ წმიდა, სახიერი, მეუფე, სული ცხოველსმყოფელი, სული შვილებისა(υἱοθεσίας), მცოდნე ყოველისა, რაც ღმრთისაა. ამგვარად, გაგება ერთობისა(μονάδος) სამებასა შინაც დაცული იქნება აღიარებით ერთისა მამისა, ერთისა ძისა და ერთისა სულისა წმიდისა.

მაგრამ მოაქვთ მტკიცებულებანი იმისა, რომ სულიწმიდა ქმნილებად იწოდება; ერთი მათგანი წინასწარმეტყველს ეკუთვნის, რომელიც ამბობს: **აჰა, ვინც ქუხილს ამტკიცებს და ქმნის სულს**(ამოს.IV,13), ხოლო მეორე სახარებიდანაა: **ყოველივე მის მიერ შეიქმნა**(ინ.I,13). ჩვენ გვჯერა, რომ წინასწარმეტყველური სიტყვა არა სულიწმიდას, არამედ სუნთქვას(πνοή) და ჰაერის დაბერვას(τὸ τοῦ ἀέρος πνεῦμα) მიემართება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წინასწარმეტყველს არ უთქვამს: შექმნა **სული,** არამედ **ქმნის** სულს, რადგან, ისევე როგორ მეხი არაა რაღაც დამოუკიდებელი, ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი სხეულებრივი სახე,

არამედ, ღმრთის ნებით, ყოველთვის კაცთა დასაშინებლად იქმნება და ისევ ირღვევა, ასევე ეს სულიც, ხან იქმნება, მდინარის მსგავსად ჰაერის დინებისას, ხან ისევ წყდება და ისეთივე მშვიდი ხდება, როგორიც ამოძრავებამდე იყო, ნებისაებრ მისისა, ვინც ყოველთა განაგებს, დასაცავად და შესაერთებლად ყველა საგნისა.

ასე რომ, ყველა ქმნილება მეხებით, ქარებითა თუ სხვა ქმედებებით შემოქმედზე იუწყება. შემდგომად ამ სიტყვებისა: **აჰა, ვინც ქუხილს ამტკიცებს და ქმნის სულს,** ამიტომაც ამბობს წინასწარმეტყველი: **და მიმთხრობი კაცთადმი ცხებულსა მისსა.** რადგან ვითარცა **ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა**(ფს. XVIII,1), ასევე მათთვისაც, რომელთაც ამათგან შემოქმედის ხელოვნებაზე დასკვნის გაკეთება შეუძლიათ, მეხთა გრგვინვაც და ქართა აღძვრანიც თავიანთ შემოქმედზე ქადაგებენ. შეიძლება ეს წინასწარმეტყველებაც იყოს განკაცებაზე(ἐναν θρώπησιν) უფლისა, როცა ზეციდან მოისმა ხმა, რომელიც მსმენელებს ქუხილად მოეჩვენა და რომელიც ღმრთისა და მამისაგან გამოდიოდა, რათა ადამიანებისათვის ქრისტე განეცხადებინა. აღძრულმა ქარებმა და მშფოთვარე ზღვამ, რომელნიც შემდეგ ბრძანებით უფლისა(მთ.VIII,24) დაწყნარდნენ, ასევე ნათლად აუწყეს ადამიანებს ქრისტეს შესახებ.

ხოლო სიტყვები: **ყოველივე მის მიერ შეიქმნა,** სრულიად არ ამტკიცებს, რომ სულიწმიდა შექმნილია და თითქოს სიტყვაში „ყოველივე“ ისიც იგულისხმება, უკეთუ სულიწმიდა ერთია და მხოლო, როგორ შეიძლება ბუნებით ერთადერთი(μονάδικης) ყოველთა შორის შეირაცხოს? დაე, ნურავინ იფიქრებს, რომ სულიწმიდის ქმნილებად აღიარების უარყოფით, მისი ჰიპოსტასიც უარყოფილი იქნება.

ღმრთისმოსავი გონება ფრთხილობს სულიწმიდის შესახებ წარმოთქვას ის, რაც წმიდა წერილში არაა ნათქვამი და სწამს, რომ გამოცდილებითი და ზუსტი წვდომა ჩვენ მომავალ საუკუნეში გველოდება, როცა სარკითა და სახით ხედვიდან ჭეშმარიტ ხედვაზე გადავალთ და მისი პირისპირ ჭვრეტის ღირსნი გავხდებით.

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი

ეპიტაფია ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსისა[1]

ბასილი დიდმა, ვინც სიტყვებისათვის მუდმივად მრავალ საგანს მთავაზობდა (რადგან ჩემი სიტყვებით თავი ისე მოჰქონდა, როგორც არავის საკუთარი სიტყვებითაც არ მოუტანია), ამჯერად მჭევრმეტყველებაში ღვაწლის გასაწევად თავისი თავი შემომთავაზა, – თემა, ფრიად მაღალი თვით მათთვისაც, რომელნიც სიტყვათა თხზვაში გაწვრთნილნი არიან, რადგან, ვფიქრობ, ვინმეს რომ მჭევრმეტყველებაში ძალა ეცადა და შემდეგ მისთვის საზომის დადგენა მრავალთაგან ერთ რომელიმე საგანზე წარმოთქმული სიტყვით მოესურვებინა, როგორც მხატვრები იღებენ ხოლმე თავიანთი თავისთვის სანიმუშო სურათებს, გვერდს სწორედ, ვითარცა სიტყვებისათვის მიუწვდომელს, ბასილის თემას აუვლიდა და დანარჩენთაგან პირველს აირჩევდა.

ძნელია ამ კაცის შექება არა მხოლოდ ჩემთვის, ვინც უკვე კარგა ხანია პატივის ძიებაზე ხელი ავიღე, არამედ მათთვისაც, რომელთაც ცხოვრება სიტყვის მსახურებას მიუძღვნეს, გულმოდგინე ჯაფა მხოლოდ მისთვის გასწიეს და დიდების მოხვეჭასაც მისით ცდილობდნენ. ეს საქმე მე ასე მაქვს წარმოდგენილი და დარწმუნებულიც ვარ, რომ ძალიან სწორადაც. მაგრამ ახლა თუ არა, როდის უნდა გამოვიყენო ხელოვნება სიტყვისა; ამასთან, რა შეიძლებოდა უფრო სასიამოვნო ყოფილიყო ან ჩემთვის, ან სათნოებათა მაქებელთათვის, ან თავად სიტყვისთვისაც, ვიდრე ქება ამ საკვირველი კაცისა. ჩემი მხრიდან, ეს საკმარისი იქნება ვალის მისაგებადაც, რადგან ჩვენ, ვითარცა რაღაც სხვა ვალი სხვებისა, კეთილთა კაცთა ვალიც გვმართებს, ოღონდ სიტყვით. ეს სიტყვა მათთვის ერთდროულად ტკბობის მიმნიჭებელიც იქნება და სათნოებისაკენ მომწოდებელიც. ცხადია ხომ, რასაც საქებრად შევიცნობ, იმაში წარვემატები კიდეც, ამიტომაც არ არის საყოველთაო წარმატებანი იქ, სადაც არ არის სათნოებათა საყოველთაო ქებანი. თავად სიტყვა ორივე შემთხვევაში კეთილი საქმე იქნება. უკეთუ იგი შესაქების ღირსებას მიუახლოვდება, ამით თავის ძალას წარმოაჩენს, ხოლო უკეთუ დიდწილად ჩამორჩება(რაც უცილობლად დაემართება ყველას, ვინც ბასილის ქებას შეუდგება), დამარცხებას საქმით ცხადყოფს, რადგან აჩვენებს, რომ შესაქები სიტყვის ძალას აღემატება.

2. ასეთია ის მიზეზები, რომელთაც სიტყვის წარმოსათქმელად აღმძრეს და რომელთა გამოც ამ ღვაწლს შევუდექი. ის, რომ ამ საქმეს ასე გვიან და მას შემდეგ მოვკიდე ხელი, რაც ბასილს მრავალმა შეასხა ქება და როგორც

[1] თარგმნილია ტექსტიდან: Εἰς τὸν μέγαν Βασίλειον ἐπιτάφιος (PG, t. 36).

პირისპირ, ისე სახალხოდ განადიდა, ნურავის გააკვირვებს. დაე, შემინდოს ღმრთეებრივმა სულმა, რომელსაც ყოველთვის, როგორც ახლა, ასევე ადრეც, პატივს მივაგებდი. ვიდრე ჩვენთან იყო, მეგობრობის წესითა და ყველა კანონზე უმჯობესი კანონით, ბევრი რამ გამოასწორა ჩემში(არ მერიდება ამის თქმისა, რადგან იგი საერთოდ ყველასათვის სათნოების კანონი იყო), და ახლაც, როცა ჩვენგან ამაღლდა, მოწყალე იქნება ჩემ მიმართ. შემინდონ თქვენ შორის მათაც, რომელნიც ბასილის უფრო მხურვალედ აქებენ, თუკი რომელიმე თქვენგანი მართლაც უფრო მხურვალეა მისი ქებისას და ყველანი ერთნაირი მგზნებარებით არ განადიდებთ მას. არა უგულო დამოკიდებულებისა გამო მოგვრჩა ეს საქმე, ან კი როგორ ვიქნებოდი ოდესმე ასე უგულებელმყოფელი სათნოებისა ან მეგობრული სიყვარულისა, არცა იმის გამო, თითქოს ვთვლიდი, რომ მისთვის ქების შესხმა ჩემზე მეტად სხვებს შეეფერებოდა; არამედ, სიმართლე რომ ითქვას, არ ვჩქარობდი სიტყვის წარმოთქმას, უწინარესად იმიტომ რომ, იმათ მსგავსად, რომელნიც მღვდელმოქმედების შედგომას აპირებენ, ჯერ ბაგენი და გონება უნდა განმეწმინდა. შემდეგ: თქვენც იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, როგორი მოუცლელიც ვიყავი ამ ხნის განმავლობაში იმ ბრძოლის გამო, რომელსაც ჭეშმარიტი მოძღვრების საფრთხისაგან დასაცავად ვეწეოდი და როგორ წავედი კეთილი იძულებით, ალბათ, ღმრთის ნებითაც და არც თვით ამ ჭეშმარიტებისათვის მამაცი მებრძოლის, ვინც სულს მხოლოდ ღმრთისმოსავი და მთელი სამყაროს მხსნელი მოძღვრებით ითქვამდა, სურვილის საწინააღმდეგოდ, მშობლიური მხარიდან.

ასეთია ჩემი თავის მართლება და დაე, აქ დასრულდეს იგი: ვფიქრობ, მისი გაგრძელება საჭირო არაა, რადგან საქმე ბასილთან და თქვენთან მაქვს, რომელთაც ჩემი მდგომარეობა კარგად იცით. უკვე დროა, თვით შესხმაზე გადავიდე და სიტყვა მისსავე ღმერთს მივუძღვნა; ხოტბით არც იგი შეურაცხვყო და დიდად არც სხვებს ჩამოვრჩე, თუმცა მას ყველანი ერთნაირად ჩამოვრჩებით, ვითარცა ისინი, რომელნიც ზეცისა და მზის სხივების წინაშე დგანან და მათ უჭვრეტენ.

3. საკუთარი წარმომავლობითა და მისი გვარიდან გამოსული ადამიანებით, ან სხვა რაიმე ნაკლებმნიშვნელოვანით, რომელსაც ამა ქვეყანისანი აფასებენ, ბასილის თავმომწონეობა რომ დამენახა, იმდენი კარგი რამის თქმა შემეძლო მის წინაპრებზე, რომ მოღვაწეთა ახალ სიას მივიღებდით; ამასთან, სხვა ისტორიულ მოთხრობებს არა თუ ჩამოვრჩებოდი, არამედ მათთან შედარებით უპირატესობაც მექნებოდა, რადგან თავს არა გამონაგონებითა და ზღაპრებით, არამედ თვითონ საქმეებით მოვიტანდი, რომელთაც მრავალი მოწმე ჰყავთ. პონტო ხომ მამის მხრიდან მისი წინაპრების შესახებ მრავალ იმგვარ გადმოცემას გვთავაზობს, რომლებიც არაფრით არიან უდარესნი მისსავე ძველ საკვირველებებზე(θαυμάτιον), რომლებითაც სავსენი არიან ისტორიული და

პოეტური თხზულებანი[2]. პატივსაცემი კაპადოკიელები, – ეს ჩემი მშობლიური მხარეცაა და კარგი ახალგაზრდობის აღზრდით არა ნაკლებ გამოირჩევა, ვიდრე ჯიშიანი ცხენებით, – მრავალ ისეთ რამეს გადმოგვცემენ, რომლებითაც შეიძლება დედის მოდგმა მამისას გავუტოლოთ.

მხედართმთავარნი და ხალხის მმართველნი, სამეფო კარზე ძალაუფლების მქონენი, ასევე მდიდარნი და მაღალ ტახტთა ზედა მსხდომნი, სამოქალაქო პატივით შემოსილნი და ბრწყინვალე მჭევრმეტყველნი, ამ ორ გვარს შორის რომელს უფრო მეტი და დიდი ჰყავდა? ჩვენ რომ მათ შესახებ საუბარი მოგვესურვებინა, რაც შეიძლებოდა კიდეც, ჩვენ წინაშე უმნიშვნელოდ წარმოჩნდებოდა შთამომავალნი პელოპსისა[3], კეკროპსისა[4], ალკმეონისა[5], ეაკესისა[6], ჰერაკლესი[7] და მათზე კიდევ უფრო ამაღლებულთა(ცნობილთა). რამდენადაც ზოგიერთებს საკუთარ საქმეთა შესახებ განცხადებულად არაფრის თქმა შეუძლიათ, ამიტომაც დაფარულთ, რაღაც დემონებსა და ღმერთებს მიმართავენ და წინაპართა შესაქებად მოაქვთ მითები, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვანი არასარწმუნოა, ხოლო სარწმუნო – შეურაცხმყოფელი.

4. მაგრამ რადგანაც ჩვენი სიტყვა ეხება კაცს, ვინც ფიქრობდა, რომ კაცი გარეშეთაგან ნასესხებით კი არ უნდა დაიხატოს, არამედ მისი კეთილშობილება მისივე ღირსებებით უნდა განისაჯოს, ისევე როგორც ცხენთა აღნაგობას თუ ფერებს, ჯიშიანობას თუ უჯიშობას თვითონ მათივე მიხედვით ვაფასებთ. ამიტომ მის წინაპართა საქმეთაგან ერთს ან ორს გავიხსენებ, რომელიც მის ცხოვრებასაც ენათესავება და რომელთა თხრობითაც თვითონაც გაიხარებდა, და ისევ მას მივუბრუნდები.

---

[2] ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ პონტოს ძველ საკვირველებებში მხოლოდ და მხოლოდ არგონავტების კოლხეთში მოგზაურობა უნდა იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, რომ ამ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ამბებს ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ სწორედ საკვირველს უწოდებენ(თემისტიოსი, აგათია სქოლასტიკოსი). პონტოს საკვირველებებში არგონავტების თქმულებას გულისხმობს ტექსტის ქართულ ენაზე გადმომღები ეფრემ მცირეც, რომელიც ამ ადგილისათვის გაკეთებულ კომენტარში განგვიმარტავს, რომ ხსენებული ისტორიული თხულებების ავტორები ქსენოფონტი და პოლიბიოსი უნდა იყვნენ, ხოლო პოეტური ქმნილების „არგონავტიკის“ ავტორი – აპოლონიოს როდოსელი. მაშასადამე, გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვეუბნება, რომ ბასილის პონტოელი წინაპრები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ შორეულ წინაპრებს, რომელთაც არგონავტების მითში მოთხრობილი საკვირველი ამბები უკავშირდებოდათ. ამიტომაცაა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ეს დამოწმება ქართულ მეცნიერებაში ბასილი დიდის ქართული წარმომავლობის ერთ-ერთ საბუთად გამოყენებული(ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობებისათვის, თბ., 1983). საინტერესოა ისიც, რომ გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბასილის წინაპრებს ცნობილი ბერძენი გმირების შთამომავლებს უპირისპირებს და უპირატესობას ბასილის წინაპრებს ანიჭებს. ბასილი დიდის ეროვნული წარმომავლობის შესახებ იხ.: ბასილი დიდი, თხზულებანი, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა და შესავალი დაურთო გ. კოპლატაძემ, თბ., 2003.

[3] პელოპსი (ὁ Πέλοψ) – წარმოშობით ლიდიელი, ტანტალოსის ვაჟი, ნიობეს ძმა, ჰიპოტამიას მეუღლე, ატრევსის მამა, მეფე ელიდიასი და არგოსისა.

[4] კეკროპსი (ὁ Κέκροψ) – პელაზგთა ლეგენდარული გმირი; გადმოცემის მიხედვით, პირველი მეფე ატიკისა და დამაარსებელი ათენისა.

[5] ალკმეონი (Ἀλκμαίων) – ნესტორის შთამომავალი, წინაპარი ათენელი ალკმეონიდებისა.

[6] ეაკესი (Αἰακής) – პოლიკრატე სამოსელის მამა; ეაკიდები – ეაკესის შთამომავალნი პელევსი, ტელამონი, აქილევსი და აიაქს ტელამონიდი იყვნენ.

[7] ჰერაკლე (Ἡρακλῆς) – ზევსისა და ალკმენეს ვაჟი, მთავარი გმირი ბერძნული მითოლოგიისა.

ყოველ გვარს და მის ცალკეულ წევრს რაღაც განმასხვავებელი თვისება აქვს და მის შესახებ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გადმოცემა არსებობს, რომელიც სათავეს შორეულსა თუ ახლო წარსულში იღებს და, მსგავსად მამისეული მემკვიდრეობისა, თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთი განმასხვავებელი ნიშანი ბასილის მოდგმისათვის ორივე მხრიდან ღმრთისმოსაობა იყო, რასაც ახლა სიტყვა წარმოაჩენს.

5. იყო დევნულება, – დევნულებათაგან ყველაზე საშინელი და მძიმე. მაქსიმინეს ცნობილ დევნაზე ვამბობ, რომელიც გამოჩნდა რა შემდგომად მრავალი მისი წინამორბედი მდევნელისა, იმგვარი უტიფარი თავხედობითა და სიჯიუტით ცდილობდა უსჯულოებისათვის გამარჯვების მოპოვებას, რომ ისინი კაცთმოყვარეებად წარმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ჩვენს მოღვაწეთაგან მრავალმა სძლო მას, ზოგიერთებმა გამარჯვება სიკვდილით მოიღვაწეს, ზოგიერთებმაც ლამის სიკვდილით, რადგან მხოლოდ იმიტომ გადარჩნენ, რომ გამარჯვებულებს ეცხოვრათ, ამ ქვეყნიდან ბრძოლით არ წასულიყვნენ და სხვებისთვის სათნოების მასწავლებლებად, ცოცხალ მოწამეებად, გასულიერებულ ძეგლებად, რომელნიც მდუმარედ ქადაგებენ, დარჩენილიყვნენ. მრავალთა შორის ბასილის მამის წინაპრებიც ირიცხებიან, რომელთაც მთელი გზა ღმრთისმოსაობისა იმგვარი ღვაწლით განვლეს, რომ იმ საშინელმა დრომ მათ მშვენიერი გვირგვინები მოუტანა, თუმცაღა მზად იყვნენ სიხარულით დაეთმინათ ყოველივე, რომელთა გამოც ქრისტე ჩვენთვის გაწეული საკუთარი ღვაწლის მიმბაძველებს გვირგვინოსანყოფს.

6. მათ იცოდნენ, რომ ღვაწლიც კანონიერი უნდა იყოს(ხოლო კანონი მოწამეობისა ისაა, რომ როგორც მდევნელთა, ასევე უძლურთა დასანდობად საკუთარი სურვილით არ უნდა ესწრაფვათ ღვაწლისათვის, მაგრამ არც წარდგომისას უნდა გაქცეოდნენ მას, რადგან პირველი თავხედობაა, ხოლო მეორე – სიმხდალე. ამიტომ, სჯულმდებელისათვის პატივი ამითაც რომ მიეგოთ, რა მოიფიქრეს? ან, უკეთ რომ ვთქვათ, საით წაიყვანა ისინი განგებამ, რომელიც ყოველთა მათთა საქმეთა წარმართავდა? მათ პონტოს მთებში, სადაც ვრცლად გადაჭიმული ულრანი ტყეები ჰქონდათ, თავი ერთ-ერთს შეაფარეს, რამდენიმე მახლობელსა, რომელთაც მათი ლტოლვილობა გაიზიარეს, და მსახურებთან ერთად, რომელნიც საზრდელის მოპოვებაში უნდა შეწეოდნენ. დაე, სხვები გააკვირვოს როგორც ხანგრძლივობამ დროისა(რადგან, როგორც ამბობენ, ლტოლვილობა შვიდ წელს, შეიძლება ცოტა მეტ ან ნაკლებ ხანსაც, გაგრძელდა), ისე ცხოვრების ნირმაც იმ ადამიანებისა, რომელნიც მათთვის უჩვეულო პირობებში, იწროებასა შინა, ბუნებრივია, ღია ცის ქვეშ, უდაბნოში ყინვით, სიცხითა და წვიმებით იტანჯებოდნენ მეგობართა გარეშე, ადამიანებთან ურთიერთობასა და თანაზიაროზას მოკლებულნი; და რამდენად დიდი იქნებოდა ეს ტანჯვა მათთვის, რომელნიც ადრე მცველთა სიმრავლითა და პატივისმიმგებელთა მიერ იყვნენ გარემოცულნი? მაგრამ მე კიდევ უფრო მნიშვნელოვანისა და საკვირველის თქმას ვა-

პირებ და არავინ იქნება ისეთი, რომელიც მას არ დაიჯერებს, გარდა იმისა, ვინც ქრისტესათვის დევნულებასა და ჭირთათმენას დიდ რამედ არ მიიჩნევს, რადგან ის ცუდად და არასწორად ესმის.

7. ამ კეთილშობილ მოღვაწეებს, ხანგრძლივი გასაჭირით დაქანცულებს, შეიძლება კიდევაც ჰქონდათ სურვილი რაღაც სასიამოვნოს მიღებისა, მაგრამ ხმამაღლა არ გამოთქვამდნენ და არ დვრტვინავდნენ განსხვავებით ისრაელიანებისაგან, რომელნიც, ეგვიპტიდან გამოქცეულნი, უდაბნოსა შინა განცდილ ჭირთა გამო ჩიოდნენ და ამბობდნენ, რომ უდაბნოს ეგვიპტე სჯობდა, რადგან იქ ხორცით სავსე ქვაბებიც მრავლად ჰქონდათ და ბევრი სხვა რამეც, რასაც აქ მოკლებულნი იყვნენ(გამს.XVI,2-3). მაშინ ხომ მათთვის, უგუნურებისა გამო, აგურების გამოწვა და თიხა არაფერს ნიშნავდა.

პირიქით, რამდენად უფრო დიდი ღმრთისმოსაობა და რწმენა ჰქონდათ, რადგან ამბობდნენ: „რატომ არის დაუჯერებელი, რომ საკვირველებათა ღმერთმა, რომელმაც უდაბნოსა შინა მოხეტიალე ლტოლვილ ერს პური უწვიმა, ფრინველნი უხვად უწყაროვა და განაძღო, მისცა რა საზრდელი არა მხოლოდ არსებობისათვის კმასაყოფელი, არამედ მდიდრული; მისთვის განაპო ზღვა, დააყენა მზე და უკუნ-აქცია დინება მდინარისა, და ამათ ურთავდნენ სხვა საქმეებსაც, რომელნიც ღმერთმა აღასრულა(მსგავს შემთხვევებში ხომ სულს უყვარს მათი გახსენება და განდიდება ღმრთისა მის მიერ ქმნილთა სასწაულთათვის), – და რატომ არ უნდა გვჯეროდეს, – განაგრძნობდნენ ისინი, რომ დღეს საზრდელს გვიბოძებს ჩვენც, რადგანაც ღმრთისმოსაობისათვის ვიღვწით? მრავალი ცხოველი, რომელიც მდიდართა სუფრას გადაურჩა, როგორც ოდესღაც ჩვენ სუფრასაც, ხომ ამ მთებში ბინადრობს! განა თავთა ზედა ჩვენთა არ დაფრინავს საჭმელად ვარგისი ბევრი ფრინველი, რომელთა ჭამაც გვსურს და მათგან რომელი დარჩება მოუნადირებელი, უკეთუ შენ ინებებ? – ასე მიმართავდნენ ღმერთს და ნადავლიც გამოჩნდა საკუთარი ნებით მდიდრული ნადიმისათვის. საიდან გაჩნდნენ მყისვე სერსა ზედა ირემნი? და როგორი დიდები და მსუქნები! დაკლვის მოწადინენი თითქოს წყენას გამოხატავდნენ, ადრე რომ არ იქნენ მოხმობილნი. ერთნი ნიშანს იძლეოდნენ მონადირებისათვის, მეორენი მათ მოსდევდნენ. ვინ მოერეკებოდა, ან ვინ აიძულებდა? არავინ. რომელ ცხენოსნებს გამოურბოდნენ, ან რომელ ძაღლებს, ყეფასა და შეძახილებს, ან იქნებ, როგორც ამას ნადირობის წესი მოითხოვს, ყველა გასასვლელი ახალგაზრდებს ჰქონდათ ჩაკეტილი? ისინი ლოცვითა და მართალი სათხოვარით იყვნენ შეკრულნი. ვის უხილავს ესევითარი ნადირობა ახლა, ანდა ოდესმე?

8. ჰოჲ, საკვირველებავ! ნადირობას თვითონ ნადირნი განაგებდნენ: იმდენი მოდიოდა, რამდენიც ნებავდათ, ხოლო დანარჩენები მომავალი სუფრისათვის უღრან ტყეებში იგზავნებოდნენ. მზადმყოფნი მზარეულნი, სუფრა მშვენიერი, მადლიერნი თანამეინახენი, რომელთაც ამ სასწაულმა სასოება მომავლისა

ჩაუსახა! ამიტომაც იმ ღვაწლს, რომლის გამოც ეს ხდებოდა, კიდევ უფრო დიდი გულმოდგინებით ეწეოდნენ.

ასეთია ჩემი მონათხრობი. ახლა შენ გვითხარი, ჩემო მდევნელო, რომელსაც მითები გაოცებს, ირმების მომნადირებელი ორი უბედური მონადირის – ორიონისა[8] და აქტეონის[9] შესახებ და იმ ირემზეც, რომელმაც ქალწული შეცვალა;[10] გვითხარი, თუკი პატივმოყვარეობას შენსას ისიც კმა ეყოფა, რომ შენს მონათხრობს მითად არ მივიღებთ; მაგრამ გაგრძელება თქმულებისა ხომ ფრიად სამარცხვინოა, რადგან რა სარგებელი მოიტანა ამ შეცვლამ, უკეთუ ქალწული იმისთვის გადარჩა, რომ უცხოთმკვლელობა ესწავლა და კაცთმოყვარების წილ კაცთმძულვარება შეეთვისებინა?[11]

მრავალთაგან ერთი სასწაულის შესახებ მოგითხრეთ, მაგრამ, ვფიქრობ, იგი მრავალს უტოლდება და მოგითხრეთ არა იმიტომ, რომ ბასილის დიდებულებისათვის რამე შემემატებინა, რამეთუ, ვითარცა ზღვა არ საჭიროებს მდინარეთა ჩადინებას, თუმცა მასში მრავალნი და დიდ-დიდნი მდინარენი ჩაედინებიან, ასევე მის დიდებასაც, ვისაც ახლა ვაქებ, არ სჭირდება სხვებისაგან რაიმეს შემატება, არამედ, რათა მეჩვენებინა, თავიდანვე რა მაგალითები ჰქონდა და სათნოების რა სანიმუშო სახეებს ხედავდა, რომელთაც შემდეგ თვითონ აღემატა. უკეთუ სხვები პატივის ასამაღლებლად ცდილობენ რაღაცით წინაპრებს დაესესხონ, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვითარცა უკუქცეულ მდინარეს თვითონ განედიდებინა ისინი.

9. ბასილის მშობელთა შეუღლება უფრო სათნოებისაკენ თანაბარი სწრაფვა იყო, ვიდრე ხორციელი ერთობა და მრავალი განმასხვავებელი ნიშანიც ჰქონდა: გლახაკთა დაპურება, უცხოთშეწყნარება, თავშეკავებით სულის განწმენდა,

---

[8] ორიონი – ბერძნულ მითოლოგიაში გოლიათი, ვაჟი პოსეიდონისა და ევრილეასი, ან მხოლოდ გეასი(დედამიწისა). იგი არტემიდეს ისრით დაიღუპა, რადგან გაკადნიერდა და ნადირობის ქალღმერთი შეჯიბრში გამოიწვია.

[9] აქტეონი – ბერძნულ მითოლოგიაში თებეს მეფის კადმოსის ქალიშვილის ავტონოეს ვაჟი. ნადირობის დიდად მოტრფიალე ამ საქმეში კენტავროსმა ქირონმა გაწვრთნა. იგი არტემიდემ ირემად გადააქცია, რადგან ქალღმერთს მდინარეში ბანაობისას შეასწრო თვალი. ირემად გადაქცეული აქტეონი საკუთარმა ძაღლებმა დაგლიჯეს.

[10] არტემიდემ საკურთხეველზე დაკვლას გადარჩენილი ქალწული ტავრისში გადაიყვანა, სადაც იგი მისი ტაძრის ქურუმი გახდა. იფიგენიას, როგორც ქურუმს, ევალებოდა ყველა უცხოელი, რომელიც კი ტავრისში მოხვდებოდა, ქალღმერთისათვის მსხვერპლად შეეწირა. ამ მოვალეობის ასრულებისას იგი კინაღამ საკუთარი ძმის – ორესტეს მკვლელი გახდა, რომელიც ტავრისში აპოლონის ბრძანებით ჩავიდა, არტემიდეს ხის კერპის წამოსაღებად. საბედნიეროდ, და-ძმამ ერთმანეთი იცნო და ერთი დანაშაულის ჩადენას გადაურჩა, ხოლო მეორე – სიკვდილს. იხსენებს რა ამ მითს, გრიგოლ ღმრთისმეტყველს აქცენტი მის ზნეობრივ ღირებულებებზე გადააქვს, როცა სვამს კითხვას: რა მნიშვნელობა ჰქონდა იფიგენიას გადარჩენას, თუკი იგი ამ გადარჩენის შედეგად უწყალო მკვლელი გახდებოდა?

[11] ქალწულში მიკენის მეფის, აგამემნონისა და კლიტემნესტრას ასული იფიგენია იგულისხმება. როცა ტროაზე გასალაშქრებლად მიმავალი ბერძნული ფლოტი ზურგქარის მოლოდინში ბეოტიის ნავსადგურ ავლისში დაყოვნდა, მისანმა კალქასმა განაცხადა, რომ დაყოვნების მიზეზი ქალღმერთ არტემიდეს რისხვა იყო, რომელიც აგამემნონმა შეურაცხყო და ახლა ამ შეურაცხყოფის გამოსასყიდად მისგან მისი ქალიშვილის, იფიგენიას მსხვერპლად შეწირვას ითხოვდა. აგამემნონმა თავისი ასული მიკენიდან ავლისში თითქოს აქილევსზე დაქორწინების მიზნით მოიხმო, მაგრამ მსხვერპლშეწირვისას ქალღმერთმა უდანაშაულო ქალწული შეიბრალა, საკურთხევლიდან გაიტაცა და იგი ირმით შეცვალა.

ქონებიდან ნაწილის ღმრთისთვის შეწირვა(მაშინ ამ საქმეს ბევრი მოშურნე ჰყავდა, როგორც ახლა, როცა იგი განმრავლდა და უწინდელი მაგალითების მიხედვით, საპატიო გახდა) და კიდევ მრავალი სხვა, რომელიც პონტომ და კაპადოკიამ ერთმანეთს შორის კიდევაც რომ გაიყონ, მაინც საკმარისი იქნება მრავალთა სასმენელთა აღვსებისათვის. მაგრამ მე ყველაზე დიდად და უსაჩინოესად შვილკეთილობას მივიჩნევ, რადგან ერთ ოჯახში ასეთი შვილმრავლობისა და შვილკეთილობის მაგალითი, შესაძლებელია, მხოლოდ ზღაპრებში იყოს. ხოლო ჩვენ ბასილის მშობლებთან დაკავშირებით, რომელთაც რომ არ ჰყოლოდათ კიდევაც ასეთი შვილები, თავიანთი თვისებებიც ეყოფოდათ განსადიდებლად, ეს ნამდვილად ვიცით და, პირიქით, სათნოებასა შინა რომ წარმატება არ ჰქონოდათ, იმგვარი შვილები ჰყავდათ, რომ შვილკეთილობით მაინც ყველაზე ამაღლდებოდნენ, რადგან როცა ნაშობთაგან საქებარი ერთი ან ორია, ამის მიზეზი შეიძლება ბუნებაც იყოს, ხოლო ყველას სრულქმნილება უკვე მშობელთა განცხადებულ ქებას წარმოადგენს. სწორედ ამას ცხადყოფს ნეტარი რიცხვი როგორც მღვდელთა და ქალწულთა, ისე ქორწინებულთა, რომელთაც ქორწინებამ ვერაფერი ავნო. რადგან სათნოებათა შინა წარმატებით პირველებს გაუთანაბრდნენ, თუმცა ამით ცხოვრების სახე აირჩიეს და არა – მოქალაქეობისა, სათნოებათა მსახურება ამგვარად აღასრულეს.

10. ვინ არ იცის ბასილის მამის – ბასილის ყველასათვის დიდი სახელი? მან მშობლისთვის სანუკვარი სურვილი აიხდინა, ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მან, მაგრამ ისე, როგორც კაცთაგან ვერავინ, რადგან სათნოებით ყოველთა ზედა აღმატებულმა პირველობა მხოლოდ შვილს დაუთმო. ვინ არ იცის ემელია? ეს სახელი ხომ მას წინასწარ ან იმისთვის ეწოდა, რომ ასეთი გამხდარიყო, ან შემდეგში თვითონ გახდა შესაფერისი იმ სახელისა, რომელიც წინასწარ ეწოდა. ჭეშმარიტად თანამოსახელე სიმწყობრისა(ἐμμελεία) ისევე ჩანდა დედათა შორის, ვითარცა მამაკაცთა შორის მისი მეუღლე.

უკეთუ კაცი, რომელსაც ახლა ვაქებ, რა თქმა უნდა, თავისი ბუნებით, ადამიანთა მსახურებას უნდა მისცემოდა, ვითარცა მათ ღმერთი ძველად უბოძებდა ხოლმე კაცებს საერთო სარგებლობისათვის, მაშინ მას არა სხვა, არამედ სწორედ ამგვარ მშობელთაგან შობა შეეფერებოდა, ისევე როგორც მათაც არა სხვა, არამედ სწორედ ამგვარი შვილის მშობლებად სახელდება. ასე მშვენივრად აღსრულდა და წარიმართა ყოველივე.

რადგანაც მორჩილებმა ღმრთის კანონისა, რომელიც მშობლებისათვის ყოველგვარი პატივის მიგებას გვიბრძანებს, ჩვენ მიერ მოხსენიებულ ბასილის მშობელთა ქებას დასაბამი მივეცით, ახლა უკვე თვითონ მასზე გადავიდეთ, მაგრამ წინასწარ ვიტყვი და ვფიქრობ, ყველა, ვინც მას იცნობდა, ნათქვამს ჭეშმარიტებად ჩათვლის, რომ ჩვენც და მათაც, ვინც მას აქებენ, მისი ენა უნდა გვქონდეს. რადგან, რამდენადაც თვითონ არის დიდებული ობიექტი ქებისა, ამდენად ძალაც სიტყვისა ამ ობიექტის შესაფერისი უნდა იყოს. რაც შეეხება

მის სილამაზეს, ძლიერებასა და სიმაღლეს, რომლებითაც, ვხედავ, ბევრნი ხარობენ, მათზე სიტყვა მსურველებს დავუთმოთ, არა იმიტომ, რომ ვიდრე ახალგაზრდა იყო და მასში ხორცზე სიბრძნისმოყვარება გაიმარჯვებდა, ამ მხრივაც ვინმეზე, ვისაც თავი ასეთი ნაკლებმნიშვნელოვანი რამეებით მოაქვს, უდარესი იყო, არამედ იმიტომ, იგივე არ განვიცადოთ, რასაც გამოუცდელი მორკინალები განიცდიან, რომელნიც თავიანთ ძალას ამაოსა და მეორეხარისხოვან ბრძოლათა შინა ამოწურავენ და ნამდვილი ბრძოლისათვის, რომელიც გამარჯვებას მოუტანს და გვირგვინით შეამკობს, ძალისაგან დაცლილები აღმოჩნდებიან. მინდა ვთქვა ის, რაც არცერთ შემთხვევაში არც ზედმეტი იქნება და არც უმიზნოდ ნასროლ სიტყვად აღიქმება და ამგვარად შევაქო.

11. ვფიქრობ, ჩვენთვის სიკეთეთაგან უპირველესი რომ სწავლაა, ამას ყველა, ვისაც გონება აქვს, აღიარებს; ამასთან, არა მხოლოდ ეს ჩვენი უპატიოსნესი განსწავლულობა, რომელიც სიტყვის ყოველგვარ შემკობას და პატივმოყვარებას უგულებელყოფს და მხოლოდ ხსნასა და გონებით მჭვრეტელობის სილამაზეს ეძიებს, არამედ გარეშეც, რომელსაც ვითარცა მზაკვრულს, საშიშსა და ღმრთისაგან ფრიად განმაშორებელს, ქრისტეანეთაგან ზოგიერთნი იმის გამო, რომ ცუდად აზროვნებენ, შეურაცხყოფენ და მოიძაგებენ. ზეცა, დედამიწა, ჰაერი და ყოველივე, რაც მათ ზედაა, იმიტომ, რომ ზოგიერთებმა ბოროტად მოიაზრეს და ნაცვლად ღმრთისა თაყვანი მათ სცეს, არ უნდა მოვიძულოთ. ჩვენ ხომ მათგან მრავალ სარგებელს ვიღებთ ჩვენისა ცხოვრებისა და ტკბობისათვის, ხოლო საშიშს გავურბივართ და არც უგუნურნი ვართ, რომ შემოქმედს ქმნილება დაუპირისპიროთ, არამედ პირიქით, შემოქმედს ქმნილებათაგან ვიაზრებთ, როგორც ამას ღმრთეებრივი მოციქული ამბობს: **წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა**(2კორ.X,5). ისევე როგორც არცა ცეცხლის, არცა საკვების, არცა რკინისა და არცა სხვა დანარჩენთა შესახებ არ შეიძლება თქმა, რომ რომელიმე მათგანი თავისთავად ან ყველაზე სასარგებლო, ან ყველაზე მავნებელია, არამედ ეს მათ გამოყენებაზეა დამოკიდებული და ცხოველთაგან ქვეწარმავლებსაც აქვთ რაღაც ისეთი, რომელსაც სამკურნალო საშუალებად წამლებში ვურევთ, ასევე ჩვენც მეცნიერებათაგან გამოკვლევანი და გონებით მჭვრეტელობანი შევიწყნარეთ, ხოლო რასაც დემონებისაკენ, ცდომილებისა და წარწყმედის უფსკრულისაკენ მივყავართ, ის უგულვებელვყავით. მათგან ჩვენ თვით ღმრთისმოსაობისთვისაც კი ვისარგებლეთ უდარესისაგან უკეთესის შესწავლით და მათი უძლურებისაგან ჩვენისა მოძღვრებისათვის ძალის შემატებით. ამიტომაცაა საჭირო არა შეურაცხყოფა სწავლულებისა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ უგუნურებად და უსწავლელებად მიჩნევა იმათი, რომელთაც არა მხოლოდ თვითონ აქვთ ასეთი აზრი, არამედ სურთ ყველანი მათ დაემსგავსონ, რათა საერთო უვიცობით საკუთარი დაფარონ და განუსწავლელობაში მხილებაც თავიდან აირიდონ. რამდენადაც ეს დავადგინეთ და ვაღიარეთ, მოდით

ახლა ბასილის ცხოვრება განვიხილოთ.

12. თავიდანვე, ჯერ კიდევ სახვევებში გახვეული, დიდისა მამისაგან განისწავლებოდა, რომელსაც იმ დროს პონტო სათნოების საერთო მასწავლებლად წარმოიდგენდა და იზრდებოდა რჩეულად და წმინდა ქმნილებად, რომელსაც ღმრთეებრივი დავითი მშვენივრად უწოდებს **დღისას** და ღამისას უპირისპირებს(ფს.138,16). იგი განსწავლიდა საკვირველ ბასილს ცხოვრებითა და სიტყვით, რომელნიც ყრმაში თანააღორძნდებოდნენ და ერთმანეთს ეწეოდნენ. მას არ მოჰქონდა თავი თესალიის რომელიღაცა მთის გამოქვაბულით[12], ვითარცა საწვრთნელით სათნოებათა შინა, არც ვინმე მზუაობარი კენტავროსით – მასწავლებლით მათი გმირებისა, არ უსწავლია მისგან არც კურდღლებისათვის სროლა, არც ნუკრთა დევნა, არც ირემთა მონადირება და არც გამარჯვების მოპოვება ბრძოლათა შინა, არც კვიცთა გახედვნა საუკეთესოდ და არც მისი გამოყენება ცხენადაც და მასწავლებლადაც, და არც ირემთა და ლომთა ტვინით გამოზრდილა, როგორც ამას მითები მოგვითხრობენ; არამედ იგი საერთო საგანმანათლებლო სწავლებით განისწავლებოდა და ღმრთისმოსაობასა შინა იწვრთნებოდა: მოკლედ რომ ითქვას, პირველი გაკვეთილებით მომავალი სრულყოფისაკენ მიემართებოდა, რადგან ისინი, რომელნიც ან მხოლოდ ცხოვრებით, ან მხოლოდ სიტყვით წარამეტებიან, ისე, რომ ერთის გამო მეორეს ტოვებენ, ვფიქრობ, არაფრით განსხვავდებიან ცალთვალა კაცთაგან, რომელთათვის ეს დიდი ნაკლია, როცა თვითონ იხედებიან და კიდევ უფრო სასირცხვო, როცა მათ უყურებენ. ხოლო ისინი, რომელნიც ორივეთი წარემატებიან და ორივე ხელეწიფებათ, სრულყოფილნი არიან და საიქიო ნეტარებას განიცდიან. ბასილისათვის კეთილისმყოფელი იყო ის, რომ სახე სათნოებისა შინა ჰყავდა. როგორც ჩვენ ვხედავთ კვიცებსა და ხბორებს, რომელნიც თავიანთ დედათა სიახლოვეს ხლტიან, ასევე ისიც მამის გვერდით კვიცის თავგამოდებით რბოდა, რათა სათნოების სიმაღლეებისაკენ სწრაფვაში არ ჩამორჩენოდა და თუ გნებავთ, მომავალი სათნოების სილამაზეზე ნიშანს იძლეოდა და ვიდრე დადგომამდე მკაცრი ცხოვრების ჟამისა, ვითარცა სურათზე, წინასწარ აკეთებდა მონახაზს იმისა, რაც ამგვარი ცხოვრებისათვის გამოადგებოდა.

13. როცა საკმარისად შეისწავლა, რისი შესწავლაც იქ შეიძლებოდა, რადგანაც მისთვის საჭირო იყო იმათგან, რაც კეთილია, არაფერი გამორჩენოდა, მსგავსად შრომისმოყვარე ფუტკრისა, რომელიც სასარგებლოს ყველა ყვავილისაგან იღებს, იქაურ სასწავლებლებში შესასვლელად კესარიას მიაშურა. კესარიაზე ვამბობ, ცნობილსა და ჩვენსაზე(რადგან იგი ჩემთვისაც იყო წინამძღვარი და მასწავლებელი სიტყვის ხელოვნების შესწავლისას),

[12] ბერძნულ მითოლოგიაში კენტავროსები ნახევრად ცხენები და ნახევრად ადამიანები იყვნენ, რომელნიც თესალიაში ცხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მათგან ყველაზე ცნობილს – ქირონს გულისხმობს, რომელიც ცნობილი ბერძენი მითოსური გმირების აქილევსის, თეზევსის, ასკლეპიოსის და სხვათა აღმზრდელად ითვლებოდა.

რომელსაც არანაკლებ შეიძლება ეწოდოს დედა მეცნიერებათა, ვიდრე დედა იმ ქალაქებისა, რომელნიც დაიმორჩილა და რომელთა ზედაც ხელისუფლება აქვს. ვინმემ რომ მას მეცნიერებათა ძალა მოაკლოს, ის მოაკლდება, რაც ყველაზე უკეთესი აქვს. უკეთუ სხვა ქალაქები სხვა, ძველითა თუ ახალი სამკაულებით ხარობენ, რადგან, როგორც ვფიქრობ, რაღაც მოსათხრობი ან სანახავი აქვთ, კესარიას მეცნიერებანი გამოარჩევს, ვითარცა ზედწარწერანი იარაღებსა და თხზულებებს.

ხოლო მომდევნო ამბებზე მათ მოგითხრონ, რომელნიც ბასილს ასწავლიდნენ; სახელდობრ, როგორი იყო იგი მასწავლებელთა და თანატოლთა შორის, როგორ უთანასწორდებოდა პირველებს და აღემატებოდა მეორეებს ყოველი სახის ცოდნით, როგორი დიდება შეიძინა მოკლე დროში როგორც უბრალო ხალხისაგან, ისე წარჩინებულთაგან ქალაქისა, როგორ წარმოაჩენდა ასაკთან შედარებით დიდ განსწავლულობას და განსწავლულობაზე უფრო დიდად ზნეობის სიმტკიცეს. იგი იყო ორატორი ორატორთა შორის უწინარეს ბრძენთა ტახტის მიღებისა, ფილოსოფოსი ფილოსოფოსთა შორის, უწინარესად მისი შესწავლისა და, რაც კიდევ უფრო დიდია, მღვდელი ქრისტიანებისათვის უწინარეს მღვდლობისა. რამდენად ჩამოუვარდებოდნენ მას ყოველნი ყოველსა შინა! სიტყვიერი ხელოვნებანი მისთვის ნაკლებმნიშვნელოვანს წარმოადგენდა და მათგან იმას კრებდა, რაც ჩვენს სიბრძნისმოყვარეობას შეეწეოდა, რადგან ძალა სიტყვისთვის ჩვენ გვჭირდება, რათა გონებით განჭვრეტილნი ნათლად გამოვხატოთ. აზრი, რომელიც სიტყვით არაა გამოხატული, მოძრაობაა ხომ გაშეშებულისა. მისთვის მთავარი სიბრძნისმოყვარება, ამა სოფლისაგან განშორება, ღმრთისა თანა ყოფა, მიწიერისა ამისა წილ ზეციურის მოგება და ნაცვლად დაუდგრომელთა და წარმავალთა, მდგრადთა და წარუვალთა შეძენა იყო.

14. იქიდან ბასილი ბიზანტიონს[13] მივიდა, რომელიც აღმოსავლეთში პირველი ქალაქია(რადგან იგი განთქმული იყო სრულად განსწავლული სოფისტებითა და ფილოსოფოსებით, რომელთაგან ბუნებრივად მახვილი გონებით მსწრაფლ შეისწავლა ის, რაც საუკეთესო იყო), ხოლო ბიზანტიონიდან კეთილთა სწავლათა მწყურვალი ღმერთმა ათენს წარავლინა, ათენს, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტად ოქროს ქალაქია და რომელმაც უფრო მეტი სიკეთე მომცა, ვიდრე რომელიმე სხვამ, რადგან იქ ეს კაცი, რომელიც ჩემთვის უცნობი არც მანამდე იყო, უფრო სრულად შევიცანი. მეცნიერებათა მაძიებელმა ბედნიერება შევიძინე, ვითარცა საულმა, ვინც **კარაულთა მამისათა ეძიებდა და მეფობაჲ პოვა**(Iმეფ.9,3) და გარეშე საქმით თვით საქმეზე მეტი მოივაჭრა.

აქამდე ბასილის შესაქები ჩვენი სიტყვა სწორ, სავალად ფრიად ადვილსა და ჭეშმარიტად სამეუფო გზასა ზედა კეთილად მიდიოდა. აქედან კი არ ვიცი სიტყვა როგორ გამოვიყენო და საითკენ წარვმართო, რადგან აღმართი ხვდება.

[13] კონსტანტინეპოლისი იგულისხმება, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინემ პატარა დაბის – ბიზანტიონის ადგილას ააშენა.

მოვიტანე რა სიტყვა ამ დრომდე, მინდა ნათქვამს რაღაც ჩემს შესახებაც შევმატო და ცოტა ხნით შევყოვნდე იმის მოსათხრობად – საიდან, როგორ და რისგან დაედო სათავე ჩვენს მეგობრობას, ანუ ერთსულოვნებასა და ერთმანეთთან შეზრდას, უკეთ რომ ვთქვა, ნათესაობას. ისევე როგორც მზერა ვერ წყდება ადვილად იმათ, რაც სახილველად მშვენიერია და ძალითაც რომ მოვწყვიტოთ, მაინც მათკენ მიიქცევა, ასევე არ უყვარს სიტყვასაც მიმზიდველ თხრობათა შეწყვეტა. მეშინია წამოწყებული საქმის სიმძიმისა, მაგრამ შევეცდები იგი ზომიერებით აღვასრულო, ხოლო უკეთუ რამდენადმე სურვილი გამიტაცებს, შეუნდეთ სურვილს, ყოველ სურვილზე უფრო სამართლიანს, რომლის არ განცდაც დანაკლისია მათთვის, რომელთაც გონება აქვთ.

15. ათენმა მიგვიღო ჩვენ ვითარცა ნაკადი ერთი წყაროსაგან, ანუ ერთი მამულისაგან გამოსული მდინარისა, რომელიც სწავლის სიყვარულმა გაყო და სხვადასხვა მხარეს გაიტაცა, მაგრამ მერე შეთანხმების, უფრო კი ღმრთის განგების შედეგად ისევ შეერთდა. ათენში მე მასზე ცოტათი ადრე ჩავედი, მალევე ჩამოვიდა ბასილიც, რომელიც დიდი სასოებითა და მადლობით მიიღეს, რადგან მისი სახელი მანამდეც მრავალს ეკერა პირზე, ვიდრე ჩამოვიდოდა. ყველასათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველს მიეტაცებინა იგი. უჯერო არ იქნება, სიტყვას, ვითარცა ტკბილეული, მცირე თხრობა დავურთო შესახსენებლად მათთვის, ვინც ეს იცის და სასწავლებლად მათთვის, რომელთაც ეს არ იციან.

ათენელ ჭაბუკთაგან უმრავლესთა და უგუნურთ, არა მხოლოდ უგვაროთა და უსახელოთაგან, არამედ კეთილშობილთა და წარჩინებულთაგანაც, რომელნიც ახალგაზრდული დაუოკებელი მისწრაფებებით უწესრიგო ბრბოს ემსგავსებიან, თავდავიწყებით უყვართ სოფისტები. როგორი განცდით უყურებენ შეჯიბრს ცხენთა სარბიელზე ცხენთა და სანახაობათა მოყვარულნი? ხტიან, ყვირიან, მტვრის ბულს აყენებენ, მსხდომარენი თითქოს ცხენებს მართავდნენ, ჰაერს ხელებს, ვითარცა შოლტებს ურტყამენ, ერთმანეთთან აუღლებენ და გამოხსნიან ცხენებს, თუმცა სინამდვილეში არაფერი შეუძლიათ; ადვილად უცვლიან ერთმანეთს მხედრებს, ცხენებს, საჯინიბოებს, სანახაობის წარმმართველებს, და ვინ არიან ესენი? უმეტესწილად გლახაკნი, უპოვარნი, რომელთაც ერთი დღის სამყოფი საკვების მოპოვებაც კი უჭირთ. სწორედ ამგავრ ვნებას განიცდიან ათენელი ახალგაზრდები თავიანთი მასწავლებლებისა და იმათ მიმართ, რომელნიც მათ დიდებას ეცილებიან. ისინი ზრუნავენ თავიანთი რიცხვის გამრავლებაზე, რათა მასწავლებლები შემომატებულთა ხარჯზე გაამდიდრონ. ეს საქმე საკმაოდ უცნაური და საშინელია, რადგან წინასწარაა მიტაცებული ქალაქები, გზები, ნავთსადგურები, მთათა მწვერვალები, ველები, უდაბნოები, ყოველი კუთხე ატიკისა და დანარჩენი ელადისა, თვით მოსახლეობის უმრავლესობაც კი, რომელსაც ერთმანეთში გულმოდგინედ ინაწილებენ.

16. ამიტომ, გამოჩნდება თუ არა ვინმე ახალგაზრდათაგანი, მტაცებელთა ხელში ვარდება(ან ძალით, ან ნებით); მათ აქვთ ასეთი ატიკური კანონი,

რომელშიც გართობა სერიოზულობასთანაა აღრეული. პირველად ისტუმრებს ვინმე მასზე ადრე მოსულთაგანი; ან მეგობართაგან, ან ნათესავთა, ან თანამემამულეთა, ან რომელიმე სოფისტიკაში დაწინაურებულთა და მასწავლებელთათვის შემოსავლის მომპოვებელთაგან, რის გამოც მათ დიდ პატივში იმყოფება, რადგან მხარდამჭერთა ყოლას, უკვე ჯილდოდ თვლიან. შემდეგ ახალმოსულს დასცინის ყველა, ვინც მოისურვებს. ამით, როგორც ვფიქრობ, უნდათ, აზროვნებით თავდაჯერებულობა შეუკვეცონ და თავიდანვე ხელში აიყვანონ. ერთნი მას თავხედურად დასცინიან, სხვანი გონებამახვილურად, რაც მის უხეშობასა ან კარგ აღზრდაზეა დამოკიდებული. ასეთი მოპყრობა, ვისთვისაც ის უცნობია, ფრიად საშიშია და უმოწყალო, ხოლო ვინც წინასწარ იცის, მისთვის დიდად სასიამოვნო და კაცთმოყვარული, რადგან უმეტესწილად მოჩვენებითია და არა მართლაც მუქარის შემცველი. შემდგომად ამისა, ახალმოსულს მოედნის გავლით საზეიმოდ მიაცილებენ. ეს საზეიმო გაცილება ამგვარია: დაეწყობიან რიგებში წყვილებად, ერთმანეთისაგან დაშორებით და ახალგაზრდას აბანომდე წინ მიუძღვებიან. მიუახლოვდებიან თუ არა აბანოს, ვითარცა გახელებულნი, იწყებენ ხმამაღლა ყვირილსა და ხტუნვას(ყვირილით იმას გამოხატავენ, რომ წინ წასვლა აღარ შეიძლება და უნდა გაჩერდნენ, რადგან აბანო მათ არ იღებს), გრუხუნით დაშინებულ ახალგაზრდას ბოლოს და ბოლოს შესასვლელს უთმობენ და თავისუფლებას აძლევენ, ხოლო აბანოდან გამოსულს, როგორც პატივით თანაბარს, ისე ხვდებიან და თავიანთ წრეში იღებენ. მთელს ამ ადათწესში ხელთდასხმისა ყველაზე სასიამოვნო სწორედ ეს მიყენებულ წყენათა უეცარი შეწყვეტა და შემაწუხებელთაგან თავის დახსნის განცდაა. მაშინ ჩემი და დიდი ბასილი არა მხოლოდ მე მივიღე პატივით, რადგან ვხედავდი მისი ზნეობის სიმტკიცესა და სწორ შეხედულებებს, არამედ სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც მანამდე არ ჰქონდათ შემთხვევა მისი გაცნობისა, დავარწმუნე, რომ ასე მოქცეოდნენ. ბევრიც, წინასწარ ჰქონდა რა ხმები მოსმენილი მის შესახებ, თვითონ სცემდა პატივს. და რა იყო შედეგი ამისა? ბასილი თითქმის ერთადერთი იყო მოსულთაგან, რომელიც საერთო კანონს გაექცა და უფრო დიდი პატივი მიიღო, ვინემ ახალმოსულს ეგებოდა.

17. ეს გახდა დასაწყისი ჩვენი მეგობრობისა. აქედან გაჩნდა ნაპერწკალი ჩვენი ახლო ურთიერთობისა და სიყვარულისა. შემდეგში ამას ერთი სხვა გარემოებაც დაერთო, რომელიც ღირსია გახსენებისა. აღმოვაჩინე, რომ ნათესავი სომეხთა არა წრფელი, არამედ ფრიად მზაკვარია, და მსგავსი წყალქვეშა კლდეებისა. მაშინ მოვიდა ბასილთან ზოგიერთი იმათგან, რომელნიც მათი მამებისა და წინაპართა ამხანაგობის გამო(ისინი ერთ სასწავლებელში სწავლობდნენ) შედარებით უკეთ იცნობდნენ და უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მასთან(თუმცა სინამდვილეში შურმა მოიყვანა და არა კეთილგანწყობამ), და კითხვები არა გონივრულად, არამედ უფრო საკამათოდ დაუსვეს. თავიდანვე იცოდნენ რა ბასილის ნიჭიერების შესახებ და ვერ აიტანეს რა

ის პატივი, რომელიც მაშინ უკვე ჰქონდა მოპოვებული, მის დამორჩილებას პირველივე თავდასხმით შეეცადნენ. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ თუმცა უფრო ადრე მოისხეს ფილოსოფიის მანტია და უფრო ადრე გაიწვრთნენ სიტყვის წარმოთქმაში, არანაირი უპირატესობა არ ჰქონდათ **ამ უცხოელისა[14] და ახალმოსულის წინაშე.** ხოლო მე, ათენის მოყვარულმა და უგუნურმა(რადგან თავდაპირველად შური ვერ ვიგრძენი და გარეგნულ სახეს ვენდე), როცა ისინი ბასილის მიერ ძლეულნი და გასაქცევად განმზადებულნი ვიხილე, მოშურნემ ათენის დიდებისა, ეს დიდება რომ მათ მიერ არ დამხობილიყო და მსწრაფლ არ შეურაცხქმნილიყო, ახალგაზრდების მხარე დავიჭირე, საუბარი განვაახლე, საქმე ჩემი ჩარევით შემოვატრიალე(მსგავს შემთხვევებში ხომ მცირე მხარდაჭერაც ყოვლის შემძლეა) და როგორც ნათქვამია: ბრძოლა გავათანაბრე(ილიადა XI,72). მაგრამ როცა საუბრის საიდუმლო მიზანი შევიცანი, რადგან მისი დაფარვა შეუძლებელი გახდა და თვითონვე ნათლად გაცხადდა, უეცრად შემოვტრიალდი, კიჩოთი უკან გავცურე, ბასილის გვერდით დავდექი და გამარჯვებისთვის ძალა შევმატე. მან მყისვე იგრძნო, რაც მოხდა, რადგან გონება უფრო მახვილი ჰქონდა, ვიდრე რომელიმე სხვას, წადიერებით აღივსო და, ჰომეროსის მიხედვით რომ გადმოვცე, სიტყვით ისე შეავიწროვა და დააბნია ეს კეთილშობილნი, და სილოგიზმებით ისე შემუსრა, ვიდრე საბოლოოდ არ აიძულა, გაქცეულიყვნენ და ძლევის გვირგვინი არ დაიდგა. ეს გახდა ჩვენი მეგობრობის მეორე, ოღონდ არა ნაპერწკალი, არამედ უკვე დამგზნები, აალებული, შორს მანათობელი კოცონისა.

18. გაბრუნდნენ რა სომეხნი უკან ისე, რომ მიზანს ვერ მიაღწიეს, წინდაუხედაობისა გამო თავს ფრიად კიცხავდნენ, მაგრამ ჩემზეც, ვითარცა ბოროტმზრახველზეც, დიდად განაწყენდნენ, მტრობა აშკარად გამომიცხადეს და არა მხოლოდ მათ, არამედ თვითონ ათენის გამცემს მიწოდებდნენ, რადგან მხილებულნი და სირცხვილეულნი პირველივე მცდელობისას ერთი კაცისაგან იქმნენ, ვისაც ამგვარი კადნიერების უფლება თუნდაც იმიტომ არ ჰქონდა, რომ ახალმოსული იყო.

კაცობრივი ვნება ასეთია. მსასოებელნი დიდისა, რაჟამს მსწრაფლ მივემთხვევით მას, რომლისთვისაც ვსასოებდით, იგი იმ წარმოდგენაზე უდარესი გვეჩვენება, რომელიც მის შესახებ მანამდე გვქონდა. ბასილისაც ეს განცდა გაუჩნდა, დაღვრემილი, გაღიზიანებული გახდა და აქ მოსვლისათვის თავს არ აქებდა; ეძიებდა იმას, რისი სასოებითაც ჩამოვიდა და ათენს ამაო ნეტარების ქალაქს უწოდებდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფს მწუხარებას დიდწილად მე ვუქარვებდი, ხან ლოგიკური მტკიცებულებებით ვეწეოდი, ხანაც მსჯელობებით ვამშვიდებდი(რომელიც, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი იყო) და ვეუბნებოდი, რომ, როგორც კაცის ხასიათის გამოცნობა არ მიიღწევა უცებ, არამედ იგი

[14] მკვლევართა აზრით, ბასილს ათენში სომხები უცხოელობას ვერ წამოაძახებდნენ, ის რომ ეროვნებით ბერძენი ყოფილიყო.

უფრო სრულად ხანგრძლივად ერთად ყოფნით შეიცნობა, არცა სწავლების შეცნობაა შესაძლებელი მცირე და ნაკლებმნიშვნელოვანი გამოცდილებებით. ასე დავუბრუნე მას კვლავ ხალისიანი განწყობილება და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებით კიდევ უფრო მეტად დავიახლოვე.

19. გამოხდა ხანი და როცა ჩვენ ერთმანეთს გულისწადილი გავუზიარეთ, გამოდგა, რომ ორივენი სიბრძნისმოყვარეობისაკენ ვისწრაფვოდით; ამიტომ, აქედან მოყოლებული, ერთი ჭერის მქონენი, გულითადი მეგობრები და ერთსულოვანნი გავხდით და გვქონდა რა ერთი მიზანი, მისი მიღწევის მხურვალე და მტკიცე სურვილით ვიზრდებოდით. რამდენადაც ხორციელი სიყვარული იმას უკავშირდება, რაც წარმავალია, ამდენად თვითონაც მსწრაფლწარმავალია და გაზაფხულის ყვავილთა მსგავსი. ასევე, მსგავსად ცეცხლისა, რომელიც გაანადგურებს რა ნივთიერებას, რომლითაც იწვოდა, მასთან ერთად თვითონაც ქრება, არც ვნება რჩება შემდგომად იმის დაჭკნობისა, რაც აღაგზნებდა. ხოლო სიყვარული ღმრთისა, რადგანაც საგანი მისი მტკიცე და უცვალებელია, წმინდაა და რამდენადაც უფრო მეტად წარმოიდგენენ მოყვარულნი მისნი სილამაზეს მისას, იმდენად უფრო შეანაწევრებენ თავისთავს მასთანაც და ერთმანეთთანაც. ესაა კანონი სიყვარულისა, რომელიც ჩვენზე მაღლა დგას.

ვგრძნობ, რომ დროისა და ზომიერების საზღვრებიდან გავედი, მაგრამ არც ის ვიცი, სიტყვამ როგორ გამიტაცა და არც ის, თხრობისაგან თავი რა გზით შევიკავო, რადგან რის გამოტოვებასაც დავაპირებ, ყოველთვის აუცილებელი და იმაზე უკეთესი მეჩვენება, რაც უკვე ითქვა. ვინმემ რომ წინ წასვლა მაიძულოს, ალბათ, ის დამემართბოდა, რაც პოლიპებს, რომელნიც სახსრებით ისე მჭიდროდ არიან მიკრულნი ქვებზე, რომ ღრმულიდან ამოყვანისას ერთმანეთს, თუ არა ძალით, ვერ აშორებენ; ასევე მეც, უკეთუ ვინმე დამითმობს, მაქვს საძიებელი, ხოლო უკეთუ არა, ჩემსავე თავს დავესესხები.

20. ერთმანეთის მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით აღვმართეთ ჩვენ, როგორც პინდაროსი ამბობს, „ოქროს სვეტები კეთილზღუდოვანი სასახლისა“[15] და ასე წარვემატებოდით შემწეობით ღმრთისა და ჩვენი სურვილისა. ჰოდ, ვითარ ვიტვირთო მე უცრემლოდ გახსენება ყოველივესი? ჩვენ წარგვმართავდა თანაბარი სასოება ყველაზე საშური საქმის – სწავლისათვის. შური შორს იყო ჩვენგან. გულმოდგინეებად მოშურნეობამ გვაქცია. ორივე ვიღვწოდით არა იმისთვის, რომ რომელიმე ჩვენგანი პირველი გამხდარიყო, არამედ როგორ დაგვეთმო პირველობა ერთმანეთისთვის, რადგან ერთმანეთის დიდებას საკუთარ დიდებად ვთვლიდით. ჩანდა, რომ ორივეს ერთი სული გვქონდა, რომელსაც ორი სხეული ატარებდა. საქმე ერთი გვქონდა – სათნოება და ცხოვრება მომავლის სასოებით და განშორება ამა სოფლისაგან მანამ, სანამ აქედან განვიდოდით. ამ მიზნისაკენ წარვმართეთ მთელი ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა, მივყავდით რა მისკენ მცნებასაც და იმასაც, რომ ერთმანეთს სათნოებისათვის ვაქეზებდით; და უკეთუ

[15] პინდაროსი, მე-6 ოლიმპ. ოდა, 1. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ნ. ტონიამ, თბ., 2000.

ამის თქმა ჩემგან საკუთარი თავის განდიდება არ იქნება, ერთმანეთისათვის კანონიც ვიყავით და შვეულიც, რომელთა მიერაც განირჩევა, რა არის სწორი და რა – არა. გვყავდა ამხანაგებიც, მაგრამ არა ბიწიერნი, არამედ პატიოსანნი, არა მეშფოთენი, არამე მშვიდობისმოყვარენი; მათთან ყოფნა სასარგებლო იყო, რადგან ვიცოდით, რომ ბოროტების მიღება უფრო ადვილია, ვიდრე სათნოების გადადება, ისევე როგორც სიმრთელის მიმადლებაზე უფრო ადვილი სენის გადაცემაა. ხოლო რაც შეეხება გაკვეთილებს, სასიამოვნოზე მეტად სასარგებლო გვახარებდა, რადგან აქედან იწყება ახალგაზრდების ჩამოყალიბება ან სათნოებისა, ან ბოროტებისათვის.

21. ჩვენ ორი გზა ვიცოდით: პირველსა და უფრო ღირსეულს ჩვენს წმინდა ტაძრებთან და იქ მყოფ მოძღვრებთან მივყავდით, ხოლო მეორეს, – პირველთან შედარებით ღირსებით უდარესთან, – გარეშე მეცნიერებათა მასწავლებლებთან; რაც შეეხება სხვა გზებს – დღესასწაულების, თეატრების, სახალხო თავყრილობებისა და თუ ნადიმებისაკენ მიმყვანებელთ, ისინი მსურველებს დავუთმეთ; რადგან, ვფიქრობ, ღირსეული არაა ის, რასაც სათნოებისაკენ არ მივყავართ და არც უკეთესებს ხდის მათ, რომელნიც მისკენ ისწრაფვიან. სხვებს სხვა სახელები აქვთ, ან მშობელთაგან მიღებული, ან საკუთარი, ანუ თავიანთი ცხვორების წესიდან, ან კიდევ საქმიანობიდან გამომდინარე, ხოლო ჩვენ ერთი დიდი საქმე და სახელი გვაქვს, ვიყოთ და გვეწოდებოდეს ქრისტიანები და ამით უფრო ვამაყობთ, ვიდრე გიგესი ბეჭდის(ბუდის) მოტრიალებით(ჩავთვალოთ, რომ ეს მითი არაა), რისი წყალობითაც ლიდიის მეფე გახდა, და ვიდრე მიდასი[16] ოქროთი, რომელმაც დაღუპა, როცა სურვილი შეუსრულდა და ყოველივეს ოქროდ აქცევდა(ეს სხვა, ფრიგიული მითია). ისარზე ჰიპერბორიელი აბარისისა, ან არგოსელ პეგასოსზე[17], რომელთა მიერ ჰაერსა შინა ისე აღყვანება, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია ღმრთისა მიმართ ერთმანეთის მიერ და ერთმანეთთან ერთად, შეუძლებელი იყო, რაღა უნდა ვთქვა? უფრო მოკლედ ვიტყვი: ათენი მრავალთა სულს ვნებს(როგორც ამას არც თუ ცუდად ფიქრობენ ღმრთისმოსავნი), რადგან მდიდარია ბოროტი სიმდიდრით – კერპებით, რომელნიც აქ უფრო ბევრია, ვიდრე მთელს დანარჩენ ელადაში და ძნელია, რომ მათმა მაქებლებმა და მფარველებმა თან არ წარგიტაცონ, მაგრამ ჩვენ არავითარი ვნება არ განგვიცდია მათგან ცივი და შემოზღუდული გონების

[16] მიდასი – მითოსური მეფე ფრიგიისა, სახელგანთქმული თავისი სიმდიდრით. მითის მიხედვით, მან გულთბილად მიიღო შეპყრობილი სილენი, რომელიც დიონისეს პატივსაცემად გამართული მსვლელობისას გზას აცდა, და ათი დღის შემდეგ გაათავისუფლა. თავისი მხლებლის განთავისუფლებით გახარებული დიონისე მეფეს შეჰპირდა, რომ ნებისმიერ სურვილს შეუსრულებდა. მიდასმა ყოველივეს, რასაც კი შეეხებოდა, ოქროდ გადაქცევა ისურვა. სურვილი აუსრულდა, მაგრამ კინაღამ შიმშილს ემსხვერპლა, რადგან შეეხებოდა თუ არა, საჭმელი ოქროდ იქცეოდა. მაშინ მეფემ ღმერთს საჩუქრის უკან წაღება სთხოვა. დიონისემ მას პაკტოლის წყაროში განბანვა უბრძანა, რის შედეგადაც წყარო ოქროს მომტანი გახდა, ხოლო მიდასი ამ საჩუქრისაგან განთავისუფლდა.

[17] პეგასოსი – ბერძნულ მითოლოგიაში ფრთოსანი ცხენი. მითის ერთ-ერთი ვარიანტით, ღმერთებმა იგი ბელეროფონტეს აჩუქეს. მასზე ამხედრებული გმირი ჰაერში აფრინდა და ფრთოსანი ქიმერა მოკლა, რომელიც ქვეყანას ანადგურებდა.

გამო; პირიქით, თუ საჭიროა თქმა იმისა, რაც მოულოდნელია, ვიტყვი, რომ ჩვენი რწმენა იქ განმტკიცდა, რადგან მათი სიცრუე და სიყალბე შევიცანით და ეშმაკებს იქ შეურაცხვყოფდით, სადაც მათ საკვირველებად რაცხენ. და თუ მართლაც არის, ან სარწმუნოა არსებობა მდინარისა, რომელიც მლაშე ზღვის გავლით მდინარებს და მაინც ტკბილია, ან ცხოველისა, რომელიც ყოველივეს გამანადგურებელ ცეცხლში ხლტება, ასე ვიყავით ჩვენ ჩვენს თანამოასაკეთა შორის.

22. და რაც ყველაზე მშვენიერია, ამგვარი მოძღვრის მიერ განსწავლული და წარმართული წრე, რომელიც ჩვენ გარშემო არსებობდა და იმით ხარობდა, რითაც ბასილი, არ იყო მდაბიო, თუმცა ჩვენთვის მისი სრბისა და ცხოვრების წესის მიმდევრობა იგივე იყო, რაც ლიდიურ ეტლთან ქვეითად გაჯიბრება. ამით შევიძინეთ პატივი არა მხოლოდ ჩვენი მასწავლებლებისა და ამხანაგთა მხრიდან, არამედ მთელს ელადაში, განსაკუთრებით კი, სახელგანთქმულ კაცთა შორის. მაგრამ როგორც ეს მრავალთა მონათხრობიდან გახდა ცხადი, ხმამ ჩვენ შესახებ ელადის საზღვრებს გარეთაც გააღწია; რადგან ვინც ათენი იცოდა, მას ჩვენს მასწავლებლებზეც ჰქონდა გაგონილი და საუბრობდა, ხოლო ვინც ჩვენი მასწავლებლები იცოდა, ის ჩვენზეც ისმენდა და ერთმანეთში ლაპარაკობდა. ჩვენი წყვილი ყველასათვის ცნობილი გახდა და ჩვენთან შედარებით არაფერს წარმოადგენდნენ ორესტეები და პილადეები[18] და არც მოლიონიდები, – ჰომეროსისეული პოეზიის საკვირველება, რომელნიც ცნობილნი საერთო უბედურებითა და ეტლების სადავეებითა და შოლტით მართვის ხელოვნებით გახდნენ; მაგრამ მე საკუთარი თავის ქებამ გამიტაცა, რომელიც სხვისგან არასოდეს შემიწყნარებია, თუმცა არც ისაა გასაკვირი, რომ მისი მეგობრობიდან ამ მიმართებითაც რაღაც შევიძინე, და როგორც ცოცხალისაგან ვსარგებლობდი სათნოების გაკვეთილებით, ახლა განსვენებულით ვსარგებლობ თავის შესაქებად.

23. ვინ იყო ასე მხცოვანი გონებით მანამდე, ვიდრე მხცოვანი გახდებოდა? რადგან სოლომონის მიერ სიბერე ხომ ამით განისაზღვრება.[19] ვინ იყო ისეთი არა მხოლოდ ჩვენს თანამედროვეთა, არამედ ჩვენზე დიდი ხნით ადრე მცხოვრებთა შორისაც, რომელსაც ასეთ პატივს მიაგებდნენ როგორც ძველები, ისე ახლებიც? ვის სჭირდებოდა სიტყვები ასე ნაკლებად მისი ცხოვრების წესისა გამო? და ვინ ფლობდა უკეთ სიტყვას საქმესთან ერთად? მეცნიერების რომელი დარგი გამოტოვა? უკეთ რომ ვთქვათ, რომელი არ შეისწავლა ისე აღმატებულად, რომ თითქოს მხოლოდ მას სწავლობდა? ყოველი მათგანი

[18] ორესტესი – ძე მიკენის მეფისა აგამემნონისა და კლიტემნესტრასი. კლიტემნესტრასა და მისი საყვარელის ეგისთოსის მიერ აგამემნონის მოკვლის შემდეგ, მცირეწლოვანი ორესტე დამ, ელექტრამ სიკვდილისაგან იმით გადაარჩინა, რომ მიკენიდან გააპარა. ორესტესი ფოკიდის მეფის სტროფიოსის სასახლეში იზრდებოდა მეფის ვაჟ პილადესთან ერთად. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა, რომელიც ბერძნულ წარმართულ მწერლობაში მეგობრობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითადაა მიჩნეული.

[19] სიბრძნე ჭაღარა ადამიანთათვის და უბიწო ცხოვრება სიბერის ასაკია(სიბრძ. IV,8).

ისე შეისწავლა, როგორც ერთსაც კი ვერავინ სწავლობს და თითოეული ისე სრულად, თითქოს სხვას არაფერს სწავლობდა. მასში ერთმანეთს სიბეჯითე და ნიჭიერება შეხვდნენ, რომელთა წყალობითაც მეცნიერება და ხელოვნება ძალას იძენს. დაძაბული ყურადღების გამო ძალიან ნაკლებად საჭიროებდა ბუნებრივ სისწრაფეს, ხოლო სისწრაფის გამო – დაძაბულობას. ასე რომ, ორივე იმგვარად შეაერთა და ერთისკენ ისე წარმართა, რომ დაფარული დარჩა, რომელი მათგანის გამო იყო უფრო საკვირველი.

თუმცა ზნეობით ორატორებს არ ჰგავდა, ვინ შეედრება მას ორატორულ ხელოვნებაში? ვის შეუძლია ასე გამართვა გრამატიკისა ანუ ბერძნული ენისა და შეკრება ისტორიისა? ვინ ფლობს ასე სალექსო საზომებს და ადგენს პოეტურ ქმნილებათა კანონებს? ვინ იცის ასე ფილოსოფია – ჭეშმარიტად მაღალი და აღმართ მავალი, როგორც პრაქტიკული და მჭვრეტელობითი, ასევე ისიც, რომელიც ლოგიკურ მტკიცებულებებსა და ანტითეზებს და სიტყვაში შეჯიბრებას სწავლობს და დიალექტიკას უწოდებენ? ლაბირინთიდან გამოსვლა უფრო ადვილი იყო, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა, ვიდრე მისი სიტყვების ბადეთაგან თავის დაღწევა. ხოლო ასტრონომია, გეომეტრია და მეცნიერება რიცხვთა შესახებ იმდენად შეისწავლა, რომ ამ საგნებში დახელოვნებულთა წინაშეც კი არ იბნეოდა. ზედმეტი კი უკუაგდო, როგორც უსარგებლო ღვთისმოსაობისათვის აქაც იწვევდა გაკვირვებას უფრო არჩეული, ვიდრე დატევებული და უფრო დატევებული, ვიდრე არჩეული.

საკუთარი სხეულის უძლურებამ და სნეულთა მოვლამ სამკურნალო ხელოვნების – ამ სიბრძნისა და შრომისმოყვარების ნაყოფის შესწავლაც აიძულა. დაიწყო თავიდან და მისი ხელოვნების დაუფლებას მიაღწია; ამასთან, არა იმდენად ის შეისწავლა, რაც მას სახილველი და ქვე მდებარე აქვს, რამდენადაც ის, რაც მენციერებასა და სიბრძნისმოყვარებას მიემართება. თუმცა ყოველივე ეს ესოდენ მნიშვნელოვანია, რა არის ბასილის ზნეობრივ განსწავლულობასთან შედარებით, ვინც მას გამოცდილებით იცნობდა, მისთვის არაფერს ნიშნავს მინოსი[20] და რადამანთისი[21], რომელნიც ელინებმა ასფოდელოსის[22] მდელოებისა და ელისეს[23] მინდვრების ღირსად ცნეს, მხედველობაში ჰქონდათ რა ჩვენი სამოთხე, რომლის შესახებაც, ვფიქრობ, მათ მოსესა და

[20] მინოსი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსისა და ევროპეს ვაჟი იყო, რომელიც კუნძულ კრეტაზე დაიბადა. იგი კრეტის მეფემ ასტერიოსმა იშვილა და მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც მემკვიდრე, სამეფო ტახტზე ავიდა. მინოსს ცოლად ჰყავდა მზის ღმერთის –ჰელიოსის ასული პასიფაე, რომელმაც ურჩხული მინოტავროსის შობით კრეტას უბედურება მოუტანა. მინოსმა მინოტავროსი ლაბირინთში ჩაკეტა, რომელიც შემდეგში მეფის ასულის, არიადნეს დახმარებით, ათენელი გმირის თეზევსის მიერ იქნა მოკლული.

[21] რადამანთისი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსისა და ევროპეს შვილი და კრეტის მეფე იყო. სიკვდილის შემდეგ იგი მინოსთან და ეაკესთან ერთად მიწისქვეშა სამეფოში მსაჯული გახდა (Hom. Pind. Plat.).

[22] მცენარე შროშანისებრთა ოჯახიდან.

[23] ელისეს მინდვრები შინაარსობრივად დაახლოებით იგივეა, რაც ქრისტიანობაში სამოთხე. ამიტომაც გამოხატავს აქ წმ. გრიგოლი თავის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა იდეა ელისეს მინდვრებისა, როგორც ღირსეულთა სამუდამო განსასვენებელისა, წარმართ ელინებს ძველი აღთქმიდან, კერძოდ, მოსეს ხუთწიგნეულიდან ჰქონდათ ნასესხები.

ჩვენი წიგნებიდან იცოდნენ და თუმცა რამდენიმე სახელი განსხვავებული ჰქონდათ, ამ სხვა სახელებით იგივე ასახეს.

24. ამგვარად, შეიძინა რა ყოველივე, იგი იყო სატვირთო ხომალდი, იმდენად აღსავსე განსწავლულობით, რამდენის დატევაც კაცობრივ ბუნებას შეუძლია(რადგან გადირთა იქით, მეორე მხარეს გასასვლელი აღარაა). მაგრამ ჩვენ შინ უნდა დავბრუნებულიყავით და უფრო სრულყოფილ ცხოვრებასა და ჩვენი იმედების აღსრულებას შევდგომოდით. დადგა წასვლის დღეც და როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, დაიწყო გამოსათხოვარი სიტყვები, გაცილებანი, მოწოდებანი დარჩენისათვის, ქვითინი, გულში ჩაკვრა, ცრემლები. არაფერი ისე სევდისმომგვრელი არაა არავისათვის როგორც თანამცხოვრებთა ათენთან და ერთმანეთთან გაყრა. და იქმნა მაშინ სანახაობა საბრალობელი და ღირსი მოსათხრობად. გარს შემოგვეხვივნენ ჩვენი ამხანაგები და თანატოლები, მათ შორის რამდენიმე მასწავლებელიც და გვარწმუნებდნენ, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, არ გაგვიშვებდნენ, გვიმტკიცებდნენ, გვთხოვდნენ, ძალას გვატანდნენ. რაღას აღარ ამბობდნენ? და როგორც ეს შეწუხებულებს ახასიათებთ, რაღას აღარ აკეთებდნენ.

აქ ბრალს ჩემს თავსაც დავდებ და ნაწილობრივ ამ ღმრთეებრივსა და მიუწვდომელ სულსაც(თუმცა ეს კადნიერებაა), რადგან ბასილმა აუხსნა რა მიზეზი, რომლის გამოც შინ აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო, დამყენებელთა ზედა უპირატესობა მოიპოვა და მათაც, თუმცა იძულებით, მაგრამ თანხმობა წასვლისა მაინც მისცეს; ხოლო მე ათენში დავრჩი, ნაწილობრივ თხოვნით მოლმობიერებული, ნაწილობრივ მისი გამცემლობის გამო, რადგან ირწმუნა, რომ მე, რომელსაც მასთან განშორება არ მსურდა, უნდა დავეტოვებინე და დავეთმე ჩემთა მიმტაცებელთათვის. საქმე, რომელიც ვიდრე აღსრულდებოდა, დაუჯერებელი იყო, მოხდა და ეს იგივე იყო, რაც ერთი სხეულის ორად გაყოფა და ორივეს მოკვლა ან თანშეზრდილი, ერთ უღელში შებმული ხბორების დაშორება, რომელნიც საწყალობლად ზმუიან ერთმანეთისთვის და ერთმანეთთან დაშორებას ვერ იტანენ. მაგრამ ჩემთვის ეს სასჯელი დიდხანს არ გაგრძელებულა. ვეღარ გავუძელი რა იმას, რომ საწყალობელ სანახაობას წარმოვადგენდი და ვერც იმას, რომ დაშორების მიზეზი ყველასათვის უნდა ამეხსნა. ათენში ცოტა ხანს კიდევ დავრჩი; სურვილმა ჰომეროსის ცხენად მაქცია, მაყენებელთა ბორკილები დავამსხვრიე, ველი გადავიქროლე და მეგობარს მივაშურე.

25. შინ დაბრუნებულებმა მრავალთა სურვილის შესასრულებლად ცოტა ხნით ამა სოფლითა და სანახაობებით გავიხარეთ(რადგან ჩვენ თვითონ სანახაობებისა და მაჩვენებლობისაკენ არ ვისწრაფვოდით), მაგრამ ჩვენსავე თავს ძალიან სწრაფად მოვეგეთ და ჭაბუკობიდან კაცებად მოწიფულნი, თუმცა არა ერთად(რამეთუ ეს შურმა არ დაუშვა), მაგრამ სურვილით ერთად ყოფნისა,

სიბრძნისმოყვარეობას მამაცურად[24] შევუდექით. კესარიამ ბასილი ვითარცა მეორედ დამფუძნებელი და მფარველი, ისე მიიღო, ხოლო შემდგომად ამისა, რამდენადაც ჩვენ ერთად არ ვიყავით, იგი მოგზაურობას შეუდგა, რომელიც აუცილებელი იყო და დასახულ მიზანს – სიბრძნისმოყვარეობას შეესაბამებოდა; მე კი ბასილთან მოხუცებული მშობლების წინაშე კეთილკრძალულებამ, მათზე ზრუნვამ და თავს დამტყდარმა უბედურებამ დამაცილა, ალბათ, არც კეთილად და არც სამართლიანად, მაგრამ დამაცილა კი. ვფიქრობ, ამის გამო ხომ არ წარიმართა ჩემი სწრაფვა სიბრძნისმოყვარებისაკენ არა კეთილად, არა ღირსად სურვილისა და განზრახულობისა? დაე, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართოს, როგორ ეს ღმერთს ესათნოება, თუმცა ბასილის შუამდგომლობით უფრო უკეთ წარიმართებოდა. მრავალფეროვნებამ ღმრთის კაცთმოყვარებისა და მისმა განგებულებამ ჩვენს მოდგმასა ზედა, ბასილი მრავალთა შორის ბრწყინვალედ გამოაჩინა და ეკლესიის დიდებულ და ხმაგანსმენილ მნათობად დაადგინა; ჯერ სამღდელო წმინდა ტახტისთვის მოუწოდა ერთი ქალაქით – კესარიით, ყოვლისა სამყაროჲსათვის გამობრწყინდა და რა სახით? არა უზრუნველობით აღიყვანა ხარისხში, არა ერთდროულად განბანა და განაბრძო კიდეც, როგორ ამას წინამძღვრობის მრავალთა მსურველთა ზედა ვხედავთ, არამედ ამ პატივის ღირსად სულიერი ამაღლების წესითა და კანონით ჰყო.

26. არ ვაქებ ჩვენთან არსებულ უწესრიგობას და ურიგობას, რომლის მაგალითებიც ეკლესიის წინამძღვართა შორისაცაა, თუმცა იმისათვის, რომ ბრალი ყველას დავდო, ვერ გავკადნიერდები, რადგან სამართლიანი არც ეს იქნებოდა. ვაქებ კანონს მეზღვაურთა, რომლის მიხედვითაც, ვინც ახლა ხომალდის მესაჭეა, მას ჯერ ხელში ნიჩაბი მისცეს, იქიდან ხომალდის ჭვინტზე აიყვანეს და წინა ნაწილი ანდეს, ხოლო შემდგომად მრავალი ადუღებული ზღვის გადალახვისა და ქარებზე დაკვირვებისა, საჭესთან დასვეს. იგივე ხდება მებრძოლთა შორისაც: მხედარი(მეომარი), უფროსი რაზმისა და ბოლოს მხედართმთავარი. ესაა საუკეთესო და ფრიად სასარგებლო წესი ქვეშევრდომთათვის. ჩვენი საქმეც ბევრად უფრო ღირსეული იქნებოდა, ეს წესი ჩვენთანაც რომ მოქმედებდეს. ახლა კი არსებობს საფრთხე იმისა, რომ ყოველთა უწმიდესი დასი ჩვენ მიერვე ყველაზე უფრო დასაცინი არ გახდეს, რადგან წინამძღვრობა არა სათნოებით, არამედ ხრიკებით მოიპოვება და ტახტებს არა შედარებით ღირსეულნი, არამედ შედარებით ძლიერნი იკავებენ: სამუელი წინასწარმეტყველთა შორის, რომელიც მომავალს წინასწარ ხედავდა, მაგრამ საულიც, რომელიც განკიცხული იყო; რობოამი, სოლომონის ძე, მეფეთა შორის, მაგრამ იერობოამიც, მონა და განდგომილი. არ არსებობს ექიმი ან მხატვარი, რომელსაც ჯერ სენთა ბუნება არ ჰქონდეს შესწავლილი, ან მრავალი ფერი შეზავებული და რამე დახატული. წინამძღვარი

[24] აქ ექვთიმე მთაწმინდელი ტერმინს – φιλοσοφία, რომელიც სიტყვასიტყვით სიბრძნის მოყვარეობას ნიშნავს, მონაზონობად თარგმნის, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ეს საერთოდ ტექსტიდან ჩანს, გრიგოლ ღმრთისმეტყველი ფილოსოფიაში წმ. სიბრძნის – იესო ქრისტეს სიყვარულს გულისხმობდა.

კი ადვილად გამოიძებნება ხოლმე, რომელსაც არც ღვაწლი აქვს და არც გამოცდილება ამ პატივის მისაღებად, მაგრამ დათესვითანავე აღმოცენდება და იზრდება, როგორც მითში გიგანტები(ბუმბერაზები); სახელდახელოდ(იმავე დღეს) ვქმნით მათგან წმინდანებს და განბრძნობას ვუბრძანებთ მათ, რომელთაც არც არაფერი უსწავლიათ და არც ხარისხხში ამაღლებულებს გააჩნიათ არაფერი, გარდა გულისთქმისა.

სიმაღლის ღირსს დაბალი ადგილი უყვარს და თავმდაბლურად დგას საღმრთო სიტყვებით ფრიად გაწვრთნილი და ხორცისთვის სულის მორჩილების კანონმდებელი; ხოლო უღირსი თავდაჯერებით ჯდება წინ, მასზე უკეთესებს წარბს მაღლა უწევს, არც ტახტის წინაშე ძრწის შიშით და არც იმის რცხვენია, რომ ღირსეულს განკრძალული სახით დაბლა მდგომს ხედავს. პირიქით, ჰგონია, რომ ძალის შეძენასთან ერთად მასზე სიბრძნითაც ამაღლდა, მაგრამ თავისი თავი ცუდად იცის, რადგან განსჯის უნარი ძალაუფლებისაგან აქვს წართმეული.

27. მაგრამ ასეთი როდი იყო ძლევამოსილი და დიდი ბასილი. ის, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენში, ამ საქმეშიც წესის დაცვის სახედ იქცა. განმმარტებელი წმინდა წიგნებისა, თავდაპირველად მათ ხალხს უკითხავდა და ეს საფეხური საკურთხევლის მსახურებისა მისთვის შეუფერებლად არ ჩაუთვლია. შემდეგ, ჯერ როგორც მღვდელი, ხოლო მერე როგორც ეპისკოპოსი აქებდა უფალსა. ძალაუფლება არც მოუპარავს, არც მიუტაცებია და არც პატივს გამოდევნებია, პირიქით, თვითონ იყო დევნილი პატივისაგან. მადლიც არა კაცობრივი ჰქონდა, არამედ ღმრთეებრივი და ღმრთისგან მიღებული. მაგრამ, დაე, სიტყვამ წინამძღვრობის შესახებ მოიცადოს. ცოტა რამ მისი მსახურების დაბალ საფეხურზეც მინდა შემოგთავაზოთ; როგორი იყო იგი, რომელიც კინაღამ გამომრჩა და რომელიც დროის იმ შუალედს ეკუთვნის, რომელზეც ვსაუბრობ.

28. ეკლესიის წინამძღვარს,[25] ვინც ბასილის წინ იყო, მასთან უთანხმოება მოუხდა(რა მიზეზით და როგორ, ამაზე დუმილს ვამჯობინებ[26]), კაცს, სრულიადაც არა მდაბალსა და საკვირველად ღმრთისმოსავს, როგორადაც იგი იმდროინდელმა დევნულობამ და მის წინააღმდეგ მოწყობილმა ამბოხებამ წარმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ბასილის მიმართ რამდენადმე კაცობრივი უძლურება გამოავლინა. სასაყვედურო ხომ არა მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ საუკეთესოებსაც აქვთ, რადგან სრულიად წაუბორძიკებელი და ვნებათათვის მიუწვდომელი მხოლოდ ღმერთია. მის წინააღმდეგ ეკლესიის რჩეული და შედარებით ბრძენი წევრები აღიძრნენ, რამეთუ მრავალთან შედარებით უფრო ბრძენნი არიან ისინი, რომელნიც ამა სოფელს განეშორნენ

[25] იგულისხმება კესარიის მთავარეპისკოპოსი ევსევი.

[26] გრიგოლ ღმრთისმეტყველისაგან განსხვავებით, რომელიც ეპისკოპოსსა და ბასილს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების მიზეზის დასახელებას თავს არიდებს, ექვთიმე მთაწმიდელი მიზეზად შურს ასახელებს და განგვიმარტავს, რომ ევსევის შეშურდა ის პატივი, რომლითაც წმ. ბასილი დიდი სარგებლობდა.

და თავიანთი ცხოვრება ღმერთს მიუძღვნეს. ჩვენს ნაზორეველებზე ვამბობ, რომელნიც ამ საქმისათვის ფრიად მოშურნეობენ. მათთვის განსაკუთრებით მძიმე მათი სიძლიერის უგულვებელყოფის, არად ჩაგდებისა და შეუწყნარებლობის დათმენა გამოდგა, რის გამოც ყველაზე საშიში საქმისათვის გაკადნიერდნენ: ეკლესიის დიდი და განუყოფელი სხეულისაგან განდგომა და გამოყოფა და ასევე მისგან ხალხის საკმაო ნაწილის, როგორც დაბალი, ისე მაღალი წოდებიდან, მოკვეთა განიზრახეს; და ეს ძალიან ადვილი იყო სამი უძლიერესი მიზეზისა გამო. ბასილს ყველა პატივს სცემდა, ასე რომ, არ ვიცი ჩვენი ფილოსოფოსებიდან იყო თუ არა ვინმე სხვა ასე პატივცემული ერისაგან. ამდენად, მას ძალა შესწევდა, თუკი მოისურვებდა, მხნეობა მიენიჭებინა მისთა დამცველთათვის. მისი შეურაცხმყოფელი კი ქალაქის მიერ ეჭვმიტანილი იყო შფოთის ატეხაში, რომელიც მის აღსაყდრებას მოჰყვა, რადგანაც წინამძღვრობა არა იმდენად სჯულიერად და კანონიერად, რამდენადაც მძლავრობის შედეგად მიიღო. აქ იყო, აგრეთვე, დასავლელ ეპისკოპოსთაგან ზოგიერთი, რომელთაც, ვინც კი ეკლესიაში მართლმადიდებელი იყო, ყველა მიიზიდეს.

29. და როგორ მოიქცა ეს კეთილშობილი მოწაფე მშვიდობის მყოფელისა? არ იყო მისი საქმე შეურაცხმყოფელთა და მოშურნეთათვის წინააღმდეგობის გაწევა, არცა ბრძოლა, არც განკვეთა ეკლესიის სხეულისა მტერთაგან უკვე დევნულისა და, იმ დროისათვის ერეტიკოსთა მძლავრობის გამო, არასაიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილისა, ამიტომაც ისარგებლა ჩვენი, თანამზრახველთა და ჭეშმარიტად მრჩეველთა რჩევით, ჩვენთან ერთად პონტოში განმარტოვდა, იქაურ სავანეებს წინამძღვრობდა მოხსენიების ღირსი წინამძღვრობით და შეიყვარა უდაბნო სახელგანთქმულ სიბრძნისმოყვარეთა – ელიასა და იოვანესთან ერთად. ეს უფრო სასარგებლოდ მიიჩნია თავისი თავისათვის, ვიდრე არსებულ ვითარებაში რაღაც ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მისი სიბრძნისმოყვარებისთვის შეუფერებელი იქნებოდა და სიმშვიდის ჟამს შესწავლილ ზრახვათა მართვის ხელოვნებას ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხლის ჟამს გაანადგურებდა. თუკი მისი სიბრძნისმოყვარეობით განმარტოება ასე საკვირველი იყო, კიდევ უფრო უკეთესად და უფრო საკვირველად მისი უკან დაბრუნება ვპოვეთ, ხოლო ის ასე მოხდა.

30. ამ მდგომარეობაში რომ ვიყავით, მეყსეულად მოიწია ჩვენ ზედა სეტყვით სავსე ღრუბელი, რომელიც დაღუპვით დაგვემუქრა. მან შემუსრა ყოველნი ეკლესიანი, რომელთაც კი თავს დაატყდა და რომელნიც ოქროს ფრიად მოყვარემ და ფრიად ქრისტეს მოძულემ – ამ ორი უდიდესი სენით – გაუმაძღრობითა და მკრეხელობით – შეპყრობილმა მეფემ მიიტაცა. ეს იყო მდევნელი შემდგომად მდევნელისა და შემდგომად გადნგომილისა,[27] თუმცა არა განდგომილი, მაგრამ არაფრით უკეთესი ქრისტიანთათვის,[28] განსაკუთრებით ქრისტიანთაგან

[27] იგულისხმება ვალენტი კეისარი, რომელიც არიოზის ერესის მიმდევარი იყო(364-378).

[28] იგულისხმება იმპერატორი იულიანე განდგომილი, რომელიც 361-362 წლებში მართავდა რომის იმპერიას.

ყველაზე ღმრთისმოსავ და ყველაზე წმინდა ნაწილისა – სამების თაყვანისმცემელთათვის, რომელსაც მე ჭეშმარიტ ღმრთისმოსაობასა და მაცხოვნებელ სწავლებას ვუწოდებ.

რადგანაც ჩვენ ღმრთეებას არ ვზომავთ, თავისი თავისაგან არც ერთსა და მიუწვდომელ ბუნებას ვაუცხოვებთ მასში სხვაგვარი თვისების შეტანით; არც ბოროტებას ვკურნავთ ბოროტებით და არც უღმერთო საბელიოზისეულ შერწყმას(συναίρεσις) ვარღვევთ კიდევ უფრო უღმერთო დაყოფითა(διαίρεσις) და მოკვეთით(κατατομή), რომლითაც ეს მოსახელე სიცოფისა, არიოზი იყო დასნეულებული, ეკლესიის დიდი ნაწილის შემრყეველი და განმხრწნელი. არ მიაგებდა რა პატივს მამას, ისინიც, რომელნიც მისგანაა, ღმრთეებასა შინა არათანაბარი ხარისხების შეტანით, უპატიო ჰყო. ხოლო ჩვენ ვიცით ერთი დიდებაჲ მამისა, მისი თანაბარი პატივი მხოლოდშობილისა, ერთი დიდებაჲ ძისა და თანაბარი პატივი სულისა. და მიგვაჩნია, სამისგან ერთიც რომ დავამდაბლოთ, ყველა განადგურდება. სამს თვისებით(ἰδιότησιν) და ერთს ღმრთეებით(θεότητι) თაყვანს ვსცემთ და შევიცნობთ. ყოველივე ამისაგან არიოზმა ვერაფერი გულისხმაყო, ვერც ზე ახილვა შეძლო, პირიქით, ცრუ მოძღვართა მიერ დამდაბლებულმა, მასთან ერთად ღმრთეების ბუნების დამდაბლებასაც შეჰბედა. იქცა რა იგი უკეთურ ქმნილებად, მეუფების მონობად მიმყვანებელმა შეუქმნელი(ἄκτιστον) ბუნება ქმნილებასთან(κτίσις) ერთად დააყენა.

31. ამგვარი განზრახვითა და უსჯულოებით დაგვესხა თავს და სხვა რად უნდა მივიჩნიოთ, თუ არა ბარბაროსულ დარბევად, რომლის დროსაც არა ზღუდენი, ქალაქები, სახლები და რაღაც მცირენი ხელითქმნილნი, რომელნიც კვალად აღეშენებოდნენ, დაანგრია, არამედ თვით ადამიანთა სულები გაანადგურა. მასთან ერთად მისი შესაფერისი მხედრობაც შემოიჭრა: ეკლესიათა ბოროტმზრახველი წინამძღოლები და უწყალო ოთხმთავარნი მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფი სამყაროსი. ეკლესიათა ერთი ნაწილი უკვე ხელში ჰქონდათ ჩაგდებული, მეორეს თავს ესხმოდნენ მეფის ძალისა და ხელის მოიმედენი, ზოგიერთი უკვე მიტაცებული ჰქონდათ, ზოგსაც ემუქრებოდნენ.

ჩვენს ეკლესიამდეც მოაღწიეს დამაქცევართა. ისინი ყველაზე მეტად იმათმა სულმოკლეობამ, რომელთა შესახებაც უკვე ითქვა, ჩვენი წინამძღოლის გამოუცდელობამ და ჩვენმა უძლურებებმა გააკადნიერეს. ჩვენ შორის უმრავლესობამ კეთილშობილური თავგამოდება გამოიჩინა, მაგრამ მაინც უძლურნი ვიყავით, რადგან წინამძღოლი და თანამებრძოლი, რომელიც სიტყვისა და სულიწმიდის ძალით იქნებოდა დახელოვნებული, არ გვყავდა. მაშინ როგორ მოიქცა ეს კეთილშობილი და მაღალი აზროვნების მქონე სული და ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარე? მრავალი სიტყვა როდი დასჭირდა უკან დაბრუნებისა და თანამბრძოლობისათვის, არამედ როცა მიხილა მვედრებელად(რამეთუ, ვითარცა სიტყვით წინამბრძოლებს, ორივეს საერ-

თო ღვაწლი გველოდებოდა), ვედრებისაგან დამარცხდა: თვითონვე განსაჯა ფრიად კეთილად, სიბრძნისმოყვარებითა და სულისმიერი გულისხმისყოფით, რომ სხვაა ჟამი სულმოკლეობისა(თუ მაინცდამაინც უნდა განეცადა, სჯობდა, ეს უსაფრთხოების ჟამს მომხდარიყო) და სხვა სულგრძელებისა, როცა მას საჭიროება მოითხოვს. მყისვე გამოემართა ჩემთან ერთად პონტოდან მოშურნეობით ჭეშმარიტებისა, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა, ნებსით იქმნა თანამბრძოლად და თავი მსახურებად დედა ეკლესიას მისცა.

32. ასეთი გულმოდგინება კი გამოავლინა, მაგრამ იქნებ უფრო ნაკლებ იღვაწა, ვიდრე გულმოდგინება ჰქონდა? ან იქნებ მამაცურად კი იღვაწა, მაგრამ არა გონივრულად? ანდა, თუმცა განსწავლულობით, მაგრამ უსაფრთხოდ? ან იქნებ ყოველივე ეს ისე სრულყოფილად აღასრულა, რომ სიტყვა ვერ გამოთქვამს, მაგრამ რაღაც კვალი სულმოკლეობისა სადმე მაინც დარჩა?

პირიქით, ყოველივეს უცბად აღასრულებს: ურიგდება,[29] რჩევებს აძლევს, მომხრეებს საბრძოლველად განაწყობს, სპობს დაბრკოლებებს, რომელთა ზედა დანდობითაც მოწინააღმდეგეებმა ბრძოლა გაგვიმართეს. ზოგს იწყნარებს, ზოგს აკავებს, ზოგსაც განაგდებს. ერთისთვის თუ **ზღუდე უძლური**(იერ.I,8) და გარემომცველია, მეორისათვის **წერაქვი განმკუეთი კლდისაჲ**(იერ.XXIII,29) და **ცეცხლი ეკალთა შორის**(ფს.117,12), რომელიც ხმელი ტოტების მსგავსთ და ღმრთეების მაგინებელთ ადვილად განლევს. უკეთუ ბარნაბა, როგორც ამას თვითონვე ამბობს და წერს, პავლესთან ერთად მოღვაწეობდა, ამისთვისაც მადლობა პავლეს, რომელმაც იგი გამოარჩია და თანამოღვაწედ აქცია.

33. ასე რომ, ბოროტნი ბოროტად – უქმად დამაშვრალნი წავიდნენ პირველად მაშინ სირცხვილეულქმნილნი და ძლეულნი და ისწავლეს, რომ თუნდაც ყოველთა კაცთა უგულვებელსმყოფელთათვის ადვილი არაა უგულებელსყოფა კაპადოკიელთა, რომელთაც არაფერი ისე არ ახასიათებთ, როგორც ურყევობა სარწმუნოებისა და რწმენა და ერთგულება სამებისა. ამის გამო აქვთ მათ ერთობა და ძლიერება, რადგან რის დაცვასაც შეეწევიან, შეწევნულნიც მისგან არიან ბევრად უფრო უკეთესად და ძლიერად.

მეორე საქმე და საზრუნავი ბასილისა წინამძღვრის მსახურება გახდა; გაქარწყლება ეჭვისა, დარწმუნება ყოველი კაცისა, რომ წყენის მიზეზი ბოროტისაგან გამოცდა იყო და ბრძოლა სიკეთესა შინა ერთსულოვნების მოშურნისაგან; ხოლო თვითონ მან კანონი კეთილად მორჩილებისა და სულიერი წესრიგი იცოდა. ამიტომაც მიდიოდა მასთან. განაბრძნობდა, ჰმორჩილებდა, შეაგონებდა, მისთვის ყველაფერი იყო: კეთილი მრჩეველიც, მარჯვე თანამდგომიც, განმმარტებელიც წმინდა წერილისა, საქმეთა გამძღოლიც, კვერთხიც სიბერისა და საყრდენიც სარწმუნოებისა, ყველაზე სარწმუნო შინაურ საქმეთა და ყველაზე საქმიანი საგარეო საქმეთა შინა. ერთი სიტყვით, თუ მანამდე

[29] იგულისხმება კესარიის მთავარეპისკოპოსი ევსევი, რომელთანაც უთანხმოების გამო ბასილი დიდი იძულებული გახდა კაპადოკიის დედაქალაქი დაეტოვებინა და პონტოში განმარტოებულიყო.

მტრად ითვლებოდა, ახლა კეთილგანწყობილად იქნა მიჩნეული და თუმცა კათედრაზე მეორე ადგილი ეკავა, ამ დროიდან გახდა უკვე მმართველი ეკლესიისა, რადგან სანაცვლოდ კეთილგანწყობილებისა ძალაუფლება შეიძინა. და იყო საკვირველი ეს თანხმობა და ერთობა ხელისუფლებისა: ერთი ხალხს წინამძღოლობდა, ხოლო მეორე – წინამძღოლს. ბასილმა შეძლო გაკეთილშობილება ძალაუფლების მქონისა. რამდენადაც კათედრაზე ახლად აყვანილს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი რაღაც ჩვევები საერო ცხოვრებიდან და სულიერსა ცხოვრებასა შინა ჯერ კიდევ განუმტკიცებელი იყო, ამიტომაც სჭირდებოდა წინამძღოლობა და მხარდაჭერა, მით უმეტეს, რომ ირგვლივ ძლიერი ღელვა დუღდა და ეკლესია მტერთაგან ზეწოლას განიცდიდა. ამის გამო შეიყვარა მან თანამბრძოლობა და თვლიდა, რომ ბასილის მმართველობით ისიც იმართებოდა.

34. ბასილის მიერ ეკლესიაზე გაწეული მზრუნველობისა და მფარველობის მრავალი სხვა ნიშანიც არსებობს: კადნიერება მთავართა, როგორც საერთოდ ყველას, ისე ქალაქის უმაღლეს ხელისუფალთა წინაშეც; გადაწყვეტილებანი, რომელთაც განყოფათა(განხეთქილებათა) შესახებ იღებდა, არა მხოლოდ სარწმუნო იყო, არამედ მის მიერ სიტყვით ჩამოყალიბებული, გამოყენების შემდეგ კანონად იქცეოდა; შემწეობის აღმოჩენა გასაჭირთა შინა ჩავარდნილთათვის, რომელიც უმეტესწილად სულიერი იყო, მაგრამ იშვიათი არც ხორციელი ყოფილა(რადგან ესეც, იმორჩილებს რა ადამიანებს კეთილგანწყობილებით, ხშირად სულისთვისაც სასარგებლოა, გლახაკთა გამოზრდანი, უცხოთშემწყნარებელობანი, ქალწულთა ზედა ზრუნვანი, დაწერილი და დაუწერელი კანონმდებლობანი მონაზვნებისათვის, ლოცვათა განწესებანი, კეთილად შემკობა საკურთხეველისანი და სხვანი, რითაც კი ჭეშმარიტად ღმრთის კაცსა და ღმრთისა თანა დაწესებულს შეეძლო სარგებლობა მოეტანა ხალხისათვის. ხოლო მათგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ცნობილი გახდა.

შიმშილობა ჩამოვარდა, ყველაზე სასტიკი, რაც კი ვინმეს ახსოვდა. ქალაქი დაუძლურდა, შემწეობა კი არსაიდან იყო და არცა რა წამალი ჩანდა უბედურებისა. სანაპირო ქვეყნებს ამგვარი გასაჭირი ადვილად გადააქვთ, რადგან ზოგს რამეს თვითონ გასცემენ და ზოგსაც ზღვისაგან იღებენ. ხოლო ჩვენთვის, ხმელეთის მცხოვრებთათვის სიჭარბე უსარგებლოა, ხოლო რაც გვაკლია, მიუწვდომელი, რადგან არ ვიცით, სად წავიღოთ ის, რაც გვაქვს და როგორ შემოვიტანოთ ის, რაც არ გვაქვს. ყველაზე ძნელი ამ დროს იმათი, რომელთაც აქვთ, გულქვაობა და გაუმაძღრობაა. ისინი დროს ელოდებიან, მოგებას სიღატაკისაგან იღებენ და განსაცდელებით სარგებლობენ. ყურად არ იღებენ არც იმას, რომ გლახაკთათვის წყალობის გამღები სესხს უფალს აძლევს(იგავ.XIX,17) და არც იმას, რომ პურის დამჭერი იწყევლება; არ ახსოვთ არც აღთქმანი კაცთმოყვარეთათვის და არც მუქარანი კაცთმოძულეთათვის, პირიქით, უფრო გაუმაძღარნი ხდებიან და ცუდად განსჯიან, რადგან დახშული

აქვთ რა თავიანთი წყალობა გლახაკებისთვის, თავიანთ თავსაც უხშობენ წყალობას ღმრთისა და არ იციან, რომ მათ უფრო სჭირდებათ ეს წყალობა, ვიდრე სხვებს – მათი. ასე იქცევიან შემსყიდველნი და გამყიდველნი ხორბლისა, არც ნათესავების რცხვენიათ და არც ღმრთის მადლიერნი არიან, ვისგანაც ზედმეტი აქვთ, მაშინ როცა სხვებს უჭირთ.

35. მაგრამ ბასილს ლოცვის მიერ არც პური უნდა ეწვიმა ზეციდან უდაბნოში ლტოლვილი ერის გამოსაკვებად(გამს.XVI,15) და არც დაულევნელად უნდა ეწყაროვა საზრდელი ჭურჭლებსა შინა, რომელნიც დაცარიელებით, რაც უჩვეულოა, ივსებოდნენ, რათა მასაზრდოებელი უცხოსი უცხოსმოყვარებისთვის მისაგებელად ესაზრდოებინა(IIIმეფ.XVII,14). არც ათასები უნდა გამოეზარდა ხუთი პურით, რომელთა ნარჩენებიც კიდევ მრავალ სუფრას ეყოფოდა(მთ.XIV,19; ლუკ.IX,16; ინ.XI,11), რადგან ესენი მოსესი, ელიასი და ჩემი ღმერთისა იყო, ვინც მათ ამის ძალა მისცა. შეიძლება ისინი იმ დროთა და მაშინდელ ვითარებათათვის იყო საჭირო, სასწაულები ხომ ურწმუნოთათვის არიან და არა მორწმუნეთათვის(Iკორ.XIV,22). ხოლო მსგავსი ამ სასწაულთა, რომელსაც იმავესკენ მიჰყავს, ბასილმა განიზრახა და აღასრულა კიდეც იმავე სარწმუნოებით. მან საუნჯენი მქონებელთა სიტყვითა და შეგონებით გააღო და **დაუნეცვა მშიერსა პური**(ეს.58,7) და **გლახაკნი განაძღნა პურითა**(ფს.131,15); **გამოზარდნა იგინი სიყმილსა**(ფს.32,19) და **მშიერნი აღავსნა კეთილითა**(ლუკ.I,53), როგორ? რა სახით? ამაზეც უნდა ითქვას, რადგან მცირედ მისი დამსახურება არც ამისაგან იზრდება. შიმშილისაგან მოწყლულნი და ისინიც, რომელნიც ძლივსღა სუნთქავდნენ, კაცებიცა და ქალებიც, ყრმანი და მოხუცნი, ასაკით საბრალონი, ერთად შეკრიბა, რაც კი შიმშილს მოკლავდა, ყოველი სახის საკვები გამოითხოვა და გამოიტანა ქვაბები, სავსენი ბოსტნეულის შეჭამანდითა და დამარილებული მარაგით, რომლითაც ღარიბები იკვებებიან; შემდეგ ქრისტეს მიბაძვით, რომელმაც შემოირტყა რა არდაგი, მოწაფეთათვის ფეხების დაბანა არა უღირს-იჩინა, ახალგაზრდა მონებსა და თანამონებთან ერთად ემსახურებოდა ხორციელად გასაჭირში ჩავარდნილთ და მათ სულებსაც კურნავდა, რადგან ხორციელ შემწეობასთან ერთად პატივსაც მიაგებდა და ამგვარად მდგომარეობას ორივემხრივ უმსუბუქებდა.

36. ასეთი იყო ჩვენი ახალი დამრიგებელი პურისა და მეორე იოსები, თუმცა მის შესახებ სათქმელი შეიძლება მეტიც გვქონდეს, რადგან იოსებმა შიმშილობიდან მოგება ნახა და კაცთმოყვარებით ეგვიპტე მოისყიდა, შექმნა რა მარაგი ჟამსა სიუხვისასა ჟამისათვის შიმშილობისა და თანაც ამისთვის სხვების სიზმართაგან იყო განწყობილი(დაბ.XLI,1). ხოლო ბასილი უსასყიდლო კეთილისმყოფელი იყო და არიგებდა რა პურს, უანგაროდ ეხმარებოდა და მხედველობაში მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა – კაცთმოყვარებით კაცთმოყვარება მოეგო და აქ პურის დარიგებით(ლუკ.XII,42) იქაური სიკეთენი დაემკვიდრებინა. ხორციელ საზრდელს იგი ზედ სიტყვიერ საზრდელსაც ურთავ-

და, ყველაზე სრულყოფილ ქველმოქმედებასა და ჭეშმარიტად ზეციურსა და მაღალ მისაცემელს. სიტყვა ხომ ანგელოზთა პურია, რომლითაც საზრდოობენ და წყურვილს იკლავენ ღმრთივმშიერნი სულნი და არა წარმავალსა და განხრწნად საზრდელს, არამედ მარადიულს ეძიებენ.

ბასილი სწორედ ამგვარი საზრდელის ყველაზე მდიდარი გამცემი იყო, ხოლო სხვა ყოველივესა შინა, რამდენადაც ვიცით, ფრიად ღარიბი და უქონელი; ის იყო მკურნალი არა პურის შიმშილისა და წყლის წყურვულისა, არამედ სურვილისა ჭეშმარიტად ცხოველი და მასაზრდოებელ სიტყვისა, რომელსაც მისგან კეთილად ნასაზრდოები სულიერი ასაკის აღორძინებისაკენ მიჰყავს ის, ვინც მისგან კეთილად საზრდოობს.

37. ამ და სხვა ამდაგვარ საქმეთა გამო(საჭიროა კი ყველა მათგანზე შეჩერება და საუბარი?), როცა მისი მოსახელე[30] ღმრთისმოსაობით მიიცვალა და მის ხელებზე მშვიდად დალია სული, მაღალ ტახტზე ეპისკოპოსისა ბასილი იქნა აღყვანილი, თუმცა ეს არც ადვილად მომხდარა და არც თვინიერ შურისა და ბრძოლისა, როგორც სამშობლოს წინამძღვართა, ისე ყველაზე უკეთურ მოქალაქეთა მხრიდან, რომელნიც მათ შეუერთდნენ. მაგრამ სულიწმიდას უნდა გაემარჯვა და გაიმარჯვა კიდევაც დიდი უპირატესობით, რამეთუ ცხებისათვის აღძრა საზღვრებს გარედან კაცნი, სახელგანთქმულნი ღმრთისმოსაობითა და მოშურნეობით და მათ შორის ახალი აბრაამიც და მამამთავარი ჩვენი, ჩემს მამაზე ვამბობ, რომელსაც საკვირველება შეემთხვა. არა მხოლოდ წელთა სიმრავლისაგან მოუძლურებულმა, არამედ სნეულებისაგანაც, ღონემიხდილმა და უკანასკნელ ამოსუნთქვას მიახლოვებულმა, გაბედა და გზას დაადგა, რათა ხმის მიცემისას შეწეოდა და სულიწმიდას მიენდო. მოკლედ რომ ვთქვა, იგი ვითარცა მკვდარი საფლავსა ზედა, ისე დაასვენეს საკაცესა ზედა, ხოლო უკან განჭაბუკებული დაბრუნდა, ზეაღმხედველი, გამოჯანმრთელებული ხელითა და ცხებითა, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, უფრო მეტად შეხებისაგან ცხებულის თავისა. დაე, ესეც მიემატოს ძველების გადმოცემას იმის თაობაზე, რომ შრომა კაცს სიმრთელეს ანიჭებს, გულმოდგინება მკვდარს აღადგენს, ხოლო სიბერე ხლტის ცხებული სულითა.

38. ასე შეიქნა ღირსი წინამძღვრობისა, ვითარცა მსგავსნი მისნი გახდნენ ამგვარ მადლს მიმთხვეულნი და სამართლიანად მოიხვეჭეს იგი. ბასილს არც შემდგომში შეურცხვენია არაფრით არც თავისი სიბრძნისმოყვარება და არც სასოება იმათი, რომელთაც მისი ირწმუნეს. პირიქით, მუდმივად ისე აღემატებოდა თავისთავს, ვითარცა მანამდე სხვებს, მსჯელობდა რა ამის შესახებ ფრიად კეთილად და სიბრძნისმოყვარებით. რადგან სხვებს თუ უკვე იმას, რომ ბოროტნი არ იყვნენ, ან ასე თუ ისე, რაღაც სიკეთე ჰქონდათ, უკვე სათნოებად უთვლიდა, ძალაუფლების მქონისა და წინამდგომისათვის, მით უმეტეს, ისეთი ძალაუფლების მპყრობელისათვის, როგორიც ბასილს ჰქონდა, უკვე

[30] იგულისხმება ევსევი, კესარიის ეპისკოპოსი.

ბოროტება ის იქნებოდა, თუ სხვებს ბევრად არ აღემატებოდა და მუდმივად უკეთესისაკენ მსწრაფველს მისი პატივისა და ტახტის შესაბამისი სათნოება არ აღმოაჩნდებოდა. ისიც კი, ვინც შუაშია, მწვერვალს ძნელად აღწევს და ვინც სათნოებებით მდიდარია, ძნელად მიიზიდავს მრავალთ ზომიერებისაკენ. მაგრამ ამის შესახებ უკეთესად რომ ვისიბრძნისმეტყველო, უმჯობესი იქნება ვთქვა, რას ვჭვრეტ მეც და ყველა, ვინც კი ბრძენია, მაცხოვრისათვის, კერძოდ იმას, რომ, როცა ის ჩვენთან იყო, ჩვენზე მაღალსა და ჩვენს [ბუნებასაც] განასახიერებდა(ჩვენთან ყოფნისას იგი ხატი იყო იმისიც, ვინც ჩვენზე მაღლაა და ჩვენიც), ვფიქრობ, ეს შემთხვევა გვქონდა აქაც. ისევე, როგორც ეს ქრისტეზეა ნათქვამი, რომ **წარემატებოდა** ვითარცა **ჰასაკით,** ისე **სიბრძნითა და მადლითაც**(ლუკ.II,52), მაგრამ აქ მათი გაზრდა(აღორძინება) კი არ იგულისხმება(რადგან მასში, ვინც თავიდანვე სრული იყო, უფრო სრული რა შეიძლებოდა გამხდარიყო?), არამედ მათი თანდათანობით გამჟღავნება და გამოვლენა, ასევე ამ კაცის სათნოებასაც რამე კი არ შეემატა, არამედ ამ დროს მოქმედებისათვის უფრო დიდი ასპარეზი მიიღო და ხელისუფლების გამოსავლენად მეტი საგანი იპოვა.

39. უწინარესად, მან ყველასათვის ნათელი გახადა, რომ ხელისუფლება, რომელიც მიეცა, არა კაცობრივი მოწყალების საქმე იყო, არამედ ნიჭი, ღმრთისაგან ბოძებული და ეს ჩემ მიერაც ცხადყო, რადგან რაშიც იმდროისათვის მე ვიცავდი სიბრძნისმოყვარებას, იმაში ისიც თანასიბრძნისმოყვარედ მექმნა. მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ გახარებული მსწრაფლ მივირბენდი მასთან(შეიძლებოდა ეს სხვას შემთხვეოდა კიდეც) და ხელისუფლებას ერთად გავანაწილებდით, ან უფრო მეტიც, ძალაუფლებას გავიყოფდით, რადგან ჩვენი მეგობრობა ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა, მე, რომელიც მძიმე ტვირთს ყველაფერში უფრო გავურბივარ, ვიდრე ვინმე სხვა, და ამასთან იმის გამოც, რომ ჟამი შურისა იდგა და მისგან სნეულნი ჯერ კიდევ შფოთავდნენ, შინ დავრჩი, ძალით მოვთოკე რა სურვილი მისი ნახვისა. მართალია, ამისთვის მისაყვედურა, მაგრამ შემინდო. ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს მივედი და არც პატივი კათედრაზე ასვლისა მივიღე და არც უპირატესობა მღვდელთა შორის, ამისთვის არათუ საყვედური უთქვამს, და კარგადაც მოიქცა, არამედ შემაქო კიდეც, რადგან რამდენიმე კაცისაგან ქედმაღლობის ბრალდების დათმენა უჯობდა გონებისა და მისი რჩევის საწინააღმდეგოდ რაიმეს გაკეთებას. უფრო უკეთ როგორ უნდა დაემტკიცებინა, რომ უფრო მაღალი სული ჰქონდა ვიდრე კაცთათვის ყოველგვარი სათნოყოფა და პირფერობაა; მხოლოდ ერთ კანონს ხედავდა, – კანონს სიკეთისა და ჩემ მიმართაც, ვისაც თვისთა მეგობართა და ნათესავთა შორის პირველად მთვლიდა, განა ამგვარადვე არ განიზრახავდა?

40. შემდგომად ამისა, წინააღმდგომნი მისნი მოინახულა, დაამშვიდა და დიდსულოვნების სამკურნალო სიტყვებით განკურნა, მაგრამ ეს არც პირ-

მოთნეობით გაუკეთებია და არც თავის დამცირებით, არამედ სიმტკიცით და დიდებულებით, ვითარცა კაცმა, რომელიც არა მხოლოდ აწმყოს უყურებდა, არამედ მომავალში მათ კეთილშობილებას ჭვრეტდა. ხედავდა რა, რომ ლმობიერება დათმობად და გაუბედაობად აღიქმებოდა, ხოლო სიმკაცრე გაღიზიანებასა და თავდაჯერებულობას იწვევდა, ერთმანეთს ორივე შეაწია: სიმშვიდით სიფიცხე შეაზავა და სიმტკიცით ლმობიერება. სიტყვამრავლობა არ სჭირდებოდა, რადგან უფრო დიდი ძალა კურნების საქმეს ჰქონდა; ამასთან, ადამიანებს არა რაღაც მანქანებით იმორჩილებდა, არამედ თავის მხარეზე კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გადაჰყავდა; ძალაუფლების გამოყენებამდე ჯერ შეწყალებას იყენებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მის გონიერებას ყველა უთმობდა, მისი სათნოების მიუწვდომელობას აღიარებდა და ხსნას მხოლოდ მასთან და მისი მორჩილების ქვეშ ყოფნაში ხედავდა; ასევე საშიშადაც ერთი რამ მიაჩნდა: მასთან დაპირისპირება, რადგან მისგან განდგომას ღმრთისაგან გაუცხოებად თვლიდა. ასე ნებაყოფლობით უთმობდნენ და ემორჩილებოდნენ, თითქოს ქუხილის ხმისაგან ქედმოხრილნი, მის წინაშე თავის მართლებას ერთმანეთს ასწრებდნენ. რა ზომითაც მანამდე მტრული განწყობილება ჰქონდათ, იმ ზომითვე მას კეთილმოსურნეობით გარდაცვლიდნენ და სათნოებასა შინა წარმატებას ესწრაფვოდნენ, რადგან განმართლებისათვის ყველაზე ძლიერ საშუალებას მასში პოულობდნენ, იმათ გარდა, რომელთაც ბოროტებისაგან განუკურვნელობის გამო, თავიანთი თავი თვითონვე გაწირეს და მოიკვეთეს, რათა, ვითარცა რკინა განილევა თვისისა ჟანგისაგან, თვითონაც ასე შემუსვრილიყვნენ და განლეულიყვნენ.

41. რაჟამს საშინაო საქმენი მისი შეხედულებისდა მიხედვით მოაგვარა და აღარც ვინმე ურწმუნოთაგანს, რომელიც მას არ იცნობდა, დარჩა იმედი, გონებით უფრო დიდი და მაღალი რამ განიზრახა, რადგან უკეთუ სხვები მხოლოდ თავიანთ ფერხთა ქვეშ იყურებიან და ამით თითქოსდა საკუთარ ურყევობას იმედოვნებენ, თუკი ეს მართლაც ურყევობაა, ვერც უფრო შორს მიდიან და ვერც უფრო წინ და არც რაღაც დიდისა და გაბედულის მოფიქრება შეუძლიათ და არც აღსრულება, მან, თუმცა სხვა დანარჩენში ზომიერი იყო, ამაში ზომიერების დაცვა არ იცოდა, არამედ ასწია რა თავი მაღლა და მიმოავლო რა ირგვლივ სულიერი თვალი, მისით მთელი სამყარო, სადაც კი მაცხოვნებელი სიტყვა იყო მიღწეული, მოიცვა. როცა დაინახა, რომ დიდი მემკვიდრეობა ღმრთისა, მისი სწავლებებით, კანონებითა და ტანჯვის დათმენით მოხვეჭილი – **ნათესავი რჩეული სამეუფოჲ სამღდელოჲ**(Iპეტრ.II,9) ათას შეხედულებად და ცდომილებად დანაწევრებული, ცუდ მდგომარეობასა შინა იყო, და რომ ეგვიპტიდან – უღმრთოებისა და უმეცრების სიბნელიდან **ცვალებული** და გადმონერგილი(ფს.79,9) ვენახი, რომელმაც მშვენიერებასა და უზომო სიდიდეს მიწევნულმა მთელი დედამიწა დაფარა და მთათა და კედართა ზედა აღიწია, ბოროტისა და მძვინვარე ეშმაკისაგან(ფს.79,13) – იყო გან-

რყვნილი, უბედურების უხმოდ დატირებით, ღმრთისადმი მხოლოდ ხელების აღპყრობითა და მისგან გარემომცველ ბოროტებათაგან დახსნის ძებნით და ამ დროს უქმად ჯდომით როდი დაკმაყოფილდა, არამედ საჭიროდ მიიჩნია, რომ შემწეობის გასაწევად რამე თვითონაც ეღონა.

42. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ უბედურებაზე უფრო სამწუხარო და რა უნდა ჰქონოდა ამაზე მეტი საზრუნავი მას, ვინც ეკლესიას ზედამხედველობდა? რადგან, როცა ერთი იქცევა ან კარგად, ან ცუდად, ეს საზოგადოებისათვის არაფერს ნიშნავს, ხოლო როცა ან ასეთ, ან ისეთ მდგომარეობაში მთელი საზოგადოებაა ჩავარდნილი, მაშინ მის ცალკეულ წევრებსაც აუცილებლობით მისი მსგავსი მდგომარეობა ექნებათ. ამას იაზრებდა და ხედავდა საზოგადოებისათვის მზრუნველი და მისი მფარველი(წინამძღოლი) და რამდენადაც, როგორც ამას სწორად შენიშნავს სოლომონი, **მღილი ძუალთა – გული მგრძნობელობითია**(იგავ.XIV,30), გულგრილობა მხიარულებაა, თანალმობა კი – მწუხარება, განლევა გულისა და განუწყვეტელი ფიქრი, – ისიც დარდობდა, წუხდა, გული უწყლულდებოდა, იტანჯებოდა და მსგავსად იონასი ხან მზად იყო სული გაეწირა, ხან კი, ვითარცა დავითი, არ სცემდა **ძილს თვალთა და არცა ჰრულს წამწამთა მისთა**(ფს.131,4), ხოლო ნეშტს სხეულისა ზრუნვით მანამდე განლევდა, ვიდრე ბოროტებისაგან ხსნას არ იპოვიდა, ეძიებდა რა ღმრთეებრივსა თუ კაცობრივ შემწეობას საერთო ხანძრის თუნდაც შესაჩერებლად და ჩვენი გარემომცველი სიბნელის გასაფანტად.

43. მან ერთი ასეთი ფრიად მხსნელი საშუალება მოიფიქრა: მოიკრიბა გონება და სულიწმიდის მიერ თავის თავში ჩაკეტა, ყოველნი კაცობრივი გულისხმისყოფანი წმიდა წერილის სიღრმისეულად წასაკითხად აღძრა და ღმრთისმოსაური მოძღვრება წერილობით გადმოსცა. ბასილი ერეტიკოსებს დაუპირისპირდა, ებრძოდა და ეკამათებოდა მათ, და მათ მეტისმეტ სითავხედეს იგერიებდა, ხოლო რომელნიც ხელთ უვარდებოდნენ, ისინი იარაღით ხელჩართული ბრძოლისა – ენით დაამხო, შორს მყოფნი კი ისრებით მელნისა[31] დაამარცხა. ისინი, რომელნიც ნაკლებ პატივსაცემნი როდი იყვნენ სჯულის ფიცართა ზედა წარწერილებზე, რადგან ადგენდნენ კანონებს არა მხოლოდ იუდეველთა მცირერიცხოვანი ერისათვის, არცა საჭმლისა და სასმელისა, არცა დადგენილ დროს მსხვერპლის შეწირვისა და არც სხეულის განწმედის შესახებ, არამედ ყოველი ერისა და სამყაროს ყველა ნაწილისათვის ჭეშმარიტების სიტყვაზე, რომლითაც ცხოვრება იქმნება.

მეორე საშუალებაც ჰქონდა; რადგანაც, ვითარცა საქმე უსიტყვოდ, ასევე სიტყვაც უსაქმოდ ერთნაირად არასრულყოფილია, ამიტომ სიტყვას საქმით შემწეობაც შესძინა: ერთთან რომ თვითონ მიდიოდა, მეორესთან სხვას აგზავნიდა, ზოგსაც თავისთან იხმობდა, ასწავლიდა, **ამხელდა, ჰრისხვიდა**(IIტიმ.IV,2),

[31] იგულისხმება წმ. ბასილი დიდის საღმრთისმეტყველო თხზულებანი, რომლებშიც მან ერეტიკოსთა მცდარი სწავლებანი სიტყვით დაამხო.

ემუქრებოდა, საყვედურობდა; ამ ბრძოლაში ხალხებს, ქალაქებს, თითოეულ ადამიანს წინამძღოლობდა, ხსნის ყოველ ღონეს იგონებდა და ყოველმხრივ კურნავდა. ეს ბესელიელი, ხუროთმოძღვარი საღმრთო კარავისა, ყველა მასალასა და ხელოვნებას იყენებდა და ყოველივეს ერთმანეთში წნავდა ერთი მშვენიერების უპირატესობისა და სიმწყობრისათვის.

44. საჭიროა კი რამის თქმა სხვა საქმეებზეც? ისევ მოვიდა ჩვენთან მეფე ქრისტესმბრძოლი და სარწმუნოების შემავიწროებული და რადგანაც იცოდა, რომ სიტყვისგება უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან ექნებოდა, უფრო დიდი და უფრო აღგზნებული ლაშქრით უსჯულოებისა მოვიდა, მსგავსად იმ უწმიდურისა და ბოროტისა სულისა, რომელიც განვიდა რა კაცისაგან, იხეტიალა და დასამკვიდრებლად მრავალ სულთან ერთად, როგორც ეს სახარებიდან ვიცით, ისევ მას დაუბრუნდა(ლკ.XI,24-26). მეფემ მას მიბაძა, რათა თავისი პირველი დამარცხება გაექარწყლებინა და ადრინდელი ხრიკებისათვის ახალიც ზედ დაერთო. მბრძანებელი მრავალი ხალხისა, რომელმაც დიდი დიდება მოიხვეჭა, ყოველი შემოგარენი თავის უსჯულო მპყრობელობას დაუმორჩილა და ყოველივე ხელში ჩაიგდო, ერთი კაცისა და ერთი ქალაქისაგან დამარცხებული და სასაცილოდ აგდებული, როგორც ამას თვითონ ფიქრობდა, არა მხოლოდ უღმერთოების იმ ქომაგთათვის, რომელნიც მოიყვანა, არამედ, საერთოდ, ყველა ადამიანისათვის, სახილველად მძიმე და შესაბრალისი იყო.

45. სპარსთა მეფის შესახებ ამბობენ, რომ, როცა მან ელადის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა, ლაშქარში ყველა მოდგმის ადამიანი შეკრიბა, მაგრამ მხოლოდ ამით როდი ქედმაღლობდა, არამედ ბობოქრობდა რა ყოვლითა სულითა და გონებით, არც მუქარის ზომა იცოდა და ელინთა კიდევ უფრო მეტად დასათრგუნად, თავისი თავი საშიშად იმითაც წარმოადგინა, რომ თითქოს სტიქიათა გარდაქმნის ძალაც ჰქონდა. ასე გავარდა ხმა ამ ახალი შემოქმედისაგან შექმნილ მიწასა და ზღვაზე, რომელთა შესახებაც მანამდე არავის სმენოდა, ლაშქარზე, რომელიც ხმელეთზე ცურავდა, ხოლო ზღვას ფეხით გადიოდა, მიტაცებულ კუნძულებსა, მათრახით გაშოლტილ ზღვასა და კიდევ ბევრ სხვა რამეზე, რაც სარდლისა და ლაშქრის ქარაფშუტობაზე ნათლად მეტყველებდა და მხოლოდ სულით უძლურებს თრგუნავდა, მაშინ, როცა მამაცთა და გონებით მტკიცეთათვის სასაცილო იყო. არაფერი მსგავსი ამისა არ სჭირდებოდა მას, ვინც ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრა, მაგრამ როგორც გვესმოდა, იგი კიდევ უფრო ცუდად და დამღუპველად ლაპარაკობდა და მოქმედებდა. **დადვა ცათა შინა პირი მისი და ენაჲ მისი ეთრია ქუეყანასა ზედა**(ფს.72,9), – ასე მშვენივრად განაქიქა ღმრთეებრივმა დავითმა ჩვენზე ადრე იგი, ვინც ზეცა მიწისაკენ მოდრიკა და ზესამყაროული ბუნება, რომლის დატევა ქმნილებას არ შეუძლია, თუმცა კანონით კაცთმოყვარებისა ჩვენთან იყო, რათა ჩვენ, მიწასა ზედა მყოფნი თავისთან ქმნილებათა თანა შეერაცხა.

46. და რაც არ უნდა ბრწყინვალე ყოფილიყო ამ მეფის პირველი შემართე-

ბანი, უფრო ბრწყინვალე ჩვენ წინააღმდეგ მისი ბრძოლანი გამოდგა. პირველ შემართებათა შორის რას ვგულისხმობ? ეს იყო დევნულებანი, ლტოლვილობანი, კონფისკაციები ქონებისა, ცხადი და ფარული ბოროტმზრახველობანი, დარწმუნებანი, სადაც ეს ჭრიდა, ხოლო სადაც დარწმუნება არ გადიოდა – იძულებანი; ეკლესიათაგან გაძევება მათი, რომელნიც მართალსა და ჩვენს სარწმუნოებას აღიარებდნენ და, პირიქით, შემოყვანა მათი, რომელნიც მეფის წარწყმედის გამზიარებელნი იყვნენ, უსჯულოების [დამადასტურებელ] ხელწერილებს ითხოვდნენ და კიდევ უფრო საშინელ წერილებს ადგენდნენ.

ხუცესთა დაწვანი ზღვათა შინა, ბიწიერნი მხედართმთავარნი, რომელნიც არც სპარსელებზე იმარჯვებდნენ, არც სკვითებს იმორჩილებდნენ და არც სხვა რომელიმე ბარბაროსულ ტომს სდევნიდნენ, არამედ ეკლესიათა წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, საკურთხეველთა ზედა დაცინვით როკავდნენ, უსისხლო მსხვერპლს ადამიანთა და მსხვერპლის სისხლით ბილწავდნენ და ქალწულთა კრძალულებას შეურაცხყოფდნენ.

და ყოველივე ეს რისთვის? მამამთავარი იაკობის ეკლესიიდან განსადევნად და ესავის შესაყვანად, რომელიც ვიდრე დაიბადებოდა, მანამდე უკვე მოძულებული იყო. ასეთია თხრობანი მეფის თავდაპირველ შემართებაზე, რომელთა გახსენებაცა და მოსმენაც მრავალთათვის ცრემლთა მომგვრელია ვიდრე აქამომდე.

47. როცა ყველა მხარე მოვლო, ამ ჩვენი შეურყეველი და დაუსნებოვნებელი ეკლესიათა დედის დასამორჩილებლად გამოემართა, ერთადერთი ეკლესიისა, რომელიც ცხოველსმყოფელ ნაპერწკლად ჭეშმარიტებისა ისევ რჩებოდა. მაშინ მან პირველად იგრძნო თავისი ჩანაფიქრის წარუმატებლობა, რადგან, ვითარცა ისარი, სიმაგრესა ზედა მოხვედრილი, უკუგდებულ იქნა და ვითარცა საბელი გაწყვეტილი, უკუიქცა, ეკლესიის იმგვარ წინამძღვარს შეხვდა და მასთან, ვითარცა კლდესთან, შეხლისას შეიმუსრა. მათგან, ვინც მაშინდელი უბედურებანი განიცადა, სხვა ბევრი ამბისა და ისტორიის მოსმენაც შეიძლება(რადგან არავინაა ისეთი, რომელიც ყოველივე ამას ვერ მოგვითხრობდა). ვინც იმდროინდელ ბრძოლათა შესახებ იცის, ყველას უკვირს: რამდენი თავდახსნა, დაპირება, მუქარა იყო. ბასილს ხან მსაჯულთა დასიდან მიუგზავნეს, რათა მტკიცებულებით დაერწმუნებინათ, ხან სამხედრო წოდებიდან და ხანაც იმათგან, რომელნიც დედაკაცებს ემსგავსებიან, დედათა შორის მამაკაცები არიან, ხოლო მამაკაცთა შორის – დედაკაცები, სიმამაცეს მხოლოდ ერთ რამეში – უსჯულოებაში იჩენენ და რადგანაც აღვირახსნილი ცხოვრება ბუნებით არ შეუძლიათ, ამიტომ მხოლოდ ენით მეძაობენ. მეფის მზარეულთა უფროსი ნაბუზარდანი, რომელიც ბასილს მისი ხელობის იარაღით – დანით ემუქრებოდა, როგორც შეეფერებოდა, ცეცხლსა შინა იქნა წარგზავნილი. მაგრამ ჩემთვის ყველაზე საკვირველს, რომლისთვისაც გვერდის ავლა, კიდევაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია, რამდენადაც ამას შევძლებ, შემოკლებული სიტყვით გადმოვცემ.

48. ვინ არ იცის მაშინდელი იგი ეპარქოსი, რომელიც თავის თავხედობას

განსაკუთრებით ჩვენ მიმართ იყენებდა(რადგან ნათლობით მათგან სრულიქმნა, ან აღესრულა[32]), ხოლო მბრძანებლისათვის საჭიროზე მეტი მსახურების გაწევითა და მისი ყოველმხრივი მომადლიერებით ძალაუფლება ხანგრძლივად შეინარჩუნა და დაიცვა? ამ მმართველთან, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ კბილებს აღრჭიალებდა, ლომებრივ სახეს იღებდა, ლომებრ ბრდღვინავდა და მრავალთათვის მიუდგომელი იყო, ეს კეთილშობილი კაცი შეიყვანეს, უფრო უკეთ, თვითონ შევიდა ვითარცა დღესასწაულზე და არა სამსჯავროზე გამოძახებული. როგორ გადმოვცე ღირსეულად ან ეპარქოსის თავხედობა, ან ის კეთილგონივრული წინააღმდეგობა, რომელიც მას ბასილმა გაუწია.

ეპარქოსმა უთხრა: ვინ ხარ შენ, – სახელით მიმართა, რადგან ეპისკოპოსის წოდების ღირსად არ ჩათვალა, – რომ კადნიერდები და წინააღმდეგობას უწევ ესოდენ ძლევამოსილებას და ყოველთა შორის თავდაჯერებას მხოლოდ შენ ინარჩუნებ საპასუხოდ? ბასილი გაბედულად შეეკითხა: – რატომ ან რომელი უგუნურებისა გამო? მითხარი, რადგან არ ვიცი. – იმიტომ, რომ არ აღიარებ სარწმუნოებას მეფისა, მაშინ, როცა ყველამ ქედი მოიხარა და დაუთმო. – ეს არ ნებავს მეუფეს ჩემსას და არც მე ვიდებ თავს თაყვანისცემას ქმნილებისა, თავადაც ქმნილება, რომელსაც განღმრთობა მებრძანა, – მიუგო ბასილმა. – შენ ჩვენ ვინ გგონივართ? – შეეკითხა ეპარქოსი. – ისინი, რომელნიც ამას გიბრძანებთ, არარანი ვართ? ანუ შენთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ჩვენ თანა შეირაცხო და ერთობა(ზიარყოფა) გვქონდეს? – თქვენ მმართველნი ხართ, – უპასუხა ბასილმა, – და არ უარვყოფ, რომ გამოჩენილი მმართველნიც, მაგრამ არა ღმერთზე უფრო პატივსაცემნი. თქვენთან ერთობა ჩემთვის მნიშვნელოვანია(რატომაც არა? თქვენც ხომ ღმრთის ქმნილებანი ხართ), მაგრამ არა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თქვენს ქვეშევრდომთაგან რომელიმე სხვასთან, რადგან ქრისტიანობა არა იმით განისაზღვრება, ვინ არიან პირნი, არამედ სარწმუნოებით.

49. მაშინ ეპარქოსი აღელდა, თავისი სკამიდან წამოდგა და კიდევ უფრო მკაცრი სიტყვებით მიმართა: – ანუ რა, არ გეშინია ხელისუფლებისა? – რა უნდა დამმართოს, ან რა უნდა შემამთხვიოს? – იკითხა ბასილმა. – მრავალთაგან ერთი, რომლის ძალაუფლებაც მაქვს. – მაინც რომელნი არიან ისინი? ჩვენც რომ ვიცოდეთ. – ქონების კონფისკაცია, გაძევება, წამებანი და სიკვდილი. – თუ შეგიძლია, სხვა რამეთი დამემუქრე, რადგან ამათგან არცერთი მეხება. მმართველმა ჰკითხა: – რატომ ან რანაირად? – იმიტომ რომ, – უპასუხა ბასილმა, – კონფისკაციით არაფერი წაერთმევა მას, ვისაც არაფერი აქვს. განა შენ რაში უნდა დაგჭირდეს ეს ჩემი ბეწვიანი ფლასი, ან რამდენიმე წიგნი, რომელიც მთელს ჩემ ცხოვრებას შეადგენს? არც გაძევება

[32] გრიგოლ ღმრთისმეტყველი არიოზელებს გულისხმობს. როგორც ჩანს, იმპერატორის ამ დიდ მოხელეს ნათლობა მწვალებელთაგან ჰქონდა მიღებული. წმ. გრიგოლი სიტყვის τελεσθείς(ზმნიდან τελέω) ორმაგ მნიშვნელობას – სრულქმნილი და აღსრულებული – მარჯვედ იყენებს, რათა ერეტიკოსთაგან შესრულებული ნათლობა ადამიანის სულიერ სიკვდილთან, მის აღსასრულთან გააიგივოს.

ვიცი, რას ნიშნავს, რადგან ერთი ადგილით გარშემოწერილი არ ვარ; არც ეს ადგილია ჩემი, სადაც ახლა ვცხოვრობ და ჩემი ადგილი იქნება ყველა, სადაც განმდევნიან, უფრო უკეთ, ყოველივე ღმრთისაა, სადაც მე **მსხემ** და **წარმავალ**(ფს.38,12) ვარ; ან წამებამ რა უნდა მიყოს მე, ვისაც სხეული აღარც მაქვს, თუ პირველ დარტყმას გულისხმობ? შენ მხოლოდ მისი უფალი ხარ; ხოლო სიკვდილი ჩემთვის გაწეული ქველმოქმედება იქნება, რადგან მსწრაფლ წარმგზავნის ღმერთთან, ვისთვისაც ვცოცხლობ და ვმოღვაწეობ, ვისთვისაც უმეტესწილად უკვე მოვკვდი და ვისკენაც უკვე დიდი ხანია მივისწრაფვი.

50. ამგვარი პასუხით სახტად დარჩენილმა ეპარქოსმა თქვა, ჩემთან აქამდე ამგვარად და ესევითარი კადნიერებით არავის ულაპარაკიაო და თავისი სახელიც დაუმატა. ბასილმა მიუგო: ალბათ, ეპისკოპოსს არ შეხვედრილხარ, თორემ ამ საკითხზე უეჭველად ასე გიპასუხებდათ, რადგან ჩვენ, ეპარქოსო, როგორც ამას ჩვენი მცნება გვიბრძანებს, ყველა სხვა საქმეში მშვიდნი და ყველაზე თავმდაბალნი ვართ და წარბს, არა მხოლოდ ესევითარისა ძლევამოსილებისა, არამედ არავის, ვინც არ უნდა იყოს იგი, წინაშე მაღლა არ ვწევთ; მაგრამ იქ, სადაც საფრთხე ღმრთის სახელს(რწმენას) ემუქრება, მხოლოდ მას ვხედავთ და სხვას ყოველივეს არარად ვაგდებთ. ამიტომ ცეცხლი, მახვილი, მხეცები თუ ხორცის დამფლეთი ბრჭყალები ჩვენთვის უფრო საშვებელია, ვიდრე საზარელი. სარწმუნოებისათვის შეურაცხგვყავ, დაგვემუქრე, ქმენ, რასაც მოისურვებ, რაც ხელგეწიფება და დატკბი შენი ძალაუფლებით; მაგრამ, დაე, ეს მეფემაც მოისმინოს: რაც არ უნდა მკაცრად დაგვემუქროთ, ვერც დაგვიმორჩილებ და ვერც დაგვარწმუნებ, რომ უსჯულოებას შევუერთდეთ.

51. როცა ეს პასუხი მოისმინა, ეპარქოსი მიხვდა, რაოდენ უშიშარი და დაუმარცხებელი კაცი იდგა მის წინაშე და შეცვლილმა, უკვე არა ადრინდელი მუქარით, არამედ ერთგვარი რიდითა და პატივისცემით გამოუშვა, ხოლო თვითონ სასწრაფოდ ეახლა მეფეს და მოახსენა: „დავმარცხდით, მეფეო, ამ წინამძღვრისაგან ეკლესიისა. ეს კაცი მუქარაზე მაღლა დგას, მტკიცებულებებზე უფრო მტკიცეა და დარწმუნებებზე უფრო ძლიერი. სხვები უნდა განვცადოთ, გაუბედავნი, ამის წინააღმდეგ კი ან აშკარად ძალა უნდა გამოვიყენოთ, ან არ უნდა ველოდოთ, რომ დაშინებით დაგვითმობს“.

ამის შემდეგ, მეფემ გაკიცხა რა თავისი თავი და დამარცხდა რა ბასილის შესახებ მოსმენილ ქებათაგან, მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება აღარ ბრძანა. მას იგივე დაემართა, რაც რკინას ემართება, რომელიც ცეცხლში რბილდება, მაგრამ მაინც რკინად რჩება; რისხვა გაკვირვებად შეეცვალა და გადაწყვეტილება მასთან ერთობისა ვერ მიიღო, რადგან შეცვლის რცხვენოდა და ყველაზე შესაფერის პასუხს ეძებდა, რასაც ახლა სიტყვა ცხადყოფს.

52. მეფე ტაძარში შეიარაღებულ მცველთა თანხლებით, ვითარცა მისი ნაწილი, ხალხის კრებულთან ერთად შევიდა, რათა ამით მასთან ერთობა წარმოეჩინა. არც ისაა გვერდის ავლის ღირსი, რომ შიგნით სმენა მისი ფსალმუნთა

გალობამ დაიპყრო და ზღვა ხალხი იხილა, ხოლო საკურთხეველთან და მის სიახლოვეს სრული, უფრო ანგელოზებრივი, ვიდრე კაცობრივი სიმწყობრე დაინახა. ყველაზე წინ ბასილი იდგა, როგორც ეს წმინდა წერილში სამუელის შესახებ წერია(Iმეფ.VII,10), აღმართული და უძრავი, როგორც სხეულით, ისე მზერითაც და გონებითაც. თითქოს ტაძარში ახალი არაფერი ხდებოდა, ასე ვიტყვი, იგი მიმსჭვალული დარჩა ღმერთსა და საკურთხეველთან; მის გარშემო დანარჩენებიც შიშითა და კრძალვით იდგნენ.

როცა მეფემ, რომელსაც ამ სანახაობისათვის შესადარებლად მაგალითი არ ჰქონდა, ეს იხილა, ძლიერი მღელვარებისაგან თვალი და სული ბნელით აევსო და თავბრუ დაეხვა, თუმცა ეს მღელვარება მაშინ ბევრისათვის დაფარული დარჩა, მაგრამ, როცა საჭირო გახდა, ღმრთეებრივ ტრაპეზზე თვითონ მას მიეტანა ძღვენი, რომლის მიღებაც, ჩვეულებისამებრ, სხვას არავის შეეძლო, მისი მღელვარება გამჟღავნდა, რადგან არ იცოდა, მიიღებდა თუ არა მას ბასილი. მეფე დგომისას ისე შეირყა, რომ საკურთხევლის მსახურთაგან ერთ-ერთს ხელით რომ არ დაეჭირა, დაეცემოდა და ეს დაცემა ცრემლების ღირსი იქნებოდა.

53. ხოლო იმის შესახებ, რა უთხრა ბასილმა მეფეს და როგორი სიბრძნისმოყვარეობით(რადგან როცა მეფე ჩვენთან ისევ მოვიდა, რათა კრებაში რაღაც სახით მონაწილეობა მიეღო, მასთან შესახვედრად და სასაუბროდ, რისი დიდი სურვილიც ჰქონდა, კრეტსაბმელის შიგნით შევიდა), სხვა რა უნდა ითქვას გარდა იმისა, რომ მეფის მხლებელთაც და ჩვენც, რომელნიც მასთან ერთად შევედით, სიტყვები ღმრთისა მოვისმინეთ? ეს გახდა დასაბამი ჩვენ მიმართ მეფის კაცთმოყვარული დამოკიდებულებისა და პირველი მოსვენებული მდგომარეობისა. ამ შეხვედრის შედეგად უმეტესი ნაწილი ცილისწამებათა, რომელთაც მანამდე გვაყენებდნენ, ვითარცა რაღაც დინება, შეწყდა.

54. იმათზე ნაკლებ მნიშვნელოვანი, რაც გადმოვეცი, არც სხვა შემთხვევა იყო. ბოროტებმა იმძლავრეს, ბასილს გაძევება დაუდგინეს და მის შესრულებასაც აღარაფერი აკლდა. დადგა ღამე და ეტლიც მზად იყო; მტერნი ტაშს უკრავდნენ, ღმრთისმოყვარენი გლოვობდნენ. იგი გასამგზავრებლად მხნედ ემზადებოდა და ჩვენც მასთან ვიყავით. ყოველი სხვა მზადებაც, რასაც ეს მშვენიერი შეურაცხყოფა მოითხოვდა, დამთავრებული იყო; მაგრამ რა მოხდა? ღმერთმა ეს დადგენილებაც დაარღვია. რამეთუ ვინც დასცა პირმშონი ეგვიპტისა, ისრაელსა ზედა რისხვით აღძრულისა(გამს.XII,19), მანვე დასცა წყლულებით სნეულებისა ძეც მეფისა, და თანაც მეყსეულად! აქეთ წერილი განდევნისა, იქით დადგენა უძლურებისა! და შეჩერდა ხელი ბოროტი მწერლისა, წმიდაჲ იგი გადარჩა და კაცი ღმრთისმოსავი საჩუქარი გახდა ხურვებისა, რომელმაც თავხედი მეფე გონს მოიყვანა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამაზე სამართლიანი და მსწრაფლშეწევნადი? ხოლო შემდეგი ამბები ასეთი იყო: მეფის ძე იტანჯებოდა და სხეულით უძლურდებოდა. მასთან ერთად იტანჯებოდა მამაც, და რა გააკეთა მან? ეძიებდა რა სნეულისათვის შემწეობას ყოველი

მხრიდან, საუკეთესო ექიმებს არჩევდა, გულით ლოცულობდა, როგორც არასდროს და მიწაზე ემხობოდა, რადგან ტანჯვა თავმდაბლობას მეფესაც სძენს და ეს არცაა გასაკვირი, დავითის შესახებაც წერია ხომ, რომ თავისი შვილის გამო, რადგან რცხვენოდა შეურაცხყოფისა, რომელიც ცოტა ხნის წინ მიაყენა, იგიც ასე მწუხარებდა. ხოლო როცა წამალი ბოროტი სნეულებისა ვერსაით იპოვა, ბასილის სარწმუნოებას მიმართა, მაგრამ თვითონ როდი მოუწოდა(IIმეფ. 12,16); არამედ ყველაზე მახლობელნი და მოყვარულნი მიუგზავნა. ბასილიც მოვიდა, არც თავი აარიდა და არც წინააღმდეგობა გამოხატა იმის გამო, რაც მოხდა, თუმცა სხვა გამოხატავდა.

სნეულება უკვე მისი მოსვლითაც კი შემსუბუქდა და მამის იმედებიც უფრო ტკბილი იქნებოდა, სასმელი წყალი მარილიანით რომ არ განეზავებინა; ბასილის მოწვევის თანადროულად სხვაგვარად მადიდებელთა[33] რწმენა რომ არ ჰქონოდა, შეიძლებოდა მისი შვილი გამოჯანმრთელებულიყო, მამის ხელით გადარჩენილი. ეს სჯეროდათ მათ, რომელნიც ამ დროს იქ იყვნენ და მწუხარებას იზიარებდნენ.

55. ამბობენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგივე შეემთხვა ოლქის ეპარქოსსაც. მძიმე სნეულებაში ჩავარდნამ წმიდანის წინაშე ისიც მოდრიკა. ჭეშმარიტად კეთილგონიერთათვის სასჯელი გაკვეთილი ხდება ხოლმე და ხშირად მათთვის ძვირხილულობა კეთილდღეობაზე უკეთესია. ეპარქოსი იტანჯებოდა, ტიროდა, ჩიოდა, ბასილთან აგზავნიდა და ევედრებოდა: „შენ უკვე გაქვს პასუხი; მიბოძე მე ხსნა“, და მან მიიღო ის, რასაც ითხოვდა, როგორც ამას თვითონაც აღიარებდა და სხვებსაც, რომელთაც ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, არწმუნებდა, რადგან ბასილის საქმენი მუდმივად აოცებდა და მათზე განუწყვეტლად ჰყვებოდა. ამგვარი იყო მისი ურთიერთობანი ამ ადამიანებთან და ამგვარი დასასრული ჰქონდა. მაგრამ სხვებთან სხვაგვარად ხომ არ იქცეოდა, ან შედარებით მცირე საკითხთა გამო ნაკლებმნიშვნელოვანი კამათი ხომ არ ჰქონდა, ან ისე ზომიერად ხომ არ სიბრძნისმოყვარეობდა, რომ იგი დუმილის ღირსად ჩავთვალოთ და არცთუ ისე ძალიან შესაქებად? რა თქმა უნდა, არა.

ვინც ოდესღაც ისრაელსა ზედა უკეთური ადერი აღძრა(IIIმეფ.XI,14), მანვე აღძრა ბასილის წინააღმდეგ პონტოს ოლქის მმართველიც, თითქოს ვინმე დედაკაცის საბაბით აღშფოთებული, სინამდვილეში კი უსჯულოებისათვის მებრძოლი და ღმრთისმოსაობის წინააღმდეგ ამხედრებული. იმის თაობაზე, რამდენი და რა სახის შეურაცხყოფანი მიაყენა მან ბასილს, იგივე იქნება, თუ ვიტყვი – ღმერთს, რომლის მიმართაც და რომლის წინააღმდეგაც იყო ეს ბრძოლა, დავდუმდები და მხოლოდ იმას გადმოვცემ, რამაც შეურაცხმყოფელი კიდევ უფრო სირცხვილეულყო, ხოლო მოღვაწე აღამაღლა და თუ რამდენად დიდი და მაღალი წარმოჩნდა სიბრძნისმოყვარება და მისით გამარჯვება მრავალთა ზედა.

[33] სხვაგვარად მადიდებლებში არამართლმადიდებლები ანუ ერეტიკოსები იგულისხმება.

56. ერთ ქალს, წარჩინებულს ქმრისაგან, რომელიც ამ ქვეყნიდან ცოტა ხნის წინ გასულიყო, მსაჯულის ამხანაგი, საკუთარი ნების წინააღმდეგ მასზე დაქორწინებას აიძულებდა. არ იცოდა რა, როგორ დაეღწია თავი მოძალადისაგან, ქალმა არა იმდენად გაბედული, რამდენადაც გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. წმინდა საკურთხეველს შეეფარა და შეურაცხყოფისაგან დაცვა ღმერთს მიანდო. თვით წმიდა სამების წინაშე(საქებართა შორის სამართლებრივადაც რომ ვთქვათ), ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ბასილი დიდი, რომელიც ამგვარ საქმეთა შინა საყოველთაო კანონმდებელს წარმოადგენდა, არამედ ყველა სხვა, ბასილთან შედარებით ბევრად დაბლა მდგომი, თუნდაც მღვდელი, როგორ უნდა მოქცეულიყო? არ უნდა ჩარეულიყო საქმეში, არ უნდა მიეღო ლტოლვილი, არ უნდა ეზრუნა მასზე და ხელი შემწეობისა ღმრთისმიერი კაცთმოყვარებითა და კანონით, რომელიც საკურთხეველისათვის პატივის მიგებას მოითხოვს, არ უნდა გაეწოდებინა? მას ხომ უწინარესად ყოველივე ამის გაკეთება და დათმენა ჰმართებდა და არა ის, რომ ქალის მიმართ გამოჩენილ სისასტიკეს და ამით წმინდა ტრაპეზისა და იმ რწმენის, რომლითაც დევნილი შემწეობას ივედრებოდა, შეურაცხყოფასაც დათანხმებოდა?

მაგრამ ახალი მსაჯული ამბობს: „ჩემს ძლევამოსილებას ყველა უნდა დაემორჩილოს და ქრისტიანებმა საკუთარ კანონებს უნდა უღალატონ“. ერთი მხარე მვედრებელის გადაცემას ითხოვდა, ხოლო მეორე ყოველი ღონით წინააღმდეგობას უწევდა. პირველი ბორგავდა და ბოლოს, უფრო შეურაცხყოფის მიზნით, ვიდრე იმისთვის, რომ ამის საჭიროება არსებობდა, წმინდანის სენაკის გამოსაძიებლად ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი წარგზავნა.

რას იტყვი? გაჩხრეკა იმ კაცის სახლისა, ვინც ვნებათაგან დაცლილი იყო და ქალებს მისი, ვინც ანგელოზთაგან იყო გარემოცული, შეხედვისაც კი ეშინოდათ? მაგრამ მხოლოდ ამას როდი დასჯერდა, მისი მოყვანა და დაკითხვა ბრძანა, ამასთან, არა მშვიდად და კაცთმოყვარებით, არამედ ვითარცა მსჯავრდებულთაგან ერთ-ერთისა. ერთი წარდგა, ხოლო მეორე, რისხვითა და ქედმაღლობით აღსავსე, წინ ეჯდა. იგი წარდგა, ვითარცა ჩემი იესო, როდესაც პილატესაგან განისჯებოდა. მეხთატეხანი აგვიანებდა, მახვილი ღმრთისა უკვე აღლესილი იყო, მაგრამ გადადებული, მშვილდი დაჭიმული, თუმცა შეკავებული(ფს.VII,13), მოლოდინით სინანულის ჟამის დადგომისა. ასეთია სჯული ღმრთისა.

57. ისიც ნახე, როგორ წარიმართა ბრძოლა მოღვაწესა და მდევნელს შორის. ერთმა ზედა ფლასის მოხსნა უბრძანა, ხოლო მეორემ უთხრა, თუ ნებავდა, მისთვის ქიტონსაც გაიხდიდა; მდევნელი მას, ვინც უხორცო იყო, ცემით დაემუქრა, მან ქედი მოუდრიკა; დააშინა, რომ ფრჩხილებით დაკაწრავდა, პასუხად მიიღო: ღვიძლს განმიკურნავ, ხომ ხედავ, მისგან როგორ ვარ დაუძლურებული, დაკაწვრით განვიკურნებიო.

ისინი რომ ამ მდგომარეობაში იყვნენ, ქალაქმა იგრძნო უბედურება და საფრთხე, რომელიც ყველას ემუქრებოდა(მის ამგვარ შეურაცხყოფას თითოეუ-

ლი საკუთარ საფრთხედ მიიჩნევდა), აღშფოთებამ მოიცვა და აღეგზნო, ვითარცა ფუტკარი, კვამლისაგან აღძრული. ერთმანეთს აგულიანებდნენ და ყველა ამხედრდა: ყოველი მოდგმისა და ყველა ასაკისა, მაგრამ უპირატესად იარაღის მკეთებელნი და სამეფოჲს მქსოველნი, რამდენადაც ისინი ყველაზე მხურვალენიც არიან და ყველაზე მამაცნიც, გაბედულად მოქმედებდნენ. თითოეულისათვის ყოველივე იარაღად იქცა, მისი ხელობისათვის საჭირო თუ პირველივე საგანი, რაც ხელში მოხვდა: ჩირაღდნები იქნებოდა ეს, ქვები თუ ხელკეტები; ყველას ერთი მიმართულება ჰქონდა, ერთი ხმა, საერთო გულისწყრომა. მრისხანება ხომ საშიში მებრძოლიცაა და სარდალიც. ალესილმა ჟამმა არც ქალები დატოვა უიარაღოდ. მათ შუბების ნაცვლად ქსლის გასასწორებელი რქები გამოიყენეს; მოშურნეობისაგან ძალმიცემულნი თითქოს აღარც იყვნენ ქალები, რადგან მხნეობამ მამაკაცებად შეცვალა.

მოკლედ რომ ითქვას, ამბოხებულები ფიქრობდნენ, რომ ღმრთისმოსაობას ერთმანეთში გაიყოფდნენ, თუ მმართველს ასოებად აკუწავდნენ, უფრო მეტიც, მათ შორის ყველაზე ღმრთისმოსავი ის იქნებოდა, რომელიც კაცზე, ვინც ბასილის წინააღმდეგ ამგვარი თავხედობა განიზრახა, ხელს პირველი აწევდა. და ამ მძვინვარესა და მზვაობარ მსაჯულს რა დაემართა? ყველაზე შესაბრალისი, უბედური და თავმდაბალი მთხოვნელი გახდა; მაგრამ გამოვიდა ეს სისხლდაუღვრელი მოწამე და გვირგვინოსანი ტანჯვის გარეშე, მის მიმართ კრძალვით გამსჭვალული ხალხი ძალით შეაჩერა და მისი ერთდროულად მვედრებელიცა და შეურაცხმყოფელიც გადაარჩინა. ასე გარდააქცევს წმინდათა ღმერთი ყოველივეს მათთვის უმჯობესად, ღმერთი, რომელიც წინ აღუდგება ამპარტავანთა და მდაბალთა მოსცემს მადლს(იგავ.III,34). განა ის, ვინც ზღვა გააპო, დინება მდინარისა შეაჩერა, სტიქიათა ზედა იმძლავრა და აპყრობილი ხელებით მტერზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ძეგლები აღმართა, არ იზრუნებდა იმისთვის, რომ ბასილი საფრთხეთაგან გამოეხსნა?

58. აქ დასრულდა სამყაროსეული(ამსოფლიური) ბრძოლა სამართლიანად და შესაფერისად ბასილის რწმენისა. მაგრამ აქედანვე დაიწყეს ბრძოლა ეპისკოპოსებმა და მათმა მხარდამჭერებმა, ბრძოლა ფრიად უსახელო და დიდად მავნებელი მათთა სამწყსოთათვის, რადგან ვინ შეძლებს დაარწმუნოს სხვები, დაიცვან ზომიერება, როცა წინამძღვარნი ამგვარნი არიან?

კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ბასილის მიმართ ეპისკოპოსებს უკვე დიდი ხანია აღარ ჰქონდათ სამი მიზეზისა გამო: 1. არ ეთანხმებოდნენ სარწმუნოებრივი მოძღვრების მისეულ გაგებას, ხოლო თუ ეთანხმებოდნენ, იძულებით, რადგან უმრავლესობის ეშინოდათ. 2. ბოლომდე ვერ დათმეს სულმოკლეობა, რომელიც მისი ხელთდასხმისას გამოიჩინეს და მესამე და ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ბასილი ყოველ მათგანს დიდებით ბევრად აღემატებოდა, მაგრამ ამის აღიარებისა რცხვენოდათ.

სხვა სახის განხეთქილებაც მოხდა, რომელმაც ადრინდელებიც განაახლა.

მამული ჩვენი ორ საერისთაოდ და ორ მეტროპოლიად(საეპისკოპოსოდ) გაიყო.[34] ახალმა მეტროპოლიამ ძველის საკმაოდ დიდი ნაწილი მიიერთა, რაც ეპისკოპოსთა შორის კამათის მიზეზი გახდა. ერთი[35] თვლიდა, რომ სამოქალაქო დაყოფით საეკლესიო მმართველობაც იყოფოდა, ამიტომ ახლახან მიერთებულს, როგორც უკვე მისთვის განკუთვნილსა და სხვისთვის ჩამორთმეულს, იჩემებდა; მეორე[36] კი ძველ ჩვეულებასა და დაყოფას იცავდა, ძველთაგანვე მამებისაგან დადგენილს. ამის გამო მრავალი უსიამოვნება მოხდა და მრავალიც მოსალოდნელი იყო. ახალი მიტროპოლიტი ყოფდა კრებებს, შემოსავლებს ითვისებდა. ეკლესიათა ხუცესებიდან ნაწილი გადაიბირა, ნაწილიც ახლებით შეცვალა. ამან ის გამოიწვია, რომ განხეთქილებათა და დაყოფათაგან ეკლესიათა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ადამიანებს სიახლეთა შემოტანა ახარებთ, რადგან მათგან სიამოვნებით იღებენ მოგებას და დადგენილის დარღვევა უფრო ადვილია, ვიდრე დარღვეულის აღდგენა.

ყველაზე მეტად ანთიმოზს ტავროსის[37] შემოსასვლელები და გასასვლელები აღიზიანებდნენ, რომელსაც თვითონ უყურებდა, მაგრამ ბასილს ეკუთვნოდა; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, აგრეთვე, წმ. ორესტეს შემოსავლებით სარგებლობასაც. ერთხელ თვით ბასილს, რომელიც თავისი გზით მიდიოდა, ჯორები წაართვეს და ავაზაკთა ბრბომ გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა, და რა მშვენიერი საბაბით! სულიერნი შვილნი, და სულნი და სარწმუნოების სიტყვა და სხვა ამდაგვარნი – საფარველი იყო უძღებობისა, საქმე ადვილად მოპოვებისა, რომელიც არ მოითხოვდა ხარკის მირთმევას ბოროტმადიდებელთათვის (κακοδοξίς), რადგან ბოროტმადიდებელია ყველა, ვინც სხვას ავიწროვებს.

59. ხოლო ჭეშმარიტად წმინდაჲ ღმრთისა და მიტროპოლიტი ზეციური იერუსალიმისა ვერც სხვათა შეცდომებმა აიყოლია, ვერც საქმის უგულვებელყოფა დაითმინა და ბოროტების შესასუსტებლად უმნიშვნელო რამ როდი მოიფიქრა, პირიქით, დიდებული, საკვირველი(და კიდევ რა უნდა ითქვას?), შესაფერისი მისი სულისა, რადგან უთანხმოება ეკლესიის გაზრდისათვის გამოიყენა და იმას, რაც მოხდა, საუკეთესო მიმართულება მისცა: სამშობლოში ეპისკოპოსთა რიცხვი განამრავლა და ამას რა მოჰყვა? სამი მშვენიერი შედეგი: სულებზე ზრუნვის გაზრდა, ყოველი ქალაქისათვის თვითდამწყვსის უფლებების მიცემა და ამ გზით შეწყვეტა ბრძოლისა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მე შემაშინა, შემეშინდა იმისა, რომ თავად მე რაღაც თანამდევ დანამატად(πάρεργον) არ გადავქცეულიყავი, უფრო შესაფერისად არ ვიცი, ამას რა ვუწოდო. ბასილის ყველაფერი იმდენად მიკვირს, რომ გამოთქმაც არ შემიძლია, ეს გაკვირვება

[34] რადგან სამეფო კარმა ბასილი დიდის გადაყენება ვერ შეძლო, მისი ძალაუფლებისა და გავლენის არეალის შემცირების მიზნით, კაპადოკია ორ პოლიტიკურ ერთეულად გაყო. გამოყოფილი ნაწილის დედაქალაქი ტიანა გახდა, რომლის ეპისკოპოსადაც ანთიმოზი იქნა ხელთდასხმული.

[35] ანთიმოზი.

[36] ბასილი დიდი.

[37] ტავროსი (Ταῦρος) – მთების ჯაჭვი, მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროს პარალელურად გადაჭიმული არმენიამდე.

რამდენად დიდია; მხოლოდ ერთ რამეს ვერ შევაქებ(რადგან მისგან მოყენებულ წყენას ვაღიარებ, რომელიც ისედაც ბევრისთვისაა ცნობილი), – ამ სიახლის გამოყენებას ჩემ მიმართ[38] და შეცდომას, რისგანაც გამოწვეული მწუხარება ვერც დრომ წაიღო. აქედან შემემთხვა ყოველგვარი მოუწესრიგებლობა და არევ-დარევა ცხოვრებისა, ამის გამო ვერ შევძელი ვერც სიბრძნისმოყვარედ ყოფნა და ვერც მის მოყვარულად აღიარებას მივაღწიე, თუმცა მეორეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ვინ მიიღებს ამ კაცის დაცვად ჩემგან იმის თქმას, რომ მას კაცობრივზე უფრო მაღალი აზროვნება ჰქონდა, ჯერ კიდევ გარდაცვალებამდე იყო გასული აქედან და ყოველივეს სულიწმიდით იქმოდა; მეგობრობის გაფრთხილებაც იცოდა და მას მხოლოდ მაშინ არ სცემდა პატივს, როცა უფრო საჭირო ღმრთისთვის პატივის მიგება და წარმავალთან შედარებით უპირატესობის მოსალოდებელთათვის(τὰ ἐλπιζόμενα) მიცემა იყო.

60. ვშიშობ, იმათი მხრიდან, რომელნიც ბასილის შესახებ ყოველივეს იძიებენ, დაუდევრობის ბრალდების თავიდან ასაცილებლად, ზომიერების მაქებელთათვის წერით გაუმაძღარი არ აღმოვჩნდე. თავად ბასილიც ხომ პატივს ზომიერებას მიაგებდა და განსაკუთრებით აქებდა კანონს – **ზომიერება ყოველსა შინა ყველაზე უკეთესია** და მას მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იცავდა. ამიტომ მე ყურადღებას არცერთს მივაქცევ: არც მეტისმეტად შემოკლების მოყვარულთ და არც ფრიად გაუმაძღრებს და სიტყვას გავაგრძელებ. თუ სხვანი სხვა რამეში წარემატებიან და ზოგიერთები სათნოების სახეობათაგან უმრავლესში, ყოველივესა შინა სრულყოფისათვის, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილთაგან, ჯერ არავის მიუღწევია. რჩეულთა შორის რჩეული ჩვენთვის ისაა, ვინც მრავალში, ან ერთში წარემატა, მაგრამ განსაკუთრებულად. ბასილმა კი ყოველივეში ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ჩვენი ბუნების სიქადულად იქცა და ეს ამ სახით განვიხილოთ: აქებს კი ვინმე არამომხვეჭელობას, უქონელსა და მწირ ცხოვრებას? მაშინ რატომ არ ჰქონდა ბასილს არაფერი გარდა სხეულისა და ხორცის აუცილებელი საფარველისა? მისი ქონება არაფრის ქონა იყო და ჯვარი. მხოლოდ მასთან ერთად ცოცხლობდა და დიდძალ ქონებაზე უფრო საპატიოდ მიიჩნევდა. ყოველივეს შეძენა, ვინმემ ეს კიდევაც რომ მოისურვოს, შეუძლებელია. ყოველივეს არად ჩაგდება უნდა შეძლო და ამ სახით ყველაზე მაღლა წარმოჩნდები, – ასე მსჯელობდა ბასილი და ასე ცხოვრობდა. მას არც ბომონი სჭირდებოდა, არც ამაო დიდება და არც ხალხის შეძახილი: „კრატესი თებელ კრატესს თავისუფლებას ანიჭებს“. იგი ყოფნას ესწრაფვოდა და არა იმას, რომ თავი რჩეულად მოეჩვენებინა, არც კასრში[39] ცხოვრობდა და არც მოედნის შუაგულში, რადგან ყოველივეს ფუფუნებად მიჩნევა და ნაკლულევანების ახალი სახის სიუხვედ გადაქცევა შეეძლო. პატივმოყვარეობას მოკლებული ღარიბი და უანგარო იყო და უყვარდა ხომალდიდან გადაგდება ყოველივესი, რაც ოდესმე

[38] გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბასილი დიდის მიერ მის სასიმას ეპისკოპოსად ხელთდასხმას გულისხმობს.
[39] იგულისხმება ფილოსოფოსი დიოგენე(IV ს.), რომელიც კასრში ცხოვრობდა.

ჰქონდა, რათა ცხოვრების ზღვა მსუბუქად გადაეცურა.

61. საკვირველი იყო მისი უნარი თავშეკავებისა და მცირეთი დაკმაყოფილებისა, ვერ ძლევდნენ ტკბობანი და არ იყო მონა სასტიკი და ხარბი დედოფლის – მუცლისა. ვინ იყო უფრო მცირედ მიმღები საზრდელისა და არ გავაზვიადებთ, თუ ვიტყვით: უხორცო? მუცლის ამოვსება და სიმძლავრე იმათ დაუთმო, რომელნიც პირუტყვთა მსგავსად მონურსა და ქედდადრეკილ ცხოვრებას ეწევიან. ამიტომ იმათგან, რომელნიც შემდგომად სასის გავლისა, პატივით ერთმანეთს უთანაბრდებიან, უპირატესობას არაფერს ანიჭებდა. ვიდრე ცოცხალი იყო, მხოლოდ იმდენს იღებდა, რამდენიც მისი შენარჩუნებისათვის იყო აუცილებელი. მარტო ერთი სახის ფუფუნება იცოდა, არა ოცნებით წარმოსახვა მისი, არამედ მიხედვა შროშანთა და ფრინველთა, რომელთაც ბუნებრივი სილამაზე აქვთ და საზრდელი, – ყველგან განმზადებული, და შესაბამისად ჩემი ქრისტეს შეგონებისა, ვინც ჩვენთვის ხორცით დაგლახაკდა, რათა ჩვენ ღმერთით გავმდიდრებულიყავით(მთ.VI,26-28).

ამიტომ ჰქონდა ერთი ქიტონი და ერთი ზედა შესამოსელი. მისი სიქადული შიშველ მიწაზე ძილი და მღვიძარება იყო, ხოლო ყველაზე სასიამოვნო ვახშამი და საზრდელი – პური და მარილი, ახლებური ფაქიზი სანოვაგე და სასმელი მაფხიზლებელი და დაულევნელი, რომელსაც წყარონი უშრომლად აწყაროებენ. ამათ მიერ სნეულებათა მსახურება და უძლურებათა მკურნალობა ორივეს სიბრძნისმოყვარების საერთო წესად გვქონდა, რათა მე, სხვა საქმეებში ნაკლულევანი, მწუხარებათა შინა მისი სწორი ვყოფილიყავი.

62. დიდებულ ქალწულებაზე, უქორწინებულობასა და ბუნებით მარტოხელა ანგელოზთა თანა შერაცხვაზე – საუბრისა მეშინია. ქრისტე, რომელმაც ჩვენთვის, დაბადებულთათვის შობა ინება, ქალწულისაგან იშვა და ამით ქალწულება, ჩვენი აქედან გამყვანებელი, სამყაროჲსათვის ზღვარის დამდები, უფრო უკეთ, სამყაროდან სამყაროში, აწინდელიდან მომავლისაში წარმგზავნელი – დააკანონა.

ვინ მიაგო უფრო დიდი პატივი ქალწულებას, ვიდრე მან, ან ვინ დაადგინა კანონები ხორცისათვის, არა მხოლოდ საკუთარი მაგალითით, არამედ მათთვის გულმოდგინე ღვაწლითაც? ვინ შექმნა ქალწულთა სავანენი და შეადგინა განწესებანი, რომლითაც ყოველნი გრძნობანი განწმინდა, ყველა ასო სხეულისა ერთმანეთს შეუსაბამა და დაარწმუნა, რომ ქალწულება ჭეშმარიტად დაეცვა, შინაგანი სიკეთენი ხილულთაგან უხილავთა მიმართ მიაქცია და გარეგნული დააჭნო, ცეცხლის ალს საწვავი ნივთიერება წაართვა, დაფარული ღმერთს – წმინდა სულების ერთადერთ სასიძოს გაუმჟღავნა, ვისაც მღვიძარე სულნი მასთან ერთად შეჰყავს, უკეთუ ისინი ანთებული ლამპრებითა და ზეთის უხვი მარაგით ეგებებიან?

უდაბნოში განმარტოებულისა და კრებულში ერთად ცხოვრების შესახებ უკვე დიდი ხანია იყო წარმოშობილი კამათი და უთანხმოება. თავთავისი კარგი და ცუდი მხარეები უეჭველად ორივეს აქვს. თუმცა პირველი უფრო მშვიდია,

კეთილად მოწყობილი და ღმერთთან შემაერთებელი, მაგრამ არა მოკლებული ქედმაღლობას სათნოებასა შინა გამოუცდელობისა და მასთან შეუთავსებლობის გამო; ხოლო მეორე, მართალია, უფრო მოქმედია და სასარგებლო, მაგრამ არა თავისუფალი შფოთისაგან. ბასილმა ისინი ერთმანეთთან მშვენივრად შეაერთა და შეაზავა: სკიტები(სადაყუდებულონი) მონასტრებთან, ერთად შეკრებილთა და ერთად მცხოვრებთა მახლობლად აღაშენა და არა შუაში აღმართული რაღაც კედლით გაყო ერთმანეთისაგან, არამედ მჭიდროდაც დააკავშირა და იმავდროულად დააშორა კიდეც ერთმანეთს, რათა არც სიბრძნისმოყვარება ყოფილიყო გაუზიარებელი და არც მოღვაწეობა დარჩენილიყო გარეშე სიბრძნისმოყვარებისა, არამედ, ვითარცა დედამიწასა და ზეცას, ერთმანეთისთვის თავთავიანთი სიკეთის გაზიარებით ღმერთი ერთი დიდებით ერთობით ედიდებინათ.

63. და კიდევ რა? მშვენიერი კაცთმოყვარება, გლახაკთა გამოკვება, შემწეობა კაცობრივ უძლურებათა. გადი ქალაქიდან და იქვე იხილე ახალი ქალაქი – საუნჯე ღმრთისმოსაობისა, საერთო საგანძური მქონებელთა, რომელსა შინა არა მხოლოდ ნამატი სიმდიდრისა, არამედ აუცილებელნიც არიან დაცულნი. ისინი არა მხოლოდ მღილებს არ იკარებენ და ქურდებს არ ახარებენ, არამედ შურის თავდასხმასა და განმხრწნელ ჟამსაც გადაურჩნენ. აქ სნეულება სიბრძნისმოყვარებას ასწავლის, განსაცდელი სანატრელი ხდება, ხოლო თანალმობა გამოიცდება. მასთან შედარებით რა არის ჩემთვის შვიდკარიბჭიანი[40] და ეგვიპტის თებე, საფლავი კარიელი მავსოლოსისა[41], ბაბილონის კედელი, პირამიდები, უსაზომო რვალი კოლოსოსისა[42], იმ ტაძართა სიდიდე და სილამაზე, რომელნიც უკვე აღარ არსებობენ, მაგრამ ადამიანებს აოცებენ და მათ შესახებ ისტორიებში გადმოგვცემენ, თუმცა მაშენებელთათვის სარგებლობა, გარდა უმნიშვნელო დიდებისა, არ მოუტანიათ. ჩემთვის უფრო საკვირველი ხსნის ის მოკლე გზაა, რომელსაც ზეცამდე ყველაზე ადვილად ავყავართ.

უფრო საშინელსა და შესაბრალისს სანახაობას არაფერი წარმოადგენს, ვიდრე ის ადამიანები, რომელნიც სიკვდილამდე მოკვდნენ და სხეულის უმეტესი ნაწილით აღესრულნენ. განდევნილნი ქალაქებიდან, სახლებიდან, მოედნებიდან, წყლებიდან, თვით იმათგანაც კი, რომელთაც უყვართ, უფრო სახელებით გამოიცნობიან, ვიდრე გარეგნობით. არც კრებებსა და თავყრილობებზე დგანან მათთან შეუღლებულნი და შეერთებულნი, სნეულებისა გამო არა შესაბრალისნი, არამედ მოძაგებულნი, შემქმნელნი საწყალობელი სიმღერებისა, თუკი

[40] შვიდკარბიჭიანი ეწოდებოდა ბეოტიის მთავარ ქალაქს, თებეს, რომელიც გადმოცემის მიხედვით კადმოსის მიერ იყო დაარსებული.

[41] მავსოლოსი ჰალიკარნასის ტირანი იყო ძვ. წელთაღრიცხვის 377-353 წლებში. გარდაცვალების შემდეგ ცოლმა მას საფლავზე დიდებული აკლდამა აუგო, რომელიც ანტიკური ხანის არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშად ითვლებოდა. აკლდამას, ვის საფლავზეც იდგა, მისი სახელი ეწოდა – მავზოლეუმი (τὸ μαυσολεῖον).

[42] კოლოსოსი (Κολοσσός) – ქანდაკება, ბუნებრივ ზომებზე ბევრად აღმატებული. ანტიკურ ხანაში რამდენიმე ასეთი ქანდაკება იყო ცნობილი, მაგრამ მათგან თავისი სიდიდით გამოირჩეოდა როდოსის კოლოსოსი, რომლის სიმაღლე 33 მ. იყო. იგი როდოსის ნავსადგურის შესასვლელში იდგა და მზის ღმერთს განასახიერებდა. როდოსის კოლოსოსი ძვ. წ. 224 წელს მომხდარმა მიწისძვრამ გაანადგურა.

ხმა რომელიმეს კიდევ შემორჩა. როგორ უნდა აღიწეროს ტრაგიკულად ყველა ჩვენი ტანჯვა, როცა ამისთვის სიტყვები არ გვყოფნის? უპირატესად ბასილი ირწმუნებოდა ყველას წინაშე, რომ ადამიანებმა ადამიანები კი არ უნდა მოვიძულოთ და მათდამი არაადამიანური დამოკიდებულებით ქრისტეს, რომელიც ერთი თავია ყოველთა, შეურაცხყოფა კი არ უნდა მივაყენოთ, არამედ სხვათა უბედურებით ჩვენი ხსნა კეთილად განვაგოთ და თანალმობა, რომელსაც ჩვენც ვსაჭიროებთ, ღმერთს მივასესხოთ. ამიტომაც არ თაკილობდა პატივისმიგებას სენისადმი არა მხოლოდ ბაგეებით, არამედ ეს კეთილშობილი, კეთილშობილთაგან ნაშობი და ბრწყინვალე დიდებით მოსილი კაცი, სნეულებს, ვითარცა ძმებს, კოცნით ხვდებოდა, არა სახელის მოპოვების მიზნით, როგორც შეიძლება ეს ვინმეს ჰგონებოდა(რადგან ამ ვნებისაგან ვინ იყო უფრო შორს, ვიდრე იგი?), არამედ, რათა მათი სხეულების შეხებით განკურნება თავისი სიბრძნისმოყვარეებით დაებეჭდა. ეს ერთდროულად იყო შეგონება მეტყველებითაც და დუმილითაც. და არა მხოლოდ ქალაქს განსწავლიდა ამგვარად, ხოლო რეგიონსა და მის გარეთ მყოფთ – სხვაგვარად, არამედ საერთო ღვაწლი კაცთმოყვარებისა და სულგრძელობისა ხალხის ყველა წინამძღოლს შესთავაზა.

სხვებისა იყო მზარეულები, უხვი სუფრები, ხელოვნებით შენელებული და გამოგონილი კერძებით, ლამაზი ეტლები, რბილი და ტალღოვანი სამოსელნი, ხოლო ბასილის – სნეულნი და კურნება წყლულებათა და მიბაძვა ქრისტესი – კეთროვანთა განწმენდა არა სიტყვით, არამედ საქმით.

64. რას გვეტყვიან ჩვენ ამის შესახებ ისინი, რომელნიც მას ბრალად ამპარტავნობასა და ქედმაღლობას სდებენ, ეს ბოროტნი მსაჯულნი ესევითართა საქმეთა, რომელნიც კანონს უკანონობით ამოწმებენ? განა შესაძლებელია კეთროვანთა კოცნა და ამდენად დამდაბლება თავისა და იმავდროულად წარბის მაღლა აწევა ჯანმრთელთათვის? განლევა ხორცისა თავშეკავებულობისაგან და გამედიდურება სულისა ვინმეს ქედმაღლურად ათვალისწუნებით? ფარისეველთა განსჯა, ქადაგება ამპარტავნობით დამდაბლებულთა შესახებ, ცოდნა იმისა, რომ ქრისტე მონის ხატამდე დამდაბლდა, მეზვერეებთან ჭამდა, მოწაფეებს ფეხები დაბანა და არც ჯვარი ითაკილა, რათა მასზე ჩემი ცოდვა მიემსჭვალა, და რაც კიდევ უფრო უჩვეულოა, ხილვა ავაზაკთა შორის ჯვარცმული ღმერთისა, თანაწარმავალთაგან სასაცილოდ აგდებულისა, – ღმერთისა, მიუწვდომელისა და ტანჯვაზე ამაღლებულისა და ღრუბელთა ზედა განსვენებულისა, რომელიც თავის სწორად არავის ცნობს, – ყოველივე ეს როგორ აქვთ წარმოდგენილი ცილისმწამებლებს ბასილისა? მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, პირიქით, მათ ქედმაღლობა წესსა ზედა კეთილად დგომას, ხასიათის სიმტკიცესა და ურყევობას უწოდეს, ისევე ადვილად, როგორც შეუძლიათ სიმამაცეს თავხედობა, სიფრთხილეს – სილაჩრე, უბიწოებას – კაცთმოძულეობა, ხოლო სამართლიანობას – გულდახურულობა უწოდონ. ცუდად როდი უსიბრძნისმეტყველიათ ზოგიერთებს იმის თაობაზე, რომ ბიწიერებანი

მჭიდროდ უკავშირდებიან სათნოებებს და მათ გვერდით არიან. ამიტომ ამგვარ საკითხებში განუსწავლელთა, შეიძლება, სრულიად ადვილად სხვად მიიჩნიონ ის, რაც სინამდვილეში სხვაა.

ვინ მიაგო პატივი მასზე მეტად სათნოებას და დასაჯა ბოროტება, ან ვინ აჩვენა კეთილგანწყობა სათნოებაში წარმატებულთა, ხოლო სიმკაცრე ცოდვილთა მიმართ? ხშირად მისი ღიმილი იგივე ქება იყო, ხოლო დუმილი – საყვედური მათთვის, რომელნიც ბოროტებას საკუთარი სინდისით გამოცდიან. თუკი ვინმე არც ამაოდ მეტყველია, არც ხუმარა, არც სახალხო კრებებზე სიტყვით გამოსვლის მსურველი და არც იმას ცდილობს, რომ ყველას კეთილგანწყობა მოიპოვოს, რათა ყველასათვის ყოველივე გახდეს და ყველას მოსაწონი იყოს, – ეს მათთვის, რომელთაც გონება აქვთ, საქებარი უფროა თუ სასაყვედურო?

განა ლომს ვინმე ბრალს დადებს იმაში, რომ არა მაიმუნივით, არამედ მრისხანედ და მეფურად იხედება და ნახტომიც კეთილშობილური აქვს, საოცარი და თანაც საყვარელი? საკვირველნი არიან სანახაობის დროსაც, ვითარცა სასიამოვნონი და კეთილად განწყობილნი, როცა ერთმანეთისათვის ხმაურიანი სილის გაწვნით ხალხის მოწონებას იმსახურებენ და სიცილისათვის აღძრავენ. ბასილის პიროვნებაში ესეც რომ მოვიძიოთ, ვინ იყო უფრო სასიამოვნო საზოგადოებაში, როგორც მე ეს გამოცდილებით ვიცი? ვის შეეძლო ესაუბრა მასზე უფრო მიმზიდველად? ეხუმრა უფრო ჭკუის სასწავლებლად? ესაყვედურა უფრო რბილად, ისე, რომ არც საყვედური გადაქცეულიყო თავხედობად და არც ქება ხელის დაფარებად? არამედ თავს აღწევდა რა უზომოებას ორივეში, ორივეს გააზრებულად და დროულად იყენებდა, თანახმად სოლომონის კანონისა, რომლითაც მან ყოველივეს თავ-თავისი დრო დაუწესა(ეკლ.I,3)?

65. მაგრამ ყოველივე ეს რაჲ არს შედარებით დიდებულებასთან მისი სიტყვებისა? ძალასთან სწავლებისა, რომლითაც ყოველი სოფელი მოიმოწაფა? აქამდე მთის ძირთან ვტრიალებთ და მის მწვერვალს ვერ მივაღწიეთ, ისევ სრუტესა შინა ვცურავთ და ვრცელსა და ღრმა ზღვასა შინა ჯერ კიდევ ვერ შევსულვართ, რადგან, ვფიქრობ, თუ უკუე გახმიანდა(ეს.XXVII,15)[43], ან გახმიანდება(Iკორ.XV,52)[44] ხმა საყვირისა ჰაერის დიდ ნაწილსა შინა, ან თუ წარმოიდგენ ხმას ღმრთისას, რომელიც სამყაროს მოიცავს, ან რაღაც სიახლესა და საკვირველებას, რომელთა მიერაც მსოფლიო შეიძვრება, ასეთი იყო ხმა და გონება ბასილისა, მან ყველანი იმდენად უკან ჩამოიტოვა და იმდენად დაბლა დააყენა, რამდენადაც პირუტყვული ბუნება დგას ჩვენსაზე დაბლა.

ვინ განიწმინდა სული თვისი მასზე უფრო მეტად და თავი ღმრთეებრივი წერილის ღირსეულად განმარტებისათვის ვინ განამზადა? ვინ განათლდა უფრო ნათლითა მეცნიერებისათა, სიღრმესა შინა სულისა წმიდისა

[43] და იყოს მას დღესა შინა, დაჰბერონ საყვირსა დიდსა...

[44] მეყსა შინა წამსა თუალისასა უკუანაჲსკნელითა მით საყჯრითა, რამეთუ საყჯრსა დაეცეს და მკუდარნი იგი აღდგენ უხრწნელნი, და ჩუენ განვახლდეთ.

ვინ ჩაიხედა და ღმრთისა მიერ საქმენი ღმრთისანი ვინ გამოიკვლია? ვინ ფლობდა უკეთესად სიტყვას გამოსახატავად აზრისა ისე, რომ განსხვავებით სხვებისაგან, რომელთა შორისაც ან გონებას არ ყოფნის სიტყვა, ან სიტყვაა არაგონივრული, მას არც ერთი აკლდა და არც მეორე, არამედ აზრითაც და სიტყვითაც თანაბრად დიდებული, ყოველთვის თავისი თავის სწორი და ჭეშმარიტად სრულყოფილი ჩანდა.

სულისა წმიდისა შესახებ დამოწმებულია, რომ **ყოველსავე გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთისასა**(Iკორ.II,10), მაგრამ არა იმიტომ, რომ არ იცის, არამედ მათი ჭვრეტით ხარობს. ხოლო ბასილმა ყოველნი სიღრმენი სულისა წმიდისანი გამოიკვლია, მათ მიერ ზნეობა აღზარდა და მაღალი მეტყველება გვასწავლა, ამა სოფლისაგან განგვაშორა და მომავალისათვის მოგვამზადა.

66. დავითმა შეაქო სილამაზე და სიდიდე მზისა, მისი სწრაფი სრბოლა და ძალა, რადგანაც ბრწყინავს, ვითარცა **სიძე** და დიდებულია, ვითარცა **გმირი**(ფს. XVIII,6). გაივლის რა გრძელ გზას, ისეთი ძალა აქვს, რომ კიდით კიდემდე ანათებს და მიუხედავად სიშორისა, არც სითბო აკლდება. ხოლო სილამაზე ბასილისა სათნოებაა, ღმრთისმეტყველება – სიდიდე, სრბოლა – მარადის მოძრაობა, სწრაფვა და აღყვანება ღმრთისაკენ, ძალა კი – თესვა და განფენა სიტყვისა. ამიტომ არც მე მეშინია მის მიმართ გავიმეორო სიტყვები, რომელნიც პავლე მოციქულმა დავითისაგან ისესხა და მოციქულთა შესახებ თქვა: **ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ მისი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მისნი**(ფს.XI,18).

სხვა ვინ არის, რომელიც დღეს კრებულის მშვენებას წარმოადგენს? ვინ ატკბობს მონადიმეთა, უბანთა და ეკლესიათა შინა შეკრებილთა? ვინ არს საშუებელი ხელისუფლებისა და მისთა ქვეშევრდომთა, მონაზონთა და ქორწინებულთა? თანამდებობის არ მქონეთა? ადამიანებისათვის, რომელნიც გარეშე თუ ჩვენი სიბრძნისმოყვარეობით არიან დაკავებულნი? ყველასათვის ერთი და უდიდესი სიამოვნება ბასილის წერილები და თხზულებებია. შემდგომად მისა, მწერლებს აღარ სჭირდებათ სხვა სიმდიდრე, გარდა მისი ნაწერებისა. სდუმან ძველი განმარტებანი ღმრთის სიტყვისა, რომელთა ზედა ზოგიერთებმა მძიმე ჯაფა გასწიეს და ახალი იღაღადეს. და ჩვენ შორისაც, სიტყვის ხელოვნებაში ყველაზე სრულყოფილი ისაა, ვინც სხვებს ბასილის თხზულებათა ცოდნით აღემატება, ენის წვერზე აქვს ისინი და სასმენელთაც მათ მოსასმენად განაწყობს. მათთვის, რომელნიც სწავლისაკენ ისწრაფვიან, ყველას ნაცვლად მხოლოდ ბასილის ქმნილებათა შესწავლაც საკმარისი გახდა.

67. ამის შესახებ მხოლოდ ერთს ვიტყვი: როცა მე ხელში მის ჰექსაემერონს[45] ვიღებ და ხმამაღლა ვკითხულობ, შემოქმედთან ვარ, შესაქმის კანონებს გულისხმავყოფ და შემოქმედით უფრო მეტად ვარ განცვიფრებული, ვიდრე მანამდე. სანამ ერთადერთ მოძღვრად მხედველობას ვიყენებდი. როცა ერე-

[45] ჰექსამერონი(„ექვსთა დღეთათვის“) – ბასილი დიდის თხზულება, რომელშიც მან ღმრთის მიერ სამყაროს შექმნა – შესაქმე განმარტა. ქართულად ითარგმნა სამგზის: უცნობი მთარგმნელის, გიორგი მთაწმიდელისა და გვ. კოპლატაძის მიერ.

ტიკოსთა წინააღმდეგ დაწერილ თხზულებებს ვეცნობი [46], ვხედავ ცეცხლს, რომლითაც ბოროტი და უსჯულო ენანი იფერფლებიან, ან კიდევ ხალანის გოდოლს, ბოროტად აღშენებულსა და კეთილად დარღვეულს. როცა სულიწმიდის შესახებ ვკითხულობ, ღმერთს, რომელიც მყავს, ხელახლა ვპოულობ და ავდივარ რა ღმრთისმეტყველებისა და მჭვრეტელობის საფეხურებზე, ჭეშმარიტების განცხადებისთვის ვკადნიერდები. როცა მის სხვა განმარტებებს ვკითხულობ **მცირედ მხედველთათვის** სამგზის დაწერილს მტკიცე ფიცარზე მისისა გულისა, ვრწმუნდები, რომ არც მხოლოდ ასოზე უნდა გავჩერდე და არც მხოლოდ ის უნდა დავინახო, რაც ზედაპირზეა, არამედ სულ უფრო და უფრო შორს, ერთი სიღრმიდან მეორისკენ უნდა წავიწიო და **უფსკრულით უფსკრულსა**(ფს.41,7) უნდა მოვუხმო, ნათლით ნათელი უნდა მოვიპოვო(ფს.35,9), ვიდრე უმაღლეს შინაარსს არ მივსწვდები. ხოლო როცა მისი მოღვაწეთა შესაქები სიტყვებით ვარ დაკავებული, უგულებელვყოფ სხეულს, შექებულებთან ერთად ვარ და ღვაწლისთვის აღვიძვრები. მისი ზნეობრივი და პრაქტიკული სიტყვების კითხვისას კი, სულითა და ხორცით ვიწმინდები, ღმრთის სათნო ტაძარი, საკრავი, რომელზეც სულიწმიდა უკრავს და ღმრთის დიდებისა და ძლიერების მგალობელი ვხდები და ამის წყალობით უკეთესობისაკენ გარდავიქმნები, ვწესრიგდები, სხვიდან სხვად ვიქცევი და ღმრთეებრივი ცვლილებით ვიცვლები.

68. რამდენადაც ღმრთისმეტყველებისა, უფრო მეტად კი, მასში ბასილის მაღალი სიტყვის შესახებ გავიხსენე, რაც უკვე ითქვა, დავამატებ. მრავალთათვის ფრიად სასარგებლოა, რომ მის შესახებ ჰქონდეთ ცუდი აზრი, რათა თვითონ მათ არაფერი ევნოთ. ამას ბოროტმოქმედებზე ვამბობ, რომელნიც თავიანთ ნაკლოვანებებს იმით შეეწევიან, რომ სხვებს ლანძღავენ. წმიდა სამების ერთობისა და თანაღმრთეებრიობის შესახებ სწორი სწავლებისათვის, უფრო ზუსტად და ნათლად არ ვიცი როგორ ვთქვა, ბასილი არა მხოლოდ ტახტის დაკარგვას, რომელსაც თავიდანვე არ ეძიებდა, არამედ განდევნას, სიკვდილსა და სიკვდილის წინა წამებასაც, ვითარცა შენაძენსა და არა უბედურებას, სიამოვნებით შეიწყნარებდა. ამას ცხადყოფდა ის, რაც მან მოიმოქმედა და დაითმინა. როცა ჭეშმარიტების დაცვისათვის გაძევების განაჩენი გამოუტანეს, მან მხოლოდ იმაზე იზრუნა, რომ თავის ერთ-ერთ გამცილებელს უთხრა, აეღო წიგნი და თან გაჰყოლოდა. გამოიყენა რა ამისთვის იგავურად ნათქვამი ღმრთეებრივი დავითისა, აუცილებლობად თვლიდა, **განეგო სიტუანი მისნი სასჯელსა შინა**(ფს.111,15); ამიტომ მცირე ხნით გადადო ბრძოლა და ერეტიკოსთა ბატონობა, ვიდრე არ მოაწევდა დრო თავისუფლებისა და გამოდარებისა, რაც ენას გაბედულებას მისცემდა, დაითმინა.

მწვალებლები ეძიებდნენ, რომ სულიწმიდის შესახებ პირდაპირ ნათქვამი, რომ იგი ღმერთია(რაც ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათ და მათი უსჯულოების წინამძღვარს უღმერთოებად მიაჩნდათ). მათ მოინდომეს გაეძევებინათ ქა-

[46] იგულისხმება ბასილის დიდის თხზულებანი „სულიწმიდის შესახებ“ და „დარღვევა უსჯულო ევნომიოსის თავდასაცავი სიტყვისა“, რომლებიც ქართულად თარგმნა გვ. კოპლატაძემ.

ლაქიდან ბასილი – ეს ენა ღმრთისმეტყველებისა, ხელში ჩაეგდოთ ეკლესია, გადაექციათ იგი თავიანთი ბოროტების საყრდენ პუნქტად და სხვებზე თავდასხმები აქედან, ვითარცა სიმაგრიდან, განეხორციელებინათ.

წმიდა წერილის სხვა გამონათქვამებითა და უეჭველი დამოწმებებით, რომელთაც იგივე ძალა აქვთ, და უცილობელი დასკვნებით ბასილმა მოკამათენი ისე შეავიწროვა, რომ საკუთარი სიტყვებითვე შეკრულებმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს, რამაც უდიდესი ძალა მისი სიტყვისა და გონიერება დაამტკიცა. თხზულება, რომელიც მან ამის შესახებ დაწერა, ცხადყოფს, რომ იგი სულიწმიდის სამელნესა შინა ამოწებული კალმით შეიქმნა; ამასთან, თვითონ სულიწმიდისა და ჭეშმარიტ თანამებრძოლთაგან ითხოვდა, რომ არ გაენაწყენებულიყვნენ მასზე იმ გადაწყვეტილების გამო, რომლითაც საკუთარი სიტყვის თქმას აგვიანებდა, რადგან როცა ღმრთისმოსაობა ჟამისაგან იყო შერყეული, ერთი გამოთქმისათვის უზომო წინააღმდეგობის გაწევას, შეიძლებოდა ყოველივე დაეღუპა. სულიწმიდის მომხრეებს ვერაფერს დააკლებს მცირე ცვლილება გამოთქმებისა, მაშინ როცა იმავეს სწორად შესწავლა სხვა გამოთქმებიდანაც შეუძლიათ. ჩვენი ხსნა ხომ სიტყვებზე მეტად საქმითაა შესაძლებელი. არც ებრაელი ერის თხოვნა უნდა უარგვეყო იმის შესახებ, რომ თუკი ჩვენ ქრისტეს ნაცვლად დროებით გამოსაყენებლად სიტყვა **ცხებულს** გამოვნახავდით, შემოგვიერთდებოდა.[47] ასევე უდიდესი ზიანის მომტანი იქნებოდა მთლიანობისათვის, ეკლესიას რომ ერეტიკოსები დაპატრონებოდნენ.

69. ხოლო ბასილმა რომ ყველაზე უკეთ იცოდა სულიწმიდის ღმერთობა, ცხადია, რადგან როგორც კი შემთხვევა მიეცა, ამის შესახებ მრავალგზის საჯაროდ იქადაგა და პირისპირაც, როცა კითხვა დაუსვეს, მხურვალედ აღიარა. მაგრამ კიდევ უფრო ნათლად გამოხატავდა ამას ჩემდამო მომართულ სიტყვებში, ვის წინაშეც ამგვარ თემებზე საუბრისას დაფარული არაფერი ჰქონდა, და ამას არა მხოლოდ უბრალოდ ამტკიცებდა, არამედ, რასაც ადრე იშვიათად აკეთებდა, ზედ საკუთარი თავის ყველაზე საშინელ წყევლას ურთავდა, სახელდობრ, რომ უკეთუ იგი სულიწმიდას, ვითარცა ერთარსს მამისა და ძისა და მათი თანაბარი პატივის მქონეს პატივს არ მიაგებდა, დაე, თავად სულიწმიდა განშორებოდა მას. ხოლო უკეთუ ვინმე ამგვარ საქმეებში მის თანამონაწილედ მიმიჩნევს, ვეტყვი იმას, რაც აქამდე მრავალთათვის უცნობია: რამდენადაც ჩვენ შევიწროვებულნი ვიყავით დროისაგან, მან თავისი თავისთვის სიფრთხილე განაგო, ხოლო ჩვენთვის – გაბედულება, რომელთაც, ვითარცა უჩინარი პატივის მქონეთ, არც სასჯელი და არც სამშობლოდან გაძევება არავისგან გველოდებოდა და ამიტომ ჩვენი სახარებაც ორივეს მხრიდან განძლიერდებოდა.

ყოველივე ეს გადმოვეცი არა დასაცავად მისი დიდებისა(რადგან უკეთუ ვინმე ბრალმდებლებზე მაღლა დგას – ეს ბასილია), არამედ, რათა ის

[47] სახელი Cristo~ (ცხებული) ნაწარმოებია ზმნიდან criw (ვაცხებ). რადგანაც ებრაელებს მისი მიღება გაუჭირდათ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, მათი შემოერთება შესაძლებელი გახდებოდა, ქრისტიანებს რომ მის ნაცვლად იმავე შინაარსის სხვა ტერმინი გამოეძებნათ.

ცალკეული გამოთქმები, რომელნიც მის ნაწერებში მოიპოვება, ღმრთისმოსაობის განსზღვრებად არ ჩათვალონ, უუძლურესი რწმენა არ შეიძინონ და მისი ღმრთისმეტყველება, რომელიც სულიწმიდასთან ერთად დრომ შექმნა, თავიანთი ბოროტქმედების გასამართლებლად არ გამოიყენონ, არამედ გულისხმავყოთ აზრი და მიზანი, რომლის გამოც ისინი დაიწერა, ჭეშმარიტებას უფრო მივუახლოვდეთ და უსჯულოებს პირი დავუყოთ.

ნეტავ მისი ღმრთისმეტყველება ჩემი და ჩემი მეგობრებისა იყოს! იმდენად მჯერა მისი საქმის სიწმინდისა, რომ ყველაფერთან ერთად მასაც გავიყოფდი, რათა წინაშე ღმრთისა და წინაშე კაცთა შორის ყველაზე კეთილგონიერთა, ჩემი მისად და მისი ჩემად შერაცხულიყო. ვერც მახარებელთა შესახებ ვიტყვით, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ერთნი უმეტესად ქრისტეს ხორციელი ბუნებით იყვნენ დაინტერესებულნი, ხოლო მეორენი ღმრთისმეტყველებამდე ამაღლდნენ. ზოგმა იმით დაიწყო, რაც ჩვენ გვეკუთვნის, ხოლო სხვამ იმით, რაც ჩვენზე მაღლაა. ამგვარად, ქადაგება, რომელიც მათ შორის მყოფი სულიწმიდისაგან მიიღეს, ერთმანეთში, ვფიქრობ, სარგებლობისათვის გაიყვეს.

70. ძველთა და ახალთა კაცთაგან მრავალნი არიან ცნობილნი ღმრთისმოსაობით, სჯულმდებელნი, მხედართმთავარნი, წინასწარმეტყველნი, მოძღვარნი, სისხლის დათხევამდე მამაცნი; მათგან ისინი განვიხილოთ, რომელნიც ჩვენნი არიან და მათ მიერ ბასილი შევიცნოთ.

ადამი ღირსიქმნა, რომ ღმრთის ხელით შექმნილიყო, სამოთხის შვება ეგემა და სჯულდება პირველს მიეღო, მაგრამ(პირველი წინაპრის აუგად მოხსენიებას რომ მოვერიდოთ) მცნება არ დაიცვა. ხოლო ბასილმა მიიღო და დაიცვა იგი და არც ცნობადის ხისაგან ვნებულა, არამედ ჩაუარა რა გვერდით ცეცხლოვან მახვილს, კარგად ვიცი, სამოთხე დაიმკვიდრა. **ენოსი** პირველი **ესვიდა** მოწოდებას უფლისა(შესქ.4.26), ხოლო ბასილმა თვითონაც მოუწოდა და სხვებსაც უქადაგა, რაც მოწოდებაზე ბევრად უფრო საპატიოა.

ენუქი გარდაიცვალა და მცირედისა სარწმუნოებისათვის(რამეთუ სარწმუნოება ჯერ კიდევ ჩრდილთა შინა იყო) გარდაცვალება ჯილდოდ მოიპოვა, რითაც შემდგომი ცხოვრების საფრთხეებს გაექცა. ხოლო მთელი ცხოვრება ბასილისა, რომელიც სრულმა ცხოვრებამ სრულად გამოსცადა, გარდაცვალება იყო.

ნოეს კიდობანი და თესლნი მეორისა სამყაროჲსა ერწმუნა, ძელსა მცირესა მინდობილნი და წყალთაგან გადარჩენილნი. ხოლო ბასილი უსჯულოების წარღვნას გაექცა, თავისი ქალაქი კიდობნად ხსნისა გარდააქცია, ერეტიკოსთა ზღვა მსუბუქად გადაცურა და მის მიერ მთელს სამყაროს უკუ მოუწოდა.

71. დიდია **აბრაამი**, მამათმთავარი და შემწირველი ახალი მსხვერპლისა, ვინც აღთქმისაგან მოცემული, განმზადებულ მსხვერპლად და მოსწრაფედ დაკვლისა, აღთქმის მიმცემელთან მიიყვანა, მაგრამ არც ბასილის მიერ გაღებული მსხვერპლია მცირე, რომელმაც ღმერთს თავისი თავი მიუყვანა და სანაცვლოდ ამ მსხვერპლისა არანაირი მისი სწორი პატივი არ მისცემია(ან იქნებოდა კი

რაიმე პატივით თანაბარი?); ამიტომაც აღსრულდა მსხვერპლშეწირვა.

ისააკი ღმრთისათვის შობამდე იყო აღთქმული; ხოლო ბასილმა თავისი თავი ღმერთს თვითონვე აღუთქვა და რებეკა, ეკლესიაზე ვამბობ, არა შორიდან, არამედ ახლოდან მოიყვანა; ამასთან არა შედეგად მსახურის მოციქულობისა, არამედ ღმრთისაგან ბოძებული და მინდობილი, არც შვილებისათვის პატივის მიგებისას უვერაგია, არამედ თითოეულს ღირსებისამებრ, სულიწმიდისმიერი განსჯით უცდომელად მიაგო.

ვაქებ კიბეს **იაკობისას** და სვეტს, რომელსაც მან ღმრთისათვის სცხო, და მის შერკინებას ღმერთთან, თუ ეს მართლაც შერკინება იყო, და არა თანაშეზომილება კაცობრივისა ღმრთის სიმაღლესთან, საიდანაც კაცობრივი ბუნების დამარცხების ნიშნები მიიღო; ვაქებ ამ კაცის საზრიანობას საცხოვართა ზედა და კეთილდღეობას, მისგან წარმოშობილ თორმეტ მამათმთავარს, კურთხევის დანაწილებასა და არა მდაბალ წინასწარმეტყველებას მომავალზე. მაგრამ ვაქებ ბასილის კიბესაც, მხოლოდ მისთვის უხილავს, რომელიც მან სათნოებისაკენ თანდათანობითი აღმასვლის შედეგად აიარა; ვაქებ სვეტს, არა ცხებულს, მაგრამ ღმრთისათვის აღმართულს, რომელზეც უსჯულოთა სირცხვილია აღბეჭდილი, და შერკინებას არა წინააღმდეგ ღმრთისა, არამედ ღმრთისათვის, რომლითაც ერეტიკოსები დაამხო, და მწყემსობას მისას, რომელმაც განამდიდრა, რადგან უნიშნო ცხვრებზე უფრო მეტი ნიშნიანი მოიგო; ვაქებ კეთილსა მისსა შვილმრავლობასა, ღმრთისათვის შობილთა და კურთხევას, რომლითაც მრავალი განამტკიცა.

72. **იოსები** პურის მიმცემელი გახდა, მაგრამ მხოლოდ ეგვიპტისათვის და ისიც არა მრავალგზის და თანაც ხორციელის; ხოლო ბასილი პურს ყველას და ყოველთვის ურიგებდა, ამასთან, სულიერს, რასაც მე უფრო დიდ პატივს მივაგებ, ვიდრე იოსების მიერ დარიგებულ პურს. ბასილი ავსიტელი **იობის** თანა გამოიცადა და ბრწყინვალედ გაიმარჯვა; ღვაწლთა დასასრულს, მის შესახებ საჯაროდ გამოცხადდა, რომ მრავალთაგან, რომელნიც მის შერყევას ცდილობდნენ, მისი შერყევა ვერავინ შეძლო, და რომ მან მაცდუნებელს დიდი უპირატესობით სძლია და უგუნურებას მეგობართა, რომელთაც ტანჯვის საიდუმლო არ იცოდნენ, პირი დაუყო.

მოსე და აჰრონ მღდელთა შორის მისთა(ფს.98,6). დიდი მოსე, რომელმაც ეგვიპტე დასაჯა და ხალხი მრავალი ნიშებითა და სასწაულითა დაიხსნა, ღრუბელთა შინა შევიდა და ორმაგი კანონი დააწესა: გარეგნული – კანონი ასოსი და შინაგანი, რომელიც სულისაგან წმიდისა მიეცა. აარონი, – ხორცითაც და სულითაც, ძმა მოსესი, ხალხისთვის მსხვერპლის შემწირველი და მვედრებელი, მესაიდუმლე წმიდისა და დიდისა კარვისა, რომელიც **ალაშენა ღმერთმან და არა კაცმან**(ებრ.8,2).

ბასილმა კი, რომელიც ორივეს მოშურნეა, ერეტიკოსთა მოდგმა და ეგვიპტელები დასაჯა, ოღონდ არა მატერიალური, არამედ სულიერი და მეტყველი შოლტით, ხოლო **ერი იგი მოგებული, მობაძავი კეთილთა საქმეთა**(ტიტ.2,14) აღთქმულ მიწაზე გადაიყვანა, ფიცართა ზედა კანონები დაუწერა, არა შემმუსვრელი, არამედ მხ-

სნელი, არა აჩრდილისებური, არამედ ყოვლად სულიერი; წმიდასა წმიდათაში წელიწადში არა ერთხელ, არამედ მრავალგზის, შეიძლება ითქვას, ყოველდღე შედიოდა, საიდანაც ჩვენთვის წმიდა სამებას მოუწოდებდა და ხალხს წმენდდა, მაგრამ არა დროებით და სხურებით, არამედ საუკუნო განწმედით.

რა იყო ყველაზე აღმატებული **ისო ნავეს ძეში?** მხედართმთავრობა, სამკვიდროს განაწილება და წმინდა მიწის დაპყრობა. მაგრამ ბასილიც ხომ წინამძღოლი იყო და მხედართმთავარიც რწმენით გადარჩენილთა? ისიც ანაწილებდა ღმრთის მიერ სამკვიდროებსა და სავანეებს მასთან მიყვანილთა შორის, ამიტომაც შეეძლო ეთქვა **საბელი მხუდეს მე რჩეულთა შორის**(ფს.15,6) და **ჴელთა შენთა შინა არს მკჳდრობაჲ ჩემი**(ფს.30,16), – სამკვიდრებელი, ბევრად უფრო ძვირფასი მიწიერსა და ადვილად მისატაცებელზე.

73. მსაჯულებს გვერდი ავუაროთ და მათ შორის ყველაზე განთქმულებსაც, მაგრამ **სამოელ** მათთანაა, რომელნი **ხადიან** სახელსა მისსა(Iმეფ.1,20) და რომელიც ვიდრე შობამდე მიეცა ღმერთს და შობისთანავე წმინდა იყო, რქებიდან მცხებელი მეფეთა და მღვდელთა. მაგრამ ბასილიც ხომ სიჩჩოჲთგანვე და დედის საშოჲდანვე წმინდა ყო ღმერთმა, რომელსაც მიეცა **ქლამინდით**[48](Iმეფ. II,19), ცხებული უფლისა და სულიწმიდით მცხებელი სრულყოფილთა?

დავითი, მეფეთა შორის სახელოვანი, გადმოცემით მრავალგზის მტერთა ზედა გამარჯვებული და მაოტებელი, მაგრამ ყველაზე მეტად სიმშვიდით გამორჩეული, ხოლო გამეფებამდე – ძალით ქნარისა, რომლითაც ბოროტი სული განდევნა(Iმეფ.16,28). **სოლომონი,** რომელმაც ღმერთს სივრცე(πλάτος) გულისა სთხოვა და მიეცა(IIIმეფ.4,29), იმდენად წარემატა სიბრძნითა და ჭვრეტით, რომ ყველაზე სახელგანთქმული გახდა. მაგრამ ბასილი, ჩემი აზრით, ერთს სიმშვიდით, ხოლო მეორეს სიბრძნით ოდნავადაც არ ჩამორჩებოდა, რომელთა მიერაც ეშმაკეულ მეფეთა სითავხედე მოალმობიერა. მისმა ხმაგანსმენილმა სიბრძნემ არა მხოლოდ **დედოფალი სამხრისაჲ,** ან რომელიმე სხვისი მოიყვანა ქვეყნის კიდეთაგან, არამედ საყოველთაოდ, კიდით კიდემდე ცნობილი გახდა. გვერდს ავუვლი სოლომონის შემდგომ ცხოვრებას; თუმცა ის ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მე მაინც მოვერიდები.

74. აქებ შენ კადნიერებას **ელიასი** წინაშე მძლავრთა და ცეცხლის მიერ ატაცებას მისას? მშვენიერ მემკვიდრეობას **ელისესი** – ხალენს, რომლის წყალობითაც მას სული ელიაჲსი თანმხლებად ეყო(IVმეფ.II,9)? მაშინ შეაქე ცეცხლსა შინა, ანუ მრავალთა განსაცდელთა შორის ცხოვრებაც ბასილისი და გადარჩენაც ცეცხლის მიერ, რომელიც იწვოდა, მაგრამ არ წვავდა – სასწაული მაყვლისა და ასევე მაღლით ბოძებული მშვენიერი საფარველისა – უხორცობისა.

სხვებს გამოვტოვებ, – ყრმებს კოცონთა შინა დაცვარულთ(დან.III,50), ლტოლვილ წინასწარმეტყველს, მლოცველს მუცელსა შინა ვეშაპისასა, ვინც

[48] διπλοΐδος-ს ექვთიმეს თარგმანში შეესაბამება ორკეცი, ხოლო ეფრემ მცირის თარგმანში ჩოდკეცი, რომელიც მოსასხამს ნიშნავს.

ცხოველიდან ისე გამოვიდა, ვითარცა სასახლიდან; ასევე მართალს, რომელმაც ხაროში ლომების მძვინვარება შეკრა(დან.XIV,30-31), ღვაწლს შვიდთა მაკაბელთა, მღვდელსა და დედასთან ერთად, სისხლითა და წამების ყოველგვარი ხერხით აღსრულებულთა. ბასილი მათ მოთმინებას ბაძავდა და დიდებაც შეიძინა.

75. ახალ აღთქმაზე გადავალ და გამოვიძიებ რა ბასილის საქმეებს, მოწაფეს პატივს მასწავლებელთა მიერ მივაგებ. ვინ იყო წინამორბედი იესოსი? იოვანე, ხმა ლოგოსისა და სანთელი ნათლისა, ვის წინაშეც **ჰკრთებოდა მუცელსა შინა**(ლუკ.I,44) დედისასა და მასზე ადრე შთავიდა ჯოჯოხეთად ჰეროდეს სიბორგილით წინასწარწარგზავნილი, რათა შესახებ მომავალისა იქაც ექადაგა. უკეთუ ვინმეს გაბედულად მოეჩვენება რასაც ვამბობ, დაე, ჯერ ნათქვამი კარგად გამოიძიოს, რომ ბასილს არა თუ წინ ვაყენებ, არამედ არც ვათანასწორებ კაცთან, რომელიც დედათა მიერ ნაშობთა შორის ყველაზე დიდია(მთ.XI,11), არამედ მისი, ვისაც იოვანეს რამდენიმე განმასხვავებელი თვისება ჰქონდა, ვითარცა მოშურნის წარმოჩენა მინდა. უმნიშვნელო როდია გულმოდგინეთათვის თუნდაც მცირედ მიბაძვა დიდი ადამიანებისა. ბასილი ხომ ცოცხალი ხატი იყო იოვანეს სიბრძნისმოყვარეობისა! უდაბნო მანაც დაიმკვიდრა. ღამით მასაც ძაძა ემოსა, რაც არავინ იცოდა და დაფარული იყო. ბასილმაც იგივე საზრდელი შეიყვარა და წინაშე ღმრთისა თავი თავშეკავებით განიწმინდა. ისიც ღირსიქმნა მქადაგებელი გამხდარიყო, თუმცა წინამორბედი არ ყოფილა. მასთან მოდიოდნენ არა მხოლოდ ახლო-მახლო, არამედ საზღვრებს გარეთ მდებარე სოფლებიდანაც და ისიც იდგა ორთა აღთქმათა შორის ერთის დამხსნელად, ხოლო მეორის სულის განმაცხადებლად. ამგვარად აღასრულებდა დაფარულს სჯულისას, ხოლო ხილულს – დახსნიდა.

76. მოშურნეობით **პეტრეს** ბაძავდა, ენერგიულობით – **პავლეს,** ხოლო რწმენით – ორივეს, სახელგანთქმულთა და სახელშეცვლილთა, ხმამაღლობით – **ზებედეს ძეთა,** ხოლო უბრალოებითა და სისადავით – ყველა მოციქულს. ამიტომაც მიენდო კლიტენი ზეცათა: არა მხოლოდ იერუსალიმიდან ილირიკამდე, არამედ ბევრად უფრო დიდი წრე მოჰფინა სახარებით და თუმცა ძე ქუხილისა არ ეწოდა, მაგრამ გახდა და იესოს მკერდს მიყრდნობილმა იქიდან ძალა სიტყვისა და სიღრმე აზროვნებისა მიიტაცა.

სტეფანედ ყოფნის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ ხელი იმ მოკრძალებამ შეუშალა, რომელსაც მის მიმართ განიცდიდნენ და რომელმაც ქვის მსროლელთ თავი შეაკავებინა; მაგრამ მათ შესახებ მოკლედ მინდა ვთქვა, ისე რომ, თითოეული ცალ-ცალკე არ მოვიხსენიო. ზოგიერთი მათგანისაგან კეთილნი შეიძინა ზოგიერთებს დაემსგავსა, ზოგთაც სძლია და ყველა სათნოების მოგებით ყოველთა ზედა, ვინც კი დღეს ცნობილია, ყოველმხრივ ამაღლდა, მხოლოდ ერთს ვიტყვი და ისიც მოკლედ.

77. ესოდენ დიდი იყო სათნოება ბასილისა და გარდამეტებულობა დიდებისა, რომ მის მრავალ უმნიშვნელო ნაკლს სხვები თავისთვის დიდების მომ-

ტანად იაზრებდნენ. ასეთი იყო ცვილისებური სიფერმკრთალე სახისა, წვერი, მანერა სიარულისა, მოუმზადებლობა სიტყვისათვის და საკუთარ თავში ჩაღრმავება, რომელთაც მრავალნი, უხეირო მიბაძვისა და გაუაზრებლობის გამო, პირქუშებად აქციეს.

ამგვარი იყო სახე სამოსისა, ფორმა სარეცელისა, წესი საზრდელის მიღებისა, როგორც შეემთხვეოდა. შენ იხილავ მრავალ ბასილს გარეგნულად, მაგრამ ისინი ქანდაკებანი არიან, რომელნიც ბასილის აჩრდილს წარმოადგენენ. მეტი მოგვივა მათ შესახებ იმის თქმა, რომ ისინი ექონი არიან, რადგან ექო თუმცა სიტყვის მხოლოდ ბოლოს იმეორებს, მაგრამ იმეორებს ნათლად. ეს ადამიანები იმდენად შორს არიან ბასილისაგან, რამდენადაც მიახლოვება სურთ.

არა მცირე, არამედ სამართლიანად უდიდესი პატივია, თუ ვინმეს მის სიახლოვეს ყოფნა, ან მსახურება მოუხდა და მეხსიერებაში მისი ან ხუმრობით, ან სერიოზულად ნათქვამი და გაკეთებული შემორჩა. როგორც ვიცი, თავი ამით მეც ბევრჯერ მოვიწონე, რადგან ბასილის გარეშე საქმენი სხვათა ნაჯაფარ საქმეებზე უფრო საპატიონი და თვალსაჩინონი არიან.

78. ბასილმა სრბაჲ აღასრულა და სარწმუნოება დაიცვა. გარდაცვალება მოსწყურდა და დადგა ჟამი გვირგვინის მიღებისა. მაშინ მას მოესმა არა ეს სიტყვები: „აღვედ მთასა ზედა და აღესრულე“, არამედ: „აღესრულე და აღმოვედ ჩემთან“. აქაც უკვე მოთხრობილზე არა ნაკლები სასწაული აღსრულდა: თითქმის უკვე მკვდარი და უსულო, რომელსაც ცხოვრება უმეტესწილად დატოვებული ჰქონდა, უკანასკნელი სიტყვების აღმოხდომისას კიდევ უფრო მტკიცე გახდა; აქედან რომ ღმრთისმოსაობის ქადაგებით გასულიყო, ყველაზე ჭეშმარიტ მსახურთაგან ხელი და სული რამდენიმეს ხელთდასხმისათვის მისცა, რათა საკურთხეველს მისი მოწაფენი და თანაშემწენი მღვდლობისა არ მოკლებოდა.

აქედან უკვე სიტყვას მოსვლა უჭირს, თუმცა მისი თქმა ჩვენზე უფრო სხვას შეეფერებოდა, რადგანაც, რამდენადაც არ შევისწავლე სიბრძნისმოყვარება, მის დაცვას მწუხარებისას მაინც ვერ მივაღწიე. საერთო დანაკლისს ვიხსენებ და მწუხარებას, რომელმაც სამყარო მოიცვა.

79. იწვა ბასილი უკანასკნელი ამოსუნთქვისას მოწოდებული ზეციურ დასთა შინა ჩადგომისათვის, რომელსაც უკვე დიდი ხანია ჭვრეტდა. მის გარშემო მთელი ქალაქი ღელავდა, დანაკლისი აუტანელი იყო. აქედან მისი გასვლის, როგორც მძლავრობის გამო, ხმამაღლა ჩიოდნენ, სულის შეკავებას ცდილობდნენ, თითქოს მისი შეპყრობა და ძალით შეჩერება ხელებით ან ვედრებით შესაძლებელი ყოფილიყო. მწუხარებისაგან უგუნურებად იქცნენ. ყოველი მათგანი, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მზად იყო საკუთარი სიცოცხლიდან გაეღო მისი სიცოცხლისათვის შესაძენად, მაგრამ დამარცხდნენ(საჭირო იყო დაენახათ, რომ იგი ადამიანი იყო). ბასილი აღესრულა სიტყვებით: ხელთა შენთა გადავცემ სულს ჩემსას(ფს.30,6) და სული, რომელიც სიხარულით აღმოხდა, ანგელოზებმა წაიყვანეს. ხოლო მანამდე საიდუმლოებასა შინა განსწავლა იქ

მყოფნი და დამოძღვრებებით სრულყო ისინი. მაშინ იქმნა სასწაული, ოდესმე ქმნილთა შორის უდიდებულესი.

80. წმინდანი წმინდანთა ხელთა ზედა აყვანილი გამოასვენეს. ყველა ცდილობდა შეხებოდა ან **ფესუს სამოსლისასა,** ან საფარველს, ან საკაცეს, რომლითაც მიასვენებდნენ(რა შეიძლებოდა ყოფილიყო მის სხეულზე წმინდა და განწმენდილი?), ან უკან მაინც გაჰყოლოდნენ და მხოლოდ შეხედვით დამტკბარიყვნენ, რასაც თითქოს მათთვის სარგებლობა უნდა მოეტანა, სავსე იყო მოედნები, კარიბჭეები, მეორე და მესამე სართულები. მიაცილებდნენ, წინ მიუძღვოდნენ, ან უკან და გვერდით მიჰყვებოდნენ და ათასობით, ყველა მოდგმისა და ყველა ასაკის ადამიანი, რომელიც მას ადრე არც იცნობდა, ერთმანეთს ავიწროებდა. ფსალმუნთა გალობას მოთქმა-ქვითინის ხმები ახშობდა. სიბრძნისმოყვარება მწუხარებამ დაარღვია. ჩვენები გარეშეებს – წარმართებს, იუდეველებსა და მოსულებს ეჯიბრებოდნენ და ისინი ჩვენებს, ვინ უფრო მეტად დაიტირებდა და, შესაბამისად, სარგებლობასაც მეტს მიიღებდა.

დავასრულებ იმით, რომ გლოვა ნამდვილი უბედურებით დასრულდა. მასთან ერთად ამ სოფლიდან არა მცირე რიცხვი სულთა განვიდა. შედეგად შეხლა-შემოხლის ძალისა და ჭყლეტისას მათ ნეტარი აღსასრული მიიღეს, რადგან აქედან ბასილთან ერთად განვიდნენ, ან როგორც ვინმე უფრო მგზნებარე იტყოდა, საფლავზედა მსხვერპლებად შეეწირნენ. როცა სხეული, როგორც იქნა, მტაცებელთაგან დააღწიეს და გამცილებელნი უკან ჩამოიტოვეს, მამათა საფლავს მიაბარეს და შეემატა მღდელთმთავარი მღდელთა, მქადაგებელთა – ხმაჲ დიდი, ისევ რომ ხმიანობს სასმენელთა შინა ჩემთა, მოწამე – მოწამეთა. ახლა იგი ცათა შინა არს, სადაც, როგორც ვფიქრობ, ჩვენთვის მსხვერპლს სწირავს და ხალხისთვის ლოცულობს, რადგან თუმცა დაგვტოვა, მაგრამ არა სრულიად; ხოლო მე, გრიგოლი, ნახევრად მკვდარი და ნახევრად განკვეთილი გაწყვეტილი კავშირისაგან, სალმობიერ ცხოვრებას და არა კეთილად მსრბოლს ვეზიდები, ვითარცა ეს ბასილთან განშორებულს შეჰფერის და არც ის ვიცი, შემდგომად მისგან განსწავლისა, როგორ დავასრულებ.

იგი აქამდე მარიგებს და უკეთუ ოდესმე დაწესებულის საზღვრებს გავცდი, ღამეულ ხილვებში განმსწავლის. თუ ქებაში ტირილს ვურევ, ამ კაცის მოქალაქობას სიტყვით აღვწერ, მომავალ დროს სათნოების საერთო სურათს და ყველა ეკლესიასა და ყოველ სულს გადარჩენის წინა სახეს ვთავაზობ, რომლის მიხედვითაც, ვითარცა გასულიერებული კანონით, ცხოვრების მოწყობა შეიძლება, ხოლო თქვენ მის მიერ სრულქმნილთ, სხვა რჩევას მოგცემთ: მზერა მარადის მისკენ მიმართეთ, ვითარცა მხედველისა და ხილულისაკენ და სულითა წმიდითა წარემართეთ.

81. მოვედით, გარემომადექით ყოველი დასი მისი – საკურთხევლის მსახურნიცა და უფრო დაბლა მდგომნიც, თქვენც, რომელნიც ჩვენნი ხართ და თქვენც – გარეშენიც. შემეწიეთ ბასილის შესაქებად! დაე, ყოველმა თქვენგანმა მისი

რომელიმე სათნოების შესახებ მოგვითხროს და ეძიოს მასში: ტახტზე მსხდომთ – სჯულმდებელი, სახელმწიფოს მმართველებმა – ქალაქმყოფელი, უბრალო ხალხმა – წესიერების მასწავლებელი, სწავლულთა – მოძღვარი, ქალწულთა – დამწინდველი, ქორწინებულთა – უბიწოების წინამძღვარი, მეუდაბნოეთა – ფრთოვანმყოფელი, შერეული წესით მცხოვრებთა – მსაჯული, მარტივი წესით მცხოვრებთა – წინამძღოლი, ჭვრეტის მოყვარულთა – ღმრთისმეტყველი, ხალისით განწყობილთა – აღვირი, განსაცდელთა შინა მყოფთა – მანუგეშებელი; სიბერემ – კვერთხი, სიყმაწვილემ – განმსწავლელი, სიღატაკემ – მიმწოდებელი, სიმდიდრემ – განმგებელი.

ვფიქრობ, ქვრივნიც შეაქებენ მფარველს, ობოლნი – მამას, გლახაკნი – გლახაკთმოყვარეს, უცხონი – უცხოთმოყვარეს, ძმანი – ძმათმოყვარეს, სნეულნი – მკურნალს, ყოველგვარი სნეულებისაგან კურნების მიმნიჭებელს, ჯანმრთელნი – მცველს სიმრთელისა, და საერთოდ, ყოველნი შეაქებენ მას ვინც **ყოველთა ყოველივედ ექმნა**(Iკორ.IX,22), რათა ყოველნი, ან უმრავლესნი მაინც, შეეძინა.

82. ეს შენ ჩემგან, ბასილი, ვისი ხმაც შენთვის ოდესმე სასიამოვნო იყო, პატოვოთ და ასაკით შენი სწორისა და თუკი იგი ახლოა ღირსებასთან – ეს შენი მადლია, რადგან შევუდექი რა სიტყვის შეთხზვას შენ შესახებ, შენ მოგენდე; ხოლო უკეთუ შორსაა ღირსებისაგან და სასოებასთან შედარებითაც ბევრად დაბლა დგას, რა უნდა ვქნა მე, სიბერით, უძლურებითა და შენ გამო მწუხარებით შემუსვრილმა? მაგრამ ის, რაც ძალისაებრაა შექმნილი, ხომ საყვარელია ღმრთისათვის.

გადმომხედე მაღლით, ჰოჲ, ღმრთეებრივო და წმინდაო თავო და ჩემი განსწავლისათვის ღმრთისგან მოცემული **საწერტელი ხორცთა**(IIკორ.XII,7) მეოხებითა შენითა დააყენე, ან მისი მოთმინებით ტარება მასწავლე და მთელი ჩემი ცხოვრება უმჯობესისაკენ წარმართე. ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა, საფარველსა ქვეშე შენსა მანდაც შემიწყნარე, რათა ერთად უფრო წმინდად და უფრო სრულად ვუჭვრეტდეთ წმიდასა და ნეტარ სამებას, რომელიც აქ რამდენადმე შევიმეცნეთ. შევჩერდეთ ამ სურვილზე, რომლის ახდენაც მისაგებელი იქნებოდა იმისათვის, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ჩვენ გვებრძოდნენ.

ასეთია ჩემი სიტყვა მოძღვნილი შენდამი, მაგრამ ვინ შემაქებს მე, რომელიც ცხოვრებას შენ შემდეგ ვტოვებ, თუკი სიტყვებს რაიმეს ქების ღირსს მივანიჭებ ქრიტეს მიერ, უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება უკუნისამდე, ამინ.

წ˜ა გრიგოლ ნოსელი

შესაქმისათვის კაცისა[1]

ძმას, მონას ღმრთისას, პეტრეს სებასტიის ეპისკოპოსს, გრიგოლი ეპისკოპოსი ნისისა

ათნოებით გამორჩეულნი ფასიანი მონაგებით რომ ჯილდოვდებოდნენ, როგორც სოლომონი ამბობს, ნივთთა მთელი სამყარო მცირე აღმოჩნდებოდა იმისთვის, რომ შენს სათნოებას შესწორებოდა, რადგან სამადლობელი, ღირსი შენისა პატიოსნებისა საფასეთა ღირებულებას აღემატება. მაგრამ წმინდა პასექი ჩვეულებისამებრ ძღვენს ითხოვს, რომელსაც ვუძღვნით ამაღლებულ სულს შენსას, კაცო ღმრთისაო, თუმცაღა ძღვენი კნინია იმისათვის, რომ შენთვის მორთმევის ღირსი იყოს, მაგრამ არა უდარესი ძალისა ჩვენისა.

ძღვენი ესე არის სიტყვა, მსგავსი რაღაც შეურაცხისა სამოსელისა, რომელიც მწირისა გონებისაგან ჩვენისა არა უშრომლად მოიქსოვა. შეიძლება შინაარსი სიტყვისა ბევრს კადნიერებადაც ეჩვენოს, მაგრამ შეუფერებლად მაინც არ ჩაითვლება, რადგანაც ქმნილება ღმრთისა ღირსეულად მხოლოდ ბასილიმ, ვინც ჭეშმარიტად ხატად ღმრთისად დაიბადა და ვინც სული თვისი ხატებითა დამბადებელისათა განამშვენა, ჩვენმა საერთო მამამ და მასწავლებელმა, მოიაზრა. მან მაღალი წესრიგი სამყაროსი თავისი გამოკვლევით ადვილად მისაწვდომი გახადა მრავალთათვის და სოფელი, რომელიც ღმრთისაგან ჭეშმარიტი სიბრძნით შეიქმნა, შესამეცნებლად აქცია მათთვის, ვინც ჭვრეტას მისი სიბრძნით მიეახლა.

ხოლო ჩვენ, რომელნიც იმისთვისაც კი უძლურნი ვართ, რომ მისით ღირსეულად განვცვიფრდეთ, მაინც განვიზრახეთ დამატება იმისი, რაც დიდ მოაზროვნეს გამოუკვლეველი დარჩა, არა იმისათვის, რომ შრომა მისი ნაყალბევით წაგვეხდინა, რადგან ამ მაღალ ბაგეთა შეურაცხყოფა ჩვენი სიტყვების მიწერით უსამართლობა იქნებოდა, არამედ, რათა არ ეფიქრათ, რომ დიდებას მასწავლებლისა მის მოწაფეთა შორის რაღაც მოაკლდა. რამდენადაც თხზულებას „ექვსთა დღეთათვის“ აკლია მსჯელობა შესახებ კაცისა, ამ ნაკლის შესავსებად გულმოდგინება მის მოწაფეთაგან არცერთს რომ არ გამოეჩინა, ეს მისი დიდების საწინააღმდეგოდ საყვედურის გამოთქმის მიზეზად სამართლიანად იქცეოდა, თითქოსდა მას მსმენელებში რაღაც გულისხმისყოფის უნარის ამოქმედება არ სურდა.

ახლა, როცა ჩვენ გავკადნიერდით, ძალისაებრ ჩვენისა გადმოგვეცა ის, რაც გადმოუცემელი დარჩა, უკეთუ ჩვენს შრომაში რაიმე, მისი სწავლებისათვის არაუღირსი, აღმოჩნდება, იგი მთლიანად მასწავლებელზე იქნება გადატანი-

[1] თარგმნილია ტექსტიდან: ΤΟΥ ΕΝ ΑΓΙΟΙΣ ΓΡΗΓΟΡΙΟΥ ΝΥΣΣΗΣ, ΠΕΡΙ ΚΑΤΑΣΚΕΥΗΣ ΑΝΘΡΩΠΟΥ. PG, T.44, col. 124-256.

ლი, ხოლო უკეთუ სიტყვა ჩვენი ვერ მიაღწევს სიმაღლეს მისი მოძღვრებისა, ბრალდებაც აცილდება და საყვედურსაც გაექცევა, რომ თითქოსდა არ სურდა მოწაფეთა შორის რაიმე გონივრული მიხვედრის უნარი წარმოშობილიყო. ჩვენ კი, წინაშე საყვედურის მიზეზის მაძიებელთა, სამართლიანად წარმოვჩნდებით ვითარცა ბრალეულნი, რადგან სივიწროვისა გამო ჩვენი გულისა, სიბრძნე მასწავლებლისა ვერ დავიტიეთ.

პატარა როდია მიზანი, რომელიც ჩვენ განსახილველად დავისახეთ, სამყაროს საკვირველებათაგან არცერთს არ ჩამორჩება იგი, პირიქით, ყველაზე მეტია იმათგან, რაც შევიცანით, რადგან არსებულთაგან ღმერთს, გარდა ამ ქმნილების – ადამიანისა, სხვა არავინ ემსგავსება. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სიტყვა ღირსებაზე ბევრად დაბლა დაეშვება, კეთილგონიერ მსმენელთა შორის შენდობა ჩვენ მიერ თქმულისათვის უკვე გამზადებული იქნება. ვსაუბრობთ რა ადამიანზე, ვფიქრობ, იმათგან, რაც მას უკავშირდება, გამოუკვლეველი არცერთი არ უნდა დაგვრჩეს; არც ის, როგორც ეს გვჯერა, მას უკვე გარდახდა, არც ის, როგორც ამის მოლოდინი გვაქვს, მომავალში გარდახდება და არც ის, რასაც მასში ახლა ვჭვრეტთ.

მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, დაპირებულის დაკლებულად აღსრულებაში ვიმხილებით, თუკი წინამდებარე განხილვაში გვერდს ავუვლით რაიმეს, რაც კი განხილვის საგანს უკავშირდება. ისიც კი, რაც ადამიანში მასთან მიმართებით წინააღმდეგობრივი ჩანს, რადგან პირველდაბადებულთა შორის არ იხილვებოდა, ხოლო ახლა რაღაც უცილობელი მიმდევრობის გამო, ბუნებრივად იხილვება, წმინდა წერილის სწავლებითა და განსჯისგან მოპოვებული დასკვნებით, ერთმანეთს უნდა შევუთანხმოთ, რათა ყოველივე, რასაც გადმოვცემთ, ერთმანეთზე გადაწნული და მოწესრიგებული იყოს და წარმოაჩინოს, რომ ისიც, რაც წინააღმდეგობრივი ჩანს, ერთი მიზნისკენაა მიმართული, რადგან ღმრთეებრივი ძალა სასოებას უსასოსათვის და გამოსავალს შეუძლებელისათვის ამგვარად პოულობს.

სიცხადისათვის უმჯობესად მივიჩნიე შენთვის შემოთავაზებული სიტყვა თავებად დამეყო, რათა მთელი ნაწარმოების შინაარსის დანახვა მოკლედ, ცალკეული თავების სათაურებიდანვე შეიძლებოდეს.

თავი I

რომელშიც ნაწილობრივ მოცემულია ბუნებისმეტყველება სამყაროსი და რამდენადმე უფრო დაწვრილებით თხრობა იმათ შესახებ, რომელნიც უწინარეს კაცისა დაიბადნენ

„ესე არს წიგნი შესაქმისა ცისა და ქუეყანისა“(დაბ.II,4), – ამბობს საღმრთო წერილი მას შემდეგ, რაჟამს სრულიქმნა ყოველი ხილული, დაბადებულთაგან ყოველმა საკუთარი მდგომარეობა დაიკავა და სხვებს გამოეყო, რაჟამს ზეციურმა სხეულმა ყოველივე გარემოიცვა, ხოლო მძიმე და დაღმა მსწრაფმა სხეულებმა – მიწამ და წყალმა, რომელნიც ერთმანეთს განამტკიცებენ, ადგი-

ლი ყოველივეს შუაში მოიპოვეს. ურთიერთკავშირი და სიმტკიცე დაბადებისა არსთა ბუნებას ღმრთეებრივი ხელოვნებისა და ძალისაგან მიეცა, რომელიც ყოველივეს ორკეცი ქმედებით მართავს, რადგან არაარსთა არსად მოყვანება და არსებულთა ყოფიერება უძრაობითა და მოძრაობით განაგო.

ცა უსწრაფესი მოძრაობით გარეშემო იმისა, რაც უძრავ ბუნებაში მძიმე და უცვლელია, ვითარცა ირგვლივ რაღაც მტკიცე ღერძისა, მსგავსად ბორბლისა ტრიალებს და ამგვარად ორივეს – უძრაობასაც და მოძრაობასაც დაურღვევლად იცავს. წრიულად მბრუნავი ბუნება, სწრაფი მოძრაობის წყალობით, მიწის სიმკვრივეს წრიულად კუმშავს, ხოლო მყარი და დაუმორჩილებელი თავისი შეუძვრელი სიმტკიცით მის გარეშემო წრიულად მოძრავთა ბრუნვას მოუკლებელად აძლიერებს. ამასთან, მოქმედებით დაშორებულ არსთა – უძრავი ბუნებისა და დაუდგრომელი ბრუნვის მიერ, ერთშიც და მეორეშიც თანაბარი გარდამეტებულობა იქმნება, რადგან თავისი საფუძვლიდან არც დედამიწა იძვრის და მოძრაობის ძალას არც ზეცა ამდოვრებს და ასუსტებს. და ეს პირველნი, ვითარცა რაღაც საწყისნი არსთა ყოველი მოწყობისა, შემოქმედის სიბრძნით, დაბადებულთაგან ყველაზე ადრე იქნენ განმზადებულნი. ვფიქრობ, დიდი მოსე ცისა და მიწის პირველად დაბადებას იმისთვის წარმოაჩენს, რომ ღმრთეებრივი ნებით ყოფიერებაში მოსულ ქმნილებაში ყოველი მოვლენა მოძრაობისა და უძრაობისაგან წარმოიშობა.

რამდენადაც საწინააღმდეგო ქმედებათა გამო ცა და დედამიწა ერთმანეთს სრულიად უპირისპირდება, ქმნილება, რომელიც დაპირისპირებულთა შორისაა და ნაწილობრივად მეზობლებთანაცაა ნაზიარები, უკიდურესთა შორის შუამავლობას სწევს; ასე, რომ ამ შუალედურის მიერ კავშირი დაპირისპირებულთა შორის ნათელი ხდება. თუმცაღა ჰაერი ბუნების სიმსუბუქითა და მოძრაობის უნარით რამდენადმე ცეცხლის ბუნების მარადიულ მოძრაობასა და სიწვრილეს ემსგავსება, მაგრამ არც იმგვარია, რომ მყართან ნათესაობა საერთოდ არ ჰქონდეს. ამიტომაც იგი არც მარადის უძრავად რჩება და არც მუდმივად მდინარებს და განიბნევა, არამედ აქვს რა საერთო თვისებები ორივესთან, ვითარცა ერთგვარი ზღვარი დაპირისპირებულთა ენერგიებს შორის, ბუნებით დაშორებულებს თავისთავში ერთდროულად კიდევაც აერთებს და კიდევაც ყოფს. აგრეთვე, ნოტიო ბუნებაც თავისი ორგვარი თვისებებით დაპირისპირებულთაგან ორივესთან შეწყობილია: სიმძიმითა და დაღმა სწრაფვით დიდი ნათესაობა აქვს მიწასთან, ხოლო დინებისა და გადაადგილების ენერგიებთან ზიარების გამო, არც მოძრავი ბუნებისგანაა სავსებით გაუცხოებული, არამედ ერთგვარი ნაზავი და ნაერთია დაპირისპირებულთა – სიმძიმისა, რომელიც ამოძრავდა და მოძრაობისა, რომელიც სიმძიმით არაა შეფერხებული. ასე ხვდებიან ერთმანეთს ბუნებით დაშორებული უკიდურესობანი, შუამავლის მიერ შეერთებულნი.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაპირისპირებულთა ბუნება, საკუთარი თვისებების საშუალებით, სრულიადაც არაა უზიარებელი სხვა ბუნებასთან; ასე რომ,

ვფიქრობ, სამყაროს ყველა მოვლენა ერთმანეთისკენაა მიდრეკილი და ქმნილება, რომელშიც საპირისპირო თვისებებს ვხედავთ, თავისთავთან ერთი ცხოვრებით ცხოვრობს. მოძრაობად არა მხოლოდ გადაადგილება მოიაზრება, არამედ იგი ცვალებადობასა და გარდაქცევაშიც იხილვება; და კვლავ, რადგანაც უცვალებელი ბუნება არ უშვებს ცვალებით მოძრაობას, ღმრთის სიბრძნემ, თვისებანი შეცვალა, შექმნა რა მარადის მოძრავი უცვალებელად, უძრავი კი – ცვალებადად, ხოლო ეს განსაკუთრებული განზრახვით განაგო, რათა არავის, რომელიც რომელიმე ქმნილებაში ბუნების ისეთ თვისებას იხილავდა, როგორიც გარდაუქცევლობა და უძრაობაა, ქმნილება ღმერთად არ მიეჩნია, რადგან ღმრთეებრიობის ვარაუდი იქ, სადაც მოძრაობა და ცვალებადობაა, არ შეიძლება. ამიტომაც დედამიწა თუმცა უძრავია, მაგრამ არა უცვლელი; ზეცას კი, პირიქით, ცვალებადობა არა აქვს, მაგრამ არც უძრავია, რადგანაც ღმრთეებრივმა ძალამ უძრავ ბუნებასთან ცვალებადობა შეაერთა, ხოლო ცვალებადთან – უძრაობა. ამგვარად, თვისებათა გაცვლით ორივე ბუნება ერთმანეთთან დაანათესავა, რითაც აზრი მათი ღმრთეებრიობის შესახებ უცხო გახდა, რადგან, როგორც ეს უკვე ითქვა, არცერთი ამათგანის ღმრთეებრივ ბუნებად მიჩნევა არ შეიძლება, არცა არამყარისა და არცა ცვალებადისა.

ამრიგად, ყოველივემ საკუთარ სისრულეს მიაღწია, ანუ, როგორც მოსე ამბობს: «სრულ იქმნეს ცაჲ და ქუეყანა»(დაბ.II,1) და ყოველივე მათ შორის და თითოეული მათგანი მისთვის შესაფერისი მშვენებით შეიმკო: ზეცა – მნათობთა ნათელით, ზღვა და ჰაერი – მცურავი და მფრინავი ქმნილებებით, დედამიწა – ყოველგვარი მცენარეულითა და სხვადასხვა ოთხფეხით, რომელიც მან, ღმრთეებრივი ნებით გაძლიერებულმა, მეყსეულად შობა. აღივსო დედამიწა მშვენებით, ყვავილთა თანა ნაყოფნიც გამოიღო; მდელოებიც აღივსნენ იმათგან, რომელნიც მდელოებს შეეფერება, ზღვის ციცაბო ნაპირები, მწვერვალები, ყოველი ფერდობი, ვაკე თუ ხეობები გვირგვინოსან იქმნენ ხასხასა ბალახითა და ხეთა მრავალფეროვანი მშვენიერებით, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ მიწიდან ის-ის იყო აღმოცენდნენ, მყისვე სრულქმნილ სილამაზეს მიაღწიეს. ალბათ, ღმრთის ბრძანებით ყოფიერებაში მოყვანილი ყველა ცხოველი, დაბურულ ტყეებში ჯოგებად და სახეობებად დაფანტული, ხარობდა და ხალისით ხლტოდა. ფრინველთა გალობამ ყოველივე აახმიანა, თვით ყველაზე მივარდნილი და უღრანი ადგილებიც კი. მაგრამ სანახაობა ზღვისა, რა თქმა უნდა, რამდენადმე მაინც სხვაგვარი იყო: უბეებში შეკრებილი, იგი მშვიდად და წყნარად იდგა, ღმრთეებრივი ნებით თვითონვე ჩაღრმავდნენ რა სანაპირო ადგილებში, ნავმისადგომები და ყურეები ზღვას ხმელეთს აჩვევდნენ და ნელი მოძრაობით ტალღებისა სილამაზეში მდელოებს ეცილებოდნენ, ხოლო მსუბუქნი და უვნებელნი ნიავნი მხოლოდ წყლის ზედაპირს აქოჩრებდნენ მოხდენილად. ქმნილებათა მთელი სიმდიდრე ხმელეთსა და ზღვაზე უკვე გამზადებული იყო, მაგრამ მფლობელი მისი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

თავი II

რატომ დაიბადა კაცი ქმნილებათაგან ყველაზე ბოლოს

ამრიგად, არსთა სამყაროში კაცი – ეს დიდი და პატივდებული ქმნილება – ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა, რადგანაც არა ჯერ იყო ქვეშევრდომთა უწინარესად მმართველის გამოჩენა, არამედ შემოსვლამდე მეფისა, სამეფო უნდა გამზადებულიყო.

ამიტომ ყოველთა შემოქმედმა მომავალ მეფეს ერთგვარი სამეფო სასახლე წინასწარ განუმზადა: ეს იყო დედამიწა და კუნძულები, ზღვა და ზეცა, რომელიც ამათ ყოველთა ზედა კამარისებურ ჭერად მოდრიკა, და ამ სამეფო სასახლეში მრავალფეროვანი სიმდიდრე დააუნჯა. ხოლო სიმდიდრეს მე ვუწოდებ ყველა ქმნილებას, ყველა მცენარესა და ამონაყარს, ყველას, რასაც შეგრძნება აქვს, ყველას, რაც სუნთქავს და ვისაც სული აქვს. თუ სიმდიდრეს ის ნივთიერებანიც უნდა მივათვალოთ, რომელნიც ფერადოვნებისა გამო, კაცთა თვალში ძვირფასად მიიჩნევიან, როგორც, მაგალითად, ოქრო და ვერცხლი, ქვებიდან კი ისინი, რომელნიც ადამიანებს უყვართ, სიუხვე მათი, ვითარცა ერთგვარი სამეფო საუნჯე, მიწის წიაღსა შინა დაფარა, რის შემდეგაც სამყაროში კაცი წარმოაჩინა, რათა იგი მისთა საკვირველებათაგან ზოგის მაყურებელი ყოფილიყო, ხოლო ზოგისაც – უფალი. ტკბობით მას მომცემელის გულისხმისყოფა უნდა შეეძინა, ხოლო დაბადებულთა მშვენიერებისა და სიდიდის მიერ შემოქმედის გამოუთქმელი და გამოუკვლეველი ძლიერება გამოეკვლია.

ამიტომაც იქნა შემოყვანილი კაცი ქმნილებათაგან ყველაზე ბოლოს, არა როგორც ვინმე შეურაცხი და ბოლოში მიგდებული, არამედ ვითარცა მეუფე ქვეშევრდომთა, რომელსაც მათ ზედა მეუფება დაბადებისთანავე შეეფერებოდა.

მსგავსად კეთილი მასპინძლისა, რომელიც სტუმრებს, ვიდრე გამზადებამდე კერძებისა, შინ არ მიიწვევს, არამედ ჯერ განამზადებს რა ყოველივეს, როგორც საჭიროა: სახლსაც დაასუფთავებს და სანადიმო დარბაზსაც და ტაბლასაც შესაფერისად განამშვენებს, კერძებისათვის სანოვაგესაც მოიმზადებს და თანამეინახეს შემდგომად ამისა მიიღებს, ასევე მდიდარმა და გულუხვმა მასპინძელმა ჩვენისა ბუნებისა, ჯერ ეს სახლი ყოველგვარი სილამაზით შეამკო, დიდი და მრავალფეროვანი ნადიმი განამზადა, ხოლო კაცი შემდეგ შემოიყვანა და საქმედ განუწესა არა მოპოვება იმისა, რაც არ ჰქონდა, არამედ ტკბობა იმით, რაც ებოძა. მის აგებულებას საფუძველიც ცხოვრებისა ორმაგი დაუდო, შეაზავა რა ერთმანეთს მიწიერი და ღმრთეებრივი, რათა ტკბობა, რომელიც თითოეულს ენათესავება და ახასიათებს, ორივეს მიერ ჰქონოდა; ღმრთეებრივი ბუნებით ღმერთითაც დამტკბარიყო და მათთან ერთგვაროვანი მგრძნობელობით – მიწიერი სიკეთეებითაც.

თავი III

იმის თაობაზე, რომ ბუნება კაცისა ყველა ხილულ ქმნილებაზე უპატიოსნესია

არა გვერდის ავლის, არამედ ჩვენი განხილვის ღირსია ისიც, რომ შესაქმე ესოდენ ვრცელი სამყაროსი და მისი შემადგენელი ნაწილებისა, რომელნიც, ვითარცა სტიქიები(ელემენტები) ყოველთა აგებულების საფუძვლად იქნენ დადებულნი, ღმრთეებრივი ძალით მსწრაფლ აღსრულდა და იმავდროულად განმტკიცდა კიდეც მისი ბრძანებით; ხოლო შესაქმეს კაცისა წინ უძღოდა ბჭობა: ხელოვნის მიერ სიტყვით წინასწარ გამოისახა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი ქმნილება, რომელი პირველსახის მსგავსება უნდა ეტარებინა, რისთვის უნდა შექმნილიყო, რა უნდა ეკეთებინა შემდგომად შესაქმისა და ვისზე უნდა ემთავრა. სიტყვამ ყოველივე ეს გაითვალისწინა, რათა ადამიანს მიეღო უფროსობა, ღირსი მისი დაბადებისა, რადგან ძალაუფლება დაბადებულთა ზედა უკვე მანამდე ჰქონდა, ვიდრე ყოფაში თავად მოვიდოდა; ნათქვამია ხომ: **თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად. და მთავრობდეს თევზთა ზღუსათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴეცთა ყოვლისა ქუეყანისა და ყოველთა ქუეწარმავალთა, მავალთა ქუეყანასა ზედა**(დაბ.I,26).

ჰოჲ, საკვირველება! მზე შეიქმნა და წინ არავითარი ბჭობა არ წასძღომია. ასევე ზეცაც, – რომელსაც დაბადებულთა შორის ბადალი არ ჰყავს, ეს საოცრებაც მხოლოდ სიტყვით აღიმართა, ხოლო შესახებ იმისა, თუ საიდან, ან როგორ, ან სხვა რაიმე ამგვარზე, სიტყვა არაფერს შენიშნავს. ასევე, სხვაც ყველა: ეთერი, ვარსკვლავები, ჰაერი, მათ შორის განფენილი, ზღვა, დედამიწა, ცხოველები თუ მცენარენი – ყოველივე სიტყვით დაიბადა. ყოველთა შემოქმედი წინდახედულობით, ისე რომ, მისი აგებულებისათვის მასალაც მოემზადებინა, ფორმითაც პირველსახის მშვენიერებისათვის დაემსგავსებინა, მიზანიც დაესახა, რისთვის უნდა დაბადებულიყო და მისი შესატყვისი ბუნებაც შეექმნა, თავისი ქმედებებით ამ მიზნისათვის გამოსადეგი, მხოლოდ კაცის შესაქმეს მოეკიდა.

თავი IV

იმის შესახებ, რომ აგებულება ადამიანისა მის სამთავრობო ძალაუფლებაზე ყოველმხრივ მიანიშნებს

ვითარცა ამა ცხოვრებასა შინა ხელოვანნი იარაღს ფორმას საჭიროებისდა მიხედვით აძლევენ, ასევე აღმატებულმა ხელოვანმა ბუნება ჩვენი ერთგვარ ჭურჭელად შექმნა, გამოსადეგად სამეუფო ქმედებისა და როგორც სულიერი უპირატესობით, ასევე სხეულის აგებულებითაც ისე განამზადა, რომ მეფობისათვის შესაფერისი ყოფილიყო, რადგან სული პირდაპირ წარმოაჩენს მეფურობას, უბირი მდაბიურობისაგან სრულიად განშორებულს იმით, რომ უბატონო და თვითმფლობელია და თავს საკუთარი ნებით, თვითმპყრობელუ-

რად განაგებს. და სხვა ვინ შეიძლება იყოს ასეთი, გარდა მეფისა?

ესეც რომ არ იყოს, დაბადება ხატად ყოველთა მპყრობელის ბუნებისა, სხვა რა არის, თუ არა ის, რომ იგი იმთავითვე სამეუფო ბუნებად იქმნა. მსგავსად ადამიანთა ჩვევისა, რომლის მიხედვითაც დამამზადებელნი ხელმწიფეთა სურათებისა, გარეგნულ შესახედაობასაც ასახავენ და ძოწეული სამოსით მათ მეფურ ღირსებასაც აღნიშნავენ, რის შედეგადაც გამოსახულება, ჩვეულებისამებრ, „მეფედ“ იწოდება.

ასევე კაცობრივი ბუნებაც, ყოველთა მეუფესთან მსგავსების გამო, განმზადდა რა სხვათა ზედა მთავრობისათვის, ვითარცა ერთგვარი სულიერი ხატი, ღირსებითაც და სახელითაც პირველსახესთან ნაზიარები, ისე აიგო: იგი არც ძოწეულითაა შემოსილი და ღირსებას არც კვერთხითა და დიადემით წარმოაჩენს, რადგან ესენი არც პირველსახეს აქვს, არამედ ძოწეულის წილ, შესამოსელთაგან ყველაზე მეფურით – სათნოებითაა შემოსილი, ნაცვლად კვერთხისა, უკვდავების ნეტარებას ეყრდნობა, ხოლო დიადემის წილ სიმართლის გვირგვინი ამკობს; ასე რომ, პირველსახის სილამაზესთან ზუსტი მსგავსებით თავის მეფურ ღირსებას ყველაფრით ცხადყოფს.

თავი V

იმის შესახებ, რომ კაცი მსგავსია ღმრთეებრივი მეუფებისა

ღმრთეებრივი სილამაზე არა რაღაც გარეგნულ შესახედაობასა და სახის სასიამოვნო ნაკვთებში ბრწყინავს ფერებით, არამედ სათნოებათა გამოუთქმელი ნეტარებით იხილვება. ამიტომ მსგავსად მხატვართა, რომელთაც კაცობრივი გარეგნობა დაფებზე რაღაც ფერებით გადააქვთ და საღებავებს ერთმანეთში მისაბაძის შესაფერისად აზავებენ, რათა პირველსახის სილამაზე ნახატზე ზუსტად გადაიტანონ, მოიაზრე შენც დამბადებელი ჩვენი, ვინც სათნოებათა მიერ, ვითარცა ერთგვარი საღებავებით, მსგავსად საკუთარი მშვენიერებისა აღაყვავა ხატი, რათა ჩვენში მთავრობა თვისი წარმოეჩინა.

მრავალი სახისანი და მრავალფეროვანნი არიან საღებავები ხატისა, რომელთა მიერ ჭეშმარიტი პირველსახეა გამოხატული. ეს არც მეწამული და თეთრი, არც მათი ნაერთი, არც შავი, რომლითაც წარბნი და თვალნი გამოისახებიან და არც რაღაც სხვა ნაზავია ფერებისა, რომლითაც ჩავარდნილი ნაკვთები იჩრდილება და საერთოდაც, არაფერია იმათგან, რაც მხატვართა ხელითაა შექმნილი; არამედ ყოველთა ამათ წილ – სიწმინდე, უვნებლობა, ნეტარება, ყოველგვარი ბოროტებისაგან უცხოყოფა და სხვა ამდაგვარი სათნოებანია, რომელთა მიერ კაცთა შორის მსგავსება ღმრთისა ისახება. შემოქმედმა თავისი ხატის ამგვარი ყვავილებით გამოსახა ბუნება ჩვენი.

უკეთუ შენ სხვა თვისებასაც გამოიძიებ, რომლითაც საღმრთო მშვენიერება ხასიათდება, ჩვენს ხატში ზუსტად დაცულ მსგავსებას მასთანაც იპოვი. გონება და სიტყვაც ხომ ღმრთეებაა, რადგან ნათქვამია: **პირველითგან იყო**

სიტყუა(ინ.I,1); პავლეს მიხედვით, წინასწარმეტყველებს ქრისტეს გონება აქვთ, რომელიც მათში მეტყველებს(Iკორ.II,16). ამათგან შორს არც კაცებაა, რადგან საკუთარ თავში ხედავ სიტყვასაც და გონებასაც – მსგავსს ჭეშმარიტი გონებისა და სიტყვისა; კიდევ: ღმერთი სიყვარულია, წყარო სიყვარულისა; ვითარცა იტყვის დიდი იოვანე, სიყვარული ღმრთისაგანაა და **ღმერთი სიყვარული არს**(Iინ.4,8;4,16). დამბადებელმა ბუნებისა ჩვენს [განმასხვავებელ] თვისებადაც სიყვარული აქცია, რადგან ამბობს: **ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას**(ინ.13,35). ასე რომ, სადაც სიყვარული არ არის, ხატის ყველა თვისება შერყვნილია. ღმრთეება ყოველივეს ზედამხედველობს, ყოველივეს ისმენს და ყოველივეს გამოეძიებს, ასევე შენც ქმნილებებს სახილველითა და სასმენელით გულისხმაჰყოფ და გაქვს გონება – არსებულთა გამომეძიებელი და გამომკვლეველი.

თავი VI

გამოძიება ბუნებასთან გონების ნათესაობისა, რომელშიც გაკვრით ანომოიელთა[2] სწავლებაცაა მხილებული

ნურვინ იფიქრებს, თითქოს იმას ვამბობდე, რომ ღმრთეება დაბადებულებს, მსგავსად კაცობრივ ქმედებათა, თავისი მრავალფეროვანი ძალით სწვდება, რადგან ღმრთეების სიმარტივეში შემმეცნებელი მოქმედების მრავალფეროვნებისა და მრავალი სახის მოაზრება შეუძლებელია. საგანთა მრავალრიცხოვანი შემმეცნებელი ძალა არც ჩვენ გვაქვს, თუმცაღა მრავალფეროვან შეგრძნებათა მიერ ვწვდებით მათ, რომელნიც ცოცხლობენ; არამედ ერთია ძალა, ჩვენ შორის დანერგილი – გონება, რომელიც, ვლინდება რა ყოველ შეგრძნებაში, არსებულებს სწვდება. იგი მოვლენას თვალებით ჭვრეტს, სასმენელით იაზრებს ნათქვამს, სასიამოვნო უყვარს და უსიამოვნოს თავს არიდებს, იქმს ხელითა, რაჲცა ნებავს, მისით იღებს ან პირიქით, მოიცილებს, იმისდა მიხედვით, უმჯობესად რა მიაჩნია, სარგებლობს რა ამისათვის ამ ორგანოს თანამოქმედებით.

ამიტომაც, თუმცა ადამიანს სხვადასხვა ორგანო აქვს, ბუნებისაგან შეგრძნებებისათვის მოწყობილი, მაგრამ ის, რაც ყოველი მათგანით მოქმედებს, მოძრაობს და დასახული მიზნის შესაბამისად, მათით სარგებლობს, ერთი და იგივეა, რომელიც, მიუხედავად მოქმედებათა სხვადასხვაობისა, ბუნებას არ იცვლის, როგორ შეიძლება ვინმემ ღმერთში მრავალფეროვან ძალთა გამო ბუნებაც მრავალნაწილიანი დაინახოს? როცა წინასწარმეტყველი ამბობს: „რომელმან შექმნა თუალი“ და „რომელმან დაჰნერგა ყური“(ფს.93,9), ძალნი ესე, ვითარცა რამდენადმე განსაკუთრებული შემმეცნებელი თვისებანი, ადამიანთა ბუნებაში ნიმუშებად აღბეჭდა იმისა, რაც თავად მასშია, რადგან

[2] ამ ფორმით გადმოვიტანეთ ქართულად ბერძნული Ἀνόμοιος, რომელიც ეწოდებოდა არიოზის ერესის უკიდურესი მიმდინარეობის წარმომადგენლებს, კერძოდ ევნომიოსსა და მის მხარდამჭერებს.

ამბობს: „ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა“(დაბ.I,26).

მაგრამ სადა გვაქვს აქ ჩვენ მწვალებლობა ანომოიელთა? რას იტყვიან ამ გამონათქვამის მიმართ? ამ სიტყვების შემდეგ როგორღა გადაარჩენენ სიცარიელეს თავიანთი სწავლებისა? თუ იმას იტყვიან, რომ ერთი ხატი შეიძლება მსგავსი იყოს სხვადასხვა სახისა? უკეთუ ძე ბუნებით არაა მსგავსი მამისა, სხვადასხვა ბუნებისათვის ერთი ხატი როგორღა განამზადა? რამეთუ თქვა რა, რომ: **ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა** და წმინდა სამება მრავლობითი რიცხვის ნიშნით წარმოაჩინა, ხატს მხოლობითად არ მოიხსენიებდა, პირმშოსახენი ერთმანეთის მსგავსნი რომ არ ყოფილიყვნენ. შეუძლებელია ხომ, რომ ისინი, რომელნიც ერთმანეთის მსგავსნი არ არიან, ერთ მსგავსებაში წარმოჩნდნენ. არამედ ბუნებანი რომ განსხვავებული ყოფილიყო, ხატებსაც უეჭველად განსხვავებულებს, ყოველი მათგანის შესაბამისად შექმნილს, დაბადებდა.

რამდენადაც ხატი ერთია, ხოლო პირველსახე ხატისა ერთი არ არის, ვინ იქნება იმდენად უგუნური და უმეცარი, ვერ გაიგოს, რომ მსგავსნი ერთისა უეჭველად ერთმანეთის მსგავსნიც იქნებიან? მოკვეთა რა ეს ბოროტი აზრი კაცობრივი ცხოვრების განმზადებისთანავე, შეიძლება, ამიტომაც თქვა სიტყვამ: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“(დაბ.1,26).

თავი VII

რატომ არის კაცი შიშველი, ბუნებრივ საფარველსა და საჭურველს მოკლებული

მაგრამ რას ნიშნავს აღმართული აღნაგობა? რატომ არ იშვა სხეულთან ერთად ძალებიც დასაცავად მისი სიცოცხლისა? იგი ხომ ბუნებრივ საფარველთაგან შიშველია და უსაჭურვლო, ღატაკია ადამიანი და მოკლებული ყოველივე იმას, რაც სიცოცხლის დასაცავად სჭირდება. იგი უფრო თანალმობის ღირსად მოჩანს, ვიდრე ნეტარებისა. არცა რქები აქვს, არც ბრჭყალნი ალესილნი, არცა ჩლიქნი, არც კბილები და არც ნესტარი, ბუნებისაგან სასიკვდილო შხამით აღვსილი, რომელთაც მრავალი ცხოველი იყენებს შემაწუხებელთაგან თავის დასაცავად. არც სხეული აქვს დაფარული ბეწვის საფარველით, თუმცაღა სხვათა უფროსად დადგინებულს ბუნებისაგან საკუთარი საჭურველით შემოზღუდვა შეეფერებოდა, უსაფრთხოებისათვის სხვათა დახმარება რომ არ დასჭირვებოდა.

ახლა კი, ლომს, ტახს, ვეფხვს, ჯიქსა თუ სხვა მათ მსგავსთ, ბუნებისაგან საკმარისად აქვთ ძალა თავდასაცავად: ხარს – რქანი, კურდღელს – სიმალე, ქურციკს – ხლტომა და მახვილი მზერა, ერთ რომელიმე ცხოველს – სიდიდე, სხვას კიდევ – ხორთუმი, ფრინველებს – ფრთენი, ფუტკარს – ნესტარი, და ყველას უცილობლად აქვს ბუნებით თანდაყოლილი რაიმე თავდასაცავად. ყოველთა შორის მხოლოდ ადამიანია: ყველა ფეხმარდზე ნელი, მაღლებზე – დაბალი, იმათთან შედარებით, რომელნიც თანდაყოლილ საჭურველთაგან

არიან დაცულნი – ადვილად შესაპყრობი. და როგორღა უნდა თქვას ვინმემ, რომ ამგვარი არსება სხვათა ზედა მთავრობისთვისაა განწესებული? მაგრამ, ვფიქრობ, ძნელი არაა წარმოსაჩენად, რომ სწორედ ხილული ნაკლულევანებანი ჩვენი ბუნებისა არის მიზეზი ქვეშევრდომთა ყოლისა.

ადამიანს რომ ისეთი ძალა ჰქონოდა, სისწრაფით ცხენისათვის გაესწრო და ჩლიქებსა და ფლოქვებზე დამტკიცებულნი ფერხნი არ გაცვეთოდა, სხეულისათვის თანდაყოლილი რქები, ნესტარი და ბრჭყალები ეტარებინა, ჯერ ერთი, მხეცისმაგვარი და საზარელი იქნებოდა, და მეორეც, სხვათა ზედა მთავრობას არად ჩააგდებდა, რადგან ქვეშევრდომთაგან შემწეობა არ დასჭირდებოდა. ახლა კი, ცხოვრებისეული საჭიროებანი ყოველ ხელქვეითზეა გადანაწილებული, რათა მათზე უფროსობა ჩვენთვის აუცილებლობად იქცეს.

სხეულის სინელემ და მძიმედ მოძრაობამ ცხენის გამოყენება და მისი გახედნვა მოითხოვა, სხეულის სიშიშვლემ კი, მზრუნველობა ცხვრებზე, რომელნიც ყოველწლიურად მატყლის მოცემით ჩვენი ბუნების ნაკლულევანებას ავსებენ. ცხოვრებისათვის საჭირო მარაგის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა ამგვარი სამსახურის გაწევისათვის ტვირთვის გადამზიდავი ცხოველების უღელში შებმის მიზეზი გახდა. შეუძლებლობამ იმისა, რომ სხვა ცხოველთა მსგავსად ბალახით გვესაზრდოვა, ხარი დაგვიმორჩილა, რომელიც ცხოვრებას გვიმსუბუქებს.

რადგანაც საბრძოლველად სხვა ცხოველებთან, რომელნიც ვნებას კბილებით გვაყენებენ, საკბენად ჩვენც კბილები გვჭირდებოდა, ძაღლმა ამ საჭიროებისათვის სისწრაფესთან ერთად თავისი ყბა წარმოგვიდგინა და ადამიანისათვის თითქოსდა გაცოცხლებულ მახვილად იქცა. კაცმა წინ წამოწეულ რქებსა და ალესილ ბრჭყალებზე უფრო ძლიერი და ბასრი რამ მოიგონა – რკინა, რომელიც ყოველთვის ჩვენთან არაა, როგორც მხეცებთან რქები და ბრჭყალები, არამედ გვიწევს რა ბრძოლაში მოკავშირეობას, შემდეგ ისევ თავისთვის რჩება.

ნაცვლად ნიანგის რქოვანი კანისა, ადამიანი ზოგჯერ საჭურველს ტყავისაგან ამზადებს და დროებით მისით იმოსება. უკეთუ იგი არ არის, ხელოვნების წყალობით, მის სახეს რკინა იღებს, რომელიც გაუწევს რა ომში სამსახურს, მშვიდობის ჟამს მეომარს ტვირთისაგან განთავისუფლებულს ტოვებს.

სამსახურს გვიწევენ ცხოვრებაში ფრინველთა ფრთებიც, ასე რომ, გამომგონებლობის წყალობით სისწრაფეში არც ფრთოსნებს ჩამოვრჩით. მათგან ნაწილნი მოშინაურდნენ და მონადირეებს ეხმარებიან; ნაწილიც ჩვენს საჭიროებათათვის განზრახვით მივიტყუეთ; ხოლო ხელოვნებამ გერგილიანობით ისარნიც ფრთოსნებად აქცია, რომელნიც მშვილდის საშუალებით ჩვენს საჭიროებათათვის ფრთების სისწრაფეს გვანიჭებენ. რადგან სიარულისას ჩვენი მგრძნობიარე ტერფები ადვილად იცვითება, აუცილებელი გახდა შემწეობა ქვეშევრდომთაგან, მათგან გვაქვს ხომ მოხერხებული ხამლნი ფერხთათვის.

თავი VIII

რატომ არის აღნაგობა კაცისა აღმართული და, აგრეთვე შესახებ იმისა, რომ ხელები – მეტყველებისთვის არიან და აქვე რამდენადმე ფილოსოფიაც სულთა შორის სხვაობათა შესახებ

ტანი კაცისა აღმართულია, ზეცისკენ აზიდული და ზეამხედველი, რითაც მისი უფროსობა და მეფური ღირსებაა გამოცხადებული. ის, რომ არსთა შორის ამგვარი მხოლოდ ადამიანია, ხოლო სხვას ყველას ქვედადრეკილი სხეულები აქვთ, ღირსებათა სხვაობას მბრძანებლობის წინაშე ქედდადრეკილთა და ძალაუფლებით მათზე ამაღლებულთა შორის ნათლად წარმოაჩენს.

რამდენადაც ის, რაც დადრეკილია, უეჭველად საყრდენს ითხოვს, ყველა დანარჩენის სხეულთა წინა კიდურები ფეხებია; ხოლო რამდენადაც აღმართული ტანისათვის ერთი ნაბიჯიც საკმარისია და დგომისას ორ ფეხზეც მტკიცედაა დაყრდნობილი, კაცის აგებულებაში წინა კიდურები ხელებია.

გარდა ამისა, ხელები, ვითარცა თანაშემწენი, სიტყვის მოთხოვნილებასაც ემსახურება და უკეთუ ვინმე მსახურებას ხელებისა მეტყველი ბუნების თავისებურებას უწოდებს, არ შეცდება. ნუ გაგექცევა გონება საერთოსა და ყველასათვის ცნობილისაკენ, ანუ იმისკენ, რომ ხელების ბუნებრივი უნარის წყალობით სიტყვას ასოებით აღვნიშნავთ. უცხო არაა ხომ ჩვენთვის, ვისაც მეტყველება მოგვემადლა, ასოთა მოხაზულობით შენახვა ხმებისა, რომელთაც ბგერებით წარმოვთქვამთ და საუბრისას რამდენადმე ხელებითაც გამოვხატავთ. არამედ, მაქვს რა მხედველობაში სხვა რამ, ვამბობ, რომ ხელები სიტყვის წარმოთქმას შეეწევიან; მაგრამ ვიდრე ამას გამოვიძიებდეთ, უმჯობესი იქნება გამოძიება ზემოთქმული სიტყვისა, რადგან ლამის დაგვავიწყდა ის თანმიმდევრობა დაბადებულთა, რომლის მიხედვითაც ყველას დედამიწიდან მცენარეთა აღმოცენებამ დაასწრო, მას მოჰყვა დაბადება უტყვი ცხოველებისა, ხოლო შემდეგ – შექმნა კაცისა.

ამისგან მხოლოდ იმას კი არ ვსწავლობთ, რაც მაშინვე წარმოგვიდგება, ანუ იმას, რომ რამდენადაც დამბადებელმა ცხოველთათვის საჭიროდ ბალახი მიიჩნია, ხოლო კაცთათვის – ცხოველები, ამიტომაც ბალახისმძოვართა უწინარესად მათი საზრდელი შეიქმნა, ხოლო უწინარეს კაცისა, ისინი, რომელთაც კაცობრივი ცხოვრებისათვის სამსახური უნდა გაეწიათ, არამედ, ვფიქრობ, რომ მოსე ამ საქმეთა მიერ დაფარულ სწავლებას წარმოაჩენს და სულის შესახებ ფილოსოფიას შეფარვით გადმოსცემს, რაზეც გარეშე სწავლებაც[3] ოცნებობდა, მაგრამ ნათლად ვერ გაიაზრა. ჩვენ ხომ სიტყვა ამით იმას გვასწავლის, რომ სასიცოცხლო და სულიერი ძალები სამ სხვაობაში განიჭვრიტება. არსებობს მხოლოდ რაღაც მზრდელი და მასაზრდოებელი ძალა, მიმწოდებელი გასაზრდელისათვის იმისა, რაც მისი ზრდისთვისაა საჭირო; მას ბუნებრივი ეწოდება

[3] გარეშე სწავლებაში წარმართული ფილოსოფია იგულისხმება(მთგ.).

და მცენარეთა შორის იხილვება, რადგან რაღაც სასიცოცხლო ძალა, თუმცა მგრძნობელობას მოკლებული, მცენარეთა შორისაც შეინიშნება.

გარდა ამისა, არსებობს სხვა სახეც სიცოცხლისა, როცა ამას ზედ ერთვის უნარი გრძნობების მიხედვით თავისი თავის მართვისა და იგი უტყვ არსებათა ბუნებაშია. ისინი არა მხოლოდ იკვებებიან და იზრდებიან, არამედ გრძნობადი მოქმედება და აღქმაც აქვთ. სრულყოფილი ცხოვრება სხეულისა კი მეტყველ ანუ კაცობრივ ბუნებაში ჩანს: იგი იკვებება კიდეც, შეგრძნებებიც აქვს, სიტყვასთანაც ნაზიარებია და გონებითაც იმართება.

დაე, ჩვენს სიტყვაში ასეთი დაყოფა იქნას მიღებული: არსებულთაგან ერთნი გონიერნი არიან, ხოლო მეორენი – სხეულოვანნი. ამჟამად დაყოფა თავად გონიერთა შორის გვერდზე გადავდოთ, რადგან ჩვენი სიტყვა მას არ ეხება. სხეულოვანთაგან ზოგი საერთოდ მოკლებულია სიცოცხლეს, ზოგიც კიდევ სასიცოცხლო ენერგიასთანაა ნაზიარები. და კიდევ: ცოცხალ სხეულთაგან ერთნი გრძნობებით ცხოვრობენ, მეორენი მგრძნობელობას მოკლებულნი არიან; შემდეგ: შეგრძნებათა მქონენი თავის მხრივ მეტყველებად და უტყვებად იყოფიან. ამიტომაც ამბობს სჯულმდებელი, რომ შემდგომად უსულო ნივთთა, ვითარცა საძირკველი რაიმე სულიერ არსთა, პირველად ეს ბუნებრივი ცხოვრება წარმოიშვა, მცენარეთა აღმოცენებით განხორციელებული. ყოფიერებაში ამის შემდეგ შემოიყვანა ქმნილებანი, რომელნიც გრძნობებით იმართებიან.

რადგანაც ამ თანმიმდევრობის მიხედვით, იმათგან, რომელთაც ხორციელი ცხოვრება მიიღეს, მგრძნობელობის მქონეთ ცხოვრება, თვინიერ გონიერი ბუნებისა, თვითონაც შეუძლიათ, ხოლო მეტყველთ სხეულში ყოფნა სხვაგვარად, თუ არა შეზავებულად მგრძნობელობასთან, არ ძალუძთ, ამიტომაც დაიბადა სულ ბოლოს, შემდგომად მცენარეთა და ცხოველთა, კაცი. ამგვარად, ბუნება თანმიმდევრულად ერთგვარი გზით სისრულემდე აღიწია; ადამიანი – ეს მეტყველი ცხოველი ხომ სულიერების ყოველგვარ სახესთანაა ნაზიარები. თანახმად სულის ბუნებრივი სახისა, იგი საზრდოობს და ზრდის ძალასთან ერთად მგრძნობელობაც თანდაყოლილი აქვს. ხოლო საკუთარი ბუნების მიხედვით, მას ადგილი გონებით წარმოსადგენსა(უხილავსა) და ნივთიერ არსთა შორის უკავია და იმდენად უხეშია პირველთან მიმართებაში, რამდენადაც წმინდაა მეორესთან შედარებით. შემდეგ: იმასთან, რაც მგრძნობიარე ბუნებაში წმინდა და ნათელია, ხდება რამდენადმე შეთავსება გონიერი არსისა და შერევა, რათა კაცი ამ სამისაგან ყოფილიყო აგებული.

იგივე ვისწავლეთ ჩვენ მოციქულისაგან, რომელიც ეფესელთათვის გაგზავნილ ეპისტოლეში ევედრება მათ, ვიდრე მოსვლამდე უფლისა, სავსებით დაიცვან მადლი სხეულისა, სამშვინველისა და სულისა(Iთეს.V,23),[4] აღნიშნავს რა სხეულით იმ ნაწილს, რომელიც იკვებება და იზრდება, სამშვინველით –

[4] შეცდომა, რომელიც ამ ადგილას ტექსტშია დაშვებული(გრიგოლ ნოსელი ასახელებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს ეფესელთა მიმართ, ხოლო ციტატა მოყავს თესალონიკელთა მიმართ I ეპისტოლედან: V,23), შეიძლება არა თვით ავტორს, არამედ რომელიმე გადამწერს მოუვიდა(მთგ.).

გრძნობადს, ხოლო სულით – გონიერს. ასევე ასწავლის უფალიც სახარებაში მწიგნობარს, რომ ყველა მცნებაზე წინ სიყვარული ღმრთისა დააყენოს, აღსრულებული ყოვლითა გულითა, სულითა და გონებითა.

მეჩვენება, რომ აქ წმინდა წერილი ამავე სხვაობას განმარტავს, უწოდებს რა სხეულებრივ მდგომარეობას გულს, შუალედურს – სამშვინველს, ხოლო უმაღლეს ბუნებას, – მოაზროვნესა და შემოქმედებით ძალას, – გონებას. აქედანვე იცის მოციქულმაც სამი განსხვავებული ნებელობის შესახებ; მათგან ხორციელად სახელდებს მას, რომელიც მუცლისა და მისი ტკბობისათვის ზრუნავს, მშვინვიერად – რომელიც სათნოებასა და ბიწიერებას შორისაა, ხოლო სულიერად – რომელიც საღმრთო მოქალაქეობის სისრულეს ჭვრეტს. ამიტომაც, საყვედურობს რა მათ საშვებელთა და ტკბობათა სიყვარულის გამო, ეუბნება კორინთელებს, ხორციელნი ხართო და სრულყოფილ სწავლებებს ვერ იტევთო(Iკორ.3,3); სხვაგან კიდევ, როცა შუალედურ ბუნებას სრულთან ადარებს, ამბობს: „მშჯნვიერი კაცი არა შეიწყნარებს სულისა ღმრთისაჲსა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას... ხოლო სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავისგან განიკითხვის“(Iკორ.II,14,15). ამიტომ, რამდენადაც მშვინვიერი აღემატება ხორციელს, იმდენად სულიერი – მშვინვიერს.

ამგვარად, როცა წმინდა წერილი გვეუბნება, რომ სულიერთა შორის ყველაზე ბოლოს კაცი დაიბადა, ეს სხვას არაფერს მოასწავებს, თუ არა იმას, რომ სჯულისმდებელი ჩვენი სულის შესახებ სიბრძნისმეტყველებს და რიგის რამდენადმე უცილობელი მიმდევრულობით, სრულყოფილს ბოლოში ხედავს. ვინაიდან სიტყვიერება დანარჩენსაც მოიცავს, ხოლო გრძნობადს უეჭველად ნივთიერი სახე აქვს, იგი მხოლოდ ნივთიერში იხილვება. ამგვარად, ბუნება, ვითარცა საფეხურებზე, ცხოვრების განმასხვავებელ თვისებებს ვგულისხმობ, აღმასვლას უმდაბლესიდან სრულყოფილებამდე ბუნებრივი სახით აღასრულებს.

რამდენადაც ადამიანი მეტყველი ცხოველია, საჭირო იყო სხეულში მეტყველების შესაბამისი ორგანოს შემზადება, როგორც ჩვენ ამას მუსიკოსებთან ვხედავთ, რომელნიც ინსტრუმენტის სახეობის შესაბამის მუსიკას ქმნიან; ბარბითით[5] არ უსტვენენ და სალამურებით სიმების ჟღერადობას არ გამოსცემენ. მსგავსად ამისა, სიტყვის შესაფერისი ორგანოც უნდა აგებულიყო, რათა იგი, მეტყველების საჭიროებისდა მიხედვით, დანაწევრებული ხმებით ჩამოყალიბებული, სწორად გადმოცემულიყო. ამიტომაც მიეცა სხეულს ხელები. თუმცა, შესაძლებელია, მრავლად აღირიცხოს ცხოვრებისეული მოთხოვნილებანი, რომელთათვისაც ეს მარჯვე და ბევრი რამისთვის გამოსადეგი ორგანო – ხელები – გამოიყენება, ყოველგვარი ხელოვნებისა და ყოველგვარი საქმიანობისათვის, წარმატებული მსახური ბრძოლისა და მშვიდობის დროსაც; მაგრამ უწინარესად სხეულს ისინი ბუნებამ სიტყვისათვის შესძინა.

კაცი რომ ხელებს მოკლებული ყოფილიყო, ოთხფეხთა მსგავსად, სახის

[5] მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი(მთგ.).

ნაკვთები უეჭველად ჭამის მოთხოვნილების შესაბამისად ექნებოდა აგებული: სახე მოგრძო, ნესტოებთან წაწვრილებული, ტუჩები პირიდან წინწამოწეული, დაკორძებული, სქელი და მაგარი, როგორც ეს ბალახის ძოვისთვისაა საჭირო; კბილებს შორის იდებოდა ენა, სხვაგვარი ვიდრე ახლა გვაქვს, სქელი, უხეში და ხორკლებიანი, კბილებთან ერთად გადამმუშავებელი იმისა, რაც მათ შუა მოხვდებოდა, ან კიდევ, ნოტიო და კიდეებში რბილი, ვითარცა ძაღლებს და დანარჩენ ხორცისმჭამელებს აქვთ, მჭრელ კბილთა მწკრივებს შორის გამოყოფილი.

ამგვარად, უხელებო სხეული ვერ წარმოქმნიდა დანაწევრებულ ხმას, რადგან აგებულება პირისა ხმის გამოცემის საჭიროებისათვის შეუფერებელი ექნებოდა. და მაშინ ადამიანს ან უნდა ეღრიალა, ან ეკნავლა, ან ეყეფა, ან ეჭიხვინა, ან ებღავლა მსგავსად ხარებისა და ვირებისა, ან რაღაც სხვა, მხეცური ღმუილის ხმა გამოეცა. მაგრამ ახლა, როცა სხეულს ხელები აქვს, პირი სიტყვის მსახურებისათვისაა მოცლილი. ასე რომ, ხელები მეტყველი ბუნების საკუთრებაა და დამბადებელმა მათი შექმნა სიტყვის წარმოთქმის გასაადვილებლად მოიფიქრა.

თავი IX

იმის შესახებ, რომ ორგანული აგებულება კაცისა სიტყვის საჭიროებას შეესაბამება

რამდენადაც ჩვენს არსებას შემოქმედმა რამდენიმე ღმრთივმშვენიერი მადლი მიჰმადლა და თავის ხატში საკუთარ სიკეთეთა მსგავსება გამოსახა, სხვა სიკეთენი კაცობრივ ბუნებას გულუხვობისა გამო მიანიჭა; გონიერებასა და სიბრძნეზე უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ კი არ მიანიჭა, არამედ გაუზიარა, და ხატი თვისი საკუთარი ბუნების მშვენებით შემოსა. ხოლო რამდენადაც გონება წარმოსადგენი და უსხეულო სიმდიდრეა, ეს საჩუქარი გაუზიარებელი და შეურევნელი იქნებოდა, მისი მოძრაობა საზრიანობით რომ არ მჟღავნდებოდეს. ამისთვის კი იმგვარი ორგანული მოწყობილობა გახდა საჭირო, რომ გონებას, ვითარცა ხემს, დანაწევრებულ ხმებთან შეხებისას, ნებისმიერი ბგერის გამოცემით შინაგანი მოძრაობა განემარტა.

მსგავსად ვინმე დახელოვნებული მუსიკოსისა, რომელსაც სნეულებისა გამო საკუთარი ხმა აღარ აქვს, მაგრამ სურს რა გაცხადება თავისი ცოდნისა, სხვათა ხმებით სარგებლობს და თავის ოსტატობას სალამურის ან ლირის საშუალებით წარმოაჩენს, ასევე ყოველგვარი აზრის მომპოვნებელი კაცობრივი გონებაც, არ შეუძლია რა ჩვენება გონივრულ მისწრაფებათა, სხეულებრივი შეგრძნებებით აღმქმელი სულის მეშვეობით, ვითარცა დახელოვნებული მმართველი, სულიერ ორგანოებთან შეხებისას, მათგან გამომავალი ხმებით დაფარულ აზრებს საცნაურყოფს.

კაცობრივ ორგანოში ერთგვარად ერთმანეთთანაა შერეული მუსიკა სალ-

ამურისა და ლირისა, რომელნიც მწყობრ ხმებს თითქოსდა ერთდროულად გამოსცემენ. სუნთქვა ძარღვთაგან(ჰაერის შემცველ ჭურჭელთაგან) არტერიით ზემოთ ამოსული, რაჟამს ნება მეტყველისა ბგერის გამოსაცემად სახმო ორგანოს დაძაბავს და იგი შიგნიდან კვეთებებით, რომელნიც ამ სალამურის მსგავს გასასვლელს გარემოიცავენ, შეიძვრება, მის აპკისებურ გამონაშვერთა შორის დატრიალდება და რამდენადმე სალამურის ხმის მსგავს ხმას გამოსცემს. სასა სიღრმიდან აღმომხდარ ხმას ორი ერთნაირი გასასვლელით ნესტოებამდე მიდევნის და დაანაწევრებს რა მას ცხვირთან მდებარე ხრტილებით, ვითარცა რაღაც გამონაზნექებით, გააძლიერებს. ღაწვები, ენა და აგებულება ხორხისა, რომელიც იქვეა, სადაც ნიკაპი თავის ქვემოთ ჩაღრმავებას ქმნის და შემდეგ მკვეთრად იჭიმება, – ყოველივე ეს სხვადასხვაგვარად და მრავალი სახით წარმოადგენს სიმებზე მოძრაობას ხემისა, რომელიც ტონებს საჭიროებისამებრ დიდი სისწრაფით აწყობს. ხოლო ბაგეთა გახსნა და დახშობა იმავეს ქმნიან, რასაც თითები, რომელნიც სალამურის ნახვრეტებს ჰაერისათვის კეტავენ, ანუ ჰარმონიას მელოდიისა.

თავი X

იმის თაობაზე, რომ გონება გრძნობათა მიერ მოქმედებს

ამგვარად, რადგანაც გონება ჩვენში სიტყვას ამ ორგანული აღჭურვილობით ამუსიკებს, ჩვენ მეტყველებად დავიბადეთ; მაგრამ, ვფიქრობ, მადლი სიტყვისა არ გვექნებოდა, ჩვენს ბაგეებს რომ სხეულის მოთხოვნილებისათვის ჭამის მსახურების სიმძიმე და ჯაფა ჰქონოდათ დაწესებული. ახლა კი, ამ სამსახურის გაწევა თავისთავზე ხელებმა აიღეს, რითაც პირი მსახურებისათვის სიტყვისა თავისუფალი დატოვეს.

მოქმედება ამ ორგანოსი ორგვარია: ერთი – ხმის გამოცემა და მეორე – აღქმა გარეშე წარმოდგენებისა. ისინი ერთმანეთში არ აღირევიან, იმ საქმიანობაზე რჩებიან, რომელიც ბუნებისაგან დაეწესათ და მეზობელს არ აწუხებენ: არც სმენა მეტყველებს და არც მეტყველება ისმენს. რამდენადაც ერთი მათგანი განუწყვეტილივ რაღაცას გამოსცემს, ხოლო მეორე მუდმივად ისმენს, მაგრამ როგორც ამას სოლომონიც ამბობს(ეკლეს.I,8), მაინც ვერ აღივსება, მეჩვენება, რომ ჩვენში განსაკუთრებით დიდი გაკვირვების ღირსი სწორედ ესაა. როგორია სივრცე ამ შინაგანი სათავსისა, რომელშიც ყოველივე ჩაედინება, რაც კი სასმენელიდან იღვრება? ვინ არიან მემატიანენი მასში ჩადინებული სიტყვებისა? როგორია მიმღები საუნჯენი სასმენელიდან შესული წარმოდგენებისა(აზრებისა, ცნებებისა)? და მიუხედავად მათი სიმრავლისა და მრავალფეროვნებისა, რატომ არ ხდება ერთმანეთში აღრევა და ზედიზედ ჩალაგებულთა ცდომილება ადგილმდებარეობის თვალსაზრისით?

თანაბრად საკვირველია მოქმედება მხედველობისა, რადგან გონება ამ შემთხვევაშიც იპყრობს რა მის მიერ მათ, რაც სხეულის გარეთაა, ხილულთა

სახეებს, თავისკენ იზიდავს და მხედველობით აღქმულთა თვისებებს თავისთავში იწერს. მსგავსად რომელიმე ვრცელი ქალაქისა, რომელიც მგზავრებს(ერთდროულად მისულებს) სხვადასხვა შესასვლელით იღებს, რომელთაგან ყველა ერთ ადგილას კი არ იკრიბება, არამედ თითოეული საკუთარი ნების მიხედვით – ერთნი ბაზარში, მეორენი სახლებში, სხვანი კიდევ ტაძრებში, ქუჩებში, შუკებსა თუ თეატრებში განლაგდება, ვხედავ მე ჩვენში დაშენებულ ქალაქს გონებისა, რომელიც შეგრძნებათა სხვადასხვა შესასვლელისაგან აღივსება. შესულთაგან თითოეულს გონება გამოიძიებს, განსჯის და, მათთვის შესაფერის ადგილებში ცოდნისა, განალაგებს.

ქალაქში, რომელიც მაგალითად მოვიყვანეთ, ხშირად ისე ხდება, რომ ერთი მოდგმისანი და ნათესავნი შიგნით არა ერთი და იმავე კარიბჭით, არამედ, როგორც მოუხდებათ, ერთნი ერთით, ხოლო სხვანი სხვა შესასვლელით შედიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, გალავნის კედლებს შიგნით აღმოჩენილნი, არიან რა ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ერთად იკრიბებიან. და ხდება პირიქითაც: ერთმანეთისთვის უცხონი და უცნობნი ხშირად ქალაქის ერთი შესასვლელით სარგებლობენ, მაგრამ შესასვლელის საერთოობა ერთმანეთთან ვერ აკავშირებთ, რადგან შიგნით შესულები განიყოფიან და თავისიანებთან მიდიან.

მსგავს რამეს ვხედავ გონების ფართო სივრცეშიც: რამდენადაც ერთი და იგივე საგანი გრძნობათა მიხედვით მრავალ ნაწილად განიყოფა, გრძნობის სხვადასხვა ორგანოდან ერთი ცოდნა შეიკრიბება; და კვლავ: საპირისპირო აქაც ხდება: ერთი რომელიმე გრძნობით მრავალსა და სხვადასხვაგვარს ვსწავლობთ, რომელნიც ერთმანეთისაგან ბუნებით განსხვავდებიან. მაგალითად(უმჯობესია ხომ აზრი მაგალითით ცხადვყოთ), გამოვიძიოთ თვისებები გემოსი – რა არის ტკბილი შეგრძნებისათვის და რა საძაგელი მათთვის, ვინც მას იხილავს. გამოცდილებით აღმოჩნდა სიმწარე ნაღველისა და სასიამოვნო თვისება თაფლისა. მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, ერთსა და იმავე საქმეს ერთი ცოდნა მოაქვს, გონებაში მრავალი გზით დამკვიდრებული – გემოთი, ან ყნოსვით, ან სმენით, ხოლო ხშირად – შეხებითაც და მხედველობითაც, რადგან ვინმე თუ თაფლს ხედავს, ან მის სახელს ისმენს, ან გემოს უსინჯავს, ან მის სუნს ყნოსვით შეიცნობს, ან კიდევ შეხებით იგრძნობს, გრძნობის ორგანოთაგან თითოეულით ცოდნას ერთსა და იმავე საგანზე იძენს.

მაგრამ მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია ის, რასაც ერთი გრძნობით ვსწავლობთ: სმენით ყოველგვარ ხმებს ვიღებთ, მხედველობის ძალაც სხვადასხვა საგნის ჭვრეტისას განურჩევლად მოქმედებს, რადგან თეთრსა და შავს, და საერთოდ, ყოველივეს, რაც ფერებით ურთიერთსაწინააღმდეგო და განყოფილია, ერთნაირად წვდება. ასევეა გემოც, ყნოსვაცა და შეხებით შეცნობაც, თითოეული ცოდნას ყოველგვარ საგანზე საკუთარი აღქმის ძალით მოიპოვებს და წარმოადგენს.

თავი XI

იმის შესახებ, რომ ბუნება კაცისა უხილავია

და მაინც, რა არის თავისი ბუნებით გონება, რომელიც თავისთავს შეგრძნებათა ძალებში ანაწილებს და, შესაბამისად თითოეულისა, არსებათა შესახებ ცოდნას იძენს? რომ რაღაც სხვა არის, ვიდრე გრძნობები, ვფიქრობ, ამაზე გონებით შემოსილთაგან არავინ დაობს, რადგანაც გრძნობის იგივეობრივი რომ ყოფილიყო, რამდენადაც თავად მარტივია, ხოლო მარტივში მრავალფეროვნება არ იხილვება, უცილობელად ერთი იმათთაგანის საკუთრება იქნებოდა, რომელიც გრძნობით მოქმედებს.

ახლა კი, გრძნობათა ერთობლიობაში სხვა არის შეხება, სხვა ყნოსვა, ასევე არიან სხვებიც, – განყოფილნი და ერთმანეთთან შეურეველნი, მაშინ, როცა გონება თანაბრად არის თითოეულთან, ყოველი მათგანის შესაბამისად. ამიტომ მისთვის აუცილებლად გრძნობისაგან განსხვავებული ბუნება უნდა ვივარაუდოთ, რათა გონიერს რაღაც მრავალფეროვნება არ შეეზავოს. „ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ?“ – ამბობს მოციქული(რომ.XI,34), ხოლო მე დავუმატებ: და საკუთარი გონება ვინ შეიცნო?

თქვან მათ, რომელნიც საღმრთო ბუნების თავიანთი აღქმის საზღვრებს შიგნით მოქცევას ცდილობენ, თავიანთი თავი შეიმეცნეს? ბუნება საკუთარი გონებისა შეიცნეს? არის ის რაღაც მრავალნაწილიანი და რთული და ამიტომ შენაწევრებით(სირთულით) გონით საწვდომი? შედგენილში გონიერება როგორღა იქნება? თუ გონება რაღაც საშუალებაა სხვადასხვაგვართა შეზავებისა? მაგრამ იგი მარტივია და შეუდგენელი; მაშინ მრავლად დანაწევრებულ გრძნობათა შინა როგორღა განითესება? როგორაა მრავალფეროვნება ერთში და ერთი მრავალფეროვნებაში? მაგრამ ვიპოვე ახსნა აუხსნელთა, რაჟამს ღმრთის სიტყვამდე აღვიწიე: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“(დაბ.I,26).

ხატი ხომ ჭეშმარიტად ხატი მანამდეა, ვიდრე იმათგან, რაც პირმშო ხატს აქვს, არაფერი მოაკლდება, ხოლო უკეთუ პირველსახის მსგავსებისაგან რამე დაკარგა, ამ ნაწილით იგი უკვე ხატი აღარ იქნება. ამიტომ, რადგანაც ღმრთეებრივი ბუნების მჭვრეტელნი მის ერთ თვისებად არსის მიუწვდომელობას ვხედავთ, ყოვლად აუცილებელია, რომ ხატი პირველსახეს ამითაც ემსგავსებოდეს. ბუნება ხატისა რომ მისაწვდომი ყოფილიყო, ხოლო პირმშო ხატისა – მისაწვდომზე ამაღლებული, განჭვრეტილ თვისებათა წინააღმდეგობრიობა ხატის სიმცდარეს ამხელდა. მაგრამ რამდენადაც ბუნება ჩვენი გონებისა, რომელიც დამბადებელის ხატია, შეცნობას უსხლტება, ამიტომ მას აღმატებულთან ზუსტი მსგავსება აქვს და თავისი შეუცნობელობით მიუწვდომელ ბუნებას გამოსახავს.

თავი XII

გამოძიება იმისა, რომელ ასოში უნდა ვიგულისხმოთ წარმმართველი სულისა (გონებისა), აგრეთვე ბუნებისმეტყველება ცრემლებსა და სიცილზე, და რამდენადმე ბუნებრივი სწავლება მატერიის, ბუნებისა და გონების თანაგზიარობის შესახებ

დაე, დაცხრეს ყოველი საეგებისო ცუდმეტყველება მათი, რომელნიც გონების ძალას სხეულის რომელიმე ასოში ამწყვდევენ; მათგან ერთნი ფიქრობენ, რომ მისი სამფლობელო გულია, მეორენი კი ამბობენ, რომ გონება ტვინში მყოფობს და ამგვარ შეხედულებებს რაღაც ზერელე ვარაუდებით ამტკიცებენ.

მათ, რომელნიც სამფლობელოდ გულს ვარაუდობენ, მტკიცებულებად, თავიანთი აზრისა, მისი ადგილმდებარეობა მოაქვთ, რადგან, როგორც ჩანს, გულს მთელ სხეულში შუა ადგილი უჭირავს, რათა მოძრაობა ნებისა მთელ სხეულს შუა ადგილიდან დაუბრკოლებლად გაუნაწილდეს და იგი მოქმედებისთვის წარმართოს. თავიანთი სწავლების დასამოწმებლად ისინი ადამიანის მწუხარებასა და რისხვას იყენებენ, რადგან ცხადია, რომ ეს ვნებანი ამ ორგანოს თანალმობისთვის აღძრავენ.

ხოლო რომელნიც გონებას თავის ტვინს მიაკუთვნებენ, ამბობენ, რომ თავი მთელი სხეულისათვის ბუნების მიერ აგებული ციხე-სიმაგრეა და მასში, მსგავსად მეფისა, გრძნობის ორგანოებით ვითარცა მცველებით – მაცნეთა და აბჯროსანთა მიერ გარშემორტყმული – გონება მკვიდრობს. ამგვარი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ ის, რომ ვისაც ტვინის გარსი უზიანდება, გონებაც ერევა, ხოლო რაჟამს თავი სიმთვრალით მძიმდება, რიგიანი საქციელის უმეცარი ხდება. ამგვარ შეხედულებათა მხარდამჭერთაგან ყოველს, გონებაზე თავისი ვარაუდის სხვა, უფრო ბუნებრივი მიზეზებიც მოაქვს. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ, რამდენადაც ცეცხლიცა და გონებაც მარად მოძრავნი არიან, გონება ცეცხლს ენათესავება. რადგანაც საერთოდ აღიარებულია, რომ სითბო გულიდან მოედინება, ამიტომაც, ამბობს იგი, მოძრაობა სითბოსი გონების მოძრაობასთან განზავდება და ამტკიცებს, რომ გონიერი ბუნების საუნჯე გულია, რომელშიც სითბოა მოთავსებული. მეორე ამბობს, რონ საფუძველი და ძირი ყველა ორგანოსი ტვინის გარსია(ასე უწოდებენ ტვინის გარემომცველ აპკს) და საკუთარ სიტყვას იმით სარწმუნოყოფს, რომ ძალა გონებისა სხვაგან არსად არ არის დანერგული, თუ არა იმ ნაწილში, რომელთანაც შეერთებული ყური მასში შემავალ ხმებს შეიწყნარებს. ასევე მხედველობაც, თვალების ბუდის ფსკერთან შეზრდილი, გუგებში მოხვედრილ სახეთა ანაბეჭდებს შიგნით წარმოქმნის. ყნოსვის ორგანოებით აღქმულნი სურნელებათა რაგვარობანიც მასშივე განირჩევიან და გემოს შეგრძნებაც ტვინის გარსის გადაწყვეტილებით განიცდება, რადგან მისგან წამოზრდილ ნერვებს თავიანთი შეგრძნებანი კისრის მალების საწურისებური გასასვლელით იქ მდებარე კუნთებში მიაქვთ.

ხოლო მე ჭეშმარიტებად ვაღიარებ იმას, რომ გონიერი ძალა სულისა ტანჯვათა გაძლიერებისას ხშირად ირევა და რაღაც ხორციელი მდგომარეობისა გამო გონების ბუნებრივი მოქმედება სუსტდება; ასევე გულიც, აღძრული ფიცხი მისწრაფებებით, რამდენადმე წყაროა ხორციელი მხურვალებისა. გარდა ამისა, მოვისმინე რა ანატომიის თეორიების მცოდნეთაგან, რომ გრძნობის ორგანოებს საფუძვლად ტვინის გარსი უდევს, რომელიც ბუნებისმეტყველთა სწავლებით თავის ტვინს ფარავს და იქიდან წამოსული ორთქლით განიპოხება, მათ ნათქვამს არ უარვყოფ. მაგრამ აქედან არ გამომყავს ის მტკიცებულება, რომ თითქოს უსხეულო ბუნება რაღაც შემოსაზღვრული ადგილით იყოს გარეშემოწერილი.

ჩვენ ხომ შევიცანით, რომ გონების არევა არა მხოლოდ სიმთვრალით თავის დამძიმებისაგან ხდება, არამედ აზროვნება პლევრის დასნეულების შედეგადაც უძლურდება, რომელნიც ნეკნებს შიგნიდან ეკვრიან. ასე განსაზღვრავენ მედიცინის მცოდნენი ამ სნეულებას და მას, რადგანაც ამ აპკების სახელი შუასაძგიდეებია(φρένες), გონებრივ აშლილობას(φρενῖτις-ს) უწოდებენ. წუხილის შეგრძნებას შეცდომით გულში მოიაზრებენ, მაგრამ სინამდვილეში მწვავე ჩხვლეტებს ადგილი არა გულში, არამედ კუჭის შესასვლელში აქვთ და ტკივილს, გამოუცდელობისა გამო, გულს მიაკუთვნებენ. ამას ამბობენ ისინი, რომელთაც სნეულებანი ზუსტად შეისწავლეს, სახელდობრ, რომ ავადმყოფური მდგომარეობისას მთელ სხეულში ბუნებრივად ხდება შევიწროვება სადინარებისა და კუნთებისა და ყოველივე, რისი ამოსუნთქვაც დაბრკოლებულია, მუცლის ღრუს სიღრმეში გროვდება.

ამიტომაც, როცა შინაგანი სასუნთქი ორგანოები გარემომცველთაგან შეკუმშულნი არიან, ხშირად ჩასუნთქვა ძალდატანებით ხდება, რადგან შევიწროვებულს თვითონ ბუნება ასწორებს, რათა შეკუმშული [ნაწილები სხეულისა] გაშალოს. ამგვარ მძიმე სუნთქვას(ქოშინს), სახელვდებთ რა მას კვნესად და ოხვრად, ტანჯვის სიმპტომად მივიჩნევთ. ასევე ის შევიწროვებაც, რომელსაც, როგორც გვგონია, გული განიცდის, სინამდვილეში არა გულის, არამედ კუჭის შესასვლელის უსიამოვნო მტანჯველი განცდაა და ისიც იმავე მიზეზით, ანუ სადინართა შეკუმშვისაგან ხდება, როცა ნაღველის ჭურჭლიდან, მისი შეკუმშვის გამო, მწარე და მავნებელი სითხე კუჭის შესასვლელში იღვრება. ამას ამტკიცებს ის, რომ მწუხარენი ფერმკრთალნი არიან და ყვითლდებიან ნაღველის ჭარბი დაგროვების გამო, რომელიც თავის სითხეს ძარღვებში განთესს. კიდევ უფრო ამტკიცებს ჩემს სიტყვებს ის განცდა, რომელსაც საპირისპირო მიზეზი იწვევს, სიხარულსა და სიცილზე ვამბობ, რადგან ის, ვინც რაღაც სასიამოვნოს ისმენს, ტკბობისაგან სხეულის სადინარები რამდენადმე ეხსნება და უფართოვდება.

როგორც იქ, ამ შემთხვევაშიც აქაც სადინართა წვრილი და უჩინარი სასულენი იკეტებიან, შინაგან ნაწლავთა აგებულებას ავიწროვებენ და თავისა და

ტვინის გარსისაკენ ნოტიო ორთქლს აღუტევებენ. ტვინის ფოსოებში დიდი ოდენობით შესული ორთქლი, სადინარებით, რომლებიც ტვინის საფუძველთან მდებარეობენ, თვალებისაკენ იდევნება, საიდანაც წარბების შეჭმუხვნის შედეგად ტენი წვეთებად გადმოდინდება(ეს წვეთები ცრემლებად იწოდება); ასევე წარმოიდგინე, რომ საპირისპირო განწყობისაგან სადინარები ჩვეულებრივზე მეტად ფართოვდება და გარკვეული რაოდენობის ჰაერს სიღრმისკენ შეიტაცებს, საიდანაც იგი, ბუნებრივად, გასასვლელით, რომელიც პირისკენ მიდის, კვლავ გამოიდევნება.

ამ ჰაერს ერთობლივად მთელი შიგნეულობა, ყველაზე მეტად კი ღვიძლი, როგორც ამბობენ, მძაფრი და დუღილისებური მოძრაობით დევნის; ამიტომ ბუნება, ჰაერს რომ დაუბრკოლებელი გასასვლელი მოუწყოს, ამოსუნთქვისას პირს ღაწვთა იქით-აქეთ გაწევით, აფართოებს. სახელი იმისა, რაც ამ დროს ხდება, სიცილია. ამიტომ გონების(სულის) სამეფო არც ღვიძლია და არც გულისწყრომისას გულის არეში სისხლის დუღილმა უნდა გვაფიქრებინოს, რომ გონების ადგილ-სამყოფელი გულშია. არამედ ყოველივე ეს, რაც ითქვა, სხეულის აგებულების რაგვარობას უნდა განეკუთვნოს.

გონების შესახებ უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი შეზავების გამოუთქმელი კანონით სხეულის ყველა ნაწილთან თანაბრადაა შეზავებული. უკეთუ ზოგიერთები საწინააღმდეგოდ წმინდა წერილს მოიყვანენ, რომელიც ამოწმებს, რომ გონება გულშია, სიტყვას გამოუძიებლად მაინც არ შევიწყნარებთ, რადგან მომხსენებელმა გულისა თირკმელნიც მოიხსენია, როცა თქვა: „რომელი განიკითხავ გულსა და თირკუმელთა, ღმერთო“(ფს.7,9) და ამგვარად გვაჩვენა, რომ გონიერება ან ორივეში, ან არცერთში არაა ჩაკეტილი.

შევიცანი რა, რომ გონებრივი ენერგიები სუსტდება, ან სრულიად უმოქმედო ხდება სხეულის მდგომარეობის მიხედვით, არ მიმაჩნია ეს საკმარის ნიშნად იმისა, რომ ძალა გონებისა ერთი რომელიღაცა ადგილით შემოისაზღვროს ისე, რომ [სხეულის] ნაწილებში ანთების გაჩენისას თავისი სივრცე მოაკლდეს. რადგან ის შეხედულება, რომ უკეთუ ჭურჭელი რაღაც შიგთავსითაა დაკავებული, სხვა რამეს მასში ადგილის პოვნა არ შეუძლია, ხორციელია. გონიერ ბუნებას ხომ არც სხეულის ცარიელ ადგილთა დაკავება უყვარს და არც ხორციდან სიჭარბის გამო განიდევნება. არამედ, რამდენადაც მთელი სხეული აგებულია მსგავსად მუსიკალური ინსტრუმენტისა, ამდენად, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რომ ხელოვანი მუსიკოსები ინსტრუმენტთა უვარგისობის გამო, რომელნიც მათ ხელოვნებას ვერ იწყნარებენ, თავიანთი ოსტატობის წარმოსაჩენად უძლურნი არიან(დრო-ჟამით დაზიანებული, დაცემისას გატეხილი, ან ჟანგისა და ობისაგან უვარგისქმნილი სალამურიც ხომ უხმოდ და უმოქმედოდ რჩება, რაგინდ საუკეთესოდ აღიარებულმა დამკვრელმა არ შთაბეროს), ასევე გონებაც, მსჭვალავს რა მთელ ორგანიზმს და შესაბამისად გონიერი ძალებისა, მის ყოველ ნაწილს ბუნებრივად ეზიარება, მათგან იმათში, რომელნიც

ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჩვეულებისამებრ მოქმედებს, ხოლო იმათში, რომელნიც დაუძლურებულნი არიან და მის დახელოვნებულ მოძრაობას ვერ იწყნარებენ, უქმად და უმოქმედოდ რჩება. გონება ხომ ბუნებრივად შეესაკუთრება მას, რომელიც ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო იმისგან, რომელიც ამგვარი მდგომარეობისაგან გამოსულია, უცხოვდება.

გონებითი ჭვრეტა ამ ნაწილში უფრო ბუნებრივად მეჩვენება, რადგან მის მიერ უფრო მაღალი მოძღვრება შეიცნობა. რადგანაც ყოველთა შორის უმშვენიერესი და უაღმატებულესი სიკეთე თავად ღმრთეებრიობაა, რომლისკენაც ყოველივე მიისწრაფვის, ვისაც კი მშვენიერება სწადია. ამიტომაც ვამბობთ, რომ უმშვენიერესის ხატად შექმნილი გონებაც, რამდენადაც შეუძლია, როცა მსგავსებას პირველსახისას ეზიარება, თვითონაც მშვენიერსა შინა მყოფობს, ხოლო უკეთუ გარეშე მსგავსებისა დარჩა, მშვენიერებისაგან, რომელშიც მყოფობდა, განიძარცვება.

რადგანაც, როგორც ვთქვით, გონება, ვითარცა სარკე, რომელიც იმის თვისებებს ასახავს, რაც მასში ჩანს, პირველსახის სილამაზესთან მსგავსებითაა შემკული, ანალოგიურად ვასკვნით, რომ გონების მიერ მართული და მასთან დაკავშირებული ბუნება თვითონაც მისი სილამაზით იმკობა და ერთგვარად სარკე სარკისა ხდება. იგი იპყრობს და ინარჩუნებს ნივთიერს ჰიპოსტასისა(გვამისა), რომელსა შინა ბუნება განიჭვრიტება, ამიტომ ვიდრე ერთი მეორეს ფლობს, ჭეშმარიტ სილამაზეს ყოველივე თანაზომიერად ეზიარება და მომდევნო უმაღლესისაგან განმშვენდება. ხოლო უკეთუ ამ კეთილი შეერთების გაწყვეტა მოხდა, ან კიდევ, პირიქით, უმაღლესი უმდაბლესის მომდევნოდ იქცა, მაშინ ნივთიერება ბუნებისაგან განმხოლოებული, თავის უსახურობას თვითონვე ცხადყოფს(ნივთიერება(მატერია) თავისთავად ხომ უსახურია და განუმზადებელი), და მისი უსახურობით თანაგანიხრწნება მშვენიერებაც ბუნებისა, რომელიც გონებით იმკობა. ამგვარად ხდება გადაცემა ბუნების მიერ ნივთიერების ხრწნილებისა თავად გონებისადმი, ისე, რომ ქმნილების თვისებებში ხატი ღმრთისა უკვე აღარ იხილვება.

როცა გონება, მსგავსად სარკისა, რომლშიც საგნები ზურგიდანაა არეკლილი, კეთილთა სახეს ქმნის და წარმოჩენას კეთილის ბრწყინვალებისა განიშორებს, თავისთავში მატერიის უსახურობას ასახავს. ამ გზით ხდება დაბადება ბოროტისა, მშვენიერების მოკლებით წარმოდგენილი. მშვენიერია ყოველივე, რაც პირველი სიკეთის მონათესავეა, ხოლო ის, რაც მას არ ემსგავსება, საერთოდ არაა წილნაყარი მშვენიერებასთან. უკეთუ, განხილულის მიხედვით, ჭეშმარიტი სიკეთე ერთია და გონებას, იმის გამო, რომ ხატად მშვენიერისა შეიქმნა, თვითონაც შეუძლია მშვენიერი იყოს, ხოლო ბუნება, რომელსაც გონება შეიცავს, ხატია ხატისა, ამით მტკიცდება, რომ ჩვენში მატერიალური გამართულია და დამორჩილებული, როცა ბუნებისაგან იმართება, ხოლო რაჟამს მძლეველსა და მპყრობელს შორდება და მშვენიერთან ერთობა ირღვევა, ხელახლა იშლება

და ეცემა. ამგვარი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ბუნება საწინააღმდეგოსაკენ მიიქცევა და მისი მისწრაფება არა მშვენიერისაკენ, არამედ იმისკენაა მიმართული, რაც გამშვენებას თვითონვე საჭიროებს. უცილობელია ხომ, რომ მატერიის სილატაკის გამო, რაც მას საკუთარი ფორმით ემსგავსება, თვითონაც სიმახინჯედ და უმსგავსოებად გარდაიქმნება. მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ერთ-ერთი საგანი ჩვენი განხილვისა, გარკვეულწილად თანმიმდევრულად გამოვიძიეთ, რადგან უნდა გამოგვეკვლია, გონიერი ძალა ჩვენს ერთ რომელიმე ნაწილშია დამკვიდრებული, თუ ყოველს თანაბრად სწვდება.

ისინი, რომელნიც გონებას ადგილით შემოსაზღვრავენ, ამ თავიანთ ვარაუდს იმით ამტკიცებენ, რომ გონება მათი, რომელთაც ტვინის აპკი არაბუნებრივ მდგომარეობაში აქვთ, კეთილი გზით ვერ წარიმართება. ჩვენმა სიტყვამ კი აჩვენა, რომ კაცობრივი აგებულების ყოველ ნაწილში, რომლითაც თითოეული მოქმედებს, ძალა სულისა უმოქმედო რჩება, თუკი ეს ნაწილი არაბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება.

აქედან თანმიმდევრულად გამომდინარეობს ჩვენს სიტყვაში შემოთავაზებული თეორია, რომლისგანაც ვიგებთ, რომ კაცობრივ აგებულებაში გონება ღმრთის მიერ იმართება, გონებისგან კი – მატერიალური სიცოცხლე, როცა იგი ბუნებრივ მდგომარეობაშია, ხოლო უკეთუ ბუნებისაგან მიდრკება, გონების ძალისთვისაც უცხოვდება. მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ იმას, საიდანაც დავიწყეთ, კერძოდ იმას, რომ მასში, რაც, რაღაც სნეულების გამო, ბუნებრივი მდგომარეობიდან არ მიდრეკილა, გონება თავისი ძალით მოქმედებს და მტკიცდება, ხოლო მასში, რომელიც მის მოქმედებას(ენერგიას) ვერ იტევს, კვლავ უძლურდება. ამ სწავლების რწმუნება სხვაგვარადაც შეიძლება და უკეთუ მათთვის, ვინც სიტყვის მოსმენით უკვე დაშვრა, მძიმე არ იქნება, რამდენადაც ძალგვიძს, მოკლედ მასაც განვიხილავთ.

თავი XIII

ძილის, მთქნარებისა და სიზმრების მიზეზთა შესახებ

სხეულთა ეს ნივთიერი და წარმავალი ცხოვრება წინ მუდამ მოძრაობით წარიმართება და არსებობის ძალაც იმაში აქვს, რომ მოძრაობას არასოდეს აჩერებს. ვითარცა კალაპოტი მდინარისა, რომელიც თავისი მიმართულებით მიედინება, თუმცაღა ყოველთვის სავსე ჩანს, მაგრამ მასში ერთი და იგივე წყალი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას არ იხილვება, არამედ ერთი უკვე ჩავლილია, ხოლო მეორე ახლა მოდის, ასევე იცვლება მოძრაობისას და დინებისას დაპირისპირებულთა განუწყვეტელი მონაცვლეობით ნივთიერებაც აქაური ცხოვრებისა.

ამგვარად, არასოდეს შეუძლია რა დადგეს ცვლილებისაგან, იგი შესაძლებლობას მუდმივად სიმშვიდეში ყოფნისა მოძრაობაზე ცვლის. უკეთუ ოდესმე მოძრავი მოძრაობას შეწყვეტს, მისი არსებობაც აუცილებლად შეწყდება. მაგალითად, სიცარიელემ სავსება შეცვალა, მაგრამ სავსება ისევ მოდის შეს-

აცვლელად სიცარიელისა; ძილმა დაძაბულობა სიფხიზლისა შეასუსტა, მაგრამ სიფხიზლე იმას, რაც მოეშვა, ისევ ძაბავს. მუდმივად ერთმანეთთან არცერთი მათგანი არ თანამყოფობს, არამედ ერთის გამოჩენისას მეორე მიდის და მას ადგილს უთმობს. ამ მონაცვლეობათა შედეგად ბუნება თავისთავს განაახლებს, რადგან არის რა ყოველთვის თანამონაწილე დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთისა, ერთიდან მეორეში გადადის. ცოცხალი არსება ენერგიით მუდმივად დაძაბული რომ იყოს, დაძაბულ ნაწილთა განხეთქა და დაყოფა მოხდებოდა, ხოლო მუდმივი უძრაობა სხეულისა მისი შედგენილობის დაცემასა და დაშლას გამოიწვევდა. ამიტომ სწორედ ორივე მდგომარეობაში თავის დროზე და ზომიერად ყოფნა აძლევს ბუნებას ძალას სიმტკიცისათვის, განუწყვეტელი გადასვლით საპირისპიროდან საპირისპიროში თითოეული მეორისაგან ისვენებს.

ამგვარად, სიფხიზლისას დაძაბული სხეული ძილის მეშვეობით დაძაბულობისაგან მოეშვება და შეგრძნების ძალებს დროებით ასვენებს მოქმედებათაგან, მსგავსად ცხენებისა, რომელთაც შეჯიბრის შემდეგ ეტლებიდან გამოხსნიან. სხეულის აგებულებისათვის აუცილებელია ჟამიერი დასვენება, რათა საზრდელი სადინარებით, მთელ სხეულში დაუბრკოლებლად მიედინებოდეს ყოველგვარი დაძაბულობისაგან ხელის შეუშლელად. რადგან, ვითარცა სიღრმიდან ნოტიო მიწისა, რაჟამს მას მზის თბილი სხივები გაანათებს, არმურივით ორთქლი აღმოდინდება, ასევე ხდება ჩვენს მიწაზეც[6] – საზრდელი შიგნით ბუნებრივი მხურვალებით დუღდება. ჰაერის მსგავსი ორთქლი, რომელიც ბუნებრივად მაღლა მიისწრაფვის, კიდევ უფრო ზევით აღიწევა და თავის არეში გროვდება ვითარცა კვამლი, რომელიც კედლის ნაპრალებიდან გასვლას ცდილობს; შემდეგ იგი იქიდან შეგრძნებათა სადინარებით [მთელ სხეულში] განიყოფება, რის გამოც შეგრძნება, აძლევს რა ამ ორთქლს გასასვლელს, უცილობლად უმოქმედო ხდება, მზერა იზღუდება წამწამებით, მსგავსად რაღაც ტყვიის მოწყობილობისა, იმდენად მძიმეა ისინი, რაჟამს თვალებზე ეშვება.

ამავე ორთქლით სუსტდება, აგრეთვე, სმენაც, რადგან იგი, ვითარცა კარი, ბუნებრივ მოქმედებათაგან მოსვენებულ სმენის ორგანოებს კეტავს. ამგვარი ვნება არის ძილი, რომელიც სხეულში გრძნობას უმოძრაოს და ყოველგვარ ბუნებრივ მოძრაობას უმოქმედოს ხდის, რათა გადაცემა საკვებისა, რომელიც ორთქლის სახით თითოეული სადინარით მიედინება, მარჯვედ აღესრულოს.

ამავე მიზეზით, უკეთუ გრძნობის ორგანოები შინაგანი აორთქლების გამო ვიწროვდება, და ძილსაც რაღაც მოთხოვნილება აბრკოლებს, ორთქლით ავსებული ძარღვები თავისთავად ბუნებრივად იჭიმება, და დაჭიმულობისა გამო ორთქლისგან გასქელებული ორგანო წვრილდება. რამდენადმე მსგავსად იქცევიან ისინი, რომელნიც ტანსაცმელთაგან წყლის გამოსაწურად მათ ძლიერად გრეხენ. რამდენადაც ხორხის არეში ორგანოებს მრგვალი ფორმა აქვთ და მათ შორის უმეტესობა ძარღვისებურია, რაჟამს მათგან სქელი ორთქლის განდევნა

[6] გულისხმობს სხეულს, რომელიც მიწისაგან შეიქმნა და მიწადვე მიიქცევა(მთგ.).

ხდება საჭირო(ხოლო მრგვალი ორგანოს სწორად დაჭიმვა შეუძლებელია, თუ არა გასწვრივი დაჭიმვით მისი სფეროსებური ფორმისა), ამიტომ მთქნარებისას ფერხდება რა ჰაერი(რადგანაც ამ დროს სასა ენისებური დაბოლოებით ენის უკანა ჩაღრმავებას ქმნის), ხოლო შიგნით ყოველივე სფეროსებურად იჭიმება – ამ ორგანოებით შემწყვდეული ეს სქელი ბურუსისებური ორთქლი ჰაერთან ერთად ამოისუნთქება.

ცნობილია, რომ მსგავსი რამ ხშირად ხდება ძილის შემდეგაც, როცა რაღაც რაოდენობა ამ ორთქლისა შემწყვდეული რჩება იმ ადგლებში, რომელთაც გამოსავლელი და ამოსასუნთქი არა აქვთ. ამრიგად, ამით კაცობრივი გონება ნათლად წარმოაჩენს, რომ ისე იქცევა, როგორც ეს ბუნებას შეეფერება; როცა იგი მოწესრიგებულია(გამართული) და ფხიზლობს, თვითონაც მოქმედებს და მოძრაობს, ხოლო როცა ძილისაგან მოშვებულია, თუკი ვინმე სიზმრისეულ ოცნებებს გონების მოძრაობად არ მიიღებს, უძრავად რჩება. ჩვენ კი ვამბობთ, რომ გონებას მხოლოდ გონივრული და მოწესრიგებული მოქმედება უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო ძილსა შინა ზმანებანი, ვფიქრობთ, გონების მოქმედების რაღაც უაზრო აჩრდილებად სულის უგუნური მხარის მიერ შემთხვევით იქმნება, რადგან, რაჟამს სული ძილის წყალობით გრძნობათაგან თავისუფლდება, გონების მოქმედებათაგანაც უცილობლად შორს დგას; ადამიანთან გონების შეზავება ხომ მათ მიერ ხდება და როგორც კი შეგრძნებანი მოქმედებას წყვეტენ, უცილობლად აღარ მოქმედებს აღარც გონება. ნიშანი ამისა არის ის, რომ მეოცნებეს ძილის დროს ხშირად უადგილო და შეუძლებელი რამ წარმოუდგება, რაც არ მოხდებოდა, სული ამ დროსაც რომ გონებითა და აზროვნებით ყოფილიყო მართული.

ვფიქრობ, ძილში სულის უკეთესი ძალები ისვენებენ(გონებითსა და გრძნობით ენერგიებს ვგულისხმობ) და მისი მხოლოდ ის ნაწილი მოქმედებს, რომლითაც საზრდოობს. მასში სულის იმ ნაწილის მიერ, რომელსაც მეხსიერების უნარი აქვს, ანარეკლნი იმისა, რაც ცხადში მოხდა და გამოძახილნი გრძნობისა და გონების ნამოქმედარისა აღიბეჭდება; ხოლო ესენი, თუკი მათგან სულის ზემოხსენებულ მეხსიერების უნარის მქონე სახესთან რაღაც გამოძახილები დარჩა, როგორც მოხვდებათ, ისე აისახებიან.

ამგვარად, ამათზე ოცნებობს კაცი ხილულთან სასაუბროდ არა რაღაც ურღვევი კავშირით მიყვანილი, არამედ რაღაც აღრეულ და არათანმიმდევრულ ცრუ წარმოდგენათაგან ცდუნებული. მაგრამ, რადგანაც სხეულებრივ საქმეთა შინა, როცა ყოველი ასო მასში ჩადებული საკუთარი ბუნებრივი ძალის მიხედვით მოქმედებს, მოძრაობას რამდენადმე მოსვენებული ნაწილებიც ეზიარებიან; მსგავსად ამისა, სულშიც, უკეთუ მისი ერთი ნაწილი ისვენებს, ხოლო მეორე მოძრაობს, მასში ნაწილთან ერთად მთელიც მონაწილეობს; ბუნებითი ერთობის დარღვევა ხომ მაშინაც შეუძლებელია, რაჟამს ბუნებით ძალთაგან რომელიმე თავისი ქმედებით [სხვებზე] მძლავრობს.

როგორც ფხიზელთა და გულმოდგინეთა ზედა გონება ბატონობს, ხოლო გრძნობა მას ემსახურება, მაგრამ მათ არც სხეულის მიერ მართული ძალა ტოვებს(რადგან გონება მოთხოვნილებისამებრ აწოდებს საზრდელს, გრძნობა მიწოდებულს იღებს, სხეულის მასაზრდოვებელი ძალა კი მას, რაც მიეცა, ითვისებს), ასევე ძილსა შინა რაღაცნაირად ამ ძალთა მბრძანებლობის ადგილგადანაცვლება ხდება და უტყვის განმგებლობისას მოქმედება სხვებისა ჩერდება, თუმცა სრულიად მაინც არ ქრება.

მაშინაც კი, როცა მასაზრდოებელი ძალა ძილის დროს საჭმლის მონელებისთვისაა აღძრული და თავისი თავის გამო მთელ ბუნებას საქმით აკავებს, მას სრულიად არც შეგრძნების ძალა შორდება(რადგან გაყოფა იმისა, რაც ერთხელ ბუნებით შეერთდა, შეუძლებელია), თუმცა არც ძალისა თვისისა განბრწყინვება შეუძლია, რადგან ძილის დროს გრძნობათა ორგანოების უმოქმედობითაა შეკრული. რამდენადაც ამავე კანონით გონებაც სულის მგრძნობიარე ნაწილთან არის შეერთებული, უნდა ითქვას, რომ ამ ნაწილის მოძრაობისას ისიც მასთან ერთად მოძრაობს, ხოლო მშვიდად ყოფნისას მასთან ერთად თვითონაც ჩერდება. ჩვეულებისამებრ რაღაც მსგავსი ემართება ცეცხლს, რაჟამს იგი ყოველი მხრიდან ნამჯით ისეა დაფარული, რომ მონაბერით ვერსაიდან აღიგზნება; ვერც იმას ნთქავს, რაც მასთან ახლოსაა და არც სრულიად ქრება, არამედ ნამჯიდან ჰაერში ნაცვლად ალისა რაღაც ორთქლი ამოდის, მაგრამ თუ საიდანმე დაუბერავს, კვამლი ალად გადაიქცევა.

მსგავსად ამისა, გონებასაც, რომელიც ძილის დროს შეგრძნებათა უმოქმედობითაა დაფარული, მათ გამო არც ანთება შეუძლია და არც სრულიად ქრება; არამედ მოძრაობს რა კვამლის სახით, ნაწილობრივ მოქმედებს, ხოლო ნაწილობრივ ამის ძალა არა აქვს. ვითარცა ვინმე მუსიკოსი, რომელიც ლირის მოშვებულ სიმებზე ხემის დარტყმით შეუწყობელ მელოდიას გამოსცემს, რადგანაც დაუჭიმავ სიმებს ხმის გამოღება არ შეუძლია და თუმცა ხელი ხელოვანისა ხშირად და ოსტატურად მოძრაობს, მოჰყავს რა ხემით სხვადასხვა მდგომარეობაში შესაფერისად ტონალობისა, მაგრამ ჟღერადობა არ არის და სიმების მოძრაობით მხოლოდ რაღაც ყრუ და შეუწყობელი ზუზუნი გამოიცემა, ასევე მოშვებულია ძილისაგან აგებულება გრძნობათა ორგანოებისა და ხელოვანი[7] ან საერთოდ ისვენებს და მაშინ რაღაც სისავსისა და სიმძიმისაგან სრულ მოშვებულობას განიცდის, ან კიდევ უძლურად და სუსტად მოქმედებს, რადგან გრძნობის ორგანო სიზუსტის ხელოვნებას არ იწყნარებს. ამიტომ მეხსიერება ირევა, ხოლო ერთგვარი საფარველის ქვეშ მოქცეული მთვლემარე წინასწარხედვა იმათ აჩრდილებს წარმოიდგენს, რომლებზეც ცხადში ზრუნავდა და ხშირად აუწყებს რამეს მოსახდენთაგან, რადგანაც სიწმინდეს ბუნებისა აქვს რაღაც მეტი, ვიდრე სხეულებრივი სიზრქეა, ამიტომ არსებულთაგან რაიმეს ხილვა შეუძლია. თუმცა არა პირდაპირი და ცხადი მეტყველებით, ისე,

[7] წმ. გრიგოლ ნოსელი აქ ხელოვანში გონებას გულისხმობს(მთგ.).

რომ მომავლის შესახებ მისი სწავლება ნათელი და თვალსაჩინო იყოს, მაგრამ მომავალზე ირიბად და ორაზროვნად მაინც ამოწმებს, რასაც ისინი, ვინც ამ საგანთა შესახებ მსჯელობენ, იგავს უწოდებენ.

მსგავსად ამისა, ღვინის მწდე ფარაონის თასში მტევანს წურავდა; ასევე მეპურე წარმოიდგენდა, რომ კალათები დაჰქონდა(დაბ.40,1). რა საქმიანობასაც თითოეული მათგანი ცხადში ეწეოდა, სიზმარშიც თავს იმავე საქმით დაკავებულად ხედავდა. მათი ჩვეულებრივი საქმიანობის სულის წინასწარმცნობელობასა შინა აღბეჭდილი სახეები ამგვარი წინასწარმეტყველების საშუალებით გონებას შემთხვევას აძლევდა, წინასწარ გამოეცნო, რაც დროთა განმავლობაში მოხდებოდა.

უკეთუ დანიელი, იოსები და მსგავსნი მათნი, რადგან მათ გრძნობას არაფერი ამღვრევდა, საღმრთოჲთა ძალითა მომავლის საქმეთა წინასწარ შეცნობაში თავიდანვე განისწავლნენ, – ამას წინამდებარე გამოძიებასთან საერთო არაფერი აქვს. ნურავინ ჩათვლის, რომ ეს სიზმართა ძალით მოხდა, რადგან სხვაგვარად, იმსჯელებს რა თანმიმდევრულად, ღმრთის გამოცხადებას ცხადშიც არა ჩვენებად, არამედ თავისთავად მომხდარ ბუნების ჩვეულებრივ საქმედ მიიჩნევს. ამიტომ, ისევე როგორც ყოველთა კაცთაგან, ცოტანი არიან ისეთნი, ვინც ღირსი იქმნა ღმერთთან ცხადი საუბრისა, ასევე, თუმცა ბუნების მიხედვით ძილში ოცნება ყველასთვის საერთოა და ყველას თანაბრად ემართება, მათგან სიზმარში ღმრთეებრივ გამოცხადებას არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი ეზიარება; ხოლო სხვებთან, თუკი მათ სიზმრებში წინასწარხედვა ეძლევა, ეს ზემოთ თქმული სახით ხდება.

ის, რომ ეგვიპტელსა და ასირიელ მბრძანებლებს მომავლის შეცნობის გზაზე ღმერთი წინამძღვრობდა, ეს განსაკუთრებული განგებულება იყო, რადგან უნდა განცხადებულიყო წმინდანთა დაფარული სიბრძნე, რათა ცხოვრებაში მისი დინება საერთო სარგებლობის გარეშე არ აღსრულებულიყო. როგორ იქნებოდა შეცნობილი, დანიელი რომ ასეთია, თუკი ჯადოქრები და მოგვები სიზმრისეული ხილვის ასახსნელად უძლურნი არ გამოდგებოდნენ? ან, როგორ გადარჩებოდა ეგვიპტელი ხალხი, რომ სიზმრის ასახსნელად საპყრობილესა შინა ჩამწყვდეული იოსები არ გამოჩენილიყო? ასე რომ, ეს რაღაც სხვა არის და მის შესახებ ჩვეულებრივ სიზმართა მიხედვით არ უნდა დავასკვნათ.

ჩვეულებრივი ხილვა თვითონ სიზმართა ყველასათვის საერთოა და მრავალგვარი და მრავალი სახის წარმოდგენით ხდება, როცა, როგორც ითქვა, სულის მეხსიერებაში ან ყოველდღიური საქმენი და გამოძახილები რჩება, ან სიზმრებისეულ ვითარებაში სხეულის მოთხოვნილებაა ასახული. ასე მაგალითად, მწყურვალს ეჩვენება, რომ წყაროებთანაა, ვისაც საკვები სჭირდება – რომ ნადიმზეა, ახალგაზრდას კი, თავისი აყვავების ხანაში მისთა ვნებათა შესაფერისად ეოცნებება. მაგრამ მე შევიცანი სხვა მიზეზიც იმისა, რაც ძილში ხდება, ვმკურნალობდი რა ჩემს ახლობელთაგან ერთ-ერთს, რომელიც გონებიდან

გადაცდა, ერთხელ იმაზე მეტი საკვებით დამძიმებული, ვიდრე მიღება შეეძლო, აყვირდა და გარშემო მდგომარეთ საყვედურობდა, რომ შიგნეული სკორეთი აუვსეს. როცა მისი სხეული უკვე ოფლის გადმოდინებისათვის დაიძაბა, იქ მყოფთ აბრალებდა, რომ წყალი ჰქონდათ მომზადებული, რათა მწოლარესათვის ეპკურებინათ და ყვირილი მანამდე არ შეწყვიტა, ვიდრე ამ საყვედურთა მიზეზები საქმის დასასრულმა არ განმარტა. მეყსეულად სხეულიდან ოფლი უხვად გადმოდინდა და გახსნილმა მუცელმა წარმოაჩინა რა სიმძიმეც იყო შიგნეულში. ამგვარად, ამ შემთხვევაში, როცა სიფხიზლე მობლაგვებულია სნეულებისა გამო, არ არის რა უგრძნობი შემაწუხებელისადმი, ვითარცა თანამონაწილეს სხეულის სენისა, ბუნებასაც ელმის, მაგრამ სნეულებისკენ მიდრეკილს, ძალა იმისა, ზუსტად გაარკვიოს რა აწუხებს, არა აქვს.

იგივე უნდა ხდებოდეს მაშინაც, როცა სულის მოაზროვნე ძალას არა უძლურების მიზეზით, არამედ ბუნებრივი ძილით სძინავს. ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა შეიძლება იხილოს სიზმარი, რომელშიც ოფლის გადმოდინება წყლით იქნება ასახული, ხოლო საკვებით გადატვირთვა – შიგნეულის დამძიმებით. მრავალნი, მედიცინაში განსწავლულნიც, ფიქრობენ, რომ სნეულთა სიზმრისეული ხილვანი სნეულებათა სხვადასხვაობის გამო სხვადასხვაა: სხვაა იმათი, რომელთაც მუცლის სალმობა აქვთ, სხვა – ტვინის აპკის დაზიანების მქონეთა, სხვა კიდევ – ცხელებით შეპყრობილთა; ერთი და იგივე სიზმარი არ ექნებათ მათ, რომელთაც ნაღველი აწუხებს და მათ, რომელნიც ლორწოვანი გამონადენით იტანჯებიან; სხვადასხვაა, აგრეთვე, სიზმრები სისხლსავსეთა და ღონემიხდილთა.

აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ მასაზრდოებელსა და მზრდელ ძალას სულისა აქვს რაღაც შეზავების შედეგად გონიერისაგან ჩათესილი, რითაც სხეულის ამა თუ იმ მდგომარეობას ემსგავსება და გაბატონებული ვნება ფანტაზიებად გარდაისახება. მრავალთა სიზმარი მსგავსია, აგრეთვე, მათი ხასიათების აგებულებისა; მაგალითად, სხვაა ოცნებანი მამაცისა და სხვაა – ჯაბანისა; სხვაგვარია სიზმრები თავაშვებულთა და სხვა – უბიწოთა. სხვაზე ოცნებობს გულუხვი და სხვაზე – ხარბი; და ამდაგვარი ოცნებანი სულში არა გონიერებას, არამედ უგუნურ მდგომარეობას აღბეჭდავენ; რაზეც ზრუნვა სულს ცხადში ჩვევად ჰქონდა, სიზმრებშიც მის სახეებს ქმნის.

თავი XIV

იმის შესახებ, რომ გონება არ მყოფობს სხეულის რომელსამე ასოსა შინა და აქვე, განყოფისათვის სხეულებრივისა და სულიერი მოძრაობებისა

მაგრამ თემიდან ფრიად გადავუხვიეთ; ჩვენი სიტყვის მიზანი ხომ იმის ჩვენება იყო, რომ გონება სხეულის რომელიმე ასოსთან კი არ არის შეკრული, არამედ ყოველ მათგანს თანაბრად ეზიარება და შესაბამისად ბუნებისა, მისდამი

დაქვემდებარებულ ნაწილში მოძრაობას ქმნის. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გონება ბუნებრივ სურვილებს მისდევს და თითქოსდა მათი მსახური ხდება. ხშირად ხომ იგი ხორციელი ბუნებისაგან იმართება, რომელიც მასში გრძნობას მწუხარებისას თუ გულისთქმას მხიარულთა აქსოვს. ამ დროს იგი აწოდებს მას პირველ საწყისებს – აღძრავს რა სურვილს ჭამისა, ან სწრაფვას საერთოდ რომელიმე ტკბობისაკენ, ხოლო გონება, რომელიც ამგვარ სურვილებს იწყნარებს, თავისი საზრიანობით საშუალებებს იგონებს იმისათვის, რომ სხეულმა, რაც მძაფრად სურს, ის მიიღოს.

მაგრამ ამგვარი რამ ყველას როდი ემართება, არამედ მხოლოდ შედარებით მონურ მდგომარეობაში მყოფთ, რომელნიც გონებას ბუნების სურვილებს უმორჩილებენ, თანაშეწევნით გონებისა გრძნობებს იტკბობენ და მათ მაამებლურად ემლიქვნელებიან. უფრო სრულყოფილებთან ასე არ ხდება; მათ გონება წინამძღვრობს და სასარგებლოს გონებისათვის ირჩევს და არა ვნებისათვის, ხოლო ბუნება წინამძღოლს კვალდაკვალ მისდევს.

თუმცა ჩვენმა სიტყვამ სასიცოცხლო ძალის მიხედვით სამი სხვაობა აღმოაჩინა: მასაზრდოებელი, გარეშე გრძნობისა, მასაზრდოებელი და მზრდელი(აღმაღორძინებელი), რომელიც მეტყველებას მოკლებულია, და მეტყველი და სრული, რომელიც ყველა ძალამდეა მიწევნული, ისე რომ, მათშიც მყოფობს და გონიერების უპირატესობაც აქვს. მაგრამ აქედან არავინ ვარაუდობს, რომ ადამიანის აგებულება სამ სულს შეიცავს, რომელთაგან თითოეული საკუთარი გარეშემოწერილობით იხილვება, და რომ კაცობრივი ბუნება მრავალი სულისაგანაა შედგენილი. ჭეშმარიტი, სრულყოფილი სული ბუნებით ერთია – გონიერი და არანივთიერი, ნივთიერ ბუნებასთან გრძნობათა მეშვეობით შეყოფილი. რამდენადაც ყოველი ნივთიერი მოქცევასა და ცვალებადობას ექვემდებარება, რაჟამს განმასულიერებელ ძალას ეზიარება, მოძრაობას იწყებს ზრდით, ხოლო რაჟამს სასიცოცხლო ენერგიას განეშორება, მოძრაობას ხრწნით ასრულებს. ამიტომაც, არც გრძნობაა ნივთიერი არსის გარეშე და არც გონიერი ძალა მოქმედებს გარეშე გრძნობისა.

თავი XV

იმის თაობაზე, რომ საკუთრივ სულად იწოდება და არის კიდეც სული გონიერი, ხოლო სხვანი ასე თანამოსახელეობის გამო იწოდებიან. აქვე იმის შესახებაც, რომ ძალა გონებისა მთელ სხეულშია განფენილი და თითოეულ ასოს მისთვის შესაფერისად ეხება.

უკეთუ რომელსამე ქმნილებას აქვს ძალა მასაზრდოებელი, ხოლო სხვას კიდევ ძალა გრძნობისა განაგებს, არც პირველსა აქვს გრძნობა და არც მეორეა ნაზიარები გონიერ ბუნებასთან და ვინმე ამის გამო სულების სიმრავლეზე იეჭვებს, იგი სხვაობას სულთა შორის მათი განმყოფელი განსაზღვრებების მიხედვით ვერ დაამტკიცებს. რადგან, უკეთუ ყოველი, რაც არსებულთა შორის

მოიაზრება, სავსებით ისეთი იქნება, როგორიც არის, მაშინ მას ჭეშმარიტად ის სახელი აქვს, როგორადაც იწოდება, ხოლო უკეთუ იგი ყველა მიმართებით არ არის ისეთი, როგორადაც სახელდება, მაშინ ამ სახელს ამაოდ ატარებს.

მაგალითად, უკეთუ ვინმე ნამდვილ პურს გვიჩვენებს, ვიტყვით, რომ საგანს სახელი საკუთრივი მნიშვნელობით ეწოდება, ხოლო უკეთუ ვინმე ნაცვლად ბუნებრივისა ქვისგან ხელოვნებით დამზადებულ პურს გვაჩვენებს, რომელიც ფორმითაც და სიდიდითაც იგივე იქნება და ფერითაც მსგავსი, – მხოლოდ იმის შესაძლებლობას მოკლებული, რომ საჭმელად გამოდგეს, ვიტყვით, რომ ქვამ სახელწოდება პურისა არა ამ სიტყვის ჭეშმარიტი, არამედ არასაკუთრივი მნიშვნელობით მიიღო. მსგავსად ამისა, ყოველივეს, რომელიც სავსებით ისეთი არაა, როგორც იწოდება, სახელი არასაკუთრივი მნიშვნელობით აქვს. ამგვარად, რამდენადაც სული სრულყოფილია გონიერებითაც და მეტყველებითაც, ყოველი, რომელიც ასეთი არაა, შეიძლება სულის თანამოსახელე იყოს, მაგრამ სინამდვილეში არა სული, არამედ რაღაც სასიცოცხლო ენერგია იქნება, სულთან სახელწოდებით გათანაბრებული.

ამიტომ, მან, ვინც ყოველივეს სჯული დაუწესა, პირუტყვთა ბუნება, არა განშორებული ამა ბუნებრივი ცხოვრებისაგან, გამოსაყენებლად ადამიანს უბოძა და ნაცვლად მხალისა მისი ჭამა განუჩინა, რადგან უთხრა: ყოველი ხორცი ჭამეთ, **ვითარცა მხალი თივისა**ჲ(შესაქ.9,3). მაშ, რამდენად მცირე ჩანს უპირატესობა გრძნობისმიერი ძალისა იმასთან შედარებით, რომელიც მის გარეშე იკვებება და იზრდება![8] დაე, ისწავლონ ეს ხორცისმოყვარეთა[9] და დიდად ნუ მიიქცევიან გონებით იმისკენ, რაც გრძნობას წარმოუდგება, არამედ სულიერ უპირატესობათა მოსაგებად იღვაწონ, რადგან ჭეშმარიტი სული მათ შინა იხილვება, ხოლო გრძნობა პირუტყვთაც თანაბრად აქვთ.

მაგრამ დინებამ სიტყვისა სხვაგან წაგვიყვანა. ჩვენ ხომ განსახილველად არა ის გვქონდა, რომ იმათგან, რასაც ადამიანის შესახებ მოვიაზრებთ, უფრო ღირებული გონების ძალაა, ვიდრე ნივთიერი გვამოვნება, არამედ ის, რომ გონებას ჩვენი არა რომელიმე ერთი ნაწილი შეიცავს, არამედ იგი ყოველთა შინა და ყოველთა მიერ მყოფობს, ისე რომ, არც გარედან მოიცავს მათ და არც შიგნითაა დამწყვდეული. ასე ხომ საკუთრივ ჭურჭლებსა, ან რაღაც სხვა სხეულებზე ითქმება, რომელთა ერთმანეთში ჩადგმაც შეიძლება. გონების სხეულთან ზიარება კი გამოუთქმელსა და მოუაზრებელ შეერთებაში მდგომარეობს: არც შიგნითაა ჩაკეტილი(რადგან უსხეულო სხეულით ვერ შეიპყრობა) და არც გარედან მოიცავს(რადგან შეუძლებელია უსხეულომ რამე გარემოიცვას); არამედ გონება ბუნებას რაღაც გამოუკვლეველი და შეუცნობელი სახით მიეახლება და შეეყოფა(შეეხება) რა მას, მასში და მის გარშემო განიჭვრიტება, არც მას შინა მყოფად და არც გარემომცველად, არამედ ისე, რომ არც გამოთქმა

[8] იგულისხმება უპირატესობა მცენარეებთან შედარებით(მთგ.).
[9] იგულისხმება ზრუნვა სხეულსა და მის მოთხოვნილებებზე(მთგ.).

შეიძლება და არც გააზრება, გარდა იმისა, რომ უკეთუ ბუნება თვისსა წესსა ზედა წარემართება, გონებაც ამოქმედდება, ხოლო უკეთუ რამე შეცდომას დაუშვებს, შესაბამისად მოძრაობაც გონებისა მოიკოჭლებს.

თავი XVI

განხილვა ღმრთის სიტყვისა, რომელიც თქვა: „ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად“ (დაბ. 1,26). აქვე გამოძიება ხატის შინაარსისა და იმისა, ემსგავსება თუ არა ნეტარსა და უვნებელს ვნებული და წარმავალი, და რატომ იხილვება ხატში მამრობითი და მდედრობითი, მაშინ, როცა პროტოტიპში არ არის.

მაგრამ კვლავ ღმრთეებრივ სიტყვას დავუბრუნდეთ: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“(დაბ.1,26). როგორ მცირედ და უღირსად წარმოედგინათ ბუნებითი დიდებულება კაცისა გარეშეთაგან[10] ზოგიერთებს, განადიდებდნენ რა მას, როგორც თვითონვე ფიქრობდნენ, ამ სოფელთან შესწორებით და ამბობდნენ, რომ ადამიანი მცირე სამყაროა და იმავე სტიქიათაგან შედგება, რომელთაგანაც ყოველივეა შედგენილი. ასხამდნენ რა კაცობრივ ბუნებას ამ საქებარი სახელით სასურველ ხოტბას, თვითონვე ვერ ამჩნევდნენ, რომ ადამიანს პატივს კოღოსა და თაგვის თვისებებისთვის მიაგებდნენ; ისინიც ხომ ამავე ოთხი სტიქიის ნაზავს წარმოადგენენ, რადგან არსებულთაგან ყოველის რაღაც ნაწილი მეტ-ნაკლებად ყოველთვის იხილვება სულიერში, რომელთა გარეშეც გრძნობებთან ზიარებით შედგენილთაგან წარმოშობა არცერთს არ ძალუძს.

რა არის იმაში დიადი, რომ ადამიანი სამყაროს სახედ და მსგავსებად იქნეს მიჩნეული, მაშინ, როცა ცაც წარხდება, მიწაც შეიცვლება და ყოველივეც, რასაც ისინი მოიცავენ, მათთან ერთად წარხდება? მაგრამ რაში მდგომარეობს ეკლესიის სწავლების მიხედვით სიდიადე ადამიანისა? არა შექმნილი სამყაროს მსგავსებაში, არამედ იმაში, რომ ხატად შემოქმედის ბუნებისა დაიბადა. და რას ნიშნავს „ხატი“? შეიძლება იკითხო: როგორ ემსგავსება სხეულებრივს უსხეულო? მარადიულს – წარმავალი? უცვალებელს – ცვალებადი? უვნებელსა და უხრწნელს – ვნებადი და განხრწნადი? უზიარებელს ყოველგვარ ბოროტებასთან – ყოველსავე ბოროტებასა შინა მყოფი და მასთანვე თანაშეზრდილი?

დიდადაა ხომ დაშორებული ის, რაც პირველსახის შესახებ მოიაზრება, იმისაგან, რაც ხატად დაიბადა. რადგან ხატად, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, ის იწოდება, რაც პირველსახეს ემსგავსება. უკეთუ ბაძვა საგანს ბაძვისა დაშორებულია, მაშინ იგი სხვა რამეა და არა ხატი მისი. მაშინ როგორღა არის ადამიანი, რომელიც მოკვდავი, ვნებადი და სწრაფწარმავალია, ხატი შეურევნელისა, წმინდისა და მარადის არსებულისა ბუნებისა? მაგრამ ჭეშმარიტი სწავლება ამის შესახებ ნათლად და გარკვეულად მხოლოდ თავად ჭეშმარიტებამ უწყის. ჩვენ კი, რამდენადაც ამის დატევა შეგვიძლია, ვიძიებთ

[10] იგულისხმებიან წარმართი ფილოსოფოსები(მთგ.).

რა ჭეშმარიტებას მიხვედრილობითა და ვარაუდებით, გამოსაძიებელის შესახებ ასე ვფიქრობთ: არც ღმრთეებრივი სიტყვა ტყუის, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი ხატად ღმრთისა დაიბადა და არც უბადრუკობა საწყალობელი კაცობრივი ბუნებისა არაა მსგავსი ნეტარებით უვნებელი ცხოვრებისა.

ამიტომ, უკეთუ ვინმე ღმერთთან ჩვენს გათანასწორებას ცდილობს, ორიდან ერთ-ერთი უცილობლად უნდა აღიაროს: ან ღმრთეება წარმოადგინოს ვნებულად, ან კაცება – უვნებელად, რათა ცნება მსგავსებისა ორივეს თანაბრად შეესაბამებოდეს. ხოლო უკეთუ არც ღმრთეებაა ვნებული და არცა კაცებაა გარეშე ვნებისა, მაშინ რჩება, რაღაც სხვა გაგება, რომლითაც ვამტკიცებთ ჭეშმარიტებას ღმრთეებრივი ხმისა, რომელმაც თქვა, რომ კაცი ხატად ღმრთისა დაიბადა. ასე რომ, ჩვენ ისევ წმინდა წერილს უნდა მივუბრუნდეთ და ვნახოთ, ხომ არ არის მასში, რაც იქ წერია, რაიმე ისეთი, რომელიც საძიებელი საკითხის გადაწყვეტაში გვიხელმძღვანელებს. თქვა რა, „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად“ და ისიც, თუ რაჲსათვის „ვქმნეთ“, ნათქვამს დაუმატა: „და შექმნა ღმერთმან კაცი და ხატად ღმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“(დაბ.I,27).

ზემოთ უკვე ითქვა[11], რომ ეს სიტყვები მწვალებელთა უსჯულოების დასამხობად წინასწარ წარმოითქვა, რათა ვისწავლოთ, რომ კაცი მხოლოდშობილმა ღმერთმა ხატად ღმრთისა შექმნა და ღმრთეება მამისა და ძისა ერთმანეთისაგან არცერთი ნიშნით არ გავყოთ, რადგან წმინდა წერილი ორივეს თანაბრად უწოდებს ღმერთს: მასაც, ვინც ადამიანი შექმნა და მასაც, ვის ხატადაც შეიქმნა. მაგრამ, დაე, სიტყვა ამის თაობაზე აქ შეწყდეს და ისევ საძიებელ საკითხს მივუბრუნდეთ: რატომ იწოდება კაცი წმინდა წერილის მიერ მსგავსად ღმრთისა, როცა ღმრთეება ნეტარია, ხოლო კაცება – საწყალობელი. ამისთვის რაც ითქვა, იმის გამოწვლილვით გამოძიებაა საჭირო, და ვნახავთ, რომ სხვაა ის, რაც ხატად დაიბადა და სხვა, რომელიც ახლა უბადრუკად ჩანს. „შექმნა ღმერთმან, – ამბობს, – კაცი, ხატად ღმრთისა შექმნა იგი“. შესაქმე ხატად დაბადებულისა დასრულდა, მაგრამ შემდეგ აგებულების საკითხს ისევ უბრუნდება და ამბობს: „მამაკაცად და დედაკაცად ქმნნა იგინი“.

ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, რომ ეს პირველსახის გარეთ უნდა იქნეს მოაზრებული, რადგან ქრისტეს მიერ, როგორც მოციქული ამბობს, არცა მამაკაცობაა და არცა დედაკაცობა.[12] მაგრამ ამის მიხედვით, როგორც სიტყვა გვეუბნება, ადამიანი იყოფა; ასე რომ, აგებულება ჩვენი ბუნებისა რამდენადმე ორმაგია: ერთი მსგავსია ღმრთეებისა და მეორე – ამ სხვაობით – მამაკაცობითა და დედაკაცობით განყოფილი. რაღაც ამდაგვარზე მიგვანიშნებს ხომ დაწერილის თანმიმდევრულობით სიტყვაც, რადგან ჯერ თქვა: „შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად ღმრთისა შექმნა იგი“, ხოლო შემდეგ ნათქვამს დაუ-

[11] იხ. თავი მე-6.

[12] შდრ. გალატ. III,28.

მატა: „მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“, რაც უცხოა იმისათვის, რასაც ღმრთის შესახებ მოვიაზრებთ.

მე ვფიქრობ, საღმრთო წერილის მიერ ამ ნათქვამით დიდი და მაღალი მოძღვრებაა გადმოცემული და ეს მოძღვრება ასეთია: კაცობრივი ბუნება ორ, ერთმანეთისაგან დაშორებულ უკიდურესობას – ღმრთეებრივსა და უსხეულო ბუნებასა და პირუტყვულსა და ცხოველურ ცხოვრებას შორის, – შუალედურია. აგებულებაში კაცისა ხომ დასახელებულ ბუნებათაგან ნაწილობრივ ორივეს ხილვაა შესაძლებელი: ღმრთეებრივისაგან – მეტყველისა და გონიერისა, რომელიც დაყოფას მამაკაცად და დედაკაცად არ უშვებს, ხოლო პირუტყვულისაგან – ხორციელი აგებულებისა და განწყობილებისა, რომელიც მამაკაცებად და დედაკაცებადაა განყოფილი. თითოეული ამათგანი(ამ ბუნებათაგანი) კაცობრივ ცხოვრებას ყოველმხრივ არის ნაზიარები, მაგრამ, როგორც ეს ჩვენ ადამიანის შესაქმის შესახებ თანმიმდევრული თხრობიდან შევიცანით, მათგან პირველი გონიერია, ხოლო ზიარება და ნათესაობა ადამიანისა პირუტყვულთან – მომდევნო, რადგან ჯერ თქვა: „შექმნა კაცი ღმერთმან ხატად ღმრთისა“, და ამ სიტყვებით გვაჩვენა, რომ, როგორც მოციქული ამბობს, მასში მამაკაცება და დედაკაცება არ იყო, ხოლო თავისებურებანი კაცობრივ ბუნებას შემდეგ შესძინა, როცა „მამაკაცად და დედაკაცად“ შექმნა იგინი. და რას ვსწავლობთ აქედან?

დაე, ნურავინ აღშფოთდება ჩემზე იმის გამო, რომ წინამდებარე აზრის განსამარტავად სიტყვას შორიდან ვიწყებ. ღმერთი თავისი ბუნებით ყველა ის სიკეთეა, რომლის წვდომაც კი აზრით შეიძლება. უკეთ რომ ვთქვათ, გონებით მოაზრებულსა და მისაწვდომ სიკეთეზე ამაღლებული, კაცობრივ ცხოვრებას არა სხვა რამის, არამედ იმის გამო ქმნის, რომ სახიერია. და რადგან ამგვარია და კაცობრივი ბუნების შექმნაც ამიტომ მოისურვა, ძალა თავისი სახიერებისა ნახევრად კი არ წარმოაჩინა, ისე რომ, იქიდან, რაც აქვს, რაღაცა მიეცა და რაღაცის გაზიარება დანანებოდა, არამედ სახე სრულისა სახიერებისა სწორედ ისაა, რომ ადამიანი უმყოფობიდან ყოფიერებაში(არარსებისგან არსად) მოიყვანა და ყოველგვარ სიკეთეთაგანაც უნაკლულო ჰყო. რამდენადაც ჩამონათვალი სიკეთეთა დიდია და ამდენად აღრიცხვა მათი ძნელი, ამიტომ სიტყვამ ყოვლისმომცველი ხმით ყოველივე ერთობლივად აღნიშნა, თქვა რა, რომ ხატად ღმრთისა დაიბადა კაცი. ეს ხომ იგივეობრივია ნათქვამისა: კაცებრივი ბუნება ყოველგვარ სიკეთეს აზიარა, რადგან, უკეთუ ღმრთეება სახიერებათა სავსებაა და ეს(კაცი) მისი ხატია, ხატი პირველსახეს სწორედ იმით დაემსგავსება, რომ ყოველგვარი სახიერებით იქნება სავსე.

ამრიგად, ჩვენში არის იდეა ყოველგვარი მშვენიერებისა, ყოველი სათნოება და სიბრძნე და საერთოდ, ყოველივე, რაც კი საუკეთესოდ მოიაზრება. ყოველთა მათ სიკეთეთაგან ერთ-ერთია, იყო თავისუფალი იძულებისაგან და დაუმორჩილებელი რომელიმე ბუნებითი მძლავრობისა, და თვითმფლო-

ბელური ნება[13] გქონდეს, რადგან თავისუფლება ძალაუფლების ქვეშ არ მყოფი(დამოუკიდებელი) და ნებსითი სიკეთეა, ხოლო ის, რაც იძულებითი და ძალდატანებითია, არ შეიძლება სათნოება იყოს.

ამგვარად, რამდენადაც ხატი პირველსახის სილამაზის ყველა თვისებას ატარებს, მასთან რაიმე სხვაობა რომ არ ჰქონდეს, რა თქმა უნდა, იგი მსგავსება კი არ იქნებოდა, არამედ ყოვლითურთ პირველსახის იგივეობრივად წარმოჩნდებოდა, მისგან არაფრით განსხვავებული. ამიტომ თავად ღმრთეებასა და მას შორის, რაც ღმრთეებას ემსგავსება, რა სხვაობას ვჭვრეტთ? იმას, რომ ერთი შეუქმნელია, ხოლო მეორემ არსებობა შესაქმით მიიღო. ამგვარმა თვისებრივმა სხვაობამ შედეგად სხვა თვისებათა სხვაობანიც წარმოშვა. ყველას მიერ უცილობლადაა აღიარებული, რომ შეუქმნელი ბუნება უქცეველი და მარადის იგივეა, ხოლო შექმნილს ცვლილების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგან თვითონ გადასვლა უმყოფობიდან ყოფიერებაში, არარსებობის არსებობით შეცვლა, უკვე ერთგვარად მოძრაობაა, რომელიც ღმრთეებრივი ნებით ხდება.

ვითარცა სახარება გამოსახულებას დრაჰკანზე კეისრის ხატს უწოდებს, საიდანაც ვსწავლობთ, რომ თუმცაღა გარეგნული ნაკვთებით გამოსახულება მსგავსი იყო კეისრისა, მაგრამ სინამდვილეში მისგან განსხვავდებოდა, ასევე აწ თქმული სიტყვის მიხედვითაც, ნაცვლად ნაკვთებისა მოვიაზრებთ რა მას, რაშიც მსგავსება ღმრთეებრივსა და კაცობრივ ბუნებათა შორის განიჭვრიტება, სინამდვილეში ვპოულობთ სხვაობას, რომელიც შეუქმნელსა და შექმნილ ბუნებას შორის იხილვება. რამდენადაც ერთი ყოველთვის თავისი თავის იგივეობრივი და მარადიულია, ხოლო მეორე – შესაქმით დაბადებული – არსებობას ცვლილებისაგან იწყებს და ნათესაობაც ყოფიერების ამ სახესთან აქვს.

მან, რომელმაც ყოველნი მანამდე იცოდა, ვიდრე ისინი შეიქმნებოდნენ, ამისდა შესაფერისად, როგორც წინასწარმეტყველება ამბობს, ან, უფრო სწორად, წინასწარმცნობელი ძალით, წინასწარ გაიაზრა რა, საით მიდრკებოდა მოძრაობა კაცობრივი თვითმფლობელი და თავისუფალი ნებისა, ე. ი. იცოდა რა მომავალი, ხატში სხვაობის შეტანა მამაკაცობითა და დედაკაცობით მოიფიქრა, რაც ღმრთეებრივ პირველსახეში არ იხილვება, ანუ როგორც ითქვა, პირუტყვულ ბუნებას განეკუთვნება.

მიზეზი ამგვარი ჩანაფიქრისა მხოლოდ ჭეშმარიტების თვითმხილველთა და სიტყვის მსახურთა იციან;[14] ხოლო ჩვენ, რამდენადაც ძალგვიძს, ჭეშმარიტებას ვარაუდებითა და სახეებით წარმოვადგენთ. გონებაში მოსულს დამტკიცებულად კი არ გადმოვცემთ, არამედ კეთილგანწყობილ მსმენელებს საწვრთნელად

[13] აქ ვამჯობინეთ γνώμη „ნებად“ გვეთარგმნა და არა „გადაწყვეტილებად“, რადგან ეს კონტექსტმა გვიკარნახა. გადაწყვეტილება მაინც შედარებით ვიწრო ცნებაა და მისი მიღება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება. აქ კი, კონტექსტის მიხედვით, წმ. გრიგოლ ნოსელი საერთოდ ადამიანის თავისუფალ ნებაზე საუბრობს(მთგ.).

[14] შდრ. ლუკ. 1,2 „ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თვით-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყჳსა მის“.

შევთავაზებთ. და რა არის ის, რაც ჩვენ ამის შესახებ მოვიაზრეთ? თქვა რა სიტყვამ, რომ **შექმნა კაცი ღმერთმან,** მნიშვნელობის განუსაზღვრელობით მთელ კაცობრივ ბუნებაზე მიუთითა, რადგან აქ ქმნილება „ადამად“ არ იწოდება, როგორც ეს შემდეგ თხრობაშია, არამედ სახელი დაბადებადი ადამიანისა არა მხოლოდ კონკრეტულად ვინმესია, არამედ საყოველთაო.[15] ამიტომ, ბუნების სახელწოდებიდან გამომდინარე, ჩვენ იმგვარ ვარაუდამდე მივდივართ, რომ ღმრთეებრივი წინასწარმცნობელობითა და ძალით მთელი კაცობრივი ბუნება პირველსავე დაბადებასა შინა იქნა შემოსაზღვრული, რადგან უნდა მივიჩნიოთ, რომ ღმრთისათვის მის მიერ შექმნილთა შორის არაფერია განუსაზღვრელი და ყოველს აქვს რაღაც ზღვარი და საზომი შემოქმედის სიბრძნით მიზომილი.

ვითარცა ერთი კაცის სხეულია შემოსაზღვრული სიდიდით და ამდენად ოდენობა არის საზომი მისი გვამისა, რომელიც სხეულის ზედაპირითაა დასრულებული, ვფიქრობ, მთელი სისრულე კაცობრივი ბუნებისა, ყოველთა ღმერთის წინასწარმცნობელი ძალით ასევე თითქოსდა ერთი სხეულითაა მოცული და ამას გვასწავლის სიტყვაც, რომელიც ამბობს: „შექმნა ღმერთმან კაცი და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“.

ამგვარად, არც ხატია ბუნების რომელსამე ნაწილსა შინა და არც მადლია იმათგან, რომელნიც ცალ-ცალკე იხილვებიან, ერთ რომელიმეში ჩაკეტილი, არამედ მისი ეს ძალა მთელს მოდგმაზე ერთნაირად ვრცელდება. ამის ნიშანი კი ისაა, რომ გონება ყოველს თანაბრად მიეცა, ყველას აქვს ძალა აზროვნებისა, წინასწარ განზრახვისა და სხვა დანარჩენიც, რომელთა მიერაც ღმრთეებრივი ბუნება მის მსგავსად დაბადებულთა შორის გამოისახება. ერთნაირად აქვს ეს როგორც სამყაროს პირველად მოწყობისას დაბადებულ ადამიანს, ასევე იმასაც, რომელიც აღსასრულის ჟამს დაიბადება. ღმრთეებრივ ხატს თავიანთ თავში ისინი თანაბრად(ერთნაირად) ატარებენ. ამიტომაც ეწოდა ყოველს სახელი ერთი ადამიანისა, რადგან ძლიერებისათვის ღმრთისა არც წარსულია და არც მომავალი, არამედ მოსალოდნელიც თანაბრად ახლანდელისა ყოველივეს მომცველი ენერგიითაა გარემოცული. ამგვარად, მთელი ბუნება დაუბადებელის ერთი ხატია, პირველიდან უკანასკნელამდე განფენილი. ხოლო მამრობით და მდედრობით სქესად დაყოფა ქმნილებას, როგორც ვფიქრობ, ბოლოს შეეძინა შემდეგი მიზეზით.

[15] რამდენადაც ებრაულად „ადამი“ ადამიანს ნიშნავს, პირველმა ადამიანმა სახელად ჩვენი ბუნების საერთო სახელწოდება მიიღო. დაბადებადში აქ იგულისხმება ადამიანი, რომელიც უნდა შეიქმნას (მთგ.).

თავი XVII

რა უნდა ვუპასუხოთ საგონებელში ჩავარდნილებს იმის გამო, რომ უკეთუ შვილიერება შემდგომად ცოდვისა შემოვიდა, როგორ დაიბადნენ სულები, როცა თავდაპირველი ადამიანები უცოდველნი იყვნენ.

ვიდრე წინამდებარე საგანს გამოვეძიებდეთ, შესაძლებელია, უმჯობესი მოწინააღმდეგეთა მიერ ჩვენთვის შემოთავაზებული საძიებელი საკითხის განმარტება იყოს. ისინი ამბობენ, რომ ცოდვამდე არაფერია მოთხრობილი არც შობაზე, არც მშობიარობის ტკივილებსა და არც შვილიერებისაკენ სწრაფვაზე. ხოლო, როცა შემდგომად ცოდვისა, სამოთხიდან გამოდევნილ იქნენ და დედაკაცს სასჯელად მშობიარობის ტკივილები მიესაჯა, მაშინ მიუდგა ადამი მეუღლეს, ქორწინებით შეიცნო იგი და შვილიერებასაც დასაბამი მაშინ დაედო. ამიტომ, რადგანაც სამოთხესა შინა არც ქორწინება იყო, არცა ტკივილი და არცა შობა, აქედან, – ამბობენ ისინი, – უცილობლად უნდა დავასკვნათ, რომ არც ადამიანთა სულების სიმრავლე იქნებოდა, მადლი უკვდავებისა მოკვდავობით რომ არ შეცვლილიყო და ბუნება ქორწინებას არ შეენახა ახლადდაბადებულთა მიერ, რომელნიც ნაცვლად გარდასულთა, ვისგანაც შობილნი იყვნენ, შემოჰყავდა; ასე რომ, ცოდვა, რომელიც კაცთა ცხოვრებაში შემოვიდა, ერთგვარად სასარგებლოც გამოდგა. კაცთა მოდგმა პირველქმნილ წყვილად დარჩებოდა, სიკვდილის შიშს რომ ბუნება მემკვიდრეობისათვის არ აღეძრა.

მაგრამ ჭეშმარიტი სწავლება ამის თაობაზეც ისევ და ისევ მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს ნათელი, რომელნიც პავლეს მსგავსად[16] სამოთხის გამოუთქმელთა საიდუმლოთა ეზიარნენ; ხოლო ჩვენი აზრი ასეთია: ეკამათებოდნენ რა სადუკეველნი მოძღვრებას აღდგომის შესახებ, თავიანთი სწავლების დასამტკიცებლად მაგალითად მრავალგზის დაქორწინებული დედაკაცი მოიყვანეს, რომელმაც სათითაოდ შვიდ ძმაზე იქორწინა და იკითხეს, შემდგომად აღდგომისა, რომელი მათგანის ცოლი იქნებოდა იგი,[17] უფალმა კითხვას პასუხი გასცა, რომლითაც არა მხოლოდ სადუკეველთ ასწავლა, არამედ საიდუმლო აღდგომის შემდგომი ცხოვრებისა ყველასათვის გააცხადა: **რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან და არცა განჰქორწინებდენ**(მთ.XXII,30); **არცაღა მერმე სიკუდილად ჴელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და ძენი აღდგომისანი არიან**(ლკ.XX,36).

და მადლი აღდგომისა სხვას არაფერს გვახარებს ჩვენ, თუ არა დაცემულთა პირვანდელი სახით აღდგენას(ἀποκατάστασις),[18] რადგანაც ეს მადლი, რომელიც მოგველის, გარკვეულწილად თავდაპირველ ცხოვრებაში დაბრუნებაა, რადგანაც მას სამოთხიდან გამოძევებული ისევ სამოთხეში შეჰყავს. უკეთუ

[16] 2 კორინ. 12,4.

[17] მთ. 22,28.

[18] ცნება ἀποκατάστασις-ზე(აღდგენა, დაბრუნება) წმ. გრიგოლ ნოსელს, ეკლესიის სწავლებისაგან განსხვავებული, საკუთარი აზრი ჰქონდა.

აღდგენილთა ცხოვრება ანგელოზთა ცხოვრებას დაემსგავსება, მაშინ, ცხადია, ცხოვრება მცნების დარღვევამდე ანგელოზური იყო. ამიტომ, ჩვენი თავდაპირველ ცხოვრებაში დაბრუნებაც ანგელოზთა მსგავსი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ნათქვამია, მათ შორის ქორწინება არ არსებობს, ანგელოზთა მხედრობა მაინც აღურაცხელად მრავალია.

ამრიგად, ჩვენ რომ არცერთი ის ცვლილება არ განგვეცადა, რომელიც ცოდვის გამო შეგვემთხვა და ამის გამო არც ანგელოზთა სწორ პატივს ჩამოვშორებოდით, ქორწინება გამრავლებისათვის არც ჩვენთვის იქნებოდა საჭირო. ხოლო ის, თუ ანგელოზთა ბუნებაში რა საშუალება არსებობს მათი გამრავლებისა, – გამოუთქმელი და მიუწვდომელია კაცობრივი ვარაუდებისათვის, გარდა ერთისა, – რომ იგი უცილობლად არსებობს. შეიძლებოდა იმავე საშუალებას ემოქმედა ადამიანთა შორისაც, რომელნიც **მცირედ რაჲმე ანგელოზთა**(ფს.8,5) დაკლებულ არიან და კაცთა მოდგმა შემოქმედის ნებით დადგენილ ზღვრამდე გაემრავლებინა.

ამიტომ, უკეთუ ვინმეს გამოძიება ადამიანთა წარმოშობის ისეთი საშუალებისა, რომ კაცს ამისთვის ქორწინების შემწეობა აღარ სჭირდებოდეს, გაუჭირდება, ჩვენი მხრიდან ჩვენც უნდა ვკითხოთ, ანგელოზური არსებობის(ὑπόστασις) საშუალებაზე, სახელდობრ, რატომ არიან ისინი აღურაცხელად მრავალნი და მაშინ, როცა ერთი არსი აქვთ, სიმრავლით როგორ აღირაცხებიან? აქედან გამომდინარე, შემკითხველს: როგორ იქნებოდა ადამიანი გარეშე ქორწინებისა, შესაფერის პასუხს გავცემთ და ვეტყვით, რომ ისევე იქნებოდა, როგორც ანგელოზნი არიან ქორწინების გარეშე, რადგან მცნების დარღვევამდე ადამიანიც მათი მსგავსი იყო, რასაც მისი კვლავ იმავე მსგავსებით აღდგენაც ამტკიცებს.

რაკიღა ამაზე უკვე ვიმსჯელეთ, ისევ პირველსავე სიტყვას მივუბრუნდეთ. რატომ მოიფიქრა ღმერთმა შემდგომად ხატის შემზადებისა მისი დაყოფა მამაკაცად და დედაკაცად? ვგონებ, ამისთვის ზემოთ გადმოცემული თეორია გამოდგება.

მოიყვანა რა მან ყოველივე ყოფიერებაში და შექმნა რა საკუთარი ნებით კაცი ყოვლითურთ ღმრთეებრივ ხატად, არ დაელოდა ხილვას, როგორ მიაღწევდა ახალშობილთა მცირედ-მცირედ შემატებით რიცხვი სულებისა თავის სავსებას, არამედ მყის გაიაზრა რა წინასწარმცნობელითა ძალითა თვისითა მთელი კაცობრივი ბუნება მისი სისავსით და მიაგო რა მას პატივი მაღალი ანგელოზებრივი ხვედრის მინიჭებით, მჭვრეტელობითი ძალით წინასწარ იხილა, რომ ნება კაცისა მშვენიერებისაკენ წრფელი გზით არ წარემართებოდა და ამის გამო, ანგელოზებრივი ცხოვრებისაგან განშორებული, დაკარგავდა იმ საშუალებას, რომლითაც ანგელოზთა რიცხვი გაიზარდა. ამიტომ, კაცობრივ სულთა სიმრავლის გაზრდა რომ არ შეწყვეტილიყო, შესაფერისად ცოდვით დაცემულისათვის, მოიფიქრა და ბუნებაში განამზადა საშუალება გამრავლებისა: ნაცვლად ანგელოზისებური დიდებული შობისა, კაცებასა შინა შთამო-

მავლობის გასაგრძელებლად ცხოველური და პირუტყვული შობა დანერგა.

ვფიქრობ, ამიტომაც დასტირის ადამიანის უბედურებით შეწუხებული დიდი დავითი მის ბუნებას: **კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისჴმა-ყო,** გულისხმობს რა პატივში ანგელოზთა სწორ პატივს და ამბობს: **ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა და მიემსგავსა მათ**(48,20), რამეთუ მართლაც პირუტყვული გახდა ის, ვინც ნივთიერებისაკენ მიდრეკის გამო ეს ხრწნადი შობა ბუნებით შეიწყნარა.

თავი XVIII

იმის თაობაზე, რომ მიზეზი ჩვენში პირუტყვული ვნებებისა პირუტყვულ ბუნებასთან ნათესაობაა.

ვფიქრობ, ყოველი ვნება ამ საწყისიდან, ვითარცა წყაროსაგან გამოედინება და კაცობრივ ცხოვრებას ავსებს. ნათქვამის დასტურია ვნებათა ნათესაობა, რომელიც ჩვენშიც და პირუტყვთა შორისაც თანაბრად ჩანს. უსამართლობა იქნება, რომ ვნებათა დასაბამი ღმრთეების ხატად შექმნილ კაცობრივ ბუნებას მივაკუთვნოთ; არამედ მაშინ, როცა ამ სოფლად პირუტყვთა ცხოვრება შემოხდა და ზემოხსენებული მიზეზის გამო, ამ ბუნებიდან რაღაც ადამიანმაც მიიღო, შობას ვგულისხმობ, მის მიერ სხვა დანარჩენთაც ეზიარა, რომელიც ამ ბუნებაში იხილვება.

ადამიანს ხომ მსგავსება ღმრთეებასთან არც მრისხანების გამო აქვს და არც აღმატებული ბუნება გამოისახება ტკბობის მიერ. სიმხდალე და სითავხედე, სურვილი უმეტესობისა და სიძულვილი იმისა, რომ ვინმეზე ნაკლები იყოს, და სხვა ამდაგვარნი, ღმრთივმშვენიერ თვისებათაგან შორს არიან. ამიტომაც კაცობრივმა ბუნებამ ისინი თავისკენ პირუტყვული ნაწილისაგან მიიზიდა; რადგან ის, რითაც პირუტყვული ცხოვრება თავს იცავს და უფრთხილდება, კაცობრივ ცხოვრებაში გადატანისას ვნებებში გადადის; რადგან მრისხანებით ხორცის მჭამელი მხეცები იცავენ თავს, ავხორცობით – მრავლისმშობელნი, სიმხდალით – უძლურნი, შიშით – ძლიერთაგან ადვილად მოსახელთებელნი, გაუმაძღრობით – ხორცმრავალნი. წარუმატებლობა რომელიმე ტკბობის მიღწევაში პირუტყვთა შორის მწუხარების მიზეზი ხდება. ყოველივე ეს, და სხვა მსგავსი ამათი, პირუტყვული(ცხოველური) შობის შედეგად ადამიანის აგებულებაშიც შემოვიდა.

დაე, მომეცეს მე ნება, რომ კაცობრივი ხატი, სახვითი ხელოვნების მიბაძვით, სიტყვით აღვწერო. ისე, როგორც ქანდაკებათა შორის შეიძლება ხილვა ორსახოვან გამოსახულებათა, რომელნიც დახელოვნებულ ოსტატთა მიერ, ამოკვეთენ რა ერთ თავზე ორ სახეს, მნახველთა განსაცვიფრებლად არიან შექმნილნი, ასევე ადამიანიც, ვფიქრობ, დაპირისპირებულთა ორმაგ მსგავსებას ატარებს: საღმრთო გონებით ღმრთეებრივ სილამაზესაც გამოსახავს და ვნებისაგან წარმოშობილი სურვილებით ნათესაობას ცხოველურთანაც ამჟღავნებს. მაგრამ ხშირად გონება, პირუტყვულისაკენ მიდრეკილებისა და მისდამი კეთ-

ილგანწყობის გამო, ჩაკლულია და უმჯობესი უდარესითაა დაფარული; რადგან უკეთუ ვინმე გონიერ ძალას აქამდე დაამდაბლებს და გონებას ვნებათა მსახურებას აიძულებს, კეთილი ხატი პირუტყვულ ხატად გარდაიქცევა და სახეს მთელი ბუნება შეიცვლის, ხოლო გონება, ვითარცა მიწათმოქმედი, ვნებათა საწყისებს მოიმუშაკებს და თანდათანობით სიმრავლეში გადაზრდის, რადგან თავისი თანაქმედებით შეეწევა რა ვნებას, უგუნურებათა მრავალრიცხოვანსა და უხვ ნაყოფს შექმნის.

ამგვარად, თუმცაღა ტკბობათა სიყვარულმა დასაბამი პირუტყვულთან მსგავსებისა გამო მიიღო, მაგრამ კაცობრივ ცდომილებათა მიერ აღორძინდა და ტკბობისმიერ შეცოდებათა იმდენი სახესხვაობანი წარმოშვა, რამდენიც პირუტყვთა შორისაც კი არ იპოვება. ასე რომ, მართალია, აღძვრა მრისხანებისა პირუტყვთა მიდრეკილების მსგავსია, მაგრამ გულის ზრახვათა მოკავშირეობით აღორძინდება.

აქედან არის ხომ სიძულვილი, შური, ტყუილი, ცბიერება, პირმოთნეობა. ყოველივე ეს გონების ბოროტი მუშაკობისაგანაა, რადგან ვნება რომ გულის ზრახვათა მოკავშირეობისაგან გაშიშვლებულიყო, მრისხანება, მსგავსად ბუშტუკისა, რომელიც წყალში გაჩენისთანავე სკდება, სწრაფწარმავალი და უძლური აღმოჩნდებოდა. ასევე მოიტანა გაუმაძღრობამ სიხარბე ღორებისა, ხოლო სიამაყე ცხენისა ქედმაღლობის დასაბამი გახდა.

ამრიგად, ყოველი, ცხოველური უგუნურებისაგან თითოეულად წარმოშობილი, გონების მიერ უკეთური გამოყენებით ბოროტებად იქცა, ისევე როგორც თუკი გონება, პირიქით, ამგვარ აღძვრათა ზედა ძალაუფლებას ისევ აიღებს, ყოველი მათგანი სათნოების სახედ გარდაიქმნება: მრისხანება მხნეობას შექმნის, სიჯაბანე – სიფრთხილეს, შიში – მორჩილებას, სიძულვილი – ბოროტისაგან მოქცევას, ძალა სიყვარულისა – სურვილს ჭეშმარიტად მშვენიერისა, ხოლო სიამაყე ხასიათისა ვნებათა ზედა აამაღლებს და ბოროტებისაგან დაუმონებელ აზროვნებას დაიცავს. ამაღლების ამგვარ სახეს აქებს ხომ დიდი მოციქულიც, როცა ბრძანებს: **ზეცისასა ზრახევდით**(კოლ.3,2).

ამრიგად, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ყოველი ამგვარი აღძრვა აზროვნების სიმაღლით თანააღიწევა და ღმრთეებრივი ხატის მშვენიერებას თანახატ ექმნება. მაგრამ, რამდენადაც არსებობს რაღაც მძიმე და ქვედამზიდველი მიდრეკილება ცოდვისაკენ, უმეტესწილად სხვაგვარად ხდება: პირუტყვული ბუნების სიმძიმით უფრო გონიერი ნაწილი სულისა ქვე-თანა-წარიტაცება, ვიდრე მძიმე და მიწიერი ამაღლდება აზროვნების სიმაღლით.

ამიტომაც, ჩვენი უბადრუკობისა გამო, საღმრთო ნიჭს ხშირად ვერ შევიცნობთ, რადგან მშვენიერებას ხატისა, მსგავსად საძაგელი ნიღბისა, ხორციელი ვნებანი ფარავს. ასე რომ, რამდენადმე შენდობას იმსახურებენ ისინი, რომელნიც, ხედავენ რა ასეთებს, ადვილად არ თანხმდებიან იმაზე, რომ მათში ღმრთის ხატი არსებობს. მაგრამ ადამიანში ღმრთეებრივი ხატის დანახვა იმათი

საშუალებით შეიძლება, რომელნიც ცხოვრებას სწორად წარმართავენ; რადგანაც უკეთუ ვნებიანი და ხორციელი რწმენას დაგვიკარგავს იმისა, რომ კაცი საღმრთო მშვენიერებით იქნა შემკული, სათნოებით ამაღლებული და ბიწისაგან განწმენდილი ადამიანზე უკეთეს შეხედულებას უცილობლად დაგიმტკიცებს.

მაგალითად, – აზრის მაგალითებით დამტკიცება ხომ უკეთესია, – დაე, ვინმემ ბოროტებით ცნობილმა, მაგალითად, იექონიამ,[19] ან სხვა ვინმემ, ვინც ბოროტი საქმეებით გვახსენდება, სილამაზე ბუნებისა ბოროტების ბიწით დაფაროს, მაგრამ მოსესა და მსგავსთა მისთა შორის ხომ სახე ხატისა წმინდად იქნა დაცული.

ამგვარად, ისინი, რომელთა შორისაც მშვენიერება არ წაბილწულა, სარწმუნოობას ნათქვამისა, რომ კაცი ხატად ღმრთისა(𝔪𝔦𝔪𝔥𝔪𝔞)[20] დაიბადა, ნათლად ამტკიცებენ. მაგრამ შეიძლება ვინმეს შერცხვეს იმისა, რომ პირუტყვთა მსგავსად სიცოცხლეს ჩვენც ჭამით ვინარჩუნებთ და ამის გამო ადამიანი ღმრთის ხატად შექმნისათვის უღირსად მიიჩნიოს. დაე, მას ჰქონდეს სასოება იმისა, რომ ოდესმე, მომავალ ცხოვრებაში ბუნება ამ მსახურებისაგანაც განთავისუფლდება, „რამეთუ არა არს, – ამბობს მოციქული, – სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ“(რომ.XIV,17), ხოლო უფალმა ბრძანა: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“(მთ.4,4). რამდენადაც საიდუმლო აღდგომისა ჩვენს ცხოვრებას ანგელოზთა სწორად წარმოაჩენს, ხოლო ანგელოზებს საჭმელი არ აქვთ, ამდენად ადამიანის ამგვარი მსახურებისაგან განთავისუფლების დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ იგი ანგელოზთა მსგავსად იცხოვრებს.

თავი XIX

მათ მიმართ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ტკბობა მოსალოდნელ კეთილთაგან ისევ ჭამითა და სმით იქნება, რაღგან წერია, რომ დასაბამიდან სამოთხეში კაცი მათით ცხოვრობდა.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ადამიანი იმავე სახის ცხოვრებაში ვეღარ ავა, რადგანაც პირველად იძულებულნი ვიყავით გვეჭამა, ხოლო შემდგომად ამა ცხოვრებისა ამგვარი მსახურებისაგან განვთავისუფლდებით. ხოლო მე, ვისმენ რა წმინდა წერილს, არა მხოლოდ ხორციელ საზრდელსა და ხორცისმიერ სიხარულს ვგულისხმობ, არამედ რაღაც სხვა საზრდელიც ვიცი, რომელსაც რაღაც მსგავსება აქვს სხეულთან და რომლის გემოჲს ხილვასაც მხოლოდ სული მიაღწევს.

„ჭამეთ პური ჩემი“, – უბრძანებს სიბრძნე მშიერთ(იგავ.9,4); უფალიც ნეტარად რაცხს ამგვარი საზრდელისათვის მოშიებულებს(მთ.5,6) და ამბობს: „უკეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ“(ინ.7,37). დიდი ესაიაც,

[19] 4 მეფ. 24,9.

[20] აქ ვამჯობინეთ 𝔪𝔦𝔪𝔥𝔪𝔞, რომელიც სიტყვა-სიტყვით მიბაძვას, მსგავსებას, ბაძვის შედეგს ნიშნავს, ხატად გვეთარგმნა.

მათ, ვისაც მისი ამაღლებული აზრის წვდომა შეუძლია, უბრძანებს, „სუმიდენ მხიარულებით“(ეს.25,6). არსებობს ერთი წინასწარმეტყველური მუქარაც სასჯელის ღირსთა მიმართ, რომ ისინი შიმშილით დაისჯებიან, ხოლო მიზეზი შიმშილისა პურისა და წყლის მოკლება კი არ იქნება, არამედ უკმარისობა სიტყვისა: „არა სიყმილი პურისაჲ, – ამბობს, – არცა წყურილი წყლისაჲ, არამედ სიყმილი სმენად სიტყუაჲ უფლისაჲ“(ამოს.8,11).

ამრიგად, ღმრთის ნერგს, ედემსა შინა(ედემი ხომ ტკბობად ითარგმნება) მისი ღირსი ნაყოფის მოაზრება შეეფერება, რითაც უეჭველად ადამიანიც საზრდოობდა. სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ ეს განმავალი და განთხევადი საზრდელი სამოთხისეული ცხოვრებისთვისაც მოვიაზროთ. ითქვა: **ყოვლისაგან ხისა სამოთხისა შჭამოთ**(შესქ.2,16). ვინ აძლევს ძლიერ მოშიებულებს ამ ხეს, რომელიც სამოთხეში ყოველსავე კეთილს მოიცავს, რომელსაც სახელად **ყოველი** ეწოდება და რომელთან ზიარებითაც სიტყვა ადამიანს შვებას ანიჭებს? რამდენადაც ამ გვარეობითსა და მაღალ ცნებასთან ყოველი სახე კეთილისა განუყრელადაა შეერთებული, ამდენად **ერთი ყოველიც არის.**

მაგრამ ვინ მიმაქცევს მე სხვა, შერეული და ორმაგი ხის გემოჲსხილვისაგან? რადგან შედარებით შორსმჭვრეტელთათვის უეჭველად ნათელია, რა არის ეს **ყოველი,** რომლის ნაყოფიც სიცოცხლეა და რა კიდევ – შერეული იგი, რომლის დასასრულიც სიკვდილია. მან, ვინც უშურველად შესთავაზა კაცს **ყოველის** გემოჲსხილვა, სჯულითა და განგებულებით, იგი ნაზავთან ზიარებისაგან მტკიცედ განაყენა.

ვფიქრობ, ამ ცნების განმარტებისას მასწავლებლად დიდი დავითი და ბრძენი სოლომონი უნდა ავირჩიოთ, რადგან ორივენი ერთადერთ ნებადართულ ტკბობად თვით **ჭეშმარიტად კეთილს,** რომელიც არის კიდეც ყოველი სიკეთე, მიიჩნევენ. დავითი ამბობს: **იშუებდ უფლისა მიმართ**(ფს.36,4), ხოლო სოლომონი იმ სიბრძნეს, რომელიც თავად უფალია, ცხოვრების ხეს უწოდებს(იგავ.3,18).

ამრიგად, ერთი და იგივეა **ხე ცხოვრებისა და ხე ყოველი,** რომელსაც სიტყვა ღმრთის ხატად შექმნილს საზრდელად აძლევს. ამ ხეს უპირისპირდება სხვა ხე, რომლისგანაც საზრდელის მიღება კეთილისა და ბოროტის ცნობაა. იგი დასახელებულ დაპირისპირებულთაგან არა თითოეულისაგან ცალ-ცალკე, არამედ შერეულსა და შერწყმულ ნაყოფს გამოიღებს, საპირისპირო თვისებებით განზავებულს, რომლის ჭამასაც კრძალავს წინამძღვარი ცხოვრებისა, მაგრამ ურჩევს გველი, რათა სიკვდილს შემოსასვლელი განუმზადოს. და მრჩეველი ნდობას მოიპოვებს, რადგან ნაყოფი მშვენივრად და სასიამოვნოდ შეამკო, რათა შესახედავადაც მიმზიდველი ყოფილიყო და გემოს ხილვის სურვილიც აღეძრა.

თავი XX
როგორი იყო ცხოვრება სამოთხესა შინა და რა არის აკრძალული ხე.

ამგვარად, რა არის ის, რაც სიკეთისა და ბოროტების ცნობას შეერთებულად ფლობს და გრძნობისმიერ ტკბობათა მიერაა აყვავებული? მაგრამ ჩემი მისწრაფება ჭეშმარიტებას არ დაშორდება, თუ განხილვისათვის ამოსავალ წერტილად სიტყვა „ცნობადის“ შინაარსით ვისარგებლებ. ვფიქრობ, აქ წმინდა წერილი ცნობას(gnwsis) ცოდნად(შემეცნებად, epistήmhn) არ მოიაზრებს, არამედ მის სიტყვათხმარებაში ცოდნასა და გარჩევას შორის რამდენადმე სხვაობას ვპოულობ, რადგან ბოროტისაგან სიკეთის ცოდნით გარჩევა, როგორც მოციქული ამბობს, მხოლოდ სრულყოფილებსა და იმათ ხელეწიფებათ, რომელთაც გაწვრთნილი გრძნობები აქვთ.[21] ამიტომაც იძლევა ბრძანებას ყოველივეს გამოცდისა[22] და ამბობს, რომ გარჩევა სულიერთა თვისებაა.[23] ცნობა (gnwsis) ყველგან შემეცნებასა და ცოდნას არ აღნიშნავს, არამედ განწყობილებასაც(დამოკიდებულებასაც) სასურველისადმი, როგორც მაგალითად, **იცნის უფალმან**(ἔgnwn), **რომელნი-იგი არიან მისნი**(IIტიმ.2,19), და მოსეს ეუბნება: **გიცი შენ, უფროჲს ყოველთა**(IIსჯ.34,10?), ხოლო ბოროტებასა შინა გამოცდილს, რომელმაც ყოველნი უწყის, ეუბნება: **არა გიცნი**(ἔgnwn) **თქუენ**(მთ.7,23).

ამრიგად, ხე, რომლისგანაც შერეული ცოდნის ნაყოფი გამოიღება, აკრძალულთაგანია, ხოლო ამ ნაყოფს, რომელიც დაპირისპირებულთა ნაზავია, მცველად თვისად გველი ჰყავს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ბოროტება, როგორც ასეთი, შიშველი სახით არ წარმდგარიყო და საკუთარი ბუნება არ წარმოეჩინა. ბოროტება ხომ უმოქმედო აღმოჩნდებოდა, არანაირი სიკეთით რომ არ შემკულიყო, რაც ცდუნებულს ბოროტების ნდომით წარიტაცებს. რამდენადაც ბუნება ბოროტისა შერეულია, წარწყმედა, როგორც რაღაც დაფარული ცბიერება, სიღრმეში აქვს, ხოლო მატყუარა გარეგნობით მოჩვენებით სიკეთეს წარმოაჩენს.

ვერცხლისმოყვარეთ ნივთიერების კეთილფეროვნება ეჩვენებათ მშვენიერებად, მაგრამ ყოველთა ბოროტთა ძირი ვერცხლისმოყვარეობაა.[24] მყრალსა მწვირესა შინა სიძვისა ვინ ჩაეფლობოდა, ტკბობა რომ სასურველ რამედ არ მიეჩნია, ამ სატყუარათი ვნებისაკენ წარტაცებულს.

ასევე სხვა ცოდვანიც, რომელთაც დაფარული ხრწნილება აქვთ, თავდაპირველად სასურველად ეჩვენებიან მათ, რომელნიც რაღაც ტყუილისაგან

---

[21] „ხოლო სრულთაჲ არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა წესითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ განრჩევად კეთილისა და ბოროტისა“(ებრ.5,14).

[22] „ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ“(Iთეს.5,21).

[23] „ხოლო სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავინ განიკითხოს“(Iკორ.2,15). კონტექსტის მიხედვით, აქ განკითხვა სამართლის ქმნის, გარჩევის, განსჯის მნიშვნელობითაა გამოყენებული.

[24] „რამეთუ ძირი არის ყოველთა ბოროტთა ვეცხლის მოყუარებაჲ“(Iტიმ. VI,10).

ცდუნებულნი, ნაცვლად სიკეთისა, მათკენ მიისწრაფვიან. რადგანაც მრავალნი მშვენიერებად მიიჩნევენ იმას, რაც გრძნობებს ახარებს და ამასთან, ისიც შეიძლება, რომ ჭეშმარიტსა და მოჩვენებით სიკეთეს ერთი სახელი ჰქონდეს(ὄρεξις), ამიტომაც სურვილის აღძვრას ბოროტებისაკენ, ვითარცა სიკეთისკენ, წმინდა წერილის მიერ სიკეთისა და ბოროტების **ცნობა** ეწოდა. გაგებულია რა **ცნობა** რამდენადმე შეთავსებად და შეზავებად.

ნაყოფი აკრძალული ხისა, რომლის გემოჲსხილვაც, როგორც ნათქვამია, ვინც შეეხება, სიკვდილისკენ წაიყვანს, არც აბსოლუტურ ბოროტებად, რადგანაც იგი რაღაც სიკეთითაცაა შემკული და არც წმინდა სიკეთედ, რადგან ბოროტებითაა დაფარული, არამედ ორივესაგან ნაზავად იწოდება. ამით თითქმის ღიად აცხადებს იმ სწავლებას, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი სიკეთე ბუნებით მარტივი და ერთსახოვანია და უცხოა ყოველგვარი ორმაგობისა და დაპირისპირებულთა შეუღლებისათვის. ხოლო ბოროტება ჭრელია და შენიღბული, რათა სხვა რამედ ჩათვალონ, მაგრამ გამოცდილებით გაირკვეს, რომ სხვა რამ ყოფილა; მისი ცნობა, ანუ გამოცდილებით შეთვისება სიკვდილისა და ხრწნილების დასაბამი და საფუძველი ხდება.

ამიტომაც მიუთითებს გველი ცოდვის ბოროტ ნაყოფზე, მაგრამ ბოროტებას, რომელიც მას ბუნებით ჰქონდა, არ წარმოაჩენს, რადგან ადამიანი ცხადი ბოროტებით არ ცდუნდებოდა. არამედ, პირიქით, განაბრწყინა რა რამდენადმე გარეგნული მშვენებით და გემოჲსხილვისას მოხიბლა რა რაღაც გრძნობისმიერი ტკბობით, როგორც ამას წმინდა წერილი ამბობს, დედაკაცს სანდოდ ეჩვენა იგი: **და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხედვად და შუენიერ განცდად**(დაბ.3,6) და მიმღებელმა ნაყოფისა შეჭამა იგი. და საზრდელი ესე კაცთათვის დედა სიკვდილისა გახდა.

ამრიგად, აი, ეს არის შერეული ნაყოფიერება, რომლის მნიშვნელობასაც ნათლად განმარტავს სიტყვა, რომლის მიხედვითაც ხე იგი **სიკეთისა და ბოროტების ცნობად იწოდება**(შესქ.2,17). მსგავსად მომაკვდინებელი საწამლავისა, რომელიც თაფლითაა შემზადებული, რამდენადაც გრძნობას ატკბობს, იგი სიკეთედ ჩანს, ხოლო რამდენადაც შემხებელს ღუპავს, ყოვლისა ბოროტისა უბოროტესი ხდება. ამიტომ, როცა ბოროტმა საწამლავმა ადამიანის სიცოცხლეზე იმოქმედა, მაშინ ადამიანი – დიდი იგი საქმე და სახელი, ხატი ღმრთეებრივი ბუნებისა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი, **ამაოებასა მიემსგავსა**(ფს.143,4). ასე რომ, რაც კი ჩვენში უკეთესი მოიაზრება, ხატის კუთვნილებაა, ხოლო ყოველი, რაც ცხოვრებაში სამწუხარო და შესაჭირვებელია, ღმრთეების მსგავსებისაგან შორსაა.

თავი XXI

იმის შესახებ, რომ სასოებაა აღდგომისა არა იმდენად წიგნთა ქადაგებიდან უნდა გვქონდეს, რამდენადაც თვითონ საქმეთა უცილობელი მიმდევრობისაგან

მაგრამ ბოროტება იმდენად ძლიერი არაა, რომ სიკეთის ძალას აღემატოს. არც ჩვენი ბუნების უგუნურებაა უკეთესი და უფრო საიმედო ღმრთის სიბრძნეზე, რადგან შეუძლებელია, რომ მოქცევადი და ცვალებადი იმაზე, ვინც მარადის იგივეა და კეთილსა შინა განმტკიცებული, უფრო ძლიერი და მტკიცე იყოს. საღმრთო განზრახვა ყველგან და ყოველთვის უცვალებელია, ხოლო ცვალებადობა ჩვენი ბუნებისა მტკიცე არც ბოროტებასა შინა რჩება; უცილობლად მარადის მოძრავი სიკეთისაკენ მიმავალ გზასაც რომ დაადგეს, რამდენადაც საქმე კეთილსა შინა წარმატებისა ზღვარდაუდებელია, წინ სწრფვას არასოდეს შეწყვეტს, რადგან ვერ იპოვნის დასასრულს საძიებელისა, რომლის მიღწევითაც შეიძლებოდა ოდესმე მოძრაობისაგან დამდგარიყო. ხოლო უკეთუ იგი(კაცობრივი ბუნება) საწინააღმდეგოსაკენ მიიდრიკა, როცა ბოროტების სარბიელს დაასრულებს და ბოროტების უკიდურეს ზღვარს მიაღწევს, მარადიული მოძრაობა სწრაფვისა, ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იპოვნის რა ვერანაირ ღონეს დადგომისა და ასპარეზიც ბოროტებისა გარბენილი იქნება, მოძრაობას აუცილებლობით სიკეთისაკენ მიაქცევს. რადგანაც ბოროტების წინსვლა არა უსაზღვროა, არამედ უცილობელი საზღვრებითაა შემოსაზღვრული, შესაბამისად, ბოროტების ამ ზღვარს მემკვიდრედ სიკეთე მოსდევს.

ამრიგად, როგორც ითქვა, მარადიული მოძრაობა ჩვენი ბუნებისა ბოლოს კვლავ სიკეთის გზისკენ მიიქცევა, ოღონდ განცდილ უბედურებათა ხსოვნით განბრძნობილი, რათა მსგავს ტყვეობასა შინა ისევ არ ჩავარდეს. ასე რომ, ბოროტის ბუნების უცილობელი საზღვრებით შემოზღუდვისა გამო, ჩვენ ისევ გვექნება ასპარეზი სიკეთისა.

ვითარცა ბრძენნი და მაღლადმხედნი ამბობენ, მთელი სამყარო ნათლითაა აღსავსე, ხოლო სიბნელე ჩნდება ჩრდილისაგან, რომელიც იქმნება მაშინ, როცა დედამიწა მის წინ მდებარე სხეულს ეფარება. ამასთან, ამ სხეულის სფეროსებური ფორმისაგან მზის ბრწყინვალების საპირისპირო მხარეს ბნელი კონუსისებურადაა შემოზღუდული, მაგრამ რამდენადაც მზე დედამიწას სიდიდით რამდენიმეგზის აღემატება, მოიცავს რა მის სიმრგვალეს ყოველი მხრიდან თავისი სხივებით, სინათლის სხივებს კონუსის წვერზე აერთებს. ამგვარად, თუ ვივარაუდებთ, რომ ვინმეს ეყოფა ძალა გადალახოს მანძილი, რომელზეც ჩრდილია განფენილი, იგი უცილობლად ბნელისაგან განუკვეთელ ნათელში აღმოჩნდება.

ვფიქრობ, იგივე უნდა მოვიაზროთ ჩვენს შესახებაც; მივაღწევთ რა ბოროტების ზღვარსა და ცოდვის ჩრდილის დასასრულს, კვლავ ნათელსა შინა ვიცხოვრებთ, რადგან სივრცელე სიკეთის ბუნებისა ბოროტების საზომს დიდად აღემატება.

ამგვარად, ისევ სამოთხე, ისევ ხე იგი, რომელიც ცხოვრების ხეა, ისევ მადლი ხატოვნებისა და პატივი მთავრობისა; ოღონდ, ვფიქრობ, არა იმათ ზედა, რომელნიც ცხოვრების საჭიროებისათვის ადამიანებს ღმრთის განგებით ახლა ემორჩილებიან,[25] არამედ არსებობს სასოება რაღაც სხვა სამეფოსი, რომლის შესახებაც სიტყვა გამოუთქმელი რჩება.

თავი XXII

იმათ მიმართ, რომელნიც ამბობენ: უკეთუ აღდგომა კეთილია, რატომ არ მოხდა უკვე, არამედ შემდგომად ჟამთა რამდენიმე მოქცევისა ელოდებიან

მაგრამ მივყვეთ კვლევას, თანმიმდევრულად. შეასხამს რა გონებას ტკბილი იმედის ფრთებს, ის, რომ კეთილი იგი, რომელიც კაცობრივ გრძნობასა და ცოდნაზეც მეტია, მყისვე არ მიიღწევა, შეიძლება ვინმემ მძიმე ტვირთად და სასჯელად მიიჩნიოს და ხანგრძლივობა დროისა, რომელიც სასურველის ასრულებისაგან აშორებს, მისთვის აუტანელი გახდეს. მაგრამ დაე, ნუ შეშფოთდება მსგავსად ჩვილი ყრმებისა, რომელთაც საწადელი ტკბობის მიღებისას მცირე შეფერხებაც კი წყენას აყენებთ. რამდენადაც ყოველივეს სიტყვა და სიბრძნე განაგებს, არაფერი იმისაგან, რაც ხდება, ამ სიტყვისა და სიბრძნისათვის, რომელიც მასშია, უცხოდ არ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ შენ შემეკითხები: რა კანონია ეს, რომლის მიხედვითაც ამ მწუხარე ცხოვრებიდან სასურველში გადასვლა მყისვე არ ხდება, არამედ ეს მძიმე და ხორციელი ცხოვრება განსაზღვრული დროის განმავლობაში გრძელდება და ყოველივეს აღსრულების დასასრულს ელოდება, რათა კაცობრივი სიცოცხლე, ვითარცა აღვირისაგან განთავისუფლებული, ისევ დამოუკიდებელი და თავისუფალი, ნეტარსა და უვნებო ცხოვრებას დაუბრუნდეს? მაგრამ უახლოვდება თუ არა ჩვენი სიტყვა საძიებელ ჭეშმარიტებას, ეს ცხადად თავად ჭეშმარიტებამ უწყის, ხოლო რაც ჩვენ აზრად მოგვივიდა, ამგვარია: ისევ პირველ სიტყვას ვუბრუნდები: **ვქმნეთ,** – ამბობს ღმერთი, **– კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა... და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად ღმრთისა შექმნა იგი**(შესქ.I,26-27).

ამგვარად, ღმრთის ხატი, რომელიც მთელ კაცობრივ ბუნებაში იხილვება, გასრულდა, მაგრამ ადამი დაბადებული ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო ადამად, როგორც ებრაული ენის მცოდნენი ამბობენ, ეტიმოლოგიური სახელდებით მიწიერი ქმნილება იწოდება. ამიტომაც მოციქული, რომელსაც ისრაელიანთა მშობლიური ენა განსაკუთრებით კარგად ჰქონდა შესწავლილი, თითქოს სახელს – ადამი – ელინურ ენაზე თარგმნის, როცა ადამიანს მიწისაგანსა და მტვერს უწოდებს.[26]

ამრიგად, ხატად ღმრთისა დაიბადა კაცი, მთელი მისი ბუნება, ქმნილება

[25] იგულისხმება ცხოველები, რომელნიც ადამიანებს ემსახურებიან.

[26] პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ...(Iკორ.XV,47).

– მსგავსი ღმრთისა; დაიბადა ყოვლისშემძლე სიბრძნით არა ნაწილი მთელისა, არამედ მაშინვე მთელი სისავსე ბუნებისა. იცოდა ყოველთა საზღვართა მპყრობელმა, ვის შესახებაც ამბობს წმინდა წერილი: **ჴელსა შინა მისსა არიან კიდენი ქუეყანისანი**(ფს.94,4), იცოდა მან, ვინც უწყის **ყოველნი პირველ ქმნისა მათისა**(დან.XIII,42), რა რიცხვს მიაღწევდა კაცთა მოდგმა და რადგანაც ჩვენს არსებაში ბოროტისკენ მიდრეკილებაცა და ისიც გულისხმაყო, რომ იგი, ანგელოზთა სწორ პატივს ნებსით განშორებული, სიმდაბლესთან ზიარებასაც შეითვისებდა, საკუთარ ხატს რაღაც პირუტყვულისაგანაც შეჰრთო. რადგანაც ღმრთეებრივსა და ნეტარ ბუნებაში არ არის სხვაობა მამაკაცისა და დედაკაცისა, არამედ გადაიტანა რა ადამიანზე პირუტყვის აგებულების დამახასიათებელი თვისება, ამ მოდგმას ქმნილების სიმაღლისათვის არაშესაფერისი გამრავლების უნარი მისცა. კაცს ხომ ძალა აღორძინებისა და გამრავლებისა არა მაშინ უბოძა, როცა ხატად შექმნა, არამედ, როცა მამაკაცად და დედაკაცად განყო, მაშინ უთხრა: **აღორძნდით და გამრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ**(შესქ.I,28); რადგან ეს არა საღმრთო ბუნების თვისებაა, არამედ პირუტყვისა, რაზეც ისტორიაც მიგვანიშნებს, როცა თავდაპირველად მოგვითხრობს პირუტყვებზე, რომელთაც ღმერთმა იგივე უთხრა. ღმერთს რომ ამავე ბრძანებით ადამიანისათვის ძალა აღორძინებისა მანამდე მიეცა, ვიდრე მისი ბუნების მამაკაცად და დედაკაცად გაყოფა მოხდებოდა, შობის იმგვარი სახე არ დაგვჭირდებოდა, როგორითაც პირუტყვები იბადებიან.

ამრიგად, წინასწარმცნობელითა ძალითა თვისითა წინასწარ გულისხმაჰყო რა სავსება კაცთა, რომელიც მომავალში ცხოვრებასა შინა ცხოველური შობით შემოვიდა, რამდენადაც ჩვენი ბუნების სიმდაბლისაკენ მიდრეკამ ამგვარი სახე შობისა საერთოდ კაცობრიობისათვის უცილობელი გახადა, რასაც ჯერ კიდევ შობამდე წინასწარ ჭვრეტდა ის, ვინც მომავალს როგორც აწმყოს, ისე ხედავს, ამიტომ ღმერთმა, რომელიც ყოველივეს წესრიგითა და ჰარმონიით განაგებს, შესწორებული ჟამი წინასწარ მოიაზრა, ისე, რომ დროის ხანგრძლივობა განსაზღვრული სულების შემოსვლისათვის საკმარისი ყოფილიყო და მოძრაობა დროის დინებისა მაშინ დამდგარიყო, როცა მასში კაცი აღარ დაიბადებოდა; ხოლო რაჟამს დასრულდება შობა ადამიანთა, მასთან ერთად დასრულდება დროც, ამგვარად მოხდება განახლება ყოველივეს პირველსაფუძვლისა და მთელის შეცვლასთან ერთად შეიცვლება კაცობრივიც – ხრწნადისა და მიწიერისაგან უვნებოდ და მარადიულად.

ვფიქრობ, ამას გულისხმობდა ღმრთეებრივი მოციქული, წინასწარმეტყველებდა რა კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში უეცარ დადგომაზე დროისა და მოძრავთა უკუმიქცევაზე, როცა ამბობს: **აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ მეყსა შინა წამსა თუალისასა უკუანაჲსკნელითა მით საყვირითა**(Iკორინ. XV,51-52). რადგან, როგორც ვფიქრობ, როცა სავსება კაცობრივი ბუნებისა

წინასწარცნობილი ზომის ზღვარს მიაღწევს და სულთა რიცხვს გასაზრდელად ერთიც არ დააკლდება, მეყსეულად მოხდება შეცვლა არსებულთა, როგორც გვასწავლის [მოციქული], უწოდებს რა ამ ზღვრულ დროს, რომელიც არც განიზომება და არც გრძელდება, **განუყოფელსა** და **მეყსა შინა წამსა თუალისასა;** იმიტომ, რომ ვერავინ, ვინც დროის უკანასკნელსა და უკიდურეს მწვერვალს მიაღწევს, რომლის შემდეგაც აღარაფერია დარჩენილი, ვერ შეძლებს სიკვდილით მოიპოვოს დროში ცვლილება, ვიდრე არ გაისმება ხმა აღდგომის საყვირისა, გამღვიძებელი მკვდართა, და ცხოვრებათა შინა დარჩენილნიც, მსგავსად აღდგომის მიერ განახლებულთა, უხრწნელებად შეიცვლებიან. ასე რომ, სიმძიმე ხორცისა ქვე ველარ დაზიდავს მას. და ვერც ტვირთი დაიჭერს დედამიწაზე, არამედ ჰაერსა ზედა ატაცებული, იფრენს. **აღვიტაცნეთ,** ამბობს მოციქული, **ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერსა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფვოდით**(Iთეს.IV,17). ასე რომ, დაელოდონ გასვლას დროისა ადამიანის გაზრდამდე; აბრაამსაც და მამამთავრებსაც ხომ ჰქონდათ სურვილი კეთილის ხილვისა, მაგრამ მაძიებელთა ვერ მიაღწიეს ზეციურ სამშობლოს(ებრ.11,13-16); მაგრამ, მიუხედავად ამისა, მადლისთვის კიდევ უფრო სასოობდნენ, როგორც მოციქული ამბობს: **ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინასწარ განიგულა,** პავლეს გამოთქმით, **რათა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ**(ებრ.13,40).

ამგვარად, უკეთუ(ზოგიერთნი) ამ შეყოვნებას ითმენენ, მხოლოდ რწმენითა და სასოებით, **შორით იხილნეს რა კეთილნი იგი და მოიკითხნეს,** როგორც ამბობს პავლე მოციქული(ებრ.XI,13) და უეჭველობას მოსალოდნელი შვებისა იმაზე ამყარებენ, რომ აღთქმულს სარწმუნოდ მიიჩნევენ, რა უნდა ქნას მრავალმა ჩვენგანმაც, რომელთაც, თუკი ცხოვრების მიხედვით განვსჯით, შეიძლება სასოებაც კი აღარ ჰქონდეთ უკეთესისა. დაღლილია სურვილისაგან სულიც წინასწარმეტყველისა და ამ ვნებას ღმრთეებრივი სიყვარულის[27] გალობით აღიარებს, როცა ამბობს, რომ **ჰსურის და მოაკლდების სულსა** მისსა **ეზოთა მიმართ უფლისათა**(ფს.83,2). თუნდაც **მივრდომაჲ**(ფს.83,10) მისი უკანასკნელთა შორის იყოს, რადგან იქ უკანასკნელთა შორის ყოფნა უფრო დიდია და უფრო საპატიო, ვიდრე პირველობა **საყოფელთა ცოდვილთასა**(ფს.83,10) ამ ცხოვრებაში. მაგრამ მან დაითმინა შეყოვნება, თუმცა ნეტარად რაცხდა იქაურ ყოფას და მასთან ხანმოკლე ზიარებას აქაურ ათას წელს ამჯობინებდა. **შჯობს,** – ამბობს, **– დღე ერთი ეზოთა შინა შენთა უფროჲს ათასთა მათ**(83,10), სამდურავს არ გამოხატავდა არსებულთა შესახებ უცილობელი განგებულების გამო და ადამიანთა ნეტარებისათვის თუნდაც სასოება კეთილთა მიმართ საკმარისად მიაჩნდა. ამიტომაც ამბობს ამ ფსალმუნის დასასრულს: **უფალო, ღმერთო**

[27] τὸ ἐρωτικὸν τοῦτο πάθος – აქ ἐρωτικὸν ღმრთეებრივ სიყვარულს ნიშნავს. საკითხი ღმრთეებრივი ეროსისა(სიყვარულისა), რომელიც განღმრთობილთა თვისებაა, გრიგოლ ნოსელს უფრო ვრცლად იმ თხზულებაში აქვს, რომელიც მან ძველი აღთქმის წიგნის – „ქებათა ქების“ განმარტებას მიუძღვნა. ამ შემთხვევაში ღმრთეებრივი ეროსი ვნებად იმ მტანჯველი მდგომარეობიდან გამომდინარე სახელდება, რომელსაც ადამიანს ღმერთთან შეერთების წყურვილი განაცდევინებს.

ძალთაო, ნეტარ არს კაცი, რომელი გესავს შენ(ფს.83,12).

ამრიგად, არც ჩვენ გვმართებს წუხილი მოსალოდნელ კეთილთა ხანმოკლე შეყოვნებისა გამო, არამედ გულმოდგინება უნდა გვქონდეს, რომ მისთვის უღირსნი არ გამოვდგეთ. რადგან, უკეთუ ვინმე გამოუცდელს წინასწარ ეტყვის, რომ მკისას ნაყოფი შეიკრიბება, ბეღლები აივსება და ტაბლაც ამ სიუხვის ჟამს მიწოდებულით დაიხუნძლება, თავქარიანი იქნება ის, ვინც ამ ჟამის დადგომის დაჩქარებას მოისურვებს, მაშინ, როცა ჯერ თესლის დათესვისა და მოსავლის მომზადებისთვის უნდა იზრუნოს. გვსურს თუ არ გვსურს, ეს დრო ხომ მაინც უცილობლად მოვა, როცა მისი ჯერი დადგება, მაგრამ, ერთნაირად ვერ იხილავენ მას ის, ვინც თავისთვის უხვი მოსავალი წინასწარ მოამზადა და ის, ვინც ყოველგვარი მომზადების გარეშე ამ ჟამისათვის ხელცარიელი დარჩა.

ამრიგად, ვფიქრობ, რამდენადაც ღმრთეებრივი ქადაგებიდან ყველასათვის ცხადია, რომ დადგება დრო განახლებისა, საჭიროა არა გამოკვლევა ჟამთა[28](რამეთუ **არა** ჩვენი **არს,** როგორც ნათქვამია, **ცნობაჲ ჟამთაჲ და წელთაჲ.** – საქმ.1,7) და არც გამოძიება რაღაც დასკვნებისა, რომლითაც ვინმე სულში აღდგომის სასოებას შეასუსტებს, არამედ რწმენით მომედგრება(განმტკიცება) მოსალოდნელის მიმართ და კეთილი მოქალაქეობით მოვაჭრება მომავალი ნეტარებისა.

თავი XXIII

იმის შესახებ, რომ, ვინც სამყაროს შეჭმნის დასაბამს აღიარებს, მის დასასრულსაც უცილობლად დაეთანხმება

უკუეთუ ვინმე, ვინც ახლა ხედავს რა სამყაროს მოძრაობას, რომელიც რამდენადმე უწყვეტად აღესრულება და რომლითაც დროის ხანგრძლივობა განიჭვრიტება და არ დაეთანხმება წინასწარ თქმულს იმის თაობაზე, რომ მოძრავთა დადგომა მოხდება, ცხადია, მას არც ის სწამს, რომ დასაბამად ცა და დედამიწა ღმრთის მიერ შეიქმნა. ვინც მოძრაობისთვის დასაბამის მიცემას გულისხმაყოფს, რაღა თქმა უნდა, არც დასასრულზე ეჭვობს; ხოლო ვინც დასასრულს არ შეიწყნარებს, არ შეიწყნარებს დასაბამსაც. ამიტომ ვითარცა გვწამს დამტკიცება **საუკუნეთა სიტყუთა ღმრთისაჲთა,** როგორც მოციქული ამბობს, **არა საჩინოჲსაგან ხილულად შექმნულად**(ებრ.XI,3), ამავე სარწმუნოებით მივუდგეთ ღმრთის სიტყვასაც, რომლითაც არსებულთა დადგომაზე წინასწარ გვაცნობა, რადგან ის, თუ ეს როგორ მოხდება, კვლევა-ძიებას არ ექვემდებარება.[29] იქაც ხომ გავექეცით გამოძიებას მიუწვდომელთა, რწმენით მივიღეთ რა დამყარება ხილულისა ჯერ კიდევ უჩინართაგან; და ეს მაშინ, როცა გონება ჩვენ ბევრ რამეს საეჭვოდ წარმოგვიდგენდა და ცოტა მიზეზს როდი გვაძლევდა ეჭვის შესატანად იმაში, რაც ვირწმუნეთ. თუმცა იქაც, კამათის მოყვარულთ, შესაძლებელი იყო,

[28] იგულისხმება გამოძიება იმისა, თუ როდის მოვა ეს დრო.
[29] იგულისხმება გამოძიება იმისა, თუ როდის მოვა ეს დრო.

მაცდუნებელი სიტყვებით რწმენა ისე დარღვეოდათ, რომ ჭეშმარიტებად აღარ მიეჩნიათ სწავლება ნივთიერთა შექმნაზე, რასაც წმინდა წერილი გვასწავლის, სახელდობრ, რომ ყოველთა არსებულთა წარმოშობა ღმრთისაგანაა.

საპირისპირო სწავლების დამცველნი ცდილობენ მატერია თანადაუსაბამოდ ღმრთისა წარმოადგინონ და ამგვარი სწავლების დამტკიცებისათვის ლოგიკურ დასკვნებს იყენებენ. უკეთუ ღმერთი ბუნებით მარტივი და არამატერიალურია, უთვისებო, სიდიდის არ მქონე, შეუდგენელი და გარეშემოწერილი ფორმისათვის უცხო, ხოლო ყოველი ნივთიერება სივრცობრივი მანძილითაა შემოსაზღვრული და გრძნობისმიერ აღქმას ვერ გაექცევა, რადგან ფერით, ფორმით, მოცულობით, რაოდენობით, სიმტკიცით და მისი სხვა თვისებების ჭვრეტით შეიცნობა, რომელთაგან ღმრთეებრივ ბუნებაში არცერთის მოაზრება არ შეიძლება, არანივთიერისაგან ნივთიერი რა საშუალებით შეიქმნა? ხოლო უსივრცოსაგან კი – სივრცის მქონე ბუნება? თუკი ვირწმუნებთ, რომ ესენი ღმრთისაგან წარმოიშვა, ცხადია, რაც მასში არსებობდა, გამოუთქმელი კანონით ყოფიერებაში ამგვარად მოვიდა. მაგრამ უკეთუ მასში რაღაც ნივთიერი იყო, როგორღა არის უნივთო ის, ვისაც თავისთავში ნივთიერი აქვს? იგივე უნდა ითქვას სხვა დანარჩენზეც, რომელთა მიერაც ნივთიერი ბუნება ხასიათდება. უკეთუ ღმერთში რაოდენობაა, ღმერთი რაოდენობის გარეშე როგორ არის? უკეთუ იგი შედგენილია, მარტივი, უნაწილო და შეუდგენელი როგორ იქნება?

ამრიგად, გონება, აუცილებლობიდან გამომდინარე, გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ღმერთი ან ნივთიერია, რადგან მისგან ნივთიერი წარმოიშვა, ან კიდევ, ვისაც სურს ამას გაექცეს, უცილობლად უნდა ივარაუდოს, რომ მას სამყაროს მოსაწყობად მატერია გარედან მიეწოდა. მაგრამ უკეთუ იგი[30] გარეშე ღმრთისა იყო, მაშინ, რაღა თქმა უნდა, გარდა ღმრთისა, სხვა რამეც ყოფილა, რომელიც მარადიულობის გაგებასთან მიმართებაში არსებულთან ერთად დაუბადებლად მოიაზრება. მაშასადამე, გონებით ერთმანეთის გვერდი-გვერდ ორი დაუსაბამო და დაუბადებელი წარმოიდგინება: ერთი – ხელოვნებით მოქმედი და მეორე – შემწყნარებელი ამ ხელოვანის მოქმედებისა.

უკეთუ ვინმე, აუცილებლობით ამისა, ივარაუდებს, რომ ნივთიერება ყოველთა შემოქმედის თანადაუსაბამოა, ეს მანიქეველი საკუთარი სწავლების დასაცავად ისეთს რას იპოვის, რომ დაუბადებლობის გამო კეთილ ბუნებას ნივთიერი მიზეზი დაუპირისპიროს? მაგრამ მოვისმინეთ რა ჩვენ რას ამბობს წმინდა წერილი, ვირწმუნეთ, რომ ყოველივე ღმრთისაგანაა, ხოლო როგორ იყო ყოველივე ღმერთში, ეს ჩვენს გონებას აღემატება და მისი გამოძიება ამაო გულმოდგინება იქნება, გვწამს რა, რომ ღმრთეებრივი ძალით ყველაფერი შესაძლებელია – არარსებულის ყოფიერებაში მოყვანაცა და არსებულისთვის თვისებების მინიჭებაც, ვითარცა ინებებს.

გამომდინარე აქედან, ვაღიარებთ რა საკმარისად ძალას ღმრთის ნებისა,

[30] ე. ი. მატერია(მთგ.).

როგორც არარსებულთაგან არსებულთა შესაქმნელად, ასევე შექმნილთა განახლებაც იმავე ძალასთან აღგვყავს, არაფერს ვვარაუდობთ გარეშე სარწმუნოებისა, მაგრამ შეიძლება, შესაძლებელი იყოს ვრცლადმეტყველებით რამდენადმე დარწმუნება იმათი, რომელნიც მატერიის შესახებ ცუდად ლაყბობენ; გვერდს არც ამას ავუვლით, რათა არ მოეჩვენოთ, რომ სიტყვა შემოგვაკლდა.

თავი XXIV

პასუხი მათ, რომელნიც ამბობენ, რომ მატერია თანაღაშაბამოა ღმრთისა

რაც გონების მიერ თანმიმდევრულად გამოიძიება, იმის საზღვრებს გარეთ მატერიის შესახებ არც ის შეხედულებაც ჩანს, რომლის თანახმადაც იგი გონით საწვდომისა და არანივთიერისაგან წარმოიშვა; რადგან აღმოვაჩენთ, რომ ყოველი მატერია რაღაც თვისებებისაგან შედგება, რომელთაგან თუ განიძარცვა, თავისთავად გონებით მისაწვდომი ვერაფრით იქნება. ყოველი სახე თვისებისა მის ქვეშე მყოფისაგან(ὑποκειμένου) სიტყვითაა გამოყოფილი.[31] ხოლო სიტყვა გონიერია და არა სხეულებრივად სახილველი. მაგალითად, როცა განსახილველი საგანი ცხოველი, ხე ან სხვა რამეა, რომელსაც ნივთიერი შედგენილობა აქვს, ბევრ რამეს მის შესახებ გონებით ერთმანეთისაგან განყოფილად წარმოვიდგენთ, რომელთაგან თითოეულს ერთობლივად განჭვრეტილთან შეურევნელი თავისი სიტყვა(ცნება) აქვს. სხვაა სიტყვა ფერისა და სხვა – სიმძიმისა და კიდევ: სხვა რაოდენობისა და სხვა შეხებით აღსაქმელი თვისებისა; არც სირბილე, არც სიგრძე[32] და არც დანარჩენი სხვა დასახელებულთაგან, სიტყვის(ცნების) მიხედვით, არც ერთმანეთსა და არც თავად სხეულს არ თანხვდება, რადგან ამ თვისებათაგან თითოეულისათვის, იმის მიხედვით, როგორიცაა, საკუთარი განმარტებითი განსაზღვრება მოიაზრება და მას არაფერი აქვს საერთო სხვა რომელიმე თვისებასთან, რომელიც საგანში იხილვება. ამრიგად, უკეთუ ფერი გონებაჭვრეტითია, გონებაჭვრეტითნი არიან, აგრეთვე, რაოდენობაცა და ამგვარ თვისებათაგან სხვა დანარჩენნიც. ხოლო უკეთუ თითოეული მათგანის საგანთან განშორებასთან ერთად სხეულის მთელი გაგებაც(λόγος) ირღვევა, შესაბამისად, რომელთა მოკლებაც სხეულის რღვევის მიზეზად ვიპოვეთ, იმათი ერთად შეკრება ნივთიერი ბუნების მშობლად უნდა გულისხმავყოთ.

ასე რომ, სხეული არ არის, ის რასაც არა აქვს ფერი, ფორმა, მდგრადობა, მოცულობა, სიმძიმე და სხვა დანარჩენი თვისებები, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე არა თუ სხეული არ არის, არამედ თავისთავად რაღაც სხვა რამეა, მისგან განსხვავებული; და პირიქით: სადაც დასახელებული თვისებები შეიკრიბება, იქ სხეულებრივი არსება(ὑπόστασιν) წარმოიქმნება.

მაგრამ უკეთუ გულისხმისყოფა ამ თვისებათა გონებაჭვრეტითია, გონე-

[31] შდრ. არისტოტელეს სწავლებას მატერიაზე, როგორც თვისებათა სუბსტრატზე.

[32] დედანში დასახელებულია სიგრძის კონკრეტული ერთეული, სახელდობრ, τὸ δίπηχυ – ორწყრთა.

ბაჭვრეტითია ღმრთეებრივი ბუნებაც; ამიტომ არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ ეს გონიერი მიზეზები(საწყისები) სხეულთა დაბადებისათვის უსხეულო ბუნებისგან წარმოიშვნენ. გონებაჭვრეტითი ბუნებისაგან გონებაჭვრეტითი ძალები წარმოდგება, ხოლო მათი ერთმანეთთან შეკრებით ყოფიერებაში ნივთიერი ბუნება მოიყვანება. მაგრამ ამას ჩვენი გამოკვლევა, დაე, გაკვრით შეეხოს, ჩვენი სიტყვა კი კვლავ სარწმუნოებას დაუბრუნდეს, რომლისაგან ყოველივეს არარსისგან არსად მოყვანება შევიწყნარეთ და კიდევ: წმინდა წერილისაგან განსწავლულებს ეჭვი არ გვეპარება, რომ ყოველივე რაღაც სხვა მდგომარეობისათვის შეიცვლება.

თავი XXV

როგორ უნდა მივიყვანოთ ვინმე გარეშეთაგან რწმენამდე წმინდა წერილისა, რომელიც აღდგომის შესახებ ასწავლის

შეიძლება ვინმემ, ვინც დარღვეულ სხეულებს ხედავს და ღმრთეებაზე საკუთარი ძალის მიხედვით მსჯელობს, თქვას, რომ სწავლება აღდგომის შესახებ დაუჯერებელია და იმის მტკიცება დაიწყოს, რომ დადგომა მათი, რომელნიც ახლა მოძრაობენ და მოძრაობისათვის აღძვრა მათი, რომელნიც ახლა უძრავნი არიან, მიუღებელია. მაგრამ, დაე მისთვის აღდგომის ჭეშმარიტების მტკიცებულებად მის შესახებ ქადაგების სარწმუნოობა გახდეს, ხოლო სარწმუნოობა ნათქვამისა, დანარჩენ წინასწარმეტყველებათაგან გამომდინარე, უეჭველია. რამდენადაც საღმრთო წერილი მრავალსა და სხვადასხვაგვარ სიტყვას წარმოგვიდგენს, შესაძლებელია სიცრუე ან ჭეშმარიტება აღდგომაზე სწავლებისა სხვა დანარჩენ ნათქვამთა განხილვით გავიაზროთ. რადგან, უკეთუ დანარჩენი სიტყვები სიცრუეა და როგორც ჭეშმარიტების საწინააღმდეგონი, ისე იმხილებიან, რაღა თქმა უნდა, გარეშე ტყუილისა არც ეს სწავლება იქნება; ხოლო თუ გამოცდილება სხვა დანარჩენის სიმართლეს დაამოწმებს, აქედან გამომდინარე, შესაბამისად წინასწარმეტყველებაც აღდგომის შესახებ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, წინასწარ უწყებულთაგან ერთი ან ორი გავიხსენოთ და ნაწინასწარმეტყველებს შედეგი შევადაროთ, რათა მათ მიერ შევიცნოთ – ეს სწავლება ჭეშმარიტია თუ არა.

ვინ არ იცის, როგორ ჰყვაოდა ძველად ისრაელი ხალხი და როგორ უპირისპირდებოდა მსოფლიოს ყველა სამეფოს? როგორი სამეფო სასახლენი იყო იერუსალიმში? როგორი ზღუდენი? როგორი გოდოლნი და დიდებული ნაგებობა ტაძრისა? ყოველივე ამას უფლის მოწაფენიც გაოცების ღირსად მიიჩნევდნენ და მოისურვეს რა, რომ მათთვის ყურადღება მასაც მიექცია, უთხრეს: **რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაჲ**(მრკ.XIII,1). ხოლო უფალი ახლანდელით განცვიფრებულებს ამ ადგილის მომავალ მოოხრებასა და ამ სილამაზის გაქრობას აჩვენებს, როცა ეუბნება, რომ ცოტა ხანში იმისაგან, რაც ჩანს, აღარაფერი დარჩება.

ასევე, ჟამსა ვნებისასა უფალს დედაკაცები შეუდგნენ, რომელნიც მის უსამართლო განაჩენს დასტიროდნენ, რადგან ღმრთეებრივ განგებულებას იმისა, რაც ხდებოდა, ჯერ კიდევ ვერ განიცდიდნენ. უფალმა რამდენადაც ის, რაც მის თავს ხდებოდა, ცრემლების ღირსი არ იყო, მათ დადუმება და გოდებისა და ტირილის ჭეშმარიტად საგოდებელი დროისათვის გადადება ურჩია, როცა ქალაქი მტრის ალყაში იქნებოდა და ტანჯვა ისეთი აუტანელი გახდებოდა, რომ ნეტარად ჩაითვლებოდა ის, ვინც არ იშვა. ამასთან, შვილთა შეჭმის დასაწყევლი სიბილწეც წინასწარ აუწყა და თქვა, რომ მათ დღეთა შინა **ნეტარი** იქნებოდა **მუცელნი, რომელთა არა შვნეს**(ლკ.XXIII,29).

აწ სადღა არიან სასახლენი სამეფონი? სადაა ტაძარი? სად – ზღუდენი? სად არის დამცველნი გოდოლნი? სადაა სამეფო ისრაელიანთა? განა თითქმის მთელს მსოფლიოსა შინა არ არიან ისინი განთესულნი, ერთნი – აქ, ხოლო მეორენი სხვა ადგილას? და ამ მოოხრებისაგან განა სამეფო სასახლენიც არ იავარიქმნა?

მე მეჩვენება, ამასა და სხვა ამის მსგავსზე უფალმა წინასწარ აუწყა არა თავად მოვლენათა გამო(რას არგებდა მსმენელებს წინასწარმეტყველება, რომელიც უცილობლად ასრულდებოდა, და წინასწარი ცოდნის გარეშეც, გამოცდილებით შეიცნობდნენ, რაც მოხდებოდა), არამედ იმისთვის, რომ შემდეგში მათ მიერ მნიშვნელოვანი რამ ერწმუნათ, რადგან დადასტურება საქმეთაგან ერთისა, დამოწმებაა მეორის ჭეშმარიტებისა.

უკეთუ ვინმე მიწათმოქმედს, რომელიც თესლთა ძალას განმარტავს, ისე მოუხდება, რომ მიწათმოქმედებაში გამოუცდელი მისას არ ირწმუნებს, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად საკმარისი იქნება საწყაულში მდებარე თესლთაგან წარმოჩენა ერთი მარცვლის ძალისა, რათა თავმდებად დანარჩენებსაც დაუდგეს. რადგან ვინც იხილა ძალა სავსე საწყაულისაგან ერთი მარცვალი ხორბლისა, ქერისა ან სხვა რომელიმესი, შემდგომად ხნულში ჩაგდებისა, როგორ იქცა თავთავად, ამ ერთის გამო, აღარც დანარჩენთა ძალის მიმართ დარჩება ურწმუნო. ვფიქრობ, აღდგომის საიდუმლოს დასამოწმებლად ასევე საკმარისია სხვა დანარჩენ ნათქვამთა ყველასაგან აღიარებული ჭეშმარიტება და კიდევ უფრო მეტად – გამოცდილება თვითონ აღდგომისა, რაც იმდენად არა სიტყვით, რამდენადაც საქმეთაგან ვისწავლეთ.

რამდენადაც სასწაული აღდგომისა დიდია და რწმენაზე მაღალი, უფალმა სასწაულქმედებანი უმდაბლესიდან დაიწყო და ჩვენი რწმენა უფრო და უფრო დიდ სასწაულებს თანდათანობით შეაჩვია. ვითარცა დედა ჩვილს ჯერ ძუძუს აწოვებს და ვიდრე პირი მისი ნაზია და რბილი, რძეს საწოვარათი აძლევს, ხოლო შემდგომად გაზრდისა და კბილების ამოსვლისა, პურს აწვდის, ოღონდ არა ხმელსა და ცუდად გამომცხვარს, რათა საკვების სიმაგრემ ნაზი და შეუჩვეველი ღრძილები არ დაუზიანოს, არამედ ჯერ საკუთარი კბილებით ღეჭავს, რათა იგი მიმღების ძალის თანაზომიერად და შესაფერისად აქციოს, მერე

კი, შესაბამისად ძალების გაზრდისა, რბილ საკვებს შეჩვეულ ჩვილს უფრო და უფრო მაგარი კერძით ასაზრდოებს, ასევე უფალიც კაცობრივ სულმოკლეობას, ვითარცა არასრულყოფილ ჩვილს, სასწაულებით კვებავს და ასაზრდოებს; თავდაპირველად, დასაბამად აღდგომისა ძალა უიმედო სნეულებაზე წარმოაჩინა; თუმცა ეს დიდი საქმე იყო, მაგრამ არა იმგვარი, რომ, რაც მასზე ითქვა, დაუჯერებელი ყოფილიყო. შერისხა რა ძლიერი ცხელება, რომლითაც სიმონის სიდედრი იწვოდა, მძიმე მდგომარეობა სნეულისა ისე შეცვალა, რომ იგი, ვის სიკვდილსაც ელოდნენ, წამოდგა და იქ მყოფთა სამსახურს შეუდგა. შემდეგ უფალმა ეს ძალა მცირედ გაზარდა სამეუფო კაცის ვაჟის მიმართ, ვინც ყველას აღიარებით სასიკვდილო სარეცელზე იწვა(ისტორია მოგვითხრობს, რომ მამამ, რომელიც უკვე მის აღსრულებას ელოდა, უფალს შეჰღაღადა: **მოვედ პირველად მოსიკუდილადმდე ყრმისა**) და აღადგინა იგი, ვის შესახებაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოკვდებოდა. ეს სასწაული უფრო დიდი ძალით აღასრულა, რადგან ვიდრე სნეულის სამყოფელს მიუახლოვდებოდა, ბრძანების ძალით, სიცოცხლე შორიდან მიუვლინა(ინ.4,49-50). და ასე, თანდათანობით უფრო და უფრო მაღალ სასწაულებამდე აღვიდა. შესაკრებლის(სინაგოგის) მთავრის ასულისაკენ რომ მიემართებოდა, გზაზე განზრახ შეყოვნდა, რათა წიდოვანი განეკურნა, დაფარული განეცხადებინა და ამასობაში სნეულზე სიკვდილსაც ემძლავრა; ხოლო მაშინ, როცა სული სხეულს განეშორა და თავზარდაცემულნი მოწევნული უბედურებისა გამო, ტირილით გოდებდნენ, ბრძანების სიტყვით, ქალწული, ვითარცა ძილისაგან, სიცოცხლისათვის აღადგინა.[33] ამ გზითა და თანმიმდევრობით კაცობრივი უძლურება უფრო მნიშვნელოვანისაკენ აღიყვანა.

შემდეგ ამ სასწაულზეც ამაღლდა და აღდგომის რწმენისაკენ გზა ადამიანებს უმაღლესი ძალით გაუკვალა. წმინდა წერილი მოგვითხრობს იუდეური ქალაქის ნაინის შესახებ. ერთ იქაურ ქვრივს მხოლოდშობილი ვაჟი ჰყავდა, არა იმ ასაკისა, რომ ყრმა ყოფილიყო, არამედ ყრმობიდან სრულ მამაკაცობამდე მიწევნული. სიტყვა მას ჭაბუკს უწოდებს. ისტორია სიტყვაძუნწად მოგვითხრობს მრავალზე, ხოლო მონათხრობი ჭეშმარიტად საგოდებელია. ნათქვამია, რომ **დედაჲ** გარდაცვლილისა **ქურივი იყო**(ლკ.7,12). ხედავ სიმძიმეს განსაცდელისა? და რა ტრაგიკულია მოკლე მონათხრობი ამ ტანჯვაზე? რადგან, რას ნიშნავს ნათქვამი? რომ ქალს აღარ ჰქონდა სასოება შვილიერებისა, რასაც დანაკარგით გამოწვეული უბედურების განკურნვა შეეძლო; დედაკაცი ხომ ქვრივი იყო და არც სხვა ვინმე ჰყავდა, რომ ნაცვლად დაკარგულისა, მისთვის ემზირა; შვილი მისი მხოლოდშობილი იყო. და თუ რაოდენი სიმწარეა ამაში, ყველასათვის გასაგებია, ვინც ბუნებისაგან გაუცხოებული არაა. მშობიაროობის ტკივილებით მან მხოლოდ ის შეიცნო, ძუძუს მხოლოდ მას აწოვებდა, მის ტაბლას მხოლოდ ის განაბრყწინებდა, მხოლოდ ის იყო მიზეზი სახლში სიხარულისა: თამაშით, მეცადინეობით, ვარჯიშით, მხიარულებით

[33] მრკ. 5, 22-42.

– გასეირნებისას, ასპარეზობაზე შერკინებისას თუ ჭაბუკთა თავშეყრისას, ყოველივეთი, რაც დედის თვალებისათვის ასე ტკბილია და ძვირფასი; იგი ერთი იყო, უკვე მიწევნული ასაკამდე ქორწინებისა – ეს ნერგი გვარისა, რტო მემკვიდრეობისა, საყრდენი სიბერისა. ასაკის მოხსენიებაც კიდევ ერთი სხვა მიზეზია ტირილისა, რადგან, უწოდა რა ჭაბუკი, მიანიშნა დამჭკნარ ყვავილზე სილამაზისა. მას მხოლოდ ეწყებოდა ამოწვერა ღინღლისა, წვერი ჯერ კიდევ არ გახშირებოდა, და ღაწვები მისი ჯერ ისევ სილამაზით ბრწყინავდა. და როგორი უნდა ყოფილიყო ტანჯვა დედისა? თითქოს ნაწლავნი ცეცხლით ეწვოდნენ, ეხვეოდა რა მის წინაშე მდებარეს, ქვითინს მწარედ აგრძელებდა და გვამის დამარხვას არ ჩქარობდა, პირიქით, ტანჯვით მოცული მოთქმა-გოდების, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელებას ცდილობდა. ამის შესახებ სიტყვა არ დუმს: **იხილა რა დედაკაცი იგი იესუ,** – ნათქვამია, – შეეწყალა და **მივიდა ცხედარსა მას და შეახო, ხოლო რომელთა აქუნდეს ცხედარი იგი, დადგეს და ჰრქუა მას: ჭაბუკო, შენ გეტყჳ... აღდეგ... და მისცა იგი დედასა თჳსსა ცოცხალი**(ლუკ.7,13-16). ამრიგად, უფალმა უფრო დიდი სასწაული აღასრულა მასზე, ვინც არც თუ ისე მცირე ხნის წინ იყო გარდაცვლილი და ვისაც უკვე თითქმის საფლავად დებდნენ. თუმცა ბრძანება ამჯერადაც იგივე იყო, მაგრამ სასწაულქმედება კიდევ უფრო მაღლა აყვანილი, ასე რომ, მოვლენა კიდევ უფრო მიუახლოვდა დაუჯერებელ სასწაულს აღდგომისა.

სნეულებამ შეიპყრო უფლის მახლობელთა და მეგობართაგან ერთი, – ლაზარე იყო სახელი სნეულისა. იმყოფებოდა რა ავადმყოფისაგან შორს, უფალმა მონახულება მეგობრისა დააგვიანა, რათა სიკვდილს, სნეულების მეშვეობით სიცოცხლის მოკლებისას, შესაძლებლობა და ძალა ეპოვნა თავისი საქმის აღსასრულებლად. აუწყა მოწაფეებს უფალმა გალილეაში ლაზარეს ტანჯვის შესახებ და ასევე თავისი განზრახვაც – წამოეყენებინა სნეული, ხოლო მათ, ეშინოდათ რა იუდეველთა სისასტიკისა, კვლავ წასვლა იუდეაში, მკვლელთა შორის, მძიმედ და საშიშად მიიჩნიეს. ამის გამო, გადაჰქონდათ რა წასვლის დრო, აგვიანებდნენ, თუმცა ნელ-ნელა მაინც დაბრუნდნენ გალილეადან, რადგან იმძლავრა ხელმწიფებამ უფლისა და მოწაფენი ბეთანიაში მიიყვანა, რათა დასაბამს საყოველთაო აღდგომისა ზიარებოდნენ. ლაზარეს სიკვდილიდან ოთხი დღე იყო გასული, მიცვალებულსა ზედა ყველა წესი აღსრულებული და სხეულიც საფლავს მიბარებული. უკვე დაწყებული იყო შეშუპება, განსახრწნელად ლპობა მიწაში და გარდაუვალი დაშლა სხეულისა. მოსარიდებელი იყო ბუნებაზე ძალადობით კვლავ დაბრუნება სიცოცხლისათვის ასაყროლებლად დარღვეულისა. და მაშინ უცხადესი სასწაულით დაამტკიცა დაუჯერებელი საქმე საყოველთაო აღდგომისა, რადგან მძიმე სნეულებისაგან კი არ ადგა ვინმე, არც სულთმობრძავი დაუბრუნდა სიცოცხლეს, არც ის-ის იყო გარდაცვლილი ასული გაცოცხლდა და არც ჭაბუკი, რომელსაც საფლავისკენ მიაცილებდნენ, წამოდგა კუბოდან, არამედ მამაკაცი ასაკოვანი, უკვე

ლპობადი და ხრწნადი, ისე რომ, დარღვეული სხეულის უსიამოვნო სუნისა გამო, უფლის მიახლოვება საფლავთან თავად დაფლულის მახლობელთაც აუტანლად ეჩვენებოდათ. მაგრამ უფალმა იგი ერთი მოწოდებით გააცოცხლა და ქადაგება აღდგომისა სარწმუნოყო, ანუ რის საყოველთაოობასაც მოველით, ის გარკვეულწილად გამოცდილებით ვისწავლეთ. რადგან, ვითარცა ყოველთა განახლებისას, როგორც მოციქული ამბობს, გარდამოხდება **თავად უფალი ბრძანებითა და ხმითა ანგელოზმთავრისაჲთა და საყჳრითა**(Iთესალ.4,16), რათა მკვდარნი უხრწნელებით აღადგინოს, ასევე, მაშინაც, საფლავისათვის მიცემულმა ხმითა ბრძანებისათა ჩამოიბერტყა, ვითარცა ძილი, სიკვდილი და განაგდო რა მოწევნული ხრწნილება სიკვდილისა, საფლავიდან მრთელი და უვნებელი გამოვიდა, ისე რომ, გამოსვლისას ვერც იმ სახვევებმა დააბრკოლეს, რომლებითაც ფეხები და ხელები ჰქონდა შეკრული.

და ნუთუ ცოტაა ეს სარწმუნოებისათვის მკვდართა აღდგომისა? და შენ კიდევ სხვა რამეს ეძიებ, რათა აზრი მის შესახებ ირწმუნო? ვფიქრობ, ამაოდ არ თქმულა კაპერნაუმში ის, რაც უფალმა თავისთავზე ადამიანთა პირით თქვა: **მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი**(ლკ.4,23). რადგან, ვინც ადამიანები აღდგომის სასწაულს სხვათა მაგალითებით შეაჩვია, მას ეს სწავლება, ვითარცა კაცს, თავისი თავითაც უნდა დაემტკიცებინა. იხილე ხომ, შენ, მოქმედებით აღსრულება ქადაგებისა! ასული, ვინც სული ის-ის იყო დალია, ჭაბუკი, რომელიც დასაფლავად მიჰყავდათ, გახრწნილი გვამი – ყოველი მათგანი ერთნაირად, ერთი ბრძანებით დაუბრუნდა სიცოცხლეს. ან შენ იქნებ იმას ეძიებ, სასიცოცხლო ძალის მოუძლურება ხომ არ მოაკლებს მადლს მათ, ვინც ჭრილობათა და სისხლის დანთხევით გარდაიცვალა? შეხედე, სამსჭვალთა მიერ მიმსჭვალულ ხელებს, იხილე გვერდი, ლახვრით განგმირული, დაადე თითნი შენნი სამსჭვალთაგან დატოვებულ კვალს; შეახე ხელი შენი ლახვრისაგან მიყენებულ ჭრილობას და უცილობლად გულისხმაჰყოფ, რამდენად ღრმად შეაღწია სხეულში მახვილმა, ჭრილობის სიდიდით დაასკვნი, რამდენად შორს შევიდა იგი, უკეთუ პირი ჭრილობისა ადამიანის ხელს იტევს, განა ეს არ წარმოაჩენს რამდენად ღრმად შესულა შიგნით რკინა? ამიტომ, თუკი იგი აღდგა, ჩვენც თავისუფლად შეგვიძლია წარმოთქმა სამოციქულოს სიტყვებისა: **ვითარ იტყჳნ ვინმე თქუენ შორის, ვითარმედ აღდგომაჲ მკუდართაჲ არა არს?**(Iკორ.15,12).

ამგვარად, რამდენადაც უფლის ყველა წინასწარმეტყველების სიმართლეს მოვლენები ამოწმებენ, და ეს არა მხოლოდ სიტყვით ვისწავლეთ, არამედ მათგანაც, რომელნიც აღდგომის მიერ სიცოცხლეს დაუბრუნდნენ და უწყებულის მტკიცებულება საქმით მივიღეთ, რომელი მიზეზიღა გვრჩება ურწმუნოებისათვის? უნდა განვშორდეთ მათ, რომელნიც **სიბრძნის მოყვარებითა და ცუდითა საცთურითა**(კოლას.2,8) მოტყუებულნი ბუნებრივ(წრფელ) რწმენას თმობენ და დავიცვათ მარტივი აღმსარებლობა, ვისწავლეთ რა წინასწარმეტყველის

რამდენიმე სიტყვიდან სახეზე მადლის მოქმედებისა, როცა ამბობს: **მოულო სული მათი, და მოაკლდიან და მიწადვე თჳსად მიიქციან. გამოავლინო სული შენი და დაჰბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისაჲ**(ფს.103,29-30). და მაშინ, ამბობს იგი, **იხარებს უფალი ქმნულთა ზედა თჳსთა**(31), როცა **მო-რაჲ-აკლდეს ცოდვილნი ქუეყანით**(35), რადგან, როგორ შეიძლება ვინმეს ცოდვილი ეწოდოს, როცა თავად ცოდვა აღარ იარსებებს?

თავი XXVI

იმის შესახებ, რომ აღდგომა დაუჯერებელი არ არის

მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც, კაცობრივი გონების უძლურებისა გამო, ღმრთეებრივ ძალაზე ჩვენი საზომის მიხედვით მსჯელობენ და რასაც ჩვენ ვერ ვიტევთ, იმას ღმრთისთვისაც შეუძლებელად თვლიან. სახელდობრ, ისინი მიუთითებენ გაქრობაზე ადრე გარდაცვლილთა გვამებისა, ცეცხლში დაფერფლილთა ნეშტზე; ასევე მაგალითად მოჰყავთ ხორცისმჭამელი მხეცები და თევზი, რომელმაც საკუთარ სხეულში მიიღო რა ხორცი ხომალდის დაღუპვის შედეგად დანთქმულისა, თვითონ იქცა საკვებად ადამიანებისა და შემდგომად გამზადებისა, ვინც შეჭამა, მის შედგენილობაში გადავიდა; და სწავლების დარღვევად მრავალი ამგვარი, დიდისა ღმრთისა ძალისა და ხელმწიფებისათვის შეუფერებელი, წვრილმანი მოჰყავთ, თითქოს ღმრთისთვის იმავე გზებით, რომლითაც დაშალა, ადამიანისათვის მისი აგებულების კვლავ მიცემა შეუძლებელი იყოს.

მაგრამ ჩვენ მოკლე სიტყვით მათი ამაო მსჯელობის წრეში ხანგრძლივ ტრიალს ბოლო მოვუღოთ და ვაღიაროთ, რომ სხეული იმად დაირღვევა, რისგანაც შედგება; ასე რომ, ღმრთეებრივი სიტყვის მიხედვით, არა მხოლოდ მიწა დაიშლება მიწად(დაბ.3,19), არამედ ჰაერიცა და წყალიც თავთავიანთ გვარს შეუერთდებიან და ყოველი იმათგანი, რაც ჩვენშია, თავის მონათესავეში გადავა, თუნდაც სხეული ადამიანისა შეჭმის შედეგად ხორცისჭამია ფრინველებსა და მხეცებთან იყოს შეერთებული, თევზთა კბილებს შორის გავლილი და ცეცხლისაგან კვამლად და ფერფლად ქცეული. სადაც არ უნდა ივარაუდოს გონებამ გადატანა ადამიანისა, იგი უცილობლად მაინც სამყაროში დარჩება, რომელიც, როგორც ამას ღმრთივსულიერი სიტყვა გვასწავლის, ხელთ ღმერთს უპყრია.[34] და უკეთუ შენც კი არ ხარ უმეცარი იმისა, რაც შენს ხელთაა, ნუთუ ფიქრობ, რომ ღმრთის ცოდნა შენს ძალაზე უფრო სუსტია და არ შეუძლია ზუსტად მოძიება იმისა, რაც მის ღმრთეებრივ მუჭსა შინაა მოქცეული?[35]

[34] შდრ. რამეთუ ჴელსა შინა მისსა არიან კიდენი ქუეყანისანი(ფს.94,4).

[35] შდრ. არამე ჴელსა შინა მისსა არს სული ყოველთა ცხოველთაჲ და სული ყოვლისა კაცისაჲ?(იობ.12,10).

თავი XXVII

იმის შესახებ, რომ შემდგომად ადამიანის სხეულის სამყაროს ელემენტებად დაშლისა, ყოველს შეუძლია საერთოსაგან საკუთარი კვლავ მთლიანად გადაარჩინოს

მაგრამ უყურებ რა სამყაროს შემადგენელ ელემენტებს, შეიძლება იფიქრო, რომ, როცა ჩვენში არსებული ჰაერი მონათესავე სტიქიის მიერ მიიტაცება და ისიც, რაც თბილი, ნოტიო და მიწიერია, ასევე ერთგვაროვნებს შეერევა, მონათესავეს საერთოსაგან საკუთართან დაბრუნება გაუძნელდება. მაგრამ კაცობრივი ყოფის მაგალითებიდან რატომ არ უნდა დავასკვნათ, რომ ღმრთეებრივი ძალის საზღვრებს არც ეს აღემატება? სადმე, კაცთა საცხოვრებელთა ახლოს, უეჭველად გინახავს შენ ჯოგი ცხოველთაგან რომელიმესი, რომელიც საერთოა და მრავალს ეკუთვნის, მაგრამ, რაჟამს იგი მფლობელთა შორის დაიყოფა, ან სახლთან შეჩვევის, ან მათზე დადებული ნიშნების გამო, ყოველს თავისი უბრუნდება. უკეთუ მსგავს რამეს შენი თავის შესახებაც მოიაზრებ, ჭეშმარიტების წინაშე არ შესცოდავ. რამდენადაც სული სხეულის მიმართ, რომელშიც ცხოვრობდა, რაღაც ბუნებრივი კავშირი აქვს და სიყვარულით არის განწყობილი, შედეგად მონათესავესთან განზავებისა, ეს კავშირი და ნაცნობობა თავისიანთან ფარულადაა მასში, თითქოსდა ბუნებისგან დადებული ნიშნებით, რომელთა მიერ თავისებურებათა შედეგად დაყოფილთა შორის საერთო შეურწყმელი რჩება.

ამრიგად, უკეთუ სული მონათესავესა და საკუთარს ისევ თავისკენ მიიზიდავს, მითხარი მე, რა სიძნელე შეუშლის ღმრთეებრივ ძალას ხელს მონათესავეთა შეერთებისათვის, რომელნიც თავიანთი საკუთრებისკენ ბუნების რაღაც გამოუთქმელი მიზიდულობით მიისწრაფვიან. იმას, რომ სულში, შემდგომად სხეულთან განშორებისა, ჩვენი აგებულების რაღაც ნიშნები რჩება, ჯოჯოხეთსა შინა საუბარი ცხადყოფს, როცა სხეულები საფლავებისთვის იყვნენ მიბარებულნი, მაგრამ სულები სხეულებრიობის რაღაც შესაცნობ ნიშნებს ინარჩუნებდნენ, რომელთა მიერაც გამოცნობილ იქნა ლაზარე და უცნობად არც მდიდარი დარჩა(ლუკ.16,19).

ამრიგად, არაფერია შეუფერებელი იმაში, რომ საერთოსაგან აღდგომილ სხეულთა კვლავ ცალკეულ ინდივიდებად გამოყოფა ვირწმუნოთ. განსაკუთრებით ამას ის დაინახავს, ვინც ჩვენს ბუნებას გულმოდგინედ იძიებს, რადგანაც ბუნება ჩვენი არა მთლიანად დინებადი და ცვალებადია და სრულიად გაუგებარიც იქნებოდა, რომ ბუნებისაგან უცვლელი არაფერი გვქონდეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმათგან, რაც ჩვენშია, ერთი დგას, ხოლო მეორე ცვლილების მიერ წარემატება. სხეული ხომ იცვლება ზრდისა და მოკლების შედეგად, ვითარცა რაღაც სამოსელი, რომელსაც ასაკის მიხედვით ვიცვლით. ყოველგვარი ცვლილებისაგან სრულიად უცვლელი რჩება სახე(τὸ εἶδος) თავისთავად, რადგან ბუნებისაგან მასზე ერთგზის და სამარადისოდ აღბეჭდილ ნიშნებს არა თუ კარგავს, არამედ სხეულის ყველა ცვლილებისას საკუთარ გამოსაცნობ ნიშნებს წარმოაჩენს.

ამ კანონიდან ვნებისმიერი ცვლილება უნდა გამოირიცხოს, რომელიც სახეს ეხება და მას, მსგავსად რაღაც უცხო ნიღბისა, ავადმყოფური სიმახინჯით ფარავს, ხოლო, როცა იგი გონებით მოიხსნება, ვნებით დაფარული სახე, როგორც ნემან ასურისა[36] და სახარებაში მოხსენიებული კეთროვანებისა, შედეგად გამოჯანსაღებისა, კვლავ საკუთარი ნიშნებით წარმოჩნდება.

ამიტომ საღმრთო ხატი სულისა არა იმით იქმნება, რაც ჩვენს აგებულებაში დინებადი, ცვალებადი და წარმავალია, არამედ იმით, რაც მასში უცვლელი და ყოველთვის ერთი და იგივეა. რამდენადაც ნაერთის თვისებრივი სხვაობანი სახეობრივ დაყოფებს აყალიბებენ, ხოლო ნაერთი სხვა არაფერია, თუ არა ელემენტების(სტიქიათა) შეერთება, ელემენტებს(სტიქიებს) კი მათ ვუწოდებთ, რაც სამყაროს მოწყობას უდევს საფუძვლად და რისგანაც კაცობრივი სხეულიც შედგება; რაკი სახე უცილობლად რჩება სულისათვის ვითარცა ანაბეჭდი ბეჭდისა, ასე რომ, ბეჭდით აღბეჭდილი ანაბეჭდი მისთვის უცნობი აღარ იქნება და განახლების ჟამს კვლავ იმავე ნიშნებს მიიღებს, შესაბამისს სახის ანაბეჭდისა, ხოლო შესაბამისი უცილობლად ის იქნება, რომლებიც სახეში თავდაპირველად იყო აღბეჭდილი.

ამრიგად, არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ საერთოსაგან თითოეულმა თავისი ისევ დაიბრუნოს. ვერცხლისწყლისათვის იტყვიან, რომ უკეთუ იგი ჭურჭლიდან რაღაც ვაკესა და მტვრიან ადგილზე გადმოიღვარა, წვრილ-წვრილ ბურთულებად დაიმსხვრევა, მიწაზე განიბნევა და რასაც შეხვდება, იმათგან არაფერს აღერევა. ხოლო უკეთუ ვინმე მრავალ ადგილას გაბნეულს კვლავ ერთად შეკრებს, თავისთავად შეერწყმება ერთგვაროვანს და თანაც უცხოს არაფერს შეირევს. ვფიქრობ, რამდენადმე მსგავსი რამ უნდა მოვიაზროთ კაცობრივი აგებულების შესახებაც. ღმერთი ნიშანს მისცემს თუ არა, შესაბამისი ნაწილები თავისიანებს თავისთავად შეეძერწვიან, ისე რომ, ამისთვის განმაახლებელს ბუნებისა არავითარი სიძნელე არ შეხვდება. მიწისაგან აღმოცენებულთა შორისაც ხომ იმას ვხედავთ, რომ ბუნებას არავითარი ჯაფა არ ადგება იმისათვის, რათა ხორბლის, ფეტვის, სხვა პურეულისა თუ პარკოსანთა თესლები ღეროდ, ფხად და თავთავად იქცეს. საზრდელი ხომ იძულების გარეშე, ყოველი თესლის შესაბამის განსაკუთრებულ თვისებაში თავისთავად გადადის. უკეთუ ყველა მცენარისათვის საერთო ტენიდან თითოეული, რომელიც მისგან საზრდოობს, იმას იღებს, რაც მის გაზრდას უწყობს ხელს, უჩვეულო რა არის აღდგომის შესახებ სწავლებაში, რომლის მიხედვითაც აღდგომილთაგან თითოეული, მსგავსად თესლისა, საკუთარს მიიზიდავს? ამგვარად, ყოველივე ამისაგან შეიძლება ვისწავლოთ, რომ ქადაგება აღდგომისა არაფერს შეიცავს ისეთს, რაც გამოცდილებით ცნობილი არ არის. თუმცა ჩვენ დუმილით ავუარეთ გვერდი იმას, რაც ჩვენში ყველაზე ცნობილია. მე ვგულისხმობ ჩვენი აგებულების პირველ საწყისს(მიზეზს), რადგან ვინ უწყის საკვირველქმედება

[36] 4 მეფ. 5, 1-14.

ბუნებისა – რას იწყნარებს დედობრივი წიაღი და მისგან რას წარმოშობს? ვერ ხედავ, რომ სხეულის აგებულების საწყისად საშოსა შინა დათესილი, რაღაც მარტივი და მსგავსი ნაწილებისაგან შედგენილია? ხოლო მრავალფეროვნება მისგან აგებული სხეულისა რომელი სიტყვით გამოიხატება?

თუკი ეს საერთოდ ბუნებით არ შეუსწავლია, ვინ აღიარებს შესაძლებელად იმას, რაც ხდება, სახელდობრ, რომ ასე მცირე და თავისთავად უმნიშვნელო, ესოდენ დიდი საქმის აღსრულების საწყისია? დიდს ვუწოდებ მას არა მხოლოდ იმიტომ, რომ მხედველობაში სხეულის შექმნა მაქვს, არამედ იმის გამო, რაც უფრო დიდი გაკვირვების ღირსია, – ვგულისხმობ სულს და მას, რაც მასში განიჭვრიტება.

თავი XXVIII

იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სულები სხეულებზე ადრე არსებობდნენ, ან, პირიქით, უწინარესად სულებისა სხეულები შეიქმნა; ასევე აქვე უარყოფა გღაპრისა სულთა გადასახლებაზე

შეიძლება ჩვენი წინამდებარე ნაშრომის საზღვრებს გარეთ არც სულისა და სხეულის შესახებ ეკლესიათა შინა არსებული საკამათო საკითხი იყოს.[37] ზოგიერთი, რომელიც ჩვენზე ადრე წერდა, სახელდობრ ის, ვის მიერაც შეიქმნა წიგნი „საწყისებზე“,[38] ამტკიცებდა, რომ სულები განსაკუთრებულ სახელმწიფოში, მსგავსად რომელიმე ხალხისა, წინასწარ არსებობენ და იქვე აქვთ ნიმუშებიც ბიწიერებისა და სათნოებისა. სული, რომელიც სიკეთესა შინა მყოფობს, სხეულთან დაკავშირებისათვის გამოუცდელი რჩება, ხოლო უკეთუ იგი კეთილთან ზიარებისაგან მიდრკება, აქაურ ცხოვრებაში ჩამოვარდნილი, სხეულს შეუერთდება. ხოლო სხვანი, რომელნიც მოსეს მიერ გადმოცემული კაცის შესაქმის რიგს იცავენ, ამბობენ, რომ სული, დროის მიხედვით, სხეულის მომდევნოა და ამდენად მეორეა,[39] რადგან ღმერთმა **მტუერისა მიმღებელმა ქუეყანისაგან**(დაბ.2,7) ჯერ ადამიანი შექმნა და იგი მერე გაასულიერა შთაბერვით. ამ სწავლებით ისინი წარმოაჩენენ ხორცის უპირატესობას სულთან შედარებით, რომელიც მასზე ადრე შექმნილს შეუერთდა, რადგანაც ამტკიცებენ, რომ სული სხეულისათვის შეიქმნა, რათა ქმნილება უსულო და უძრავი არ

[37] იგულისხმება ის დავა, რომელიც მე-4 საუკუნეში ეკლესიაში ორიგენიზმის შესახებ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ღმრთისმეტყველების კაპადოკიური სკოლის წარმომადგენლები მხარს ორიგენეს მემკვიდრეობის კრიტიკული მიდგომის მეთოდით შესწავლას უჭერდნენ.

[38] ე. ი. ორიგენე.

[39] შესაძლებელია აქ გრიგოლ ნოსელს მხედველობაში ჰქონდეს ის ცდომილება, რომლის მიხედვითაც სხეული საკუთრივ გონიერ სულს უსწრებს წინ და არა საერთოდ სულს(ზრდადსა და საზრდელის მიმღებს). ამ სწავლების ავტორი იყო კლიმენტი ალექსანდრიელი, რომლის მიხედვითაც, ახლადშობილის სხეულში მხოლოდ დაბალი ძალების მქონე სულია, მისი გონიერი ნაწილი კი თანდათანობით ვითარდება. მსგავს კონცეფციებს იყენებენ დღეს დასავლეთის ის მოაზროვნეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქრისტიანმა აბორტი მკვლელობასთან არ უნდა გააიგივოს.

ყოფილიყო; ხოლო ყოველი, რომელიც რაიმესათვის იბადება, უეჭველად უდარესია იმასთან შედარებით, ვისთვისაც შეიქმნა. როგორც სახარება ამბობს, **სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა**(მთ.6,25), რადგან ესენი(ე. ი. საზრდელი და სამოსელი) მათთვისაა(ე. ი. სულისა და სხეულისათვის). არც სული დაბადებულა ხომ საზრდელისათვის და არც სხეული – სამოსლისათვის, არამედ, როცა ესენი(ე. ი. სული და სხეული) უკვე არსებობდნენ, ისინი(ე. ი. საზრდელი და სამოსელი) მათი საჭიროებისათვის იქნენ მოპოვებულნი.

ამრიგად, რამდენადაც ორივე ვარაუდის შინაარსი გაკიცხვის ღირსია, როგორც მეზღაპრეთა – თითქოს სულები რაღაც საკუთარ სამყოფელსა შინა ადრევე ცხოვრობდნენ, ასევე იმათიც, რომელნიც თვლიან, რომ ისინი შემდგომად სხეულებისა შეიქმნენ, ამდენად მათ სწავლებებში გადმოცემულთაგან გამოუძიებელი უცილობლად არაფერი არ უნდა დარჩეს. მაგრამ, რადგანაც, ორივე სწავლების გამოკვლევასა და მთელი მათი უაზრობის გამომჟღავნებას დიდი დრო და გრძელი სიტყვა დასჭირდება, ამიტომ, რაც შეიძლება, მოკლედ განვიხილავთ რა მათ ყოველ მტკიცებულებას, კვლავ ჩვენს საგანს დავუბრუნდებით.

ისინი, რომელთაც წინ პირველი სწავლება წამოსწიეს და ამტკიცებენ, რომ სულთა სახელმწიფო ხორცსა შინა ცხოვრებაზე უფროსია, მეჩვენება, რომ არ არიან განწმენდილნი ელინურ მოძღვრებათაგან, რომელნიც სულის სხეულიდან სხეულში გადასახლების შესახებ ზღაპრებს მოგვითხრობენ. უკეთუ ამას ზუსტად გამოვიძიებთ, სრული აუცილებლობით აღმოჩნდება, რომ მათი სწავლება იმისკენ იხრება, რასაც, როგორც ამბობენ, ელინთაგან ერთ-ერთი ბრძენი ამბობდა, სახელდობრ, რომ იგი დაიბადა მამაკაცად, შემდეგ ქალის სხეული შეიმოსა, მერე ფრინველთა თანა აღფრინდა, შემდეგ ბუჩქად აღმოცენდა და წყლის ცხოველთა ცხოვრებასაც ეზიარა.[40] ჩემი განსჯით, ვინც თავისი თავის შესახებ ამას ამბობს, ჭეშმარიტებისაგან შორს არ არის, რადგან ამგვარ სწავლებებს იმის შესახებ, რომ ერთი სული ამდენ სხეულში შევიდა, ბაყაყთა ყიყინი, ჭკების ჭყივილი, თევზების უტყვობა და მუხათა უგულისხმობა, მართლაც რომ ნამდვილად შეეფერება. ამგვარი სისულელის მიზეზი კი ის თვალსაზრისია, რომლითაც სულთა წინარე არსებობაა აღიარებული.

დასაბამი ამგვარი სწავლებისა, გზას უხსნის მსჯელობას უშუალოდ უახლოესისა და მისი მომდევნოსაკენ, ვიდრე თანდათანობით მსგავს სიცოფემდე მიაღწევდეს; რადგან უკეთუ სული მაღალი მოქალაქობიდან რაღაც ბიწიერების გამო ჩამოვარდება და მას შემდეგ, რაც სხეულებრივი ცხოვრების გემოს ერთხელ იხილავს, კვლავ ადამიანი გახდება, მაშინ, რამდენადაც ცხოვრება ხორცსა შინა მარადიულსა და უსხეულოსთან შედარებით უეჭველად უფრო

[40] აქ გრიგოლ ნოსელი გადმოსცემს ემპედოკლეს(V ს. ძვ. წ.) ჩვენამდე მოუღწეველი თხზულებიდან ნაწყვეტს, რომელიც დიოგენე ლაერტელმა შემოინახა წიგნში „ცხოვრებანი, სწავლებანი და გამონათქვამები ცნობილი ფილოსოფოსებისა“(VIII,77).

ვნებულია, ამგვარ ცხოვრებაში, რომელშიც უფრო ბევრია მიზეზი შეცოდებისათვის, უცილობლად კიდევ უფრო ბიწიერი და კიდევ უფრო ვნებული იქნება, ვიდრე ადრე იყო. რადგანაც ვნებულობა სულისა პირუტყვთან დამსგავსებას ნიშნავს, სული, რომელიც მას შეითვისებს, ცხოველურ ბუნებაში გადადის და რაკი ბოროტების გზას ერთხელ დაადგება, პირუტყვად ქცეულიც კი, წინსვლას ბოროტების გზაზე არასოდეს შეწყვეტს. რამდენადაც ბოროტებისაგან დადგომა დასაბამია სათნოებისაკენ სწრაფვისა, ხოლო პირუტყვთა შორის სათნოება არ არსებობს, აუცილებლობით მუდამ უარესისაკენ იცვლება, განუწყვეტლივ გადადის რა უფრო და უფრო უპატიო მდგომარეობაში და ყოველთვის ეძიებს ბუნებას, რომელიც იმაზე უფრო მდარეა, რომელშიც იმყოფება. ასე რომ, გონიერიდან იგი გრძნობადამდე ეშვება, ხოლო გრძნობადიდან უგრძნობლად იქცევა. აქამდის მიდის მათი მსჯელობა, რომელიც თუმცა ჭეშმარიტების გარეთ მიემართება, მაგრამ სისულელიდან სისულელეზე მაინც რაღაც თანმიმდევრულობით გადადის, ხოლო აქედან უკვე, დაუკავშირებლობის გამო, მათი სწავლება ზღაპრული ხდება. ხოლო თანმიმდევრულობა სულის სრულ გახრწნას გვიჩვენებს; მაღალი მოქალაქეობიდან ერთგზის ჩამოვარდნილ სულს ბოროტების არცერთ საზომზე დადგომა არ შეუძლია, ამიტომ, ვნებებთან კავშირის გამო, ჯერ მეტყველიდან პირუტყვში გადადის, მისგან მცენარეთა უგრძნობ მდგომარეობამდე ეშვება; უგრძნობლობასთან რამდენადმე ახლოსაა უსულობა, მას კი არარსებობა მოსდევს და ამგვარად, მათმიერი თანმიმდევრულობით, სრულ უმყოფობაში გადავა. მაშასადამე, აუცილებლობიდან გამომდინარე, სულისათვის კვლავ მიბრუნება უკეთესისკენ შეუძლებელი გახდება; მაგრამ მათ სული ბუჩქიდან ადამიანამდე აჰყავთ, რითაც ისინი უსხეულო არსებობაზე ბუჩქში ცხოვრების უპირატესობას წარმოაჩენენ. დამტკიცებულია, რომ უდარესისკენ წინსვლით სული ბუნებრივად დაბლა ეშვება, უგრძნობ ბუნებაზე დაბლა კი უსულობაა, რომლისკენაც მათ სული თავიანთი სწავლების დასაწყისიდანვე თანმიმდევრულად მიჰყავთ. მაგრამ რაკი ეს არ სურთ, სულს ან უგრძნობ ქმნილებაში კეტავენ, ან, თუკი მას იქიდან კაცობრივ ცხოვრებაში დააბრუნებენ, დაამტკიცონ, რომ ცხოვრება ხისა(როგორც ნათქვამია), თავდაპირველ მდგომარეობაზე უპირატესია, რადგან მასში ბოროტებისკენ დაცემა მოხდა, ხოლო ხის ცხოვრებიდან სათნოებასთან დაბრუნება ხდება.

ასე იმხილება უთავბოლობა სწავლებისა იმის შესახებ, რომ სულები, როგორც თავისთავად მცხოვრებნი, უწინარესად ხორცთა შინა ცხოვრებისა შეიქმნენ და სხეულებს ბიწიერების გამო შეუერთდნენ. უაზრობა მათი სწავლებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სული სხეულზე უმცროსია, ქვემოთ იქნება განმარტებული. ასე რომ, სწავლება ერთისაც და მეორისაც მიუღებელია. ჩვენი სწავლება, ვფიქრობ, ჭეშმარიტებისაკენ ამ ვარაუდთა შორის უნდა წარიმართოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ელინური ცდომილების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, – თითქოს სამყაროსთან ერთად მბრუნავმა

სულებმა, რაღაც ცოდვით დამძიმებისა გამო, სწრაფად მოძრავი ცის თანასრბოლა ვეღარ შეძლეს და დედამიწაზე ჩამოცვივდნენ და, აგრეთვე, არც ის უნდა ვამტკიცოთ, რომ ადამიანი, მსგავსად თიხის ძეგლისა, სიტყვით წინასწარ შეიქმნა, ხოლო სული მისთვის შემდეგ დაიბადა, რადგან მაშინ გონიერი ბუნება თიხის ქმნილებაზე უდარესად წარმოჩნდება.

თავი XXIX

წარმოჩენა იმისა, რომ სულისა და სხეულის არსებობის მიზეზი ერთი და იგივეა

რამდენადაც სულისა და სხეულისაგან შედგენილი ადამიანი ერთია, მისი აგებულებისთვისაც ერთი და საერთო საწყისი უნდა ვივარაუდოთ; ასე რომ, იგი თავის თავზე არც უფროსია და არც უმცროსი, მასში არც სხეული პირველობს და არც სხვაა გვიან მისული; არამედ ჩვენ, ცოტა ზემოთ გადმოცემული სწავლების თანახმად, ვამტკიცებთ, რომ, ღმრთის წინასწარმცნობელი ძალით, კაცობრივი ბუნება ყოფიერებაში მთელი სავსებით მოვიდა. ამას წინასწარმეტყველებაც ამოწმებს, რომელიც ამბობს, **უწყნის** ღმერთმა **ყოველნი პირველ ქმნისა მათისა**(დან.13,42). ნაწილთა შექმნისას ერთმანეთზე ადრე არცერთი წარმოჩენილა, არც სული უწინარეს სხეულისა და არც – პირიქით, რათა ადამიანი შექმნის დროის მიხედვით სხვადასხვა ნაწილად არ დაყოფილიყო და თავისივე თავის წინააღმდეგ არ ამხედრებულიყო. რადგანაც, თანახმად სამოციქულოს სწავლებისა, ჩვენი ბუნება ორმაგად მოიაზრება: **კაცისა ხილულისა და დაფარულისა**(1პეტრ.3,4), მაშინ ერთის ადრე, ხოლო მეორის გვიან დაბადებით შემოქმედის ძალა როგორც არასრულყოფილი და ყოველივეს მეყსეულად შექმნისათვის არასაკმარისი, ისე იმხილებოდა, რადგან მან საქმე ორად გაყო, რათა თითოეული ნახევარი ცალ-ცალკე შეექმნა. მაგრამ როგორც ხორბლისა ან სხვა რომელიმე მარცვლეულის შესახებ ვამბობთ, რომ იგი თავისთავში ყველა სახეს, რაც თავთავს მიემართება, – ჯეჯილს, ღეროს თავისი მუხლთაშორისებით, ნაყოფსა და ფხას ვითარცა შესაძლებლობას, ისე მოიცავს, და ვამტკიცებთ, რომ, ბუნების კანონით, არცერთი ამათგანი თესლის ბუნებაში არც წინასწარ არსებობს და არც ერთმანეთზე ადრე იბადება, არამედ თესლსა შინა ჩადებულ ძალას, სხვა ბუნების შეურევნელად, რაღაც ბუნებრივი რიგით ამჟღავნებს, ამავე კანონის მიხედვით, კაცობრივი თესლოვნებისთვისაც ვვარაუდობთ, რომ პირველ მიზეზად აგებულებისა ბუნების ძალა ითესება; იგი ვითარდება და ცხადდება რაღაც ბუნებრივი თანმიმდევრულობის მიერ და მიიწევს რა სრულყოფისაკენ ისე რომ, ამისთვის გარეშე მიზეზს არ საჭიროებს, სრულყოფილებას თანმიმდევრულად თვითონვე აღწევს.

ამგვარად, ჭეშმარიტება არ იქნება მტკიცება არც სულის სხეულის უწინარესად არსებობისა და არც სხეულისა – თვინიერ სულისა, არამედ ორივეს ერთი საწყისი აქვს, უმაღლესი კანონის მიხედვით, – ღმრთის ნებით პირველსაფუძ-

ვლად დადებული და მეორის [კანონის] მიხედვით – დაბადების მიზეზებთან შეერთებული. ისევე როგორც იმაში, რაშიც თესლია მოთავსებული სხეულის ჩასახვისათვის, ცალკეულ ნაწილთა დანახვა, ვიდრე წარმოქმნამდე სხეულისა, შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია მოაზრება მასში სულის თვისებებისა, სანამ ისინი მოქმედებას არ დაიწყებენ.

ამრიგად, ნურავინ დაეჭვდება, რომ ის, რაც დათესილია, არა რაღაც გარედან მოსული, არამედ მასშივე არსებულითა და ბუნებრივად ამოქმედებული ძალით სხვადასხვა ასოსა და შიგნეულობას ქმნის. მსგავსი რამ უნდა მოვიაზროთ სულის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი საჩინო ქმედებებით არ შეიცნობა, იგი დათესილსა შინა მაინც არის, რადგან სახე ადამიანისა, რომელიც მომავალში უნდა შედგეს, მასში, ვითარცა შესაძლებლობა, ისე არსებობს, თუმცაღა დაფარული, რადგან არ შეუძლია გამოჩინება, ვიდრე უცილობელი თანმიმდევრულობა განვითარებისა არ აღესრულება.

ამგვარად, სული, რომელიც თესლშია, მაგრამ არ ჩანს, მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ენერგიით გამოჩნდება და სხეულის ზრდასთან ერთად ისიც წარემატება. რამდენადაც ძალა მუცლადღებისა არა მკვდარ სხეულს, არამედ სულიერსა და ცხოველს გამოეყოფა, ამიტომ ვამბობთ, რომ მკვდრად და უსულოდ არ უნდა ჩაითვალოს ის, რაც ცხოველისაგან სიცოცხლის საწყისად გამოდის; რადგან რაც ხორცსა შინა უსულოა, ის უცილობლად მკვდარიცაა, სიკვდილს ხომ სულის მოკლება წარმოშობს. ამასთან, ვერავინ იტყვის, რომ მოკლება ფლობაზე უფროსია, თუ არ დაიწყო მტკიცება იმისა, რომ უსულობა, რომელიც იგივე სიკვდილია, სულზე უწინარესია.

უკეთუ ვინმე დასამტკიცებლად იმისა, რომ ეს ნაწილი – დასაბამი შექმნილი არსების ცხოვრებისა – ცოცხალია, უცხადესი მტკიცებულების გამოძიებას შეუდგება, შეუძლია ეს სხვა ნიშნებისგანაც გულისხმაყოს, რომელთა მიერაც სულიერი მკვდრისაგან გამოირჩევა. მაგალითად, ნიშნად ადამიანის სიცოცხლისა მივიჩნევთ იმას, რომ იგი თბილი, მოქმედი და მოძრავია, ხოლო სიცივე და უძრაობა სხეულებისა სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილი. ამრიგად, რადგანაც მას, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, თბილსა და მოქმედს ვხედავთ, ამ ნიშნებისგან ვრწმუნდებით, რომ იგი უსულო არაა. მაგრამ რამდენადაც [ჩანასახის] სხეულებრივ ნაწილს არც ხორცს, არც ძვლებს, არც თმასა და არც ყოველივე იმას, რაც ადამიანში იხილვება, არ ვუწოდებთ, თუმცა შესაძლებლობით იგი ყოველი ამათგანია, ოღონდ ჯერ ცხადად წარმოუჩენელი, ასევე მისი სულიერი ნაწილის შესახებაც ვამბობთ, რომ მასში არა აქვს ადგილი არც გონიერებას, არც გულისთქმას, არც მრისხანებასა და არც დანარჩენ სხვას, რისი დანახვაც სულში შეიძლება, არამედ, ანალოგიურად სხეულის განმზადებისა და სრულყოფისა, სულის ძალებიც მასთან ერთად იზრდებიან. რადგან, ისევე როგორც ზრდასრულ ადამიანში სულიერი ძალა უფრო მნიშვნელოვან საქმეთა მიერ ვლინდება, ასევე შექმნის დასაწყისში თანამოქმედება სულისა(სინერგია) საჭ-

იროებისდა მიხედვით, თანაზომიერად და შესაფერისად წარმოჩნდება იმით, რომ დათესილი ნივთიერებისაგან სული საკუთარ სავანეს განიმზადებს; რადგან მივიჩნიეთ, რომ სული ისევე ვერ შეეგუება მისთვის უცხო სამყოფელს, როგორც ცვილზე აღბეჭდილი სხვა ნაჭდევისათვის არ გამოდგება.

მსგავსად სხეულისა, რომელიც უმცირესიდან სრულყოფილებამდე ადის, ასევე ძალაც სულისა, დაბადებული მის ქვეშე მყოფთან ერთად, მასთან ერთადვე იმატებს და იზრდება. თავდაპირველ აგებულებაში, ვითარცა მიწით დაფარულ ფესვს, მას მხოლოდ რაღაც ამაღორძინებელი და მასაზრდოებელი ძალა წინაუძღვის, რადგან მიმღების სიმცირეს მასზე უმეტესის დატევა არ შეუძლია. შემდეგ, როცა ეს მცენარე[41] სინათლეში ამოვა და თავის ყლორტს მზეს უჩვენებს, აყვავდება ნიჭი გრძნობისა, ხოლო რაჟამს მომწიფდება და შესაფერის სიმაღლეს მიაღწევს, ძალა მეტყველებისა, მსგავსად რაღაც ნაყოფისა, განბრწყინვებას იწყებს, თუმცა ყოველივე მეყსეულად არ წარმოჩნდება; არამედ ორგანიზმის ზრდასთან ერთად ისიც მზრუნველობით იზრდება და ყოველთვის იმდენ ნაყოფს გამოიღებს ხოლმე, რამდენის დატევის ძალაც მის ქვეშ მყოფს აქვს.

უკეთუ შენ სხეულის აგებულებაში სულიერ ძალებს ეძიებ, **თავი შენი განიცადე**(IIსჯ.4,9), ვითარცა იტყვის მოსე, და საღმრთო წერილში სულის საქმეთა ისტორია წაიკითხე, რადგან სხეულსა შინა სულის მრავალფეროვანთა საქმეთა შესახებ როგორც საერთოდ, ასევე ნაწილთა აგებულებით, სიტყვაზე უფრო ნათლად ბუნება მოგითხრობს; მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტია სიტყვით აღწერა იმისა, რაც თავად ჩვენ გვეხება, ისე, თითქოს საუბარი რაღაც უცხო სასწაულებს ეხებოდეს. რადგან მათგან, ვინც საკუთარ თავს ხედავს, ვის დასჭირდება სიტყვა საკუთარი ბუნების შესწავლისათვის? ვინც სახე ცხოვრებისა გულისხმაყო და ყოველი სასიცოცხლო ქმედებისადმი სიმარჯვე სხეულისა შეიცნო, ის იმასაც შეიცნობს, რით იყო დაკავებული ბუნებრივი ძალები სულისა ადამიანის შექმნის დასაწყისში. ვინც სრულიად უგულისყურო არაა, მისთვის აქედანაც ნათელია, რომ ბუნების სახელოსნოსა შინა დაბადებული მკვდარი და უსულო არ იქნება, რადგან იგი, ცოცხალი სხეულისაგან მოწყვეტილი, აღმოსაცენებელად ცოცხალისა დაინერგა; ნაყოფთა გულები და ფესვთა მორჩები, რომელთაც მიწაში ვრგავთ, ხომ არც მკვდარნი არიან და არც ის სასიცოცხლო ძალა აკლიათ, რომელიც ბუნებით აქვთ მინიჭებული, არამედ, თუმცა ფარულად, მაგრამ პროტოტიპის თვისებას უცილობლად ცოცხლად ინახავენ. ამგვარ ძალას გარემომცველი მიწა გარედან კი არ დებს მათში, გამოყოფილს თავისი თავისაგან, რადგან მაშინ ხეთა მკვდარი ნაწილებიც ნაყოფს გამოიღებდა. ასაზრდოებს რა ტენით, მიწა მხოლოდ დანერგულის ძალას წარმოაჩენს და წარმოშობით ფესვის, ქერქის, გულისა და რტოებისა, მცენარე სრულყოფილებამდე მიჰყავს. ეს არ მოხდებოდა, თავად თესლში რომ

[41] როგორც კონტექსტიდან ჩანს, აქ მცენარეში ადამიანი იგულისხმება.

არ ყოფილიყო ჩადებული რაღაც ბუნებრივი ძალა, რომელიც თავის გარშემო მიწიდან მონათესავესა და შესაფერის საზრდელს იზიდავს და ან ბუჩქი, ან ხე, ან თავთავი, ან რომელიმე მცენარეთაგანი ხდება.

თავი XXX

მოკლე, უმეტესად სამედიცინო განხილვა ჩვენი სხეულის აგებულებისა

ყოველი ჩვენგანი, ჰყავს რა მასწავლებლად საკუთარი ბუნება, დაწვრილებით ჩვენი სხეულის აგებულებას თვითონვე სწავლობს იმით, რასაც ხედავს, რითიც ცოცხლობს და გრძნობს; მაგრამ ყოველივეს ზუსტად ის შეისწავლის, ვინც ამ ისტორიასა და სხვა მის მსგავსს ბრძენთა წიგნებიდან შრომისმოყვარეობით ამოკრებს. მათგან ზოგიერთებმა სხეულთა განკვეთით ისწავლეს, როგორ არის განლაგებული თითოეული ნაწილი ჩვენში, ხოლო სხვებმა შეიცნეს და განმარტეს, რისთვის დაიბადა ყოველი ნაწილი სხეულისა; ასე რომ, შრომისმოყვარენი კაცობრივი აგებულების შესახებ მათი წიგნებიდან საკმაო ცოდნას იძენენ. ხოლო უკეთუ ვინმე ყოველივე ამის მასწავლებლად ეკლესიას ეძიებს, ისე რომ, არავითარ გარეშე ხმას არ საჭიროებს(რადგან, როგორც უფალი ამბობს, სულიერთა ცხოვართა სჯულად აქვთ, არა ისმინონ **ჴმაჲ უცხოჲსაჲ.** – ინ.10,5), სწავლებას ამის შესახებ მოკლედ გადმოვცემთ.

სხეულის ბუნებაში ჩვენ სამი [რიგის მიზანი] შევიცანით, რომელთათვისაც ყოველი ჩვენი ნაწილი აიგო: ერთნი – სიცოცხლისათვის, მეორენი – კეთილად ცხოვრებისათვის და სხვაც იმისათვის, რომ მემკვიდრეობითი შთამომავლობის უნარი გვქონოდა. ხოლო ისინი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კაცობრივი ცხოვრება შედგეს, სამ ნაწილსა შინა გულისხმავყავით – ტვინსა, გულსა და ღვიძლში; სხვანი კი, როგორც ერთგვარი დამატებანი სიკეთეთა და პატივი ბუნებისა, რომელთა მიერაც ადამიანს კეთილად ცხოვრება ენიჭება, გრძნობის ორგანოებია. ისინი, თუმცა სიცოცხლისათვის არსებითნი არ არიან, რადგან ხშირად, მიუხედავად მათი მოკლებისა, ადამიანი მაინც ცოცხლობს, მაგრამ მათი მოქმედების გარეშე ცხოვრებით ვერ დატკბება.

მესამე მიზანი შემდგომითობასა და მემკვიდრეობითობას ითვალისწინებს. ამათთან ერთად სხვანიც არიან, რომელნიც საერთოდ, ყოველივეს განმტკიცებას ემსახურებიან და ერთმანეთისათვის შესაბამის დამატებებს წარმოადგენენ, როგორც, მაგალითად, კუჭი და ფილტვები, რომელთაგან ერთი(ფილტვები) სუნთქვით გულსა შინა ცეცხლს აღაგზნებს, ხოლო მეორე(კუჭი) შიგნეულობისათვის საზრდელს ითვისებს.

ამრიგად, ამგვარი დაყოფით ჩვენი აგებულებისა, შეიძლება ზუსტად გულისხმავყოთ, რომ ძალა ცხოვრებისა ჩვენისა არა ერთსახოვნად და არა ერთი რომელიმე ნაწილის მიერ განიგება, არამედ, გაუნაწილა რა მრავალ ასოს საშუალებანი ჩვენი აგებულებისათვის, ბუნებამ ყოველი მათგანის მიერ

მთელისთვის გაღებული წვლილი აუცილებლობად აქცია. ასე რომ, რაც ბუნების მიერ სიცოცხლის განმტკიცებისა და სილამაზისათვის შეიქმნა, მრავალია და ერთმანეთისაგან ბევრი რამით განსხვავდება.

მაგრამ, ვფიქრობ, პირველად საჭიროა მოკლედ გარჩევა იმ პირველი საწყისებისა, რომელნიც ჩვენს აგებულებას სიცოცხლისათვის ქმნიან. ახლა, მატერიის შესახებ, რომელიც ყველა სხეულისათვის საერთოა და მათ ყოველ ნაწილს უდევს საფუძვლად, დავდუმდეთ, რადგან ეს ზოგადი ბუნებისმეტყველება(ფიზიოლოგია) ჩვენს მიზანს, ნაწილთა განხილვისა, არანაირად არ შეესაბამება. რამდენადაც თითოეულ ჩვენგანში არის ნაწილი ყველა სტიქიისა, რომელიც სამყაროში იხილვება, ანუ: სითბო და სიცივე და სხვა წყვილიც – სინესტე და სიხმელე, ამდენად, ორგანოებიდან ყოველი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

ჩვენ სამ ძალას ვხედავთ, რომელიც სიცოცხლეს განაგებს; მათგან ერთი ყოველივეს სიმხურვალით განატფობს, მეორე განხურვებულს ტენით ანედლებს და საპირისპირო ძალთა გათანაბრებით ცოცხალი არსებისათვის საშუალო მდგომარეობას იცავს, რათა გადაჭარბებული სითბოთი არც ტენი დაშრეს და ტენიანობის მძლავრობით არც სითბო ჩაქრეს. მესამე ძალა კი, განყოფილთა სახსართა თავით თვისით თანხმობითა და ჰარმონიით შეამტკიცებს, მათ თავისი იოგებით(მყესებით) შეაუღლებს და ყველას თვითმოძრავსა და თავისუფალ ძალას უგზავნის; ნაწილი, რომელსაც ის მოაკლდება, ცალკევდება და კვდება, რადგან ნებსით სუნთქვაში წილი აღარ ექნება. მაგრამ სხეულის შექმნისას უფრო მეტად ყურადღების ღირსი ჩვენი ბუნების ხელოვნების გააზრებაა.

რამდენადაც მაგარი და მოუდრეკელი გრძნობისმიერ მოქმედებებს არ იწყნარებს, როგორც ამას ჩვენი ძვლებისა და დედამიწის მცენარეთა მაგალითებით ვხედავთ, რომელთა შორისაც ცხოვრების რაღაც სახეს შევიცნობთ, რომლითაც ისინი აღორძინდებიან და საზრდოობენ. გრძნობა კი, პირიქით, მათ უდრეკობას არ იწყნარებს, – ამის გამო გრძნობისმიერი მოქმედებებისათვის რაღაც ცვილის მსგავსი აგებულების მომზადება გახდა საჭირო, რომელზეც შეგრძნებით აღქმულის კვალის აღბეჭდვა იქნებოდა შესაძლებელი; თანაც ეს აგებულება არც ტენის სიჭარბეს უნდა გაელხო, რადგან გალხობილი ანაბეჭდს ვეღარ ნახავს და არც მეტისმეტი სიხმელით უნდა გაეწია წინააღმდეგობა აღბეჭდვისათვის, რადგან ნიშანი ანაბეჭდისა არც მოუდრეკელსა ზედა რჩება; ასე რომ, იგი ულბილესსა და უმტკიცესს შორის უნდა ყოფილიყო, რათა ცოცხალ არსებას ბუნებრივ მოქმედებათაგან ულამაზესი, გრძნობისმიერ მოქმედებას ვგულისხმობ, არ მოკლებოდა.

ამრიგად, რადგანაც ლბილსა და დრეკადს იმ მოქმედებათაგან, რომელიც მყარებს ახასიათებს, არცერთი არ აქვს, იგი მსგავსად ზღვის მოლუსკისა უცილობლად უძრავი და დაუნაწევრებელი იქნებოდა, ბუნებას რომ სხეულისათვის ძვლების სიმყარე არ შეერია. გააერთიანა რა ისინი ერთმანეთთან

ბუნებრივი თანაზომიერებით, შეერთებული ძარღვთა მყესებით შეკრა, ხოლო შემდეგ მის ირგვლივ, გრძნობათა აღმქმელი ხორცი აღმოაცენა, ისე რომ ზედაპირზე ზემოქმედების ძნელად განმცდელი და შედარებით უფრო მტკიცე დარჩენილიყო.

ამრიგად, ამ ბუნებით მტკიცე ძვლებს, მსგავსად რაღაც საყრდენი სვეტებისა, სიმძიმე მთელი სხეულისა ატვირთვინა, მაგრამ არა ისე, რომ მთელ აგებულებაში ერთი დაუნაწევრებელი ძვალი დაენერგა; ადამიანს რომ ამგვარი აგებულება ჰქონოდა, ვითარცა ხე, ერთ ადგილას მდგომარე, უძრავი და უმოქმედო დარჩებოდა, რადგან წინ ვერც ნაბიჯთა მონაცვლეობით იმოძრავებდა და ცხოვრებისათვის ვერც ხელების მომსახურებით ისარგებლებდა. ახლა კი ისეთი აგებულება მოიფიქრა და ხელოვნებით ააგო, რომელიც ძარღვებით გამავალი ნებსითი სუნთქვითა და სხეულსა შინა მოძრაობისათვის ჩადებული მისწრაფებითა და ძალით მოარულიცაა და მოქმედიც. აქედანაა ყოველი შთანაფიქრისათვის გამოსადეგი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი შემწეობა ხელებისა. აქედანაა მიმოქცევა კისრისა, მოდრეკა და მიმოხვრა თავისა, მოქმედება ყბისა, განღება და დახურვა წამწამთა(ქუთუთოებისა) და მოძრაობანიც დანარჩენი ნაწილებისა, რომელნიც, ვითარცა რაღაც მანქანისაგან, ძარღვთა დაძაბვითა და მოშვებით აღესრულებიან. მათ შინა განმავალ ძალას რაღაც თვითმბრძანებლური მისწრაფება აქვს, რომელიც, ბუნების განგებულებით, თითოეულ მათგანში თავისუფალი(ნებსითი) სუნთქვით მოქმედებს. ყოველივეს ძირი და ძარღვებში მოძრაობათა დასაბამი კი, როგორც ჩანს, თავის ტვინის გარემომცველი ბოჭკოვანი აპკია. რადგანაც ნაჩვენები იქნა, რომ მოძრაობის ძალები მასშია(ე. ი. ტვინის აპკში), ვთვლით, რომ საჭირო აღარაა გულმოდგინედ გამოძიება სასიცოცხლო ნაწილებისა და იმისა, თუ როგორები არიან ისინი.

ის, რომ თავის ტვინი სიცოცხლისათვის უმთავრესია, ნათლად ჩანს საწინააღმდეგო შემთხვევისაგან; უკეთუ ტვინის გარემომცველმა აპკმა დარტყმით ან განხეთქვით ვნება განიცადა, ვნებას მყის სიკვდილი მოსდევს, რადგან ამგვარ დაზიანებას ბუნება წამითაც ვერ უძლებს, ისევე როგორც, თუ საფუძველი შეირყა, მთელი ნაგებობაც ამ ნაწილთან ერთად დაირღვევა. ამიტომ ის, რისი დაზიანებაც სრულიად ცხადი ნიშანია მთელი ცოცხალი არსების დაღუპვისა, სიცოცხლის მთავარ მიზეზად უნდა იქნას მიჩნეული. მაგრამ, რამდენადაც ვისაც სიცოცხლე შეუწყდება, მასში ბუნების მიერ ჩადებული სითბოც ქრება და მკვდარი ცივდება, ამიტომ სითბოსაც სიცოცხლის მიზეზად ვთვლით, რადგან რის მოკლებასაც სიკვდილი მოსდევს, სრული აუცილებლობით უნდა ვაღიაროთ, რომ მისი არსებობა ცოცხალ არსებას სიცოცხლეს უნარჩუნებს. ამ ძალის წყაროდ და სათავედ კი, ჩვენ გულს მოვიაზრებთ, რომლისგანაც სალამურის მსგავსი, ერთმანეთისაგან გამომავალი, მრავლად დატოტვილი სადინარებით ცეცხლოვანი და მხურვალე სუნთქვა მთელს სხეულში განეფინება.

რამდენადაც აუცილებელია, რომ სითბოს ბუნებისაგან რაღაც საზრდელიც მიეწოდებოდეს, რადგან ცეცხლი, თუკი რაღაცით არ ისაზრდოვა, თავით თვისით ვერ იარსებებს, ამიტომაც ღვიძლისაგან, ვითარცა ერთგვარი წყაროდან, სისხლის ნაკადნი მხურვალე სუნთქვასთან ერთად გამოდიან და სხეულის ყველა ნაწილში მიედინებიან, რათა მათი[42] ერთმანეთისაგან განმხოლოებით ვნებული ბუნება არ დაიღუპოს. ისწავლოს აქედან მან, ვინც თანაზომიერებას უგულებელყოფს და ბუნებისაგან გულისხმაყოს, რომ გარდამეტება ზომიერებისა(pleonexia) დამღუპველი ვნებაა. მაგრამ, რადგანაც არაფერს მხოლოდ ღმერთი არ საჭიროებს, ხოლო კაცობრივ სიგლახაკეს საკუთარი თავის შესანახად გარეშეც სჭირდება, ამიტომ ამ სამი ძალით, რომელთა მიერაც, როგორც ვთქვით, მთელი სხეული იმართება, [ბუნებას] გარედან შიგნით ჩაღვრილი ნივთიერება სხვადასხვა შესასვლელით, მათი ძალების შესაბამისად, შეჰყავს და აბინავებს.

რამდენადაც წყაროს სისხლისას ანუ ღვიძლს ბუნება საზრდელით ამარაგებს, ის, რაც საზრდელის მიერ განუწყვეტლივ მიეწოდება, ღვიძლიდან სისხლის ნაკადებს აწყაროებს, მსგავსად მთებზე დადებული თოვლისა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი სინოტივით მთისძირა წყაროებს ზრდის, რადგან საკუთარ სინოტივეს, ქვემოთა ძარღვებში წურავს.

ჰაერი გულში მეზობელი ორგანოთი შედის, რომელსაც ფილტვები ეწოდება; იგი მიმღებია ჰაერისა, რომელიც მომიჯნავე ძარღვით პირისაკენ მიემართება; ჰაერს კი იგი გარედან ჩასუნთქვით იზიდავს. მათ(ე. ი. ფილტვებს) შორის მოქცეული გული, მიბაძვით მარადის მოძრავი ცეცხლის მოქმედებისა, თავადაც განუწყვეტლივ მოძრაობს და ისევე როგორც სამჭედლოს საბერველნი, მეზობელი ფილტვებისაგან ჰაერს თავისკენ იზიდავს, გაფართოების შედეგად წარმოშობილ ცარიელ სივრცეებს(ფოსოებს) მისით აღავსებს და გააღვივებს რა იმას, რაც ცეცხლოვანია მასში, მახლობელ ძარღვთა შინა ჩაბერავს. და ასე მოქმედებს განუწყვეტლივ, იზიდავს რა გარედან ჰაერს თავის ფოსოებში, მათი გაფართოების გზით, ხოლო მისგან გამომავალს შეკუმშვის შედეგად ძარღვებში უშვებს. ვფიქრობ, ეს არის მიზეზი ჩვენი ავტომატური(თავით თვისით) მოძრავი სუნთქვისა. გონება ხომ ხშირად ან სხვა რამეებითაა დაკავებული, ან განშორდება რა ძილში სხეულს, სრულიად განისვენებს, ჩასუნთქვა ჰაერისა კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ნება არ თანამოქმედებს, მაინც არ წყდება. ვფიქრობ, რომ რამდენადაც გული ფილტვთა შორისაა, მისი ნაწილი მათთანაა შეზრდილი, თავისი გაფართოებითა და შეკუმშვით შინაგანსაც ამოძრავებს და შეტაცება(შესუნთქვა) ჰაერისა და ამოსუნთქვა ფილტვებით ხდება. არის რა რაღაც თხელი და მრავალნასვრეტიანი, ფილტვის ყველა ფოსო ძარღვების საფუძვლებთან გახსნილია. როცა იგი დავიწროვებული და შეკუმშულია, ნასვრეტთა შინა ჩარჩენილ ჰაერს, დაწოლის შედეგად უცილობლად გარეთ გამოუშვებს, ხოლო როცა გაფართოებული და გახსნილია, ჰაერს დაჭიმვით

[42] ე. ი. სისხლისა და სითბოს(მთგ.).

წარმოშობილ ნაპრალთა სიცარიელეში იტაცებს. და აი, მიზეზიც უნებლიე სუნთქვისა – შეუძლებლობა იმისა, რომ ცეცხლოვანი ჩვენში უძრავად დარჩეს. რამდენადაც სითბოს მოძრაობის ენერგია ახასიათებს, ხოლო მისი საწყისი ჩვენ გულში მოვიაზრეთ, განუწყვეტელი მოძრაობა ამ ნაწილში მუდმივად ქმნის მისწრაფებას ჰაერის ამოსასუნთქად და ჩასასუნთქად ფილტვების მიერ. ამიტომაც, როცა ცეცხლოვანი არაბუნებრივადაა დაჭიმული, ცხელების მხურვალებით შეპყრობილებს ისედაც მძიმე სუნთქვა უხშირდებათ, ისე, თითქოს გული მასში დაფარული ალის ჩაქრობას ახალი ჰაერის ჩასუნთქვით ჩქარობდეს.

მაგრამ, რამდენადაც ჩვენი ბუნება მწირია და თავის შესანახად ბევრ რამეს საჭიროებს, იმდენად მწირი, რომ საკუთარი არა მხოლოდ ჰაერი, არამედ სუნთქვაც კი არ აქვს, რომელიც სითბოს აღაგზნებს და ცოცხალი არსების დასაცავად მუდმივად გარედან მიიზიდება, ასევე საზრდელიც, რომელიც სხეულის აგებულებას განამტკიცებს, მუდმივად მოსაპოვებელი აქვს, ამიტომ იგი საჭიროებისამებრ საჭმელითა და სასმელით აღავსებს სხეულს და რაც აკლია, იმის მისაზიდად და ზედმეტის მოსაშორებლად ძალას აძლევს, ხოლო გულისმიერი ცეცხლი ამ დროს ბუნებას უმნიშვნელო შემწეობას როდი უწევს. რამდენადაც, როგორც ეს ზემოთ გადმოვეცით, სასიცოცხლო ნაწილთა შორის უმთავრესი გულია, რომელიც თბილი სუნთქვით თითოეულ ნაწილში ცხოველმყოფელ ცეცხლს ანთებს, ჩვენმა შემოქმედმა ისე გააკეთა, რომ მოქმედებს რა ყოველი მხრიდან ძლიერი ძალით, მთელის განგებულებისათვის მისი არცერთი ნაწილი უმოქმედო და უსარგებლო არ დარჩენილიყო.

ამიტომაც უკანა მხარე გულისა, რომელიც ფილტვებს ქვემოთაა, განუწყვეტელი მოძრაობის გამო ამ ორგანოს თავისკენ ითრევს და ჰაერის მოსაზიდად ნასვრეტებს აფართოებს, ხოლო მისი კვლავ ზევით აწევით, იმ ჰაერის ამოსუნთქვას უწყობს ხელს, რომელიც შიგნითაა. გულის წინა ნაწილი კი კუჭის ზემო სათავსოს ეკვრის, ათბობს მას და საკუთარი მოქმედებისათვის ამოძრავებს, აღძრავს რა არა ჰაერის მისაზიდად, არამედ მისაღებად შესაფერისი საზრდელისა; ერთმანეთთან ახლოს არიან ხომ შესასვლელნი ჰაერისა და საკვებისა. მიემართებიან რა ეს სადინარები ერთმანეთის გასწვრივ პარალელურად, თანაბარი ზომისანი ზევით ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთმანეთს შეეყრებიან და ერთსა პირსა შინა მთავრდებიან; მათგან ერთი საზრდელის, ხოლო მეორე ჰაერის შესასვლელი ხდება. მაგრამ სადინართა ეს წყვილი სიღრმესა შინა ერთმანეთთან მიკრული ყველგან როდი რჩება, რადგან ორივეს საფუძველთა შორის გულია მოთავსებული, რომელიც ერთს სუნთქვის, ხოლო მეორეს საზრდელის მიღების ძალას აძლევს. ჩვეულებისამებრ ცეცხლი დასაწვავ ნივთიერებას ეძებს, რაც აუცილებლად შეემთხვევა საზრდელის მიმღებს. რამდენადაც მეტად ინთება იგი მეზობელი ორგანოს სითბოსაგან, იმდენად მეტად იტაცებს მასაზრდოებელ სითბოს; მის ამგვარ აღძვრას კი აპეტიტს ვუწოდებთ.

უკეთუ საზრდელის სათავსო ნივთიერებას საკმარისად მიიღებს, ენერგია

ცეცხლისა მშვიდად ვერ იქნება, არამედ მსგავსად ბრძმედისა, იგი ნივთიერებას დაადნობს, დაშლის რა მას შემადგენელ ნაწილებად, ერთმანეთში აურევს და თითქოს ქურიდან სადინარებში გადაასხამს; შემდეგ გამოარჩევს რა უფრო შესქელებულს წმინდისაგან, წმინდას, ვითარცა რაღაც წყალსადენებით, ღვიძლის ბჭეებთან მიიტანს, ხოლო საკვების სქელ ნარჩენს უფრო ფართო ნაწლავებში შეიტანს, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში დაატრიალებს რა სხვადასხვა ხვეულში, საკვებს შიგნეულში შეინახავს. ეს სადინარები რომ სრულიად სწორი ყოფილიყო, საზრდელი გარეთ ადვილად გამოვარდებოდა, ცოცხალ არსებას ჭამის სურვილიც სწრაფად აღეძვრებოდა და ადამიანიც, პირუტყვთა მსგავსად, განუწყვეტლად ამ საქმით(ე. ი. ჭამით) იქნებოდა დაკავებული.

რადგანაც ღვიძლს სითხის სისხლად გადაქცევისათვის სითბო უფრო მეტად სჭირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულიდან მოშორებით მდებარეობს(ვფიქრობ, იმიტომ რომ, რადგანაც იგი რამდენადმე სასიცოცხლო ძალის საწყისი და საფუძველია, არ შეიძლება სხვა საწყისისაგან იყოს შევიწროვებული) – სითბოს მაწარმოებელი არსისაგან დაშორებას მთელი განგებულებისათვის რომ არ ევნო, ძარღვოვანი სადინარი(რომელსაც ამ საგანში განსწავლულთა მიერ არტერია ეწოდა), გულის ცეცხლოვან სუნთქვას თავისთავში იწყნარებს და გადააქვს ღვიძლთან, სადაც სითხეთა შესასვლელ სადინარს დაკეტავს, სითბოთი სითხეს ადუღებს და გადასცემს რა მას რაღაცას ცეცხლის თვისებიდან, სისხლს ცეცხლისფრად შეღებავს და მეწამულყოფს. შემდეგ იქიდან სათავეს იღებს წყვილი სადინარი მსგავსი მილებისა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი შემცველობა აქვს – სუნთქვა და სისხლი, რათა შეიქმნეს მოსახერხებელი გზა, რომლითაც სითბოს მოძრაობის შედეგად გამთბარი და შემსუბუქებული სითხე მთელ სხეულში მრავალფეროვნად განეფინება და მის ყველა ნაწილში ათას სათავესა და განშტოებაში დაიყოფა.

სასიცოცხლო ძალის ერთმანეთთან შერეული ორი საწყისი – ერთი სითბოსა და მეორე ტენს – მთელს სხეულსა შინა წარავლენენ და ვითარცა რაღაც უცილობელ ხარკს, თავ-თავისი საკუთრებისაგან გაღებულს, სასიცოცხლო განგებულების წარმმართველ ძალას ძღვნად მიართმევენ. ხოლო ამ ძალისაგან, რომელიც თავის ტვინსა და მის აპკსა შინა იხილვება, არის ყველა მოძრაობა სახსართა, ყველა შეკუმშვა კუნთებისა, ნებსითი სუნთქვა და ისიც, რაც მათ მიერ თითოეულ ნაწილს გადაეცემა, რაც ჩვენს მიწიერ ქანდაკებას, ვითარცა რაღაც მანქანისაგან, ამოქმედებულსა და ამოძრავებულს წარმოაჩენს. სითბოსაგან უწმინდესი და ტენისაგან უწვრილესი ორივეს ძალით შეერთებული და რაღაც ნაზავად და ნარევად ქმნილი, ტვინს ორთქლის მიერ ასაზრდოებს და ინახავს. მისგან იგი, კიდევ უფრო განწმენდილი და დაწვრილებული გადაეცემა აპკს, რომელიც ტვინს გარს ეკვრის; იგი სალამურისებრი სადინარით, რომელიც მიმდევრობით განლაგებულ მალებში გადის, მასში მოთავსებული

ზურგის ტვინითურთ, მაღლიდან ქვევით მიემართება და ხერხემლის საფუძველთან მთავრდება. ყველა კავშირს და შენაწევრებას ძვლებისა თუ დასაბამს კუნთებისა, მსგავსად მეეტლისა, თავის ტვინი გადასცემს ბიძგსა და ძალას ყოველი მოძრაობისა თუ გაჩერებისათვის. ვფიქრობ, ამიტომაც გახდა იგი ღირსი უმტკიცესი დაცვისა: თავში – გარსშემოვლებული ძვლების ორმაგი ზღუდით, ხოლო ხერხემალში – წვეტიანი გამონაშვერებითა და გარეგნულად მრავალფეროვანი ხლართებით, რაც მას მსგავსად საიმედო მცველებისა, ყოველგვარი ვნების განცდისაგან იცავს.

მსგავსი რამ შეიძლება დავასკვნათ გულის შესახებაც. ვითარცა სახლი ზღუდემოვლებული, მისი სავანეც ყოველმხრივ დაცულია და განმტკიცებული ძვალთა ზღუდეებით. უკან მას ხერხემალი აქვს, ორივე მხრიდან ბეჭებით გამაგრებული, ასევე ორივე მხრიდან შემოვლებული ნეკნები, მასზე, რაც მათ შიგნითაა ზემოქმედებას აძნელებენ, ხოლო წინიდან მკერდი და წყვილი ლავიწი ფარავს, რათა გარეშე შემაწუხებელთაგან ყოველი მხრიდან საიმედოდ იყოს დაცული.

რაღაც მსგავსის ხილვა მიწათმოქმედებაშიცაა შესაძლებელი, როცა მიწა ან ღრუბელთაგან დაწვიმებითა და ან წყალსადენებით ირწყვება. წარმოვიდგინოთ გონებით ბაღი, რომელშიც ათასი სხვადასხვა, ყოველნაირი ხე იზრდება, მათ შორის მრავალი სხვაობა იხილვება, გარეგნული შესახედაობის, თვისებებისა და ფეროვნების მიხედვით. თუმცა ამდენი მცენარე ერთი ადგილის ტენით საზრდოობს და ძალაც, რომელიც ყოველ მათგანს არწყულებს, ბუნებით ერთია, თავისებურებანი მცენარეებისა, რომელნიც მისით იკვებებიან, ტენს სხვადასხვა თვისებად გადააქცევენ. ერთი და იგივე აბზინდაში მწარდება, ციკუტაში სასიკვდილო წვენად იქცევა, სხვაში კიდევ: ზაფრანაში, უკადრისასა და ყაყაჩოში სხვა ხდება. ერთში რომ თბება, მეორეში ცივდება, მესამეში კი რაღაც შუალედური თვისება აქვს. დაფნასა, ლერწამსა და სხვა მათ მსგავსთა შორის კეთილსურნელოვანია, ლეღვსა და მსხალში – ტკბილი, ვაზის ლერწის მიერ მტევნად და ღვინოდ იქცევა; წვენი ვაშლისა, სიწითლე ვარდისა, სისპეტაკე შროშანისა, იისფერობა იისა, მეწამული ფერი სუმბულისა და საერთოდ, ყოველივე, რისი ხილვაც დედამიწაზე შეიძლება, ერთი ტენისაგან არის აღმოცენებული და ერთმანეთისაგან ამდენი სხვაობით – გარეგნული შესახედაობით, გვარითა და თვისებებით განირჩევა.

რამდენადმე მსგავსად სასწაულმოქმედებს ბუნება, უფრო ზუსტად, მეუფე ბუნებისა, ჩვენს სულიერ ყანაშიც; ძვალნი და ხრტილნი, ძარღვნი, სისხლძარღვნი, ბოჭკოები, იოგნი, ხორცნი, კანი, სიპოხე, თმანი, ჯირკვალნი, ფრჩხილნი, თვალნი, ნესტონი, ყურნი და ყველა სხვა ამგვარი და კიდევ ათასი – ერთმანეთისაგან სხვადასხვა თვისებით განყოფილი, თავისი ბუნების შესაბამისად, ერთი სახის საზრდელით იკვებება. ამასთან, საზრდელი მიუახლოვდება რა ყოველ მათგანს, რასაც მიეახლება, იმად იქცევა და ამ ნაწილის

თავისებურების დამახასიათებელი და მონათესავე ხდება. თუ თვალებს მიეახლა, მხედველობით ორგანოს შეეზავება და თვალის გარსის სხვადასხვაობის შესაბამისად ყოველში დანაწილდება; უკეთუ სასმენელ ორგანოსთან მიედინა, სმენის ბუნებას შეერევა, თუ ბაგესთან აღმოჩნდა, ბაგე გახდება; ძვალსა შინა მყარდება, ხოლო ზურგის ტვინში ლბილდება, ძარღვებთან ერთად იძაბება, ზედაპირზე(კანზე) გადაიჭიმება, ფრჩხილებშიც გადავა, შესაბამის ორთქლში ისე წვრილდება, რომ თმებს წარმოქმნის. თუ ხვეულ სადინართა შინა გაიარა, თმასაც ხუჭუჭასა და ხვეულს აღმოაცენებს, ხოლო თუ თმის აღმომაცენებელი ორთქლის გზა სწორი გამოდგა, გრძელსა და სწორ თმას წარმოშობს.

მაგრამ ჩვენი სიტყვა საგანს დიდად გადასცდა; ჩავუღრმავდით რა ბუნების საქმეებს, შევეცადეთ აღგვეწერა, როგორ და რისგან შედგა ჩვენში ყოველი, რაც ცხოვრებისთვისაა საჭირო, ისიც, რაც კეთილი ცხოვრებისთვის გვჭირდება, და გარდა ამისა, კიდევ სხვაც, რაც ჩვენ პირველ ნაწილში განვიხილეთ. ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა ჩვენი აგებულების თესლობითი მიზეზი და ის, რომ არც სულია უსხეულო და არც სხეული უსულო, არამედ სულიერი და ცოცხალი სხეულებისაგან, თავიდანვე მოყოლებული, სულიერი და ცოცხალი არსება იბადება. იგი კაცობრივმა ბუნებამ შეიწყნარა და მსგავსად მზრდელისა საკუთარი ძალებით ასაზრდოებს, თვითონ ორივე მხრივ საზრდოობს და შესაბამისად თითოეული ნაწილისა, თვალნათლივ იზრდება. [ბუნების] ამ მარჯვედ და ხელოვნებით შექმნისას, მყისვე მჟღავნდება მასთან შეუღლებული ძალა სულისა, რომელიც პირველად შედარებით სუსტი ჩანს, მაგრამ ორგანოს სრულყოფასთან ერთად, ისიც გამობრწყინდება. მსგავსი რამის ხილვა მოქანდაკეებთან შეიძლება. ხელოვანი, რომელმაც გამოსახულება რაღაც ცოცხალი არსებისა ქვაში უნდა წარმოაჩინოს, მიზნად ისახავს რა ამას, პირველად ქვას შეზრდილი ნივთიერებისაგან გაწმენდს, შემდეგ ზედმეტ ნაწილებს მოჰკვეთს და პირველი მონახაზით, რაც განზრახული აქვს, იმის მსგავსებას ქმნის, ისე რომ, იმისგან, რაც ჩანს, ხელოვანის მიზანს გამოუცდელიც კი გამოიცნობს; მუშაობის გაგრძელებისას იგი სასურველ მსგავსებას კიდევ უფრო უახლოვდება, ხოლო შემდეგ გამოკვეთს რა მატერიისაგან სრულყოფილსა და ზუსტ გამოსახულებას, ქმნილებას გაასრულებს; და ეს, სულ ცოტა ხნის წინ არაფრით გამორჩეული ქვა იქცევა ლომად ან სხვა რამედ, რადაც ხელოვანი შექმნის, არა იმიტომ, რომ მატერია გამოსახულებად შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ გამოსახულება მატერიით გამოისახა.

უკეთუ მსგავსად სულის შესახებაც გულისხმავყოფთ, ჭეშმარიტების წინააღმდეგ არ შევცოდავთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ქმნის რა ყოველივეს ერთგვაროვანი მატერიისაგან ხელოვნებით, ბუნება თავისთავში იწყნარებს ნაწილს კაცისა და აქანდაკებს. ისევე როგორც ქვის თანდათანობით დამუშავებას თავდაპირველად შედარებით გაურკვეველი, ხოლო საქმის დასრულების შემდეგ უფრო სრულყოფილი გამოსახულება მოჰყვება, ასევე, ორგანოთა გამო-

ქანდაკებისას ანალოგიურად წარმოჩნდება სახეც სულისა: არასრულყოფილი არასრულყოფილში და სრულყოფილი სრულყოფილსა შინა, თუმცა იმთავითვე სრულყოფილი იქნებოდა, ბუნება რომ ბოროტებისაგან არ დაზიანებულიყო. ზიარებამ ვნებასთან და პირუტყვულ შობასთან ის მოიტანა, რომ ქმნილებაში ღმრთეებრივი ხატი მყისვე არ ბრწყინდება, მაგრამ რაღაც გზითა და თანმიმდევრობით ადამიანი სულის მატერიალური და შედარებით ცხოველური თვისებებიდან სრულყოფილებამდე მიჰყავს. ამ სწავლებით გვმოძღვრავს დიდი მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში: **ოდესმე იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმაჲ, შერაცხილ ვიყავ ვითარცა ყრმაჲ; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისაჲ იგი**(Iკორ.13,11). არა იმიტომ, რომ გარდა იმ სულისა, რომელსაც ყრმაში მოვიაზრებთ, მამაკაცში სხვა სულიც შედის, სიყრმისეული აზროვნება დაითმობა და მამაკაცური წარმოიშობა, არამედ იგივე სული, რომელიც ყრმაში იყო, მამაკაცში სრულყოფილად წარმოჩნდება. ვითარცა იმის შესახებ, რაც იბადება და იზრდება, ვამბობთ, რომ ცოცხლობს. ყოველს, რაც სიცოცხლესთან და ბუნებრივ მოძრაობასთანაა ნაზიარები, მართალია, მათ უსულოს ვერავინ უწოდებს, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ამგვარი ცხოვრება სრულყოფილ სულთანაა ნაზიარები, რადგან, თუმცა, მცენარეთა შორის რაღაც სულიერი მოქმედება ჩნდება, მაგრამ გრძნობის შესაბამის მოძრაობამდე ვერ მაღლდება. ასევე პირუტყვთა შორისაც, – ზრდისას რაღაც სულიერი ძალა წარმოჩნდება, მაგრამ, რამდენადაც თავისთავში მეტყველებისა და აზროვნების ნიჭს ვერ იტევს, სრულყოფას ვერ აღწევს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ჭეშმარიტი და სრულყოფილი კაცობრივი სულია, რომელიც მრავალგვარი მოქმედებით შეიცნობა. უკეთუ სხვა რამეს, რაც ცხოვრებასთანაა ნაზიარები, სულიერს ვუწოდებთ, იმიტომ, რომ უზუსტობა გამოხატვისას ჩვევად გვაქვს და არა იმიტომ, რომ მათში სრულყოფილი სულია. სულიერი ქმედების რაღაც ნაწილნი, რომელნიც ადამიანშია, როგორც ამას მოსეს საიდუმლო ანთროპოგონიიდან ვიგებთ, მის მიერ ვნების შეთვისების შედეგად გაჩნდა. ამიტომ პავლე, მათ, ვისაც მოსმენა სურთ, ურჩევს რა სრულყოფილების მიღწევას, სასურველის მისაღებად საშუალებასაც სთავაზობს, როცა ამბობს, რომ უნდა განვიძარცვოთ **ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ და შევიმოსოთ ახალი იგი განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა**(კოლას.3,9-10). მაგრამ ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ იმ ღმერთშემოსილ მადლს, რომლითაც ღმერთმა დასაბამიდანვე შექმნა ადამიანი, როცა თქვა: **ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა**(დაბ.1,26), **რომლისა არს დიდება და ძალი უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

წ˜ა იოვანე დამასკელი

შესავალი დოგმატიკის საფუძვლებისა[1]

გადმოცემული[2] მღაბალი მონაგონი იოვანეს მიერ ლაოდიკიის უწმინდესი ეპისკოპოსი იოვანესათვის

წინასიტყვა

ახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ერთისა სამპიროვნისა და თაყვანსაცემისა ღმრთეებისა, ერთარსისა და ცხოვრების დასაბამისა სამებისა, ერთისა ღმრთისა, რომლისაგან **ყოველი მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსრულ**(იაკ.1,17), ცოდვილი და საწყალობელი აღვაღებ პირს, ენაბრგვილსა და მძიმედ მეტყველს, სასოებით იმისა, რომ სიმდაბლით მთხოვნელთათვის ჩემი აზრის გაგებისა და სასარგებლოდ მსმენელებისა, მიბოძებს სულს სიბრძნისა და **სიტყვას აღებასა პირისა ჩემისასა**(ეფ.6,19) სახიერი უფალი, მომნიჭებელი ყოვლისა კეთილისა, **რომელი-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა კურთხეულ უკუნისამდე**(რომ.5,9). ამინ.

1. არსის, ბუნებისა და ხატის შესახებ

წმინდა მამების მიხედვით, არსი, ბუნება და ხატი(ხატება) ერთი და იგივეა. შემდეგ: ერთი და იგივეა ჰიპოსტასიც(გვამი), პირიცა და ინდივიდიც[3]. სახეობრივი სხვაობაც,[4] რაგვარობაცა[5] და საკუთარი თვისებაც[6] ერთი და იგივეა. ჩვენი მიზანია, მათ და მათ მსგავსთა შესახებ ვისაუბროთ, რაც ასე დაჟინებით ითხოვა თქვენმა სიწმინდემ. ამგვარად, ვიწყებთ გადმოცემას არსის, ბუნებისა და ხატის შესახებ. ჭეშმარიტად არსებობს ზეარსი არსება, ბუნება და ხატება – მიუწვდომელი ღმრთეება, ხოლო მისი ჰიპოსტასები და პირები არიან მამა, ძე და ყოვლადწმინდა სული. თითოეული მათგანი სრული ჰიპოსტასი და სრული პირია. ამასთან, ღმრთის ყოველი ქმნილებაც არსებაა. მრავალია ქმნილება და მათ ერთმანეთთან მიმართებაში მრავალი სახეობრივი სხვაობაც აქვთ. სხვა ქმნილებაა ანგელოზი და სხვა ადამიანი, ერთია ხარი და მეორე ძაღლი, ერთია ცა და მეორე დედამიწა, ერთია ცეცხლი და მეორე ჰაერი და სხვა კიდევ წყალი. მარტივად რომ ვთქვათ, ქმნილებათა შორის

---

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **P.B. Kotter, Die Schriften des Johannes von Damaskos, vol. 3 [Patristische Texte und Studien 17. Berlin: De Gruyter, 1975]: 65-200. TLG-2934.005.**

[2] დედანშია ἀποβληθείς, რაც ნიშნავს: საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ეს თხზულება დოგმატიკის თემაზე წარმოთქმულ სიტყვას წარმოადგენდა, რომელიც შემდეგში, როგორც ჩანს, თვითონ ავტორმა ლიტერატურულად გადაამუშავა.

[3] დედანშია ἄτομοι, რაც სიტყვასიტყვით განუყოფელს, განუკვეთელს ნიშნავს.

[4] ძველ ქართულში შეესატყვისებოდა თითოსახეობაჲ(განყოფილებაჲ).

[5] ძველ ქართულში: რომელობაჲ, ვითარებაჲ.

[6] ძველ ქართულში: თჳსებაჲ, თჳთებაჲ.

მრავალი სხვაობა არსებობს. ყოველი სახეობა ბუნებით ერთია, როგორც, მაგალითად, ყველა ადამიანს ერთი ბუნება აქვს, ყველა ანგელოზიც ერთი ბუნებისაა და ყველა ხარიც ბუნებით ერთია, მსგავსად სხვა დანარჩენი ქმნილებანიც; მაგრამ სხვაა ბუნება ანგელოზთა, სხვა კაცთა და სხვა კიდევ ხართა. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ქმნილებათა შესახებაც.

2. ჰიპოსტასის, პირისა და ინდივიდის შესახებ

რამდენადაც ადამიანი მრავალია, თითოეული ადამიანი ჰიპოსტასია, როგორც, მაგალითად, ჰიპოსტასია ადამი, სხვა ჰიპოსტასია ევა, ხოლო კიდევ სხვა ჰიპოსტასი – სეითი. იგივე უნდა ითქვას სხვებზეც. ყოველი ადამიანი ჰიპოსტასია და განსხვავდება სხვებისაგან; ყოველი ხარი ჰიპოსტასია და ჰიპოსტასია ასევე ყოველი ანგელოზიც. ამგვარად, ბუნება, ხატება და არსი საერთოა და მოიცავს ერთარს ჰიპოსტასებს, ხოლო ჰიპოსტასი, ინდივიდი და პირი კერძოა, ანუ ცალკეული იმათგან, რომელთაც თვითონ სახეობა მოიცავს.

3. სახეობრივი სხვაობის(თითოსახეობაჲ), რაგვარობის(რომელობაჲ) და საკუთარი თვისების(თჳთებაჲ) შესახებ

ვთქვით, რომ არსებობს მრავალი სახეობა და სხვადასხვა არსი, აგრეთვე, ისიც, რომ, ყოველ არსსა და სახეობაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ჰიპოსტასები არსებობენ. ასე რომ, თითოეული არსი მეორე არსისაგან, და თითოეული ჰიპოსტასი მეორე ჰიპოსტასისაგან განსხვავდება. ამრიგად, ის, რითაც არსი არსისაგან, სახეობა სახეობისაგან, ან ჰიპოსტასი ჰიპოსტასისაგან განსხვავდება, სახეობრივ სხვაობად(თითოსახეობაჲ), რაგვარობად(რომელობაჲ) და საკუთარ თვისებად(თჳთებაჲ) იწოდება. მაგალითად, ადამიანი ანგელოზისაგან იმით განსხვავდება, რომ ანგელოზი უკვდავია, ხოლო ადამიანი – მოკვდავი. მაშასადამე, უკვდავება და მოკვდავობა სახეობრივი სხვაობა, რაგვარობა და საკუთარი თვისებაა. შემდეგ: ადამი სეითისაგან იმით განსხვავდება, რომ ადამი მამაა სეითისა, ხოლო სეითი – ძე ადამისა. ამგვარად, მამობა და ძეობა სახეობრივი სხვაობაა, რომლითაც ადამი და სეითი ერთმანეთისაგან განირჩევიან; და ყველა ამდაგვარი სახეობრივ სხვაობებად, რაგვაროებებად და საკუთარ თვისებებად იწოდება, როგორც, მაგალითად, გონიერი და უგუნური, უკვდავი და მოკვდავი, ორფეხა და ოთხფეხა, შეგრძნებადი და არა შეგრძნებადი, აპრეხილობა და მოკაუჭებულობა ცხვირისა, სითეთრე და შავგვრემანობა, სიმაღლე და სიმდაბლე და სხვა მისთანანი.

4. არსებით და არარსებით, ანუ ბუნებით და შემთხვევით ნიშანთა შესახებ

ყოველივე ის, რითაც ერთი სახეობა მეორე სახეობისაგან, ერთი არსი მეორე არსისაგან განსხვავდება, არსებით, ბუნებით და დამახასიათებელ ნიშნად,

აგრეთვე, რაგვარობად, ბუნებრივ თვისებად და ბუნების თავისებურებად იწოდება. მაგალითად, ანგელოზი და ადამიანი ერთმანეთისაგან უკვდავობითა და მოკვდაობით განსხვავდებიან. უკვდავობა ანგელოზის არსებითი(ბუნებითი), სახეობრივი დამახასიათებელი ნიშანი და ბუნების თავისებურებაა(თვისებაა). იგივეა მოკვდავობა ადამიანისათვის. შემდეგ: ადამიანი და ხარი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ადამიანი გონიერია, ხოლო ხარი – უგუნური. ამგვარად, გონიერება არსებითი, სახეობრივი და დამახასიათებელი ნიშანია ადამიანისა, ხოლო უგუნურება – ხარისა. იგივე ითქმის სხვა სახეობათა, არსებათა, ბუნებათა და ხატებათა შესახებაც.

ყოველივე ის, რითაც ერთი რომელიმე ჰიპოსტასი მეორე, მისივე სახეობისა და ერთარსი ჰიპოსტასისაგან განსხვავდება, არაარსებით სახეობრივ ნიშნად, რაგვარობად, ჰიპოსტასურ(პიროვნულ) და დამახასიათებელ თვისებად ანუ შემთხვევითად იწოდება. მაგალითად, ერთი ადამიანი მეორე ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთი მაღალია, მეორე – დაბალი, ერთი თეთრია, მეორე – შავგვრემანი, ერთი ჯანმრთელია, მეორე – სნეული, ერთი მამაა, მეორე – ძე. ყოველივე ეს და სხვა ამდაგვარი არაარსებითი ნიშნები და რაგვარობანი, პიროვნული, დამახასიათებელი და შემთხვევითი თვისებებია.

ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ერთი სახეობის ყველა ჰიპოსტასში ერთნაირად იხილვება და რომელთა გარეშეც შეუძლებელია წარმოქმნა არსისა და სახეობისა, არსებით სახეობრივ ნიშნად იწოდება; ხოლო ყოველივე ის, რაც ერთი სახეობის რომელიმე ჰიპოსტასში არის, რომელიმეში კი – არა, შემთხვევითი და არარსებითია.

5. მოცილებად და მოუცილებად შემთხვევით ნიშანთა(აქციდენციათა) შესახებ

შემთხვევით ნიშანთაგან ზოგი მოცილებადია და ზოგიც მოუცილებადი. მოუცილებადია ის, რომლითაც ერთი ჰიპოსტასი მეორე ჰიპოსტასისაგან განსხვავდება, მაგრამ საკუთარი თავისაგან – არა. მაგალითად, რომელიმე ადამიანი მეორე ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ თვითონ პაჭუაა, ხოლო მეორე ცხვირკაუჭა, თვითონ ცისფერთვალაა, ხოლო მეორე – შავთვალა, მაგრამ საკუთარი თავისაგან ვერ განსხვავდება, რადგან პაჭუა ყოველთვის პაჭუა იქნება, ხოლო ცხვირკაუჭა – ყოველთვის ცხვირკაუჭა; იგი ვერ შეძლებს, რომ ხან პაჭუა იყოს და ხანაც ცხვირკაუჭა. ამდაგვარ ნიშნებს მოუცილებადი შემთხვევითი ნიშნები ეწოდებათ, რადგან, რაკილა ვინმე მათით დაიბადება, ველარ მოიცილებს. მიუხედავად ამისა, იმდენად, რამდენადაც ადამიანი შეიძლება პაჭუაც იყოს და არაპაჭუაც, ცხვირკაუჭაც და არა ცხვირკაუჭაც, ისინი მაინც შემთხვევითი ნიშნები არიან. სულაც არაა ხომ აუცილებელი, ყველა ადამიანი ან პაჭუა, ან ცხვირკაუჭა იყოს. მაგრამ გონება ყველა ადამიანს აქვს და რასაც გონება არ აქვს, არც ადამიანია. მოცილებადი კი ისაა, რაც ერთსა და იმავე ადამიანს, ან ერთსა და იმავე ჰი-

პოსტასს ზოგჯერ აქვს, ზოგჯერ – არა, როგორიცაა მაგალითად, სნეულება და ჯანმრთელობა, ჯდომა და დგომა, სიხარული და მწუხარება და სხვა მისთანანი.

6. არსით ერთთა და არსით სხვადასხვათა შესახებ

ერთი არსის, ერთი ბუნების, ერთი ხატის, ერთი სახეობისა და ერთი გვარისანი არიან ისინი, რომელნიც ერთ სახეობასა და ერთსა და იმავე ბუნებას მიეკუთვნებიან, როგორც, მაგალითად, პეტრე, პავლე და ყველა სხვა ადამიანი, ყველა ხარი და ყველა ძაღლი და მათ მსგავსად სხვა დანარჩენნიც. ხოლო სხვადასხვა არსის, სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა ხატის, სხვადასხვა სახეობისა და გვარისანი არიან ისინი, რომელნიც სხვადასხვა სახეობისა და არსისანი არიან, როგორც, მაგალითად, ადამიანი და ცხენი, ხარი და ძაღლი და სხვა მისთანანი.

7. გვარისა და სახეობის შესახებ

გვარი სახეობებად იყოფა, როგორც მაგალითად, ცოცხალი არსებანი– გონიერებად და უგუნურებად(მეტყველებად და პირუტყვებად). ამრიგად, ცოცხალი(ცხოველი) გვარია გონიერისა და უგუნურისა, ხოლო გონიერი და უგუნური სახეობანი არიან ცოცხალისა. შემდეგ: გონიერი იყოფა მოკვდავად – ადამიანი და უკვდავად – ანგელოზი. გონიერება გვარია მოკვდავისა და უკვდავისათვის, ხოლო მოკვდავი და უკვდავი სახეობანი არიან გონიერებისა. ნათქვამი რომ უფრო ცხადი გახდეს, ზემოდან დავიწყებთ.

უზოგადესი[7] გვარია პირველი გვარი, რადგან არის რა გვარი, იმავდროულად არ არის სახეობაც, რადგან მასზე მაღლა სხვა გვარი არ არსებობს. მხოლოდ სახეობაა[8] უკანასკნელი, ბოლო სახეობა, რადგან იმავდროულად არ არის გვარიც, რადგან მისგან სხვა სახეობა აღარ გამოიყოფა.

გვარები და სახეობანი პირველ გვარსა და ბოლო სახეობას შორის არიან; გვარები, მოიცავენ დაბლა მდგომ სახეებს, ხოლო სახეობანი მაღლამდგომ გვარებში შედიან, რაც ლოგიკურ დაქვემდებარებად იწოდება. მაგალითად, ყველაზე პირველი გვარი არსია; რამდენადაც მასზე მაღლა სხვა გვარი არ არსებობს, ამდენად თვითონ სახეობა უკვე ველარ იქნება. თავად იგი სხეულის მქონედ და უსხეულოდ იყოფა; თავის მხრივ, სხეულის მქონე – სულიერად და უსულოდ, ხოლო სულიერი შეგრძნების მქონედ და შეგრძნების არმქონედაა დაყოფილი. შეგრძნების მქონე გონიერად და უგუნურად, გონიერი კი მოკვდავად და უკვდავად იყოფა. ამგვარად, უსხეულო გონიერი და

---

[7] დედანშია γενικώτατον γένος, რომელსაც „დიალექტიკის“ ქართულ ენაზე მთარგმნელნი – ეფრე მცირეცა და არსენ იყალთოელიც თარგმნიან ტერმინით ნათესავოანი ნათესავი: „ნათესავოანი ნათესავი არს, რომელი ნათესავი ხოლო იყოს და არა იყოს სახეც, არ-ქონებისათჳს უზემოეს ნათესავისა“(დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბ., 1976, გვ. 76).

[8] დედანშია εἰδικώτατον εἶδος, რომელიც ძველ ქართულ თარგმანებში გადმოტანილია ტერმინით სახოანი სახე: „რომლისათჳსცა ითქუმის სახე, რომელი არა იყოს ნათესავ, სახოანად სახედ, ვითარცა ნათესავი, რომელი არა იყოს სახე, სახელ-იდების ნათესავოანად ნათესავად“(იქვე).

უკვდავია. უსხეულოს აქ მე ვუწოდებ ისეთ არსს, როგორიცაა, მაგალითად, სული, ანგელოზი, დემონი. ყოველი მათგანი ყველაზე სახეობრივი სახეობაა.[9] სულიერი სხეული, რომელსაც შეგრძნების უნარიც აქვს, ცოცხალია, ხოლო გონიერი, მოკვდავი, ცოცხალი არსება – ადამიანი, რომელიც ყველაზე სახეობრივი სახეობაა; ცოცხალი, უგუნური და მყეფარი კი – ძაღლი, რომელიც ასევე ყველაზე სახეობრივი სახეობაა. შედეგ: სხეული სულიერი, მაგრამ შეგრძნების არ მქონე – მცენარე. სრულიად უსულო სხეულებია მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი, რომელთაგან თითოეული ყველაზე სახეობრივი სახეობაა.

უფრო მეტი სიცხადისათვის ამგვარად ვთქვათ. არსი, რომელიც, ერთი მხრივ, ზეარსობრივად მოიცავს შეუქმნელ ღმრთეებას, ხოლო, მეორე მხრივ, გონებისათვის შეცნობად ყველა ქმნილებას ყოვლისმომცველი სახით, უზოგადესი გვარია. იგი ან უსხეულო, გონიერი და უკვდავია, როგორც მაგალითად, ღმერთი, ანგელოზი, სული, დემონი, ან – უსულო სხეულია, როგორც, მაგალითად, ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა; ან მცენარეული სხეული, მაგალითად, ვაზი, ფინიკი, ზეთისხილი და სხვა ამდაგვარი; ან სულიერი და შეგრძნების მქონე სხეული ანუ ცოცხალი არსება, მაგალითად, ცხენი, ძაღლი, სპილო და სხვა მისთანანი; ან კიდევ ნაერთი სხეულისა და უსხეულო სულისა – ადამიანი. ამათგან არსი, ვითარცა პირველი, ყველაზე საერთო და ყოველივეს მომცველი, უზოგადესი გვარია. ამ უზოგადესი გვარის სახეობანი არიან უსხეულო, უსულო სხეული, მცენარეული სხეული და სულიერი და შეგრძნების მქონე სხეული, ანუ ცოცხალი არსება. ყველანი ესენი გვარებად და დაქვემდებარებულ სახეობებად იწოდებიან. სახეობანი ეწოდება მათ, რადგან ერთი არსისა(გვარისანი) და მისგან გამოყოფილნი არიან. ყოველი მათგანი იყოფა სხვა სახეობებად, თავისთავში მოიცავს მათ და მათთვის ყველაზე უფრო საერთოა(ზოგადია). მოიცავს ხომ უსხეულო არსი ღმერთს, ანგელოზს, სულს, დემონს, უსულო სხეული – მიწას, წყალს, ჰაერს, ცეცხლს; მცენარეული სხეული – ვაზს, ზეთისხილს, ფინიკს და სხვა ამდაგვართ, სულიერი და შეგრძნების მქონე ცოცხალი სხეული – ცხენს, ხარს, ძაღლს და სხვა მისთანას, და კიდევ: უსხეულო სულისა და სხეულისაგან აგებულ ადამიანს.

ამრიგად, არსებობს ჰიპოსტასი, ინდივიდი და პირი: მამა, ძე და სული წმიდა. სახეობა, რომელიც მათ მოიცავს, ზეარსი და მიუწვდომელი ღმრთეებაა. ჰიპოსტასები არიან, აგრეთვე, მიქაელი, გაბრიელი და ყოველი სხვა ანგელოზი, ხოლო მათი მომცველი სახეობა ანგელოზებრივი ბუნებაა. ასევე: ჰიპოსტასებია პეტრე, პავლე, იოვანე და ყოველი სხვა ადამიანი, მათი მომცველი სახეობა კი – კაცებაა; და კიდევ: ჰიპოსტასები არიან ეს და ის ცხენი, ხოლო მათი მომცველი სახეობა უბრალოდ ცხენია. ჰიპოსტასებია, აგრეთვე, ზეთისხილის ეს და ის ხე; მათი მომცველი სახეობა – უბრალოდ ზეთისხილია.

ამგვარად, უნდა ვიცოდეთ, რომ სახეობანი, ვითარცა მომცველნი ინდი-

[9] ტერმინი eἰdikώtaton eἶdos („სახოანი სახე“) ქართულად გადმოვიტანეთ როგორც სახეობრივი სახე, რომელიც, ვფიქრობთ, უფრო გასაგები იქნება თანამედროვე მკითხველისათვის.

ვიდებისა, მხოლოდ სახეობებად იწოდებიან, მაგალითად: ანგელოზი, ადამიანი, ცხენი, ძაღლი, ზეთისხილი, ფინიკი და სხვა მისთანანი; ხოლო კერძო სახეობათა(სახეობრივ სახეობათა) მომცველნი მხოლოდ გვარებად ან ერთმანეთის დაქვემდებარებულ სახეობებად იწოდებიან, როგორც, მაგალითად: უსხეულო, სხეული, უსულო, შეგრძნების არ მქონე, მცენარეული, სულიერი, შეგრძნების მქონე, ცოცხალი, გონიერი, უგუნური, მოკვდავი, უკვდავი, ორფეხა, ოთხფეხა, ქვეწარმავალი, ფრთოსანი და ყველა ამგვარი, რომელნიც კერძო სახეობებს მოიცავენ და მათთვის გვარებიც არიან და განმასხვავებელი ნიშნებიც; ხოლო მათი მომცველი უზოგადესი გვარი ანუ არსია.

მათ შესახებ შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას: ყოველი, რაც ღმრთის ერთი ბრძანებით შეიქმნა, ერთი გვარისაა, როგორც, მაგალითად, უბრძანა ღმერთმა თევზებს დაბადება და თევზთა მრავალი სახეობა შეიქმნა(დაიბადა); ყველა თევზი ერთი გვარისაა, მაგრამ ყოველი განმასხვავებელი ნიშანი თევზების სახეობას ქმნის(წარმოშობს). შემდეგ: უბრძანა ღმერთმა წყლებს წარმოეშვათ ფრინველები და წარმოიშვა მრავალი სახეობა ფრინველებისა. ყველა ფრინველი ერთ გვარს ეკუთვნის, ხოლო ყოველი განმასხვავებელი ნიშანი სახეობას ქმნის ფრინველთა გვარისა. იგივე უნდა ითქვას ქვეწარმავალთა, შინაურ და გარეულ ცხოველთა, ბალახთა, მწვანილეულთა და ხეთა შესახებაც. შეიძლება ითქვას, აგრეთვე, რომ ერთი გვარისაა ყველა ცოცხალი არსება, ერთი გვარისაა ყველა მცენარე და ერთი გვარისანი არიან უსულონი, რომელთაც სრულიად არა აქვთ ძალა ზრდისა და კვებისა; და კიდევ, რომ ერთი გვარისანი არიან უსხეულონი და ერთი გვარისანი – სხეულის მქონენი. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ერთი გვარისაა ყველა ქმნილება და ქმნილებათა შორის სხვაობანი ქმნილების გვარის მრავალ სახეობას წარმოშობს და რომ ყველა არსებული ერთი გვარისაა.

8. ენერგიათა(მოქმედებათა) შესახებ

ენერგია მოქმედი პირის სამოქმედო მოძრაობაა. ბუნებრივი ენერგია არის სამოქმედო მოძრაობა ბუნებისა, როგორც, მაგალითად, აზრობრივი მოძრაობა გონებისა; ასევე ცხოველმყოფელობა, მგრძნობელობა, საზრდოობა, ზრდა, შობა; და მოძრაობა თანახმად განზრახვისა ანუ მოძრაობა სხეულისა; ასევე: წარმოსახვა, ხსოვნა, მრისხანება, ვნება, სურვილი ანუ სწრაფვა და სხვა მისთანანი.

არსებობს მისი(ენერგიის) ხუთი სახე: გონიერი, როგორც, მაგალითად, ანგელოზებისა და ყველა უსხეულო არსისა, რომელიც გონების მარტივი მიმოქცევით აზროვნებს; განსჯითი, როგორც, მაგალითად, ადამიანთა, რომელნიც უსხეულო სულისა და სხეულისაგან შედგებიან და არა მარტივად, არამედ რთულად და გონების განსჯის უნარის მიმოქცევით აზროვნებენ; ცხოველური – მაგალითად, უგუნური(უტყვი) ცხოველებისა, რომელთაც შეგრძნების უნარი კი აქვთ, მაგრამ ვერც განსჯიან და ვერც აზროვნებენ; მცენარეული, რომელთაც შეგ-

რძნების უნარიც არა აქვთ, მაგრამ აქვთ ძალა საზრდოობისა(კვებისა), ზრდისა და შობისა; სრულიად არაცოცხალისა, როგორც, მაგალითად, მიწისა ან ქვებისა, რომელთაც არც სიცოცხლის, არც საზრდოობისა და არც ზრდის ძალა არ აქვთ, და არცერთ ბუნებრივ ენერგიასთან არ არიან წილნაყარნი(ზიარებულნი).

9. ტანჯვათა შესახებ

ბუნებრივი ტანჯვა მტანჯველი მოძრაობაა იმ პირის ბუნებისა, ვინც ტანჯვას განიცდის. იგი ბუნების ენერგიაა იმდენად, რამდენადაც ტანჯვა იმას მიეკუთვნება, რაც ენერგიასთან ახლოა, მაგალითად, შობა, სიხარული, სევდა, მღელვარება, შეშფოთება, შიში, სიმხდალე, დაღლა, ძილი, სიამოვნება, დაძაბულობა, რისხვა, ლტოლვა, განკვეთა, გამოდინება(გამოწურვა), ხრწნა და სხვა ამდაგვარი. ესენი და მათი მსგავსნი ბუნებრივი ტანჯვანი არიან, მაგრამ უმწიკვლონი, რადგან ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ. ბუნებას მხოლოდ ცოდვა – სულის ნებაყოფლობითი, უბოროტესი ტანჯვა და გახრწნა, – ეწინააღმდეგება.

10. ნების შესახებ

ნება ბუნებრივი და გონითი სწრაფვაა; და კიდევ: ნება ბუნებრივი, გონითი და დამოუკიდებელი სასურველი მოძრაობაა გონებისა. უგუნური ცხოველები მათგან დამოუკიდებლად, უნებლიეთ აღიძრვიან სურვილისათვის. რადგანაც განსჯითი გონება არ გააჩნიათ, აღეძრებათ რა ბუნებრივად სურვილი, მის სურვილს დამორჩილებულნი, ბუნებას მიჰყვებიან; ამიტომაც, თუ ხელი სხვა რამემ არ შეუშალათ, მოქმედებისათვის მყისვე აღიძვრიან. ამ მიზეზით არიან არა თავისუფალნი, არამედ დამოკიდებულნი. გონიერ ბუნებას კი ძალა აქვს იმისა, რომ ბუნებრივ სურვილს ან დამორჩილდეს, ან – არა და მასზე გაიმარჯვოს. ამას თვით ბუნებაც ცხადყოფს, რომელიც არის რა ბუნებრივი სწრაფვა სიცოცხლისაკენ, გონებასაც ემორჩილება; მრავალმა, გონების წინამძღოლობით გამარჯვებულმა, ნებაყოფლობით აირჩია ხომ სიკვდილი და დათმო სურვილი საკვებისა, ძილისა და სხვა ამათ მსგავსთა, გაიყოლა რა ბუნება თავისუფალი გონებით და არა თვითონ გაჰყვა მას. რამდენადაც შეგრძნებათა მქონე ყველა ბუნება ბუნებრივ სურვილს ემორჩილება, იმდენად თავისუფალია ყველა გონიერი ბუნება, რადგან ყველა გონიერი თავისუფალია და ამას ნიშნავს სწორედ **ხატი ღმრთისა.**

ამრიგად, სურვილი არის ბუნებრივი ან გონივრული და თავისუფალი სწრაფვა ძალისა და მოძრაობისა. სურვილი, რომელსაც ობიექტი აქვს და რომელიც მასზე ვრცელდება, გნომურ ნებად იწოდება, რადგან, რჩება რა დამოუკიდებელი, გონება მათით სარგებლობისათვის საკუთარი შეხედულების მიხედვით აღიძვრება. ესენი არიან, მაგალითად, ჭამა-არჭამა, დალევა-არდალევა, წასვლა-არწასვლა, ქორწინება-უქორწინებლობა და სხვა მისთანანი. არიან რა დამოკიდებულნი ჩვენს ნებაზე, შეგვიძლია მათგან როგორც ერთი, ისე მისი საპირისპიროც აღვასრულოთ.

წმიდა იოვანე დამასკელი

მესამე აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა დასაცავად[1]

მამაო, გვაკურთხენ.

უკეთურსა და ბოროტების სათავეს, გველს, ეშმაკზე ვამბობ, ჩვევად აქვს ღმრთის ხატად შექნილ ადამიანს მრავალი ხერხით ებრძოლოს და მტრული ხრიკებით სიკვდილი განუმზადოს, რადგან იმედი და სურვილი ღმერთად გახდომისა იმთავითვე ჩათესა მასში და ამით პირუტყვთა სიკვდილამდე დაამდაბლა; ამასთან, სამარცხვინო და უგუნურ ტკბობათა მიერაც ხშირად აცდუნა; და რამდენად დიდია წინააღმდეგობა განღმრთობასა და უგუნურ სურვილს შორის! მას ხან უღმერთოებისაკენ მიჰყავდა [ადამიანი], როგორც ამას მამა ღმრთისა[2] დავითი ამბობს: **თქუა უგუნურმან გულსა შინა თჳსსა, არა არს ღმერთი**(ფს.52,1), ხანაც – მრავალღმერთიანობისაკენ. ხან არწმუნებდა რომ თაყვანი არც ბუნებით ღმერთისთვის ეცა, ხან კი დემონების, ზეცისა და დედამიწის, მზის, მთვარის, ვარსკვლავთა და სხვა დანარჩენ ქმნილებათა – თვით ცხოველთა და ქვეწარმავალთა თაყვანსაცემად განაწყობდა. ერთნაირად ცუდია ხომ, როგორც საჭირო პატივის არმიგება ღირსეულთათვის, ისე უღირსთათვის მიძღვნა შეუფერებელი ქება-დიდებისა. და კიდევ: ზოგიერთებს ასწავლა ეთქვათ, რომ ბოროტება თანადაუსაბამოა ღმრთისა, ხოლო სხვები მოატყუა, რომ მიზეზი ბოროტებისა ბუნებით კეთილი ღმერთია. ერთნი აცდუნა და უგუნურად ათქმევინა, რომ ღმრთეებას ერთი ბუნება და ერთი ჰიპოსტასი აქვს, ხოლო სხვანი სამი ბუნებისა და სამი ჰიპოსტასის უსჯულოდ თაყვანისცემისათვის შეაცდინა. ზოგიერთებს წმინდა სამებიდან ერთის – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ერთი ბუნებისა და ერთი ჰიპოსტასის, ხოლო სხვებს კი მისი ორი ბუნებისა და ორი ჰიპოსტასის განდიდება უკარნახა.

ჭეშმარიტება კი, რომელიც(მათ შორის არსებული) სამეუფო გზით[3] მიაბიჯებს, ყოველ ამგვარ აბდაუბდას უარყოფს და ერთი ღმერთის აღიარებას ასწავლის. რომელსაც ერთი ბუნება და სამი პირი აქვს: მამა, ძე და სულიწმიდა; ხოლო ბოროტება, ამბობს იგი, არსი კი არაა, არამედ შემთხვევითობა, რაღაც აზრი, სიტყვა, ან საქმე, საწინააღმდეგო ღმრთის სჯულისა. მას არსებობა იმით

---

[1] P.B. Kotter, Die Schriften des Johannes von Damaskos, vol. 3 [Patristische Texte und Studien 17. Berlin: De Gruyter, 1975]: 65-200. TLG-2934.005.

[2] ღმრთისა მამაჲ(θεοπάτωρ) – ასე უწოდებს დავით მეფეს იოვანე დამასკელი სხვაგანაც, კერძოდ, „გარდამოცემაში“(IV,11, თარგმანი არსენ იყალთოელისა). ღმრთისა მამაჲ დავით წინასწარმეტყველის ეპითეტად გვხვდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელთანაც(ეპ. 8,1, თარგმანი ეფრემ მცირისა).

[3] ოქროს შუალედს(Μέση ὁδός) უკიდურესობათა შორის ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში სამეუფო გზა ეწოდება.

აქვს, რომ მოიაზრება, გამოითქმება და აღესრულება, მაგრამ მათ შეწყვეტასთან ერთად ქრება. [ჭეშმარიტება] ასევე გვამცნობს, რომ ქრისტე სამების ერთი წევრთაგანია – ორი ბუნებითა და ერთი ჰიპოსტასით.

მაგრამ მტერი ჭეშმარიტებისა და კაცთა ხსნისა, რომელმაც წარსულში დემონების, უსჯულო კაცთა, ფრინველთა, ცხოველთა და ქვეწარმავალთა გამოსახულებათა გასაკეთებლად და მათთვის, ვითარცა ღმერთებისათვის თაყვანსაცემად არა მხოლოდ წარმართები, არამედ ისრაელის შვილნიც ხშირად აცდუნა, ახლა ქრისტეს ეკლესიის, რომელშიც მშვიდობა სუფევს, აღელვებას ესწრაფვის: უსჯულო ბაგეებითა და ცბიერი ენით ღმრთეებრივ სიტყვებს ბიწით განამზადებს, მისი მახინჯი და ბნელი სახის დაფარვასა და განუმტკიცებელთა გულების ჭეშმარიტებისა და მამათა მიერ გადმოცემული ადათ-წესებისაგან მიდრეკას ცდილობს.

2. აღდგნენ ზოგიერთნი, რომელნიც ამბობენ, რომ არ არის საჭირო საჭვრეტად, სადიდებლად, განსაცვიფრებლად და მოშურნეობისათვის გამოსახვა და წარმოდგენა ქრისტეს მაცხოვნებელ სასწაულთა და ვნებათა და წმინდანთა მიერ ეშმაკის საწინააღმდეგოდ გაწეული ღვაწლისა. ვინ არ იცის, ვისაც კი ღმრთეებრივი ცოდნა და სულიერი ჭვრეტა აქვს, რომ ეს ეშმაკისგანაა შთაგონებული? რადგან მას არც საკუთარი დამარცხებისა და სირცხვილის საჯაროდ განცხადება სურს და არც ასახვა ღმრთისა და მის წმინდანთა დიდებისა. ჩვენ რომ უხილავი ღმრთის გამოსახულება შეგვექმნა, ჭეშმარიტად შევცოდავდით, რადგან გამოსახვა უსხეულოსი, უფორმოსი, უხილავისა და გარეშემოუწერელისა შეუძლებელია, და კიდევ: ჩვენ რომ შეგვექმნა გამოსახულებანი ადამიანებისა, ღმერთებად მიგვეჩნია ისინი და ვითარცა ღმერთთათვის, ისე გვემსახურა, ჭეშმარიტად უსჯულოებას ჩავიდენდით. მაგრამ ჩვენ ამათგან არცერთს არ ვაკეთებთ. ვქმნით რა მის ხატს, მას შემდეგ, რაც ღმერთი, მისი გამოუთქმელი სახიერებისა გამო, განხორციელდა, **ქუეყანასა ზედა გამოჩნდა** ხორცით **და კაცთა თანა იქცეოდა**(ბარ. III,38) და ბუნება [ჩვენი] – სიზრქე, გარეგნობა, ფერი ხორცისა – მიიღო, არ ვცდებით. ხილვა მისი გამოსახულებისა ფრიად გვწყურია, რადგან, როგორც ღმრთეებრივი მოციქული ამბობს, აწ **ვხედავ ვითარცა სარკითა და სახითა**(Iკორინ. XIII,12). სწორედ ხატია – სარკე და სახე შესაბამისი ჩვენი სხეულის სიზრქისა, რადგან, რაც არ უნდა იჯაფოს გონებამ, როგორც ღმრთეებრივი გრიგოლი ამბობს, სხეულებრივი საზღვრებიდან გასვლას ვერ შეძლებს.

3. შორს ჩვენგან, ო, მოშურნე ეშმაკო! შენ გშურს ჩვენი, რადგან შეგვიძლია ვიხილოთ მსგავსება უფლისა ჩვენისა და მის მიერ განწმენდილებს – ხილვა მისთა მაცხოვნებელთა ვნებათა, განცვიფრება მისი გარდამოხდომით [ზეციდან], ჭვრეტა მისთა სასწაულთა და შეცნობა და განდიდება მისი ღმრთეების ძლიერებისა. გშურს წმინდანებისა იმ პატივის გამო, რომელიც მათ ღმერთმა მიანიჭა. არ

გსურს აისახოს მათი დიდება, რათა მათ სიმამაცესა და სარწმუნოებას არ მივბაძოთ, ვერ აგიტანია ის, რომ რწმენით მივმართავთ მათ ხორციელი და სულიერი შემწეობისათვის.

არ დაგემორჩილებით შენ, შურიანო და კაცთმოძულე დემონო. ისმინეთ ერნო, თემნო, ტომნო, კაცნო, ქალნო, ყმაწვილნო, მოხუცნო, ყრმანო და ჩვილნო, – ქრისტიანთა წმინდა ერო! უკეთუ ვინმე თქვენ გარეშე იმისა, რაც კათოლიკე ეკლესიამ მოციქულთაგან, მამებისა და კრებებისაგან მიიღო და ვიდრე აქამდე იცავს, გახარებს, არ შეისმინოთ მისი, ნუ შეიწყნარებთ რჩევას გველისას, როგორც ის ევამ შეიწყნარა და სიკვდილი მოიმკო. საწინააღმდეგო იმისა, რაც მიიღეთ, ანგელოზმა და მეფემაც რომ გახაროთ, სასმენელნი დაიხშეთ. ჯერჯერობით თავს ვიკავებ იმის თქმისგან, რაც ღმრთეებრივმა მოციქულმა თქვა: **შეჩვენებულ იყავნ,** რადგან გამოსწორებას ველოდები.

4. მაგრამ ისინი, რომელთაც აზრი წმინდა წერილისა ვერ გამოიძიეს, ამბობენ, რომ ღმერთმა რჯულმდებელი მოსეს მიერ გვითხრა: **არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა**(გამს.XX,4); ხოლო დავით წინასწარმეტყველის პირით თქვა: **ჰრცხუენოდენ ყოველთა, რომელნი თაყუანის-სცემენ ჴელით ქმნულთა და რომელნი იქადიან კერპებითა მათითა**(ფს.96,7) და სხვა ამგვარნი. მაგრამ რაც არ უნდა მოიტანონ მათ ღმრთეებრივი წერილიდან და წმინდა მამების თხზულებათაგან, მისი [მართებულად] გაგებაა საჭირო.

რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ? სხვა რა, თუ არა ის, რაც უფალმა იუდეველებს უთხრა: **გამოიძიეთ წმინდა წერილი.** გამოძიება წმინდა წერილისა კარგია, მაგრამ იგი გონივრულად წარმართეთ; შეუძლებელია ხომ, საყვარელნო, მოტყუება ღმრთისა, რადგან ერთია ღმერთი, ერთია სჯულმდებელი ძველისა და ახალი აღთქმისა, რომელიც **მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა**(ებრ.1,1), ხოლო უკანასკნელთა ჟამთა – მისი მხოლოდშობილი ძის მიერ. ამგვარად, წარმართეთ გამოძიება გულდასმით; მე არ მითქვამს, არამედ სულიწმიდამ წმინდა პავლე მოციქულის მიერ განაცხადა: **მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა მიერ.** გულისხმაჰყავ, რომ ღმერთი **მრავლით კერძო და მრავლით სახით** ეტყოდა. რადგან, ვითარცა მცოდნე ექიმი ყველას და ყოველთვის ერთი სახის წამალს კი არ აძლევს, არამედ თითოეულს მისთვის საჭიროსა და სასარგებლოს, გათვალისწინებით ადგილისა, სენისა და დროისა, ე. ი. სხეულის მდგომარეობისა და ასაკისა: ჩვილებს ერთს, ასაკით სრულებს კი – მეორეს, სხვას – სნეულებსა და სხვას – გამოჯანმრთელებულებს და სნეულთაგანაც არა ყოველს ერთსა და იმავეს, არამედ თითოეულს მისი [სხეულის] მდგომარეობისა და სენის მიხედვით, ზაფხულში – სხვას და სხვას – ზამთარში, შემოდგომასა და გაზაფხულზე და ყოველ ადგილზე ყველაზე შესაფერისს ამ

ადგილისთვის. ასევე საუკეთესო მკურნალმა სულებისა, მათ, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვილნი იყვნენ და კერპთმსახურების სნეულებისაგან უძლურებაშეყრილნი კერპებს ღმერთებად მიიჩნევდნენ, ვითარცა ღმერთებს თაყვანს სცემდნენ და ღმრთის თაყვანისცემის უარმყოფელნი დიდებას მის ქმნილებას უძღვნიდნენ, გამოსახულებათა შექმნა აუკრძალა. შეუძლებელია ხომ შექმნა უსხეულო, უხილავი, უნივთო ღმრთის გამოსახულებისა, რომელსაც არც ფორმა აქვს, არც გარეშემოწერილობა და მიუწვდომელია. რადგან ის, რაც არ იხილვება, როგორ უნდა გამოისახოს? **ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიალთა მამისათა, მან გამოთქუა**(ინ.1,18); და: **არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხონდა**(გამს.23,20), – თქვა ღმერთმა.

5. იმის შესახებ, რომ კერპებს, ვითარცა ღმერთებს, თაყვანს სცემდნენ, მოისმინე, რას ამბობს წინდა წერილი გამოსვლათა წიგნში ისრაელის შვილებისა; როცა მოსე სინას მთაზე აღვიდა და იჯდა რა ღმერთთან და მიიღო რა მისგან სჯული, იქ დიდხანს დარჩა, უგუნური ხალხი ღმრთისმსახური აარონის წინააღმდეგ აღდგა და ეუბნებოდა: **მიქმენ ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინაგუძღოდიან ჩუენ, რამეთუ კაცსა მას მოსეს, რომელმან გამომიყუანა ჩუენ ქუეყანით ეგვიპტით, არა ვიცით, რაჲ შეემთხუა მას**(გამს.XXXII,1). შემდეგ, როცა მათ თავიანთ ქალებს სამკაულები მოხსნეს, [ხბო] ჩამოასხეს, ჭამეს, სვეს და დათვრნენ როგორც ღვინის, ისე ცდომილებისაგან და უგუნურებით ამბობდნენ: **ესე არიან ღმერთნი შენნი ისრაჱლ**(გამს.XXXII,8).

ხედავ, რომ ღმერთებად კერპები ჰყავდათ? ზევსის ესა თუ ის კერპი კი არ გააკეთეს, არამედ როგორც მოუხდათ, ოქრო იმ კერპის შესაქმნელად მისცეს, რომელიც გამოვიდოდა და ხარისთავიანი გამოსახულება გამოვიდა.[4]

ასე რომ, ამგვარი, მეტალისაგან ჩამოსხმული ღმერთები ჰყავდათ და ვითარცა ღმერთებს, ისე ეთაყვანებოდნენ მათ, რომელნიც დემონთა სამკვდრებელნი იყვნენ. იმის შესახებ, რომ ნაცვლად შემოქმედისა ქმნილებას ემსახურებოდნენ, ღმრთეებრივი მოციქული ამბობს: **და ცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმრთისაჲ მსგავსებად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა და მფრინველთა და ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა... და ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებელსა**(რომ.I,23,25). ამიტომაც აუკრძალა მათ ღმერთმა ყოველივე მსგავსების შექმნა.

6. მე ვიცი ის, ვინც ჭეშმარიტებით თქვა: **უფალი ღმერთი შენი მხოლოჲ უფალ არს**(IIსჯ.6,4); და: **უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას მხოლოსა ჰმსახურებდე**(IIსჯ.6,13); და: **არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი**(გამს.XX,3); და:

[4] იოვანე დამასკელის მიხედვით, ხალხმა, ცდილობდა რა ხილული ღმერთის შექმნას, იგი ალალბედზე გააკეთა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ხარის, როგორც კერპის თაყვანისცემა ახლო აღმოსავლეთში – ბაბილონიდან ეგვიპტემდე – გავრცელებული იყო. ეგვიპტეში ყოფნისას ებრაელებს თავად შეეძლოთ ეხილათ ჰელიოპოლისში თაყვანისცემა შავი ხარის – აპისისა და თეთრის – მნევისისა.

არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსებაჲ, რაოდენი ცათა შინა ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა(გამს.XX,4); და: **ჰრცხუენოდენ ყოველთა, რომელნი თაყუანის-სცემენ ჴელით-ქმნულთა**(ფს.96,7); და: **ღმერთთა, რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნეს, წარწყმდედ**(იერ.X,11); და ბევრ ამის მსგავსს **მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა... ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ მხოლოდშობილისა ძისა მიერ თჳსისა, ...რომლისაგანცა შექმნა საუკუნენი**(ებრ.I,1-2).

მე ვიცნობ, ვინც თქვა: **და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ცხოველი და ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე**(ინ. XVII,3). და მრწამს ერთი ღმერთი, ერთი საწყისი ყოველთა, დაუსაბამო, შეუქმნელი, უვნებელი და უკვდავი, საუკუნო და მარადიული, მიუწვდომელი, უსხეულო, უხილავი, გარეშემოუწერელი, უფორმო, ერთი ზეარსებული არსი, ზესთა ღმერთთაჲ ღმრთეება, სამი პირით – მამით, ძით და სულიწმიდით და მას მხოლოსა ვმსახურობ, და მსახურებრივ თაყვანისცემასაც მხოლოსა მას მივაგებ. თაყვანსა ვცემ ერთ ღმერთს, ერთ ღმრთეებას, მაგრამ ასევე ვემსახურები ჰიპოსტასთა სამებას – მამა ღმერთს, განხორციელებულ ძე ღმერთსა და სულიწმიდა ღმერთს, არა სამ ღმერთს, არამედ ერთს, არა ჰიპოსტასებს განყოფილად, არამედ შეერთებულს. არა სამ თაყვანისცემას მივაგებ, არამედ ერთს, არა ჰიპოსტასთაგან თითოეულს ცალ-ცალკე, არამედ სამივე ჰიპოსტასს ერთად, ვითარცა ერთ ღმერთს, ერთსა თაყვანისცემასა მივაგებ. თაყვანსა ვცემ არა ქმნილებას გარეშე შემოქმედისა, არამედ თაყვანს ვსცემ შემოქმედს, ვინც მსგავსად ჩემსა ქმნულ იქმნა და ქმნილებასა შინა დაუმდაბლებლად და უცვალებელად გარდამოხდა, რათა ბუნება ჩემი განედიდებინა და ღმრთეებრივი ბუნების თანაზიარი გაეხადა. მეფესა და ღმერთთან ერთად თაყვანსა ვსცემ მეწამულ შესამოსელს სხეულისას, არა როგორც სამოსს და არა როგორც მეოთხე პირს(შორს ჩემგან), არამედ როგორც თანაღმერთს,[5] მის მაკურთხეველთან ცვლილების გარეშე შეერთებულს. რადგან ბუნება ხორცისა კი არ გახდა ღმრთეება, არამედ ისევე როგორც სიტყვა, იქმნა რა ხორცი, უცვლელად დარჩა იმადვე, რაც მანამდე იყო, ასევე ხორცსაც, რომელიც სიტყვა გახდა, არ დაუკარგავს ის, რაც არის, უკეთესად რომ ვთქვათ: სიტყვას ჰიპოსტასურად გაუიგივდა. ამიტომაც გაბედულად გამოვსახავ უხილავ ღმერთს, არა როგორც უხილავს, არამედ როგორც ხილულს, ჩვენს ხორცსა და სისხლთან ზიარების შედეგად. არა უხილავ ღმრთეებას გამოვსახავ, არამედ – ხორცს ღმრთისას, რომელიც ხილული იყო. უკეთუ გამოსახვა სულისა შეუძლებელია, რამდენად უფრო შეუძლებელი იქნება გამოსახვა იმისა, ვინც სულს უნივთოება მიანიჭა?

7. მაგრამ ამბობენ: თქვა ღმერთმა სჯულმდებელი მოსეს მიერ: **უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანს-სცემდე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე**(2სჯ.6,13), და:

[5] ტერმინი „თანაღმერთი“ (ὁμοθεός) იოვანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირის თარგმანებშიც დასტურდება (გარდამოცემა III, 17).

არა ჰქმნე... ყოველი მსგავსებაჲ, რაოდენი ცათა შინა-ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა(გამს.XX,4).

ძმანო, ჭეშმარიტად ცდებიან ისინი, რომელთაც არ იციან წმინდა წერილი და არ იციან, რომ: **წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს**(IIკორ.III,6). და რომელნიც წმინდა წერილსა შინა დაფარულ სულს არ იძიებენ, შემეძლო მათთვის საკადრისად მეთქვა: ვინც თქვენ ეს გასწავლათ, ისიც გასწავლათ, რაც [მისგან] გამომდინარეობს. გულისხმაჰყავ, როგორ განმარტავს მას რჯულმდებელი, რომელიც მეორე რჯულში ასე ამბობს: **გეტყოდა თქუენ უფალი მიერ მთით შორის ცეცხლსა მას, რომლისა ჴმაჲ სიტყუათა მისთაჲ გესმოდა თქუენ, ხოლო ქმნულებასა არა ხედევდით**(IIსჯ.IV,12). ცოტა შემდეგ: **ეკრძალენით თავთა თქუენთა, რამეთუ ხატი ქმნულებისა არა იხილოთ თქუენ დღესა მას, რომელსა გეტყოდა თქუენ უფალი ღმერთი მთასა მას ქორებსა შორის ცეცხლსა მას და თქუა, ვითარმედ: ნუ უსჯულოებთ, ნუცა იქმთ თავისა თქუენისა კერპთა გამოქანდაკებულთა მსგავსად ხატისა მამრისა გინა მდედრისა, გინათუ მსგავსად ყოვლისავე საცხოვარისა, რომელ-რაჲ არს ქუეყანასა ზედა, ანუთუ მსგავსად ყოვლისა მფრინველისა მფრთოვანისა, რომელი ფრინავს ცასა ქუეშე**(IIსჯ.IV,15-17). ცოტა შემდეგ: **ნუცა აღიხილავ ზეცად, რაჲთა არა რაჟამს იხილო მზე გინათუ მთოვარე და ვარსკულავნი ანუთუ ყოველი სამკაული ცათა და შესცთე, თაყუანის-სცე მათ ანუ ჰმსახურებდე მათ**(IIსჯ.IV,19).

ხედავ, რომ მიზანი ერთია – არ ვემსახუროთ ქმნილებას ნაცვლად შემოქმედისა და არცა მსახურებრივი თაყვანისცემა მივუძღვნათ არავის, გარდა შემოქმედისა. ამიტომაც აერთიანებს იგი ყველგან მსახურებას თაყვანისცემასთან. ისევ ამბობს: **არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თჳნიერ ჩემსა. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსება, რაოდენი ცათა შინა ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა ქუე, არცა თაყუანი-სცე მათ, არცა ჰმსახურო მათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი**(გამს.XX,3-5), და კვლავ: **ბაგინები მათი დაამჴუთ და ძეგლები მათი დამუსრეთ, სერტყები მათი დაკაფეთ, კერპები მათი დაწვით ცეცხლითა და საჴსენებელი მათი წარწყმიდეთ ქუეყანისა მისგან**(IIსჯ.XII,3), რათა სხვა ღმერთს არ სცეთ თაყვანი, და ცოტა შემდეგ: **და კერპნი გამოსადნობელნი არა იქმნნეთ თავისა თქუენისა**(გამს.34,17).

ხედავ, რომ ხატწერას კერპთმსახურებისაგან თავის დაღწევის გამო კრძალავს და რომ გამოსახვა არარაოდენობრივი, გარეშემოუწერელი და უხილავი ღმერთისა შეუძლებელია? **თქვენ ხომ სახე მისი არ გიხილავთ,** – ამბობს, ან: არეოპაგის შუაში მდგარი პავლე ამბობს: **უკუე ვინაჲთგან ნათესავ ღმრთისა ვართ, არა გვიღირს, ვითარმცა ვჰგონებდით ოქროსა გინა ვეცხლსა ანუ ანთრაკსა, გამოხატულსა ხუროებით განზრახვითა კაცთაჲთა საღმრთოჲსა მის მსგავს ყოფად**(საქმ.XVII,29).

8. იუდეველებს ეს კანონად მიეცათ მათი კერპთაყვანისმცემლობისაკენ მიდრეკილებისა გამო; ხოლო, ჩვენ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის მსგავსად რომ

ვთქვათ, რომელთაც გვებოძა თავის დაღწევა ცრუმორწმუნეობრივი ცდომილებისაგან, წმინდა ურთიერთობა ღმერთთან, შეცნობა ჭეშმარიტებისა, მსახურება მხოლოჲსა ღმრთისა, გარდამეტებული სისავსე ღმრთის შეცნობისა, ყრმობიდან მიწევნა **მამაკაცად სრულად, რაჲთა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩჩვლ**(ეფ.IV,14), რომელთაც ღმრთისაგან მივიღეთ ნიჭი გარჩევისა, ვიცით რისი ასახვა შეგვიძლია გამოსახულებით და რისი – არა. **ვინაჲცა შჯული იგი მზარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რაჲთა სარწმუნოებითა განვმართლდეთ**(გალატ.III,24), და: **ეგრეცა ჩუენ, ვიდრე-იგი ყრმაღა ვიყვენით, წესთა მათ ქუეშე ამის სოფლისათა ვიყვენით დაკირთებულ**(გალატ.IV,3); ხოლო **მო-რაჲ-იწია სარწმუნოებაჲ, არღარა მზარდულთა ქუეშე ვართ**(გალატ.III,25).

რამეთუ სახე მისი არ გიხილავთ, – ამბობს [წმინდა წერილი]. ო, სიბრძნე სჯულმდებელისა! როგორ უნდა გამოისახოს უხილავი? როგორ უნდა შეიქმნას მსგავსება მისი, ვინც მიუმსგავსებელია? როგორ უნდა გამოიხატოს ის, ვისაც არც რაოდენობა აქვს, არც სიდიდე, ვინც შემოუსაზღვრელია და უსახო? როგორ უნდა შეიქმნას ფერებით უსხეულო? როგორ უნდა მიეცეს ფორმა იმას, ვისაც ფორმა არა აქვს? რა ჩანს დაფარულად [ამ ადგილებიდან]? ცხადია ის, რომ: ახლა უხილავი ღმერთი არ უნდა გამოსახო, ხოლო, როცა უსხეულოს შენ გამო განკაცებულს იხილავ, მაშინ შექმენი გამოსახულება მისი კაცობრივი გარეგნობისა. რაჟამს უხილავი ხორცს შეისხამს და ხილული გახდება, მაშინ გამოსახე მსგავსება ხილულად მოვლენილისა.

ვისაც თავისი ბუნების უპირატესობის გამო არც რაოდენობა აქვს, არც ასაკი, არც სიდიდე, **რომელი იგი ხატი ღმრთისაჲ იყო** და **ხატი მონისაჲ მიიღო**(ფილიპ. II,6.7) და ამგვარად, შეიმოსა რა სხეულით, რაოდენობრივადაც, სიდიდითაც და თვისობრივადაც შემოსაზღვრული გახდა, ის გამოსახე და დაფაზე საჭვრეტად ის წარმოადგინე, ვინც სახილველ იქმნა. გამოსახე მისი გამოუთქმელი სიმდაბლე, ქალწულისაგან შობა, იორდანესა შინა ნათლისღება, თაბორსა ზედა ფერისცვალება, ვნებანი, რომლითაც ვნებათაგან გვიხსნა, სასწაულები – ნიშანი მისი ღმრთეებრივი ბუნებისა და ენერგიისა, აღსრულებულნი ხორცის მეშვეობით, მაცხოვნებელი დაფლვა მაცხოვრისა, აღდგომა, ზეცად ამაღლება; სიტყვითა და ფერებით ყოველივე გამოსახე წიგნთა შინა და დაფებსა ზედა.

9. მოისმინე, რას ამბობს [წმინდა წერილი]: **არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი.** ბრძანა რა ეს ღმერთმა, [შემდეგ] ნათქვამია: **ჰქმნეს კრეტსაბმელი იგი იაკინთისაგან, და ძოწეულისა, და მეწამულისა, და ზე ზისაგან ძახილისა და ქმნული ქსოვით ქერობინად**(გამს.XXXV,35), **და ქმნა სალხინებელი იგი კიდობანსა ზედა ოქროჲსაგან წმიდისა და ორი ქერობინი**(გამს.XXXVIII,5).

რას აკეთებ, მოსე? შენ თქვი: **არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსი** და შენვე განამზადე კრეტსაბმელი **ქმნული ქსოვით ქერობინად** და **ორნი იგი ქერობინნი ოქროჲსაგან?** მაგრამ მოუსმინე, რას გპასუხობს შენ

საქმით მსახური ღმრთისა მოსე: ჰოჲ ბრმანო და უგუნურნო, შეიცანით ძალა ნათქვამისა და სულთა შინა თქვენთა მტკიცედ დაიცავით. მე ვთქვი: **ხატი ქმნულებისა არა იხილოთ თქუენ დღესა მას, რომელსა გეტყოდა თქუენ უფალი ღმერთი მთასა მას ქორებსა შორის ცეცხლსა მას; ნუ უსჯულოებთ, ნუცა იქმთ თავისა თქუენისა კერპთა გამოქანდაკებულთა**(IIსჯ.IV,15-16) **და ნუ იქმ თავისა შენისათვის გამოქანდაკებულთა ღმერთთა.** არ მითქვამს ხომ: არ გააკეთო გამოსახულებანი ქერუბიმთა, ვითარცა მონათა, მდგომარეთა წინაშე სალხინებელისა, არამედ **ნუ იქმ თავისა შენისათვის გამოქანდაკებულთა ღმერთთა** და **ნუ იქმ ყოველსა მსგავსებასა,** ვითარცა ღმრთისა და არ ემსახურო **ქმნილებას ნაცვლად შემოქმედისა.**

ამგვარად, მე არ შემიქმნია მსგავსება ღმრთისა, არცა სხვა რაიმესი ვითარცა ღმრთისა, არც ადამიანისა(რადგან კაცობრივი ბუნება ცოდვის მიერაა დამონებული) და არცა ქმნილებისათვის მიმსახურია ნაცვლად შემოქმედისა, არამედ განვამზადე მსგავსება ყოვლისა სამყაროჲსა[6] – კარავი, მიხედვით იმისა, რაც მთასა ზედა მეჩვენა და ქერუბიმნი, რომელნიც, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარენი, სალხინობელს აგრილობენ.

ხედავ, როგორ გაცხადდა მიზანი წმინდა წერილისა, მათთვის, რომელნიც მას გონივრულად გამოიძიებენ? საყვარელნო, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა საქმეში გამოიძიება ჭეშმარიტებაცა და სიცრუეც, ასევე მიზანიც მათი მოქმედისა – კეთილია ის თუ ბოროტი.

სახარებაში გვხდება ღმერთიც, ანგელოზიცა და ადამიანიც, დედამიწაც, წყალიც, ცეცხლიცა და ჰაერიც, მზეც, მთვარეცა და ვარსკვლავებიც, ნათელიცა და ბნელიც, სატანაცა და დემონებიც, გველებიცა და ღრიანკალებიც, სიცოცხლეც, სიკვდილიცა და ჯოჯოხეთიც, სათნოებანიც და ბიწიერებანიც, ყოველივე – მშვენიერიცა და ცუდიც. მაგრამ, რადგანაც ყოველივე, მათ შესახებ თქმული ჭეშმარიტებაა და მიზანი კი, ერთი მხრივ, დიდება ღმრთისა, მის მიერ განდიდებულთა წმინდანთა და ჩვენი ხსნა, ხოლო, მეორე მხრივ, – შერცხვენა ეშმაკისა და მისი დემონებისა, ჩვენ თაყვანს ვსცემთ, ვემთხვევით, ვეამბორებით და თვალებით, ბაგეებითა და გულით ვესალმებით მას; მსგავსადვე მთელს ძველსა და ახალ აღთქმას, სიტყვებს წმინდათა და გამორჩეულთა მამათა; ხოლო სამარცხვინო, საძაგელსა და უწმინდურ თხზულებებს წყეულთა მანიქეველთა, თუმცა ისინი იმავე სახელებს შეიცავენ, ვითარცა სიცრუისა და ამაოების შემცველთა და ეშმაკისა და მისი დემონების სადიდებელად და მათ გასახარად მოგონილთ, უგულებელვყოფთ და შორს განვაგდებთ.

ასევე ხატებთან მიმართებითაც, საჭიროა გამოძიება როგორც ჭეშმარიტებისა, ასევე იმათი მიზნისაც, ვინც მათ ქმნის; თუკი ის ჭეშმარიტია და სწორი,

[6] ტექსტშია Πάσης της κτίσεως – სიტყვასიტყვით: ყოვლისა ქმნილებისა. მაგრამ რადგან აქ კონტექსტის მიხედვით არა ქმნილებანი ცალ-ცალკე, არამედ საერთოდ შექმნილი სამყარო უნდა იგულისმებოდეს, აზრისთვის სიცხადის მისანიჭებლად ვამჯობინეთ ჩ κτίσις არა ქმნილებად, არამედ სამყაროდ გვეთარგმნა.

ღმრთისა და მისი წმინდანების სადიდებლად, სათნოებასა შინა მოშურნეობის, ბოროტისაგან განშორებისა და სულთა ცხოვნებისთვისაა შექმნილი, უნდა მივიღოთ და პატივი მივაგოთ ვითარცა ხატებს, მიბაძვებსა და მსგავსებებს, ვითარცა წიგნებს წერა-კითხვის უცოდინართათვის; თაყვანიც უნდა ვსცეთ, ვეამბოროთ და თვალებით, ბაგეებითა და გულით მივესალმოთ კიდეც, როგორც მსგავსებას განხორციელებული ღმრთისა, მისი დედისა, ან წმინდანებისა, რომელნიც ქრისტეს ვნებათა და მისი დიდების მოზიარენი გახდნენ, გაიმარჯვეს და გაანადგურეს რა ეშმაკი, დემონები და მათი ცდომილება.

უკეთუ ვინმე გაკადნიერდება და უნივთო და უსხეულო ღმრთეების გამოსახულებას შექმნის, როგორც სიცრუეს – უკუვაგდებთ. ხოლო თუკი ვინმე [გამოსახულების გაკეთებას] ეშმაკის ან დემონების სადიდებლად, მათთვის პატივის მისაგებად და თაყვანსაცემად გაბედავს, სიძულვილით უგულებელვყოფთ და ცეცხლსა შინა გავანადგურებთ. იმას კი, ვინც ადამიანთა, შინაურ ცხოველთა, ფრინველთა, ქვეწარმავალთა თუ სხვა რომელიმე ქმნილების გამოსახულებას გააღმერთებს, შევაჩვენებთ.

ვითარცა ჩვენ თაყვანს-ვსცემთ ღმრთისა და წმინდანთა სახელობის ტაძრებს, რომელნიც წმინდა მამებმა მათ მიერვე დანგრეულ დემონთა საკურთხევლებისა და ტაძრების ადგილებზე ააგეს, ასევე მივაგებთ თაყვანს ქრისტეს, მისი დედისა და წმინდანთა ხატებს, რომელნიც მათ მათგანვე შემუსვრილ დემონთა გამოსახულებათა ნაცვლად აღმართეს.

ძველი აღთქმის ხანაში ისრაელი არც ადამიანთა სახელებზე აგებდა ტაძრებს და არც მათი ხსენება იდღესასწაულებოდა, რადგან კაცობრივი ბუნება ჯერ კიდევ წყევლის ქვეშ იმყოფებოდა და განაჩენად სიკვდილი ჰქონდა გამოტანილი; ამიტომაც დასტიროდნენ გარდაცვლილს, ხოლო ვინც მის სხეულს შეეხებოდა, უწმინდურად ითვლებოდა. ახლა კი, როცა ღმრთეება, ვითარცა ცხოველსმყოფელი დ მაცხოვნებელი წამალი, ჩვენს ბუნებას შეურწყმელად შეუერთდა, ბუნება ჩვენი ჭეშმარიტად განდიდდა და უხრწნელად გარდაიცვალა, მათ სახელებზე(ე. ი. წმინდანებისა) ტაძრებიც აღიმართება და მათი ხატებიც იწერება.

10. დაე, ყოველმა კაცმა იცოდეს, რომ უკეთუ ქრისტეს, მისი დედის – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა, ან რომელიმე წმინდანის სადიდებლად და მოსახსენებლად, ხოლო შესარცხვენად და დასამარცხებლად ეშმაკისა და მისი დემონებისა, ღმრთეებრივი სიყვარულითა და მოშურნეობით შექმნილი ხატის განადგურებას შეეცდება, თაყვანს არ სცემს, პატივს არ მიაგებს და მასზე გამოსახულს, ვითარცა პატიოსან ხატს და არა ვითარცა ღმერთს, სიყვარულით არ ემთხვევა, მტერია ქრისტესი, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისა და წმინდანებისა, შურისმაძიებელი ეშმაკისა და მისი დემონებისათვის, საქმით მაჩვენებელი მწუხარებისა იმის გამო, რომ ღმერთი და მისი წმინდანები პატივდებულნი არიან და იდიდებიან, ეშმაკი კი – შერცხვენილი; ხატი ხომ ტრი-

უმფია, განცხადება, სვეტსა ზედა წარწერა მოსახსენებლად უმამაცესთა და რჩეულთა გამარჯვებისა და დამარცხებულთა და დამხობილთა შერცხვენისა.

ხშირად მინახავს, ისინი, რომელთაც ძლიერ უყვართ, საყვარელი [ადამიანის] სამოსის ჭვრეტისას, მას თვალებითაც და ბაგეებითაც ეალერსებიან. წმინდა პავლე მოციქულის მიხედვით, ყველას ჯეროვნად უნდა მიეგოს, **პატივსა – პატივი**(რომ.XIII,7), მეფეს – ვითარცა აღმატებულს, მთავრებს – ვითარცა მათგან წარმოგზავნილებს, ყოველს – საზომით [მისი] დამსახურებისა.

11. სად ნახე ძველ აღთქმასა თუ სახარებაში სახელი სამებისა ან [ტერმინი] **ერთარსი,** ან ცხადად თქმული: – **ერთი ბუნება ღმრთეებისა და სამი ჰიპოსტასი,** ან სიტყვასიტყვით – **ერთი ჰიპოსტასი ქრისტესი** და **ორი ბუნება** მისი? მაგრამ რადგანაც წმინდა მამებმა იმ თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმების მიხედვით განსაზღვრეს ისინი, რომელნიც წმინდა წერილში გვხვდება, ჩვენ მათ ვიღებთ, ხოლო ვინც არ იღებს, ანათემაზე გადავცემთ. მე მინდა ძველი აღთქმის საფუძველზე წარმოგიდგინო შენ, რომ შექმნა გამოსახულებებისა თვითონ ღმერთმა ბრძანა: ჯერ ერთი, მოწყობა კარვისა და ყოველივესი, რაც მის შიგნით იყო, [მოსეს] მან უბრძანა; და სახარებაშიც მათ, ვინც გამოცდის მიზნით ჰკითხა: **ჯერ-არსა მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა ანუ არა?** უთხრა: **მიჩუენეთ დრაჰკანი იგი? ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.** და ჰკითხა მათ: **ვისი არს ხატი ესე?** მათ უთხრეს: **კეისრისაჲ.** მაშინ უთხრა მან: **მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა**(მთ.XXII,17-21), ანუ: [დრაჰკანი], რომელსაც კეისრის გამოსახულება აქვს, კეისრისაა და მიეცით კეისარს. ხატი ქრისტესი კი, ქრისტეს მიეცით, რადგანაც იგი ქრისტესია.

12. ნეტარად რაცხდა რა თავის მოწაფეებს, უფალმა უთხრა მათ: **მრავალთა მეფეთა და წინაწარმეტყუელთა გული-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა**(მთ.XIII,17); **ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის**(მთ.XIII,1,6).

ამგვარად, მოციქულებმა ქრისტე ხორციელად იხილეს, ასევე – ვნებებიცა და სასწაულებიც მისი და მისი სიტყვებიც მოისმინეს. ხილვა და მოსმენა უფლისა და განცდა ნეტარებისა ჩვენც ფრიად გვწყურია. მათ იგი, იმდენად, რამდენადაც ხორციელად მათთან იყო, პირისპირ იხილეს. ჩვენ კი, რადგანაც სხეულებრივად ჩვენთან არაა, ისევე, როგორც მის სიტყვებს წიგნებიდან ვისმენთ და სასმენელი, ხოლო მის მიერ სულიც გვეწმინდება და პატივს მათ, საიდანაც მისი სიტყვები გვესმის, თაყვანისცემით მივაგებთ, ასევე ვჭვრეტთ რა დაწერილ ხატებზე ქრისტეს სხეულებრივი გარეგნობის გამოსახულებას, მის სასწაულებსა და ვნებას, ვიწმინდებით, სრულიად ვკმაყოფილდებით, ვხარობთ, ნეტარებას განვიცდით და მის სხეულებრივ გარეგნობას კრძალვით ვეპყრობით, პატივს

ვცემთ და ვეთაყვანებით. ხოლო მჭვრეტელნი მისი სხეულებრივი გარეგნობისა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მისი ღმრთეების დიდებასაც წარმოვიდგენთ. რამდენადაც ჩვენ ორმაგი აგებულება გვაქვს – სულისა და სხეულისაგან შევდგებით და სული ჩვენი არა შიშველი, არამედ, ვითარცა საფარველით [სხეულითაა] დაფარული, ამიტომაც სხეულებრივის გვერდის ავლით სულიერთან მიახლება არ შეგვიძლია. ამგვარად, ისევე როგორც ხორციელ სასმენელთა მიერ მოსმენილი გრძნობადი სიტყვების მეშვეობით სულიერს გულისხმავყოფთ, ასევე მივდივართ სხეულებრივი ჭვრეტიდან სულიერ ჭვრეტამდე. ქრისტემაც იმიტომ მიიღო სხეული და სული, რომ ადამიანსაც სხეული და სული აქვს. ამიტომ ნათლობაც ორმაგია – წყლისა და სულისაგან, წმინდა ტრაპეზიც [ზიარება ქრისტეს ხორცითა და სისხლით], ლოცვაცა და ფსალმუნთა გალობაც, – ყოველივე ორმაგია: სხეულებრივი და სულიერი, – აგრეთვე, კანდელიცა და კმევაც.

13. მაგრამ ეშმაკმა ყოველივე დაუტევა და მხოლოდ ხატთა წინააღმდეგ აღდგა. მისი შური ხატების მიმართ ისე დიდია, რომ იერუსალიმის პატრიარქი, წმინდა სოფრონიოსი „ლიმონარში“ წერს: „იყო ვინმე [მონაზონი], რომელიც ზეთისხილის მთაზე განმარტოვდა. მას ძალიან ებრძოდა სიძვის დემონი. ერთხელ, როცა იგი ფრიად მიეძალა, ბერმა გოდება დაიწყო და უთხრა: „სანამდე არ მომეშვები? ბოლოს და ბოლოს განმშორდი, რადგან შენც ჩემთან ერთად დაბერდი“. დემონი მას თვალხილულად წარუდგა და უთხრა: „შემომფიცე, რომ არავის ეტყვი, რის თქმასაც ახლა შენთვის განვიზრახავ და აღარასოდეს შეგებრძოლები“. შეჰფიცა მას ბერმა, მაღალთა შინა მკვიდრთა სახელით, რომ მის ნათქვამს არავის ეტყოდა. მაშინ უთხრა მას დემონმა: „თაყვანი არ სცე ამ ხატს და აღარასოდეს შეგებრძოლები“. ხატზე დედოფალი ჩვენი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი იყო გამოსახული ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან ერთად“.

ნახე, ვის ბაძავენ და ვისი იარაღები არიან ისინი, რომელნიც ხატთა თაყვანისცემას კრძალავენ! სიძვის დემონმა ბერის სიძვის უწმინდური ცოდვით დაცემას არჩია, უარი ეთქმევინებინა მისთვის დედოფლის ხატის თაყვანისცემაზე, რადგან იცოდა, რომ სიძვის ცოდვაზე უფრო დიდი ეს ცოდვა იქნებოდა.

14. მაგრამ რამდენადაც სიტყვა ხატსა და თაყვანისცემას ეხება, შევეცდებით მათი უფრო ფართოდ განვსაზღვროთ და ვთქვათ: პირველი: რა არის ხატი? მეორე: რის გამო წარმოიშვა ხატი? მესამე: რამდენი სახეა ხატისა? მეოთხე: რა უნდა გამოისახოს და რა არ უნდა გამოისახოს? მეხუთე: ვინ შექმნა პირველად ხატი?

15. შემდეგ [ვიტყვით] თაყვანისცემის შესახებაც. პირველი: რა არის თაყვანისცემა? მეორე: რამდენი საშუალებაა თაყვანისცემისა? მესამე: რამდენი [პირი ან საგანი] გვხვდება წმინდა წერილში თაყვანცემული? მეოთხე: ყველა თაყვანისცემა ღმრთისაა, ვინც ბუნებითაა თაყვანცემული; მეხუთე: პატივი მიგებული ხატისადმი პირველსახემდე აღიწევა.

16. პირველი, **რა არის ხატი?** ხატი არის მსგავსება, ნიმუში და გამოსახულება ვინმესი, რომელიც იმას, რაც მასზეა გამოსახული, თავით თვისით წარმოაჩენს; მაგრამ გამოსახულება სრულად და ყველა მიმართებით პირველსახეს(პროტოტიპს) ანუ გამოსახულ [პირსა თუ საგანს] არ ემსგავსება, რადგან სხვა არის ხატი და სხვა [ვინც ან რაც] მასზეა ასახული და სხვაობა მათ შორის ყველა შემთხვევაში იხილვება, რამდენადაც ეს არ არის სხვა და არც სხვა არის ის; მაგალითად, გამოსახულება ადამიანისა თუმცა სხეულის ფორმას აღბეჭდს, მაგრამ სულიერ ძალებს არ ფლობს, რადგან არც ცოცხლობს, არც აზროვნებს და არც ხმას გამოსცემს, არც გრძნობს და არც ნაწილებს [სხეულისა] ამოძრავებს; და ძეც, რომელიც ბუნებითი ხატია მამისა, მისგან მაინც რაღაცით განსხვავდება, რადგან ძეა და არა მამა.

17. მეორე: **რის გამო წარმოიშვა ხატი?** ყველა ხატი დაფარულს ცხადყოფს და წარმოაჩენს. მაგალითად, რადგანაც სული სხეულითაა დაფარული და ადგილითა და დროით გარეშემოწერილი, ადამიანს არც უხილავის შესახებ ცხადი ცოდნა აქვს, არც იმისი, რაც მის შემდგომ იქნება და არც [მისგან] ადგილით გაყოფილისა და შორს მყოფისა; საწინამძღვროდ ცოდნის გზისა, განმარტებისა და დაფარულის განცხადებისა, საერთოდ კი, სარგებლობისა, წყალობისა და ცხოვნებისათვის ხატი იქნა მოფიქრებული, რათა [ხატების მეშვეობით] ბოძებზე წარწერილ და საზეიმოდ განცხადებულ საქმეთაგან შევიცნოთ დაფარულნი, შევიყვაროთ და ვმოშურნეობდეთ მშვენიერს, ხოლო საპირისპიროსაგან ანუ ბოროტისაგან მოვიქცეთ და მოვიძულოთ იგი.

18. მესამე: **რამდენი სახე არსებობს ხატისა?** ხატის სახეები შემდეგია: პირველი ხატი ბუნებითია. ყოველ საგანში უწინარესად უნდა იყოს ის, რაც არის ის ბუნებით, ხოლო შემდეგ, რაც მდგომარეობისა და ასახვის მიხედვითაა. მაგალითად, ადამიანი ჯერ თავისი ბუნებით უნდა არსებობდეს და შემდეგ – ასახული მდგომარეობით. პირველი ბუნებითი და უცვალებელი ხატი უხილავი ღმერთისა არის ძე მამისა, რომელიც თავით თვისით მამას აჩვენებს. რადგან **ღმერთი არავინ სადა იხილა**(ინ.I,18) და კიდევ: **არა თუ მამაჲ ვის უხილავს**(ინ. VI,46). იმის შესახებ, რომ ძე მამის ხატია, მოციქულიც ამბობს: **რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ**(კოლას.I,15), და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში: **რომელი-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ**(I,3). იმის შესახებ, რომ თავით თვისით მამას აჩვენებს, ფილიპეს სიტყვების – **მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა** – პასუხად უფალი ამბობს: **ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**(ინ.XIV,9). ძე ბუნებითი ხატია მამისა, უცვალებელი და ყოვლადვე მსგავსი მამისა, გარდა უშობელობისა და მამობისა, რადგან მამა უშობელი მშობელია, ხოლო ძე შობილი და მამა არ არის. და სულიწმიდა ხატია ძისა:

არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა(Iკორინ. XII,3). ამგვარად, სულიწმიდის მიერ შევიცნობთ ძე ღმრთისას და ღმერთს – ქრისტეს და ძეში მამას ვჭვრეტთ, რადგან სიტყვა ბუნებით მაცნეა გონებისა, ხოლო სული – განმცხადებელი სიტყვისა. ასევე სულიწმიდა უცვალებელი ხატია ძისა და მისგან მხოლოდ გამომავლობით განსხვავდება, რადგან ძე შობილია და არა გამომავალი. და ძე ყოველი მამისა ბუნებითი ხატია და პირველი სახეც ხატისა ესაა – ბუნებითობა.

19. **მეორე სახე ხატისა** არის აზრი ღმრთისა იმის თაობაზე, რომ შექმნის ყოფიერებას, ანუ მისი წინასაუკუნო ბჭობა, რომელიც სამარადისოდ იგივე დარჩა. რამდენადაც ღმრთეება უცვალებელია, და ბჭობა მისი დაუსაბამო, რაც დაადგინა, მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში ხდება ისე, როგორც ეს მან სამარადისოდ განსაზღვრა. რადგან ხატები და ნიმუშები იმათი, რომელთაც ყოფიერება მისგან ექნებოდათ, წარმოდგენებია ყოველ მათგანზე და წმინდა დიონისესაგან წინასწარგანსაზღვრულებად იწოდებიან, რადგან ბჭობისას მის მიერ წინასწარგანსაზღვრულნი, რომელნიც მომავალში უცილობლად იარსებებდნენ, ვიდრე მათ დაბადებამდე შემოიხაზა და გამოისახა.

20. **მესამე გვარი ხატისა** არის ის, რაც ღმრთის მიერ ბაძვის მიხედვით შეიქმნა, ანუ ადამიანი. როგორ შეიძლება ქმნილებას იგივე ბუნება ჰქონდეს, რაც შემოქმედს? არამედ იგი ხატია, ბაძვის შედეგად შექნილი. ისევე როგორც, გონება – მამა, სიტყვა – ძე და სულიწმიდა ერთი ღმერთია, ასევე გონება, სიტყვა და სული – ერთი ადამიანია. ამასთან იგი ღმერთს თავისუფალი ნებითა და მართვის უნარითაც ემსგავსება, რადგან თქვა ღმერთმა: **და მთავრობდეს თევზთა ზღჳსათა და მფრინველთა ცისათა,** და კიდევ: **ვქმენ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად**(შესქ.I,26) და მყისვე დაამატა: **და მთავრობდით თევზთა ზღჳსათა და მფრინველთა ცისათა და ყოველსა ქუეყანასა და ეუფლენით მას**(შესქ.I,28).

21. **მეოთხე გვარი ხატისა** მაშინ გვაქვს, როცა წმ. წერილი უხილავთა და უსხეულოთა გამოსახულებებს, სახეებსა და ხატებს ქმნის, რომელნიც სხეულებრივად ჩვენ მიერ ღმრთისა და ანგელოზების ბუნდოვნად მოაზრების გამო გამოისახებიან. ჩვენ ხომ, როგორც ამას საღმრთო საგანთა დიდად მცოდნე, დიონისე არეოპაგელი, ამბობს, უსხეულოთა ჭვრეტა შესაბამის გამოსახულებათა გარეშე არ შეგვიძლია. მიზეზი იმისა, რომ უსახურთ სახეები, ხოლო უფორმოებს ფორმები ბუნებრივად მიენიჭათ, მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ, რამდენადაც სულიერის ჭვრეტამდე ამაღლება უშუალოდ არ შეგვიძლია, ამაღლებისათვის შესაბამისსა და გასაგებ საშუალებებს ვსაჭიროებთ.

ამრიგად, უკეთუ ღმრთეებრივი სიტყვა, ზრუნავს რა ჩვენთვის შესაბამისზე, ყოველი მხრიდან გვაწვდის იმას, რასაც ჩვენი ამაღლება შეუძლია და საგნებს

– როგორც მარტივს, ისე უფორმოს რაღაც სახეებით მოსავს, რატომ არ უნდა გამოისახოს ის, ვინც ჩვენი საკუთარი ბუნება შეიმოსა და თუმცა ძლიერ გვწადია, მაგრამ, რადგანაც ჩვენთან არ არის, არ შეგვიძლია ვიხილოთ? გრიგოლ ღმრთისმეტყველიც ხომ ამბობს, რომ გონება, მიუხედავად დიდი მცდელობისა, სხეულებრივი საზღვრებიდან გასვლისათვის სრულიად უძლურია.[7] არამედ **უხილავი იგი ღმერთისა მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების**(რომ.I,20). ქმნილებათა შინა ჩვენ ვხედავთ ხატებს, რომელნიც ბუნდოვნად გვაჩვენებენ ღმრთეებრივ ანარეკლებს(გამოვლინებებს); მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ წმინდა დაუსაბამო სამება მზით, მისი ნათლითა და სხივებით, ან წყაროს მჩქეფარებით, ტენითა და დინებით, ან გონებით, სიტყვითა და ჩვენი სუნთქვით, ან კიდევ ვარდის ღეროთი, ყვავილითა და სურნელით გამოისახება.

22. **მეხუთე გვარად ხატისა** იწოდება ის, რაც წინასწარგამომსახველი და გამომხატველია, როგორც მაგალითად, მაყვალი და ცვარი საწმისსა ზედა და აგრეთვე, კვერთხი და ტაკუკი – ქალწულისა და ღმრთისმშობელისა; მაგალითად, გველი იმისა, ვინც ძალა ბოროტების დასაბამის – გველის ნაკბენისა ჯვრით გაანადგურა; მაგალითად, ზღვა – ნათლობის წყლისა, ხოლო ღრუბელი ნათლობის სულისა.

23. **მეექვსე გვარი ხატისა** წარსულის გახსენებისთვისაა შექმნილი: ან სასწაულისა და სიქველისა, – სადიდებელად, პატივისმიგებად და აღსანიშნად სიმამაცით გამორჩეულთა და სათნოებით შემკულთა; ან ბოროტებისა – უბოროტეს კაცთა ზედა გასამარჯვებლად და შესარცხვენად, და ბოლოს, სარგებლობისათვის მჭვრეტელთა, რათა ბოროტებას გავექცეთ და სათნო მოშურნენი ვიყოთ. ეს გამოსახულება ორგვარია: წიგნებში სიტყვით ჩაწერილი, რადგან წერილი სიტყვას გამოხატავს, ისევე როგორც, ღმერთმა სჯული ფიცართა ზედა დაწერა და ღმრთივსათნო კაცთა ცხოვრების ჩაწერა ბრძანა; და გრძნობადი ჭვრეტით(ხორციელი თვალებით) აღსაქმელი, როგორც, მაგალითად, ღმერთმა საუკუნო მოსახსენებლად უბრძანა ტაკუკი და კვერთხი კიდობანში ჩაედოთ და [მღვდელმთავრის] სამხრის ქვებზე ტომთა სახელები ამოეკვეთათ; ამასთან, ბრძანა იორდანიდან თორმეტი ქვის ამოღება გამოსახატავად მღვდლებისა, ჰოჲ საიდუმლო, მორწმუნეთათვის ჭეშმარიტად უდიდესი, რომელთაც კიდობანი მოჰქონდათ, და იორდანესთვის მოკლება წყლისა. ამრიგად, მათი მოშურნეობისა და გახსენებისათვის ჩვენ ახლაც დიდი სიყვარულით ვწერთ ხატებს იმ კაცთა, რომელთაც სათნოებით იცხოვრეს.

ასე რომ, ან ყველა ხატი გაანადგურე და გამოეცი კანონი საწინააღმდეგოდ იმისა, ვინც მათი არსებობა ბრძანა, ან ყოველი [ხატი] მისთვის შესაფერისი შინაარსისა და ხასიათის შესაბამისად მიიღე.

[7] 34-ე სიტყვა.

24. მეოთხე თავი: რა უნდა გამოისახოს, რა არ უნდა გამოისახოს და როგორ უნდა გამოისახოს.

სხეულები, რამდენადაც მათ ფორმები, სხეულებრივი გარეშემოწერილობა და ფერი აქვთ, ბუნებრივად გამოისახებიან; ხოლო ანგელოზი, სული და დემონი, რომელთაც არც სხეული აქვთ და არც მოცულობა, იმდენად, რამდენადაც გონით საწვდომნი არიან, გონით საწვდომ ადგილთა შინა იმყოფებიან და გონიერად მოღვაწეობენ, როგორც ეს [მორწმუნეებს] სწამთ, მათი ბუნების შესაბამისად გამოისახებიან და იწერებიან. ამგვარად, თუმცა ისინი იმგვარადვე გამოისახებიან, როგორც მოსემ ქერუბიმები გამოსახა და როგორც თავად ეცხადებოდნენ ღირსეულ ადამიანებს, მაგრამ ისე, რომ სხეულებრივი გამოსახულება რამდენადმე უსხეულოსა და გონებით წარმოსადგენ სახეს წარმოაჩენს. გარეშემოუწერელი, სრულიად უსახო, უფორმო და მიუწვდომელი მხოლოდ ღმრთეებრივი ბუნებაა; მაგრამ საღმრთო წერილი ფორმებით და, როგორც ჩანს, სხეულებრივით, ღმერთსაც ისე მოსავს, რომ ფორმები მაინც სახილველი ხდება, თუმცა უსხეულონი არიან. წინასწარმეტყველნი და ისინიც, რომელთაც ეცხადებოდნენ, რადგან ყველასათვის სახილველნი არ იყვნენ, მათ არა ხორციელი, არამედ სულიერი თვალით ჭვრეტდნენ. მარტივად რომ ითქვას – ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ხატები ყველა იმ ფორმისა, რომელსაც ვხედავთ, ამათ კი, გონებით წარმოვიდგენთ, ისე, როგორც გვეჩვენენ. როცა ჩვენ გამოსახულებებს სიტყვებით ვიმეცნებთ, ამ შემეცნებამდე იმის საფუძველზე მივდივართ, რაც ვიხილეთ. ასე ხდება ყოველი სხვა შეგრძნების დროსაც, – სიტყვებით მივდივართ შემეცნებამდე იმისა, რაც შევიყნოსეთ, ვიგემეთ, თუ რასაც შევეხეთ.

25. ამრიგად, ვიცით, რომ არ შეიძლება ხილვა არც ღმრთის, არც ანგელოზის, არც სულისა და არც დემონის ბუნებისა, არამედ ისინი რაღაც საშუალებით განიჭვრიტებიან, როცა უსხეულონი, უსახონი და სხეულებრივი ფორმების არმქონენი ჩვენი ხელმძღვანელობისა და მათ შესახებ თუნდაც ზედაპირული და ნაწილობრივი ცოდნის შესაძენად, რათა სრულიად უმეცარნი არ ვიყოთ ღმრთისა და უსხეულო ქმნილებებისა, ღმრთის განგებით სახეებითა და ფორმებით იმოსებიან. რა თქმა უნდა, ღმერთი ბუნებით სრულიად უსხეულოა. ანგელოზი, სული და დემონი ღმერთთან შედარებით, შეუდარებელი მხოლოდ ღმერთია, სხეულები არიან, მაგრამ მატერიალურ სხეულებთან შედარებით – უსხეულონი. ამრიგად, არ სურს რა ღმერთს, რომ ჩვენ უსხეულოთა შესახებ სრულ უმეცრებაში ვიმყოფებოდეთ, ანალოგიურად ჩვენი ბუნების სხეულებრივი ფორმებისა, შემოსა ისინი ფორმებით, ფიგურებითა და სახეებით, რომელთა საშუალებითაც გონების არამატერიალური ხედვით იხილვებიან, და ჩვენც ფორმებს მათ ვაძლევთ და მათ გამოვსახავთ; [სხვაგვარად] როგორ მიეცემოდა ფორმა ქერუბიმს და როგორ გამოისახებოდა იგი? წმინდა წერილში თვით ღმერთის ფორმებიცა და გამოსახულებებიც კი იხსენიება.

26. ვინ შექმნა პირველად ხატი?

პირველად თავად ღმერთმა შვა მხოლოდშობილი ძე და სიტყვა, ცხოველი ხატი თვისი, ბუნებითი და უცვალებელი ხატი მისი მარადიულობისა. მანვე შექმნა ადამიანი ხატად თვისად და მსგავსად. და ადამმა იხილა ღმერთი და მოისმინა ფეხის ხმა მისი **მავალისა მიმწუხრი**(შესქ.III,8) და სამოთხესა შინა დაიმალა. იაკობმაც იხილა და შეებრძოლა ღმერთს, – ე. ი. ცხადია, რომ ღმერთი მას, ვითარცა კაცი, ისე გამოეცხადა; და მოსემაც, ვითარცა ზურგი კაცისა, იხილა იგი და ესაიამაც – ვითარცა კაცი ტახტსა ზედა მჯდომარე. დანიელმაც იხილა მსგავსება კაცისა და **ვითარცა ძე კაცისა მომავალ ვიდრე ძუელისა დღეთაჲსამდე**(დან.VII,13). ბუნება ღმრთისა არავის უხილავს, არამედ [მხოლოდ] გამოსახულება და ხატი იმისა, ვინც მომავალში გამოჩენას განიზრახვიდა; ძე ღმრთისა და უხილავი სიტყვა ხომ ჭეშმარიტ ადამიანად დაბადებას იზრახვიდა, რათა ჩვენს ბუნებას შეერთებოდა და ქუეყანასა ზედა ხილული ყოფილიყო. ასე რომ, ყველამ, ვინც იხილა მსგავსება და ხატი მომავლისა, თაყვანი სცა, როგორც პავლე მოციქული ამბობს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში: **სარწმუნოებით მოსწყდეს ესე ყოველნი, და არღა მოელო მათ აღნათქუემი იგი, არამედ შორით იხილეს იგი და მოიკითხეს**(ებრ.XI,13).

ამრიგად, მე რატომ არ შემიძლია შევქმნა ხატი იმისა, ვინც ჩემ გამო ხორციელი ბუნებით ხილული გახდა? და მისი ხატისათვის პატივისმიგებითა და თაყვანისცემით თავად მას ვსცე თაყვანი და პატივი მივაგო? აბრაამმა ბუნება კი არ იხილა ღმრთისა, რადგან **ღმერთი არავინ სადა იხილა**(ინ.I,18), არამედ ხატი ღმრთისა და დავარდა და თაყვანის სცა. ისო ნავეს ძემაც არა ბუნება ანგელოზისა იხილა(რადგან ბუნება ანგელოზისა ხორციელი თვალებით არ იხილვება), არამედ ხატი და დავარდა და თაყვანი სცა; ასევე დანიელმაც(რამდენადაც ანგელოზი ღმერთი კი არ არის, არამედ ქმნილება და მონა ღმრთისა და თანაშემწე მისი) თაყვანის სცა მას, არა ვითარცა ღმერთს, არამედ როგორც ღმრთის თანაშემწესა და მსახურს. რატომ არ შემიძლია მეც შევქმნა გამოსახულებანი ქრისტეს მეგობართა და თაყვანი ვსცე მათ, არა ვითარცა ღმერთებს, არამედ როგორც ხატებს ღმრთის მეგობართა? რამდენადაც არც ისოსა და არც დანიელს, გამოეცხადათ რა ანგელოზები, მათთვის როგორც ღმერთებისათვის თაყვანი არ უციათ, არც მე ვცემ თაყვანს ხატს ვითარცა ღმერთს, არამედ [იესოს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა] და წმინდანთა ხატების მეშვეობით თაყვანისცემასა და პატივს მივაგებ ღმერთს და მის გამო მის მეგობრებსაც ვეთაყვანები და კრძალვით მოვეპყრობი. ღმერთი არა ანგელოზის, არამედ ადამიანის ბუნებას შეუერთდა; ღმერთი იშვა არა ანგელოზად, არამედ იშვა ღმერთი ბუნებით და ჭეშმარიტად კაცად: **რამეთუ არასადაჲთ ანგელოზთაჲთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო**(ებრ. II,16). ანგელოზთა ბუნება კი არ გახდა ძე ღმრთისა ჰიპოსტასურად, არამედ ბუნება კაცისა იქმნა ჰიპოსტასურად ძე ღმრთისა. ანგელოზები მონაწილენი

და თანაზიარნი გახდნენ არა ღმრთეებრივი ბუნებისა, არამედ ენერგიისა და მადლისა; ადამიანები კი, რომელნიც ქრისტეს წმინდა ხორცსა და მის პატიოსან სისხლს იღებენ, ღმრთეებრივი ბუნების მონაწილენი არიან და მისი თანაზიარნი ხდებიან, რადგან [ერთიცა და მეორეც] ღმრთეებასთან ჰიპოსტასურადაა შეერთებული; და ქრისტეს სხეულში, რომელსაც ვიღებთ, ორი ბუნება ჰიპოსტასურადაა შეერთებული და ჩვენ ორივე ბუნებას ვეზიარებით: სხეულებრივს – სხეულებრივად, ხოლო ღმრთეებრივს – სულიერად, უფრო სწორად ორივეს – ორივე საშუალებით; [ქრისტეს] ჰიპოსტასურად არ ვუიგივდებით, რადგან ჯერ ჰიპოსტასურად ვარსებობთ და მის ხორცსა და სისხლთან შეერთებით მერე ვუერთდებით. განა ანგელოზებზე დიდნი არ არიან ადამიანები, რომელნიც მცნებათა დაცვით ამ ერთობას წმინდად ინახავენ? ბუნება ჩვენი სიკვდილისა და სხეულის სიმძიმის გამო რამდენადმე დამცრობილია ანგელოზებთან შედარებით, მაგრამ ღმრთის წყალობითა და მასთან შეერთებით, რამდენადაც ანგელოზები მის წინაშე, ვითარცა ქრისტესმიერი დიდებით ტახტსა ზედა მჯდომარისა, შიშითა და კრძალვით დგანან, ანგელოზებზე მეტად განდიდდა; ასევე შიშით წარდგებიან ისინი სამსჯავროზეც. წმინდა წერილში ანგელოზებს არც ქრისტეს თანამოსაყდრენი ეწოდებათ და არც მისი ღმრთეებრივი დიდების თანაზიარნი, რადგან ისინი **ყოველნივე არიანა მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთვის, რომელთა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ**(ებრ.I,14). არც ის არის ნათქვამი, რომ ისინი [ქრისტესთან] ერთად იმეფებენ და მასთან ერთად განიდიდებიან და არც ის, რომ მამის ტრაპეზთან დასხდებიან, წმინდანები კი, შვილნი ღმრთისანი, ძენი სასუფეველისანი, ღმრთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამკვიდრნი არიან. ამიტომაც მივაგებ პატივს წმინდანებს და ვადიდებ მონებს, მეგობრებსა და თანამემკვიდრეებს ქრისტესი, მონებს – ბუნების და მეგობრებს არჩევანის მიხედვით, ხოლო შვილებსა და თანამემკვიდრეებს ღმრთეებრივი მადლით, როგორც უფალი ამას მამას ეუბნება.

ამრიგად, ვთქვით რა ხატის შესახებ, გვინდა თაყვანისცემის შესახებაც ვთქვათ, უწინარესად კი, რა არის თაყვანისცემა?

27. თაყვანისცემის შესახებ. რა არის თაყვანისცემა?

თაყვანისცემა ნიშანია კეთილკძრალულებისა, ანუ მორჩილებისა და თავმდაბლობისა. სახე თაყვანისცემისა ფრიად მრავალია.

28. როგორია სახენი თაყვანისცემისა?

პირველი სახე თაყვანისცემისა მსახურებრივია, რომელსაც მხოლოდ ღმერთს მივაგებთ, რადგან ბუნებით მხოლოდ იგია თაყვანისსაცემი; თავის მხრივ, ისიც სხვადასხვა სახისაა: პირველია მონური [თაყვანისცემა]; ღმერთს ყველა ქმნილება სცემს თაყვანს, ვითარცა მონანი უფალს, რადგან, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: **ყოვლითურთ მონებს** მას(ფს.118,91): ერთნი – ნებაყო-

ფლობით, მეორენი – ნების საწინააღმდეგოდ. ერთნი, იციან რა ღმერთი, როგორც ღმრთისმოსავნი, ნებაყოფლობით სცემენ თაყვანს მას; სხვებს, თუმცა იციან [ღმერთი], არ სურთ ნებაყოფლობითი თაყვანისცემა მისი, როგორც, მაგალითად, დემონებს; ზოგიერთები კი, რომელთაც ბუნებით ღმერთი არ იციან, ნების საწინააღმდეგოდ ეთაყვანებიან მას, ვინც არ იციან.

29. **მეორე** სახეა [თაყვანისცემისა] გაკვირვებითა და სიყვარულით, რომლითაც ღმერთს მისი ბუნებრივი დიდების გამო ვეთაყვანებით; რადგან მხოლოდ იგია განდიდებული, არა იმიტომ, რომ დიდება ვინმესგან აქვს, არამედ თვითონ არის მიზეზი ყველა დიდებისა და კეთილისა – ნათელი მიუწვდომელი, სიტკბო შეუდარებელი, სილამაზე გამოუთქმელი, უფსკრული სიკეთისა, სიბრძნე გამოუკვლეველი, ძალა ზღვარდაუდებელი; მხოლოდ იგია ღირსი თავით თვისით განკვირვებისა, თაყვანისცემისა, დიდებისა და სიყვარულისა.

30. **მესამე** სახეა თაყვანისცემა მადლიერებისა ჩვენ მიმართ გამოჩენილ წყალობათა გამო. ყველა არსებული უნდა მადლობდეს ღმერთს და განუწყვეტლივ თაყვანს სცემდეს მას, რადგან ყოფიერება ყველას მისგან აქვს: **ყოველივე მის მიერ დამტკიცნა**(კოლას.I,17) და წყალობანიც მისგან ყველას, თხოვნის გარეშეც, უშურველად ეძლევა. სურს რა, რომ ყველა გადარჩეს და მის სიკეთეს ეზიაროს, ჩვენს ცოდვებს სულგრძელობით ითმენს და მზე მისი აღმოვალს მართალთა და უსამართლოთა ზედა და წვიმს ბოროტთა და კეთილთა ზედა(მთ.V,45); ძე მისი ჩვენ გამო მსგავს ჩვენდა იქმნა, რათა როგორც კათოლიკე ეპისტოლეში იოვანე ღმრთისმეტყველი ამბობს: **მსგავსად მისსა ვიყვნეთ**(Iიო.III,2).

31. **მეოთხე** სახეს ვიყენებთ [კეთილთა] მოკლებისას [კეთილდღეობის] იმედით. ვიცით რა, რომ მის გარეშე არც არაფრის გაკეთება შეგვიძლია და არც რაიმე კეთილის შეძენა, თაყვანს ვცემთ მას და ყოველი მისგან ითხოვს იმას, რის ნაკლებობასაც განიცდის და რაც ძლიერ სწადია – დახსნას ბოროტთაგან, ან მიღებას კეთილთა.

32. **მეხუთე** სახეა [თაყვანისცემისა] სინანულისა და აღსარებისა. ჩავდივართ რა ცოდვებს, თაყვანს ვცემთ ღმერთს, მის წინაშე ვემხობით და ვითარცა კეთილგონიერნი მონანი, მისგან შეცოდებათა შენდობას ვითხოვთ. [თაყვანისცემის] ეს სახეც სამგვარია. ამ დროს ადამიანი ან სიყვარულის გამო წუხს, ან იმის გამო, რომ ღმრთის წყალობანი არ დაკარგოს, ან კიდევ სასჯელის ეშინია. პირველი კეთილგონიერებისა და თავად ღმრთის სიყვარულისა და მისდამი შვილებრივი დამოკიდებულებისაგან მომდინარეობს, მეორე – დაქირავებულის აზროვნებას ახასიათებს, ხოლო მესამე – მონისას.

33. რა სიმრავლეს ვპოულობთ ჩვენ წმინდა წერილში თაყვანცემულთა და **რამდენი სახის თაყვანისცემას მივაგებთ ქმნილებებს?**

უწინარესად ჩვენ თაყვანს ვცემთ მათ, რომელთა ზედაც განისვენებს ღმერთი, რომელიც მხოლოდ თვითონაა წმინდა და „წმინდათა შორის განისვენებს“, როგორც, მაგალითად, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელსა და ყველა წმინდანში. ესენი კი ისინი არიან, რომელნიც შეძლებისდაგვარად დაემსგავსნენ ღმერთს თავიანთი ნებაყოფლობითი არჩევანით, ღმრთის მათ შორის დამკვიდრებისა და თანამოქმედების წყალობით; და იწოდებიან ჭეშმარიტად ღმერთებად, ოღონდ არა ბუნების, არამედ მდგომარეობის მიხედვით, ვითარცა ცეცხლად იწოდება გამოწრთობილი რკინა, არა ბუნებით, არამედ მდგომარეობითა და ცეცხლთან შერევით, რადგან ამბობს: **წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ**(ლევიტ.XIX,2).

ეს პირველი, ნებაყოფლობითი. შემდეგ ყველას, ვინც ნებაყოფლობით(საკუთარი ნებით) ირჩევს სიკეთეს, ღმერთი თანაშეეწევა სიკეთის მიღწევაში; შემდეგ [ღმერთი ამბობს]: **დავიმკჳდრო და ვიქცეოდი მათ შორის**(2კორინ.VI,16; ლევიტ. XXVI,12); და: **ტაძარნი ღმრთისანი ვართ, და სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს ჩუენ შორის**(Iკორინ.III,16); შემდეგ: **მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა**(მთ.X,1); და: **რომელსა მე ვიქმ, თქუენცა ჰქმნეთ და უფროჲსღა ამისა ჰქმნეთ**(ინ.XIV,12), შემდეგ: მე ცოცხალი ვარ, ამბობს უფალი, **არამედ მადიდებელნი ჩემნი ვადიდე**(IIმეფ.III,30), და: **უკუეთუ მის თანა ვიცხოვნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ**(რომ.VIII,17), და: **ღმერთი დადგა შესაკრებელსა ღმერთთასა, ხოლო შორის ღმერთნი განიკითხნეს**(ფს.81,1).

ამიტომ, ვითარცა ისინი ჭეშმარიტად არიან ღმერთნი არა ბუნებით, არამედ ვითარცა თანაზიარნი ღმრთის ბუნებისა, თაყვანისიცემებიან არა ბუნებით, არამედ იმდენად, რამდენადაც თავთა შორის თვისთა თაყვანისცემული ბუნება აქვთ; მსგავსად გამდნარი რკინისა, რომელიც ბუნებით კი არაა მიუწვდომელი და მწველი შესახებად, არამედ იმასთან ზიარებით, რომელიც ბუნებითაა მწველი. ამიტომ ისინი თაყვანისიცემებიან ვითარცა ღმრთისაგან განდიდებულნი, ვითარცა, ღმრთის შემწეობით, საშიშნი მტრებისათვის, ხოლო კეთილისმყოფელნი მათთან რწმენით მისულთათვის, არა როგორც ბუნებით ღმერთებსა და კეთილისმყოფელებთან, არამედ როგორც ღმრთის მონებსა და მსახურებთან, რომელთაც ღმრთისმოყვარეობის გამო წილად ხვდათ ბედნიერება [ღმრთის წინაშე] კადნიერებისა. ამრიგად, ჩვენ თაყვანს ვცემთ მათ, რადგან ამით ვემსახურებით მეუფესაც, რომელიც ხედავს, როგორ სცემენ თაყვანს მის საყვარელ მსახურს, არა ვითარცა მეფეს, არამედ როგორც მის მორჩილ მსახურსა და კეთილგანწყობილ მეგობარს. მათთან რწმენით მისულნი იღებენ იმას, რასაც ითხოვენ, მიუხედავად იმისა, მსახური გამოითხოვს მას მეუფისაგან, თუ თავად მეუფე იღებს პატივსა და რწმენას იმისგან, ვინც [სათხოვარს] მისი მსახურისაგან ეძიებს და მის მიერ ითხოვს. ასე იღებდნენ კურნებას [იესოსთან]

მისულნი მოციქულთაგან. ასე აფრქვევდნენ კურნებებს ჩრდილი, ვარშამაგები და ოლარები მოციქულებისა.

ისინი, რომელთაც მეამბოხური და განდგომილების სულით სურთ თაყვანცემულნი იყვნენ ვითარცა ღმერთები, არა თაყვანისცემის, არამედ მარადიული ცეცხლის ღირსნი არიან; და ისინიც, რომელნიც სიძულვილისა და ქედმაღლური სიამაყის გამო ღმრთის მსახურებს თაყვანს არ სცემენ, ვითარცა ამპარტავანნი, მზვაობარნი და შეურაცხმყოფელნი ღმრთისა, განისჯებიან. ამაზე მოწმობენ ყრმები, რომელნიც ელისეს შეურაცხყოფის გამო დათვების კერძნი გახდნენ.[8]

34. **მეორე სახე** არის თაყვანისცემა ქმნილებებისა, რომელთა მიერაც და რომელთა შინა ღმერთმა [საქმენი] ჩვენი ხსნისა, ვიდრე მოსვლამდე უფლისა თუ შემდგომად განგებულებით მისი განკაცებისა, აღასრულა, როგორიცაა, მაგალითად, სინაჲს მთა, ბაგა და მღვიმე ბეთლემისა, წმინდა გოლგოთა, ჯვარი ძელისა, სამსჭვალნი, ღრუბელი, ლერწამი, წმინდა და მაცხოვნებელი ლახვარი, სამოსი, ქიტონი, ამრენაკი, ტილონი, წმინდა აკლდამა, – წყარო ჩვენი აღდგომისა, ქვა საფლავისა, წმინდა მთა სიონისა და კიდევ, მთა ზეთისხილისა, ცხოვართა საბანელი, ნეტარი ბაღი გეთსიმანიისა; ამათ და მათ მსგავსთ პატივს მივაგებ და თაყვანს ვცემ; აგრეთვე, ყველა წმინდა ტაძარს ღმრთისა. და ყოველ [ადგილს], სადაც სახელი ღმრთისა წარმოითქმება, ვეთაყვანები არა მათი ბუნებისა გამო, არამედ იმიტომ, რომ ღმრთეებრივი ქმედებანი დაიტიეს; მათ მიერ და მათში კეთილინება ღმერთმა აღსრულება ჩვენი ხსნისა. ანგელოზებს, ადამიანებს და ყოველ ნივთს, თანაზიარს ღმრთეებრივი ქმედებისა და მსახურს ჩემი ხსნისა – პატივს მივაგებ და თაყვანს ვცემ ამ ღმრთეებრივი ქმედებისა გამო. თაყვანს არ ვცემ იუდეველებს, რადგან არ არიან თანაზიარნი ღმრთეებრივი ქმედებისა და უფალი დიდებისა ჯვარს ჩემი ხსნის მიზნით კი არ აცვეს, არამედ ღმრთისა და მწყალობელის მიმართ შურითა და სიძულვილით აღძრულთა. **უფალო,** ამბობს დავითი, **შევიყვარე შუენიერება სახლისა შენისაჲ და ადგილი საყოფელისა დიდებისა შენისა, და: თაყუანის-ვსცეთ ადგილსა, სადა დადგეს ფერჴნი მისნი**(ფს.131,7), და: **თაყუანის-ვცეთ მთასა წმიდასა მისსა**(ფს.98,9). გასულიერებული წმინდა მთა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელია, გონიერნი მთანი ღმრთისა – მოციქულები: **მთანი იმღერდეს ვითარცა ვერძნი და ბორცუნი – ვითარცა კრავი ცხოვართანი**(ფს.113,4).

35. **მესამე სახეა** თაყვანისცემა ღმრთისთვის მიძღვნილთა, – წმინდა სახარებებსა და დანარჩენ წიგნებზე ვამბობ, რომელნიც **დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია**(Iკორინ.X,11), აგრეთვე, ფეშხუმებს, ბარძიმებს, საცეცხლურებს, სასანთლეებსა და ტრაპეზებს ვგულისხმობ.

[8] წინასწარმეტყველი ელისე, თანამოღვაწე ილია წინასწარმეტყველისა იორამის მეფობის დროს(4 მეფ. 2, 23-24).

ცხადია, რომ ყველა ესენი თაყვანსაცემნი არიან, რადგან, ნახე! როცა ბალთაზარმა ბრძანა, რომ წმინდა ჭურჭელნი ხალხს მოეხმარა, ღმერთმა სამეფო მისი დაამხო.[9]

36. **მეოთხე სახე** გვაქვს მაშინ, როცა თაყვანისიცემებიან სახენი, რომელნიც წინასწარმეტყველებმა იხილეს(რამეთუ ღმერთს სახეობრივად ხედავდნენ); მაგალითად, სახეები მომავლისა, როგორიცაა, კვერთხი აარონისა – გამომსახველი ქალწულის საიდუმლოსი, ტაკუკი და ტაბლა. იაკობმა თაყვანი სცა კვერთხის წვერს, რადგან იგი იყო სახე მაცხოვრისა. წარსულის სახეები, მაგალითად, კარავი სახეა ყოვლისა სამყაროჲსა, რადგან [ღმერთი] მოსეს ეუბნება: შეხედე გამოსახულებას, რომელიც შენ მთაზე გეჩვენა. ასევე [წარსულის გახსენებას იწვევდნენ] ოქროს ქანდაკნი ქერუბიმთა და ქერუბიმნი კრეტსაბმელსა ზედა – ნახელავი ქსოვისა. თაყვანს ვცემთ, აგრეთვე, სახეს პატიოსანი ჯვრისას, ასევე მსგავსებას ჩემი ღმერთის სხეულებრივი გარეგნობისა, მისი, ვინც ხორციელად შვა იგი და მსახურთა მისთა.

37. **მეხუთე სახეა** ჩვენ მიერ თაყვანისცემა ერთმანეთისა, რომელნიც წილნაყარნი ვართ ღმერთთან; რადგანაც ღმრთის ხატად ვართ შექმნილნი, თაყვანს ვცემთ ერთმანეთს და სჯულს სიმდაბლითა და სიყვარულით აღვასრულებთ.

38. **მეექვსე სახეა** თაყვანისცემა მთავრობასა და ხელისუფლებასა შინა მყოფთა, რადგან [წმ. წერილი] ამბობს: **მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებთა... პატივსა – პატივი**(რომ.XIII,7); ვითარცა იაკობმა სცა თაყვანი ესავს, როგორც პირმშოს(პირველად შობილს) და ფარაონს, როგორც ხელისუფლად ღმრთის მიერ დადგინებულს.

39. **მეშვიდე სახეა** თაყვანისცემა მონებისა ბატონების, კეთილისმყოფელთა და მათ მიმართ, რომელნიც შეიძლება საჭირონი იყვნენ მთხოვნელებისათვის; მაგალითად, როგორც აბრაამმა სცა თაყვანი ემორის ვაჟებს, როცა ორმაგი გამოქვაბული შეიძინა.

40. მარტივად რომ ვთქვათ, თაყვანისცემა ნიშანია შიშისაც და დიდი სიყვარულისაც, პატივისმიგებისა, კრძალვისა და სიმდაბლისა. მაგრამ არაა საჭირო ვინმეს ან რამეს, ვითარცა ღმერთს, ისე ვსცეთ თაყვანი, არამედ ასეთი თაყვანისცემა მხოლოდ მას უნდა მივაგოთ, ვინც ღმერთი ბუნებითაა.

[9] ბაბილონის სამეფოს დაცემა დანიელ წინასწარმეტყველმა იწინასწარმეტყველა. დაცემის მიზეზი ღმრთის სასჯელი გახდა შებილწვისათვის წმინდა ჭურჭელთა, რომელიც ბალთაზარმა იერუსალიმის ტაძრიდან წაიღო(დან.V,2-23).

41. რამხელა ძალა და როგორი ღმრთეებრივი ენერგია ეძლევა მათ, რომელნიც წმინდანთა ხატებს რწმენითა და სუფთა სინდისით მიეახლებიან. ამიტომ, ძმანო, კლდესა ზედა სარწმუნოებისასა და ეკლესიის გადმოცემასა ზედა ვიდგეთ და ნუ გავცილდებით საზღვრებს, რომელნიც ჩვენმა წმინდა მამებმა დაგვიდგინეს; ნუ მივცემთ საშუალებას მსურველებს სიახლის შემოტანისა და ღმრთის წმინდა და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის წყობის დარღვევისა.

ნუ ძმანო, ნუ ეკლესიის ქრისტესმოყვარენო შვილნო, ნუ შეარცხვენთ დედას თქვენსას, ნუ გაანადგურებთ მის სამკაულს. შეიწყნარეთ იგი(ეკლესია), რომელიც ჩემ მიერ გესაუბრებათ. ისწავეთ, რას ამბობს მის შესახებ ღმერთი: **ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო და ბიწი არა არს შენ თანა**(ქებ.IV,7).

თაყვანი ვცეთ და ვმსახურებდეთ მხოლოდ დამბადებელსა და შემოქმედს, ვითარცა ბუნებით თაყვანისაცემ ღმერთს, თაყვანი ვცეთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, არა ვითარცა ღმერთს, არამედ როგორც ხორციელ დედას ღმრთისა. თაყვანი ვცეთ, აგრეთვე, წმინდანებს, ვითარცა რჩეულთა მეგობართა ღმრთისათა, რომელთაც მის წინაშე კადნიერება მოიპოვეს, რადგან, უკეთუ ადამიანები, წარმავალ მეფეებს, ხშირად ბიწიერებსა და ცოდვილებს და მათგან ხელთდასხმულ მმართველებსა და მათსავე გამოსახულებებს თაყვანს სცემენ მოციქულის ღმრთეებრივი შეგონების მიხედვით: **მთავრობათა და ჴელმწიფებათა დაემორჩილეთ**(ტიტ.III,1), და **მისცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა... პატივსა – პატივი, საშინელსა – შიში**(რომ.XIII,7), და როგორც უფალმა ბრძანა: **მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა**(მთ.XXII,21), რამდენად უფრო საჭიროა თაყვანისცემა მეფისა მეფეთასა, ბუნებით მხოლოჲსა მეუფისა და მისთა მონათა და მეგობართა, რომელთაც თავიანთ ვნებებზე იმეუფეს და მთელი ქვეყნიერების უფროსებად იქნენ დადგენილნი და რომელთა შესახებაც დავითი ამბობს: **დაადგინე იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა**(ფს.44,16), დემონთა და სნეულებათა ზედა ხელმწიფება მიიღეს და უხრწნელსა და დაურღვეველ სამეფოში ქრისტესთან ერთად იმეფებენ, და რომელთა მხოლოდ ჩრდილი დევნიდა სენთა და დემონებს?

ამრიგად, ნუ მივიჩნევთ ხატს ჩრდილზე უუძლურესად და უპატიოდ, რადგან იგი პირველსახეს ჭეშმარიტად ასახავს. ძმანო, ღირსება ქრისტიანისა სარწმუნოებაა; ამიტომ რწმენით მოსული სარგებელსაც უხვად მიიღებს, ხოლო **რომელი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღვსასა, ქარით აღძრულსა და მიმოდატაცებულსა**(იაკობ.I,6) და ვერც ვერაფერს მიიღებს, რადგან ყველა წმინდანი რწმენით გახდა სათნომყოფელი ღმრთისა.

ამგვარად, ეკლესიის გადმოცემა გულის სიწრფელით შევიწყნაროთ და არა მრავალი განსჯით. **ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი,** მათ კი მრავალთა განსჯათა ძიება იწყეს(ეკლეს.VII,29). ნუ შევიწყნარებთ ახალ სარწმუნოებრივ სწავლებას, რათა წმინდათა მამათა გადმოცემის განმსჯელნი არ გამოვდგეთ; თქვა ხომ ღმრთეებრივმა მოციქულმა: **უკუეთუ გახარებდეს თქუენ მისსა გარეშე,**

რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ(გალატ.I,9). ამრიგად, ჩვენ თაყვანს ვცემთ ხატებს, მაგრამ თაყვანისცემას ვუძღვნით არა ნივთს, არამედ მათ, ვინც მისით არიან გამოსახულნი, რადგან როგორც ღმრთეებრივი ბასილი ამბობს: თაყვანისცემა ხატისა პირველსახემდე აღიწევა.

42. შენ კი, ქრისტეს უწმიდესო სამწყსოვ, ქრისტეს მოსახელე ერო, ერო წმიდაო, გვამო ეკლესიისაო, ქრისტემ აღგავსოს სიხარულით მისი აღდგომისა და ღირსგყოს მავალი ეკლესიის წმინდანთა, მწყემსთა და მოძღვართა კვალთა ზედა წმინდანთა ბრწყინვალებით მიწევნად მისისა დიდებისა.

დაე, ჩვენ, ყველანი, მისი მადლით მიწევნულ ვიქმნეთ საუკუნოდ მადიდებლებად [ქრისტესი] დაუსაბამოჲსა მამისა თანა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი

განმარტება მათეს სახარებისა[1]

თავი I

წიგნი შობისა. – რატომ არ გამოიყენა აქ წმიდა მათემ მსგავსად წინასწარმეტყველთა „ხილვა“ ან „სიტყვა“ ნაცვლად შობისა? ისინი ხომ ასე წერდნენ: **ხილვა, რომელი იხილა ესაია**(ეს.1,1), ან: **სიტყვა, რომელი იყო ესაიასადმი**(ეს.2,1). გსურს გაიგო რატომ? წინასწარმეტყველები გულქვასა და ურჩ ხალხს მიმართავდნენ და იმიტომაც ამბობდნენ ეს საღმრთო ხილვა და ღმრთის სიტყვა არისო, რომ ხალხი შიშით მოკიდებოდა და მათი ნათქვამი აბუჩად არ აეგდო. მათე კი მორწმუნე, კეთილგონიერ და ამასთან დამჯერე ხალხს მიმართავდა და ამიტომ იმგვარს, რაც წინასწარმეტყველთა თქვეს, წინასწარ არაფერს ამბობს. სათქმელი სხვაც მაქვს: ის, რაც წინასწარმეტყველებმა იხილეს, გონებით იხილეს, სულიწმიდით წარმოისახეს და ამიტომაც უწოდებდნენ ხილვას; ხოლო მათემ ქრისტე გონებით კი არ იხილა და განჭვრიტა, არამედ გრძნობიერად იყო მასთან, გრძნობიერად უსმენდა და ხორციელად ჭვრეტდა. ამიტომაც არ თქვა: „ხილვა, რომელი ვიხილე“, ან „წარმოსახვა“, არამედ **წიგნი შობისა.**

იესო. – სახელი „იესო“ ბერძნული არ არის, არამედ ებრაულია და თარგმანში მაცხოვარს ნიშნავს, რამეთუ სიტყვით „იაო“ ებრაელები ხსნას, ცხოვრებას გამოხატავენ.

ქრისტესი. – ქრისტეს[2] მეფეებს და მღვდელმთავრებს უწოდებდნენ, რადგან მათ წმინდა ზეთს სცხებდნენ, რომელიც რქაში იდგა და თავზე გადმოაპირქვავებდნენ ხოლმე. უფალს ეწოდება ქრისტე, როგორც მეფეს, რომელიც ცოდვის წინააღმდეგ გამეფდა, და როგორც მღვდელმთავარს, რომელმაც თავისი თავი ჩვენთვის მსხვერპლად მიიტანა. ის ხომ ცხებულია ჭეშმარიტი ზეთით – სულიწმიდით და ცხებულია სხვებზე აღმატებულად, რადგან სხვას ვის ჰქონდა ისეთი სული, როგორიც უფალს? წმინდანებში მადლი სულისა წმიდისა მოქმედებდა, ხოლო ქრისტეში მადლი სულისა წმიდისა კი არ მოქმედებდა, არამედ თავის ერთარს სულთან ერთად სასწაულებს თვით ქრისტე აღასრულებდა.

ძისა დავითისი. – მას შემდეგ, რაც მათემ თქვა „იესო“, დაუმატა „ძისა დავითისი“, რათა შენ სხვა იესო არ იგულისხმო, რადგან სხვა იესოც იყო ცნობილი, რომელიც ებრაელებს მოსეს შემდეგ წინამძღოლობდა; მაგრამ მას ნავეს ძე ეწოდებოდა[3] და არა დავითისა. იგი დავითამდე მრავალი თაობით

---

[1] თარგმნილია ტექსტიდან: **Migne, PG, t.123. Col. 139-488.**

[2] ქრისტე ბერძნულად ცხებულს ნიშნავს.

[3] ქართული ტრადიციით ნავეს ძის სახელად არა „იესო“, არამედ „ისო“ დამკვიდრდა.

ადრე ცხოვრობდა და იუდას ტომიდან კი არ იყო, საიდანაც დავითი წარმოიშვა, არამედ სხვა ტომიდან.

ძისა აბრაჰამისი. – რატომ დააყენა მათემ დავითი აბრაჰამის წინ? იმიტომ, რომ დავითი უფრო ცნობილია, იგი აბრაჰამის შემდეგ ცხოვრობდა და დიდებული მეფე იყო. ღმრთის გული ისრაელში მეფეთაგან პირველმა მან მოიგო და მისგან აღთქმაც მიიღო იმის თაობაზე, რომ ქრისტე მისი თესლიდან აღდგებოდა, ამიტომაც უწოდებდა ქრისტეს ყველა დავითის ძეს. დავითმა ქრისტეს წინასახე მართლაც დაიმარხა: როგორც ის გამეფდა ღმრთისაგან მოძულებული და დამხობილი საულის ნაცვლად, ასევე ხორციელად მოსული ქრისტე ჩვენზე შემდეგ გამეფდა, რაც ადამი მოაკლდა სამეფოსა და მეფობას, რომელიც მას ყველა არსებასა და დემონებზე ჰქონდა.

2. აბრაჰამმა შვა ისაკი. – მახარებელი ქრისტეს გენეალოგიას აბრაჰამით იწყებს, რადგანაც იგი იყო მამა ებრაელთა და პირველად მან მიიღო აღთქმა, რომ ყველა ხალხი მისი თესლით იკურთხეოდა. მაშასადამე, ქრისტეს გენეალოგიის მისგან დაწყება მართებულია, რადგანაც ქრისტე აბრაჰამის თესლია, რომლითაც ჩვენ ყველამ, ვინც ადრე წარმართნი და დაწყევლილნი ვიყავით, კურთხევა მივიღეთ. აბრაჰამი ითარგმნება როგორც „მამა ერებისა“, ისაკი კი, როგორც „სიხარული“, „სიცილი“. მახარებელი აბრაჰამის უკანონო შვილებს, მაგალითად, ისმაელსა და სხვებს, არ ახსენებს, რადგან იუდეველნი არა მათგან, არამედ ისაკისაგან წარმოიშვნენ.

2-3. ისაკმა შვა იაკობი. იაკობმა შვა იუდა და ძმანი მისნი. – ხედავ, იუდა და ძმანი მისნი იმიტომაც მოიხსენია, რომ თორმეტი შტო მათგან წარმოიშვა.

4. იუდამ თამარისაგან ფარეზი და ზარა შვა. – იუდამ თამარი ცოლად თავის ძეთაგან ერთ-ერთს, ჰერს შერთო, ხოლო როცა ჰერი უშვილოდ მოკვდა, იგი ცოლად ავნანს მისცა, რომელიც აგრეთვე მისი შვილი იყო. როცა თავისი სამარცხვინო საქციელის გამო სიცოცხლეს ისიც მოაკლდა, იუდას თამარი აღარავისზე აღარ დაუქორწინებია. მაგრამ რადგანაც თამარს აბრაჰამის თესლისგან შვილების ყოლა ძლიერ უნდოდა, ქვრივის სამოსი გაიხადა, ვითარცა მეძავი, ისე შეიმოსა და თავის მამამთილს შეერთო, ვისგანაც ტყუპები ჩაესახა. როცა მშობიარობის ჟამი დადგა, ერთ-ერთმა ბავშვმა საშოდან ხელი გამოყო, თითქოს პირველად ის უნდა დაბადებულიყო. ბებია ქალმა გამოყოფილ ხელზე მყისვე წითელი ძაფი შეაბა, რათა სცოდნოდა პირველი რომელი დაიბადებოდა, მაგრამ მან ხელი უკანვე წაიღო და ჯერ მეორე ბავშვი დაიბადა, ხოლო შემდეგ უკვე ის, რომელმაც ხელი პირველმა გამოყო. ამიტომაც პირველად დაბადებულს ფარეზი ეწოდა, რაც „შეყოვნებას“ ნიშნავს, რამეთუ მან ბუნებრივი რიგი დაარღვია, ხოლო მას, ვინც ხელი უკან შეყო – ზარა.

ეს ისტორია ერთგვარ საიდუმლოზეც მიგვანიშნებს. ვითარცა ზარამ ხელი ჯერ გამოაჩინა, ხოლო შემდეგ ისევ უკან წაიღო, ასეთივეა ქრისტესმიერი მოქალაქეობა. იგი წმინდანებში ჯერ კიდევ სჯულამდე და წინადაცვეთამდე

გამოჩნდა, რადგან ისინი არა სჯულისა და მცნებათა დაცვით, არამედ იმით, რომ სახარებისმიერი მოქალაქეობით იცხოვრეს, განმართლდნენ. შეხედე აბრაამს, ვინც მამა და სახლი ღმრთის გამო დატოვა და ბუნებას განუდგა. შეხედე იობს, მელქისედეკს! სჯულის მოსვლით ამგვარი ცხოვრება დაიფარა, მაგრამ ვითარცა იქ, შემდგომად ფარეზის შობისა, მოგვიანებით კვლავ ზარა გამოვიდა, ასევე სახარებისეული ცხოვრებაც, სჯულის მოცემის შემდეგ, მოგვიანებით განბრწყინდა, წითელი ძაფით ანუ ქრისტეს სისხლით აღბეჭდილი. მახარებელმა ეს ორი ყრმა იმიტომაც ახსენა, რომ მათი დაბადება რაღაც საიდუმლოს მოასწავებდა. გარდა ამისა, თუმცაღა თამარი, რომელიც იმის გამო, რომ მამამთილს შეერთო, ალბათ, ქებას არ იმსახურებს, მახარებელმა მაინც მოიხსენია, რათა ეჩვენებინა, რომ ქრისტემ, ვინც ჩვენთვის ყოველივე იტვირთა, ამგვარი წინაპრებიც შეიწყნარა, უფრო ზუსტად: იგი თვითონ იშვა მათგან, რათა განეწმინდა, რადგან მოვიდა წოდებად არა მართალთა, არამედ ცოდვილთა.

3-5. **ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ; არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნაასონ; ნაასონ შვა სალმონ; სალმონ შვა ბოოს რექაბისაგან**; – ზოგიერთები ფიქრობენ, რომ რექაბი ის მეძავი რააბია, რომელმაც ისო ნავეს მსტოვარნი(მზვერავნი) შეიწყნარა, ისინიც გადაარჩინა და თვითონაც გადარჩა. მათემ რექაბი გაიხსენა, რათა ეჩვენებინა, რომ მსგავსად მისა წარმართთა მთელი კრებულიც მეძავი იყო, რადგან თავისი საქმეებით მეძაობდა. მაგრამ ის წარმართნი, რომელთაც ისოს მზვერავნი ანუ მოციქულები შეიწყნარეს და მათი სიტყვები ირწმუნეს, ყველა გადარჩა.

ბოოს შვა იობედ რუთისგან. – ეს რუთი სხვა ტომიდან იყო, მაგრამ ბოოსს მაინც შეეუღლა. ასევე წარმართების ეკლესიამაც, რომელიც სხვა იყო და არც აღქთმანი ჰქონდა მიცემული, თავისი ხალხი, კერპთა თაყვანისცემა და თავისი მამა-ეშმაკი დაივიწყა და ძე ღმრთისას მიერ სასძლოდ იქნა შეწყნარებული.

5-6. **იობედ შვა იესე; იესე შვა დავით მეფე; დავით მეფემან შვა სოლომონი ურიაჲს ცოლისაგან;** – და ურიის ცოლიც მათემ აქ იმის საჩვენებლად მოიხსენია, რომ წინაპართა გამო კი არ უნდა გვერცხვინებოდეს, არამედ მათ განბრწყინვებას ჩვენი სათნოებით უნდა შევეცადოთ, და, რომ ღმერთს ყველა, ვისაც სათნოება აქვს, თუნდაც მეძავისგან იყოს შობილი, ესათნოება.

7-11. **სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა აბია; აბია შვა ასა; ასა შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია; ოზია შვა იოათამ; იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია; ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონ; ამომ შვა იოსია; იოსია შვა იექონია და ძმანი მისნი ტყვეობასა მას ბაბილოვნელთასა**. – ბაბილონში გადასახლება იმ ტყვეობას ეწოდება, რომელიც შემდგომში დაითმინეს ებრაელებმა, როცა ყველანი ერთად ბაბილონში წაასხეს, ბაბილონელებს ბრძოლა მათთან სხვა დროსაც ჰქონდათ, მაგრამ შედარებით ნაკლებ ზიანს აყენებდნენ, ხოლო ამჯერად ისინი სამშობლოდან საერთოდ გაასახლეს.

12-16. შემდგომად ტყვეობისა მის ბაბილოვნისა იექონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ; ზორობაბელ შვა აბიუდ; აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ; აზორ შვა სადუკ; სადუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ; ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ; იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. – რატომ არის აქ გადმოცემული გენეალოგია იოსებისა და არა ღმრთისმშობლისა? რა წილი უდევს იოსებს ამ უთესლოდ შობაში? იოსები ხომ ქრისტეს ნამდვილი მამა არ ყოფილა, რომ გენეალოგია მისგან იწყებოდეს! მაშ, მოისმინე: რამდენადაც იოსებს მართლაც არავითარი წილი არ უდევს ქრისტეს შობაში, ამიტომ აქ ღმრთისმშობლის გენეალოგია უნდა ყოფილიყო გადმოცემული, მაგრამ რადგანაც არსებობდა კანონი, რომლითაც გენეალოგიის გადმოცემა ქალის ხაზით არ შეიძლებოდა, ქალწულის გენეალოგია არც მათემ გადმოგვცა. გარდა ამისა, იოსების გენეალოგიის გადმოცემით მისიცაა გადმოცემული, რადგან არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც კაცს ცოლი არა სხვა ტომიდან, მოდგმიდან და გვარიდან, არამედ მისივე ტომიდან და გვარიდან უნდა მოეყვანა. რადგან კანონი ასეთი იყო, ცხადია, იოსების გენეალოგიით ღმრთისმშობლის გვარტომობაც გადმოიცა, რადგანაც ღმრთისმშობელი მისივე ტომისა და გვარის იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, მარიამი მასზე როგორ დაიწინდებოდა? ამგვარად მახარებელმა თუმცა კი დაიცვა კანონი, რომელიც გენეალოგიის გადმოცემას ქალის ხაზით კრძალავდა, მაგრამ მოგვცა რა გენეალოგია იოსებისა, ღმრთისმშობლის გვარტომობაზე მაინც მოგვითხრო. იოსებს მარიამის ქმარი მან საერთო ჩვევის მიხედვით უწოდა, რადგანაც ჩვენ ჩვევად გვაქვს დამწინდველს დაწინდულის ქმარი მანამდე ვუწოდოთ, ვიდრე ქორწილი შედგება.

17. ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისთგან ვიდრე ტყუენვადმდე ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ. – მათემ თაობები სამ ნაწილად დაყო, რათა იუდეველთათვის ეჩვენებინა, რომ მსაჯულებისაგან იმართებოდნენ, როგორც ეს დავითამდე იყო, თუ მეფეები განაგებდნენ, რაც ბაბილონის ტყვეობამდე გაგრძელდა თუ მღვდელმთავრებს ემორჩილებოდნენ, როგორც ქრისტეს მოსვლის წინ, სულერთია, სათნოებისათვის მაინც ვერავითარ სარგებელს ვერ იღებდნენ და ისეთ ჭეშმარიტ მსაჯულს, მეფესა და მღვდელმთავარს საჭიროებდნენ, როგორიც ქრისტეა. რაჟამს, თანახმად იაკობის წინასწარმეტყველებისა, მეფობა შეწყდა, ქრისტე მოვიდა. მაგრამ ბაბილოვნის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე თოთხმეტი თაობა როგორღა არის, როცა მხოლოდ ცამეტი პირი ჩანს? გენეალოგიაში რომ ქალის შეყვანა შეიძლებოდეს, მარიამს მივათვლიდით და რიცხვიც შესრულდებოდა, მაგრამ ქალი გვარტომობის სიაში არ შედის; მაშ, ეს საკითხი როგორღა უნდა გადაიჭრას? ზოგიერთები ამბობენ, რომ მათემ „გადასახლება“(ტყვეობა) რიგს, როგორც პირი, ისე მიათვალა.

18. ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო, რამეთუ თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამი იოსებისა. – რისთვის დაუშვა ღმერთმა ეს დაწინდვა და საერთოდ, რატომ მისცა ადამიანებს საბაბი ეჭვისა, რომ იოსებმა იგი შეიცნო? იმიტომ, რომ ქალწულს ჭირთა შინა მფარველი ჰყოლოდა. ეგვიპტეში ლტოლვისას ხომ იოსებმა იზრუნა მასზე და გადაარჩინა იგი. გარდა ამისა, იმისთვისაც დაიწინდა, რომ ეშმაკს დამალვოდა, რადგან უკეთუ ეშმაკი ქალწულის მუცლადღებას შეიტყობდა, თვალთვალს დაუწყებდა; ამგვარად, მარიამი იოსებზე მატყუარას მოსატყუებლად დაიწინდა. ქორწილი მხოლოდ გარეგნულად შედგა, საქმით – არა.

და ვიდრე შერთვამდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა. – შერთვა აქ შეერთებას(ერთად ყოფნას) ნიშნავს. მარიამმა მუცლად მანამდე იღო, ვიდრე შეერთდებოდნენ. ამიტომაც წამოიძახა განცვიფრებულმა მახარებელმა „იპოვა“-ო, თითქოს რაღაც მოულოდნელზე თქვა.

19. ხოლო იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი. – როგორ შეიძლებოდა იოსები მართალი ყოფილიყო, როცა სჯული მრუშის გამოაშკარავებას, ე. ი. მხილებასა და დასჯას ბრძანებდა, მან კი ცოდვის დაფარვა განიზრახა, რითაც სჯული დაარღვია? ეს საკითხი უპირველესად იმ აზრით უნდა გადავწყვიტოთ, რომ იოსები სწორედ ამ განზრახვის გამო იყო მართალი. მას არ სურდა მკაცრი ყოფილიყო, არამედ პირიქით, კაცთმოყვარეობითა და დიდი სიკეთით სჯულის მცნებებზე მაღალი ცხოვრებით მცხოვრებმა, თავისი თავი სჯულზე ამაღლებულად წარმოაჩინა და მისი, ვინც სულიწმიდისაგან იყო მიდგომილი და არა მრუშობით, გამოაშკარავება და დასჯა არ მოინდომა; არამედ ნახე, რას ამბობს მახარებელი: **იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა.** ვინ იპოვა? იოსებმა, ე. ი. მან შეიცნო, რომ მარიამმა სულისაგან წმიდისა იღო მუცლად. მისი ფარულად განტევებაც იმიტომ განიზრახა, რომ ვერ გაკადნიერდა ცოლად ჰყოლოდა ის, ვინც ესოდენ დიდი მადლის მიღების ღირსი შეიქნა.

20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და ჰრქუა. – ამ მერყეობის ჟამს მართალს ანგელოზი გამოეცხადა და ასწავლა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ძილში იმიტომაც გამოუჩნდა, რომ მტკიცე რწმენა ჰქონდა. მწყემსებს, როგორც განუსწავლელებს, ანგელოზი ცხადში ესაუბრება, ხოლო იოსებს, ვითარცა მართალსა და მორწმუნეს – ძილში. როგორ არ უნდა ერწმუნა, როცა ანგელოზმა ის ასწავლა, რასაც თავისთავში განსჯიდა და რის შესახებაც არავისთან არაფერი ჰქონდა ნათქვამი? როცა თავისთვის ფიქრობდა, მაგრამ არავის არაფერს ეუბნებოდა, ანგელოზი მაშინ გამოეცხადა; ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ირწმუნა, რომ იგი ღმრთისაგან იყო, რადგან ის, რაც ხმამაღლა არ თქმულა, მხოლოდ ღმერთმა იცის.

იოსებ, ძეო დავითისო. – დავითის ძედ უხმო მას, რათა შეეხსენებინა წინასწარმეტყველება, რომ ქრისტე დავითის თესლისაგან უნდა ყოფილიყო. უთხრა

რა ეს, ანგელოზმა იოსებს შეაგონა, ურწმუნოება არ გამოეჩინა და დავითზე ეფიქრა, ვინც ქრისტეს შესახებ აღთქმა მიიღო.

ნუ გეშინინ მიყვანებად. – აქ მახარებელი გვიჩვენებს, რომ იოსებს მისი მოყვანისა ეშინოდა, რათა მრუშის ცოლად ყოლით ღმერთი არ განერისხებინა, ან სხვაგვარად: ნუ გეშინინ ანუ გეშინოდეს მისი შეხებისა, ვინც მუცლად სულიწმიდისაგან იღო, მაგრამ ნუ შეგეშინდება „მიყვანებად“ ანუ მისი შინ ყოლისა, რამეთუ გონებითა და ფიქრით იგი უკვე გაშვებული ჰყავდა.

მარიამისა, ცოლისა შენისა. – ამით ანგელოზი ეუბნება: „შეიძლება შენ ფიქრობ, რომ იგი მრუშია, ხოლო მე გეუბნები, რომ შენი ცოლია, ანუ არავის განუხრწნია, არამედ შენი სასძლოა“.

რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. – ე. ი. იგი არა მხოლოდ შორსაა უკანონო კავშირისაგან, არამედ მუცლად ღმრთეებრივი სახით იღო და ამგვარად, შენც სიხარული უფრო გმართებს.

21. **შვეს ძე.** – რათა ვინმეს არ ეთქვა: „რატომ უნდა დაგიჯეროო შენ, რომ სულისაგან წმიდისა არს?“ ანგელოზი მომავალზე ამბობს, რომ ძე იშვება. უკეთუ ამ შემთხვევაში მართალი გამოვდგები, მაშინ, ცხადია, ჭეშმარიტება იქნება ისიც, რომ სულისაგან წმიდისა იშვება. არ უთქვამს: „შენ გიშობს“, არამედ უბრალოდ „იშვება“, რადგან მარიამი არა მისთვის, არამედ მთელი სამყაროსათვის შობდა და მადლიც არა მხოლოდ მასზე, არამედ ყველაზე გარდამოვიდოდა.

და უწოდიან სახელი მისი იესუ. – რაღა თქმა უნდა, შენ უწოდებ, ვითარცა მამა და ვითარცა მფარველი ქალწულისა; რადგან იოსებმა შეიტყო თუ არა, რომ მუცლადღება სულისაგან წმიდისა იყო, ქალწულის უპატრონოდ გაშვებაზე აღარც უფიქრია, პირიქით, ყველაფერში ეწეოდა.

რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათაგან. – აქ განმარტებულია, რას ნიშნავს „იესო“, სახელდობრ, „მაცხოვარს“, რადგანაც ნათქვამია, რომ მან „იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათაგან“ – ოღონდ, არა მხოლოდ იუდეველები, არამედ ის წარმართებიც, რომელნიც ისწრაფვიან იწამონ იგი და მის ერად იქცნენ. რისგან უნდა იხსნას? ომებისაგან ხომ არა? რა თქმა უნდა, არა, არამედ ცოდვათაგან მათთა. აქედან ცხადია, რომ ის, ვინც უნდა იშვეს, ღმერთია, რადგანაც ცოდვათა მიტევება მხოლოდ ერთს – ღმერთს ხელეწიფება.

22. **ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინაწარმეტყუელისაჲთა თქუმული**. – ნუ იფიქრებ, რომ ეს ღმერთმა ცოტა ხნის წინათ განიზრახა, არამედ პირველითგან, დასაბამიდანვე. შენ, იოსებ, ვითარცა წინასწარმეტყველთა მცოდნემ და სჯულსა შინა განსწავლულმა, უფლის ნათქვამს დაუფიქრდი, რადგან მახარებელმა არა ესაიას მიერ თქმულიო თქვა, არამედ უფლისაგანო, ანუ კაცმა კი არ თქვა, არამედ ღმერთმა კაცისა პირით; ასე რომ, წინასწარმეტყველება სავსებით სარწმუნოა.

23. **აჰა ქალწული მიუდგეს**. – ებრაელები ამბობენ, რომ წინასწარმეტყველთან

არა „ქალწული“, არამედ „ახალგაზრდა ქალი“ წერია. მათ უნდა ვუთხრათ, რომ, რამდენადაც ახალგაზრდა ქალს განუხრწნელს უწოდებს, ამდენად წმინდა წერილში „ახალგაზრდა ქალი“ იგივეა, რაც „ქალწული“. შემდეგ: უკეთუ ქალწული არ შობდა, ნიშანი და სასწაული როგორღა იქნებოდა? მოუსმინე, რას ამბობს ესაია: „ამისთვის უფალი თქვენ ნიშანს თავად მოგცემთ“(ეს.6,14), და მაშინვე უმატებს: „აჰა ქალწული“ და ა. შ. რადგანაც უკეთუ ქალწული არ შობდა, არც სასწაული იქნებოდა. ასე რომ, ებრაელები წმინდა წერილს ბოროტი განზრახვით აყალბებენ და ტექსტში ნაცვლად „ქალწულისა“ „ახალგაზრდა ქალს“ სვამენ: თუმცა, მიუხედავად იმისა, „ახალგაზრდა ქალი“ ეწერება თუ „ქალწული“, ყველა შემთხვევაში ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ქალწულმა შვა, რათა ეს შობა სასწაულებრივი იყოს.

და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი. – ებრაელები ამბობენ, თუკი ეს ასეა, მაშინ რატომ არ იწოდა იგი ემმანუელად, არამედ იესო ქრისტედ? ამის თაობაზე უნდა ვთქვათ, რომ წინასწარმეტყველი არ ამბობს: „უწოდებ“, არამედ „უწოდიან“, ანუ თავად საქმენი უჩვენებენ, რომ ღმერთია, თუმცაღა ჩვენთან იცხოვრებს. საღმრთო წერილი ხომ სახელებს საქმეთაგან აძლევს, როგორც მაგალითად: „უწოდე სახელი მისი, მსწრაფლ იავარ-ჰყავ“(ეს.8,3); მაგრამ სად და ვის ეწოდა ასეთი სახელი? რამდენადაც უფლის შობასთან ერთად ცდომილება[4] იავარყოფილ და დატყვევებულ იქნა, ამიტომაც ითქვა, რომ, მიიღო რა სახელი საქმისაგან თვისისა, ასე იწოდა.

24. და განიღვიძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან. – დაუკვირდი, გამოღვიძებულმა სულმა რა მსწრაფლ ირწმუნა.

და წარიყვანა ცოლი თჳსი. – მარიამს მათე ყოველთვის იოსების ცოლს უწოდებს, რათა ბოროტი ეჭვი განაგდოს და გვასწავლოს, რომ იგი სწორედ მისი ცოლი იყო და არა სხვა ვინმესი.

25. და არა იცოდა იგი ვიდრემდე შვა. – ანუ არასოდეს აღრეულა მასთან, რამეთუ „ვიდრემდე“ აქ იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს შობამდე არ იცოდა იგი და მერე შეიცნო, არამედ იმას, რომ არც არასოდეს შეუცვნია იგი. ასეთია თავისებური ენა წმინდა წერილისა, როგორც მაგალითად: არ დაბრუნებულა ყორანი კიდობანში „ვიდრე განხმობამდე წყლისა ქუეყანისაგან“(დაბ.8,6), მაგრამ იგი ხომ არც ამის შემდეგ დაბრუნებულა; და კიდევ: „მე თქუენ თანა ვარ ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“(მთ.28,20) და აღსასრულის შემდეგ აღარ იქნება? მაშინ მით უმეტეს! მსგავსად ამისა, აქაც სიტყვები „ვიდრემდე შვა“ იმ აზრით გაიგე, რომ იოსებს იგი არც შობამდე და არც შობის შემდგომად შობისა არ შეუცვნია, რადგან, როგორ შეეხებოდა ამ სიწმინდეს, როცა მისი გამოუთქმელი შობის შესახებ კარგად უწყოდა?

[4] იგულისხმება კერპთაყვანისმცემლობა.

ძე იგი მისი პირმშოჲ. – პირმშოს მას იმის გამო კი არ უწოდებს, რომ თითქოს მარიამმა მეორე შვილიც შვა, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ იგი პირველი და ერთადერთი იშვა. ქრისტე პირმშოა, რადგან პირველი იშვა და მხოლოდშობილი, რადგან ძმა არ ჰყოლია.

და უწოდა სახელი მისი იესუ. – იოსებმა ამ შემთხვევაშიც მორჩილება გამოიჩინა, რადგან ისე მოიქცა, როგორც ანგელოზმა უთხრა.

თავი II

1. ხოლო იესუჲს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა. – ბეთლემი ითარგმნება როგორც „სახლი პურისა“, ხოლო იუდეა, როგორც „აღსარება“. დაე, აღსარების წყალობით, ახლა ჩვენც სახლად სულიერი პურისა ვიქცეთ.

დღეთა ჰეროდე მეფისათა. – ჰეროდე იხსენიება, რათა შენ ისწავლო, რომ მთავარნი და მეფენი იუდას შტოდან შეწყდნენ და ქრისტე აუცილებლობის გამო მოვიდა. ჰეროდე ხომ არა იუდეველი, არამედ იდუმიელი იყო, ძე ანტიპატრესი, რომელსაც იგი არაბი ცოლისაგან შეეძინა. როცა მთავარნი იუდას ტომიდან შეწყდნენ, როგორც ეს იაკობმა იწინასწარმეტყველა, „წარმართთა მოლოდინის“ ხანა დადგა(დაბ.49,3).

მეფისათა. – რადგან სხვა ჰეროდეც იყო, მეოთხედმთავარი, ამიტომაც მათე მის მეფურ პატივზე მიუთითებს.

აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჵმდ. – რისთვის მოვიდნენ მოგვები? რაღა თქმა უნდა, იუდეველთა განსასჯელად. უკეთუ კერპთაყვანისმცემელმა მოგვებმა ირწმუნეს, იუდეველებს თავის გასამართლებლად რაღა რჩებათ? ამასთან, იმისთვისაც მოვიდნენ, რომ დიდება ქრისტესი კიდევ უფრო განბრწყინებულიყო დამოწმებით მოგვებისა, რომელნიც უფრო დემონებს ემსახურებოდნენ და ღმრთის მტრები იყვნენ.

აღმოსავალით. – ესეც ებრაელთა განსასჯელად, რადგან ისინი თაყვანისსაცემად ასე შორიდან მოვიდნენ, ხოლო ებრაელები, რომელთაც ქრისტე ჰყავდათ, მას სდევნიდნენ.

2. და იტყოდეს: სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? – ამბობენ, რომ ეს მოგვები ბალამ მოგვის შთამომავალნი იყვნენ – და რომ მათ იპოვნეს მისი წინასწარმეტყველება: „გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან... და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“(რიცხ.24,17). მათ საიდუმლო ქრისტესი გულისხმაჰყვეს და იმიტომაც წამოვიდნენ, რომ ახალშობილის ხილვა სურდათ.

რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით. – როცა ვარსკვლავზე მოისმენ, ნუ იფიქრებ, რომ იგი ერთი იმათთაგანია, რომელთაც ვხედავთ, არამედ ეს ღმრთეებრივი და ანგელოზებრივი ძალა იყო, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა. რადგანაც მოგვები ვარსკვლავთმრიცხველნი იყვნენ, უფალმა ისინი მათთვის ნაცნობი ნიშნით მოიყვანა, ისევე როგორც მეთევზური პეტრე განაცვიფრა თევზის სიმრავლით, რომელიც მან ქრისტეს სახელით დაიჭირა.

ვარსკვლავი რომ მართლაც ანგელოზებრივი ძალა იყო, იქიდანაც ჩანს, რომ დღისითაც ანათებდა და იქიდანაც, რომ მიდიოდა მაშინ, როცა მოგვები მიდიოდნენ და იდგა, როცა ისინი ისვენებდნენ; განსაკუთრებით კი იქიდან, რომ იგი ჩრდილოეთის მხრიდან, სადაც სპარსეთია, სამხრეთისკენ მოძრაობდა, სადაც იერუსალიმია; ჩვეულებრივ კი, ვარსკვლავი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არასოდეს მოძრაობს.

და მოვედით თაყუანის-ცემად მისა. – როგორც ჩანს, ამ მოგვებს დიდი სათნოება ჰქონდათ, რადგან უკეთუ თაყვანისცემა უცხო მიწაზე მოისურვეს, განა შეიძლებოდა, რომ სპარსეთში არ ყოფილიყვნენ გაბედულნი და არ ექადაგათ?

3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალჱმი მის თანა. – ჰეროდე შეშფოთდა, რადგან უცხო ტომისა იყო და თავისი სამეფო ხელისუფლების გამო შიშობდა, რომლისთვისაც, თვითონაც იცოდა, უღირსი იყო. მაგრამ იუდეველნი? ისინი რისთვისღა შეშფოთდნენ? იმათ ხომ, პირიქით, უნდა გახარებოდათ, რომ მეფე ეყოლებოდათ, რომელსაც თაყვანს სპარსეთის მეფენიც სცემდნენ, მაგრამ ბოროტება მართლაც რომ უგუნურია.

4. და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე? – მოძღვარნი ხალხისა განსწავლული ადამიანები იყვნენ, ვითარცა ისინი, რომელთაც ჩვენ გრამატიკოსებს ვუწოდებთ. ღმრთის განგებით, სწორედ მათ გამოჰკითხეს, რათა ჭეშმარიტება ელიარებინათ, ამიტომ ისინი იმისთვისაც განისჯებიან, რომ ჯვარს აცვეს იგი, ვინც ადრე აღიარეს.

5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ. – რომელი წინასწარმეტყველისა? მიქიასი, რამეთუ იგი ამბობს:

6. და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ იგი იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა(მიქ.5,2). – რაკი ეს ქალაქი პატარა იყო, არაფრად აგდებდნენ. ახლა კი, იმის წყალობით, რომ ქრისტე მისგან გამოვიდა, დიდებული გახდა და ამ წმინდა ბეთლემის თაყვანსაცემად ქვეყნის ყოველი კიდიდან მოდიან.

რამეთუ მისგან გამოვიდეს წინამძღუარი. – კარგად თქვა: „გამოვიდეს“, და არა „დარჩეს შენთან“, რადგან ქრისტე ბეთლემში არც დარჩენილა, არამედ შემდგომად შობისა მისგან გამოვიდა და მეტწილად ნაზარეთში ცხოვრობდა. იუდეველების თქმით, ეს წინასწარმეტყველება ზორობაბელზე იყო ნათქვამი, მაგრამ, ცხადია, ცრუობდნენ; ზორობაბელი ხომ არა ბეთლემში, არამედ ბაბილონში დაიბადა, რადგან სახელი მისი „ზორო“ თესლსა და შობას ნიშნავს, „ბაბელი“ კი – ბაბილონს ანუ ბაბილონში ჩასახულს თუ შობილს. მაგრამ მათ წინასწარმეტყველებაც ცხადად ამხელს, როცა ამბობს: „გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა“(მიქ.5,2). სხვას ვისა აქვს „გამოსავალნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა“, თუ არა ქრისტეს? მას ხომ ორი „გამოსავალი“ ანუ შობა ჰქონდა: პირველი შობა დასაბამითგანვე მამისაგან და

მეორე – „დღეთაგან საუკუნოჲსათა“, რომელიც ღმრთისმშობლისაგან დაიწყო და დროში აღსრულდა. დაე, გვიპასუხონ იუდეველებმა, ზორობაბელი დასაბამითგანვე იშვა? მაგრამ სათქმელი არაფერი აქვთ.

რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი. – დამწყსოსო, – ამბობს და არა იმას, ტირანი იქნება და შთანთქავსო, რამეთუ სხვა მეფენი მგლები არიან და არა მწყემსნი. ქრისტე კი, როგორც ამას თვითონვე ამბობს, მწყემსია: „მე ვარ მწყემსი კეთილი“. ისრაელ ერს იგი როგორც ებრაელთა, ასევე წარმართთა შორის მორწმუნეებს უწოდებს. რამდენადაც ისრაელი როგორც „მხილველი ღმრთისა“ ისე ითარგმნება, ამდენად ყველა, ვინც ღმერთს იხილავს, წარმართაგანიც რომ იყოს, ისრაელიანია.

7. **მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა**. – ჰეროდემ ფარულად ისინი იუდეველთა გამო იხმო, რადგან ეჭვობდა, რომ შეიძლებოდა იუდეველებს ყრმის მიმართ დიდი მზრუნველობა გამოეჩინათ და გადარჩენაც მოფიქრებოდათ იმისი, ვისაც ისინი მომავალში უნდა გაეთავისუფლებინა. ამიტომაც იზრახავს ბოროტებას ფარულად.

და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა ვარსკულავისაჲ. – ანუ ყოველივე ზუსტად შეიტყო. ვარსკვლავი ხომ მოგვებს მანამდე გამოუჩნდა, ვიდრე უფალი დაიბადებოდა. იმდენად, რამდენადაც გზაში მათ დიდი დრო დაეკარგებოდათ, ვარსკვლავი ადრევე გამოჩნდა, რათა ყრმისათვის თაყვანი მაშინ ეცათ, როცა ის ჯერ კიდევ სახვევებში იქნებოდა. თუმცა ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ვარსკვლავი ქრისტეს შობასთან ერთად გამოჩნდა, ამიტომ მოგვები მთელი ორი წელი მოდიოდნენ და უფალი არცა სახვევებსა და არცა ბაგაში, არამედ ორი წლისა შინ, დედასთან ერთად იხილესო, მაგრამ შენ უპირატესობა პირველად თქმულს მიანიჭე.

8. **და წარავლინნა იგინი ბეთლემად და ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს**. – მეფისთვისო კი არ უთხრა, არამედ ყრმისათვისო, რადგან მისი სახელიც კი ეჯავრებოდა, რითაც ცხადყო, როგორ იყო გაცოფებული მის მიმართ.

8-9. **და რაჟამს ჰპოოთ იგი, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს.** – რადგან თვითონ უზაკველნი იყვნენ, იფიქრეს, რომ ჰეროდეც გულწრფელად ლაპარაკობდა.

და აჰა ვარსკულავი იგი, რომელ იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა მათ. – განგებით ღმრთისა ვარსკვლავი მცირე ხნით დაიმალა, რათა მათ იუდეველთათვის გამოეკითხათ, ჰეროდეც შეძრწუნებულიყო და ამგვარად ჭეშმარიტებაც უფრო ცხადი გამხდარიყო. ხოლო როცა ისინი იერუსალიმიდან გამოვიდნენ, ვარსკვლავი კვლავ გამოჩნდა და წინ მიუძღოდა მათ, საიდანაც ჩანს, რომ იგი ღმრთეებრივი ძალა იყო.

ვიდრემდე მივიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი. – და ესეც საკვირველია, რადგან ვარსკვლავი მაღლიდან დაეშვა და დადგა რა

დედამიწასთან ახლოს, მათ ადგილი უჩვენა. რამეთუ კვლავ მაღლიდან რომ ჩვენებოდა, როგორღა უნდა გამოეცნოთ კერძოდ ის ადგილი, სადაც ქრისტე იმყოფებოდა? რადგანაც ვარსკვლავები თავიანთი ბრწყინვით დიდ სივრცეს მოიცავენ, შესაძლოა, შენ მთვარე შენი სახლის თავზე იხილო და მეც მეგონოს, რომ იგი მხოლოდ ჩემი სახლის თავზეა. და საერთოდ, ყველას ეჩვენება, რომ მთვარე, ან სხვა რომელიმე ვარსკვლავი მხოლოდ მის თავზე დგას. ამიტომ ქრისტეს ადგილ-სამყოფელს ვერც ის ვარსკვლავი აჩვენებდა, დაბლა რომ არ დაშვებულიყო და ყრმას თითქოსდა თავზე რომ არ დასდგომოდა.

10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად. – რომ არ შეცდნენ და ის იპოვეს, ვისაც ეძებდნენ, ამიტომ გაიხარეს.

11. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაჲ იგი მარიამის თანა დედისა თჳსისა. – შვა რა, ქალწულმა, რადგანაც მაშინ სახლი ვერ იპოვნეს, ყრმა ბაგასა შინა მიაწვინა, მაგრამ როგორც ჩანს, შემდეგში სახლი მოუნახეს, სადაც მოგვებმა იპოვნეს კიდევაც ისინი. როგორც ლუკაც ამბობს, ბეთლემში ისინი აღწერისთვის ავიდნენ, მაგრამ რადგანაც აღწერაზე დიდძალი ხალხი შეგროვდა, თავდაპირველად სახლი ვერ იშოვნეს და უფალი მღვიმესა შინა იშვა. შემდეგ სახლიც გამოძებნეს, სადაც მოგვებმა უფალი იხილეს.

და დავარდეს და თაყვანის-სცეს მას. – აჰა განბრწყინვება სულისა! გლახაკი იხილეს და თაყვანი სცეს. რადგანაც ირწმუნეს რომ ღმერთი იყო, ამიტომ ვითარცა ღმერთს და ვითარცა კაცს ძღვენიც მიართვეს. აბა, მოისმინე: **და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური**. – ოქრო მას ვითარცა მეფეს მიართვეს, რადგან ჩვენც, მისი ქვეშევრდომნი, მეფეს ოქროს ვუძღვნით; ხოლო გუნდრუკი – ვითარცა ღმერთს, რამეთუ ღმერთს გუნდრუკს ვუკმევთ; მური კი – ვითარცა სიკვდილის გემოჲს მხილველს, რადგანაც იუდეველნი, სხეული რომ განუხრწნელი დარჩეს, მიცვალებულს შემურულს მარხავენ. თავადაც მშრალი მური ხომ სინესტეს აშრობს და ამით მატლების წარმოშობას უშლის ხელს. ნახე რწმენა მოგვებისა! მათ ბალაამის წინასწარმეტყველებიდან ისწავლეს, რომ უფალი ღმერთიც იქნებოდა და მეფეც და რომ ის ჩვენთვის მოკვდებოდა. მაგრამ ამ წინასწარმეტყველებასაც მოუსმინე: **ინახ-იდგა და განისვენა ვითარცა ლომმან, ვითარცა ბოკვერმან**(რიცხ.24,9); „ლომი“ მეფურ დიდებას ნიშნავს, ხოლო „ინაჴ-იდგა“ – სიკვდილს. „მაკურთხეველი შენი იკურთხევა“. აჰა, ღმრთეება, რადგანაც ძალა კურთხევისა მხოლოდ ღმრთეებრივ ბუნებას აქვს.

12. და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით, რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა. – ყურადღება მიაქციე თანმიმდევრულობას! ღმერთი რწმენისკენ მათ ჯერ ვარსკვლავით წარმოუძღვა, შემდეგ, იერუსალიმში მისულებს, წინასწარმეტყველის მიერ ასწავლა, რომ ქრისტე ბეთლემში იშვებოდა, ხოლო ბოლოს – ანგელოზის მეშვეობით. მათ ირწმუნეს

წინასწარმეტყველებისა, ანუ ღმრთეებრივი სიტყვისა და როცა ღმრთისაგან გამოცხადება მიიღეს, ჰეროდე მოატყუეს, არც მის დევნას შეუშინდნენ და ახალშობილის ძალით გამხნევებულნი ჭეშმარიტი მოწმენი გახდნენ.

13. და ვითარცა განეშორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი. – ხედავ რა მიზეზით დაუშვა ღმერთმა ქალწულის დაწინდვა? აქედან შენთვის ცხადი ხდება, რომ იგი დაიწინდა, რათა იოსებს დაეცვა და ეზრუნა მასზე. ანგელოზმა ის კი არ უთხრა – შენი ცოლი წაიყვანეო, არამედ დედა ყრმისაო; რადგან, როცა ეჭვი გაქრა და მართალმა იოსებმა სასწაულებრივი შობისა ანუ იმისა, რომ ყოველივე სულიწმიდისაგან იყო, ირწმუნა, ანგელოზმა მარიამს უკვე მისი ცოლი აღარ უწოდა.

და ივლტოდე ეგჳპტედ. – ილტვის უფალიც, რათა ერწმუნათ, რომ იგი ჭეშმარიტად კაცი იყო, რადგან უკეთუ ჰეროდეს ხელში დარჩებოდა და არ მოკლავდნენ, იფიქრებდნენ, რომ მოჩვენებითად განხორციელდა. ეგვიპტეში ილტვის, რათა ისიც წმიდა-ყოს. ყოველგვარი ბოროტების ბუდე ხომ ეს ორი მხარე – ბაბილონი და ეგვიპტე – იყო. ამგვარად თაყვანისცემა ბაბილონისაგან მან მოგვების სახით მიიღო, ხოლო ეგვიპტე თავისი იქ ყოფნით განწმინდა.

და იყავნ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ. – არ უთხრა „იქნები“, არამედ „იყავ მუნ“, ვიდრემდე არ მიიღებდა ბრძანებას ღმრთისაგან. გარეშე ღმრთეებრივი ნებისა, არც ჩვენ არაფერი არ უნდა გავაკეთოთ.

რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე. – დახე უგუნურებას კაცისა, რომელსაც ღმრთის ნებაზე გამარჯვება სურს, რადგან უკეთუ ყრმა ღმრთისაგან არ იყო შობილი, რისი ეშინოდა? ხოლო უკეთუ ღმრთისგან იყო, როგორღა მოკლავდა?

14-15. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი ღამე და წარვიდა ეგჳპტედ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ: ეგჳპტით უწოდე ძესა ჩემსა. – იუდეველნი ამბობენ, რომ ეს იმ ხალხზე ითქვა, რომელიც მოსემ ეგვიპტიდან გამოიყვანა. ვუპასუხებთ, რომ რაღაც ახალი წინასახეობრივად ხალხზეც ითქვა, მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტეზე აღსრულდა. შემდეგ: ვინ არის ძე ღმრთისა? ბელფეგორისა და სხვა კერპების თაყვანისმცემელი ხალხი თუ ჭეშმარიტი ძე მისი?

16. მაშინ ვითარცა იხილა ჰეროდე, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან; – როგორც ფარაონს დასცინა ღმერთმა მოსეს საშუალებით, იგივე უყო ჰეროდესაც მოგვების მეშვეობით, რადგანაც ორივენი – ფარაონიცა და ჰეროდეც – ყრმათა მომწყვედელნი იყვნენ: ფარაონი ეგვიპტეში ხოცდა ებრაელთა მამრობითი სქესის ყრმებს, ხოლო ჰეროდე – ბეთლემში.

განრისხნა ფრიად, წარავლინნა და მოსწყჳდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს. – მოგვებზე განრისხებულმა ჰეროდემ თავისი გულისწყრომა თავს

დაატეხა იმათ, რომელთაც მისთვის არაფერი უვნიათ: რისთვის იყო დაშვებული ყრმათა ამოწყვეტა? რათა ჰეროდეს ბოროტება განცხადებულიყო; მაგრამ შენ შეიძლება მკითხო: ეს რაღა არის? ნუთუ ყრმები ასე უსამართლოდ იმიტომ დაისაჯნენ, რომ ჰეროდეს ბოროტება განცხადებულიყო? მაშ, მოისმინე! უსამართლოდ კი არ დაისაჯნენ, არამედ გვირგვინთა ღირსნი შეიქნენ, რადგან ყოველი, ვინც აქ რაიმე ბოროტებას ითმენს, ან ცოდვათა დატევებისათვის ან კიდევ გვირგვინთა დადგმისათვის იტანჯება. მსგავსად ამისა, ეს ყრმებიც უმეტესად გვირგვინოსან იქნებიან.

16-17. და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: – ვინმეს რომ არ ეფიქრა, ყრმათა ამოწყვეტა ღმრთის ნების გარეშე მოხდაო, გვაჩვენებს, რომ მან ეს წინასწარ იცოდა და წინასწარ თქვა.

18. ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა. – ჰრამა ამაღლებული ადგილია პალესტინაში; თვითონ ეს სახელიც „მაღალს“ ნიშნავს. იგი წილად ხვდა ბენიამინის ტომს, რომელიც რაქელის შვილი იყო, რაქელი კი ბეთლემშია დასაფლავებული. ასე რომ, წინასწარმეტყველი ბეთლემს რაქელს უწოდებს, რადგანაც იგი იქ დაიმარხა. მაღლობზე მოთქმა და ტირილი ისმოდა. მოუსმინე წინასწარმეტყველს: **ჴმაჲ ...გოდებისა და ტირილისა და ტყებისაჲ მრავალი; რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან**. – იგულისხმება, რომ ამ ცხოვრებასა შინა აღარ არიან, თორემ სულები უკვდავია.

19. ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე. – მწარე აღსასრული ჰქონდა ჰეროდეს: ბოროტი სული ცხელებით, მუცლის გვრემით, ქავილით ამოხდა; ფეხები მოეღრიცა, სარცხვინელი დაულპა, მატლი დაეხვია, ჭირდა ქოშინი, კანკალი და სხეულის ნაწილები უცახცახებდა.

19-20. აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით იოსებს ეგჳპტეს და ჰრქუა: აღდეგ წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა. – არ ეუბნება ილტვოდეო, არამედ „წარვედ“-ო, რადგან საშიშროება უკვე აღარ არსებობდა.

რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა. – სადაა აპოლინარიოსი, რომელიც ამბობდა, რომ უფალს არ მიუღიაო სული კაცისა? რამეთუ აქ იგი იმხილება.

21-22. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაელისა. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თჳსისა, შეეშინა მისლვად მუნ. – ჰეროდეს სამი ვაჟი დარჩა: ფილიპე, ანტიპა და არქელაოსი. არქელაოსს მეფობა უბრძანა, ხოლო დანარჩენებს ტეტრარქონტობა(მეოთხედ-მთავრობა). იოსებს ისრაელის ქვეყანაში ანუ იუდეაში დაბრუნებისა შეეშინდა. რადგან არქელაოსი მამას ჰგავდა, ხოლო ანტიპა თავად ახალი ჰეროდე იყო, რომელმაც წინამორბედი მოაკვლევინა.

და ბრძანებაჲ მოილო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა გალილეაჲსათა. – გალილეა არა ისრაელის, არამედ წარმართთა ქვეყანა იყო. ამიტომაც იუდეველნი გალილეველებს ზიზღით უყურებდნენ.

23. **და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ.** – როგორ ამბობს ლუკა, რომ უფალი ნაზარეთში შობიდან ორმოცი დღისა და სვიმეონისაგან მირქმის შემდეგ მივიდა, მაშინ, როცა მათე გვეუბნება, რომ ნაზარეთში იგი ეგვიპტიდან დაბრუნების შემდგომ ჩავიდა? გულისხმაყავ, რომ რაზეც მათე დუმს, იმას ლუკა ამბობს. მაგალითისთვის ვიტყვი: აღესრულა ორმოცი დღე შობიდან და უფალი მივიდაო, – გვეუბნება ლუკა. მათე კი იმაზე მოგვითხრობს, რაც შემდგომად ამისა მოხდა, სახელდობრ, უფლის ლტოლვაზე ეგვიპტეში, საიდანაც იგი ნაზარეთში დაბრუნდა. ასე რომ, ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ერთი, კერძოდ, ლუკა ამბობს, რომ ნაზარეთში ბეთლემიდან დაბრუნდა, ხოლო მათეს თქმით – ეგვიპტიდან.

რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: ნაზარეველ ეწოდოს. – დღეს ვერ ვპოულობთ, რომელმა წინასწარმეტყველმა თქვა ეს, რადგან ებრაელთა დაუდევრობისა და მათი მუდმივად ტყვეობაში ყოფნის გამო მრავალი წიგნი დაიკარგა, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ეს წინასწარმეტყველება იუდეველებს ზეპირად(ჩაუწერლად) გადმოეცათ. ნაზარეველი „წმინდას“ ნიშნავს. რამდენადაც ქრისტე წმინდაა, ალბათ ნაზარეველიც ამიტომ ეწოდა. „ისრაელის წმინდა“ ხომ უფალს მრავალ წინასწარმეტყველთან ეწოდება.

თავი III

1. **მათ დღეთა შინა**. – არა მაშინ, როცა უფალი ყრმა იყო და ნაზარეთში ცხოვრობდა, არამედ მახარებელი საერთოდ იმ დროზე ამბობს, რომელიც აწმყოს უსწრებდა წინ და რომელშიც იოვანე ნათლისმცემელი მოვიდა. იოვანე ღმრთისაგან იმიტომ მოივლინა, რომ იუდეველნი ემხილებინა, საკუთარი ცოდვების შეგნებამდე მიეყვანა და ამგვარად ქრისტეს მისაღებად მოემზადებინა. რადგანაც ვისაც თავისი ცოდვები შეგნებული არა აქვს, ის ვერც მონანიებამდე მივა.

1-2. **მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა და იტყოდა: შეინანეთ.** – ვინაიდან იუდეველნი ქედმაღალნი იყვნენ, მონანიებისაკენ მათ ამიტომაც მოუწოდებდა. **რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ**. – „ცათა სასუფეველს“ იგი ქრისტეს პირველსა და მეორე მოსვლასა და სათნოებით აღსავსე ცხოვრებას უწოდებს; რადგან უკეთუ ჩვენ მიწაზე ისე დავაბიჯებთ, თითქოს ზეცის მოქალაქენი ვიყოთ, ვნებათა გარეშე, მაშინ ცათა სასუფეველიც მოპოვებული გვაქვს.

3. **რამეთუ ესე არს, რომელ-იგი თქუმულ არს ესაია წინაწარმეტყუელისა მიერ და იტყჳს: ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა ზედა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.** – გზა სახარებას ეწოდება. ალაგნი(ბილიკნი) კი

სჯულის დადგენილებებს, რადგანაც გაცვდნენ და მოძველდნენ. ამიტომაც ამბობს წინასწარმეტყველი: მოემზადეთ სახარებისეული ცხოვრებისათვის და სჯულის მცნებანი წრფელ ანუ სულიერ ჰყავთ, რადგანაც სული წრფელია. რაჟამს იხილავ, რომ იუდეველი სჯულს ხორციელად იაზრებს, თქვი, რომ წრფელ არც ბილიკები უყვია(არ მოუსწორებია).

4. ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა. – წინამორბედი სინანულისაკენ თავისი გარეგნობითაც მოუწოდებდა, რადგანაც სამგლოვიარო სამოსი ეცვა. ამბობენ, რომ აქლემი წმინდა და უწმინდურ ცხოველთა შორისაა; როგორც მცოხნელი, იგი წმინდაა, ხოლო როგორც ჩლიქგაუყოფელი – უწმინდური. რადგანაც იოვანეს წმინდად მიჩნეული იუდეველი ხალხიცა და უწმინდური წარმართებიც ღმერთთან მიჰყავდა და ძველსა და ახალ აღთქმას შორის შუამავალი იყო, აქლემის ბეწვის სამოსელს ამიტომაც ატარებდა.

და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა. – წმინდა წერილში ყველა წმინდანი სარტყლითაა წარმოდგენილი, ან ვითარცა მუდმივ ჯაფაში მყოფნი, რადგან უზრუნველნი და ნებიერნი სარტყელებს არ ირტყამენ, როგორც, მაგალითად, ახლა სარაცინები, ან კიდევ იმის გამო, რომ თავიანთ თავში ხორციელ გულისთქმათა ვნებანი ჩაკლეს, რადგანაც ტყავი ნაწილია მკვდარი ცხოველისა.

ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური. – ზოგნი ამბობენ „მკალი“ ბალახიაო, რომელსაც მელაგრასაც უწოდებენ, ხოლო ზოგიერთები მასში კაკალს ან ველურ ნაყოფებს გულისხმობენ. ველური თაფლი კი ის თაფლია, რომელსაც გარეული ფუტკრები ამზადებენ და ხეებსა და კლდეებში იპოვება.

5-6. მაშინ განვიდოდა მისა იერუსალჱმი და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისაჲ. და ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა. – თუმცა ინათლებოდნენ, მაგრამ იოვანესაგან ნათლობა ცოდვათა მიტევებას არ ნიშნავდა. იოვანე მხოლოდ სინანულს ქადაგებდა და ცოდვათა შენდობისაკენ ანუ ქრისტესგან ნათლობისკენ მიჰყავდა, რომლითაც ცოდვები მოგვეტევება.

7. და ვითარცა იხილა მრავალი ფარისეველი. – ფარისეველი ითარგმნება როგორც „გამოყოფილი“, რადგანაც ისინი ცხოვრებითაც და ცოდნითაც გამოყოფილნი იყვნენ და სხვებზე ბატონობდნენ. **და სადუკეველნი.** – ამათ არც მკვდართა აღდგომისა სწამდათ, არც ანგელოზი და არც სული. სადუკეველნი ითარგმნება როგორც „მართალნი“, რადგანაც „სედეკი“ სიმართლეს ნიშნავს. ისინი თავიანთ თავს „მართლებს“ ან თვითონვე უწოდებდნენ, ან ასე მათ ერესის მამამთავრის, სადოკის გამო ეწოდათ. **მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ.** – რადგანაც ფარისეველნი და სადუკეველნი სხვებისაგან განსხვავებით წრფელი განზრახვით არ მიდიოდნენ, ამიტომაც საყვედურობს მათ: **ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?** – იცის რა მათი გულარძნილობა, მკაცრად მიმართავს, თუმცა აქებს კიდეც,

როცა ეუბნება: „ვინ გიჩვენა“-ო. წინამორბედს უკვირს, როგორ მოხდა, რომ ამ ბოროტ მოდგმას სინანული აღეძრა. იქედნეს ნაშობთ იმიტომაც უწოდებს, რომ ამათ ისე დახოცეს თავიანთი მამები, ანუ მოძღვარნი და წინასწარმეტყველნი, როგორც იქედნე ღრღნის დედის საშოს, რაჟამს იბადება. **მერმისა მისგან რისხვისა**. – გეჰენიის შესახებ ამბობს.

8. ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ. – ხედავ, რას ამბობს? რომ ბოროტებას არა მხოლოდ უნდა გაექცე, არამედ კეთილი ნაყოფიც უნდა გამოიღო, რადგანაც ნათქვამია: **მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი**(ფს.33,15).

9. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. – ისინი იმან დაღუპა, რომ თავიანთი კეთილშობილური წარმოშობის გამო არ ეშინოდათ. **რამეთუ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა**. – ქვებში წარმართები იგულისხმებიან, რომელთაგან მრავალმა ირწმუნა. გარდა ამისა, იოვანე პირდაპირი მნიშვნელობითაც ამბობს, რომ ღმერთს აბრაამისათვის შვილების შექმნა ქვებისგანაც შეუძლია. რადგან ქვა იყო ხომ უნაყოფობისა გამო სარას საშო, მაგრამ მაინც შობა; და როდის აღუდგინა უფალმა აბრაამს ქვათაგან შვილები? მაშინ, როცა მისი ჯვარცმისას მრავალთა იხილეს რა, რომ **კლდენი განსთქდეს**(მთ.27,51), ირწმუნეს.

10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. – ცულს ქრისტეს სამსჯავროს უწოდებს, ხოლო ხეებს ყოველ ჩვენგანს. ამგვარად, ვინც არ ირწმუნა, ურწმუნოების გამო ძირში მოიჭრება და გეჰენიაში ჩავარდება. **ყოველმან ხემან**, თუნდაც ის აბრაამისაგან იყოს წარმოშობილი, **რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი.** – ის კი არ თქვა, არ გამოიღოო, არამედ არ გამოიღებსო, რადგან კეთილ ნაყოფს ყოველთვის უნდა ვიძლეოდეთ. თუკი შენ გუშინ მოწყალება გაიღე, ხოლო დღეს მტაცებლობ, ღმრთის სათნომყოფელი ვერ იქნები. მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.

11. მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემდა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს. – წინამორბედმა უთხრა მათ: გამოიღეთ ნაყოფი და აჩვენა კიდეც რომელი ნაყოფი, რწმენა იმისა, ვინც შემდგომად მისა მოვიდოდა, მის შემდეგ კი ქრისტე მოდიოდა. რადგან იგი არა მხოლოდ მასზე ექვსი თვით გვიან იშვა, არამედ გამოჩენითაც პირველად წინამორბედი გამოჩნდა, ხოლო შემდეგ ქრისტე, როგორც თავადვე დაამოწმა. **რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთვად**. – მეო, ამბობს იგი, იმის ღირსიც კი არა ვარ, მისი უკანასკნელი მონა ვიყო და მისი ფეხსაცმელები ვატაროო. ფეხსაცმელებში ქრისტეს ორი გარდამოსვლა იგულისხმება: ზეციდან დედამიწაზე და დედამიწიდან ჯოჯოხეთში, რადგან ფეხსაცმელები ხორცის ტყავი და სიკვდილია. წინამორბედს არ შეეძლო ეს ორი გარდამოსვლა ეტვირთა, უკეთუ იმის გულისხმისყოფას, როგორ მოხდა ისინი, ვერ შეძლებდა. **მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა**, ანუ უშურველად აღ-

გავსებთ თქვენ მადლითა სულისა წმიდისა, მაშინ, როცა ჩემი ნათლობა, ამბობს იოვანე, ვერც სულიწმიდის მადლს მოგანიჭებთ და ვერც ცოდვათა შენდობას. ის კი ცოდვათა მიტევებასაც და სულიწმიდის ნიჭთაც უხვად გიბოძებთ.

12. რომლისა ნიჩაბი ჴელთა მისთა. – ნუ იფიქრებთ, რომ მისგან მოინათლებით, ხოლო შემდეგ შესცოდავთ და ისიც მოგიტევებთ. მას ხელთ ნიჩაბი, ანუ განსჯა და სამსჯავრო უპყრია. **განწმიდოს კალოჲ თჳსი.** – ე. ი. ეკლესია, რომელსაც ნათელღებული მრავლად ჰყავს, მსგავსად კალოსი, სადაც ყოველივე, მინდვრებიდან მოწეული, ერთად გროვდება, მაგრამ მისი ერთი ნაწილი ღვარძლია, ვითარცა თავქარიანნი და ბოროტი სულებით აღძრულნი, ხოლო მეორე – ხორბალი, ანუ ისინი, რომელთაც სხვებისთვის სარგებლობა მოაქვთ და მათ სწავლებითაც და საქმეებითაც ასაზრდოებენ. **და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა**. – ცეცხლი იგი დაუშრეტელია, ამიტომაც ცდება ორიგენე, რომელიც ამბობდა, რომ სასჯელს დასასრული ექნებაო.

13-14. მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მისგან. ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა. – წმინდა ინათლება, რათა ჩვენ განგვბანოს და გვიჩვენოს, რომ უკეთუ მონათვლა გვსურს, ჯერ უნდა განვიწმიდოთ, რათა ნათლობა არ შევაგინოთ. შემდგომად მისა ადვილია ცოდვაში ჩაფლობა უკეთური ჩვევის გამო. იოვანე მას აყენებს, რათა მხილველთ არ ეფიქრათ, რომ ვითარცა ერთი მრავალთაგანი, ქრისტეც მოსანანიებლად ინათლებოდა. **მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ**. – განწმენდას უფლისაგან წინამორბედიც საჭიროებდა, რადგან ვითარცა ადამისგან წარმომავალი, საძაგელი ურჩობის ტვირთს ისიც ატარებდა, მაგრამ ქრისტემ ყველა განწმინდა. **და შენ ჩემდა მოხუალა?** – ვერ გაკადნიერდა, რომ ეთქვა: „და შენც ჩემგან ინათლები?“ – იმდენად მოერიდა.

15. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ. – ახლა დამითმეო, ეუბნება; დადგება დრო და შესაფერისი დიდება ჩვენც გვექნება, თუმცა ახლა მას არ ვაჩენთო. **რამეთუ აწ ესერა შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე**. – სიმართლეს სჯულს უწოდებს. დაწყევლილია, – ამბობს იგი, – კაცობრივი ბუნება, რადგან სჯულის აღსრულება ვერ შეძლო. ამიტომ სჯულის სხვა განწესებანიც მე აღვასრულე; ესღა დამრჩა – ნათლისღება. მისი აღსრულებით, ბუნებას წყევლისაგან განვათავისუფლებ, რადგანაც ეს მე შემფერისო.

15-16. მაშინ მიუშვა მას და ნათელ-იღო იესუ. – უფალი ოცდაათი წლის მოინათლა, რადგან ყველა ცოდვას ამ ასაკში ვიწყნარებთ. ყრმობის ასაკში უგუნურება ჭარბობს, სიჭაბუკეში – ძლიერია ცეცხლი გულისთქმისა და რისხვისა, ხოლო სიმწიფის ასაკში – მოხვეჭის სიყვარული. ამგვარად, უფალი ამ ასაკს დაელოდა, რათა სჯული ყველა ასაკში აღესრულებინა და ჩვენ განვეწმინდეთ.

16. და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან. – მანიქეველები ამბობენ,

რომ მან თავისი სხეული იორდანეში ჩამოიშორა და მოჩვენებითად სხვა სხეული მიიღო. მაგრამ მათ შეხედულებას ეს ადგილი უარყოფს, სადაც ნათქვამია: „აღმოვიდა იესო“, ანუ სხვა კი არ ამოვიდა, არამედ ის, ვინც წყალში ჩავიდა. **და აჰა განეხუნეს მას ცანი**. – ისინი ადამმა დახშა, ქრისტემ კი განაღო, რათა შეიცნო, რომ, რაჟამს ინათლები, შენც აღებ მათ.

16-17. და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა. – სული გარდამოდის, რათა დაამოწმოს, რომ ნათელღებული ნათლისმცემელზე უდიდესია, რადგან იუდეველნი ფიქრობდნენ, რომ იოვანე დიდი იყო, ხოლო ქრისტე – არა. ყველამ დაინახა, რომ სული იესოზე გარდამოვიდა, რათა არ ეფიქრათ, ხმა, რომელმაც თქვა: **ესე არს ძე ჩემი საყუარელი**, იოვანესთვის იყო, არამედ სულის მხილველთ ერწმუნათ, რომ ეს ხმა ქრისტესკენ იყო მიმართული. **ვითარცა ტრედი**. – მტრედი მოხსენიებულია მისი უწყინარობისა და სიმშვიდის გამო და იმის გამოც, რომ ყველაზე წმინდაა და იქ, სადაც უწმინდურებაა, ვერ ჩერდება, ისევე როგორც სულიწმიდა. ნოესაც ხომ, მიუტანა რა ზეთისხილის რტო, წარღვნის შეწყვეტა მტრედმა აუწყა. ასევე აქაც ცოდვათაგან დახსნას სულიწმიდა ცხადყოფს. იქ ზეთისხილის რტო, ხოლო აქ – წყალობა ღმრთისა. **ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ,** ანუ რომელშიც მე განვისვენებ, რომელიც მომწონს.

თავი IV

1. მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან. – გვასწავლის რა, რომ გამოცდას ყველაზე მეტად ნათლისღების შემდეგ უნდა ველოდეთ, იესო სულიწმიდას გაჰყავს, რადგანაც გარეშე სულისა იგი არაფერს აკეთებდა. უდაბნოში გაჰყავს, რათა გვაჩვენოს, რომ ეშმაკი მაშინ გვცდის, რაჟამს ხედავს, რომ მარტონი ვართ და ერთმანეთისაგან შემწეობას ვერ მივიღებთ. ამიტომაც არ უნდა ვთქვათ უარი რჩევის მიღებაზე და მხოლოდ საკუთარი თავის იმედით არ უნდა ვიყოთ. **გამოცდად ეშმაკისაგან**. – ეშმაკი ანუ ცილისმწამებელი, რადგან მან ადამთან ღმერთს ცილი დასწამა, როცა უთხრა, ღმერთს თქვენი შურსო,[5] ის სათნოებას ახლაც სწამებს ცილს ჩვენს წინაშე.

2. და იმარხა. – იმარხულა, რათა ეჩვენებინა, რომ მარხვა მძლავრი იარაღია ცდუნების წინააღმდეგ, ისევე როგორც ნაყროვანება სათავეა ყოველგვარი ცოდვისა. **ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე**. – იმდენი დღე და ღამე იმარხულა, რამდენიც მოსემ და ელიამ. უფრო მეტი რომ ემარხულა, მაშინ მისი განკაცება მოჩვენებითად ჩაითვლებოდა. **და მერმე შეემშია**. – როცა კაცობრივ ბუნებას დაუთმო, მაშინ მოშივდა, რათა შიმშილით ეშმაკისათვის მასთან მისვლისა და შებრძოლების საბაბი მიეცა, რომ დაემარცხებინა და დაემხო იგი, ხოლო ჩვენთვის გამარჯვება მოენიჭებინა.

3. მოუჴდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ,

[5] დედანში სიტყვათა თამაშია: διάβολος – ეშმაკი და διάβολων – ცილისმწამებელი.

რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ. – მართალია, მაცდურმა ზეციდან ხმა – **ესე არს ძე ჩემი საყუარელი** – მოისმინა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ მოშივდა, ვერ გაიგო, ღმრთის ძეს როგორ უნდა მოშიებოდა. ამიტომაც, დასარწმუნებლად ცდის და ფიქრობს რა, რომ რაღაცას ფარავს, ეპირფერება და ეუბნება: **უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ.** – მაგრამ შენ მკითხავ: რა ცოდვა იქნებოდა ქვების პურად გადაქცევა? მაშ, შეისმინე! ეშმაკს რაშიც არ უნდა მოუსმინო, ცოდვაა. სხვაგვარადაც შეხედე! ის კი არ უთხრა: ეს ქვა იქცეს პურადო, არამედ **ქვებიო**, სურდა რა, რომ სიხარბე მორეოდა. მშიერისთვის ხომ ერთი პურიც სავსებით საკმარისია. ამიტომაც არ მოუსმინა მას ქრისტემ.

4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა. – ეს დამოწმება ძველი აღთქმიდანაა, რამეთუ მოსეს სიტყვებია. ებრაელები მანანათი საზრდოობდნენ, რომელიც პური არ იყო, მაგრამ ღმრთის სიტყვით მათ ყოველგვარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, რადგან ყველაფრად იქცეოდა იმისდა მიხედვით, ვისაც რისი ჭამა მოესურვებოდა. იუდეველს თევზი მოუნდებოდა, კვერცხი თუ ყველი, მანანა მისთვის მათ გემოს იღებდა.

5. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა. – ეს იყო ტაძრის ნაწილი, რომელთაც ჩვენთან ნეფი(ნავი) ეწოდება და რომელნიც ფრთებს მოგვაგონებენ.

6. და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს ვითარმედ: ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი. – უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, – ამით ეშმაკი ეუბნება: მე არ მჯერა ხმისა, რომელიც ზეციდან იყო. თუ ძე ღმრთისა ხარ, მაჩვენე. – მართლაც წყეულო! ღმრთის ძე თუ იყო, თავს გადაიგდებდა? სიცოფით შეპყრობილთა გადაგდება – ეს შენს სისასტიკეს ახასიათებს, ღმერთს კი – ხსნა. ქრისტესთვის კი არ დაწერილა „ხელთა ზედა აღგიპყრან შენ“, არამედ წმინდანებისთვის, რომელთაც ანგელოზთა შემწეობა მართლაც სჭირდებათ; ხოლო ქრისტე, რომელიც ღმერთია, ამას არ საჭიროებს.

7. ჰრქუა მას იესუ: კუალად წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. – მშვიდად იგერიებს მას ქრისტე და ჩვენც გვასწავლის, რომ დემონებზე სიმშვიდით გავიმარჯვოთ.

8-9. კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე. – ზოგიერთნი ფრიად მაღალ მთაში ანგარებისმოყვარეობას გულისხმობენ, რომლისკენაც მტერს იესოს მიდრეკა სურდა, მაგრამ არასწორად ფიქრობენ, რადგან ეშმაკი მას გრძნობადად ეჩვენა, უფალმა კი ზრახვანი არ შეიწყნარა; ნუმც იყოფინ! გრძნობადად უჩვენა მას მთაზე **ყოველნი სუფევანი**, წარმოუდგინა რა ისინი წინაშე თვალთა

ვითარცა მოლანდება და უთხრა: **ესე ყოველი მიგცე შენ**. ქედმაღლობის გამო იგი სამყაროს თავის საკუთრებად მიიჩნევს და ანგარებისმოყვარეთ ახლაც ამას ეუბნება, სახელდობრ, რომ ვინც მას თაყვანს სცემს, სამყაროს მპყრობელი გახდება.

10. მაშინ ჰრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე. – იხილა რა, რომ ღმერთობას იჩემებდა და ეუბნებოდა „ესე ყოველი მიგცე შენ“, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყო, უფალი მას განურისხდა; ხოლო შენ შეიცანი სარგებლობა წმინდა წერილისა, რადგან უფალმა მტერი მისით გააჩუმა.

11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას. – სამ ცდუნებაზე გაიმარჯვა უფალმა: გემოთმოყვარებაზე, პატივმოყვარეობასა და ანგარებისმოყვარეობაზე ანუ სიმდიდრისაკენ სწრაფვაზე. სწორედ ესენი არიან ვნებათაგან მთავარნი. ასე რომ, უკეთუ მათზე გაიმარჯვებ, დანარჩენებს ბევრად უფრო ადვილად დაძლევ. ამიტომაც ამბობს ლუკა: **და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი**(4,13), თუმცა უფალმა ცდუნებათაგან მხოლოდ მთავარნი დაამარცხა. მაშინ **ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას**, რათა ეჩვენებინათ, რომ ვნებებზე გამარჯვების შემდეგ ისინი ჩვენც მოგვემსახურებიან; იესო ხომ ყოველივეს ჩვენთვის აკეთებს და აჩვენებს, თორემ მას, ვითარცა ღმერთს, ანგელოზნი მარადჟამს ემსახურებიან.

12-13. ხოლო ესმა რაჲ იესუს, ვითარმედ იოვანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად, და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვიდრა კაპერნაუმს, საზღვართა ზაბულონისთა და ნეფთალემისთა. – იესო წავიდა, რათა ჩვენთვის ეჩვენებინა, რომ თავი საფრთხეში არ უნდა ჩავიგდოთ. იგი გალილეაში ანუ იმ ქვეყანაში მიდის, სადაც წარმართნი ცოდვისაკენ მიიდრიკნენ და კაპერნაუმში ანუ „სახლში ნუგეშინისცემისა“ მკვიდრდება. იგი ხომ იმისთვისაც გარდამოხდა, რომ წარმართნი ნუგეშინისმცემლის სახლად ექცია. ზაბულონი ითარგმნება როგორც ღამეული, ხოლო ნეფთალემი – როგორც სიფართე; ცხოვრება წარმართთა ხომ ღამეულიც იყო და ფართოც, რადგანაც ვიწრო გზას კი არ დაადგნენ, არამედ წარწყმედისაკენ მიმავალს.

14-16. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყვის: ქუეყანაჲ ზაბულონისი და ქუეყანაჲ ნეფთალემისი, გზაჲ ზღვისაჲ წიაღ-იორდანესა. გალილეაჲ წარმართთაჲ; ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი სხდეს სოფელსა და აჩრდილსა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ. – გზაჲ ზღვისაჲ, ნაცვლად ქვეყანისა, რომელიც ზღვისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა; **ნათელი დიდი** – სახარება; მართალია, რჯულიც ნათელი იყო, მაგრამ მცირე. **აჩრდილი სიკვდილისა** – ცოდვაა, იგია ხომ მსგავსება და სახე სიკვდილისა. რადგან ვითარცა სიკვდილი სხეულს, ცოდვაც სულს ისე იპყრობს. **ნათელი აღმოგვიბრწყინდა**, რადგან ჩვენ კი არ ვეძებდით

მას, არამედ თვითონ გამოგვიჩნდა, თითქოსდა თან გვდევდა.

17. **მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად**. – იესომ ქადაგება მაშინ დაიწყო, როცა იოვანე საპყრობილესა შინა შეაყენეს, რადგან ელოდებოდა, რომ ჯერ იოვანეს დაემოწმებინა მის შესახებ და განემზადებინა გზა, რომელიც უნდა გაევლო, ისევე როგორც მონები თავიანთ მბრძანებლებს უმზადებენ. თანასწორს მამისა, იოვანეს სახით მასაც თავისი წინასწარმეტყველი ჰყავდა, ვითარცა მის მამასა და ღმერთს ჰყავდა წინასწარმეტყველნი იოვანეზე უფრო ადრე, ან უფრო სწორად, ისინი როგორც მამის, ასევე ძის წინასწარმეტყველებიც იყვნენ. **შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ. სასუფეველი ცათაჲ** – ესაა ქრისტე და სათნოებით აღსავსე ცხოვრება. უკეთუ ვინმემ ამქვეყნად ისე იცხოვრა, როგორც ანგელოზმა, განა იგი ზეციური არ არის? ამგვარად, სასუფეველი ცათა ყოველ ჩვენგანში იქნება, თუკი ანგელოზისებურად ვიცხოვრებთ.

18-19. **და იქცეოდა რაჲ იესუ ზღვისკიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ სათხევლითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნენ მესათხევლე, და ჰრქუა მათ**. – ისინი იოვანეს მოწაფენი იყვნენ და ქრისტესთან მაშინ მივიდნენ, როდესაც იოვანე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ როცა იოვანეს შეპყრობა იხილეს, კვლავ მეთევზურობას დაუბრუნდნენ. ამგვარად, მოვიდა რა ქრისტე, მოინადირა ისინი ამ სიტყვებით:

19-20. **მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას.** – ნახე, როგორი მორჩილნი იყვნენ, მაშინვე გაჰყვნენ, აქედან ჩანს, რომ ეს მეორე მოწოდება იყო. ქრისტესგან განსწავლულებმა, შემდეგში დატოვეს იგი, მაგრამ იხილეს თუ არა, იმწამსვე მზად იყვნენ, რომ კვლავ შედგომოდნენ.

21. **და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი და იოვანე ძმაჲ მისი, ნავსა შინა ზებედეს თანა მამისა მათისა.** – რჩენა მოხუცებული მამისა და თანაც რჩენა პატიოსანი შრომით, – მართლაც დიდი სათნოებაა. **გან-რაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა**. – რადგანაც ღარიბები იყვნენ, ამიტომაც არ შეეძლოთ შეძენა ახლისა და ძველებს კემსავდნენ.

22. **ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამაჲ მათი და მისდევდეს მას.** – როგორც ჩანს, ზებედემ არ ირწმუნა და ამიტომაც დატოვეს იგი. ნახე, როდისაა საჭირო მიტოვება მამისა! როცა იგი სათნოებასა და ღმრთისმოსაობაში გაბრკოლებს. იხილეს თუ არა, რომ პირველნი(სიმონ და ანდრეა) შეუდგნენ, მიბაძეს რა მათ, თვითონაც გაჰყვნენ.

23. **და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებას სასუფეველისასა**. – რათა ეჩვენებინა, რომ სჯულის წინააღმდეგი არ იყო, ებრაელთა სინაგოგაში შედიოდა. **და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის**. – ნიშ-

ნებით იმიტომ იწყებს, რომ ერწმუნათ იმისი, რასაც ასწავლიდა. სნეულება – ეს ხანგრძლივი ტანჯვაა, ხოლო უძლურება – ხანმოკლე დარღვევა სხეულის სწორი ცხოვრებისა.

24. **და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა, და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად ცისად გუემულთა და განრღუელთა და განკურნნა იგინი.** – მასთან მიყვანილთაგან ქრისტე რწმენის შესახებ არავის არაფერს ეკითხებოდა, რადგან უკვე რწმენის საქმე იყო ის, რომ ისინი შორიდან მოჰყავდათ. **ცისად ცისად გუემულებს**(მთვარეულებს) ეშმაკეულებს უწოდებს, რადგან ეშმაკს სურს რა, ადამიანებს ჩაუნერგოს, რომ ვარსკვლავები მავნებელნი არიან, მთვარის აღვსებას უცდის და მაშინ ტანჯავს, რათა ტანჯვის მიზეზად მთვარე მიიჩნიონ და ბრალი ღმრთის ქმნილებას დასდონ, მსგავსად მანიქეველთა ცდომილებისა.

25. **და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ და ათქალაქით და იერუსალჵმით და ჰურიასტანით და წიაღ-იორდანით.**

თავი V

1. **და ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა.** – მთაზე ადის, რითაც გვასწავლის, რომ მოსაჩვენებლად არაფერი არ უნდა გავაკეთოთ. განზრახული აქვს რა, რომ გვასწავლოს, გვარიგებს, რომ რაჟამს ვსწავლობთ, ხმაურს უნდა გავშორდეთ. **და დაჯდა იგი მუნ. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი.** – ბრბო მიდის მასთან, რათა სასწაულები იხილოს, ხოლო მოწაფენი – რათა განისწავლონ. ამიტომ სასწაულთა აღსრულებითა და სხეულთა განკურნებით, იგი სულებსაც კურნავს, რათა ვისწავლოთ, რომ თვითონ არის შემოქმედი სულისაც და ხორცისაც.

2. **და აღაღო პირი თჳსი.** – რისთვისაა დართული „აღაღო პირი თჳსი?“ ჩანს, რომ ზედმეტია, მაგრამ არა; მანამდე იგი პირის გაუღებლად ასწავლიდა, როგორ? ცხოვრებითა და სასწაულებით. ახლა კი აღაღო პირი და ასწავლის. **ასწავებდა მათ და ეტყოდა**, არა მხოლოდ მოწაფეებს, არამედ მთელ ხალხს. სწავლებას ნეტარებით იწყებს, ისევე როგორც დავითმაც ნეტარებით[6] დაიწყო.

3. **ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.** – წინ სწევს სიმდაბლეს, ვითარცა საფუძველს ცხოვრებისა; რამდენადაც ადამი ქედმაღლობის გამო დაეცა, ქრისტე ჩვენ სიმდაბლის გამო აღგვადგენს. ადამს ხომ იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი გახდებოდა. **გლახაკნი სულითა** – ესენი სულით შემუსრვილნი არიან.

4. **ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნნენ.** – ე. ი. ისინი, რომელნიც არა რაღაც ცხოვრებისეულს, არამედ ცოდვებს

[6] იგულისხმება დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ფსალმუნები, რომელნიც ასე იწყება: „ნეტარ არს კაცი...“.

გლოვობენ. „მგლოვარენი“-ო ამბობს, ანუ არა ისინი, რომელთაც ერთხელ იგლოვეს, არამედ რომელნიც მარადის გლოვობენ და თანაც არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მახლობელთა ცოდვების გამოც. ისინი ხომ ნუგეშინისცემულნი აქვე არიან, რადგან, ვინც ცოდვათა გამო გლოვობს, სულით აქვე ხარობს და მით უმეტეს იხარებს იქ.

5. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ. –ზოგიერთი „ქვეყანაში“ სულიერ ქვეყანას ანუ ზეცას გულისხმობს, მაგრამ შენ ეს ქვეყანაც იგულისხმე. რაკი საერთოდ მშვიდნი უგულვებელსაყოფად და არად ჩასაგდებად ითვლებიან, ამიტომაც ამბობს, რომ უპირატესნი არიან და ყველაფერი აქვთ. მაგრამ მშვიდს იმათ კი არ უწოდებს, რომელნიც არასოდეს მრისხანებენ(რადგან ამგვარნი გონებაჩლუნგნი არიან), არამედ, რომელნიც მრისხანებას კი განიცდიან, მაგრამ თავს იკავებენ და მაშინ მრისხანებენ, როცა ეს საჭიროა.

6. ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ. – როცა განზრახული აქვს გულმოწყალებაზე ისაუბროს, პირველად გვაჩვენებს, რომ სამართლიანობასთან ზიარებაა საჭირო და რომ მიტაცებულიდან მოწყალების გაღება არ შეიძლება. სიმართლე დიდი გულმოდგინებით უნდა ვეძიოთ, რადგან **რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის** ამას ნიშნავს. რაკი ანგარებისმოყვარენი კმაყოფილებად და მაძღრებად წარმოგვიდგებიან, ამიტომაც ამბობს, რომ მით უფრო მართალნი განძღებიან აქვე, რადგან თავიანთ ქონებას უსაფრთხოდ ფლობენ.

7. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. – მოწყალების გაცემა არა მხოლოდ ქონებით, არამედ სიტყვითაც შეიძლება, ხოლო უკეთუ არცერთი გაქვს, – ცრემლებით. ისინი კაცთაგან აქაც იქნებიან შეწყალებულნი, რადგან მას, ვინც გუშინ მოწყალებას გასცემდა, ხოლო დღეს აღარაფერი აქვს, ყველა შეიწყალებს, მაგრამ კიდევ უფრო დიდ წყალობას ღმრთისგან იქ მიიღებს.

8. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. – ბევრი არა თუ მძარცველი, არამედ მოწყალეც კი არის, მაგრამ მრუშობს და ამგვარად სხვა მხრივ ბიწიერია. ხოლო ქრისტე სხვა სათნოებებთან ერთად სიწმინდის, ანუ უბიწოების დაცვასაც ბრძანებს, და თანაც – არა მხოლოდ სხეულით, არამედ გულითაც, რადგან უფალს, სიწმინდისა და უბიწოების დაუცველად, ვერავინ იხილავს. ისევე როგორც სარკე, გამოსახულებას მაშინ აირეკლავს, თუ იგი სუფთაა, ასევე ღმრთის ჭვრეტაცა და წმინდა წერილის გულისხმისყოფაც მხოლოდ წმინდა სულს ხელეწიფება.

9. ნეტარ იყვნენ მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ. – იგულისხმება არა მხოლოდ ისინი, რომელნიც ყველასთან მშვიდობით ცხოვრობენ, არამედ ისინიც, რომელნიც გადამტერებულებს ერთმანეთთან არიგებენ. მშვიდობისმყოფელია, აგრეთვე, ისიც, ვინც ღმრთის მტრებს სწავლებით მისკენ მიაქცევს. ამგვარნი ღმრთის ძენი არიან, რადგან ღმერთთან ჩვენ მისმა მხოლოდშობილმა ძემ შეგვარიგა.

10. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. – არა მხოლოდ მოწამენი იდევნებიან, არამედ მრავალი სხვაც, ჩაგრულთა შემწეობისა და საერთოდაც ყოველგვარი სათნოებისა გამო, რადგან ყველა სათნოება სიმართლეა. მპარავნიცა და კაცისმკვლელნიც იდევნებიან, მაგრამ ისინი ნეტარნი არ არიან.

11. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ. – და ბოლოს უფალი მოციქულებს ეუბნება, რომ ლანძღვის მოთმენა ყველაზე მეტად მოძღვრებს ჰმართებთ. **და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს**. – ყველა გალანძღული კი არაა ნეტარი, არამედ ის, ვინც ქრისტესათვის, ან უსამართლოდ ილანძღება. უკეთუ ეს ორი მიზეზი არ არსებობს, იგი უბედურია, რადგანაც მრავალთათვის საცდური ხდება.

12. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა. – სხვა სათნოებებთან დაკავშირებით დიდ საზღაურზე უფალი არაფერს ამბობს. აქ კი ამბობს და ამით გვაჩვენებს, რომ დათმენა ლანძღვისა დიდი და უძნელესი საქმეა. ბევრმა სიცოცხლე ამის გამო თვითონვე მოისწრაფა. თვით იობიც კი, რომელმაც სხვა განსაცდელნი დაითმინა, განსაკუთრებით მაშინ აღშფოთდა, როცა მეგობრებმა დააყვედრეს, რომ თითქოს ცოდვის გამო იტანჯებოდა. **რამეთუ ეგრევე დევნნეს წინაწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა.** – მოწაფეებს რომ არ ეფიქრათ, დევნილნი ქრისტეს სწავლების რაღაც საწინააღმდეგო ქადაგებისთვის ვიქნებითო, უფალი ანუგეშებს მათ და ეუბნება, რომ თქვენამდე სათნოებისათვის წინასწარმეტყველნი იდევნებოდნენო, ამიტომაც ნუგეში იმათ ტანჯვაში გექნებათო.

13. თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. – წინასწარმეტყველნი ერთ ხალხთან იგზავნებოდნენ, თქვენ კი მთელი ქვეყნის მარილი ხართ, რომელნიც უძლურებს სწავლებითა და მხილებით განამტკიცებთ, რათა მათ მარადიული მატლი არ შობონ. ამიტომაც ნუ უარყოფთ სიმწარეს მხილებისა, თუნდაც ამისთვის გაყვედრებდნენ და გდევნიდნენ თქვენ. ამიტომაც ამბობს: **უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.** – უკეთუ მოძღვარი გაუგნურდება, ე. ი. არც ამხელს და არც განამტკიცებს, არამედ თვითონვე მოუძლურდება, რითი დაიმარილება ანუ გამოსწორდება? მაშინ მას მასწავლებლის პატივი უნდა წაერთვას და დაითრგუნოს, ანუ მოძულებულ იქნეს.

14. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. – პირველად მარილი უწოდა, შემდეგ – ნათელი, რადგან ის, რაც დაფარულ საქმეებს ამხელს, ნათელია. ყოველივე, რაც ცხადდება, ნათელია. მოციქულებმა კი არა ერთი ხალხი, არამედ მთელი სამყარო გაანათეს. **ვერ ჴელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა.** – უფალი მოძღვრავს მათ, რომ იმოღვაწეონ და საკუთარ ცხოვრებას ყურადღებით მოეკიდონ, რადგან ყველას მზერა მათკენ იქნება მიპყრობილი. ნუ იფიქრებთ, – ეუბნება მათ, რომ დაიმალებით, არამედ, პირიქით, ყველასათვის

საჩინო იქნებით. ამიტომაც თვალყური ადევნეთ, რომ უბიწოდ იცხოვროთ, რათა სხვებისთვის საცდურად არ იქცეთო.

15. **არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჯჯმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა.** – მეო, ამბობს, აღვანთე დაუშრეტელი ნათელი მადლისა. დაე, თქვენი მოღვაწეობის საქმეც ის იყოს, რომ ნათელი თქვენი ცხოვრებისა სხვებსაც უნათებდეს.

16. **ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.** – ის კი არ უთქვამს, „თქვენ აჩვენეთ თქვენი სათნოება“-ო(რადგან ეს კარგი არ იქნებოდა), არამედ თვითონ იგი ბრწყინავდეს ისე, რომ თქვენი მტრებიც ჰკვირობდნენ და არა თქვენ, არამედ თქვენს ზეციერ მამას ადიდებდნენო. ამიტომაც, როცა ჩვენ კეთილ საქმეს ვაკეთებთ, იგი არა საკუთარი თავის, არამედ ღმრთის სადიდებლად უნდა ვაკეთოთ.

17. **ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჯსნად სჯულისა გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაჯსნად, არამედ აღსრულებად.** – რადგანაც ახალი სჯულის შემოღება აქვს განზრახული, ღმრთის მოწინააღმდეგედ რომ არ ჩათვალონ და მრავალთა მხრიდან ამგვარი ეჭვიც აიცილოს, ამბობს, რომ მოვიდა არა დასახსნელად სჯულისა, არამედ უფრო აღმასრულებლად. და როგორ აღასრულა? უწინარესად აღსრულებით ყოველივე იმისა, რასაც მის შესახებ წინასწარმეტყველები ამბობდნენ. ამიტომაც იმეორებს მახარებელი ასე ხშირად: **რათა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ**. შემდეგ, მან აღასრულა ყველა მცნება სჯულისა, რადგან **ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა**(1პეტ.2,22). სჯული მან სხვა მხრივაც აღასრულა, ანუ შეავსო, კერძოდ, სრულად შემოხაზა ის, რასაც სჯულისაგან აჩრდილის სახე ჰქონდა მიცემული. ის ასწავლიდა: „არა კაც ჰკლა“, ხოლო ეს – უბრალოდ ნუ განურისხდები!“ – მსგავსად მხატვრისა, პირველმონახაზი მან უფრო შეავსო, ვიდრე წაშალა.

18. **ამენ გეტყჳ თქუენ**. – ამენ(ჭეშმარიტად) მტკიცებითი(დადასტურებითი) ნაწილაკია, ნაცვლად ამისა: დიახ, თქვენ გეუბნებით. **ვიდრემდე წარჯდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჯდეს სჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს.** – უფალი აქ გვიჩვენებს, რომ სამყარო წარხდება და სახეს შეიცვლის, მაგრამ ვიდრე ყოველივე დგას, უმცირესი ასოც კი სჯულისა არ დაიკარგება. ერთნი „იოტასა“ და „რქაში“ სჯულის ათ მცნებას გულისხმობენ, მეორენი – ჯვარს. იოტა(ἰ) სწორი ძელია ჯვრისა, ხოლო რქა – გადამკვეთი და ამბობენ, რომ თქმული ჯვრის შესახებ აღსრულდება.

19. **უკუეთუ ვინმე დაჰჯსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს, მას სასუფეველსა ცათასა.** – უმცირეს მცნებებს მათ უწოდებს, რომელთა გადმოცემაც თვითონ ჰქონდა განზრახული და არა მცნებებს სჯულისა. უმცირესებად სახელსდებს სიმდაბლისა გამო, რათა მოკრძალება მოძღვრების წინაშე შენც გასწავლოს. **უმცირეს ეწოდოს**

მას სასუფეველსა ცათასა ნაცვლად ამისა: „აღდგომისას უკანასკნელი იქნება და გეჰენიასა შინა შთავარდება“; რადგან იგი ვერ შევა ცათა სასუფეველში; სასუფეველში კი აღდგომა მოიაზრე. **ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა**. – პირველად დგას „ყოს“ და შემდეგ „ასწავოს“, რადგანაც, როგორ უნდა წარვუძღვე იმ გზაზე სხვებს, რომლითაც მე თავად არ მივლია? მეორე მხრივ, უკეთუ მე ვყოფ, მაგრამ არ ვასწავლი, შესაძლოა, არა თუ საზღაური არ მივიღო, არამედ დავისაჯო კიდეც, თუკი შურისა ან სიზარმაცისა გამო არ ვასწავლიდი.

20. **ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა**. – უფალი სიმართლეს ყველა სათნოებას უწოდებს, როგორც ეს იობზეა ნათქვამი: „ხოლო იყო იობი კაცი მართალი და ყოვლისაგან უბიწო“(იობ.1,1). ამგვარად, შეძრწუნდი, კაცო, რაჟამს მოიაზრებ, რამდენი რამ მოგვეთხოვება. შემდეგ გვასწავლის, როგორ აღვემატოთ(მწიგნობრებსა და ფარისევლებს) და სათნოებებს ჩამოთვლის.

21. **გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა**(გამს.20,13). – მაგრამ ვინ თქვა, არ ამბობს, რადგანაც რომ ეთქვა: მამამან ჩემმან უთხრა ძველებს, ხოლო მე თქვენ გეუბნებითო, მამის საწინააღმდეგო სჯულის დამდგენლად გამოჩნდებოდა. რომ ეთქვა, „მე ვეუბნებოდი ძველებსო“, მის სიტყვებს აღარავინ მოუსმენდა. ამიტომაც განუსაზღვრელად ამბობს: **ითქუა პირველთა მათ მიმართ**-ო. ამ სიტყვებით იგი აჩვენებს, რომ სჯული მოძველდა, ხოლო უკეთუ მოძველდა და გაქრობას მიუახლოვდა, მისი დატევება და ახლისკენ სწრაფვაა საჭირო.

22. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა**; – წინასწარმეტყველნი, როცა წინასწარმეტყველების გადმოცემას განიზრახავდნენ, აცხადებდნენ: „ამას ამბობს უფალი“. ხოლო ქრისტე, გვიჩვენებს რა თავის ღმრთეებრივ ძალაუფლებას, ამბობს: **მე გეუბნებით**, რადგან ისინი მონები იყვნენ, ეს კი ძეა და ყოველივე, რაც მამას აქვს, მასაც ეკუთვნის. ვინც თავის ძმას ცუდად განურისხდება, იგი დაისჯება, მაგრამ ის, ვინც ძმაზე გონივრულად, მისი აღზრდის მიზნით, ან სულიერი მოშურნეობისა გამო, მრისხანებს, არ დაისჯება. პავლემაც უთხრა მრისხანების სიტყვები ელიმე მოგვსა და მღვდელმთავარს, მაგრამ არა ტყუილუბრალოდ, არამედ მოშურნეობისა გამო. ცუდად ვმრისხანებთ ჩვენ მაშინ, როცა მრისხანება ქონების ან დიდების გამო გვიპყრობს.

და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკა, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად. – კრებულში ებრაელთა სამსჯავრო იგულისხმება, ხოლო „რაკა“ იმავეს ნიშნავს, რასაც „შენ“. ჩვენ ჩვევად გვაქვს, მას ვისაც არაფრად ვაგდებთ, მივმართოთ: „მოდი, შენ“. სურს რა ჩვენი აღზრდა, უფალი გვასწავლის, რომ შედარებით უმნიშვნელოსაც ყურადღებით მოვეკიდოთ და ერთმანეთს პატივით მოვეპყრათ. ზოგიერთის თქმით, „რაკა“ სირიულად არად ჩასაგდებს ნიშნავს.

ამგვარად, ვინც ძმას უპატიოდ მოექცევა და არად ჩასაგდებს არარაობას უწოდებს, წმინდა მოციქულთა კრებულს გადაეცემა, რაჟამს ისინი თორმეტი ტომის განსასჯელად დასხდებიან.

და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა. – ბევრი ამბობს და თვლის, რომ ეს მძიმე და მკაცრი განაჩენია, მაგრამ არა. ნუთუ ის, ვინც ძმას გონებასა და აზროვნებას ართმევს, რომელთა წყალობითაც ჩვენ ცხოველებისგან განვირჩევით, არ არის ღირსი გეჰენიისა? ვინც ილანძღება და სხვას შეურაცხყოფს, სიყვარულს არღვევს, ხოლო როცა სიყვარული ირღვევა, სათნოებანიც ნადგურდება, რომელნიც მხოლოდ მასთან თანაარსებობის პირობებში არიან მტკიცენი. ამგვარად, ყოველი, ვინც შეურაცხყოფს, ყველა სათნოებას არღვევს, რითაც სიყვარულსაც ანადგურებს და ამიტომაც ცეცხლსაც სამართლიანად მიეცემა.

23-24. **უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეჴსენოს შენ, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძჯრ რაჲმე არს შენთჳს, დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას და მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი.** – ღმერთი მისთვის პატივის მიგებასაც უგულებელყოფს, ოღონდ კი ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდეს. სიტყვებს: „ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძჯრ რაჲმე არს შენთჳს“ სხვა აღარაფერი დაამატა, რადგან სამართლიანად აქვს წყენა შენს მიმართ თუ უსამართლოდ, მაინც უნდა შეურიგდე! არ უთქვამს, უკუეთუ შენ ხარ გულ-ძჯრად მის მიმართო, არამედ იგი თუ **არს გულძჯრ შენთჳსო**, ეცადე შემოირიგოო, ხოლო მანამდე შესაწირავის დატოვებას გიბრძანებს, რათა შენ შერიგების აუცილებლობა გაგრძნობინოს, რადგან უკეთუ ძღვენის შეწირვა გსურს, აუცილებლად უნდა შეურიგდე. ამასთან, იგი გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი მსხვერპლი სიყვარულია.

25-26. **იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან – მსახურთა, და საპყრობილედ შეჰვარდე. ამენ გეტყჳ შენ: ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი.** – ზოგიერთი თვლის, რომ მოცილეში(წინამოსაჯული) ეშმაკი იგულისხმება, ხოლო გზაში – ცხოვრება, და ფიქრობს, რომ უფალი შემდეგს შეგვაგონებს: ვიდრე ამ ცხოვრებასა შინა ხარ, კავშირი გაწყვიტე ეშმაკთან, რათა შემდეგში მან ცოდვაში მხილება შენი, რომ რაღაც გქონდა მისი, ვერ შეძლოს და სასჯელს მანამდე არ გადაეცე, ვიდრე უმცირეს ცოდვასაც კი არ დათმობ(კოდრატი ხომ ორი ლეპტის[7] ტოლია). ხოლო შენ მოიაზრე, რომ უფალი ამას აქაურ მოცილეებზე ამბობს და გვასწავლის: მათთან ერთად არ გავსამართლდეთ და ღმრთის საქმეებიდან არ გადავუხვიოთ. კიდევაც რომ შეურაცხგყოს, სამსჯავროში ნუ წაიყვან, არამედ გზაშივე შეურიგდი, რათა უარესი ტანჯვა არ შეგემთხვეს მოცილეს ძლიერებისა გამო.

[7] ყველაზე წვრილი სპილენძის მონეტა.

27. **გესმა, რამეთუ ითქვა, არა იმრუშო**. მრუშობა სხვაა და სიძვა სხვა; მრუშობა შეცოდებაა ქმრიანთან, ხოლო სიძვა – განტევებულთან.

28. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მანვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა**. – ვინც შესათვალიერებლად შეჩერდება და მზერით გულისთქმა აღეგზნება, მაგრამ მზერას, კიდევ უფრო დიდი ნდომით, მაინც გააგრძელებს, მან უკვე ჩაიდინა თავის გულში ცოდვა მრუშობისა. თუ საქმეც არ მიუმატა, მერე რა? არ შეეძლო და იმიტომ; რომ შეძლებოდა, უკეთურ საქმეს მყისვე აღასრულებდა. ისე კი იცოდე: უკეთუ სურვილი გაგვიჩნდება, მაგრამ მისი საქმით აღსრულებისას დაბრკოლებას წავაწყდებით, ცხადია, რომ მადლის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებით. ასევე ქალებიც, თუკი ისინი იმისთვის ირთვებიან, რომ ვინმეს თავი მოაწონონ, კიდევაც რომ არ მოიწონონ, მაინც სცოდავენ, რადგანაც მათ შეამზადეს სასმელი, რომელიც არავინ შესვა.

29-30. **უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა. და უკუეთუ მარჯუენე ჴელი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა.** – როცა თვალსა და ხელზე ისმენ, ნუ იფიქრებ, რომ ეს სხეულის ნაწილების შესახებ ითქვა, რადგან მაშინ ორივე შემთხვევაში „მარჯუენე“-ს არ დაუმატებდა. არამედ მათში მოჩვენებითი მეგობრები იგულისხმება, რომელნიც სინამდვილეში ვნებას გვაყენებენ. ასე მაგალითად: ახალგაზრდას გარყვნილი მეგობრები ჰყავს, რომელნიც მას ვნებენ. მოიკვეთე ისინი – გეუბნება უფალი. ამით, უკეთუ გონებას მოეგებიან, შესაძლოა, შენ იხსნა ისინი, ხოლო უკეთუ არა – საკუთარი თავი მაინც გადაირჩინო; მაშინ, როცა, თუ მათთან მეგობრობას არ მოეშვები, შენც დაიღუპები და ისინიც.

31. **თქუმულ არს, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, მიეცინ მას განსატევებელი**. – მოსემ ბრძანა, რომ უკეთუ ვინმე ცოლს მოიძულებდა, შეეძლო გაყროდა მას, რათა უარესი არ მომხდარიყო, რადგან ის, ვისაც მოიძულებენ, შეიძლება მოკლან კიდეც. გაყრილისათვის მას განთავისუფლების წერილი უნდა მიეცა, რომელსაც განტევების წერილიც ეწოდებოდა, რათა უკან აღარასოდეს მიბრუნებულიყო და იმის გამო, რომ ქმარი უკვე სხვასთან ცხოვრობდა, შფოთი არ წარმოშობილიყო.

32. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიტყჳსა სიძჳსა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა.** – უფალი მოსეს რჯულს კი არ არღვევს, არამედ ასწორებს და ქმარს ცოლის უგუნური მიზეზით მოძულებას უკრძალავს. უკეთუ საფუძვლიანი მიზეზით, ანუ როგორც მემრუშეს გაუშვებს, არ განისჯება, ხოლო უკეთუ გაშვების მიზეზი მრუშობა არ იქნება, მაშინ სამსჯავროს გადაეცემა, რადგან

სიძვისაკენ უბიძგა. მაგრამ ვინც გაშვებულს მიიღებს, ისიც მემრუშეა, რამეთუ რომ არ მიეღო, შესაძლოა, უკან დაბრუნებულიყო და ქმარს დამორჩილებოდა. ქრისტიანი კი მშვიდობისმყოფელი უნდა იყოს სხვების და, მით უმეტეს, საკუთარი ცოლის მიმართ.

33. **კუალად გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი.** – ე. ი. როცა იფიცებ, მართალი უნდა იყო.

34-35. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ არა ფუცვად ყოვლადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერჴთა მისთაჲ; ნუცა იერუსალჱმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ.** – რაკი იუდეველებმა მოუსმინეს ღმერთს, რომელიც ამბობდა: „ცა ტახტია ჩემთვის, ხოლო ქუეყანა კვარცხლბეკი“-ო, მათ იფიცებდნენ. უფალი უკრძალავს მათ დაფიცებას, მგრამ არა იმიტომ, რომ ცა მშვენიერია და ვრცელი, ხოლო დედამიწა – სარგებლიანი, არამედ იმიტომ, რომ რამდენადაც ერთი მათგანი ტახტია ღმრთისა, ხოლო მეორე – კვარცხლბეკი, არ უნდოდა საბაბი ჰქონოდათ კერპთაყვანისმცემლობისათვის, რადგან სტიქიები მათ მიერ, ვინც მათ იფიცებდა, ღმერთებად იქცეოდნენ, როგორც ეს ძველად ხდებოდა.

36. **ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისაცა თმისა განსპეტაკებად, გინა დაშავებად.** – თავისი თავის დაფიცება მხოლოდ ღმერთს შეუძლია, რამდენადაც ის არავისზე არაა დამოკიდებული. ჩვენ კი, რომელთაც ჩვენი თავი არ ხელგვეწიფება, საკუთარი თავი როგორღა უნდა დავიფიცოთ? იგი ხომ სხვისი კუთვნილებაა. უკეთუ თავი შენი შენია, მაშინ შეცვალე, თუ შეგიძლია, თუნდაც ერთი ღერი თმისა.

37. **არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰჳ ჰე და არაჲ არა.** – შენ რომ არ გეთქვა: – მაშინ როგორღა დავაჯეროო, გეუბნება: დააჯერებ, უკეთუ ყოველთვის სიმართლეს იტყვი და არასოდეს დაიფიცებ, რადგან ისე არავინ კარგავს ნდობას, როგორც ის, ვინც მაშინვე ფიცს იწყებს.

ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს. – ფიცი, გარდა „ჰოსი“ და „არასი“, ზედმეტია და ეშმაკისაა; მაგრამ შენ იკითხავ: ნუთუ სჯული მოსესი, რომელიც დაფიცებას ბრძანებს, უვარგისი იყო? მაშინ იცოდე, რომ იმ დროისათვის დაფიცება არ იყო ცუდი, ხოლო ქრისტეს შემდგომ კი უკვე ცუდია, ისევე როგორც წინადაცვეთა და საერთოდ იუდეველობა. ხომ შენის ჩვილებს ძუძუს წოვა, მაშინ როცა იგი კაცისათვის სამარცხვინოა.

38. **გესმა რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ**(გამს.21,24) – სჯულმა, დამდაბლდა რა ჩვენამდე, სამაგიეროს თანაბრად მიზღვა შეიწყნარა, რათა იმის შიშით, რომ ისევე გადაეხდებოდათ, ერთმანეთისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ.

39. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოჲცა.** – ბოროტს აქ უფალი ეშმაკს უწოდებს, რომელიც ადამიანში მოქმედებს. ე. ი. ეშმაკს წინ

არ უნდა აღვუდგეთ? რა თქმა უნდა, უნდა აღვუდგეთ, მაგრამ არა დარტყმით ჩვენი მხრიდან, არამედ მოთმინებით, რადგანაც ცეცხლს ცეცხლით კი არ აქრობენ, არამედ წყლით. ნუ იფიქრებ, რომ აქ მხოლოდ ლოყაში გარტყმაზეა საუბარი, არამედ ყოველგვარ დარტყმასა და შეურაცხყოფაზე.

40. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი. – მიეცი მას ზედა სამოსიც შენი, ოღონდ მაშინ, უკუეთუ სამსჯავროზე გადაგცემს და გაწყენინებს და არა მაშინ, როცა უბრალოდ მოგთხოვს. პერანგს(კვართი) ჩვენ საკუთრივ შიგნით ჩასაცმელს ვუწოდებთ, ხოლო სამოსელს იმას, რასაც ზემოდანაც ვიცვამთ. მაგრამ ეს სახელები ერთმანეთის ნაცვლადაც იხმარება.

41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა. – რა სამოსელსა და პერანგზე ვლაპარაკობ? – ამბობს უფალი. თვით შენი სხეულიც დაანებე მას, ვინც ძალით მიგათრევს და იმაზე მეტი გააკეთე, ვიდრე მას სურს.

42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი. – გინდ მტერი იყოს, გინდ მეგობარი, გინდაც ურწმუნო, ფულს გთხოვს, თუ სხვა რამ დახმარებას, უარს ნუ ეტყვი. ხოლო სესხს, ამბობს უფალი, ვახშით კი ნუ გასცემ, არამედ ისე, მოყვასის სასარგებლოდ, რადგან იგი სჯულის დროსაც სარგებლის გარეშე გაიცემოდა.

43-44. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი. – სათნოებათა მწვერვალს მისწვდა, რადგან რა არის ამაზე დიდი? და არც შეუძლებელია; ხომ უყვარდათ მოსესა და პავლეს საკუთარ თავზე მეტად, იუდეველები, რომელნიც მათ მტრობდნენ? მტერი უყვარდა ყველა წმინდანსაც.

და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. – პატივი მათ მართლაც უნდა მივაგოთ ვითარცა ქველმოქმედებს, რადგან ყოველი, რომელიც გვდევნის და გვაცდუნებს, ცოდვებისათვის სასჯელს გვიმცირებს; მეორე მხრივ, დიდ ჯილდოს ამისთვის ღმერთიც გვიბოძებს. აბა, მოუსმინე:

45. რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა. რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა. – ხედავ, რამხელა სიკეთეს განიჭებს შენ ის, ვისაც სძულხარ და შეურაცხგყოფს, უკეთუ მოთმენას მოისურვებ? წვიმასა და მზეში როგორც ცოდნას, ასევე მოძღვრებასაც გულისხმობს, რადგან ღმერთი ყველას განანათლებს და განსწავლის.

46. უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს? რამეთუ, მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან. – ვძრწოდეთ, რადგან მეზვერეებზე უარესები ვართ; ჩვენ ხომ ისინიც გვძულს, ვისაც ვუყვარვართ.

47-48. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს

იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიანა? იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს. – ადამიანთაგან ერთნი, – მეგობარნი, გიყვარდეს, ხოლო მეორენი გძულდეს, არასრულყოფილებაა; სრულყოფილება ისაა, ყველა გიყვარდეს.

თავი VI

1. **ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა.** – აგვიყვანა რა სათნოებათაგან ყველაზე მაღალთან – სიყვარულთან, ამჯერად უფალი წინ აღუდგა პატივმოყვარეობას, რომელიც კეთილ საქმეებს მოსდევს. ყურადღება მიაქციე, რას ამბობს: მოერიდეთო, თითქოს მძვინვარე მხეცზე ამბობდეს, რომელსაც უნდა მოერიდო, რათა არ დაგგლიჯოს; მაგრამ თუნდაც წინაშე კაცთა ქველმოქმედებდე, ოღონდ არა თავის გამოსაჩენად, არ განისჯები, ხოლო უკეთუ მიზნად პატივმოყვარეობა გაქვს, კიდევაც, რომ საუნჯესა შინა შენსა აკეთებდე, მაინც განისჯები, რადგანაც ღმერთი განზრახვას სჯის, ან გვირგვინოსანყოფს.

2. **ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაჲთა იდიდნენ კაცთაგან.** – მართალია, თვალთმაქცებს(ორგულთა) ბუკი არ ჰქონდათ, მაგრამ უფალი აქ მათ განზრახვას დასცინის, რადგანაც სურდათ, თავიანთი ქველმოქმედების შესახებ ბუკით ემცნოთ. ხოლო თვალთმაქცები იმათ ეწოდებათ, რომელნიც სინამდვილეში სხვანი არიან და თავს კი სხვად აჩვენებენ. ასე წარმოგვიდგებიან ისინი ქველმოქმედებად, მაშინ, როცა სინამდვილეში სხვანი არიან.

3. **ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენაჲ შენი, რასა იქმოდის მარჯუენაჲ შენი.** – ეს გარდამეტებულად ითქვა: თუ შესაძლებელია, შენს თავსაც დაუმალე; ანუ სხვაგვარად: მარცხენა ხელი პატივმოყვარეა, მარჯვენა – მოწყალე; მაშასადამე, დაე პატივმოყვარეობას ნუ ეცოდინება შენი მოწყალების შესახებ.

4. **რაჲთა იყოს ქველის-საქმე შენი ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.** – როდის? როცა ყოველივე გაშიშვლდება და გაცხადდება, მაშინ შენც უფრო მეტად განდიდდები.

5. **და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა ეჩუენონ კაცთა. ამენ გეტყჳ თქუენ: მიულებიეს სასყიდელი მათი.** – თვალთმაქცებს(ორგულებს) უწოდებს ამათაც, რომელნიც თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ღმერთს უსმენდნენ, სინამდვილეში კი ადამიანებს უსმენენ, რომელთაგანაც აქვთ, ანუ იღებენ კიდეც თავიანთ საზღაურს.

6. **ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შეევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი**

და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად. – და რა გამოდის? ეკლესიაში აღარ უნდა ვილოცო? სრულიადაც არა! მაგრამ წრფელი განზრახვით უნდა ვილოცოთ და არა თავის მოსაჩვენებლად: რადგან ადგილი კი არ გვნებს, არამედ შინაგანი განწყობილება და მიზანი. მრავალნი, რომელნიც ფარულად ლოცულობენ, ასე კაცთათვის თავის მოსაწონებლად იქცევიან.

7. **და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანი**. – მრავალსიტყვაობა ფუჭად მეტყველებაა. მაგალითად, ვედრება რაიმე ამქვეყნიურის – ძალაუფლების, სიმდიდრის, სხვაზე უპირატესობის – მოსაპოვებლად. მრავალსიტყვაობა დაუნაწევრებელი მეტყველებაა მსგავსად ყრმათა მეტყველებისა. ასე რომ, შენ ნუ იქნები ფუჭად მეტყველი, **რამეთუ ჰგონებიედ ვითარმედ მრავლისმეტყველებითა მათითა ისმინოს მათი;** – საჭიროა არა გრძლად წარმოთქმა ლოცვებისა, არამედ მოკლედ, ოღონდ განუწყვეტლივ უნდა ლოცულობდე.

8. **ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიჴმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან**. – ვითხოვთ არა იმისთვის, რომ მას ვასწავლოთ, არამედ, რათა ჩვენ თვითონ მოვწყდეთ ცხოვრებისეულ საზრუნავებს და მასთან საუბრით სარგებლობა მივიღოთ.

9. **ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა.** – სხვა არის აღთქმა და სხვა – ვედრება. აღთქმა არის დაპირება ღმრთის მიმართ, მაგალითად, როცა ვინმე უფალს ღვინისაგან, ან სხვა რაიმესაგან თავის შეკავებას აღუთქვამს; ვედრება კი – მისგან კეთილის გამოთხოვაა. ამბობს რა „მამა“-ს, გიჩვენებს შენ, რაოდენი სიკეთის ღირსი შეიქმენი, როცა ძე ღმრთისა გახდი, ხოლო სიტყვით **ცათა შინა**, შენ სამშობლო და მშობლიური სახლი გიჩვენა. უკეთუ გსურს მამად ღმერთი გყავდეს, მზერა ზეცისკენ წარმართე და არა მიწისკენ. შენ არ ამბობ: **მამაო ჩემო**, არამედ **მამაო ჩვენო**, რადგანაც ყოველი კაცი, ვითარცა ძე ერთი მამისა, ძმად უნდა მიიჩნიო.

წმიდა იყავნ სახელი შენი. – ანუ წმინდა გვყავ ჩვენ, რათა ჩვენით იდიდებოდე, რადგან ღმერთი, ისევე როგორც შეურაცხყოფილი, წმინდაც ჩემით იქნება, ან, რაც იგივეა, განდიდდება, ვითარცა წმინდა.

10. **მოვედინ სუფევაჲ შენი**. – იგულისხმება მეორედ მოსვლა, რადგან ადამიანი, რომელსაც სინდისი სუფთა აქვს, აღდგომისა და განკითხვის დღის დადგომისათვის ლოცულობს.

იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. – ამბობს: ვითარცა ანგელოზნი ასრულებენ შენს ნებას ცათა შინა, ასევე გვიბოძე ჩვენც, რომ იგი დედამიწაზე აღვასრულოთ.

11. **პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს.** – „არსობის პურში“ უფალი იმ პურს გულისხმობს, რომელიც ჩვენი ბუნებისა და მდგომარეობისათვის საკმარისია, მაგრამ იგი გვაცილებს ზრუნვას ხვალინდელ დღეზე. ქრისტეს

სხეულიც ხომ არსობის პურია, მაგრამ უნდა ვილოცოთ, რომ იგი სასჯელის გარეშე მივიღოთ.

12. **და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა.** – რაკი ჩვენ ნათლობის შემდეგაც ვცოდავთ, ამიტომაც ვევედრებით, რომ შეგვინდოს, ოღონდ ისე, როგორც ჩვენ შევუნდობთ სხვებს. უკეთუ ჩვენ გულღრძონი ვართ, არ მოგვიტევებს, რადგან ღმერთს თითქოსდა მაგალითად ვყევარ და ისე მექცევა, როგორც მე ვექცევი სხვას.

13. **და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა.** – რაკიღა კაცნი უძლურნი ვართ, თავი განსაცდელში არ უნდა ჩავიგდოთ, ხოლო უკეთუ მაინც ჩავვარდებით, უნდა ვევედროთ, რომ განსაცდელმა არ გვშთანთქას. მხოლოდ ის მიექანება განსაცდელის უფსკრულისაკენ, ვინც შთანთქმული და დამარცხებულია და არა ის, ვინც, მართალია, ცოდვით დაეცა, მაგრამ სძლია მას.

არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან. – არ უთქვამს „ბოროტი ადამიანებისაგანო“, რადგან ისინი კი არ გვნებენ ჩვენ, არამედ თვითონ ბოროტი.

რამეთუ შენი არს სუფევაჲ და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ. ამენ. – აქ იგი გვამხნევებს ჩვენ, რადგან უკეთუ ჩვენი მამა მეუფე, ძლიერი და დიდებით მოსილია, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ბოროტს ჩვენც დავამარცხებთ, და მომავალში განვდიდდებით.

14. **რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან.** – კვლავ გვასწავლის, არ ვიყოთ გულღვარძლიანნი და მამას შეგვახსენებს, რათა შეგვრცხვეს და რადგანაც მისი შვილები ვართ, მხეცებს არ დავემსგავსოთ.

15. **ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი.** – არაფერი ისე არ სძულს სათნო ღმერთს, როგორც გულქვაობა.

16. **და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნიან პირნი მათნი, რაჲთა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყჳ თქუენ: მიულებიეს სასყიდელი მათი.** – განყურნვა პირისა – ფერმიხდილობაა; კიცხავს მას, ვინც თავს ისე კი არ აჩვენებს, როგორიც არის, არამედ მოღუშულ სახეს თვალთმაქცურად იღებს.

17-18. **ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაჲთა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ.** – ვითარცა ძველები ნიშნად სიხარულისა, განბანვის შემდეგ, ზეთს იცხებდნენ, ასევე შენც თავი მხიარულად აჩვენე; მაგრამ ზეთში მოწყალებაც იგულისხმება, ხოლო თავში – ქრისტე, რომელსაც ზეთი მოწყალებით უნდა ვსცხოთ; პირის დაბანა კი გრძნობების ცრემლებით განბანვას ნიშნავს.

19-21. **ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო**

თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. რამეთუ სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. – განაგდებს რა პატივმოყვარეობის სენს, უფალი არამომხვეჭელობაზე საუბრობს; რადგან ადამიანები, პატივმოყვარეობისა გამო, ქონების გამრავლებაზე ზრუნავენ, იგი მიწიერი საუნჯის უსარგებლობას გვიჩვენებს. საჭმელსა და სამოსს ხომ ჩრჩილიცა და მჭამელიც გაანადგურებს, ხოლო ოქროსა და ვერცხლს მპარავნი მოიპარავენ. შემდეგ, ვინმეს რომ მისთვის არ ეთქვა; ყველაფერს ხომ ვერ მოიპარავენო, ამბობს: მსგავსიც რომ არაფერი მოხდეს, ქონებაზე ზრუნვით, რომ მასზე მიჯაჭვული ხარ, განა უკვე არ არის უბედურება? ამიტომაც ამბობს: **სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.**

22-23. **სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თვალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე?** – ის გვეუბნება: უკეთუ გონება შენი ქონებას მიაჯაჭვე მასზე ზრუნვით, მაშასადამე, შენ ჩააქრე სანთელი და სული შენი დააბნელე. რადგანაც, ვითარცა წმინდა თვალი, უკეთუ იგი საღია, სხეულს ანათებს, ხოლო ბოროტი ანუ სნეული აბნელებს, ასევე ბრმავდება გონებაც საზრუნავისგან. ხოლო უკეთუ გონება დაბრმავდა, სულსაც და, მით უმეტეს, სხეულსაც წყვდიადი მოიცავს.

24. **ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად** – ორ უფალში(ბატონში) იმათ გულისხმობს, რომელნიც ერთმანეთის საწინააღმდგო ბრძანებებს იძლევიან – ღმერთსა და მამონას. ჩვენ ჩვენს უფლად ვიხდით ეშმაკს, ისევე როგორც მუცელს – ღმერთად, მაგრამ უფალი, ბუნებითაც და ჭეშმარიტადაც, ღმერთია. მამონა კი უსამართლობა და სიცრუეა.

ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა. – ხედავ, რომ მდიდარსა და ცრუს ღმრთის მონობა არ შეუძლია? რამეთუ მას ღმრთისაგან ანგარებისმოყვარეობა განაშორებს.

25. **ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ; ნუცა ჴორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ. – ამისთვის**, ანუ რისთვის? იმისათვის, რომ ქონება ადამიანებს ღმრთისაგან განაშორებს. მართალია, სული, რაკიღა იგი უსხეულოა, არ ჭამს, მაგრამ ეს უფალმა მიღებული ჩვეულებისამებრ თქვა, რადგანაც ჩანს, რომ უკეთუ ხორცი არ საზრდოობს, სული სხეულში ვერ დარჩება. უფალი შრომას კი არ გვიკრძალავს, არამედ საზრუნავისათვის მთლიანად თავის მიცემასა და ღმრთის დავიწყებას გვიშლის. მიწის დამუშავებაც საჭიროა, მაგრამ სულზეც უნდა ვიზრუნოთ.

ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი – სამოსლისა? – ანუ ის, ვინც სულისა და ხორცის შექმნით გაცილებით მეტი მოგვცა, საჭმელსა და სამოსელს ვეღარ მოგვცემს?

26. **მიჰხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ. არა-მე უფროჲს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა?** – უფალს შეეძლო მაგალითისათვის ელია და იოვანე მოეყვანა, მაგრამ მან ფრინველები შეგვახსენა, რათა შევერცხვინეთ იმით, რომ მათზე უფრო უგუნურნი ვართ. ღმერთი ასაზრდოებს მათ იმდენად, რამდენადაც საზრდელის შეგროვებისათვის ბუნებრივი ცოდნა მისცა.

27. **ანუ ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?** – უფალი გვეუბნება: როგორც არ უნდა იზრუნო, ღმრთის ნების გარეშე, ვერაფერს გახდები. მაშ, ამაო ჯაფას თავს რაღად იდებ?

28-29. **და სამოსლისათჳს რაჲსა ჰზრუნავთ? განიცადენით შროშანი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.** – არა მხოლოდ უგუნური ფრინველებით გვარცხვენს ჩვენ, არამედ მსწრაფლწარმავალი შროშანებითაც. თუკი ღმერთმა ისინი ასე განამშვენა, თუმცა ეს აუცილებელი სრულიადაც არ იყო, რამდენად უფრო დააკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებას სამოსის გამო? გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ რამდენიც არ უნდა იზრუნო, ვერ შეძლებ გამშვენებას მსგავსად შროშანისა, რამეთუ თვით ბრძენთა ბრძენი და ნებიერი სოლომონიც კი, უძლური გამოდგა მთელი თავისი მეფობის განმავლობაში რაიმე მსგავსით შემოსილიყო.

30. **უკუეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროჲს თქუენა, მცირედ-მორწმუნენო?** – აქედან ვსწავლობთ, რომ განმშვენებისთვის ზრუნვა ისევე არ გვმართებს, ვითარცა მსწრაფლწარმავალ ყვავილებს და, რომ ყოველი, ვინც თავს იმკობს, ბალახს ემსგავსება. ხოლო თქვენო, გვეუბნება, გონიერი არსებანი ხართ, ვისთვისაც ღმერთმა სული და სხეული შექმნა; ყოველნი, რომელთაც ზრუნვანი შეიპყრობენ, მცირედმორწმუნენი არიან. მათ რომ სრული რწმენა ჰქონოდათ ღმრთისა, საზრუნავებს ასე არ მიეცემოდნენ.

31-32. **ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ.** – ჭამას კი არ გვიკრძალავს, არამედ თქმას – რა ვჭამოთ? – გვიშლის.მდიდარნი საღამოსვე კითხულობენ ხოლმე: ხვალ რა ვჭამოთ? ხედავ ხომ რასაც გვიკრძალავს – გაზულუქებასა და თავშეუკავებლობას.

32-33. **რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ გიჴმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.** – სასუფეველი ღმრთისა სიკეთეთა გემოჲსხილვაა, რომელიც მართალი ცხოვრებისათვის გვეძლევა. ამგვარად, ვინც სულიერს ეძიებს, მას ღმრთის გულუხვობის წყალობით, ხორციელიც მიეცემა.

34. **ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი.** – სიბოროტეში დღისა სადარდებელსა და

საწუხარს გულისხმობს. საკმარისია შენთვის, რაც დღევანდელი დღისთვის შეწუხდი, ხოლო უკეთუ ხორციელის გამო ხვალისთვისაც იზრუნებ, მაშინ შენს ხორციელ ბუნებაზე მუდმივი ზრუნვისა გამო, ღმრთისათვის როდისღა მოიცლი?

თავი VII

1. **ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ**. – უფალი მხილებას კი არ გიკრძალავს, არამედ სასჯელის დადებას, რადგანაც მხილება სარგებლობისთვისაა, ხოლო სასჯელის დადება – დაყვედრებისა და დამცირებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როცა თვითონ უფრო დიდთა ცოდვათა მქონე სხვებს საყვედურობს და განიკითხავს მას, ვისაც ბევრად უფრო მცირე ცოდვები აქვს და რომელთა განსჯაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

2-5. **რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ. ანუ რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დჯრესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი? ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაცადე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და აჰე ეგერა დჯრე თუალსა შინა შენსა! ორგულო, აღმოიღე პირველად დჯრე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა**. – ვისაც სურვილი აქვს სხვებს უსაყვედუროს, თვითონ უნდა იყოს უბიწო; რადგან უკეთუ იგი, ვისაც თვითონ თვალში დირე ანუ დიდი ძელი, იგივე ცოდვა აქვს და სხვას, ბეწვის(წუელი)[8] მქონეს, საყვედურობს, მას სირცხვილის გრძნობას კიდევ უფრო უკარგავს. უფალი გვაჩვენებს, აგრეთვე, რომ არ შეუძლია კარგად დაინახოს ცოდვა ძმისა მან, ვინც თვითონ დიდად სცოდავს. მართლაც, თვალში დირის მქონეს როგორღა შეუძლია დაინახოს ცოდვა სხვისი, მცირედ ვნებულისა?

6. **ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ**. – ძაღლები ურწმუნონი არიან, ხოლო ღორები ისინი, რომელთაც რწმენა კი აქვთ, მაგრამ მაინც ბინძურ ცხოვრებას ეწევიან. ამგვარად, არ შეიძლება საუბარი რწმენის საიდუმლოთა შესახებ ურწმუნოებთან და არც ღმრთისმეტყველების ნათელ და მარგალიტის მსგავს სიტყვათა წარმოთქმა უწმინდურებთან, რადგანაც ღორები მას, რასაც ვეუბნებით, გადათელავენ, ანუ არად ჩააგდებენ, ხოლო ძაღლები მოგვიბრუნდებიან და დაგვგლეჯენ, როგორც ამას ისინი აკეთებენ , რომელნიც ფილოსოფოსებად იწოდებიან. როგორც კი ისმენენ, რომ ღმერთი ჯვარს ეცვა, ცარიელი მსჯელობებით გვაწამებენ და სოფისტური ხერხებით გვიმტკიცებენ, რომ ეს შეუძლებელია.

7-8. **ითხოვდით, და მოგვეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და**

[8] პირდაპირი მნიშვნელობით „წუელი“(τό κάρφος) კილის ფხას უნდა ნიშნავდეს. ესაა ნემსივით წვრილი წანაზარდი თავთავის კილზე, ანუ მარცვლის ბუდეზე.

განგეღოს თქუენ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირეკდეს, განეღოს. – ადრე უფალმა დიდი და ძნელი რამ გვიბრძანა, აქ კი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება მისი აღსრულება, სახელდობრ, განუწყვეტელი ლოცვით; რადგან თქვა: **ითხოვდით** ანუ მარადის **ითხოვდით**, რაკი არ უთქვამს – **ერთგზის ითხოვდითო** და შემდეგ ნათქვამი კაცობრივი მაგალითითაც განამტკიცა.

9-10. ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თჳსი პურსა, ნუ ქვაჲ მისცესა მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცესა მას? – აქ უფალი გვასწავლის, რომ საჭიროა დიდი ძალით ვთხოვოთ უფალს და თანაც ის ვითხოვოთ, რაც სასარგებლოა; რამეთუ თქვენ, ამბობს, როცა ხედავთ, თქვენს შვილებს მთხოვნელს სასარგებლოსი – პურისა და თევზისა, აძლევთ მათ, როცა ამდაგვარს ითხოვენ. ასევე ითხოვეთ თქვენც, ოღონდ სულიერი და არა ხორციელი.

11. უკუეთუ თქუენ უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად თქუენთა, რაოდენ უფროჲსლა მამამან თქუენმან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას! – უკეთურებს ადამიანებს ღმერთთან შედარებით გვიწოდებს. თუმცა ბუნება ჩვენი კეთილია, ვითარცა ღმრთის ქმნილებისა, მაგრამ უკეთურნი ჩვენივე ნებით ვხდებით.

12. ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული და წინაწარმეტყუელნი. – უფალი სიკეთისაკენ მოკლე გზას გვიჩვენებს, რადგანაც ადამიანებმა შინაგანად ვიცით, რაც საჭიროა. უკეთუ გსურს სათნოდ მოგექცნენ, შენც სათნოდ მოექეცი; უკეთუ გსურს მტრებმა შეგიყვარონ, მტრები შენც შეიყვარე; რადგან საღმრთო სჯულიცა და წინასწარმეტყველებიც ამას გვეუბნებიან და ჩვენი ბუნებითი სჯულიც ამასვე ბრძანებს.

13. შეუედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელი არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად და მრავალნი ვლენან მას ზედა. – ვიწრო ბჭეში განსაცდელებს გულისხმობს, როგორც ნებაყოფლობითს, მაგალითად, მარხვასა და სხვა ამდაგვარს, ისე იძულებითსაც, მაგალითად, ბორკილებსა და დევნას. როგორც ხორცმრავალ ან მძიმე ტვირთაკიდებულ კაცს არ შეუძლია ვიწრო ბჭით შესვლა, ასევე გაზულუქებულსა და მდიდარსაც; ამგვარნი ფართო გზით შედიან. გვიჩვენებს რა, რომ სივიწროვეც დროებითია და სიფართოვეც წარმავალი, მათ ბჭესა და გზას უწოდებს; რადგან ვინც შეურაცხყოფას დაითმენს, რამდენადმე ბჭეს ანუ ტანჯვას გაივლის, ხოლო გაზულუქებული ვითარცა გზას, ტკბობას ადგება. რამდენადაც ორივე წარმავალია, უმჯობესის არჩევაა საჭირო.

14. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა და მცირედნი არიან, რომელნიც ჰპოებენ მას. – სიტყვა ვითარ-იგი გაკვირვებას გამოხატავს, რამეთუ უფალს უკვირს: როგორი ვიწროა ბჭე! მაშინ სხვაგან რა-

ტომღა ამბობს: უღელი ჩემი სუბუქ არს? – მომავალ საზღაურთა გამო.

15-16. **ეკრძალენით ცრუ წინაწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი.** – ჩვეულებრივ, ერეტიკოსები ვერაგნი და ცბიერნი არიან, ამიტომაც გვეუბნება: უფრთხილდითო. ისინი ტკბილად მეტყველებენ და თავი ისე უჭირავთ, თითქოსდა პატიოსნად ცხოვრობენ, მაგრამ შიგნით ანკესი აქვთ დამალული. ცხვრის სამოსი – ეს თვინიერებაა, რომლითაც ზოგიერთი თვალთმაქცი იმ მიზნით სარგებლობს, რომ იმლიქვნელოს და იცრუოს. ისინი ნაყოფისაგან, ანუ საქმეთაგან და ცხოვრებისაგან შეიცნობიან, რადგან ერთხანს კიდევაც რომ შეინიღბონ, დაკვირვებულთაგან მაინც იმხილებიან.

16-17. **ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან ლელჳ? – ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის.** – ეკალნი და კუროსთავნი[9] თვალთმაქცები არიან; ეკალნი იმიტომ, რომ ფარულად იჩხვლიტებიან, ხოლო კუროსთავნი იმიტომ, რომ ცბიერნი და მოხერხებულნი არიან. ხენეში(ბოროტი) ხე კი ყველა ისაა, ვისაც უქმი და გარყვნილი ცხოვრება წაახდენს.

18. **ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად.** – ვიდრე იგი ხენეშია(ბოროტია) არ შეუძლია, ხოლო უკეთუ შეიცვალა – შეძლებს. დააკვირდი, რომ ის კი არ თქვა – ვერასოდეს შეძლებსო, არამედ ვიდრე ბოროტი იქნება, კეთილს ვერ შობსო.

19-20. **ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი.** – ეს იუდეველებზე ვრცელდება; მათ იოვანეც იმავეს ეუბნებოდა. ადამიანს ხეს იმიტომ ადარებს, რომ მას ცოდვის უნაყოფობიდან სათნოებაზე დამყნობა შეუძლია.

21. **არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.** – აქ სიტყვებით: **არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო**, უფლად თავის თავს წარმოაჩენს, რადგანაც თავს ღმერთს უწოდებს და გვასწავლის, რომ უკეთუ საქმენი გარეშე რწმენისა გვექნება, ამისგან ვერავითარ სარგებლობას ვერ მივიღებთ. **რომელმან ყოს ნებაჲ;** ის კი არ უთქვამს – ჩემი ნებაო, რათა მსმენელნი არ ეცდუნებინა, არამედ „მამისა ჩემისა“-ო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ნება მამისა და ძისა ერთი და იგივეა, უკეთუ შვილი მამას არ განუდგება.

22-23. **მრავალთა მქრუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ; ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.**

[9] შლამის ბალახია, იგივე ტატაში, ლელი.

– ქადაგების დასაწყისში მრავალნი, ისინიც კი, რომელნიც შემდეგში უღირსნი გამოდგნენ, დევნიდნენ ეშმაკებს, რადგან დემონები იესოს სახელით გარბოდნენ, მადლი ხომ უღირსთა მეშვეობითაც მოქმედებს, ისევე როგორც ჩვენ კურთხევას უღირსი მღვდლებისგანაც ვიღებთ; ხოლო სასწაულებს იუდაც აღასრულებდა და სკევას შვილებიც. სიტყვები: „არასოდეს გიცნობდით თქვენ“ ნათქვამია ნაცვლად ამისა: „მაშინაც კი როცა სასწაულებს იქმოდით, არ მყვარებიხართ“, რადგან აქ **ცნობაში** სიყვარული იგულისხმება.

24-25. **ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი კლდესა ზედა. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.** – გარეშე ღმრთისა სათნოებაში წარმატება შეუძლებელია. ამიტომაც ამბობს: **ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა.** კლდე ქრისტეა, სახლი კი – სული. ამრიგად, ვინც თავის სულს ქრისტეს მცნებათა აღსრულებით დამოძღვრავს(მოაწესრიგებს), მის დარღვევას ვერც წვიმა, ეშმაკს ვგულისხმობ, რომელიც ზეციდან ჩამოვარდა, ვერც მდინარენი – კაცნი მავნებელნი, რომელთა რიცხვიც ამ წვიმისაგან მრავლდება, და ვერც ქარნი – სულნი ბოროტებისა, და საერთოდ, ვერც ვერავითარი ცდუნება, ვერ შეძლებს.

26-27. **და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი ქჳშასა ზედა. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად.** – არ უთქვამს „ვამსგავსო იგი“, არამედ „თვითონ ემსგავსება“ უგუნურს ის, ვისაც რწმენა აქვს, მაგრამ საქმით არ აღასრულებს. ასეთი კაცი ქვიშაზე აშენებს და ისიც უვარგისი მასალისაგან. ამიტომაც დაეცემა ცდუნებათაგან. რაჟამს ეკვეთება ანუ ცდუნება დაამარცხებს, დიდი დაცემით დაეცემა. ურწმუნოთაგან კი არავინ დაეცემა, რადგან ისინი ისედაც ყოველთვის მიწაზე წვანან. მორწმუნე – აი, ვინ ეცემა. ამიტომაცა დიდი დაცემა, რაჟამს ქრისტიანი ეცემა.

28-29. **და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, განუკვირდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი, მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჴელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.** – არა მთავარნი დარჩნენ გაკვირვებულნი, რადგან, როგორღა გაუკვირდებოდათ, როცა შურდათ მისი? არამედ უბოროტო(უწყინარი) ხალხი. უკვირდათ არა წარმოთქმული სიტყვები, არამედ თავისუფლება მისი, რადგან უფალმა თავი წინასწარმეტყველებზე მაღლა წარმოაჩინა. ისინი ამბობდნენ: „ამას უფალი ამბობს“, ხოლო ქრისტე, ვითარცა ღმერთი, ამბობდა: „მე გეუბნებით თქვენ“.

თავი VIII

1-2. **და გარდამოვიდოდა რაჲ იგი მიერ მთით, მოსდევდა მას ერი მრავალი. და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუვდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი.** – კეთროვანი გონიერი იყო და მთაზე არ ავიდა, რათა სწავლება არ შეეწყვეტინებინა; ხოლო მთიდან ჩამოსულს თაყვანი სცა და დიდი სარწმუნოებაც აჩვენა, რადგან ის კი არ უთხრა, თუ ღმერთს შეევედრები განმკურნავო, არამედ **უკეთუ გინდეს**-ო. ამიტომაც მოიქცა ქრისტე ასე:

3-4. **და მიყო ჴელი თჳსი იესუ, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განმწმიდენი! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვანებისა მისგან. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.** – შეეხო რა კეთროვანს, უფალმა აჩვენა, რომ არა თუ არ ემორჩილებოდა სჯულს, რომელიც ბრძანებდა კეთროვანს არ შეხებოდნენ, არამედ თვითონ იყო მეუფე მისი და რომ წმინდისთვის არაფერია უწმინდური და რომ მისმა წმინდა ხორცმა კურთხევა გადასცა. გაურბის რა დიდებას, უბრძანა არავისთვის ეთქვა, არამედ თავი მღვდლისათვის ეჩვენებინა, რადგანაც უკეთუ იგი არ იტყოდა, რომ კეთროვანი განიწმინდა, ქალაქს გარეთ დარჩებოდა. უბრძანებს, აგრეთვე, შესაწირავის მიტანას იუდეველთათვის დასამოწმებლად, ანუ, თითქოს ეუბნება: რაჟამს მე ბრალად სჯულის დარღვევას დამდებენ, შენ იყავი მოწმე, რომ ჩემგან გქონდა ნაბრძანები მიტანა იმისა, რის მიტანასაც რჯული ბრძანებს.

5-6. **და შე-რაჲ-ვიდა იგი კაპერნაუმდ, მოუვდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას და ეტყოდა.** – არც ეს მისულა მასთან მთაზე, რათა სწავლებაში ხელი არ შეეშალა. ეს ის ასისთავია, რომელიც ლუკასთანაც გვხვდება. თუმცა ლუკა ამბობს, რომ იესოსთან მან მოციქულებად სხვები გააგზავნა, მაგრამ მაინც არ ეწინააღმდეგება მათეს, რომლის თქმითაც ასისთავი მასთან თვითონ მივიდა; რადგან, როგორც ჩანს, ჯერ სხვები წარგზავნა, მაგრამ როცა საფრთხე გაიზარდა, უკვე თავად მივიდა და უთხრა:

6-7. **უფალო, მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუელი და ფრიად იგუემების. ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განვკურნო იგი.** – ასისთავმა ყრმა საწოლით არ მიუყვანა, სწამდა რა, რომ უფალს მისი განკურნება დაუსწრებლადაც შეეძლო. ამიტომაც,

8-10. **მიუგო ასისთავმა მან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ მე, რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ. არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონა იგი ჩემი. რამეთუ მეცა კაცი ვერ ჴელმწიფებასა ქუეშე და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი; და ვჰრქჳ მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის. ესმა რაჲ ესე იესუს, დაუკჳრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მისდევდეს მას: ამენ გეტყჳ თქუენ: არცაღა ისრაჱლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე.** – უკეთუ მე, ამბობს ასისთავი, მეფის მონა, ჩემს

მეომრებზე ვბრძანებლობ, მით უფრო შეგიძლია უბრძანო შენ სიკვდილსა და სნეულებებს, რომ ერთს განშორდნენ და მეორისკენ მიიქცნენ, რადგან ხორციელი სნეულებანი ღმრთის მეომრები და მისი სასჯელის აღმსრულებელნი არიან. ამიტომაც გაუკვირდა ქრისტეს და თქვა: „ისრაიტელთა შორისაც კი ვერ ვპოვე ისეთი რწმენა, როგორიც ამ წარმართში“.

11-12. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალნი მზის აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდიან და ინაჴ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთა.** – არ უთქვამს, მრავალი წარმართი გვერდით დადგებაო, რათა იუდეველები არ გაენაწყენებინა, არამედ შეფარვით უთხრა: აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანო. აბრაამი იმის საჩვენებლად მოიხსენა, რომ არ იყო წინააღმდეგი ძველი აღთქმისა. ლაპარაკობს რა გარესკნელზე, ცხადყოფს, რომ შიდასკნელიც(შიდა სიბნელეც) არსებობს, თუმცალა უფრო მსუბუქი, რამეთუ ხარისხები ტანჯვასაც აქვს. სასუფევლის ძეებს ისრაიტელებს უწოდებს, რადგან მათ მიმართ იყო აღთქმული: „ძე ჩემი, პირმშო ჩემი ისრაელი“.

13. და **ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონაჲ მისი მას ჟამსა შინა.** – განკურნა რა სიტყვით, ამით უფალმა გვაჩვენა, რომ ჭეშმარიტება იყო ისიც, რაც იუდეველთა განდევნის შესახებ თქვა.

14-15. **და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა და იხილა სიდედრი მისი, დავრდომილი მჴურვალებითა. და შეახო ჴელსა მისსა, და დაუტევა იგი მჴურვალებამან, აღდგა და ჰმსახურებდა მას**. – პეტრეს სახლში შევიდა, რათა ეჭამა. შეეხო რა მის ხელს, არა მხოლოდ ცხელება დაუცხრო, არამედ ქალი სრულიად გამოაჯანმრთელა, ისე რომ, მას ძალა დაუბრუნდა და მსახურებაც კი შეძლო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სინამდვილეში სნეულის მოღონიერებას დიდი დრო სჭირდება. მაშინ, როცა სხვა მახარებლები ამბობენ, რომ უფალს სთხოვეს და იმიტომ განკურნაო. მათეს, რომელიც თხრობის სისხარტეზე ზრუნავს, ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მე ხომ დასაწყისშივე გითხარი შენ, რასაც ერთი ტოვებს, მეორე ამბობს-მეთქი. აქედან ისიც ისწავლე, რომ ქორწინება სათნოებას ხელს სრულიადაც არ უშლის, რადგან მოციქულთა თავს სიდედრი ჰყავდა.

16-17. **და ვითარცა შემწუხრდა, მოჰგვარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულები იგი სიტყჳთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჳრთნა.** – უძლურნი მასთან უდროო დროს, საღამოს მიიყვანეს, მაგრამ ვითარცა კაცთმოყვარემან, უფალმა ყველანი განკურნა. შემდეგ, შენ რომ ეჭვი არ აღგძვროდა, ამდენი სნეული ასეთ მოკლე დროში როგორ განკურნაო, მახარებელი ესაიას იმოწმებს. მართალია, წინასწარმეტყველი ამას ცოდვათა შესახებ

ამბობს, მაგრამ მათემ მისი სიტყვები სნეულებებზე გადაიტანა, რადგან მათი უმეტესობა სწორედ ცოდვებისაგან ჩნდება.

18. **ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისა, უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო.** – რადგან არც პატივმოყვარე იყო და, ამასთან, იუდეველთა შურსაც განერიდა.

19-20. **მოუჴდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდი. ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.** – მწიგნობარს სჯულის წიგნთა მცოდნეს უწოდებს. ამან, იხილა რა მრავალი სასწაული, იფიქრა, რომ იესოს მათგან შემოსავალი ჰქონდა და მის გაყოლასაც იმიტომ შეეცადა, რომ ქონება თვითონაც დაეგროვებინა. მაგრამ იესო განზრახვას მიუხვდა და თითქმის ეს უთხრა: „ჩემი გაყოლით შენ ქონების დაგროვებას ფიქრობ, მაგრამ ვერ ხედავ, რომ უსახლკარო ვარ? ჩემი მიმდევარიც ასეთი უნდა იყოს“. უფალმა ეს მის დასარწმუნებლად თქვა, რათა განწყობილება შეცვლოდა და გაჰყოლოდა, მაგრამ მწიგნობარი გაშორდა. ზოგიერთი მელიებსა და ფრინველებში დემონებს გულისხმობს, ე. ი. უფალი მწიგნობარს ეუბნება: „შენში დემონები განისვენებენ, ამიტომ მე სულსა შინა შენსა განსასვენებელი არ მაქვს“.

21-22. **და სხუამან მოწაფემან მისთაგანმან ჰრქუა მას: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა.** – როცა ვინმე თავს ღმერთს მიუძღვნის, კვლავ ცხოვრებისეულისკენ აღარ უნდა მიიქციეს, რადგან, მართალია, მშობლების პატივისცემა საჭიროა, მაგრამ უფრო დიდი პატივი ღმერთს უნდა მივაგოთ. ამ შემთხვევაში კი მშობელი ურწმუნოც იყო, რაც ჩანს სიტყვებიდან: **აცადე მკუდართა**, ე. ი. ურწმუნოებს, დამარხვა თავიანთი მკვდრებისა. თუკი ამან ვერ მიიღო უფლება მამა დაემარხა, ვაი იმათ, რომელნიც მონაზვნობის მიღების შემდეგ ცხოვრებისეულ საქმეებს უბრუნდებიან.

23-24. **და აღვიდა იგი ნავსა, და მისდევდეს მოწაფენი მისნი. და აჰა ესერა აღძრვაჲ იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან, ხოლო თავადსა ეძინა.** – უფალმა თან მხოლოდ მოწაფენი წაიყვანა, რათა სასწაული ეხილათ. მან დაუშვა, რომ მათ საფრთხე დამუქრებოდათ, რათა განსაცდელთა გადატანისათვისაც გაწვრთნილიყვნენ და ამ სასწაულით რწმენაც უფრო განმტკიცებოდათ. დაიძინა კი იმიტომ, რომ შეშინებულებს საკუთარი უძლურება შეეცნოთ და შველას მას შევედრებოდნენ. ამიტომაც ამბობს მათე:

25-26. **და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მიჴსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეშინდით მცირედ-მორწმუნენო?** – უფალი მათ არა ურწმუნოებს, არამედ მცირედმორწმუნეებს უწოდებს, რადგან, როცა უთხრეს: **უფალო, მიჴსნენ ჩუენ,**

სარწმუნოება გამოამჟღავნეს, მაგრამ სიტყვა **წარვწყმდებით** ურწმუნოებისგან თქვეს. რადგან უფალი მათთან ერთად მიცურავდა, აღარ უნდა შეშინებოდათ. ყურადღება მიაქციე! საყვედურობს რა მათ სიმხდალისა გამო, გვიჩვენებს, რომ შიში საფრთხეს იზიდავს. უფალმა ჯერ მათ სულში ატეხილი ქარიშხალი ჩააწყნარა და მღელვარება ზღვისა შემდეგ დააცხრო.

26-27. **მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ. ხოლო კაცთა მათ უკჳრდა და იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲ ერჩიან მას?** – უკვირდათ, რადგან შესახედავად კაცი იყო, საქმით კი – ღმერთი.

28. **და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა, შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი**. – მაშინ, როცა ხომალდზე მყოფთ უკვირთ, საიდან არის ეს, ვისაც ქარნი და ზღვა ემორჩილებიანო. მაცნეებად დემონები გვევლინებიან. მართალია, მარკოზი და ლუკა ერთს ასახელებენ, რომელსაც ეშმაკთა ლეგიონი ჰყავდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამ ორიდან ერთი უფრო საშიში იყო ვიდრე მეორე. რაკიღა საშიშნი იყვნენ და უფალთან მათ მიყვანას ვერავინ ბედავდა, იგი თვითონ მივიდა მათთან.

რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრეცა ვერვის ჴელ-ეწიფებოდა წარსვლაჲ მიერ გზით. – დემონები სამარხებში ცხოვრობდნენ, რადგან სურდათ კაცთათვის შთაეგონებინათ აზრი, რომ გარდაცვლილთა სულები დემონები ხდებიან; მაგრამ ასე ნურავინ იფიქრებს, რადგან სხეულიდან გამოსული სული სამყაროში კი არ ხეტიალობს, არამედ მართალთა სულნი ღმრთის ხელთაა, ხოლო, რაც ცოდვილთა სულებს შეეხება, აქედან ისინიც მიჰყავთ, როგორც, მაგალითად, სული მდიდრისა.

29. **და ღაღად-ყვეს და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა**. – აჰა, ძედ ღმრთისად აცხადებენ, მაშინ, როცა პირველად მის მიმართ მტრობა გამოამჟღავნეს. ტანჯვად ისინი იმას მიიჩნევენ, რომ ნება არ მიეცათ კაცთათვის ვნების მიყენებისა. სიტყვები **უწინარეს ჟამისა** კი შემდეგნაირად მოიაზრე: დემონები ფიქრობდნენ, რომ ვერ გაუძლებდა რა მათ გარდამეტებულ ბოროტებას, ქრისტე სასჯელის დროს აღარ დაელოდებოდა, რაც სინამდვილეში ასე სულაც არაა, რადგან მათ ჩვენთან ბრძოლის უფლება ვიდრე აღსასრულამდე ჟამთა მიეცათ.

30-32. **და იყო შორს მათგან კოლტი ღორთაჲ მძოვარი. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკუთუ განგჳასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა. და ჰრქუა მათ: მიევედით. ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიმართეს კოლტსა მას ღორთასა**. – დემონებმა ეს იმიტომ ითხოვეს, რომ ღორების დაღუპვით შეწუხებულ პატრონებს ქრისტე აღარ მიეღოთ. ქრისტემ დაუთმო დემონებს, რათა ეჩვენებინა, რა მწარედ მტრობენ ისინი ადამიანებს, ხოლო უფლება რომ ჰქონდეთ და ხელი არ ეშლებოდეთ, ჩვენ უარესად მოგვექცეოდნენ, ვიდრე ღორებს. იგი იცავს ეშმაკეულებს, რათა

მათ თავი თვითონვე არ მოეკლათ.

32-34. **და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან ღორთამან კბოდესა მას ზღუსასა და მოსწყდეს იგინი წყალთა მათ შინა, ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთჳს. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესუჲსა. და იხილეს იგი და ევედრებოდეს, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.** – ისინი ამას სთხოვენ იესოს, რადგან შეწუხებულნი ფიქრობენ, რომ შემდგომად ამისა, უარესი ტანჯვა შეემთხვეოდათ. ხოლო შენ ისწავლე, რომ, სადაც ღორული ცხოვრებაა, იქ არა ქრისტე, არამედ დემონები მყოფობენ.

თავი IX

1-2. **და შევიდა ნავსა და წიაჴდა და მოვიდა თჳსად ქალაქად, მაშინ მოართუეს მას განრღუეული ცხედარსა ზედა მდებარე.** – მის ქალაქში მათე კაპერნაუმს გულისხმობს, რადგან უფალი იქ ცხოვრობდა. დაიბადა იგი ბეთლემში, ნაზარეთში აღიზარდა, ხოლო კაპერნაუმი მისი მუდმივი საცხოვრებელი იყო. ეს დავრდომილი სხვაა და არა ის, ვისზეც იოვანე ლაპარაკობს, რადგან ის იერუსალიმში იყო, ცხვრის საბანელთან, ეს კი – კაპერნაუმში; თანაც იმას კაცი არ ჰყავდა, ხოლო ეს, როგორც მარკოზი ამბობს, ოთხმა მოიყვანა და ჭერიდან ჩაუშვა, რაც მათესთან გამოტოვებულია.

და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი. – ანუ მომყვანებელთა, რადგან სასწაულებს იგი ხშირად მომყვანებელთა ან თავად სნეულის რწმენის გამო აღასრულებდა.

და ჰრქუა განრღუელსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი. – შვილი უწოდა ან როგორც ღმრთის ქმნილებას, ან როგორც მორწმუნეს. გვიჩვენა რა, რომ უძლურების უმთავრესი მიზეზი ცოდვებია, დავრდომილი ჯერ მათგან გაათავისუფლა.

3-5. **და აჰა ესერა მწიგნობართაგანთა ვიეთმე თქუეს გულთა შინა მათთა, ვითარმედ: ესე გმობს. იცნოდა იესუ ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა? რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე?** – უკვე იმითაც, რომ მათი ზრახვები იცის, ის თავს ღმერთად წარმოაჩენს, მათ კი ამხელს და თითქოს ეუბნება: თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვმკრეხელობ, რაკიღა თავს ცოდვათა მიტევების უფლებას ვაძლევ, რაც დიდი საქმეა. თქვენ გგონიათ, ამას იმიტომ მივმართავ, რომ არ მამხილონ. მაგრამ მე სხეულის განკურნებით დაგარწმუნებთ, რომ სულის განკურნებაც შემიძლია. იოლის მეშვეობით, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო ძნელად ითვლება, დაგიმტკიცებთ ცოდვათაგან დახსნასაც, რაც დიდი საქმეა, მაგრამ თქვენ იოლად გეჩვენებათ, რადგანაც არ ჩანს.

6-8. **ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყ-**

ანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა! და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახედ თჳსა. იხილა რაჲ ესე ერმან მან, დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ჴელმწიფებაჲ ესევითარი კაცთა. – სნეულს საწოლის აღება იმისთვის უბრძანა, რათა არ ეფიქრათ, რომ, რაც მოხდა, მოჩვენება იყო და ამასთან, იმიტომაც, რომ ხალხს, რომელიც ქრისტეს, თუმცა, ყველაზე აღმატებულად, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ კაცად თვლიდა, სასწაული ეხილა.

9. **და წარვიდოდა მიერ იესუ, იხილა კაცი, რომელი ჴდა საზუერესა, მატთეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას**. – პეტრესა და იოვანესთან ერთად კი არ მოუწოდა, არამედ მაშინ, როცა დაინახა, რომ უკვე ირწმუნებდა, ისევე როგორც პავლესაც მაშინ მოუწოდა, როცა ამის დრო მოვიდა. გვიკვირდეს მახარებელისა, როგორ ამხელს თავის ცხოვრებას, თუმცა სხვებმა მისი სახელი დამალეს და მას ლევი უწოდეს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ იგი ერთი სიტყვით მოიქცა, ეს ღმრთის საქმეა.

10-11. **და იყო ჴდა რაჲ იგი ინაჴით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანა-სხდეს ინაჴით იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა. და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათვის მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?** – ქრისტეს სტუმრობით ფრიად გახარებულმა მათემ ხარკის ამკრეფნი მიიწვია. თუმცა ამის გამო გაკიცხავდნენ, ქრისტემ მაინც ჭამა მათთან ერთად, რათა მათთვის სარგებლობა მოეტანა. ფარისევლები კი, რომელთაც უნდოდათ მისთვის მოწაფეები ჩამოეშორებინათ, მეზვერეებთან ტაბლის გაზიარების გამო საყვედურობდნენ.

12-13. **ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.** – ახლა მოვედი ვითარცა მკურნალი და არა როგორც მსაჯული, – ამბობს უფალი, – ამიტომაც სიმყრალესაც ვითმენ. სიტყვებით **წარვედით და ისწავეთ** მათ უვიცობას ამხელს, ანუ ეუბნება: რაკიღა მსხვერპლშეწირვის შესახებ აქამდე არ გისწავლიათ, ახლა მაინც წადით და ისწავლეთ, რომ ღმერთი მსხვერპლზე მაღლა ცოდვილთადმი გამოჩენილ გულმოწყალებას აყენებს; რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, – ეუბნება მათ ირონიით, ე. ი. არა თქვენს მოსაწოდებლად, რომელნიც თავს თვითონვე იმართლებთ, რადგან კაცთაგან მართალი არავინ არის, – არამედ მოვედი მოსაწოდებლად ცოდვილთა, რათა ცოდვილებად აღარ დარჩნენ და მოინანიონ.

14. **მაშინ მოუჴდეს მას მოწაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?** – შურდათ რა ქრისტეს დიდება, იოვანეს მოწაფენი მას იმის გამო საყვედურობენ, რომ არ მარხულობდა. შესაძლოა, მათ ისიც აკვირვებდათ, თვინიერ ღვაწლისა, ვნებებზე როგორ იმარჯვებდა, რაც იოვანემ ვერ შეძლო. მათ არ იცოდნენ,

რომ იოვანე ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელიც სათნოებისაგან განმართლდა, ხოლო იესო, ვითარცა ღმერთი, სათნოება თვითონ იყო.

15. **ჰრქუა მათ იესუ: ჴელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ.** – ახლა, ამბობს უფალი, ვიდრე მე ჩემს მოწაფეებთან ვარ, სიხარულის ჟამია. სიძეს თავის თავს უწოდებს, რომელიც, რადგან ძველი მოკვდა, ახალ კრებულზე დაიწინდა, ხოლო „ძეთა სიძისათა“ – მოციქულებს. დადგება დრო, – ამბობს, – როცა ისინიც, შემდგომად ჩემი ტანჯვისა და ამაღლებისა, იმარხულებენ, დამთმენელნი შიმშილისა და წყურვილისა და დევნილები. აჩვენებს რა მოწაფეთა არასრულყოფილებას, იგი დასძენს:

16-17. **არავინ დაადგის სადგმელი უმურკნველი სამოსელსა ძველსა, რამეთუ აღიღოს სავსებაჲ სამოსლისა მისგან, და უფროჲსი განხეთქილებაჲ იქმნის. არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან.** – რამდენადაც, ამბობს იგი, მოწაფენი ჯერ კიდევ არ არიან განმტკიცებულნი და შეწყალებას საჭიროებენ, ისინი მძიმე დავალებებით არ უნდა დავტვირთოთ. ეს თქვა, რათა მოწაფეებისთვისაც ესწავლებინა, რომ რაჟამს მსოფლიოს განსწავლას შეუდგებოდნენ, თავადაც შემწყნარებელნი ყოფილიყვნენ. ამგვარად, ახალი საკერებელი(სადგმელი) და ახალი ღვინო(მაჭარი) – მარხვაა, ხოლო ძველი სამოსი და ძველი თხიერი(ტიკი) – მოწაფეთა უძლურება.

18-19. **და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუჴდა მას მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწღა აღესრულა; არამედ მოვედ და დასდევ ჴელი შენი მას ზედა, და ცხოვნდეს. და აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა.** – ცხადია, რწმენა ამასაც ჰქონდა, თუმცაღა არა დიდი, რადგან იესოს მხოლოდ სიტყვის თქმას კი არ სთხოვს, არამედ მისვლას და ხელის დადებას. თუმცა, ლუკას თქმით, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ამბობს, რომ ასული მისი უკვე აღესრულა, ან იმიტომ, რომ ასე ვარაუდობს, რადგან უკანასკნელი ამოსუნთქვისას დატოვა, ან კიდევ იმიტომ, რომ უბედურება გაზრდილად წარმოედგინა და ამით ქრისტე შეწყალებისათვის შეეგულიანებინა.

20-22. **და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუჴდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისასა მისისა. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა, ვითარმედ: შე-ხოლო თუ-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხოვნდე. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.** – ქალი, რომელიც სნეულების გამო უწმინდური იყო, ცხადად ვერ მივიდა მასთან, ეშინოდა რა, რომ ხელს შეუშლიდნენ. თუმცა მან იფიქრა, რომ დამალვას შეძლებდა, მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ მხოლოდ მისი სამოსის ბოლოს შეხ-

ებითაც კი გამოჯანმრთელდებოდა. მაგრამ მაცხოვარმა გაამჟღავნა იგი, ოღონდ არა დიდების სიყვარულის გამო, არამედ, რათა ჩვენთვის, ჩვენივე სარგებლობისათვის, მისი სარწმუნოება ეჩვენებინა და სინაგოგის უფროსსაც ერწმუნა. **ნუ გეშინინ** – ეუბნება მას, რადგან ქალი, ვითარცა მპარავი ნიჭისა, შეკრთა, და როგორც მორწმუნეს, **ასული** უწოდა. გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ თუმცა სამოსი წმინდა იყო, რწმენით რომ არ მიახლებოდა, ქალი მადლს ვერ მიიღებდა. ამბობენ, რომ ამ ქალმა მაცხოვრის ქანდაკება გააკეთებინა და მის ფეხებთან იზრდებოდა ბალახი, რომელიც სისხლმდინარე ქალებს შველოდა. იულიანეს დროს ქანდაკება უსჯულოებს დაუმსხვრევიათ.

23-24. **და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი და ჰრქუა მათ: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხევდეს მას.** – რადგანაც მთავრის ასული უქორწინებელი იყო, იქცეოდნენ რა სჯულის მიხედვით, მას საქორწინო ავლოსებით(სალამურებით) დასტიროდნენ. უფალი მასზე ამბობს, სძინავსო, რადგან, მისთვის, ვისაც აღდგენა ადვილად შეუძლია, სიკვდილი ძილია. ნუ გაგაკვირვებს ის, რომ დასცინიან, რადგან ამით ყველაზე მეტად დაამოწმეს, რომ საწაული მოხდა და რომ მან აღადგინა ის, ვინც მართლა მკვდარი იყო. ვინმეს რომ არ ეთქვა, სნეულს მხოლოდ შეტევა ჰქონდაო, მისი სიკვდილი ყველამ აღიარა.

25-26. **და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა ქალი იგი. და განჴდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა.** – სადაც ბრბო და ამაო ხმაურია, იესო იქ სასწაულებს არ აღასრულებს. მან ხელი ჩასჭიდა გოგონას ხელს და ძალა გადასცა. ასევე შენც, უკეთუ ცოდვები მოგაკვდინებენ, მყისვე აღდგები, როგორც კი ხელს ჩაგჭიდებს და ბრბოსა და ამაო ხმაურს განდევნის.

27. **და წარმო-რაჲ-ვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, ღაღადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!** – ბრმები მას, ვითარცა ღმერთს, ეუბნებოდნენ **შეგვიწყალეო**, ხოლო ვითარცა კაცს, მიმართავდნენ – **ძეო დავითისო**, რადგან იუდეველთა შორის ფრიად გავრცელებული იყო აზრი, რომ მესია დავითის თესლისაგან მოვიდოდა.

28. **და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუხდეს მას ბრმანი იგი და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.** – ბრმები სახლამდე იმიტომ მიიყოლა, რომ მათი რწმენის სიმტკიცე ეჩვენებინა და იუდეველები ემხილებინა; ეკითხება მათ, სწამდათ თუ არა, რითაც გვაჩვენებს, რომ რწმენას ყველაფერი შეუძლია.

29-30. **მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ. და მეყსეულად აღეხუნეს თუალნი მათნი.** – იგი მათ სახლში, სხვათა თანდასწრების გარეშე, კურნავს, რადგან დიდების მოყვარე არ იყო, და ყველგან სიმდაბლის სიბრძნეს ასწავლიდა.

30-31. **და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის. ხოლო იგ-**

ინი გამოვიდეს და მიმოდადვეს იგი ყოველსა მას ქუეყანასა. – ხედავ, სიმდაბლეს ქრისტესი? მაგრამ მათ მაინც გათქვეს, თუმცა არა შეუსმენლობის, არამედ მადლიერების გამო. თუ ზოგჯერ უფალი ვინმეს ეუბნება: წადი და ღმრთის დიდება იქადაგეო, ეს ზემოთქმულს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება, რადგან მას სურს, რომ თავად მასზე არ თქვან არაფერი, თორემ ღმრთის დიდებაზე, პირიქით, იქადაგონ.

32-33. და ვითარცა-იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუჲ და ეშმაკეული. და ვითარცა განჴადა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუჲ იგი. – რაკი სნეულება მას არა ბუნებით, არამედ ეშმაკისაგან ჰქონდა, ამიტომაც მოიყვანეს სხვებმა. თავად არ შეეძლო განკურნება ეთხოვა, რადგან დემონისაგან ენა შეკრული ჰქონდა. ამიტომ უფალმა რწმენა კი არ მოსთხოვა, არამედ მსწრაფლ განკურნა, განდევნა რა ეშმაკი, რომელიც ლაპარაკს უშლიდა.

და დაუკვრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: არასადა ისრაჱლსა შორის ესრეთ გამოჩნდა. – გაკვირვებულმა ხალხმა ქრისტე წინასწარმეტყველთა და მამათმთავართა მაღლა დააყენა, რადგან ძალაუფლებით კურნავდა და არა ლოცვით, როგორც ისინი. ვნახოთ, რას ამბობენ ფარისეველნი:

34. ხოლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა. – უკიდურესი სიგიჟის გამომხატველი სიტყვებია! რადგან არცერთი დემონი დემონს არ განდევნის. დავუშვათ, რომ იგი დემონებს, ვითარცა მსახური დემონთა მთავრისა, ან ვითარცა მოგვი, ისე დევნიდა, მაგრამ სნეულებათა და ცოდვათაგან როგორღა ათავისუფლებდა და სასუფეველზე როგორღა ქადაგებდა? დემონი ხომ სრულიად სხვაგვარად იქცევა; სნეულებებს წარმოშობს და ღმრთისგან განაშორებს.

35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის. – კაცთმოყვარე უფალი არ ელოდება, მასთან როდის მივლენ, არამედ თვითონ დადის, რათა თავი ვინმეს იმით არ ემართლებინა, რომ ჩვენთვის არავის უსწავლებიაო. საქმითაც და სიტყვითაც იზიდავდა მათ, ასწავლიდა და სასწაულებსაც აღასრულებდა.

36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცჳნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. – არ ჰყავდათ მწყემსი, რადგან მთავარნი არათუ მათი ცხოვრების სწორად წარმართვაზე არ ზრუნავდნენ, არამედ, პირიქით, ვნებდნენ კიდეც, მაშინ, როცა ჭეშმარიტი მწყემსის საქმე სამწყსოზე ზრუნვაა.

37-38. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა. – სამკალს ხალხს უწოდებს, რომელსაც მზრუნველობა სჭირდება, ხოლო მუშაკებს იმათ, რომელთაც უნდა ასწავლონ, მაგრამ რომელ-

ნიც იმ დროს იუდეველთა შორის არ იყვნენ. სამკალის უფალი თავად ქრისტეა, – უფალი წინასწარმეტყველთა და მოციქულთა. ეს იქიდანაც ცხადია, რომ თორმეტი მოციქული ისე დაადგინა, ღმრთისთვის არ უთხოვია. აბა, მოუსმინე!

თავი X

1. **და მოუწოდა ათორმეტთა მოციქულთა თჳსთა და მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა.** – თორმეტი მოწაფე თორმეტი ტომის მიხედვით აარჩია. მისცა რა ძალა, თუმცა ცოტანი იყვნენ, მაინც წარგზავნა, რადგან საერთოდაც ცოტანი არიან ისინი, რომელნიც ვიწრო გზით მიდიან. სასწაულთმოქმედების ძალაც უბოძა, რათა განაცვიფრებდნენ რა სასწაულებით, სწავლებისადმი ყურადღებიანი მსმენელნი ჰყოლოდათ.

2. **ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა ძმაჲ მისი.** – მოციქულთა სახელებს მათე, ცრუმოციქულთაგან მათ გასარჩევად ჩამოთვლის. უწინარესად პეტრესა და ანდრეას ასახელებს, რადგან მაცხოვარმა პირველად მათ მოუწოდა; შემდეგ – ზებედეს ვაჟებს, მათგან იაკობს იოვანეზე წინ აყენებს, რადგან მოციქულებს არა ღირსების მიხედვით, არამედ უბრალოდ, როგორც მოხვდება, ისე ჩამოთვლის. ამგვარად ის ამბობს:

2-4. **იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა გასცა იგი.** – ყურადღება მიაქციე მათეს თავმდაბლობას, რომელმაც თავისი თავი თომას შემდეგ დააყენა; ხოლო როცა იუდამდე მივიდა, ეს საძაგელი და ეს ღმრთის მტერიო კი არ თქვა, არამედ სახელი ისკარიოტელი მისი მამულის მიხედვით უწოდა, რადგან მეორე იუდაც იყო – ლებეოსი ანუ თადეოზი. ამრიგად, ორი იყო იაკობი: ერთი ზებედესი, ხოლო მეორე – ალფესი, და ორი იუდა: თადეოზი და გამცემი; სამი სიმონი: პეტრე, კანანელი და გამცემი, რადგან იუდა ისკარიოტელიც სიმონად იწოდებოდა.

5-7. **ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, არამედ მიეედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა, და მირაჲ-ხჳდეთ, ქადაგებდით და იტყოდით, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.** – ესე! რომელნი ესე? მეთევზენი, უბრალო ადამიანები, მეზვერენი. უწინარესად ისინი იუდეველებთან წარგზავნა, რათა სათქმელად არ ჰქონოდათ: – რადგანაც მოციქულები წარმართებთან წარივლინენ, ამიტომ ჩვენ, იუდეველებმა, არ ვირწმუნეთო. ასე წაართვა უფალმა იუდეველებს თავის გამართლების საბაბი. სამარიელები მან წარმართების გვერდით დააყენა, რადგან ისინი, ყოფილი ბაბილონელები, იუდეაში დამკვიდრდნენ და წინას-

წარმეტყველები არ მიიღეს, არამედ მხოლოდ მოსეს ხუთ წიგნს ცნობდნენ, ზეცათა სასუფეველში კი მომავალ ტკბობას მოიაზრებდნენ. შეაიარაღა რა მოციქულები სასწაულებით, უფალი მათ ეუბნება:

8. **უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით.** – არაფერი ისე არ შეშვენის მასწავლებელს, როგორც სიმდაბლე და უანგარობა. ამიტომაც წარმოაჩენს ორივეს აქ, როცა ეუბნება: **უსასყიდლოდ მიგიღებიეს,** მაგრამ ამ სიკეთეთა მფლობელნი და გამცემნი თავს ნუ აიმაღლებთ, რადგან მათ უსასყიდლოდ და მადლით ფლობთ, არამედ სიმდაბლის სიბრძნესთან ერთად გულუხვნიც იყავით და **უსასყიდლოდ მიეცითო** – ეუბნება. ძირფესვიანად თხრის რა ყოველგვარ ბოროტებას, ასწავლის:

9-10. **ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჴამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა.** – განსწავლის რა ყოველგვარი სიმკაცრით, და განაშორებს რა მათ ფუფუნებისაგან, უზრუნველებად აქცევს და კვერთხის ტარებასაც კი უკრძალავს, რადგან ეს სრული უანგარობა რწმენას წარმოშობს მის მიმართ, ვინც უანგარობას ასწავლის. შემდეგ, რომ არ იკითხონ, საჭმელი საიდან ვიშოვოთო, ეუბნება: **ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა**, ანუ თქვენი მოწაფეები გასაზრდოებენ, რადგან თქვენ, ვითარცა მუშაკებს, საზრდელი მათ უნდა მოგიპოვონო. საზრდელზე ლაპარაკობს და არა ფუფუნებაზე[10], რადგან მასწავლებელი ფუფუნებით არ უნდა ცხოვრობდეს.

11. **რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხჳდეთ, გამოიკითხეთ; ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე.** – უბრძანებს ყველასთან არ მივიდნენ, რათა უღირსებთან ურთიერთობების გამო ცილი არ დაეწამებინათ მათთვის, ხოლო უკეთუ მხოლოდ ღირსეულებთან მივიდოდნენ, რაღა თქმა უნდა, საზრდელიც ექნებოდათ. უბრძანებს, აგრეთვე, დარჩენას და არა გადასვლას სახლიდან სახლში, რათა ვითარცა ღორმუცელები არ გაკიცხულიყვნენ და იმათაც, რომელნიც პირველნი მიიღებდნენ, თავი შეურაცხყოფილად არ ჩაეთვალათ.

12-13. **და შე-რაჲ-ხჳდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას! და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოჳდეს მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა, უკუეთუ არა ღირს იყოს, მშჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.** – მოკითხვა და მშვიდობა კურთხევად მოიაზრე, რომელიც მხოლოდ ღირსეულებზე რჩება. აქედან კი ისწავლე, რომ ჩვენ უპირატესად ჩვენი საქმენი გვაკურთხებენ.

14-15. **და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჴთა თქუენთაჲ. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.** – უფალს

[10] ბერძნულში სიტყვების თამაშია: ἡ τροφή – საზრდელი და ἡ τρυφή – ფუფუნება.

სურს, მტვერიც ჩამოიფერთხონ, რათა აჩვენონ, რომ მათი ურწმუნოებისა გამო, იქიდან არაფერი წამოუღიათ, ან კიდევ იმის დასამოწმებლად, რომ გრძელი იყო გზა, რომელიც მათ განვლეს, მაგრამ უსარგებლო. ამრიგად, სოდომელებს უფრო მეტი შვება ექნებათ, ვიდრე ამ ურწმუნოებს, რადგან სოდომელნი, რომელნიც აქვე დაისაჯნენ, იქ გაცილებით ნაკლებად დაისჯებიან.

16. აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. – უფალმა შეაიარაღა ისინი სასწაულებით და საზრდელითაც უზრუნველყო, გაუღო რა კარები ღირსეულთა. ახლა კი, წინასწარმჭვრეტელობას აჩვენებს და იმ საფრთხეებზე ესაუბრება, რომელიც მათ შეემთხვევათ; ამხნევებს და ეუბნება: მე ძლიერი ვარ, ამიტომ გამხნევდით, რადგან ხელშეუხებელნი იქნებითო, მაგრამ ტანჯვისთვისაც ამზადებს. ისევე როგორც შეუძლებელია ცხვარმა მგელთა შორის ტანჯვა არ განიცადოს, ასევე თქვენც – იუდეველთა შორის; მაგრამ კიდევაც რომ დაიტანჯოთ, ნუ განრისხდებით. მინდა, რომ, ვითარცა ცხოვარნი, უწყინარნი იყოთ და გამარჯვება უფრო მეტად ამით მოიპოვოთ.

იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი. – სურს, აგრეთვე, რომ მოწაფენი გონიერნიც ყოფილიყვნენ. როცა ცხვრებთან მათ შედარებაზე მოისმენ, რათა არ იფიქრო, ქრისტიანი გონებასუსტი უნდა იყოსო, გვეუბნება, რომ მას სწორედ გონიერება ჰმართებს და ცოდნა იმისა, მრავალრიცხოვან მტერთა შორის როგორ იცხოვროს; რადგან, ვითარცა გველი, რომელიც დარტყმისათვის მთელ ტანს უთმობს, მაგრამ თავს იფარავს, ასევე ქრისტიანმაც მტანჯველებს ყოველივე, თვით სხეულიც კი უნდა მისცეს, მაგრამ თავი, რომელიც ქრისტეა და რწმენა მისი, უნდა დაიცვას. მსგავსად გველისა, რომელიც რომელიმე ვიწრო ხვრელში ეჭედება და გამოძრომისას ძველ ტყავს ტოვებს, ასევე ჩვენც ვიწრო გზით უნდა ვიაროთ და ძველი კაცი განვიძარცვოთ. მაგრამ რადგანაც გველი მავნებელიცაა, უფალი გვიბრძანებს ვიყოთ უმანკონი, ანუ წრფელნი, უბოროტონი და უვნებელნი, ვითარცა მტრედნი. ისინი ხომ შვილების წართმევისა და დევნის დროსაც კი მყისვე პატრონებს უბრუნდებიან. ამგვარად, იყავი ბრძენი, ვითარცა გველი, რათა ცხოვრებაში არ დაგცინონ და ყოველივე უზადო გქონდეს, ხოლო რაც სხვის ვნებას შეეხება, იყავი ვითარცა მტრედი, ანუ უბოროტო.

17-18. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს საწამებელად მათდა და წარმართთა. – ხედავ, რას ნიშნავს იყო გონიერი? სიფრთხილეს და საბაბის არ მიცემას მათთვის, რომელთაც შენი დევნა სურთ და საკუთარ საქმეთა გონივრულად წარმართვას. უკეთუ მდევნელი შენთვის ქონების ან პატივის წართმევას მოისურვებს, მიეცი, რათა არ ჰქონდეს საბაბი დევნისა, მაგრამ უკეთუ რწმენის წართმევა მოინდომა, დაიცავი თავი შენი. ქრისტეს განზრახული ჰქონდა მოწაფენი არა მხოლოდ იუდეველებთან, არამედ წარმართებთანაც წარეგზავნა, ამიტომაც

ეუბნება მათ: **საწამებელად მათდა და წარმართთა**, ანუ იმათ სამხელად, რომელთაც არ სწამთ.

19-20. **და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის.** – რომ არ ეკითხათ, როგორღა შევძლებთ ჩვენ, უბრალო ადამიანები, ბრძენთა დარწმუნებასო, უბრძანებს გამხნევდნენ და ამისთვის არ იზრუნონ. უკეთუ საუბარი მორწმუნეებთან გველის, საჭიროა თავის დასაცავად წინასწარ მოვემზადოთ, როგორც ამას პეტრე გვაუწყებს(1პეტ.III.15). ხოლო გამძვინვარებულ ბრბოსა და მეფეთა წინაშე წარდგომისას, რომ არ შევშინდეთ, ამისათვის უფალი თავის შემწეობას გვპირდება. აღიარება რწმენისა ჩვენი საქმეა, ხოლო ბრძნულად დაცვა მისი – ღმრთისგან ბოძებული ნიჭი. ეჭვი რომ არ აღგვეძრას იმისა, რომ დაცვისას ბუნებრივი ნიჭით ვმოქმედებთ, გვეუბნება: არა თქუენ იმეტყველებთ, არამედ – სული.

21. **რამეთუ მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილდ და მამამან – შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ**. – წინასწარ ეუბნება მათ, რაც შეემთხვევათ, რათა როცა შეემთხვევათ, არ შეძრწუნდნენ. უჩვენებს, აგრეთვე, ქადაგების ძალასაც, რომელიც ამქვეყნიურის არადჩაგდებისაკენ აქეზებს, რადგან ასეთია ქრისტიანობა. მაგრამ ქრისტე იმათ სიცოფესაც წარმოაჩენს, რომელნიც შინაურებსაც კი არ შეიწყალებენ.

22. **და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს. – ყოველთაგან** აქ იგივეა, რაც **მრავალთაგან**, რადგან ყველას არ მოუძულებია ისინი; ისეთებიც ხომ იყვნენ, რომელთაც რწმენა მიიღეს. ვინც ბოლომდე დაითმენს და არა მხოლოდ თავიდან, ის საუკუნო ცხოვრებას ეზიარება.

23. **რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად. ამენ გეტყჳ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲ, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მოვიდეს.** – ზემოთ ნათქვამი შიშის მომგვრელი სიტყვები: **მიგცემდენ თუენ, იყვნეთ თქუენ მოძულებულ**, იმაზე მიუთითებს, რაც ამაღლების შემდეგ უნდა მომხდარიყო; ხოლო ის, რასაც ახლა ამბობს, სახელდობრ, თქვენ, დევნილნი, ისრაელის ქალაქთა შემოვლას ვერ მოასწრებთ, რომ მე თქვენთან მოვალო, ჯვარცმის წინა მოვლენებს ეხება. დევნის დაწყებისას გაქცევას უბრძანებს, რადგან აშკარად თავის საფრთხეში ჩაგდება და მიზეზის მიცემა მკვლელებისათვის მათი განსჯისათვის, რაც იმათთვის, რომელნიც ქადაგებისგან სარგებლობის მიღებას იმედოვნებდნენ, ვნების მიყენება იქნებოდა, ეშმაკის საქმეა. ხოლო სიტყვებში: **ვიდრემდის ძე კაცისაჲ მოვიდეს**, მეორედ მოსვლას კი ნუ იგულისხმებ, არამედ ის მოსვლა და ნუგეშინისცემა მოიაზრე, რომელიც ჯვარცმამდე მოხდებოდა; საქადაგებლად წარგზავნილი მოწაფეები ხომ კვლავ ქრისტესთან დაბრუნდნენ და მასთან ერთად იმყოფებოდნენ.

24-25. **არა არს მოწაფე უფროჲს მოძღვრისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. კმა არს მოწფისა მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თჳსი.** – აქ სხვების შეურაცხყოფისაგან თავის შეკავებას ასწავლის. უკეთუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დავითმინე, მით უმეტეს უნდა დაითმინოთ თქვენ – მოწაფეებმა და მონებმა. მაგრამ შენ იკითხავ: როგორ ამბობს – **არა არს მოწაფე უფროჲს მოძღვრისა**, მაშინ, როცა მრავალ მოწაფეს ვხედავთ, რომელნიც მასწავლებლებზე უმჯობესნი არიან? მაშ იცოდე: ვიდრე ისინი მოწაფენი არიან, მასწავლებლებზე დაბლა დგანან, ხოლო რაჟამს უმჯობესნი გახდებიან, უკვე მოწაფენი აღარ არიან, მსგავსად მონისა, რომელიც ვიდრე მონაა, თავის ბატონზე მაღლა ვერ დადგება.

25-26. **უკუეთუ სახლისა უფალსა ბელზებულით ჰხადოდეს, რაოდენ უფროჲს სახლეულთა მისთა? ნუუკუე გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარული რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს.** – თავი ინუგეშეთ იმით, – ეუბნება, – რასაც მე ვითმენ. უკეთუ მე დემონთა მთავარი მიწოდეს, რა გასაკვირი იქნება, უკეთუ ცილს დაგწამებენ თქვენ, ჩემს სახლეულებსაც? სახლეულნი(შინაურნი) უწოდა და არა მონები, აჩვენა რა ამით, რამდენად ახლო იყო მათთან. გამხნევდით, რადგან სიმართლე არ დაიმალება, არამედ თქვენს სათნოებასაც და ცილისმწამებელთა ბოროტებასაც დრო წარმოაჩენს; არ არსებობს ხომ დაფარული, რომელიც არ განცხადდება. ასე რომ, ცილიც რომ დაგწამონ, ბოლოს მაინც შეგიცნობენ.

27. **რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა.** – რაც მხოლოდ თქვენ და ისიც ერთ ადგილას გასწავლეთ, – ამას ნიშნავს სიტყვები: **ყურთა გესმა** და **ბნელსა შინა**, – ის თქვენ გაბედულად და ხმამაღლა ასწავლეთ. ისე რომ, თქვენი ყველას ესმოდეს; მაგრამ რადგანაც გაბედულებას საფრთხეც მოსდევს, დასძენს:

28. **და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ ჴორცნი, ხოლო სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად, არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჴორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა.** – ასწავლის, რომ სიკვდილიც არად ჩააგდონ, რადგან, სასჯელი გეჰენიისა ბევრად უფრო საშინელიაო – ამბობს. უკეთუ მკვლელები მხოლოდ ხორციელად გვანადგურებენ, ხოლო სულს, შესაძლოა, სიკეთეც კი უყონ, ღმერთი ჩააგდებს რა გეჰენიასა შინა, ორივეს – სულსაც და სხეულსაც დასჯის. როცა გეჰენიაზე ამბობს, მარადიულ სასჯელზე მიუთითებს.[11]

29-31. **ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.** – მოწაფენი რომ არ შეშფოთებულიყვნენ, გვტოვებ-

[11] ტექსტის სხვა რედაქციაში(Cod. 32) სიტყვის „გეჰენია“ ეტიმოლოგიაა განმარტებული, კერძოდ, ნათქვამია, რომ: გეჰენია ἀεὶ γεαννᾶσθαι-ისაგან(მარადიული შობა) წარმოდგება.

სო, ეუბნება; უკეთუ ბელზურებსაც კი ვერ დაიჭერენ ისე, რომ მე არ ვიცოდე, როგორ დაგტოვებთ თქვენ, რომელნიც მიყვარხართ? წარმოაჩენს რა თავის სრულყოფილ ცოდნასა და განგებულებას, გვეუბნება, რომ მისგან ჩვენი თმაც კი აღრიცხულია. ნუ იფიქრებთ, რომ ბელზურებს ღმრთის თანამონაწილეობით იჭერენ, თუმცაღა, არც ისაა მისთვის უცნობი, რომ იჭერენ.

32-33. **ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა**. – დამოწმებისაკენ მოგვიწოდებს, რამეთუ რწმენას, რომელიც მხოლოდ სულშია, არასაკმარისად თვლის და სურს რწმენა, რომელიც ბაგეებითაც იქნება აღიარებული. არ უთქვამს: რომელიც **მე** მაღიარებსო, არამედ **ჩემდამო**(ჩემით) ე. ი. ჩემი ძალითო, რადგანაც აღმსარებელი რწმენას მაღლიდან ბოძებული მადლის შემწეობით აღიარებს. ხოლო უარისმყოფელთა მიმართ არა **ჩემითო**, თქვა, არამედ **მე**(უვარ-მყოს მე), რითაც გვაჩვენა, რომ უარისმყოფელს შემწეობა ზემოდან არა აქვს. ყოველი, ვინც ქრისტეს, ვითარცა ღმერთს, აღიარებს, იხილავს ქრისტეს, რომელიც მის შესახებ წინაშე მამისა აღიარებს, რომ იგი ერთგული მონაა. ხოლო უარისმყოფელნი მოისმენენ: **არა გიცი თქუენ.**

34-36. **ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული – დედისაგან თჳსისა და სძალი – დედამთილისაგან თჳსისა. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი.** – ყოველთვის კარგი არაა თანხმობა, არამედ არის შემთხვევაც, როცა კარგი განყოფაა. მახვილი სარწმუნოების სიტყვაა, რომელიც ჩვენ შინაურთა და ნათესავთაგან გამოგვყოფს, თუკი ისინი ღმრთისმოსაობაში ხელს შეგვიშლიან. უფალი იმას კი არ გვეუბნება, რომ მათ რაღაც უბრალო მიზეზის გამო უნდა გავშორდეთ ან გამოვეყოთ, არამედ მხოლოდ მაშინ, რაჟამს არ გვეთანხმებიან, ან უფრო მეტიც, წინაც კი გვეღობებიან რწმენის გზაზე.

37. **რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემისა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.** – ხედავ? მშობლები და შვილები მხოლოდ მაშინ უნდა მოვიძულოთ, რაჟამს მოისურვებენ, რომ ისინი ქრისტეზე მეტად შევიყვაროთ. მაგრამ მამასა, დედასა და შვილებზე რაღას ვამბობ? უფრო მეტიც მოისმინე:

38. **და რომელმან არა აღიღოს ჯჳარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს**. – ვინც, – ამბობს, – ამ ცხოვრებას არ უარყოფს და თავს სამარცხვინო სიკვდილისათვის არ მისცემს(რადგან ჯვარი ძველებისათვის ამას ნიშნავდა), არ არის ჩემი ღირსიო. მაგრამ, რადგანაც მრავალს ჯვარს, ვითარცა ავაზაკსა და ქურდს, ისე აცვამდნენ, ამიტომაც დასძენს: **რომელიც მე შემომიდგება**, ანუ ის, ვინც ჩემი კანონებით იცხოვრებსო.

39. **რომელმან მოიპოოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარი-**

წყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი. – ის, ვინც ხორციელ ცხოვრებაზე ზრუნავს, ფიქრობს, რომ თავის სულს უფრთხილდება. სინამდვილეში კი, უმზადებს რა მას მარადიულ სასჯელს, ღუპავს, ხოლო ვინც თავის სულს სწირავს და კვდება, მაგრამ არა როგორც ყაჩაღი, ან თვითმკვლელი, არამედ ქრისტესათვის, იგი, პირიქით, მოიპოვებს მას.

40-41. **რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს.** – მოგვიწოდებს, რომ ისინი, ვინც ქრისტესთან არიან, შევიწყნაროთ, რადგან ვინც პატივს მის მოწაფეებს მიაგებს, პატივს მიაგებს მასაც და მის მიერ მამასაც. საჭიროა შეწყნარება მართალთა და წინასწარმეტყველთა სახელით მართლისა და წინასწარმეტყველისა, ანუ იმიტომ, რომ ისინი მართალნი და წინასწარმეტყველნი არიან და არა მეფეთა წინაშე რამდენადმე პირველობისა და მათი შემწეობის გამო. მაგრამ უკეთუ ვინმე წინასწარმეტყველი მხოლოდ გარეგნულადაა, ხოლო საქმით – არა, შენ ისიც შეიწყნარე ვითარცა წინასწარმეტყველი, და ღმერთი სამაგიეროს ისე მოგაგებს, თითქოს მართლაცდა წინასწარმეტყველი შეგეწყნარებინოს, რადგანაც სიტყვები: **სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს** ამას ნიშნავს. შეიძლება სხვაგვარადაც გაიგო, სახელდობრ, რომ მართლად იწოდება ისიც, ვინც მართალს იწყნარებს და იმავე საზღაურს მიიღებს, რასაც მართალნი იღებენ.

42. **და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.** – რომ სიღარიბე არ მოემიზეზებინათ, უფალი ამბობს: უკეთუ ვინმეს ერთ ჭიქა ცივ წყალს მიაწვდი, იმიტომ რომ იგი ჩემი მოწაფეა, მის საზღაურს მიიღებო. ჭიქა ცივი წყლის მიმწოდებელია ისიც, ვინც რისხვის ცეცხლითა და ვნებებით ალმოდებულს განსწავლის, დამოძღვრავს და მას ქრისტეს მოწაფედ აქცევს; ამიტომ თავის საზღაურს არც ის დაკარგავს.

თავი XI

1. **და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდეს, მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.** – წარგზავნა რა მოწაფენი, იგი დამშვიდდა და სასწაულებს აღარ აღასრულებდა, არამედ მხოლოდ სინაგოგებში ასწავლიდა. აქ რომ დარჩენილიყო და სნეულნი განეკურნა, მაშინ მოწაფეებს აღარ მიმართავდნენ. ამიტომ, განკურნების საშუალება მათაც რომ ჰქონოდათ, თვითონ წავიდა.

2-3. **ხოლო იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი, მივლინნა ორნი მოწაფენი თჳსნი და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?** – იმიტომ კი არ ეკითხება იოვანე, რომ ქრისტეს ვერ ცნობს, რად-

გან როგორ შეიძლება ვერ ეცნო ის, ვის შესახებაც დაამოწმა: **აჰა ტარიგი ღმრთისაჲ**(ინ.1,29). მაგრამ, რადგანაც მის მოწაფეებს ქრისტესი შურდათ, მასთან წარგზავნა, რათა სასწაულები ეხილათ და ერწმუნათ, რომ ქრისტე იოვანეზე დიდი იყო. ამიტომაც დაიჭირა თავი ისე, თითქოს ვერ ცნობდა და შეეკითხა: **შენ ხარა მომავალი**? ანუ ის, ვისაც წმინდა წერილის მიხედვით ელოდებიან, რომ ხორციელად მოვა? ზოგიერთი ამბობს, რომ გამოთქმით, **რომელიც უნდა მოვიდეს**(ὁ ἐρχόμενος) იოვანე ჯოჯოხეთში ჩასვლაზე ეკითხება, თითქოს მან ამის შესახებ არ იცოდა და ეკითხებოდა: შენ ხარ ის, ვინც ჯოჯოხეთში უნდა ჩავიდეს თუ სხვას უნდა ველოდოთ? მაგრამ ეს უაზრობაა, რადგან როგორ შეიძლებოდა იოვანეს, რომელიც წინასწარმეტყველთაგან უდიდესია, არ სცოდნოდა ქრისტეს ჯვარცმასა და ჯოჯოხეთში ჩასვლის შესახებ, მაშინ, როცა ტარიგი თვითონ უწოდა, რადგან ჩვენთვის უნდა დაკლულიყო? ამგვარად, იოვანემ იცოდა, რომ უფალი ჯოჯოხეთში სულით ჩავიდოდა, რათა, როგორც ამას გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს, იქიდანაც ეხსნა ისინი, რომელნიც ირწმუნებდნენ, უფალი რომ მათ სიცოცხლეში განკაცებულიყო. ამგვარად, იმიტომ კი არ ეკითხება, რომ ვერ ცნობს, არამედ იმიტომ, რომ თავისი მოწაფენი ქრისტესადმი მტკიცე რწმენით აღავსოს მისივე სასწაულების ძალით. მაგრამ ნახე, რას ამბობს ქრისტე ამ კითხვის პასუხად:

4-6. **ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ: ბრმანი აღიხილვენ, კელობელნი ვლენან, კეთროვანი განწმდებიან, და ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ**. – არ უთქვამს: უთხარით იოვანეს, რომ მე ვარ ის, რომელიც უნდა მოვიდესო, არამედ იცოდა რა, რომ იოვანემ მოწაფენი მასთან სასწაულთა სახილველად წარგზავნა, უთხრა: უთხარით იოვანეს, რასაც ხედავთ, და მას მიზეზი მიეცემა, რომ თქვენს წინაშე ჩემს შესახებ უფრო მეტად დაამოწმოსო. გლახაკებში, რომელთაც ეხარებათ, ან სახარების მქადაგებელნი ანუ მოციქულები მოიაზრე, რადგანაც ისინი, ვითარცა მეთევზენი, ღატაკნი იყვნენ და აბუჩად აგდებულნი უბრალოებისა გამო, ან კიდევ მსმენელნი სახარებისა და მარადიულ ნეტარებათა შესახებ უწყებისა. აჩვენებს რა იოვანეს მოწაფეებს, რომ მისთვის დაფარული არაა, რასაც ისინი ფიქრობენ, ეუბნება: ნეტარია ის, რომელიც ჩემში არ შეცდებაო, რადგან მათ მის მიმართ დიდი ეჭვები ჰქონდათ.

7. **და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყო იესუ, სიტყუად ერსა მას იოვანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?** – შესაძლოა, რომ ხალხი რომელმაც იოვანეს კითხვა მოისმინა, ცდუნდა: ხომ არ დაეჭვდა ქრისტეს მიმართ თვით იოვანეც და აზრი ადვილად ხომ არ შეიცვალა, თუმცაღა პირველად ქრისტეს შესახებ დაამოწმა? ამგვარი ეჭვი რომ გაექარწყლებინა, ქრისტე ამბობს: იოვანე არ არის ლერწამი ანუ მერყევი, რადგან, თუკი ასეთი იყო, როგორღა მიდიოდით მასთან უდაბნოში? თქვენ ხომ არა

ლერწამთან, ანუ კაცთან, რომელიც ადვილად იცვლება, მიდიოდით, არამედ დიდსა და მტკიცე ადამიანთან, რომელიც იმადვე რჩება, როგორადაც თქვენ მას მიიჩნევდით.

8. **არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩჳლითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩჳლითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლსა შინა სამეუფოთა შემოსილ არიან**. – რომ არ ჰქონოდათ სათქმელად, ფუფუნებას დაემონა და ბოლოს გასათუთდაო, ეუბნება, რომ – არა! რადგან ბეწვიანი სამოსი აჩვენებს, რომ იგი მტერია ფუფუნებისა. მას რომ რბილი სამოსის ტარება და ფუფუნებით ცხოვრება მოენდომებინა, სამეფო დარბაზებში იქნებოდა და არა საპყრობილეში. ისწავლე, რომ ჭეშმარიტმა ქრისტიანმა რბილი სამოსი არ უნდა ატაროს.

9. **არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა**. – იოვანე წინასწარმეტყველზე მეტი იყო, რადგან სხვა წინასწარმეტყველები ქრისტეს შესახებ მხოლოდ წინასწარმეტყველებდნენ, ამან კი თავად იხილა იგი, რასაც მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, სხვები ჯერ იშვნენ და შემდეგ იწინასწარმეტყველეს, ამან კი ქრისტე დედის წიაღშივე მყოფმა იცნო და „ჰკრთებოდა“.

10. **რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა.** – ანგელოზი უწოდა, რადგან ანგელოზურსა და თითქმის უსხეულო ცხოვრებას ეწეოდა და იმის გამოც, რომ ქრისტეს შესახებ აუწყებდა და ქადაგებდა. მან განუმზადა გზა ქრისტეს, ამოწმებდა რა მის შესახებ და ნათელს სცემდა რა მონანულებს, რადგან სინანულს ცოდვათა მიტევება მოჰყვება, რომელ მიტევებასაც ქრისტე იძლევა. პირფერობად რომ არ მოჩვენებოდათ, ქრისტე იოვანეს შესახებ მხოლოდ მისი მოწაფეების წასვლის შემდეგ ამბობს, ნათქვამი წინასწარმეტყველება კი მალაქიას ეკუთვნის.

11. **ამენ გეტყჳ თქუენ: არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოვანეს ნათლის-მცემელისა**. – დარწმუნებით აცხადებს, რომ არავინ არის ისეთი, ვინც იოვანეზე დიდი იქნებოდა. ხოლო როცა ამბობს – **დედათა ნაშობთაგანო**, თავის თავს გამორიცხავს, რადგან თვითონ ქრისტე არა ქალისგან, ანუ ქორწინებაში მყოფისაგან, არამედ ქალწულისაგან იშვა.

ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროჲს მისა არს. – რადგანაც იოვანეს შესახებ მრავალი ქება თქვა, რომ არ ეფიქრათ, იგი მასზე დიდიც არისო, აქ უფრო გარკვეულად ამბობს; მართალია მასთან შედარებით მე ასაკითაც და თქვენი აზრითაც უფრო პატარა ვარ, მაგრამ ცათა სასუფეველში, ანუ სულიერთა და ზეციურთა სიკეთეთა მიმართებით, მასზე დიდი ვარ. აქ შედარებით მცირე ვარ, რადგან იგი უწინარეს ჩემსა დაიბადა და თქვენს მიერაც დიდადაა მიჩნეული, მაგრამ იქ მასზე დიდი მე ვარ.

12. **რამეთუ დღითგან იოვანე ნათლის-მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფე-**

ველი ცათაჲ იიძულებისა; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი. – ისე ჩანს, თითქოს ეს ნათქვამი კავშირში არაა იმასთან, რაც ადრე ითქვა, მაგრამ არა! მიაქციე ყურადღება! როცა ქრისტემ თქვა, რომ იოვანეზე დიდი იყო, ისინი მისი რწმენისათვის აღძრა, აჩვენა რა, რომ ცათა სასუფეველს, ანუ მის რწმენას მრავალნი მიიტაცებენ. მაგრამ ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს; მამისა და დედის დატოვებასა და საკუთარი თავის უარყოფას ხომ მართლაც დიდი ძალა სჭირდება!

13. **რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და სჯული ვიდრე იოვანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.** – აქაც იგივე თანმიმდევრობაა, რაც ზემოთ; უფალი ამბობს: მე ვარ ის, რომელიც უნდა მოსულიყო, რადგანაც ყველა წინასწარმეტყველება აღსრულდა, მაგრამ არ აღსრულდებოდა, მე რომ არ მოვსულიყავი. ამიტომაც ამას იქით, ნუღარაფერს ელით.

14. **და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს.** – ეუბნება: თუ შეწყნარება გსურთო, ანუ უკეთუ კეთილგონივრულად განსჯით და არა შურით, ის არის, ვისაც წინასწარმეტყველმა მალაქიამ მომავალი ელია უწოდა. რადგან წინამორბედსაც და ელიასაც ერთი და იგივე მსახურება ჰქონდათ. ერთი წინამორბედი იყო პირველად მოსვლისა, ხოლო ელია მომავალი(მეორედ) მოსვლის წინამორბედი იქნება. შემდეგ, აჩვენებს: იოვანე რომ ელიაა, ეს იგავია, რომლის ჩაწვდომასაც გააზრება სჭირდება და ამბობს:

15. **რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!** – ამგვარად აღძრავს მათ, რომ ჰკითხონ და მისგან გაიგონ.

16-17. **აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუწესედ მოყუასთა თჳსთა და ეტყჳედ მათ: გისტჳნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით, გიგოდებდით და არა იტყებდით.** – აქ იუდეველთა თვითრჯულობაზეა მინიშნებული. იმის გამო, რომ თვითრჯულნი იყვნენ, არც იოვანეს სიმკაცრე მოსწონდათ და არც უბრალოება ქრისტესი, არამედ თავნება ყრმებს ჰგავდნენ, რომელთაც ადვილად ვერ აამებ; გინდა იტიროს ვინმემ მათთვის, გინდა სალამურზე დაუკრას, სულერთია, მაინც არ მოეწონებათ.

18-19. **რამეთუ მოვიდა იოვანე, არცა ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყჳან: აჰა კაცი მჭამელი და ღჳნის-მსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ.** – გოდებას იოვანეს ცხოვრებას ადარებს, რადგან იოვანემ სიტყვითაც და საქმითაც დიდი სიმკაცრე წარმოაჩინა; ხოლო ქრისტეს ცხოვრებას – სალამურს. უფალი ხომ ყველას მიმართ ალერსიანი იყო, რათა ყველა შეეძინა და ახარებდა რა სასუფევლის შესახებ, ოდნავადაც კი არ ჰქონდა ის სიმკაცრე, რაც – იოვანეს.

და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა. – უფალი ამბობს: რაკიღა თქვენ არც იოვანესა და არც ჩემი ცხოვრება არ მოგწონთ და ხსნის ყოველგვარ გზას უარყოფთ, მე – სიბრძნე – მართალი წარმოვჩნდები. თქვენ უკვე გამართლება აღარ გექნებათ, და, რაღა თქმა უნდა, დაისჯებით, რადგან მე

ყოველივე აღვასრულე, ხოლო თქვენ კი თქვენი ურწმუნოებით ამტკიცებთ, რომ მე მართალი ვარ, რაკიღა უყურადღებოდ არაფერი დამიტოვებია.

20. **მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს**. – მას შემდეგ, რაც აჩვენა, რომ ყველაფერი, რაც უნდა გაეკეთებინა, გააკეთა, მათ კი მაინც არ მოინანიეს, უფალი იუდეველებს საყვედურობს.

21. **ვაჲ შენდა, ქორაზინ და ვაჲ შენდა ბეთსაიდა.** – რათა შენ გაიაზრო, რომ ვინც არ ირწმუნა, ბუნებით კი არ იყო ბოროტი, არამედ საკუთარი ნებით და ბეთსაიდას შეგახსენებს, საიდანაც ანდრეა, პეტრე, ფილიპე და ზებედეს ძენი იყვნენ. ამგვარად, ბოროტება არა ბუნებიდან, არამედ თავისუფალი არჩევანიდან მომდინარეობდა. ბუნებისაგან რომ წარმომდგარიყო, მაშინ ისინიც ბოროტები იქნებოდნენ.

21-22. **რამეთუ ტჳროსს თუმცა და სიდონს იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქუენ**. – უფალი ამბობს, რომ იუდეველნი ტვიროსელებსა და სიდონელებზე უარესნი არიან, რადგან ტვიროსელებმა მხოლოდ ბუნებითი სჯული დაარღვიეს, ხოლო იუდეველებმა – მოსეს სჯულიც; ამასთან, მათ სასწაულები არ უხილავთ, ხოლო ამათ იხილეს და მაინც მკრეხელობდნენ. ძაძა სიმბოლოა სინანულისა, ხოლო ნაცარსა და მტვერს თავზე მგლოვარენი იყრიან, როგორც ამას ჩვენც ვხედავთ.

23-24. **ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰჴდე, რამეთუ სოდომს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ.** – კაპერნაუმი იმის გამო, რომ იესოს ქალაქი იყო, ამაღლდა, სახელი გაითქვა, როგორც მისმა სამშობლომ, მაგრამ აქედან არავითარი სარგებელი არ მიუღია, რადგან არ ირწმუნა; პირიქით, ჯოჯოხეთში ჩავარდნა კიდევ უფრო მეტად მიესაჯა, რადგან ასეთი მკვიდრი ჰყავდა და მისგან ვერავითარი სარგებელი ვერ მიიღო. რამდენადაც **კაპერნაუმი** ითარგმნება როგორც „ნუგეშის ადგილი“, ყურადღება მიაქციე იმას, რომ უკეთუ ვინმე ღირსი შეიქნება **ნუგეშისმცემლის** ანუ სულიწმიდის სამკვიდრებელი გახდეს, შედეგად გაამაყდება და თავს ცამდე აიმაღლებს, ბოლოს ამ სიამაყის გამო ჩამოვარდება. ამგვარად, ძრწოდე, კაცო!.

25. **მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა**. – რასაც უფალი ამბობს, შეიძლება ასე გადმოიცეს. **აღგიარებ**(იგივეა, რაც „გმადლობ“) შენ, მამაო, რომ იუდეველებმა კი არ ირწმუნეს, რომელნიც თავს ვითარცა ბრძენნი და წმინდა წერილის მცოდნენი, ისე აჩვენებდნენ, არამედ – უსწავლელთა და ყრმათა და შეიცნეს საიდუმლოებანი. ღმერთმა მათ-

გან, რომელნიც თავს ბრძნად წარმოადგენდნენ, საიდუმლოებანი დაფარა, არა იმის გამო რომ შურდა, ან მათი უსწავლელობის მიზეზი იყო, არამედ იმიტომ, რომ უღირსნი იყვნენ, რადგან თავი ბრძნად მიაჩნდათ. ვისაც თავი ბრძნად წარმოუდგენია და იმედს თავის საკუთარ გონებაზე ამყარებს, ის ღმერთს არ მოუხმობს; ხოლო ღმერთი, მას ვინც არ მოუხმობს, არც შეეწევა და არც თავს უცხადებს. მეორე მხრივ, ღმერთი მრავალთ საიდუმლოებებს სწორედ თავისი კაცთმოყვარეობის გამო არ უცხადებს, რათა უფრო მეტად არ დაისაჯონ იმის გამო, რომ საიდუმლოებანი აბუჩად მას შემდეგ აიგდეს, რაც შეიცნეს.

26. **ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე**. – აქ იგი წარმოაჩენს კაცთმოყვარებას მამისა, რადგან მან საიდუმლონი ყრმებს სხვისი ვედრებით კი არ გამოუცხადა, არამედ იმიტომ, რომ დასაბამიდან ასე სურდა, რადგან სათნო-იყო აქ სურვილსა და ნებას ნიშნავს.

27. **ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ**. – ზემოთ უფალმა მამას მიმართა: **შენ გამოუცხადე, მამაო**. ამიტომ, ეჭვი რომ არ აღგეძრას იმისა, რომ თვითონ არაფერს აკეთებს და ყველაფერი მამას ეკუთვნის, ამბობს: **ყოველივე მომეცა მე** და მე და მას ერთი ძალაუფლება გვაქვს. როცა გესმის „მომეცა“ – ნუ იფიქრებ, რომ ვითარცა მონას ან ვითარცა გლახაკს მიეცა, არამედ ვითარცა – ძეს. რადგან მიეცა იმიტომ, რომ მამისაგან იშვა. მისგან რომ არ შობილიყო და იგივე არსი რომ არ ჰქონოდა, რაც მამას, არ მიეცემოდა. ნახე, რას ამბობს: **ყოველივე მომეცა მე** არა მეუფისაგან, არამედ **მამისა ჩემისაგან**. მსგავსად იმისა, როგორც მაგალითად, ლამაზი მამისაგან ნაშობი ყრმა იტყვის, რომ სილამაზე მე მამისა ჩემისაგან მომეცაო.

და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების. – უფრო მეტსაც ამბობს: არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ყოველივეს მეუფე ვარ, რადგან სხვას, კიდევ უფრო დიდ რამეს ვფლობ – ვიცი მამა და ამასთან, იმგვარად ვიცი, რომ შემიძლია ეს ცოდნა სხვებსაც განვუცხადო. მიაქციე ყურადღება! ზემოთ თქვა, რომ მამამ საიდუმლონი ყრმებს განუცხადა, აქ კი – რომ ძე მამას განაცხადებს. ხედავ, რომ ერთია ძალა მამისა და ძისა, რამდენადაც მამაც განაცხადებს და ძეც.

28. **მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ**. – ყველას მოუწოდებს: არა მხოლოდ იუდეველებს, არამედ წარმართებსაც. „მაშვრალში“ იუდეველები იგულისხმე, რადგანაც სჯულის მძიმე კანონებს ისინი ემორჩილებიან და მის მცნებათა აღსასრულებლად ჯაფას ეწევიან; ხოლო **ტვირთმძიმეებში** – წარმართები, რომელთაც ტვირთად მძიმე ცოდვები აწევთ. ყველა ამათ განსვენებას ქრისტე მისცემს; როგორ დიდ ჯაფას მოითხოვს რწმენა, აღმსარებლობა და ნათლისღება, მაგრამ რა სიმშვიდეს ჰპოვებ, როცა აქ იმ ცოდვებისათვის აღარ იზრუნებ, რომელიც ნათლისღებამდე ჩაიდინე, ხოლო იქ განსვენება მოგიცავს.

29-30. **აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ**

და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს. – ქრისტე უღელი, სიმდაბლე და სიმშვიდეა. ამიტომ ვინც წინაშე ყოველი კაცისა სიმდაბლეს იჩენს, განსვენება და უშფოთველი ყოფა ექნება, მაშინ, როცა პატივმოყვარე და ქედმაღალი მუდმივად შფოთავს, არ სურს ვინმეზე პატარა იყოს, არამედ ცდილობს რაც შეიძლება მეტად განდიდდეს და მტრებზეც გამარჯვება მოიპოვოს. ამგვარად, უღელი ქრისტესი, სიმდაბლეს ვგულისხმობ, მსუბუქია, რადგანაც ჩვენს მდაბალ ბუნებას ქედმაღლობაზე მეტად სიმდაბლე შეეფერება. მაგრამ ყოველი მცნება ქრისტესი უღლად იწოდება, რადგან ისინი თუმცა ახლა მძიმენი ჩანან, მომავალ საზღაურთან შედარებით უფრო მსუბუქნი არიან.

თავი XII

1. **მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავსა ჴუვილისასა და ჭამად.** – არღვევს რა სჯულს,[12] უფალს მოწაფენი ყანაში შეჰყავს, რათა ჭამონ და ამით შაბათის წესი დაარღვიონ.

2-4. **ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რაჲ, ჰრქუეს მას: აჰა მოწაფენი შენნი იქმან, რომელ არა ჯერ არს შაბათსა შინა საქმედ. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია და მისთანათა მათ? ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო?** – ფარისეველნი კვლავ დებენ ბრალს შიმშილის ბუნებრივი გრძნობის გამო, მაშინ, როცა თვითონ უარესად სცოდავენ. უფალი მათ დავითის ისტორიით არცხვენს. მან ხომ, – ამბობს იგი, – შიმშილის გამო უფრო დიდი რამ გაბედა. პურნი შესაწირავთანი ის პურებია, ყოველ დღე რომ იდებოდა; ტრაპეზზე თორმეტი პური ლაგდებოდა: ექვსი მარჯვენა და ექვსი მარცხენა მხარეს. თუმცა დავითი წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ ისინი არც მას უნდა შეეჭამა(ამის უფლება მხოლოდ მღვდლებს ჰქონდათ) და მით უმეტეს არც იმათ, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ. მიუხედავად ამისა, შიმშილის გამო შენდობას მაინც იმსახურებს; ასევე იმსახურებენ მოწაფენიც.

5-6. **ანუ არა აღმოგიკითხავსა შჯულსა, რამეთუ შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნიან? ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროჲს არს აქა.** – სჯული შაბათს მუშაობას კრძლავდა, მაგრამ მღვდლები შაბათობით შეშასაც აპობდნენ და ცეცხლსაც ანთებდნენ, ასე რომ, შაბათს შეურაცხყოფდნენ, ანუ, როგორც თქვენ ფიქრობთ, უგუნურად იქცეოდნენ. მაგრამ მეტყვით, ისინი მღვდლები იყვნენო, მოწაფენი კი – არა; ხოლო მე გიპასუხებთ: აქ არის ის, ვინც ტაძარზე დიდია, ანუ,

[12] სინამდვილეში მაცხოვარი მოწაფეებს ამ დროს სჯულის არსს განუმარტავს, რომლის აღმასრულებელიც სიყვარულია.

რადგანაც მე, მეუფე, ტაძარზე უფრო დიდი, მოწაფეებთან ვარ, მათაც მეტი უფლება აქვთ შაბათის დარღვევისა, ვიდრე მღვდლებს.

7-8. **უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი. უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა.** – წარმოაჩენს მათ უვიცობასაც, რადგანაც წინასწარმეტყველური წიგნები არ იცოდნენ. განა მოწყალენი არ უნდა ვიყოთ, კითხულობს, იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც შიმშილობენ? გარდა ამისა, მე ვარ ძე კაცისა, უფალი შაბათისა, ისევე როგორც ყოველივესი და შემოქმედი დღეთა; ასე რომ, შაბათს მე, ვითარცა მეუფე, ვარღვევ. ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაც უნდა გაიგო; მოწაფენი მუშაკნი იყვნენ, ხოლო სამკალი და თავთავნი – მორწმუნენი; მოწაფეები მათ წყვეტდნენ და ჭამდნენ, ანუ საზრდელად ადამიანთა ხსნა ჰქონდათ, და ამას შაბათს იქმოდნენ, იმ დღეს, როცა უკეთურ საქმეებს თავი უნდა ავარიდოთ. ფარისეველნი კი გულისწყრომას გამოხატავდნენ, როგორც ეს ეკლესიაში ხდება: ხშირად, როცა მოძღვარნი ასწავლიან და სარგებლობა მოაქვთ, ფარისეველნი და მოშურნენი წყენას გამოხატავენ.

9-10. **და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა. და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ? რაჲთამცა შეასმინეს იგი.** – სხვა მახარებელთა თქმით, იესომ ჰკითხა ფარისევლებს. შეიძლება ითქვას, რომ იყვნენ რა შურიანები, ფარისევლებმა გააფრთხილეს და ჰკითხეს იესოს, როგორც ამას მათე ამბობს. შემდეგ კი, ქრისტემ თავის მხრივ ჰკითხა მათ, თითქოსდა დასაცინად მათი გულქვაობისა, როგორც სხვა მახარებლები გვიამბობენ. ფარისევლებმა კი იმიტომ ჰკითხეს, რომ მისი ცილისწამების საბაბი ჰქონოდათ.

11-12. **ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი? რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა? ამისთჳს ჯერ არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე.** – გვაჩვენებს, რომ ანგარებისმოყვარეობისა და იმის გამო, რომ ცხვარი არ დაკარგონ, შაბათს არღვევენ, ადამიანის განკურნებისათვის კი იმავეს კრძალავენ. ამგვარად, ერთსა და იმავე დროს წარმოაჩენს მათ, ვითარცა ანგარებისმოყვარეებს, სასტიკებსა და ღმრთის არად ჩამგდებთ, რადგან ცხვრის დაკარგვის შიშით შაბათს უგულებელსყოფენ, მაგრამ უწყალონი არიან, როცა ადამიანის განკურნვა არ სურთ.

13. **მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან განირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.** – შემხმარი ანუ უმოწყალო და ძუნწი ხელი ახლაც ბევრს აქვს, მაგრამ, რაჟამს მათთვის სახარებისეული სიტყვა ხმამაღლა გაისმება, ისინი მას გასაცემად იწვდიან, თუმცა ფარისევლებს, ამ ქედმაღალ დემონებს, რომელნიც ჩვენგან ჩვენი მტრობის გამო მოიკვეთნენ, არ სურთ, რომ ხელნი ჩვენნი მოწყალების გასაცემად გავიწოდოთ.

14. **ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყ-**

მიდონ იგი. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და განეშორა მიერ და წარვიდა. – ო, მოშურნეობავ! როცა მოწყალებას იღებენ, მაშინ ცოფდებიან. იესო მათ იმიტომ გაშორდა, რომ ჟამი მისი ვნებისა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო, და ამასთან, ისინიც შეიწყალა, რათა მკვლელობის დანაშაულით არ დაცემულიყვნენ, თანაც, უაზროდ ხიფათში თავის ჩაგდება ხომ არც ღმრთისთვისაა სათნო. ყურადღება მიაქციე სიტყვას **გამოვიდეს**; როცა ღმერთს გაშორდნენ, იესოს მოკვლა მაშინ განიზრახეს, რადგან ვერავინ, ვინც ღმერთთანაა, მსგავს რამეს ვერ განიზრახავს.

15-16. **და მისდევდა მას ერი მრავალი და განკურნნა იგი ყოველნი. და ამცნო მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.** – მათი შური რომ შეესუსტებინა, თავის გაცხადება არ მოისურვა, მაგრამ სნეულთა განკურნებას ყოველი ღონით ცდილობდა.

17-19. **რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: აჰა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას. არა ჰჴდებოდის, არცა ღალადებდეს.** – მახარებელს იესოს სიმდაბლის დასამოწმებლად წინასწარმეტყველი მოჰყავს და ამბობს, რომ იუდეველებს, რაც არ უნდა მოესურვებინათ, იესო ყველაფერს გააკეთებდა. უკეთუ იმას ისურვებდნენ, რომ თავი არ განეცხადებინა, ასეც მოიქცეოდა, არც წინააღმდეგობას გაუწევდა, ვითარცა პატივმოყვარე და არც იდავებდა, არამედ პირიქით, ხალხსაც აუწყებდა, რომ მის შესახებ არ განეცხადებინათ; სამსჯავროს შესახებ წარმართებსაც მიუთხრობდა, ანუ ასწავლიდა, რადგან სამსჯავრო – სწავლება, შემეცნება და გარჩევაა სიკეთისა. ან: მომავალ სამსჯავროზე წარმართებსაც აუწყებდა, რომელთაც მანამდე მასზე არაფერი სმენოდათ.

არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ჴმაჲ მისი. – იგი ხომ მართლაც არა მოედნის შუაგულში, ვითარცა პატივმოყვარე, არამედ ტაძარში, სინაგოგებში, მთაზე და ზღვის სანაპიროზე ასწავლიდა.

20. **ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტოს.** – მას შეეძლო შეემუსრა იუდეველები, ვითარცა გადატეხილი ლერწამი და ჩაექრო მათი რისხვა მსგავსად მბჟუტავი ან ალმოდებული პატრუქისა, მაგრამ არ მოისურვა მანამ, ვიდრე განგებულებას არ აღასრულებდა და მათზე ყველაზე არ გაიმარჯვებდა. ამას ნიშნავს მომდევნო სიტყვებიც:

20-21. **ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.** – თავის მართლების საბაბი რომ არ მიეცა, ყოველივე დაითმინა, რათა, როცა შემდეგში განსჯიდა, გაემარჯვებინა, რაკიღა პასუხად ვერაფერს მიუგებდნენ; მართლაც, რა აღარ მოიმოქმედა, რომ ისინი შეეძინა? მაგრამ თავად არ ინდომეს. ამიტომაც წარმართებს ექნებათ სასოება მისი, მაშინ, როცა იუდეველებმა ეს არ მოისურვეს.

22-23. **მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ ხედვიდა და იტყოდა. და განუკჳრდებოდა ერსა მას და**

იტყოდეს: ნუუკუე ესე არს ძე დავითისი? – დემონმა გზა რწმენისაკენ – თვალები, სმენა და ენა გადაუკეტა, მაგრამ იგი იესომ განკურნა და ხალხისაგან დავითის ძედ იწოდა, რადგანაც ქრისტეს დავითის თესლისაგან მოელოდნენ. ახლაც, უკეთუ ვინმეს იხილავ, ვინც სიკეთეს ვერც თვითონ იაზრებს და არც სხვის სიტყვებს იწყნარებს, იგი ბრმად და ყრუდ ჩათვალე; შეეხება რა მის გულს, დაე იგი ღმერთმა განკურნოს.

24. **ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა.** – თუმცა უფალი მათ განშორდა, მაგრამ ესენი, შორიდან ესმოდათ რა მისთა საქმეთა შესახებ, ცილს სწამებენ სწორედ მაშინ, როცა იგი ადამიანებისათვის ქველმოქმედებს. ამგვარად, ფარისეველნი მისი მტრები, ვითარცა ეშმაკი, ბუნებით იყვნენ.

25-26. **იცოდნა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განეყოფილ თავსა თჳსსა, მოოჴრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განეყოფილ თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცოს. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკსა განჰჴდის, თავსა თჳსსა განეყოფილ; ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი?** – საჯაროდ ამჟღავნებს რა მათ ზრახვებს, იგი აჩვენებს, რომ ღმერთია. იგი მათგან თავს საყოველთაო მაგალითებით იცავს და მათ უგუნურებას ააშკარავებს. როგორ განდევნიან დემონები ერთმანეთს, მაშინ, როცა კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვებას ცდილობენ? სატანად მოწინააღმდეგე იწოდება.

27. **და უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ თქუენდა იყვნენ.** – კარგი, ამბობს, მე ასეთი ვარ, მაგრამ თქვენი შვილები, ანუ მოწაფენი ჩემნი, ისინი ვისი ძალითღა დევნიან? ნუთუ ისინიც ბელზებულის ძალით? ხოლო უკეთუ ღმრთეებრივით, – მით უმეტეს მე, რადგან სასწაულებს ჩემი სახელით აღასრულებენ. ამიტომაც განისჯებით მათგან, რადგანაც ხედავთ, რომ ჩემი სახელით სასწაულმოქმედებენ და ცილს მაინც მწამებთ.

28. **უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.** – ხოლო, – ამბობს, – უკეთუ დემონებს ღმრთეებრივი ძალით ვდევნი, მაშინ ძე ღმრთისა ვარ და თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ კეთილი გიყოთ. ასე რომ, **მო-სამე-იწია** თქვენზე ჩემი მოსვლა, ანუ სასუფეველი ღმრთისა. მაშ, რატომღა სწამებთ ცილს ჩემს მოსვლას, რომელიც თქვენთვის მოხდა?

29. **ანუ ვითარ ვის ჴელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჭურჭელი მისი გამოღებად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინღა სახლი მისი იავარ-ყოს.** – ანუ, ამბობს, არა მარტო შორსა ვარ იმისგან, რომ დემონები მეგობრებად მყავდეს, არამედ პირიქით, ვეწინააღმდეგები და ვკრავ მათ, რომელნიც ჩემს მოსვლამდე ძლიერნი იყვნენ; რამეთუ შემოვიდა რა სახლსა შინა, ანუ სამყაროში, ქრისტემ მიიტაცა დემონთა ჭურჭელი, რომელშიც ადამიანებს ვგულისხმობ.

30. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს. – როგორღა შემეწევა ბელზებული, – ამბობს, უკეთუ იგი სხვებზე მეტად მტრობს მე? რადგან მე სათნოებას ვასწავლი, ის კი – ბოროტებას; მაშ, ჩემთან როგორღა იქნება? მე ადამიანებს მათივე ხსნისათვის ვკრებ, – ხოლო ის განაბნევს. ფარისევლებზეც მიანიშნებს, რადგან, როცა ის ასწავლიდა და მრავალთათვის სარგებლობა მოჰქონდა, ხალხს ფანტავდნენ, რათა მასთან არ მისულიყვნენ. ამგვარად, აჩვენებს, რომ დემონებს მართლაც ისინი ემსგავსებოდნენ.

31-32. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას. – აქ იგი ამბობს: ყოველ სხვა ცოდვას, მაგალითად, მრუშობასა და ქურდობას, რაღაც მცირე გამართლება მაინც აქვს, რადგან ამ დროს კაცობრივ სისუსტეს მოვიხმობთ და შედარებით პატიებასაც უფრო ვიმსახურებთ. მაგრამ რაჟამს ვინმე სულის მიერ აღსრულებულ სასწაულებს უყურებს და ცილს სწამებს, რომ თითქოს ისინი დემონური ძალით სრულდებიან, ამას რა გამართლება მოეძებნება? ცხადია, მან იცის, რომ ისინი სულისა მიერ წმიდისა ხდება, მაგრამ ცუდად განზრახ იქცევა. ამგვარს როგორღა მიეტევება? როცა იუდეველები ხედავდნენ უფალს, რომელიც ჭამდა და სვამდა, ურთიერთობა ჰქონდა მეზვერეებსა და მეძავებთან და ყველა სხვა საქმეს, ვითარცა ძე კაცისა, აღასრულებდა და შემდეგ საყვედურობდნენ ჭამისა და ღვინის სმის გამო, ამ დროს ისინი შენდობის ღირსნი იყვნენ და ამისთვის არც სინანული მოეთხოვებოდათ, რადგან ჩანდა, რომ ცდომილებისათვის საკმარისი მიზეზი ჰქონდათ. მაგრამ, როცა უყურებდნენ, როგორ აღასრულებდა სასწაულებს და მაინც ცილს სწამებდნენ და სულიწმიდას გმობდნენ, ამბობდნენ რა, ისინი დემონებისგან ხდება, როგორღა ვიფიქროთ, რომ ეს ცოდვა მათ მონანიების გარეშე მიეტევებათ? ამგვარად იცოდე; როცა ვინმე ძე კაცისას გმობს, ხედავს რა, რომ კაცობრივი ცხოვრებით ცხოვრობდა და მას მეძავთა მეგობარს, მჭამელსა და ღვინის მსმელს უწოდებდა, რადგან ქრისტე ასეც იქცეოდა, ამგვარ კაცს კიდევაც რომ არ მოენანიებინა, პასუხს მაინც არ აგებდა და პატიებასაც იმსახურებდა, რადგან იესოში დაფარული ღმერთი ვერ შეიცნო. ხოლო ის, ვინც სულიწმიდაზე, ან ქრისტეს სულიერ საქმეებზე მკრეხელობს და მათ დემონურს უწოდებს, თუ არ მოინანია, არ შეენდობა, რადგან მას ხომ ცილისწამებისათვის საკმარისი მიზეზი არ აქვს, ვითარცა იმას, ვინც ქრისტეს მეძავთა და მეზვერეთა შორის ხედავდა და ცილს შემდეგ სწამებდა? ამიტომ მას არა თუ არც აქ და არც იქ არ შეენდობა, არამედ აქაც და იქაც დაისჯება. მრავალი აქ ისჯება, მაგრამ იქ – სრულიადაც არა, ვითარცა გლახაკი ლაზარე. სხვანი კი სასჯელს აქაც და იქაც მიიღებენ, როგორც სოდომელნი და ისინი, რომელნიც სულიწმიდას გმობენ; ხოლო ზოგიერთნი

– არც აქ და არც იქ, როგორც, მაგალითად, – მოციქულნი და წინამორბედი. ვითარცა დევნილნი, ისინი თითქოს აქ დაისაჯნენ, მაგრამ ეს იყო სასჯელი არა ცოდვებისათვის, არამედ გამოცდა და გვირგვინი.

33. **ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს.** – რადგანაც იუდეველებს სასწაულებზე, ვითარცა ბოროტ საქმეებზე, ცილისწამება არ შეეძლოთ, მაგრამ მათ აღმსრულებელ იესოზე, როგორც დემონის მსგავსზე, მკრეხელობდნენ, უფალი ეუბნება: მე, ან კეთილ ხედ ჩამთვალეთ და მაშინ ჩემი სასწაულებიც, რომელნიც ნაყოფია, კეთილი იქნება; ან: უკეთუ ხენეშ ხედ მიმიჩნევთ, ცხადია, ნაყოფიც ანუ სასწაულებიც ხენეში იქნება. მაგრამ თქვენ სასწაულებს, ანუ ნაყოფს, მშვენიერს(კეთილს) უწოდებთ და მაშასადამე მეც კეთილი ხე ვარ. როგორც ხე ნაყოფისაგან შეიცნობა, ასევე მეც – ჩემი სასწაულებისაგან.

34. **ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ ჴელ-გეწიფების კეთილის სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ?** – ხართ რა ბოროტნი ხენი, – ეუბნება, – ნაყოფსაც ბოროტს იძლევით, რადგან ჩემზე ბოროტსიტყვაობთ. ასევე მეც, უკეთური რომ ვყოფილიყავი, ნაყოფსაც უკეთურს გამოვიღებდი და არა ამგვარ სასწაულებს. იქედნეს ნაშობებს უწოდებს მათ, რომელთაც თავი აბრაამით მოჰქონდათ და აჩვენებს, რომ ისინი არა აბრაამისაგან, არამედ მათი ბოროტების შესაფერისი წინაპრებისაგან იყვნენ წარმოშობილნი.

34-35. **რამეთუ ნამეტავისაგან გულისა პირი იტყჳნ. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი.** – როცა ხედავ, რომ ვინმე ბილწსიტყვაობს, იცოდე, გულში იმდენი კი არა აქვს, რამდენსაც ამბობს, არამედ ბევრად მეტი, რადგან, რაც გარეთ გადმოდინდება, ის მხოლოდ სიჭარბისაგანაა; ვინც დაფარულ საუნჯეს ფლობს, ის ხომ მის მხოლოდ რაღაც მცირე ნაწილს წარმოაჩენს. მსგავსად ამისა, ვინც კეთილად მეტყველებს, მას ბევრად მეტი გულსა შინა აქვს.

36-37. **ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას სასჯელისასა. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.** – აქ უფალი გვაფრთხილებს, რომ ყოველი უქმი, ანუ ტყუილი, ცილისწამებლური, თუ უტაქტო და დამცინავი სიტყვებისათვის პასუხს ჩვენც ვაგებთ. ხოლო შემდეგ წმინდა წერილს იმოწმებს, რათა ვინმემ არ იფიქროს, რომ რაღაც თავისას ამბობს: **სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.**

38. **მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგან და ფარისეველთა და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვად.** – გაკვირვებული მახარებელი სიტყვას **მაშინ** უმატებს, რადგან სასწაულს მაშინ ითხოვენ, როცა უკვე მომხდარ სასწაულებს უნდა დამორჩილებოდნენ. როგორც სხვა მახარებელი ამბობს, სასწაულის ხილვა ზეციდან სურდათ, რადგან ეგონათ, რომ დედამი-

წაზე სასწაულებს ეშმაკის ძალით აღასრულებდა, სამყაროს მპყრობელი ხომ ეშმაკია. ხოლო მაცხოვარმა რა უპასუხა?

39-40. **ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაწარმეტყუელისაჲ, რამეთუ ვითარცა იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე.** – ამ ხალხს ვითარცა პირმოთნესა და ცბიერს, ბოროტ მოდგმას უწოდებს, ხოლო ვითარცა ღმრთისაგან განდგომილსა და დემონებთან შეერთებულს – მრუშს; სასწაულს – თავის აღდგომას, როგორც უჩვეულო მოვლენას, რადგანაც შთახდა რა **გულსა ქუეყანისასა**, ქვესკნელს ანუ ჯოჯოხეთს ვგულისხმობ, მესამე დღეს აღდგა. სამ დღესა და სამ ღამეში ნაწილები მოიაზრე და არა სრული დღე და ღამე. იგი პარასკევს მოკვდა – ეს ერთი დღე იყო, შაბათს მკვდარი იწვა – ესეც მეორე დღე; კვირის ღამემ მას ჯერ კიდევ მკვდარს მოუსწრო. ამგვარად გამოითვლება სამი არასრული დღე-ღამე. ჩვენც ხომ ხშირად დროს ასე ვითვლით.

41. **კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.** – უფალი ეუბნება მათ: როცა იონამ ვეშაპის მუცლიდან გამოსვლის შემდეგ იქადაგა, მისი ირწმუნეთ, ხოლო მე ჩემი აღდგომის შემდეგაც არ მიწამებთ. ამიტომაც განისჯებით ნინეველთაგან, რომელთაც მონისა ჩემისა იონასი, თუმცა ბარბაროსები იყვნენ, სასწაულის გარეშეც ირწმუნეს. ხოლო თქვენ, რომელნიც წინასწარმეტყველებებზე აღიზარდეთ და სასწაულები იხილეთ, – არ ირწმუნეთ ჩემი – მეუფისა. ამას ნიშნავს სიტყვები: **და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.**

42. **დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა.** – ეს დედოფალი, – ამბობს, – თუმცა სუსტი ქალი იყო, შორიდან მოვიდა, რათა ხეთა, ტყეთა და ზოგიერთ ბუნებრივ საგნებზე მოესმინა; ხოლო თქვენ არ შემიწყნარეთ მე, რომელიც თქვენთან მოვედი და გამოუთქმელს გეუბნებით.

43-45. **ხოლო რაჟამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის. მაშინ თქჳს: მივიქცე სახედ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ; და მო-რაჲ-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განშუენებული და შემკული. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკჳდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასცა უკეთურსა.** – უფალი აჩვენებს, რომ, არ შეიწყნარეს რა იგი, მათ დაღუპვის უკანასკნელ ზღვარს მიაღწიეს. ისევე როგორც დემონებისაგან განთავისუფლებულებს, უკეთუ საკუთარ თავზე არ იზრუნეს, უარესის დათმენა მოუწევთ, ასევე თქვენი მოდგმაც, რაჟამს თაყვანს კერპებს სცემდით, დემონს ჰყავდა

შეპყრობილი. მე ეს დემონი წინასწარმეტყველთა საშუალებით განვდევნე და თავად მოვედი, რადგან თქვენი განწმენდა მსურდა. მაგრამ რადგანაც ხელი მკარით და უფრო მეტიც, ჩემს დალუპვას ესწრაფვით, ვითარცა უარესი ცოდვის ჩამდენნი, კიდევ უფრო მეტად დაისჯებით და უკანასკნელი ტყვეობა თქვენი პირველზე უფრო მძიმე იქნება. შენ კი ესეც მოიაზრე, რომ ნათლისღებით უწმინდური სული განიდევნება, რომელიც უწყლო ადგილებსა და მოუნათლავ სულთა შორის დაეხეტება, მაგრამ მათში განსვენებას ვერ პოულობს, რადგანაც, რამდენადაც მოუნათლავნი უკვე შეპყრობილი ჰყავს, დემონებისათვის განსვენება ნათელღებულთა ბოროტი საქმეებით დამძიმებაა. ამგვარად, დემონი ნათელღებულს შვიდ სულთან ერთად უბრუნდება, რადგანაც სულის შვიდი ნიჭის საპირისპიროდ ბოროტების შვიდი სული არსებობს. როდესაც ის მონათლულის სულში შევა, მისი უბედურება გაიზრდება, რადგან თუ ნათლობამდე მისი საშუალებით განწმენდის იმედი ჰქონდა, ნათლობის შემდეგ იმედიც აღარ არსებობს, გარდა მონანიებისა, რომელიც ფრიად ძნელია.

46. **და იყო ვიდრე იგი ეტყოდაღა ერსა მას, აჰა ესერა დედაჲ მისი და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად**. – კაცობრივი თვისების გამო დედამ მოისურვა ეჩვენებინა, რომ ყრმაზე უფლება ჰქონდა, რადგან ჯერ კიდევ ვერ იაზრებდა, ვინ იყო იგი. მას მოსწონდა პატივი, რომელსაც შვილი მორჩილებით მიაგებდა და ამიტომ მისი ყურადღების მიქცევა მაშინ მოისურვა, როცა იგი საუბრობდა. ქრისტე კი როგორ მოიქცა? როცა მისი განზრახვა შეიცნო, მოისმინე, რა უთხრა:

47-50. **მაშინ ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარეშე და უნებს რაჲმე სიტყუად შენდა. ხოლო იესუ მიუგო მეტყუელსა მას და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? და მიყო ჴელი მისი მოწაფეთა მიმართ თჳსთა და თქუა: აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი! რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი**. – ამას იმიტომ კი არ ამბობს, რომ დედისთვის ესაყვედურებინა, არამედ, რათა მისი კაცობრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი პატივმოყვარული აზრი გამოესწორებინა. ის კი არ უთქვამს, დედაჩემი არ არისო, არამედ უკეთუ ღმრთის ნებას არ აასრულებს, ვერაფერს არგებს ის, მე რომ მშვაო. უფალი არ უარყოფს, რომ ბუნებრივად იშვა, მაგრამ მას უმატებს შობას სათნოებით, რადგანაც ვერცერთი უღირსი შობისაგან სარგებელს ვერ მიიღებს. ამგვარად, განკურნა რა სენი პატივმოყვარეობისა, ის კვლავ დაემორჩილა დედის მოწოდებას, როგორც ამას მახარებელი შემდეგ გვეუბნება.

თავი XIII

1-2. **მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა იგი ზღვს-კიდესა და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად და დაჯდომად და ყოველი იგი ერი ზღვს-კიდესა დგა**. – უფალი ნავში ჩაჯდა, რათა მსმენელები

პირისპირ მდგარიყვნენ და ყველას მოესმინა მისი. იგი ზღვიდანაც მეთევზურობს და იჭერს მათ, ვინც მიწაზე იმყოფება.

3. **და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით და ჰრქუა:** – უბრალო ხალხს მთაზე იგავთა გარეშე ეუბნებოდა, აქ კი, სადაც მზაკვარი ფარისეველნიც იყვნენ, იგავებით ეუბნება, რათა თუ ვერ გაიგებდნენ, კითხვები მაინც მიეცათ და ესწავლათ. მეორე მხრივ, რამდენადაც ისინი უღირსნიც იყვნენ, სწავლებას შეუფარავად ვერ შესთავაზებდა, რადგანაც არ არის ხომ საჭირო მარგალიტების დაყრა წინაშე ღორთა. პირველად ისეთ იგავს ამბობს, რომელიც მსმენელს უფრო ყურადღებიანს ხდის.

ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად. – მთესველს თავის თავს უწოდებს, ხოლო თესლს – სიტყვას. გამოვიდა იგი არა რაღაც გარკვეული ადგილიდან, რადგანაც ყველგან იმყოფება, არამედ იმიტომაც ამბობს, **გამოვიდაო**, რომ ხორციელად უფრო მოგვიახლოვდა, და გამოვიდა, რა თქმა უნდა, მამის წიაღიდან. გამოვიდა ჩვენთან, რადგან ჩვენ მასთან მისვლა არ შეგვეძლო. და რის გასაკეთებლად გამოვიდა? ეკალთა სიმრავლის გამო გადასაწვავად მიწისა, თუ დასასჯელად? არა, არამედ, რათა დაეთესა. თესლს თავისას უწოდებს, რადგან წინასწარმეტყველნიც თესდნენ, მაგრამ არა თავის თესლს, არამედ ღმრთისას. იგი კი ღმერთი იყო და საკუთარ თესლს თესდა, რამეთუ ღმრთეებრივი მადლით კი არ იყო განბრძნობილი, არამედ თავად იყო სიბრძნე ღმრთისა.

4-6. **და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად; და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ, მზეჲ რაჲ აღმოჰვდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჴმა.** – გზაში უზრუნველი და ზანტი ადამიანები იგულისხმება, რომელნიც სიტყვას საერთოდ არ იწყნარებენ, რადგანაც გონება მათი გატკეპნილი და გამომშრალი გზაა, რომელიც არასოდეს მოხნულა. ამიტომაც სიტყვებს ფრინველნი ზეცისანი, ანუ ჰაერის სულები, ე. ი. დემონები სტაცებენ. ხოლო **კლდოვანში** ისინი იგულისხმებიან, რომელნიც სიტყვას კი ისმენენ, მაგრამ, თავიანთი სისუსტის გამო, ვერ უმკლავდებიან რა ცდუნებასა და მწუხარებას, საკუთარ გადარჩენის საქმეს ღალატობენ. ამომავალ მზეში ცდუნებანი მოიაზრე, რადგანაც ადამიანებს ცდუნებანი წარმოაჩენენ და მსგავსად მზისა, დაფარულს ცხადყოფენ.

7. **და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი**. – ესენი ისინი არიან, რომელნიც სიტყვას საზრუნავებით აშთობენ; რადგან მდიდარი თითქოსდა კეთილ საქმეს აკეთებს, მაგრამ საქმე იგი არც იზრდება და არც წარემატება საზრუნავთა გამო, რომელნიც ხელს უშლიან.

8. **და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა; რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოც და ათსა.** – ნათესის სამი ნაწილი წარწყმდა და მხოლოდ მეოთხე გადარჩა, რადგან, საერთოდაც, მცირედნი არიან ხომ ისინი, რომელნიც გადარჩებიან. კეთილ მიწაზე ბოლოს ამბობს,

რათა ჩვენ სასოება მონანიებისა მოგვცეს, რადგან კიდევაც რომ ვინმე კლდოვანი მიწა, გზასა ზედა მყოფი, ან ეკალთა გამომღები იყოს, შეუძლია კეთილი ქვეყანა(ნაყოფიერი მიწა) გახდეს. მაგრამ ყველა, ვინც სიტყვას შეიწყნარებს, ნაყოფს ერთნაირად როდი გამოიღებს, არამედ ზოგი ასს, ალბათ, ის, ვინც სრულიად უანგაროა და თავდადებით იღვწის; მეორე – სამეოცს, შესაძლოა ეს მონასტერში მცხოვრები მონაზონი იყოს, რომელიც პრაქტიკულადაც იღვწის; სხვა კი – ოცდაათს, ის, ვინც პატიოსანი ქორწინება აირჩია და გულმოდგინედ, რამდენადაც ხელეწიფება, სათნოებებით წარემატება. ყურადღება მიაქციე, რომ სიკეთისაგან ღმრთისა ყველა, ვინც კი დიდს, საშუალოსა თუ მცირე საქმეს აღასრულებს, შეწყნარებულია.

9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! – უფალი აჩვენებს, რომ ყველამ, ვინც სულიერი სასმენელნი შეიძინა, ეს სულიერად უნდა მოიაზროს; რადგან ყურები ბევრს აქვს, მაგრამ არა იმისთვის, რომ მოისმინოს. ამიტომაც დასძენს, რომ: **რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.**

10-12. და მოუჴდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუს, მო-ვე-ელოს მას. – ხედავდნენ რა, რომ იესოს ნათქვამში ბევრი რამ გაუგებარი იყო, მოწაფენი, როგორც ხალხზე საერთო მზრუნველნი, მასთან მივიდნენ და ჰკითხეს; ხოლო მან უთხრა: **თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ**, ანუ რადგანაც თქვენ სურვილი და მისწრაფება გაქვთ, ამიტომაც მოგეცათ; ხოლო მათ, რომელთაც მისწრაფება არა აქვთ, არ მიეცემა, რამეთუ იღებს ის, ვინც ეძებს. უფალი ამბობს: ეძიებდით და მოგეცემათო თქვენ. დაუკვირდით, რომ იგავი, რომელიც აქ უფალმა თქვა, რადგანაც ეძიებდნენ, მხოლოდ მოწაფეებმა მიიღეს. ამიტომ კარგად ვამბობთ, რომ ცოდნა მიეცემა მას, ვისაც გულმოდგინება აქვს და გაუმრავლდება კიდეც. ხოლო ვისაც არც გულმოდგინება აქვს და არც შესაფერისი აზროვნება, ისიც წაერთმევა, რაც ეგონა, რომ ჰქონდა, ანუ უკეთუ ვინმეში სიკეთის მცირე ნაპერწკალი ბჟუტავს, ისიც ჩაუქრება, თუკი მას სულით არ გააღვივებს და სულიერი საქმეებით არ დააგზნებს.

13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისჴმა-ყვიან. – ყურადღება მიაქციე, რადგან აქ იმათ მიერ დაყენებული საკითხია გადაჭრილი, რომელნიც ამბობენ, რომ ადამიანები ბოროტნი ბუნებით და ღმრთისაგან არიან. რადგანაც, ამბობენ ისინი, ქრისტემ ხომ თვითონვე თქვა, რომ თქვენ მოგეცათ ცოდნა დაფარულთა, იუდეველებს კი – არა. ხოლო ჩვენ მათ, ვინც ამას ამბობს, ღმერთთან ერთად ვეუბნებით; ღმერთი ყველას აძლევს შესაძლებლობას, ბუნებით მოიაზროს ის, რაც საჭიროა, რადგანაც განანათლებს ყველას, ვინც ამ სოფლად მოდის(შდრ. ინ.1,9), მაგრამ ჩვენ ჩვენივე ნებით ვბნელდებით. ეს ამ ადგილიდანაც ნათელია, რად-

განაც ამბობს: ბუნებრივად მხედველნი, ანუ ღმრთისაგან შექმნილნი იმისათვის, რომ მოიაზრონ, ვერ ხედავენ საკუთარი ნებით და ასევე მსმენელნიც, ანუ ღმრთისაგან ბუნებით მოსმენისა და გულისხმისყოფისათვის შექმნილნი, საკუთარი ნებითვე ვერ ისმენენ და ვერ გულისხმაყოფენ. მითხარი: ვერ ხედავდნენ ქრისტეს სასწაულებს? დიახ, მაგრამ საკუთარი თავი თვითონვე დაიბრმავეს და, პირიქით, ბრალს სდებდნენ. ამგვარად ამას ნიშნავს სიტყვები: **ხედვენ და არა ხედვენ.** ამიტომაც უფალს, ვითარცა მოწმე, წინასწარმეტყველი მოჰყავს.

14-15. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყუელებაჲ იგი ესაიაჲსი: სმენით გესმოდეს და არა გულისჴმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ. რამეთუ განზრქნა გული ერისაჲ ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუუკუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისჴმა-ყონ და მოიქცენ, და მე განვკურნე იგინი. – ხედავ, რას ამბობს წინასწარმეტყველი? იმიტომ კი ვერ გულისხმა-ჰყოფთ, რომ გული თქვენი სქელი მე შევქმენი, არამედ იმიტომ, რომ იგი, რომელიც ადრე, რა თქმა უნდა, ფაქიზი იყო, გასქელდა, რადგან სქელდება ის, რაც ადრე ფაქიზი იყო. ხოლო როცა გულები თავიანთი ნებით გასქელდნენ, თვალებიც მოხუჭეს. მათ ეს იმიტომ გააკეთეს, – ამბობს, – რომ არ მოქცეულიყვნენ და მე არ განმეკურნა ისინი. ასე რომ, განუკურნებელად და მოუქცეველად დარჩენას საკუთარი ნებითვე შეეცადნენ.

6-17. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ, ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი გესმის და არა ესმა. – ნეტარნი არიან მოციქულთა ხორციელი თვალები და ყურები, მაგრამ კიდევ უფრო ღირსნი ნეტარებისა მათი სულიერი თვალები და ყურებია, რადგანაც ქრისტე შეიცნეს. უფალი მათ წინასწარმეტყველებზე მაღლა აყენებს, რადგან ქრისტე ხორციელი თვალებითაც იხილეს, მაშინ, როცა ისინი მას მხოლოდ სულიერი თვალებით ჭვრეტდნენ; და კიდევ იმიტომაც, რომ არც იმდენი დაფარულის გაგების და არც ისეთი ცოდნის ღირსნი გამხდარან, რამდენიც ამათ შეიტყვეს და შეიმეცნეს. ამგვარად, მოციქულები წინასწარმეტყველებს ორი რამით აღემატებიან: იმით, რომ მაცხოვარი ხორციელადაც იხილეს და იმით, რომ ღმრთეებრივ საიდუმლოებს სულიერად უფრო მეტად ეზიარნენ. უფალი მოწაფეებს იგავს განუმარტავს და ეუბნება:

18-19. ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისაჲ. ყოველსა რომელსა ესმეს სიტყუაჲ სასუფეველისაჲ და არა გულისჴმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის დათესული იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა. – უფალი შეგვაგონებს, გულისხმავყოთ, რასაც მოძღვარნი გვეუბნებიან, რათა არ დავემსგავსოთ იმათ, რომელნიც გზასთან არიან. ხოლო რამდენადაც გზა ქრისტეა, ისინი, რომელნიც გზის მახლობლად იმყოფებიან, ქრისტეს გარეშე

არიან, რადგან არა გზაზე, არამედ გზის გარეთ დგანან.

20-21. **ხოლო რომელი იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთო არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდის იგი.** – ჭირი იმიტომ ახსენა, რომ მრავალნი, რომელნიც მშობელთა ან სხვა რამ უბედურების მიზეზით მწუხარებენ, მსწრაფლ ღმრთის გმობას იწყებენ. დევნაზე კი უფალმა, იმათ გამო თქვა, რომელნიც ამა ქვეყნის ძლიერთა მსხვერპლნი ხდებიან.

22. **ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამა სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი და უნაყოფო იქმნის.** – ის კი არ უთქვამს, წუთისოფელმა მოაშთოო, არამედ წუთისოფლის საზრუნავებმაო, არა სიმდიდრემ, არამედ სიმდიდრის საცდურმაო, რადგან უკეთუ სიმდიდრე გლახაკებსაც უნაწილდება, სიტყვას არა თუ აშთობს, პირიქით, ამრავლებს. ხოლო ეკლებში ზრუნვანი და ფუფუნებანი იგულისხმება, რადგან ისინი გულისთქმისა და ამდენად გეჰენიის ცეცხლს აღაგზნებენ. ისევე როგორც ძნელად ამოიღება წვეტიანი ეკალი, რომელიც სხეულს შეესობა, ასევე ძნელად აღმოიფხვრება სიყვარულიც ფუფუნებისა, უკეთუ იგი სულს შეიპყრობს და მას გამსჭვალავს.

23. **ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისჴმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი, რომელმანმე ოც და ათი.** – განსხვავებულია სათნოების სახეები და განხსვავებულნი არიან ისინიც, რომელნიც მასში წარემატებიან. ნახე, როგორი რიგია იგავში: უწინარესად ჩვენ სიტყვის მოსმენა და გულისხმისყოფა გვმართებს, რათა არ დავემსგავსოთ მათ, რომელნიც გზის გარეთ არიან. შემდეგ, მოსმენილი მტკიცედ უნდა დავიცვათ, ხოლო შემდეგ, არც ანგარების მოყვარენი უნდა ვიყოთ, რადგან რა სარგებლობა მექნება, უკეთუ მოვისმენ და დავიცავ, მაგრამ ანგარების მოყვარეობით მოვაშთობ?

24-30. **სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. და ოდეს აღმოსცენდა ჯჳეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი. მოვიდეს მონანი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი? ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფუხრათ იფქლიცა. აცალეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკარით ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.**

– პირველ იგავში უფალმა თქვა, რომ კეთილ ნიადაგზე თესლის მეოთხედი ნაწილი დავარდა, აქ კი გვაჩვენებს, რომ მტერმა ჩვენი ძილისა და უზრუნველობისა გამო, წაუხდენელი არც ეს კეთილ ნიადაგზე დავარდნილი თესლი დატოვა. მინდორი – ეს სამყაროა, ან კიდევ სული ყოველი კაცისა, მთესველი – ქრისტე, თესლი კეთილი – კეთილი ადამიანები, ან კეთილი ზრახვანი, ღვარძლი – ერესები, ან ბოროტი ზრახვანი, ხოლო მათი დამთესველი – ეშმაკი. კაცნი მძინარენი ისინი არიან, რომელნიც უზრუნველობისა გამო ადგილს ერეტიკოსებს ან ბოროტ ზრახვებს უთმობენ. ხოლო მონანი – ანგელოზები, რომელთაც არსებობა ერესებისა, ან სულში ბიწიერებისა აღაშფოთებთ და ერეტიკოსთა და ბოროტმზრახველთა ცხოვრებიდან ამოწვა და ამოკვეთა სურთ. ღმერთი ნებას არ იძლევა ერეტიკოსების ომებით განადგურებისა, რათა მათთან ერთად ტანჯვა მართალთაც არ განიცადონ და ისინიც არ განადგურდნენ. ღმერთს, ბოროტ ზრახვათა გამო, არც ადამიანის მოკვდინება სურს, რათა მასთან ერთად ხორბალიც არ განადგურდეს. ასე, მაგალითად, მათე, რომელიც თავდაპირველად ღვარძლი იყო, ცხოვრებიდან რომ მოკვეთილიყო, მასთან ერთად შემდეგში მისგან აღმოცენებული ხორბალიც პურისა მოიკვეთებოდა. ასევე პავლეცა და ავაზაკიც, იყვნენ რა ღვარძლნი, მოკვეთილ კი არ იქმნენ, არამედ მიეცათ ნება სიცოცხლისა, რათა შემდეგში მათი სათნოება აღმოცენებულიყო. ამიტომაც ეუბნება უფალი ანგელოზებს, რომ ღვარძლი ანუ მწვალებლები მაშინ შეკრიბონ, როცა სამყაროს აღსასრულის ჟამი დაუდგება. მაგრამ როგორ? ძნეულებად(კონებად) ანუ შეკვრით მათთვის ხელებისა და ფეხებისა, რადგან მაშინ უკვე ვეღარცერთი შეძლებს იმოქმედოს, იმის გამო, რომ სამოქმედო ძალა შეკრული ექნება. ხორბალი ანუ წმინდანები მომკელი ანგელოზებისაგან ზეციურ ბეღელსა შინა შეიკრიბება; უკეთური ზრახვანი კი, რომელნიც პავლეს მაშინ ჰქონდა, როცა მდევნელი იყო, ქრისტეს ცეცხლში დაიწვა, როცა დედამიწაზე მის გასაღვივებლად მოვიდა, ხოლო ხორბალი, ანუ კეთილი ზრახვანი ეკლესიის საუნჯესა შინა იქნა შეკრებილი.

31-32. **სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თჳსსა მტილსა, რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროჲს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა.** – მარცვალი მდოგვისა ქადაგება და მოციქულები არიან, რადგან თითქოსდა ისინი ცოტანი იყვნენ, მაგრამ მთელი სამყარო ისე მოიცვეს, რომ, ფრინველნი ზეცისანი ანუ ისინი, რომელთაც მსუბუქი და ფრთაშესხმული გონება აქვთ, მათზე ისვენებენ. ამრიგად, მდოგვის მარცვალიც რომ იყო, შესახედავად მცირე(რამეთუ სათნოების სახილველად გამოფენა საჭირო არაა), მაგრამ თბილი, მოშურნე, გონებამახვილი და მამხილებელი, მაინც მეტი იქნები მხალეულზე, ანუ სუსტებსა და არასრულყოფილებაზე, შენ თვითონ სრული; ასე რომ, რადგანაც ანგელოზური ცხოვრებით

ცხოვრობ, ფრინველნი ზეცისანი, ანუ ანგელოზები შენზე დაისვენებენ. ისინი ხომ მართალთა ზედა ხარობენ.

33. **მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად**. – საფუარშიც, ისევე როგორც მდოგვის მარცვალში, უფალი მოციქულებს გულისხმობს. ვითარცა საფუარი, თუმცა მცირეა, მაგრამ მთელ ცომს ცვლის, ასევე შეცვლით თქვენც, თუმცაღა ცოტანი ხართო, – ეუბნება, – მთელ სამყაროს. სატონი იუდეველთა საწყაო იყო, როგორც ჩვენთან ხინიკსები და დეკალიტრები. ზოგიერთები საფუარში ქადაგებას მოიაზრებენ, ხოლო სამ სატონში(საწყაულში) სულის სამ ძალას: აზროვნებას, მგრძნობელობასა და ნებელობას, დედაკაცში კი – სულს, რომელიც ქადაგებას მთელი თავისი ძალით ფარავდა; ხოლო შეერთო რა მას, აფუვდა და მის მიერ სრულიად განიწმინდა. ჩვენც მთლიანად უნდა ავფუვდეთ და ღმრთეებრივად გარდავიქმნეთ, რადგანაც უფალი ამბობს: **ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად**-ო.

34-35. **ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა თქუმული: აღვაღო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ** (ფს.77,2). – აქ მოყვანილია წინასწარმეტყველება, რომელიც წინასწარ გვამცნობდა თუ როგორ გვასწავლიდა იესო, სახელდობრ, იგავებით, რათა შენ არ გეფიქრა, რომ მან რაღაც ახალი საშუალება იპოვა სწავლებისა. სიტყვაც **რაჲთა** ისე გაიგე, როგორც შედეგი საქმისა და არა როგორც აღმნიშვნელი მიზეზისა, რადგან ქრისტე ამგვარად იმიტომ კი არ ასწავლიდა, რომ წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო, არამედ, პირიქით, რაკიღა იგავებით ასწავლიდა, საქმით გამოჩნდა, რომ წინასწარმეტყველება აღსრულდა მასზე.

თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ – მხოლოდ მაშინ, თორემ ყოველთვის იგავებით როდი საუბრობდა. უფალი იტყოდა მას, რაც დასაბამიდან სამყაროსა დაფარული იყო, რადგან ზეციური საიდუმლოებანი თვითონ განგვიცხადა.

36. **მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა**. – ხალხი მაშინ გაუშვა, როცა ნახა, რომ სწავლებისაგან სარგებლობას ვეღარ იღებდა. იგავებით ხომ იმიტომ ამბობდა, რომ კითხვები მიეცათ; მათ კი არც ამისთვის იზრუნეს და არც იმას შეეცადნენ, რამე გაეგოთ; ამიტომაც სამართლიანად გაუშვა ისინი.

და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ. – მხოლოდ ამ იგავის შესახებ ეკითხებიან, რადგან სხვები მათ უფრო გასაგებად მიიჩნიეს. ღვარძლი ყველა ის სარეველაა, რომელნიც ხორბლის ყანაში ამოდიან: ჭიოტა, ცერცველა, გუდაფშუტა და სხვ.

37-42. **ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისაჲ არს; ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი**

არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი. და შესთხინენ იგინი საჴუმილსა მას ცეცხლისასა და მუნ იყოს ტირილი და კბილთა ღრჭენაჲ. – ის, რაც აქ უნდა თქმულიყო, ზემოთ ითქვა, რადგან უკვე ვთქვით, რომ აქ საუბარია ერესებზე, რომელთაც ნება არსებობისა ვიდრე აღსასრულამდე ამა სოფლისა ეძლევათ. ჩვენ რომ ერეტიკოსები დავხოცოთ და გავანადგუროთ, მღელვარებანი და ბრძოლები ატყდება და შესაძლოა ამ მღელვარების დროს მორწმუნეთაგან მრავალი დაიღუპოს. პავლეცა და ავაზაკიც, ვიდრე ირწმუნებდნენ, ღვარძლნი იყვნენ, მაგრამ მაშინ ისინი არ მოუკვეთიათ იმ ხორბლისა გამო, რომელიც მათში მომავალში უნდა აღმოცენებულიყო. შემდგომში მათ ღმერთს ნაყოფი მართლაც მისცეს, ხოლო ღვარძლი სულიწმიდის ცეცხლითა და საკუთარი სულის მდუღარებით დაწვეს.

43. **მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!** – რადგანაც მზე ყველა ვარსკვლავზე უფრო ბრწყინვალედ გვეჩვენება, ამიტომაც უფალი მართალთა ბრწყინვალებას მზეს ადარებს; მაგრამ ისინი მზეზე მეტადაც კი განბრწყინდებიან. რამდენადაც ქრისტე სიმართლის მზეა, მართალნიც მსგავსად ქრისტესი გამობრწყინდებიან, რამეთუ იქნებიან ვითარცა ღმერთნი.

44. **კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთჳს წავიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.** – ყანა სამყაროა, ხოლო საუნჯე – ქადაგება, ან შეცნობა ქრისტესი, რომელიც ამქვეყნად დაფარულია: **არამედ ვიტყჳთ სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას**(Iკორ.2,7) – ამბობს პავლე მოციქული. ვინც შემეცნებას ღმრთისას ეძიებს, იპოვის კიდევაც მას და ყოველივე რაც აქვს, იქნება ეს ელინთა მოძღვრებანი, უკეთური ზნე-ჩვეულებანი თუ სიმდიდრე, მსწრაფლ დატოვებს და ყანას, ანუ ამ სოფელს იყიდის, რადგანაც ეს სამყარო მისი საკუთრებაა, ვინც ქრისტეს შეიმეცნებს; არაფრის მქონე ყველაფერს შეიძენს, სტიქიებსაც დაიმონებს და მათზე ისევე იმბრძანებლებს, ვითარცა ქრისტე ან მოსე.

45-46. **მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებს კეთილთა მარგალიტთა და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.** – ზღვა ეს ცხოვრებაა, ვაჭარნი კი ისინი, რომელნიც მასზე მიმოდიან და რაღაც ცოდნის შეძენას ეძიებენ. ბევრი მარგალიტი აზრებია მრავალი ბრძენისა, მაგრამ მათგან ძვირფასი მხოლოდ ერთია, რადგან ერთია ჭეშმარიტება და იგი ქრისტეა. მარგალიტზე ჰყვებიან, რომ იგი ნიჟარაში, რომელიც ნაპრალს ხსნის, ელვის ჩავარდნის შედეგად იბადება, სახელდობრ, როცა ნიჟარა ნაპრალს კვლავ დახურავს, მასში

ელვისა და ცვრისაგან მარგალიტი ჩაისახება; ამიტომაც არის იგი ასეთი თეთრი. მსგავსად ამისა, ქრისტეც ქალწულისგან ზევიდან ჩაისახა ელვისაგან – სულისაგან წმიდისა. ამგვარად, ვითარცა მხოლოდ მარგალიტის მფლობელმა, ვისაც იგი ხშირად ხელში უჭირავს, იცის, რა სიმდიდრეს ფლობს, სხვებმა კი ეს არ იციან, ასევე ქადაგებაც დაფარულია უჩინართა და უგუნურთათვის.

47-50. **მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის. და ოდეს აღივსოს, გამოიღიან იგი ზღვს-კიდესა და დაასხიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჯერკუალი იგი გარე განსთხიან. ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა და შესთხინენ იგინი შორის საჯუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.** – ეს იგავი გვაშინებს, რადგან გვაჩვენებს: კიდევაც რომ გვწამდეს, უკეთუ კეთილი ცხოვრებით არ ვიცხოვრებთ, ცეცხლში ჩავვარდებით. სათრომელი(სასროლი ბადე) მეთევზურ მოციქულთა სწავლებაა, რომელიც წინასწარმეტყველთა სასწაულებისა და დამოწმებათაგანაა მოქსოვილი, რადგან, რაც არ უნდა ესწავლებინათ მოციქულებს, ყოველივეს წინასწარმეტყველთა სასწაულებითა და სიტყვებით განამტკიცებდნენ. ამგვარად, ამ სათრომელმა ყველა ჯურის ადამიანები მოინადირა: ბარბაროსები, ელინები, იუდეველები, მეძავნი, მეზვერენი, ავაზაკები. რაჟამს იგი აღივსება, ანუ სამყაროს აღსასრული დაუდგება, ბადეში მყოფნი განიყოფიან. მორწმუნენიც რომ ვიყოთ, უკეთუ უკეთურნი აღმოვჩნდებით, გადაგვაგდებენ. ხოლო მათ, რომელნიც ასეთნი არ გამოდგებიან, ჭურჭელში მოათავსებენ, მარადიულ სავანეებს ვგულისხმობ. ყველა საქმე, კეთილი იქნება იგი თუ ბოროტი, სულის საზრდელად იწოდება, რადგან გონებით წარმოსადგენი კბილები სულსაც აქვს. სული მათ ამ დროს დააღრჭენს, ანუ თავის სამოქმედო ძალებს შემუსრავს, რადგანაც ასეთი საქმენი ჩაიდინა.

51-52. **ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: გულისჴმა-ჰყავთა ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჰე, უფალო. და ჰრქუა მათ: ამისთჳს ყოველი მწიგნობარი დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თჳსისა ძველი და ახალი.** – ხედავ, რომ იგავებმა ისინი უფრო დაფიქრებულებად აქციეს? სხვა მხრივ გაუწვრთნელთა და უვიცთა, გაურკვევლად ნათქვამი გაიგეს. ამიტომაც, აქებს რა მათ უფალი, ეუბნება: ყოველი მწიგნობარი და ა.შ. მწიგნობრებს მათ, ვითარცა სჯულის მცოდნეთ, უწოდებს; სჯულში კი განისწავლნენ, მაგრამ მასში არ დარჩენილან ამაზე არ გაჩერებულან, არამედ სასუფევლის შესახებაც ისწავლეს, ანუ ქრისტე შეიმეცნეს და შეეძლოთ გამოღება საუნჯისა ახალი და ძველი აღთქმიდან. სახლის უფალი თავად ქრისტეა, ვითარცა მდიდარი, რადგან მასშია საგანძურნი სიბრძნისანი. ასწავლიდა რა ახალს, დამოწმებანი მას იქვე ძველიდანაც მოჰქონდა, როგორც მაგალითად, როცა თქვა, რომ „პასუხს აგებ ყოველი

უქმი სიტყვისათვის“, ეს ახალია, მაგრამ იქვე დამოწმებაც მოიყვანა: **რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო**, რომელიც ძველი აღთქმიდანაა. მსგავსად ლაპარაკობდნენ მოციქულებიც, მაგალითად პავლე, რომელმაც თქვა: **მობაძავ ჩემდა იყვენით**(Iკორინ.4,16).

53-54. **და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ იგავნი ესე, წარვიდა მიერ და მოვიდა მამულად თჳსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა. – ესე იგავნიო** – იმიტომაც თქვა, რომ მცირე ხნის შემდეგ უფალს სხვა იგავების თქმა ჰქონდა განზრახული. წავიდა კი იმიტომ, რომ მასთან ყოფნით სარგებლობა სხვებისთვისაც მოეტანა. მის მამულში ნაზარეთი იგულისხმება, რადგანაც იქ აღიზარდა, ხოლო სინაგოგებში საჯაროდ და გაცხადებულად ასწავლიდა, რათა შემდეგში სათქმელად არ ჰქონოდათ, – რაღაც სჯულის საწინააღმდეგოს ასწავლიდაო.

54-57. **ვიდრემდის განუკჳრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არს ხუროჲსა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა ჰრქჳან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ჩუენ შორის არიანა? ვინაჲ უკუე არს ამისა ესე ყოველი? და დაჰბრკოლდებოდეს მისთჳს.** – უგუნურნი იყვნენ ნაზარეველნი, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ წინაპართა არაკეთილშობილური და უბრალო წარმომავლობა ვინმეს ხელს შეუშლის ღმრთისთვის სათნო იყოს. ვთქვათ და, იესო მართლაც უბრალო კაცი იყო და არა ღმერთი. რამემ შეუშალა ხელი, რომ დიდი სასწაულები მოეხდინა? ამგვარად, ისინი უგუნურნიც გამოდგნენ და შურიანებიც, მაშინ, როცა განსაკუთრებით უნდა გახარებოდათ, რომ მათმა სამშობლომ ქვეყანას ასეთი სიკეთე მისცა. ძმებად და დებად იესოს იოსების შვილები ჰყავდა, რომელიც მას თავისი ძმის – კლეოპას ცოლისაგან შეეძინა. რადგანაც კლეოპა უშვილოდ გადაეგო, იოსებმა, სჯულის მიხედვით, მისი ცოლი მოიყვანა და მისგან ექვსი შვილი გააჩინა – ოთხი ვაჟი და ორიც ქალი: მარიამი, რომელიც სჯულის მიხედვით კლეოპას ასულად იწოდებოდა, და სალომე. **ჩუენ შორის** იგივეა, რაც: **რომელნიც აქ ჩვენთან ერთად ცხოვრობენ**. ასე რომ, იესოში ისინიც შეცდნენ და შესაძლოა იმასაც კი ამბობდნენ, დემონებს ბელზებულით დევნისო.

57-58. **ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა არს წინასწარმეტყუელი შეუარაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა და სახლსა შინა თჳსსა. და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს**. – ყურადღება მიაქციე, რომ იესო მათ კი არ საყვედურობს, არამედ მშვიდად ამბობს, რომ **არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ** და ა. შ. ჩვენ, ადამიანებს, ყოველთვის მახლობელთა უგულებელყოფა და უცხოთა შეყვარება გვჩვევია. **სახლსა შინა თჳსსა** იმიტომაც დაუმატა, რომ მისი მის ძმებსაც, რომელიც იმავე სახლიდან იყვნენ, შურდათ. მათი ურწმუნოებისა გამო, უფალმა აქ მრავალი სასწაული აღარ აღასრულა და შეიწყალა ისინი, რადგანაც დარჩებოდნენ რა ურწმუნოებად სასწაულების ხილვის შემდეგაც, უფრო მეტად არ დასჯილიყვნენ. თუმცა მრავალი სასწაული არ აღუსრულებია, მაგრამ მცირედი მაინც აღასრულა, რათა სათქმელად ის არ

ჰქონოდათ, საერთოდ რაღაც მაინც რომ ჩაედინა, ვიწამებდითო. შენ კი ეს ამგვარად მოიაზრე: მის სამშობლოში, ანუ იუდეველები იესოს პატივს დღემდე არ მიაგებენ; პატივს მას ჩვენ, უცხონი, მივაგებთ.

თავი XIV

1-2. **მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუჲსი, და ჰრქუა მონათა თჳსთა: ესე არს იოვანე ნათლისმცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის თანა.** – ეს ჰეროდე იმ ჰეროდეს შვილია, ვინც ბეთლემში ყრმები ამოაწყვეტინა. აქედან დესპოტის ქედმაღლური ცხოვრება გულისხმაჰყავ; რამდენი ხნის შემდეგ შეიტყო ჰეროდემ იესოს შესახებ! მმართველნი ამგვარ რამეს გვიან იგებენ, რადგან, მათ, რომელნიც სიკეთით ბრწყინავენ, ყურადღებას არ აქცევენ. როგორც ჩანს, ნათლისმცემლისა ეშინოდა, ამიტომაც სხვებთან დალაპარაკება ვერ გაბედა და ყრმებს, ე. ი. თავის მონებს უთხრა. რამდენადაც იოვანე სიცოცხლეში სასწაულებს არ სჩადიოდა, ჰეროდემ იფიქრა, რომ ეს მადლი სასწაულთქმედებისა ღმრთისაგან მან აღდგომის შემდეგ მიიღო.

3-5. **რამეთუ ჰეროდე შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიადსთჳს, ცოლისა ფილიპესა, ძმისა თჳსისა. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ არა ჯერ არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად. და უნდა ღათუ მისი მოკლვაჲ, არამედ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ეპყრა მათ იგი.** – მათე მახარებელს ეს ამბავი იოვანეს შესახებ ადრე არ მოუხსენებია, რადგანაც მისი მიზანი მხოლოდ იმის აღწერა იყო, რაც უშუალოდ ქრისტეს უკავშირდება. და არც ამჯერად მოიხსენიებდა, ასევე ესეც ქრისტეს რომ არ ეხებოდეს. იოვანემ ამხილა ჰეროდე, რომელმაც სჯული დაარღვია და ცოლად ძმის ქვრივი ჰყავდა. სჯული კი ბრძანებდა, რომ ძმას ძმის ცოლი მაშინ უნდა მოეყვანა, თუ იგი უშვილოდ აღესრულებოდა. ამ შემთხვევაში კი ფილიპე უშვილოდ არ გადაგებულა, რადგან მას ჰყავდა ასული, რომელიც ცეკვავდა. ზოგიერთი ამბობს, რომ ჰეროდემ ფილიპეს ცოლიცა და ოთხი სამთავროს მთავრობაც სიცოცხლეშივე წაართვა. ასეა თუ ისე, იმით, რაც ჩაიდინა, სჯული დაარღვია. არ ეშინოდა რა ღმრთისა, მას ხალხის ეშინოდა და ამიტომაც იოვანეს მოკვლისაგან თავს იკავებდა, მაგრამ ეშმაკმა ხელსაყრელი შემთხვევა მისცა.

6-8. **და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდიადისი შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი. რომლისათჳს ფიცით აღუთქვა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს. ხოლო იგი წინაჲსწარ ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე აქა ლანკნითა თავი იოვანესი.** – ნახე, როგორი ურცხვობაა! მეფის ასული ცეკვავს და რაც უფრო კარგად ცეკვავს, მით უარესი, რადგან უმსგავსობაა ხომ, როცა მეფის ასული რამეს ცბიერებით სჩადის. ნახე, სხვა უგუნურებაც ჰეროდესი, რომელმაც დაიფიცა, რომ მისცემდა, რასაც კი

ითხოვდა: – შენი თავი რომ მოეთხოვა, მისცემდი? **მომეც მე,** – ეუბნება, – **აქა თავი იოვანესი**. რისთვისღა დაამატა **აქა**? იმიტომ, რომ ეშინოდა ჰეროდე გონს არ მოგებულიყო და შემდეგ არ გადაეფიქრებინა. ამიტომაც აჩქარებს მას და ეუბნება: **მომეც მე აქა**.

9-12. **და შე-ღათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინ-აჴეთა ბრძანა მიცემად იგი მას. და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი საპყ-რობილესა შინა. და მოართუეს თავი მისი ლანკნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართვა დედასა თჳსსა. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი**. – შეწუხდა სათნოებისა გამო, რადგან სათნოება მტერსაც აოც-ებს, მაგრამ მიცემული ფიცის გამო არაადამიანურ საჩუქარს მაინც უძღვნის. აქედან ვსწავლობთ, რომ უმჯობესია ფიცი გავტეხოთ, ვიდრე ფიცისა გამო რამე უსჯულოება ჩავიდინოთ. ნათლისმცემლის სხეული კესარიის სებასტიაში დაფლეს, ხოლო თავი მისი პატიოსანი პირველად ემესაში იქნა დადებული.

და მოვიდეს და უთხრეს იესუს. – რა უთხრეს იესოს? არა ის, რომ იოვანე მოკვდა, რადგან ცნობა ამის შესახებ ხალხში უკვე გავრცელებული იყო, არ-ამედ ის, რომ ჰეროდე მის შესახებ ამბობდა, იოვანე არისო.

13. **ესმა რაჲ ესე იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა ადგილ-სა თჳსაგან**. – მიდის რა იესო იქიდან ჰეროდეს მიერ ჩადენილი მკვლელობის გამო, გვასწავლის, რომ საფრთხეში თავი აშკარად არც ჩვენ უნდა ჩავიგდოთ; ამასთან, მიდის იმიტომაც, რათა არ ეფიქრათ, რომ ხორცი მოჩვენებითად ჰქონდა შესხმული; რადგან უკეთუ ჰეროდე შეიპყრობდა და მის მოკვლას შე-ეცდებოდა, ხოლო თვითონ თავს საფრთხეს იმიტომაც გამოსტაცებდა, რომ ჟამი მისი სიკვდილისა ჯერ არ დამდგარიყო, არ ეფიქრათ მოჩვენება არისო. აი, ამიტომაც **წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან**, რათა იქ პურის სასწაული აღესრულებინა.

13-14. **და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდეს მას მკჳრცხლ ქალაქებისაგან. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა სნეულნი მათნი.** – ხალხი რწმენას ამჟღავნებს და განმარტოებულ იესოსთან მიდის, ამიტომაც, ვითარცა საზღაურს რწმენისათვის, კურნებას იღებს; და როცა მას, საკვების გარეშე, ფეხით მისდევს – ესეც რწმენისაგანაა.

15-16. **და ვითარცა შემწუხრდა, მოუჴდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უდაბ-ნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს; განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა უჴმს მათ წარსლვაჲ; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი**. – კაცთმოყვარენი არიან მოწაფენი, ხალხზე ზრუნავენ და ამიტომაც არ სურთ, რომ მან იშიმშილოს. ხოლო მაცხ-ოვარი რაღას ეუბნება? **თქუენ ეცით მაგათ ჭამადი.** ამას იმიტომ კი არ ეუბნება, რომ არ იცოდა, რამდენად ღარიბნი იყვნენ მოციქულები, არამედ იმიტომ, რომ, როცა ისინი ეტყოდნენ, არ გვაქვსო, გამომჟღავნებილიყო, რომ სასწაულს არა დიდების მოყვარეობის, არამედ აუცილებლობისა გამო აღასრულებდა.

17-19. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი. ჰრქუა მათ იესუ: მომართუთ მე იგი აქა! და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა. – მომართვით მე პურები აქ, რადგან თუმცაღა გვიანაა, მაგრამ ჟამთა შემოქმედიც მე ვარ და თუმცა ეს ადგილი უდაბნოა, მე ვარ ის, ვინც ყოველ ხორციელს საზრდელს აძლევს. აქედან ვსწავლობთ: მცირეც რომ გვქონდეს, სტუმართმოყვარეობისათვის მაინც უნდა გამოვიყენოთ, რადგან მოციქულებსაც მცირე ჰქონდათ, მაგრამ ხალხისთვის მაინც გაიღეს; და როგორც მათი მცირედი გამრავლდა, შენი მცირედიც ასევე გამრავლდება. ხალხი ბალახზე დასხა, რითაც უბრალოება გვასწავლა, რათა ძვირფას საწოლებსა და ხალიჩებზე არც შენ განისვენო. ზეცად თვალები აღაპყრო და პურები შეიძლება იმიტომაც აკურთხა, რომ ერწმუნათ: ღმრთის მტერი კი არ იყო, არამედ ზეციდან მოსული მამისგან; და კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენთვის ესწავლებინა, რაჟამს ტრაპეზს მივეახლებით, ვმადლობდეთ და ისე ვჭამოთ.

19-21. და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას. და ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე. ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, მამანი ხოლო ხუთ ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა. – მოწაფეებს იმიტომაც მისცა, რომ ეს სასწაული ყოველთჳის ხსომებოდათ და სამარადისოდ გონებაში დარჩენოდათ, თუმცაღა მათ მყისვე დაივიწყეს. რომ არ იფიქრო, სასწაული მოჩვენებითად აღასრულაო, პურები ამიტომაც გამრავლდა. თორმეტი გოდორი იმიტომაც იყო, რომ იუდასაც წაეღო და, საწაულზე დაფიქრებული, გაცემის სურვილს აღარ გაეტაცა. პურებიც გაამრავლა და თევზებიც, რათა ეჩვენებინა, რომ შემოქმედია ხმელეთისა და ზღვისაც და რომ ყოველივეს, რასაც ყოველდღიურად ვჭამთ, მისგან ბოძებულს ვჭამთ და მის მიერ გამრავლებულს. სასწაული უდაბნოში აღსრულდა, რათა ვინმეს არ ეფიქრა, პურები მეზობელ ქალაქში იყიდა და ხალხს გაუნაწილაო, რადგან უდაბნო იყო. ამას ყოველივეს ისტორია გვაუწყებს, ხოლო გამოკვლევით ისწავლე, რომ რაჟამს ჰეროდემ, – ხორციელმა, უხეშმა იუდეურმა გონებამ(რამეთუ ჰეროდე ამას ნიშნავს), იოვანეს, წინასწარმეტყველთა თავს, თავი მოჰკვეთა, ანუ წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებ არ ირწმუნა, იესო უდაბნო ადგილას, წარმართებთან წავიდა, რომელნიც ღმრთისათვის უდაბნოები იყვნენ და სულით სნეულნი განკურნა, ხოლო შემდეგ ასაზრდოვა ისინი. უკეთუ იგი ჩვენ ცოდვებს არ მოგვიტევებს და სნეულებებს ნათლისღებით არ განკურნავს, არც უწმინდეს საიდუმლოებთან ზიარებით გვასაზრდოებს, რადგანაც მათ მოუნათლავთაგან ვერავინ ეზიარება. ხუთი ათასი – ეს ხუთი გრძნობაა, რომელიც ცუდ დღეშია და რომელიც ხუთი პურისაგან განიკურნება. რამდენადაც ავად ხუთი გრძნობა იყო, რამდენიც ჭრილობაა, სალბუნიც იმდენივე სჭირდებოდა. ორი თევზი მეთევზურთა სიტყვებია. ერთი თევზი სახარებაა, მეორე კი – სამოციქულო. მაგრამ ზოგიერთები ხუთ

პურში მოსეს ხუთწიგნეულს – დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე შჯული – გულისხმობენ. თორმეტი გოდორი მოციქულებმა აიღეს და მოიკიდეს, რადგან, რისი შეჭმაც ანუ მოაზრებაც ჩვენ, უბრალო ადამიანებმა, ვერ შევძელით, ის მოციქულებმა იტვირთეს და შეითვისეს. **თჳნიერ ყრმებისა და დედებისა,** რადგან ქრისტიანს რაღაც ბავშვური ან ქალური და არაკაცური არ უნდა ჰქონდეს.

22. **და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინა-წარძღუანვად მისა წიაღ-კერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.** – მიანიშნა რა მასთან მოწაფეთა განუყრელობაზე, მათემ თქვა: აიძულა, რადგან მათ მუდამ იესოსთან ყოფნა სურდათ; ხალხი გაუშვა, რათა არ გაეცილებინა იგი და ამდენად დიდებისმოყვარედ არ წარმოჩენილიყო.

23-24. **და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თჳსაგან და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო.** – გვიჩვენებს რა ჩვენ, რომ ლოცვისას ყურადღების მოკრებაა საჭირო, უფალი მთაზე ადის; ამასაც, ისევე როგორც ყოველივეს, ჩვენთვის აკეთებს, რადგან მას ლოცვა სრულიადაც არ სჭირდება. გვიანობამდე ლოცულობს, რითაც გვასწავლის, რომ ჩვენც ლოცვა არა თუ მალევე არ უნდა შევწყვიტოთ, არამედ, რამდენადაც ამ დროს მეტი სიწყნარეა, განსაკუთრებით ღამით უნდა ვილოცოთ. მან დაუშვა, რომ მოწაფეებს საფრთხე დამუქრებოდა, რათა განსაცდელთა მტკიცედ გადატანაც ესწავლათ და მისი ძალაც შეეცნოთ. ნავი შუა ზღვასა შინა კი გვიჩვენებს, რომ საშიშროება დიდი იყო.

25-27. **და მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: საოცარ რაჲმე არს, და შიშისაგან ღაღად-ყვეს. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!** – მაშინვე კი არ წარდგა მათ წინაშე, ვითარცა ჩამწყნარებელი ქარიშხლისა, გვასწავლა რა ამით, რომ უბედურებათა არა მყისვე თავიდან აცილების თხოვნა, არამედ მათი მამაცურად გადატანა გვმართებს, არამედ დაახლოებით მეოთხე ცვლისას მოვიდა, რადგანაც ღამე მეომრებისთვის, რომელნიც სადარაჯოზე მორიგეობით იდგნენ, ღამე ოთხ ნაწილად იყოფოდა, ისე რომ თითოეული საჴუმილავი სამ საათს გრძელდებოდა. ამგვარად, უფალი მათთან ღამის ცხრა საათის შემდეგ მისულა, მიაბიჯებდა რა წყლის ზედაპირზე, ვითარცა ღმერთი. მოწაფეებს, ამ უჩვეულო და უცხო სანახაობისა გამო, მოჩვენება ეგონათ, და რადგანაც ღამეც იყო და შეეშინდათ კიდეც, იგი ვერც შესახედავად იცნეს. ხოლო უფალმა უწინარესად გაამხნევა ისინი და უთხრა: ეს მე ვარ, ვისაც ყოველივე ძალუძს, გამხნევდით.

28. **მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.** – იმის გამო, რომ ქრისტე ფრიად მხურვალედ

უყვარდა, პეტრეს სურს მსწრაფლ და ყველაზე ადრე მიუახლოვდეს მას. სწამს რა, რომ იესოს არა მხოლოდ თვითონ შეუძლია წყალზე სიარული, არამედ იმავეს მასაც შეაძლებინებს, იმას კი არ ეუბნება: მიბრძანე მე სლვადო, არამედ **მისლვად შენდაო**, რადგანაც პირველი ქედმაღლობის ნიშანი იქნებოდა, მაშინ, როცა მეორე ქრისტეს სიყვარულს გამოხატავს.

29-30. **ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესუსა. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ღაღად-ყო და თქუა: უფალო, მიჴსენ მე!** – აჩვენა რა თავისი ძლიერება, უფალმა პეტრეს ზღვა ფერხთით დაუფინა. მაგრამ ნახე! უფრო მძლავრზე გამარჯვებულ პეტრეს, ზღვას ვგულისხმობ, ქარისა შეეშინდა; ასე სუსტია ბუნება კაცისა. როგორც კი შეეშინდა, მყისვე ჩაძირვა დაიწყო, ანუ ჩაძირვა პეტრემ დაიწყო მაშინ, რაჟამს რწმენა შეუსუსტდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა არც მას შექმნოდა და სხვა მოწაფენიც დამშვიდებულიყვნენ, რადგანაც მათ შეიძლება შეშურებოდათ მისი. მაგრამ ეს იმასაც აჩვენებს, რამდენად აღემატებოდა მას ქრისტე.

31-33. **და მეყსეულად განყო ჴელი იესუ და უპყრა მას და ჰრქუა: მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი? და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას შინა, დაცხრა ქარი იგი. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუჴდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ.** – აჩვენა რა, რომ ჩაძირვის მიზეზი არა ქარი, არამედ სულმოკლეობა იყო, იესომ ქარი კი არა, სულმოკლე პეტრე გაკიცხა. ამიტომაც ამოიყვანა იგი და წყალზე დააყენა, ხოლო ქარს კვლავ ქროლის ნება მისცა. პეტრე სრულად კი არ დაეჭვებულა, არამედ რამდენადმე, ანუ ნაწილობრივ, რადგან, რამდენადაც შეეშინდა, იმდენად არ სწამდა. რაჟამს მან ღაღადყო: **უფალო, მიჴსენ მე,** ამით თავისი ურწმუნოება განკურნა. ამიტომაც მოისმინა: **მცირედ მორწმუნეო** და არა **ურწმუნო**. შიშისაგან ისინიც განთავისუფლდნენ, რომელნიც ნავში იყვნენ, რადგან ქარი დაცხრა და ამით იცნეს რა იესო, მისი ღმრთეებრიობა აღიარეს. ზღვაზე სიარული ხომ არა კაცის, არამედ ღმრთის თვისებაა, როგორც ამას დავითიც ამბობს: **ზღუასა ზედა არიან გზანი შენნი და ალაგნი შენნი წყალთა ზედა მრავალთა**(ფს.76,20). უკეთუ სიტყვას გამოვიკვლევთ, ხომალდი მიწაა, ტალღები – ცხოვრება, ბოროტი სულებისაგან აღელვებული, ხოლო ღამე – უვიცობა; **მეოთხესა საჴუმილავსა**, ანუ საუკუნეთა დასასრულს, მოვიდა ქრისტე. პირველი საჴუმილავი(ჟამი) აბრაამისთვის მიცემული აღთქმაა, მეორე – სჯული მოსესი, მესამე – წინასწარმეტყველები, მეოთხე – მოსვლა უფლისა; რამეთუ მოვიდა და იყო რა ჩვენთან, ღელვათაგან მოცულნი გვიხსნა, რათა შეგვეცნო იგი, ვითარცა ღმერთი და თაყვანი გვეცა მისთვის. ყურადღება მიაქციე იმასაც, რომ ის, რაც პეტრეს ზღვაზე შეემთხვა, მის მიერ იესოს უარყოფასა, ხოლო შემდეგ მოქცევასა და სინანულზე წინასწარ მიანიშნებს. როგორც იქ ამბობს გაბედულად, მე არ უარგყოფო, ასევე აქაც: მიბრძანე მე შენთან წყალსა ზედა

მოსვლაო, და როგორც იქ დაუშვა უფალმა, რომ პეტრეს უარეყო, ასევე აქაც – მისი ჩაძირვა. აქ უფალმა ხელი გაუწოდა მას და დახრჩობისაგან იხსნა, ხოლო იქ მონანიების გზით უარყოფის ცოდვის უფსკრულიდან ამოიყვანა.

34-36. **და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მიართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული და ევედრებოდეს მას, რაჲთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს.** – რადგანაც იესო გენესარეთში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა, ადამიანები მას არა მხოლოდ შესახედავად, არამედ სასწაულებითაც იცნობდნენ, რის გამოც მხურვალე რწმენა გამოამჟღავნეს. ისე რომ, მისი სამოსის ბოლოს შეხებას ესწრაფვოდნენ და რომელნიც ამას აკეთებდნენ, იკურნებოდნენ კიდეც. ამგვარად, ქრისტეს სამოსის კიდეს, ანუ მისი ხორციელი არსებობის დასასრულს შენც შეეხე, რადგან უკეთუ იმას ირწმუნებ, რომ ქრისტე ამაღლდა, გადარჩები, რამდენადაც სამოსი აქ ხორცია, ხოლო კიდე მისი – დედამიწაზე ცხოვრების აღსასრული.

თავი XV

1-2. **მაშინ მოუჴდეს იესუს იერუსალჱმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან ჴელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.** – თუმცა ფარისევლები და მწიგნობარნი ყველა მხარეში იყვნენ, მაგრამ ყველაზე დიდი პატივით იესულიმელები სარგებლობდნენ. ამიტომაც, ვითარცა დიდების უფრო მეტად მოყვარეებს, განსაკუთრებით შურდათ მისი. ძველი გადმოცემის მიხედვით, იუდეველებს ჩვევად ჰქონდათ, არ ეჭამათ დაუბანელი ხელებით. დაინახეს რა, რომ მოწაფენი ამ ადათს უგულებელყოფდნენ, ეს მათ მიერ უხუცესების არად ჩაგდებად მიიჩნიეს. ხოლო მაცხოვარმა რაღა თქვა? მათ საპასუხოდ – არაფერი, მაგრამ თავის მხრივ ჰკითხა:

3-6. **ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲსათჳს თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა? რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათჳს გინა დედისა, სიკუდილით მოკუედინ. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა: ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო, და არა პატივ-სცეს მამასა ანუ დედასა თჳსსა, ესევითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ მცნებაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა.** – ფარისევლები მოწაფეებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი უხუცესთა მცნებებს არღვევდნენ. ქრისტე კი აჩვენებს, რომ ღმრთის სჯულის დამრღვევნი თავად ისინი იყვნენ, რადგან ისინი ასწავლიდნენ, რომ შვილებს მშობლებისათვის არაფერი არ უნდა მიეცათ, ხოლო რაც ჰქონდათ ტაძრის საგანძურში უნდა მიეტანათ. საგანძური, რომელშიც, ვისაც სურდა, ფულს ყრიდა, ტაძარში იდგა და „გაზა“ ეწოდებოდა. მასში შეგროვილი ფული

ღარიბებს ურიგდებოდა. ამგვარად, ფარისევლები არწმუნებდნენ შვილებს, რომ მშობლებისათვის კი არ მიეცათ რამე, არამედ, რაც ჰქონდათ, ტაძრის საგანძურში მიეტანათ; ამასთან, იმასაც ასწავლიდნენ, რაც მშობლებისათვის უნდა ეთქვათ: მამა, სარგებელი, რომელსაც შენ ჩემგან ეძებ, საჩუქარია(ნიჭია) ანუ ღმრთისადმია მიძღვნილი. ამრიგად, ისინი(მწიგნობარნი) ქონებას შვილებს შორის ანაწილებდნენ, სიბერისაგან დაბეჩავებული მშობლები კი ულუკმა-პუროდ რჩებოდნენ. ასევე იქცეოდნენ გამსესხებლებიც. თუკი ვინმე ვინმეს ფულს ასესხებდა, ხოლო შემდეგ სესხის ამღები გამოუსწორებელი გამოდგებოდა და ვალს არ მისცემდა, გამსესხებელი ამ უგუნურ(უმადურ) მოვალეს ეუბნებოდა: „კორბან“, ანუ, რაც ჩემი გმართებს, ის საჩუქარია, ღმრთისადმი მიძღვნილი. ამრიგად, ვალის ამღები ღმრთის მოვალე ხდებოდა და იძულებული იყო ვალი გადაეხადა. ფარისევლები შვილებსაც ასე მოქცევას ასწავლიდნენ.

7-9. **ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუელებდა თქუენთჳს ესაია და თქუა: მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან: ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა**. – უფალი ესაიას სიტყვებით გვაჩვენებს, რომ ისინი მისი მამის მიმართაც იმგვარნი არიან, როგორებიც თვითონ მის მიმართ გამოდგნენ. იყვნენ რა მზაკვარნი, მზაკვრული საქმეებით თავიანთი თავი ღმერთს განაშორეს და ღმრთის სიტყვებს მხოლოდ პირითღა ამბობდნენ, რადგან ამაოდ სცემენ თაყვანს და მოჩვენებითად პატივს მიაგებენ **ღმერთს ისინი, რომელნიც მას საქმით შეურაცხყოფენ.**

10-11. **და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა: ისმინეთ და გულისჴმა-ყავთ: არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცს, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა**. – ფარისევლებს კი არ ეუბნება, ვითარცა განუკურნებლებს, არამედ – ხალხს. მოუწოდებს რა მას, ჩანს, რომ პატივს მიაგებს ხალხს, რათა მან მისი მოძღვრება შეიწყნაროს და ეუბნება: **ისმინეთ და გულისჴმა-ყავთ**-ო, ანუ ყურადღების მოკრებისათჳს აღძრავს. რადგანაც ფარისევლები მოციქულებს ბრალად დაუბანელი ხელებით ჭამას სდებდნენ, უფალი საჭმლის შესახებ ამბობს, რომ ვერცერთი საჭმელი ვერ შეაგინებს ანუ ვერ წაბილწავს კაცს; ხოლო უკეთუ საჭმელი ვერ წაბილწავს, მით უმეტეს ვერ წაბილწავს დაუბანელი ხელებით ჭამა. შინაგანი კაცი მაშინ იბილწება, როცა იმას ამბობს, რაც არ უნდა თქვას. ამით ფარისევლებზე მიანიშნებს, რონელნიც თავს შურის სიტყვების წარმოთქმით იბილწავდნენ. ყურადღება მიაქციე მის სიბრძნეს! დაუბანელი ხელებით ჭამას იგი არც ადგენს და არც კრძალავს, არამედ სხვა რამეს ასწავლის: არ აღმოვთქვათ გულიდან ბოროტი სიტყვები.

12. **მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უწყია, ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაჰბრკოლდეს?** – თუმცა მოწაფენი ფარისევლებზე ამბობენ, ცდუნდნენო, მაგრამ თვითონაც შეშფოთებულნი არიან, რაც იქიდან ჩანს, რომ პეტრე მივიდა მასთან და ამის თაობაზე შეეკითხა. ამგვარად, იესომ

მოისმინა რა, რომ ფარისეველები ცდუნდნენ, თქვა:

13-14. **ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურას. უტევენით ეგე, რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი, ხოლო ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღჳნ, ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან.** – უნდა აღმოიფხვრასო, – უხუცესთა გადმოცემებსა და იუდეურ მცნებებზე ამბობს და არა სჯულზე, როგორც ამას მანიქეველები ფიქრობენ, რადგანაც სჯული ღმრთის ნერგია. ამრიგად, იგი კი არ უნდა ამოიძირკვოს, არამედ, პირიქით, მისი ფესვი ანუ დაფარული სული უნდა დარჩეს, ხოლო ფოთლები, ანუ ხილული ასოები დაცვივდეს, რადგანაც სჯულს უკვე არა ასოების, არამედ სულის მიხედვით მოვიაზრებთ. რამდენადაც ფარისეველნი შეუსმენელნი და განუკურნებელნი იყვნენ, იგი მათ შესახებ ამბობს: **უტევენით ეგე.** აქედან ვსწავლობთ, რომ უკეთუ ვინმე ნებით ცდუნდა და განუკურნებელია, ეს ჩვენ ზიანს ვერ მოგვაყენებს. უფალი მათ ბრმების ბრმა მასწავლებლებს უწოდებს და ამას იმიტომ ამბობს, რომ მათ ხალხი ჩამოაშოროს.

15. **მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: გამოგჳთარგმანე ჩვენ იგავი ესე.** – თუმცა პეტრემ იცოდა, რომ სჯული ყველაფრის ჭამის ნებას არ იძლეოდა, მაინც ვერ გაბედა იესოსათვის ეთქვა: მე ვცდუნდები იმით, რაც შენ თქვი, რადგან იგი სჯულის საწინააღმდეგო ჩანსო. ამიტომაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ გაიგო და შეეკითხა.

16-20. **ხოლო იესუ ჰრქუა მას: თქუენცა უგულისჴმოვე ხართა? და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსავალით განვალს? ხოლო გამომავალი პირით, გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ჴელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.** – უფალი მოწაფეებს კიცხავს და უგულისხმოებას საყვედურობს, ან იმის გამო, რომ ცდუნდნენ, ან კიდევ იმის გამო, რომ ის, რაც ცხადი იყო, ვერ გაიგეს. ამრიგად, იგი მათ ეუბნება: ნუთუ ვერ გაიგეთ ის, რაც ყველასათვის გასაგები და ნათელია? საჭმელი ხომ შიგნით არ რჩება, არამედ გამოდის და რამდენადაც შიგნით არ რჩება, ვერც კაცის სულს წაბილწავს. ზრახვანი კი, რომელნიც შიგნით იბადებიან და იქვე რჩებიან, რაჟამს გამოდიან, ანუ საქმესა და მოქმედებაში გადავლენ, კაცს წაბილწავენ; რამეთუ უკეთუ ზრახვა მრუშობისა შიგნით რჩება, სულს აშფოთებს, ხოლო უკეთუ გამოსული საქმედ და მოქმედებად იქცა, მას ბილწავს.

21-23. **და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა ადგილთა ტჳროსისა და სიდონისათა. და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს. ხოლო იესუ არა მიუგო მას სიტყუაჲ.** – თვითონ რატომღა წავიდა წარმართთა ქალაქებში – ტვიროსსა და სიდონში, მაშინ, როცა მოწაფეებს

წარმართთა გზაზე სიარული აუკრძალა? იცოდე, რომ იქ საქადაგებლად არ მისულა, როგორც ამას მარკოზიც ამბობს: „მე დავფარე თავი ჩემი“; სხვაგვარად: რადგანაც ფარისევლებმა მისი სწავლება საჭმელზე არ შეიწყნარეს, წარმართებთან გადავიდა. იმას კი არ ეუბნება: ასული ჩემი შეიწყალეო, არამედ მე შემიწყალეო, რადგან ის ვერაფერს გრძნობდა. მე შემიწყალეო, რომელიც საშინელებას ვგრძნობ და განვიცდიო. არც იმას ეუბნება: წამოდი და განკურნეო, არამედ შემიწყალეო. უფალმა არ უპასუხა, არა იმიტომ, რომ არად ჩააგდო, არამედ, რათა ეჩვენებინა, რომ უწინარესად იუდეველთათვის მოვიდა; ამასთან, უნდოდა ცილისწამებისთვის შეეზღუდა ისინი და სათქმელად არ ჰქონოდათ: წარმართებს წყალობდაო; და კიდევ იმიტომაც, რომ ამ ქალის მტკიცე რწმენა წარმოეჩინა.

23-24. **და მოუჯდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: განუტევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგჯდგს ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა.** – ქალის ყვირილით დამძიმებულმა მოწაფეებმა უფალს სთხოვეს გაეშვა იგი, ანუ მის წარგზავნაში არწმუნებდნენ. ასე უგულობის გამო კი არ იქცეოდნენ, არამედ, პირიქით, უფლის დარწმუნება უნდოდათ, რომ შეეწყალებინა იგი. მან კი უპასუხა: მე მოვლინებული ვარ არა სხვებთან, არამედ იუდეველებთან, იმათი უკეთურების გამო წარწყმედილ ცხვრებთან, რომელთაც ისინი მინდობილი ჰყავდა, რითაც მან ამ ქალის რწმენა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა.

25-27. **ხოლო იგი მოუჯდა და თაყუანი-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე! ხოლო თავდამან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა. ხოლო მან ჰრქუა: ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭვისაგან, რომელ გარდამოცჳვინ ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.** – როცა ქალმა დაინახა, რომ მოციქულთა შუამდგომლობამ არ გაჭრა, კვლავ მხურვალედ მიეახლა იესოს და მას უფალი უწოდა. იმის გამო, რომ წარმართები უწმინდურ ცხოვრებას ეწეოდნენ და კერპებისათვის შეწირული მსხვერპლის სისხლით საზრდოობდნენ, ქრისტემ ქალს ძაღლი უწოდა, ხოლო იუდეველებს – შვილები. მან კი გონივრულად და ძალიან ბრძნულად უპასუხა: თუმცაღა ძაღლი ვარ და უღირსი პურის ანუ რაიმე ძალისა და დიდი სასწაულის მოცემისათვის, მაგრამ მომეც მე ეს – შენი ძლიერებისთვის მცირე, ჩემთვის კი – დიდი; ისევე, როგორც ისინი, რომელნიც პურს ჭამენ, ნამცეცებს დიდ რამედ არ მიიჩნევენ, მაგრამ ძაღლებისთვის დიდი რამეა, რადგან მათით იკვებებიან.

28. **მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჱ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი: გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.** – ამჯერად ამჟღავნებს იესო მიზეზს, რომლის გამოც თავიდან განკურნებაზე უარს ეუბნებოდა, სახელდობრ, ეს იყო სურვილი, რომ რაც შეიძლება ნათლად წარმოჩენილიყო რწმენა და კეთილგონიერება ამ ქალისა. ამიტომაც არ დაეთანხმა თავიდან მაშინვე და შეწყალების გარეშე უშვებდა მას. ახლა

კი, როცა მისი სარწმუნოება გაცხადდა, ქალმა ქებაც კი მოისმინა: **დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი.** სიტყვები: **გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს** – გვაჩვენებს: რწმენა რომ არ ჰქონოდა, იგი იმას, რასაც ითხოვდა, ვერ მიიღებდა. ასევე ჩვენც, უკეთუ რწმენა გვექნება, ვერაფერი შეგვიშლის ხელს მივიღოთ ის, რაც გვსურს. ყურადღება მიაქციე, რომ, თუმცა წმინდანები ითხოვენ ჩვენთვის, ვითარცა მოციქულნი იმ ქალისათვის, მაგრამ სასურველს უფრო მაშინ ვიღებთ, როცა ჩვენი თავისთვის ჩვენვე ვითხოვთ. ქანაანელი ქალი წარმართთა ეკლესიის სიმბოლოა, რადგან წარმართები, რომელნიც თავდაპირველად უარყოფილნი იყვნენ, შემდეგ შვილების რიცხვში შევიდნენ და პურის, უფლის სხეულს ვგულისხმობ, მიღების ღირსნი გახდნენ. იუდეველები კი ძაღლებად იქცნენ და ნაფხვენებით ანუ ღმრთის სიტყვის მცირე და ღარიბული ნამცეცებითღა საზრდოობენ. ტვიროსი ჯიუტს(შიშს) ნიშნავს, სიდონი – მონადირეს, ქანაანი კი – მორჩილებით გამზადებულს. ამრიგად, ბოროტისაგან შეპყრობილი წარმართები, რომლებშიც სულებზე მონადირე დემონები მკვიდრობდნენ, მორჩილებით განმზადებულნი, ვითარცა მართალნი, ღმრთის სასუფევლის სიმაღლისათვის მზად იყვნენ.

29-31. **და წარვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღუს-კიდესა მას გალილეაჲსასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ. და მოუჯდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი ფერჴთა თანა მისთა, და განკურნნა იგინი, ვიდრე უკჳრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს; და ადიდებდეს ღმერთსა ისრაჱლისასა.** – იუდეველებისადმი დიდი უნდობლობისა გამო, ქრისტე მუდმივად იუდეაში კი არ ცხოვრობდა, არამედ გალილეაში, რადგან გალილეველნი მათზე უფრო მორწმუნენი იყვნენ. აჰა, მათი რწმენაც: თუმცა კოჭლები და ბრმები იყვნენ, მთაზე მაინც ავიდნენ და არ დაყოვნებულან, იესოს ფეხებში ისე ჩაუვარდნენ, რადგან მას ზეადამიანად მიიჩნევდნენ, რის გამოც კიდევაც განიკურნენ. ასე რომ, მცნებათა მთაზე, სადაც უფალი ზის, შენც ადი. თუნდაც ბრმა იყო და შენ თვითონ მშვენიერების ხილვა არ შეგეძლოს, კოჭლიც რომ იყო და სილამაზეს კი ხედავდე, მაგრამ მასთან მიახლების ძალა არ გქონდეს, ყრუ-მუნჯიც რომ იყო, და არც სხვისი ნათქვამის მოსმენა შეგეძლოს და არც შენ ხელგეწიფებოდეს სხვას რამე აუწყო, თუნდაც ხეიბარი იყო, ანუ ხელის გაწვდენა მოწყალებისათვის არ შეგეძლოს, და სხვა რამ სენიც რომ გჭირდეს, ფეხებში ჩაუვარდი იესოს და შეეხები რა მისი ამქვეყნიური ცხოვრების კვალს, განიკურნები.

32. **ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აჰა ესერა სამი დღე არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს; და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მნებავს, ნუუკუე დაცჳვენ გზასა ზედა.** – ხალხმა, რომელიც განსაკურნებლად იყო მოსული, პურის თხოვნა ვერ გაბედა. მა-

გრამ უფალმა, ვითარცა კაცთმოყვარემ, ამაზე თვითონ იზრუნა. ვინმეს რომ არ ეთქვა, საგზალი ჰქონდათო, უფალი ამბობს: კიდევაც რომ ჰქონოდათ გაუთავდებოდათ, რადგან უკვე სამი დღეა, აქ არიანო. სიტყვებით: **ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა** აჩვენებს, რომ მოსულები შორიდან იყვნენ. ამას მოწაფეებს ეუბნება, რათა მათ სურვილი აღუძრას მისთვის თქმისა: შენ შეგიძლია, ვითარცა ის ხუთიათასი, ესენიც დააპურო, – მაგრამ მოწაფენი ჯერ კიდევ უგუნურნი იყვნენ.

33. **ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარცა განძღა ერი ესოდენი?** – თუმცა მათ უნდა ხსომებოდათ, რომ იესომ მრავალი ადამიანი უდაბნოში ადრეც დააპურა, მაგრამ უგრძნობელნი იყვნენ. ამიტომ, როცა შემდეგ შენ მათ ესოდენ დიდი სიბძნით აღვსილებს იხილავ, გიკვირდეს ქრისტეს მადლისა.

34-38. **ჰრქუა მათ იესუ: რაოდენი პური გაქუს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: შჳდი პური და მცირედ თევზი. და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა ზედა. და მოიღო შჳდი იგი პური და თევზნი, ჰმადლობდა, განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი სავსე. ხოლო რომელთა იგი ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა**. – ასწავლა რა სიმდაბლე, ხალხი მიწაზე დასვა; თვითონ მადლობას უძღვნის და ჩვენც გვასწავლის, რომ ჭამის წინ ღმერთს მადლობა შევწიროთ. მაგრამ შენ მკითხავ: როგორ მოხდა, რომ იქ ხუთი პური ხუთი ათასმა კაცმა ჭამა და თორმეტი გოდორი დარჩა; ხოლო აქ პური მეტი იყო, მჭამელი კი უფრო ცოტა და მხოლოდ შვიდი გოდორიღა გადარჩა? შეიძლება ითქვას, რომ ან ეს გოდრები იმათზე უფრო დიდი იყო, ან კიდევ ასე იმიტომ მოხდა, რომ, სასწაულის იგივეობისა გამო, მოწაფეებს იგი არ დავიწყებოდათ; რადგან ამჯერადაც რომ თორმეტი გოდორი მორჩენილიყო, სრული დამთხვევის მიზეზით, შეიძლებოდა მათ დავიწყებოდათ, რომ უფალმა პურზე სასწაული მეორედ აღასრულა. შენ კი ისიც შეიცანი, რომ ოთხიათასი ანუ ოთხი სათნოების სრულად მფლობელნი, შვიდი პურით ანუ სულიერი და სრულყოფილი გამონათქვამებით საზრდოობენ, რადგან რიცხვი შვიდი სიმბოლოა შვიდი სულიერი ნიჭისა. ისინი მიწაზე სხედან და მათ ქვეშაა განრთხმული ყოველივე მიწიერი, რომელთაც არად აგდებენ, ისევე როგორც ის ხუთიათასი, რომელიც ასევე მწვანეზე იჯდა, ანუ ხორცსა და დიდებას თავისთავზე დაბლა აყენებდა; რადგანაც ხორცი ბალახია, ხოლო ყოველგვარი კაცობრივი დიდება – მინდვრის ყვავილი. აქ შვიდი გოდორი დარჩა, რადგან ჭამა იმისა, რაც სულიერი და სრულყოფილი იყო, ვერ შეძლეს. დარჩა ის, რაც შვიდ გოდორში ჩაეტია, ანუ ის, რაც მხოლოდ სულიწმიდამ იცის: **რამეთუ სული ყოველსავე გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთისასა**(Iკორინ.2,10).

39. **და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალოჲსათა**. – იესო მიდის, რადგან არცერთ სასწაულს არ შეუძენია მისთვის

უფრო მეტი მიმდევარი, ვიდრე სასწაულს, პურზე აღსრულებულს; ისე რომ, ამ დროს, როგორც იოვანე ამბობს, მისი მეფედ დასმაც კი განიზრახეს. ამგვარად, მიდის, რათა გაექცეს ეჭვს იმის თაობაზე, რომ იგი სამეფო ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვოდა.

თავი XVI

1. **და მოუჴდეს მას ფარისეველნი და სადუკეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს, რაჲთა სასწაული ზეცით უჩვენოს მათ.** – თუმცა ფარისევლებსა და სადუკევლებს ერთმანეთისაგან განსხვავებული დოგმატები ჰქონდათ, ქრისტეს წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ისინი სასწაულს ზეციდან ითხოვენ, მაგალითად, მზის ან მთვარის გაჩერებას, რადგანაც ფიქრობენ, რომ დედამიწაზე სასწაულები დემონური ძალითა და ბელზებულით ხდება. უგუნურებმა არ იცოდნენ, რომ მოსემაც ეგვიპტეში მრავალი სასწაული დედამიწაზე აღასრულა, ხოლო ცეცხლი კი, რომელიც იობის ქონებაზე ზეციდან გარდამოხდა, ეშმაკისა იყო. ამგვარად, ყოველივე, რაც ზეციდანაა, ღმრთისაგან როდი მოდის და არც დემონებისაგანაა ყველაფერი, რაც მიწაზე ხდება.

2-3. **ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ. და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, პირი სამე ცისაჲ იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულისჴმის-ყოფად**. – ამხელს კითხვას, რომელიც მათ ცდუნების მიზნით დაუსვეს, ორგულებს უწოდებს და ეუბნება: ისევე როგორც ზეცაზე გამოჩენილი ნიშნებიდან ერთნი უამინდობის მომასწავებელნი არიან, ხოლო მეორენი – დარისა და არავინ ელოდება კარგ ამინდს მაშინ, რაჟამს ავდრის ნიშანს იხილავს და არც ავდარს, როცა დარის ნიშანი გამოჩნდება, ასევე უნდა იფიქროთ ჩემს შესახებაც, რამეთუ სხვა არის ჟამი ჩემი პირველი მოსვლისა და სხვა – მომავლისა. ახლა სასწაულები დედამიწაზეა საჭირო, ზეციური სასწაულები კი იმ დროისათვის გადაინახება, როცა მზე ჩაქრება, მთვარე დაბნელდება და ცაც შეიცვლება.

4. **ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა საწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ. და დაუტევნა იგინი და წარვიდა.** – ბოროტია მათი მოდგმა, რადგან ისინი მის ცდუნებას ცდილობდნენ, ხოლო მემრუშეა, რადგან ღმერთს განუდგნენ და ეშმაკს ეტმასნებოდნენ. თუმცა ისინი სასწაულს ზეციდან ეძიებდნენ, მაგრამ არ მისცემს სასწაულს გარდა იონას სასწაულისა, ანუ დაჰყოფს რა სამ დღეს წიაღსა შინა დიდისა ვეშაპისა – სიკვდილისა, მკვდრეთით აღდგება. ამ სასწაულის შესახებ შეგიძლია თქვა, რომ იგი ზეციდან იყო, რადგან მისი სიკვდილისას მზე დაბნელდა და ყველა ქმნილება შეიცვალა. ყურადღება მიაქციე გამოთქმას: **სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ**. სასწაულნი ეძლეოდნენ მათ, ანუ ისინი მათთვის ხდებოდა, მაგრამ მაინც არ ირწმუნეს. ამიტომაც დატოვა,

ვითარცა განუკურნებელნი და წავიდა.

5-6. **და მო-რაჲ-ვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ, და დაავიწყდა მათ პური მიღებად. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.** – როგორც საფუარი არის ხოლმე მჟავე და ძველი, ასევე ფარისეველთა და სადუკეველთა დამჟავებული და უხუცესთა ძველი გადმოცემების შემომტანი სწავლება, სულებს აწყლულებდა. ვითარცა საფუარი ნაერთია წყლისა და ფქვილისა, ასევე ფარისეველთა მოძღვრებაც სიტყვისა და გახრწნილი ცხოვრების შენაერთს წარმოადგენდა. ცხადად არ უთქვამს, – ფარისეველთა მოძღვრებას მოერიდეთო, რათა მათთვის პურზე აღსრულებული სასწაულები შეეხსენებინა.

7-12. **ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულსა თჳსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ. გულისჴმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პურნი არა მოიხუენით? არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ ხუთთა მათ პურთაჲ და ხუთ ათასთაჲ მათ, და რაოდენი გოდორი აღიღეთ? და არცა შჳდთა მათ პურთაჲ და ოთხათასთაჲ მათ, და რაოდენი სფჳრიდი აღიღეთ? ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა? მაშინ გულისჴმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვაჲ ცომისაგან პურისა, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.** – ისინი ფიქრობდნენ: ეს იმიტომ გვითხრა, რომ იუდეური საქმლისაგან წაბილწვას მოვერიდოთო. ამიტომაც ბჭობდნენ ერთმანეთში: პურები ჩვენ არ მიგვიღიაო. უფალი საყვედურობს მათ, ვითარცა უგუნურებსა და მცირედმორწმუნეებს. უგუნურნი არიან იმიტომ, არ ახსოვდათ, რამდენი პურით რამდენი კაცი დააპურა, ხოლო მცირედმორწმუნენი – რადგან არ დაიჯერეს, თუმცა იუდეველთაგან პური არც თვითონ უყიდიათ და შორს წასვლა არც მას შეეძლო. მაგრამ როცა უფალმა მკაცრად ამხილა ისინი, რადგან უწყინარობა ყოველთვის კარგი როდია, მყისვე მოიაზრეს, რომ საფუარი მოძღვრებას უწოდა. ასეთი ძალა აქვს ყოველთვის კეთილგონივრულ მხილებას.

13. **მო-რაჲ-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქჳან კაცთა ძისა კაცისა ყოფად?** – მათე ფილიპეს იმიტომ უმატებს, რომ არსებობდა სხვა კესარიაც – სტრატონისა, მაგრამ უფალი არა იქ, არამედ ამ კესარიაში ეკითხება მათ. მოწაფენი მას იუდეველთაგან შორს მიჰყავს, რათა ისე, რომ შიში არავისი ჰქონდეთ, გულახდილად უპასუხონ. უწინარესად იგი კითხულობს, როგორია ხალხის აზრი, რათა მათი შეგნება აამაღლოს და მრავალთა მსგავსად გონებრივად არ დაქვეითდნენ. ის კი არ უკითხავს, ვინ ვგონივარ მე ფარისევლებსო, არამედ ადამიანებსო, რომლებშიც წრფელ ხალხს გულისხმობს.

14. **ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.** – ვინც მას იოვანეს უწოდებდა, ისინი იყვნენ, რომელნიც, მსგავსად ჰეროდესი, ფიქრობდნენ, რომ

აღდგომის შემდეგ იოვანემ ეს ნიჭიც – ნიჭი სასწაულთქმედებისა შეიძინა. სხვანი ელიას უწოდებდნენ, რადგან ამხელდა და კიდევ იმიტომაც, რომ მის მოსვლას ელოდებოდნენ; მესამენი – იერემიას, რადგან მისი სიბრძნე ბუნებრივი იყო და არა ნასწავლი, ისევე როგორც იერემიაც წინასწარმეტყველებისათვის ყრმობიდანვე იქნა მოწოდებული.

15-16. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად? მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ. – კვლავ პეტრე, ვითარცა მგზნებარე, ყველას ასწრებს და სიწრფელით აღიარებს, რომ იგი არის ქრისტე, ძე ღმრთისა. ის კი არ უთხრა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, ანუ უარტიკლოდ, არამედ არტიკლით – ὁ υἱός, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად იგი არის ერთი და მხოლო, ძე არა მადლით, არამედ თვით მამის არსისაგან შობილი, რადგან ცხებულნი(χριστοί) მრავალნი იყვნენ, სახელდობრ, ყველა მღვდელი და მეფე ძველი აღთქმისა, ხოლო ქრისტე არტიკლით(ὁ Χριστός) ერთია.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. – ნეტარს უწოდებს პეტრეს, რადგან მან ცოდნა ღმრთეებრივი ძალით მიიღო. ეთანხმება რა მას, ამით უფალი აჩვენებს, რომ სხვა ადამიანთა აზრი მცდარია; ხოლო როცა მიმართა: ბარ იონა, ანუ ძეო იონასო, თითქოს, ეს უთხრა: როგორც შენ ხარ შვილი იონასი, ასევე მეც მამისა ჩემისა ზეციერისა, ერთარსი მისი. ცოდნას გამოცხადებას უწოდებს, რადგან ის, რაც დაფარული და შეუცნობელი იყო, მამისაგან განცხადდა.

18. და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. – თავის მხრივ, უფალი პეტრეს დიდ ჯილდოს ანიჭებს, კერძოდ, ეკლესია მასზე დაფუძნდება. რადგან პეტრემ იგი ძედ ღმრთისა აღიარა, ეუბნება: ეს აღსარება, რომელიც შენ აღიარე, მორწმუნეთათვის საფუძველი გახდება, რადგანაც ყოველი ადამიანი, რომელიც რწმენის შენობის აგებას განიზრახავს, საფუძვლად ამ აღსარებას დაუდებს; რადგან: ათასი სათნოებაც რომ შევიძინოთ, უკეთუ საფუძვლად სწორი აღმსარებლობა არ გვექნება, უვარგისს ავაგებთ. ამბობს რა, **ეკლესიაჲ ჩემი,** ამით წარმოაჩენს, რომ იგია მეუფე ყოველივესი, რამეთუ ყოველივე ღმერთს ემსახურება. ბჭენი **ჯოჯოხეთისანი** – მდევნელებია, რომელნიც ქრისტიანებს ჯოჯოხეთისკენ აგზავნიან; ერეტიკოსებიც კარებია, რომელსაც ჯოჯოხეთში შეჰყავს. ამგვარად, ეკლესიამ მრავალ მდევნელსა და ერეტიკოსზე გაიმარჯვა. ყოველი ჩვენგანი ეკლესიაა, რადგან სახლია ღმრთისა. ასე რომ, უკეთუ ქრისტეს აღმსარებლობაზე მტკიცედ ვდგავართ, ბჭენი ჯოჯოხეთისანი, ანუ ცოდვები ჩვენზე ვერ გაიმარჯვებენ. ამაღლებულ იქნა რა ამ ბჭეთა ზედა, დავითმა თქვა: **რომელმან აღმამაღლე მე ბჭეთაგან სიკუდილისათა**(ფს.IX,15). რომელ ბჭეთაგან, დავით? ორი ბჭისაგან – მკვლელობისა და მრუშობისა.

19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა

ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა. – ქრისტე, ვითარცა ღმერთი და ძალაუფლების მქონე, ეუბნება: როგორც მამამ შენ გამოცხადება გიბოძა, ასევე მე გასაღებს მოგცემ. გასაღებში ცოდვათა შემკვრელი და გამხსნელი მიტევებანი ან აკრძალვანი იგულისხმე, რადგან, მათ, რომელნიც მსგავსად პეტრესი, ეპისკოპოსობის მადლის მიღების ღირსი გახდნენ, მიტევებაც ხელეწიფებათ და შეკვრაც. თუმცა მხოლოდ პეტრეს მიმართ თქვა: **მიგცნე შენ**, მაგრამ ყველა მოციქულს მიეცა; როდის? როცა უფალმა უთხრა მათ: „ვისაც თქვენ მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ“. **მიგცნე** მომავალ, ანუ აღდგომის შემდეგ დროს აღნიშნავს. ზეცად სათნოებანი იწოდება, ხოლო მათ გასაღებად – ღვაწლნი, რადგან სათნოებათაგან თითოეულში, თითქოსდა რაღაც გასაღებს ვარგებდეთ, ღვაწლით შევდივართ. უკეთუ მე მხოლოდ ვიცი, რა არის სიკეთე, მაგრამ საქმით არ ჩავდივარ, ე. ი. მხოლოდ ცოდნის გასაღები მაქვს და გარეთ დავრჩები. ცათა ანუ სათნოებათა შინა შეკრულია ის, ვინც მათში არ შეაბიჯებს, ხოლო გახსნილი – ვინც გულმოდგინეა. მაშ, ნუღარ შევცოდავთ, რათა საკუთარმა ცოდვებმა არ გაგვთოკოს.

20. **მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუ ქრისტე**. – ქრისტეს სურდა, რომ ჯვარცმამდე მისი დიდება ჩრდილში დარჩენილიყო, რადგან უკეთუ ადამიანები ვიდრე ვნებამდე მოისმენდნენ, რომ იგი ღმერთია და შემდეგ წამებულს ნახავდნენ, როგორღა არ ცდუნდებოდნენ? ამგვარად, თავი მრავალთათვის იმიტომ დაფარა, რომ შემდგომად აღდგომისა, რაჟამს სული სასწაულებით ყოველივეს სწორად წარმოაჩენდა, ცდუნების გარეშე შეეცნოთ.

21. **მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა იერუსალჵმდ აღსლვაჲ და ფრიად ვნებაჲ მღდელთმოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად**. – უფალი წინასწარ ეუბნება მოწაფეებს მომავალი ვნების შესახებ, რათა, როცა ჟამი მისი მოულოდნელად დადგებოდა, არ ცდუნებულიყვნენ და არ ეფიქრათ, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ ეწამა და თანაც ისე, რომ წინასწარ არაფერი იცოდა. ამიტომაც ვნების თაობაზე მოწაფეებს მაშინ უმჟღავნებს, როცა მათ პეტრეს აღსარების შედეგად შეიტყვეს, რომ იგი ძე ღმრთისა იყო. მაგრამ სამწუხარო ამბავს სასიხარულოსაც ურთავს, სახელდობრ, რომ მესამე დღეს აღდგებოდა.

22. **და მოუჴდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.** – რაც გაცხადდა, პეტრემ ის სწორად აღიარა, ხოლო იმაში, რაც დაფარული იყო, შეცდა, რათა ვიცოდეთ, რომ გარეშე ღმრთისა, ვერც იმ დიდს[13] წარმოთქვამდა. არ იცოდა რა აღდგომის საიდუმლო, პეტრეს არ სურდა ქრისტე ვნებულიყო და ამიტომაც უთხრა: **შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.**

[13] იხ. მუხლი15-16.

23. **ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა**. – იმის გამო, რაც პეტრემ სწორად თქვა, ქრისტემ მას ნეტარი უწოდა, ხოლო როცა უგუნური შიში გამოიჩინა და არ სურდა, რომ იგი ვნებულიყო, საყვედურით უთხრა: **წარვედ ჩემგან, სატანა**. სატანაში მოწინააღმდეგე იგულისხმება. **წარვედ ჩემგან**, ანუ წინ ნუკი აღუდგები ჩემს ნებას, არამედ მოჰყევ მას. პეტრეს ასე იმიტომ უწოდა, რომ ქრისტეს წამება სწორედ სატანას არ უნდოდა. ამგვარად, ეუბნება: შენ კაცობრივი განსჯით ფიქრობ, რომ მე ტანჯვა არ შემეფერება, მაგრამ არ გესმის, რომ ღმერთი ხსნას მისით აღასრულებს, და ამიტომაც ყველაზე მეტად შემფერის.

24. **მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.** – როდის „მაშინ?“ – როცა პეტრე გაკიცხა. უნდოდა რა ეჩვენებინა, რომ პეტრე, რომელიც ტანჯვისთვის აბრკოლებდა, შეცდა, ეუბნება მას: შენ გინდა დამაბრკოლო, მაგრამ მე გეტყვი, რომ შენ არა მხოლოდ ის გავნებს, რომ მე არ ვეწამო, არამედ გადარჩენას ვერ შეძლებ, თუკი თვითონაც არ მოკვდები, ისევე როგორც ყველა სხვაც: კაცი იქნება ის თუ ქალი, ღარიბი, თუ მდიდარი. **რომელსა ჰნებავსო** – ამბობს, რათა აჩვენოს, რომ სათნოება თავისუფალი არჩევანის საქმეა და არა ძალდატანებისა. ქრისტეს კი ის შეუდგება, ვინც მას არა მხოლოდ ღმრთის ძედ აღიარებს, არამედ ყველა საშინელებასაც გამოცდის და დაითმენს. **უვარ-ყავნ თავი თჳსი** – ამბობს და წინდებულ ἀπό-ს (ἀπαρνησάσθω) იმის გამოსახატავად იყენებს, რომ უარყოფა სრული უნდა იყოს, ე. ი. აღარაფერი საერთო უნდა ჰქონდეს სხეულთან და საკუთარ თავს არად აგდებდეს, როგორც ჩვეულებისამებრ ვამბობთ ხოლმე, რომ ვინმე ვინმეზე უარს ამბობს, ნაცვლად იმისა, ვთქვათ, არც მეგობარი ჰყავს და არც ნაცნობიო. ამრიგად, იმისთვის, რომ ჯვარი ავიღოთ ანუ სიკვდილი ავირჩიოთ და ამასთან, სამარცხვინო სიკვდილი გულმოდგინედ ვეძიოთ, სხეულისადმი არავითარი სიყვარული არ უნდა გვქონდეს; ასეთი სიკვდილი ძველებისათვის ჯვარცმა იყო. მაგრამ ამბობს: **და შემომიდეგინ მე,** რადგან ჯვარს მრავალ ავაზაკსა და ქურდს აცვამენ, მაგრამ ისინი ჩემი მოწაფენი როდი არიან. **შემომიდეგინ**, ანუ ყველა სხვა სათნოებაც აჩვენე. თავის თავს უარყოფს ის, ვინც გუშინ თავაშვებული იყო, დღეს კი, თავშეკავებულია. ასეთი იყო პავლე, რომელმაც უარყო თავი თვისი და თქვა: **ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე**(გალატ. II,20). ქრისტემ ჯვარი აირჩია, და მოაკვდინა რა თავისი თავი, ჯვარს ეცვა სოფლისათვის.

25. **რამეთუ უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი**. – ჩვენც წამებისაკენ აღგვძრავს. ვინც უფასს უარყოფს, იგი თავის სულს მოიპოვებს, ანუ იხსნის, აწმყოსათვის, მაგრამ ღუპავს მომავლისათვის; ხოლო ქრისტესათვის

ღუპავს სულს ის, ვინც მისთვის ეწამება, მაგრამ მას უხრწნელს მოიპოვებს მარადიულ ცხოვრებაში.

26-27. **რამეთუ რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა? რამეთუ მოსვლად არს ძჱ კაცისაჲ დიდებითა მამისაჲთჳსისაჲთა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.** – ვთქვათ და, მთელი სამყარო მოიგე, – გვეუბნება, – რა სარგებელი გექნება სხეულის კეთილდღეობით, უკუეთუ სული შავ დღეშია? ეს იმას ჰგავს, დიასახლისი დახეულ ძონძებს ატარებდეს, ხოლო მოახლენი – ბრწყინვალე სამოსელს. არავის შეუძლია ხომ მომავალ ცხოვრებაში გამოსასყიდის მიცემა თავისი სულისათვის; აქ შეგვიძლია მისთვის ცრემლნი, სულთქმანი და მოწყალებანი გავიღოთ, იქ კი – არა. იქ თითოეულს საქმეთა მიხედვით მოუსყიდველი მსაჯული განგვსჯის, რომელიც საშიშიც იქნება, რადგან ანგელოზთა თანხლებით დიდებითა თვისითა მოვა და არა დამცირებული.

28. **ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა.** – თქვა რა, რომ ძე კაცისა დიდებითა თვისითა მოვა, მათ დასარწმუნებლად ამბობს: ზოგიერთნი აქა მდგომარეთაგან, ფერისცვალებისას, რამდენადაც ეს მათ ხელეწიფებათ, მეორედ მოსვლის დიდებას იხილავენ. ამასთან, იმასაც აჩვენებს, ვითარი დიდება ექნებათ მათ, რომელნიც მისთვის ეწამებიან, რადგან, როგორც მაშინ გაბრწყინდა მისი ხორცი, ასევე გაბრწყინდებიან წმინდანებიც მეორედ მოსვლის ჟამს. აქ იგი პეტრეზე, იაკობსა და იოვანეზე მიანიშნებს, რომელნიც მთაზე აიყვანა და სასუფეველი თვისი ანუ მომავალი მდგომარეობა უჩვენა, როცა თვითონაც მოვიდოდა და მართალნიც გაბრწყინდებოდნენ. ამიტომაც ამბობს, ზოგიერთი აქ მდგომი მანამდე არ მოკვდება, ვიდრე ჩემს ფერისცვალებას არ იხილავსო. ყურადღება მიაქციე, რომ იესოს ბრწყინვალე ფერისცვალებას ისინი იხილავენ, რომელნიც კეთილად და მტკიცედ დგანან და მარადის რწმენითა და მცნებათა დაცვით წარემატებიან.

თავი XVII

1. **და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი.** – ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რასაც ლუკა ამბობს: **და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რვა ოდენ დღე** და სხვ. რადგან ლუკა პირველ დღესაც მიათვლის და ბოლოსაც, როცა ისინი მთაზე ავიდნენ, მათე კი მათ გამორიცხავს. პეტრე იმიტომ წაიყვანა, რომ ძლიერ უყვარდა უფალი, იოვანე – იმიტომ, რომ თვითონ მას უყვარდა იგი, ხოლო იაკობი – ვითარცა მოშურნე მისი; ცხადია, რომ მოშურნეობდა, რის გამოც შეჰპირდა სასმელის შესმას და რის გამოც ჰეროდეს მახვილით მოიკლა იუდეველთა გულის მოსაგებად.

1-2. **და აღიყვანა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი**. – მაღალ მთაზე აიყვანა ისინი, რათა ეჩვენებინა, რომ უკეთუ ვინმე არ ამაღლდება, ვერც მსგავსი სანახაობის ღირსი გახდება; განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ქრისტეს დიდთა სასწაულთა დაფარულად აღსრულება ჩვეულებად ჰქონდა, რადგან თუკი ხალხი დაინახავდა, რომ ღმერთია, არ ეფიქრა, რომ ადამიანი მოჩვენებითად იყო. როცა ფერისცვალების შესახებ ისმენ, ნუ იფიქრებ, რომ მაშინ სხეული უარყო, არამედ სხეული გარეგნულად იგივე დარჩა, რადგან, როგორც გესმის, აქ პირისახესა და სამოსელზეა საუბარი. იგი უფრო მეტად განბრწყინდა, რაჟამს მისმა ღმრთეებამ რამდენიმე სხივი გამოასხივა, სახელდობრ, იმდენი, რამდენის ხილვაც შეიძლებოდა. იმიტომაც უწოდა ფერისცვალებას ზემოთ სასუფეველი ღმრთისა(16,28), რომ ამ დროს თავისი ძალაუფლების გამოუთქმელობა გამოავლინა და გვასწავლა, რომ ჭეშმარიტი ძეა მამისა და გამოუთქმელი განბრწყინვებით იესოს სახისა მისი მეორედ მოსვლის დიდება გვაჩვენა.

3. **და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს**. – რაზე საუბრობდნენ? მის განსვლაზეო, – გვეუბნება ლუკა, – რომელიც მას იერუსალიმში ანუ ჯვარზე უნდა აღესრულებინა. მოსე და ელია რატომღა გამოჩნდნენ? რათა ეჩვენებინა, რომ იგია უფალი სჯულისა და წინასწარმეტყველთა, ცოცხალთა და მკვდართა, რადგან ელია წინასწარმეტყველი იყო და მისი წინასწარმეტყველება ჯერ ისევ ცოცხლობდა, ხოლო მოსე – სჯულმდებელი, რომელიც მოკვდა; გარდა ამისა, რათა ეჩვენებინა, რომ იგი არც სჯულის მოწინააღმდეგე იყო და არც მტერი ღმრთისა. ასე რომ ყოფილიყო, მოსე არ დაელაპარაკებოდა მას, ისევე როგორც იმას, ვინც მის წინააღმდეგ იმოქმედებდა და ვერც ელია, ვითარცა მოშურნე, ღმრთის მტრის იქ ყოფნას ვერ მოითმენდა. და კიდევ იმიტომაც, რათა იმათი ეჭვი, რომელნიც ამბობდნენ, რომ იგი თვითონ იყო ელია, ან ერთი წინასწარმეტყველთაგანი, გაექარწყლებინა. მოწაფეებმა საიდანღა შეიცნეს, რომ ისინი მოსე და ელია იყვნენ? რა თქმა უნდა, არა ხატებიდან, რადგან მაშინ ადამიანთა ხატების შექმნა უსჯულოებად მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, მათ ისინი იმ სიტყვებიდან შეიცნეს, რომელთაც იესოს ეუბნებოდნენ. შესაძლოა, მოსე ეუბნებოდა: შენ ხარ ის, ვისი წამებაც მე წინასწარ გამოვსახე, როცა კრავი დავკალი და პასექი აღვასრულე; ხოლო ელია: შენ ის ხარ, ვისი აღდგომაც, აღვადგინე რა ვაჟი ქვრივისა, მე წინასწარ გამოვსახე და ა. შ. ამგვარად, აჩვენა რა ისინი მოწაფეებს, უფალმა ასწავლა მათთვის მიებაძათ, ანუ ვითარცა მოსე, მშვიდნი და ყველასათვის მისაწვდომნი ყოფილიყვნენ, ხოლო ვითარცა ელია – მოშურნენი და საჭიროების ჟამს შეუდრეკელნი; ამასთან, მათ მსგავსად ჭეშმარიტების დაცვისათვის საფრთხეს არც ისინი უნდა მორიდებოდნენ.

4. **მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. და, თუ**

გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა. – პეტრე, რომელსაც იმის გამო, რომ ძლიერ უყვარდა, უნდოდა ქრისტეს ტანჯვა არ განეცადა, ეუბნება: კარგი იქნება, თუ აქ დავრჩებით, არ წავალთ და არ მოგკლავენო, რადგან აქ კიდევაც რომ ვინმე მოვიდეს, შემწეებად მოსე და ელია გვეყოლებაო. მოსემ ხომ ეგვიპტელებზე გაიმარჯვა, ხოლო ელიამ ცეცხლი ზეციდან მიიღო. ამგვარად, უკეთუ მტრები აქ მოგვაკითხავენ, ისინი ხომ მაშინაც ასეთნი იქნებიანო. ამას იგი დიდი შიშისა გამო ამბობს, ისე, რომ, როგორც ლუკა შენიშნავს, არც იცოდა, რას ამბობდა. იგი ან უჩვეულო სანახაობამ განაცვიფრა, ან თავისი ნათქვამისა მართლაც არ ესმოდა, რადგან სურდა იესო მთაზე დარჩენილიყო, არ წასულიყო, და ჩვენთვის ტანჯვა არ განეცადა. მაგრამ ეშინოდა რა თვითრჯულად არ წარმოჩენილიყო, ამასაც ეუბნება: **თუ გნებავს**.

5. **და ვიდრეღა იგი ამას იტყოდა, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ, და აჰა ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.** – შენ პეტრე ხელითქმნულ კარავთა დადგმა გწადს, მამამ კი ხელთუქმნელი კარავით ღრუბლისა გარემომიცვა და გიჩვენათ, რომ როგორც იგი – ღმერთი – ძველებს ღრუბლით ეჩვენებოდა, ასევე – ძეც მისი; ოღონდ აქ ღრუბელი ნათელია და არა ბნელი, როგორც ეს ძველად იყო, რადგან ქრისტეს არა ჩვენი შეშინება, არამედ განსწავლა უნდოდა. ხმა ღრუბლიდან იმიტომაა, რათა გვაჩვენოს, რომ იესოც ღმრთისაგან იყო. სიტყვები: **რომელი მე სათნო-ვიყავ**, იგივეა: რომელშიც მე განვისვენებ და რომელიც მე მნებავს. ასწავლის, რომ მისი უნდა ისმინონ და უკუეთუ ჯვარზე გაკვრას ინებებს, წინ არ უნდა აღუდგნენ.

6-8. **და ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და შეეშინა ფრიად. და მოუჴდა მათ იესუ, შეახო ხელი და ჰრქუა: აღდეგით და ნუ გეშინინ! და აღ-რაჲ-იხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ.** – ვერ გაუძლეს რა ღრუბლის ნათელსა და მისგან გამომავალ ხმას, მოწაფენი პირქვე დაემხნენ და ქუთუთოები ძილმა დაუმძიმათ. ძილში აქ ხილვისაგან გამოწვეული გულისწასვლა იგულისხმება. დიდხანს გაგრძელებულ შიშს, რაც ნახეს, იმის ხსოვნა რომ არ წაეშალა, იესომ ისინი გააღვიძა და გაამხნევა. მოწაფეებმა მხოლოდ იესოღა იხილეს, რათა არ გეფიქრა, რომ ხმა არა მის, არამედ მოსესა და ელიას მიმართ იყო, რადგანაც ძე ღმრთისა იგია.

9. **და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და ჰრქუა: ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.** – თავმდაბლობისა გამო ეუბნება მათ, რომ არავის უთხრან და კიდევ იმიტომ, რომ ვინც ამას მოისმენდა, შემდეგში, როცა ჯვარზე გაკრულს ნახავდა, არ ცდუნებულიყო; რადგან შეიძლებოდა იგი იმ მატყუარად მიეჩნიათ, რომელიც ღმრთის შესაფერისს მოჩვენებითად აკეთებდა. ხოლო შენ შეისწავლე, რომ ღმრთის ხილვა მოხდება შემდგომად ექვსი დღისა, ანუ სამყაროს შემდეგ,

რომელიც ექვს დღეში შეიქმნა. უკეთუ სამყაროდან არ გახვალ და მთაზე არ ამაღლდები, ვერც ნათელს იხილავ, ვერც სახეს იესოსას, ღმრთეებას ვგულისხმობ, და ვერც სამოსელს, ანუ ხორცს. ხოლო მთაზე ასული, შეძლებ იესოსთან მოსაუბრე მოსე და ელია იხილო, რადგან სჯულიც, წინასწარმეტყველებიცა და იესოც ერთსა და იმავეს ამბობენ და ერთმანეთს ეთანხმებიან. როცა ვინმეს იპოვი, რომელიც წმინდა წერილის აზრს ნათლად განმარტავს, იცოდე, რომ იგი იესოს სახეს ბრწყინვალედ ჭვრეტს; ხოლო უკეთუ იგი სიტყვათა მოქცევასაც განმარტავს და ცხადყოფს, იესოს სპეტაკ სამოსელსაც ხედავს, რადგანაც აზრის გამოთქმანი შესამოსელია წმინდა წერილისა. მაგრამ ნუ იტყვი პეტრეს მსგავსად, კარგი იქნება, თუ აქ დავრჩებითო, რამეთუ მუდმივად უნდა წარვემატებოდეთ და სათნოებისა და ჭვრეტის ერთსა და იმავე საფეხურზე კი არ უნდა დავრჩეთ, არამედ განუწყვეტლივ მომდევნოზე უნდა ავდიოდეთ.

10. და ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა და ეტყოდეს: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ? – ატყუებდნენ რა ხალხს, მწიგნობარნი ამბობდნენ, რომ იგი ქრისტე არ იყო, რადგან რომ იყოს, მაშინ ჯერ ელია მოვიდოდაო. მათ არ იცოდნენ, რომ ქრისტეს ორი მოსვლა არსებობს, რომელთაგან პირველის წინამორბედი იოვანეა, ხოლო მეორესი – ელია. ამას თვითონ იესო განუმარტავს მოწაფეებს; აბა, მოუსმინე:

11-13. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი. არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა. და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან. მაშინ გულისჴმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოვანე ნათლისმცემლისათჳს ჰრქუა მათ. – როცა ამბობს, რომ პირველად ელია უნდა მოვიდეს, აჩვენებს, რომ ჯერ არ მოსულა და მოვა, ვითარცა წინამორბედი მეორედ მოსვლისა, და ყველა ებრაელს, რომელიც მას მოუსმენს, ქრისტეს სარწმუნოებაზე დაადგენს, ვითარცა მამისეულ მემკვიდრეობაში, რომელსაც ისინი დიდი ხანია მოაკლდნენ. ხოლო როცა ამბობს, რომ ელია უკვე მოვიდა, იოვანე წინამორბედზე მიანიშნებს. მათ იოვანეს, რაც სურდათ, ის უყვეს და მოკლეს, რადგანაც ჰეროდეს მის მკვლელობაზე დაეთანხმნენ, და ამდენად, მაშინ როცა ხელის შეშლა შეეძლოთ, თვითონვე მოკლეს. მოწაფენი დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ უფალმა ელია იოვანეს უწოდა, რადგან როგორც იგი იყო წინამორბედი პირველად მოსვლისა, ასევე მეორედ მოსვლის წინამორბედი ელია იქნებოდა.

14-15. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუჴდა მას კაცი ერთი, მუჴლნი დაიდგა მის წინაშე და ეტყოდა: უფალო, შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალგზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა. – გამომდინარე სიტყვებიდან, რომელთაც ქრისტე ამ კაცის მისამართით ამბობს – **ჰოჲ ნათესავი ურწმუნო** – და ბრალდებიდან, რომელსაც მოწაფეებს უყენებს, ჩანს, რომ იგი ფრიად ურწმუნო ყოფილა. მიზეზი

ავადობისა არა მთვარე, არამედ დემონი იყო, რომელიც მთვარის აღვსებას უცდიდა და მაშინ დაეცემოდა ხოლმე სნეულს, რათა ქმნილება ღმრთისა, ვითარცა ბოროტი, დაეგმოთ. ხოლო შენ მოიაზრე, რომ ყოველი უგუნური, წმინდა წერილის მიხედვით, მსგავსად მთვარისა, იცვლება, ხან სათნოებით განდიდებულად წარმოგვიდგება და ხან რისხვისა და გულისთქმის ცეცხლში ვარდება, ხან კიდევ წყალში – ტალღათა შინა, ცხოვრების მრავალთა საზრუნავთა, სადაც ლევიათანი – ეშმაკი მკვიდრობს. ანუ იგი წყალთა ზედა მეფობს. განა ტალღებს არ ჩამოჰგავს მდიდართა მუდმივი საზრუნავები?

16-18. **და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჱ ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი, ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა. და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი და განიკურნა ყრმაჲ იგი მიერ ჟამითგან.** – შენ ჰხედავ, რომ ამ კაცს ცოდვა თავისი ურწმუნოებისა მოწაფეებზე გადააქვს, რადგან მათ განკურნება ვერ შეძლეს. ამგვარად, არცხვენს რა მას უფალი იმის გამო, რომ მოწაფეებს დასდო ბრალი, ეუბნება: **ჰოჲ ნათესავი ურწმუნო**, ანუ ცოდვა მათი უძლურებისა უფრო ნაკლებია, ვიდრე ცოდვა შენი ურწმუნოებისა, რომელიც იმდენად დიდია, რომ მათ ძალაზე გაიმარჯვა. როცა ამ კაცს საყვედურობს, უფალი საყვედურს საერთოდ ყველა ურწმუნოსა და იქ მყოფთა მიმართ გამოხატავს; ხოლო სიტყვები: **ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა**, იმაზე მიუთითებს, რომ მას ძლიერი სურვილი აქვს ჯვარზე ტანჯვისა და მათთან განშორებისა. შეურაცხმყოფელთა და ურწმუნოთა გვერდით, სანამდე უნდა ვიყოო? **და შეჰრისხნა მას იესუ**; ვინ შერისხა? – მთვარეული, საიდანაც ჩანს, რომ, იყო რა ისიც ურწმუნო, თავისი ურწმუნოების წყალობით დემონს შესაძლებლობა მისცა მასში შესულიყო.

18-21. **მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განჴდად მისა? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუენისათჳს. ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცვალი მდოგჳსაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ. ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.** – მოციქულებს შეეშინდათ, ხომ არ დავკარგეთო ბოძებული მადლი დემონთა ზედა. ამიტომაც ჰკითხეს შეშფოთებულებმა, როცა მარტონი დარჩნენ. უფალი საყვედურობს მათ, როგორც სრულყოფილებისაგან ჯერ კიდევ შორს მყოფთ, და ეუბნება: **ურწმუნოებისა თქუენისათჳს.** თქვენ რომ მხურვალე, ცხოველი რწმენა გქონოდათ, თუნდაც მცირე, დიდს აღასრულებდით. თუ სად გადადგეს მოციქულებმა მთები, ამის შესახებ არსად წერია, მაგრამ, ალბათ, გადადგეს და არ დაწერილა, რადგან ყველაფერი როდია ჩაწერილი; სხვაგვარად: გარემოებას არ მოუთხოვია და ამიტომაც არ გადაუდგამთ, თორემ ბევრად მეტი გააკეთეს. ყურადღება მიაქციე, უფალმა რა უთხრა: **ჰრქუათ მთასა ამას, მიიცვალე ამიერ იქი**, ანუ, როცა ეტყვით, მა-

შინ გადადგება. მაგრამ მოციქულებს ეს არ უთქვამთ, რადგან ამას არც დრო მოითხოვდა და არც აუცილებლობა და ამიტომაც არც მთები გადაუდგამთ, ხოლო რომ ეთქვათ, გადადგამდნენ კიდეც. **ესე ნათესავი**, ე. ი. დემონთა მოდგმა, მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება. განსაკუთრებით მარხვა იმათ ჰმართებთ, რომელნიც დემონთა გავლენის ქვეშ იმყოფებიან და იმათაც, რომელთაც მათი განკურნება აქვთ განზრახული. ლოცვა ჭეშმარიტია მაშინ, რაჟამს მარხვასთანაა შეერთებული და არა მემთვრალეობასთან. ისიც მოიაზრე, რომ სრული რწმენა მარცვალია მდოგვისა და იგი უმნიშვნელოდ ქადაგების მსმენელთა სიშლეგისა გამო ითვლება, მაგრამ თუ კეთილი ნიადაგი შეხვდა, ხედ გაიზრდება, რომელზეც ფრინველნი ზეცისანი, ანუ ფრთაშესხმული აზრები მკვიდრდებიან. ამგვარად, ვისაც სრული რწმენა აქვს, შეუძლია ამ მთას, ანუ დემონს უთხრას: გადადექი, რადგან უფალმა გამოდევნილი დემონიც გვიჩვენა.

22-23. **და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ეგულების ძესა კაცისასა მიცემად ჴელთა კაცთასა, და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად**. – ხშირად წინასწარ საუბრობს მომავალ წამებაზე, რათა არ ეფიქრათ, რომ იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ ეწამებოდა და კიდევ იმიტომ, რომ შეჩვეოდნენ და როცა ეს ჟამი დადგებოდა, არ შემკრთალიყვნენ. მაგრამ სამწუხაროს სასიხარულოსაც ურთავს, სახელდობრ, რომ აღდგება.

24-25. **და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპერნაუმდ, მოუჴდეს მას, რომელნი-იგი დიდრაქმასა შეჰკრებდეს, და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი? ხოლო მან ჰრქუა: ჰე.** – ღმერთმა ინება, რომ ნაცვლად ებრაელ პირმშოთა, მისთვის ლევის ტომი მიეძღვნათ. ლევის ტომი 22000 კაცს ითვლიდა, ხოლო პირველშობილ ყრმათა რიცხვი 22073 იყო. იმ პირმშოთა წილ, რომელნიც ლევის ტომზე მეტი აღმოჩნდნენ, ღმერთმა მღვდლებისთვის დიდრაქმის მიცემა დააწესა. აქედან წარმოიშვა ჩვეულება, რომ დიდრაქმა, რომელიც ხუთი სიკლი ან ორასი ობოლია, საერთოდ ყველა პირმშოს უნდა გადაეხადა. რადგან უფალიც პირმშო იყო, ამ გადასახადს ისიც იხდიდა. შესაძლოა, ქრისტეს სასწაულთა მხილველებს შერცხვათ და ამიტომაც არა მას, არამედ პეტრეს უთხრეს; ან კიდევ ასე უფრო ცბიერებისა გამო მოიქცნენ, ე. ი. თითქოსდა იმის თქმა უნდოდათ, თქვენი მოძღვარი, რომელიც სჯულის მტერია, განა დიდრაქმის გადახდას მოისურვებსო.

25-26. **და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესუ და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან? ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი.** – თუმცა არ მოუსმენია, მაგრამ ვითარცა ღმერთმა იცოდა, რა უთხრეს მათ პეტრეს. ამიტომაც აფრთხილებს იგი პეტრეს და ეუბნება: უკეთუ მეფენიც კი ამა ქვეყნისანი გადასახადს არა თავიანთი შვილებიდან, არამედ უცხოთაგან კრებენ, ზეციური მეუფე, ჩემგან,

მისი ძისაგან დიდრაქმას როგორღა მიიღებს, რადგან ეს დიდრაქმა, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მღვდლებისა და ტაძრისთვის იყო განკუთვნილი. ასე რომ, თუკი მიწიერ მეფეთა შვილები თავისუფალნი არიან, ე. ი. არაფერს იხდიან, მით უმეტეს მე არ გადავიხდიო.

27. **ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოჴდეს თევზი, აღიღე და აღულე პირი მისი და ჰპოო მის შორის სტატირი, მოიღე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემთჳს.** – ამპარტავნებად რომ არ ჩაგვთვალონ და შეურაცხმყოფელებად სჯულისა, და რომ არ ვაცდუნოთ ისინი, – ეუბნება პეტრეს: მიეცი ხარკი. იმიტომ კი არ ვაძლევ, რომ მოვალე ვარ, არამედ გამოსასწორებლად მათი უძლურებისა. აქედან ვსწავლობთ, რომ იქ, სადაც ვნება არ გველოდება, საცდურნი არ უნდა ვიყოთ. ხოლო იქ, სადაც შეიძლება რაღაც საქმისგან ვნება მოგვადგეს, საჭირო არაა ზრუნვა იმათზე, რომელნიც უგუნურებისა გამო ცდუნდებიან. რათა ეჩვენებინა, რომ ღმერთი იყო და მბრძანებელი ზღვისა, ქრისტემ პეტრე წარგზავნა თევზიდან სტატირის ამოსაღებად. ამასთან, ჩვენ ზოგიერთ საიდუმლოსაც ვსწავლობთ.ჩვენი ბუნება – ეს არის თევზი, ურწმუნოების ზღვასა შინა ჩაძირული, საიდანაც მოციქულებრივმა სიტყვამ ამოგვზიდა და პირში სტატირი გვიპოვა, ანუ სიტყვები უფლისა და აღიარება ქრისტესი. რადგან, ვინც ქრისტეს აღიარებს, პირსა შინა სტატირი აქვს, სტატირი, რომელშიც ორი დიდრაქმა შედის. ვითარცა ღმერთსა და კაცს, ქრისტესაც ხომ ორი ბუნება აქვს. ამგვარად, ეს სტატირი ქრისტეა, რომელიც სიკვდილს ორი მოდგმის – იუდეველთა და წარმართთათვის, მართალთა და ცოდვილთათვის მიეცა. უკეთუ ვინმე ვერცხლისმოყვარეს იხილავ, რომელსაც პირში ოქროსა და ვერცხლის გარდა არა ექნება რა, ჩათვალე, რომ იგი თევზია, რომელიც ცხოვრების ზღვასა შინა ცურავს. მაგრამ თუკი ვინმე პეტრეს მსგავსი მასწავლებელი გამოდგება, მოიანკესებს მას და პირიდან ოქროსა და ვერცხლს ამოუღებს. ზოგიერთი თვლის, რომ სტატირი ძვირფასი ქვაა, რომელიც სირიაში მოიპოვება, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი ოქროს მონეტის მეოთხედს წარმოადგენს.

თავი XVIII

1. **მას ჟამსა შინა მოუჴდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა?** – როცა მოწაფეებმა დაინახეს, რომ პეტრეს ქრისტესაგან პატივი მიეგო(პატივი მიეგო, რადგან ებრძანა სტატირი მიეცა ქრისტესა და თავისი თავის გამო), რაღაც ადამიანური განიცადეს, შურით მოწყლულნი უფალთან მივიდნენ და გადაკრულად ჰკითხეს: – **ვინმე უფროჲს იყოს?**

2-4. **და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა და ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა.** – დაინახა რა, რომ მოწა-

ფეებს პატივმოყვარეობის ვნება იპყრობდა, უფალმა შეაჩერა ისინი და მათ მოკრძალებული ყრმის მეშვეობით სიმდაბლის გზა უჩვენა. საჭიროა, რომ ჩვენც ყრმები ვიყოთ, ოღონდ სულიერი სიმდაბლით და არა უმწიფრობით აზროვნებისა, უბოროტობით და არა უგუნურებით. როცა უთხრა: **უკუეთუ არა მოიქცეთ**-ო, აჩვენა, რომ ისინი სიმდაბლის სიბრძნიდან პატივმოყვარეობაზე გადავიდნენ. ასე რომ, საჭიროა მიბრუნება კვლავ იქ, სიმდაბლის სიბრძნესთან, რომელსაც თქვენ გადაუხვიეთო.

5-6. **და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქჳლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღჳსასა.** – ეუბნება: არა მხოლოდ თქვენ უნდა იყოთ თავმდაბალნი, არამედ უკეთუ ჩემი გულისთვის სხვა თავმდაბალთაც პატივს მიაგებთ, ჯილდოს მიიღებთ; რადგან რაჟამს ყრმებს, ანუ თავმდაბალთ შეიწყნარებთ, მე შემიწყნარებთ. შემდეგ პირიქითაც ამბობს: **რომელმან დააბრკოლოს**, ანუ შეურაცხყოს, **ერთი მცირეთა ამათგანი**, ანუ ისინი, რომელნიც თავს იმცირებენ და იმდაბლებენ, დიდიც რომ იყოს, **უმჯობეს არს მისა დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა თჳსსა**. თვალსაჩინოდ წარმოადგენს რა ფიზიკურ სასჯელს, სურს აჩვენოს, რომ მრავალ ტანჯვას გადაიტანენ ისინი, რომელნიც ქრისტესმიერი სიმდაბლის მქონეთ შეურაცხყოფენ და აცდუნებენ. შენ კი მოიაზრე, რომ უკეთუ ვინმე მართლაც მცირეს ანუ სუსტს აცდუნებს, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ღონით წამოაყენოს, დაისჯება, რადგან პატარას ცდუნება უფრო ადვილია, ვიდრე დიდისა.

7. **ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური**. – ვითარცა კაცთმოყვარე, უფალი დასტირის სოფელს, რომელიც ცდუნებათაგან ვნებული იქნება. მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას: ტირილი კი არაა საჭირო, არამედ შემწეობა და ხელის გაწვდენა. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ესეც შემწეობაა – დატირება ვინმესი, რადგან ხშირად მათთვის, რომელთაც ჩვენმა შეგონებამ ვერაფერი არგო, რაჟამს დავტირით, სარგებლობა მოგვაქვს, რაკი ისინი გრძნობაზე მოდიან. თუკი უფალი ამბობს, რომ ცდუნებათა მოსვლა აუცილებელია, მათგან გაქცევას როგორღა შევძლებთ? მათი მოსვლა აუცილებელია, მაგრამ აუცილებელი არაა დავიღუპოთ, რადგან არსებობს საშუალებანი ცდუნებათათვის წინააღდგომისა. ცდუნებებში ისინი იგულისხმე, რომელნიც სიკეთისაკენ სწრაფვას აბრკოლებენ; სამყაროში კი – ქვემძრომი ადამიანები, რომელნიც მართლაც ადვილად ბრკოლდებიან.

8-9. **უკუეთუ ჴელი შენი ანუ ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთენ იგი და განაგდენ შენგან: უმჯობეს არს შენდა შესვლაჲ ცხორებასა მკელობელისა გინა უჴელოჲსაჲ, ვიდრე ორნი ჴელნი და ორნი ფერჴნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა. და უკუეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე**

იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა. – ხელსა, ფეხსა და თვალში მეგობრები იგულისხმე, რომელნიც სხეულის ნაწილებად გვყავს. თვით ამგვარი, ანუ უახლოესი მეგობრებიც კი, უკეთუ ისინი ჩვენთვის მავნებელნი გამოდგებიან, უნდა მოვიძულოთ და, ვითარცა დამპალი ნაწილები, მოვიკვეთოთ, რათა სხვებიც არ დააზიანონ. ამგვარად, აქედან ნათელია, რომ ცდუნებათა ანუ ვნების მომტან ადამიანთა მოსვლა აუცილებელიც რომ იყოს, არ არსებობს აუცილებლობა ჩვენი წახდენისა. უკეთუ ისე მოვიქცევით, როგორც უფალმა გვითხრა, და ვინც ზიანს გვაყენებს, თუნდაც ისინი მეგობრები იყვნენ, მოვიკვეთოთ, არ ვევნებით.

10-11. **ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა.** – გვიკრძლავს დავამციროთ ისინი, რომელნიც მცირედ ითვლებიან, ანუ გლახაკნი სულითა, მაგრამ წინაშე ღმრთისა დიდნი არიან. რადგან ღმერთმა ისინი ისე შეიყვარაო, – ამბობს, – რომ მცველებად ანგელოზები ჰყავთ, რათა დემონებმა ვერ ავნონო. ყოველ მორწმუნეს და უფრო მეტიც, ყოველ ადამიანს თავისი ანგელოზი ჰყავს; მაგრამ ქრისტეს მიერ მცირეთა და მდაბალთა ანგელოზნი ღმერთთან ძალიან ახლოს არიან, და, დგანან რა მის წინაშე, ღმრთის სახეს მუდმივად ჭვრეტენ. აქედან ჩანს, რომ თუმცაღა ანგელოზი ყველას ჰყავს, მაგრამ ცოდვილთა ანგელოზებს, თითქოსდა ჩვენი გაუბედაობით დარცხვენილებს, არც თვითონ ყოფნით გამბედაობა ღმერთს სახეში შეხედონ და ჩვენთვის ევედრონ. თავმდაბალთა ანგელოზები კი, რომელთაც ამისთვის კადნიერება აქვთ, ღმრთეებრივ სახეს ჭვრეტენ. მაგრამ რატომ ვსაუბრობ იმაზე, ამბობს უფალი, რომ ამგვარებს ანგელოზები ჰყავთ? მე იმიტომ მოვედი, რომ წარწყმედული გადავარჩინო და იმათი ახლობელი გავხდე, რომელნიც მრავალთაგან არარაობად არიან მიჩნეულნი.

12-14. **ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რაჟამს პოოს იგი, ამენ გეტყჳ თქუენ: უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს. ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი.** – რომელ კაცს ჰყავდა ასი ცხვარი? – ქრისტეს, რადგან ყოველი გონიერი ქმნილება – ანგელოზნი და კაცნი – ასი ცხვარია, რომელთა მწყემსიც ქრისტეა; თვითონ იგი ცხვარი როდია, რადგანაც არა ქმნილება, არამედ ღმრთის ძეა. მან თავისი ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი ზეცაში დატოვა და მიიღო რა სახე მონისა, ერთი ცხოვრის, ანუ კაცობრივი ბუნების მოსაძიებლად მოვიდა და მისით უფრო ხარობს, ვიდრე ანგელოზთა სიმტკიცით. ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ღმერთი ცოდვილთა მოქცევისათვის ზრუნავს და მათი

მოქცევით უფრო ხარობს, ვიდრე იმათით, რომელნიც მტკიცენი არიან სათნოებით.

15-17. **ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიევედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი შენი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რაჲთა პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს სიტყუაჲ. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი.** – წარმართა რა მძლავრი სიტყვა მაცდუნებელთა წინააღმდეგ, ახლა უფალი ცდუნებულთა გამოსწორებისათვის ზრუნავს. რათა შენ, ცდუნებული, საბოლოოდ არ დაეცე და ისევე როგორც მაცდუნებელი, შენც არ დაისაჯო, – ამბობს: რაჟამს გაცდუნებენ, ანუ ვნებას გაყენებენ, მსურს, რომ ამხილო ისინი, რომელნიც უსამართლოდ გექცევიან და გავნებენ, ოღონდ მაშინ, თუ ქრისტიანები არიან. დაუკვირდი, რას ამბობს: **უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან**, ანუ ქრისტიანმა. უკეთუ უსამართლოდ უსჯულო გექცევა, იმაზეც უარი თქვი, რაც შენ გეკუთვნის, ხოლო უკეთუ ძმაა, ამხილე იგი. არ უთქვამს: შეურაცხყავიო, არამედ ამხილეო. **უკუეთუ ისმინოს შენი**, ე. ი. უკეთუ გონს მოეგება. უფალს სურს, რომ ცოდვილნი პირველად პირისპირ, მარტონი იქნენ მხილებულნი, რადგან მრავალთა წინაშე მხილებისა გამო კიდევ უფრო ურცხვნი არ გახდნენ. უკეთუ ორი ან სამი მოწმის წინაშე მხილებულს არ შერცხვება, მაშინ მისი დაცემა ეკლესიის წინამძღვართ უნდა აუწყო. რადგან თუ ორს, ან სამს არ მოუსმინა, თუმცაღა, სჯულის მიხედვით, ყოველი სიტყვა ორის ან სამის დამოწმებით დგას, ანუ მტკიცდება, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, დაე, მას ეკლესიამ შეაგონოს, ხოლო უკეთუ აღარც მას დაემორჩილა, მაშინ იგი მოკვეთილ უნდა იქნეს, რათა თავისი ბოროტება სხვასაც არ გადადოს. ამგვარ ძმებს უფალი მეზვერეებს ადარებს(რადგან მეზვერე სიძულვილის ობიექტი იყო). ამიტომ შეურაცხყოფილს შეურაცხმყოფელის მეზვერედ და წარმართად, ანუ ცოდვილად და უსჯულოდ მიჩნევა ერთგვარად ნუგეშს სცემდა. მაგრამ მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო სასჯელი შეურაცხმყოფელისა? რაღა თქმა უნდა, არა! ისიც მოისმინე, რასაც შემდეგ ამბობს.

18. **ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.** – უკუეთუ შენ, – ამბობს, – შეურაცხყოფილი, იმას, ვინც უსამართლოდ მოგექცა, ვითარცა მეზვერესა და წარმართს, ისე მიიჩნევ, ასევე იქნება იგი მიჩნეული ცათა შინაც. ხოლო უკეთუ გახსნი, ანუ შეუნდობ, ცათა შინაც შენდობილი იქნება, რადგან არა მხოლოდ ისინი არიან გახსნილნი, რომელთაც მღვდლები ხსნიან, არამედ შეკრული თუ გახსნილი იქნებიან, აგრეთვე, ისინიც, რომელთაც ჩვენ, შეურაცხყოფილნი, შევკრავთ ან გავხსნით.

19-20. **კუალად ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ორი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათჳსვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემის-**

აგან ზეცათაჲსა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა. – ამ სიტყვებით მას სიყვარულისაკენ მივყავართ. აგვიკრძალა რა ჩვენ ცდუნება ერთმანეთისა, ერთმანეთისათვის ვნების მიყენება და ერთმანეთისაგან ვნების დათმენა, ახლა ერთმანეთს შორის თანხმობაზე გვესაუბრება. შეთანხმებულებში იგულისხმებიან არა თანამდგომნი ერთმანეთისა ბოროტებაში, არამედ სიკეთეში. დაუკვირდი, რას ამბობს: უკუეთუ ორი თქვენგანი, ანუ მორწმუნენი და სათნონიო, რადგან შეთანხმებულნი ანაცა და კაიაფაც იყვნენ, მაგრამ გასაკიცხ საქმეში. ამიტომაც ხშირად ასეც ხდება, რომ ვითხოვთ და ვერ ვიღებთ, რადგან ჩვენს შორის თანხმობა არ სუფევს. არ უთქვამს: ვიქნებიო; რადგან ეს არ არის განზრახვა მომავლისათვის, ამიტომ არც აგვიანებს და ამბობს ვარ-ო, ანუ მყისვე იქ აღმოვჩნდებიო. შეგიძლია იფიქრო, რომ უფალი ჩვენთანაა მაშინაც, რაჟამს ჩვენს სულს, და ხორცს შორის თანხმობა სუფევს და ხორცი სულზე არ ავხორცობს. ერთმანეთთან თანხმობაშია, აგრეთვე, სულის სამი ძალაც: გონება, გრძნობა და ნება. თანხმობა სუფევს ძველსა და ახალ აღთქმას შორისაც, რადგან მათ შორის ქრისტეა, რომლის შესახებაც ორივე ქადაგებს.

21-22. **მაშინ მოუჴდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ-გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ-გზისამდეა? ჰრქუა მას იესუ: არა გეტყჳ შენ ვიდრე შჳდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შჳდ-გზის.** – პეტრემ უფალს ეს ჰკითხა: უკეთუ ძმა ჩემს წინაშე შეცოდავს, ხოლო შემდეგ მონანული მოვა და შენდობას ითხოვს, რამდენგზის უნდა შევუნდო მას? მან დაუმატა: **უკეთუ წინაშე ჩემსა შეცოდავს**, რადგან უკეთუ ღმრთის წინაშე შეცოდა, მე, უბრალო ადამიანს, არა მაქვს ძალა მისი შენდობისა, არამედ ეს მღვდლის საქმეა, რომელსაც საღმრთო ხარისხი აქვს. ხოლო თუკი ჩემს წინაშე შეცოდა და მე შევუნდობ, შენდობილი იქნება, თუმცა უბრალო კაცი ვარ და არა მღვდელი. უფალმა უპასუხა: **სამეოც და ათ შჳდ-გზისო,** არა იმიტომ, რომ შენდობა, რიცხვით შემოეფარგლა; უგუნურება იქნებოდა ხომ, ვინმე რომ დამჯდარიყო და ცოდვები ეთვალა, ვიდრე ოთხასოთხმოცდაათი არ გახდებოდა(რადგან შვიდჯერ სამოცდაათი ასე ბევრია), არამედ აქ მას უსასრულობის მნიშვნელობა აქვს, ანუ ეს გვითხრა: იმდენგზის შეუნდე, რამდენგზისაც შეგცოდავს და მოინანიებს. მომდევნო იგავითაც იმას გვეუბნება, რომ ჩვენ ერთმანეთის თანალმობა უნდა გვქონდეს.

23. **ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა თანა**. – შინაარსი ამ იგავისა გვასწავლის, რომ ჩვენც მიუტევოთ მოყვასთ, რომელნიც ჩვენს წინაშე სცოდავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიტევებას მუხლებზე დაცემულნი ითხოვენ. გამოწვლილვით გამოკვლევა ამ იგავისა, მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ქრისტეს გონება აქვს, მაგრამ გავკადნიერდეთ და ჩვენც შევეცადოთ. სასუფეველი ღმრთის სიტყვაა, მაგრამ არა რაღაც მცირეთა, არამედ ცათა და მსგავსია მეუფისა, რომელიც

ჩვენთვის განხორციელდა და კაცის მსგავსად იქმნა. იგი ანგარიშს იბარებს თავისი მონებისაგან, რათა ისინი კეთილად განსაჯოს; სამსჯავროს გარეშე კი არავის სჯის, რადგანაც ეს სისასტიკე იქნებოდა.

24-25. **და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა ტალანტისაჲ. და ვითარ არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისა მისასაჲ და შვილთა მისთაჲ და რაჲცა აქუნდა მას, და გარდაჴდად იგი.** – ჩვენც ბევრეული(ათიათასი) ტალანტი გვმართებს, რადგან მადლს ყოველდღე ვიღებთ, სანაცვლოდ კი ღმერთს არანაირ სიკეთეს არ მივაგებთ. ბევრეული ტალანტი ჰმართებს იმათაც, რომელთაც წინამძღვრობა მიიღეს ხალხისა და მრავალი ადამიანისა(ყველა ადამიანი ხომ ტალანტია, რადგანაც ნათქვამია: ადამიანი დიდი საქმეა), მაგრამ ძალაუფლებას კარგად ვერ იყენებენ. მოვალეს გაყიდვა ცოლსა და შვილებთან ერთად ღმრთისაგან გაუცხოებას ნიშნავს, რადგან ვინც იყიდება, იგი უკვე სხვა ბატონის კუთვნილება ხდება. ცოლი ხომ ხორცია, მეუღლე სულისა, ხოლო შვილები – საქმენი, რომელნიც სულმა და ხორცმა ბოროტად აღასრულეს? ამგვარად, უფალი ბრძანებს, რომ ხორცი წარსაწყმედელად სატანას, ანუ სნეულებებსა და დემონს უნდა მიეცეს ტანჯვისათვის, ხოლო შვილები, ბოროტ ძალებს ვგულისხმობ, შეკრულ უნდა იქნენ, ისევე როგორც, როცა ვინმეს ხელი იპარავს, ღმერთი ახმობს მას, ან რომელიმე დემონის მეშვეობით კრავს. ამგვარად, ცოლი ხორცია, შვილები – ძალნი ბოროტებისა, სულის გადასარჩენად წამებისათვის გადაცემულნი, რადგან ასეთ კაცს ქურდობა უკვე აღარ შეუძლია.

26-27. **დავარდა უკუე მონაჲ იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო, და ყოველივე მიგცე შენ. შეეწყალა უფალსა მისსა მონაჲ იგი და განუტევა იგი და თანა-ნადებიცა მიუტევა მას.** – ნახე ძალა სინანულისა და კაცთმოყვარეობა უფლისა! სინანულმა ქმნა ის, რომ მონა ბოროტებისთვის დაეცა, რადგან ის, ვინც ბოროტებაზე მტკიცედ დგას, შენდობილი ვერ იქნება. კაცთმოყვარეობამ ღმრთისა მევალეს ვალი მთლიანად აპატია, თუმცა იგი არა მთლიანად პატიებას, არამედ ვადის გაგრძელებას ითხოვდა. ამგვარად, იცოდე, რომ ღმერთი იმაზე მეტს გვაძლევს, ვიდრე ვითხოვთ. კაცთმოყვარეობა მისი იმდენად დიდია, რომ ეს ბრძანებაც მისი გაყიდვისა, რომელიც სასტიკი ჩანს, სისასტიკის გამო კი არ გასცა, არამედ დასაშინებლად მონისა, რათა იგი დაერწმუნებინა და ლოცვისა და ნუგეშისცემისაკენ მოექცია.

28-30. **და ვითარცა გამოვიდა მიერ მონაჲ იგი, პოვა ერთი მის თანა მონაჲ, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა-იგი თანა-გაც. შეუვრდა მას მოყუასი იგი მისი და ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები იგი.** – შეიწყალეს რა, გამოვიდა და თანამოძმეს ახრჩობს. იმათგან, ვინც ღმერთთან რჩება, არავინაა უწყალო; ულმობელი მხოლოდ

იგია, ვინც ღმერთს შორდება და მისთვის უცხო ხდება. რამდენად დიდია არაადამიანურობა მისი, ვისაც ბევრი აპატიეს(ბევრეული ტალანტი), თვითონ კი სხვას მცირეს(ას დინარს) არათუ მთლიანად არ პატიობს, არამედ ვადასაც არ უგრძელებს, თუმცაღა თანამოძმე იმავე სიტყვებით მიმართავს, რომლითაც თვითონაც გადარჩა: **სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა და ყოველივე მიგცე შენ.**

31. **ხოლო იხილეს რაჲ მის თანა მონათა მათ საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუწყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რაჲცა იქმნა.** – აქედან ბოროტებისადმი ანგელოზთა სიძულვილი და სიკეთის სიყვარული ჩანს. ისინი ღმრთის თანამსახურნი არიან და ამას ღმერთს იმიტომ კი არ ეუბნებიან, რომ მან ეს არ იცის, არამედ, რათა შენ ისწავლო, რომ ანგელოზნი ჩვენი მცველები არიან და ულმობელნი სძულთ.

32-34. **მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანა-ნადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე შენ შენ-თანა მონაჲ იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე? და განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიჴადოს ყოველი იგი თანა-ნადები მისი.** – უფალი მონას კაცთმოყვარეობისა გამო სჯის, რათა აჩვენოს, რომ საჩუქარი მონას არა მან, არამედ მისმავე სისასტიკემ და უგუნურებამ წაართვა. და რომელ მტანჯველებს მისცა? შესაძლოა, დამსჯელ ძალებს, რათა იგი სამუდამოდ დასჯილიყო, რადგან სიტყვები: **ვიდრემდის გარდაიჴადოს ყოველი იგი თანა-ნადები მისი** – ამას ნიშნავს: დაე, დასჯილი იყოს მანამ, ვიდრე ვალს არ გადაიხდის, მაგრამ რაკიღა იგი ვალს ვერასოდეს გადაიხდის, ამიტომ ვითარცა მოვალე და ღირსი სასჯელისა, მარადიულად დასჯილი იქნება.

35. **ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი.** – არ უთქვამს: **მამამან თქვენმან**-ო, არამედ **მამამან ჩემმან**-ო, რადგან ამგვარნი ღირსნი არ არიან იმისა, რომ მამად ღმერთი ჰყავდეთ; მას სურს, რომ გულით მიუტევონ და არა მხოლოდ ბაგეებით. მოიაზრე, რამდენად დიდი ბოროტებაა გულღვარძლიანობა, რომელსაც შეუძლია ღმრთის მადლს განგვაშოროს. მართალია, მადლი ღმრთისა ცვალებადი არაა, მაგრამ მისი დაკარგვა შესაძლებელია.

თავი XIX

1-2. **და იყო ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეაჲთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგინი მუნ.** – უფალი კვლავ იუდეაში მიდის, რათა იუდეაში მცხოვრებ ურწმუნოებს თავი იმით არ ემართლებინათ, ჩვენთან უფრო იშვიათად მოდის, ვიდრე გალილეველებთანო. დამოძღვრასა და სიტყვის გასრულებას კვლავ სასწაულები მოსდევს, რადგან ჩვენ სიტყვითაც უნდა განგვსწავლოს და საქმითაც. მაგრამ უგუნურმა ფარისევლებმა იხილეს

რა სასწაულები, ნაცვლად იმისა, რომ ერწმუნათ, მისი ცდუნება მოინდომეს. მოუსმინე:

3-6. **მაშინ მოუვდეს მას ფარისეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლისათჳს ბრალისა? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა ალმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამისა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი? და თქუა: ამისთჳს დაუტევოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც, ვითარმედ არღარა ორ არიან, არამედ ერთ ჴორც. აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს**. – ოჰ, უგუნურება ფარისეველთა! ქრისტეს გაჩუმებას ამგვარი კითხვებით ცდილობდნენ. რადგან უკეთუ იტყოდა, რომ გაშვება ცოლისა ყოველგვარი მიზეზით შეიძლებაო, მაშინ შეეძლოთ ეთქვათ მისთვის: მაშინ როგორღა ამბობდი, არავინ უნდა გაეყაროს ცოლს, თუ იგი არ მრუშობსო; ხოლო უკეთუ იტყოდა, ცოლის გაშვება საერთოდ არ შეიძლებაო, მას ცილს დასწამებდნენ, რომ მოსეს სჯულის წინააღმდეგი იყო, რადგან იგი საძულველი ცოლის გაძევებას დამაჯერებელი მიზეზის გარეშეც ბრძანებდა. ქრისტემ რა უპასუხა? იგი გვაჩვენებს, რომ ერთი ქორწინება ჩვენმა შემოქმედმა დასაბამიდან დაგვიწესა, რადგან თავიდანვე ერთი მამაკაცი ერთ ქალთან შეაუღლა: ამიტომაც არც ერთი მამაკაცი უნდა შეუერთდეს მრავალ ქალს და არც ერთი ქალი – მრავალ მამაკაცს; არამედ როგორც თავიდან შეუღლდნენ, ისევე უნდა დარჩნენ და ერთად ცხოვრება უმიზეზოდ არ უნდა დაარღვიონ. ფარისევლები რომ არ გაეოცებინა, არ უთქვამს **მე დავბადე მამაკაცად და დედაკაცად**, არამედ განუსაზღვრელად ამბობს: **რომელმან დაჰბადა**-ო. ამგვარად, – ამბობს იგი, – ღმერთს ქორწინების სიკეთე იმდენად ესათნოება, რომ ადამიანებს მეუღლესთან შესაერთებლად მშობლებთან განშორების ნებაც კი დართო. „დაბადებაში“ რატომღა წერია, რომ სიტყვები: **ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი** – ადამმა თქვა, როცა აქ ქრისტე ამბობს, რომ სიტყვები: **ამისთჳს დაუტეოს** ა. შ. თვითონ ღმერთმა ბრძანა? ჩვენ ვამბობთ, რომ, რაც ადამმა თქვა, ღმრთისაგან თქვა; ასე რომ, ადამის სიტყვა ღმრთის სიტყვაა. რამდენადაც ადამი და ევა შეერთეებისა და ბუნებრივი სიყვარულის წყალობით შეირწყნენ და ერთხორც იქმნენ, ამდენად, ისევე როგორც საკუთარი ხორცის ორად გაყოფა, მეუღლეთა გაყრაც მძიმე დანაშაულია. ფარისეველთა მღელვარება რომ არ გამოეწვია, უფალს არ უთქვამს: **მოსეც ნუ განაშორებსო**, არამედ ზოგადად თქვა **კაციც**-ო, რათა ეჩვენებინა რა დიდადაა დაშორებული ღმერთი, რომელიც აერთებს, კაცისაგან, რომელიც ყოფს.

7-9. **ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაჲსათჳს უკუე მოსე ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტევებად? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, რამეთუ: მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგ-**

იცა იმრუშებს. – როცა ფარისეველებმა დაინახეს, რომ უფალმა გააჩუმა ისინი, იძულებულნი გახდნენ მოსე მოეხმოთ, რომელიც თითქოს თავისი კანონებით ქრისტეს ეწინააღმდეგებოდა და თქვეს: მაშინ მოსემ განტევების წიგნის მიცემა და გაყრა როგორღა გვიანდერძა? მაგრამ უფალი ყველა ბრალდებას ისევ მათკენ მიაქცევს, იცავს მოსეს და ამბობს: მოსე ამ კანონით ღმერთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ იგი თქვენი გულფიცხელობისა(სასტიკი გულის) გამო დაადგინა, რათა თქვენი ზნეობრივი აღვირახსნილობიდან გამომდინარე, როცა სხვა ქალებზე დაქორწინებას მოისურვებდით, პირველი ცოლები არ დაგეხოცათ. იყვნენ რა სასტიკნი, ებრაელები მართლაც მოკლავდნენ ცოლებს, უკეთუ კანონი მათთან ცხოვრებას აიძულებდა. ამიტომაც დაადგინა მოსემ განტევების წიგნის მიცემა ქმრებისგან მოძულებული ცოლე-ბისათვის. ხოლო მე გეუბნებით თქვენ, – ამბობს უფალი, – კარგია გაშვება მხოლოდ ზნეწამხდარი ცოლისა, რომელიც მრუშობს; ხოლო უკუეთუ ვინმე პატიოსანს გაეყრება და ქალი მრუშობას დაიწყებს, დამნაშავე იგი იქნება. შეიძლება ასეც გავიგოთ: **რომელი შეეყო უფალსა, ერთ სულ არს**(Iკორინ.6,17); ამ მიმართებით მორწმუნე ერთგვარად ქრისტესთანაა შეუღლებული, რადგან ჩვენ, ყველანი, მასთან ერთად ერთი სხეული გავხდით და ქრისტეს ნაწილთაგანი ვართ. მართლაც, ამ ერთობის დარღვევა არავის შეუძლია, როგორც ამას პავლე მოციქულიც ამბობს: **ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა**?(რომ.VIII,35) რადგან, რაც ღმერთმა შეაერთა, მისი გაყოფა არცა კაცთა, არცა სხვა რამ ქმნილებათა, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა და არცა უფლებათა, პავლეს თქმით, არ ძალუძს.

10. **ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ**. – შეშფოთებული მოწაფენი ამბობენ: უკეთუ ცოლი და ქმარი იმიტომ ერთდებიან, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში განუყრელად დარჩნენ, რადგან ცოლის გაგდება, თუნდაც იგი უვარგისი იყოს, არ შეიძლება, მაშინ საერთოდ დაუქორწინებლობა სჯობს. რადგან უფრო ადვილია არ დაქორწინდე და ბუნებრივ სურვილებს ებრძოლო, ვიდრე ბოროტი ცოლი აიტანო. ადამიანის მოვალეობად ქრისტე დაურღვეველ ცოლ-ქმრულ ერთობას თვლის, რასაც ზოგიერთი ასე განმარტავს: უკეთუ კაცს ცოლის უკანონოდ გაგდება ბრალად ეთვლება და ამის გამო განიკითხება და დაისჯება, მაშინ უმჯობესია არ დაქორწინდეს.

11. **ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს.** – რაკი მოწაფეებმა თქვეს, მაშინ უქორწინებლობა სჯობსო, უფალი ამბობს: მართალია ქალწულება დიდი განძია, მაგრამ მისი დაცვა ყველას როდი შეუძლია, არამედ მხოლოდ მათ, რომელთაც ღმერთი შეეწევაო, რადგან სიტყვა – **მიცემულ არს** – აქ დგას ნაცვლად სიტყვებისა: რომელთაც ღმერთი შეეწევა. ხოლო მიეცემა მათ, რომელნიც ითხოვენ: **ითხოვდით და მოგეცეთ თქუენ**;(ლუკ.XI,9) რამეთუ ყოველი, რომელიც ითხოვს, მიიღებს(ინ. XVI,24).

12. **რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ**

საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ. – მცირენი არიან, – ამბობს უფალი, – რომელნიც ქალწულების სათნოებაში წარემატებიან. ზოგიერთნი საჭურისები დედის მუცლითგანვე არიან, ანუ ისინი ბუნებრივი აგებულებისა გამო ქალთან შეერთებისათვის არ ილტვიან. ამგვართა უმანკოებას ფასი არა აქვს. არიან ისეთებიც, რომელნიც ადამიანებმა დაასაჭურისეს. ხოლო ზეციური სასუფევლისათვის თავს ისაჭურისებენ არა ისინი, რომელთაც ასო მოიკვეთეს(რადგანაც ეს სისაძაგლეა), არამედ ისინი, რომელნიც თავს იკავებენ. შეიძლება ასეც გაიგო: არსებობს ბუნებით საჭურისი, რომელნიც ბუნებრივი აგებულების გამო სასიყვარულო ტკბობისათვის არ აღიგზნება; კაცთაგან დასაჭურისებული კი ისაა, რომელმაც კაცობრივი სწავლების შედეგად ხორციელი გულისთქმის აღგზნება მოიკვეთა. ხოლო თავს ის ისაჭურისებს, რომელიც უბიწოებისაკენ არა სხვისი დამოძღვრითაა მიდრეკილი, არამედ თვითონვე, საკუთარი ნებით. ამგვარად, ამათგან ყველაზე სრულყოფილი ისაა, ვინც სხვამ კი არ დააყენა, არამედ თვითონ დაადგა გზას ზეცათა სასუფევლისაკენ. უფალი ამბობს: **რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ**. იგი არც ქალწულებას გვაძალებს და არც ქორწინებას ამცირებს, არამედ, უბრალოდ, უპირატესობას ქალწულებას ანიჭებს.

13-14. მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რაჲთამცა ჴელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა იგინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცალეთ ყრმებსა მაგათ მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ. – დედებს შვილები მოჰყავდათ, რათა მათ, მისი ხელის შეხებით, კურთხევა მიეღოთ, მაგრამ უწესრიგოდა და ხმაურით მოდიოდნენ, რის გამოც მოწაფენი არ უშვებდნენ. ამასთან, ისინი იმასაც ფიქრობდნენ, რომ, უკეთუ ბავშვებს მიუყვანდნენ, მათი მოძღვრის ღირსება დამცირდებოდა. მაგრამ ქრისტემ ცხადყო, რომ მისთვის უფრო სასიამოვნო უზაკველთა მიღება იყო და თქვა: **აცალეთ ყრმებსა მაგათ,... რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ**. არ უთქვამს: მაგათიო, არამედ ეგევითართა, ანუ იმათი, რომელნიც წრფელნი, უბოროტონი და გაურყვნელნი არიან. ასე რომ, უკეთუ ვინმესთან, ვინც ასწავლის, ზოგიერთები ბავშვური შეკითხვებით მიდიან, მან კი არ უნდა დააბრკოლოს ისინი, არამედ შეიწყნაროს.

15-17. და დაასხნა მათ ზედა ჴელნი. და ვითარცა წარვიდა მიერ. აჰა მო-ვინმეუჴდა მას და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოჲ ღმერთი. – იგი იმიტომ კი არ მივიდა მასთან, რომ ეცდუნებინა, არამედ, რათა ესწავლა, რადგან საუკუნო სიცოცხლე სწყუროდა; თუმცაღა ქრისტეს, ვითარცა ჩვეულებრივ კაცს, ისე მიეახლა. ამიტომაც

ეუბნება უფალი: **რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოჲ ღმერთი**, ანუ უკეთუ სახიერს მე მხოლოდ როგორც მოძღვარს მიწოდებ, ცუდად მიწოდებ, რადგან კაცთაგან სახიერი არავინაა; ჯერ ერთი, ჩვენ ძალიან ადვილად მივდრკებით სიკეთისაგან და, მეორეც, ღმრთეებრივ სიკეთესთან შედარებით კაცობრივი სიკეთე უვარგისად ითვლება.

17-19. **ხოლო უკუეთუ გნებავს ცხორებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი. ჰრქუა მას: რომელნი? ხოლო იესუ ჰრქუა მას, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო; პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი**. – კითხვის დამსმელს უფალი სჯულის მცნებებზე მიუთითებს, რათა იუდეველებს სათქმელად არ ჰქონოდათ – სჯულს არაფრად აგდებსო. მაგრამ რა?

20. **ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?** – ზოგიერთი ამ ახალგაზრდას, ვითარცა მკვეხარასა და პატივმოყვარეს, კიცხავს, როგორ შეიძლებოდა ერთდროულად მოყვასიც სრულყოფილად ყვარებოდა და მდიდარიც ყოფილიყო? რადგან, იმათგან, ვისაც მოყვასი ისე უყვარს, ვითარცა თავი თვისი, არავინაა ისეთი, ვინც მოყვასზე უფრო მდიდარი იქნება. მოყვასი(მახლობელი) კი ყოველი ადამიანია. ხოლო ზოგიერთებს ეს ასე ესმით: ვთქვათ და მე ყოველივე ამას ვიცავ, კიდევ რაღა მაკლია?

21-22. **ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე. და ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად**. – უფალი ეუბნება: ის, რაც, როგორც ამბობ, შენ აღასრულე, აღასრულე ვითარცა იუდეველმა, ხოლო უკეთუ სრულყოფა, ანუ ჩემს მოწაფედ და ქრისტიანად ყოფნა გსურს, წადი, გაყიდე ქონება შენი და ყოველივე მყისვე დაარიგე, ისე, რომ, იმ საბაბით, თითქოს გინდა მოწყალებას მუდამ გასცემდე, შენთვის არაფერი დაიტოვო. ის კი არ უთხრა: გლახაკებს მიეციო, არამედ: ყოველივე გაეცი და განიძარცვე(უქონელი გახდი). შემდეგ, რადგანაც ზოგიერთები მოწყალენი კი არიან, მაგრამ ყოველგვარი ბიწიერებით აღსავსე ცხოვრებას ეწევიან, ეუბნება: **და მოვედ და შემომიდეგ მე**, ანუ ყველა სხვა სათნოებაც შეიძინე. მაგრამ ჭაბუკი დაღონდა. თუმცა სურვილიც ჰქონდა და ნიადაგიც მისი გულისა ღრმა და ნოყიერი იყო, სიმდიდრის ეკლებმა თესლი უფლის სიტყვისა მაინც მოაშთვეს, რამეთუ, – ამბობს მახარებელი, – **იყო იგი მდიდარ ფრიად**. ვისაც ცოტა აქვს, ის ქონების ხუნდებითაც ნაკლებადაა შებოჭილი, მაშინ, როცა, რაც უფრო დიდია სიმდიდრე, ბორკილებიც უფრო მტკიცეა. რაკიღა უფალი მდიდარს ესაუბრებოდა, უთხრა: თუ მაინცდამაინც სიმდიდრის მოყვარე ხარ, **გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა**.

23-24. **ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა. და მერმე გეტყჳ თქუენ: უადვილეს**

არს აქლემი განსვლად ჴურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა. – მდიდარი, ვიდრე მას ჭარბი ქონება აქვს, მაშინ, როცა სხვებს აუცილებელიც აკლია, ცათა სასუფეველში ვერ შევა. ხოლო უკეთუ ყოველივეს დათმობს, ცხადია, სასუფეველში კი შევა, მაგრამ მდიდარი აღარ იქნება, რადგან ბევრის მქონეს იქ შესვლა ისევე არ შეუძლია, როგორც აქლემს ნემსის ყუნწში გაძვრომა. დაუკვირდი, რომ ქრისტემ ზემოთ თქვა: ძნელად შევაო, აქ კი ამბობს, რომ საერთოდ ვერ შევა. ზოგიერთები აქლემში ცხოველს კი არ გულისხმობენ, არამედ მსხვილ თოკს, რომელსაც მეზღვაურები ღუზის ჩაშვებისას იყენებენ.

25-26. **ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხოვნებად? მიჰხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს**. – მოწაფეებმა, რომელნიც კაცთმოყვარენი იყვნენ, ეს საკუთარი თავისთვის კი არ იკითხეს(რადგანაც თვითონ ღარიბები იყვნენ), არამედ საერთოდ ადამიანებისათვის. უფალი ასწავლის, რომ ხსნის საქმე ღმრთის ძალის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ და არა კაცობრივი უძლურებით. უკეთუ ვინმე ანგარებისმოყვარეობას გაექცევა, ღმრთის შემწეობით, ჯერ, რაც ზედმეტი აქვს, იმის ჩამოშორებით შემსუბუქდება, ხოლო შემდეგ, აუცილებელსაც გასცემს და, შემწეობით ღმრთისა, ასე დადგება კეთილ გზაზე, რომელიც სასუფევლისაკენ მიემართება.

27. **მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რაჲ-მე იყოს ჩუენდა?** – პეტრეს, რომელიც ღარიბი იყო, თითქოსდა ბევრი არაფერი დაუთმია, მაგრამ, იცოდე, რომ სინამდვილეში მან ბევრი რამ დათმო. ჩვენ ადამიანები მცირედსაც მაგრად ვებღაუჭებით, პეტრემ კი ყველა ამსოფლიური სიამოვნება, თვით ბუნებრივი სიყვარული მშობლებისადმი, უგულებელყო. ამგვარი ვნებანი ხომ არა მხოლოდ მდიდრებს, არამედ ღარიბებსაც ებრძვიან! ხოლო უფალმა რა თქვა?

28. **ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თჳსისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა**. – ნუთუ მართლა დასხდებიან? არამედ უფალმა დასხდომით აღმატებული პატივი ცხადჰყო; მაგრამ იუდაც დაჯდებოდა? რა თქმა უნდა, არა! ეს მან თავის მიმდევრებზე ანუ იმათზე თქვა, რომელნიც ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩებოდნენ, იუდა კი ერთგული არ დარჩენილა. ღმერთი ღირსეულთ სიკეთეს აღუთქვამს, მაგრამ უკეთუ ისინი შეიცვლებიან და უღირსნი გახდებიან, სიკეთეც წაერთმევათ. ასევეა უბედურებანიც, ღმერთი ზოგჯერ მათით გვაფრთხილებს, მაგრამ თუ შევიცვლებით, აღარ გვიგზავნის.

29. **და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს, ასწილად მიიღოს**

და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს. – ვინმეს რომ არ ეფიქრა, ზემოთქმული მხოლოდ მოწაფეებს ეხებაო, თავის აღთქმას ავრცელებს ყველაზე, ვინც კი მათ მსგავსად მოიქცევა. ხორციელ ნათესავთა წილ თვისებათა მსგავსება და ძმობა მათ ღმერთთან ექნებათ, აგარაკთა წილ – სამოთხე, ქვის სახლთა წილ – ზეციური იერუსალიმი, დედის წილ – იღუმენია ეკლესიასა შინა, ნაცვლად მამისა – ხუცესნი, ხოლო ნაცვლად ცოლისა – ყველა მორწმუნე ქალი, ოღონდაც არა ქორწინებით, არამედ სულიერი განწყობილებითა და მათზე კაცთმოყვრული მზრუნველობით. მაგრამ უფალი იმას კი არ გვიბრძანებს, რომ შინაურებს აუცილებლად განვშორდეთ, არამედ მაშინ, როცა ისინი ჩვენ ხელს ღმრთისმოსაობაში გვიშლიან. მსგავსად ამისა, იგი სულისა და ხორცის არად ჩაგდებასაც ბრძანებს, მაგრამ არა იმ აზრით, რომ თავი მოვიკლათ. ნახე, რომ სახიერი ღმერთი არა მხოლოდ იმას გვაძლევს, რაც დავთმეთ, არამედ მათ გარდა საუკუნო ცხოვრებასაც გვანიჭებს. ეცადე, ქონება შენი შენც გაყიდო და გლახაკებს დაურიგო. ხოლო ქონება მრისხანე კაცისა მრისხანებაა, მრუშისა – მრუშობისაკენ მისი მიდრეკილება, ღრძოსი კი – გულღვარძლიანობა. გაყიდე ესენი და მიეცი გლახაკებს ანუ დემონებს, რომელთაც არავითარი სიკეთე არა აქვთ. ვნებანი შენი ვნებათა შემოქმედს დაუბრუნე, და მაშინ გექნება საუნჯე, რომელიც ქრისტეა, ზეცასა, ანუ გონებასა შინა შენსა, რომელიც ამაღლდა. ზეცა კი შენში მაშინ იქნება, უკეთუ ზეციერს დაემსგავსები.

30. ხოლო **მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა.** – აქ იუდეველებსა და წარმართებზე მიანიშნებს, რადგან იუდეველნი პირველნი იყვნენ და უკანასკნელნი გახდნენ, ხოლო წარმართნი, რომელნიც უკანასკნელნი იყვნენ, პირველები შეიქნენ. ნათლად რომ გაიგო, რასაც ამბობს, უფალი შემდეგ იგავსაც უმატებს.

თავი XX

1-7. **რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაჯსა თჳსსა. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჯსა თჳსსა. და განჳდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად. და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? ხოლო მათ ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ.** – სასუფეველი ცათა ქრისტეა, რომელიც, მიიღო რა ჩვენი ხატი, ადამიანს დაემსგავსა. იგი არის უფალი სახლისა, რამდენადაც სახლზე ანუ ეკლესიაზე მეუფებს. ეს ქრისტე მამის წიაღიდან გამოდის და ვენახში სამუშაოდ, ე. ი. საღმრთო წერილისა და მისი მცნებების შესასწავლად,

მუშებს ქირაობს. იგი ყოველ ადამიანს ქირაობს, რათა ვენახში იმუშაოს, ანუ საკუთარი სული სრულყოს. ერთს დილით, ე. ი. ყრმობის ასაკში ქირაობს, მეორეს – მესამე ჟამს, ე. ი. სიჭაბუკეში, სხვას – ექვსსა და ცხრა ჟამზე(საათზე), ე. ი. 25-30 წლისას, ანუ დავაჟკაცების ასაკში, ხოლო თერთმეტი საათისათვის – მოხუცებს, რადგან მრავალმა მოხუცებულობის ასაკშიც იწამა. ან სხვაგვარად: დღეში ახლანდელი საუკუნე იგულისხმება, რადგან ჩვენ მის მანძილზე, ვითარცა დღის განმავლობაში, ისე ვიღვწით. პირველ საათზე უფალმა ენოქსა და ნოეს მოუწოდა, მესამეზე – აბრაამს, მეექვსეზე – მოსეს, მეცხრეზე – წინასწარმეტყველებს, ხოლო მეთერთმეტზე, ანუ საუკუნეთა დასასრულს – წარმართებს, რომელნიც ყველა კეთილი საქმისთვის უმოქმედონი იყვნენ. **ისინი არავინ დაიქირავა**, ანუ წარმართებთან არცერთი წინასწარმეტყველი არ მივლინებულა.

8-16. და ვითარ შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენაჯისამან ეზოჲს-მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკუანაჲსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითო დრაჰკანი. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ, და მიიღეს მათცა თითოჲ დრაჰკანი. ხოლო მი-რაჲ-იღეს, დრტჳნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს, და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტჳრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას გავნებ შენ, ანუ არა ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე, ხოლო მე მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჯერ-არს ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ. ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ. – საღამო საუკუნის დასასრულია. დასასრულს ყველა იღებს თითო-თითო დინარს – სულიწმიდის მადლს, რომელიც ადამიანს ღმრთის მსგავსად აქცევს და ღმრთეებრივ ბუნებასთან აზიარებს. უმეტესად ისინი დაშვრნენ, რომელნიც ქრისტემდე ცხოვრობდნენ, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დათრგუნვილი სიკვდილი, არც ეშმაკი შემუსვრილი და ცოდვაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა. ხოლო ჩვენ ქრისტეს მადლითა და ნათლისღების წყალობით განვმართლდით და მივიღეთ ძალა ჩვენს მტერზე გამარჯვებისა, ქრისტეს მიერ ერთხელ უკვე დამარცხებულისა და მოკვდინებულისა. პირველი განმარტების მიხედვით, იმათ, რომელთაც სიჭაბუკეშივე ირწმუნეს, უფრო მეტი ჯაფა დაადგათ, ვიდრე მათ, რომელნიც ქრისტესთან სიბერეში მივიდნენ. რადგან ჭაბუკი ვნებებთან ბრძოლისას ტვირთად **სიმძიმეს** რისხვისა და **სიცხეს** გულისთქმისას იღებს, მოხუცს კი ისინი აღარ აღელვებენ. მიუხედავად ამისა, ორივენი სულიწმიდისაგან ერთნაირი მადლის ღირსნი ხდებიან. ეს იგავი გვასწავლის, რომ, სინანულის წყალობით, ცათა სასუფევლის მიღება სიბერეშიც შეიძლება, რადგან მეთერთმეტე ჟამი მოხუცებულობას ნიშნავს. მაგრამ ხომ არ აღეძვრებათ წმინდანებს შური იმათ მიმართ, რომელთაც

იგივე ჯილდო მიიღეს? არავითარ შემთხვევაში. აქ მხოლოდ ისაა ნაჩვენები, რომ სიკეთე, რომელიც მართლებს ეძლევათ, იმდენგვარია და იმდენი, რომ, შესაძლოა, შურიც აღძრას.

17-21. **და ვითარცა აღვიდოდა იესუ იერუსალჵმდ, წარიყვანნა ათორმეტნი იგი მოწაფენი თჳსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჵმდ, და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს. მაშინ მოუჴდა იესუს დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძეთა მისთა თანა, თაყუანის-სცემდა მას და ითხოვდა რასმე მისგან. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს? ჰრქუა მას: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა.** – ზებედეს ძენი ფიქრობდნენ, რომ უკეთუ უფალი იერუსალიმში წავიდოდა, ამქვეყნიური მეფე გახდებოდა, რადგან ხშირად ესმოდათ, როგორ ამბობდა: იერუსალიმში ავიდეთო. განიზრახეს რა კაცობრივად, დედა დაარწმუნეს მისულიყო მასთან, რადგან თვითონ აშკარად მისვლისა შერცხვათ, თუმცა, როგორც მარკოზი გვამცნობს, ფარულად თვითონაც მივიდნენ. იგი გვეუბნება: მივიდნენ მასთან იაკობი და იოვანე, ე. ი. ისინი შეუმჩნევლად და ფარულად მისულან.

22. **მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესუმად, ანუ ნათლის-ღებაჲ რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გჳც.** – დატოვა რა დედა უყურადღებოდ, უფალმა პასუხი შვილებს გასცა, რათა ეჩვენებინა, რომ იცოდა: მათ აიძულეს დედა მასთან მისულიყო, და უთხრა: **არა იცით, რასა ითხოვთ**, არ იცით, რომ ეს თვით ანგელოზთა ძალებისთვისაც კი დიდია და საკვირველი. ამის შემდეგ, ამგვარი ფიქრებისაგან რომ გამოეყვანა, მათი გონება განსაცდელთაკენ წარმართა. იმიტომ კი არ ჰკითხა, რომ არ იცოდა, არამედ იმიტომ, რომ პასუხის გაცემით იძულებული გაეხადა ისინი სენი სულისა გამოეაშკარავებინათ და ცდა არ დაეკლოთ დაპირებულის აღსრულებისათვის. უფალი ამას ამბობს: რამდენადაც ჩემს სამეფოში წილი მას, ვინც ჩემს ტანჯვას არ გაიზიარებს, არ ექნება, მითხარით მე, შეგიძლიათ ამგვარ ვნებათა დათმენა? **სასუმელს** იგი საკუთარ ტანჯვასა და სიკვდილს უწოდებს, რათა გვაჩვენოს, რომ, ერთი მხრივ, ეს ტანჯვა სასმისის შესმასავით იოლია და ამიტომ მასთან მიახლება ჩვენც უნდა გვეიოლებოდეს, ხოლო მეორე მხრივ, რათა ცხადყოს, რომ სიკვდილზე თავისი ნებით მიდის. ისევე როგორც, ვინც სასმელს შესვამს, უმალ მძიმდება და იძინებს, ასევე ტანჯვის სასმისის გამომცლელიც სიკვდილის ძილს ეძლევა. თავის სიკვდილს იგი ნათლობას უწოდებს, რადგან მისით ყოველი ჩვენგანი განგვწმინდა. მათ აღთქმა(დაპირება) ისე მისცეს, არც იცოდნენ, ლაპარაკი რაზე იყო და საერთოდაც ყოველივეს ადვილად აღუთქვამდნენ, ოღონდ კი ის მიეღოთ, რაც სურდათ.

23. **ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე**

ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ. ხოლო დავჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა. – ვიცი, რომ თქვენ ტანჯვას დაითმენთ; და მართლაც ასე მოხდა: იაკობი ჰეროდემ მოაკვლევინა, ხოლო იოვანე ტრაიანემ გაასამართლა, რადგან იგი ჭეშმარიტების სიტყვას ამოწმებდა. სიტყვები: **ხოლო დავჯდომაჲ არა არს ჩემი მიცემად,... არამედ ვიეთდა განმზადებულ არს** – ნიშნავს: უკეთუ აღმოჩნდება ვინმე, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ტანჯვას დაითმენს, ყველა სხვა სათნოებაც ექნება, ჯილდოს მიიღებს, – მისთვის, ვითარცა მოღვაწისათვის, გვირგვინია განმზადებული. ჰიპოდრომზე გამართულ შეჯიბრზე, მეფესთან, რომელიც ჯილდოებს არიგებს, ვინმე რომ მივიდეს, ვისაც არ უასპარეზია და უთხრას: მომეც მე გვირგვინი, მომნიჭებელო ჯილდოებისა, თუმცა შეჯიბრში მონაწილეობა არ მიმიღიაო, ხომ ეტყვის მეფე: ვერ მოგცემ ტყუილად გვირგვინს, რომელიც იმისთვის განმზადდა, ვინც იასპარეზა და გაიმარჯვა. ასევე ამბობს აქ ქრისტეც: არ შემიძლია დაუმსახურებლად მოგცეთ თქვენ ადგილი ჩემს მარჯვნივ, რადგანაც ის მათთვისაა განმზადებული, რომელთაც იღვაწეს. შენ იკითხავ: ზოგიერთები ხომ მაინც დასხდებიან? იცოდე, რომ იქ ვერავინ დავჯდება, რადგან ეს მხოლოდ ღმრთეებრივი ბუნების თვისებაა. განა ანგელოზთაგან რომელს უთხრა ღმერთმა: **დავჯედ მარჯუენით ჩემსა**?(ფს.109,1) მაგრამ ეს მათი მიხვედრილობის შესაბამისად თქვა; ვერ გაიგეს რა, რომ უფლის მიერ ზემონათქვამი სიტყვები თორმეტი ტახტის შესახებ იმ დიდებას, რომელიც სათნოებისთვის ელოდათ, ხატოვნად წარმოსახავდა, ტახტებს პირდაპირი მნიშვნელობით ითხოვდნენ.

24-28. **ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი ჴელმწიფებენ მათ ზედა? ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ თქუენდა მსახურ; და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაჲ, იყოს იგი თქუენდა მონა. ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს**. – როცა ათმა მოწაფემ დაინახა, ქრისტემ ორს როგორ უსაყვედურა, განრისხდნენ, რითაც ნათელი გახდა, რომ ისინიც იმავე პატივს ესწრაფვოდნენ. მოწაფეები ჯერ კიდევ იმდენად არასრულყოფილნი იყვნენ, რომ ორი მათგანი დანარჩენ ათზე ამაღლებას ცდილობდა, ხოლო იმ ათს ამ ორისა შურდა. რადგანაც ათნი, რომელთაც ეს სიტყვები მოისმინეს, აღშფოთდნენ, უფალმა მათ მოუწოდა და ვიდრე საუბარს დაიწყებდა, უკვე ამ მოწოდებით დაამშვიდა. თუ მანამდე ზებედეს ძენი სხვებს გამოეყვნენ, რომ მასთან ესაუბრათ, ახლა თვითონ ყველას ერთად მიმართა. იცოდა რა, რომ სხვებზე მეუფებისა და პირველობის სიყვარული მეტისმეტად ძლიერია და ამიტომაც მისთვის მძლავრი დარტყმის მიყენებაა საჭირო, მოწაფეებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნება და რამდენადაც დიდება უფრო სურდათ, წარმართებსა და უსჯულოებს მიაკუთვნებს. ამგვარად, არცხვენს

მათ და ეუბნება: სხვა ადამიანები თავს ძალაუფლებით განიდიდებენ, მაგრამ პირველობის სიყვარული წარმართული ვნებაა, ჩემს მოწაფეებს კი პატივი თავმდაბლობით მიეგებათ. ვისაც სურს დიდი იყოს, იგი მასზე უფრო სუსტებს უნდა ემსახუროს. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი სიმდაბლე და მე ეს თვითონ გაჩვენეთ, როცა უფალმა და მეუფემ ცათა თავი დავიმდაბლე, რათა თქვენი ხსნისათვის გემსახუროთ და იმდენად დავმდაბლდი, რომ სულს ვაძლევ მრავალთა ანუ ყოველთა ხსნისათვის, რადგან მრავალი აქ იგივეა, რაც ყოველი.

29-33. **და ვითარცა გამოვიდოდეს იგინი იერიქოჲთ, მისდევდა მას ერი მრავალი. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ წარმოვალს, ჴმობდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო! ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაჲთა დადუმნენ. ხოლო იგინი უფროჲს ღაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო! და დადგა იესუ, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო თქუენ? ჰრქუეს მას: უფალო, რაჲთა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი. შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღიხილნეს და შეუდგეს მას**. – ბრმებმა გავრცელებული ხმებით იცოდნენ უფლის შესახებ და როცა გაიგეს, რომ აქეთ გამოივლიდა, ხელსაყრელი დრო იპოვეს. მათ ირწმუნეს, რომ იესო ხორციელად დავითის თესლისაგან იყო და მათ განკურნებას შეძლებდა. ჰქონდათ რა ამგვარი მხურვალე რწმენა, ვერ აიძულეს გაჩუმებულიყვნენ, პირიქით, უფრო ხმამაღლა აყვირდნენ. ამიტომაც უფალი მათ იმას კი არ ეკითხება, რწმენა ჰქონდათ თუ არა, არამედ იმას, რა სურდათ მისგან, რათა ვინმეს არ ეფიქრა, რომ ბრმებს სხვა რამ სურდათ და მან სხვა მისცაო. ამ კითხვით იგი იმასაც ცხადყოფს, რომ ისინი არა ვერცხლის, არამედ განკურნების მისაღებად ღაღადებდნენ. მან ისინი შეხებით განკურნა, რათა ჩვენ ვიცოდეთ, რომ მისი წმინდა ხორცის ყველა ნაწილი ცხოველმყოფელი და ღმრთეებრივია. თუმცა ლუკა და მარკოზი ერთ ბრმაზე საუბრობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მათეს ეწინააღმდეგებიან. მათ ის მოიხსენიეს, ვინც უფრო იყო ცნობილი. შეიძლება სხვაგვარადაც ავხსნათ: ლუკა გვეუბნება, რომ ბრმა იერიქონში შესვლამდე განკურნა, ხოლო მარკოზი – იერიქონიდან გამოსვლის შემდეგო. მათე კი, რომელსაც სისხარტე უყვარს, ორივეს შესახებ ერთდროულად გვიყვება. ბრმებში წარმართთაგან ისინი იგულისხმე, რომელნიც ქრისტემ გზად გავლისას განკურნა. ქრისტე უწინარესად არა წარმართებისთვის, არამედ ისრაელიანებისათვის მოვიდა, მაგრამ მსგავსად იმ ბრმებისა, რომელთაც იესოს შესახებ მოსმენით შეიტყვეს, ასევე წარმართებმაც იგი გაგონილით ირწმუნეს. ისინი კი, ბრმებს რომ აჩუმებდნენ და იესოს სახელის წარმოთქმას უკრძალავდნენ, ქრისტიანთა მდევნელი მმართველები არიან, რომელნიც ცდილობდნენ ძალით დაეხშოთ ეკლესიის ბაგენი, მაგრამ ქრისტეს სახელს იგი კიდევ უფრო და უფრო მეტი სიმტკიცით აღიარებდა; ამიტომაც განიკურნა, ცხადად იხილა ნათელი ჭეშმარიტებისა და ქრისტეს გაჰყვა, მიბაძა რა მას თავისი ცხოვრებით.

თავი XXI

1-5. და ვითარცა მიეახლნეს იერუსალჵმდ და მოვიდეს ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ წარავლინნა იესუ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა; აჰჴსენით და მომგუარეთ მე იგი. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲმე თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმან ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა. არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშჳდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა(ეს.62,11; ზაქ.9,9). – უფალი სახედარზე არა სხვა რამ საჭიროებისა გამო, არამედ იმიტომ შეჯდა, რომ წინასწარმეტყველება აღესრულებინა და თანაც ჩვენთვისაც ეჩვენებინა, რომ სიარულიც მოკრძალებითაა საჭირო; ამიტომ არა ცხენით, არამედ თავმდაბლურად – სახედრით წავიდა. ამგვარად, წინასწარმეტყველებას იგი როგორც ისტორიული, ასევე დაფარული აზრითაც აღასრულებს: ისტორიულით იმ გაგებით, რომ მართლაც სახედარზე შეჯდა, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, სახედარზე შეჯდომა ახალი, გაუხედნავი და ურჩი წარმართების მოთვინიერებას ნიშნავს. სახედარი და ჩოჩორი საკუთარი ცოდვების თოკებით იყვნენ დაბმულნი; ამიტომაც მათ ასახსნელად პავლე წარმართებთან წარიგზავნა, ხოლო პეტრე – წინადაცვეთილებთან ანუ იუდეველებთან. ვიდრე დღემდე, ჩვენი მხსნელი ჩვენივე ცოდვებისგან ორია: სამოციქულო და სახარება. ქრისტე სიმდაბლით მიემართება, რადგან პირველად იგი არა სამყაროს დასასჯელად, არამედ მისი ხსნისათვის მოვიდა. ებრაელთა სხვა მეფენი მტაცებელნი და უსამართლონი იყვნენ, ქრისტე კი მშვიდი მეფეა.

6-7. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მათ იესუ. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცჳ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი, და დაჯდა მას ზედა. – ლუკა და მარკოზი მხოლოდ ჩოჩორს(კიცვს) ახსენებენ, მათე კი – სახედარს და მის ჩოჩორს, მაგრამ ისინი არც აქ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რადგან, როცა ჩოჩორი წაიყვანეს, დედაც თან გაჰყვა. იესო დაჯდა მათ ზედა,[14] ოღონდ არა ორ ცხოველზე, არამედ სამოსლებზე, ან: იგი ჯერ სახედარზე დაჯდა, შემდეგ კი ჩოჩორზე, რადგან თავდაპირველად იუდეველთა სინაგოგაში ჩერდებოდა, შემდეგ წარმართებიდან იმ ხალხთან, რომელმაც ირწმუნა.

8-9. ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა. და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა. და ერი იგი, რომელი წინა-უვიდოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა. – პირდაპირი, ისტორიული

[14] სახარების ბერძნულ რედაქციაში, რომელსაც ნეტ. თეოფილაქტე განმარტავს, ამ ადგილას, ქართული რედაქციისაგან განსხვავებით, რომელშიც ვკითხულობთ, რომ იესო დაჯდა მ ა ს ზედა, იკითხება, რომ იგი მ ა თ ზედა დაჯდა(ekáθisen epáνw autwn).

მნიშვნელობით დაფენა სამოსისა დიდი პატივის მიგებას ნიშნავს, ხოლო – ჩამოკაფული რტოებისა ზეიმს გამოხატავს; დაფარული მნიშვნელობით კი ასე გაიგე: უფალი მაშინ დაჯდა, რაჟამს მოწაფეებმა თავიანთი სამოსელი, ანუ სათნოებანი დაუფინეს. ამგვარად, უკეთუ სული მოციქულებრივი სათნოებებით არ შეიმკობა, ღმერთი მასზე არ განისვენებს. წინ მავალნი(რომელი წინა-უვიდოდა) წინასწარმეტყველები არიან, რომელნიც ქრისტეს განკაცებამდე ცხოვრობდნენ, ხოლო უკან მიმავალნი(რომელი უკუანა შეუდგა) – განკაცების შემდგომ მცხოვრებნი მოწამენი და მოძღვარნი. ისინი ქრისტეს თავიანთ სამოსელს უფენდნენ, ანუ სხეული სულს დაუმორჩილეს, რადგანაც სამოსელი და საფარველი სულისა სხეულია. მათ თავიანთი სხეულები **გზასა ზედა** ანუ ქრისტეში განფინეს, რადგანაც თვითონვე ამბობს: **მე ვარ გზაჲ.** უკეთუ ვინმე თავის სხეულს არ განფენს, ანუ არ დაამდაბლებს გზასა ზედა, ე. ი. არა ქრისტეში მყოფი, არამედ ერეტიკოსი იქნება, მას ზედა უფალი არ განისვენებს. ზოგიერთების განმარტებით, **ოსანა** საგალობელს ან ფსალმუნს ნიშნავს, ხოლო სხვების აზრით, რომელიც უფრო სწორია: გვაცხოვნე(გვიხსენ) ჩვენ. უფალს **მომავალი** ეწოდება, რადგან ებრაელები მის მოსვლას ელოდებიან. იოვანემაც ხომ ასე უთხრა: **შენ ხარა მომავალი**? ანუ ის, ვის მოსვლასაც ელოდებიან? გარდა ამისა, უფალს **მომავალი** იმიტომაც ეწოდა, რომ მის მეორედ მოსვლას ყოველდღე უნდა ველოდეთ. ასე რომ, თითოეული ჩვენგანი აღსასრულსა და უფლის მოსვლას მუდამ უნდა ესვიდეს და ამისთვის ემზადებოდეს.

10-11. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალჵმდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე? ხოლო ერი იგი ეტყოდა: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ. – გულუბრყვილო, უბრალო ხალხს, მართალია, არ შურდა ქრისტესი, მაგრამ არც შესაბამისი წარმოდგენა ჰქონდა მასზე. ამიტომაც ამჯერადაც წინასწარმეტყველი უწოდეს. მაგრამ რადგანაც ეს სიტყვა **წინასწარმეტყველი** არტიკლთან ერთად თქვეს(ο προφήτης), შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ ეს არის წინასწარმეტყველი, რომელსაც ელოდნენ და რომლის შესახებაც მოსემ თქვა: ღმერთი თქვენ წინასწარმეტყველს აღგიდგენთო(2შჯ. XVIII,18); ხალხს ხომ არ უთქვამს: ეს არის წინასწარმეტყველი(ούτός εστι προφήτης), არამედ **წინასწარმეტყველი იგი**(ὁ προφήτης), ე. ი. ვისაც ველოდით.[15]

12.13. და შევიდა იესუ ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჴუა და დასასხდომელები იგი ტრედის-მოფარდულთაჲ მათ დაუქცია. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა. – ვითარცა უფალმა სახლისა ანუ ტაძრისა, გამოყარა რა მოვაჭრენი, აჩვენა, რომ ყოველივე, რაც მამისაა, მისიცაა. იგი ასე, ერთი მხრივ, ტაძრის განმშვენებაზე ზრუნვის გამო მოიქცა, ხოლო მეორე მხრივ, შესაწირავი მსხვერპლის შეცვლაზე მიანიშნა; რადგანაც,

[15] დაურთო რა ნაწევარი „ὁ“, ამით გამოარჩია სხვა წინასწარმეტყველთაგან.

ხარებისა და მტრედების გარეკვით გვამცნო, რომ საჭიროა არა დაკვლა ანუ მსხვერპლად შეწირვა ცხოველების, არამედ ლოცვისა.

სახლსა ჩემსა, – ამბობს იგი, – **სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა,** რადგან მკვლელობანი და სისხლისღვრანი ქვაბთა შინა ავაზაკთა ხდებოდა; ან: ავაზაკების გამოქვაბული ტაძარს მეწვრილმანეთა, მყიდველთა და გამყიდველთა გამო უწოდა, რადგან მოხვეჭის სიყვარული ავაზაკთა ვნებაა. მეკერმენი(kollubistaí) ისინი არიან, ვისაც ჩვენ გადამხურდავებლებს(trapezítai) ვუწოდებთ, რადგანაც კერმა – ეს არის წვრილი მონეტა, როგორც ჩვენი ობოლი ან ვერცხლი. მტრედების გამყიდველნი საეკლესიო ხარისხებით მოვაჭრენი არიან, რადგან ისინი ყიდიან მადლს სულისა წმიდისა, რომელიც მტრედის სახით გარდამოხდა. ამგვარნი ვითარცა მღვდლობისათვის უღირსნი, როგორც ზეციური, ასევე ამქვეყნიური ტაძრიდანაც განიდევნებიან. შენც მიხედე, რომ ტაძარი ღმრთისა, ანუ შენი ზრახვანი ავაზაკთა, ე. ი. დემონთა ბუნაგად არ აქციო. ხოლო გონება ჩვენი ბუნაგად მაშინ იქცევა, რაჟამს ყიდვა-გაყიდვასა და მომხვეჭელობაზე მატერიალური ზრახვები მოგვიცავს და თვით ხურდების, ანუ წვრილი მონეტების შეგროვებასაც კი დავიწყებთ. მსგავსად ამისა, საკუთარ თავს ავაზაკთა ბუნაგად ვაქცევთ, უკეთუ მტრედების ანუ იმ სულიერი სწავლებისა და განსჯის ყიდვა-გაყიდვას შევუდგებით, რომელიც ჩვენშია.

14. და მოუჴდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა, და განკურნნა იგინი. – უძლურთა განკურნებით აჩვენა, რომ ღმერთია და რომ კარგად მოიქცა, როცა, ვითარცა უფლებამოსილმა, თავისი სახლიდან უღირსნი გაყარა. ეს იმასაც ცხადყოფს, რომ იუდეველთა გაყრის შემდეგ, რომელნიც სჯულსა და პირუტყვთა მსხვერპლად დაკვლის ადათს იყვნენ მიჯაჭვულნი, მის მიერ შეწყნარებულ იქნენ და განიკურნენ ბრმები და კოჭლები წარმართთაგან.

15-16. და ვითარცა იხილეს მღდელთმოძღუართა მათ და მწიგნობართა, რომელიგი ქმნნა სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ ღაღადებდეს ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა, განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა-ესე იტყჳან? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ჰე, არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ? – როცა ფარისევლებმა დაინახეს, რომ ყრმები ქრისტეს დავითის საგალობელს უძღვნიდნენ, რომელიც, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველმა ღმერთს მიუძღვნა, შურით მოწყლულებმა უსაყვედურეს იმის გამო, რომ ნება მისცა მისთვის მიეძღვნათ ის, რაც ღმერთს ეკუთვნის. მაგრამ უფალმა ყრმები გაამართლა და თქვა: მე არა თუ გაჩუმებას ვუბრძანებ მათ, რომელნიც ასე მომმართავენ, არამედ მოწმედ წინასწარმეტყველსაც მოვიყვან და წარმოვაჩენ, რომ თქვენ ან უვიცნი ხართ, ან შურიანები, რამეთუ **არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ? დაამტკიცე**(katḥptísw) აქ ნიშნავს: მწყობრი(áptios) და სრულყოფილი ქება შექმენი. მართალია, ასაკის გამო ყრ-

მები არასრულყოფილებად ითვლებიან, მაგრამ ისინი თვითონ კი არ ამბობდნენ იმას, რასაც ამბობდნენ, არამედ თავიანთი ბაგენი სულიწმიდას მიანდვეს და მის იარაღად იქცნენ. **პირითა ყრმათა ჩჩჳლთა** – იმიტომაცაა ნათქვამი, რათა მიანიშნოს: სიტყვები ყრმების გონებიდან კი არ მოდიოდნენ, არამედ მხოლოდ ბაგეებიდან, რომელნიც ღმრთეებრივი მადლით მოძრაობდნენ. ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ქრისტეს ქებას ყრმები და უგუნურნი, ანუ წარმართები შეასხამდნენ. ეს მოციქულებსაც ანუგეშებდა, რომ: თუმცა უბრალო ადამიანები იყვნენ, სიტყვა მათაც მიეცემოდათ. ასე რომ, უკეთუ ვითარცა ჩვილი, უბოროტო იქნები და სულიერი რძით – ღმრთეებრივი სიტყვებით ისაზრდოებ, შენც ღირსი გახდები იმისა, რომ ღმერთი ადიდო.

17. **დაუტევნა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ**. – უფალი მათ, ვითარცა უღირსთ, გაშორდა და ბეთანიაში წავიდა, რომელიც ითარგმნება როგორც სახლი მორჩილებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ურჩებიდან იგი მორჩილებთან გადავიდა და მათთან დამკვიდრდა, რადგან ნათქვამია: **დავიმკჳდრო და ვიქცეოდი მათ შორის**(IIკორინ.6,16).

18-20. **და განთიად, მო-რაჲ-ვიდოდა ქალაქად, შეემშია. და იხილა ლელჳ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არარაჲ პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განჴმა ლელჳ იგი მეყსეულად. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ, დაუკჳრდა და იტყოდეს: ვითარ მეყსეულად განჴმა ლელჳ იგი**! – რადგანაც უფალი სასწაულებს ხშირად აღასრულებდა და ეს სასწაულები ყოველთვის კეთილი იყო, და ამასთან, არცერთი სასწაული არ აღუსრულებია ვინმეს დასასჯელად, რომ არ ეფიქრათ, დასჯა არ შეუძლიაო, აქ თავის ამ ძალასაც წარმოაჩენს, მაგრამ, ვითარცა კაცთმოყვარე, მას არა ადამიანთა, არამედ ხის მიმართ იყენებს, ისევე როგორც მანამდე ეს ღორების მიმართ გააკეთა. იგი ხეს ახმობს, რათა ადამიანები გონს მოიყვანოს. მოწაფეებს გაუკვირდათ და სამართლიანადაც; იმან, რომ ეს ხე შედარებით უფრო წვნიანია, სასწაული მისი მეყსეულად გახმობისა კიდევ უფრო წარმოაჩინა. ლელვის ხე იუდეველთა სინაგოგას ნიშნავს, რომელსაც მხოლოდ ფოთლები, ანუ საჩვენებელი წიგნი აქვს, მაგრამ სულიერი ნაყოფი – არა. ყოველი ადამიანი, რომელიც ამ-ქვეყნიური ცხოვრების ტკბობას ეძლევა, ამ ლელვს ემსგავსება. მას არ აქვს სულიერი ნაყოფი მოშიებული ქრისტესთვის მისაცემად, არამედ მხოლოდ ფოთლები – დროებითი და წარმავალი მოჩვენება. ამგვარი კაცი თავის თავზე წყევლას მოისმენს, რადგანაც ნათქვამია: განმეშორენით ჩემგან, წყეულნო. ცეცხლსა შინა იგი გახმება და ცეცხლში ტანჯვისას, ვითარცა სახარებისეულ მდიდარს, ენაც გაუხმება.

21-22. **მიუგო იესუ და ურქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ლელვისაჲ ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხურ ამიერ და შთავარდი ზღუასა! – იყოს ეგრე. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.** – დიდია ეს

აღთქმა ქრისტესი, რომელიც მან თავის მოწაფეებს მისცა; ჩვენ შეგვიძლია მთებიც კი გადავდგათ, თუკი არ შევორგულდებით, ანუ ეჭვს არ შევიტანთ, და ყოველივეს, რასაც კი გარეშე დაეჭვებისა ვითხოვთ, ღმრთის ძალით, მივიღებთ კიდეც. ვინმემ შეიძლება თქვას: რაიმე მავნებელი(ცუდი) რომ ვითხოვო და უგუნურებით მჯეროდეს კიდეც, რომ ღმერთი მას აუცილებლად მომცემს, ნუთუ ამ მავნებელსაც(ცუდსაც) მივიღებ? და კაცთმოყვარე ღმერთი სათხოვარს, რომელიც ჩემთვის მავნებელია, როგორღა ამისრულებს? მისმინე: უწინარესად, როცა რწმენის შესახებ ისმენ, არა უგუნური, არამედ ჭეშმარიტი რწმენა იგულისხმე; ასევეა ლოცვაც, მისითაც სასარგებლო უნდა ითხოვოთ, როგორც ეს უფალმა გვასწავლა: **და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსნენ ჩუენ ბოროტისაგან** და სხვ. შემდეგ, ყურადღება მიაქციე გამოთქმას: **არა შეორგულდეთ**. ვინც ღმერთთან ისეა შეერთებული, რომ მასთან ერთად ერთს ქმნის, არც შეუორგულდება და არც განეშორება, იმას, რაც ზიანის მომტანია, როგორღა შესთხოვს? ასე რომ, უკეთუ ღმერთთან განუშორებული და განუყრელი ვიქნებით, მაშინ მისგან მხოლოდ სასარგებლოს ვითხოვთ და მივიღებთ კიდეც.

23-27. **და მო-რაჲ-ვიდა იგი ტაძრად, მოუჴდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, რომელი უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ვინაჲ იყო: ზეცით ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს უკუე არა გრწმენა მისი? და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთავე ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს იოვანე. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას**. – შეშურდათ რა მისი სჯულის მოძღვართ, როცა მან ტაძრიდან მოვაჭრენი გაყარა, მივიდნენ მასთან და ამგვარი კითხვა დაუსვეს: ვინ ხარ შენ, რომ ტაძრიდან მოვაჭრეები გააძევე? უკეთუ ეს როგორც მღვდელმა გააკეთე, შენ ხომ სამღვდელო ხარისხი არ გაქვს? ხოლო უკეთუ ასე, ვითარცა მეფე, მოიქეცი, შენ ხომ არც მეფე ხარ და კიდევაც რომ ყოფილიყავი, ასე მოქცევა მაინც არ შეგეძლო, რადგან ტაძარში გამგებლობის ნება არც მეფეებს აქვთ. ეს იმიტომ ჰკითხეს უფალს, რომ თუ იტყოდა, ამას ჩემი ძალაუფლებით ვიქმო, ცილი დაეწამებინათ მისთვის, ვითარცა მეამბოხისთვის, რომელმაც ძალაუფლება მიითვისა, ხოლო უკეთუ იმას იტყოდა, ასე ღმრთისაგან ბოძებული ძალაუფლებით ვიქცევიო, იმ მიზეზით, რომ ნახეთ, ღმერთი კი არ არის, არამედ მონა, რომელიც ღმრთისგან მოცემული ძალით მოქმედებსო, მისთვის ხალხი ჩამოეშორებინათ, ვინც მას, ვითარცა ღმერთს, ადიდებდა. რა უპასუხა მათ ქრისტემ, რომელიც თავად სიბრძნეა? იგი ბრძენთ თავიანთ ვერაგობაში ამხელს და მსგავსსავე კითხვას უსვამს იოვანეს შესახებ, რადგან: უკეთუ იტყოდნენ

იოვანეს ქადაგება ზეცით იყოო, რამდენადაც ეს სწავლება არ შეიწყნარეს, ღმრთისმბრძოლნი გამომდგარიყვნენ, ხოლო თუ იმას იტყოდნენ, კაცთაგანო, რამდენადაც იოვანეს ყველა წინასწარმეტყველად აღიარებდა, ხალხისაგან საფრთხე შექმნოდათ. აქ უფალი იმასაც გვასწავლის, რომ ბოროტი განზრახვით დასმულ კითხვებს არ უნდა ვუპასუხოთ, რადგან იუდეველთა მიერ მზაკვრულად დასმული კითხვისათვის, თუმცა ეს მისთვის ძნელი არ იქნებოდა, პასუხი არც თვითონ გაუცია. აქვე ქრისტეს მაგალითით იმასაც ვსწავლობთ, რომ თავი არ უნდა განვიდიდოთ. რა თქმა უნდა, უფალს შეეძლო ეთქვა, ასე რომელი ძალაუფლებით მოქმედებდა, მაგრამ არ თქვა, რათა არ ეფიქრათ, რომ თავს თვითონ განიდიდებდა.

28-32. **აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჯსა ჩემსა. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს. ხოლო უკუანაჲსკნელ შეინანა და წარვიდა. და მოუჴდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე, ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო, და არა წარვიდა. ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინა-გიძღოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და მეძავთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რაჲთამცა გრწმენა მისი.** – უფალს აქ ორგვარი ხალხი შემოყავს. ერთნი, რომელთაც თავიდანვე დადეს აღთქმა და ასეთები იუდეველები იყვნენ; მათ თქვეს: **ყოველნი სიტყუანი, რომელთა იტყოდა უფალი, ვყვნეთ და ვისმინნეთ**(გამს.XXIV,3); ხოლო მეორენი – ურწმუნონი, მაგალითად, მეზვერენი, მეძავნი და აგრეთვე, წარმართნი, რომელნიც, თუმცა, თავდაპირველად ღმრთის ნებას არ დაემორჩილნენ, მაგრამ ბოლოს შეინანეს და შეისმინეს. ყურადღება მიაქციე ქრისტეს სიბრძნეს. ფარისევლებს თავიდანვე კი არ უთხრა, მეზვერენი და მეძავნი თქვენზე უკეთესნი არიანო, არამედ აიძულა ისინი თვითონვე ეღიარებინათ, რომ ორი შვილიდან უფრო დამჯერე ის იყო, რომელმაც მამის ნება აღასრულა. ხოლო შემდეგ, როცა მათ ეს აღიარეს, დასძინა: **მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა**, ანუ უბიწო ცხოვრებით, და ვერც თქვენ იტყვით, რომ მისი ცხოვრება გაკიცხვას იმსახურებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეძავებმა შეისმინეს მისი, თქვენ კი – არა. ამიტომაც წარგიძღვებიან თქვენ ისინი, ე. ი. თქვენზე ადრე შევლენ სასუფეველსა შინა. შეეცადეთ, რომ თქვენც ირწმუნოთ, რათა მათ შემდეგ მაინც შეხვიდეთ, ხოლო უკეთუ არ ირწმუნებთ, საერთოდ ვერ შეხვალთ. ბევრნი დღესაც აძლევენ აღთქმას ღმერთსა და მამას, რომ მონაზვნები ან მღვდლები გახდებიან, მაგრამ შემდგომად აღთქმისა, უზრუნველად ცხოვრობენ, ხოლო სხვანი, რომელთაც, მართალია, აღთქმა მონაზვნობისა ან მღვდლობისა არ დაუდვიათ, ცხოვრებას, ვითარცა მონაზონნი და მღვდელნი ისე ატარებენ. დამჯერე(მორჩილი) შვილები სწორედ

ესენი არიან, რადგანაც მამის ნებას აღასრულებენ, თუმცაღა აღთქმა არ დაუდვიათ.

33. **სხუაჲ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჯი და ზღუდე გარე-მოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა.** – უფალს სხვა იგავიც მოჰყავს მათთვის, რათა აჩვენოს: მიუხედავად იმ დიდი მზრუნველობისა, რომელიც ელირსათ, მაინც ვერ გამოსწორდნენ. პატრონი სახლისა უფალია, ვისაც მისი კაცთმოყვარეობისა გამო, კაცი ეწოდა. ვენახი – იუდეველი ხალხი, ვინც ღმერთმა აღთქმულ მიწაზე დანერგა, როგორც ნათქვამია: შეიყვანე და დანერგე ისინი მთასა ზედა წმინდასა შენსა. ზღუდე ან სჯულია, რომელიც მათ წარმართებთან ქორწინების გზით აღრევისაგან იფარავდა, ან წმინდა ანგელოზნი, რომელნიც ისრაელს იცავდნენ. საწნახელი სამსხვერპლოა, გოდოლი – ტაძარი, ხოლო მიწათმოქმედნი – მოძღვარნი ხალხისა – ფარისეველნი და მწიგნობარნი. ღმერთი – სახლისა უფალი ებრაელებს მაშინ განშორდა, როცა ღრუბლის სვეტიდან მათთან საუბარი შეწყვიტა. ან კიდევ: წასვლა ღმრთის სულგრძელობას ნიშნავს, რადგანაც იგი თითქოს ძილს ეძლევა, ან გვშორდება, როცა სულგრძელობას იჩენს და ჩვენს უსამართლო საქმეთა გამო მაშინვე არ ჩნდება.

34-39. **და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთაჲ, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყჳდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს. ხოლო უკუანაჲსკნელ მიუვლინა მათ ძე თჳსი და თქუა: შე-ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა. ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკჳდრებელი მისი. და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაჯისა მის და მოკლეს**. – ჟამი ნაყოფის მოწევისა წინასწარმეტყველთა დროს დადგა. წარგზავნილი მონები წინასწარმეტყველები არიან, რომელთაც მევენახენი ანუ მათი თანამედროვე ცრუ წინასწარმეტყველნი და ცრუ მოძღვარნი სხვადასხვაგვარად შეურაცხყოფდნენ. ზოგს სცემდნენ, როგორც მაგალითად, მიქეას, რომელსაც მეფე სედუკიამ ლოყაში გაარტყა. ზოგს კლავდნენ, მსგავსად ზაქარიასი, ვინც ტაძარსა და საკურთხეველს შორის მოკლეს. სხვები ქვებით ჩაქოლეს, როგორც ზაქარია, ძე იოდაე მღვდელმთავრისა. ბოლოს ღმერთმა თვისი ძე წარგზავნა, რომელიც ხორციელად გამოჩნდა და თქვა: **შე-ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა**, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ იცოდა, რომ მასაც მოკლავდნენ, არამედ იმის გამოსახატავად, რაც უნდა მომხდარიყო. ის ამბობს: თუმცა მონები დახოცეს, მაგრამ ძის ღირსებას მაინც უნდა სცენ პატივიო. მაგრამ მევენახეებმა ძე რომ დაინახეს, თქვეს: **ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი**. ასევე იუდეველებმაც ის, ვისზეც თვითონვე ამბობდნენ, ეს ქრისტე არისო, ჯვარს აცვეს. **განიყვანეს გარეშე ვენაჯისა და მოკლეს**, რადგან უფალიც

ქალაქგარეთ იქნა მოკლული. მაგრამ, როგორც ვთქვით, თუ ვენახი ხალხია, მაშინ ფარისეველებმა, ამ ბოროტმა მევენახეებმა, იგი **გარეშე ვენაჯისა** ანუ უზაკველი ხალხისათვის გვერდის ავლით მოკლეს.

40-41. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი სავენაჯისაჲ მის, რაჲ-მე უყოს ქუეყანის-მოქმედთა მათ? ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს და ვენაჯი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა. – როდის მოვა? მეორედ მოსვლისას? შეიძლება ასეც გავიგოთ, მაგრამ უმჯობესია ასე გააზრება: უფალი სავენახისა – მამა ღმერთია; მან თვისი ძე წარგზავნა, რომელიც მოკლეს, როცა იგი მოვა, ანუ მოხედავს უსჯულოებას, რომელიც იუდეველებმა ჩაიდინეს, მაშინ **ბოროტთა მათ ბოროტად წარწყმედს** – მათ წინააღმდეგ რომაელთა ჯარებს წარგზავნის, ხოლო თავის ვენახს ანუ ხალხს სხვა მევენახეებს – მოციქულებსა და მოძღვრებს გადასცემს. შეიძლება ვენახი საღმრთო წერილად მოვიაზროთ, რომელშიც ასო ზღუდეა, საწნახელი – სიღრმე სულისა, ხოლო გოდოლი – ამაღლებული ღმრთისმეტყველება. თავდაპირველად წმ. წერილი ბოროტ მევენახეებს – ფარისევლებს ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ღმერთმა ჩვენ გადმოგვცა, ვინც მას კეთილად დავამუშავებთ. ამ აზრითაც, მათ უფალი ვენახს გარეთ, ანუ წინააღმდეგ იმისა მოკლეს, რასაც საღმრთო წერილი ქრისტეს შესახებ იუწყებოდა.

42-44. ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავსა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა. ამისთჳს გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მიგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი. – თავის თავს ლოდს უწოდებს, ხოლო მაშენებელთ – იუდეველთა მოძღვრებს, რომელთაც იგი, ვითარცა გამოუსადეგარი, უგულებელყვეს და უთხრეს: სამარიტელი ხარ შენ და შენში ეშმაკია. მაგრამ რაჟამს აღდგა მკვდრეთით, კუთხის თავში იქნა დადებული, ანუ შეაკავშირა რა ერთი რწმენით იუდეველები და წარმართები, ეკლესიის თავი გახდა. ვითარცა ქვა, შენობის კუთხეში დადებული, ორ კედელს ერთმანეთთან აერთებს, ასევე ქრისტემაც ყოველნი ერთი სარწმუნოებით შეაერთა(შეკრა). ეს კუთხე საკვირველია და ღმრთისაგანაა, რადგანაც ეკლესია, რომელსაც ჩვენ ვუპყრივართ და სარწმუნოებით გვაერთიანებს, ღმრთეებრივი წარმოშობისაა და დიდი გაკვირვების ღირსიცაა თავისი კეთილმშვენიერი აგებულებით. ეს კუთხე გასაოცარია იმითაც, რომ ქრისტეს სიტყვა სასწაულებითაა დამტკიცებული და ძალმოსილი; ასე რომ, ეკლესიის წყობაც განსაცვიფრებელია. იუდეველებს წაერთვათ სასუფეველი ღმრთისა, ანუ სიახლოვე მასთან და იმათ გადაეცათ, რომელთაც ირწმუნეს. იუდეველები, რომელთაც ამ ლოდს ფეხი წამოჰკრეს და ქრისტესთან მიმართებაში ცდუნდნენ, მეორედ მოსვლის დროსაც შეიმუსრებიან, თუმცა მის მიერ უკვე დათრგუნულნი არიან, დედამიწაზე ყველგან

გაფანტულნი, როგორც ბედკრულ იუდეველებს ახლა ვხედავთ.[16]

45-46. და ესმნეს რაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ცნეს, რამეთუ მათთჳს თქუნა. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი. – აქაც იხილე, რომ უზაკველი და უბრალო ხალხი ჭეშმარიტებას მიჰყვება, მაშინ, როცა სჯულის მოძღვარნი ბოროტს განიზრახავენ. ებრაელები დღემდე ცდილობენ იპოვონ ქრისტე, მაგრამ ამისთვის არც ძალა შესწევთ და არც გონიერება. ისინი ანტიქრისტეს შეიწყნარებენ და თაყვანს მას სცემენ, ხოლო ქრისტეს არ მიიღებენ ანუ ვერ შეიცნობენ.

თავი XXII

1-7. და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას. ხოლო მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს და მოსწყჳდნეს. ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე, და მიავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკვლელნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლით. – მსგავსად ვენახზე თქმული იგავისა, ეს იგავიც იუდეველთა ურწმუნოებაზე მიანიშნებს, ოღონდ პირველი ქრისტეს სიკვდილს გამოხატავს, ხოლო მეორე – საქორწინო სიხარულს ანუ აღდგომას. ამასთან, აქ შედარებით იუდეველთა უფრო მძიმე ცოდვებია წარმოჩენილი, ვიდრე პირველ იგავში: რადგან იქ მათ ნაყოფის მოსათხოვნად მისულნი დახოცეს, ხოლო აქ – ქორწილზე მაწვეველთა სისხლი დაღვარეს. ღმერთი მეფესთანაა შედარებული. იგი წარმოჩნდება არა ისეთად, როგორიც არის, არამედ ისეთად, როგორიც ჩვენს წინაშე უნდა წარმოჩნდეს. რაჟამს ჩვენ, კაცნი, ვემორჩილებით რა კაცობრივ სისუსტეებს, ვკვდებით, ღმერთი კაცად გვეჩვენება, ხოლო როცა ღმრთის მსგავსად ვცხოვრობთ, ღმერთი ღმერთთა კრებულში წარმოგვიდგება(ფს.81,1). ასევე, უკეთუ ვითარცა ცხოველნი, ისე ვცხოვრობთ, იგიც ჩვენთვის ან ვეფხვია, ან დათვი, ან კიდევ ლომი. აუღლებს რა მას ყველა კეთილსახიერ სულთან, ღმერთი თავისი ძისთვის ქორწილს იხდის, სიძე ქრისტეა, სასძლო კი ეკლესია და, საერთოდ, ყოველი სული; პირველად მონები – მოსე და მისი თანამედროვე წმინდანები წარიგზავნენ, რომელთაც ებრაელებმა არ დაუჯერეს და, ანაწყენებდნენ რა ღმერთს უდაბნოში, ორმოცი წლის განმავლობაში ღმრთის სიტყვისა და სულიერი სიხარულის შეწყნარება არ მოისურვეს. შემდეგ სხვა მონები – წინასწარმეტყველები იქნენ წარგზავნილნი. მაგრამ

[16] I ს-დან მოყოლებული, იუდეველებმა თავიანთი სახელმწიფო არა თუ XI, არამედ XX ს-მდე ვერ აღადგინეს.

ებრაელებმა ზოგიერთი მათგანი მოკლეს, როგორც მაგალითად ესაია, ხოლო ზოგიც, შეურაცხყვეს როგორც იერემია, რომელიც ბინძურ თხრილში ჩააგდეს. შედარებით ზომიერებმა საერთოდ უარი თქვეს მიწვევაზე; მათგან ზოგიერთი საკუთარ მინდორში წავიდა, ანუ ხორციელი ტკბობით აღსავსე ცხოვრებისა და ნებივრობისაკენ მიიდრიკა, რადგანაც მინდორი ყოველი კაცისათვის მისივე სხეულია, ხოლო ზოგიც თავისი სავაჭროსაკენ ანუ ანგარებისმოყვარული ცხოვრებისაკენ მიიქცა, რამდენადაც ვაჭრები ყველაზე ანგარებისმოყვარენი არიან. ამგვარად, იგავი გვიჩვენებს, რომ სულიერ ქორწილს ანუ ქრისტესთან შეერთებასა და სულიერ ნადიმს ადამიანები თავს უპირატესად ორი ვნების – ხორციელი ტკბობისა და ანგარებისმოყვარეობისა გამო არიდებენ. სულიერ ნადიმს აქ საუზმე ეწოდება, ხოლო სხვაგან – სერი(ვახშამი). ვახშამია იმდენად, რამდენადაც ეს საქორწინო ნადიმი სრულად უკანასკნელ ჟამს, საღამოს ანუ საუკუნეთა დასასრულს გაცხადდა, მაგრამ ამავე დროს საუზმეცაა, რადგანაც საიდუმლო, თუმცა შედარებით უფრო ბუნდოვნად, მაგრამ პირველ საუკუნეებშიც იქნა გამჟღავნებული. **ზუარაკები** და **უსხები** ძველი და ახალი აღთქმებია. **ზუარაკებით**(მოზვრები) ძველ აღთქმას წარმოაჩენს, რომელშიც მსხვერპლად შესაწირად ცხოველები მიჰყავდათ, ხოლო უსხებით[17] – ახალ აღთქმას, რადგანაც ჩვენ ახლა საკურთხეველზე ძღვნად პურები მიგვაქვს, რომელთაც, როგორც ხორბლისაგან დამზადებულებს, მართლაც შეიძლება ნასუქები(ნაზუქები) ეწოდოს. ამგვარად, ღმერთი ჩვენ ძველი და ახალი აღთქმის სიკეთეთა გემოჲსხილვად გვიხმობს. როცა ვინმეს იხილავ, რომელიც ღმრთეებრივ სიტყვას ნათლად განმარტავს, იცოდე, რომ ასწავლის რა ცხადად, იგი მსმენელებს სულიერ პურს აწვდის და წრფელთა სულებს ასაზრდოებს და აპურებს. აქ შენ იკითხავ: როგორღა ბრძანებს: **არქუთ ჩინებულთა მათ**(უთხარით წვეულებს), რადგან უკეთუ უკვე მიწვეულნი იყვნენ, კვლავ მიწვევა რაღად სჭირდებოდათო; მაშ, იცოდე, რომ ყოველი ჩვენგანი ბუნებით უკვე მიწვეულია სიკეთეზე, მიწვეულია თანდაყოლილი მოძღვრის – გონების მიერ; მაგრამ ღმერთი გარეშე მოძღვრებსაც გზავნის, რათა გონების მიერ ბუნებრივად უკვე წვეულნი გარედანაც მიიწვიონ. მაშინ მეფემ თავისი მხედრიონი, ანუ რომაელები წარგზავნა, ურჩი იუდეველები ამოწყვიტა და მათი ქალაქი – იერუსალიმიც გადაწვა, როგორც ამას დაწვრილებით მოგვითხრობს იოსები.

8-10. **მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოეს ბოროტი და კეთილი და აღივსო ქორწილი იგი მეინაჴეთა.** – რადგან პირველად წარგზავნილმა მონებმა – მოსემ და წინასწარმეტყველებმა იუდეველები ვერ დაარწმუნეს, სხვა მონები – მო-

[17] ბერძნულ σιτιστός-ს(ნასუქი, ნაკვები) გიორგი მთაწმინდელმა უსხი მიუსადაგა, რომელიც ძვ. ქართულში ნასუქ, გამოკვებილ საქონელს ნიშნავს.

ციქულები წარგზავნა; მათ წარმართებს მოუწოდეს, რომელნიც ჭეშმარიტი გზით კი არ მიდიოდნენ, არამედ დაყოფილნი და მოძღვრების მრავალ გზაზე დანაწევრებულნი, გზათსაყარებზე ანუ დიდ ცდომილებასა და ეჭვქვეშ იყვნენ. რადგანაც თანხმობა არც ერთმანეთთან ჰქონდათ, ისინი არა მართებულ გზაზე, არამედ გზათგასაყარებზე იდგნენ. ეს იყო უკეთური სწავლებანი, რომელთაც წარმართები აცხადებდნენ; მაგრამ ყველა ერთნაირად როდი ფიქრობდა, არამედ ზოგს ეს მიაჩნდა ჭეშმარიტებად და ზოგს – ის. კიდევ უფრო უკეთესია ამგვარი გაგება: გზა – თითოეული ჩვენგანის ცხოვრება და მოქალაქეობაა, გზათგასაყარნი ანუ გზიდან მიდრეკა კი – მოძღვრებანი. ელინები, რომელთაც უვარგისი გზა ანუ სათაკილო ცხოვრება ჰქონდათ, უკეთური ცხოვრებიდან ბიწიერ სწავლებებამდე მივიდნენ. მათ სამარცხვინო ღმერთები წარმოადგინეს, რომელნიც ვნებებს მფარველობდნენ. იერუსალიმიდან წარმართებთან გასულმა მოციქულებმა ყველანი – უკეთურნიცა და კეთილნიც, ანუ როგორც ყოველგვარი ბოროტებით აღვსილნი, ასევე ზომიერნიც, რომელთაც მათთან შედარებით კეთილებს უწოდებს, ერთად შეკრიბეს.

11-14. ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაჴეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი. – ქორწილში შესვლა განურჩევლად ხდება; ჩვენ ყველანი – კეთილნიცა და უკეთურნიც – მხოლოდ მადლითა ვარ წოდებულნი; მაგრამ ცხოვრება ჩვენი(ქორწილზე წვეულთა) გამოუძიებლად კი არ დარჩება, არამედ შემდგომად რწმენაზე მოქცევისა, მეუფე მას ფრიად გულმოდგინედ გამოიძიებს და შებილწულნი აღმოვჩნდებით. მოვიაზრებთ რა ამას, ვძრწოდეთ, რადგან, ვისაც წმინდა ცხოვრება არ ექნება, მხოლოდ რწმენა სარგებლობას ვერ მოუტანს. ამგვარი არა მხოლოდ ქორწილიდან განიდევნება, არამედ ცეცხლშიც ჩაიგდება. და ვინ არის ეს, ვინც შებილწულ სამოსელს ატარებს? ეს ისაა, ვინც ვერ შეიმოსა სამოსი მოწყალების, სათნოებისა და ძმათმოყვარებისა. მრავალნი არიან, რომელნიც თავს იმ ფუჭი(ამაო) იმედებით იტყუებენ, რომ ცათა სასუფეველს მოიპოვებენ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონენი, თავს რჩეულთა დასს აკუთვნებენ. უღირსის გასამართლებით, უფალი, ჯერ ერთი, იმას გვაჩვენებს, რომ კაცთმოყვარე და სამართლიანია და მეორეც, რომ არც ჩვენ უნდა დავადანაშაულოთ არავინ, თუნდაც ისინი, რომელნიც აშკარად სცოდავენ, ვიდრემდე მხილებულნი არ იქნებიან. შემდეგ: უფალი მსახურებს – დამსჯელ ანგელოზებს ეუბნება: **შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი**, ანუ მოქმედი ძალები მისი სულისა. ამ საუკუნესა შინა(ამ ცხოვრებასა შინა) ჩვენ შეგვიძლია რამე ჩავიდინოთ და მოვიმოქმედოთ, ხოლო მომავალ საუკუნესა შინა ყველა

მოქმედი სულიერი ძალა შეკრული იქნება და ცოდვათა გამოსასყიდად რაიმე კეთილი საქმის ჩადენას ვეღარ შევძლებთ. **ღრჭენაჲ კბილთაჲ** – ეს მხოლოდ უსარგებლო(ამაო) მცდელობაა. **მრავალ არიან ჩინებულნი**, უფალი მრავალს ან უფრო სწორად ყველას იხმობს(იწვევს); **მცირედ – ჩეულნი**, მაგრამ ცოტანი არიან ისინი, რომელნიც გადარჩებიან და ღმრთისგან რჩეულობის ღირსნი იქნებიან. ამგვარად, ღმრთის საქმე ხმობაა, ხოლო რჩეულნი გავხდებით თუ არა, ჩვენზეა დამოკიდებული. ასე აგებინებს უფალი იუდეველებს, რომ ეს იგავი მათზე ითქვა, რადგან სწორედ ისინი იყვნენ მიწვეულნი, მაგრამ არა რჩეულნი მათი ურჩობისა გამო.

15-16. **მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს, რაჲთა სიტყჳთა საფრჴე უგონ მას. და მიუვლინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდიანთა მათ**. – რაკიღა ფარისეველნი ასე მზაკვრული ჩანაფიქრისა გამო იქცევიან, ლუკა მახარებელი მათ მზირებს უწოდებს, რომელნიც ქრისტეს შესაპყრობად იყვნენ მიგზავნილნი, ხოლო ჰეროდიანები ან ჰეროდეს მეომრები იყვნენ, ან ისინი, რომელნიც ჰეროდეს ქრისტედ მიიჩნევდნენ. როცა იუდას მთავრები აღარ იყვნენ და ჰეროდე გამეფდა, ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ იგი ქრისტე იყო. ამგვარ ადამიანებთან მიდიან ფარისეველნი, რათა ქრისტეს მახე დაუგონ. მოისმინე, როგორ საუბრობენ ისინი მასთან და ეუბნებიან:

16-22. **და ჰრქუეს: მოძღუარ ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ შენ და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა ჰზრუნავ არავისთჳს, რამეთუ არა თუალ-აღებ პირსა კაცისასა. აწ მარქუ ჩუენ, რაჲ გნებავს შენ: ჯერ-არსა მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა ანუ არა? გულისჴმა-ყო იესუ უკეთურებაჲ მათი და ჰრქუა: რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო? მაჩუენეთ დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი? ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა და დაუტევეს იგი და წარვიდეს**. – ფიქრობენ რა, რომ ქებით მოალმობიერებენ და მოინადირებენ, ემლიქვნებიან, რათა გულმოლმობილს ეთქვა, გამოსაღები არ მისცეთო, რის შედეგადაც, ვითარცა შფოთისთავსა და კეისრის წინააღმდეგ ხალხის ამბოხებელს, შეიპყრობდნენ. მეფის ერთგულნი ჰეროდიანელებიც იმიტომ მოიყვანეს თან, რომ, როგორც შფოთის მომწყობი, დაეკავებინათ. ეუბნებიან, რომ არავის წინაშე არ პირფერობ,[18] ანუ არაფერს იტყვი პილატესა თუ ჰეროდეს საამებლად, ამიტომაც გვითხარი: უნდა ვიყოთ თუ არა მოხარკენი ადამიანებისა, და უნდა მივცეთ თუ არა მათ ხარკი, ვითარცა ღმერთს დიდრაქმას ვაძლევთ, თუ ხარკი მხოლოდ ღმერთს უნდა ვაძლიოთ? როგორც ვთქვით, ამას იმიტომ ეუბნებოდნენ, რომ, თუკი იტყოდა, კეისრისთვის გადახდა საჭირო არ არისო, ვითარცა მომხრე თევდასი და იუდასი, რომელნიც ამბობდნენ, კეისრის სახელით მსხვერპლი არ უნდა შეიწიროსო, შეეპყროთ და მოეკლათ. მაგრამ იესო მონეტაზე კეისრის გამოსახულებით არწმუნებს მათ,

[18] სიტყვასიტყვით: პირს არ აღაღებ.

რომ კეისარს ის, რაც მისია, ანუ რაზეც მისი გამოსახულებაა, უნდა მიეცეს. ე. ი. გარეშე ანუ ხორციელ ცხოვრებაში იმას უნდა დავემორჩილოთ, ვინც მეფობს, ხოლო შინაგან ანუ სულიერ ცხოვრებაში – ღმერთს. შეიძლება ასეც გავიგოთ; ყოველმა ჩვენგანმა კეისარს ანუ დემონს, რომელიც ქვესკნელსა შინა მეფობს, უნდა მივცეთ და მივუგდოთ ის, რაც მისია. მაგალითად, გაქვს მრისხანება კეისრისაგან?[19] წარმართე იგი მისკენ ანუ მას განურისხდი; ასევე შეგიძლია მისცე ღმერთს ის, რაც ღმრთისაგანაა; ან: რადგანაც ჩვენ ორმაგნი(მრჩობლნი) ვართ და სულისა და ხორცისაგან შევდგებით, სხეულს, ვითარცა კეისარს, საზრდელი და სამოსი უნდა მივცეთ, ხოლო სულს, რომელიც ჩვენში უფრო ღმრთეებრივია – ის, რაც მას შეეფერება.

23-28. **მას დღესა შინა მოუჴდეს მას სადუკეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე ესრეთ თქუა: უკუეთუ ვინმე მოკუდეს და არა ესუას შვილი, ესიძენ ძმაჲ მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა. იყვნეს უკუე ჩუენ შორის შჳდნი ძმანი და პირველმან მან შეირთო და მოკუდა, და არა დაშთა თესლი, და დაუტევა ცოლი თჳსი ძმასა თჳსსა. ეგრეთვე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშჳდედმდე. ხოლო უკუანაჲსკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი. აწ უკუე აღდგომასა მას ვისა შჳდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი.** – როცა ფარისეველნი და ჰეროდიანნი დაადუმა, უფლის ცდუნებას ახლა სადუკევლები შეეცადნენ. მათი ერესი ასეთი იყო: ეწინააღმდეგებოდნენ რა ყველაფერში ფარისევლებს, სადუკევლებს არც აღდგომა სწამდათ, არც სული და არც ანგელოზი. ამჟამად მათ შეთხზეს ამბავი, რომელიც არ მომხდარა. ვთქვათ და ორმა ძმამ მართლაც შეირთო იგი ცოლად და მოკვდა, მესამემ როგორღა ვერ გაითვალისწინა წინა ორის მაგალითი და ვერ მოიფიქრა, რომ მასთან ქორწინებაზე უარი ეთქვა? სადუკევლებმა ეს იმიტომ შეთხზეს, რომ ქრისტე სიძნელის წინაშე დაეყენებინათ და აღდგომა უარეყოთ, ხოლო თავიანთი შეთხზულის მხარდამჭერად მოსე წარმოადგინეს. მათ თქვეს, რომ ძმები შვიდნი იყვნენ, რათა აღდგომის საიდუმლოსათვის შეურაცხმყოფლად დაეცინათ. მაშ, ამბობენ ისინი, ეს ქალი რომელი მათგანის ცოლი იქნება? შეიძლებოდა მათთვის ასეთი პასუხის გაცემაც: უსინდისო სადუკეველნო, უკეთუ დავუშვებთ, რომ აღდგომისას ქორწინება იქნება, რაღა თქმა უნდა, პირველისა, რადგანაც სხვები არა კანონიერი ქმრები, არამედ მაგიერნი იყვნენ.

29-33. **მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, იყვნენ ცათა შინა. ხოლო აღდგომისათჳს მკუდართაჲსა არა აღმოგიკითხავსა თქუმული იგი ღმრთისამიერი, რომელსა იტყჳს: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. არა არს ღმერთი – ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. და ესმა**

[19] ანუ ბოროტისაგან.

რაჲ ესე ერსა მას, დაუკჳრდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი. – მაცხოვარი აჩვენებს, რომ აღდგომა იქნება, მაგრამ არა იმგვარად ხორციელი, როგორსაც ისინი მცდარად წარმოიდგენდნენ, არამედ ღმრთეებრივი და სულიერი. რატომ ცდებით, – ეუბნება, – ნუთუ არც წმინდა წერილი იცით და არც ძალა ღმრთისა? თქვენ რომ წმინდა წერილი გცოდნოდათ, ირწმუნებდით, რომ ღმერთი არ არის ღმერთი მკვდართა, არამედ ცოცხალთა: ასევე, ღმრთის ძალის შესახებაც რომ გცოდნოდათ, შეიცნობდით, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი, შემდგომად აღდგომისა, ადამიანებს ანგელოზებრივ ცხოვრებას უქმნის. ნახე სიბრძნე უფლისა! სადუკეველებმა მოსე გამოიყენეს აღდგომის დოგმატის გასანადგურებლად, და ისიც მოსეს საშუალებით შეაგონებს მათ. **მე ვარ**, – ამბობს, – **ღმერთი აბრაჰამისი და ისაკისი და იაკობისი**. ნათქვამი ამას ნიშნავს: ღმერთი არის არა ღმერთი არარსებულთა, არამედ ცხოველთა(ცოცხალთა) და მყოფთა. არ უთქვამს: **მე ვიყავი**, არამედ: **მე ვარ.** მართალია, მამათმთავარნი აღესრულნენ, მაგრამ ისინი აღდგომის სასოებით ცოცხლობენ. შენ მკითხავ: სხვაგან როგორღაა ნათქვამი, რომ იგი უფალია ცხოველთა და მკვდართა: ისწავლე, რომ იქ მკვდრები გარდაცვლილებს ეწოდება, რომელთაც გაცოცხლება ელით. აქ კი უფალი საწინააღმდეგოდ სადუკეველთა ერესისა, რომელთა სწავლებითაც სული არა უკვდავი, არამედ სრულიად განხრწნადია, ამბობს, რომ არ არის ღმერთი მკვდართა, ანუ როგორც თქვენ ფიქრობთ, სრულიად გამქრალთა, არამედ ცხოველთა, ე. ი. იმათი, რომელთაც უკვდავი სული აქვთ და ოდესმე აღდგებიან, თუმცა ახლა ხორციელად მკვდარნი არიან.

34-40. **ხოლო ფარისეველთა რაჲ ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუკეველთა მათ, შეკრბეს ერთად. და ჰკითხა ერთმან მათგანმან სჯულის-მოძღუარმან, გამოსცდიდა მას და ეტყოდა: მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უფროჲს არს სჯულსა შინა? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.** – გამომცდელი მასთან უზომო შურით შეპყრობილი მივიდა. როცა ფარისევლებმა დაინახეს, რომ სადუკეველნი შერცხვნენ, ხოლო უფალი სიბრძნით განიდიდა, მივიდნენ, რათა გამოეცადათ, ხომ არ დაურთავდა რამეს პირველ მცნებას წინ სჯულის შესასწორებლად, რათა ამით საბაბი ჰქონოდათ მისთვის ბრალის დადებისათვის. უფალი ამხელს მათ ბოროტებას, სახელდობრ, რომ არა სწავლისათვის მივიდნენ, არამედ, რადგანაც სიყვარული არ ჰქონდათ, – შურისა და ჯიბრის გრძნობით შეპყრობილნი, და აჩვენებს, რომ ყველა მცნებაზე აღმატებული სიყვარულია. იგი ასწავლის, რომ ღმერთი რაღაც ზომით კი არ უნდა გვიყვარდეს, არამედ ჩვენი თავი მთლიანად უნდა მივუძღვნათ. ადამიანის სულში სამ განსხვავებულ რამეს მოვიაზრებთ: მცენარეულს, ცხოველურსა და გონივრულს; იმით, რომ იზრდება, იკვებება და თავისსავე მსგავს

შობს, იგი მცენარეს ჰგავს, მგრძნობელობითა და სურვილებით – ცხოველებს, ხოლო რამდენადაც აზროვნებს, გონიერი ეწოდება. ყურადღება მიაქციე, რომ ეს სამი ნაწილია აღნიშნული ამ სიტყვებშიც: **შეიყუარე ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა** – ეს ადამიანის ცხოველური ნაწილია; **ყოვლითა სულითა შენითა** – მცენარეული, რადგან მცენარენიც ხომ ცოცხალნი არიან, ხოლო **ყოვლითა გონებითა შენითა** – გონივრული.

ამგვარად, ღმერთი მთელი სულით უნდა გვიყვარდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ნაწილი და ძალა ჩვენი სულისა მას უნდა მივუძღვნათ. **ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ,** რომელიც ჩვენ ღმრთისმოსაობისათვის გვწვრთნის. **და მეორე, მსგავსი ამისი** – ადამიანებს სამართლიანობისათვის აღძრავს. გზა, რომელსაც წარწყმედისაკენ მივყავართ, ორია: უკეთური მოძღვრება და ბიწიერი(წამხდარი) ცხოვრება. შესაბამისად ამისა, იმისთვის, რომ უსჯულო მოძღვრებისკენ არ მივიდრიკოთ, ღმერთი უნდა გვიყვარდეს, ხოლო ბიწიერი ცხოვრება რომ არ გვქონდეს, ამისთვის მახლობლის სიყვარულია საჭირო. სიყვარული მოყვასისა ყველა მცნებას აღასრულებს, ხოლო ვინც მცნებებს აღასრულებს, მას ღმერთი უყვარს; ასე რომ, ეს ორი მცნება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ერთმანეთს უერთდება და ყველა სხვა მცნებას თავის თავში მოიცავს. ღმრთისა და მოყვასის მოყვარული რომელი კაცი იქურდებს, ან გულში ბოროტებას შეინახავს, ან ისიძვებს, ან კაცს მოკლავს, ან კიდევ იმრუშებს? თავიდან ეს სჯულის მეცნიერი ცდუნების მიზნით მივიდა, ხოლო შემდეგ, ქრისტეს პასუხით გონსმოსულმა, მისგან ქებაც კი დაიმსახურა, როგორც ამას წმ. მარკოზი ამბობს: **იხილა იესუ, რამეთუ გონიერად მიუგო მწიგნობარმა და ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა**(მარკ.XIII,34).

41-46. შეკრებულ რაჲ იყვნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესუ და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი. ჰრქუა მათ იესუ: ვითარ უკუე დავით სულითა ჰხადის მას უფლად და იტყჳს: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა? უკუეთუ დავით სულითა უფლად ხადის მას, ვითარ ძე მისი არს? და ვერვის ეძლო სიტყჳსმიგებად მისა, არცაღა ვინ იკადრა მიერ დღითგან კითხვად მისა არღარაჲ. – რადგანაც ჩვეულებრივ ადამიანად თვლიდნენ, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, დავითის წინასწარმეტყველების მეშვეობით ასწავლის, რომ უფალი ჭეშმარიტად თვითონ არის და თავის ღმრთეებრიობას ააშკარავებს. ფარისეველთა პასუხად, რომელნიც ამბობდნენ, ქრისტე დავითის ძე ანუ ჩვეულებრივი კაციაო, იგი კითხულობს: მაშინ დავითმა უფალი როგორღა უწოდა მას და თანაც არა უბრალოდ, არამედ გამოცხადებით, რომელიც მის შესახებ სულიწმიდის მადლით ებოძა? ამ სიტყვებით უფალი არ უარყოფს, რომ დავითის ძეა, მაგრამ იმასაც აჩვენებს, რომ არც დავითის თესლისაგან წარმომდგარი ჩვეულებრივი კაცია. იგი ამ კითხვას იმიტომ სვამს, რომ თუ იტყოდნენ: არ ვიცითო, ან მისთვის ეკითხათ

და ესწავლათ და, ეტყოდნენ რა ჭეშმარიტებას, ერწმუნათ, ან კიდევ: სათქმელი რომ აღარაფერი ექნებოდათ, შერცხვენილნი წასულიყვნენ. და მისთვის კითხვების დასმა მეტად აღარ გაებედათ.

თავი XXIII

1-3. **მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი. ყოველსა უკუე რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქჳან და არა ყჳიან**. – როცა უფალმა ფარისევლებს პირი დაუყო(დაადუმა) და მათი განუკურნებელი სნეულებანი წარმოაჩინა, საუბარი უკვე მათზე, მათს ცხოვრებასა და მოქალაქეობრივ ყოფაზე დაიწყო. იგი მსმენელებს შეაგონებს, არ შეურაცხყონ მოძღვარნი, თუნდაც ისინი ბიწიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ამასთან, იმასაც აჩვენებს, რომ თვითონ, არა თუ წინააღმდეგია მოსეს სჯულისა, არამედ, პირიქით, სჯულის მცნებათა აღსრულება სურს, თუმცა კი მოძღვარნი უღირსნი არიან. იგი ამბობს, რასაც მოძღვარი გეუბნებათ, ჩათვალეთ, რომ მოსე, უფრო ზუსტად კი, ღმერთი გეუბნებათ. შენ იკითხავ: ნუთუ ყოველივე, რასაც ისინი ამბობენ, უნდა გავაკეთოთ, ცუდიც რომ იყოს? ამაზე გიპასუხებ: ჯერ ერთი, მოძღვარი ისე არასდროს გაკადნიერდება, რომ ვინმე ბოროტებისაკენ მიაქციოს და მეორეც: კიდევაც რომ დავუშვათ არსებობა მოძღვრისა, ვინც ადამიანებს ბოროტი ცხოვრებისაკენ მიდრეკს, ასეთი არც მოსეს საყდრიდან და არც სჯულის სახელით არ ილაპარაკებს. მაგრამ უფალი იმათ შესახებ საუბრობს, რომელნიც მოსეს ტახტზე სხედან ანუ სჯულის მასწავლებელნი არიან. ამრიგად, საღმრთო სჯულის მოძღვართა მოსმენა მაშინაც კი საჭიროა, როცა თვითონ ისინი მას არ ასრულებენ.

4-5. **რამეთუ შეკრიან ტჳრთი მძიმე და ძნიად სატჳრთავი და დასდვიან მჴართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებენ შეძრვად იგი. და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი**. – ფარისეველნი მძიმე ტვირთს ადამიანებს იმით ადებდნენ, რომ მათ სჯულის წვრილმანსა და ძნელად შესასრულებელი წესების(მითითებების) აღსრულებას აიძულებდნენ.გარდა ამისა, ისინი სჯულის დადგენილებათა სიმძიმეს, რაღაც თავიანთი გადმოცემებით, რომელიც სჯულში არ იყო, კიდევ უფრო ამძიმებდნენ, თვითონ კი თითსაც არ ანძრევდნენ, ანუ არა თუ არაფერს არ აკეთებდნენ, არამედ ამ მძიმე ტვირთთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ. უკეთუ მოძღვარი არა მხოლოდ ასწავლის, არამედ თვითონაც იმას აკეთებს, რასაც ასწავლის, იგი ამავე დროს, მოწაფეთა თანამტვირთველად და თანამოსაგრედ გვევლინება, ხოლო უკეთუ მოწაფეს ტვირთს ადებს, თვითონ კი არაფერს აკეთებს, ამით ტვირთს კიდევ უფრო უმძიმებს, აჩვენებს რა თავისი დაუდევრობით, რომ შესრულება იმისა, რასაც ამბობს, შეუძლებელია. ამგვარად, უფალი ფარისევლებს იმაში

ამხელს, რომ მათ თანამოსაგრეობა და თანატვირთვა მცნებათა სიმძიმისა არ სურდათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კარგს არაფერს აკეთებდნენ, თავი ისე ეჭირათ, თითქოს აკეთებდნენ. რამდენადაც ისიც, რასაც აკეთებდნენ, თავის მოსაჩვენებლად ჰქონდათ გაკეთებული, ამიტომ საზღაურიც წაერთმეოდათ. მაშ, როგორი სასჯელის ღირსნი არიან ისინი, რომელნიც არაფერს აკეთებენ, მაგრამ ვითარცა მკეთებლებს, განდიდება სურთ? და მაინც რას აკეთებდნენ? **განივრციან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი.** – ეს რაღას ნიშნავდა? სჯულში მითითებული იყო: „შეიბით ხელთა თქვენთა ზედა და იყოს შეუძრველად წინაშე თვალთა თქვენთა“. თანახმად ამისა, ორ პერგამენტზე, ანუ ქარტიაზე იუდეველები სჯულის ათ მცნებას წერდნენ, რომელთაგან ერთს შუბლზე იმაგრებდნენ, ხოლო მეორეს მარჯვენაზე იკიდებდნენ. ხოლო ზედა სამოსის(მოსასხამის) ბოლოს მუქი წითელი ან ალისფერი ძაფისაგან სახიან ნაქარგობას უკეთებდნენ. ეს სჯულში იმიტომაც იყო მითითებული, რომ მათ შემხედვარეთ მცნებანი ღმრთისა არ დავიწყებოდათ, მაგრამ ღმერთს ამ წესის შესრულება კი არ სურდა, არამედ ხელზე დამცველის ქონა იმას ნიშნავდა, რომ მცნებათა აღსრულება იყო საჭირო, ხოლო ალისფრად მოქარგული კიდე იმაზე მიანიშნებდა, რომ ოდესმე ჩვენ ქრისტეს სისხლით უნდა აღვბეჭდილიყავით. ფარისეველნი კი საცავებსა და მოსასხამის ბოლოებს იმიტომაც იდიდებდნენ, რომ ყველას, ვისაც კი ისინი თვალში მოხვდებოდა, სჯულის დამცველებად მოჩვენებოდნენ.

6-7. **უყუარს ზემოჯდომაჲ სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა, და რაჲთა ხადოდიან კაცნი: რაბი, რაბი.** – აჰა, რას ამბობს უფალი! ეს რომ უყვართ, ფარისეველნი უკვე ამიტომაც განისჯებიან. ხოლო უკეთუ მხოლოდ ზემოჯდომის სიყვარულისთვისაც კი გაიკიცხებიან, სხვა დანარჩენი საქმეებისთვის, რისი ღირსი აღმოჩნდებიან? უყვართ **პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის**! – ის, სადაც სიმდაბლეს სხვებსაც უნდა ასწავლიდნენ, თავიანთ მანკიერებას წარმოაჩენენ. ყველაფერს აკეთებენ განდიდებისათვის და ამგვარ საქმეთა ჩამდენთ არა თუ რცხვენიათ, არამედ, პირიქით, ისიც კი სურთ – რაბი, რაბი ანუ მოძღვარნი უწოდონ.

8-12. **ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე. ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.** – ქრისტე იმას კი არ კრძალავს, რომ ვინმე მასწავლებლად იწოდებოდეს, არამედ კიცხავს იმათ, რომელთაც დაჟინებით სურთ, ასე იწოდებოდნენ და ამ წოდების მოპოვებისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ. მოძღვრის ღირსება, საკუთარი მნიშვნელობით, მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ასევე, როცა ამბობს:

მამით ნუვის ხადით – მშობლების პატივისცემას კი არ გვიშლის, რადგანაც, პირიქით, სურს, რომ მშობლებს, განსაკუთრებით კი სულიერ მამებს, პატივი მივაგოთ, არამედ ამ სიტყვებით ჭეშმარიტი მამის ანუ ღმერთის შეცნობამდე ავყავართ, რადგანაც მამა, საკუთარი მნიშვნელობით, ღმერთია. ხორციელი მშობლები მიზეზნი კი არ არიან ჩვენი შობისა, არამედ მხოლოდ თანამოქმედნი და თანამიზეზნი ღმრთისა. გვიჩვენებს რა სიმდაბლის სარგებლობას, გვესაუბრება, გვეუბნება, რომ თქვენს შორის დიდი უმდაბლესი და მსახური უნდა იყოსო. ვინც თავს აღიმაღლებს და რაღაცით დიდად წარმოიდგენს, იგი ღმრთისგან დამდაბლებული და მიტოვებული იქნება.

13. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი. – ორგულებს უწოდებს მათ, რადგანაც თუმცა თავს ღმრთისმოსავებად წარმოადგენდნენ, მაგრამ არაფერს ღმრთისმოსაობისთვის შესაფერისს არ აკეთებდნენ, არამედ, სჭამდნენ რა ქვრივთა ქონებას, ამ მიზეზით განგრძობილად ანუ ხანგრძლივად ლოცულობდნენ. ისინი ცრუნი იყვნენ, გულწრფელებს დასცინოდნენ და ძარცვავდნენ მათ. **ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი**, ანუ იმისათვის, რომ ქვრივებს ყველაფერს უჭამდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მხარში ამოდგომოდნენ და გაჭირვებაში ხელი გაემართათ; ან სხვაგვარად: ისინი მკაცრად იქნებიან განსჯილნი იმისთვის, რომ კეთილი საქმის – ლოცვის საბაბით, ბოროტებას სჩადიან და ქვრივთა ქონებას ჭამენ. ყველაზე დიდ სასჯელს იმსახურებს ხომ ის, ვინც სიკეთის ნიღბით ბოროტებისათვის აცდუნებს.

14. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰწუავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად. – არა მხოლოდ თქვენ ხართ ურწმუნონი და ბიწიერად მცხოვრებნი, – ეუბნება მათ მაცხოვარი, – არამედ სხვებსაც ასწავლით, არ ირწმუნონ ჩემი და მაგალითით თქვენი ცხოვრებისა, ღუპავთ. ჩვეულებრივ, ხალხი მმართველებს ბაძავს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხედავს, რომ ისინი ბოროტებისკენ არიან მიდრეკილნი. ამიტომაც ყოველი მოძღვარი და მმართველი უნდა უკვირდებოდეს, რა სარგებელი მოაქვს, და ვაი იმას, ვინც თავისი ცხოვრებით სხვებს სიკეთის გზაზე ეღობება.

15. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჴმელსა, რაჲთა ჰყოთ ერთი ვინმე მწირ; და რაჟამს არნ, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიისა ორ წილ თქუენსა. – თქვენ არა მარტო იუდეველებს რყვნითო, – ეუბნება, – არამედ იმათაც, რომელნიც კერპთმსახურებიდან იუდეურ ღმრთისმსახურებაზე მოიქცნენ და რომელთაც პროზელიტები ვუწოდეთ. ცდილობთ, რომ ვინმე იუდეური ცხოვრების წესზე მოაქციოთ და წინადაცვითოთ, მაგრამ რაჟამს იგი იუდეველი ხდება, იღუპება, თქვენი ბიწიერებისაგან დასნებოვნებული. **ნაშობ გეჰენიისა** – ეს არის კაცი, რომელიც

გეჰენიას სულიერად ენათესავება და ამდენად ღირსია მის ცეცხლში დაწვისა.

16-22. **ვაჲ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა სთქუთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი, რომელი განსწმედს ოქროსა მას? და სთქუთ: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს. ცოფნო და ბრმანო, რომელი უდიდეს არს: შესაწირავი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას? რამეთუ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცავს მას და ყოველსა, რომელი არს მას ზედა. და რომელმან ფუცოს ტაძარსა, ფუცავს მას და რომელი დამკჳდრებულ არს მას შინა. და რომელმან ფუცოს ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.** – უფალი ბრმებს უწოდებს მათ, რადგანაც არ სურთ სწავლა იმისა, რაც უნდა ისწავლონ. იმას, რაც უმნიშვნელოა, პატივს მიაგებენ, ხოლო რაც მართლა პატივის ღირსია, არაფრად აგდებენ. ისინი თვითონ ტაძარს მასში არსებულ ოქროს, ქერუბიმებსა და ოქროს ბარძიმს ამჯობინებენ. ამიტომაც ასწავლეს მრავალთ, რომ მთავარია დაფიცება არა ტაძრისა, არამედ ოქროსი, რომლითაც ტაძარია შემკული, მაშინ, როცა ეს ოქრო მხოლოდ იმით იყო პატივდებული, რომ ტაძარში იდვა. მსგავსად ამისა, იმასაც ამბობდნენ, რომ შესაწირავი, რომელიც საკურთხეველზე დევს, საკურთხეველზე უფრო პატივდებულია. ამრიგად, ფარისეველთა სწავლებით, უკეთუ ვინმე ოქროს ჭურჭელს, სამსხვერპლოდ მიყვანილ მოზვერს ან ვერძს დაიფიცებდა და შემდეგ ფიცს დაარღვევდა, მათი საფასურის გადახდით ისჯებოდა. საკურთხეველს ისინი შესაწირავს იმიტომაც ამჯობინებდნენ, რომ მისგან მოგებას იღებდნენ. ხოლო უკეთუ ფიცს ის დაარღვევდა, ვისაც ტაძარი ჰქონდა დაფიცებული, რამდენადაც ტაძრის ტოლფასი რამის შექმნას ვერ შეძლებდა, ამიტომაც საფასურისაგან თავისუფლდებოდა. ასე რომ, ფარისეველთა ანგარებისმოყვარეობის გამო ტაძრის დაფიცება უფრო უმნიშვნელოდ ითვლებოდა. ქრისტე ძველი აღთქმისეული მსხვერპლისათვის საკურთხეველთან შედარებით უპირატესობის მინიჭებას კრძალავს, ჩვენთან კი(ქრისტიანებთან) საკურთხეველი შესაწირავთაგან იკურთხება. ღმრთეებრივი მადლით პური უფლის ხორცად გარდაიქმნება, რომლითაც სამსხვერპლო ან საკურთხეველი იკურთხება.

23-24. **ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე ჯერ-იყო საქმედ და იგი არა დატევებად. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!** – კვლავ კიცხავს მათ, ვითარცა უგუნურებს იმის გამო, რომ მცნებათაგან რაც მნიშვნელოვანია, იმას არაფრად აგდებდნენ, ხოლო უმნიშვნელოთა დაცვას კი ზუსტად ცდილობდნენ. მაგალითად, არ გამორჩებოდათ შეწირვა ძირაკის მეათედისა, ხოლო უკეთუ ვინმე

ამგვარი დაწვრილმანებისათვის გაკიცხავდა, მყისვე უპასუხებდნენ, რომ ამას სჯული მოითხოვდა. უმჯობესი და ღმრთისთვის უფრო სათნო კი ის იქნებოდა, რომ ხალხისაგან სამართალი, წყალობა და სარწმუნოება მოეთხოვათ. და სამართალი რაღა არის? არა ქმნა უსამართლობისა და უგუნურებისა, არამედ ყოველივეს განსჯა გონივრულად. ამგვარ განსჯას მყისვე წყალობა მოსდევს, რადგან ვინც ყოველივეს სამართლიანად აკეთებს, მან ისიც იცის, ვინ უნდა შეიწყალოს, მოწყალებას კი რწმენა მოჰყვება. მოწყალე სრულიად დარწმუნებულია, რომ არაფერს კარგავს, არამედ ყოველივესთვის ჯილდოს მიიღებს. ვართ რა მოწყალენი, ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაც უნდა გვქონდეს, რადგან მოწყალენი წარმართთა შორისაც მრავლად იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ რწმენა, რომელიც წყალობას მოსდევს. ყოველ მოძღვარს მისი ხალხისაგან ათეული ანუ ათი გრძნობიდან – ხუთი ხორციელისა და ხუთი სულიერისაგან – სამართალი, წყალობა და რწმენა უნდა მოეთხოვა. „ესე ჯერ იყო საქმედ“, – ამბობს უფალი, არ უბრძანებია რა ამით მიცემა ბოსტნეულის მეათედისა, მაგრამ არც იმის საბაბს იძლევა, რომ ბრალი დასდონ, მოსეს საწინააღმდეგოდ ასწავლისო. ბრმა წინამძღვრებს უწოდებს მათ იმის გამო, რომ, თუმცა თავს განსწავლულობით იქებდნენ და ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ყველასათვის არა მხოლოდ უსარგებლონი იყვნენ, არამედ უბიძგებდნენ რა ურწმუნოების უფსკრულისაკენ, მრავალს ღუპავდნენ კიდეც. როგორც უფალი ამბობს, ისინი **ბურნაკს**(კოღოს) **წურავდნენ**, ანუ უმცირესი ცოდვაც კი არ გამოეპარებოდათ, ხოლო აქლემს ნთქავდნენ, ანუ დიდ ცოდვებს ვერ ამჩნევდნენ და თვალს არიდებდნენ.

25-26. **ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმლისასა და პაროფსიდისასა, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა. ფარისეველო ბრმაო, განწმიდე პირველად შინაგანი იგი სასუმელისაჲ და პაროფსიდისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა.** – იცავდნენ რა უხუცესთა გადმოცემებს, ფარისეველნი სასმისებსა და ჭურჭელს ანუ თეფშებს, რომლითაც საჭმელი მოჰქონდათ, რეცხავდნენ, მაგრამ ამავე დროს ღვინო და საჭმელი, რომელსაც სვამდნენ და ჭამდნენ, მიტაცებული ჰქონდათ, რაც მათ შინაგანად აუწმინდურებდა. ნუ შეიძენ ღვინოს, – გვეუბნება მაცხოვარი, – უსამართლობით და მაშინ სასმისი შიგნითაც სუფთა იქნება. გადატანითი მნიშვნელობით იგი მართლაც სასმისებსა და თეფშებზე კი არ საუბრობს, არამედ ხორციელ – გარეგნულსა და შინაგან – სულიერ მხარეებზე ადამიანისა. შენ, – გვეუბნება უფალი, – ცდილობ გარეგნობა კეთილქმნული გქონდეს, მაშინ როცა შინაგანი, რამდენადაც მტაცებლობ და შეურაცხყოფ, ბიწით გაქვს სავსე. ჯერ შინაგანად ანუ სულიერად უნდა განიბანო, რათა სიწმინდით სულისა მასთან ერთად გარეგნული მშვენიერებაც გაბრწყინდეს.

27-28. **ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ,**

ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა. ეგრეცა თქუენ გარეშე სჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა. – ამ შედარებასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წინას ჰქონდა. ფარისეველნი რიგიანად წარმოჩენას გარეგნული საქციელით ცდილობდნენ, ვითარცა საფლავები გარედან შეღებილნი, ანუ კირითა და ალებასტრით შეთეთრებულები, ხოლო შიგნით – ყოველგვარი უწმინდურობით, მკვდარი და დამპალი საქმეებით სავსენი.

29-31. **ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ სამარებსა მართალთასა, და იტყჳთ: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა. ვინაჲცა ეწამებით თავთა თჳსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი.** – მწარე ხვედრს უქადის მათ არა იმიტომ, რომ წინასწარმეტყველთა საფლავებს აშენებდნენ, რადგან ეს ღმრთისთვისაც სათნო იყო, არამედ იმიტომ, რომ ამას მოსაჩვენებლად აკეთებდნენ და კიდევ იმიტომ, რომ განსჯიდნენ რა თავიანთ მამებს, თვითონ მათზე უარესად იქცეოდნენ, ბიწიერებით აღემატებოდნენ და აშკარად ტყუოდნენ, როცა ამბობდნენ: ჩვენ რომ ჩვენი მამების დროს გვეცხოვრა, წინასწარმეტყველებს არ დავხოცავდითო, მაშინ, როცა თვითონ თავად წინასწარმეტყველთა უფლის მოკვლა სურდათ. ამიტომაც დასძენს ქრისტე:

32-33. **და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ. გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა მას გეჰენიისასა?** – სიტყვებით: **თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთანი** იმას კი არ უბრძანებს, ან აქებს, მომკალითო, არამედ ამგვარ აზრს გამოხატავს: რამდენადაც გველები ხართ, ნაშიერნი თქვენივე მსგავსი მამებისა და ბოროტებაში ისე ჩაფლულნი, რომ თქვენი განკურნება შეუძლებელია, ეცადეთ მამებს სწრაფად აღემატოთ, რასაც მაშინ მიაღწევთ, თუ მომკლავთ და ბოროტების საწყაულს აღავსებთ მკვლელობით, რომელსაც თქვენი მამები მოაკლდნენ. მაგრამ უკეთუ ამგვარნი ხართ, სასჯელს როგორღა გაექცევით?

34. **ამისთჳს აჰა ესერა მე მოვავლინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად.** – იგი ამხელს მათ სიცრუეს, როცა თქვეს: ჩვენ რომ ჩვენი მამების დროს გვეცხოვრა, წინასწარმეტყველებს არ დავხოცავდითო. აჰა, მე მოგივლენთ თქვენ წინასწარმერტყველებს, ბრძენთა და მწიგნობრებს, მაგრამ თქვენ მათაც დახოცავთო. ამას მოციქულებზე ამბობს. სულიწმიდამ შეამკო ისინი სწავლებებით, მწიგნობრებად ანუ ხალხის მასწავლებლებად შექმნა და ყოველი სიბრძნით აღავსო. როცა ამბობს: **მოვავლინე თქუენდა**, თავის ღმრთეებრივ ძალაუფლებას წარმოაჩენს.

35-36. **რაჲთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული**

ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელ მართლისაჲთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა. – სასჯელი ყველა უსამართლოდ დაღვრილი სისხლისათვის, ამბობს უფალი, სწორედ იმდროინდელ ებრაელებზე მოაწევს. ისინი წინაპრებზე უფრო მძიმედ დაისჯებიან, რადგან გონს ამდენი მაგალითის შემდეგაც ვერ მოეგნენ, ვითარცა ლამექი, რომელიც თუმცა ძმა არ მოუკლავს, მაგრამ კაენზე მეტად დაისაჯა, რადგან მისი მაგალითი ვერ გულისხმაყო. როგორც უფალი ამბობს, მოიწევა მათ ზედა მთელი სისხლი აბელიდან ზაქარიამდე. აბელი დროულადაა მოხსენიებული: იგი, ისევე როგორც ქრისტე, შურის გამო მოიკლა.

მაგრამ აქ რომელი ზაქარია იხსენიება? ერთნი ამბობენ, რომ ეს ზაქარია თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთია, ხოლო სხვათა აზრით, იგი წინამორბედის მამა უნდა იყოს. ჩვენამდე მოღწეულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ტაძარში იყო ადგილი, სადაც ქალწულები დგებოდნენ. ზაქარიამ, რომელიც მღვდელმთავარი იყო, ღმრთისმშობელი, იქ სხვა ქალწულთა გვერდით მას შემდეგაც დააყენა, რაც მან ქრისტე შვა. განრისხებულმა იუდეველებმა იმის გამო, რომ ნამშობიარები ქალი ქალწულებთან დააყენა, ზაქარია მოკლეს. არც იმაშია გასაკვირი არაფერი, რომ წინამორბედის მამის, ზაქარიას მამასაც სახელად ბარუქი ერქვა, ისევე როგორც ის ზაქარია, რომელიც თორმეტ წინასწარმეტყველთა რიცხვში შედიოდა, ბარუქის ძედ იწოდებოდა. შესაძლებელია, რომ როგორც თვითონ იყვნენ ერთი ტომიდან, ასევე მათ მამებსაც ერთი სახელი რქმეოდა.

37-39. **იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენ-გზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა, და არა ინებეთ!აჰა ესერა დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოჴრად. რამეთუ გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.** – იერუსალიმის სახელს იმეორებს, წუხს მის გამო და თანაგრძნობით უხმობს. ემუქრება რა მომავალი სასჯელით, უფალი თავს იმართლებს, ვითარცა საყვარელი ადამიანის წინაშე, რომელმაც მისი სიყვარული უარყო; ბრალს დებს მას მკვლელობაში და იმაშიც, რომ თუმცა მისი შეწყალება ბევრჯერ უნდოდა, მაგრამ თვითონვე არ მოისურვა. იერუსალიმმა ეშმაკს მოუსმინა, ვინც მას განაბნევდა და ჭეშმარიტებას განაშორებდა და არ შეიწყნარა უფალი, რომელიც შეკრებდა, რადგან არაფერი ისე არ განგვაშორებს უფალს, როგორც ცოდვა, ისევე როგორც ღმერთთან კეთილ სინდისს მივყავართ. თავის დიდ სიყვარულს უფალი ფრინველის მაგალითით წარმოაჩენს. მაგრამ, – ეუბნება იგი მათ, – რადგან არ მოისურვეთ, ტაძარს ცარიელს დავტოვებ. აქედან გულისხმავყოფთ, რომ ღმერთი ტაძარში ჩვენს გამო მკვიდრობს, ხოლო უკეთუ უიმედო ცოდვილებად ვიქეცით, ტაძარსაც ტოვებს. ამგვარად, ამბობს

უფალი, თქვენ ვერ მიხილავთ მე მეორედ მოსვლამდე. მაშინ იუდეველები მას უნებლიედ სცემენ თაყვანს და იტყვიან: კურთხეულ არს მომავალი. როცა ამბობს: ამიერითგანო, ჯვარცმის დღიდან უნდა იგულისხმო და არა იმ დროიდან, როცა ეს თქვა, რადგანაც იმის შემდეგ იუდეველებმა იგი კიდევ მრავალგზის იხილეს, მაგრამ არ უხილავთ შემდგომად ჯვარცმისა და ვერც იხილავენ, ვიდრემდე არ დადგება ჟამი მისი მეორედ მოსვლისა.

თავი XXIV

1-2. **და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა ჰხედავთა ამას ყოველსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.** – ტაძრიდან გამოსვლით იესომ აჩვენა, რომ იუდეველებს განშორდა, როგორც თქვა: **დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოჴრად,** ისევე მოიქცა. მოწაფეებს ტაძრის დანგრევას უწინასწარმეტყველებს. მაშინ, როცა ისინი მიწიერისას ზრახვიდნენ, ნაგებობის სილამაზე უკვირდათ და მას ქრისტეს აჩვენებდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ: ნახე, ცარიელს როგორ შენობას ტოვებო. მან ისინი მიწიერ ზრახვებს მოსწყვიტა, მათი ყურადღება ზეციური იერუსალიმისკენ წარმართა და თქვა: **არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა**. თქვა რა ეს, ჰიპერბოლის გამოყენებით, ნაგებობის სრულ განადგურებაზე მიანიშნა.

3. **და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუჴდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ?** – მარტოდ დარჩენილთან მოწაფენი მივიდნენ, რომელთაც განზრახული ჰქონდათ მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი რამ ეკითხათ; სახელდობრ, ისინი ორი საქმის შესახებ ეკითხებიან: როდის მოხდება ეს, ანუ ტაძრის დარღვევა და იერუსალიმის აღება და მეორე: რა იქნება ნიშანი მისი მოსვლისა?

4-5. **მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ.** – ამბობს, რომ მრავალი გამოჩნდება ისეთი, რომელიც თავს ქრისტედ გამოაცხადებს; მართლაც, დოსითეოს სამარიელი ამბობდა, მე ვარ ქრისტე, რომლის, ვითარცა წინასწარმეტყველის, შესახებ მოსემ იწინასწარმეტყველაო. ასევე, სიმონ სამარიელიც თავის თავს ღმრთის დიდ ძალას უწოდებდა.

6-8. **და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად. ხოლო ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს**. – უფალი რომაელების იერუსალიმთან ბრძოლაზე საუბრობს. მაგრამ, – ამბობს იგი, – არა მხოლოდ ბრძოლები იქნება, არამედ შიმშილობაცა

და ჭირიც, რითაც აჩვენებს, რომ იუდეველებზე ღმრთისგან მოვლენილი რისხვა მოაწევს. რადგან, უკეთუ ბრძოლებზე კიდევ შეიძლება თქმა იმისა, რომ მათ ადამიანთა ბოროტება წარმოშობს, შიმშილობა და ჭირი შეიძლება მხოლოდ ღმრთისაგან მოდიოდეს. შემდეგ: მოწაფეებმა რომ არ იფიქრონ, ვიდრე ჩვენ სახარების ქადაგებას მოვასწრებთ, სამყაროს აღსასრულის ჟამი დაუდგებაო, ამბობს: **ნუ შესძრწუნდებით... არამედ არღარა არს აღსასრული**, ანუ საერთო აღსასრული იერუსალიმის დანგრევასთან ერთად არ მოხდება. ხალხები ხალხთა ზედა აღდგებიან და სამეფონი სამეფოებზე და ეს იქნება იუდეველთა ზედა დასაბამი ტკივილთა, ანუ მომავალი უბედურებისა. მსგავსად მშობიარესი, რომელსაც ჯერ ტკივილები აქვს და შემდეგ შობს, ასევე ეს საუკუნეც მომავალს მხოლოდ შფოთის და ომების შემდეგ შობს.

9-13. **მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყჳდნენ თქუენ, და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათჳს. და მაშინ დაჰბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ და სძულობდენ ურთიერთას. და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა. და განმრავლებითა უსჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს**. – მომავალ უბედურებათა შესახებ მაცხოვარი იმიტომაც წინასწარმეტყველებს, რომ ამით მოწაფენი განამხნეოს, რადგან ჩვეულებრივ ყველაზე საშიში და შემაძრწუნებელი მოულოდნელობაა. ამიტომაც არბილებს ქრისტე შიშს წინასწარმეტყველებით ისეთ მომავალ საშინელებათა შესახებ, როგორიცაა: შური, მტრობა, ცდუნებანი, ცრუ წინასწარმეტყველნი, ანტიქრისტეს წინამორბედნი, რომელნიც მრავალთ თავგზას აუბნევენ და ყოველგვარ უსჯულოებასა შინა ჩააგდებენ. უსამართლობის გაზრდისა და ანტიქრისტესაგან მოტყუების გამო, ისე გამხეცდებიან, რომ ლმობიერება სიყვარულისა არათუ თვით შინაურთა შორისაც კი აღარ შენარჩუნდება, არამედ ისინი ერთმანეთისაგან გაიცემიან. ის, ვინც ბოლომდე დაითმენს, მამაცურად გადაიტანს ანუ ცდუნებებს არ მიეცემა, ვითარცა გამოცდილი მეომარი, გადარჩება.

14. **და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული**. – ნუ დაბრკოლდებით ქადაგებისათვის, არამედ გამხნევდით; სახარება ყოველთა ხალხთა შორის იქადაგება. **საწამებელად**(დასამოწმებლად) ანუ მათ სამხელად და ბრალის დასადებად, რომელთაც იგი არ ირწმუნეს, და მაშინ მოიწევა აღსასრული, ოღონდ არა სამყაროსი, არამედ იერუსალიმისა. სახარება, ვიდრე აღებამდე იერუსალიმისა, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს, მართლაც იქნა ნაქადაგები **ყოვლისა შორის დაბადებულისა ცისა ქუეშე**(კოლას.1,23). ის, რომ ნათქვამი იერუსალიმის აღსასრულს ეხება, ცხადია მომდევნო სიტყვებიდანაც:

15. **რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს,**

გულისჴმა-ყავნ. – საძაგელი მოოჴრებისაჲ სტელას უწოდა, რომელიც ქალაქის ამღებელმა ტაძრის იმ ადგილას აღამართვინა, სადაც შესვლა არ შეიძლებოდა. **მოოჴრებისაჲ**, – იმიტომ რომ ქალაქი განადგურდა, ხოლო **საძაგელი** კი იმიტომ, რომ ებრაელები, რომელთაც კერპთმსახურება სძულდათ, სტელებსა და ადამიანთა გამოსახულებებს საძაგელს უწოდებდნენ.

16-18. **მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდედ მთად. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ აღებად რასმე სახლისაგან თჳსისა. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ აღებად სამოსლისა თჳსისა**. – მიანიშნებს რა საშინელ უბედურებათა გარდაუვალობაზე, უფალი მათ უკან მოუხედავად გაქცევას უბრძანებს, ისე რომ, არ უნდა ეზრუნათ არაფერზე, რაც სახლში ჰქონდათ, არც სამოსსა და არც სხვა რამ ნივთზე. ზოგიერთები „საძაგელში მოოჴრებისა“ ანტიქრისტეს გულისხმობენ, რომელიც სამყაროს ნგრევისა და ეკლესიათა რღვევის ჟამს გამოჩნდება და ტაძარში დაჯდება, და შესაბამისად ამისა, ბრძანებაც გაქცევისა ასე ესმით; ის ვინც სათნოებათა მწვერვალზე იქნება, იმის ასაღებად, რაც სხეულისაა, დაე, სათნოებათა სიმაღლიდან ნუღარ ჩამოვა, რამეთუ სხეული სახლია სულისა. საჭიროა დატოვება მინდვრისა ანუ იმისა, რაც მიწიერია, რადგან მინდორი ცხოვრებაა. არც სამოსის აღებაა საჭირო, რადგან იგი ძველი ბოროტებაა, რომლითაც ჩვენ შევიმოსეთ.

19. **ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!** – ორსულნი, დამძიმებული მუცლის მიზეზით გაქცევას ვერ შეძლებენ, ხოლო ძუძუს მაწოვებელთ სიბრალულის გამო, არც ჩვილების მიტოვების ძალა ექნებათ და არც მათი წაყვანისა და ერთად გადარჩენისა; ასე რომ, რისხვას ვერც ისინი ასცდებიან. შესაძლებელია, ქრისტე აქ დედებისაგან საკუთარ შვილთა შეჭმაზეც მიანიშნებდეს, რადგან, როგორც იოსები გვიამბობს, იერუსალიმის გარემოცვის დროს ჩამოვარდნილი შიმშილობისას ერთმა ქალმა თავისი ბავშვი შეწვა და შეჭამა.

20. **არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა შაბათსა**. – ამას უფალი საერთოდ იუდეველებს ეუბნება, და არა უშუალოდ მოციქულებს, რომელნიც იერუსალიმიდან მის მოოხრებამდე გავიდნენ. იგი იუდეველებს ეუბნება, აფრთხილებს, რომ ილოცონ, რათა გაქცევა არც ზამთარში მოუხდეთ, რადგან არა ხელსაყრელი დროის გამო ამას ვერ შეძლებდნენ, და არც შაბათს, რომელსაც ისინი სჯულის მიხედვით უქმობდნენ და ამიტომ გაქცევას ვერ გაბედავდნენ.შენ კი ეს ასეც მოიაზრე, რომ საჭიროა ვილოცოთ, რათა ამ ცხოვრებიდან ჩვენი გაქცევა ანუ აღსასრული არც შაბათს – ე. ი. კეთილ საქმეთათვის უქმ დღეს და არც ზამთარში – სიკეთისათვის უნაყოფობის ჟამს მოგვიხდეს, არამედ სულიერი სიმშვიდისა და უშფოთველობისას.

21-22. **რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ, ვიდრე აქამდე, არცაღა ყოფად არს. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი, ხოლო რჩეულთა მათთჳს**

შემოკლდენ დღენი იგი. – და იყო მაშინ მწუხარება აუტანელი, რადგან რომაელ მეომრებს ებრძანათ არავინ დაენდოთ. მაგრამ ღმერთმა იმათ გამო, რომელთაც რწმენის მიღება განზრახული ჰქონდათ, ან უკვე ირწმუნეს, არ დაუშვა სრული განადგურება ერისა, არამედ უბედურებანი და ომი შეწყვიტა, რადგან ომი კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ყველანი, ვინც ქალაქში იყვნენ დარჩენილები, შიმშილისაგან ამოწყდებოდნენ. ზოგიერთები ამაში ანტიქრისტეს დღეებს გულისხმობენ, მაგრამ აქ საუბარია, არა ანტიქრიტეს, არამედ იერუსალიმის აღების შესახებ. წინასწარმეტყველება ანტიქრისტეზე ამის შემდეგ იწყება; აბა, მოუსმინე:

23-25. **მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე გინა თუ იქი, ნუ გრწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა. აჰა ესერა წინაჲსწარ გარქუ თქუენ.** – რადგანაც მოწაფეებმა ორი კითხვა მისცეს – იერუსალიმის აღებისა და უფლის მოსვლის შესახებ, ამიტომ მან ჯერ იერუსალიმის აღებაზე ილაპარაკა, ხოლო შემდეგ – თავის მოსვლასა და სამყაროს აღსასრულზე, სიტყვა „მაშინ“ იმას კი არ ნიშნავს, რომ „მაშინვე, იერუსალიმის აღებისთანავე, თუ ვინმე გეტყვით თქვენ“ და ა. შ., არამედ იმ დროს წარმოაჩენს, როცა უნდა მოხდეს. ნათქვამის აზრი ამგვარია: მაშინ, ანუ რაჟამს ანტიქრისტე მოსვლას განიზრახავს, მრავალი ცრუ ქრისტე და ცრუ წინასწარმეტყველი იქნება, რომელნიც დემონთა ძალით ჩადენილი საკვირველი მოვლენებით მაყურებელთა მზერას მიიტაცებენ და ბევრსაც მოატყუებენ. ამ დროს, უკეთუ არ იფხიზლებენ, თვით მართალნიც კი შეცდებიან. აი, მე გიწინასწარმეტყველეთ თქვენ და საბაბი თავის მართლებისა ველარ გექნებათ, რადგან შეგიძლიათ ცდუნებას არ აჰყვეთ.

26-28. **უკუეთუ გქრუან თქუენ: აჰა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის, მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. რამეთუ სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.** – სადაც იქნება დაცემული, ორბებიც იქ მოგროვდებიან. უკეთუ მოვლენ, – ამბობს ქრისტე, – მატყუარები და გეტყვიან, რომ ქრისტე მოვიდა, მაგრამ უდაბნოში, ან რომელიმე სახლში და მის საუნჯესა, ან ფარულ ადგილას იმალება, ნუ მოტყუვდებით, რამეთუ ქრისტეს მოსვლას მიმთითებელი არ სჭირდება, იგი ვითარცა ელვა, ყველასათვის ცხადი იქნება. რადგან მსგავსად ელვისა, რომელიც მეყსეულად გამოჩნდება, მაგრამ ყველასათვის დასანახია, ასევე მის მოსვლასაც, ვინც კი სამყაროში ცხოვრობს, ყველა იხილავს. მეორედ მოსვლა ისეთი აღარ იქნება, როგორიც პირველი იყო, როცა უფალი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, არამედ იგი, მეყსეულად გამოჩნდება. ისევე როგორც ორბნი და, ცხადია, ძერებიც, მძორთან მყისვე მოგროვდებიან, ასევე იქ, სადაც ქრისტე გამოჩნდება, გაემართება ყველა წმინდანი, ვინც კი მაღალთა შინა

ფრინავს და მსგავსად არწივთა, ღრუბლებით იქნება ატაცებული. გვამში აქ ქრისტე იგულისხმება, რომელიც ჩვენთვის დაეცა და მოკვდა, როგორც ამას სიმონი ამბობს: „ის დადგენილია, რათა დაეცეს“.

29. **ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულავნი დამოცჳვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ**. – ანტიქრისტეს მოსვლის შემდეგ, რომელიც სწრაფად განადგურდება, რასაც ნათელყოფს სიტყვა **მეყსეულად**, მზე დაბნელდება, ანუ ნათლით, რომელიც ქრისტეს მოსვლას თან მოჰყვება, ძლეული შეუმჩნეველი გახდება. ასევე მთვარეცა და ვარსკვლავებიც. და მართლაც რისთვისღა იქნება საჭირო გრძნობადი ნათელი, როცა ღამე აღარ იქნება და მზე სიმართლისა გამობრწყინდება? მაგრამ **ძალნი ცათანი** შეიძრნენ, ანუ განცვიფრდებიან და შეძრწუნდებიან, მხედველნი ქმნილების გარდასახვისა და იმისა, თუ ყველა ადამიანი, ვისაც კი ადამიდან მოყოლებული იმ დრომდე უცხოვრია, როგორ აგებს პასუხს.

30. **და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა**. – მაშინ, სამხილებლად იუდეველთა, ცათა შინა ჯვარიც გამოჩნდება, რომელიც მზეზე მეტად იბრწყინებს. უფალი ჯვრით, ვითარცა იუდეველთა წინააღმდეგ უდიდესი სამხილით, მოვა, მსგავსად ვინმე ქვით მოწყლულისა, რომელიც ამ ქვას აჩვენებს ხოლმე. **სასწაული** აქ ჯვარს ეწოდება, ვითარცა მეფური ძლევის მაჩვენებელსა და ნიშანს. **და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი** იუდეველთა, რომელნიც თავიანთ ურჩობას დაიტირებენ. აგრეთვე, ის ქრისტიანებიც, რომელნიც მიწიერზე ზრუნავდნენ, რადგან **ტომნი ქვეყანისანი** შეიძლება ეწოდოს ყველას, ვინც მიწიერი ზრახვებითაა გატაცებული. უფალი ჯვრით, ე. ი. დიდითა ძალითა და დიდებით მოდის.

31. **და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყჳრითა ჴმისა დიდისაჲთა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჲთ, ვიდრე კიდედმდე მათა**. – ანგელოზებს წმინდანთა და მკვდრეთით აღმდგართა შესაკრებად წარგზავნის, რათა ისინი მას, ღრუბლებით მომავალს, შეეგებონ. ამგვარად, პატივს მიაგებს მათ იმითაც, რომ ანგელოზთა მიერ მოუწოდებს. პავლე მოციქულის სიტყვები **აღვიტაცნეთ ღრუბლითა**(Iთეს.4,17) ამას არ ეწინააღმდეგება, რადგან ანგელოზთაგან შეკრებილთ შემდეგ ღრუბლები აღიტაცებენ. ხოლო საყვირი დიდ ელდაზე მიანიშნებს.

32-33. **ხოლო ლელჳსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჟამს რტონი მისნი დაჩჩჳან, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.** – რაჟამს ყოველივე ეს მოხდება, სამყაროს აღსასრულსა და ჩემს მოსვლამდე დიდი დრო აღარ დარჩებაო, ამბობს. **ზაფხულს** მომავალ საუკუნეს უწოდებს,

როცა მართალთ ქარიშხალთაგან მოსვენების ჟამი დაუდგებათ, ხოლო ცოდვილებს – ქარიშხალთა და შფოთისა. ვითარცა თქვენ, – ამბობს მაცხოვარი, – მხილველნი ლეღვის რტოებისა და ფურცლებისა, ზაფხულს ელოდებით, ასევე, იხილავთ რა იმ ნიშნებს, რომელთა შესახებაც გითხარით, სახელდობრ, შეცვლას მზისა და მთვარისა, გქონდეთ მოლოდინი ჩემი მოსვლისა.

34-35. **ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ**. – ნათესავი ესე აქ არა იმდროინდელ თაობას, არამედ მორწმუნეთა მოდგმას ეწოდება და იმ აზრს გამოხატავს, რომ, ვიდრემდე ყოველივე ეს არ მოხდება, არც მორწმუნეთა მოდგმა გარდაეგება. როცა შიმშილობასა და ჭირზე მოისმენთ, ნუ იფიქრებთ, რომ მორწმუნეთა მოდგმა ამ ბოროტებათაგან დაიღუპება, არა, იგი გადარჩება და მას ვერავითარი უბედურება ვერ დაამარცხებს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ **ესე ყოველი** მხოლოდ იერუსალიმის აღებას მიეკუთვნება და არა მეორედ მოსვლას და ასე განმარტავენ: **არა წარჴდეს ნათესავი ესე**, ანუ მოციქულთა შთამომავლობა, რაც იერუსალიმს თავს გარდახდება, ყოველივეს მოესწრება. ამტკიცებს რა ნათქვამს, უფალი ამბობს, უფრო ადვილია წარხდენა ცისა და მიწისა – ამ მტკიცე და ურყევი სტიქიებისა, ვიდრე არ გამართლება მისი ნათქვამიდან თუნდაც ერთი სიტყვისა.

36. **ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან**. – აქ უფალი მოწაფეებს ასწავლის, რომ არ ეძიონ ცოდნა იმისა, რაც კაცობრივ გონებას აღემატება. ამბობს რა **არცა ანგელოზთაო**, მოწაფეთა სწრაფვას, ახლავე შეიტყონ ის, რაც ანგელოზებმაც არ იციან, ზღვარს უდებს; ხოლო სიტყვებით **გარნა მამამან მხოლომან**, ლტოლვას ამის გაგებისაკენ მომავალშიც გზას უღობავს. რომ ეთქვა: მე კი ვიცი, მაგრამ არ მსურს თქვენ გითხრათო, დამწუხრდებოდნენ, რადგან იფიქრებდნენ, რომ არაფრად აგდებდათ. ხოლო როცა უთხრა, რომ არც ძემან[20] იცის, არამედ მხოლოდ მამამო, ამით გამოძიება დაუშალა. ისევე როგორც მამებს ხშირად უჭირავთ ის, რასაც ბავშვები ეძებენ, მაგრამ რადგან მიცემა არ უნდათ, მალავენ და ეუბნებიან, ჩვენ არ გვაქვს ის, რასაც თქვენ ეძებთო, და ბავშვებიც ტირილს წყვეტენ, ასევე უფალიც მოციქულთა დასაწყნარებლად, რომელთაც დღისა და საათის შეტყობა სურდათ, ამბობს, რომ არც მე ვიცი, არამედ მხოლოდ მამამო. სინამდვილეში კი იმაზე, რომ მან ის დღეც იცის და საათიც, მრავალი რამ მეტყველებს. ყოველივე, რაც მამას აქვს, აქვს ძესაც, უკეთუ მამამ იცის ის დღე, იცის იგი ძემაც. და ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ ასე ვიმჯელებთ: როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ მან, ვინც ყოველივე, რაც ამ დღეს წინ უძღვის, იცის, თვითონ დღის შესახებ არ იცოდეს? ვისაც წინკართან მიყავს, რა თქმა უნდა, კარიც იცის, მაგრამ იგი ისევ ჩვენივე სარგებლობისათვის არ

[20] ცნობილია ამგვარი რედაქციაც 36-ე მუხლისა: „არცა ანგელოზთა ცისათა, ა რ ც ა ძ ე მ ა ნ, გარნა მამამან მხოლომან“.

გაგვიღო. ცოდნა იმისა, როდის იქნება აღსასრული, ჩვენთვის მავნებელია, რადგანაც ეს უზრუნველებად გვაქცევდა, მაშინ, როცა არცოდნა, პირიქით, გვაფხიზლებს.

37-39. **ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. რამეთუ ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ შინა პირველ წყლით-რღუნისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობნად. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს მოსლვაჲცა ძისა კაცისაჲ.** – მათ, თავისი სიტყვების ჭეშმარიტებაში რომ დაერწმუნებინა, უფალმა მაგალითად ნოეს დროს მომხდარი მოვლენები მოუყვანა. ისევე როგორც მაშინ ბევრმა კიდობნის მშენებლობა, ვიდრე თავს უბედურება დაატყდებოდათ და ყოველივეს გაანადგურებდა, დასაცინად გაიხადა, ასევე ახლაც ზოგიერთები ქადაგებას სამყაროს აღსასრულის შესახებ დასცინიან. მაგრამ დაღუპვა მოულოდნელად მოვა, – ამბობს იგი და აჩვენებს, რომ ანტიქრისტეს მოსვლის ჟამს ადამიანებს ტკბობის წადილი შეიპყრობს, და ქორწინებისა და ფუფუნებისაკენ კიდევ უფრო მეტი თავაშვებულობით მიიდრიკებიან, როგორც ნოეს დროს გოლიათები.

40-41. **მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.** – **მაშინ**, ამბობს, ე. ი. როცა ყველანი უზრუნველნი იქნებიან და თავიანთ საქმეებს მიეცემიან, ერთი, ანუ მართალი უფალთან შესახვედრად ჰაერში აღიტაცება, ხოლო, მეორე, ცხადია, ცოდვილი, იქვე დარჩება. იმათგან, რომელნიც ფქვავენ, ანუ მონები არიან, ერთნი, ვითარცა ღირსეულნი, წარიყვანებიან, ხოლო მეორენი, როგორც უღირსნი, დარჩებიან. აქედან ვსწავლობთ, რომ არცა მონებსა და არცა ქალებს სათნოებისაკენ სწრაფვაში დაბრკოლება არ ექნებათ.

42-44. **იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა საჭუმილავსა მპარავი მოსლვად არს, იღჳძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა. ამისთჳს თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.** – უფალი გვიბრძანებს მღვიძარენი და მომზადებულნი ანუ სათნოების საქმეებით განმდიდრებულნი ვიყოთ, რათა რაჟამს უფალი მოვა, რაც მას ნებავს, ის მივუძღვნათ. ყურადღება მიაქციე, ის კი არ უთქვამს: მე არ ვიცი მპარავი რომელ დროს მოვაო, არამედ თქვენ არ იცით. მპარავს უფალი ყოველი ჩვენგანის აღსასრულსა და სიკვდილს უწოდებს, ამით მიანიშნებს, რომ მისი მოსვლა ღამით მოხდება, და მსგავსად მპარავისა, ისიც შეუმჩნევლად მოვა. ამიტომაც გვეუბნება, უზრუნველნი ნუ იქნებით, არამედ იფხიზლეთო. ის რომ ვიცოდეთ, რომელ დღეს აღვესრულებით, მაშინ ღმრთისთვის სათნოყოფას მხოლოდ იმ დღეს შევეცდებოდით, მაგრამ რაკიღა არ ვიცით, კეთილ საქმეთათვის მუდმივად ვფხიზლობთ.

45-47. **ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალ-**

მან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა. ნეტარ არს მონისა მის, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი. – საგონებელში ჩავარდნილი უფალი კითხულობს: **ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა,** რითაც გვაჩვენებს, რომ ამგვარნი იშვიათნი და ძნელად საპოვნელნი არიან. სახლის განმგებელს ორი თვისება მოეთხოვება: ერთგულება და გონიერება. უკეთუ ერთგულია, თვითონ არაფერს იპარავს, მაგრამ უგუნურია და ქონებას ამაოდ ანიავებს, ან: გონიერია, მაგრამ თვითონ იპარავს, სულ ერთია, ორსავე შემთხვევაში უსარგებლოა. ხოლო ის, ვინც ერთგულიცა და გონიერიც ერთდროულად გამოდგება, უმაღლეს ჯილდოს – ცათა სასუფეველზე ვამბობ – მიიღებს. ყოველივესი, რაც კი ღმერთს ეკუთვნის, მემკვიდრენი წმინდანები იქნებიან. სანდო და გონიერი მონა ის მოძღვარია, რომელიც ყოველს იმათგან, ვისაც ასწავლის, შესაბამის სულიერ საზრდელს დროულად აწვდის. მაგალითად პავლე, რომელიც ჯერ მგმობელი იყო ღმრთისა, ხოლო შემდეგ – ერთგული მსახური, ერთს რომ რძეს ასმევდა, მეორეს სიბრძნეს აუწყებდა. იგი გონიერიც იყო, რადგან მტრის ჩანაფიქრი იცოდა. ასეთი უნდა იყოს ყველა, ვინც კი ღმრთისაგან რამეს იღებს – ქონება იქნება ეს, ძალაუფლება თუ მმართველობა. მისთვის მიბარებულნი მან ერთგულებითაც უნდა მართოს და გონიერებითაც, რადგანაც მათთვის პასუხს აგებს.

48-51. **ხოლო უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თჳსსა: ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა და ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა, მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა უწყოდის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.** – თქვა რა როგორი პატივი მიეგება ერთგულ მონას, უფალი ახლა იმაზე საუბრობს, ბოროტი მონა როგორ დაისჯება. უკეთუ ვინმე, რომელსაც რომელიმე მადლით განმგებლობა აქვს მინდობილი, თავის მსახურებას არად ჩააგდებს და რადგანაც მყისვე არ დაისაჯა, იტყვის, იგვიანებსო უფალი ჩემი და ღმრთის მოთმინებას უზნეობის საბაბად აქცევს, სხვა მონებს ცემას დაუწყებს, ანუ ჩემი განმარტებით, აცდუნებს და მათ სინდისს ზიანს მიაყენებს, რადგანაც როცა ხელქვეითნი ხედავენ, რომ უფროსები მიცემულს ბოროტად იყენებენ, თვითონაც ცდუნდებიან და ზიანდებიან – ამგვარი მონა ორად გაიჭრება ანუ მადლისაგან განიძარცვება და მაშინ გამოჩნდება, როგორია იგი და სიბნელესა შინა გადაიგდება. ადრე კი იგი თავისი გარეგნობით სხვებს ატყუებდა. ასე რომ, მაშინ მღვდელმთავართაგან მრავალთ, რომელნიც წმინდანებად და ღირსეულებად ჩანან, მადლი წაერთმევათ, რადგანაც სხვანი იყვნენ და თავს სხვად აჩვენებდნენ.

თავი XXV

1-5. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი – სულელნი. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. – ქალწულთა სახით უფალი ჩვენ გვთავაზობს იგავს მოწყალებაზე, სახელდობრ, მართალია, ქალწულება დიდი საქმეა, მაგრან ვინც მას დაიმარხავს, არა მხოლოდ მასზე, არამედ სხვა საქმეებზეც უნდა იზრუნოს. იცოდე, უკეთუ მოწყალე არ იქნები, ქალწულიც რომ იყო, მრუშებთან ერთად ჩაგაგდებენ. სამართლიანად განიდევნება ისიც, ვინც, თუმცა ქალწულია, მაგრამ – უმოწყალო და შეუბრალებელი. მემრუშეს ძლიერი, ბუნებრივი ვნება ამარცხებს, შეუწყალებელს კი – ფული. რაც უფრო სუსტია მოწინააღმდეგე, მით უფრო ნაკლებ შეენდობა ვერცხლისმოყვარეობის ვნებისაგან ძლეულს. ვერცხლისმოყვარე უგუნურიცაა, რადგან დაძლია რა ბუნებრივი მგზნებარება, თვითონ შედარებით მცირე ვნების – ფულისაგან იქნა ძლეული. ძილი სიკვდილს ნიშნავს, ხოლო დაგვიანება სიძისა იმას, რომ მეორედ მოსვლა მალე არ იქნება.

6-13. ხოლო შუვა-ღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩვენ და თქუენ, არამედ უფროჲსლა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეჴშა კარი. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს. – ღაღადება შუაღამისას გაისმაო, ამბობს, რითაც გაჩვენებს, რომ უფალი მოულოდნელად მოვა, რადგან შუაღამისას ჩვენ ყველას ღრმა ძილით გვძინავს. იგი ხმამაღალი დაძახების(ღაღადების) შემდეგ მოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორედ მოსვლისას საყვირი ახმიანდება. ლამპარნი ჩვენი სულები არიან, ლამპარია თითოეული ჩვენგანის გონებაც, რომელიც მაშინ ინთება, როცა სათნოებათა ზეთი და მოწყალება აქვს. ქალწულნი უგუნურნი არიან უკვე იმიტომაც, რომ ზეთს მაშინ ეძიებენ, როცა ამ საქმისათვის უკვე დრო აღარ არის. გონიერნი ეუბნებიან: **ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ**, რაც ასე უნდა გავიგოთ: უკეთუ სათნოება ჩემი მახლობელისა გამართლებისათვის თვითონ მას ძლივს ყოფნის, ჩემთვის რაღა სარგებლობა ექნება? ყოველი ხომ საქმეთაგან თვისთა განმართლდება და არა მოყვასისა(მახლობელისა). უგუნურნი მიდიან მოვაჭრეებთან, ანუ გლახაკებთან,

რაც ნიშნავს შემდეგს: უგუნურნი ნანობენ, რომ მოწყალების საქმეებს არ აკეთებდნენ და მხოლოდ ახლა იგებენ, რომ ზეთი ჩვენ გლახაკთაგან უნდა მივიღოთ. ამიტომ, როცა ამბობს, მოვაჭრეებთან წავიდნენო ზეთის საყიდლად, ნიშნავს, რომ გონებით გლახაკებთან წავიდნენ და დაიწყეს ფიქრი იმაზე, რა კარგი საქმეა მოწყალება, მაგრამ კარები მათთვის უკვე დაიხურა, რადგან შემდგომად ამ ცხოვრებისა, დრო სინანულისა და მოღვაწეობისათვის უკვე აღარ გვექნება. იმიტომაც ეუბნება უფალი მათ: **არა გიცით თქუენ,** რომ კაცთმოყვარემ და მოწყალემ უმოწყალონი არ იცის. და მართლაც, მისგან გაუცხოებულნი და განსხვავებულნი როგორღა უნდა სცნობოდა? ასევე იცოდე, რომ ყოველ სულს ლამპარი და ნათელი ღმრთისაგან ჰქონდა და ყოველი მათგანი აღდგება შესახვედრად უფლისა, რადგანაც შეგებება და შეერთება ღმერთთან ყველას სურს. მაგრამ უკეთუ გონიერნი ღმრთისაგან ბოძებულ ლამპარსა და ნათელს კეთილი საქმეებით ზეთს თავადაც უმატებენ, უგუნურნი, რომელნიც ლამპრებს უზეთოდ ტოვებენ, რადგანაც არა აქვთ კეთილი საქმენი, რომელიც მათში ნათელს აანთებდა, მოიკვეთებიან. ამგვარად, უკეთუ კეთილ საქმეთათვის არ ვიღვწით, ჩვენში ნათელი ღმრთისა ჩაქრება.

14-19. **ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თჳსთა და მისცის მათ მონაგები თჳსი; და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და მეყსეულად წარვიდა. ხოლო წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუაჲღა ხუთი ტალანტი. აგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ. შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუაჲ ყო მონათა მათ თანა.** – ზემოთ თქვა: არა იცით თქვენ დღე, ოდეს მოვიდეს უფალი, ახლა კი, ნათქვამს ამ იგავს მოაყოლებს, გვაჩვენებს რა, რომ მისი მოსვლა უეცარი იქნება. რადგანაც უფალმა ვითარცა კაცმა, რომელიც გზას ადგება, თავის მონებს მოუწოდა და თითოეულს თავ-თავისი საქმე დაავალა. კაცი, რომელიც წავიდა, ჩვენთვის განკაცებულ ქრისტეს ეწოდება, ან იმიტომ, რომ ზეცასა შინა აღვიდა, ან კიდევ სულგრძელობისა გამო, რამეთუ ჩვენგან მოქმედებას მყისვე კი არ მოითხოვს, არამედ გვაცლის. მისი მონები ისინი არიან, რომელთაც სიტყვის მსახურება აქვთ მინდობილი: მღვდელმთავარნი, მღვდელნი, დიაკონნი და ყოველი, ვინც მადლი სულისა წმიდისა მიიღო, ზოგმა მეტად, ზოგმა მცირედ, თითოეულმა შესაბამისად თავისი ძალისა ანუ შესაბამისად საკუთარი რწმენისა და სიწმინდისა; რადგანაც ღმერთი ჩემთვის მის საჩუქარს იმ ჭურჭელში დებს, რომელსაც მე მას ვთავაზობ, უკეთუ ის მცირეა – საჩუქარსაც მცირეს ჩადებს, ხოლო თუ დიდი, საჩუქარიც დიდი იქნება. ის, ვინც ხუთი ტალანტი მიიღო, სამუშაოდ მყისვე წავიდა. ნახე მისი გულმოდგინება! უზრუნველობას კი არ მიეცა, არამედ მყისვე სამუშაოდ წავიდა, რათა

ის, რაც მიიღო, გაეორმაგებინა. ბოძებულ ნიჭს, სიტყვა იქნება ეს, სიმდიდრე, ძალაუფლება მეფეთა კარზე, თუ სხვა რამ გონებრივი ძალა ან ოსტატობა, ის აორმაგებს, ვისაც სარგებლობა არა მხოლოდ თავისი თავისთვის მოაქვს, არამედ სურს, რომ იგი სხვებსაც მოუტანოს, ხოლო ტალანტის მიწაში ჩამფვლელი ისაა, ვინც მხოლოდ საკუთარი და არა სხვების სარგებლობისთვის ზრუნავს და რომელიც დაისჯება. უკეთუ ნახავ კაცს ნიჭიერსა და ენერგიულს, რომელიც თავის ნიჭიერებას ბოროტად – საკუთარი მოგების, ცბიერებისა და მიწიერი საქმეებისათვის იყენებს, ჩათვალე, რომ მან ტალანტი მიწაში ანუ მიწიერ საქმეთა შინა ჩაფლა. დიდი ხნის შემდეგ მოვა მბოძებელი ვერცხლისა ანუ ღმრთეებრივი სიტყვისა, რამეთუ **სიტყუანი უფლისანი არიან ვეცხლ გამოჯურვებულ**(ფს.11,7), ან სხვა რომელიმე ნიჭისა, რომელიც ვინც მას ფლობს, განაბრწყინვებს და განადიდებს, და მიღებულისათვის ანგარიშს მოსთხოვს.

20-30. **და წარმოდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუაჲცა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხუაჲცა ხუთი ქანქარი შევსძინე. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. მოვიდა იგიცა, რომელსა ორი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუაჲ ორი ტალანტი შევსძინე. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ. და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ. ჯერ-იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ. მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. და ამას რაჲ იტყოდა, ჴმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! და უჴმარი ეგე მონაჲ განჴადეთ ბნელსა მას გარესკნელსა, მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.** – ორივე მონა, რომელთაც მიცემულის გასამრავლებლად იშრომეს, უფალმა ერთნაირად შეაქო; სიტყვები: **კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო!** – ორივე მათგანმა მოისმინა. კეთილში ჩვენ კაცთმოყვარესა და გულუხვს ვგულისხმობთ, რომელიც თავის სიკეთეს ახლობლებზეც ავრცელებს. მცირესა ზედა სანდონი მრავალთა ზედა დგინდებიან; რადგან თუმცაღა ჩვენ ნიჭთა მიღების ღირსნი აქვე ვხდებით, მაგრამ მომავალ სიკეთესთან შედარებით ისინი უმნიშვნელონი არიან. სიხარული უფლისა – ის განუწყვეტელი მხიარულებაა,

რომელიც ღმერთს აქვს; იგი ხარობს თვისთა საქმეთა ზედა, როგორც ამას დავითი ამბობს(ფს.103,31). საკუთარი საქმეებით ასევე ხარობენ წმინდანებიც, მაშინ, როცა ცოდვილნი თვისთა საქმეთა გამო მწუხარებენ და ნანობენ. წმინდანებს ისიც ახარებთ, ასე მდიდარი უფალი რომ ჰყავთ. ყურადღება მიაქციე, რომ ისიც, რომელმაც ხუთი ტალანტი მიიღო და ისიც, ვისაც ორი ტალანტი ებოძა, ერთნაირ სიკეთეთა ღირსნი შეიქნენ. ანუ ის, ვინც შედარებით მცირეს იღებს, მაგრამ ბოძებულ მადლს, რაც არ უნდა მცირე იყოს იგი, სიკეთისთვის გამოიყენებს, იმავე პატივს დაიმსახურებს, რასაც დიდის მიმღები და მოქმედი. უკეთუ მიცემულს სათანადოდ მოიხმარს, ყოველი მათგანი დიდად დაფასდება. კეთილგონიერი მონები ამგვარნი არიან, ხოლო უკეთური და ზარმაცი თავს სხვაგვარად, მისთვის შესაფერისად იმართლებს. უფალს იგი სასტიკს უწოდებს, ისევე როგორც მოძღვართაგან მრავალი ახლაც ამბობს, რომ სისასტიკეა იმ ადამიანებისაგან მოთხოვნა მორჩილებისა, რომელთათვის უფალს არც მორჩილება ჩაუნერგავს და არც დამჯერობა ჩაუთესავს. სწორედ ამაზე მიანიშნებს სიტყვები: **მოიმკი, სადა არა დასთესი**, ანუ დამჯერობას იმისგან მოითხოვ, ვისშიც იგი არ ჩაგითესავს. უწოდებს რა მონა ბატონს სასტიკს, თავის თავს განსჯის, რადგან უკეთუ იგი სასტიკი იყო, მაშინ მსგავსად იმისა, ვისაც სასტიკი და უმოწყალო ბატონი ჰყავს, მცდელობა კიდევ უფრო მეტად ჰმართებდა, რადგან თუკი იგი სხვისას ითხოვდა, თავისას მით უმეტეს მოითხოვდა. ამგვარად, შენც მოვალე იყავ, გაგემრავლებინა ის, რაც მიიღე და აღგეზარდა მოწაფენი, რომელთაგანაც უფალი, რაც ევალებოდათ, იმას მოითხოვდა. რამდენადაც ისინი სიტყვას სხვებს ან გადასცემენ, ან არა, იგი მოწაფეებს მოვაჭრეებს უწოდებს და მოწაფეთაგან სარგებელს(აღნადგინებს) ანუ საქმეთა ჩვენებას მოითხოვს, რამეთუ მოწაფე, რომელმაც მასწავლებლისაგან სწავლება შეიძინა, თვითონაც აქვს და სხვებსაც სრულად გადასცემს, მას სარგებელსაც, ე. ი. კეთილ საქმეებსაც უმატებს. ბოროტსა და ზარმაც მონას კი მადლი წაერთმევა, ვინც იმისთვის მიიღო რაიმე მადლი, რომ სხვებისთვის სარგებლობა მოეტანა, მაგრამ ამ მიზნით არ გამოიყენა, მას დაკარგავს. ხოლო ის, ვინც დიდ გულმოდგინებას გამოიჩენს, ნიჭსაც დიდს მიიღებს, რადგან გულმოდგინების მქონეს გარდამეტებულად მიეცემა დიდი მადლი, მას კი, ვისაც გულმოდგინება აკლია, ისიც წაერთმევა, რომელიც თითქოსდა ჰქონდა. ასე რომ, ვინც გულმოდგინედ არ ირჯება, მადლი სინამდვილეში კი არ ექნება, არამედ მხოლოდ მოჩვენებითად, რადგან მან უზრუნველობით წარწყმიდა იგი.

31-33. **ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა; და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან, და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი – მარცხენით.** – რადგანაც პირველ მოსვლას უფლისა თან უპატიობა და შეურაცხყოფა ახლდა, მეორედ მოსვლის

შესახებ ამბობს: **რაჟამს მოვიდეს დიდებითა თჳსითა**, რამდენადაც მეორედ იგი დიდებითა და მსახურ ანგელოზთა თანხლებით მოვა. უწინარესად უფალი წმინდანებს ცოდვილებისაგან გამოყოფს; მათ ჯერ მღელვარებისაგან იხსნის, დაიყენებს რა მარჯვნივ, და შემდეგ საუბარს დაუწყებს. წმინდანებს ცხვრებს უწოდებს მათი უწყინარობისა და კიდევ იმის გამო, რომ ნაყოფს იძლევიან და ვითარცა ცხოვარნი, ჩვენთვის სასარგებლონი არიან, გვაძლევენ რა მატყლს – ღმრთეებრივსა და სულიერ საფარველს და, აგრეთვე, რძესაც, ანუ სულიერ საზრდელს; ხოლო ცოდვილებს თხებს უწოდებს, რადგანაც ისინი უფსკრულის პირას დადიან, უწესონი და უნაყოფონი, ვითარცა თხები.

34-40. **მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ. რამეთუ მშიოდა, და მეცით ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.** – ვიდრე გაასამართლებდეს, უფალი არც პატივს მიაგებს ვინმეს და არც სჯის, რადგანაც კაცთმოყვარეა და ამით ჩვენც გვასწავლის, რომ ვიდრე არ გამოვიძიებთ, არ განვსაჯოთ. ამგვარად, სამსჯავროს შემდეგ, დასჯილებს თავის გამართლების საშუალება აღარ ექნებათ. კურთხეულს იგი წმინდანებს უწოდებს, რადგანაც მამისაგან არიან შეწყნარებულნი. უფალი მათ სასუფევლის მემკვიდრეებადაც სახელდებს, რათა აჩვენოს, რომ ღმერთი, ვითარცა შვილებს, მათ თავისი დიდების მოზიარეებად ხდის. არ უთქვამს რომ **მიიღეთო**, არამედ **დაიმკვიდრეთო**, როგორც ერთგვარად მამისეული ქონება. უმცროს ძმებს ან თავის მოწაფეებს უწოდებს, ან საერთოდ ყველა გლახაკს, რადგანაც ყოველი მათგანი მისი ძმაა უკვე იმიტომ, რომ თავად ქრისტემ ცხოვრება სიღატაკეში გაატარა. ყურადღება მიაქციე ღმრთის სამართლიანობას, როგორ აქებს იგი წმინდანებს! ნახე მათი კეთილგონიერებაც, რომელნიც, მართალია, თავმდაბლობისა გამო უფლის გამოზრდას უარყოფენ, მაგრამ თვითონ უფალი მიიჩნევს, რომ პირადად მან მიიღო ის, რაც მათ გლახაკებს გაუკეთეს.

41-46. **მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს, რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასუთ მე; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა,**

ანუ შიშულოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა. – მარცხნივ მდგომარეთ უფალი ცეცხლსა შინა გზავნის, რომელიც ეშმაკმა მოამზადა. რადგანაც დემონები უწყალონი და ჩვენს მიმართ არამეგობრულად და მტრულად არიან განწყობილნი, შესაბამისად, იმავე სასჯელს დაიმსახურებენ ისინიც, რომელთაც იგივე თვისებები აქვთ და თავიანთი საქმეების გამო დაიწყევლნენ. ყურადღება მიაქციე, რომ ღმერთს ჩვენთვის არც ცეცხლი მოუმზადებია და არც სასჯელი შეუქმნია, არამედ ეშმაკისათვის, მაგრამ ჩემს თავს მე თვითონ ვაქცევ ღირსად სასჯელისა. ძრწოდე, კაცო, მოიაზრებ რა აქედან, რომ ისინი, რომელნიც ისჯებიან, არც მემრუშენი არიან, არც მტაცებელნი და არც სხვა რომელიმე ბოროტმოქმედების ჩამდენნი, არამედ ადამიანები, რომელთაც კეთილი საქმენი არ უკეთებიათ. მაგრამ, თუ კარგად დააკვირდები, გამოდგება, რომ მტაცებელია ბევრის მქონეც, რომელსაც მოწყალება არა აქვს, თუმცა მოყვასს ცხადად არ შეურაცხყოფს. ყოველივეს, რაც მას იმაზე მეტი აქვს, ვიდრე სჭირდება, იმას სტაცებს, ვისაც ის სჭირდება, მაგრამ მისგან ვერ იღებს; რადგან მას ეს მომეტებული საერთო მოხმარებისთვის რომ გადაეცა, ისინი გასაჭირში აღარ ჩავარდებოდნენ. ახლა კი, რადგანაც ჭარბი ქონება ჩაკეტა და დაისაკუთრა, სხვებს უჭირთ. ასე რომ, კაცი, რომელიც მოწყალებას არ იძლევა, მტაცებელია და იმდენ ადამიანს შეურაცხყოფს, რამდენისთვისაც ქველმოქმედების გაწევა შეეძლო, მაგრამ არ გაუწია. ამიტომაც ისინი მარადიული ტანჯვისათვის წარიგზავნებიან, ხოლო მართალნი – საუკუნო ცხონებისათვის. ამგვარად, თუ წმინდანებს განუწყვეტელი სიხარული ექნებათ, ცოდვილნი ასევე განუწყვეტელ ტანჯვაში იქნებიან. ფუჭად მეტყველებს ორიგენე, როცა ამბობს, რომ სასჯელი დასრულდება, ცოდვილები მარადიულად არ ეწამებიან და დადგება დრო, როცა ტანჯვით განწმენდილები მართალთა სამყოფელში გადაინაცვლებენ. მაგრამ ეს ცდომილება ცხადადაა მხილებული აქ, როცა უფალი ამბობს, რომ სასჯელი საუკუნო იქნება, ანუ არასოდეს დასრულდება და მართლებს ცხვრებს ადარებს, ხოლო ცოდვილებს – თხებს. ისევე, როგორც თხა ვერასოდეს იქცევა ცხვრად, ასევე ვერც ცოდვილი განიწმინდება მომავალ საუკუნეში და მართალი ვერ გახდება. გარესკნელის ბნელი ღმრთეებრივ ნათელსაა მოშორებული და ყველაზე მძიმე სატანჯველს სწორედ ამიტომაც ქმნის. შეიძლება ამ მიზეზის დასახელებაც: სიმართლის მზეს მოკლებული ცოდვილი ბნელსა შინა უკვე აქ იმყოფება, მაგრამ რადგანაც მისი მოქცევის, იმედი კიდევ არსებობს, ამიტომაც ეს ბნელი არაა ბნელი გარესკნელისა. შემდგომად სიკვდილისა კი, საქმენი მისნი გამოიძიება და გარესკნელის ბნელი მოიცავს, იმედი მოქცევისა აღარ იარსებებს და ღმრთეებრივ სიკეთეთ სრულიად მოაკლდება. ვიდრე აქაა, რაღაც ზომით მაინც ტკბება ღმრთის სიკეთით – მე ვგულისხმობ გრძნობად

სიკეთეებს, და მაინც ღმრთის მონაა, რადგანაც ღმრთის სახლში ცხოვრობს, მის ქმნილებათა შორის, მისგან გამოკვებილი და დაცული. მაშინ კი, ღმრთისაგან სრულიად მოწყვეტილს, არცერთ მის სიკეთეში წილი აღარ ექნება. სწორედ ამ ბნელს გარესკნელი ეწოდება აქაურ ბნელთან შედარებით, რომელიც, რამდენადაც ცოდვილი ამქვეყნად სრულიად მოკვეთილი ჯერ კიდევ არ არის, არც გარესკნელია. ასე რომ, გაექეცი უმოწყალობას და ქმენ მოწყალება, როგორც გრძნობითი, ისე უმეტესად სულიერი, და ასაზრდოე ქრისტე, მოშიებული ჩვენი ხსნისათვის. უკეთუ შენ იმას აჭმევ და ასმევ, ვისაც მოძღვრება შია და სწყურია, ქრისტეს აჭმევ და ასმევ, რადგან ქრისტიანის რწმენა ქრისტეა, ხოლო რწმენა მოძღვრებით საზრდოობს და იზრდება. ასევე, უკეთუ ნახავ ვინმეს, ზეციური სამშობლოსაგან გაუცხოებულს, თან წაიყვანე, ანუ ზეცაში მასთან ერთად შენც ადი და ისიც შეიყვანე, რათა სხვათათვის მქადაგებელი თვითონ არ დარჩე უღირსად; უკეთუ ვინმემ უხრწნელი სამოსელი განიძარცვა, რომელიც ნათლისღებით ებოძა და გაშიშვლდა, შემოსე და **უძლური იგი სარწმუნოებითა**, როგორც პავლე მოციქული ამბობს, **შეიწყნარე**(რომ.14,1). საპყრობილეში – ამ ბნელ სხეულსა შინა, ჩამწყვდეული ინახულე და ვითარცა რაღაც ნათელი, შეგონება მიუძღვენი. ყველა ეს სახე სიყვარულისა ხორციელად, უმეტესად კი, სულიერად აღასრულე; რადგანაც ჩვენ ორი ნაწილისაგან – სულისა და სხეულისაგან შევდგებით, საქმეთა აღსრულებაც ორგვარადაა შესაძლებელი.

თავი XXVI

1-2. **და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იყოს, და ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?** – მას შემდეგ, რაც სასუფეველი და სატანჯველი მოიხსენა, დროულად საუბრობს საკუთარ ტანჯვაზეც, თითქოს ამბობს: „ჯვარზე გამკვრელნი ჩემნი ცეცხლს დაიმსახურებენ“.

3-5. **მაშინ შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფა მღდელთ-მოძღუარისასა და ზრახვა-ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუვით შეიპყრან და მოკლან. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რაჲთა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის**. – მიუხედავად იმისა, რომ მღვდელმთავრის შეცვლა, ვიდრე იგი არ გარდაიცვლებოდა, სჯულის ბრძანებით არ შეიძლებოდა, სჯულის საწინააღმდეგოდ, იუდეველები მათ ყოველ წელს ცვლიდნენ. იმ წლის მღვდელმთავართან ქრისტეს მოკვლის შესახებ სათათბიროდ ისინი მივიდნენ, რომელთაც მკვლელთა დასჯა ევალებოდათ. მღვდელმოძღვართ მახარებელი იმათ უწოდებს, რომელთაც წლის მსახურება უკვე აღსრულებული ჰქონდათ. დანაშაულებრივი მკვლელობის განმზრახველთ ღმრთის კი არ ეშინიათ, არამედ ხალხისა; ეშინოდათ იმისა, რომ ქრისტეს დღესასწაულზე მოკვლის გამო ხალხი შურის საძიებლად არ აღმდგარიყო; ამასთან, იმის შიშიც ჰქონდათ, რომ ჩადენილ სამარცხვინო მკვლელობას ხალხი მსხვერპლშეწირვისაგან არ

დაეყენებინა და მისგან მიღებული მოგება არ დაკარგვოდათ. რადგან მისი ხსენების გაქრობა სურდათ, ეშინოდათ, აგრეთვე იმისაც, რომ უკეთუ დღესასწაულზე მოკლავდნენ, ეს სიკვდილი საყოველთაოდ ცნობილი და დიდებული არ გამხდარიყო; ასე რომ, დღესასწაულის წინ კი ითათბირეს, მაგრამ მოკვლა დღესასწაულის შემდეგ გადაწყვიტეს. აჩვენა რა, რომ არა მაშინ ევნება, როცა ისინი მოისურვებენ, არამედ მაშინ, რაჟამს თვითონ ინებებს, უფალმა ნება მისცა მათ პასექის წინა დღეს შეეპყროთ, რათა, რაჟამს ჩვეულებრივ პასექის წინა სახეს იდღესასწაულებდნენ, ჭეშმარიტი პასექიც მაშინ აღსრულებულიყო. საჭიროა, აგრეთვე ყურადღების მიქცევა იმაზეც, ამ მკვლელობით ჩირქი როგორ მოიცხეს. თუმცა თითქოს მისი მოკვლა დღესასწაულზე არ უნდოდათ, მაგრამ როგორც კი გამცემი იპოვეს, მაშინვე მოკლეს და საკუთარი სურვილი რომ აეხდინათ, ხალხიც არად ჩააგდეს.

6-7. ხოლო იესუ იყო რაჲ ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვნისასა, მოუვიდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლისა მრავალ-სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინაჯით მჯდომარესა. – ზოგიერთები ამბობენ, რომ უფალს ზეთი სამმა ქალმა სცხო, რომელთაც ოთხივე მახარებელი იხსენიებს. სხვები კი ფიქრობენ, რომ ისინი ორნი იყვნენ; ერთი მათგანი, რომელიც იოვანესთანაა მოხსენიებული, მარიამია, დაჲ ლაზარესი, ხოლო მეორე, ვისაც მათე ახსენებს, ისაა, რომელიც ლუკასა და მარკოზთანაც გვხვდება. ზოგიერთის თქმით, ეს სიმონ კეთროვანი ლაზარეს მამაა, რომელმაც უფალს, ვინც იგი კეთრისაგან განწმინდა, უმასპინძლა. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ, როცა უფალმა მოწაფეებს უთხრა: წადით ამა და ამ კაცთან და „მან გიჩუენოს თქუენ ქორი დაგებული დიდი“[21], ისინი მასთან წარგზავნა. როგორც ამბობენ, მან მიიღო იგი და უფალმა პასექი მასთან აღასრულა. როცა ქალმა განწმენდილი კეთროვანი იხილა, დარწმუნდა, რომ შენდობას ისიც მიიღებდა და სულიერი კეთრისაგან განიწმინდებოდა. მტკიცედ დაიჯერა რა ეს, ძვირფასი მირონი იყიდა და უფალს თავზე დაუნანებლად დაასხა, რითაც პატივი სხეულის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მიაგო. ასევე შენც, უკეთუ სულიერი კეთრი, კეთრი ფარისევლობისა გჭირს, გაბრმავებს და ღმერთს გაშორებს, მიიღე სახლსა შინა შენსა იესო და მას მირონი სათნოებისა სცხე. შენც ხომ შეგიძლია, იესოს, რომელიც კეთრისაგან გწმენდს, მირონი მოუმზადო და მას თავზე დაასხა. და რას წარმოადგენს ქრისტეს თავი? ეს მისი ღმრთეებაა, რომელსაც სათნოებათა კეთილსურნელება ეძღვნება, როგორც ნათქვამია: **წარემართენ ლოცვაჲ ჩემი ვითარცა საკუმეველი შენ წინაშე, უფალო**(ფს.140,20). ქრისტეს ღმრთეებას კეთილსურნელება სათნოებისაგან შედგენილი მირონისა შენც მიუძღვენი და აღიარე იგი არა მხოლოდ ჩვეულებრივ კაცად, არამედ ღმერთადაც და მაშინ სცხებ მის თავს ღმრთეების სურნელოვან მირონს ანუ იღმრთისმეტყველებ.

8-11. ხოლო იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო

[21] მომზადებული დარბაზი.

წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის? რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახაკთა. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ. – მოწაფეებმა, რომელთაც მრავალი რამ სმენოდათ მოწყალების შესახებ და სიტყვას მასზე დიდადაც აფასებდნენ, ქალს უსაყვედურეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ ღმერთი საკუთარ პატივზე მეტად წყალობას ეძიებს. მაგრამ მან მოწაფენი იმის გამო, რომ ქალს შეუფერებელ დროს უსაყვედურეს, დატუქსა. საერთოდაც, ახლადმოქცეულთაგან, და მით უფრო სუსტი ქალისაგან, ბევრი არ უნდა მოვითხოვოთ, არამედ ისინი თავიანთი ზომიერი რწმენითაც უნდა შევიწყნაროთ. რაჟამს ვინმე ღმერთს ძღვენს უძღვნის, უკან ნუ კი მიაქცევ მას, და ნურც მის გულმოდგინებას შეეხები იმით, რომ ამ ძღვენის გლახაკებისათვის დასარიგებლად წარგზავნი, არამედ მიეცი საშუალება ძღვენი შეწიროს. ხოლო უკეთუ ვინმე რჩევას გკითხავს იმის თაობაზე, შესაწირავი გლახაკებს დაურიგოს, თუ ღმერთს შესწიროს, მაშინ ურჩიე, რომ გლახაკებს დაურიგოს, მაგრამ უკეთუ ძღვენი ღმრთისათვის უკვე მიტანილი აქვს, მისი უკან გაბრუნება უსარგებლოა. ამასთან, პატივი, რომელიც უშუალოდ ღმერთს მიეგება, საერთოდ ყოველივეს, და მათ შორის მოწყალებასაც, უნდა ვარჩიოთ. რადგანაც ქრისტე კაცთმოყვარეობისა გამო მოწყალებას საღმრთო საქმედ თვლის, ნუ იფიქრებ, რომ ღმერთი უნდა უგულებელყო და მხოლოდ მოწყალებაზე უნდა იზრუნო, თორემ ისე გამოვა, რომ, უკეთუ ნაძარცვისაგან მოწყალებას გაიღებ, მკრეხელობაც კი შეგიძლია ჩაიდინო. მაგრამ ეს არ შეიძლება. ხოლო იმის შესახებ, რომ გლახაკთათვის გაღებული მოწყალება და თავად ქრისტესათვის პატივის მიგება და მისი მსახურება ერთი და იგივე არაა, მოუსმინე: **გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.** ამგვარად, ყურადღება მიაქციე, რომ სხვა არის ქრისტეს მსახურება და სხვა გლახაკთა შეწყალება, თუმცა ქრისტე, კაცთმოყვარეობისა გამო, რასაც გლახაკებს უკეთებენ, მისთვის გაკეთებულად თვლის.

12-13. **რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჴორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო. ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელიცა ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა.** – უფალი გვასწავლის, რომ ქალი ასე ღმრთის ნებით მოიქცა, წინასწარ განასახიერა რა მისი სიკვდილი და დაფლვა მისი სხეულისა, რადგან უფალი მისთვის მირონის ცხების ნებას არ მისცემდა, ამით საიდუმლოს რამდენადმე გაცხადება რომ არ ნდომებოდა. ვითარცა ღმერთმა, მან მომავალი იწინასწარმეტყველა, სახელდობრ, ის, რომ საქციელი, რომელიც ამ ქალმა ჩაიდინა, მის საქებრად ყველას აალაპარაკებდა. ნახე კაცთმოყვარეობა ღმრთისა, რა დიდი ჯილდო მიაგო დედაკაცს! უფალმა ისე მოაწყო, რომ ვიდრე სახარება იარსებებს, მასაც ყველ-

გან მოიხსენებენ. მაგრამ მირონი ქრისტეს დაფლვაზე როგორღა მიუთითებს? იუდეველებს წესად ჰქონდათ სხეულის მირონის ცხებით დაკრძალვა, როგორც ამას ეგვიპტელებიც აკეთებდნენ, რათა იგი განუხრწნელად და ცუდი სუნის გარეშე შენახულიყო. ამჯერად, – ამბობს იგი, – ამ ქალმა მირონის დასხმით აჩვენა, რომ სხეული ჩემი საფლავად დაიდება. ყოველივე ამას უფალი იუდას შესარცხვენად და შესაგონებლად ამბობს, რომლისგანაც იგი დაკრძალვისათვის გაიცემოდა. გადატანითი მნიშვნელობით კი ასე მოიაზრე: კეთროვანი წარმართი ხალხებია, ცოდვილი დედაკაცი – ეკლესია წარმართთა კრებულისაგან, რომელმაც მირონი ანუ რწმენა ქრისტეს თავს, ან რაც იგივეა, მის ღმრთეებას დაასხა, რადგან ყოველი, რომელსაც სწამს, რომ ქრისტე ღმერთია, ქრისტეს თავსა ზედა მირონს ასხამს. იუდა კი, ვინც, როგორც იოვანე ამბობს(XII,4-5), ამ ქალის გამო დრტვინავდა, იუდეველებს განასახიერებს, რომელნიც ქრისტეს ეკლესიის გამო აქამდე დრტვინავენ.

14-16. **მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა რაჲთა მისცეს იგი მათ.** – როცა უცხო ქალმა, თანაც მეძავმა უფალს ასე დიდი პატივი მიაგო, მოწაფე სწორედ მაშინ წავიდა, რათა გაეცა იგი. ამაოდ როდია ნათქვამი: **მაშინ წავიდა**, არამედ იგი იუდას ურცხვობას წარმოაჩენს. ისკარიოტელი იმიტომ დაუმატა, რომ ამით დაეზუსტებინა, რომელ იუდაზე იყო ლაპარაკი, რადგან სხვა იუდაც არსებობდა, იუდა ლებბაიოსი. ეს გამცემი იუდა წარმოშობით ერთ-ერთი სოფლიდან იყო, რომელსაც ისკარა ეწოდებოდა. **მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი**, ანუ შეთანხმდნენ და მიცემა დაადგინეს და არა მაშინვე **მიუწონეს**, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. იუდა ხელსაყრელ ჟამს ეძიებდა, რათა მაშინ გაეცა, როცა მარტო იქნებოდა. რადგანაც ხალხის ეშინოდათ, იუდა მოისყიდეს, რომ მას ეცნობებინა, როდის დარჩებოდა იესო მარტო.

17-19. **ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოუჴდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქაჲ ესე? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად კაცისა ვისამე და არქუთ მას: მოძღვარი ეგრეთ იტყჳს: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო პასქაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით. და ყვეს ეგრეთ მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.** – ვფიქრობ, რომ უცომოების პირველ დღეს მახარებელი უცომოების წინა დღეს უწოდებს. წესით პასექი მათ პარასკევ საღამოს უნდა ეჭამათ; ამიტომაც ეწოდებოდა მას დღე უცომოებისა. მაგრამ უფალი მოწაფეებს ხუთშაბათს გზავნის, რომელსაც მახარებელი უცომოების პირველ დღეს უწოდებს, რადგანაც იგი წინ უსწრებს პარასკევს, რომლის საღამოსაც ჩვეულებრივ ჭამდნენ უცომოებს. მოწაფეები მიდიან იესოსთან და ეკითხებიან: **სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქაჲ ესე?** რადგან არც მათ და არც თავად ქრისტეს საკუთარი სახლი

არ ჰქონდათ. იგი მოწაფეებს აგზავნის კაცთან, ვისაც არც თვითონ იცნობდნენ და არც იგი იცნობდა მათ(ასე მოიქცა იგი სახედართან დაკავშირებითაც), რითაც აჩვენა, რომ იმ კაცს შეეძლო ერწმუნა მისთვის უცნობი ადამიანის უბრალო სიტყვებისა და უფალი მიელო. პასექის აღსრულება კი იმიტომ ინება, რომ არ ეფიქრათ, სჯულის წინააღმდეგი არისო. **ჟამი ჩემი** თავის დაკვლას უწოდა, რათა ჩვენ გვცოდნოდა, რომ მან ეს იცოდა და მისი ნების გარეშე არ დაკლულა. სიტყვებს: **შენ თანა ვყო პასქაჲ ესე**, ანუ შენს სახლში, დაურთო სიტყვები: **მოწაფითურთ ჩემით**, რათა საჭმელი საკმარისად მოემზადებინათ, რადგან პასექის ჭამა მრავალს ჰქონდა განზრახული.

20-22. **და ვითარცა შემწუხრდა, ინაჯით იჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა, და ვითარცა ჭამდეს იგინი, ჰრქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე. და იგინი შეწუხნეს ფრიად, და იწყეს კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად: ნუუკუე მე ვარ, უფალო?** – ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზოგიერთები ფიქრობენ, რომ იმ წელს უფალს პასექი არ უჭამია, რადგან, როგორც ამბობენ, კრავს ჩვეულებრივ, ფეხზე მდგომნი ჭამდნენ, ქრისტე კი **ინაჯით** იჯდა და მაშასადამე, არც პასექი უჭამია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ მან პასექი ჯერ ფეხზე მდგომმა შეჭამა, ხოლო შემდეგ ინაჯით მჯდარმა გადმოსცა თავისი საიდუმლო, რადგან ჯერ პასექის წინა სახე აღასრულა, ხოლო შემდეგ – ჭეშმარიტი პასექი. იუდას საქციელზე წინასწარ იმიტომ თქვა, რომ გამოესწორებინა და შეერცხვინა, თუ სხვა რამით არა, საერთო ტრაპეზით მაინც, და მიანიშნა, რომ მას სურდა გაცემა ღმრთისა, რომელმაც მისი გულის ზრახვანი იცოდა. მოწაფენი შეშფოთდნენ; მართალია, სინდისი სუფთა ჰქონდათ, მაგრამ საკუთარ თავზე მეტად ქრისტეს ენდობოდნენ, რადგან უფალი უკეთ იცნობდა მათ გულებს, ვიდრე თვითონ ისინი.

23-25. **ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე. ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი. მიუგო იუდა, რომელმანცა მისცა იგი, და თქუა: ნუუკუე მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ**. – რადგანაც ფარულად მხილებული იუდა გონს ვერ მოეგო, ახლა პირდაპირ ამხელს. ამიტომაც ამბობს რა: **რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი**, მის შესახებ აცხადებს, რათა ამით მაინც გამოასწოროს. მაგრამ იუდამ, რადგანაც ურცხვი იყო, ლუკმა მაინც იმავე ჯამში ან პინაკში ამოაწო. შემდეგ ამბობს: **ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს**, ანუ სამყაროს დასახსნელად ქრისტეს ვნება კიდევაც რომ წინასწარ განსაზღვრული ყოფილიყო, იუდასათვის პატივის მიგება არა თუ სრულიადაც არ გვმართებს, არამედ, პირიქით, ვაი მას, რადგან იგი ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ღმრთის განზრახვას შეწეოდა, არამედ საკუთარი ბოროტებისათვის სამსახურის გასაწევად. ამასთან, უკეთუ ყურადღებით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ქრისტეს ჯვარზე გაკვრა

წინასწარ განზრახული არ ჰქონია. ამას იგი მაშინ გვაჩვენებს, როცა სასმელის აცილებისათვის ლოცულობს. მაგრამ, რადგანაც მან **უწინარეს ყოველთა საუკუნეთა** იცოდა, რომ ადამიანთა ხსნა, მტრის ბოროტებისა გამო, სხვა გზით შეუძლებელი იყო, იმის გაკეთება ინება, რისი გაკეთებაც თავდაპირველად არ უნდოდა. როცა ამბობს, **უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი,** ამით ცოდვილ არსებობაზე უმყოფობის უპირატესობას წარმოაჩენს. ყურადღება მიაქციე სიტყვას წარვალს, რომელიც გვაჩვენებს, რომ ქრისტეს მოკვდინება გადასვლა უფრო იქნებოდა, ვიდრე სიკვდილი.

26. **ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი.** – სიტყვები: **ვითარცა ჭამდეს** მახარებელმა იუდას არაკაცობის წარმოსაჩენად დაურთო, რადგან, მხეციც რომ ყოფილიყო, საერთო ტრაპეზზე საჭმლის მიღებას უფრო ლმობიერი უნდა გაეხადა; იგი კი, ადრეც მხილებული, არა თუ გონს მოვიდა, არამედ მაცხოვრის ხორციც ისე იგემა, რომ არ მოუნანიებია. ზოგიერთების თქმით, ქრისტემ საიდუმლო სხვა მოწაფეებს მაშინ გადასცა, როცა იუდა გავიდა. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ და უკეთურნი საიდუმლოებებს განვარიდოთ. განიზრახავს რა პურის გატეხას, უფალი ჰმადლობს, ჯერ ერთი იმისათვის, რომ პურის მოღებისას მადლობის თქმა ჩვენც გვასწავლოს და მეორეც, რათა გვაჩვენოს, რომ მისი სხეულის გადატეხას ანუ მოკვდინებას მადლობით იღებს, და ამის, ვითარც რაღაცა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარის გამო, არ მრისხანებს, და კიდევ იმიტომ, რომ მოწამეობა ჩვენც მადლობით მივიღოთ. როცა ამბობს: **ესე არს ხორცი ჩემი**, გვაჩვენებს, რომ პური, განწმენდილი საკურთხეველზე, თვითონ ქრისტეს სხეულია და არა სახე მისი, რადგან არ უთქვამს; ეს არის სახე, არამედ: ესე არს ხორცი ჩემი. პური გამოუთქმელი მოქმედებით გარდაიქმნება, თუმცა ჩვენთვის ისევ პურად ჩანს. რადგანაც ჩვენ, ჩვენი უძლურებისა გამო, უმი და თანაც ადამიანის ხორცის ჭამას ვერ შევიწყნარებთ, ამიტომაც გვეჩვენება პურად, თუმცა სინამდვილეში ხორციაა.

27-28. **და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა.** – როგორც ძველ აღთქმაში იყო დაკვლა და სისხლი, ასევეა ახალ აღთქმაშიც – სისხლი და დაკვლა. არა ყველასათვის, არამედ **მრავალთათვის დათხეულიო**, – თქვა. ყველანი ხომ მრავალნი არიან. რატომ ზემოთაც არ თქვა; მიიღეთ და ჭამეთ ყველამო, როგორც აქ ამბობს: **სუთ ამისგანი ყოველთა**? – ერთნი ამბობენ, რომ მან ეს იუდას გამო თქვა, რადგან, როცა იუდამ პური აიღო, კი არ შეჭამა, არამედ დამალა, რათა იუდეველთათვის ეჩვენებინა, რომ იესო თავის სხეულს პურს უწოდებდა; სასმელი კი, თუმცა არ უნდოდა, მაინც დალია, რადგან მის დამალვას ვერ შეძლებდა. ამიტომაც ეუბნებაო მათ უფალი: **სუთ ყოველთა**. ხოლო მეორენი ამას გადატან-

ითი მნიშვნელობით განმარტავენ, სახელდობრ, რამდენადაც მაგარი საჭმლის მიღება არა ყველას, არამედ მხოლოდ ზრდასრულებს შეუძლიათ, შესმა კი ყველას, ამიტომაც თქვა აქ: **სუთ ყოველთა**, რადგან უმარტივესი დოგმატების მიღება ყველას ძალუძს.

29. **ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: არღარა ვსუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამისა ვენაჯისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა**. – იგემა რა თასიდან, ამიერიდან უარს ამბობს ხორციელ(ამქვეყნიურ) სასმელზე და სასუფეველში ანუ აღდგომისას რაღაც ახლის გემებაზე(გემოჲსხილვაზე) იუწყება. შემდგომად აღდგომისა, მართლაც, ჭამდა და სვამდა, ოღონდ რაღაც ახალი სახით, არა იმიტომ, რომ ხორციელი საკვების გემება სჭირდებოდა, არამედ რათა საკუთარი სხეულის ჭეშმარიტი ბუნება დაედასტურებინა. თავის აღდგომას სასუფეველს სამართლიანად უწოდებს, რადგან რაჟამს სიკვდილი გააუქმა(გაანადგურა), თავი ჭეშმარიტ მეფედ წარმოაჩინა. შეგიძლია ასეც მოიაზრო: ახალი სასმელი ღმრთის საიდუმლოთა განცხადებაა, რომელნიც მაშინ ანუ მეორედ მოსვლისას, ღმრთის სასუფეველსა შინა, განცხადდებიან. **ახალი**, ე. ი. იმგვარი, რომლის შესახებაც არასოდეს არაფერი გვსმენია. ქრისტე ამბობს, რომ მას ჩვენთან ერთად თვითონაც შესვამს, რადგან ჩვენთვის სასარგებლოს თავის საკვებად და სასმელად ჩათვლის.

30. **და გალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა**. – შემდომად სერობისა იგალობეს, რათა ვისწავლოთ, რომ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. რომ არ ეფიქრათ, გაიქცაო, არა სხვაგან სადმე, არამედ ზეთისხილის მთაზე, იუდეველთათვის არა უცნობ, არამედ ნაცნობ ადგილას მიდის. ამასთან, ტოვებს რა მას, სისხლმოწყურებულ ქალაქს შორდება, რათა დევნილს შემდგომში ემხილებინა ისინი, რომ განშორებულს დაედევნენ.

31-32. **მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუე თქუენ გალილეას**. – ვითარცა ღმერთი მომავალზე წინასწარმეტყველებს და მოწაფენი რომ არ ცდუნებულიყვნენ, თავის თავს საყვედურობს, როცა ამბობს, რომ დაწერილია: **დავსცე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი**, რაც ნიშნავს: მე თქვენ შეგაკავშირეთ, მაგრამ ჩემი წასვლით განიბნევით(დაიფანტებით). რადგანაც მამამ იუდეველთაგან ძის ჯვარზე გაკვრა დაუშვა, ამიტომაცაა ნათქვამი, რომ ძეს მამა დასცემს. შეეძლო რა ხელის შეშლა მათთვის, მაგრამ არ შეუშალა და დაუშვა, რის გამოც ითქვა, რომ დასცა. შემდეგ, მათი მწუხარების დასახსნელად, უფალი მოწაფეებს ახარებს, რომ აღდგება და **წინა-წარუძღვება**, ანუ ჩაასწრებს გალილეაში, აჩვენებს რა, რომ იერუსალიმს დატოვებს და წარმართებთან წავა, რადგან გალილეაში წარმართები ცხოვრობდნენ.

33-34. **მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავჰბრკოლდე. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყჳ შენ,**

რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე, სამ-გზის უვარ-მყო მე. – დიდი თავდაჯერებულობის გამო, მხოლოდ პეტრე არწმუნებს, რომ არ ცდუნდება. ქრისტემ მისი დაცემა დაუშვა, რათა არა საკუთარი მხნეობის, არამედ ღმრთის სასოება ჰქონოდა და საკუთარ სინდისზე(ცნობიერებაზე, გონებაზე) მეტად ქრისტეს სიტყვებისა ერწმუნა. ამასთან სიტყვები: **დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ,** გამოძახილია სიამაყისა, რადგანაც პეტრეს ქედმაღლობასა და მის მიერ საკუთარი უძლურების შეუცნობლობას წარმოაჩენს. უფალი მას დროსაც უწინასწარმეტყველებს და რიცხვსაც უარყოფისა, სახელდობრ: იგი მას იმავე ღამეს, ვიდრე **ქათმისა ხმობადმდე**, და თანაც სამგზის უარყოფდა.

35-36. **ჰრქუა მას პეტრე: დაღაცათუ ჯერ-იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა ადგილსა, რომელსა ჰრქჳან გეთსიმანია, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრე მივიდე იქი და ვილოცო.** – პეტრე, რომელსაც სურდა ეჩვენებინა, რომ ჭეშმარიტად მისი ერთგული იყო, მაცხოვარს შეეპასუხა. განთავისუფლდა რა იმ შიშისაგან, რომ შეიძლებოდა გამცემი თვითონ ყოფილიყო, ქრისტესადმი დიდი სიყვარულისა და პატივმოყვარეობის გამო, სხვების წინააღმდეგ ამხედრება და ქრისტესთვის წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო. მაგრამ სხვა მოწაფეებიც, რომელთაც განსაცდელი არ იცოდნენ, რადგან ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განცდილი, უფალს იმაში არწმუნებდნენ, რისი გაკეთებაც არ შეეძლოთ.

37-39. **და წარიყვანნა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე; დაადგერით აქა და იღჳძებდით ჩემ თანა. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.** – ყველა მოწაფე კი არ წაიყვანა, არამედ სამნი, ისინი, რომელთაც თაბორის მთაზე თავისი დიდება აჩვენა, რადგან იხილავდნენ რა მას შეშფოთებულსა და მლოცველს, არ ცდუნებულიყვნენ; თუმცა ესენიც დატოვა და განშორდა, მარტოს რომ ელოცა. იგი კეთილი განგებულებით ღელავს და წუხს, რათა ირწმუნონ, რომ ჭეშმარიტად კაციც იყო, რადგანაც შიში სიკვდილისა კაცობრივ ბუნებას ახასიათებს. რამდენადაც სიკვდილი კაცთა მოდგმაში ბუნებით არ შემოსულა, ამიტომ კაცობრივი ბუნება გაურბის მას. ამასთან, იმისთვისაც მწუხარებს, რომ ეშმაკს დაემალოს, და რომ ეშმაკი მას, ვითარცა უბრალო(ჩვეულებრივ) კაცს, თავს ისე დაესხას, მოაკვდინოს და ამგვარად თვითონაც შეიმუსროს. მეორე მხრივ, უფალი სიკვდილზე თვითონ რომ წასულიყო, ამით იუდეველებს თავის მართლების საშუალებას მისცემდა, სახელდობრ, რომ მოკვლით იმისა, ვინც ჩვენთან თვითონ მოვიდა, რათა ვნებულიყო, არ შეგვიცოდავსო. აქედან ჩვენც ვსწავლობთ, რომ თავი საფრთხეში კი არ უნდა ჩავიგდოთ, არამედ მისგან დასახსნელად უნდა ვილოცოთ. ამიტომ დიდი მანძილით კი არ დაშორდა, არამედ შორიახლოს

დარჩა სამი მოწაფისა, რათა მოესმინათ მისი და ხსომებოდათ, რომ უკეთუ განსაცდელსა შინა ჩავარდებოდნენ, თვითონაც მის მსგავსად უნდა ელოცათ. თავის ტანჯვას სასმელს უწოდებს, ან იმის გამო, რომ მისგან დაიძინა, ან კიდევ იმიტომ, რომ იგი ჩვენი სიხარულისა და ხსნის მიზეზად იქცა. სურს ეს სასმელი აიცდინოს, ან იმის საჩვენებლად, რომ ვითარცა კაცს, ბუნების კანონით, ეშინია სიკვდილისა, როგორც ეს უკვე ითქვა, ან იმის გამო, რომ არ სურდა, ებრაელებს ისე მძიმე ცოდვა ჩაედინათ, რომლის გამოც ტაძარიც განადგურდებოდა და ხალხიც დაიღუპებოდა. მას სურს, ასრულება მამის ნებისა, რათა ჩვენც ვისწავლოთ, რომ თუმცა ბუნება გარემიგვაქცევს, ჩვენ მაინც ღმრთის მორჩილება უფრო გვმართებს, ვიდრე ასრულება საკუთარი ნებისა.

40-41. და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღვძარებად ჩემ თანა? იღვძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ. – რადგანაც პეტრე და სხვა მოწაფენიც გაბედულნი იყვნენ, ამხელს მათ უძლურებას, ვითარცა ადამიანებისა, რომელნიც ფრიად დაუფიქრებლად ლაპარაკობდნენ; განსაკუთრებით კი პეტრეს მიმართავს: როგორ ვერ შეძელით ერთი საათი გეფხიზლათ ჩემთან ერთად? და სულს თქვენსას ჩემთვის როგორღა დადებთ? მაგრამ მას შემდეგ, რაც მხილებით განგმირა, ისევ კურნავს მათ, როცა ეუბნება: სული ფხიზელია, მაგრამ ხორცი თავისი უძლურებით ეწინააღმდეგება მას, ანუ: მე გპატიობთ თქვენ, რადგანაც უძლურებისაგან ჩათვლიმეთ და არა იმის გამო, რომ უგულებელმყავით. ასე რომ, რადგანაც უძლურნი ხართ, ნუ კადნიერდებით, არამედ ილოცეთ, რომ როგორმე განსაცდელსა შინა არ ჩავარდეთ. სხვები ფიქრობენ, რომ სიტყვები: **რაჲთა არ შეხვდეთ განსაცდელსა** ნათქვამია ნაცვლად სიტყვებისა: **რაჲთა განსაცდელისაგან არ იძლიოთ.** რადგან, ამბობენ ისინი, განსაცდელთა გარეშე ყოფნას კი არ გვიბრძანებს, რომელნიც ჩვენ გვირგვინოსანგვყოფენ, არამედ თავის დაცვას განსაცდელთაგან, რათა არ დავინთქათ და წიაღსა შინა მისსა, ვითარცა რაღაც ცხოველისა, არ აღმოვჩნდეთ, რადგანაც ვინც განსაცდელისგან დამარცხდა, მას შინა შევიდა, ანუ მისგან იქნა დანთქმული.

42-44. კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსჭ იგი, იყავნ ნებაჲ შენი. და მოვიდა და კუალად პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და დაუტევნა იგინი და კუალად წარვიდა მესამედ და ილოცვიდა და მასვე სიტყუასა იტყოდა. – ჰოჲ კაცო, გესმის რა, რომ უფალიც ხშირად ლოცულობდა, განსაცდელსა შინა განუწყვეტელი ლოცვა ისწავლე. იხილა რა ისინი ისევ მძინარენი, აღარ ამხილა, რათა აღარ დაემწუხრებინა, არამედ განშორდა და მესამედ წავიდა სალოცავად, დასამტკიცებლად იმისა, რომ კაციც იყო, რადგანაც რიცხვი სამი ჭეშმარიტებისა და უეჭველობის მაჩვენებელია.

45-46. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ: აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა ცოდვილთასა. აღდეგით, წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი. – აჩვენებს რა, რომ რადგანაც დანებება განიზრახა, მათი შემწეობა არ სჭირდება, ეუბნება მათ: **დაიძინეთ ამიერითგან**. ამ სიტყვებს ირონიით წარმოთქვამს, თითქოს ეუბნება: „აჰა მოახლოვდა გამცემი და უკეთუ თქვენ ეს მოგწონთ, და ჟამიც ნებას გაძლევთ, იძინეთ“. შემდეგ მან წამოაყენა ისინი იმ ადგილიდან, სადაც ლოცულობდა, იმათკენ გაემართა, ვინც მის შეპყრობას განიზრახავდა და ისე შეეგება, თითქოს რაღაც სასიხარულო რამის გადაცემა ჰქონდათ განზრახული. იგი ლოცულობდა იმისთვის, რომ განგებულება გვერწმუნა; ხოლო თუ ტანჯვა არ სურდა, ესეც იმიტომ, რომ ებრაელები ეხსნა დაღუპვისაგან, რომელიც მის წინაშე ჩადენილი ცოდვისათვის მოეწეოდათ.

47-50. და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახჳლებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა სასწაულად და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი. და მეყსეულად მოუჴდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ? მაშინ მოუჴდეს და დაასხნეს ჴელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი. – ხედავ მღვდელმთავართა იარაღებს? კეტებსა და მახვილებს? აი, ამგვარი მშვიდობისმყოფელნი იყვნენ ისინი და მქონენი სათნო სულისა. ერთი იგი **ათორმეტთაგანი**, – ამბობს მახარებელი და უკვირს, რომ იუდამ, მიუხედავად იმისა, რომ რჩეული იყო და პირველთა შორის დადგენილი, საკუთარი თავი ეშმაკს მისცა. ასევე შენც, კიდევაც რომ ერთი მის მახლობელთაგანი იყო, მაინც გეშინოდეს ადამიანო, რათა სულით არ დაუძლურდე და მისგან არ განვარდე. იუდა ნიშანს აძლევს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ღამეში გამოცნობა შეუძლებელი იყო და მეორეც: შესაპყრობად მოსულნი არა იმდენად ხალხიდან, რამდენადაც მღვდელმთავართა მსახურებიდან იყვნენ, ამიტომ შეიძლებოდა მათ იესო საერთოდაც არ სცნობოდათ. მოწაფე მასწავლებელზე მათ ამბორისყოფით მიუთითებს; იცის რა კაცთმოყვარეობა უფლისა, კადნიერდება და კოცნის. ისიც ბოლო წუთამდე ითმენს და მის სინანულად მოყვანას სულგრძელობით ცდილობს. მაგრამ როცა გონს ვერც ამით მოიყვანა, მაშინ, როგორც იოვანე ამბობს, ისე გააკეთა, რომ მოსულნი მიწაზე დაეცნენ. ასე იმიტომ მოიქცა, რომ დაცემისაგან მაინც შეეცნოთ მისი ძალა, მაგრამ, როცა თავხედობაზე ხელი არც ამის შემდეგ აიღეს, თავისი თავი თვითონ მისცა. არცხვენს რა ამით და საყვედურობს, იუდას მეგობარს უწოდებს, რომელმაც, ვითარცა მეგობარმა, კოცნა უძღვნა. **რომლისათჳსცა მოსრულ ხარ**? ნაცვალად ამისა: **რა მიზნით მოხვედი აქ?** როგორც მეგობარი? მაგრამ მაშინ მახვილებით არ უნდა მოსულიყავი; როგორც მტერი? მაგრამ მაშინ როგორღა მკოცნი? ასე ამხელს მას ვითარცა ცბიერს.

51-54. **და აჰა ერთმან იესუჲსთანამან მიყო ჴელი და იჴადა მახჳლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჳლი ადგილსავე თჳსსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ? და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჴერ-არს ყოფად?** – როგორც იოვანე ამბობს, პეტრე იყო ის, ვინც მახვილი ამოიღო(ინ.18,10). მახვილი თან ჰქონდა, რადგან მანამდე კრავი დაკლა, რომელიც სერობაზე იგემეს. ჩვენ პეტრეს არ განვსჯით, რადგან იგი ასე არა საკუთარი თავის, არამედ მასწავლებლისათვის მოშურნეობის გამო მოიქცა, ხოლო უფალი გარდაქმნის რა მას სახარებისეული მოქალაქეობისათვის, ასწავლის, რომ არ შეიძლება გამოყენება მახვილისა, თუნდაც ღმრთისათვის შურისძიების მიზნით. მოჰკვეთა რა ყური, პეტრე გვაჩვენებს, რომ იუდეველები შეუსმენლობით იყვნენ ავად. შემდეგ უფალს მოჰყავს გამონათქვამი სჯულიდან, რომ მკვლელი უნდა მოიკლას, რადგანაც სჯულის სწავლებით მახვილის ამღებნი მახვილითვე მოწყდებიან. ამით იგი იმაზე მიანიშნებს, რომ იუდეველნი, რომელთაც მახვილი მის წინააღმდეგ აიღეს, რომაელთა მახვილით ამოწყდებოდნენ. არ უთქვამს: **მე შემიძლია წარმოვადგინო ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი**, არამედ **შეევედრო მამასა ჩემსაო**. ამას იგი კეთილი განგებულებით ამბობს, ვითარცა კაცი, მოწაფეთა უძლურებისა გამო. რამდენადაც მან მაშინ მრავალი კაცობრივი რამ აჩვენა – ოფლი, შიში, უკვე დამაჯერებელი აღარ იქნებოდა, რომ ეთქვა: ანგელოზთა წარმოდგენა მე თვითონ შემიძლიაო; ამიტომაც ამბობს: თუკი ვისურვებდი, ნაცვლად თორმეტი მოწაფისა, ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი წარმომიდგებოდაო; ლეგიონი კი ყველაზე დიდი რაზმია – ექვსიათასი მხედარი. მაგრამ, – ამბობს, – ეს ყოველივე უნდა მოხდეს, რათა აღსრულდეს წერილი, რომელიც ყოველივე ამას წინასწარ გვაუწყებს. იუდეველები ბოროტნი არიან არა იმიტომ, რომ წმინდა წერილი ამას წინასწარ იუწყება, არამედ, რადგანაც მომავალში ყოველივეს ბოროტი განზრახვით აღასრულებდნენ, და წმინდა წერილშიც იმიტომ გადმოიცა ყველაფერი სულიწმიდის მიერ.

55-56. **მას ჟამსა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი-დღე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე. ხოლო ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულნენ წიგნნი წინაწარმეტყუელთანი.** – უფალმა მათი უგუნური თავდასხმაც წარმოაჩინა და ისიც, რომ მისი შეპყრობა მათი ძალით არ მომხდარა. როცა ტაძარში ვიყავი, – ამბობს, – თქვენ მაშინაც გინდოდათ ჩემი შეპყრობა, მაგრამ, რადგანაც ეს მე არ დავუშვი, ვერც შეძელით; ახლა კი ჩემივე ნებით გეძლევით, რადგანაც ვიცი, რომ შეუძლებელია ტყუოდეს წმინდა წერილი, რომელმაც თქვენი ბოროტება იწინასწარმეტყველა.

56-58. **მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს. ხოლო მათ**

შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფასსა მღდელთ-მოძღურისა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა. – მაშინ, როცა სხვა მოწაფეები გაიქცნენ, პეტრე, რომელსაც მასწავლებელი მხურვალედ უყვარდა, შორიახლო მისდევდა მას. მართალია, უფალს იოვანეც მიჰყვებოდა, მაგრამ არა როგორც მოწაფე, არამედ როგორც მღვდელმთავრის ნაცნობი.

59-60. **ხოლო მღდელთ-მოღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს, რაჲთამცა მოკლეს იგი. და არა ჰპოებდეს; და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ-მოწამენი, და არა პოვნეს.** – იესო კაიაფასთან მიიყვანეს, რადგანაც იმ წლის მღვდელმთავარი იგი იყო. ღამე სხვებმაც იქ გაათიეს და რადგანაც უფლის მოკვლას ელოდებოდნენ, პასექიც არ უჭამიათ, რითაც სჯული დაარღვიეს. თავად უფალმა პასექი დადგენილ დროს ჭამა, მათ კი, ოღონდ იესო მოეკლათ და სჯულიც არაფრად ჩააგდეს.

60-64. **ხოლო უკუანაჲსკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი და თქუეს, ვითარმედ: ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად. მაშინ აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არა-რას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ? მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ? ჰრქუა მას იესო: შენ სთქუ:** – ჭეშმარიტად ცრუ მოწამენი იყვნენ ისინი, რადგანაც ქრისტეს არ უთქვამს: **მე შემიძლია დავარღვიო, არამედ დაარღვიეთო**(ინ.2,19). არც ის უთქვამს: **ტაძარი ღმრთისა**, არამედ **ტაძარი ესე, ანუ სხეული ჩემი,** და არც ის: **აღვაშენებო**, არამედ: **აღვადგენო**. ამჯერად, ცხადია, რომ ისინი ცრუმოწმენი იყვნენ და იმაზე ამტკიცებდნენ ქრისტემ თქვაო, რაც არ უთქვამს. ამიტომაც დუმდა ქრისტე, რომელმაც მათი უკანონო სამსჯავრო იხილა. ისინი, რომელნიც სასწაულებმა ვერ დაარწმუნეს, თავის მართლება როგორღა დაარწმუნებდათ? მღვდელმთავარმა ეს კითხვა იმიტომ მისცა, რომ მისი მკრეხელობაში ჩათრევა სურდა. თუ იგი ეტყოდა, რომ მე ვარო ძე ღმრთისა, ვითარცა მკრეხელს, განსჯიდა, ხოლო თუ უარყოფდა, საკუთარი თავის წინააღმდეგ მოწმედ ეყოლებოდა. მაგრამ უფალმა, ვინც ბრძენთ მათ ვერაგობაში იჭერდა ხოლმე, უპასუხა: **შენ სთქუ**, ან, რაც იგივეა: შენმა პირმა აღიარა, რომ მე ძე ღმრთისა ვარ.

64. **ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.** – უფალი მათ დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვებს ეუბნება, რომელმაც თქვა: **და ვიხილე მე ვითარცა ძე კაცისა, მომავალი ღრუბლით**. რადგანაც ისინი თვლიდნენ, რომ იგი მატყუარა იყო, და თავმდაბალი გარეგნულად ჩანდა, ამიტომაც ეუბნება მათ: **მიხილავთ მე, ძლიერებით მომავალს და მამისა თანა მჯდომარეს.** ძლიერებას აქ მამის ძალას უწოდებს, ხოლო მომავალს – ვინც არა მიწიდან, არამედ ზეციდან მოდის.

65-66. **მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: გმო; აწ უკვე რაჲსაღა გჳჴმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი. რაჲ გნებავს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანამდებ არს სიკუდილისა.** – იუდეველებს ჩვევა ჰქონდათ, რომ თუ აუტანელი რამ შეემთხვევოდათ, სამოსელი შემოეხიათ. თითქოსდა აშკარა მკრეხელობის გამო, ბრბოს მოსატყუებლად კაიაფაც ასე მოიქცა, რათა მათთვის ქრისტე უდიდეს მკრეხელად წარმოეჩინა და ამგვარად გაეხადა იძულებული ეთქვათ: **თანამდებ არს სიკუდილისა.** ამასთან, ისიც ისწავლე, რომ კაიაფას მიერ სამოსის შემოხევა ძველი აღთქმის მღვდელმთავრობის დარღვევის სიმბოლოც იყო.

67-68. **მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჴურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?** – როდესაც ასამართლებდნენ, თან ლანძღავდნენ და დასცინოდნენ, როგორც ამას სხვა მახარებელიც ამბობს, მოსასხამს თავზე ახურავდნენ, და ასე იმიტომაც დასცინოდნენ, რომ წინასწარმეტყველად ჰყავდათ იგი. ჴურთით ცემა ხელის მოხრილი თითებით ან, უკეთ რომ ვთქვათ, მუშტებით(მჯიღებით) ცემას ნიშნავს.

69-75. **ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა. მოუჴდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესუჲს თანა, გალილეველისა. ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესუჲს თანა, ნაზარეველისა. და მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი და შემდგომად მცირედისა მოუჴდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ. მაშინ იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმან იყივლა. დამოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი, რომელ ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამ-გზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ.** – უზომო შიშით შეპყრობილ პეტრეს თავისი აღთქმა დაავიწყდა და კაცობრივ უძლურებას დაემორჩილა, თითქოს შიშისაგან მოკვდა და არ იცოდა, რა ეთქვა. შენ კი ეს ჩემთან ერთად ამაღლებული აზრით გულისხმაჰყავ, რომ პეტრეს მოახლის, ანუ მდაბალი და მონებისათვის შესაფერისი კაცობრივი უძლურება ამხელს. მას მანამდე ამხელდნენ, ვიდრე მამალმა არ იყივლა და გრძნობაზე არ მოიყვანა. მამალი ქრისტეს სიტყვას ნიშნავს, რომელიც არა თუ უზრუნველობისა და ჩაძინების ნებას არ გვაძლევს, არამედ პირიქით შეგვაგონებს: იღვიძებდეთ და აღდეგით ძილისაგან. ამგვარად, სწორედ ამ სიტყვისაგან – თითქოსდა მამლის ყივილისაგან – გამოფხიზლებული პეტრე მღვდელმთავრის ეზოდან, ანუ გონებრივი დაბრმავებიდან გამოვიდა და გრძნობაზე მოსული მწარედ ატირდა. ვიდრე დაბრმავებული გონების ეზოსა შინა იმყოფებოდა, არ უტირია, რადგან ვერაფერს გრძნობდა, მაგრამ როგორც კი იქიდან გამოვიდა, გრძნობაზეც მოვიდა.

თავი XXVII

1-2. **და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთვის, რაჲთა მოკლან იგი. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა.** – ნახე, როგორ შეიპყრო ყველანი ეშმაკმა და დაარწმუნა, რომ იმ დღეებში მოეკლათ, რომელთა განმავლობაშიც სხვა ცოდვათა გამო მრავალი მსხვერპლისა და ძღვენის შეწირვა ჰმართებდათ – უმანკოებისა და სიწმინდის დღეებში. მათ კი ქრისტე შეკრეს და მმართველთან – პილატესთან მიიყვანეს, რომელიც პონტოდან იყო, მაგრამ რომაელთა ქვეშევრდომი და მათ მიერ წარგზავნილი იუდეას მმართველად. მათ პილატეს ქრისტე, ვითარცა ჭეშმარიტი მეამბოხე და მეფის წინააღმდეგ ბოროტგანმზრახველი, ისე გადასცეს.

3-5. **მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ და მოხუცებულთა და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენდა რაჲ? შენ იხილე! და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა.** – იუდამ დაფიქრება იმაზე, რაც მოხდა, დააგვიანა და თუმცა მოინანია, მაგრამ არასწორად: რომ შეიგნო, კარგია, მაგრამ თავის ჩამოხრჩობა ეშმაკის საქმეა. ვერ გადაიტანდა რა მომავალში გაკიცხვას, სიცოცხლე თვითონ მოისწრაფა, მაშინ, როცა უნდა ეტირა და ვინც გასცა, იმისთვის შეწყალება ეთხოვა. ზოგიერთები ამბობენ, ვერცხლისმოყვარე იუდამ იფიქრა, რომ ქრისტეს გაცემით ვერცხლსაც მოიგებდა და არც ქრისტე მოკვდებოდა და ისევე, როგორც სხვა დროს, იუდეველებს თავს ახლაც დააღწევდა. მაგრამ როცა ნახა, რომ ქრისტე გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს, შეინანა, რადგან საქმე ისე არ გამოვიდა, როგორც ვარაუდობდა. და თავიც თითქოს იმიტომ ჩამოიხრჩო, რომ ჯოჯოხეთში იესოსათვის შეესწრო, შეწყალებას შეევედრებოდა და ხსნა მიეღო. ესეც იცოდე: იუდამ ყელზე ყულფი ჩამოიცვა და თავი რომელიღაც ხეზე ჩამოიკიდა, მაგრამ ხე მოიხარა და იგი ცოცხალი გადარჩა, რადგან ღმერთმა მისი გადარჩენა ან იმისთვის ინება, რომ მოენანიებინა, ან კიდევ იმისთვის, რომ დასაცინი და სათრევი გამხდარიყო; რადგან, ამბობენ, წყალმანკით დაავადდა და ისე გასივდა, რომ იქაც ველარ ეტეოდა, სადაც ურემი თავისუფლად გადიოდა, ხოლო შემდეგ პირქვე ისე დაენარცხა, რომ გაიგლიჯა ანუ „განსთქდა“, როგორც ამას ლუკა ამბობს „მოციქულთა საქმეში“(საქმ.1,18).

6-10. **ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს. და ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა დღედმდე. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა, და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე**

უფალმან. – კორბანს[22] ტაძრის საგანძურს უწოდებდნენ, რომელშიც ღმრთისთვის მიძღვნილ შესაწირავს ათავსებდნენ. ნახე, ღმერთმა როგორ უგუნურებად აქცია ისინი, ისე რომ, მათი მკვლელობით წაბილწული ზრახვა საქვეყნოდ მჟღავნდება. **ვიდრე აქა დღედმდეო**, – ამბობს, – იმ მინდორს სისხლიანი მინდორი ეწოდება, რათა ყველას ახსოვდეს, რომ მათ უფალი მოკლეს. ესეც იცოდე, რომ სტუმართმოყვარეობა საზრუნავად იუდეველებსაც ჰქონიათ, რადგან უცხოელთათვის სასაფლაოდ მინდორი უყიდიათ. სირცხვილი ჩვენ, რომელნიც ვფიქრობთ, რომ სრულყოფილი ცხოვრებით ვცხოვრობთ, უცხო მწირთ კი უგულებელვყოფთ. **სასყიდელი განსყიდულისაჲ**, რა თქმა უნდა, ქრისტეს ფასზეა ნათქვამი. თუმცა იგი ფასდაუდებელი იყო, მაგრამ ისრაელის შვილებისაგან იქნა შეფასებული, ანუ ფასი ისრაელის შვილებმა დაადეს, შეუთანხმდნენ რა იუდას, რომ ოცდაათ ვერცხლს მისცემდნენ.

11-14. ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყჳ. და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო. მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა რაოდენსა-ესე შეგწამებენ შენ? და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად. – იესო პილატესთან როგორც სამოქალაქო დანაშაულში ბრალდებული ისე მიიყვანეს, ამიტომაც ეკითხება, ხომ არ წამოიწყო მან შფოთი და ხომ არ ჰქონდა მცდელობა იუდეველებზე გამეფებულიყო? ხოლო იესო ეუბნება: **შენ იტყჳ**; და მან ფრიად ბრძნული პასუხი გასცა, რადგან არც ის უთხრა, არ ვარო და არც ის – ვარო, არამედ შუალედურად უპასუხა: **შენ იტყჳ**; და ეს, შეიძლება, ასეც გავიაზროთ: ვარ, რადგან შენ ასე ამბობ, და ასეც: მე კი არ ვამბობ ამას, არამედ შენ. სხვა არაფერი უპასუხია, რადგანაც ხედავდა, რომ სასამართლო წესით და რიგით არ მიდიოდა. პილატეს უკვირდა უფლისა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ სიკვდილს არაფრად აგდებდა, ხოლო მეორე მხრივ იმიტომ, რომ, თუმცა მჭევრმეტყველი იყო და თავის გასამართლებლად ათასი რამის წარმოდგენა შეეძლო, ბრალმდებლებს არა თუ არ პასუხობდა, არამედ ზედაც არ უყურებდა. აქედან ჩვენც უნდა ვისწავლოთ, რომ უკეთუ წამხდარი სასამართლოს წინაშე წარდგომა მოგვიწევს, არაფერი ვთქვათ, რათა უფრო დიდი ხმაური არ გამოვიწვიოთ და არ გავხდეთ მიზეზი უფრო დიდი სასჯელისა, მაშინ, როცა ჩვენს თავის მართლებას არავინ უსმენს.

15-16. ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი, და მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს

[22] ο κορβαν და κορβανας ებრაული სიტყვაა და ტაძრის განძთსაცავს ეწოდებოდა. გიორგი მთაწმინდელი მას „სიწმიდედ“ თარგმნის.

იგი. – პილატე შეეცადა დაეხსნა ქრისტე, თუმცა შედარებით სუსტად, ვიდრე მოეთხოვებოდა, რადგან იგი ჭეშმარიტებისათვის მტკიცედ უნდა დამდგარიყო. თავდაპირველად მან უფალს ჰკითხა: **არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწამებენ შენ?** ჰკითხა იმიტომ, რომ უკეთუ ქრისტე თავს გაიმართლებდა, მის გასათავისუფლებლად საბაბი ექნებოდა. მაგრამ უფალმა, რაკიღა კარგად იცოდა, კიდევაც რომ გამართლებულიყო, მაინც არ გაუშვებდნენ, თავი არ იმართლა. პილატე სხვა გზას დაადგა, სახელდობრ, ბოლოს ადათს მიმართა, თითქოს ამბობდა: „უკეთუ თქვენ ქრისტეს არ გაუშვებთ ვითარცა უდანაშაულოს, დღესასწაულის ხათრით განსჯილი მაინც გაუშვით“. რამეთუ საიდან უნდა ეფიქრა პილატეს, რომ ჯვარზე გასაკრავად უდანაშაულო ქრისტეს მოითხოვდნენ, ხოლო დამნაშავე ავაზაკს გაუშვებდნენ? ამგვარად, იცოდა რა, რომ ქრისტე დამნაშავე კი არ იყო, არამედ შურდათ მისი, ამიტომაც შეეკითხა მათ, რითაც გამოამჟღავნა, რომ სუსტი იყო, მაშინ, როცა სიკეთისათვის თავის საფრთხეში ჩაგდებაც კი ჰმართებდა. ამიტომ, ვითარცა დამფარავი სიმართლისა, განსჯას ისიც იმსახურებს. ბარაბა ითარგმნება როგორც ძე მამისა, რადგან **ბარ** ძეს ნიშნავს, **აბბა** კი – მამას. ამგვარად, იუდეველებმა თავიანთი მამის, სატანის ძე გამოითხოვეს, ხოლო იესო ჯვარს აცვეს. და ვიდრე აქამომდე ისინი ძეს თავიანთი მამისა – ანტიქრისტეს ეტმასნებიან, ქრისტეზე კი უარს ამბობენ.

19-26. **და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამოითხოონ ბარაბა, ხოლო იესუ წარწყმიდონ. მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ? ხოლო მათ თქუეს: ბარაბა. ჰრქუა მათ პილატე: რაჲ უკუე უყო იესუს, რომელსა ჰრქჳნ ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცჳნ. ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცჳნ. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ. და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას.** – ჰოჲ საოცრებავ! პილატესაგან განსჯილმა მისი ცოლი შეაშინა. თვითონ კი არ ნახა სიზმარი, არამედ ცოლმა, ან იმიტომ, რომ თვითონ უღირსი იყო, ან კიდევ იმიტომ, რომ მას არ დაუჯერებდნენ და იფიქრებდნენ: ამას იესოსადმი მიკერძოების გამო ამბობსო. კიდევაც რომ ენახა, მაინც ვერ იტყოდა, რადგან მსაჯული იყო. სიზმარი განგებულების საქმეა, მაგრამ იგი პილატეს ცოლს იმიტომ კი არ ეჩვენა, რომ ქრისტე განთავისუფლებულიყო, არამედ, რათა თვითონ გადარჩენილიყო. და პილატემ ქრისტე რატომ არ გაათავისუფლა? რადგან მისი გაშვება, როგორც სამეფო

ხელისუფლების მიტაცებაში ბრალდებულისა, პილატესათვის უსაფრთხო როდი იქნებოდა. მაგრამ მას მტკიცებულებანი უნდა მოეთხოვა, კერძოდ, ხომ არ იკრებდა თავის გარშემო მეომრებს და იარაღს ხომ არ ამზადებდა; მაგრამ იგი, ვითარცა ზერელე და სუსტი, განზე გადგა. მას არ შეენდობა იმიტომაც, რომ, როცა მისგან საქვეყნოდ ცნობილი ბოროტმოქმედი მოითხოვეს, მისცა, ხოლო ქრისტეს შესახებ იკითხა: – **რაჲ უკუე უყო იესუს?** რითაც სამსჯავროს უფროსებად იუდეველები აქცია, მაშინ, როცა უფროსი თვითონ იყო და შეეძლო იესო მათთვის გამოეტაცა ისე, როგორც ათასისთავმა პავლე გამოსტაცა(საქმ.21,31). **ჯუარს-ეცჳნ**, – ამბობენ იუდეველები, რომელთაც არა მხოლოდ მისი სიკვდილი სურდათ, არამედ ბოროტმოქმედებაში ბრალის დადებაც, რადგან ჯვარი ბოროტმოქმედთა დასასჯელად იყო დადგენილი. ხელებს იბანს, რათა აჩვენოს, რომ თვითონ სიძულვილისაგან განწმენდილია. ცუდად აზროვნებს: ქრისტეს თან მართალი უწოდა და თანაც მკვლელებს გადასცა. სასჯელი მკვლელობისათვის იუდეველებმა თავიანთ თავზე აიღეს, რომელმაც მოაწია მათზე: რომაელებმა ისინიცა და მათი შვილებიც ამოწყვიტეს. სხვათა შორის, იმ ებრაელების შთამომავლებს, რომელთაც უფალი მოკლეს, მისი სისხლი დღემდე ადევთ; უფლის ურწმუნოებისა გამო ყველასგან იდევნებიან და ამის გამო დევნილთ არც შეწყალება აქვთ. პილატემ აცემინა იესო, ანუ გააშოლტინა, ან იმიტომ, რომ იუდეველნი გაეხარებინა, ან კიდევ საჩვენებლად იმისა, რომ იგი თვითონაც დასაჯა და ჯვარზე უკვე არა უდანაშაულო კაცი გაეკვრებოდა, არამედ პატივაყრილი. ასე ასრულდა წინასწარმეტყველება: **ბეჭნი ჩემნი მე მივეც წყლულებად**(ეს.50,6).

27-30. **მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები იგი ყოველი. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას. და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ჴელსა მისსა და მუჴლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ჰნერწყუვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა**. – მაშინ ასრულდა სიტყვა დავითისა; **საყუედრელად უგუნურსა მიმეც მე**(ფს.38,8). რადგან მეომრები უგუნურნი იყვნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც შეეფერებოდათ: ვითარცა მეფე, პორფირის ნაცვლად ქლამინდით[23] შემოსეს, ნაცვლად სკიპტრისა ლერწამი მისცეს, ხოლო დიადემის მაგივრად – ეკლის გვირგვინი; დაცინვით თაყვანს სცემდნენ, რადგანაც მუხლის მოყრა თაყვანისცემის ნიშანია. ნახე, როგორ გამოიყენეს აბუჩად აგდების ყოველი ხერხი: სახე ფურთხით შეუგინეს, თავი – გვირგვინით, ხელები – ლერწმით, დანარჩენი სხეული – ქლამინდით, ხოლო ყურები – ბილწი სიტყვებით. მაგრამ ყოველივე ეს, რასაც აკეთებდნენ, შენ ამასთან ერთად ქრისტეს მიერ აღსრულებულ საიდუმლოდაც მოიაზრე: მეწამული ქლამინდი ჩვენს ბუნებას აღნიშნავდა, რომელიც ქრისტემ, როცა ის

[23] χλαμύς, ὑθος მეომართა მოსასხამს ეწოდებოდა.

სისხლით შელებილი და მკვლელობისკენ მიდრეკილი იყო, მაშინ შეიწყნარა და შეიმოსა რა მისით, განწმინდა. ეკლის გვირგვინი – ცხოვრებისეულ საზრუნავთაგან მომდინარე ცოდვებია. ისინი ქრისტემ, თავისი ღმრთეებრიობით, რაზეც მასში თავი მიანიშნებს, გააცამტვერა. ლერწამი ჩვენი უძლური და ხრწნადი სხეულის სიმბოლოა; რომელიც ქრისტემ, როგორც ამას დავითი ამბობს, აღამაღლა: **მარჯუენემან უფლისამან ამამაღლა მე**(ფს.117,16); ხოლო მიიღო რა ყურებით მკრეხელური სიტყვები, უფალმა გველის სისინისაგან განგვკურნა, რომელიც ევას სასმენელთა მეშვეობით შემოვიდა.

31-32. **და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, ჰპოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.** – სამი მახარებელი ამბობს, რომ იესოს ჯვარი სიმონს მიჰქონდა, იოვანეს თქმით კი, იგი თვითონ უფალმა ზიდა. როგორც ჩანს, ორივე მოხდა, რადგან ჯვარი პირველად იესოს მიჰქონდა და მისი ზიდვა არავინ ისურვა, ხოლო შემდეგ, გზაში სიმონი იპოვეს და იგი მას დაადეს(აჰკიდეს): შენ კი ესეც იცოდე, რომ სიმონი მორჩილად ითარგმნება. ამგვარად, ქრისტეს ჯვარს ის აღიღებს, ვისაც მორჩილება აქვს. კვირინე ადრე პენტაპოლისი[24] იყო და იმ ხუთ გრძნობას აღნიშნავს, რომელთაც ჯვრის აღება ჰმართებთ.

33-37. **და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი, და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული. და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელი იტყჳს: განიყვნეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას. და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ. – თხემისა ადგილი** იმიტომ ეწოდებოდა, რომ მამათა გადმოცემის მიხედვით, იქ ადამი იყო დაკრძალული. როგორც ჩვენ ყველანი ადამში მოვკვდით, ასევე ქრისტეში უნდა გავცოცხლდეთ. ნუ შეგაშფოთებს, როცა მახარებლებს მოუსმენ, რომელთაგან მათე ამბობს, რომ უფალს ძმარი და ნაღველი მიუტანეს, მარკოზის თქმით — შემურვილი ღვინო,[25] ხოლო იოვანეს მიხედვით – უსუპით ძმარი და ნაღველი, რადგან მრავალთაგან მრავალი რამ ხდებოდა, როგორც ეს უწესრიგო ბრბოს სჩვევია და ყველა სხვადასხვაგვარად იქცეოდა. როგორც ჩანს, ერთმა რომ ღვინო მიუტანა, მეორემ ძმარი – ნაღველთან ერთად. სიკვდილისათვის მრავალი საშუალება არსებობს, მაგრამ ქრისტე ჯვარზე მოკვდა, რათა ხეც განეწმინდა, რომლისგანაც დავიწყევლეთ და ყოველივეც ეკურთხებინა: ზეციურნი, რასაც ჯვრის ზედა ნაწილი აჩვენებს, ქვესკნელისანი, რაზეც კვარცხლბეკი მიანიშნებს, და საზღვრებიც

[24] ბერძნულად ხუთქალაქს ნიშნავს.

[25] ზეთი და ღვინო ერთად, რომელსაც ნაღველის გემო აქვს.

დედამიწისა, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით, რომელზეც ჯვრის გვერდითი ნაწილები მეტყველებენ. და კიდევ: ჯვარზე იმიტომაც მოკვდა, რომ გაშლილი მკლავებით გაფანტული შვილები ღმრთისა მოეხმო და შეეკრიბა. სამოსელი მისი მეომრებმა გაიყვეს, როგორც ღატაკისა, ვისაც სხვა არაფერი გააჩნდა. რასაც სხვა მახარებელი ტიტულუსს[26] უწოდებს, იმას მათემ „ბრალი“ უწოდა, რადგან დააწერეს ჯვარს, რის გამოც ეცვა, სახელდობრ: იუდეველთა ზედა გამეფების მცდელობისა და სიახლეთა შემოღებისათვის. „მეფე“ მათ ცილისმწამებლურად დააწერეს, მაგრამ ეს დამოწმება სწორია, თუმცა იგი მტრებს ეკუთვნის. უფალი მართლაც მეფეა, ვინც სწორედ იმისთვის მოვიდა, რომ იუდეველები ეხსნა. მაგრამ ვინაიდან ხორციელმა იუდეველებმა მისი მათ ზედა გამეფება არ მოისურვეს, იგი სულიერ იუდეველთა, ანუ მისთა აღმსარებელთა ზედა გამეფდა, რადგან „იუდეველი“ აღმსარებელს ეწოდება.

38-44. **მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: რომელი დაჰსხნიდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იწსენ თავი თჳსი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით! ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფე ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იწსენინ იგი, უკუეთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მისთანა ჯუარცუმულნი, აყუედრებდეს მას.** – ცილი რომ დაეწამებინათ, ქრისტესთან ერთად ჯვარს ორი ავაზაკიც აცვეს, რათა ისიც, ვითარცა ისინი, დამნაშავედ მიჩნეულიყო. მაგრამ ეს ორი ავაზაკი ორი ხალხის სახეს წარმოადგენდა: იუდეველებისა და წარმართებისა. ისევე როგორც თავდაპირველად ორივე უსჯულო იყო და ქრისტეს ორივე საყვედურობდა, ასევე თავიდან მას ორივე ავაზაკი ლანძღავდა, მაგრამ როგორც ბოლოს ერთმა იცნო იგი, მეფედ აღიარა და შეევედრა: **მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა**, ასევე აღიარეს ქრისტე წარმართმა ხალხებმაც. მეორე ავაზაკი კი, ანუ იუდეველნი, ღმრთის გმობას განაგრძობდა და ეშმაკის კარნახით ეუბნებოდა: **უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით,** რათა გაღიზიანებული მართლაც გადმოსულიყო და ჯვრით ყოველთა გამოხსნის საქმე დაერღვია. მაგრამ ქრისტე ძე ღმრთისა იყო და მტერს არ დაუჯერა, რათა შენც ისწავლო, რომ ეშმაკის მანქანებას არ დაემორჩილო და თუნდაც ადამიანებს შენს შესახებ ცუდი აზრი ჰქონდეს, მაინც კეთილი საქმენი აკეთო.

45-49. **ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტევე მე? და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ: ელიას უჴმობს ესე.**

[26] ლათინურად წარწერას ნიშნავს.

და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას. ხოლო სხუანი ეტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მისა. – დაბნელება ბუნებრივი წესის მიხედვით არ მომხდარა, როგორც მაგალითად, ეს ბუნებრივად ხდება მზის დაბნელებისას. მთვარის მე-14 დღეს დაბნელება მზისა არ შეიძლება მოხდეს, რადგან მისი დაბნელება მთვარის ე. წ. დაბადებას უკავშირდება, როცა მზე ბუნებრივად ბნელდება. რამდენადაც ჯვარცმისას, რომელიც ებრაელთა პასექის დროს მოხდა, მთვარე უეჭველად თოთხმეტი დღისა უნდა ყოფილიყო, ამდენად დაბნელება ბუნებრივად ვერ მოხდებოდა. ამასთან, ეს დაბნელება საყოველთაო იყო და არა ნაწილობრივი, როგორც ამას ეგვიპტეში ჰქონდა ადგილი, რათა ეჩვენებინა, რომ დაბადებული დამბადებლის ტანჯვას თანაუგრძნობს(იზიარებს) და რომ იუდეველებს ნათელი განშორდა; ზეციდან სასწაულის ხილვის მთხოვნელმა იუდეველებმა, დაე, ახლა დაბნელებულ მზეს უყურონ. რადგანაც ადამიანი მეექვსე დღეს შეიქმნა და მეექვსე ჟამზე იხილა გემო ხის ნაყოფისა(რადგან ესაა ჭამის დრო), უფალმაც იგი ახლად შექმნა და დაცემისაგან განკურნა მეექვსე დღესა და მეექვსე ჟამზე, როცა ხეზე მიელურსმნა. წინასწარმეტყველება მან ებრაულ ენაზე წარმოთქვა, რათა ეჩვენებინა, რომ ძველ აღთქმას არ ებრძოდა, ხოლო სიტყვები: **რაჲსათჳს დამიტევე მე** – იმის საჩვენებლად თქვა, რომ ჭეშმარიტად განკაცდა და არა მოჩვენებითად, რადგან ადამიანს უყვარს რა სიცოცხლე, ბუნებრივი სურვილი აქვს იმისა, რომ იცოცხლოს, ამიტომ, ისევე როგორც ჯვარცმის წინ წუხილითა და დარდით ჩვენთვის დამახასიათებელი ბუნებრივი შიში გვაჩვენა, ასევე ახლაც, როცა ამბობს: **რაჲსათჳს დამიტევე მე** სიცოცხლისადმი ჩვენს დამახასიათებელ ბუნებრივ სიყვარულს ამჟღავნებს, რადგანაც ჭეშმარიტად კაცი იყო და ყოველმხრივ ჩვენი მსგავსი, გარდა ცოდვისა. ზოგიერთები ამას ასეც მოიაზრებენ, რომ მაცხოვარი, მიიღო რა სახე იუდეველისა, სინამდვილეში ეს თქვა: მამაო, რისთვის მიატოვე იუდეველი ხალხი, რომელმაც ესოდენ დიდი ცოდვა ჩაიდინა და დასაღუპად გაიწირა? ქრისტემ, ვინც იუდეველთაგან წარმოიშვა, ამბობს: **დამიტევე მე** ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: რატომ მიატოვე ჩემი ნათესაობა, და ჩემი ხალხი, რომელმაც ამის გამო თავს ასეთი ბოროტება დაიტეხაო. ადამიანებმა უბრალო ხალხიდან, რომელნიც გაუნათლებელნი და წინასწარმეტყველთა წიგნებში განუსწავლელნი იყვნენ, ვერ გაიგეს ეს წამოძახილი რას ნიშნავდა და ჩათვალეს, რომ იგი ილიას უხმობდა; რადგან ყოველმა იუდეველმა როდი იცოდა წინასწარმეტყველთა წიგნებში რა ეწერა, ისევე როგორც ყოველმა ქრისტიანმა არც ახლა იცის სახარება. ძმარი იმიტომ შეასვეს, რომ მანამდე მომკვდარიყო, ვიდრე ელია მის საშველად მოვიდოდა. ამიტომაც თქვეს ზოგიერთებმა: მოიცა, ვნახოთ ელია თუ მოვა მის დასახსნელადო, ანუ ნუ დავაჩქარებთ მის სიკვდილს, რათა გავიგოთ ელია შეეწევა თუ არაო.

50-53. **ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული. და**

აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა. – იესომ ხმითა დიდითა მოუწოდა, რათა ვიცოდეთ, რომ, როცა ამბობდა: მაქვს ხელმწიფება დავდვა სული ჩემიო, ეს სიმართლე იყო და მართლაც, სული თვისი ძალაუფლებით განუტევა. და რა იყო ეს მოწოდება: „მამაო, ხელთა შენთა გადმოვცემ სულს ჩემსას“, თუ არა ის, რომ მან სული არა ძალდატანებით, არამედ ნებით განუტევა. ამას ნიშნავს სიტყვა „გადმოვცემ“, რომელიც იმასაც გვაჩვენებს, რომ რადგანაც ყოველი საწინდარი უკანვე ბრუნდება, იესო ფიქრობს, კვლავ მიიღოს იგი. მადლობა ღმერთს, რომ იმ დროიდან მოყოლებული, როცა იგი მოკვდა და სული მისი მამის ხელებს გადაეცა, წმინდანთა სულებიც ღმრთის ხელშია და არა ჯოჯოხეთის ჯურღმულთა შინა, როგორც ეს მანამდე იყო, რადგანაც ქრისტეს სიკვდილი ჩვენს მაკურთხეველად იქცა. ამიტომაც მოუწოდა ხმითა დიდითა სიკვდილს, რომელიც რომ არ მიეხმო, მასთან მისვლასაც ვერ გაბედავდა. კრეტსაბმელი(-ფარდა) ტაძრისა ტილოსი იყო, რომელიც ტაძრის შუაში ეკიდა და მსგავსად შუასაყარი კედლისა მის შიდა და გარე ნაწილებს ერთმანეთისგან ჰყოფდა. მისი გაპობით ღმერთმა გვაჩვენა, რომ ტაძრის შიდა შეუღწეველი და უხილავი ნაწილი, რომელსაც კრეტსაბმელი ფარავდა, ისე დამცირდებოდა და განადგურდებოდა, რომ ყველასათვის მისაწვდომი და სახილველი გახდებოდა. სხვები კიდევ ფარდის გაპობის სხვა მიზეზებს ასახელებენ. როგორც ისინი ამბობენ, გაპობილი ფარდა სჯულის ასოების, ე. ი. სიტყვა-სიტყვით გაგების გაუქმებას ნიშნავდა და აგრეთვე, იმასაც, რომ ყოველივე, რაც ადრე სჯულში ასოებით, ვითარცა რაღაც კრეტსაბმელით, იყო დაფარული, გაცხადდებოდა და მანამდე დაფარული და გამოუცნობი ახლა, ქრისტეზე აღსრულებისას, ნათელი გახდებოდა. იმის თქმაც შეიძლება, რომ მსგავსად იუდეველებისა, რომელთაც ჩვევად ჰქონდათ სამოსის შემოხევა ღმრთის გმობის მოსმენისას, ღმრთის ტაძარმაც ასევე შემოიხია სამოსელი თვისი – კრეტსაბმელი თითქოსდა ნიშნად ღმრთის სიკვდილზე გლოვისა. კიდევ შეიძლებოდა მოყვანა იმისა, ვინ რა თქვა, მაგრამ ესეც საკმარისია. მაშინ სტიქიებიც შეირყნენ თითქოსდა დასამოწმებლად იმისა, რომ შემოქმედი ევნებოდა და ამასთან, წარმოსაჩენად საქმეთა ცვლილებისა, რადგანაც წმინდა წერილში მიწისძვრა საქმეთა ცვლილების ნიშნადაა მიჩნეული. ასე მოხდა გადატანა ღმრთის მოხედვისა იუდეველთაგან წარმართებზე. და კლდენი, ანუ ქვის გულები წარმართებისა დასკდნენ და შეიწყნარეს თესლი ჭეშმარიტებისა; და ცოდვათაგან მოკვდინებულნიც აღდგნენ და წმინდა ქალაქში, ზეციურ იერუსალიმსა შინა შევიდნენ და მრავალთ, რომელნიც ფართო გზით დადიოდნენ, გამოეცხადნენ და ამ გამოცხადებით მათთვის კეთილი ცხოვრებისა და მოქცევის პირველსახედ იქცნენ. რადგან ის,

ვინც თავდაპირველად ვნებებით მოკვდინებულს, მაგრამ შემდეგ მოქცეულსა და ზეცის წმინდა ქალაქში შესულს იხილავს, ყოველმხრივ მიბაძავს მას და თვითონაც მოიქცევა. ასე რომ, ყოველივე ეს ფრიად დიდი დახვეწილობითაა მოფიქრებული. შენ კი შეიცან, რომ მკვდართა აღდგომა, რომელიც უფლის ჯვარცმისას მოხდა, ჯოჯოხეთსა შინა მყოფ სულთა განთავისუფლებასაც მოასწავებდა. მკვდრეთით აღმდგარნი მაშინ მრავალს გამოეცხადნენ, რათა ის, რაც მოხდა, მოჩვენებად არ ჩაეთვალათ. მაგრამ ისინი სასწაულისათვის აღდგნენ და ცხადია, რომ ისევ დაიხოცნენ. ზოგიერთები ამბობენ, რომ შემდგომად ქრისტეს აღდგომისა, ესენიც აღდგნენ და აღარ მომკვდარან, მაგრამ არ ვიცი, ეს აზრი უნდა შევიწყნაროთ, თუ არა.

54-56. **ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობისი და იოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ.** – სასწაულთა წყალობით, წარმართმა ასისთავმაც ირწმუნა იმათთან ერთად, ვინც იმ დროს იქ იყო. იუდეველები კი, რომელნიც წინასწარმეტყველებსა და სჯულს უსმენდნენ, ურწმუნოებად დარჩნენ. ასეთია ბოროტი მედიდურობა! შემდეგში ეს ასისთავი ქრისტესათვის ეწამა კიდეც. როცა ქალებმა იხილეს, რაც მოხდა, ეს თანაგრძნობის უნარით ყველაზე აღმატებული და გაკიცხული მოდგმა, სიკეთეთა განჭვრეტით ყველაზე ადრე დატკბა. ისინი მამაცურად იდგნენ მაშინაც კი, როცა მოწაფენიც გაიქცნენ. მარიამში – იაკობისა და იოსეს დედაში, მახარებელი ღმრთისმშობელს გულისხმობს, რადგან იაკობი და იოსე იოსების შვილები იყვნენ პირველი ცოლისაგან, რამდენადაც ღმრთისმშობელი იოსების ცოლად იწოდებოდა, შესაბამისად ამისა, იგი მისი შვილების დედადაც, ანუ დედინაცვლადაც მიიჩნეოდა. ზებედეს ძეთა დედას სალომე ერქვა: ამბობენ, რომ ისიც იოსების ასული იყო.

57-61. **და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუჲსა. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუჲსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას.** – იოსებმა, რომელიც მანამდე არ ჩანდა, ახლა დიდი საქმე გაბედა, მოძღვრის სხეულისათვის სული თვისი დადო და ასე მძიმე ბრძოლა იუდეველებთან თავის თავზე აიღო. ვითარცა დიდი საჩუქარი, პილატემ სხეული ისე მისცა მას, რადგან, რაკიღა ქრისტე, როგორც მეამბოხე, ისე იქნა მოკლული, ამიტომ მისი გვამიც დაუმარხავად უნდა გდებულიყო. მაგრამ იოსები მდიდარი იყო და როგორც ჩანს, პილატეს ოქროც მისცა. როცა მან

გვამი მიიღო, გააპატიოსნა და ახალ სამარხსა შინა დაასვენა, სადაც ჯერ არავინ დაეკრძალათ. ესეც ღმრთის განგებულებით მოხდა, რათა შემდგომად უფლის აღდგომისა ვინმეს არ ეთქვა, რომ სხვა მკვდარი აღდგა, რომელიც იქ მანამდე იყო დაკრძალული. ამიტომაც იყო საფლავი ახალი. მარიამ მაგდალენელი და სხვა მარიამი, ანუ ღმრთისმშობელი, რომელსაც მახარებელმა ზემოთ იოსესა და იაკობის დედა უწოდა, საფლავის წინ ისხდნენ და მტრის სიცოფის ჩაწყნარებას ელოდებოდნენ, რათა სხეულს მოხვეოდნენ და მისთვის მირონი ეცხოთ. ამგვარ დედათა შესახებ თქვა ესაიამ: **დედანი მომავალი ხილვისაგან მოვედით, რამეთუ არა ერი არს მქონებელი გულისჴმის-ყოფისა**(ეს.27,11). ცხადია, რომ სიტყვებს **არა არს მქონებელი გულისჴმის-ყოფისა** იგი იუდეველებზე ამბობს, რომელთაც უფალი ჯვარს აცვეს; ხოლო დედებს მოუწოდებს, დატოვონ ეს უგუნური ხალხი, მოციქულებთან მივიდნენ და მათ აღდგომის შესახებ ახარონ.

62-66. **ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჯრეს პირველისა. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.** – შაბათ დღეს შაბათს არ უწოდებს, რადგან იუდეველთა ბოროტების მიხედვით თუ განვსჯით, ის არც იყო შაბათი. მაშინ, როცა სჯული ამბობდა, რომ შაბათ დღეს თავისი ადგილიდან არავინ უნდა დაძრულიყო, უსჯულო იუდეველები, ნაცვლად კანონიერი(სჯულისმიერი) კრებისა, უცხოტომელ პილატესთან შეიკრიბნენ. ისინი პილატესთან თავიანთი ბოროტებით აღძრულნი მივიდნენ და საფლავის დაცვა მოითხოვეს. ესეც ღმრთის განგებულებაა, რომ აღდგომა დაბეჭდული და დაცული საფლავიდან მტრების დამოწმებით უნდა მომხდარიყო. გამოკვლევის ღირსია: საიდან იცოდნენ იუდეველებმა, როცა თქვეს, რომ იგი მესამე დღეს აღდგებოდა? უფალს ეს პირდაპირ და დაუფარავად არსად უთქვამს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ ეს იონას მაგალითისაგან შეიცნეს, რადგან ქრისტეს ნათქვამი ჰქონდა: მეც ისევე ვიქნები წიაღსა შინა მიწისა, როგორც იონა იყო სამი დღე ვეშაპის მუცელში(მთ.12,40). ან კიდევ ამ სიტყვებიდანაც: **დაარღვიეთ ტაძარი ესე**, მაშინ ისინი ვერ მიხვდნენ, რა თქვა და ჩათვალეს, რომ ამას იუდეველთა ტაძრის შესახებ ამბობდა და ამის გამო ბრალიც კი დასდეს. ახლა კი, როცა შეიცნეს, რომ ტაძარს საკუთარ სხეულს უწოდებდა, დაშინდნენ და მაცდური უწოდეს, რომელიც ბოროტებას სიკვდილის შემდგომაც კი არ თმობდა. დასს[27] რომაელები მცველებს უწოდებდნენ;

[27] დედნის koustwdía-ს ლათინური ენიდან მომდინარეობს, სადაც კუსტოდია დაცვას, შეიარაღებულ მაშველთა რაზმს ნიშნავს. გიორგი მთაწმინდელმა ამ სიტყვას ქართულად დ ა ს ი მიუსადაგა.

აქედან გამომდინარე, მახარებელი დასს საფლავის მცველებად დადგენილ მეომრებს უწოდებს.

თავი XXVIII

1-8. **ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის. და აჰა ძრვაჲ იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ ვითარცა თოვლი. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი. და ადრე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და აჰა წინა-გიძღჳს თქუენ გალილეას. მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქუენ. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.** – **მწუხრი შაბათისა** იგივეა, რაც ლუკას მიერ ნათქვამი **ცისკარსა მსთუად** და მარკოზის – **აღმოსლვასა ოდენ მზისასა,** რადგან აქ მზეში დილის მზის სხივები უნდა ვიგულისხმოთ. ღამის მერვე საათის დადგომისას დასაბამი ედება მეორე დღეს და როგორც ფიქრობენ, დილა დგება.ამიტომაც მაშინ, ერთი მხრივ, შაბათის საღამო იყო, ხოლო მეორე მხრივ, დასაწყისი უფლის დღისა, რომელსაც მახარებელი ერთშაბათს უწოდებს, რადგანაც შვიდეულის დღეებს შაბათები ეწოდებოდათ; ერთს კი ანუ პირველს, რომელიც უფლის დღეა, – ერთშაბათს ანუ პირველს შვიდეულის დღეებიდან. პირველის უახლოეს დღეს მეორეს უწოდებდნენ, შემდეგს – მესამეს და ა. შ. დანარჩენებსაც. უფალი მაშინ აღდგა, როცა საფლავზე ჯერ ისევ ლოდი იდო. მისი აღდგომის შემდეგ, ანგელოზი მოვიდა, რათა ლოდი გადაეგორებინა და დედებისათვის სამარხში შესასვლელი მიეცა. მიწისძვრა კი იმიტომ მოხდა, რომ მცველებს გაღვიძებოდათ და მომხდარის სიახლე შეეცნოთ. ამგვარად, უფალი მესამე დღეს აღდგა. როგორ გამოითვლება ეს სამი დღე? პარასკევს, მეექვსე ჟამზე ჯვარზე გააკრეს, აქედან ვიდრე ცხრამდე სიბნელეა. ეს დრო ჩემთან ერთად ღამედ ჩათვალე. შემდეგ, ცხრიდან უკვე სინათლეა, ესეც დღე, და აი, დღე-ღამეც. შემდეგ, პარასკევის ღამე და შაბათის დღე – ესეც მეორე დღე-ღამე და ისევ შაბათის ღამე და დილა უფლის დღისა, რომელიც მათესთან ასე იხსენიება: **რომელი განთენდებოდა ერთშაბათად**, რადგან დილა მთელ დღედ ითვლება; აჰა, ესეც მესამე დღე-ღამე. სამი დღე-ღამის გამოთვლა სხვაგვარადაც შეიძლება: პარასკევს უფალმა სული მიაბარა – ეს ერთი დღე, შაბათს საფლავსა შინა ესვენა – ეს მეორე დღე, ხოლო უფლის დღის(კვირის) ღამეს აღდგა, მაგრამ ცალკე უფლის დღეც სხვა დღედ ითვლება, ასე რომ,

აი, სამი დღეც. ასევე ითქმის გარდაცვლილებზეც, უკეთუ ერთი დღის ათ საათზე მოკვდა, ხოლო მეორე იმავე დღის პირველ საათზე, ისინი ერთსა და იმავე დღეს გარდაცვლილებად ითვლებიან. სხვა საშუალებაც მაქვს, შენ რომ გითხრა, სამი დღე და სამი ღამე როგორ გამოითვალო. აბა, მომისმინე! ხუთშაბათ საღამოს უფალმა სერობა აღასრულა და მოწაფეებს უთხრა: **მიიღეთ და ჭამეთ ხორცი ჩემი**, რადგანაც ძალაუფლება ჰქონდა სული თვისი თავისივე ნებით დაედო; ცხადია, რომ რაკიღა მოწაფეებს ხორცი შესთავაზა, მას უკვე თავისი თავი დაკლული ჰყავდა, რადგან ვერავინ შეჭამს რამეს, თუ იგი ჯერ არ დაიკლა. გამოიანგარიშე! საღამო საკუთარი ხორცის დარიგებისა, იგივე ღამე და პარასკევი დღე ვიდრე მეექვსე ჟამამდე, – აჰა ერთი დღე-ღამე; შემდეგ მეექვსე ჟამიდან სიბნელე მეცხრემდე და მეცხრედან სინათლე ვიდრე საღამომდე – მეორე დღე-ღამე. პარასკევის შემდგომი ღამე და შაბათი დღე – ესეც სამი დღე-ღამე. შაბათ ღამეს კი უფალი აღდგა: აჰა, სრული სამი დღე-ღამე. ანგელოზის შესახებ მათე ამბობს, რომ იგი ლოდზე იჯდა, მარკოზი კი, გადააგორა რა ლოდი, სამარხის შიგნით, მარჯვენა მხარეს დაჯდაო. ერთმანეთის საწინააღმდეგო რამეს ხომ არ ამბობენ? რა თქმა უნდა, არა. როგორც ჩანს, თავიდან ანგელოზი დედებს ლოდზე მჯდარი ეჩვენა, ხოლო შემდეგ, როცა შევიდნენ, წინ წარუძღვა მათ და შიგნით ისევ გამოეცხადათ, ოღონდ უკვე სამარხის მარჯვენა მხარეს მჯდომარე. მან დედებს უთხრა: **ნუ გეშინინ თქუენ**, ანუ შიშის ღირსნი მცველები არიან, ხოლო თქვენ, უფლის მოწაფეებს, ნუ გეშინიათ. ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი შიშისაგან გაათავისუფლა, აღდგომის შესახებ ახარა, რადგან ვიდრე ახარებდა, ჯერ შიშის განდევნა იყო საჭირო. ანგელოზს არ რცხვენია უფალს ჯვარცმული უწოდოს, რადგანაც ჯვრით, ვითარცა ნაალაფევით,[28] რომელიც ჩვენ ყოველგვარ სიკეთეს გვანიჭებს, თავი მოაქვს კიდეც.

9-10. და ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა იესუ შეემთხუა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერჴთა მისთა და თაყუანის-სცეს მას. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარით ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე. – უფალი დედებს მიმართავს: **გიხაროდენ**! რადგანაც ქალთა მოდგმას სასჯელად მწუხარება ერგო, უფალმა თავისი აღდგომით სიხარული მიანიჭა და აკურთხა იგი. დედები კი ფეხებზე დიდი მოკრძალებითა და პატივით იმიტომაც მოეხვივნენ, რომ მორიდების გამო მისი სხეულის სხვა ნაწილთა შეხება, გარდა კიდურებისა, ვერ გაბედეს. ზოგიერთის თქმით, ისინი ფეხებზე განზრახ ეხვეოდნენ, რათა გაეგოთ ჭეშმარიტად აღდგა, თუ ეჩვენებოდათ, ან კიდევ სული ხომ არ იყო, რადგან მაინც ფიქრობდნენ, რომ სულია. ამგვარად, მის ფეხებს ორივე მარ-

[28] დედანშია τὸ τρόπαιον, რაც სიტყვა-სიტყვით გამარჯვების აღსანიშნავად აღმართულ ძეგლს ნიშნავს. ჩვეულებრივ იგი წარმოადგენდა მტრისთვის წართმეულ აბჯრებს, ან ბრძოლის ველზე ერთგროვად შეკრებილს, ან სვეტზე მიკრულს.

იამი შეეხო. იოვანეს მიხედვით კი, თუმცა მარიამ მაგდალენელი ცდილობდა შეხებოდა, მაგრამ ამის ნება თვითონ უფალმა არ მისცა, რამეთუ მას, ისევე როგორც ადრე, მუდმივად მასთან ყოფნა სურდა, ან, უფრო სწორად იოვანეს მიხედვით, იგი მასთან შესახებად უფალმა იმიტომაც არ მიუშვა, რომ ზედმეტად ჩათვალა. რამდენადაც, როგორც მათე ამბობს, მარიამი მის ფეხებს უკვე შეეხო, ამდენად, კვლავ შეხება რაღა საჭირო იყო? ამიტომ, რადგანაც ეს ზედმეტი იყო, აღარ მიუშვა.

11-15. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღედმდე. – მცველებმა ყველაფერი თქვეს: ის, რომ მიწისძვრა მოხდა, ისიც, რომ ლოდი თავისით გადაგორდა და ისიც, რომ შიშისაგან კინაღამ დაიხოცნენ, მაგრამ იუდეველები გონს ვერც ჯვარზე წამების მომხდარმა სასწაულებმა და ვერც მეომართა დამოწმებამ იმ შიშისმომგვრელ სანახაობაზე, რაც მათ საფლავთან იხილეს, ვერ მოიყვანეს; პირიქით, მათ ვერცხლისმოყვარეობის თავიანთი სენით მეომრებიც დააავადეს და დაარწმუნეს ისინი, რომ ეთქვათ ის, რაც ყველაზე დიდი უსჯულოება და უგუნურება იყო: გვამი მოიპარესო. ჰოჲ, უგუნურნო, მოწაფენი, რომელნიც შიშით ჩაიკეტნენ და გარეთ გამოსვლას საერთოდ ვერ ბედავდნენ, გვამს როგორღა მოიპარავდნენ? ხოლო უკეთუ მართლა მოიპარეს, შემდეგში მისთვის როგორღა მოკვდნენ და ქადაგებდნენ რა აღდგომას, სიცრუისათვის როგორღა ეწამნენ?

16-20. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, საცა უბრძანა მათ იესუ. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნიმე შეორგულდეს. მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. – იოვანეს მიხედვით, იესო მოწაფეებს პირველად აღდგომის დღეს გამოეცხადა, როცა კარები დახშული იყო; შემდეგ მერვე დღეს, როცა თომამაც ირწმუნა; შემდეგ, როცა მათ გალილეაში წასვლა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ყველანი ერთად შეკრებილნი ჯერ კიდევ არ იყვნენ, და ზოგიერთი მათგანი ტიბერიადის ზღვაში თევზაობდა, მაშინ მხოლოდ იმათ გამოეცხადა, რომელნიც თევზაობდნენ და ესენი იყვნენ შვიდნი. რასაც ახლა მათე გადმოსცემს, იგი შემდგომად იმისა მოხდა, რის შესახებაც იოვანე გვიყვება, რად-

გან ორმოცი დღის განმავლობაში ხშირად ეცხადებოდათ, წარმოუდგებოდათ და დაშორდებოდათ, ისე რომ ყოველთვის და ყველგან მათთან არ ყოფილა. ამგვარად, თერთმეტმა მთავარმა მოციქულმა, ყველა თავისი მიმდევრით ქრისტეს თაყვანი სცა. **რომელნიმე შეორგულდესო**(შეეჭვდნენო), თქვა ნაცვლად იმისა, ეთქვა: **სხვები** დაეჭვდნენო, რაც, როგორც ჩანს, ასე უნდა გავიგოთ: გალილეაში თერთმეტი მოწაფე წავიდა და მას თერთმეტივემ თაყვანი სცა. ხოლო ზოგიერთნი ანუ სხვანი, ალბათ, სამოცდაათთაგანნი, ქრისტეში დაეჭვდნენ, თუმცა საბოლოოდ მათაც მტკიცედ ირწმუნეს. ზოგიერთს კი ეს ასე ესმის, რომ მათემ მაინც თავი აარიდა იმის თქმას, ვინ იყვნენ ზოგიერთები, რომელნიც დაეჭვდნენ, მაგრამ რასაც მან თავი აარიდა, იოვანემ თქვა, სახელდობრ, რომ თომა იყო ის, ვინც დაეჭვდა. შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ ეჭვი ყველას გასჩენოდა, როგორც ამას ლუკა გვეუბნება. შენ კი ეს ასე უნდა გაიგო, რომ გალილეაში მისულებმა ქრისტეს თაყვანი სცეს, მაგრამ მათ, რომელთაც თაყვანი სცეს, ადრე იერუსალიმში ეჭვი შეიტანეს, ვითარცა ეს ლუკამ გვაუწყა. იესო მათ ეუბნება: **მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა**, რაც ნიშნავს: თუმცა ვითარცა ღმერთსა და შემოქმედს ძალაუფლება ყოველთა ზედა ყოველთვის მქონდა, როგორც ამას ღმერთის მიმართ დავითი ამბობს: **ყოველივე შენ გმსახურებს**(ფს.118,91). მაგრამ ნებით დამორჩილებულნი არ მყოლია; ახლა კი, როცა ჯვრის მეშვეობით სიკვდილის მეუფებაზე გავიმარჯვე, ვფიქრობ, ყოველივე დამემორჩილება. მორჩილება ხომ ორგვარია: უნებური, რომლის მიხედვითაც ყველანი ღმრთის მონანი და მორჩილნი ვართ, თვით დემონებიც კი, და ნებსითი, ვითარცა, მაგალითად, პავლე იყო მონა ქრისტესი. ადრე, როცა ყველა მხოლოდ უნებურად ემორჩილებოდა, მაცხოვარსაც თითქოს ყოველთა ზედა ნახევარი ძალაუფლება ჰქონდა; ხოლო შემდგომად ჯვარცმისა, როცა ღმრთის შემეცნება ყველასათვის მისაწვდომი გახდა და, როცა ყოველი ნებაყოფლობითი მორჩილებით დაემორჩილა, ქრისტე სამართლიანად, ამბობს: **მომეცა ყოველი ჴელმწიფებაჲ**, რადგან უკეთუ ადრე ჩემი ძალაუფლება ნაწილობრივი იყო, რაკიღა ვითარცა შემოქმედს, მხოლოდ უნებურად მემორჩილებოდნენ, ახლა, როცა ადამიანები შეგნებულად მემსახურებიან, მე უკვე სრული და მთლიანი ძალაუფლება მაქვს. და ვისგან მიეცა? საკუთარი თავისა და თვისი სიმდაბლისაგან, რადგან, რომ არ დამდაბლებულიყო და მოწინააღმდეგეს ჯვრით არ შებმოდა, მაშინ ვერც დაგვიხსნიდა. ასე რომ, **მომეცა ჴელმწიფება** ასე გაიგე: ადამიანები საკუთარი ღვაწლითა და ბრძოლით დავიხსენი და ისინი ჩემს წილხვედრად, რჩეულ ხალხად იქცნენ. ამგვარად, უფალს ძალაუფლება მთელს ქვეყანასა ზედა იმიტომაც აქვს, რომ მთელმა ქვეყანამ შეიცნო იგი, ხოლო ცათა შინა იმიტომ, რომ მორწმუნეთა ჯილდოცა და მათი სამკვიდრებელიც ცათა შინაა. მეორე მხრივ, რამდენადაც კაცობრივი ბუნება ადრე განსჯილი, ხოლო შემდეგ სიტყვა ღმერთთან ჰიპოსტასურად შეერთებული, ცათა შინა ზის და ანგელოზთაგან თაყვანისცემას

იღებს, სამართლიანად ამბობს: **მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა**, რადგან კაცობრივი ბუნება, რომელიც ადრე მსახური იყო, ახლა ქრისტეში ყოველთა ზედა მეუფებს. მოკლედ რომ ვთქვათ, უკეთუ სიტყვებს: **მომეცა მე ჴელმწიფებაჲ**, ვითარცა სიტყვა ღმერთისაგან თქმულს, ისე მიიღებ, რომ: **მომეცა ყოველი ძალაუფლება**, რადგანაც ყველამ, რომელიც უწინ მხოლოდ უნებლიე მორჩილების გამო მემსახურებოდა, ახლა ნებსით თუ უნებლიეთ, ღმერთად შემიცნო. ხოლო უკეთუ ამ სიტყვებს კაცობრივი ბუნებისაგან ნათქვამად შეიწყნარებ, მაშინ ასე გაიგე: მე, ადრე განსჯილმა ბუნებამ, რომელიც ძე ღმრთისას შეურწყმელად შევუერთდი და ღმერთ ვიქმენ, ძალაუფლება მივიღე ყოველთა ზედა, ამგვარად, ცათა შინა თაყვანს ანგელოზები მცემენ, ხოლო ქვეყანასა ზედა კიდით კიდემდე ვიდიდები. ამიტომაც უფალი თავის მოწაფეებს მხოლოდ იუდეველებთან როდი გზავნის; არამედ, რამდენადაც მან ძალაუფლება ყოველთა ზედა მიიღო და კაცობრივი ბუნება თავის თავში აკურთხა, ამიტომაც მართებულად გზავნის მათ ყველა ხალხთან და მათ მონათვლას მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით ავალებს. მაშ, რცხვენოდეთ არიოზსა და საბელიოზს, არიოზს იმიტომ, რომ ქრისტემ მონათვლა არა **სახელებით**, არამედ **სახელით** მოითხოვა, მაშინ, როცა სახელი სამივეს ერთი აქვს – ღმრთეება; ასე რომ, ერთი ღმერთია სამი. ხოლო საბელიოზს იმიტომ, რომ უფალმა სამი პირი ახსენა და არა ერთი, რომელსაც როგორც ამის შესახებ საბელიოზი ცუდადმეტყველებდა, თითქოს სამი სახელი ჰქონდა და ხან მამად, ხან ძედ და ხან კიდევ სულიწმიდად იწოდებოდა. უფალმა კი სამი პირი ახსენა, რომელთაც ერთი სახელი აქვთ – ღმერთი. შემდეგ: რამდენადაც მხოლოდ მონათვლა საკმარისი არაა, შემდგომად მონათვლისა, კეთილ საქმეთა ქმნაა საჭირო, ამიტომაც ამატებს: ასწავლეთ მათ დაცვა ყოველივესი, რაც მე თქვენ გამცნეთ, ე. ი. არა დაცვა ერთისა, ან ორისა, არამედ ყველა ჩემი მცნებისა. შეგვაკრთოს, ძმანო, გააზრებამ იმისა, რომ ერთი მათგანიც რომ დაგვრჩეს შეუსრულებელი, ქრისტეს სრულყოფილი მონები ვეღარ ვიქნებით, რადგან ჩვენ ყოველი მათგანის დაცვა მოგვეთხოვება. ყურადღება მიაქციე ნათქვამს უფლისა, როგორ მოიცავს იგი ორივე თავს ქრისტიანობისა – ღმრთისმეტყველებასა და კეთილ საქმეთა მსახურებას. რადგან, როცა გვითხრა, რომ საჭიროა ნათლობა სამების სახელით, ღმრთისმეტყველება გადმოგვცა, ხოლო როცა თქვა, რომ საჭიროა სწავლება და დაცვა მცნებებისა, კეთილ საქმეთა მსახურებისკენ წარგვმართა. გზავნის რა მოწაფეებს წარმართებთან, სადაც მათ სიკვდილი და საფრთხე ელოდებოდათ, თანაც ამხნევებს და ეუბნება, რომ არ შეშინებოდათ, რადგან თვითონაც მათთან იქმნებოდა, **ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა**. ისიც ნახე, როგორ შეახსენებს აღსასრულის შესახებ, რათა ისინი საფრთხეთა კიდევ უფრო არად ჩაგდებისათვის განაწყოს(წააქეზოს). დაითმინეთო, – ეუბნება, რადგან დასასრული ყოველივეს ექნება, ამქვეყნიური მწუხარება იქნება ეს თუ კეთილდღეობა; ამიტომ ნურც მწუხარებასა შინა დაეცემით, რამეთუ

გაივლისო იგი და ნურც კეთილდღეობასა შინა ცდუნდებითო, რადგან ისიც დასრულდება. მხოლოდ მოციქულებს როდი აღუთქვა მათთან ყოფნა, არამედ საერთოდ ყველა მის მოწაფეს, რადგან უეჭველია, რომ მოციქულები ქვეყნის აღსასრულამდე ვერ იცხოვრებდნენ. ასე რომ, ეს აღთქმა ყველას ეკუთვნის, ჩვენც და იმათაც, რომელნიც ჩვენს შემდეგ იქნებიან. მაგრამ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენთან მხოლოდ აღსასრულამდე იქნება, ხოლო შემდგომად აღსასრულისა, განგვშორდება. არა! პირიქით, მაშინ მისი ჩვენთან ყოფნა კიდევ უფრო ცხადი და ნათელი გახდება, რადგან სიტყვა **ვიდრე**(ἕως) წმინდა წერილში, სადაც კი გვხვდება, არ გამორიცხავს იმას, რაც შემდეგ უნდა იყოს.

ამგვარად, ვმადლობდეთ უფალს, რომელიც აქაც ჩვენთანაა და ყოველგვარ სიკეთეს გვანიჭებს და აღსასრულის შემდგომაც კვლავ ჩვენთან იქნება კიდევ უფრო მეტი სრულყოფილებით და აქ დავასრულოთ ჩვენი განმარტება სადიდებელად იმისა, რომელსა შვენის ყოველგვარი მადლობა, დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

წმიდა ბასილი დიდი,
მთავარეპისკოპოსი კესარია-კაპადოკიისა

ძმას გრიგოლს, არსისა და ჰიპოსტასის ერთმანეთისაგან გარჩევის შესახებ[1]

1. ვინაიდან მრავალნი საიდუმლო დოგმატებში არსს (οὐσία) საერთოდ და გაგებას ჰიპოსტასთა (ὑποστάσεων) ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, მათ მნიშვნელობას (ὑπονοία) ერთმანეთს ამთხვევენ და ფიქრობენ, რომ ერთი და იგივეა, რას იტყვი: არსს თუ ჰიპოსტასს (აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა იმათგან, ვინც ამ ტერმინებს გამოუძიებლად (ἀνεξετάστως) იყენებს, დაიწყო მტკიცება, რომ, რადგანაც არსი ერთია, ერთია ჰიპოსტასიც და პირიქით, რომელნიც სამ ჰიპოსტასს აღიარებენ, შესაბამისად ამ აღიარებისა, ფიქრობენ, რომ არსის გაყოფაც (διαίρεσιν) ამ რიცხვის თანაბრად უნდა დადგინდეს). ამიტომ, შენც რომ მსგავსი რამ არ დაგემართოს, ამის შესახებ სამახსოვროდ მოკლე სიტყვა შეგიდგინე. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ტერმინთა აზრი (ἔννοια) ასეთია:

2. სახელთაგან ერთ ნაწილს, რომელიც მრავალსა და რიცხობრივად დაყოფილ საგნებს ეწოდება, რამდენადმე უფრო ზოგადი მნიშვნელობა (σημασίαν) აქვს, როგორც მაგალითად სახელს **ადამიანი**. მიუთითა რა საერთო ბუნებაზე, მის წარმომთქმელს ხომ ამ სიტყვით ვინმე ერთი ადამიანი, რომელიც საკუთრივ ამ სახელით იქნებოდა ცნობილი, არ შემოუსაზღვრავს, რადგან პეტრე არაა უფრო მეტად ადამიანი, ვიდრე ანდრია, იოვანე ან იაკობი. ამიტომ ერთიანობა (κοινότης) აღნიშნულისა (σημαινομένου), ერთნაირად ვრცელდება რა ყველაზე, რომელიც კი ამ სახელის ქვეშ თავსდება, [ქვეთვისებებად] დაყოფას (ὑποδιαστολῆς) საჭიროებს, რის შედეგადაც არა საერთოდ ადამიანს, არამედ პეტრეს ან იოვანეს შევიცნობთ.

სახელთაგან სხვებს საკუთარი მნიშვნელობა აქვთ, რომლის მიერაც არა აღნიშნულის ბუნების ზოგადობაა (κοινότης) განჭვრეტილი, არამედ რომელიმე საგნის მოხაზულობა (περιγραφή) მისი საკუთარი (განმასხვავებელი) თვისების მიხედვით, რომელსაც ერთგვაროვან საგანთან საერთო არაფერი აქვს; როგორიცაა, მაგალითად, სახელები პავლე და ტიმოთე. რადგან ამგვარი გამოთქმა საერთო ბუნებას კი არ მიემართება, არამედ სახელთა მიერ ზოგიერთი განსაზღვრული საგნის სახეს (ἔμφασις) წარმოაჩენს და მათ კრებითი მნიშვნელობის მქონეთაგან გამოყოფს.

ამიტომ, როცა საუბარია ორზე ან მეტზე, მაგალითად, პავლეზე, სილუ-

[1] **Y. Courtonne, Saint Basile. Letters, 3 vols., Paris: Les Belles Lettres, 1:1957; 2:1961; 3:1966: 1:3-219; 2:1-218; 3:1-229. TLG, Epistulae {2040.004}. 38.** GRHGORIW ADELFW PERI DIAFORAS OUSIAS KAI UPOSTASEWS.

ანესა და ტიმოთეზე, მაშინ ადამიანთა არსის შესახებ ცნების კვლევაა საჭირო, რადგან ვერავინ მოგვცემს სხვა ცნებას პავლეს არსისა და სხვას – სილუანესი და სხვას ტიმოთესი, არამედ ის სიტყვები, რომელნიც პავლეს არსს წარმოაჩენენ, სხვებსაც შეეფერებიან, რამდენადაც არსის ერთი ცნების ქვეშ შემოკრებილნი, ერთმანეთთან მიმართებაში ერთარსნი (ὁμοούσιοι) არიან.

როცა ის, ვინც საერთო[2] შეისწავლა, კერძოს, ანუ იმის განხილვისკენ მიიქცევა, რა განასხვავებს ერთს მეორისაგან, აღმოჩნდება, რომ ერთის შემმეცნებელი ცნება მეორისას მთლიანად არ დაემთხვევა, თუმცა რაღაც საერთოც ექნებათ.

3. ამგვარად ვამტკიცებთ, რომ საკუთრივ სახელდებული ტერმინით **ჰიპოსტასი** გამოიხატება. რადგან წარმომთქმელმა განუსაზღვრელი მნიშვნელობის სიტყვისა **ადამიანი**, რაღაც ფართო აზრი (διανοίαν) სმენას ისე გადასცა, რომ ამ სახელისაგან ბუნება განცხადდა, მაგრამ მისდამი დაქვემდებარებული, საკუთრივ სახელდებული საგანი არ აღინიშნა. ხოლო წარმომთქმელმა სიტყვისა **პავლე,** საგნით, რომელსაც ეს სახელი აღნიშნავს, სათანადო ბუნებაზე მიუთითა. ამგვარად, **ჰიპოსტასი** არის არა განუსაზღვრელი ცნება (ἔννοια) არსისა, რომელიც აღსანიშნის ზოგადობის გამო, რაზეც უნდა შეჩერდეს, ვერ პოულობს, არამედ იგი რომელიმე საგანში საერთოსა (τὸ κοινόν) და განუსაზღვრელს (ἀπερίγραπτον) წარმოაჩენს და შემოსაზღვრავს. ჩვეულებრივ, ასე იქცევა წმინდა წერილი მრავალ შემთხვევაში და მათ შორის იობის ისტორიაშიც. რადგან შეუდგა რა თხრობას მის შესახებ და მოიხსენია რა პირველად ზოგადი და თქვა: **ადამიანი,** მყისვე გამოყო მისი განსაკუთრებულობით, როცა დაურთო სიტყვა **ვინმე** (τις), ხოლო არსის აღწერას, როგორც სრულიად უსარგებლოს სიტყვას დაქვემდებარებული მიზნისათვის, გვერდი დუმილით აუარა. ცნება **ვინმე**-ს საკუთარი თვისებებით გამოსახავს: ასახელებს ადგილს, ხასიათის თავისებურებებსა და გარედან აღებულ ყველა იმ ნიშანს, რომლითაც საერთო მნიშვნელობიდან მისი გამოყოფა და გამორჩევა სურს, რათა აღწერილობა პირისა, ვის შესახებაც მოგვითხრობს, ყოველმხრივ ცხადი გახდეს: სახელითაც, ადგილითაც, სულიერი თვისებებითაც და იმითაც, რაც მის შესახებ გარედან იხილვებოდა.

ამიტომ, მას რომ ბუნების განმარტებისას არსის ცნება გადმოეცა, ხსენებაც არ იქნებოდა იმისა, რაც ნათქვამია, რადგან იმავე ცნებას მივიღებდით, რაც ვალდად სავქიელსა, სოფარ მინეელსა და, საერთოდ, იქ მოხსენიებულ კაცთაგან ყოველ მათგანზე გვაქვს. ამგვარად, ცნება, რომელიც შენ არსსა და ჰიპოსტატს შორის სხვაობის შესახებ შეიცანი, ღმრთეებრივ დოგმატებზე გადაიტანე და არ შესცოდავ. რასაც შენ ოდესმე მამის არსებაზე (τὸ εἶναι) შენი აზრი წარმოგიდგენს (რადგან ერთ ცალკეულ აზრზე განმტკიცება სულს, დარწმუნებულს იმაში, რომ ეს არსება ყველა აზრზე მაღლა

[2] ერთარსის მქონე საგანთა საერთო თვისებები იგულისხმება (მთგ.)

დგას, არ შეუძლია), იგივე მოიაზრე ძისა და სულიწმიდის შესახებაც. ცნება შეუქმნელობისა და მიუწვდომელობისა მამასა, ძესა და სულიწმიდასთან მიმართებით ერთი და იგივეა. არც ერთი მათგანი არაა უფრო მიუწვდომელი, უფრო შეუქმნელი და უფრო მცირე მეორესთან შედარებით. მაგრამ როცა სამებაში შეურწყმელი სხვაობის განმასხვავებელი ნიშნებით წარმოდგენა ხდება საჭირო, მაშინ სხვაობის განსაზღვრისათვის, ვიღებთ არა საერთოდ წარმოსადგენს, როგორიცაა, მაგალითად, შეუქმნელობა (ἄκτιστος), ან ყოველთა ზედა მპყრობელობა, ან სხვა რამ ამის მსგავსი, არამედ ვეძიებთ იმ ერთს, რომლის მიერაც ცნება (ἑνιοῦται) თითოეულისა ერთად წარმოსადგენს ნათლად (τηλαυγῶς) და შეურწყმელად (ἀμίκτως) გამოეყოფა.

4. ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ამ ცნებას ამგვარად გამოვიძიებთ. ყოველივე კეთილს, რომელიც ჩვენზე ღმრთის ძალისაგან გადმოდის, ყოველს, მადლის წარმომქმნელს ყოველსავე შინა, ენერგიას ვუწოდებთ, როგორც ამას მოციქული ამბობს: **ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს** (1კორ.12,11). ვისწავეთ რა, რომ გაცემა კეთილთა (ἡ τῶν ἀγαθῶν χορηγία) სათავეს მხოლოდ სულისაგან წმიდისა იღებს და ღირსეულთა ზედა ამგვარად გარდამოდინდება, ისევ წმინდა წერილის წინამძღვრობით გვწამს, რომ წარმმართველი და მიზეზი კეთილთა გაღებისა, რაც ჩვენში სულიწმიდის მოქმედებით მჟღავნდება, მხოლოდშობილი ღმერთია. რადგან, როგორც ამას წმინდა წერილი გვასწავლის: **ყოველივე მის მიერ შეიქმნა** (ინ.1,3) და **მის მიერ დამტკიცნა** (კოლ.1,17). რაჟამს ამ აზრამდე ვმაღლდებით, ამაღლებულნი ისევ ღმრთივსულიერი წინამძღოლობით ვსწავლობთ, რომ თუმცა უმყოფობიდან ყოფიერებაში (ἐκ τοῦ μὴ ὄντος εἰς τὸ εἶναι) ყოველივე ამ ძალის მიერ მოიყვანება, დაუსაბამო არც ისაა[3], არამედ არის რაღაც ძალა, დაუბადებლად და დაუსაბამოდ არსებული, რომელიც ყოველთა არსებულთა მიზეზის მიზეზია (αἰτία τῆς ἀπάντων τῶν ὄντων αἰτίας), რამეთუ მამისაგან არის ძე, რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა და რომელთანაც მარადის განუშორებლად მოიაზრება სულიწმიდა. წარმოდგენაც კი არ შეიძლება ძისა გარეშე სულიწმიდის ნათლისა.

ამგვარად, რამდენადაც სულიწმიდას, რომელიც ქმნილებაზე კეთილის ყოველგვარ გაღებას აწყაროებს, შეერთებულს ძესთან, ვისთან ერთადაც განუყრელად (ἀδιαστάτως)მოიაზრება და მიზეზზე, კერძოდ, მამაზე, რომლისგანაც გამოვალს (ἐκπορεύεται), დამოკიდებული ყოფიერება აქვს, ამდენად მისი ჰიპოსტასური სხვაობის შემმეცნებელი ნიშანი ისაა, რომ ძის მიერ და მასთან ერთად (μετὰ τὸν Υἱὸν καὶ σὺν αὐτῷ) შეიმეცნება და ყოფიერება მამისაგან აქვს. ხოლო ძე, რომელიც მამისაგან გამომავალი სულის შემეცნებას თავისი თავის მიერ და თავის თავთან ერთად (διὰ ἑαυτοῦ καὶ μεθ᾽ αὐτοῦ) იძლევა, დაუბადებელი ნათლისაგან ერთი – მხოლოდშობილი ბრწყინვალებაა

[3] იგულისხმება დასაბამობა მიზეზობრიობის თვალსაზრისით (მთგ.)

და საკუთარი განმასხვავებელი ნიშნებით არაფერი აქვს საერთო არც მამასა და არც სულიწმიდასთან, არამედ ამ ნიშნებით მხოლოჲ იგი შეიცნობა. **ყოველთა ზედა მყოფი ღმერთის** ჰიპოსტასის გამორჩეული ნიშანი კი მამობაა, უმიზეზო ყოფიერება მხოლოდ მას აქვს და იგი საკუთრივ ამ ნიშნით შეიცნობა.

ამიტომაც ვამბობთ, რომ არსის საერთო გაგებაში სამებასა შინა განჭვრეტილი ნიშნები, რომელთა მიერაც პირთა შორის სარწმუნოების მიერ გადმოცემული სხვაობა გამოიხატება, შეურწყმელია (ἀσύμβατα) და უთანაზიარო (ἀκοινώνητα), რადგან თითოეული მათგანი თავისი საკუთარი ნიშნებით განყოფილი წარმოდგება, ისე რომ სხვაობა ჰიპოსტატთა შორის მოხსენიებული ნიშნებით გამოიცნობა; ხოლო რაც უსასრულობას, მიუწვდომელობას, შეუქმნელ ყოფიერებას, ადგილით შემოუსაზღვრელობას და სხვა ამათ მსგავსს შეეხება, ცხოველსმყოფელ ბუნებაში არავითარი სხვაობა არ არსებობს (მამას, ძესა და სულიწმიდას ვგულისხმობ), არამედ მათ შორის რაღაც მარადიული და უწყვეტი ერთობა (κοινωνία) განიჭვრიტება. რომელი ცნებებითაც შეძლებდა ვინმე წმინდა სამებაში აღიარებულ პირთაგან წარმოდგენას ერთის დიდებულებისა, იმავე ცნებებით განურჩევლად უნდა შეუდგეს ჭვრეტას მამისა, ძისა და სულიწმიდის დიდებისა. აზრით არ უნდა გადავიდეს არავითარ შუალედურზე (διάλειμμα) მამასა, ძესა და სულიწმიდას შორის, რადგან მათ შორის ჩართული არაფერია: არც რაღაც დამოუკიდებელი და ღმრთეებრივი ბუნებისაგან განსხვავებული, რომლის, ვითარცა უცხოს ჩართვით, ბუნებას თავისი თავისაგან გამოყოფა შეძლებოდა და არც რაღაც უცილობელი სივრცე სიცარიელისა, რომელიც ღმრთეებრივი არსის ერთობაში, სიცარიელის ჩართვით დაყოფდა რა ერთიანს, წყვეტილობას თავისთავად წარმოქმნიდა.

ვინც მამა მოიაზრა, მისით და მასთან ერთად ძეც მოიაზრა, ხოლო ვინც ძეს მოიაზრებს, შესაბამისად წესრიგისა და ბუნებასთან მიმართებით, თავის თავში სამი პირის ერთად შერწყმულ რწმენასაც აღბეჭდავს. და ვინც მხოლოდ სულიწმიდა დაასახელა, აღმსარებლობით ისიც მოიცვა, ვისიც სულიწმიდაა, რამდენადაც იგი **სულია ქრისტესი** (რომ 8,9) და როგორც პავლე მოციქული ამბობს, **ღმრთისაგანაა** (Iკორ.2,12).[4] ვითარცა ჯაჭვის ერთი ბოლოს ამღები მეორე ბოლოსაც იზიდავს, წინასწარმეტყველის სიტყვით, ასევე მიმზიდველი სულისა მის მიერ მამასაც და ძესაც მიიზიდავს (ფს.118,131).[5] უკეთუ ვინმე ძეს ჭეშმარიტად მიიღებს, თანამიიყვანს რა იგი მამასაც და საკუთარ სულსაც, მასთან ორივესთან ერთად იქნება. რადგან მარადის მამასთან (ἐν τῷ Πατρὶ) მყოფს, არც მამისაგან მოკვეთა (τομὴν) ძალუძს და ვერც საკუთარ სულს გამოეყოფა ოდესმე, რომლითაც ყოველთვის მოქმედებს (ὁ πάντα ἐν αὐτῷ

[4] ხოლო ჩუენ სული არა ამის სოფლისაჲ მოგჳღებიეს, არამედ სული იგი, რომელ არს ღმრთისაგან.

[5] პირი ჩემი აღვაღე და მოვიღე სული, რამეთუ მცნებათა შენთა მსუროდა.

ἐνεργῶν). ასევე, ვინც მამა შეიწყნარა (მიიღო), მან მასთან ერთად ძეც და სულიც ქმედითად (τῇ δυνάμει) შეიწყნარა; რადგან მოაზრება რაიმე კვეთისა (τομῆς), ან განყოფისა (διαίρεσιν), ისე რომ ძე გარეშე მამისა წარმოვიდგინოთ, ან სული გამოვყოთ ძისაგან, შეუძლებელია; არამედ მათ შორის რაღაც გამოუთქმელსა (ἄρρητος) და მოუაზრებელ (ἀκαταλήπτως) როგორც ერთობას (κοινωνία), ისე განყოფას (διάκρισις) ვპოულობთ. ვერც ჰიპოსტატთა სხვაობა წყვეტს უწყვეტობას (συνεχὲς) ბუნებისას და არც განმასხვავებელი ნიშნებია არსის ერთობაში შერწყმული.

ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვით, რომ ერთი და იგივე შეერთებულიცაა (συνημμένον) და განყოფილიც (διακεκριμένον) და ვითარცა გამოცანაში, რაღაც ახალსა და უჩვეულოს მოვიაზრებთ, კერძოდ, როგორც განყოფას ერთობისა (διάκρισιν τε συνημμένης), ისე ერთობას განყოფილისა (διακεκριμένης συνάφειαν). რამეთუ უკეთუ სიტყვას ვინმე არა კამათის სიყვარულითა და არა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით მოისმენს, იმავეს პოვნა შეგრძნებად საგნებშიც შეუძლია.

5. მიიღეთ ჩემი სიტყვა ვითარცა ნიმუში (ὑπόδειγμα) და აჩრდილი ჭეშმარიტებისა და არა როგორც თავად ჭეშმარიტება. შეუძლებელია ხომ ნიმუშთა (მაგალითთა) მეშვეობით განჭვრეტილი სრულიად შეესაბამებოდეს იმას, ვის გამოსახატავადაც ეს მაგალითნი არიან მოხმობილნი. საიდან ვამბობთ, რომ, რაც ჩვენი შეგრძნებებისათვის მისაწვდომია, რამდენადმე ანალოგიურია განყოფილისა და ამავდროულად შეერთებულისა? უკეთუ ოდესმე გაზაფხულზე ღრუბელსა შინა ბრწყინვა რკალისა გინახავს, იმ რკალზე ვამბობ, საუბრისას ჩვეულებრივ ცისარტყელას რომ ვუწოდებთ, მის შესახებ ამბობენ, რომ ის მაშინ იქმნება, როცა ჰაერი რაღაც ტენითაა განზავებული და ძალა ქარებისა აორთქლილთაგან ყოველივე ტენიანსა და შესქელებულს, უკვე ღრუბლად ქმნილს, საწვიმრად დაწურავს. როგორც ამბობენ, მისი წარმოქმნა ამგვარად ხდება. ირიბად გაივლის რა სქელსა და ტენიან ღრუბელსა შინა, შემდგომად ამისა, სხივი მზისა თავისი წრით პირდაპირ რომელსამე ღრუბელს დაეცემა; შედეგად ნათელი გადაიზნიქება და თავისთავს დაუბრუნდება, რადგან იგი ტენიანისა და მოელვარესაგან უკან, საპირისპირო მხარეს გადაიდრიკება. ცეცხლოვანი ბრწყინვის ბუნებაა, რომ რაჟამს რაღაც გლუვს დაეცემა, აირეკლება და კვლავ თავისი თავისკენ მიიქცევა; ხოლო რამდენადაც გამოსახულება მზისა, რომელსაც სხივი ტენიანსა და უძრავ ჰაერსა შინა ქმნის, სფეროსებურია, მახლობელ ღრუბელზე ჰაერში არეკლილი ნათებისგანაც უცილობლად რაღაც მზის სფეროს მსგავსი გამოსახულება შემოიწერება.

ამრიგად, ერთი და იგივე ნათელი თავისთავში უწყვეტიცაა (ერთიანიცაა) და დაყოფილიც. მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი უჩინრად ფერადდება რა სხვადასხვა ფერით, ჩვენი მზერისათვის შეუმჩნევლად ფარავს ამ ფერთა ერთმანეთთან შერწყმას. ასე რომ, ცისფერსა და ცეცხლისფერს, ან

ცეცხლისფერსა და მეწამულს, ან მასსა და ქარვისფერს შორის შეუძლებელია გამოცნობა ადგილისა, რომელშიც ერთმანეთში ირევა, ან ერთმანეთისაგან გამოიყოფა სხვადასხვა ფერი. რადგან ბრწყინვანი ყველა ფერისა, რომელიც ერთად იხილვება, შუქმფინარია ერთმანეთთან შეხების ნიშნებს ფარავს და გამოააშკარავებას გაურბის. ასე რომ, შეუძლებელია პოვნა, სად მთავრდება ცეცხლისფერი ან ზურმუხტისფერი ფერადოვან ნათებაში და საიდან იწყებს ყოფნას არ იყოს ისეთი, როგორიც შუქმფინარ ნათებაში იხილვება.

ამრიგად, ისევე როგორც ამ მაგალითიდან ფერთა შორის სხვაობას ცხადად შევიცნობთ, მაგრამ გრძნობის მიერ ერთი ფერის მეორისაგან გამოყოფა (διάστασιν) არ შეგვიძლია, ასევე მსგავსი რამ შეიძლება ღმრთეებრივ დოგმატებზეც წარმოვიდგინოთ. ვითარცა რომელიმე ფერი ცისარტყელაში რომ იხილვება, ჰიპოსტასთა თვისებანიც სამების ყოველ პირში ისე ბრწყინავენ; ხოლო რაც შეეხება ბუნების თვისებას, ამ თვალსაზრისით, პირთა შორის არავითარი განსხვავება არ მოიაზრება. განსხვავებული თვისებები მხოლოდ ერთი არსის მქონე პირებში ნათობენ. ისევე როგორც იქაც, მაგალითშიც, ერთია არსი ამ ფერადოვანი ბრწყინვისა, მზის სხივის მიერ მოდრეკილისა, მაგრამ მრავალი ფერით გამოვლენილისა.

ასე რომ, გონება ქმნილების მეშვეობით გვასწავლის, რომ, როცა ნათქვამის გულისხმისყოფა გვიძნელდება და საგონებელში ვვარდებით – დავეთანხმოთ მას თუ არა, – იგი დოგმატის შესახებ მოძღვრებაში გაუგებრობად არ მოგვეჩვენოს.

როგორც ეს იქიდან გამოჩნდა, რაც თვალებით იხილვება, გამოცდილება უკეთესია გაგებაზე მიზეზისა, ასევეა დოგმატებთან მიმართებითაც: გონებით წვდომაზე უკეთესი რწმენაა, რომელიც ჰიპოსტასთა დაყოფასა და არსის ერთობას გვასწავლის. ამგვარად, ჩვენმა სიტყვამ გამოიკვლია, რა არის წმინდა სამებაში საერთო (το κοινόν) და რა – განსხვავებული (τὸ ἰδιάζον). ცნება ერთობისა (ὁ κοινότητος λόγος) არსამდე აღვალს (εἰς τὴν οὐσίαν ἀνάγεται), ხოლო ჰიპოსტასი თითოეული პირის განმასხვავებელი ნიშანია (τὸ ἰδιάζον σημεῖον).

6. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გადმოცემული გაგება ჰიპოსტასისა, მოციქულის წერილის შინაარსს, რომელშიც უფლის შესახებ ამბობს: **რომელი-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა** (ὑποστάσεως) **მისისაჲ** (ებრ.1,3), არ თანხვდება. უკეთუ ჩვენ ჰიპოსტასს ყოველ პირში განჭვრეტილ განსხვავებულ თვისებათა ერთობლიობას (τὴν συνδρομὴ ἰδιωμάτων) ვუწოდებთ და როგორც მამის შესახებ ვაღიარებთ, რომ მასში არის ის, რაც მის საკუთარ თვისებად განიჭვრიტება და რითაც მხოლოდ იგი შეიცნობა და მხოლოდშობილის შესახებაც იმავეს ვაღიარებთ, მაშინ წმინდა წერილი აქ სახელს **ჰიპოსტასი** მხოლოდ მამის შესახებ როგორ ამოწმებს, ხოლო ძეს ჰიპოსტასის ხატს როგორ უწოდებს, რითაც მას არა საკუთარი, არამედ

მამის თვისებებით აღნიშნავს? თუკი ჰიპოსტასი განსხვავებული ნიშანია თითოეულის ყოფიერებისა (ἑκαστου ὑπάρξεως) და მამის საკუთარ თვისებად უშობელობაა აღიარებული, ხოლო ძე თავის თავში მამის განსხვავებელ ნიშნებს გამოსახავს, მაშინ მამას უკვე აღარ რჩება იყოს გამორჩეული (ἐξαίρετον) სახელდებით **უშობელი** (τὸ ἀγέννητον), რადგან იმით, რაც მამას განასხვავებს, მხოლოდშობილის ყოფიერებაცაა აღნიშნული.

7. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ აქ მოციქულის სიტყვები: **ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისაჲ,** სხვა მიზანს ისახავს, რომელიც მათი გამოყენებისას მხედველობაში ჰქონდა. ვინც ამ მიზანს ზედმიწევნით გულისხმაყოფს, არა ჩვენი ნათქვამის საწინააღმდეგოს, არამედ იმას იპოვის, რომ ისინი რაღაც განსაკუთრებული აზრის გამოსახატავად არიან მიმართულნი; მოციქულის სიტყვა ხომ არა იმისთვის ზრუნავს, როგორ გავარჩიოთ ჰიპოსტასები ერთმანეთისაგან ხილული ნიშნებით, არამედ როგორ მოვიაზროთ ნათესაობა (τὸ συηεῖον), განუყრელობა და ერთობა ძის მიმართებაში მამასთან; არ უთქვამს ხომ, რომ იგი არის დიდება მამისა (ὃς ὢν δόξα τοῦ Πατρός), თუმცა ეს მართლაც ასეა, არამედ გამოტოვა რა ეს, როგორც ყველას მიერ აღიარებული და განსაზღვრა რა, რომ დიდება მხოლოდშობილისა ბრწყინვალებაა მამის დიდებისა, გვასწავლა, არ მოვიაზროთ სხვაგვარი დიდება მამისა და სხვაგვარი – ძისა. ნათლის მაგალითით იმისთვის შეგვამზადა, რომ ძე მამასთან განუყრელად წარმოვიდგინოთ. თუმცა ნათელი ალისაგანაა, მაგრამ მისი შემდგომი არაა, არამედ აინთება თუ არა ალი, ნათელიც მასთან ერთად განბრწყინდება.

მოციქული გვირჩევს მსგავსადვე მოვიაზროთ ძე – მამისაგან და მხოლოდშობილი რაღაც შუალედურით მამის ყოფიერებისაგან არ გამოვყოთ, არამედ მიზეზთან ერთად ყოველთვის მოვიაზროთ ისიც, რაც მისგანაა. ამიტომ, ამავე სახით თითქოს წინ გადმოცემულ აზრს განმარტავდეს, ჰიპოსტასის ხატს უწოდებს და სხეულებრივი მაგალითით უხილავის გულისხმისყოფისაკენ მიგვიძღვის. რამეთუ, როგორც სხეულს აქვს ფორმა (σχῆμα, მოხაზულობა, გარეგნობა), მაგრამ სხვა არის გაგება სხეულისა და სხვა ფორმისა; და ვინმემ რომ ერთ-ერთის განსაზღვრება გადმოსცეს, ის მეორის განსაზღვრებას ვერ დაემთხვევა, და მიუხედავად იმისა, რომ გონებით ფორმის სხეულისაგან გამოყოფა შეგვიძლია, ბუნება გაყოფას არ იწყნარებს და მათ ერთმანეთთან შეერთებულად წარმოადგენს, ასევე, ფიქრობს მოციქული, თუმცა სარწმუნოებრივი მოძღვრება შეურწყმელსა და განყოფილ ჰიპოსტატთა შორის სხვაობის შესახებ გვასწავლის, მოხმობილ ადგილას მხოლოდშობილის მამასთან ბუნებით უწყვეტ კავშირსა და განუყოფლობას გამოსახავს, არა იმიტომ, რომ მხოლოდშობილს ჰიპოსტასი არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ თავის ერთობაში მამასთან არავითარ შუალედურს არ იწყნარებს. ამიტომ ვინც მხოლოდშობილის ხატისაკენ სულიერ თვალს დაძაბული ყურადღებით მიმართავს, აზრი

მამის ჰიპოსტასზეც ებადებათ, მაგრამ არა შედეგად შენაცვლებისა, ან მათში განსხვავებულ თვისებათა შერევისა, ისე რომ ან მამის შობილობა წარმოიდგინოს, ან უშობელობა ძისა, არამედ იმის გამო, რომ, რაც მათი ერთმანეთისაგან გაყოფის შედეგად დარჩება, მარტო მისი წარმოდგენა შეუძლებელია. შეუძლებელია ხომ ძის დასახელებისას მამაზეც არ ვიფიქროთ, რადგან ეს სახელი მამაზეც მიუთითებს.

8. ამგვარად, როგორც ამას უფალი სახარებისა შინა ამბობს, მხედველი ძისა ხედავს მამასაც (ინ.14,9), ამიტომაც ითქვა, რომ მხოლოდშობილი ხატია მამის ჰიპოსტასისა. ამ აზრის უკეთ გულისხმისსაყოფად მოციქულის სხვა გამონათქვამებიც მოვიხმოთ, რომელთა შინა მხოლოდშობილს **ხატს უხილავი ღმრთისა** (კოლ.1,15) და **ხატს სახიერებისა მისისა** უწოდებს, მაგრამ არა იმ აზრით, რომ ხატი პირველსახისაგან უხილავობისა და სახიერების გაგებით (მიხედვით) განსხვავდება, არამედ, რათა აჩვენოს, რომ, თუმცა ძე იგივეობრივია პირველსახისა, მაგრამ მაინც სხვაა; გაგება ხატისა არ შემოინახებოდა, მას რომ ყოველივესა შინა ცხადი და განუსხვავებელი იგივეობა არ ჰქონოდა. ამრიგად, ვინც სახიერებას ხატისას მოიაზრებს, მას უკვე აზრი პირველსახეზეც უჩნდება და ვინც უკვე აზრით მოიცვა ხატი ძისა, მან თავისთავში მამის ჰიპოსტასის ხატიც აღბეჭდა, განჭვრიტა რა მის მიერ იგი; მაგრამ არა იმიტომ, რომ [ძის] გამოსახულებაში მამის უშობელობა დაინახა (მაშინ იგი მთლიანად იგივეობრივი იქნებოდა და არა სხვა), არამედ იმიტომ, რომ შობილში (ἐκ τῶν γεννητῶν) უშობელი სახიერება (τὸ ἀγέννητον κάλλος) განჭვრიტა.

ისევე როგორც ის, ვინც გამოსახულებას სუფთა სარკეში უყურებს, ასახულ პირზე ნათელ წარმოდგენას იძენს, ასევე ისიც, ვინც ძეს შეიცნობს, მისი შეცნობით გულსა შინა მამის ჰიპოსტასის ხატსაც იწყნარებს, რადგან ყოველი, რაც მამას აქვს, ძეშიც იხილვება და ყოველი, რაც ძისაა, მამასაც ეკუთვნის, რამეთუ ძე მთლიანად მამასთან მყოფობს და მამაც მთლიანად ძესთანაა. ასე რომ, ჰიპოსტასი ძისა თითქოს ხატი და სახეა (μορφὴ καὶ πρόσωπον) შესაცნობად მამისა და ჰიპოსტასი მამისა ძის ხატით შეიცნობა, მაგრამ ორივეში რჩება სახილველი განსხვავებული თვისება ჰიპოსტასთა ცხადად გამოსაყოფად.

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი

პირველი მოსამზადებელი სიტყვა ღმრთისმეტყველების შესახებ ევნომიოსელთა[1] წინააღმდეგ[2]

1. სიტყვას სიტყვაში გაწაფულთა მიმართ წმინდა წერილის სიტყვებით დავიწყებ: **აჰა, მე შენზედა, ქედმაღლობავ** (იერემ.50,31), რადგან არიან, მართლაც არიან ადამიანები, რომელთაც ჩვენი სიტყვების მოსმენისას სმენაცა და ენაც და, როგორც ვხედავ, უკვე ხელებიც ექავებათ და რომელნიც უწმინდური ფუჭმეტყველებით (βεβήλοις κενοφωνίαις), მათთვის ცრუმეცნიერული შეპასუხებებით (ἀντιθέσεσι) და სრულიად უსარგებლო **სიტყვიერი ბრძოლებით** (ταῖς λογομαχίαις)[3] ხარობენ. ასე უწოდა ხომ ყოველივეს, რაც სიტყვაში ზედმეტი და ამაოა (περίεργον), **შემოკლებული სიტყვის** (λόγου συντετμένου)[4] მქადაგებელმა და თავსმდებმა პავლემ, მეთევზეთა მოწაფემ და მასწავლებელმა. კარგი იქნებოდა, რომ ისინი, რომელთაც ჩვენი სიტყვა ეხება, რამდენადმე მაინც საქმიან სიბრძნისმოყვარეობაშიც ისე ყოფილიყვნენ გაწაფულნი, როგორც ენა აქვთ გაწაფული კეთილშობილურ და გამორჩეულ სიტყვათა დაძებნისათვის. მაშინ, ალბათ, ვიდრე ახლა, უაზრო და უცნაურ ბრძნობას უფრო იშვიათად და შედარებით ნაკლებადაც მიეცემოდნენ, და მათ სასაცილო საქმიანობაზე მეც სასაცილოდ ვიტყვი: სიტყვებით, ვითარცა კოჭებით არ ითამაშებდნენ.

2. დატოვეს რა ყველა გზა ღმრთისმოსაობისა, მხოლოდ ერთს ხედავენ: წამოჭრან ან გადაჭრან რომელიმე საკითხი და იმ მოჭიდავეებს ემსგავსებიან, რომელნიც სანახაობებზე საჯაროდ არა იმგვარ ორთაბრძოლას წარმოადგენენ, რომელსაც გამარჯვებისაკენ ორთაბრძოლის წესებით მიჰყავს, არამედ იმგვარს, რომელიც უმეცართა მზერას იტაცებს და ქება-დიდებასაც მათგან იხვეჭენ. ყველა მოედანზე მათი სიტყვები უნდა ისმოდეს, ყველა ლხინი უაზრო ლაყბობითა და უსიამოვნო განცდებით უნდა დაამძიმონ, ყველა დღესასწაული მწუხარებად უნდა აქციონ, სადღესასწაულო ხასიათი დაუკარგონ და

[1] კვიზიკის ეპისკოპოსი ევნომიოსი არიოზის ერეტიკული სწავლების აღმავლობის მეორე ეტაპზე უკიდურეს არიოზელთა ფრთას მეთაურობდა. ის და მისი მიმდევრები, ე. წ. ევნომიოსელები, ამტკიცებდნენ, რომ ძე ღმერთი – იესო ქრისტე არა მხოლოდ ერთარსი არ იყო მამისა, არამედ არც არსით მსგავსი. გარდა ამისა, მათი მტკიცებით, კაცობრივ გონებას ღმრთის სრული წვდომა, ანუ მისი არსის შეცნობაც კი შეეძლო. ამ ცრუ სწავლების მხილებაში, წმ. ბასილი დიდთან ერთად, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველსაც, რომელმაც ერესის შემოტევისაგან ქრისტიანული ღმრთისმეტყველების დასაცავად ხუთი სიტყვა წარმოთქვა.

[2] Gregorius Nazianzenus, Adversus Eunomianos (orat. 27). TLG 2022.007. J. Barbel, Gregor von Nazianz. Die fünf theologischen Reden, Düsseldorf: Patmos-Verlag, 1963: 38-60.

[3] I ტიმ. VI, 20,4. გიორგი მთაწმიდელს ახალ აღთქმაში ტერმინები antiqesesi და logomaciai~ ქართულად გადმოაქვს ტერმინებით: სიტყჳს-გება და სიტყუათა ლალვა.

[4] რომ. IX, 28.

სევდა-ნაღველით აავსონ, ხოლო ნუგეში ამ დიდი უბედურებისას საკითხთა გამოძიებაში ეძიონ; ყოველ საქალებოს – გულუბრყვილოთა ამ სააღმზრდელოს, სიმშვიდე დაუკარგონ და ნაჩქარევი სიტყვით ყვავილი კდემამოსილებისა წარსტაცონ.

რაკი ყოველივე ეს იქამდე მივიდა, რომ ბოროტება აუტანელი და მოუთმენელი გახდა და საფრთხე მდაბალ ხელობად გადაქცევისა, თვით ჩვენს დიდ საიდუმლოსაც[5] დაემუქრა, დაე, ჩვენმა მეთვალყურეებმა იმდენი მოთმინება მაინც გამოიჩინონ, რომ როცა ჩვენი მამობრივი გულები ღელავენ, და გრძნობები ჩვენი, როგორც ღმრთეებრივი იერემია ამბობს, **იგვემებიან** (იერემ.4,13), მათ შესახებ წარმოთქმული ეს სიტყვა გააფთრების გარეშე შეიწყნარონ და ცოტა ხნით მაინც, თუკი შეძლებენ, ენა მოთოკონ და სმენა მოგვაპყრონ, ამით უთუოდ, სრულიად არაფერი დააკლდებათ. ან მსმენელთა სასმენელთათვის ვილაპარაკებ და სიტყვა რაღაც ნაყოფს გამოიღებს, ანუ თქვენთვის სასარგებლო გამოდგება, რადგან, თუმცა მთესველი სიტყვას ყველას გულში სთესს, მაგრამ ნაყოფს მხოლოდ კეთილი და ნაყოფიერი გული იძლევა; ან კიდევ წადით და ეს ჩვენი სიტყვა, იპოვით რა მასში შეპასუხებისა და ჩემი ლანძღვა-გინებისათვის მრავალრიცხოვან თემას, კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი სიტყვას, შეუსაბამოს თქვენი კანონისა და უცნაურს თქვენთვის, რომელნიც მტკიცედ და გაბედულად, მეშინია ვთქვა – უმეცრულად და თავხედურად, ირწმუნებით, რომ ყველაფერი იცით და ყოველივეს სწავლება ძალგიძთ.

3. ყველას არ ძალუძს სიბრძნისმეტყველება ღმრთის შესახებ, დიახ! ყველას არა. იგი არც იაფად შეიძინება და არც მიწაზე მხოხავთა საქმეა. აქვე დავამატებ: სიბრძნისმეტყველება არა ყოველთვის, არა ყველას წინაშე და არა ყველა საკითხზეა დასაშვები, არამედ უნდა ვიცოდეთ როდის, ვის წინაშე და რა ზომით შეიძლება. ღმრთის შესახებ ყველა ვერ ისიბრძნისმეტყველებს; იგი მხოლოდ მათ ხელეწიფება, რომელთაც საკუთარი თავი გამოიძიეს, ცხოვრება ჭვრეტაში განვლეს და უწინარესად სულითაც და ხორცითაც განიწმინდნენ, ან იწმინდებიან, რადგან განუწმენდელისათვის სიწმინდესთან შეხება ისევე საფრთხილოა, ვითარცა მზის სხივი სუსტი მხედველობისათვის.

და როდის შეიძლება? მაშინ, როცა თავისუფალნი ვართ გარეშე ბიწისა[6] და შფოთისაგან, როცა წარმმართველი (ἡγεμονικὸν) ძალა[7] ჩვენში უვარგისსა და ცდომილ სახეებს არ ერწყმის, ვითარცა სილამაზე დაწერილობისა უხეირო დაწერილობასთან აღრეული, ან ჭუჭყის სუნთან შეერთებული კეთილსურნელება მირონისა. რამეთუ **მოცალეობა** ჭეშმარიტად საჭიროა **გულისხმისყოფისათვის ღმრთისა** (ფს.45,11) **და რაჟამს მოვიღო ჟამი, სიწრფოებასა ვშჯიდე** (ფს.74,2) ღმრთისმეტყველებისა.

[5] იგულისხმება ქრისტიანული რელიგია.
[6] ე. ი. როცა ხორციელ მოთხოვნილებებს არ ვემონებით.
[7] ანუ გონება.

და ვის წინაშე? მათ წინაშე, რომელნიც გულმოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს და მის შესახებ, ვითარცა მრავალთაგან ერთ-ერთზე, სიამოვნებით არ ყბედობენ; და თანაც არა ცხენთა რბოლის, სანახაობათა და სიმღერათა ყურება-მოსმენის შემდეგ და არცა შემდგომად მუცლისა და იმის დაკმაყოფილებისა, რაც მუცლის ქვემოთაა, რადგან, როგორც ტკბობათა ეს ნაწილი, ასევე მათზე ლაღად საუბარიცა და მახვილგონივრული კამათებიც, სწორედ მათთვისაა განკუთვნილი.

რის შესახებ შეიძლება სიბრძნისმეტყველება და რა ზომით? იმის შესახებ, რაც ჩვენთვის მისაწვდომია და იმ ზომით, რა ზომითაც მსმენელს შესწევს ძალა მისი წვდომისა. ზომიერებას გადაჭარბებული სიტყვებიცა და საკვებიც მავნებელია: პირველნი სმენას ვნებენ, მეორენი – სხეულს, ან, თუ გნებავთ, საზიანოა ვითარცა ტვირთი, რომელიც ამღების ძალას აღემატება, ან ძლიერი წვიმები მიწისათვის; მსგავსად ამისა, მსმენელებიც კარგავენ ძველ ძალას, თუკი მათ, ასე ვიტყვი, რთული სწავლებებით დავამძიმებთ და დავთრგუნავთ.

4. იმას როდი ვამბობ, თითქოს ღმრთის მოხსენიება ყოველთვის საჭირო არ იყოს. დაე, ამას ნუ გამოიყენებენ ჩვენს სადევნელად სულსწრაფი ადამიანები, რომელნიც ამისთვის მუდამ მზად არიან, რადგან მოხსენიება ღმრთისა უფრო აუცილებელია, ვიდრე სუნთქვა. ისიც კი შეიძლება, რომ გარდა ამისა, სხვა არც არაფერი ვაკეთოთ. მეც იმათთაგანი ვარ, ვისაც მოსწონს სიტყვა, რომელიც ფიქრს ღმერთზე **დღე და ღამე** (ფს.1,2), თხრობას მასზე **მწუხრს, დილეულსა და სამხრად** (ფს.54,17), ხოლო კურთხევას უფლისა **ყოველსა ჟამსა** (ფს.33,1) გვიბრძანებს. თუ საჭიროა, მოსესაც მოვიხმობთ, რომელიც გვეუბნება: **სასუენებელსა შენსა ზედა და აღდგომასა შენსა და სლვასა გზასა შენსა** (II სჯ.6,7), თუ სხვა რომელიმე საქმის კეთებისას, ხსენებით ღმრთისა სიწმინდე უნდა შევიმოსოთ.

ასე რომ, ვკრძალავ არა მუდმივად მოხსენიებას ღმრთისა, არამედ ლაპარაკს მასზე, მაგრამ არც ლაპარაკს, თითქოს იგი ცოდვა იყოს, არამედ ღმრთისმეტყველებას შეუფერებელ დროს და არა სწავლებას მოძღვრებისა, არამედ უზომოებას სწავლებისა. თაფლიც კი, თუმცა თაფლია, უზომოდ, მოყირჭებამდე მიღებისას გულისრევას იწვევს. სოლომონთან ერთად მეც ვთვლი, რომ **ყოველთათვის ჟამი არს** (ეკლეს.3,1). თვით მშვენიერიც კი არაა მშვენიერი, როცა იგი წესისა და რიგის გარეშე იშვება, როგორც, მაგალითად, სრულიად შეუფერებელია ყვავილი ზამთრისათვის და სამოსელი კაცისა ქალისათვის, ხოლო ქალისა – მამაკაცისათვის, მწუხარებისას გეომეტრია და ლხინის ჟამს – ცრემლები. რატომ უნდა უგულებელვყოთ დროის შესაფერისობა სწორედ იქ, სადაც მის შესაფერისობას ყველაზე მეტად უნდა ვაფასებდეთ?

5. არა, მეგობარნო და ძმანო, მაინც ისევ ძმებს გიწოდებთ, თუმცა ძმებივით არ იქცევით! ასე ნუ ვიმსჯელებთ, მიზანზე[8] შორს ნუ წავალთ, ვითარცა გახურვებული და თავაშვებული ცხენები, რომელთაც მხედარი – გონება – გად-

[8] დედანშია th~ nussh~, რომელიც ქართულად ცხენთა სარბიელის უკანასკნელ ბოძს ნიშნავს, საიდანაც ასპარეზობის მონაწილე მხედრებს ცხენები უკან უნდა მოებრუნებინათ. ამ შემთხვევაში წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მას ფიგურალურად, მიზნის მნიშვნელობით იყენებს.

მოაგდეს და კეთილი აღვირი კრძალულებისა სიძულვილით უარყვეს, არამედ ჩვენთვის დადგენილ საზღვრებში ბრძნულად ვიმსჯელოთ. არც ეგვიპტისკენ მივდრკეთ, თავი არც ასირიელებს წარვატაცებინოთ და არც გალობა უფლისა ქუეყანასა უცხოსა ვიგალობოთ (ფს.36.4), ანუ მოსასმენად ყველასი – გარეშესი თუ ჩვენიანისა, მტრისა თუ მეგობრისა კეთილად განწყობილისა, თუ ბოროტმზრახველისა, რომელიც გულმოდგინედ გვაკვირდება და ნატრობს, უკეთურობათა ნაპერწკალი ჩვენში ცეცხლად აქციოს, თვითონ აჩაღებს მას ფარულად, აბრიალებს, სულს უბერავს, რათა ბაბილონის ხანძარზე, რომელმაც მთელი მისი შემოგარენი გადაწვა, უფრო მაღლა, ზეცამდე აღიწიოს. რამდენადაც თავიანთ სწავლებებში ძალას ვერ პოულობენ, მას ჩვენს უძლურებათა შინა ეძიებენ; ამიტომაც, როგორც ბუზები ჭრილობებს, ისე ესხმიან თავს ჩვენს, როგორ ვუწოდო, – წარუმატებლობებსა თუ შეცოდებებს. მაგრამ ამიერიდან ნუღარ ვიქნებით უმეცარნი საკუთარ თავთა და პატივის არმიმგებნი ღირსების ამგვარ ნიშანთა, არამედ უკეთუ განადგურება მტრობისა შეუძლებელია, ის მაინც ერთხმად ვაღიაროთ, რომ საიდუმლოთა შესახებ საიდუმლოდ უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო სიწმინდეთა შესახებ – სიწმინდით.

მათ წინაშე, რომელთაც წაბილწული სმენა აქვთ, ნუ განვაცხადებთ იმას, რაც ყველასათვის არ უნდა განცხადდეს. ნურც იმას დავუშვებთ, რომ თაყვანისმცემელნი ეშმაკებისა, მსახურნი სამარცხვინო მითების და საქმეთა, პატივისმიგების ღირსნი ჩვენზე მეტად აღმოჩნდნენ. ისინი ხომ თავიანთ სწავლებათა გაუნდობებელთათვის გადაცემას უმალ საკუთარი სისხლის დაღვრას ამჯობინებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ ისევე, როგორც არსებობს რაღაც წესი და რიგი ჩაცმისა, ჭამისა, სიცილისა თუ სიარულისა, ასევე არსებობს – სიტყვისა და დუმილისაც, მითუმეტეს, რომ ჩვენ ღმრთის სხვა სახელწოდებათა და ძალთაგან პირველ ადგილზე სიტყვას ვაყენებთ. დაე, ჩვენი კამათიც სამართლიანი, მართლზომიერი იყოს (წესისა და რიგის მიხედვით წარიმართოს).

6. ღმრთის შობისა და შესაქმის (κτίσιν), ღმერთზე, რომელიც არაარსებულთაგანია (ἐξ οὐκ ὄντων),[9] (გან)კვეთის (τομῆν), გაყოფისა (διαίρεσιν) და შერწყმის (ἀνάλυσιν) შესახებ რატომ უნდა ისმენდეს ის, ვინც მტრულად განწყობილია? ბრალმდებლებს მსაჯულად რატომ ვაყენებთ? მტერს ხელში მახვილს რატომ ვაძლევთ? რას ფიქრობ, როგორ მიიღებს, ან როგორ გაიგებს სიტყვას ამათ შესახებ ის, ვინც მხარს მრუშობასა და ყრმათა გახრწნას უჭერს, ვინც თაყვანს ვნებებს სცემს და არ შეუძლია მოაზრება არაფრისა, რაც სხეულზე მაღლაა? ვინც სულ ცოტა ხნის წინ თავისთვის აღმართავდა კერპებს, რომელნიც ყველაზე სამარცხვინო საქმეებით არიან ცნობილნი? და თანაც, ჩვეულებისამებრ, ნივთიერად (ὑλικῶς), ურცხვად (αἰσχρῶς) და უმეცრულად (ἀπαθῶς)?

იგი ხომ შენს ღმრთისმეტყველებას საკუთარი ღმერთებისა და ვნებების

[9] არიოზელები ასწავლიდნენ, რომ რადგან იყო დრო, როცა ძე ღმერთი არ იყო, მაშასადამე, იგი არსად (არსებულად) არაარსებულთაგან (არაარსთაგან) მოვიდა.

დამცველად გადააქცევს? უკეთუ ამგვარ გამოთქმებს ბოროტად ჩვენ თვითონ ვიყენებთ, მათი დარწმუნება, რომ ისე ისიბრძნისმეტყველონ, როგორც ეს ჩვენ შეგვეფერება, განა უფრო ძნელი არ იქნება? უკეთუ ჩვენ თავად ვართ **მომპოვნებელნი ბოროტისა** (რომ.1,30), ისინი რატომღა არ გადაიღებენ მას, რაც მართლაც გვაქვს? აი, შედეგი ჩვენი ერთმანეთთან ბრძოლისა, სარგებელი იმათგან, რომელნიც **სიტყვა ღმერთისთვის** იმაზე მეტად იღვწიან, ვიდრე ეს თავად **სიტყვას** ესათნოება და იმ გონდაკარგულთა ხვედრს იზიარებენ, რომელნიც ან საკუთარ სახლებს წვავენ, ან ყრმებს გლეჯენ ნაწილებად, ან, თვლიან რა უცხოებად, მშობლებს სახლებიდან დევნიან.

7. მაგრამ სიტყვას მისთვის უცხო მრავალრიცხოვანი ლეგიონი ჩამოვაშოროთ და უფსკრულში დასანთქმელად ღორების კოლტში შევგზავნოთ,[10] ჩვენს თავს მივხედოთ და, ვითარცა ქანდაკება მისი მშვენიერებით, ღმრთისმეტყველი – ჩემი სიტყვის მეორე თემა, გამოვკვეთოთ. უწინარესად ის გავიაზროთ, რას ნიშნავს ასეთი მოშურნეობა სიტყვისა და სნეულება ენისა? რა არის ეს ახალი სენი და ეს გაუმაძღრობა? რისთვის შევიკარით ხელები და ენები აღვჭურვეთ? აღარც უცხოთმოყვარებას ვაქებთ, აღარც ძმათმოყვარებას, აღარც ცოლ-ქმრულ სიყვარულს, აღარც ქალწულებას; რატომ აღარ გვაოცებს არცა გლახაკთა დაპურება, არცა ფსალმუნთა გალობა, არცა ღამისთევით ლოცვაზე დგომა, არცა ცრემლები; არც სხეულს ვთრგუნავთ მარხვით და არც ღმერთთან ვმკვიდრდებით (ἐκδημοῦμεν) ლოცვით; არც უარესს ვუმორჩილებთ უკეთესს, როგორც ამას საკუთარი შედგენილობის[11] სწორად განმსჯელნი აკეთებენ და არც ცხოვრებას ვაქცევთ სიკვდილზე ზრუნვად; ვერც ვნებათა ზედა მეუფებას ვიცავთ ხსოვნით ზეციური კეთილშობილებისა (τῆς ἄνωθεν εὐγενείας) და ვერც მძვინვარებას ვთოკავთ, რომელიც თავხედებად და ველურებად გვაქცევს, ვერც თავის განდიდების დამამცირებელ სურვილს, ვერც უგუნურ მწუხარებას, ვერც თავაწყვეტილ ავხორცობას, ვერც მრუშის სიცილს, ვერც უწესო მზერას, ვერც გაუმაძღარ სმენას (ἀκοὴν ἄπληστον), ვერც უზომო ლაპარაკს, ვერც ჩვენთვის უცხო (ἔκτοπον) აზროვნებას და საერთოდ, ვერც ვერაფერს ვშველით იმათგან, რომელთაც ბოროტი ჩვენ წინააღმდეგ ჩვენგან იღებს, რადგან, როგორც წმინდა წერილი ამბობს, **სარკმელებით,** ე. ი. შეგრძნებათა (αἰσθητηρίων) მეშვეობით **შემოვიდა** ჩვენში **სიკვდილი** (იერემ. 9,20).

ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა, მსგავსად გამარჯვებულ მეფეთა, რომელნიც დამარცხებულებს ათავისუფლებენ, სხვათა ვნებებს, თუკი ისინი თავზე ხელს გვისვამენ, თავისუფლებას ჩვენც ვაძლევთ, რის გამოც ღმრთის წინააღმდეგ კიდევ უფრო თავხედურად იბრძვიან, ჩვენ კი მათ, სანაცვლოდ უკეთური საქმისა, საზღაურად ბოროტს, კერძოდ, უსჯულოებისათვის – სიტყვის თავისუფლებას (παῤῥησίαν) მივაგებთ.

[10] შდრ.: მთ. 8,28-32; მრკ. 5,2-13; ლუკ. 8,26-33.

[11] იგულისხმება ადამიანის აგებულება, კერძოდ, მისი ორი ბუნება: ხორციელი და სულიერი.

8. მაგრამ **მე გკითხვიდე** მცირედ, გამომეძიებელო და მაცილობელო, **და შენ მომიგებდ,** – ეუბნება ხმა იობს **არმურით გამო და ღრუბლით** (იობ.38,1-3), – როგორ გსმენია, რამდენი სავანეა ღმერთთან, მრავალი თუ ერთი? უეჭველია, მიპასუხებ, რომ მრავალია და არა ერთი. ისინი ყველანი უნდა აღივსოს, თუ მხოლოდ ერთნი, მეორენი კი არა და ამაოდ განმზადებულნი ცარიელებად დარჩნენ? რა თქმა უნდა, ყველა აღივსება, რადგან ღმერთთან განუსჯელად არაფერი ხდება. შეგიძლია თქმა მისა, რას გულისხმობ ამ სავანეში, – იქაურ განსვენებასა და დიდებას, ნეტართათვის განმზადებულს, თუ სხვა რამეს? ხომ სწორედ ამას და არა სხვას? რადგან ამაში შევთანხმდით, ახლა ის გამოვიძიოთ, არის კი რამე ისეთი, რომელიც ამ სავანეებს მოგვაპოვებინებს, როგორც მე ვფიქრობ, თუ არა? უცილობლად არის; და რა არის იგი?

არსებობს სხვადასხვა სახე ცხოვრებისა (politeías) და არჩევანისა, რომელთაც, შესაბამისად რწმენისა, ამა თუ იმ სავანეში მივყავართ, რისთვისაც მათ გზებს ვუწოდებთ. ყველა მათგანით უნდა ვიაროთ, თუ ამ გზათაგან რამდენიმეთი? თუ ეს შესაძლებელია, დაე, ყველამ ყველა გზით ვიაროთ, ხოლო უკეთუ არა, მათი უდიდესი ნაწილით, ხოლო თუ არც ეს შეგვეძლება, ზოგიერთი მათგანით მაინც. თუკი ესეც შეუძლებელია, პატივი მივაგოთ მასაც, როგორც მე მეჩვენება, ვინც საბოლოოდ უპირატესობას ერთ გზას მიანიჭებს.

ეს სიტყვები სწორად გაიგე. როგორ? როცა გესმის, რომ გზა ერთია და ისიც ვიწრო, შენი აზრით, ეს რას ნიშნავს? გზა ერთია სათნოებასთან მიმართებით, რადგან ისიც ერთია, თუმცა კი მრავალ სახედ იყოფა; ხოლო ვიწროა იგი ჯაფისა და იმის გამო, რომ მრავალთათვის გაუვალია, კერძოდ, მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგისათვის, რომელიც ბოროტების გზას ადგას. მეც ასე ვფიქრობ.

თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ უკეთილესო, თითქოსდა მამხილებლებმა ჩვენი მოძღვრების სიმწირისა, რატომ დატოვეთ ყველა სხვა გზა და მხოლოდ ამ ერთი, როგორც თქვენ ფიქრობთ, გონებისა და მჭვრეტელობის, მე კი ვიტყვი, ლაყბობისა (ἀδολεσχίας) და გამონაგონის (τερατείας) გზით რატომ მიემართებით და მიექანებით? დაე, მოციქულმა პავლემ გაგკიცხოთ, რომელიც ნიჭთა ჩამოთვლისას, ამისთვის მწარედ გვსაყვედრობს, როცა ამბობს: **ნუ ყოველნი მოციქულ იყვნენა? ნუ ყოველნი წინაწარმეტყუელ?** (Iკორ.12,9).

9. ვთქვათ შენ მაღალი ხარ, მაღალთა შორის უმაღლესი, თუ გნებავს, ღრუბლებზე მაღალიც კი; მჭვრეტელი უხილავთა, მსმენელი გამოუთქმელთა, ზეცად ატაცებული, ვითარცა ელია; ვითარცა მოსე, ღირსქმნილი ღმრთის გამოცხადებისა და ზეციერი, ვითარცა პავლე; რატომ ხდი ერთ დღეში სხვებს წმინდანებად, რატომ ასხამ ხელს ღმრთისმეტყველებად, და თითქოს, შთაბერავ რა მათ განსწავლულობას, უმეცარ სწავლულთა კრებულებს რატომ ქმნი? რატომ ხლართავ ობობას ქსელში შედარებით უძლურებს და თანაც ისე, თითქოს ეს ბრძნული და დიდი საქმე იყოს? რატომ აღძრავ სარწმუნოების წინააღმდეგ კრაზანათა ბუდეებს? რატომ ამრავლებ ჩვენ წინააღმდეგ კამათის ხელოვანთ,

ვითარცა ძველად მითები გიგანტებს? ვითარცა რაღაცა ნაგვის გროვას, ერთ თხრილსა შინა რისთვის კრებ ყველას, ვინც კი კაცთა შორის ქარაფშუტა და არაკაცია, პირფერობით კიდევ უფრო აქალაჩუნებ და შექმენი რა ახალი სახელოსნო (ἐργαστήριον) ურჯულოებისა, მათი უგუნურებით უგუნურად რისთვის სარგებლობ?

ამაზეც შემეკამათები? მეტყვი, რომ სხვა საქმე არ გაქვს? ენამ შენმა უცილობლად უნდა იბატონოს? ძალა არ შეგწევს, შეაჩერო ტკივილები სიტყვის შობისა? მაგრამ გაქვს შენ სხვა საგანი მრავლად და უხვად და ეს შენი სენი მათკენ მიაქციე სარგებლობის მისაღებად.

10. პითაგორასეული **მდუმარება** (σιωπή)[12] დაამხე, ორფიკოსთა **ცერცვები** (κυάμους)[13] და ეს ბრტყელი (ქედმაღლური) გამოთქმა ახალი დროისა: **თავად მან თქვა;** პლატონის იდეები დაამხე, გადასახლებანი ჩვენი სულებისა სხეულებში (μετενσωματώσεις) და **წრებრუნვანი** (περίοδους), **გახსენებანი** (ἀναμνήσεις) და უშვერი ტრფიალებანი სულის მიმართ მშვენიერ სხეულთა მეშვეობით[14]; ეპიკურეს უღმერთობა, ატომები და არაგონივრული ტკბობა;

[12] როგორც ჩანს, გრიგოლ ღმრთისმეტყველს არ მოსწონდა პითაგორას სწავლების მეთოდი, რომელიც მასთან ცოდნის მისაღებად მისულებს ხუთი წლის განმავლობაში დუმილს უბრძანებდა. მოწაფეებს მასწავლებლისათვის კითხვის დასმის უფლება არ ჰქონდათ. მათ მხოლოდ მისთვის უნდა ესმინათ.

[13] გადმოცემის მიხედვით, ორფიკოსებს, ისევე როგორც პითაგორას მოწაფეებს, ცერცვის ჭამა ეკრძალებოდათ. ამ აკრძალვის მიზეზად ზოგი რას ასახელებს და ზოგი რას. ერთი გადმოცემით, აკრძალვის მიზეზი იყო ის ძლიერი მოძრაობა ჰაერისა მუცელში, რომელიც ცერცვის ჭამას მოსდევდა შედეგად. ამავე ავტორთან სხვა ხასიათის ცნობასაც ვხვდებით, კერძოდ, იმ სახლს, რომელშიც პითაგორა და მისი მახლობლები იყვნენ შეკრებილნი, ცეცხლი წაუკიდეს, ფილოსოფოსმა გაქცევაზე უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში ცერცვის ნათესის გადაქელვა მოუხდებოდა. ამიტომაც უთქვამს: „მათ გადათელვას ტყვეობა სჯობს, ხოლო ამაომეტყველებით სახელის გავარდნას – სიკვდილი“. იგი მართლაც შეიპყრეს და მის ორმოცამდე მოწაფესთან ერთად მოკლეს. Диоген Лаэртский. О жизни, учениях и изречениях знаменитых философов. М., 1986.

„ცერცვის შეხებას [პითაგორა] ისევე კრძალავდა, როგორც ადამიანის ხორცისას. როგორც ამბობენ, ამის მიზეზს ასე ხსნიდა: როცა საყოველთაო საწყისი და ჩანასახი (აღმონაცენი) დაირღვა, მრავალი რამ მიწის ქვეშ ერთმანეთს შეერწყა, შესქელდა და მთლიანად დალპა, ხოლო შემდგომ მისგან ხელახლა წარმოიშვა ჩასახვა და განყოფა – ისახებოდნენ ცხოველნი, ხოლო იზრდებოდნენ მცენარეები, და სწორედ აქ, ერთი და იმავე ნეშომპალიდან წარმოიშვნენ ადამიანები და ამოიზარდნენ (აღმოცენდნენ) ცერცვებიც. ამის უეჭველობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: უკეთუ ცერცვს დავღეჭავთ და ნაღეჭს მცირე ხნით თაკარა მზეში გავიტანთ, ხოლო შემდეგ მივუახლოვდებით, ადამიანის სისხლის სუნს ვიგრძნობთ; ხოლო თუ ცერცვის ყვავილობის ჟამს ცერცვის ყვავილს, უკვე გამუქებულს, თიხის ჭურჭელში ჩავდებთ, ჭურჭელს თავზე დავახურავთ და მიწაში ჩავფლავთ 90 დღით, ხოლო შემდეგ ამოვთხრით და გავხსნით, ცერცვის ნაცვლად ბავშვის თავი აღმოჩნდება, ან ქალის საშო“. Порфирий. Жизнь Пифагора, დიოგენე ლაერტელის დასახელებულ წიგნში, გვ. 423.

[14] პლატონის აზრით, სიყვარულს ადამიანთა შორის უკვდავების წყურვილი იწვევს. რა მოიწიფება, კაცს შობის სურვილი იპყრობს და იწყებს ძებნას მშვენიერისა, რათა შვას მასში, რადგან მახინჯში შობა არ ძალუძს. ისინი, რომელნიც ამ დროს ხორციელად ორსულდებიან, უპირატესად ქალებისკენ ილტვიან, მათ სიყვარულს ეძლევიან და ბავშვის, ხორციელი მემკვიდრის შეძენის გზით ცდილობენ უკვდავებასა და მარადიულ ცხოვრებასთან ზიარებას. მაგრამ, პლატონის მიხედვით, არსებობენ სულით ორსულებიც; შობისათვის ისინიც მშვენიერ სხეულებს ეძებენ, ხოლო თუ მშვენიერ სხეულში მშვენიერ სულსაც აღმოაჩენენ, ორმაგად იხიბლებიან. ხორციელ ორსულთაგან განსხვავებით, მათი ტრფიალების შედეგად ნაშობი არა ხორციელი მემკვიდრე – ბავშვია, არამედ სიბრძნე და სხვა დანარჩენი სათნოებანი, რომელთაც ამდენ ხანს ჩანასახის სახით დაატარებდნენ და მათი შობა მხოლოდ მშვენიერთან სიახლოვისა და ურთიერთობის წყალობით შეძლეს. როგორც პლატონი ამბობს, ისინი ერთად ზრდიან თავიანთ ნაშიერთ და „მათ შორის უფრო დიდი ერთსულოვნება და მეგობრობა ისადგურებს, ვიდრე ოჯახის დედასა და მამას შორის,

არისტოტელეს შეზღუდული განგება (πρόνοιαν), ხელოვნურობა მსჯელობისა (ἔντεχνον), მოკვდავი (θνητούς) სწავლებანი სულზე და კაცობრივი შეხედულებანი უმაღლეს სწავლებათა შესახებ (τῶν δογμάτων); ქედმაღლობა (ὀφύν) სტოელთა, გაუმაძღრობა (λίχνον) და მასხრობა (ἀγοραῖον) კინიკოსთა; დაამხე ამაოება (τὸ κενός) და სისავსე მონაჩმახთა (τὸ πλῆρες) ღმერთთა ან მსხვერპლთა, კერპების, კეთილ და ბოროტ დემონთა, მისნობის, ღმერთთა და სულთა გამოძახებისა და ვარსკვლავთა ძალის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს თავგზას უბნევენ.

უკეთუ ესენი, ვითარცა უმნიშვნელონი და მრავალგზის მხილებულნი, სიტყვის მიძღვნის ღირსად არ მიგაჩნია, გსურს იმათ მიუბრუნდე, რაც შენია, და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებასაც მათში ეძებ, შენთვის ფართო გზების ჩვენება აქაც შემიძლია. ისიბრძნისმეტყველე, სამყაროს ან სამყაროთა შესახებ, მატერიაზე, სულზე, გონიერ არსებათა კეთილსა და ბოროტ ბუნებებზე, საშინელ სამსჯავროზე, სამაგიეროს მიზღვასა და ქრისტეს ვნებებზე. ამ შემთხვევაში წარმატების მიღწევა სარგებლობის მომტანი იქნება, ხოლო მიუღწევლობა – უსაფრთხო. ღმრთის შესახებ ახლა მცირედ ვისაუბრეთ, მაგრამ შეიძლება მოკლე ხანში უფრო სრულად ვისაუბროთ თავად ქრისტეს, უფლისა ჩვენისა იესოს შესახებ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

რადგან უფრო მშვენიერ და უკვდავ შვილთა სიყვარული აერთებს მათ“. მართალია, პლატონის „ნადიმში“ ადამიანის სიცოცხლის აზრად აბსოლუტური, არამატერიალური, უმაღლესი მშვენიერების – მშვენიერების იდეის ჭვრეტაა გამოცხადებული, მაგრამ ამ საბოლოო მიზნის მისაღწევად გზა ხილულ და გრძნობად საგანთა ჭვრეტიდან „მართებულად გაგებულ მამათმავლობაზე“ გადის. ამიტომაც არის პლატონისეული სიყვარული უშვერი გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა. თბ., 1964. XXVII-XXVIII.

ამიტომაც მიაჩნია სრულიად სამართლიანად წმინდა მამას უშვერად (ou kalou~) პლატონისეული ტრფიალებანი სულის მიმართ (epi yuch~ erwta~) მშვენიერ სხეულთა გამო (dia twn kalwn swmatwn) და ენით სნეულებს მის მხილებასა და დამხობას სთავაზობს.

დიონისე არეოპაგელი

საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის[1]

თავი I
რა არის საღმრთო ნისლი

1. სამებაო ზეარსო, ზეღმერთო, ზესახიერო, თავო ქრისტიანთა ღმრთივგანბრძნობილობისაო, წარგვმართე ჩვენ საიდუმლო სიტყვათა ზეშეუცნობელი, ზებრწყინვალე და უმწვერვალესი მწვერვალისაკენ, სადაც მარტივი, აბსოლუტური (დამოუკიდებელი)[2] და უცვალებელი საიდუმლონი ღმრთისმეტყველებისანი საიდუმლო დუმილის ზენათელი ნისლით არიან დაფარულნი, ღრმა წყვდიადში ზენათლიერად ბრწყინავენ და უთვალო გონებებს[3] (τοὺς ἀνομμάτους νόας) ყოვლად შეუხებელად და უხილავად ზესახიერების მშვენიერი ბრწყინვებით აღავსებენ. დაე, ეს იყოს ჩემთვის სალოცავი.

შენ კი, საყვარელო ტიმოთე, გულსმოდგინედ შეუდგები რა მისტიკურ ჭვრეტებს, როგორც გრძნობისმიერი, ისე გონივრული მოქმედებანი[4] და საერთოდ ყოველივე შეგრძნებადი და გონებით საჭვრეტი, ყოველნი არარსნი და არსნი დაუტევე და რამდენადაც ძალგიძს, ისწრაფე მასთან შეერთებისაკენ, Ꭲინც ყველა არსებულსა[5] და შემეცნებაზე მაღლაა და საკუთარი თავისა და ყოველივესაგან დაუოკებელი, აბსოლუტური და წმინდა განდგომით,[6] ყოველივეს

[1] Dionusio~ Areopagith~, Peri mustikh~ qeologia~, Санкт-Петербург, 1995, издание подготовлено Г. М. Прохоровым.

[2] მარტივნი და აბსოლუტურნი (დამოუკიდებელნი) არიან ისინი არა იგავურად (ალეგორიულად, სახისმეტყველებით), არამედ ვითარცა მოაზრებულნი და განჭვრეტილნი გარეშე სახეებისა. აბსოლუტურს უწოდებს მას, რაც არა სახელთა ან სიმბოლოთა განმარტებით (გახსნით) გამოითქმის, არამედ მისაწვდომი ყოველთა არსებულთა და მოაზრებულთა ჩამოშორებითა და მათგან განყენებით ხდება. საღმრთო მოძრაობის ამ უმოქმედობას ადრე უგულისხმოება უწოდა, ხოლო აქ, ფსალმუნთა მგალობელის მიხედვით, უბნელესსა და საოცარ (უხილავ) ნისლს უწოდებს: *ღრუბელი და ნისლი გარემო არს მისა* (ფს. 96,2) და: *დადვა ბნელი საფარველად მისა* (ფს. 17,11).

[3] ისინი არა მხოლოდ ხორციელი თვალებით ხედავენ (aisqhtῶn ofqalmῶn eisi mestoi), არამედ მათი ბუნება, ვითარცა ცოცხალი (ცხოველი) გონება, მთლიანად მზირალი უმახვილესი თვალია; ამიტომაც იწოდებიან წმინდა წერილში მრავალთვალებად (poluomma ta).

[4] იმავეს ნათელყოფენ პარალელებიც: შეგრძნებადს, რომელიც ყოველგვარი ცვალებადობის თანაზიარია და მუდმივად ერთი და იმავე სახით არ არსებობს, ძველები არარსებულებს უწოდებენ, ხოლო გონებით საჭვრეტს, შემოქმედის სურვილის თანახმად, ვითარცა მარადიულად მყოფთ, უკვდავებსა და არსით უცვლელებს, არსებულებად სახელდებენ. ეს ჩვენ არაერთგზის გადმოვეცით წიგნისთვის, „საღმრთოთა სახელთათვის“, დართულ კომენტარებში.

[5] სიმარტივე ყოველგვარ ერთზე (enada, ერთეულზე, ერთიანზე) მაღლაა. ხოლო იმის შესახებ, თუ შეუცნობელად (გაუცნობიერებლად) როგორ უნდა წარვემართოთ ღმრთისაკენ, „საღმრთოთა სახელთათვის“ მეხუთე თავშიცაა ნათქვამი და აქაც იპოვნი მოკლედ.

[6] დაუოკებელ განდგომას (ekstasi~) ის ყოველგვარი მიმართებისაგან განშორებას უწოდებს, ისე რომ ვერავითარმა ურთიერთობამ ვერ შეაჩეროს ვერც საკუთარ თავთან და ვერც რომელიმე ქმნილებასთან.

დამტევეელი და ყოველივესაგან განთავისუფლებული, ღმრთეებრივი ბნელის ზეარსულ ბრწყინვამდე[7] აღიყვანები.

2. იზრუნე იმისთვისაც, რომ ამის შესახებ განუსწავლელთაგან[8] (ἀmuήtwn) არავინ მოისმინოს.* ასე (ე. ი. განუსწავლელებს) ვუწოდებ მათ, რომელნიც არსებულებთან მიჯაჭვულობის (ἐnischménous) გამო, წარმოიდგენენ, რომ არსთა ზედა, ზეარსულად არაფერი არსებობს და ჰგონიათ, თავიანთი გონებით შეიმეცნებენ მას, ვინც **დადვა ბნელი საფარველად მისა** (II მეფ. 22,12; ფს. 17,12). ხოლო უკეთუ საღმრთოთა საიდუმლოთა ზიარებანი ამგვართა[9] ზედა არიან, რაღა უნდა ითქვას კიდევ უფრო განუსწავლელთა შესახებ, რომელნიც ყოველთა ზედა განფენილ მიზეზს (ὑperkeimένhn ἀitίan) არსებულთა შორის უდარესად სახავენ და ამტკიცებენ, რომ იგი არაფრით აღემატება მათ მიერვე შექმნილ ულმრთო და მრავალგვარ გამოსახულებას. საჭიროა, შას,[10] ვითარცა ყოველთა არსებულთა მიზეზს, არსებულთა ყველა თვისება (მდგომარეობა) მივაკუთვნოთ, მაგრამ რამდენადაც ყველა არსზე უზეშთაესია, მასთან მიმართებით, კიდევ უფრო ამ მტკიცებათა უარყოფა გვმართებს; ამასთან, არ უნდა ვიფიქროთ, რომ უარყოფა (ἀpofάsis) მტკიცებას (katafάsis) ეწინააღმდეგება, რამდენდაც Ꙗგი, ფრიად უპირატესი მოკლებათა ზედა, ყოველგვარ დაკლებათა და მატებათა ზედა მყოფობს.[11]

3. ღმრთეებრივი ბართლომეოსიც[12] ხომ ამბობს, რომ ღმრთისმეტყველება

[7] აქაც მან ბნელს სრულიად მიუწვდომელი უწოდა.

[8] ყურადღება მიაქციე, რომ განუსწავლელებს (amuhtou~) საიდუმლოებთან უზიარებლებს უწოდებს, რომელნიც შეგრძნებადი სამყაროთი არიან შეპყრობილნი და არსებულთა ზედა არაფრის არსებობის წარმოდგენა არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, აქ იგი შემწყნარებლურად საერთოდ უმეცართა შესახებაც საუბრობს. მოიაზრე, რომ სხვაგვარად ლაპარაკობს უმეცართა და სხვაგვარად უზიარებელთა, ანუ იმათ შესახებ, რომელნიც საიდუმლოებთან არ არიან ნაზიარებნი.

* ზმნა muew, რომლისგანაც სახელი amuhto~ არის ნაწარმოები, საიდუმლოებთან ზიარებასაც ნიშნავს და ცოდნის, განათლების მიღებასაც. ამიტომ a-muhto~ შეიძლება საიდუმლოებთან უზიარებელსაც ნიშნავდეს და საერთოდ უცოდინარს, გაუნათლებელსაც (მთგ.).

[9] მანამდე იმათ შესახებ თქვა, რომელთაც ϯრისტეს სახელით ირწმუნეს, მაგრამ სრულყოფილ ცოდნამდე ვერ მივიდნენ, რადგან ჭეშმარიტება საკუთარ წარმოდგენას შეუფარდეს, არ იცოდნენ რა სხვაობა საკუთრივი მნიშვნელობით არსებულთა და ომონიმურად არსებულთა შორის, არსთა და მას შორის, Ꙗინც არსთა ზედაა და ამიტომ ზეარსია. ამგვარნი ხომ, ვითარცა საიდუმლოებთან უზიარებელნი, ფიქრობენ, რომ უზენაესს პირქუში სიბნელე (skoto~ afegge~) მართლაც ახასიათებს და ეს ჩრდილი (skiasma) საფარველია Იმრთისა და მას საყოველთაო მზერისაგან იფარავს. ჭეშმარიტად, ეს სენი მრავალ ჩვენგანსაც სჭირს, რადგან არ იცის, რომ უსაზომო ნათელი ყოველგვარ მზერას აბნელებს. თუკი – ამბობს იგი, ამგვარნი ჩვენ შორისაც არიან, რაღა უნდა ითქვას კერპთთაყვანისმცემელთა შესახებ, რომელნიც არცერთ საიდუმლოს არ ეზიარებიან და ქანდაკებებით არიან გაოცებულნი? არსებულებად ხომ, ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, გონებით საჭვრეტნი იწოდებიან, ხოლო გრძნობადნი – ომონიმურად, ცხადია, გამოთქმა „ამგვარებზე მაღლა“ იმ მორწმუნეებს გულისხმობს, რომელნიც ხრწნადს არიან მიჯაჭვულნი (tou~ en toi~ fqartoi~ enischmenou~).

[10] [ღმერთი] ყველაფერია, ვითარცა ეს Იმერთს სავსებით შეეფერება, მაგრამ არაფერია, რადგან ზეარსებითად მყოფობს. იგი მტკიცებაც (qesi~) არის და უარყოფაც apofasi~), რამდენადაც ღმრთეებრივი დიდებულების მიმართ ორივე სამართლიანად გამოიყენება. რა არის აპოფატიკური უარყოფანი და კატაფატიკური მტკიცებანი და რა მოკლებანი, აქაც განვმარტეთ, მაგრამ განსაკუთრებით მესამე თავსა და წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“, სადაც სხვადასხვაგვარად და ვრცლად გადმოვეცით.

[11] Იმერთთან მიმართებით უარყოფანი მტკიცებებს არ უპირისპირდება, რადგან Იმერთი ყოველგვარ უარყოფასა და მტკიცებასა ზედაა. [ამის შესახებ] წაიკითხე წიგნში „ზეციური იერარქიისათვის“, დასაწყისის ცოტა ქვემოთ.

[12] აქედან შენიშნე, რომ დიდი დიონისეს ეს ღმრთეებრივი ნაწარმოებები ნაყალბევი არაა. ისევე როგორც

დიდიცაა და მცირეც, სახარება ვრცელია და დიდი, მაგრამ, ამასთან, მოკლეც. ვგონებ, მან სრულყოფილად გულისხმაყო, რომ ყოველთა კეთილი მიზეზი ერთდროულად სიტყვამრავალიცაა (polúlogos),[13] სიტყვამცირეც (braxúlektos) და უსიტყვოც (álogos) კი, რადგან არც სიტყვა (lógon)*[14] აქვს და არც აზრი (nóhsin), რამდენადაც ყოველივეს ზეარსულად (úperousíws) აღემატება და დაუფარველად და ჭეშმარიტად მხოლოდ მათ ეცხადება, რომელნიც წარხდებიან რა ყოველგვარ არაწმინდასა და წმინდას, ყველა წმინდა მწვერვალზე ყოველგვარ ზეაღსვლას დაძლევენ, ყველა ღმრთეებრივ ნათელსა და ხმებს, ზეციერთა სიტყვებს[15] დაუტევებენ და შევლენ ნისლსა მას შინა, სადაც ჭეშმარიტად მყოფობს Ის, როგორც ამას წმინდა წერილი ამბობს, Ვინც ყოველთა მიღმაა.

ღმრთეებრივ მოსესაც[16] პირველად თავისი თავის განწმენდა და განუწმენდელთაგან განშორება ებრძანა და მხოლოდ შემდგომად ყოველგვარი განწმენდისა,[17] მოესმა მრავალი ხმა საყვირებისა; მრავალი ნათელი, წმინდად მოელვარენი და მრავალფეროვანი სხივები იხილა, განშორდა ბრბოს და რჩეულ მღვდლებთან ერთად ღმრთეებრივ ზეაღსვლათა მწვერვალს მიაღწია, თუმცა Იმერთს არც იქ შეხვედრია და არა თავად Ის, რამეთუ Იმერთი უხილავია, არამედ მხოლოდ ადგილი იხილა, სადაც Ის იყო.[18] ვფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ განჭვრეტილთა და მოაზრებულთაგან ყველაზე ღმრთეებრივი და უმწვერვალესნი რაღაც ჰიპოთეტური[19] გამოთქმები, ყოველთა ზედა მდგომისათვის კვარცხლბეკნი არიან,

წინა წიგნებში მის თანამედროვე მოციქულთა გამონათქვამები გაიხსენა, ახლაც ღმრთეებრივი ბართლომეოსის გამონათქვამიც მოაქვს, როგორც ეს სიტყვიდან „ამბობს“ (fhsin) ჩანს. ბართლომეოსის სწავლება რომ ზეპირი ხასიათისა ყოფილიყო, მაშინ იტყოდა არა „ამბობს“ (fhsin), არამედ „ამბობდა“ (efh). ყურადღება მიაქციე, რომ წმინდა ბართლომეოსის გამონათქვამს იმის გასარკვევად მოიხმობს, რა აზრითაცაა ღმრთისმეტყველება დიდიც და მცირეც.

[13] Polulogo~, მკვეთრი მახვილით (პაროქსიტონონით) ბოლოდან მეორე მარცვალზე, სიტყვამრავალს ნიშნავს, ხოლო მკვეთრი მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე (პროპაროქსიტონონით) მას, ვისაც მრავალი სიტყვა სჭირდება, ისევე როგორც prototoko~ მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე „პირმშოს“ (პირველად შობილს) ნიშნავს, ხოლო მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე – prototoko~ ქალს, რომელმაც პირველად იმშობიარა, როგორც ეს ჰომეროსთანაა: „პირველად შვა, რადგან ტკივილები მშობიარობისა ადრე არ იცოდა“ (ილ. 17,5).

* *აქ დისკურსიული აზროვნება უნდა იგულისხმებოდეს (მთგ.).*

[14] იგულისხმება ის, რაც მის ბუნებას გარეგნულად წარმოაჩენდა. იგივე უნდა ვიგულისმოთ სიტყვა „აზრთან“ (nohsi~) დაკავშირებითაც.

[15] ზეციურ ხმებსა და სიტყვებზე ამბობს, რომლებიც წმ. წერილში ღმრთის შესახებ იხსენიება, და არა კაცობრივი და მიწიერი გაგებით, არამედ ღმრთეებრივი განგებულებითაა წარმოთქმული და გადმოცემული.

[16] ყურადღება მიაქციე, როგორ გარდახდა თავს ყოველივე ეს მოსეს, რაჟამს იგი, მთაზე ასული, ნისლში შევიდა და ვითარცა ეს კაცს ხელეწიფება, ღმერთი იხილა.

[17] ყურადღება მიაქციე იმის თანმიმდევრობასაც, რაც მოსეს მანამდე გარდახდა, სანამ ღმრთეებრივ ნისლში შევიდოდა.

[18] რა არის ადგილი, რომელზეც Იმერთი მოსეს წინაშე იდგა და რა არის მწვერვალი გონებით საწვდომთა და რა – ხილულთა, წიგნის – „ზეციერთა იერარქიისთვის“ მესამე თავის ბოლოში გადმოვეცით.

[19] ჰიპოთეტურ (upoqetikou~) სიტყვებს არსებულთა ჭვრეტასთან მიმართებით აღწერილობით გამოთქმებს უწოდებს, რომელთაც Იმრთის კვარცხლბეკებად სახელდებს, რადგან მათ მიერ, უფრო სწორად, მათი გამძლეობისა და დაცულობის წყალობით ვსწავლობთ, რომ Ვინც ყოველსა შინა აღწევს, მაგრამ არა გარდამოსვლით (metabatikw~), არამედ განგებულებით (მზრუნველობით) (pronohtikw~) გონით საწდომ მწვერვალებს Იმერთთან მყოფ გონიერ არსებებს უწოდებს და მათ Შის (ე. ი. ღმრთის) უწმინდეს ადგილებად სახელდებს, რომელთა ზედაცაა Იმერთი, მათგან განცალკევებული და სრულიად არაფრით მსგავსი მათი.

რომელთა მიერაც წარმოჩნდება ყოველგვარ მოაზრებაზე აღმატებული თანაყოფა (παρουσά) მისი, Ჴინც თავისი უწმიდესი ადგილების გონით მწვერვალებს ეყრდნობა (ποῆταῖς ἀκρότητι ἐπιβατεύουσα).[20]

მაშინ მოსე დახსნილ იქნა ყოველთა ხილულთა და მხედველთაგან და ნისლში[21] უმეცრებისა,[22] ჭეშმარიტად საიდუმლოსა შინა შეაღწია, რის შედეგადაც დატოვა ყოველნი შემეცნებითი აღქმანი და სრულ შეუხებელობასა(ἀναφεῖ) და უხილვადობაში, ყოველივეს მიღმა აღმოჩნდა, ისე, რომ აღარც თავისთავსა და აღარც სხვას აღარ ეკუთვნოდა. სავსებით უმეცარი ყოველგვარი ცოდნისა,[23] უმოქმედობით (საუკეთესო გაგებით) Ⴠას (ე. ი. ღმერთს) შეუერთდა და არაფრის ცოდნით გონებაზე აღმატებული შეიცნო.

თავი II
როგორ უნდა შევუერთდეთ და ვუგალობოთ ყოველთა გედა აღმატებულ მიზეზს ყოველთა

ვილოცოთ, რათა ჩვენც[24] ამ ზენათელ ნისლსა შინა აღმოვჩნდეთ და უხილველობითა და უმეცრებით ვიხილოთ და შევიცნოთ ის, რაც ხილვასა და ცოდნაზე მაღლაა, რადგან ესაა ჭეშმარიტად ხილვა და შემეცნება და ჩამო-

---

[20] ამ გამოთქმის განმარტება ასე მოიაზრება; იხილა რა ადგილი, სადაც ღმერთი იდგა, მოსე მყისვე განეშორა როგორც ხილულთა, ე. ი. ყოველ შეგრძნებად, ისე გონებით მჭვრეტელებს, ანუ ყოველივეს, რაც სიტყვით გამოითქმება (logikῶn), გონებაჭვრეტით გონიერ არსებებს ვგულისხმობ, რომელთა შორის ჩვენი სულებიცაა, და მხოლოდ შემდეგ შევიდა, ნისლსა ანუ უმეცრებასა შინა, რომლითაც Იმერთია გარემოცული, სადაც ყოველივეს, რაც გონებით აღიქმება, განეშორა, მათთან გონებით შეუხებელი და უმეცარი გახდა და რამდენადაც Იმერთი ყოველთა გონებით აღსაქმელთა მიღმაა, ამ გზით ჩაიძირა რა შეუმეცნებლობასა და უმოქმედობასა შინა, ვგულისხმობ არა გონების ჩვეულებრივ უმოქმედობას საკუთარ თავთან თუ სხვასთან მიმართებისას, არამედ იმგვარ უმოქმედობას, როცა არც თავისთავსა და არც სხვაზე არაფერს ფიქრობდა და ყოველგვარი შემეცნებისთვის სავსებით უცნობ მიღმურ უმეცრებასა შინა ჩაძირულმა, ყოველივე შეიცნო.

[21] შეიცანი, რომ ნისლს იგი, ვითარცა უმეცრებას, ისე მოიაზრებს.

[22] როგორ შეიცნობა ღმერთი უმეცრებისაგან, აქაც ამბობს, ხოლო ჩვენ უფრო ვრცლად წიგნის „საღმრთოთა სახელთათვის“ მეორე თავში გადმოვეცით. საჭიროა ვიცოდეთ: „გამოსვლათა“-ში, სადაც წერია, რომ მოსე შევიდა ნისლსა შინა, სადაც იყო ღმერთი, გამოყენებულია ებრაული სიტყვა „არაფელ“ (arafel). სამოცდაათმა, აკვილამაც და თეოდოტიონმაც *არაფელი* ნისლით (gnofo~) გადმოიტანეს, სვიმმაქოსმა კი *არაფელს* ბინდი (omiclh) შეუსატყვისა, ხოლო ებრაელის* თქმით *არაფელი* სახელია მყარისა, რომელშიც მოსემ შეაღწია. როგორც ამბობენ, მყარი შვიდია, რომელთაც ზეცანი ეწოდებათ. მათ სახელებს ცალცალკეც ჩამოთვლიან, მაგრამ ახლა მათი მოხსენიება აუცილებელი არაა. ამ მშვიდი ცის შესახებ მე არისტონ პელეელის მიერ შეთხზულ პაპისკირისა და იასონის დიალოგში წავიკითხე, რომლის შესახებაც კლიმენტი ალექსანდრიელი „ნარკვევების“ მეშვიდე წიგნში ამბობს, რომ იგი წმინდა ლუკამ დაწერა, ხოლო ნისლზე, რომელიც ღმრთეებრივი უმეცრებით იხილვება, უფრო ღმრთეებრივად თავის ეპისტოლეებში ისიბრძნისმეტყველა, რომელთაგან მეხუთეში მის შესახებ სრულყოფილად წერს.

* იგულისხმება იოსებ ფლავიოსი.

[23] ყურადღება მიაქციე, რომ ყოველგვარი ცოდნის უმოქმედობით (anenerghsia) შეუცნობელს ვუერთდებით.

[24] აქაც ღმრთეებრივ ნისლსა და არცოდნათა შესახებ საუბრობს. Ⴠოიაზრე, რომ ღმრთეებრივ ნისლში ყოფნა სწორედ ამას, – ხილვასა და ცოდნასა ზედა Ⴠყოფის (Ⴝრსებულის) უხილველობითა და უმეცრებით (di' ableyia~ kai agnwsia~) შეცნობას ნიშნავს. ამბობს, რომ ესაა ჭეშმარიტად ხილვა და შემეცნება. სხვაგან ასე არსად განმარტავს, რა არის შემეცნება უმეცრებით (en agnwsia gnwsin). წაიკითხე, აგრეთვე, მეხუთე ეპისტოლე დოროთეს მიმართ.

შორებით ყოველთა არსებულთა,[25] ზეარსს ზეარსულად ვუგალობოთ, მსგავსად ბუნებრივი (თვითნაბადი) ქანდაკების შემქმნელთა, რომელნიც მას დაფარულის წმინდად აღქმის ხელისშემშლელ ყოველგვარ დაბრკოლებას ხსნიან და ფარულ, თავისთავად სილამაზეს მხოლოდ მათი ჩამოშორებით წარმოაჩენენ.

ვფიქრობ,[26] მატებათა (ταῖς θέσεσιν) საპირისპიროდ უფრო მოკლებებს (ταῖς ἀφαιρέσεις) უნდა ვუგალობოთ, რადგან მატებას უპირველესიდან ვიწყებთ და საშუალოთა გავლით უმდაბლესამდე ჩამოვდივართ, მოკლებისას კი, ვართმევთ რა ყოველივეს, უმდაბლესიდან უპირველესამდე ავდივართ, რათა საფარველის გარეშე შევიმეცნოთ ის უმეცრება, რომელიც შემეცნებისათვის მისაწვდომთა მიერ ყოველთა არსებულთა[27] შორისაა დაფარული და ის ზეარსული ნისლი ვიხილოთ, რომელსაც არსებულთა ყოველგვარი ნათელი ფარავს.

თავი III
რა არის კატაფატიკური ღმრთისმეტყველება და რა აპოფატიკური

იმას, რაც საკუთრივ კატაფატიკურ ღმრთისმეტყველებას მიეკუთვნება, „ღმრთისმეტყველების ნარკვევებში“[28] ვუგალობეთ; რატომ იწოდება ღმრთეე-

[25] რამდენადაც არსებულთაგან ბუნებით მის მსგავსს ვერაფერს მოვიაზრებთ, ამას უწოდა მოკლება. თვითნაბად (autofue~) ქანდაკებას კი, დაუნაწევრებელ მატერიაში, მაგალითად, ხელუხლებელ ლოდში არსებულს უწოდებს, ანუ ისეთ ლოდს, როგორიც მანამდე იდგა, ვიდრე ვინმე მისგან რაიმე ცოცხალს არ გამოკვეთდა, როგორც ამას ევრიპიდე ამბობს „ანდრომედაში“:

„ვინმე ქალწულის გამოსახულება
ბუნებრივ მტკიცე ქვათაგან.
ქანდაკება ბრძნული ხელისა“.

ბუნებრივ ქანდაკებას ქვისაგან თვითნაბადი უწოდა; მაგრამ იგივეა, როცა აღმართული და აყვავებული ხის რაღაც ნაწილს ამოგულავ და მას საწოლის ნაწილად აქცევ, რაც, როგორც ჰომეროსი ამბობს, ოდისევსმა გააკეთა, ან როცა იმავე ხიდან გამარჯვების ძეგლი გამოკვეთა. ხოლო ის ძვირფასი ქვისაგან გამოკვეთილზეც ამბობს, მსგავსად სმარაგდისა, რომელიც მიწისაგან განწმენდილი ქანდაკებად ანუ სამკაულად გამოჩნდება, უმზერდა რა უპირატესად მას, წარმოთქვა პროკიმენონი (prokeimenon), ვითარცა პოეტმა დიონისემ წიგნში „ძვირფასი ქვები“:

ღრმადგადამწვანებული იასპისა და ამეთვისტოსგან
მეწამულისფრად მოელვარე ქანდაკება შავზე უშავესი ჰიაცინთისაგან.
ყოველივე ეს წარმოაჩენს დიდად განსწავლულობას ამ წმინდა კაცისა.

[26] ამ ადგილს შემდეგ თვითონ წმ. მამა განმარტავს. მატებანია ისინი, რაც ღმრთის შესახებ დადებითად ითქმება [რაც ის არის], მაგალითად, მყოფი, სიცოცხლე, ნათელი და სხვ. მოკლებანი კი ისინია, რაც, როგორც უცხო ღმრთისათვის, უარყოფილია, მაგალითად, რომ ღმერთი არაა სხეული, არც სამშვინველი და არც სხვა რამ, რაც აზროვნებით შეიმეცნება და მას ექვემდებარება. თუ რა არის მატებანი და მოკლებანი, სხვაგვარად ეს ჩვენ წიგნიდან „საღმრთოთა სახელთათვის“ გავიგეთ.

[27] შემეცნება არსთა, ამბობს იგი, ღმრთის შეუმეცნებლობას ვერც ხსნის და ვერც ცხადყოფს, არამედ მას კიდევ უფრო ფარავს და მალავს. ხოლო ნათელი არსთა შორის უნდა გავიგოთ, ვითარცა შემეცნება არსთა, ისეთებად, როგორებიც ისინი არიან, რასაც შემდეგში ვნახავთ.

[28] რას მოიცავს წიგნი „ღმრთისმეტყველების ნარკვევები“? მოისმინეთ: ღმრთისმეტყველების საფუძვლებსა (upoqhkai) და ამოსავალ წერტილებს (aformai), რომელნიც ყოველგვარ ღმრთეებრივსა და განმანათლებლურ ცოდნასა და მართლმადიდებლობას აქვს, საჭირონი იმის გაგებისათვის, რატომ არის ერთი ღმრთეებრივი ბუნება, რომელსაც გვიანდელმა მამებმა *ერთარსი* (omoousion) უწოდეს; როგორაა სამება (triadikh), რომელზეც ვამბობთ, რომ სამპიროვანია; რას ნიშნავს პირების საკუთარი თვისებანი? რას გამოხატავს მამობა (patrothta) და ძეობა (uïothta); როგორია განმწმენდი ძალა და ღმრთისეტყველება

ბრივი და სახიერი ბუნება **მხოლო ერთად** (ἑνικῇ) და რატომ სამობითად (სამობად); რა იწოდება მასში მამობად (πατρότης) და რა – ძეობად (υἱότης); რისი განცხადება ნებავს ღმრთისმეტყველებას სულისა წმიდისა; უნივთო და განუყოფელი კეთილისაგან ვითარ გამობრწყინდებიან სახიერების გულისმიერნი ნათელნი, რომელნიც მასში თავისთავადაც[29] არიან და ერთმანეთშიც, თანამარადიულნი მათი აღმოცენების სავანისა და მასთან მყოფნი გამოუსვლელად (ἀνεκφοίτητα); ვითარ ინება ზეარსმა Ქესომ[30] კაცობრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტებებით არსყოფა (ἀνθρωποφυϊκαῖς ἀληθείαις οὐσίωται) და სხვაც, რასაც წმინდა წერილი წარმოაჩენს, „ღმრთისმეტყველების ნარკვევებში“ იქნა განცხადებული. ხოლო წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ განმარტებულია, რატომ ეწოდება სახიერი,[31] რატომ მყოფი, რატომ სიცოცხლე, რატომ სიბრძნე და ძალა და ბევრი სხვა გონებით საჭვრეტი სახელიც. „სიმბოლურ ღმრთისმეტყველებაში“[32]* კი, ის სახელებია გადმოცემული, რომელნიც ღმრთეებრივზე შეგრძნებადი სამყაროდანაა გადატანილი (μετωνυμίαι): რანი არიან ღმრთეებრივი ფორმები, რანი ღმრთეებრივი სახენი, ნაწილნი და ორგანონი (მოწყობილობანი), რანი არიან ღმრთეებრივი ადგილნი და სამკაულნი, რანი გულისწყრომანი, რანი მწუხარებანი, რანი მრისხანებანი, რანი მთვრალობანი და ნასვამობანი, რანი ფიცნი და რანი წყევანი, რანი ძილნი და რანი მღვიძარებანი და კიდევ რამდენი სხვა წმინდად ნაძერწნი სახენი არსებობს ღმრთის სიმბოლურად სახელდებისა.

ვფიქრობ, შენც ხედავ, რამდენად უფრო სიტყვამრავალია უკანასკნელნი პირველებზე.[33]

„ღმრთისმეტყველების ნარკვევები“ და განმარტება საღმრთო სახელებისა „სიმბოლურ ღმრთისმეტყველებაზე“[34] უფრო მოკლე უნდა იყოს, რადგან, რამდენადაც მაღლა ავდივართ, გონებით საჭვრეტთა საერთო ხედვასთან (სინოპ-

---

სულისა წმიდისა; რატომ ითქვა: *აღმოთქუა გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი* (ფს. 44,1), რატომაა ნათქვამი თაყვანსაცემი სულიწმიდის შესახებ, რომ მამისაგან გამოდის, და როგორ არიან მამაშიც, თავისთავსა და ერთმანეთშიც ძე და სულიწმიდა მარადიულად (sunaïdiw~), განუყრელად (ascistw~) და განუყოფელად (adioairetw~), სავანიდან (განსასვენებლიდან) გამოუსვლელად (anekfothtw). საჭიროა ასევე ცოდნა იმისა, რომ განსვენება (monh) და დგომა (stasi~) ერთი და იგივეა, ხოლო მოძრაობა განსვენების საწინააღმდეგოა. ამბობს ხომ, რომ ღმრთეებრივი ბუნება სავანესა შინა მარადის უძრავად მყოფობს, ხოლო მოძრავად ერთმანეთსა შინა შეღწევის გამო წარმოდგება.

[29] ნათქვამის აზრი ესაა, ამბობს, რომ ყოფიერება (uparxi~) წმიდისა სამებისა მარადიულია და იგი სხვაგვარი არც ოდესმე ყოფილა და არც მერე გამხდარა; არც რაღაც გაყოფა და არც რაიმე ცვლილება არ მიუღია, არამედ ძე და სულიწმიდა თანადროულად მამისა, მისგან და მასთან ერთად არსებობენ და არა მის შემდეგ.

[30] ყურადღება მიაქციე იმას, რომ [ეს სწავლება] ნესტორის მიმდევართა და აკეფალების საწინააღმდეგოა.

[31] რას შეიცავს წიგნი „საღმრთოთა სახელთათვის“.

[32] რას შეიცავს წიგნი „სიმბოლური ღმრთისმეტყველება“.

* Sumbolikh qeologia-ს (სიმბოლური ღმრთისმეტყველება) ეფრემ მცირე სახის – შემოღებით ღმრთისმეტყველებად თარგმნის (მთგ.).

[33] პირველს ის „სიმბოლურ ღმრთისმეტყველებას“ უწოდებს.

[34] რატომაა „ღმრთისმეტყველების ნარკვევები“ და წიგნი „საღმრთოთა სახელთათვის“ უფრო მცირე მოცულობის, ვიდრე „სიმბოლური ღმრთისმეტყველება“.

ტიკურ) ერთად, სიტყვებიც მცირდებიან,[35] როგორც ახლა, გონებასა ზედა არსებულ ნისლში შესულნი, არა თუ სიტყვამცირობას, არამედ სრულ[36] უსიტყვობასა და უგონოებას ვპოვებთ.

იქიდან, სიმაღლიდან უკანასკნელამდე დაღმა სვლისას, რამდენადაც დაბლა ვეშვებით,[37] სიტყვაც იმისდა მიხედვით მრავლდება; ახლა კი, პირიქით, მდაბალთაგან უზესთაესისაკენ აღმასვლისას, შესაბამისად აღმასვლისა, სიტყვაც მცირდება, ხოლო აღმასვლის დასასრულს სრულიად უხმო გახდება და მთლიანად გამოუთქმელს შეუერთდება.

რატომ იწყება, – მკითხავ შენ, ღმრთეებრივი მატებანი (θεί‹ας θέσεις), უპირველესიდან,[38] ხოლო ღმრთეებრივი მოკლებანი (θεί‹ας ἀφαιρέσεις)[39] უკანასკნელთაგან? იმიტომ რომ, ყოველთა მატებათა ზედა მყოფისათვის მატება, ჰიპოთეტური მტკიცება[40] მისთვის ყველაზე მონათესავისაგან უნდა

[35] გონებით საჭვრეტთა შემცირებაზე საუბრისას, მას მხედველობაში აქვს მისი არამატერიალური სიმარტივის შესაბამისი ჭვრეტანი. ხოლო „შემცირება“ შეკვეცის (შემოკლების – sastellontai) ნაცვლად გამოიყენა.

[36] უსიტყვობას უწოდებს, როცა სიტყვას არ შეუძლია წარმოადგინოს ის, რაც სიტყვაზე მაღლაა; ხოლო უგონოებას (anohsian), წარმოდგენის უუნარობას (to anennohton), როცა არ ძალუძს მოაზრება მისი, რაც გონებაზე მაღლაა.

[37] რამდენადაც არსებობს გონიერი და გონებაზე მაღლა მდგომი ერთეულები (enade~) ღმრთისა* და ღმერთიც ერთია, უფრო უკეთ, ერთზე მაღლაა, განუყოფელი და განუმრავლებელია, ბუნებრივია, სიტყვაც მოკლდება. ხოლო შემდგომად ღმერთთან აღსვლისა, რაც უფრო დაბლა ვეშვებით შეგრძნებადთა სამყარომდე, სიტყვაც მით უფრო უკავშირდება გაყოფილებს, დაშლილებსა და გამრავლებულებს და შესაბამისად შეგრძნებადთა სამყაროს დაყოფისა და მრავალფეროვნებისა, თვითონაც მრავლდება. უმდაბლესამდე – ეს „თეოლოგიური ნარკვევებიდანაა“.

*იგულისხმება პირები ღმრთისა (მთგ.).

[38] „უპირველესიდანო“, ამბობს, ვითარცა უფრო შესაფერისიდან და აზრთან მიახლოებულიდან, მაგალითად, რომ ღმერთი არსია, როგორც ეს მან თავისთავს თვითონვე უწოდა.

[39] როგორ უნდა იქნას გამოყენებული ღმერთთან მიმართებით მატებანი (მტკიცებანი) და მოკლებანი და რომ მტკიცებებს უპირველესიდან იმისგან ვიწყებთ, რაც ღმერთს უფრო ენათესავება, მოკლებებს კი, უმდაბლესთაგან, ანუ მისგან შედარებით შორს მდგომთაგან.

[40] კატაფასისი (Katafasi~) არის მტკიცებითი (apofantiko~) სიტყვა რაღაც ან საყოველთაოდ მიღებულისა, ან საკამათოსი, რაღაცის ერთმანეთთან დაკავშირებისა ან განყოფისა, როგორიცაა, მაგალითად: ღმერთი სიცოცხლეა, ღმერთი სიკეთეა. ჰიპოთეტური (upoqetikh) კი, არის განცხადებითი სიტყვა (მსჯელობა) ან საერთოდ მიღებულზე ან რაიმე საწინააღდეგოზე, ან განმმარტებული რაიმე ჩახლართულისა. ღმერთთან მიმართებით, ჰიპოთეტური კატაფასისია, მაგალითად, რომ იგი უფრო სიცოცხლე და სიკეთეა, ვიდრე ლოდი. მოკლებანი კი, უარყოფის გაგებით, იმათ ეწოდებათ, რაც საწინააღმდეგოა მტკიცებისა. თუ კატაფატიკური მტკიცებით, ღმერთი უფრო სიცოცხლეა ვიდრე ჰაერი, აპოფატიკური მოკლება ამბობს, რომ ღმერთი არ მემთვრალეობს და არ მრისხანებს. მტკიცებებს ჩვენ ყველაზე მონათესავეთაგან ვიწყებთ, ხოლო უფრო მონათესავე ღმრთისათვის სიცოცხლე და სიკეთეა, ვიდრე ჰაერი და ლოდი. მოკლებათა დროს კი, მაღლა უმდაბლესთაგან ავდივართ. მაგალითად, თუმცა ის, რომ ღმერთი არც სიტყვით განცხადდება (გამოიხატება) და არც მოიაზრება, უფრო ახლოა ღმერთთან, ვიდრე ის, რომ არ მემთვრალეობს და არ მრისხანებს, მოკლებას მაინც მეორედან ვიწყებთ, რადგან ღმერთი უფრო არ მემთვრალეობს, ვიდრე არ გამოითქმება და უფრო არ მრისხანებს, ვიდრე არ მოიაზრება. (kraipalh) მემთვრალეობა ხშირსა და ფრიად ძლიერ თრობას ნიშნავს, რაც ერთგვარ თავბრუსხვევას იწვევს. თავბრუსხვევა (karapalh) წარმოდგება სიტყვებისაგან „თავი“ (to kara იგივეა, რაც h kefalh) და „შემარყეველი“ (pallousa) „ძლიერად ამოძრავებელი“. ხოლო რისხვა (mh~ni~) არა შემთხვევითი, არამედ ხანგრძლივი მრისხანებაა. შეგრძნებადთაგან გონებით საჭვრეტებამდე ამაღლებისას ყველა ამგვარი უსხეულო მოკლება არა უხეშად უნდა იქნეს გაგებული, არამედ ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული თვითონ ნეტარი დიონისეს ნათქვამი – რომ ღმერთი ნათქვამთაგან არაფერია, არც მხოლოდ იმათგან, რაც ვიცით და რასაც ვიაზრებთ, არამედ არც იმათგან, რასაც ყველა გონითი ძალა შეიცნობს, რადგან საერთოდ ყოველი, რასაც ვამბობთ ღმრთისგანაა და მისი საჩუქარია. როგორ შეუძლია

იწყებოდეს, ხოლო მოკლებანი მისთვის, ვინც ყველა მოკლებაზე მაღლაა, მისგან შედარებით შორს მდგომთაგან. განა ღმერთი უფრო მეტად სიცოცხლე და სიკეთე[41] არაა, ვიდრე ჰაერი ან ლოდი?[42] უფრო არ მემთვრალეობს (κραιπαλᾷ) და არ მრისხანებს (μηνίᾳ), ვიდრე ეს ითქმება ან მოიაზრება?

თავი IV
იმის შესახებ, რომ მიზეზს ყოველი გრძნობადისა არაფერი აღემატება

ამრიგად, ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველთა მიზეზი – ყოველთა არსთა ზედა მყოფი, არცა არარსია, არცა უსიცოცხლო, არცა უსიტყვო, არცა უგონო, არცა სხეული, არცა გამოსახულება, არცა სახე, არცა რაგვარობა (ποιότητα), არცა რაოდენობა (ποσότητα); არც სიდიდე აქვს, არც ადგილი, სადაც მყოფობს;[43] არც იხილვება, არც შეგრძნებით შეხებადია, არც აღმქმელია. არც უწესრიგობა ახასიათებს და არც შფოთი, მატერიალური ვნებებით აღძრული; არც უძალოა, ვითარცა დამოუკიდებელი გრძნობადთა სნეულებათაგან, არცა ნათლის მოკლებას შინა არს, არცა ცვალებადობას, ხრწნადობასა და განყოფას, მოკლებასა და წარმავლობას განიცდის; გრძნობადთაგან არცა სხვა რამეს წარმოადგენს და არც [რაიმე გრძნობადი] აქვს.

თავი V
იმის შესახებ, რომ გონებით საჭვრეტთაგან მიზეზს ყოველი გონებით საჭვრეტისა არაფერი აღემატება

ვაგრძელებთ რა ზეაღსვლას, ვამბობთ, რომ არცა სულია, არცა გონება, არცა წარმოსახვა, არც წარმოდგენა, არცა სიტყვა, არცა აზრი (νόησις);[44] არც

სიტყვებს, საკუთრივი მნიშვნელობით, იყოს რამე იმათგან, რაც იმისაა Ꭲინც მათ მზრუნველობს? ყოველივე ეს სხვაგვარად, ჩვენ წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ გადმოვეცით. ყველა ეს ხომ ვითარცა შემთხვევითი, იმ არსებულთა შორისაა, რომელნიც ღმრთის მიღმაა. ხოლო ღმერთი არსზე მაღლაა და მისი მიზეზია, ამიტომაც მათზე მაღლაცაა.

[41] სიცოცხლე და სიკეთე – ეს კატაფასისი ანუ მტკიცებაა; არა მემთვრალეობა, არა მრისხანება კი – აპოფასისი ანუ მოკლება.

[42] ჰაერია, რადგანაც მეფეთა წიგნში „წულილი ნიავი“ (II მეფ. 19, 12) ეწოდება. ლოდი კი მას წინასწარმეტყველმა უწოდა (ფს. 117,22). ამათზე უფრო მეტად ღმერთს იმგვარი მტკიცებანი და განცხადებანი შეეფერებიან, როგორიცაა სიცოცხლე და სიკეთე; ასევე მოკლებისას, ისეთი მოვლენები საპირისპიროსი, როგორიცაა მემთვრალეობა და მრისხანება, დაშორებულნი ღმრთისაგან და მისთვის უცხონი, ხოლო ის, რომ გამოუთქმელია, ღმერთს უფრო შეეფერება და მასთან უფრო ახლოა, რამდენადაც ყოველგვარ გონებასა და სიტყვაზე მაღლაა.

[43] წმინდა მამა ამათი საშუალებით აუცილებლობით აფრთხილებს მსმენელებს, უარყოფათა შედეგად არ იფიქრონ, რომ ღმრთეება საერთოდ არ არსებობს. პირიქით, მათ მიერ იგი მის (ღმრთის) მყოფობას ამტკიცებს, კერძოდ, რომ იგი არაფერია არსებულთაგან, არამედ ზეარსია.

[44] როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. წარმოსახვა, წარმოდგენა, სიტყვა, აზრი გონების თვისებებად განიჭვრიტება; მაგრამ ისიც უნდა იქნეს მოაზრებული, რომ ღმერთს ჩვენი სიტყვის მსგავსი სიტყვა არა აქვს; ასევე, არც აზროვნება ისეთი, როგორიც გონიერ ქმნილებებს; ამგვარადვე უნდა აღ-

გამოითქმება და არც მოიაზრება; არცა რიცხვია, არცა წესრიგი, არცა სიდიდე, არცა სიმცირე, არცა თანაბრობა, არცა უთანაბრობა, (ἰσότης და ἀισότης), არცა მსგავსება, არცა უმსგავსობა, არცა დგას, არც მოძრაობს, არცა განსვენებასა შინაა; არც ძალა აქვს, არც თვითონაა ძალა, არც ნათელია; არცა ცოცხლობს და არცა ცხოვრებაა, არც არსია, არცა საუკუნე, არცა ჟამი (დრო); არცა გონებით შეხებადია, არცა ცოდნა, არცა ჭეშმარიტება, არცა მეუფება, არცა სიბრძნე, არცა ერთი (ἕν), არცა ერთობა[45] (ἑνότης), არცა ღმრთეება, არცა სახიერება (სიკეთე), არცა სულია, როგორიც ვიცით, არცა ძეობა, არცა მამობა.[46] არც სხვა რაიმე ჩვენთვის ან სხვა რომელთამე არსთათვის ცნობილთაგან (მისაწვდომთაგან); არ არის იგი რაიმე არარსთაგან და არცა რაიმე არსთაგან; არცა არსთა იციან[47] იგი ისეთი, როგორიც არის,[48] არც მან იცის არსნი ისეთნი, როგორნიც

ვიქვათ დანარჩენებიც. სხვაგვარად: ისინიც ისევე უნდა მივიღოთ, როგორც მაშინ ვიღებთ, როცა საქმე ჩვენს შემეცნებას ეხება. ხოლო როცა ამბობენ, „სიცოცხლეს“ ან „ნათელს“ იმ აზრით, რა აზრითაც ისინი დაბადებულთა შორის განიჭვრიტებიან, მაშინ, – ამბობს იგი, – აღნიშნავენ იმას, რაც მის გარეშე ანუ ღმრთეებრივი ბუნების მიღმაა, მაშასადამე, აღნიშნავენ ქმნილებებს, რომელთა წყალობითაც ჩვენ მათთვის ყოფიერების შიმცემს შევიცნობთ; მაგრამ მათი საშუალებით შისი ბუნების განმსაზღვრელს ვერაფერს ვამბობთ; ამგვარად, ჩვენ ისევ მოკლებას (აპოფატიკას) მივმართავთ და ვამბობთ, რომ ღმრთეება ამათგან არაფერი არ არის.

[45] ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთი და ერთობაც. პირველი წარმოადგენს აღმატებულს, ხოლო მეორე მის თვისებას, როგორც მაგალითად, თეთრი და სითეთრე, სახიერი და სახიერება. ყურადღება მიაქციე, რომ არც ღმრთეებრიობაა (qeoth~) ღმრთის არსი, ისევე როგორც არცერთი სხვა რამ ნათქვამთა და მათ საწინააღმდეგოთაგან, იმიტომ რომ ⁊ის იმათგან არაფერია, რადგან ამგვარნი არა მისი არსი, არამედ მის შესახებ წარმოდგენებია. იმავეს ამბობს ფილოსოფოსი სექსტუს ეკლესიასტიკოსი და გრიგოლ ღმრთისმეტყველი მესამე საღმრთისმეტყველო სიტყვაში, სახელდობრ, რომ არც ღმრთეებრიობა, არც დაუბადებლობა, არც მამობა ღმრთის არსს არ აღნიშნავენ.

[46] ისწავე, რომ არც სულია, როგორიც ჩვენ ის ვიცით, არც ძეობა, არც მამობა. ყველა შემოთავაზებულ აპოფასისს დაურთე სიტყვები: „როგორც ჩვენ ვიცით“, რადგან ისინი, იმაზე მიუთითებენ, რაც ჩვენს ცოდნას შეეფერება.

[47] ეს თავი ნურც შეგაშფოთებს და ნურც იმას გაფიქრებინებს, რომ ეს ღმრთეებრივი კაცი მკრეხელობს. რადგან მისი მიზანი წარმოჩენაა იმისა, რომ [ღმერთი] არსთაგან არა ერთ-ერთი, არამედ არსთა ზედა ამაღლებულია. უკეთუ ყოველივე მან შექმნა და ყოფიერებაში შემოიყვანა, არსებულთაგან თვითონ რომელიმე ერთი როგორ აღმოჩნდება? ამბობს, რომ არსებულებმა ყოველთა მიზეზი ღმერთი არ იციან. მაგრამ არ ცოდნა ღმრთისა ხომ ცხადი დაღუპვაა. ამიტომ თვითონვე მსწრაფლ განმარტა, როცა თქვა: „ისეთი, როგორიც ისაა“, ე. ი. არსებულთაგან არავინ იცის ღმერთი ისეთი, როგორიც ის არის, ანუ მოუაზრებელი და ზეარსული არსი (uperousion ousian) მისი, ან ყოფიერება, რომლითაც იგი არსებობს. ნათქვამია ხომ, რომ: *არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან* (მთ. 11,27). დიდი დიონისე საწინააღმდეგოსაგან ასკვნის და ამბობს, რომ არც ღმერთი იცის არავინ ისეთი, როგორიც ისაა და არც თვითონ ღმერთმა იცის არსებულნი ისეთნი, როგორნიც არიან, ანუ არ შეუძლია შეგრძნებადებთან შეგრძნებით მივიდეს და არსებულებთან ვითარცაა არსებული, რამდენადაც ეს ღმერთს არ ახასიათებს. ადამიანები შეგრძნებადებს, თუ რანი არიან ისინი, ხილვით, გემოთი, ან შეხებით მოიაზრებენ; გონებით საჭვრეტებს კი ცოდნით, სწავლებით ან განათებით [გონებისა] გულისხმავყოფთ. ხოლო ღმერთი არცერთ მათგანს არ იყენებს, რადგან მან არსნი მისთვის შესაფერისი ცოდნით იცის. ამაზე მიანიშნებს გამოთქმა: *უწყის ყოველნი პირველ ქმნისა მათისა* (დან. 13,42), რომელიც ცხადყოფს, რომ ღმერთმა იცის არსებულნი არა ყოფიერებისათვის დამახასიათებელი თვისებით ანუ შეგრძნებით, არამედ სხვა საშუალებით შემეცნებისა. ანგელოზებიც ხომ მათ არამატერიალურად (არანივთიერად), გონებით შეიმეცნებენ და არა როგორც ჩვენ – შეგრძნებათა გზით. ამგვარად, ღმერთმაც არსებულნი შეუდარებლად და ყველაზე აღმატებულად იცის, მათგან დამოუკიდებელად, სხვაგვარად; არსებულებს ანუ ქმნილებებს თავიანთ ბუნებაზე ამაღლება აზროვნებით არ შეუძლიათ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ თავის თავის შემყურე ღმრთეებრივ ბუნებას ვერ შეიმეცნებს ისეთად, როგორიც ისაა. ასევე ღმრთეებრივმა ბუნებამ, უმზერს რა თავის თავს, არ იცის მასში ყოფნა არსებულთა, თანახმად არსის ლოგოსისა. ეს შან განმარტა, როცა თქვა, რომ მყოფია, – რამდენადაც ყველა არსებულზე მაღლაა და თავად ყოფიერებაც ზეარსულად აქვს. სხვა გაგებით არ შეიძლება ითქვას, რომ ღმერთმა საკუთარი ქმნილებანი არ იცის.

[48] რომ არავინ იცის ყოვლადწმიდა სამება ისეთი, როგორიც ისაა, სხვა სიტყვებით, არაფერია მსგავსი მისი,

ისინი არიან. არც სიტყვა აქვს მას, არცა სახელი, არცა ცოდნა. არც სიბნელეა, არცა ნათელი; არცა ცდომილებაა, არც ჭეშმარიტება, სრულიად არაა მისი არცა მატება და არცა მოკლება (მტკიცება და უარყოფა), არამედ, როცა ჩვენ მას ვუმატებთ ან ვაკლებთ რამეს იმათგან, რაც მის გარეთაა, არც ვუმატებთ და არც ვაკლებთ, რადგან ყოველგვარ მტკიცებაზე მაღლაა, სრულყოფილი (pantelῆς) და ერთადერთი (ἑniaία) მიზეზი ყოველთა და ყოველგვარ მოკლებასა ზედაა უპირატესობა მისი, ვითარცა ყოველთათვის სრულიად მიღმურისა.

რომელსაც მისი ისეთად შეცნობა შეუძლია, როგორიც თავადაა ჩვენ შევიცნობთ, რა არის კაცება, რადგან ადამიანები ვართ, მაგრამ რას წარმოადგენს ყოვლადწმიდა სამების არსება (ყოფიერება, uparxin), არ ვიცით, რადგან მისი არსიდან არ წარმოვშობილვართ. ასევე არც ღმერთმა იცის არსებული ისეთად, როგორიც ისაა და როგორიც ჩვენ ვიცით, რადგან Მგი არ არის რაღაც არც არსებულთაგან და არც მათ მსგავსთაგან. ხოლო უკეთუ სული ღმერთია და სული წმიდა ასეც იწოდება, მაშასადამე, სული ჩვენთვისაც და ანგელოზთათვისაც აზრობრივად მიუწვდომელია (შეუცნობელია ouk estin gnwrimon). რატომ ამბობს ზევით [ღმერთი] „არ არის ნათელი, არც ჭეშმარიტება“, ცოტა ქვემოთ კი: „არ არის არც სიბნელე, არც ნათელი, არც ცდომილება, არც ჭეშმარიტება“? შეიძლება შევეცადოთ და ასე ვუპასუხოთ: ჯერ იგი ლაპარაკობს ნათელზე აბსოლუტური გაგებით, რომ იგი არ არის ცდომილება, ვითარცა ანგელოზთა არსებებში; არც ჭეშმარიტებაა უბრალოდ, არამედ – თავისთავადი და უმიზეზო ჭეშმარიტება. და შემდეგ, არც იმათგანია, რომელნიც რამეს მიემართებიან, ვითარცა ნათელი ბნელიდან გარდაქმნილი, თითქოსდა შესაძლებლობიდან მოქმედ (აქტიურ) ნათლად გარდაქცეული – თანაფარდობით ნათლისა და ბნელის ურთიერთობისა. რადგან არც ნისლია და არც ძლიერი სინათლე, რამდენადაც საწინააღმდეგოსაგან არაა, შესაძლებელი ცდომილებიდან მოქმედ (აქტიურ) ჭეშმარიტებად გარდაცვალა. ყოველი ამგვარი Მასთან მიმართებით მეორადია და Მისგან განგებულებით გამომავალი; არაფერია ხომ ისეთი, არსებობა რომ მისგან არ ჰქონდეს.

ბიბლიურ მუხლთა საძიებელი*

ძველი აღთქმა

შესქ.1,1 – 1,2,342,352
შესქ.I,2 – 327,353
შესქ.1,3 – 18,90
შესქ.1,4 – 18
შესქ.1,5 – 19,296
შესქ.1,6 – 22
შესქ.1,6-7 – 24
შესქ.1,8 – 31,29
შესქ.1,9-10 – 33
შესქ.1,11 – 39
შესქ.1,14 – 51,53
შესქ.1,16 – 51,59
შესქ.1,20 – 29,63,73
შესქ.1,21 – 70
შესქ.1,24 – 71
შესქ.1,26 – 90,91,443, 446(2), 454,467,509,529
შესქ.I,26-27 – 481
შესქ.1,27 – 92(2),96,468
შესქმ.I,28 – 482,529
დაბ.II,1 – 441
დაბ.II,4 – 439
დაბ.2,7 – 200(2), 495
შესქ.II,8 – 295
შესქ.2,16 – 477
შესქ.2,17 – 479
დაბ.3,6 – 479
შესქ.III,8 – 532
დაბ.3,9 – 219
შესქ.3,18 – 44
დაბ.3,19 – 145
დაბ.4,1 – 245,361
შესქ.4.26 – 431
შესქ.6,14 – 241
შესქ.7,20 – 1
დაბ.8,6 – 546
შესაქ.9,3 – 466
დაბ.9,25 – 281
შესქ.15,4 – 124
დაბ.18,20-21 – 150
დაბ.21,22 – 153
შესქ.XXII,8 – 347
შესქ.25,27 – 67,199
დაბ.26,8 – 153
შესქ.27,18 – 347
დაბ.27,29 – 183
შესქ.28,16 – 292
შესქ.XXXI,11 – 357
შესქ.XXXI,13(2) – 358
დაბ.XXXI,47 – 262
დაბ.40,1 – 463
დაბ.XXXX,8 – 245
დაბ.XLI,1 – 409
დაბ.46,26 – 176
შესქ.47,9 – 164
დაბ.48,16 – 109,378
დაბ.49,3 – 547
შესქ.49,25 – 134

გამს.2,15 – 112
გამს.3,6 – 328
გამს.3,15 – 328
გამს.III,2 – 357
გამს.III,6 – 357
გამს.III,14 – 357(2)
გამს.4,5 – 134
გამს.IV,22 – 360
გამს.5,17 – 190
გამს.XII,19 – 718
გამს.12,29 – 111
გამს.14,15 – 217
გამს.XIV,31 – 262,264
გამს.15,1 – 151
გამს.XVI,2-3 – 389
გამს.XVI,15 – 409
გამს.XX,3 – 520
გამს.XX,3-5 – 522
გამს.XX,4 – 519,521, 522
გამს.20,12 – 105
გამს.20,13 – 565
გამს.20,13-15 – 97
გამს.20,18 – 124
გამს.XX,19 – 264
გამს.21,24 – 568
გამს.XXIII,5 – 307
გამს.23,20 – 520
გამს.24,2 – 167
გამოსვ.XXIV,3 – 661
გამს.XXV,31 – 241
გამს.XXXI,3 – 279
გამს.32,1 – 520
გამს.XXXII,8 – 520
გამს.32,20 – 127
გამს.33,20 – 166
გამს.33,21 – 292
გამს.34,17 – 521
გამს.XXXV,35 – 523
გამს.XXXVIII,5 – 523

ლევ.17,11 – 73
ლევიტ.XIX,2 – 535
ლევიტ. XXVI,12 – 535

რიცხ.XI,25-26 – 291
რიცხ.12,6-9 – 2
რიცხ.12,8 – 50
რიცხ.12,13 – 156
რიცხ.20,10-12 – 196
რიც. XXI,9 – 263
რიცხ.XXXVI,5 – 245

IIსჯ.4,9 – 500
IIსჯ.IV,12 – 521
IIსჯ.IV,15-16 – 524
IIსჯ.IV,15-17 – 521
IIსჯ.IV,19 – 521
IIსჯ.4,24 – 329
2სჯ.IV,26 – 262
IIსჯ.6,4 – 520
II სჯ. 6,7 – 731
IIსჯ.6,13 – 520,521
IIსჯ.XII,3 – 521
2სჯ.XII,13-14 – 292
IIსჯ.16,17 – 151
IIსჯ.16,18 – 151
2შჯ.XVIII.18 – 657
2სჯ.XIX,15 – 300
2სჯ.23,3 – 208
IIსჯ.23,19 – 113
IIსჯ.28,5 – 137
IIსჯ.28,23 – 29
2სჯ.30,15 – 213
2სჯ.XXXII,1 – 262
IIსჯ.XXXII,8 – 378
2სჯ.32,39 – 136
IIსჯ.33,13-15 – 29
IIსჯ.34,10 – 478

რიცხ.24,9 – 550
რიცხ.24,17 – 547

ისო ნავ.5,14 – 142
ისო ნავ.XXIV,27 – 262

Iმეფ.I,1 – 353
Iმეფ.1,20 – 433

*შეადგინა ნანა მამულაშვილმა.

Iმეფ.II,19 – 433
Iმეფ.VII,10 – 418
Iმეფ.9,3 – 394
Iმეფ.16,28 – 433
Iმეფ.21,1-9 – 153
Iმეფ.21,11 – 153
Iმეფ.21,11-13 – 153
Iმეფ.21,13-14 – 153

IIმეფ.III,30 – 535
IIმეფ.8,34 – 205
IIმეფ.10;6-9,19 – 205
IIმეფ.12,16 – 419
IIმეფ.13,14 – 167
IIმეფ.15,31 – 148
IIმეფ.15,32 – 102
IIმეფ.17,14 – 102(2)
IIმეფ.19, 12 – 744
IIმეფ.22,12 – 738

3მეფ.3,1 – 153
IIIმეფ.4,29 – 433
IIIმეფ.XI,14 – 419
IIIმეფ.XVII,14 – 409
3მეფ.18,42-45 – 125

IVმეფ.II,9 – 433
IV მეფ.4,39 – 83
IVმეფ.6,25 – 148
IVმეფ.7,16 – 148

Iნეშ.7,17 – 208
Iნეშ.16,41-42 – 209
Iნეშ.25,1 – 209

ივდით.IX,5 – 253
ესთ.14,11 – 358
იობ.I,1 – 353,565
იობ.1,9 – 203
იობ.3,10 – 197
იობ.5,7 – 197
იობ.VIII,9 – 300
იობ.14,4 – 144
იობ.XXX,4 – 279
იობ.XXXII,28 – 363
იობ.XXXIII,4 – 380
იობ.33,6 – 343
იობ.36,27 – 26
იობ.38,1-3 – 734
იობ.38,6 – 8
იობ.39,10 – 127

ფს.1,1 – 95,96
ფს.1,2 – 97
ფს. 1,2 _ 731
ფს.1,5 – 106
ფს.1,7 – 266
ფს.II,7 – 346,365
ფს.2,9 – 179
ფს.3,8 – 169
ფს.5,9 – 199
ფს.6,1 – 20
ფს.6,3 – 134,169
ფს.VI,6 – 272
ფს.6,7 – 156
ფს.VI – 296
ფს.7,1 – 102
ფს.7,2 – 103
ფს.7,3-5 – 104
ფს.7,6 – 105(2)
ფს.7,7 – 105
ფს.7,8 – 105,107(2)
ფს.7,9 – 108(2),109,457
ფს.7,10 – 109(2)
ფს.7,11 – 110
ფს.7,12 – 110
ფს.7,13 – 110,111,420
ფს.7,14 – 111
ფს.7,15 – 111
ფს.8,2 – 126,151
ფს.8,5 – 473
ფს.8,8 – 29
ფს.9-10 – 197
ფს.IX,15 – 631
ფს.10,5 – 103
ფს.10,8 – 141
ფს.11,7 – 688
ფს.XI,18 – 428
ფს.13,1 – 198
ფს.13,8 – 196
ფს.14,5 – 113
ფს.15,6 – 433
ფს.15,10 – 197
ფს.17,2 – 24
ფს.17,3 – 128
ფს.17,11 – 317,322,737
ფს.17,12 – 738
ფს.17,34 – 135
ფს.18,1 – 30,358,384
ფს.18,2 – 130,375
ფს.18,5 – 192
ფს.XVIII,6 – 428
ფს.18,8 – 169
ფს.18,10-11 – 82
ფს.18,11 – 82
ფს.21,22 – 127
ფს.22,1 – 202
ფს.22,4 – 179
ფს.22,6 – 19
ფს.23,2 – 9
ფს.23,3 – 242
ფს.25,1-2 – 106
ფს.25,5 – 136
ფს.26,4 – 183
ფს.28,1 – 121
ფს.28,2 – 121,123
ფს.28,3 – 123,124
ფს.28,4 – 125(2)
ფს.28,5 – 126(2)
ფს.28,6 – 127(2)
ფს.28,7 – 52,128
ფს.28,8 – 128(2)
ფს.28,9 – 129(2),130
ფს.28,10 – 131(2)
ფს.28,11 – 131
ფს.29,1 – 133
ფს.29,2 – 134
ფს.29,3 – 134(2)
ფს.29,4 – 135(2)
ფს.29,5 – 135,137
ფს.29,6 – 136
ფს.29,7 – 137(2),138
ფს.29,8 – 138
ფს.29,9 – 138,139
ფს.29,10 – 139
ფს.29,11 – 139(2)
ფს.29,12 – 140(3)
ფს.30,3 – 292
ფს.30,6 – 435
ფს.30,16 – 433
ფს.31,5,6 – 131
ფს.32,1 – 140,141
ფს.32,2 – 141
ფს.32,3 – 142(2)
ფს.32,4 – 143(2)
ფს.32,5 – 143,144
ფს.32,6 – 145,269,380
ფს.32,7 – 146
ფს.32,8 – 147
ფს.32,9 – 147
ფს.32,10 – 148
ფს.32,11 – 148
ფს.32,12 – 149
ფს.32,13-14 – 149,150
ფს.32,16 – 150,151
ფს.32,17 – 151(2)
ფს.32,18 – 151
ფს.32,19 – 151,409
ფს.32,20 – 151,152
ფს.32,21 – 152

ფს.33,1 – 153,154,731
ფს.33,2 – 155(2)
ფს.33,3 – 156
ფს.33,4 – 156,157,168
ფს.33,6 – 157,158,168
ფს.XXXIII,7 – 378
ფს.33,8 – 45,109,159(2), 160
ფს.33,9 – 160
ფს.33,10 – 161
ფს.33,11 – 162(2),189
ფს.33,12 – 163,242
ფს.33,13 – 164,353
ფს.33,14 – 165
ფს.33,15 – 165,166,555
ფს.33,16 – 151,166,167
ფს.33,17 – 166,168
ფს.33,18 – 167
ფს.33,19 – 168(2)
ფს.33,20 – 168,185
ფს.33,21 – 169,170
ფს.33,22 – 170
ფს.34,10 – 169
ფს.35,7 – 146
ფს.35,9 – 278,429
ფს.XXXV,10 – 354
ფს.36,4 – 82,477,732
ფს.36,27 – 97
ფს.36,35 – 126
ფს.38,1 – 209
ფს.38,1,2 – 210
ფს.38,5 – 210
ფს.38,6 – 210
ფს.40,4 – 134
ფს.41,1 – 129
ფს.41,7 – 429
ფს.43,9 – 288
ფს.43,23 – 216
ფს.43,24 – 133
ფს.43,25 – 133(2)
ფს.44,1 – 173(2),174, 742
ფს.44,2 – 173,175(2)
ფს.44,3 – 176
ფს.44,4 – 177(2)
ფს.44,5 – 177
ფს.44,6-7 – 178
ფს.44,7 – 173
ფს.38,8 – 708
ფს.44,7 – 176,179,260
ფს.44,8-9 – 179
ფს.44,9 – 180
ფს.44,10-11 – 181
ფს.44,12 – 181
ფს.44,13-14 – 181
ფს.44,15 – 182
ფს.44,16 – 183,538
ფს.44,17 – 183
ფს.45,1 – 184
ფს.45,2 – 185
ფს.45,3 – 186,186(2)
ფს.45,4 – 187,187
ფს.45,5 – 188
ფს.45,6 – 188
ფს.45,7 – 189
ფს.45,9 – 189
ფს.45,10 – 190(2)
ფს.45,11 – 191,730
ფს.48,1 – 191
ფს.48,1-2 – 192
ფს.48,3 – 193
ფს.48,4 – 193
ფს.48,5 – 194
ფს.48,6 – 194
ფს.48,7 – 195 – 196
ფს.48,7-8 – 195
ფს.48,8 – 196
ფს.48,10-11 – 198
ფს.48,12-13 – 200
ფს.48,13 – 84,201(2)
ფს.48,14 – 201(2),202
ფს.48,15 – 202
ფს.48,16 – 202
ფს.48,18 – 203
ფს.48,19 – 203(2)
ფს.48,20 – 204,474
ფს.XLIX,4 – 262
ფს.49,16 – 141(2)
ფს.50,6 – 326
ფს.50,10 – 141,255
ფს.L,12 – 255
ფს.50,17 – 167
ფს.51,10 – 45
ფს.52,3 – 196
ფს.54,11 – 113
ფს.54,17 – 731
ფს.59,1 – 205
ფს.59,4 – 207
ფს.59,6 – 207(2)
ფს.59,7 – 207,208
ფს.59,7-8 – 207
ფს.59,11 – 204,208
ფს.61,1 – 210
ფს.61,2 – 210
ფს.61,3– 211
ფს.61,4 – 211
ფს.61,5 – 212
ფს.61,7 – 212
ფს.61,8 – 213
ფს.61,9 – 213
ფს.61,10 – 214(2)
ფს.61,11 – 215
ფს.61,11-12 – 215
ფს.61,12 – 215
ფს.63,1 – 162
ფს.63,7 – 157
ფს.67,7 – 67
ფს.69,10 – 19(2)
ფს.70,6 – 245
ფს.72,8 – 164,358(2)
ფს.72,9 – 414
ფს.72,27 – 167
ფს.74,2 – 730
ფს.74,3 – 24
ფს.74,4 – 8
ფს.74,6 – 110
ფს.76,10 – 172
ფს.76,19 – 125
ფს.76,20 – 280,621
ფს.77,2 – 613
ფს.77,53 – 280
ფს.79,1 – 280
ფს.79,9 – 412
ფს.79,10 – 127
ფს.79,13 – 412
ფს.80,11 – 154
ფს.81,1 – 106
ფს.81,1 – 535,664
ფს.83,2 – 483
ფს.83,10 – 483(3)
ფს.83,12 – 484
ფს.86,3 – 187
ფს.87,5 – 111
ფს.88,16 – 245
ფს.88,30-32 – 178
ფს.89,1 – 185
ფს.90,7 – 159
ფს.90,10 – 119
ფს.90,12 – 159
ფს.90,13 – 90,129
ფს.91,11 – 127
ფს.91,14 – 49,123
ფს.91,15 – 279
ფს.91,16 – 141
ფს.93,9 – 445
ფს.93,16 – 242
ფს.94,4 – 9,482
ფს.96,2 – 737
ფს.96,7 – 519,521
ფს.96,11 – 157

ფს.98,6 – 432
ფს.98,9 – 536
ფს.101,27 – 172
ფს.102,5 – 264
ფს.103,2 – 371
ფს.103,15 – 45
ფს.103,18 – 129
ფს.103,24 – 86,322
ფს.103,25 – 67
ფს.103,29-30 – 492
ფს.103,30 – 280
ფს.103,31 – 492,689
ფს.103,35 – 492
ფს.103,37 – 288
ფს.106,26 – 29
ფს.107,1 – 286
ფს.107,2 – 286
ფს.107,9 – 208
ფს.107,10 – 208
ფს.107,13 – 244
ფს.103,27 – 243
ფს.109,1 – 247,248,654
ფს.109,3 – 358,365
ფს.110,10 – 352
ფს.111,9 – 128
ფს.111,15 – 429
ფს.113,4 – 536
ფს.114,1 – 216
ფს.114,2 – 217(2)
ფს.114,3 – 216,217,218
ფს.114,5 – 218(2)
ფს.114,6 – 219
ფს.114,7 – 219
ფს.114,8 – 219
ფს.117,12 – 407
ფს.117,14 – 103
ფს.117,22 – 744
ფს.118,1 – 96
ფს.118,17 – 104
ფს.118,60 – 138
ფს.118,85 – 238,323
ფს.117,16 – 709
ფს.118,91 – 282,534,718
ფს.118,103 – 21
ფს.118,120 – 160
ფს.118,131 – 154,169, 724
ფს.119,4 – 177
ფს.120,4 – 133
ფს.122,2 – 151
ფს.125,6 – 197
ფს.129,3 – 144
ფს.131,1 – 155
ფს.131,4 – 413
ფს.131,7 – 536
ფს.131,15 – 409
ფს.135,8-9 – 58
ფს.138,6 – 90,326
ფს.138,7 – 285,380
ფს.138,8 – 247
ფს.138,16 – 393
ფს.138,21-22 – 179
ფს.140,7 – 169
ფს.140,20 – 693
ფს.142,5 – 342
ფს.143,4 – 479
ფს.144,10 – 243
ფს.144,15 – 243
ფს.144,16 – 322
ფს.148,4 – 23,30
ფს.148,5 – 361
ფს.148,7 – 31
ფს.148,14 – 128
ფს.150,1 – 24

იგავ.1,7 – 5,147,352
იგავ.3,9 – 122
იგავ.III,11 – 347
იგავ.3,18 – 477
იგავ.3,23 – 169
იგავ.III,34 – 421
იგავ.4,26 – 141
იგავ.5,15 – 112 (2)
იგავ.5,19 – 129
იგავ.6,8 – 76
იგავ.VIII,22 – 360
იგავ.9,4 – 476
იგავ.9,18 – 100
იგავ.10,1 – 347
იგავ.12,23 – 174
იგავ.13,9 – 17
იგავ.14,15 – 108
იგავ.XIV,30 – 413
იგავ.15,5 – 114
იგავ.16,5 – 5,352
იგავ.XVII,28 – 237
იგავ.19,13 – 120
იგავ.19,17 – 119,408
იგავ.20,6 – 200,204
იგავ.21,1 – 150
იგავ.21,6 – 165
იგავ.22,28 – 67,215
იგავ.23,27 – 115
იგავ.24,34 – 115
იგავ.26,4 – 326
იგავ.29,13 – 114
ეკლ.I,3 – 427
ეკლ.1,7 – 34
ეკლეს.I,8 – 452
ეკლ.1,15 – 110,315
ეკლ.2,14 – 169
ეკლეს.3,1 – 731
ეკლეს.III,7 – 305
ეკლეს.VII,29 – 538
ეკლეს.IX, 17 – 307
ეკლ.10,4 – 93,141
ეკლ.12.11 – 177

ქებ.2,4 – 178
ქებ.4,7 – 138,538
ქებ.5,2 – 71,155
ქებ.6,8 – 180
სიბრძ.სოლ.I,7 – 285
სიბრ.სოლ.13,5 – 156

სიბრ.ზირ.20,30 – 193
ზირ.27,11 – 61
სიბრძ.ზირ.43,30 – 299

ეს.1,1 – 540
ეს.I,2 – 262,360
ეს.1,31 – 72
ეს.2,1 – 540
ეს.III,3 – 237
ეს.4,20 – 119(2)
ეს.5,2 – 45
ეს.5,6 – 7
ეს.5,8 – 67
ეს.5,20 – 213
ეს.V,21 – 365
ეს.VI,3 – 270
ეს.6,14 – 546
ეს.VII,13 – 345
ეს.8,3 – 546
ეს.9,6 – 345,357
ეს.11,4 – 145
ეს.XIV,12 – 379
ეს.XIV,13 – 326
ეს.25,6 – 477
ეს.25,8 – 220
ეს.27,11 – 714
ეს.XXVII,15 – 427
ეს.28,17 – 144
ეს.29,14 – 198
ეს.XXIX,15 – 244
ეს.40,6 – 41,124
ეს.40,12-13 – 242
ეს.40,13 – 242
ეს.40,22 – 32
ეს.LXI,1 – 260

ეს.41,10 – 151
ეს.42,5 – 285
ეს.42,18 – 169
ეს.XLIV,6 – 276
ეს.44,27 – 27
ეს.45,3 – 146
ეს.48,16 – 280,380
ეს.49,22 – 8
ეს.50,6 – 708
ეს.52,5 – 122
ეს.53,2-3 – 175
ეს.53,8 – 326
ეს.54,1 – 128
ეს.58,7 – 409
ეს.58,9 – 134
ეს.60,15-18 – 187
ეს.61,1 – 167
ეს.62,11 – 656
ეს.63,10 – 281
ეს.63,14 – 280

იერემ.1,3 – 337
იერ.I,8 – 407
იერემ.II,12-13 – 262
იერ.2,13 – 111,112
იერ.4,13 – 730
იერ.4,19 – 169
იერ.4,22 – 197
იერ.5,7 – 358
იერ.5,8 – 200
იერ.5,22 – 34
იერ.9,6 – 113
იერ.9,23-24 – 155
იერ.X,11 – 521
იერ.11,15 – 120
იერ.17,5 – 103,185
იერ.17,6 – 49
იერ.XXIII,29 – 407
იერ.25,31 – 106

გოდ.IV,20 – 279,380

ბარუქ.III,3 – 249
ბარ.III,38 – 518

ეზეკ.I,I – 285
ეზეკ.1,15 – 125
ეზეკ.8,2 – 329
ეზეკ.9,5-6 – 207
ეზკ.18,4 – 200
იეზ.22,12 – 113
ეზკ.22,27 – 200
ეზეკ.37,5-6 – 169

დან.2,21 – 150
დან.3,47 – 128
დან.3,50 – 128,433
დან.3,64-72 – 30
დან.V,11 – 293
დან.VII,13 – 532
დან.X,11 – 270
დან.X,13 – 378
დან.XIII,42 – 482,498, 745
დან.XIV,30-31 – 433
დან.XIV,33-36 – 285

ოს.7,2 – 194
ოს.7,11 – 199
ოს.XIV,10 – 263

იოველ.2,11 – 20

ამოს.4,13 – 24,383
ამოს.5,10 – 170
ამოს.V,17 – 307
ამოს.5,18 – 20
ამოს.8,11 – 161,477

მიქ.II,7 – 281
მიქ.5,2 – 548(2)
მიქ.7,18-19 – 131

სოფ.3,8-9 – 191

ანგ.II,5,6 – 285

ზაქ.6,12 – 188
ზაქ.9 – 656

მალაქ.1,6 – 122,277,282
მალქ. III,6 – 322

ახალი აღთქმა

მთ.I,1 – 353
მთ.I,20 – 244
მთ.1,23 – 189
მთ.3,10 – 129,342
მთ.III,11 – 267
მთ.III,16 – 255
მთ.3,17 – 124, 271
მთ.IV,1 – 271
მთ.4,4 – 476
მთ.5,3 – 158,168
მთ.5,4 – 136
მთ.5,5 – 155
მთ.5,6 – 476
მთ.V,11 – 246
მთ.5,16 – 121
მთ.V,18 – 238
მთ.5,19 – 194
მთ.V,22 – 255
მთ.V,37 – 238
მთ.5,41 – 97
მთ.5,42 – 113,119
მთ.5,44 – 108
მთ.V,45 – 534
მთ.V,48 – 340
მთ.6,4 – 182
მთ.6,25 – 496
მთ.VI,26-28 – 424
მთ.7,2 – 215
მთ.7,15 – 67
მთ.7,17 – 119
მთ.7,18 – 135
მთ.7,20 – 119
მთ.7,23 – 478
მთ.VIII,3 – 255
მთ.8,12 – 204
მთ.8,13 – 103
მთ.VIII,24 – 384
მთ.9,13 – 193
მთ.X,1 – 535
მთ.X,20 – 286,291
მთ.10,29 – 143
მთ.10,42 – 150
მთ.XI,11 – 434
მთ.11,19 – 102
მთ.11,21 – 139
მთ.11,27 – 328,277, 745
მთ.11,28 – 189,197
მთ.11,29 – 177,156,158
მთ.XII,21 – 375
მთ.12,26 – 150
მთ.XII,28 – 271
მთ.XII,29 – 252
მთ.XII,31 – 277
მთ.12,33 – 135
მთ.12,35 – 174(2)
მთ.XII,36 – 341
მთ.12,37 – 164,174
მთ.12,40 – 714
მთ.12,42 – 106
მთ.12,43-44 – 190
მთ.XIII,1,6 – 526
მთ.13,17 – 208,526
მთ.13,22 – 190
მთ.XIII,49-50 – 364
მთ.XIV,19 – 409

მთ.15,18 – 97
მთ.XV,27 – 248
მთ.16,3 – 53
მთ.XVI,16 – 346
მთ.XVI,17 – 346
მთ.XVI,27 – 338
მთ.17,5 – 172
მთ.18,10 – 166,270,378
მთ.XVIII,19 – 317,382
მთ.19,19 – 97
მთ.19,21 – 97
მთ.19,28 – 183
მთ.20,26 – 149
მთ.XXI,28 – 346
მთ.XXII,17-21 – 526
მთ.XXII,21 – 538
მთ.XXII,30 – 472
მთ.XXIII,9 – 363
მთ.23,27 – 199
მთ.XXIII,33 – 347
მთ.24,29 – 54
მთ.24,35 – 3
მთ.XXV,21 – 272
მთ.25,29 – 131
მთ.XXVI,29 – 347
მთ.XXVI,53 – 378
მთ.27,51 – 555
მთ.28,19 – 124,257,275, 379
მთ.28,20 – 546

მრკ.I,1-3 – 353
მრკ.I,24 – 374
მარკ.2,22 – 147
მარკ.3,12 – 141
მარკ.4,20 – 137
მარკ.4,26-28 – 44
მარკ.IV,39 – 255
მრკ.VIII,38 – 248
მრკ.IX,25 – 255
მარკ.12,30 – 173
მრკ.XIII,1 – 487
მარკ.XIII,34 – 670

ლუკ.I,10 – 285
ლუკ.I,44 – 434
ლუკ.I,53 – 409
ლკ.II,14 – 270
ლკ.2,29-30 – 210
ლკ.2,52 – 175,411
ლკ.III,16 – 260
ლკ.4,13 – 559
ლკ.4,23 – 352,491
ლკ.4,22 – 175
ლკ.4,25 – 125
ლკ.6,21 – 136
ლკ.6,34-35 – 118
ლკ.7,12 – 489
ლუკ.7,13-16 – 490
ლკ.7,32 – 139
ლკ.7,50 – 103
ლკ.8,8 – 169
ლუკ.8,46 – 244
ლუკ.IX,16 – 409
ლკ.10,6 – 102
ლუკ.X,16 – 339
ლკ.10,19 – 129
ლუკ.XI,9 – 648
ლკ.XI,10 – 237
ლკ.XI,24-26 – 414
ლკ.12,20 – 199
ლუკ.XII,8-9 – 261
ლუკ.XII,42 – 409
ლკ.XII,46 – 272
ლკ.13,32 – 171
ლკ.14,33 – 190
ლკ.16,8 – 198
ლკ.16,19 – 170,197
ლუკ.16,19 – 493
ლკ.16,25 – 203
ლუკ.XVI,29 – 264
ლკ.XX,36 – 472
ლკ.XXIII,29 – 488

ინ.1,1 – 143,247,250, 269, 342,351,352,353, 354,358,358,445
ინ.I,2 – 354
ინ.I,3 – 253,351
ინ.I,4 – 354
ინ.1,9 – 157,248,278,354, 355,368,610
ინ.I,12 – 380
ინ.I,13 – 383
ინ.1,14 – 201,248
ინ.1,16 – 159,244
ინ.I,18 – 248,250,259, 520, 528,532
ინ.1,29 – 127,595
ინ.1,32 – 179
ინ.I,33 – 271
ინ.2,19 – 703
ინ.III,3 – 266
ინ.III,6 – 244
ინ.3,14 – 191
ინ.3,17 – 144
ინ.3,18 – 106
ინ.3,20 – 157
ინ.3,29 – 173
ინ.4,6 – 197
ინ.4,14 – 125,187
ინ.IV,23 – 292,293
ინ.4,24 – 255,278,279,380
ინ.4,49-50 – 489
ინ.5,18 – 337
ინ.V,19 – 253
ინ.5,20 – 243,254
ინ.V,22 – 252
ინ.V,23 – 248,248,339
ინ.5,26 – 332
ინ.V,46 – 264
ინ.6,27 – 332
ინ.6,33 – 154
ინ.VI,46 – 528
ინ.VI,51 – 320
ინ.VI,57 – 253
ინ.VI,63 – 287
ინ.VII,37 – 263,477
ინ.7,38 – 125,187
ინ.VIII,44 – 323
ინ.10,5 – 501
ინ.X,9 – 251,320
ინ.X,11 – 320
ინ.10,16 – 123
ინ.X,27 – 251
ინ.X,27-28 – 287,381
ინ.X,28 – 338
ინ.X,29 – 338
ინ.10,30 – 91,289,338
ინ.X,35 – 344
ინ.XI,11 – 409
ინ.XI,25 – 252
ინ.XII,4-5 – 695
ინ.XII,28 – 277
ინ.12,32 – 190
ინ.12,45 – 331
ინ.XII,49 – 253,254
ინ.XII,50 – 254
ინ.XIV,2 – 272
ინ.14,6 – 369,252, 320 380
ინ.14,9 – 91, 254,331,332, 528, 728
ინ.XIV,12 – 379,535
ინ.XIV,16 – 279
ინ.XIV,17 – 284
ინ.XIV,19 – 284
ინ.14,23 – 164,289
ინ.XIV,24 – 254
ინ.14,27 – 165,339

ინ.14,28 – 336
ინ.14,30 – 103
ინ.XIV,31 – 254
ინ.XV,1 – 320
ინ.XV,3 – 284
ინ.15,5 – 127
ინ.15,15 – 173,281
ინ.15,16 – 45
ინ.15,26 – 255,269,376
ინ.XVI,13 – 280
ინ.16,14 – 244,277(2), 375
ინ.16,15 – 332
ინ.XVI,24 – 648
ინ.16,33 – 142,168,192
ინ.XVII,3 – 521
ინ.XVII,4 – 277
ინ.XVII,10 – 253,376
ინ.17,12 – 102
ინ.17,15– 105
ინ.XVII,25 – 284
ინ.18,10 – 702
ინ.19,39 – 179
ინ.XX,21-22 – 271
ინ.20,28 – 134
საქმ.I,5 – 260
საქმ.1,7 – 484
საქმ.I,8 – 287
საქმ.1,18 – 705
საქმ.II,36 – 341
საქმ.V,4 – 268
საქმ.V,9 – 268
საქმ.V,29 – 257
საქმ.VII,51 – 281
საქმ.VII,55 – 248
საქმ.VIII,26 – 285
საქმ.8,32 – 127
საქმ.9,15 – 326
საქმ.9,22 – 201
საქმ.X,3 – 285
საქმ.X,20 – 280
საქმ.X,38 – 260,271
საქმ.XIII,2 – 280
საქმ.14,22 – 157,185
საქმ.17,21 – 190
საქმ.XVII,29 – 521
საქმ.20,29 – 15
საქმ. XXI,11 –381
საქმ.21,31 – 708
საქმ.28,3-6 – 90

იაკობ.I,6 – 538
იაკ.1,17 – 510
იაკობ.II,19 – 358

Iპეტრ.1,2 – 132
1პეტ.2,22 – 564
Iპეტ.II,6,8 – 342
Iპეტრ.II,9 – 412
Iპეტ.2,20 – 196
1პეტრ.3,4 – 498
1პეტ.III,15 – 591
Iპეტ.III,21 – 267
Iპეტ.5,6 – 195

1ინ.1,5 – 15
1ინ.3,8 – 111
1ინ.3,8 – 181,218
Iინ.III,2 – 534
Iინ.III,24 – 244,382
Iინ.4,8 – 445
Iინ.4,16 – 445
Iინ.5,19 – 164
Iინ.V,20 – 250
რომ.I,2 – 250
რომ.1,5 – 175,250(2),303
რომ.I,8 – 250
რომ.I,10 – 245
რომ.1,16 – 83
რომ.1,19 – 328
რომ.1,20 – 6,31,342,530
რომ.I,21 – 365
რომ.1,21-22 – 3
რომ.1,22 – 197
რომ.1,23 – 122
რომ.I,23,25 – 520
რომ.1,30 – 733
რომ.2,5 – 136
რომ.II,10 – 286
რომ.II,17 – 245
რომ.2,17-18 – 107
რომ.2,23 – 122
რომ.3,2 – 206
რომ.3,23-24 – 195
რომ.3,25 – 195
რომ.V,2 – 252
რომ.5,3 – 152,186
რომ.5,3-4 – 154,157
რომ.5,3-5 – 208
რომ.V,8 – 255
რომ.5,9 – 510
რომ.VI,3 – 260
რომ.VI,4 – 244
რომ.6,19 – 141
რომ.VI,54 – 266
რომ.7,9-10 – 99
რომ.7,24 – 164,170
რომ.VIII,2 – 287
რომ.8,2 – 298
რომ.8,8 – 139
რომ.VIII,9 – 277,376,724
რომ.VIII,10 – 287
რომ.VIII,11 –381
რომ.VIII,15 –381
რომ.VIII,16 – 298
რომ.8,17 – 298,299,535
რომ.8,26 – 280
რომ.VIII,26 – 299
რომ.VIII,29 – 347,364
რომ.8,31 – 191
რომ.8,32 – 210,255,287
რომ.VIII,34 – 248,280
რომ.8,35 – 134,216,647
რომ.8,37–152,186,218, 251
რომ.8,39 – 152
რომ.IX,4 – 286
რომ.9,4-5 – 161
რომ.9,5 – 208
რომ.10,10 – 193,201
რომ.X,11 – 287
რომ.11,25-26 – 149
რომ.11,33 – 326
რომ.XI,34 – 454
რომ.XI,36 – 242
რომ.XII,5-6 – 291
რომ.12;17,21 – 76
რომ.13,1 – 150
რომ.13,7 – 526,537, 538
რომ.13,12 – 188
რომ.13,13 – 21
რომ.14,1 – 692
რომ.XIV,17 – 476
რომ.XV,30 – 289

Iკორ.I,9 – 244
Iკორ.I,24 – 250,247,253, 336,369
Iკორინ.I,24,30 – 355
Iკორ.1,27 – 151
Iკორ.I,28 – 358
Iკორ.2,4-13 – 2
Iკორ.2,6 – 197
Iკორ.2,7 – 614,187
Iკორ.2,9 – 328
Iკორ.2,10 – 244,270,428, 628
Iკორ.II,11 – 273,281,381

Iკორ.2,11-12 – 328
Iკორ.II,12 – 287,376,724
Iკორ.2,13 – 175
Iკორ.II,14,15 – 450
Iკორ.2,15– 478
Iკორ.2,16 – 198,445
Iკორ.III,3 – 301,450
Iკორ.3,9 – 211,298
Iკორინ.III,13 – 267
Iკორ.3,16 – 284, 382,535
Iკორ.3,19 – 197
1კორ.4,5 – 109,158
Iკორ.4,12-13 – 154
Iკორ.4,13 – 168
Iკორინ.4,16 – 616
Iკორ.V,4 – 297
1კორ.5,5 – 179
Iკორ.VI,11 – 279,297
Iკორ.6,15 – 122
Iკორინ.6,17 – 647
Iკორ.6,20 – 122,196
Iკორ.7,23 – 211
1კორ.7,31 – 3,164
Iკორ.VII,40 – 293
Iკორ.8,6 – 239,241,242
Iკორ.9,6 – 197
Iკორ.IX,22 – 437
Iკორ.9,27 – 138
Iკორ.X,2 – 262,264
Iკორინ.X,11 – 536
Iკორ.10,12 – 220
Iკორ.10,13 – 157,212
Iკორ.10,31 – 155
Iკორ.XI,2 – 300
Iკორ.XI,12 – 241,245
Iკორ.11,31 – 106
Iკორ.12,3 – 141,259,270, 278,529
Iკორ.XII,4-6 – 268,381
Iკორ.XII,6 – 269
1კორ.12,7 – 63
Iკორ.XII,8 – 244
I კორ. 12,9 – 734
Iკორ.XII,11 – 268,381, 723
Iკორ.XII,13 – 260
Iკორ.XII,21 – 291
Iკორ.XII,26 – 291
Iკორ.12,27 – 165
Iკორ.12,28 – 45,271
Iკორ.XIII,5 – 308
Iკორ.13,11 – 172,509
Iკორინ.XIII,12 – 518
Iკორ.XIV,2 – 292
Iკორ.XIV,22 – 409
Iკორ.XIV,24-25 – 268
Iკორ.XV,4 – 2787
Iკორ.15,10 – 197,175
Iკორ.15,12 – 491
Iკორ.XV,22 – 263
1კორ.15,24 – 183,191
Iკორ.XV,41 – 286,379
Iკორ.XV,41-42 – 272
Iკორ.15,42 – 172
Iკორ.15,43-44 – 172
Iკორ.XV,45 – 287
Iკორ.XV,46 – 278
Iკორ.XV,47 – 241(2)
Iკორ.XV,50 – 301
Iკორინ.XV,51-52 – 482
1კორ.15,52 – 54,427
1კორ.15,54 – 192
IIკორ.I,1 – 244
2კორ.II,17 – 292
IIკორ.3,3 – 174
2კორ.III,5 – 293
IIკორ.III,6 – 521
2კორ.III,8 – 286
2კორ.III,9 – 286
2კორ.III,14,16,17 – 283
2კორ.3,15 – 357
2კორ.3,17 – 283,286,380
2კორ.3,18 – 140,283
2კორ.IV,4 – 347
IIკორ.4,5 – 168
2კორ.4,8 – 157,168
2კორ.4,10 – 147
IIკორ.5,4 – 119
2კორ.V,8 – 298
IIკორ.5,9 – 221
2კორ.V,16 – 354
IIკორ.5,17 – 147,280
2კორ.VI,15 – 323
2კორინ.VI,16 – 535,659
IIკორ.8,9 – 158
IIკორ.10,5 – 127,392
2კორ.11,23 – 197
2კორ.11,25-27 – 162
2კორ.12,2 – 23
2კორ.12,3 – 326(2)
IIკორ.XII,7 – 437
IIკორ.12,10 – 151,208
IIკორ.12,14 – 104
2კორ.13,3 – 176,292
IIკორინ.XIII,4 – 342
IIკორ.XIII,12 – 160
2კორ.XIII,13 – 289

გალატ.I,9 – 538
გალ.2,20 – 104,632
გალატ.III,13 – 255
გალატ.III,19 – 264
გალატ.III,24 – 523
გალატ.III,25 – 523
გალატ.III,27 – 260
გალატ.IV,3 – 523
გალატ.IV,6 – 280,287
გალატ.IV,7 – 244
გალატ.IV,8 – 358
გალატ.4,19 – 162
გალატ.6,7 – 131,215
გალატ.VI,8 – 244
გალატ.6,14 – 212

ეფ.I,1 – 359
ეფ.1,7 – 207
ეფ.I,18 – 291
ეფ.I,22 – 244
ეფ.2,3 – 207
ეფეს.2,5 – 145,150
ეფ.2,12 – 163,207
ეფ.2,14 – 207
ეფ.2,14-15 – 165,191
ეფეს.2,15 – 147,158
ეფ.II,21-22 – 382
ეფ.III,9 – 245
ეფ.IV,14 – 523
ეფ.IV,15-16 – 244
ეფეს.4,27 – 141
ეფ.IV,30 – 280
ეფეს.5,2 – 127
ეფ.5,16 – 164
ეფეს.5,25 – 69
ეფ.V,27 – 251
ეფ.6,4 – 87
ეფ.6,19 – 510

ფილპ.1,8-9 – 176
ფილიპ.2,6 – 332,337
ფილიპ.II,6.7 – 523
ფილპ.2,7 – 159,342
ფილპ.2,8 – 201,255
ფილპ.2,9 – 250,346,360
ფილპ.2,10 – 181,192
ფილიპ.II,10-11 – 251
ფილპ.2,15 – 51
ფილპ.3,8 – 175
ფილიპ.III,10-11 – 266
ფილპ.3,13 – 142
ფილპ.3,13-14 – 172

ფილპ.3,14 – 129,165
ფილპ.III,19 – 310
ფილპ.3,20 – 84
ფილპ.3,21 – 152,342
ფილპ.4,7 – 132,138,165, 328
ფილპ.4,13 – 125,185

კოლ.1,12 – 17
კოლ.I,13,12 – 252
კოლს.1,15 – 91,247,332, 355(2),364,528,728
კოლ.1,16 – 4,269,253
კოლას.I,17 – 534,723
კოლ.1,20 – 159,165,207, 189
კოლას.1,23 – 680
კოლას.II,3 – 254
კოლას.2,8 – 491
კოლას.II,11-12 – 266
კოლ.II,13 – 298
კოლ.2,15 – 186
კოლას.II,19 – 244
კოლ.3,1 – 84
კოლ.3,2 – 475
კოლ.3,3 – 104
კოლას.III,3-4 – 298,163
კოლ.3,9-10 – 182,509
კოლ.3,10 – 173
კოლ.3,12 – 182
კოლ.4,7 – 155

Iთეს.III,12-13 – 283
Iთესალ.4,16 – 491
Iთეს.4,17 – 299,483,682
Iთეს.5,16-18 – 154
Iთეს.5,21– 478
Iთეს.V,23 – 449
IIთეს.I,1 – 245
2თეს.I,7 – 261
2თეს.II,15 – 300
2თეს.III,5 – 282

Iტიმ.1,1 – 95
Iტიმ.III,6 – 313
1ტიმ.3,15 – 132
Iტიმ.V,21 – 261
Iტიმ.6,9 – 198
Iტიმ.VI,10– 478
Iტიმ.VI,13 –381
Iტიმ.VI,16 – 371

IIტიმ.I,14 – 244,293
2ტიმ.II,2 – 261
IIტიმ.2,19 – 478
2ტიმ.II,21 – 252
2ტიმ.3,16 – 93
II ტიმ.IV,2 – 413
2ტიმ.4,3 – 174
2ტიმ.4,7-8 – 219

ტიტ.II,13 – 95
ტიტ.2,14 – 432
ტიტ.III,1 – 538

ებრ.1,1 – 519
ებრ.I,1-2 – 521
ებრ.I,2 – 351
ებრ.1,3–91,188,247,253, 334,347,355,528,726
ებრ.I,6 – 347
ებრ.1,7 – 200,270
ებრ.I,13 – 247
ებრ.I,14 – 379,533
ებრ.1,23 – 91
ებრ.2,6-9 – 204
ებრ.II,10 – 253
ებრ.2,12 – 196
ებრ.2,14 – 134,202
ებრ.II,16 – 532
ებრ.4,12 – 130,176
ებრ.5,14– 478
ებრ.7,26-27 – 196
ებრ.VIII,1 – 248
ებრ.8,2 – 432
ებრ.X,1 – 265
ებრ.XI,3 – 484
ებრ.11,6 – 329
ებრ.11,10 – 187
ებრ.XI,13 – 483,532
ებრ.11,13-16 – 483
ებრ.11,25 – 1
ებრ.11,39-40 – 202
ებრ.12,6 – 154,208
ებრ.12,22-23 – 84
ებრ.12,23 – 187
ებრ.13,40 – 483

გამც.I,8 – 353
გამც.XXII,18-19 – 346

ბიზანტიური სალმრთისმეტყველო თხზულებანი

ძველი ბერძნულიდან თარგმნა
გვანცა კოპლატაძემ

ასოთამწყობი **ი. ექვთიმიშვილი**
დამკაბადონებელი **ნ. მამულაშვილი**
დიზაინი ბერდიაკ. **გ. რუხაძისა**

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, **2021**
თბილისი, ერეკლე II მოედ. №**1**
ტელ.: **298-26-34, 599-19-68-23**
ელ. ფოსტა: madli.ssg@rambler.ru

ხელმოწ. დასაბეჭდად **20.05.2021**. ტირაჟი **250**.